№ 1
ფასი 3 კაპ.
1 9 8 1
«საბჭოთა ქართველოს» დამატება

საბჭოთა ქართველოს ჯარისკაცებს







ᲐᲑᲐᲕᲣᲚᲝ

ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲛᲐᲡᲬᲘ
ᲐᲡᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡᲤᲔᲚᲘᲡ





334 (03)
65:9 (4/8)04 Я 2
087.1:308(103+104)(03)
ს 13

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ც ი ა:

ი. არტიუხელიშვილი, ა. ბანიკოვი, დ. ბლაგოი, რ. ბრუსნიჩკინა, ა. გუცკუშკი, ა. კენკელი, ს. მერასიმოვი, ა. კონჩაროვი, გ. გორშკოვა, ა. დანილოვი, ნ. დოლგინინა, ნ. დუგინინი, ი. ვოროშეიკინი, ზ. ვორონცოვ-ველიამინოვი, კ. ივანოვიჩი, ა. იზმაილოვი, დ. კაბალევსკი, ზ. კედროვი, მ. კიმი, ნ. კუზინი, ა. კუზოვნიკოვი, ა. ლეონტიევი, ა. ლურია, ს. მისალოვი, მ. ნეჩკინა, ფ. პანაჩინი, ი. პეტრიანოვი, ვ. რაზუმნი, ა. სოლოვეიოვი, ლ. ტემოფეევი, ს. ტისვინსკი, ე. ტიაშელნიკოვი, ტ. საჩატშრო-ვი, ნ. ცაგალუვი, მ. ცარევი, ვ. ჩეპელეკი, ბ. ჯიბლაძე.

ტომის მეცნიერული რედაქტორები:

ი. დავითაია, ი. აფსაზავა, ე. მენაბდე

©ქართული თარგმანი, „ნ ა კ ა დ უ ლ ი“, 1

70803—42
D———————— 147—83
M-603 (08) 83

გაზეთები. ჟურნალები, რადიო, ტელევიზია, ფოტო და კინოქრონიკა ყოველდღიურად გვამცნობენ მსოფლიოს მოვლენებს. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან და კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ, ძლიერ აინტერესებთ ყველაფერი, რაც ჩვენს პლანეტაზე ხდება. ჩვენ გვახარებს მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მიღწევები ახალი ცხოვრების მშენებლობაში, სოლიდარობას ვუცხადებთ კაპიტალის ქვეყნების მშრომელებს თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც მიისწრაფვიან იმპერიალისტური მონოპოლიებისაგან დამოუკიდებლობისა და თავიანთი ქვეყნების შემდგომი განვითარებისაკენ.

ყოველწლიურად მტკიცდება და ფართოვდება ჩვენი ქვეყნის კავშირი და კონტაქტები უცხოეთთან. საბჭოთა სპეციალისტები მუშაობენ სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებში. ისინი ეხმარებიან მათ ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებაში, ეძიებენ სასარგებლო წიაღისეულს. ჩვენ საზღვარგარეთის ქვეყნებს ვუცვლით სამეცნიერო დელეგაციებს, მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ჩვენს სახელგანთქმულ თეატრალურ კოლექტივებს, ანსამბლებს, მომღერლებს, მუსიკოსებს. საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების ოსტატებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გულღიად ხვდება ჩვენი ხალხი. საზღვარგარეთ მიემგზავრება მრავალი სხვადასხვა დელეგაცია — ახალგაზრდული, ქალთა, პროფკავშირული, სპორტული და ტურისტული.

მთელი ჩვენი პლანეტისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებებს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნები ერთობლივად ახორციელებენ ადამიანის საქმიანობის მავნე ზემოქმედებისაგან გარემოს დასაცავად, რაც დაკავშირებულია მრეწველობისა და ტრანსპორტის სწრაფ განვითარებასთან; დიდი ღონისძიებები ხორციელდება საჰაერო, ოკეანის, მდინარეებისა და ზღვების გაჭუჭყიანებასთან საბრძოლველად, ცხოველთა დასაცავად, ენერგეტიკული და სასურსათო რესურსების რაციონალურად გამოყენების და გაზრდისათვის. ყველა ამ სფეროში საბჭოთა კავშირი ნაყოფიერად თანამშრომლობს უცხოეთის ქვეყნებთან.

საბჭოთა მეცნიერები საზღვარგარეთელ კოლეგებთან თანამშრომლობენ კოსმოსის ათვისებაში, მსოფლიო ოკეანის შესწავლაში, ეპიდემიებისა და სხვადასხვა სახის მძიმე დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, გვალვის, წყალდიდობისა და სტიქიურ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ერთობლივად მუშაობენ ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სფეროში და სხვა ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც საერთოა ჩვენი პლანეტის ყველა მცხოვრებისათვის.

მეოთხე ათწლეულია ჩვენი ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიის XXV ყრილობაზე წამოყენებული და XXVI ყრილობის მიერ განვითარებული მშვიდობის პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად. ამის შედეგია, რომ ამჟამად, მიუხედავად იმპერიალისტური და რეაქციის ძალების მძლავრი წინა-

აღმდეგობისა, რთულ პოლიტიკურ ვითარებაში დაძაბულობის შენელება წამყვან ტენდენციად რჩება საერთაშორისო ურთიერთობაში. არსებითად განმტკიცდა მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, რომელიც ავლენს ამოუწურავ შემოქმედებით ძალებს. ახალი საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან, რომელიც განიცდის სულ უფრო ღრმა საერთო კრიზისს, რაც ვლინდება უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდაში, ხალხთა ცხოვრების შემდგომ გაუარესებაში. კაპიტალისტურ სამყაროში ძლიერდება მშრომელთა ბრძოლა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის უღლის წინააღმდეგ თავისი უფლებებისათვის, იზრდება კომუნისტურ პარტიათა გავლენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებები ახალ ჰორიზონტს შლის იმ ქვეყნების წინაშე, რომელთაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს. რევოლუციურ-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს.

1976 წ. 24 თებერვლიდან 5 მარტამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სკკპ XXV ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში. ყრილობამ წამოაყენა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც მშვიდობის პროგრამის ორგანული გაგრძელება და განვითარებაა. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში), რომელიც მიიღეს 1977 წ. 7 ოქტომბერს, დაკანონებულია ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. სკკპ ლენინური საერთაშორისო პოლიტიკა ყველა ხალხების ძირეულ ინტერესებს გამოხატავს. ამ პოლიტიკას მომავალი აქვს.

ამ ტომის სტატიებიდან თქვენ შეიტყობთ თანამედროვე რევოლუციური პროცესის სამი ძირითადი ნაკადის — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ზრდისა და განმტკიცების, კაპიტალის ქვეყნებში თავიანთი უფლებებისათვის მშრომელთა ბრძოლის, განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების შესახებ.

ტომში თქვენ ნახავთ ბევრ საინტერესო ცნობას საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ცხოვრების, მათი ისტორიის, ზნე-ჩვეულებების, კულტურის შესახებ.

ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებრივი განვითარების ტემპების, ძველი წესწყობილების ნგრევის არნახული დაჩქარების ეპოქაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალიზმის ყოფილი კოლონიების ადგილას 100-ზე მეტი ახალი სუვერენული სახელმწიფო გაჩნდა და ეს პროცესი გრძელდება. ბევრ ქვეყანაში დაემხო ძველი, რეაქციული სამხედრო-დიქტატორული და მონარქიული რეჟიმი.

ამ ტომში, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებს ეძღვნება, ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ყველაზე თანამედროვე ინფორმაცია, მაგრამ მაინც შეუძლებელია მრავალფეროვანი, თავისებური ცვლილებების ამომწურავად ასახვა, რაც ყოველ ცალკეულ ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში ხდება.

„საცნობარო განყოფილებაში“ მოცემულია ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა საზღვარგარეთის ქვეყნების შესახებ, დამოუკიდებლად საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია და ლექსიკონ-საძიებელი, რაც დაგეხმარებათ ტომში ამა თუ იმ საჭირო ცნობის პოვნაში.

კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა

ეს იყო პირველი მსოფლიო ომის დროს. მილიონობით რუხფარაჯიანი და მეზღვაურის ბუშლატიანი მუშა და გლეხი უაზროდ და უსახელოდ იღუპებოდა სისხლისმღვრელ ბრძოლებში. „სარწმუნოებისათვის, მეფისა და მამულისათვის!“ — ჩაგონებდნენ რუს ჯარისკაცებს. „კაიზერისათვის, რუსი ბარბაროსების წინააღმდეგ!“ — გაჰკიოდა გერმანიის პროპაგანდა. „დავიცვათ ჩვენი თავისუფლება გერმანელი ჰუნებისაგან!“ — მოუწოდებდნენ ინგლისელებს და ფრანგებს. მაგრამ პატრიოტული ლოზუნგები ომის მძარცველური მიზნების საფარველი იყო. სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტები ინაწილებდნენ მსოფლიო გასაღების ბაზრებს, კოლონიებს, გავლენის სფეროებს. ახალი მოგებისათვის, ბანკირთა და მეწარმეთა ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლებში მილიონობით ადამიანი იღუპებოდა, ომში ჩაბმული ქვეყნების მშრომელები უსაზღვროდ იტანჯებოდნენ.

მიუხედავად უმკაცრესი დევნისა და რეპრესიებისა, რუსი ბოლშევიკები ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეთაურობით გადაჭრით ილაშქრებდნენ ომის წინააღმდეგ, ომში მონაწილე ქვეყნების მშრომელებს მოუწოდებდნენ, იარაღი მიემართათ ომის გამჩაღებლების — კაპიტალისტებისა და მემამულეთა წინააღმდეგ.

სისხლისმღვრელი ომის მესამე წელი მიდიოდა. ხალხი დაქანცა ომმა, შიმშილმა, გაჭირვებამ. ჯარისკაცები და მეზღვაურები ფრონტზე, მუშები და გლეხები ზურგში სულ უფრო ნათლად ხვდებოდნენ, ვისი ინტერესებისათვის იღუპებოდნენ ისინი ომში „საბოლოო გამარჯვებისათვის“, იმედს უცრუებდნენ „პატრიოტული“ ლოზუნგები, პროტესტს იწყებდნენ ომის გამჩაღებელი გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. ხალხის მოთმინების ფიალა ივსებოდა.

და აი, 1917 წლის თებერვალში პირველად დაიქუხა პეტროგრადში, მოხდა რევოლუცია, დაემხო რომანოვების (მეფეთა) ძირმომპალი დინასტია.

რუსეთის რევოლუციის ექო მთელს მსოფლიოს მოედო. 1917 წ. აპრილ-ივნისში სტიქიური აჯანყებები მოხდა საფრანგეთის არმიაში. 5 ივნისს ფრონტის მეორე მხარეს გერმანიის ათობით ქალაქს მოედო დამშეული ხალხის ამბოხება. ივლის-აგვისტოში, პეტროგრადელი რევოლუციონე-

რი მუშებისა და ჯარისკაცების 3 ივლისის გამოსვლების შემდეგ, მთელ ევროპას გადაუარა გაფიცვათა ტალღამ.

მას შემდეგ, რაც დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ სისხლში ჩაახშო ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაცია პეტროგრადში, ბოლშევიკური პარტია იატაკქვეშეთში გადავიდა. იგი ახალ ძალებს იკრებდა, გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა. გაჭიანურებული ომით გაწამებულმა, დროებითი მთავრობის ბუნდოვანი დაპირებებით რწმენადაკარგულმა რუსეთის მშრომელებმა მთელი გულისყური მიაპყრეს ბოლშევიკებს, რომლებიც მუშებისა და გლეხების სანუკვარ ოცნებებს გამოხატავდნენ. მშვიდობა — ხალხებს, პური მშივრებს, მიწა — გლეხებს, ქარხნები და ფაბრიკები — მუშებს. ამისათვის საჭირო იყო ბურჟუაზიის დამხობა და ძალაუფლების ხელში აღება. ლენინი ამ დროს პარტიას იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობდა. იგი გაწმაოტავდა, ასაბუთებდა და მოითხოვდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვებაო. შეიარაღებული აჯანყება — აი, მთავარი მორიგი ამოცანა. კონტრრევოლუციას საშუალება არ უნდა მიეცეს ძალები მოიკრიბოს და ჩაახშოს სახალხო მოძრაობა. „გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის“, — ხაზს უსვამდა ლენინი, — ვინაიდან მთელი რუსეთის კონტრრევოლუცია უკვე გაემზადა ნახტომისათვის, რათა უეცარი დარტყმით გაენადგურებინა რევოლუციური ძალები.

კერენსკი, რომელიც დროებითი მთავრობის სათავეში იდგა, 24 ოქტომბერს სიტყვით გამოვიდა ეგრეთ წოდებულ „რესპუბლიკის საბჭოზე“ და წაიკითხა ლენინის ზემოთ მოყვანილი სიტყვები. რუსული კაპიტალის ამ ერთგულმა მსახურმა იგრძნო, რომ მის პატრონს სიკვდილის საფრთხე ელოდა. კერენსკი მოუწოდებდა ჩაეხშოთ „მდაბიოთა“ (როგორც იგი უწოდებდა რევოლუციონერ მუშებს, მეზღვაურებს, ჯარისკაცებს და გლეხობას) გამოსვლა. მაგრამ უკვე გვიანი იყო — შეიარაღებულმა მასებმა იერიშით აიღეს ზამთრის სასახლე.

„ავრორას“ გასროლამ ამცნო ქვეყანას მსოფლიოს ისტორიაში მუშათა და გლეხთა პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი. მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში — რუსეთში, სადაც იმპერიალიზმისათვის და-

კაპიტალისტი მუშას: „ეი, რას სჩადიხარ? მსოფლიოს ერთი მეექვსედი მიითვისე!“
მუშა: „დიახ, ჯერ სადა ხარ!“
მხატვარი რობერტ მაინორი (აშშ), 1924 წ.

მახასიათებელი წინააღმდეგობანი უფრო მძაფრად იყო გამწვავებული, რადგანაც აქ დიდხანს იყო შენარჩუნებული მეფის ხელისუფლება, მემამულეთა მიწათმფლობელობა და წარსულის სხვა გადმონაშთები, ბოლშევიკებმა შეძლეს გაეერთიანებინათ და საერთო მიზნისაკენ წარემართათ სხვადასხვა რევოლუციური ნაკადები: მუშათა კლასის სოციალისტური მოძრაობა — ბურჟუაზიის დასამხობად, გლეხობის რევოლუციური ბრძოლა — მემამულეთა წინააღმდეგ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა — ხალხთა თანასწორუფლებიანობისათვის, მშვიდობის საყოველთაო სახალხო მოთხოვნისა და იმპერიალისტური ომის შესაწყვეტად. როცა რუსეთის პროლეტარიატმა 1917 წ. თებერვალში ცარიზმი დაამხო, ხოლო ოქტომბერში ბოლშევიკების ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ძალაუფლება ხელში აიღო, ექსპლოატატორებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ოქტომბრის დაუვიწყარი მძიმე დღეების მოწმე და მონაწილე. ამერიკელი კომუნისტი მწერალი ჯონ რიდი თავის წიგნში „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, გვიამბობს იმ გარდატეხის მომენტის უდიდეს დაძაბულობაზე, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე.

„ლენინმა და პეტროგრადელმა მუშებმა გადაწყვიტეს - მოხდეს აჯანყება. პეტროგრადის საბჭომ დაამხო დროებითი მთავრობა და საბჭოების ყრილობა სახელმწიფო გადატრიალების ფაქტის წინაშე დააყენა. ახლა საჭირო იყო ჯერ მთელი



„ძირს იმპერიალისტური ომი! ზავი საბჭოთა რუსეთთან! მშვიდობა — ხალხებს! პური — მშივრებს! ხელისუფლება — საბჭოებს!" გრანდიოზული მიტინგი კლადნოში, ჩეხეთის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრში, 1918 წ. 19 იანვარს, საყოველთაო გაფიცვის დროს.

უზარმაზარი რუსეთის და შემდეგ მთელი მსოფლიოს მიმხრობა. გამოეხმიანება და აჯანყდება კი რუსეთი? მსოფლიო რას იტყვის? გამოეხმაურებიან რუსეთის სხვადასხვა ხალხები მოწოდებას? მოედება მსოფლიოს წითელი ქარიშხალი?" — წერდა ამერიკელი პუბლიცისტი ჯონ რიდი.

ოქტომბრის გამარჯვება კაპიტალისტური დასავლეთის მშრომელთა მასობრივი გამოსვლების სიგნალად იქცა. ევროპას აჯანყებათა და რევოლუციათა ტალღა მოედო, რომელიც ანადგურებდა მონარქიის ძირგამომპალ ხელისუფლებას, მილიონობით მუშასა და გლეხს აქტიურ ბრძოლაში აბამდა. 1918 წ. შემოდგომაზე ტახტიდან ჩამოაგდეს გერმანიის კაიზერი ვილჰელმი და ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი კარლი. ევროპის რუკაზე რამდენიმე ახალი რესპუბლიკა გაჩნდა: გერმანია, ავსტრია, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი.

ხალხთა მასებმა უკვე დაიწყეს იმ ჭეშმარიტების შეგნება, რომ იმპერიალისტური ომის საშინელებათა საბოლოოდ თავიდან აცილება, შიმშილისა და დამამცირებელი იძულებითი შრომისაგან თავის დაღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა დაემხობა არა მარტო მონარქიული რეჟიმები, არამედ ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორები. რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ ამ მიზნის მისაღწევი გზა უჩვენა.

ერთი პირველთაგანნი გამოვიდნენ ფინეთის რევოლუციური მუშები. 1917 წ. დეკემბერს ფინეთი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. 1918 წლის 28 იანვარს ხელისუფლება ხელში აიღო სახალხო რწმუნებულთა საბჭომ. მაგრამ აჯანყებულებმა ფინეთის მხოლოდ სამხრეთ, სამრეწველო ნაწილში გაიმარჯვეს. მემამულეები და კაპიტალისტები მაშინვე გამოვიდნენ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ. ფინეთის ახალგაზრდა წითელმა გვარდიამ ვერ გაუძლო კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებს, მით უმეტეს, რომ „დაზარალებულ" მემამულეებს და კაპიტალისტებს კარგად შეიარაღებული გერმანიის ჯარი მიაშველეს.

რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების დამხობის შემდეგ, როცა მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (მერე კი სხვა კონტინენტებზეც) ზედიზედ შექმნილი კომუნისტური პარტიები.

1919 წლის დამდეგს შეიქმნა კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც თავისი დროშის ქვეშ გააერთიანა ყველა ქვეყნის კომუნისტები.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის მშრომელთა მასების ბრძოლამ შეარყია კაპიტალიზმის საფუძვლები მის ძირეულ ციტადელში — ევროპაში.

აი, როგორ ვითარდებოდა ეს ბრძოლა გერმა-

ნიაში. 1919 წ. 10 იანვარს საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა ბრემენში, მეორე დღეს კი — კუკსჰავენში. თებერვალში ორივე რესპუბლიკა დაანგრიეს კონტრრევოლუციის ჭარბმა ძალებმა. თებერვალში აუგსბურგში, აშაფენბურგსა და პრაუნშვაიგში რამდენიმე დღეს არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება. ბერლინელი მუშები გამოდიოდნენ თავისუფალი, სოციალისტური გერმანიისათვის საბრძოლველად, მაგრამ მათი გამოსვლები სასტიკად ჩაახშვეს ჯარებმა სამხედრო მინისტრის, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატ ნოსკეს ბრძანებით. 15 იანვარს რეაქციონერმა ოფიცრებმა მოკლეს მგზნებარე რევოლუციონერები, გერმანიის მუშათა კლასის ბელადები კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი.

განსაკუთრებით დრამატული იყო ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ისტორია. 1919 წლის 7 აპრილს ბავარიაში (დიდი ოლქი სამხრეთ გერმანიაში) ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატების მთავრობა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ კი მოქმედებს კომუნისტური კომიტეტი ე. ლევინეს ხელმძღვანელობით, რომელიც შეუდგა ფართო სოციალურ გარდაქმნებს. ბავარიის მთავარ ქალაქში — მიუნხენში შეიქმნა წითელი გვარდია და წითელი არმია, საწარმოებში შემოიღეს მუშათა კონტროლი. ყოველი მხრიდან მტრებით გარშემორტყმულმა ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკამ დიდხანს ვერ იარსება.

მის დაცემას ხელი შეუწყვეს აგრეთვე, მოღალატე სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც კონტრრევოლუციონერებს აცნობეს ბავარიის წითელი არმიის სამხედრო გეგმები. 1 მაისს რევოლუცია სისხლში ჩაახშვეს, მისი ბელადი ე. ლევინე კი დახვრიტეს.

1918 წლის ნოემბერში არსებობა შეწყვიტა კიდევ ერთმა ავსტრია-უნგრეთის უძველესმა იმპერიამ. ავსტრია-უნგრეთის ხალხებმა, რომლებსაც ძალდატანებით ამყოფებდნენ ნაგლეჯებისაგან შეკოწიწებული ფეოდალური იმპერიის ფარგლებში, დაამხვეს მონარქია, შექმნეს ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები: ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, სერბეთს, ხორვატებისა და სლოვენების სახელმწიფო (იუგოსლავია).

ჯერ კიდევ 1918 წლის ოქტომბრიდან უნგრეთში რევოლუციური რუსეთის მაგალითის მიხედვით სტიქიურად იქმნებოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები. უნგრეთის კონტრრევოლუცია ცდილობდა ამ მოძრაობის ჩახშობას. დაიწყო უმკაცრესი რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ, მაგრამ რევოლუციური მუშათა ძალების

ოქტომბრის რევოლუციის საქმე მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის საქმეა. ბულგარეთის დედაქალაქის მშრომელები შეიკრიბნენ მიტინგზე ახალგაზრდა საბჭოების რესპუბლიკის დასაცავად.

1918 წ. გერმანია. ყოფილი კაიზერის არმიის ჯარისკაცები მიდიან წითელი დროშის ქვეშ დარაზმულები. ისინი ასაფლავებენ მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში დაღუპულ თავიანთ ამხანაგებს.

პროლეტარული აჯანყება ჰამბურგში (1923). დაპატიმრებულ აჯანყებულებს მიჰყავთ დაჭრილი ამხანაგი.

წინაშე იძულებული გახდა უკან დაეხია. 1919 წლის 21 მარტს ბუდაპეშტის მუშათა დეპუტატების საბჭომ უნგრეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა. ევროპის კაპიტალისტებმა არ დააყოვნეს, რათა მიშველებოდნენ უნგრეთის ბურჟუაზიას — გამარჯვებულ მუშათა წინააღმდეგ უკვე 16 აპრილს დაიწყო ინტერვენცია.

მაგრამ პირველ ხანებში ინტერვენტებმა მარცხი განიცადეს. უნგრეთის წითელი არმია წარმატებით უტევდა ჩრდილოეთისაკენ და სლოვაკიის საზღვრებს მიუახლოვდა. იქ კი იფეთქა მუშათა აჯანყებამ და 16 ივნისს სლოვაკიის საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა.

უნგრელ მშრომელთა წარმატებამ შეაშფოთა როგორც ევროპის, ისე ოკეანისგაღმელი ბურჟუაზია. აგვისტოს დამდეგს ევროპის კონტრრევოლუციის გაერთიანებულმა ძალებმა სასტიკად ჩაახშვეს უნგრეთის მუშათა რევოლუცია. ახალდაბადებულ სოციალიზმთან პირველივე შეჯახებამ, მშრომელთა მასების ცდამ განეხორციელებინათ თავისი უფლებები, აიძულა კაპიტალიზმი ეცნო ექსპლოატატორული წესწყობილების უპერსპექტივობა, თავისი იდეების უძლურება. იგი გამოსავალს სამხედრო დიქტატურაში, მასობრივ ტერორში ხედავდა და უარს ამბობდა ბურჟუაზიული დემოკრატიის პირმოთნეობაზე.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს სახე უნდა ეცვალა, რადგან კაპიტალისტური სამყაროს, ძალადობის, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სამყაროს გვერდით აღმოცენდა მისი საპირისპირო სოციალისტური სამყარო, სადაც მოსპობილი იყო კერძო საკუთრების ბატონობა, დაძლეული იყო ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა.

დიდი ოქტომბრის ძლევამოსილმა სოციალისტურმა რევოლუციამ და პირველმა მსოფლიო ომმა დასაბამი მისცა კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისს. ორ დაპირისპირებულ სისტემად მსოფლიოს გათიშვა ყველაზე მკაფიოდ მოწმობს იმ მკვეთრ გარდატეხაზე, რომელმაც შეარყია ძველი სამყარო: იმპერიალიზმმა ვერ შეძლო თავის ფარგლებში შეენარჩუნებინა უზარმაზარი ქვეყანა, სადაც გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. მსოფლიოს ამ გათიშვამ ძალზე დაასუსტა კაპიტალისტური საზოგადოება და კრიზისი საყოველთაო გახადა. კრიზისმა მოიცვა არა მარტო ეკონომიკა, არამედ პოლიტიკა და იდეოლოგია, გაამწვავა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობა.

კაცობრიობამ ახალ ეპოქაში შეაბიჯა. დიდი ოქტომბრის გამარჯვებამ პრაქტიკულად დაამტკიცა კ. მარქსის წინასწარჭვრეტა: კაპიტალიზმს უცილობლად ცვლის სოციალიზმი, რომლის საფუძველია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება, მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა წარმოებისა და საზოგადოების

ვ. ი. ლენინი.

ძართვის საქმეში, მატერიალური და კულტურული დოვლათის გადასვლა მშრომელი ხალხის ხელში. ამის შესახებ ვლადიმერ ილიას ძე წერდა: „...რუსული ნიმუში ყველა ქვეყანას უჩვენებს ზოგ რამეს, თანაც ფრიად მნიშვნელოვანს მათი გარდაუვალი და არცთუ შორეული მომავლისას“.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე ღონისძიებებმა დაამტკიცეს მისი ჭეშმარიტად ხალხური ხასიათი. პროლეტარიატის დიქტატურა მიმართული იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. დაჩხობილ ექსპლოატატორულ კლასებთან ბრძოლის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა მათი ეკონომიკური ძლიერების ლიკვიდაცია და ახალი სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნა. 1918 წლის მარტში ქვეყნის საწარმოთა უმრავლესობაზე დაწესდა მუშათა კონტროლი. მოხდა ბანკების, მსხვილი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ნაციონალიზაცია. იქმნებოდა შრომის ახალი ორგანიზაცია და ახალი დისციპლინა. 1919 წ. 12 აპრილს, მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მოსკოვ-სორტიროვოჩნაიას სადგურზე მოეწყო კომუნისტური შაბათობა. მომდევნო წელს მარტო მოსკოვში, სამაისო კომუნისტურ შაბათობაში მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

უდიდესი გარდაქმნები ხდებოდა სოფლადაც. იგი დაიწყო დეკრეტით მიწის შესახებ — ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამი იყო: „მიწაზე მემამულური საკუთრება ყოველგვარი ვამოსასყიდის გარეშე დაუყოვნებლივ უქმდება“. 1918 წ. ზაფხულში შექმნილმა ღარიბთა კომიტეტებმა (ღარიბკომებმა) გატეხეს კულაკების გააფთრებული წინააღმდეგობა. გაძვალტყავებულმა და აუტანელი შრომით გატანჯულმა მილიონობით გლეხმა პირველად იგრძნო თავისი თავი ქვეყნის ბატონ-პატრონად.

ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მოუტანა ყოფილი რუსეთის იმპერიის მრავალრიცხოვან ხალხებს. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ძლიერი ერი არ ესწრაფოდა სხვა ხალხების დამონებას. პირიქით, რუსეთის პროლეტარიატი უდიდესი მსხვერპლის ფასად ყოველნაირად

ეხმარებოდა მათ, რათა თავისუფლად და დამოუკიდებლად განვითარებულიყვნენ. ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო ნებაყოფლობითი კავშირი წინათ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ხალხთა შორის, უზრუნველყო პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე დაფუძნებული მათი მეგობრობა.

ერთიანად შეიცვალა რუსეთის იერი. დაიმსხვრა ძველი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი, რომელიც წინათ ხალხთა მასების დათრგუნვის იარაღი იყო. საბჭოები, პოლიტიკური მართვის ყველაზე დემოკრატიული ფორმა, გახდა ახალი სახელმწიფოებრივი წყობის საფუძველი. ეკლესია, რომელიც საუკუნეობით იყო ცარიზმის სულიერი ბურჯი, გამოყვეს სახელმწიფოსაგან. ძველი არმიის ადგილი, რომელიც სათავეში მდგომ გაბატონებულთა ინტერესებს ემსახურებოდა, დაიკავა ჭეშმარიტად სახალხო არმიამ, რომელიც შეიარაღებულ ხალხს წარმოადგენდა.

ეს ახალგაზრდა არმია იძულებული იყო დაუყოვნებლივ ჩაბმულიყო ბრძოლაში შინაური და საერთაშორისო კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ. რუს თეთრგვარდიელთა მოკავშირეებად გერმანიის არმია და ანტანტის ქვეყნების ჯარები გამოდიოდნენ, ფინანსიურად მათ ეხმარებოდა მსოფლიო ბურჟუაზია. რევოლუციურ ხალხს ბრძოლა უხდებოდა ბლოკადის, შიმშილიანობის, ნგრევის და პარტახტიანი ტიფის წინააღმდეგ. რა ძალა, სამშობლოსა და რევოლუციის რა ერთგულება იყო საჭირო, რომ გადაელახათ ეს სიძნელეები, რომ გაეძლოთ და გაემარჯვათ! ეს იყო საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა გამარჯვება, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების გამარჯვება. ეს იყო გამარჯვება ლენინური კომუნისტური პარტიისა, რომელიც მშრომელ ხალხს აღანთებდა სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის მძიმე ბრძოლისათვის. ეს იყო გამარჯვება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა, რომელიც პირველი სოციალისტური ქვეყნის, სადაც სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, დასაცავად ხალხს რაზმავდა ლოზუნგით: „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!“ ეს იყო აგრეთვე პირველი გამარჯვება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებისა, რომელთაც ოქტომბერმა დაანახა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გზა. ეს იყო გამარჯვება მარქსისტულ-ლენინური იდეებისა, რასაც ემყარებოდა ახალი კომუნისტური კულტურა, კანონიერი მემკვიდრე კაცობრიობის ყველა სულიერი საგანძურისა.

რაში მდგომარეობს საბჭოთა კავშირის მაგალითის ძალა და მიმზიდველობა დედამიწის ადამიანთა უმეტესობისათვის? რა თქმა უნდა, იმაში, რომ დიდი ოქტომბრით შობილი სოციალისტური საზოგადოება თავისუფალია კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, ეროვნული შუღლისა და მილიტარიზმისაგან.

სოციალიზმის, საბჭოთა კავშირის მიმართ ხალხთა სიმპათია დაფუძნებულია უბრალო და ყველასათვის გასაგებ ფაქტებზე. ახალი საზოგადოების განვითარების ფაქტები საყოველთაოდ ცნობილი და ყველასათვის ხელმისაწვდომია. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს არა აქვთ მომავლის შიში, ისინი თვითონვე არიან თავიანთი ბედის ბატონ-პატრონები. მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ზრუნავს სახელმწიფო, პარტია, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს რეალური შესაძლებლობანი აქვთ მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო მართვაში. საბჭოთა კავშირის ახალმა კონსტიტუციამ (1977) მთელ მსოფლიოს უჩვენა სოციალისტური დემოკრატიის — ხალხის ძალაუფლების უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ყოველი საბჭოთა ადამიანი, რომელიც ქმნის დედამიწაზე ყველაზე სამართლიან კომუნისტურ საზოგადოებას, გრძნობს, რომ იგი დიადი საქმის მონაწილე და ქვეყნის ბატონ-პატრონია. კეთილშობილური მიზანი, რასაც იგი ემსახურება, უმაღლეს ზნეობრივ აზრს აძლევს მის საქციელს და მოქმედებას. საბჭოთა ხალხს აქვს დიადი ამოცანები, ფართო შესაძლებლობანი, რომ დაეუფლოს მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებს. ასეთია საბჭოური ცხოვრების წესი, ასეთია სოციალიზმის მიმზიდველობის მიზეზები მრავალი მილიონი მშრომელისათვის საზღვარგარეთ.

წლების განმავლობაში საბჭოთა ქვეყანა მუშათა და გლეხთა ერთადერთი სახელმწიფო იყო მსოფლიოში. ევროპაში, აზიასა და ამერიკაში სოციალისტური სახელმწიფოების გაჩენამ ძირეულად შეცვალა მსოფლიოს სურათი. სოციალიზმი

გადაიქცა მსოფლიო სისტემად, რომელიც თავის ირგვლივ აერთიანებს სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლს. დაიმსხვრა კოლონიური იმპერიები. ჩვენი პლანეტის რევოლუციური ძალები სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან, ერთიან ნაკადს ქმნიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ᲝᲠ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲒᲐᲜᲘ

1919 წელს ოთხი დიდი გამარჯვებული სახელმწიფოს მეთაურები (ინგლისის პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ-ჯორჯი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ კლემანსო, აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ვიტორიო-ემანუელე ორლანდო) შეიკრიბნენ პარიზის მახლობლად, ვერსალის სასახლეში, რათა განეხილათ ზავის პირობები დამარცხებულ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. გამარჯვებულმა ქვეყნებმა ეს პირობები დიდი დავის შემდეგ შეიმუშავეს.

რაზე დაობდნენ? იმპერიალისტებმა ერთმანეთში ვერა და ვერ გაიყვეს ნაყაჩაღარი. ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც ომით კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ახლა მსოფლიოში პირველობის პრეტენზია ჰქონდათ. საფრანგეთი თავის თავს დასავლეთ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ თვლიდა და სურდა თავისი ნება სხვა ქვეყნებისათვის მოეხვია თავს. ინგლისი ესწრაფოდა შეერყია საფრანგეთის მდგომარეობა და დამარცხებულ გერმანიას ეთვალთმაქცებოდა.

დაბოლოს, 1919 წლის 28 ივნისს ხელი მოაწერეს ვერსალის საზავო ხელშეკრულებას. ხელშეკრულების თანახმად გერმანიას საფრანგეთისათვის უნდა დაებრუნებინა 1871 წ. წართმეული ელზასი და ლოტარინგია. საფრანგეთის ხელში დროებით გადადიოდა საარის ქვანახშირის აუზი, რომელიც ელზასს ეკვროდა. ანტანტას რაინის მარცხენა ნაპირზე განლაგებული გერმანიის ოლქების ოკუპაციის ნება ეძლეოდა. გერმანელების მიერ XVIII ს. მიტაცებული პოლონეთის მიწების ნაწილი დაუბრუნდა პოლონეთს. ამავე დროს გერმანიის შემადგენლობაში რჩებოდა დაახლოებით 100 000 კვ კმ ოდინდელი პოლონეთის მიწები ოდერის მარჯვენა ნაპირზე და სხვა. ზღვაზე გასასვლელად პოლონეთმა მიიღო ვიწრო ზოლი. პოლონეთის ქალაქი გდანსკი (გერმანული სახელწოდება დანციგი) გამოცხადდა „თავისუფალ ქალაქად“.

მოკავშირეებმა წაიღეს გერმანიის სავაჭრო ფლოტის ნაწილი და გერმანელებს დააკისრეს ნახშირით მოემარაგებინათ საფრანგეთი, ბელგია, იტალია. გერმანიას უნდა გადაეხადა რეპარაცია — პირველ მსოფლიო ომში ანტანტის სახელმწიფოებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. გერმანიას ჩამოერთვა დიდი არმიის ყოლის უფლება. მას აეკრძალა ჰქონოდა სამხედრო ავიაცია და წყალქვეშა ფლოტი, ეწარმოებინა იარაღისა და სამხედრო მასალების მრავალი სახეობა.

ვერსალისა და სხვა საზავო ხელშეკრულებებმა, რომლებიც დადო ანტანტამ გერმანიის მოკავშირეებთან (სენ-ჟერმენისა — ავსტრიასთან, ტრიანონისა — უნგრეთთან, სევრისა — თურქეთთან და ნეიისა — ბულგარეთთან), განსაზღვრეს ვერსალის სისტემად წოდებული ომისშემდგომი საერთაშორისო ურთიერთობანი.

გამარჯვებულ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის ახალი წესრიგის დასაცავად შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია — ერთა ლიგა (1919). მისი დამაარსებლები ამტკიცებდნენ, რომ ეს ლიგა გახდებოდა „მშვიდობის იარაღი“ და საერთაშორისო დავას მშვიდობიანი გზით გადაწყვეტდა. სინამდვილეში კი ერთა ლიგის დამაარსებლებს იგი იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად ჰქონდათ განზრახული. ანტანტის ხელისუფალთ ერთა ლიგის მეშვეობით სურდათ განემტკიცებინათ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიოში

და გაეერთიანებინათ იმპერიალიზმის ძალები საბჭოთა რუსეთის, რევოლუციური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში.

ერთა ლიგა იმპერიალიზმისათვის სხვა მიზეზების გამოც გახდა აუცილებელი. თითქმის ყველა ქვეყანაში იგრძნობოდა რევოლუციის აღმავლობა, უჩვეულოდ გაიზარდა ომის საწინააღმდეგო განწყობილება. ამიტომ ბურჟუაზიულ მთავრობებს არ შეეძლოთ, არ აეხვიათ თვალი ხალხისათვის. კაპიტალისტური სახელმწიფოები ხომ ისევ თავიანთ ძველ ანტიხალხურ საგარეო პოლიტიკას ადგნენ. მაგრამ ახლა ისინი იძულებულნი იყვნენ, თავი მოეჩვენებინათ, თითქოს განზრახული ჰქონდათ, აღარ დაეშვათ ომები, დაეცვათ მშვიდობა.

როცა მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ანტანტის ქვეყნების მსხვილი ბურჟუაზია ვარაუდობდა, რომ ევროპის სრული ბატონ-პატრონი გახდებოდა, რუსეთს თავის გავლენის სფეროებად დაყოფდა, ხოლო აზიასა და აფრიკაში სამუდამოდ განამტკიცებდა კოლონიურ რეჟიმს. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ სავსებით ჩაშალა მათი გეგმები. ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო მოსპო ექსპლოატატორული წყობილება რუსეთში, არამედ იხსნა ჩვენი ქვეყანა უცხოეთის იმპერიალიზმის კაბალისაგან.

რევოლუციის შედეგად უდიდესი ცვლილება მოხდა საერთაშორისო ვითარებაში. მსოფლიო იმპერიალიზმის ძალები საფუძვლიანად შეირყა. დედამიწის ერთმა მეექვსედმა თავი დააღწია იმპერიალიზმის კლანჭებს. მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის გამწვავდა წინააღმდეგობა. ყველა ქვეყნის პროლეტარები უფრო გაბედულად და მტკიცედ იბრძოდნენ კაპიტალისტური წყობილების გასანადგურებლად, სოციალიზმისათვის, ღვივდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ოქტომბერმა იმედი ჩაუსახა კოლონიურ ხალხებს და ბრძოლის პირობები გაუადვილა მათ.

იმპერიალიზმის აგრესიისაგან ჩაგრულ ხალხებსა და ქვეყნებს ახლა შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. თავისი ძლიერების, ავტორიტეტის, ისტორიული მნიშვნელობის და გავლენის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიმპათიისა და მხარდაჭერის წყალობით საბჭოთა რუსეთს შესწევდა ძალა დაპირისპირებოდა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველი იმთავითვე იყო ბრძოლა მშვიდობისა და ხალხებს შორის თანასწორუფლებიანობისათვის. 1917 წ. მშვიდობის ლენინური დეკრეტი — საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი — კაცობრიობის ისტორიაში პირველი სახელმწიფოებრივი დოკუმენტი იყო, რომელმაც კაცობრიობის წინაშე უდიდეს დანაშაულად გამოაცხადა ომი ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს დასაყოფად. სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე ჩვენმა ქვეყანამ მთელ მსოფლიოს წამოუყენა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ვერსალის სისტემამ სულაც არ შეასუსტა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და ახალ სამხედრო შეჯახებათა მუქარა წლითიწლობით იზრდებოდა, საბჭოთა კავშირის არსებობა მაინც იძულებულს ხდიდა მათ ფხიზლად ყოფილიყვნენ და მის წინააღმდეგ ბრძოლა თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნდათ. ეს ბრძოლა ორ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემას შორის — ძველს, კაპიტალისტურსა და ახალს, სოციალისტურს შორის — გახდა ეპოქის ძირითადი არსი.

საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ რომ აშკარა ინტერვენცია მოაწყვეს, იმპერიალისტები ცდილობდნენ დაემხოთ ახალი წყობილება იარაღის ძალით, მაგრამ ეს ცდა შინაური კონტრრევოლუციის და ინტერვენტთა სასტიკი მარცხით დამთავრდა. მაშინ იმპერიალისტები იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ ტაქტიკა, შეეცადნენ ესარგებლათ საბჭოთა რუსეთის მძიმე მდგომარეობით (1921—1923), როცა ჩვენს ქვეყანაში რღვევა და შიმშილობა იყო და თავიანთი პირობები ეკარნახათ.

კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებმა აშკარად განაცხადეს, რომ მხოლოდ მაშინ ცნობდნენ საბჭოთა რუსეთს და მასთან სავაჭრო ურთიერთობაზე მხოლოდ მაშინ დათანხმდებოდნენ, როცა საბჭოთა ხალხი უარს იტყოდა თავის რევოლუციურ მონაპოვარზე.

აშშ-ის მთავრობა თანახმა იყო აღედგინა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი სცნობდა კერძო საკუთრებას და აღიარებდა მის სრულ გარანტიას. ასეთსა-

ვე პოზიციაზე იდგნენ დანარჩენი ბურჟუაზიული მთავრობები.

ასეთივე განწყობილებით შეხვდნენ ბურჟუაზიული დიპლომატები საბჭოთა დელეგაციას გენუისა და ჰააგის პირველ საერთაშორისო კონფერენციებზე (1922), რომლებშიც მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი. თუმცა ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხალხი სისხლისმღვრელი ბრძოლებით მონაპოვარს კონფერენციის მაგიდასთან აგრე ადვილად არ დათმობდა.

იმპერიალისტების ცდას, საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავს მოეხვია უთანასწორო, კაბალური პირობები, საბჭოთა დიპლომატიამ, რომელიც ცხოვრებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს ატარებდა, დაუპირისპირა ფართო და ურთიერთხელსაყრელი კავშირების დამყარება ყველა ქვეყანასთან, მათი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიუხედავად. გენუის კონფერენციის მუშაობის დღეებში, გენუის მახლობელ დაბა რაპალოში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებას, რომლითაც აღდგა ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა. ამ ხელშეკრულებას საფუძვლად ედო ორივე მხარისათვის თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეში ჩაურევლობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპები. რაპალოს ხელშეკრულება იყო პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირებული იქნა მშვიდობიანი თანაარსებობის სამართლებრივი აღიარება. მან გაკვალა გზა ნაყოფიერი და ურთიერთხელსაყრელი საქმიანი კავშირისაკენ ორ ხელისუფლებას შორის. ეს იყო საბჭოთა დიპლომატიის დიდი გამარჯვება.

1924 წ. კაპიტალისტურ ქვეყანათა უმრავლესობა იძულებული იყო ეცნო საბჭოთა კავშირი. მარტო აშშ კერპობდა და სსრკ-თან დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ 1933 წ. დაამყარა.

სსრკ-ის აღიარება არ ნიშნავდა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიამ უარი თქვა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლაზე. სსრკ-ს სოციალისტურ მონაპოვართა გასანადგურებლად და საბჭოთა ხალხის დასამორჩილებლად იმპერიალისტები ახალ გეგმებს ადგენდნენ.

მაგრამ ვერაფერი შეაჩერებდა ახალი წყობის ძლევამოსილ წინსვლას. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობა დედამიწის ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა გამოღვიძება

პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოებს მიაჩნდათ, რომ ისინი შეძლებდნენ სამუდამოდ გაბატონებულიყვნენ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს განსაკუთრებით მძიმე პირობები შეექმნათ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს. აზიის უკანასკნელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს — ჩინეთს, თურქეთს, ირანს, ავღანეთს, რომლებიც ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ახლა დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდათ.

ჩინეთს შეექმნა იმის საშიშროება, რომ იაპონიის, ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები საბოლოოდ გაიყოფდნენ მის ტერიტორიას. 1918—1919 წწ. თურქეთში შევიდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ჯარები. ინგლისმა თავისი ჯარი შეიყვანა ირანსა და ავღანეთში.

ბეკრს შიაჩნდა, რომ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ხალხების მდგომარეობა გამოუვალი იყო, მაგრამ დიდმა ლენინმა ხალხებს უჩვენა გზა თავისუფლებისაკენ. მან პასუხი გასცა ყველა იმ კითხვას, რაც აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მოწინავე ხალხს აღელვებდა. როგორც ლენინი გვასწავლიდა, ხალხთა ხსნა მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაშია. თავისუფლების მოსაპოვებლად ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა საჭირო: კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანები, განვითარებული ქვეყნებისა და საბჭოთა რუსეთის პროლეტარები მჭიდროდ შეკავშირებულნი უნდა გამოვიდნენ იმპერიალისტების წინააღმდეგ. მხოლოდ კაპიტალიზმზე გამარჯვება მოსპობს ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასა და არათანასწორუფლებიანობას.

ოქტომბრის რევოლუციამ უძლიერესი დარტყმა აგემა მსოფლიო იმპერიალისტურ სისტემას, კოლონიურ რეჟიმს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამოქმედდნენ ჩაგრული ხალხები.

საბჭოთა მთავრობამ გააუქმა მეფის მთავრობის მიერ ჩინეთთან, მონღოლეთთან, ირანთან, ავღანეთთან, თურქეთთან და იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან აზიის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფის ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, უარი თქვა ყველა იმ თანხაზე, რაც ამ ქვეყნებს მეფის რუსეთისათვის უნდა გადაეხადათ.

საბჭოთა მთავრობა მატერიალურად დაეხმარა ავღანეთს, რითაც შეუმსუბუქა მას ინგლისელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლა. კოლონიზატორთა ჯარები დამარცხდნენ და 1919 წ. ინგლისი იძულებული გახდა ეცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა.

ანტანტის იმპერიალისტები შეუთანხმდნენ ერთმანეთს გაეყოთ თურქეთი, მაგრამ თურქი ხალხი აღდგა თავისი ქვეყნის დასაცავად. საბჭოთა მთავრობა თურქეთს დაეხმარა ფინანსურად, იარაღითა და საბრძოლო მასალით. ამ დახმარების წყალობით თურქეთის ხელმძღვანელობამ ქემალ ათათურქის წინამძღოლობით შეკრიბა ძალები, ჩამოაყალიბა რეგულარული არმია და დაიცვა თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობა. 1921 წ. საბჭოთა სახელმწიფომ მებრძოლ თურქეთთან დადო მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება.

1921 წ. მონღოლეთში მოხდა სახალხო რევოლუცია. იმიერბაიკალეთიდან მოსული წითელი არმიის დახმარებით აჯანყებულებმა დაამარცხეს ჩინელი და იაპონელი ოკუპანტების ჯარები, ციმბირიდან მონღოლეთისაკენ უკანდახეულ რეაქციონერ ფეოდალთა ბანდები და თეთრგვარდიელთა ჯგუფები. გამარჯვების შემდეგ რევოლუციური მონღოლეთის ბელადი სუხე-ბატორი მოსკოვში შეხვდა ვ. ი. ლენინს. საბჭოთა რუსეთსა და რევოლუციურ მონღოლეთს შორის დამყარდა ურღვევი მეგობრული და ძმური ურთიერთობა. ისტორიაში პირველად აღმოცენდა კავშირი საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებულ მუშათა კლასსა და ჩამორჩენილ, ნახევრადკოლონიურ ქვეყნის ჩაგრულ გლეხობას შორის. ამ კავშირმა უზრუნველყო მონღოლეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება, მერე კი მისი განვითარების ახალ გზაზე — პატრიარქალური წყობილებიდან და ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმის გვერდის ავლით სოციალიზმზე გადასვლა.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად აღდგა ოქტომბრის რევოლუციით შთაგონებული ჩინელი ხალხი. 1919 წ. ჩინეთში იმპერიალისტებისა და ადგილობრივ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მასობრივი გაფიცვები და დემონსტრაციები იმართებოდა. 1924 წ. ჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ძლიერი აღმავლობა დაიწყო. აქ შეიქმნა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ერთიანი ფრონტი, რომელიც შედგებოდა მუშათა კლასის, გლეხობის, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიისაგან.

ჩინეთის რევოლუციის ბელადი სუნ იატ-სენი იბრძოდა იმპერიალისტების გასაძევებლად და ჩინეთის ნამდვილი, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. 1925 წლის მარტში სუნ იატ-სენი გარდაიცვალა. მან თავის პარტიას — გომინდანს — უანდერძა განემტკიცებინა კავშირი საბჭოთა რუსეთთან, კომუნისტურ პარტიასთან, დაყრდნობოდა მუშებსა და გლეხებს. მაგრამ რეაქციულმა ელემენტებმა ჩან კაი-შის მეთაურობით ხელში ჩაიგდეს გომინდანის ხელმძღვანელობა, უგულებელყვეს სუნ იატ-სენის ანდერძი და 1927 წ. გაზაფხულზე კომპარტიას უმკაცრესი რეპრესიები დაატეხეს თავს. ჩანკაიშელებმა ათასობით კომუნისტი და მოწინავე მუშა დახვრიტეს, ქალაქებში გარეკეს პროფკავშირები, სოფლად კი — გლეხთა ორგანიზაციები. ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტი გამცემლებმა დაშალეს, ბურჟუაზია გადავიდა იმპერიალისტების, მემამულეთა და რეაქციული გენერლების ბანაკში.

მაგრამ ჩინელმა კომუნისტებმა გაუძლეს რეაქციის შემოტევას. ჩინეთის სამხრეთსა და ცენტრში გაჩნდა რევოლუციური კერები, სადაც დამყარდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელ დეპუტატთა საბჭოების ხელისუფლება, ჩამოყალიბდა ჩინეთის წითელი არმია.

დიდი გავლენა იქონია დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე. ინდოეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ჯ. ნერუს გადმოცემით „გრანდიო-

ზულ ცვლილებებს, რაც რუსეთში ხდებოდა, უდიდესი მიმზიდველი ძალა ჰქონდა“. იგი წერდა, ინდოეთში იზრდებოდა რწმენა იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი „მსოფლიოსათვის გახდებოდა იმედის მაუწყებელი“. ინდოეთის ხალხი სამ (1918—1922) წელიწადზე მეტხანს იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის სხვადასხვა ფორმით. ინგლისის ჯარი მის წინააღმდეგ ნამდვილ ომს აწარმოებდა. ინდოეთის ისტორიაში, რუსეთის 1905 წლის „სისხლიანი კვირის“ მსგავსად, შევიდა ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ ქალაქ ამრიტსარაში მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეთა დახვრეტა. ამრიტსარას ხოცვა-ჟლეტის ინიციატორებს ეგონათ, ამით დააშინებდნენ ინდოელ ხალხს (ოფიციალური ინგლისური წყაროების მიხედვითაც კი დახოცეს დაახლოებით ათასი ადამიანი და დაჭრეს ორი ათასზე მეტი), მაგრამ ასე არ მოხდარა. თუმცა ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ამ ეტაპზე ვერ გაიმარჯვა, ბრძოლა მაინც გრძელდებოდა.

იმპერიალიზმს არ სურდა თავისი პოზიციების დათმობა, არ სურდა თავისი ნებით დაეტოვებინა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები, რომელთა ექსპლოატაციის გზით აურაცხელი მოგება ჰქონდა.

კოლონიურ ძარცვა-გლეჯაში, ნახევრადდამოკიდებული ქვეყნების ჩაგვრაში აშშ-ის იმპერიალისტები თანდათან აქტიურად ებმებოდნენ. ძალით ან მოსყიდვის გზით სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ამერიკელი იმპერიალისტები მათთვის მორჩილ ხელისუფალთ აყენებდნენ მთავრობის სათავეში. მათ მიითვისეს ვენესუელის, მექსიკის, კოლუმბიის ნავთობის საბადოები, ჩილეს სპილენძის და ბოლივიის კალის საბადოები. კუბა გადააქციეს თავიანთ შაქრის პლანტაციად, ცენტრალური ამერიკის მცირე რესპუბლიკები კი (გვატემალა, ჰონდურასი, სალვადორი, ნიკარაგუა, კოსტა-რიკა, პანამა) — ბანანის პლანტაციად. აშშ-ის იმპერიალიზმი ფეხს იკიდებდა ჩინეთში, ირანში, არაბეთის ქვეყნებსა და ბალკანეთში.

აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხები აძლიერებდნენ ბრძოლას კოლონიზატორების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ქვეყნების მდგომარეობა მაინც ძალზე მძიმე იყო. თითქმის ყოველწლიურად მილიონობით ინდოელი და ჩინელი იხოცებოდა შიმშილისაგან, ასობით მილიონი ადამიანი მალარიით და ტრაქომით იყო დაავადებული. აზიაში ხშირად იფეთქებდა ქოლერისა და ყვავილის საშინელი ეპიდემია, ავადმყოფობა, რომელიც ევროპას დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა.

კოლონიზატორები აფერხებდნენ დაპყრობილ ქვეყნებში განათლების განვითარებას. სამას წელიწადს მართავდნენ ჰოლანდიელები ინდონეზიას და მათი ბატონობის დასასრულს ამ ქვეყანაში მხოლოდ 6,4% იყო წერა-კითხვის მცოდნე. თითო-ოროლა თუ იყო უმაღლესი განათლების მქონე. არ ჰყავდათ თავიანთი ინჟინრები, ტექნიკოსები, ექიმები, აგრონომები.

კოლონიზატორები ძალიან ცოტა სკოლას ხსნიდნენ, იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთაგან თავიანთი თანაშემწეები მოემზადებინათ. სწავლება ისე იყო დაყენებული, რომ მოსწავლეებს ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაზე არ ეფიქრათ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ტროპიკული აფრიკის ხალხები. კოლონიზატორებს სწამდათ, რომ მათი აფრიკაში ბატონობა სამარადისო იქნებოდა. ინგლისის ხელისუფლებმა იმ წლებში კენიაში აფრიკელები საუკეთესო მიწებიდან აჰყარეს და ეს მიწები 999 წლით იჯარით მისცეს თეთრკანიან პლანტატორებს. სამხრეთ აფრიკაში სისტემატურად ახდენდნენ ეგრეთ წოდებულ სამუშაო ძალის რეკვიზიციას: შეიარაღებული რაზმები მიდიოდნენ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც ყრუ ჯუნგლებში ან მივარდნილ სავანებში მდებარეობდნენ, ალყას არტყამდნენ ხალხს, იძულებით მიჰყავდათ პლანტაციებში ან საბადოებში, სადაც ზედამხედველის მათრახის ქვეშ კატორღული შრომა ელოდათ.

მაგრამ იმპერიალისტებს არც იძულებით და აღარც ეშმაკობით აღარ შეეძლოთ შეეჩერებინათ დაწყებული გამათავისუფლებელი ბრძოლა, რომელმაც ჩვენს დროში დაანგრია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი

1929 წელს ამერიკის ბურჟუაზია ზეიმით შეხვდა. გაზეთები გაჭედილი იყო ბაქია სათაურებიანი სტატიებით: „დაიწყო დიადი პროსპერიტის (აყვა-

1931 წ. იანვარი. „მშიერთა ლაშქრობა“ ჩიკაგოს ქუჩებში.

ების) ერა“. ყოველწლიურად იზრდებოდა მორგანების, დიუპონების, როკფელერების, ფორდებისა და ამერიკელ მილიარდერთა სხვა ოჯახების კაპიტალი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპის სამხედრო მომარაგებით, თავისი ქვეყნის მშრომელთა ულმობელი ექსპლოატაციით და ლათინური ამერიკის ქვეყნების კოლონიური ექსპლოატაციით ამერიკის კაპიტალიზმმა მილიარდობით დოლარი შოიხვეჭა.

„პროსპერიტის ბოლო არ ექნება“, — წერდნენ ბურჟუაზიული გაზეთები 1929 წლის შემოდგომაზე. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ამერიკის კაპიტალიზმი მძიმე ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში აღმოჩნდა.

1929 წ. შედარებით 1932 წ. აშშ-ის სამრეწველო წარმოება ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა. 279 ბრძმედიდან 235 ჩამქრალი იყო. 1933 წ. დამდეგს 15—17 მილიონი უმუშევარი აღმოჩნდა. მილიონობით ადამიანი, რომელთაც საარსებო სახსარი არ გააჩნდა, რიგში იდგა ერთი მათლაფა წვნიანისათვის, რასაც ბურჟუაზიული „ქველმოქმედნი“ უწყალობებდნენ მათ.

კრიზისი დაიწყო კაპიტალიზმის მთავარ ქვეყანაში — აშშ-ში და მთელ კაპიტალისტურ სამყაროს მოედო. 1932 წ. გერმანიაში იყო 5,5 მილიონი სრულიად უმუშევარი, ინგლისში — 3 მილიონი, იაპონიაში — 3 მილიონამდე, საფრანგეთში — 2,3 მილიონი.

ამერიკასა და გერმანიაში, ჩინეთსა და ინდოეთში, საფრანგეთსა და აფრიკაში — ყველგან დაეხეტებოდა ლუკმაპურს დანატრებული ხალხის ბრბო. მაგრამ ბურჟუაზიის აზრით, პური „ძალიან ბევრი“ და „ძალიან იაფიც“ იყო. ამიტომაც პურს ორთქლმავლებსა და ელექტროსადგურების საცეცხლურებში წვავდნენ. ლპებოდა ფორთოხალი, ყურძენს მიწაში ფლავდნენ, რძეს ზღვებსა და მდინარეებში ღვრიდნენ. ამ არაადამიანური ღონისძიებებით ბურჟუაზია თავის სიმდიდრეს იცავდა.

რა არის ეკონომიკური კრიზისი? მოგების დევნით გატაცებული კაპიტალისტები აფართოებენ წარმოებას, აშენებენ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ბაზარზე უშვებენ უამრავ საქონელს. თუმცა წარმოების ზრდა გრძელდება განსაზღვრულ დრომდე. დგება მომენტი, როცა გამოშვებულ საქონელს თურმე აღარა ჰყავს მყიდველი: იგი მომხმარებელთა მასისათვის — მუშების, მოსამსახურეების და გლეხებისათვის მეტისმეტად ძვირია. კაპიტალისტებს არ სურთ საქონლის გაიაფება და ამისათვის ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ. საქონლის ნაწილს ტოვებენ საწყობებში „ხელსაყრელ დრომდე“, ნაწილს კი ანადგურებენ. ამცირებენ ბევრი საქონლის წარმოებას, ეს კი ფაბრიკა-ქარ-

ხნების დახურვას ნიშნავს. წარწოებიდან იპხოვენ მუშებს და უსახსროდ ტოვებენ. 1932—1933 წწ. აშშ-ის სამრეწველო წარმოება 1905—1906 წწ. დონემდე დაეცა, გერმანიასა და ინგლისში კი 1896—1897 წწ. წარმოების დონემდე, ე. ი. 30 წლის წინანდელ დონეს გაუთანაბრდა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა 1914—1918 წწ. მსოფლიო ომზე ნაკლები ზარალი როდი მოიტანა. იგი გაგრძელდა 1933 წლის დასასრულამდე, როცა დაიწყო წარმოების ნელი აღმავლობა. 1937 წ. კი დაიწყო ახალი ეკონომიკური კრიზისი, რომლის განვითარება შეწყვიტა მეორე მსოფლიო ომმა.

იმავე წლებში მსოფლიოში მხოლოდ ერთი ქვეყანა არნახული ჩქარი ტემპით ამაღლებდა თავის წარმოებას. ეს იყო საბჭოთა კავშირი. მხოლოდ 1931 წლის განმავლობაში სსრკ-ის მძიმე ინდუსტრიამ 28%-ით გაზარდა პროდუქციის გამოშვება, მთელმა საბჭოთა მრეწველობამ კი 21%-ით. იხსნებოდა ახალი საწარმოები, მილიონობით საბჭოთა ადამიანი ეუფლებოდა ახალ ტექნიკას.

კრიზისის წლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამ მხრივ არც აშშ იყო გამონაკლისი. სასოწარკვეთამ მოიცვა კრიზისის მსხვერპლი მილიონობით ამერიკელი. უდიდესი ქალაქების ქუჩებში ეწყობოდა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, უმუშევრები აწყობდნენ „მშიერთა ლაშქრობებს“ აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში.

1932 წ. ზაფხულში ქვეყნის ყველა კუთხიდან ვაშინგტონში თავი მოიყარა პირველი მსოფლიო ომის 23 ათასმა ვეტერანმა. მათ შორის უმეტესი იყო უხელო, უფეხო, დაბრმავებული და ფრონტზე გაზით მოწამლული ადამიანი. ვეტერანებმა კარვები გაშალეს დედაქალაქის პარკებსა და ბაღებში. მათ გადაწყვიტეს, მანამ არ წასულიყვნენ, ვიდრე მთავრობისაგან ომის დროს დანიშნულ პენსიას არ მიიღებდნენ. აშშ-ის პრეზიდენტმა ჰუვერმა ვეტერანების დელეგაციასთან ლაპარაკიც კი არ ისურვა და ბრძანა მათი გარეკვა. ქუჩებში გამოჩნდა ტანკები, ტყვიამფრქვევები, ცხენოსანთა ჯარი. 1932 წლის 28 ივლისს თეთრი სახლის (პრეზიდენტის სასახლის) მახლობლად ჯარმა ტყვია დაუშინა ვეტერანთა დემონსტრაციას. ამ დღეს „სისხლიანი ხუთშაბათი“ უწოდეს.

მაგრამ ამგვარმა სიმკაცრემაც ვერ შეაჩერა ამერიკის მშრომელები, რომელთა შორის იზრდებოდა რევოლუციური განწყობილება. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ლიკვიდირებული იყო უმუშევრობა, ხალხთა მასებს, ბურჟუაზიული კრიტიკოსების აღიარებითაც კრიზისები და უმუშევრობა აღარ მიაჩნდათ აბსოლუტურად გარდაუვალი, და ამაში კაპიტალისტურ სისტემას ადანაშაულებდნენ. აშშ-ის მსხვილი ბურჟუაზია მიხვდა, მარტო ტყვიით ხალხთან ვერაფერს გახდებოდა.

1933 წ. პრეზიდენტი გახდა ფ. რუზველტი. მისი მიზანი იყო გამოემუშავებინა პოლიტიკა, რაც შეარბილებდა ხალხის უკმაყოფილებას და თანაც კაპიტალისათვის ხელსაყრელ გამოსავალს მოაძებნინებდა. ეს გახლდათ ეგრეთ წოდებული „ახალი კურსის“ პოლიტიკა.

მსოფლიო იმპერიალიზმის ერთ-ერთმა ლიდერმა — ჩერჩილმა „ახალი კურსის“ პოლიტიკის გამო რუზველტს უწოდა ადამიანი, რომელმაც „შეერთებულ შტატებს 1933 წ. უდავოდ ააცილა რევოლუცია“.

კრიზისმა გადაინაცვლა კოლონიებსა და ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებმაც ახლა უფრო ძლიერად იგრძნეს იმპერიალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებულება. კოლონიზატორები უწინდელთან შედარებით უფრო ნაკლებ ნედლეულს ყიდულობდნენ. დაგროვდა გაუსაღებელი საქონლის უდიდესი მარაგი. ბრაზილიაში ათეული მილიონობით ტომარა ყავას წვავდნენ ან ზღვაში ყრიდნენ. არგენტინაში სიმინდისაგან, ხორბლისა და ქვანახშირის შტკრისაგან ბრიკეტებს ამზადებდნენ და ორთქლმავლის საცეცხლურში წვავდნენ. პურს, რძეს, ხილს, მილიონობით მშიერი ხალხის თვალწინ სპობდნენ და აფუჭებდნენ იმავე არგენტინასა თუ ბრაზილიაში.

ნედლეულის ფასი ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ძალიან დაეცა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმპერიალისტურმა მონოპოლიებმა კოლონიებსა და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ხალხებს კრიზისი გადასდო.

მშრომელი ხალხისათვის კრიზისის მძიმე წლები კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის ბრძოლის აღმავლობის წლებად გადაიქცა. ბურჟუაზიული ქვეყნების ხელისუფალნი ძველი მეთოდებით ვერც კრიზისს მოუღებდნენ ბოლოს და ვერც რევოლუციურ მოძრაობას ჩაახშობდნენ.

ფაშიზმი

ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა ექსპლოატატორული წესწყობილება და თავისი გაბატონებული მდგომარეობა, რის გამოც ბევრ ქვეყანაში მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლის ძალმომრეობით და სასტიკ მეთოდს — ფაშიზმს მიმართა. ბურჟუაზიას კაპიტალისტური ქვეყნების შეზღუდული დემოკრატიაც კი საშიშად მიაჩნდა.

ფაშიზმი ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული და აგრესიული იმპერიალისტური ტერორისტული დიქტატურაა. ფაშიზმი ანადგურებს დემოკრატიულ უფლებებს და თავისუფლებას ქვეყნის შიგნით, ასამხედროებს სახელმწიფო აპარატს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, ატარებს ომის გაჩაღების პოლიტიკას. ფაშიზმი მუშათა კლასისა და მისი მონაპოვრისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს. იგი სასიკვდილო საფრთხეს უქმნის მთელ მშრომელებსა და მათ უფლებებს, ხალხთა მშვიდობასა და თავისუფლებას.

პირველად ფაშისტური ორგანიზაციები გაჩნდნენ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (იტალიაში, გერმანიაში, უნგრეთში) პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე.

იტალიაში ფაშისტების მეთაური გახდა პოლიტიკური ავანტიურისტი, სოციალისტური პარტიიდან ღალატის გამო გაგდებული ბ. მუსოლინი. მან მოახერხა პოლიტიკურად გამოუცდელი მრავალი ადამიანის მოტყუება. ასიათასობით ხალხი შემოიკრიბა სამხედრო ყაიდაზე ჩამოყალიბებულ „შავხალათიანთა“ ფაშისტურ ბანდებში. შეიარაღებული ფაშისტები სცემდნენ და ხოცავდნენ აქტივისტ მუშებს, არბევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ მუშათა ორგანიზაციების შენობებს და ყველაფერ ამას „ხალხთა უფლებებისა“ და „სოციალიზმზე“ ლაყბობით ნიღბავდნენ.

ფაშისტები ყოველნაირად ცდილობდნენ იტალიელებს შორის გაეღვივებინათ ეროვნული ყოყოჩობა და სხვა ხალხების მიმართ მტრობა. თავიანთ თავს ძველი რომის იმპერიის „უშუალო მემკვიდრეებად“ აცხადებდნენ, რომ იტალიას ორი ათასი წლის წინათ დაკარგულ ძლიერებას დაუბრუნებდნენ და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებს მას დაუმორჩილებდნენ. ფაშისტურ რაზმებში მისალმების ძველი რომაული წესი შემოიღეს — ხელის მაღლა აწევა და რომაული ლეგიონების ემბლემა — წნელის კონა, რომლის შუაში ჩადგმულია ჩუგლუგი. კონას იტალიურად ჰქვია „ფაშიო“. სიტყვა „ფაშიო“ აგრეთვე ნიშნავს „კავშირს“, „გაერთიანებას“, „რაზმს“. აქედან წარმოიშვა სახელწოდება „ფაშისტები“, „ფაშიზმი“.

1922 წ. მუსოლინის ბანდებმა იტალიაში ხელთ იგდეს ძალაუფლება. ისინი სდევნიდნენ კომუნისტებს, პროფკავშირულ აქტივისტებს, ყველა მოწინავე მუშასა და ბურჟუაზიულ დემოკრატებსაც კი. ფაშიზმის დროს იტალიაში ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები დაიღუპნენ. ციხეები გაჭედილი იყო, პოლიტიკურ პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ და აბუჩად იგდებდნენ. ფაშიზმმა იტალიას დიდება კი არა, ეკონომიკური დაცემა, სიღატაკე მოუტანა.

ფაშიზმის დროს მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები მშრომელთა ექსპლოატაციის წყალობით მდიდრდებოდნენ და უფრო და უფრო უტევდნენ მათ უფლებებს.

1919 წ. გერმანიაშიც წარმოიშვა ფაშისტური „ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია“. ნაციონალ-სოციალისტები (ნაცისტები — ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს) სპეკულაციას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის სოციალიზმის იდეების პოპულარობით სპეკულანტობდნენ. 1921 წლიდან ნაცისტებს სათავეში ჩაუდგა ა. ჰიტლერი. გერმანელ ფაშისტთა პირველი ცდა, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება (1923) მარცხით დამთავრდა. ეს „პარტია“ ასევე დარჩებოდა ავანტიურისტთა უბადრუკ ბრბოდ, მსხვილ მრეწველებსა და კონტრრევოლუციურ გენერლებს რომ არ ეთავათ მისი მესვეურობა.

რით მიიქცია ამ ორგანიზაციამ „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ყურადღება? იმით, რომ იგი ყალბი დაპირებებით ატყუებდა მასებს. ნაცისტებმა იმთავითვე განაცხადეს პრესაში, რომ იბრძვიან „დიდი გერმანიისათვის“, ვერსალის ხელშეკრულების ლიკვიდაციისათვის. ფაშისტები უმუშევრებს ჰპირდებოდნენ დახმარებას და სამუშაოთი უზრუნველყოფას, მუშებს შრომის პირობების გაუმჯობესებას, წვრილ გლეხობას — საიჯარო გადასახადის მოსპობას, წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს — გადასახადის შემცირებას.

ნაცისტები დემაგოგიურად ამტკიცებდნენ, თითქოს მათ განზრახული ჰქონდათ გერმანიაში

სოციალიზმი შეეტანათ, ბევრს ხმაურობდნენ „მდიდართა უსამართლო მოგებებზე“. მათ მიითვისეს დროშის წითელი ფერი, ზედ კი თავიანთი ემბლემა — სვასტიკა დაახატეს. ჰიტლერელები გაჰყვიროდნენ თავიანთი პარტიის „მუშური“ ხასიათზე, მაგრამ ეს არ აშინებდა კაპიტალისტებს: მათ კარგად იცოდნენ ვისთანაც ჰქონდათ საქმე. ჰიტლერი და მისი თანამზრახველნი თავიანთი პოლიტიკური კარიერის დასაწყისშივე მოისყიდა მსხვილმა ბურჟუაზიამ და ისინიც ასრულებდნენ მათ ბრძანებებს.

ეკონომიკური კრიზისის განვითარების დროს, როცა გერმანიაში ბევრი ფაბრიკა-ქარხანა დაიხურა, თითქმის 6 მილიონი ადამიანი უმუშევარი დარჩა, გერმანიის ბურჟუაზიამ იგრძნო, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე ემუქრებოდა. ქვეყანაში ძლიერდებოდა კომუნისტური პარტიის გავლენა, რომელსაც სათავეში ედგა ნაწრთობი მებრძოლი, ლენინელი ერნსტ ტელმანი, ჰამბურგელი მუშა, 1918—23 წწ. რევოლუციური ბრძოლების მონაწილე. რევოლუციის შიშით გერმანიის ინდუსტრიის მესვეურებმა, უმდიდრესმა მრეწველებმა და ბანკირებმა გადაწყვიტეს ხელისუფლება ჰიტლერის პარტიისათვის გადაეცათ. მათი აზრით, ნაცისტურ პარტიას შესწევდა ძალა მოტყუებით, დემაგოგიით ხელი შეეშალა მასების მზარდი მოძრაობისათვის და დაემყარებინა აშკარა ტერორისტული დიქტატურა.

ნაცისტთა სალაროებში უმსხვილესი კერძო ბანკებიდან მილიონები გადავიდა, ჰიტლერის მოიერიშე რაზმებში ეწერებოდნენ ვაკოტრებული მედუქნეები და ხელოსნები, ხელმოცარული და სასოწარკვეთილი უმუშევრები. ღამეს მათ ყაზარმებში ათევინებდნენ, ყავისფერ ფორმას აცმევდნენ, პისტოლეტებს, ხანჯლებს, ხელკეტებს ურიგებდნენ და ქუჩაში გამოჰყავდათ, რათა კომუნისტები, დემოკრატიის ყოველი მომხრე ეცემათ და მოეკლათ.

ჰიტლერი დაჰპირდა გერმანელებს, თუ ხელისუფლების სათავეში მოვექცევი, გერმანიას მსოფლიოს უძლიერეს და უმდიდრეს ქვეყანად ვაქცევო. როგორ მიაღწევდა ამას? გერმანიისათვის უნდა გაეფართოებინა „სასიცოცხლო სივრცე“ ომების, სხვა ხალხების დამონებისა და ძარცვის გზით. ჰიტლერი ეპირფერებოდა ოზიტელებსა და პოლიტიკურად ჩამორჩენილ გერმანელებს: თქვენ

გერმანია ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოქცევის შემდეგ. ასიათასობით კომუნისტი და ფაშიზმის სხვა ჰორინააღმდეგე ციხეში ჩაყარეს. სურათზე: პატიმრები ორანიენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში (1933).

ყველაზე მეტად კეთილშობილური ადამიანური რასა ხართ, იმიტომ გაჩნდით ამქვეყნად, რომ იბატონოთ მთელ მსოფლიოზე, თქვენ ისტორიის რჩეულ ბატონთა რასას წარმოადგენთ. განსაკუთრებულ სიძულვილს აღვივებდნენ ჰიტლერელები სლავი ხალხის მიმართ, საბჭოთა კავშირის მიმართ, აშკარად აცხადებდნენ, რომ განზრახული ჰქონდათ მისი განადგურება, მისი ბუნებრივი სიმდიდრის მიტაცება და სსრკ ხალხის დამონება.

1933 წლის 30 იანვარს პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა ჰიტლერი დანიშნა გერმანიის კანცლერად (მთავრობის მეთაურად). ფაშიზმი ხელისუფლების სათავეში მოექცა. ევროპის ცენტრში მდებარე, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყანა — გერმანია გადაიქცა უკიდურესი რეაქციისა და ბნელეთის კერად. გერმანიაში დაიწყო გააფთრებული საომარი მზადება საბჭოთა კავშირის, ევროპისა და სხვა კონტინენტების ხალხთა წინააღმდეგ. ქვეყანა საბრჩობელებმა და საკონცენტრაციო ბანაკებმა დაფარა.

ფაშისტების ხელისუფლების სათავეში მოქცევა სულაც არ იყო გარდაუვალი. მუშათა კლასს დანარჩენ პროგრესულად მოაზროვნე ფენებთან რომ კავშირი დაემყარებინა, შეძლებდა გზაზე გადადგომოდა ჰიტლერს, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ანტიფაშისტურ ძალთა არაერთიანობამ, უპირ-

ველეს ყოვლისა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ბელადების ანტიკომუნისტურმა პოლიტიკამ. ეს ხელმძღვანელები ამჯობინებდნენ ფაშისტებისათვის გადაეცათ ხელისუფლება, ვიდრე რევოლუციურ პარტიას — კომუნისტებს შეკავშირებოდნენ. თუმცა როცა ფაშისტებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება, მათ აკრძალეს არა მარტო კომპარტია, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, მიითვისეს მისი შენობები, კლუბები, სტამბები, ფული.

კომუნისტები ჰიტლერული რეჟიმის დამყარების შემდეგაც განაგრძობდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ისინი აშკარად ებრძოდნენ ჰიტლერულ ბანდებს, რომლებიც მუშათა კვარტალებს ესხმოდნენ თავს. მათ უერთდებოდა ბევრი პატიოსანი სოციალ-დემოკრატიც.

ქვეყანაში ტერორის გაჩაღების „სამართლიანი“ საბაბი რომ ჰქონოდათ, ჰიტლერელებმა 1933 წლის 27 თებერვალს თვითონ წაუკიდეს ცეცხლი რაიხსტაგის (პარლამენტის) შენობას ბერლინში და მერე ეს ამბავი კომუნისტებს დააბრალეს. ჰიტლერის მთავრობა გამოვიდა ბრალდებით, რომ თითქოს რაიხსტაგს ცეცხლი წაუკიდეს კომუნისტური ინტერნაციონალის ბრძანებით და ეს ხანძარი უნდა ყოფილიყო „კომუნისტური პარტიის სიგნალი“ აჯანყების დასაწყებად.

ფაშისტური ბანდები თავს დაესხნენ მუშათა კვარტალებს. ასიათასობით კომუნისტი და დემოკრატი დააპატიმრეს. მათი უმრავლესობა ჰიტლერელმა ჯალათებმა მოსპეს.1933 წლის მარტში ნაცისტებმა მიაგნეს ერნსტ ტელმანის კვალს და კომპარტიის ხელმძღვანელების უმრავლესობის მსგავსად ისიც დააპატიმრეს.

პატიმართა შორის აღმოჩნდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი გიორგი დიმიტროვი და მისი ორი თანამემამულე, რომლებიც გერმანიაში იყვნენ ემიგრაციაში. მათ ბრალი დასდეს რაიხსტაგის ხანძრის გაჩენაში. 1933 წ. შემოდგომაზე ლაიფციგში დიმიტროვი და მისი ამხანაგები წარდგნენ ფაშისტური სამსჯავროს წინაშე. დიმიტროვმა შეძლო კომუნისტების წინააღმდეგ მოწყობილი სამსჯავრო ფაშისტური რეჟიმის საბრალდებო პროცესად ექცია. გიორგი დიმიტროვმა ამხილა ცრუ მოწმეთა ჩვენება და დაამტკიცა, რომ რაიხსტაგი თვით ფაშისტებმა დაწვეს.

ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ გერმანიის სამრეწველო წარმოება მონოპოლისტების მცირერიცხოვან ჯგუფს დაექვემდებარა. ქარხნებსა და ფაბრიკებში ყაზარმული წესრიგი დაამყარეს. ყველგან: საწარმოებში, სასწავლებლებში, საცხოვრებელ კვარტალებში — ჰიტლერელებმა შექმნეს საიდუმლო ცნობების მიმწოდებელთა ქსელი, რომელიც საიდუმლო პოლიციას (გესტაპოს) აწვდიდა ცნობებს. ფაშისტური რეჟიმით უკმაყოფილო ათასობით ადამიანს აპატიმრებდნენ და ტანჯვითა და წამებით სულს ხდიდნენ.

ფაშისტები მკაცრად სდევნიდნენ მოწინავე აზრს, ჭეშმარიტ მეცნიერებასა და ხელოვნებას. კოცონზე წვავდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების, საუკეთესო გერმანელი მწერლების დიდებულ ნაწარმოებებს.

ომის ორი კერა

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გააძლიერა ომის საფრთხე, იმიტომ, რომ გაამწვავა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა სხვათა მიწების, საქონლის გასაღების ბაზრების და ნედლეულის წყაროებისათვის. ეს ბრძოლა არც არასოდეს შენელებულა, მაგრამ ახლა უფრო დაიძაბა.

კაპიტალისტებს ომის სამზადისი მიაჩნდათ კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებად. ისინი ვარაუდობდნენ ომით დაემარცხებინათ რევოლუციური მოძრაობა და, რაც მთავარია, გაენადგურებინათ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი. ფაშისტური გერმანია და მილიტარისტული იაპონია სსრკ-ის წინააღმდეგ მარტო ომის გეგმებს კი არ აწყობდნენ, არამედ ემზადებოდნენ კიდეც მსოფლიო ბატონობისათვის საბრძოლველად.

ჯერ კიდევ 1927 წლის ივლისში იაპონიის გენერალმა ტანაკამ იმპერატორს „უმდაბლესად მიართვა“ საიდუმლო მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჩინეთის დასაპყრობად უპირველეს ყოვლისა ჯერ მანჯურია და მონღოლეთი უნდა დავიპყროთ. მსოფლიოს დასაპყრობად ჯერ ჩინეთი უნდა დავიმორჩილოთ... და როცა ჩინეთის ყველა რესურსს ჩავიგდებთ ხელში, მერე ინდოეთის, სამხრეთის ზღვისპირა ქვეყნების დაპყრობას შევუდ-

გებით, ამის შემდეგ კი მცირე აზიის, ცენტრალური აზიისა და ბოლოს ევროპის დაპყრობას".

რამდენიმე წელიწადს თათბირობდნენ გერმანიისა და იაპონიის იმპერიალისტთა ხელისუფალნი ერთობლივ აგრესიაზე. მათ შეუერთდნენ იტალიის ფაშისტური მეთაურებიც. საიდუმლო თათბირებზე ისინი შლიდნენ მსოფლიო რუკას და ერთმანეთს შორის იყოფდნენ სხვათა მიწა-წყალს.

შეიარაღებული აგრესია პირველმა იაპონიამ დაიწყო. 1931 წ. იაპონიამ დაიპყრო მანჯურია (ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი) და იქ შეიქმნა მარიონეტული „სახელმწიფო" — მანჯოუ-გო. იაპონიის ჯარმა უდიდეს მანძილზე — სსრკ-ის შორეული აღმოსავლეთის საზღვრებამდეც მიაღწია. ამ დროიდან მოყოლებული იაპონელი იმპერიალისტები ზედიზედ აწყობდნენ თავხედურ პროვოკაციებს საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებთან.

ამგვარად, შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა ომის პირველი კერა.

1937 წლის 7 ივლისს იაპონიამ დაიწყო ომი ჩინელი ხალხის წინააღმდეგ. ერთიმეორის მიყოლებით ნებდებოდა მტერს ჩინეთის უდიდესი ქალაქები: პეკინი, ტიანძინი, შანხაი, ნანკინი, გუანჯოუ, უხანი.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც იმ დროს ჩინეთს რეალურად უჭერდა მხარს, საბჭოთა კავშირი იყო. საბჭოთა კავშირმა ჩინეთს უდიდესი ფინანსური დახმარება გაუწია, მიაწოდა იარაღი, საომარი მასალა, თვითმფრინავები, ავტოტრანსპორტი, გაუგზავნა სამხედრო სპეციალისტები. საბჭოთა სამხედრო მოხალისე-მფრინავები იცავდნენ ჩინეთის ქალაქებს იაპონიის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმებისაგან.

გამალებული შეიარაღება დაიწყო გერმანიაშიც, რომელიც, 1933 წ. სახელმწიფო სათავეში ჰიტლერის მოქცევის შემდეგ, მსოფლიო ომის მეორე კერად იქცა. ჰიტლერელებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „კარაქის მაგიერ ზარბაზნები", რაც ნიშნავდა მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გადასვლას, კატორღულ შრომას, ხელფასის შემცირებას.

1935 წლის დამდეგს ჰიტლერმა უარი თქვა ვერსალის ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი პუნქტების შესრულებაზე. 9 მარტს მან განაცხადა, რომ ამიერიდან გერმანია შექმნიდა მძლავრ სამხედრო ავიაციას. 16 მარტს შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ვალდებულება და გერმანია აშკარად შეუდგა მრავალმილიონიანი არმიის (ვერმახტის) ორგანიზაციას.

გერმანელი კაპიტალისტები და გენერლები, ისევე როგორც 1914 წ., ჯეროვნად ვერ აფასებდნენ სხვა სახელმწიფოების ძალებს, თავის საკუთარ შესაძლებლობებს კი გადაჭარბებულად უყურებდნენ, ფიქრობდნენ, რომ გერმანიას შესწევდა ძალა მსოფლიოს დასაპყრობად და კაცობრიობის დასამორჩილებლად. არმიაში, გერმანელ ხალხში ისინი ნერგავდნენ გერმანიის გარდაუვალი გამარჯვების ბრმა რწმენას.

ჰიტლერელები გერმანელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს ასწავლიდნენ სისასტიკეს, უნერგავდნენ რწმენას, რომ არავითარი დანაშაულისათვის

პროლეტარული რევოლუციონერი, ანტიფაშისტური ტრიბუნი

დგას, ვით პარტია, ვითარცა კლასი,
გრანიტის დარად ლიბო აქვს მყარი,
სუნთქვას გრძნობს მოძმე ყოველი მასას,
არის ძლიერი სმალი და ფარი.
მას ძმობს ყოველი ქვეყნის ტანჯული,
მსჯავრის წინ დგება, ვითა მსაჯული.

გერმანელი პოეტის იოჰანეს ბესერის ეს ლექსი მიძღვნილია ლენინური გკარდიას სასელოვანი წარმომადგენლის გეორგი დიმიტროვისადმი. გეორგი დიმიტროვის ემირული მოქმედება ლაიფციგის პროცესზე მკაფიო გამოსატულება იყო ყველა ქვეყნის კომუნისტების, კაცობრიობის დემოკრატიული და პროგრესული რაზმების ბრძოლისა გერმანიის სათავეში მისული ფაშიზმის წინააღმდეგ. მან რეაქციასა და იმის ბარბაროს ბოლ ტაკის წინააღმდეგ.

გეორგი დიმიტროვმა მთელი ბრალდება და სასამართლო პროცესი მთლიანად ფაშიზმის წინააღმდეგ შეაბრუნა. ამსილა ფაშიზმის ნამდვილი ბუნება და ფაშისტ მოსამართლეებს პირში მიახალა: რომელ ქვეყანაში არ არიან ფაშისტები ბარბაროსები და ველურები? დიმიტროვმა სასამართლოს ტრიბუნა გამოიყენა კომუნიზმის იდეების პროპაგანდისათვის.

— მე, პროლეტარული რევოლუცი-

არ მოეკითხებოდათ სასჯელი. „სულ ერთია გავიმარჯვებთ, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ“, — ამტკიცებდნენ ფაშისტები. „ჟლიტეთ, ჟლიტეთ, — წლების განმავლობაში მოუწოდებდნენ ჰიტლერი, გერინგი და სხვა ნაცისტი მეთაურები თავიანთი პარტიის წევრებს და ჯარისკაცებს,— ამაზე ჩვენ ვაგებთ პასუხს“. ქუჩებში, ყაზარმებში, სკოლებსა თუ ლუდხანებში გაისმოდა ფაშისტური სიმღერა:

დღეს გერმანია გვეკუთვნის მხოლოდ,
ხვალ კი სამყაროს დავეუფლებით,
ვერვინ შეგვაკრთობს, წინ ვივლით მარად,
თუნდ ნანგრევებად იქცეს მსოფლიო.

გერმანიის იმპერიალიზმს იმ დროისათვის ყველაზე განვითარებული სამხედრო მრეწველობა ჰქონდა, გამოცდილი და დისციპლინირებული არმია ჰყავდა. ეს იყო არაჩვეულებრივად საშიში მტერი, ძლიერი თავისი ორგანიზებულობით, მკაცრი და დაუნდობელი.

ომს ამზადებდნენ დეტალურად შემუშავებული გეგმით. გერმანიის მონოპოლიურ მმართველობაში ადგენდნენ მომავლის „საწარმოო გეგმებს“, როცა გერმანია დაიპყრობდა ევროპას და მსოფლიოს სხვა ტერიტორიას. ითვალისწინებდნენ მონური შრომის ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ინგლისსა და აფრიკის ქვეყნებში. გერმანიის საწარმოები ემზადებოდნენ ადამიანის გვამისაგან გაეკეთებინათ საპონი, ქალის თმისაგან ბაგირები, ლეიბები, ადამიანის ფერფლით ნიადაგი გაენაყოფიერებინათ. ლაბორატორიებში საიდუმლოდ გამოჰყავდათ სასიკვდილო ბაქტერიები, ადგენდნენ სულსახუთავი ავტომობილების და ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა ნახაზებს.

გერმანიის, იტალიის და იაპონიის სამხედრო სამზადისი მარტო საბჭოთა კავშირს როდი უქმნიდა საფრთხეს. აგრესორები არ ფარავდნენ თავიანთ ზრახვებს გაენადგურებინათ ინგლისი, საფრანგეთი და აშშ, დაეპყროთ მათი კოლონიები. და მაინც დასავლეთის ამ ქვეყნების მმართველი წრეები წინ არ აღუდგნენ აგრესორებს, პირიქით, მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ მათ. ისინი იმედოვნებდნენ ჩამოეყალიბებინათ ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოს ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი, ხოლო გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ძალები გამოეყენებინათ, როგორც მთავარი დამკვრელი რაზმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინგლისმა და საფრანგეთმა ამიტომაც მისცეს ჰიტლერს საშუალება დაერღვია ვერსალის ხელშეკრულება, იაპონიას კი ეთარეშა ჩინეთში. აშშ-ის მმართველმა წრეებმა აგრესიული ბლოკის ბერლინი—რომი—ტოკიო მონაწილეებსაც მიახვედრეს, რომ მხარს უჭერდნენ მათ გეგმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ ჰიტლერელებს დასაგლეჯად აძლევდნენ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს და წინააღმდეგი არ იყვნენ, თუ იაპონია ჩინეთის დიდ ტერიტორიას დაიპყრობდა.

როცა იაპონია თავს დაესხა მანჯურიას, ინგლისმა მაშინვე ემბარგო (აკრძალვა) დაადო ჩინეთში იარაღის გატანას. დაე, იაპონელები წავიდნენ წინ, — ვინ იცის, იქნებ მათ საბჭოთა ციმბირისაკენაც გაუხვიონო...

ონერი, როგორც ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, — უთხრა გ. დიმიტროვმა მსაჯულებს, — ვარ პასუხისმგებელი და სელმძღვანელი კომუნისტი.

და მე საკვებით მზად ვარ, ვატარო მთელი პასუხისმგებლობა ჩემი ბულგარეთის პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა გადაწყვეტილებაზე, საბუთებსა და მოქმედებაზე. და სწორედ ამიტომაც არა ვარ მე ავანტიურისტ-ტერორისტი, შეთქმული და წამქეზებელი.

მე მომსრე ვარ პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურისა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამაშია კაპიტალიზმის სხვა და ერთადერთი გამოსავალი ეკონომიკური კრიზისიდან და სამხედრო კატასტროფიდან.

პროლეტარიატის დიქტატურისათვის და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა ჩემი ცხოვრების შინაარსია.

ისტორიას ჩარსი ტრიალებს, წინ მიიწევს, საბჭოთა ევროპის, საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირისაკენ. ჩარსს, რომელსაც ატრიალებს პროლეტარიატი კომუნისტური ინტერნაციონალის სელმძღვანელობით, ვერ შეაჩერებს ვერანაირი ეაშანაძაერებელი ღონისძიება, კატორღული მსჯავრი და ვერც სიკვდილით დასჯა. იგი ტრიალებს და იტრიალებს კიდეც კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე.

1928 წ. მასობრივი დემონსტრაცია დრეზდენში (გერმანია). მუშები მოდიან კომუნისტური პარტიის ლოზუნგით: „ძირს რეაქცია! ძირს ფაშიზმი! იბრძოლეთ მუშურ-გლეხური მთავრობისათვის!“

იგივე განმეორდა 1935 წ., როცა ფაშისტური იტალია ყაჩაღურად დაესხა თავს ეთიოპიას (აბისინიას). იტალია ჯერ კიდევ ეთიოპიაზე თავდასასხმელად ემზადებოდა, როცა ინგლისმა ემბარგო გამოაცხადა ეთიოპიისათვის იარაღის მიყიდვაზე. ერთა ლიგის ხელშეწყობით, ინგლისისა და საფრანგეთის თანხმობით იტალიის ფაშიზმი მხეცურად გაუსწორდა ეთიოპიას. ეთიოპიის არმია და ხალხი გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. იტალიელებმა ასობით ტანკი და თვითმფრინავი დასძრეს. იტალიელმა ფაშისტებმა დაარღვიეს საერთაშორისო ხელშეკრულებანი და დაიწყეს ქიმიური ომი, დასახლებულ პუნქტებს იპრიტის სითხეს აფრქვევდნენ. საავიაციო ყუმბარებისა და მომწამლავი ნივთიერებებისაგან უამრავი მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა. 1936 წლის 5 მაისს იტალიელებმა აიღეს ეთიოპიის დედაქალაქი ადის-აბება.

მარტო საბჭოთა კავშირი მტკიცედ გამოვიდა აგრესორების ხელყოფისაგან ეთიოპიის ხალხთა დასაცავად.

საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად იბრძოდა მშვიდობისათვის. საბჭოთა კავშირმა პირველმა შეიცნო ფაშიზმისაგან გამომდინარე უდიდესი საფრთხე და მოუწოდებდა ყველა ქვეყანას, რომელსაც აგრესია ემუქრებოდა, შეექმნათ კოლექტიური უშიშროების სისტემა.

ხალხთა მასების გავლენით 1935 წლის 2 მაისს საფრანგეთის მთავრობამ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადო სსრკ-თან. მალე, დაიდო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება სსრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებაში ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით შეიტანეს შენიშვნა: ხელშეკრულება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც თავს დაესხნენ, დახმარებას მიიღებს საფრანგეთისაგანაც.

ევროპის ხალხებმა ეს ხელშეკრულებები მიიღეს როგორც საფუძველი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისა.

საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამდა, რომ მშვიდობა განუყოფელია: ომმა, რომელიც დღეს მიმართულია ეთიოპიისა და ჩინეთის წინააღმდეგ, ხვალ შეიძლება გადაინაცვლოს იმ ქვეყნებში, რომლებიც დღეს თავს არიდებენ აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლას.

კოლექტიური ძალებით შეიძლებოდა ომის თავიდან აცილება და ფაშისტური აგრესიის შეჩერება. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი პირობა — ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის მთავრობებს აღარ უნდა წაექეზებინათ ფაშისტური აგრესია და პატიოსნად დაეჭირათ მხარი საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც იბრძოდა კოლექტიური უშიშროების სისტემის შესაქმნელად. მაგრამ დასავლეთის ხელისუფალთ სხვა გეგმები ჰქონდათ.

სახალხო ფრონტი

ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლას ყველა ქვეყანაში კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს შეექმნათ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, წვრილი ბურჟუაზიის მებრძოლი კავშირი. მოუწოდებდნენ ყველას, ვისაც სძულდა ომი და ვინც მზად იყო ებრძოლა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. ამ კავშირს ეწოდა ანტიფაშისტური სახალხო ფრონტი.

სახალხო ფრონტის პოლიტიკის ძალა ნათლად გამოვლინდა 1934 წლის ამბების დროს საფრანგეთში. ამ ქვეყნის რეაქციას, რომელიც გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოქცევის შემდეგ მეტად გათამამდა, მიზნად ჰქონდა გერმანიის ბურჟუაზიის მსგავსად თავის ქვეყანა-

შიც დაემყარებინა ფაშისტური წესწყობილება. ფრანგმა ფაშისტებმა თავი მოუყარეს დიდძალ იარაღს: შაშხანებს, ტყვიამფრქვევებს, არტილერიას, თვითმფრინავებსა და ჯავშნოსან მანქანებს.

1934 წ. 6 თებერვალს ფაშისტები შეეცადნენ მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება პარიზში. კომპარტიის მოწოდებით ქუჩებში გამოვიდა დედაქალაქის ათასობით მუშა. მათ გარეკეს ფაშისტ ვაჟბატონთა რაზმები. კომუნისტების ანტიფაშისტურ ბრძოლას მხარი დაუჭირა სოციალისტურმა პარტიამ, რომლის რიგით წევრებს შეგნებული ჰქონდათ მუშათა კლასის ერთიანი მოქმედების აუცილებლობა. საფრანგეთის მუშათა საყოველთაო ძლიერი გაფიცვა, რომელიც პროტესტს უცხადებდა ფაშისტურ პუტჩს, გამარჯვებით დამთავრდა.

ხალხთა მასებისათვის ნათელი გახდა, რომ მშრომელთა ერთიან ფრონტსა და სოლიდარობას შეუძლია დაამარცხოს ფაშიზმი.

1934 წ. ივლისში საფრანგეთის კომუნისტებმა და სოციალისტებმა ერთიანი მოქმედების ხელშეკრულება დადეს. შემდეგ მათ შეუერთდა პროფკავშირები და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები.

საფრანგეთში შეიქმნა სახალხო ფრონტი. მან მთავრობას წაუყენა მოთხოვნა: ბოლო მოეღებოდა უმუშევრობას, მოემატებინათ ხელფასი, განეიარაღებინათ და დაეთხოვათ ფაშისტური ორგანიზაციები, დაეცვათ ხალხის დემოკრატიული უფლებები, საბჭოთა კავშირთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად ებრძოლათ ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ.

ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების კომუნისტებმაც გააჩაღეს ბრძოლა სახალხო ფრონტის შესაქმნელად.

ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასისა და ყველა დემოკრატიული ძალების ერთიანობის პოლიტიკამ, რასაც კომუნისტები ატარებდნენ, სახალხო ფრონტის შექმნამ უზრუნველყვეს პროლეტარიატის მნიშვნელოვანი წარმატებანი მთელ რიგ ქვეყნებში და განსაკუთრებით საფრანგეთში. საფრანგეთში მრეწველობის ყველა დარგის მუშებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას. ბურჟუაზიული სახელმწიფო ისტორიაში პირველად გახდა იძულებული შემოეღო 40-საათიანი სამუშაო კვირა და დაედგინა ფასიანი შვებულება.

ანტიფაშისტური დემონსტრაცია პარიზში 1935 წ. 14 ივლისს.

სამუშაოზე მიღება-დათხოვნა მეპატრონეთა ნებასურვილზე აღარ იყო დამოკიდებული: მათ ახლა პროფკავშირებისათვის უნდა გაეწიათ ანგარიში.

გაუმჯობესდა გლეხების, მოჯამაგირეების, მოსამსახურეთა, წვრილ მევაჭრეთა, ხელოსნებისა და ომის ინვალიდთა მდგომარეობა. ფაშისტური ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ იატაკქვეშა მუშაობაზე გადასულიყვნენ.

განა ამას შეურიგდებოდა საფრანგეთის მონოპოლისტური ბურჟუაზია? „სოციალისტური რევოლუციის საფრთხის“ თავიდან ასაცილებლად ბურჟუაზიამ გადაწყვიტა შეთანხმებოდა გერმანიის ფაშიზმს.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა, ბურჟუაზიის დამჭაშებმა, უარი თქვეს ერთიან ფრონტზე. ისინი კომუნისტებს მხოლოდ მაშინ უთანხმდებოდნენ, როცა ეშინოდათ, პარტიის რიგით წევრებს მათ გარეშე არ გაეკეთებინათ ეს. ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდნენ, რათა დაერღვიათ მოქმედების ერთიანობა და ბურჟუაზიის მხარეს გადასულიყვნენ.

სახალხო ფრონტის პოლიტიკას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: მან არ მისცა საშუალება ფაშიზმს, რომ გაემარჯვა საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში. შეიქმნა ანტიფაშისტური ბრძოლის ერთიანობა, რამაც უდიდესი ძალით იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის წლებში, ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ეროვნულ-რევოლუციური ომი ესპანეთში

1936 წლის იანვარში ესპანეთში ჩამოყალიბდა ანტიფაშისტური სახალხო ფრონტი, რომლის შექმნის ინიციატორებიც კომუნისტები იყვნენ. მათ გააერთიანეს მუშები, გლეხები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები რეაქციული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ფაშისტებს ემყარებოდა.

1936 წლის თებერვალში სახალხო ფრონტმა უკვე გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში. ესპანეთში გაჩნდა ისტორიაში პირველი სახალხო ფრონტის მთავრობა. ესპანელი ფაშისტები, მემამულეები, უმაღლესი სამღვდელოება, მსხვილი ბურჟუაზია და სამხედრო წოდების წარმონადგენლები ვერ შეურიგდნენ მარცხს და ფარულად ამზადებდნენ ამბოხებას ახალი მთავრობის წინააღმდეგ.

1936 წლის 18 ივლისს სეუტის (ქალაქი მაროკოს ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც მაშინ ესპანეთს ეკუთვნოდა) რადიომ გადმოსცა ფაშისტების გამოსვლის პირობითი ნიშანი: „მთელს ესპანეთში ცა მოწმენდილია“. მადრიდში, ბარსელონაში, ლა-კორუნიასა და სხვა ქალაქებში იფეთქა კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ. გენერლებისა და ოფიცრების მიერ მოტყუებული არმიის უმრავლესობა სახალხო მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა.

მშრომელმა ხალხმა, რომელსაც სათავეში ედგნენ კომუნისტები, საჩქაროდ ჩააქრო ქვეყნის უმეტეს ნაწილში რეაქციონერთა აჯანყება.

მაგრამ მაშინვე დაიწყო გერმანელ და იტალიელ ფაშისტთა ინტერვენცია. ესპანეთის ცაზე გამოჩნდნენ გერმანიის ავიაციის ესკადრილიები.

ჰიტლერი და მუსოლინი ესპანელ ფაშისტთა მეთაურს გენერალ ფრანკოს უგზავნიდნენ ზარბაზნებს, ტყვიამფრქვევებს, თვითმფრინავებს, ტანკებს, საომარ მასალას და საჭურველს. მალე თითქმის უიარაღო ესპანელი ხალხის წინააღმდეგ გამოვიდა იტალიისა და გერმანიის რეგულარული ჯარი.

ასე დაიწყო ეროვნულ-რევოლუციური ომი (1936—39) ესპანეთის ხალხისა ფაშისტ მეანბოხეთა და იტალია-გერმანელი ინტერვენტების წინააღმდეგ. ხალხი გმირულად იცავდა თავის ქვეყანას. მარადიული დიდება დაიმსახურეს მადრიდის შეუპოვარმა დამცველებმა.

გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა არაგონიის ფრონტზე. სურათზე: რესპუბლიკური არმიის მეომრები პოზიციებზე მთებში ესტრეჩო კონტოს მახლობლად (1936 წლის ოქტომბერი)

მსოფლიოს საუკეთესო ადამიანები მხარს უჭერდნენ ესპანელი ხალხის ბრძოლას. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ესპანეთს მიაშურეს მოხალისე-ანტიფაშისტებმა, აქაც პირველნი კომუნისტები იყვნენ. მათ ჩამოაყალიბეს ინტერნაციონალური ბრიგადები, რომლებშიც იბრძოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ჩეხები, პოლონელები, იუგოსლავები, რევოლუციური ემიგრანტები ფაშისტების მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან, გერმანელი, იტალიელი, უნგრელი და ბულგარელი ემიგრანტები. მათი უმრავლესობა გმირულად დაიღუპა ან მძიმედ დაიჭრა ფაშისტებთან ბრძოლაში.

ესპანელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა მათე ზალკა, უნგრელი მწერალი-კომუნისტი. 1918—1920 წ. იგი გმირულად იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ესპანეთში კი, სადაც მას გენერალ ლუკაჩს უწო-

დებდნენ, მე-12 ინტერნაციონალური ბრიგადის ყველაზე ცნობილი და საყვარელი მეთაური გახდა. მადრიდისათვის ბრძოლაში სამუდამოდ გაითქვეს სახელი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცკ-ის წევრმა ჰანს ბაიმლერმა, ინგლისელმა კომუნისტმა, ლიტერატორმა და მოაზროვნემ რალფ ფოკსმა, იტალიის კომპარტიის ცკ-ის წევრმა, ფაშიზმის წინააღმდეგ თავდადებულმა მებრძოლმა ნინო ნანეტიმ და სხვა ათასობით უშიშარმა მებრძოლმა.

ინგლისმა, საფრანგეთმა და აშშ-მა გამოაცხადეს ეგრეთწოდებული ჩაურევლობის პოლიტიკა და ჰიტლერსა და მუსოლინს ესპანეთში ფაქტიურად მოქმედების სრული თავისუფლება მისცეს. მათ აკრძალეს რესპუბლიკურ ესპანეთში იარაღის შეტანა, მაშინ, როცა ფრანკო შეუფერხებლად იღებდა უდიდეს სამხედრო დახმარებას გერმანიისა და იტალიისაგან. ჩაურევლობის პოლიტიკა ამგვარად ემსახურებოდა ფაშისტ აგრესორებს, ეხმარებოდა მათ მოეხრჩოთ ესპანელი ხალხი და ბიძგს აძლევდა ახალ-ახალ ავანტიურას.

მაგრამ მებრძოლი ესპანეთი მარტო არ იყო. საბჭოთა ხალხი აგროვებდა სახსრებს ესპანელი ხალხის დასახმარებლად. ათასობით კილომეტრით იყო დაშორებული საბჭოთა ნავსადგურები ესპანეთისაგან, მაგრამ სურსათით, მედიკამენტებით, იარაღით დატვირთული ჩვენი გემები არღვევდნენ ფაშისტური ბლოკადის ალყას ვალენსიაში, კარტახენაში, ბარსელონასა და ესპანეთის სხვა ნავსადგურებში.

მადრიდის, კატალონიის, ანდალუზიის მახლობლად ფრონტზე იბრძოდა ასობით საბჭოთა მოხალისე მფრინავი, ტანკისტი, ქვეითი ჯარისკაცი. მათ შორის იყვნენ: რ. მალინოვსკი, ნ. ვორონოვი, კ. მერეცკოვი, ნ. კუზნეცოვი, ა. როდიმცევი, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში სახელი გაითქვეს, როგორც გამოჩენილმა სარდლებმა. ობლად დარჩენილი ათასობით ესპანელი ბავშვი წამოიყვანეს მაშინ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირი გახდა მათი მეორე სამშობლო.

1938 წ. ესპანეთის რესპუბლიკის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ბრძოლა თანდათან უთანასწორო ხდებოდა. გენერალ ფრანკოს ჯარები რესპუბლიკელების პოზიციას უტევდნენ ოთხი შენაერთით — კოლონებით. ფრანკოს მიეხმარნენ გამცემლები, რესპუბლიკურ ბანაკში მიმალული რეაქციონერები („მეხუთე კოლონა“). 1939 წ. 28 მარტს სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ფაშისტთა ჯარებმა დაიკავეს მადრიდი. ესპანეთში დამყარდა ფრანკოს ფაშისტური დიქტატურა.

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲖᲦᲣᲠᲒᲚᲖᲔ

1938 წლის 11 მარტს გერმანიის ჯარებმა გადალახეს ავსტრიის საზღვარი და შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშე რამდენიმე საათში დაიპყრეს მთელი ქვეყანა. ჰიტლერი ჩავიდა ვენაში, რათა ზეიმით აღენიშნა „უსისხლო გამარჯვება“, ეგრეთ წოდებული ავსტრიის ანშლუსი (შემოერთება). ინგლისმა და საფრანგეთმა, სულ ახლახან ხელშეკრულებებსა და დეკლარაციებში ავსტრიის დამოუკიდებლობის სრულ გარანტიას რომ იძლეოდნენ, არაფერი იღონეს. ერთა ლიგამ თითქოს ვერც შეამჩნია, რომ ევროპის პოლიტიკური რუკიდან გაქრა მთელი სახელმწიფო — ლიგის წევრი.

ჰიტლერის თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა. მან მიზანში ამოიღო ახალი მსხვერპლი — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა და 1938 წლის მაისში თავი მოუყარა თავის ჯარებს ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, რომელსაც ამხნევებდნენ კომუნისტები კლემენტ გოტვალდის მეთაურობით, ემზადებოდა ფაშისტური ბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ბენეშის ბურჟუაზიულ მთავრობას ეშინოდა დაყრდნობოდა თავის ხალხს, საბჭოთა კავშირის დახმარებას. იგი საფრანგეთიდან და ინგლისიდან ელოდა შველას. საფრანგეთი და ინგლისი ოცი წლის განმავლობაში თავიანთ თავს ჩეხოსლოვაკიის ერთგულ მეგობრად და მის მოკავშირედ აცხადებდნენ.

მაგრამ მხარდაჭერის ნაცვლად ინგლისმა, საფრანგეთმა და მათ ზურგსუკან ამოფარებულმა აშშ-მა მოითხოვეს კაპიტულაცია. ჩეხოსლოვაკიას გერმანიისათვის უნდა მიეცა სუდეტის ოლქი — თავისი ტერიტორიის ერთი მეხუთედი. ამ ოლქში ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეოთხედი და მძიმე მრეწველობის ნახევარიც იქ იყო. გერმანიასთან ახალი საზღვარი უნდა დადებულიყო პრაღიდან 35 კმ-ზე. საზღვარზე სიმაგრეების დაკარგვით ჩეხოსლოვაკია სრულიად დაუცველი ხდებოდა.

ინგლისს, საფრანგეთსა და აშშ-ს იმედი ჰქონ-

მიუნხენის შეთანხმება. ჩეხოსლოვაკიის დანაწილების სამარცხვინო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა (1938).

დათ, რომ რაკი ჰიტლერს ჩეხოსლოვაკია „აჩუქეს“, გერმანიას სსრკ-ის წინააღმდეგ აამხედრებდნენ. 1938 წლის სექტემბრის მიწურულს მიუნხენში შედგა ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ხელისუფალთა კონფერენცია ჩეხოსლოვაკიის საკითხის გადასაწყვეტად. ამ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი არ იყო მიწვეული. მიუნხენში ვამოძახებული ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები არ დაუშვეს ხელისუფალთა თათბირზე. ისინი თავიანთი ქვეყნის მიმართ გამოტანილ განაჩენს გარეთ ელოდნენ.

ამ საბედისწერო დღეებში საბჭოთა კავშირმა გამოთქვა მზადყოფნა, სამხედრო დახმარება გაეწია ჩეხოსლოვაკიისათვის და მასთან ერთად ებრძოლა ჰიტლერის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა უარი თქვა სსრკ-თან და ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე. ბურჟუაზიისა და მსხვილ მემამულეთა მოთხოვნის გამო ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ უარი თქვა საბჭოთა კავშირის დახმარებაზე. სამაგიეროდ იგი თანახმა იყო მიუნხენის კონფერენციის გადაწყვეტილებისა. ეს გადაწყვეტილება ასეთი იყო: ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების მეთაურებმა ჩემბერლენმა და დალადიემ მიიღეს ჰიტლერისა და მუსოლინის ყველა მოთხოვნა და ეს მოთხოვნა ჩეხოსლოვაკიას წაუყენეს. ჩეხოსლოვაკიის ჯარებს უბრძანეს, ჰიტლერელებისათვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ.

1938 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჯარებმა უბრძოლველად დაიკავეს სუდეტის ოლქი.

მიუნხენი იყო საერთაშორისო ბანდიტიზმისა და უდიდესი მუხანათობის სამარცხვინო აქტი. აქედან გაეხსნათ ხელ-ფეხი მეორე მსოფლიო ომის დასაწყებად.

1939 წ. მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა საშუალება მისცეს ჰიტლერს ხელთ ეგდო პრაღა და ჩეხოსლოვაკიის დანარჩენი ტერიტორია, თუმცა მიუნხენში მათ განაცხადეს, რომ ახალი საზღვარი გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის საბოლოო

ინტერნაციონალისტები ესპანეთში

დაიწყო თუ არა ესპანეთში სასაზღვრო ძალებსა და ფაშიზმს შორის შეტაკება, დედამიწის ყველა კონტინენტის მოწინავე ადამიანები ესპანელი სალხის დასახმარებლად გაეშურნენ. მ.ზნის მისაღწევად მათ ძნელი გზის გავლა უსდებოდათ.

ავსტრიიდან დასავლეთისაკენ პიუვალ მთებს გადადიოდნენ, ვითომ ალპინისტები და მოთხილამურეები იყვნენ.

პოლონეთიდან რკინიგზის ვაგონების ქვეშ ამოკრულ ყუთებში ან გემის ტრიუმებში დამალულნი მიდიოდნენ.

უნგრელი მოხალისე ფერენც კერეში ოთხჯერ დაიჭირეს შვეიცარიის საზღვარზე გადასვლის დროს და უკან დააბრუნეს, მაგრამ მეხუთეჯერ მაინც მოახერხა გადასულიყო მებრძოლ ქვეყანაში.

პურჟუაზიულმა პოლიციამ და ჟანდარმერიამ ესპანეთისაკენ მიმავალი ყველა გზა გადაკეტა. საზღვაო გზები იტალიის და გერმანიის ფაშისტთა ბანდიტური წყალქვეშა ნავებით იყო დაჭსაქსული, მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლნი ყოველგვარ წინააღმდეგობას, ძლევდნენ. ისინი ესპანეთში ჩასვლისთანავე ომში ებმებოდნენ.

მოხალისეთა შორის იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ანტიფაშისტები, მაგრამ ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთა უმრავლესობა კომუნისტები იყვნენ — ყოველი ბრიგადის სული და გული, ყველაზე მედგარი მებრძოლები.

მაინც რამდენი მოხალისე იყო? არავის შეუძლია ზუსტი ციფრის დასახელება. სხვადასხვა გამოთვლებით დაახლოებით 35—40 ათასი. თითქოს არცთუ ისე ბევრია, მაგრამ ესენი იყვნენ თავისუფლებისათვის თავდადებული ადამიანები, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი.

ინტერნაციონალური ბრიგადების

იქნებოდა... ჩეხეთის მიწები გერმანიის პროტექტორატად გამოცხადდა. მარტო საბჭოთა კავშირი აპროტესტებდა ფაშისტური რბევის ამ ახალ აქტს.

აშშ-ის და ინგლისის საფინანსო მონოპოლიებმა იმწამსვე გადასცეს ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიის ოქროს მარაგი, რომელიც მათ შესანახად ჰქონდათ მიბარებული. 1939 წლის აპრილში მუსოლინიმ დაიპყრო ალბანეთი. იმავე წლის ივლისში ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა ჰიტლერს საიდუმლოდ შესთავაზეს „საბოლოო მოწესრიგების“ პროექტი, რომელიც ნიშნავდა მსოფლიოს გადანაწილების ახალ გეგმას. ინგლისელი დიპლომატები ჰიტლერს დაჰპირდნენ გერმანიის საზღვრებიდან აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ევროპის ყველა სახელმწიფოს; შესთავაზეს დაემყარებინათ აფრიკის ექსპლოატაციის ერთობლივი რეჟიმი. სხვათა მიწებითა და ხალხებით ვაჭრობა გრძელდებოდა. ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც ორპირულ პოლიტიკას ეწეოდნენ, ერთდროულად საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებასაც დასთანხმდნენ.

1939 წ. აგვისტოში სსრკ-ის წინადადებით მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო მისიასთან ჰიტლერის წინააღმდეგ ერთობლივი ორგანიზაციის თაობაზე. უმალვე გამოირკვა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების არავითარი ხელშეკრულების დადება არ სურდათ. მათი აზრით, საბჭოთა კავშირი გერმანიის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, თუ გერმანია თავს დაესხმებოდა ინგლისს, საფრანგეთს და სსრკ-ის მოსაზღვრე ქვეყნებს, თვითონ კი არავითარ კონკრეტულ ვალდებულებას არ კისრულობდნენ. კერძოდ, ისინი უარს ამბობდნენ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვისათვის სამხედრო დახმარების გარანტიაზე.

ამავე დროს ინგლისმა დაიწყო ფარული მოლაპარაკება გერმანიასთან და შესთავაზა მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფა. დასავლეთელ ხელისუფალთა ორპირულმა პოლიტიკამ ჩაშალა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. საბჭოთა მთავრობას სრული საფუძველი ჰქონდა, ეგრძნო საფრთხე ახალი მიუნხენისა, ე. ი. ფაშისტურ გერმანიასთან ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისა, რომელიც მიმართული იქნებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ პირობებში, როცა 1939 წლის აგვისტოში გერმანიამ საბჭოთა მთავრობას წინადადება მისცა, დაედო მასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და გაეუმჯობესებინა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, სსრკ-მა მიიღო ეს წინადადება.

1939 წ. 23 აგვისტოს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტს.

ეს საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმული

ქვეყანაყოფები ატარებდნენ თავისუფლებისათვის სასელოვანი მებრძოლების — ჯუზეპე გარიბალდის, იაროსლავ დომბროვსკის, ტუდორ ვლადიმირესკუს, გიორგი დიმიტროვის, ვასილ კოლაროვის, ჯურო ჯაკოვიჩის, ერნსტ ტელმანის სახელებს. ერთ-ერთ ფრანგულ ბატალიონს „პარიზის კომუნა ერქვა“, ამერიკელთა ბრიგადა აბრამ ლინკოლნის სახელს ატარებდა.

და აი, დადგა 1936 წლის 6 ნოემბრის დილა. ქალაქის თავზე კვლავ გაისმოდა საჰაერო განგაშის მაუწყებელი სმა, როცა მადრიდის ცაზე გამოჩნდა თვითმფრინავთა ჯგუფი რესპუბლიკური ავიაციის წითელი ემბლემით, — იგონებდა ესპანელი გენერალი იდალგო დე სისნეროსი. — გაბედულნი, ძლიერნი და მარჯვენი — ისინი მიისწრაფოდნენ ფაშისტთა თვითმფრინავების შესახვედრად... ხალხმა დატოვა თავშესაფარი, ყველას დაავიწყდა საფრთხე და ქუჩაში გამოეფინენ. ტყვიამფრქვევების კაკანში მადრიდელები სედავდნენ, პილოტაჟის აკრობატული ილეთების გამოყენებით, საბრძოლო გაშლით რესპუბლიკელმა მფრინავებმა როგორ ჩამოაგდეს ერთიმეორის მიყოლებით მოწინააღმდეგის ცხრა თვითმფრინავი. ეს იყო საბჭოთა გამანადგურებლების ესკადრილია. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტთა თვითმფრინავები გაცილებით მეტი იყო, საბჭოთა მოხალისეებმა ქალაქი ჰაერიდან დაიცვეს.

მსოფლიო არასოდეს დაივიწყებს 54 ქვეყნის ანტიფაშისტების უკვდავ გმირობას, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ ფაშიზმთან პირველ შეტაკებაში. ეს იყო ინტერნაციონალური ერთგულების ბრწყინვალე მაგალითი.

იძულებითი ნაბიჯი იყო. გერმანიის მხრივ შეცდომა-თავაზებულ წინადადებაზე უარის თქმა ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა კავშირი მარტო დარჩენილიყო კაპიტალისტური სამყაროს პირისპირ, რომელიც ემზადებოდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასასხმელად.. სსრკ-მა მიიღო დამატებითი დრო საიმისოდ, რომ მომზადებულიყო შესაძლებელი აგრესიის მოსაგერიებლად.

მეორე მსოფლიო ომი

მეორე მსოფლიო ომი ექვს ხანგრძლივ წელს (1939—1945) გაგრძელდა. ომმა შეიწირა 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. დაღუპა ევროპის, აზიის, აფრიკის ხალხთა თაობების შრომითა და გენიით შექმნილი კულტურისა და ცივილიზაციის უძვირფასესი განძეული.

ვის მიუძღვის ბრალი მსოფლიო ომის წამოწყებაში, კაცობრიობის წინააღმდეგ ამ მძიმე დანაშაულში? — ამის პასუხი ერთია: იმპერიალიზმს.

ახალი მსოფლიო ომის მთავარი მიზეზი იყო წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მწვავე კონკურენციული ბრძოლა ნედლეულისა და გასაღების ბაზრებისათვის და მსოფლიო ბატონობისათვის.

თავად ბუნება იმპერიალიზმისა წარმოშობს ომს. სწორედ იმპერიალიზმმა აიყვანა ჩიჩაღლეს რანგში სახელმწიფო პოლიტიკის სადავო საკითხების ომის გზით გადაწყვეტა. ეს იმპერიალიზმის პოლიტიკის დამახასიათებელი თვისებაა.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება, პირველი მსოფლიო ომის შედეგად წარმოშობილი ვერსალის სისტემის წინააღმდეგობანი, მთელ რიგ ქვეყნებში ფაშისტთა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, რაც ბურჟუაზიის უკიდურესად რეაქციული ჯგუფების ინტერესებს წარმოადგენდა, ამ და სხვა მრავალი მიზეზით, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გამო განუწყვეტლივ ეჯახებოდნენ ერთმანეთს ერთის მხრივ ინგლისი, საფრანგეთი და აშშ, მეორეს მხრივ ფაშისტური სახელმწიფოების: გერმანიის, იტალიის და იაპონიის დაჯგუფება. ჰიტლერული გერმანია მიისწრაფოდა გაბატონებულიყო ევროპაში, იაპონია კი აზიაში.

და მაინც, ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკი ვერ გაბედავდა მსოფლიო ომის გაჩაღებას, ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის მმართველ წრეებს აგრესიის წახალისების პოლიტიკა რომ არ ეწარმოებინათ. მიუხედავად იმისა, რომ აგრესორთა ბლოკსა და ამ სამ ქვეყანას შორის არსებობდა მწვავე იმპერიალისტური წინააღმდეგობანი, რის გამოც შეიარაღებული შეტაკება მათ შორის ფრიად მოსალოდნელი იყო, ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის ხელისუფალთ სურდათ კაპიტალისტურ სამყაროში მომწიფებული ომი თავიანთი ქვეყნების საზღვრებს გარეთ გაეტანათ და იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიემართათ. ამით სურდათ რამდენიმე მიზნისათვის მიეღწიათ: დაესუსტებინათ ან მოესპოთ მათთვის საძულველი სოციალისტური სახელმწიფო, შეერყიათ იმპერიალისტური მოწინააღმდეგის ძლიერება და გაენაღდებინათ მსოფლიოში გაბატონებული მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირმა არაერთგზის მოითხოვა მიეღოთ კოლექტიური ზომები მშვიდობის დასაცავად. მაგრამ ინგლისელმა და ფრანგმა რეაქციონერებმა უარყვეს საბჭოთა კავშირის წინადადებები და ჩაშალეს მასთან მოლაპარაკება. ფაშისტურ სახელმწიფოებს, რაც უფრო მეტი მხარდაჭერა ჰქონდათ დასავლეთის ქვეყნებიდან, მით უფრო ემატებოდათ მადა, და რაც უფრო ძლიერად გრძნობდნენ თავს, მით უფრო ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს იმათ, ვისი ხელშეწყობითაც ძლიერდებოდნენ. ამიტომაც გადაწყვიტა გერმანიამ ომი დაეწყო სწორედ იმ სახელმწიფოთა განადგურებით, რომელთა მესვეურნიც აქტიურად უწყობდნენ ხელს აგრესორებს. თავდაპირველად ჰიტლერულმა მხედრიონმა გადაწყვიტა, გაენადგურებინა პოლონეთი — საფრანგეთისა და ინგლისის მოკავშირე.

ჰიტლერელი ჯალათები ხვრეტენ პოლონელ პატრიოტებს.

1939 წ. 1 სექტემბერს გერმანიის ჯარი შეიჭრა პოლონეთში. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფალნი ფიქრობდნენ, გერმანიის აგრესია მიემართათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თვითონ კი მოვლენათა შემდგომი განვითარების მოლოდინში განზე დარჩენილიყვნენ. აი, ამიტომ იყო, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი ფორმალურად კი გამოუცხადეს გერმანიას (1939 წ. 3 სექტემბერს), მაგრამ სინამდვილეში არ ეომებოდნენ მას. ინგლის-საფრანგეთის არმიას იმხანად დიდი სამხედრო უპირატესობა ჰქონდა — 115 დივიზია უპირისპირდებოდა გერმანელთა 23 დივიზიას. გერმანიის ძირითადი ძალები გადასროლილი იყო პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ მოკავშირეებმა არაფერი იღონეს. არავითარი დახმარება არ გაუწიეს პოლონეთს, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა, მათი არმია უმოქმედოდ იდგა. ყველა ქვეყნის პრესაში გაჩნდა გამოთქმა „უცნაური ომი“, რითაც გამოხატავდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მოქმედებას. „უცნაური ომი“ იყო მიუნხენის პოლიტიკის გაგრძელება: მის ორგანიზატორებს სურდათ გერმანიისათვის ეჩვენებინათ, რომ ინგლისი და საფრანგეთი მაშინ შეებრძოლებოდნენ მას, თუ გერმანიის ჯარი დაიძვრებოდა დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ არაფერს იღონებდნენ, თუ ეს ჯარი აღმოსავლეთისაკენ გაემართებოდა.

გერმანიის საზღვარზე პირველი ტყვია რომ გავარდა, ერთი კვირის შემდეგ პოლონეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა. მაგრამ პოლონელმა ხალხმა ქედი არ მოუხარა დამპყრობლებს.

პოლონელი ხალხი თავგამოდებით იცავდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას. განსაკუთრებით დიდი გმირობა გამოიჩინა ხალხმა ვარშავის ოცდღიანი დაცვის დროს, რომელსაც კომუნისტები და მემარცხენე სოციალისტები ედგნენ სათავეში. პოლონეთისა და მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში შევიდა პოლონეთის ჯარების მამაცური წინააღმდეგობა ვესტერპლატზე. ბზურზე, მოკრაისა და მლავასთან.

აგრესორები, გერმანია და მისი მოკავშირეები, აწარმოებდნენ იმპერიალისტურ ომს. ინგლისისა და საფრანგეთის „უცნაურ ომს“ თავის მხრივაც იმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა; პოლონეთისათვის კი ეს ომი იმთავითვე სამართლიანი და გამათავისუფლებელი იყო.

ჰიტლერელებმა რამდენიმე კვირაში მოახდინეს მთელი პოლონეთის ოკუპაცია. პოლონეთმა იგემა გერმანელ ფაშისტთა შემზარავი ძალმომრეობის მთელი საშინელება, რასაც ჰიტლერელები დამცინავად „ახალ წესრიგს“ უწოდებდნენ. დამპყრობლებმა გაანადგურეს ექვსი მილიონი ადამიანი — მოსახლეობის ერთი მეხუთედი. მაგრამ პოლონელმა ხალხმა ქედი არ მოიხარა, წინააღმდეგობას განაგრძობდა.

პოლონეთის დამარცხების შემდეგაც კი ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის მთავრობები ეძებდნენ გერმანიასთან ანტისაბჭოთა მორიგების გზას. ამასობაში გერმანიის სარდლობამ ისარგებლა დასავლეთ ევროპაში თავის მოწინააღმდეგეთა უმოქმედობით და მოემზადა საფრანგეთში შესაჭრელად. ეს გეგმა ძალიან სახიფათო გახლდათ.

წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, შეიტყობდა თუ არა ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო სარდლობა მოწინააღმდეგის განზრახვას. ამიტომაც გერმანელმა გენერლებმა გადაწყვიტეს შეცდომაში შეეყვანათ თავიანთი მოწინააღმდეგეები და მათთვის ყალბი გეგმა მიეგდოთ.

1940 წლის 10 იანვარს დასავლეთ ევროპაში ავდრიანი დღე იდგა. იყო თოვლ-ჭყაპი. ბელგიის ქალაქ მეხელენის მახლობლად მიწაზე იძულებით დაეშვა გერმანიის მეკავშირე თვითმფრინავი. თვითმფრინავში მყოფ გერმანელ ოფიცერს აღმოაჩნდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გეგმა. ინგლისელი და ფრანგი გენერლები ძალიან გახარებულნი დარჩნენ ამ მოჩვენებითი წარმატებით. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ მათ მახე დაუგეს და ჯარებს თავს უყრიდნენ არა იმ მიმართულებით, სადაც გერმანელთა მთავარი დარტყმა მზადდებოდა.

1940 წლის 9 აპრილს დილით გერმანიის ჯარი ხმელეთიდან დანიაში შეიჭრა, ზღვიდან კი ნორვეგიაში. დანიის მეფემ და ხელისუფლებამ უბრძანა თავის ჯარს იარაღი დაეყარა. ნორვეგიელი პატრიოტები ვაჟკაცურად ეწინააღმდეგებოდნენ მტერს, მთელ რიგ ადგილებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და სადესანტო ჯარებმა ზარალი ნახეს, თუმცა ნორვეგიის ჯარების მოქმედებას ერთობ ბოჭავდა მათი სარდლობის გამცემლობა. წლების განმავლობაში ნორვეგიის სამხედრო მინისტრი კვისლინგი გერმანიის ფარული აგენტი იყო. მისი სახელი საზოგადო გახდა: მოღალატეებს, ვინც ოკუპანტებთან თანამშრომლობდა, კვისლინგელებს ეძახდნენ.

გერმანულ-ფაშისტური აგრესიის ახალი ეტაპი ძალიან მალე დადგა. 1940 წლის 10 მაისს გერმანიის ჯარი შეიჭრა ბელგიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგსა და საფრანგეთში. მთავარი დარტყ-

ვისაც კი სინდისი შერჩენია

1942 წლის მაისის ღამით ორი პარაშუტისტი დაეშვა გერმანიის მიწაზე. ისინი აქ ჩამოიყვანა საბჭოთა თვითმფრინავმა. ფრენა ხანგრძლივი და საშიში იყო: იმ დროს ჰიტლერული ჯარი ლენინგრადისა და რჟევის მისადგომებთან იდგა. მტრის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის ათასობით კილომეტრი, არაერთი საცეცხლე ფარდა გადალახა ამ თვითმფრინავმა. გერმანიის მიწა-წყალი, რომელიც ფაშისტებს დაეპყროთ, პარაშუტისტებისათვის მშობლიური მიწა იყო. პარაშუტისტები გახლდათ გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრები ვილჰელმ ფელენდორფი და ერნა აიფლერი.

მძღოლი ვილჰელმ ფელენდორფი გერმანიაში ფაშისტების მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ საბჭოთა კავშირში იყო ემიგრირებული. მან გადაწყვიტა დახმარებოდა სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს და ზეინკლად მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში. როცა ესპანეთში ომმა იფეთქა, ფელენდორფი სასწრაფოდ გაეშურა ბრძოლის ველზე, აქ იგი სატანკო ნაწილის მეთაური გახდა. ესპანეთის რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ, შემოვლით დაბრუნდა სსრკ-ში. ახლა კი ფელენდორფი გაემგზავრა გერმანიაში, არალეგალური მუშაობისათვის, მტრის შეიარაღებული ძალების მესამე ცნობების შესაკრებად.

მზვერავებმა მიაღწიეს ბერლინამდე, სადაც დაუკავშირდნენ ანტიფაშისტურ ორგანიზაციას, რომელსაც სათავეში ედგნენ ჰარო შულცე-ბოიზენი და არვიდ ჰარნაკი. ანტიფაშისტებმა ისინი გადაიყვანეს მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრში — ჰამბურგში.

600 გერმანელი ლაირასმა შულცე-ბოიზენ-ჰარნაკის ჯგუფში. სხვადასხვა ასაკის, პროფესიას (მუშები, მეცნიერები, მხატვრები, მოსამსახურეები, ჟურნალისტები) სალხი შევიდა ამ ორგანიზაციაში, რათა ერთად ებრძოლათ ჰიტლერული რეჟიმის, ფაშისტების მიერ წამოწყებული დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ. ისინი ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც ამხელდნენ ჯალათ ჰიტლერისა და მისი ლაქიების საქმიანობას, ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. ისინი საბჭოთა მზვერავებს აწვდიდნენ მასალებს ჰიტლერულ სამხედრო მანქანის, ფაშისტური სარდლობის გეგმების შესახებ.

„ვისაც მოვალეობა უკარნახებს, ვისაც კი სინდისი შერჩენია, უსიტყვოდ, ძალის დაუზოგავად უნდა ჩაერთოს ამ ბრძოლაში“,—წერდნენ ამ ორგანიზაციის წევრები არალეგალურ ბროშურაში. ჰარო შულცე-ბოიზენმა, არვიდ ჰარნაკმა და მათმა ამხანაგებმა ყოველივე იღონეს, რათა გადაერჩინათ ღირსება გერმანელი ხალხისა, რომელიც ფაშიზმმა ჩაითრია დანაშაულებრივ ომში. მთელი თაეანთი ცხოვრებით მათ უნდოდათ დაემტკიცებინათ: არა, ყველა გერმანელი როდია ფაშისტი, ყველა მორჩილად კი არ ასრულებს ცოფიანი ჰიტლერის ბრძანებებს. ცოცხლობს გერმანიის კომუნისტური პარტია, ცოცხლობენ ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი გერმანელი სალხი სულ სხვა გზით წაიყვანონ...

...მაინც ვინ იყვნენ ჰარო შულცე-ბოიზენი და არვიდ ჰარნაკი? ფოტოსურათიდან იცქირება ვერმახტის წარმოსადეგი ოფიცერი, რომელსაც ობერლეიტენანტის სამხრეულები აკერია. დიას, ორგანიზაციის მეთაური შულცე-ბოიზენი ჰიტლერული ავიაციის სამინისტროს მზვერავთა განყოფილებაში მსახურობდა. იგი გაიზარდა ბურჟუაზიულ ოჯახში, მაგრამ სტუდენტობის წლებში დაუახლოვდა

მა მათ განახორციელეს საფრანგეთის ძირითადი ძალების და მათ დასახმარებლად მოსული ინგლისის საექსპედიციო კორპუსის შემოვლით. გერმანიის სატანკო ჯარებმა გაარღვიეს ფრონტი სედანთან და გავიდნენ ლა-მანშის სანაპიროზე. საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში მოწყვეტილი აღმოჩნდა საფრანგეთის ჯარის ძირითადი მასისაგან. ისინი ზღვასთან იყვნენ მიმწყვდეულნი. ჰოლანდიის, ხოლო შემდეგ ბელგიის ჯარი, მალე დანებდა მტერს, რამაც საგრძნობლად გაართულა მოკავშირეთა მდგომარეობა. დიუნკერკის (ლა-მანშის ნაპირას მდებარე ნავსადგური) რაიონიდან ინგლისის ჯარი სასწრაფოდ იქნა ევაკუირებული ბრიტანეთის კუნძულებზე.

სულ 42 დღე გაგრძელდა სამხედრო მოქმედება ბელგიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგსა და საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობამ არ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა მტრის მოსაგერიებლად, არ მოუწოდა ხალხს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პარიზი უბრძოლველად დანებდა მტერს. მალე საფრანგეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ყოვლად დამამცირებელ და ქვეყნისათვის ყოვლად უმძიმეს კაპიტულაციაზე. იმ დღეებში დაწინაურდა სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი შარლ დე გოლი, რომელმაც განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა მთავრობის მიერ დადებულ ამ კაპიტულაციას და ინგლისში გაემგზავრა. იქიდან კი რადიოთი მოუწოდა ფრანგ ხალხს, შესულიყო ორგანიზაციაში „თავისუფალი საფრანგეთი“, რომელსაც თვით დე გოლი ქმნიდა.

ქვეყნის შიგნით საფრანგეთის წინააღმდეგობის მთავარი ძალა იყო მუშათა კლასი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა.

წინააღმდეგობის მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომუნისტები, პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: ჟ. დიუკლო, ე. ფაჟენი და სხვ.

საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ ინგლი-

მუშა-ანტიფაშისტებს. მას სძულდა ჰიტლერელი ბანდიტები და თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა, თავი შეეწირა თავისუფალი გერმანიისათვის. მან შეძლო ჰიტლერელებისათვის ფრიად საგრძნობი ზიანი მიეყენებინა.

ორგანიზაციის მეორე ხელმძღვანელის სახელი მეორე მსოფლიო ომამდე გახდა ცნობილი. არვიდ ჰარნაკი, ფილოსოფიის დოქტორი, ეკონომიკური გეგმების სპეციალისტი გახლდათ. გერმანიის კომუნისტური პარტიის აქტივისტებთან: იონ ზიგთან, ვილპელმ გუდორფთან და სხვებთან ერთად არვიდ ჰარნაკმა შექმნა იატაკქვეშა ორგანიზაციის ქსელი, რომელშიც შევიდნენ არა მარტო კომუნისტები, არამედ სხვა პარტიათა წევრები, გერმანიის ნამდვილი პატრიოტები — ანტიფაშისტები. ჰარნაკმა დაამყარა კავშირი შულცე-ბოიზენსა და მას მეგობრებთან

1942 წ. მიწურულს გესტაპოელმა მაძებრებმა მიაგნეს ორგანიზაციის კვალს. დააპატიმრეს ჰარო, არვიდი და ფაშიზმის წინააღმდეგ სხვა მებრძოლები. ბევრი მათგანი პლეტცენზეის კატორღულ ციხეში სიკვდილით დასაჯეს. ისინი ვაჟკაცურად იტანდნენ წამებას და დაიღუპნენ როგორც გმირები. მაგრამ მთლიანად არ დაღუპულა შულცე-ბოიზენ-ჰარნაკის ჯგუფი, ზოგიერთი იატაკქვეშელი გადარჩა. ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგობის სხვა უჯრედებში, არალეგალურ ორგანიზაციაში, რომელსაც მეთაურობდა ანტონ ზეფკოვი.

შეუძლებელია უღიდესი მღელვარების გარეშე წაიკითხოთ ამ გულადი ადამიანების მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილები, ნაშრალი პატრიოტებისა, რომლებიც შეეწირნენ თავისუფლების, სალხთა შორის მშვიდობის საქმეს. „ადვილია შენს თავს უწოდო კომუნისტი, ვიდრე ამისათვის საკუთარ სისხლს გაიღებდე. აი, მართლა სარ თუ არა კომუნისტი, მხოლოდ მაშინ დაამტკიცებ, როცა განსაცდელის ჟამი დაგიდგება“, წერდა ორგანიზაციის წევრი ვალტერ ჰუზემანი პლეტცენზეეში სიკვდილის წინ რამდენიმე საათით ადრე. შთამომავლობით მუშა, გერმანიის კომკავშირის აქტივისტი ჰუზემანი გერმანიის კომპარტიაში 19 წლისა შევიდა. ფაშისტების დროს მამასთან ერთად ორ წელიწადს იჯდა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში. განთავისუფლების შემდეგ იგი კვლავ ჩაება ბრძოლაში და შულცე-ბოიზენ-ჰარნაკის ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა.

ფაშისტი მედილეგეები შეკრთნენ, როცა ჰუზემანის ნაწერი წაიკითხეს:

„ფაშიზმისათვის სიცოცხლეს საბჭოთა კავშირისათვის სიკვდილი სჯობია!

ჯალათის ნაჯახით ღირსეული სიკვდილი სჯობია ფაშიზმის უღელქვეშ სამარცხვინო სიცოცხლეს! ეს არასოდეს დაივიწყოთ!“

შულცე-ბოიზენის ცოლი გესტაპოს ციხიდან სწერდა ახლობლებს: „მე წილად მსვდა მოვკვდე სალხისათვის. მე მიყვარს მთელი მსოფლიო, ჩემში ყვავის მარადიული გაზაფხული!“

პლეტცენზეეს ციხის № 2 საკნის კედლები სულ ლექსებით იყო აჭრელებული. ესაა ჰარო შულცე-ბოიზენის ვამოსამშვიდობებელი წერილი ამხანაგებისადმი:

დე, დავიღუპოთ, სომ ცოცხლობს
რწმენა!
რაც გვითესია, მოვიმკით მასვე.

ეს თესლი გაღვივდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — გერმანიის ისტორიაში მუშათა და გლეხთა პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში.

სის მდგომარეობა ტრაგიკული გახდა. ინგლისს არ გააჩნდა ძლიერი სახმელეთო შეიარაღებული ძალა, სხვა ქვეყნებთან მიმოსვლის გზები კი ჩაკეტილი ჰქონდა. ინგლისმა უარი განაცხადა სსრკ-თან კავშირზე და მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჰიტლერელებმა ინგლისზე პირდაპირი თავდასხმა არ ჩათვალეს საჭიროდ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ ქვეყნის მმართველი წრეები მტრის შემოჭრას არ დაელოდებოდნენ და სასწრაფოდ დათანხმდებოდნენ კაპიტულაციაზე. ასეთ ვარაუდს გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიისა და არისტოკრატიულ წრეში ბევრი იყო მოღალატე-მიუნხენელი.

ჰიტლერელები საგანგებო აურზაურით ემზადებოდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე შესაჭრელად. საფრანგეთის ნავსადგურებში თავს უყრიდნენ ბუქსირებს, კარჭაპებს, კატარღებსა და ნავებს. ამავე დროს გერმანიის ჯარები საბჭოთა კავშირის საზღვრებს უახლოვდებოდნენ.

გერმანია სსრკ-თან საბრძოლველად ემზადებოდა. უკვე დამორჩილებული ჰყავდა უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სამხედრო კავშირი შეკრა ამ ქვეყნების ფაშისტურ მთავრობებთან. 1941 წლის აპრილში გერმანია თავის მოკავშირეებთან ერთად თავს დაესხა იუგოსლავიას და საბერძნეთს, რომელთა მთავრობებმა მალე გამოაცხადეს კაპიტულაცია. გერმანელ იმპერიალისტთა ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა თითქმის მთელი კაპიტალისტური ევროპა.

იმპერიალისტებმა მიითვისეს ოკუპირებული ქვეყნების სამრეწველო საწარმოები, ბანკები, რკინიგზა, შეიარაღება, სასურსათო წარმოება და ნავთობი. მილიონობით დამონებული ადამიანი კატორღულ სამუშაოზე გაგზავნეს გერმანიაში. აქ ჩამოიყვანეს ერთ მილიონზე მეტი ფრანგი და თითქმის ორი მილიონი პოლონელი. გერმანია მონათა უზარმაზარ ბაზრად იქცა.

ფაშისტების მხეცობას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი ევროპა დაიფარა საკონცენტრაციო ბანაკების ქსელით (ბუხენვალდი, ოსვენცინი, მაიდანეკი, ზაკსენჰაუზენი), რომლებშიც ამოწყვიტეს თერთმეტი მილიონი ადამიანი. განსაკუთრებით დაუნდობლად უსწორდებოდნენ ფაშისტები სლავური ქვეყნების თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობას. ფაშისტმა მეთაურებმა შეადგინეს ათეულ მილიონობით სლავების განადგურების გეგმა. მათ განზრახული ჰქონდათ დაემონებინათ სლავები და მათი ქვეყნები გერმანელ „ბატონთა რასისათვის“ ერთგვარ „მონათა რეზერვუარად“ ექციათ.

ფაშისტმა გენერლებმა შეიმუშავეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ელვისებური ომის გეგმა, იმ ვარაუდით, რომ 6—8 კვირაში გაენადგურებინათ ჩვენი ქვეყანა.

ჰიტლერელებმა მოამზადეს საბჭოთა კავშირის ხალხების გაძარცვისა და ფიზიკური განადგურების შემზარავი პროექტები. მთელი რიგი ბრძანებები, დირექტივები და გეგმები ითვალისწინებდნენ საბჭოთა ხალხის მთელი ეროვნული ავლა-დიდების გაძარცვას, მისი სახელმწიფოებრიობის და კულტურის ლიკვიდაციას, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკურ მოსპობას, ხოლო დანარჩენი ნაწილის ყურმოჭრილ მონებად გადაქცევას.

მთელ კაცობრიობას თავს დაატყდა ისტორიაში ჯერ არნახული საშინელი რისხვა. კაპიტალისტურ სამყაროში არ აღმოჩნდა გერმანული სამხედრო მანქანის შემაჩერებელი ძალა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა კავშირის მთავრობამ იცოდნენ ჰიტლერელების განზრახვა და ემზადებოდნენ მტრის მოსაგერიებლად. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველა განზრახულ ღონისძიებათა დამთავრება ვერ მოხერხდა.

1941 წლის 22 ივნისს, განთიადისას, ფაშისტური გერმანია მოულოდნელად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას. გერმანიისა და მისი მოკავშირეების 190 დივიზიამ (5,5 მლნ ჯარისკაცი და ოფიცერი) გადმოლახა საზღვარი. თვითმფრინავთა არმადებმა დაბომბეს საბჭოთა სოფლები, ქალაქები, ჯარები. დაიწყო დიდი სამამულო ომი.

თავდაპირველად საბჭოთა კავშირისათვის მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა. მტერი, რომელმაც გამოიყენა თითქმის მთელი კაპიტალისტური ევროპის რესურსები და წარმოება, ფლობდა ძალთა დროებით უპირატესობას და ამას ვარაუდობდა კიდეც, როცა თავდასხმისათვის ემზადებოდა.

გერმანელი სარდლობის ჩანაფიქრი — გარშემორტყმოდნენ და გაენადგურებინათ საზღვრისპირა ზოლში განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილები—ჩაშალა საბჭოთა ჯარისკაცების გამძლეობამ და გმირობამ. საბჭოთა ჯარი უკან იხევდა, გულისტკივილით ტოვებდნენ მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს. ფრონტებზე და ჰიტლერელთა ტყვეობაში

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის მცხოვრებლები მიესალმებიან საბჭოთა მეომარ – გამათავისუფლებლებს (1944 წ. ოქტომბერი).

მილიონობით საბჭოთა ადამიანი იღუპებოდა. მტრის ბლოკადა სულს უხუთავდა ლენინგრადს. დაძაბულად შრომობდა ზურგში დარჩენილი ხალხი, რომელთა უმრავლესობა ქალები და მოზარდები იყვნენ. ფრონტისპირა რაიონებიდან ასობით ათასი მცხოვრები გამოდიოდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე. ქალაქთა მოსახლეობა მედგრად იცავდა სამრეწველო საწარმოებს და ნაგებობებს მტრის ავიაციის თავდასხმისაგან, დაუნდობლად ამხელდა ჯაშუშებსა და დივერსანტებს.

ფაშისტური გერმანია ვეროგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა კავშირის ომი იყო სამართლიანი, განმათავისუფლებელი, ომი სოციალიზმისა და თვით სსრკ-ის ხალხთა არსებობის გადასარჩენად, უცხო დამპყრობთა უღლისაგან მთელი კაცობრიობის გადასარჩენად (იხ. სე ტ. 9, სტ. „დიდი სამამულო ომი“).

გერმანიის წინააღმდეგ ომმა გამათავისუფლებელი ხასიათი მიიღო მანამ, ვიდრე გერმანია თავს დაეხმებოდა საბჭოთა კავშირს, განსაკუთრებით იმის შედეგად, რომ ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში იმთავითვე გაჩაღდა წინააღმდეგობის მოძრაობა. იგი წარმოიშვა 1939 წ. ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ანტიფაშისტურ გაფიცვებსა და მუშათა კლასის დემონსტრაციებს ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია. დემონსტრაციები გადაიზარდა ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ წინააღმდეგობაში. ოკუპანტები უმკაცრესი რეპრესიებით უპასუხებდნენ წინააღმდეგობის ყოველგვარ გამოვლინებას.

მაგრამ ვერავითარი ტერორი ვერ აჩერებდა ხალხთა რისხვის ზრდას. პოლონეთში, დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, იუგოსლავიასა და საბერძნეთში ფართოდ გაჩაღდა შეიარაღებული ბრძოლები.

წინააღმდეგობის მოძრაობის — ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობის — პირველ რიგებში იდგნენ კომუნისტები. მთელი ომის განმავლობაში კომუნისტები იყვნენ ყველაზე შეუპოვარი, თანმიმდევრული, მამაცი და თავგანწირული მებრძოლები ფაშისტური ბნელეთისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ. წინააღმდეგობის მოძრაობა ანტიფაშისტური, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის რაზმავდა სხვადასხვა პარტიულობის, რწმენისა და რელიგიის ხალხს. ეს ძლიერი მოძრაობა არ შემოფარგლულა ეროვნულ-გამათავისუფლებელი პატრიოტული ომით. მრავალ ქვეყანაში იგი გადაიზარდა სოციალური გათავისუფლებისათვის, ღრმა დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, განვითარე-



1944 წ. დაიწყო პოლონეთის გათავისუფლება. პოლონეთის ჯარის ქვეგანაყოფი ქალაქ ხელმის ბრძოლისას.

ბის სოციალისტურ გზაზე გადასვლისათვის ბრძოლად.

სსრკ-ის ჩაბმამ მეორე მსოფლიო ომში ახალი პერსპექტივა გადაუშალა წინააღმდეგობის მოძრაობას, სულიერად გაამხნევა ოკუპირებული ქვეყნების პატრიოტები. წინააღმდეგობის მოძრაობა არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებოდა. თავის რიგებში იზიდავდა უკვე არა ათასობით, არამედ ასიათასობით ადამიანს, მათ შორის ახალგაზრდობას და მოზარდ თაობას. თვით ჰიტლერულ გერმანიაში წარმოიშვა ანტიფაშისტური იატაკქვეშა მოძრაობა, რომლის პირველ რიგებში კომუნისტები იყვნენ.

1941 წლის 22 ივნისის შემდეგ მალე საბჭოთა კავშირის ირგვლივ და მისი მეთაურობით ჩამოყალიბება იწყო ხალხთა და მთავრობათა ანტიფაშისტურმა კოალიციამ. მასში შევიდნენ: საბჭოთა კავშირი, ინგლისი, აშშ, ოკუპირებულ ქვეყანათა ხალხები, რომლებიც აღდგნენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, დროთა განმავლობაში კი — ყველა კონტინენტის მრავალი სახელმწიფო.

ინგლისის, აშშ-სა და სხვა ქვეყანათა ხალხებს სურდათ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის მტკიცე სამხედრო კავშირი ჰქონოდათ სსრკ-თან. ბურჟუაზიული მთავრობები კი იძულებულნი იყვნენ სსრკ-თან სამხედრო კავშირში შესულიყვნენ, რადგან ვაჭარჯვებისათვის სხვა გზა მათ არ ჰქონდათ. ასე თუ ისე, მათ ჭოუხდათ დახმარებოდნენ სსრკ-ს და მისგანაც ჰიეღოთ დახმარება, თუმცა მაინც შეინარჩუნეს იდეური და პოლიტიკური მტრობა თავისი სოციალისტური მოკავშირის მიმართ.

ანტიფაშისტური კოალიციის არსებობა გერმანიაზე გამარჯვების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. მაგრამ ინგლისისა და აშშ-ის მთავრობათა ოპპირი პოლიტიკა რომ არა, ეს კოალიცია კიდევ უფრო მეტ როლს ითამაშებდა. ისინი ისწრაფოდნენ საბჭოთა კავშირთან ერთად არა მარტო გაენადგურებინათ ფაშისტური ძალები, არამედ სურდათ დაესუსტებინათ და სისხლისაგან დაეცალათ საბჭოთა კავშირიც, გერმანიაც და მერე თავისი ნება-სურვილი თავს მოეხვიათ ყველასათვის. ამ განზრახვის შესახებ ცინიკური გულღიაობით ამბობდა ჰ. ტრუმენი (იმ დროს სენატორი, ხოლო შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი): „თუ დავინახავთ, რომ გერმანია იგებს, ჩვენ გვმართებს დავეხმაროთ რუსეთს, მაგრამ თუ იგებს რუსეთი, მაშინ გერმანიას უნდა მივეშველოთ. ამგვარად, დე, რაც შეიძლება მეტი დახოცონ“.

არანაკლებ ცინიკური იყო აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა იაპონიის მიმართ. თითქმის მთელი წელი მიმდინარეობდა აშშ-სა და იაპონიას შორის ფარული მოლაპარაკება. იაპონია წყნარი ოკეანის აუზში ვრცელი ტერიტორიის დაპყრობის გეგმას

ისახავდა და სურდა, რომ აშშ ამ გეგმაზე დაეთანხმებინა. აშშ-ს კი უნდოდა იაპონიის აგრესია აერიდებინა იმ ზონებისათვის, რომლებზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ თვით ამერიკელი იმპერიალისტები და ცდილობდა იაპონიის აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარემართა.

1941 წ. ნოემბერში აშშ-ის მთავრობამ ფლოტისა და ჯარების სარდლებს შეატყობინა: „უახლოეს დროში მოსალოდნელია ომი იაპონიასა და სსრკ-ს შორის“. ამის შემდეგ ამერიკის სარდლობამ გააუქმა გამაფრთხილებელი ზომები, რომლებიც ნავარაუდევი იყო იაპონიის მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში. იაპონიამ ეს გაითვალისწინა და გადაწყვიტა, რომ მისთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა თავს დასხმოდა აშშ-ს და ინგლისის სამფლობელოებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წყნარი ოკეანის აუზში.

1941 წლის 7 დეკემბრის კვირა ღამე ჰავაის კუნძულებზე მშვიდი და უღრუბლო იყო. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზის პიორლ-ჰარბორის დიდ გარნიზონს მშვიდად ეძინა კუნძულ ოახუზე. რეიდზე, ზღუდის იქით, ერთმანეთთან მჭიდროდ იდგა აშშ-ის სამხედრო ფლოტის 93 ხომალდი. მათ შორის 8 სახაზო გემი. მთაზე, ერთ პატარა სახლში, მორიგეობის შემდეგ ორი ჯარისკაცი და სერჟანტი რადიოლოკატორთან ვარჯიშობდნენ. გამთენიისას მათ ეკრანზე შეამჩნიეს უამრავი მოძრავი წერტილი, რომლებიც კუნძულს უახლოვდებოდნენ. მტრის გემები და თვითმფრინავები ხომ არ არისო, იფიქრეს და იმწამსვე აცნობეს მორიგე ოფიცერს. მორიგე ოფიცერმა უპასუხა, ტყუილად შემაწუხეთ, იაპონია არ აპირებს თავს დაესხას აშშ-სო. ამის შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ეს თავდასხმა ფაქტად იქცა.

პიორლ-ჰარბორი ჯოჯოხეთს დაემსგავსა. რამდენიმე ასეული თვითმფრინავი იაპონიის ავიამზიდებიდან ბომბავდა ამერიკის გემებს და სანაპირო ნაგებობებს. სულ 1 საათსა და 50 წუთში 8 ამერიკული სახაზო გემიდან 5 ჩაძირეს, დანარჩენები ძლიერ დააზიანეს. სახაზო გემ „არიზონაზე“ მთელი ეკიპაჟი — 2 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირითადი ძალების ასე მოკლე დროში განადგურება საზღვაო ომის ისტორიაში არნახული მაგალითი იყო. იაპონიამ გამოიყენა მუხანათური თავდასხმის გზით მოპოვებული სამხედრო-საზღვაო უპირატესობა და 5—6 თვეში დაიპყრო მალაია, ბირმა, ინდონეზია, ფილიპინები და წყნარი ოკეანის სხვა კუნძულები. ინგლისის, აშშ-ის და აგრეთვე ჰოლანდიის კოლონიურმა ჯარებმა, რომლებიც ამ ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ, ვერ შეძლეს იაპონიის შეტევის შეჩერება.

იაპონიის ჯარების მიერ ოკუპირებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებსა და წყნარი ოკეანის აუზში დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. იგი მიმართული იყო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის წინააღმდეგ საერთოდ და გახდა საწყისი კოლონიური ხალხებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლის ძლიერი აღმავლობისა, რის წყალობითაც ომის შემდეგ მთელი რიგი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა (იხ. სტ. „კოლონიალიზმის მსხვრევა და გამათავისუფლებელი რევოლუციების გაღრმავება“). ყველა ქვეყანაში, სადაც კი წარმოიშვა პარტიზანული ბრძოლა, მისი ინიციატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ კომუნისტები. თავისუფლებისათვის საბრძოლველად აღდგა ინდოელი ხალხი. იაპონელ დამპყრობლებთან სახალხო ბრძოლა ფართოვდებოდა ჩინეთში.

აშშ-სა და ინგლისის მმართველ წრეებს ეშინოდათ ხალხთა მასების მონაწილეობისა იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. როცა ფილიპინების პატრიოტებმა შეერთებულ შტატებს შესთავაზეს ერთობლივად ებრძო-

1944 წლის აგვისტო. პარიზი თავისუფალია! აჯანყებული ხალხი საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩებში განაიარაღებს ვერმახტის ჯარისკაცებს.

ლათ იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მათ გადაჭრით უარყვეს ეს წინადადება.

როცა იაპონელმა იმპერიალისტებმა აშშ-თან და ინგლისთან ომი დაიწყეს, ბევრი რამ ვერ გაითვალისწინეს: ჯერ ერთი, რომ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ საშუალება მისცა აშშ-სა და ინგლისს, მნიშვნელოვანი ძალები გადაესროლათ წყნარი ოკეანის აუზში ატლანტიკიდან და ინგლისის სანაპიროებიდან; მეორეც ის, რომ იაპონიის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხთა მასების წინააღმდეგობამ იაპონიის ჯარები დააკავა. ყოველივე ეს დაეხმარა აშშ-სა და ინგლისს, მოეპოვებინათ უპირატესობა და ხელსაყრელი მდგომარეობისათვის მიეღწიათ წყნარ ოკეანეში.

ღირსსახსოვარი შეხვედრა ელბაზე. 1945 წ. 25 აპრილს საბჭოთა და ამერიკელმა ჯარისკაცებმა, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებმა, ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი.

ბერლინი 1945 წლის მაისის დამდეგს. საბჭოთა არმიამ ბერლინელებს იმწამსვე გაუწია სამედიცინო დახმარება, დაეხმარა საკვებით, ქალაქის მეურნეობის აღდგენაში. სურათზე: საველე სამზარეულოსთან.

ამასობაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე — მეორე მსოფლიო ომის გადამწყვეტ ფრონტზე — ძლიერდებოდა ბრძოლები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელსაც სათავეში ედგა **ი. ბ. სტალინი,** უდიდესი მუშაობა გასწიეს, რათა გამხეცებული მტრის უკუსაგდებად დაერაზმათ საბჭოთა ხალხი. საბჭოთა მეომრების გმირული წინააღმდეგობა ძირს უთხრიდა და აცამტვერებდა ფაშისტური ჯარების ძლიერებას, მათ „ელვისებური ომის“ გეგმას.

ლეგენდარული გახდა ბრესტის ციხესიმაგრის გმირების მამაცობა. თითქმის მთელი თვე უთანასწორო ბრძოლა მიმდინარეობდა და მტრის დიდ ძალებს აკავებდნენ. ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, კიევის, ნოვოროსიისკის და ქერჩის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი მსვლელობისათვის: მტერი აქ შეაჩერეს და მან უდიდესი ზარალი ნახა.

მოსკოვთან გერმანელების განადგურებამ (1941 წლის დეკემბერი) გააჭარწყლა ფაშისტთა არმიის უძლეველობის ლეგენდა, და გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობაზე.

აშშ-სა და ინგლისს გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დასავლეთიდან ამ დროს რომ დაეწყოთ, ფაშისტური გერმანია მალე დამარცხდებოდა.

მაგრამ მეორე ფრონტი არ შეიქმნა და ამან შესაძლებლობა მისცა გერმანელ სარდლობას, თავი მოეყარა თავისი რეზერვებისათვის და 1942 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე განეხორციელებინა შეტევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთში.

ვოლგის ნაპირებზე ფაშისტებმა ვერ შეძლეს ხელთ ეგდოთ სტალინგრადი, თუმცა იყო მომენტი, როცა საბჭოთა ჯარების დაცვის ზოლი ვოლგის დასავლეთ ნაპირზე სულ რაღაც 600 მ აღწევდა. ვოლგის სიმაგრის დამცველთა სიმამაცე გმირობის შესანიშნავ ფურცლად ჩაიწერა ისტორიაში.

1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა არმიამ დაიწყო შეტევა სტალინგრადთან. რამდენიმე დღეში მან გაანადგურა მტრის ჯარების ნაწილი, დანარჩენს კი — გერმანელ-ფაშისტთა 22 დივიზიას — ალყა შემოარტყა. გერმანელი სარდლობის ცდა, ალყის ფრონტი გარედან გაერღვიათ, ვერ განხორციელდა. ალყაშემორტყმული ჯარები, რომელთაც უარი განაცხადეს კაპიტულაციაზე, გაანადგურეს. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ძირფესვიანი გარდატეხა.

ეს გარდატეხა დაგვირგვინდა 1943 წლის ზაფხულში, კურსკის ბრძოლის დროს, როცა გაანადგურეს ფაშისტური მექანიზებული ჯარები — ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მანქანის საფუძველი. სტრატეგიული ინიციატივა გერმანიას საბოლოოდ გამოგლიჯეს ხელიდან მთელი ანტიფაშისტური კოალიციის სასარგებლოდ. კურსკის ბრძოლის შემდეგ საბჭოთა არმია სწრაფად დაიძრა დასავლეთისაკენ.

ბრძოლებში იზრდებოდა და მტკიცდებოდა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა კავშირი. კიევისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის პირველი ბრიგადის ჯარისკაცები ლ. სვობოდას მეთაურობით. მოგილიოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში ლენინოსათვის ბრძოლებში დაიწყო თავისი საბრძოლო გზა თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პირველმა პოლონურმა დივიზიამ. ორიოლთან საჰაერო ბრძოლებში მიიღო საბრძოლო ნათლობა სსრკ-ში შექმნილმა ფრანგ მფრინავთა ესკადრილია „ნორმანდიამ“.

საბჭოთა არმიასთან ურთიერთმოქმედებით გმირულად იბრძოდნენ ჩვენი პარტიზანები. მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საბჭოთა ხალხის ბრძოლა ჰეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ბრძოლა იყო და გერმანიის განადგურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ჩვენი პარტიზანები არა მარტო მტრის მიერ ოკუპირებულ სამშობლოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, არამედ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეზობელ ქვეყნებში მხარდამხარ იბრძოდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების პატრიოტების გვერდით.

დასავლეთ ევროპაშიც მრავალი საბჭოთა პატრიოტი, რომლებიც აქ ძირითადად ჰიტლერული სიკვდილის ბანაკებიდან მოხვდნენ, აქტიურად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. მათ ვაჟკაცობას აღტაცებითა და მადლიერების გრძნობით იხსენებს საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ნორვეგიის ხალხი. ბევრი მათგანი ეროვნული გმირი გახდა, როგორც, მაგალითად, რიაზანის კოლმეურნეობის მჭედელი თედორე პოლეტაევი; იტალიელ პარტიზანთა ოფიციალურ დოკუმენტში თედორე პოლეტაევზე წერია: „იგი იყო მუხასავით ბრგე, ნამდვილი ჰერკულესი, კეთილი და მამაცი, ყველას გვჯობდა“.

საბჭოთა მეომრები გამარჯვების დროშას აღმართავენ რაიხსტაგზე ბერლინში.

ჰიტლერელი ჯალათების უსაშინელეს ციხეებში, ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებშიც კი საბჭოთა ადამიანი უშიშარ რევოლუციონერ-მებრძოლად რჩებოდა. ვერც ტანჯვა-წამება, ვერც სიკვდილით დასჯა ვერ ტეხდა მათ ნებისყოფას.

საბჭოთა ადამიანის მოუდრეკელი ნებისყოფისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა გენერალ დ. მ. კარბიშევის სახელი, რომლისთვისაც ჰიტლერელებმა სა-

ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერა. აქტს ხელს აწერს საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი (1945 წ. 8 მაისი).

შინელი წამება მოიგონეს: ძლიერ ყინვაში მანამდე ასხეს ცივი წყალი, ვიდრე სხეული ყინულის ლოდად არ იქცა.

გმირულად იღვწოდნენ საბჭოთა ზურგის მშრომელები. მათ შორის ბევრი ქალი და მოზარდი იყო. საბჭოთა ზურგმა მოიპოვა ეკონომიკური გამარჯვება, რაც საბრძოლო გამარჯვების აუცილებელი წინაპირობა იყო.

საბჭოთა ხალხმა თავისი ძალებით გადამწყვეტ გამარჯვებებს მიაღწია. მთელმა მსოფლიომ აშკარად დაინახა ჩვენი არმიის სტრატეგიული ხელმძღვანელობის, საბრძოლო ხელოვნების, მორალური სულისკვეთების, ტექნიკისა და შეიარაღების უპირატესობა.

1944 წლის ივნისამდე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი გერმანიასთან ომის ერთადერთი ევროპული ფრონტი იყო. აშშ-სა და ინგლისის ჯარები იფარგლებოდნენ უმნიშვნელო სამხედრო ოპერაციებით იტალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში (1942 წ. ოქტომბერში მე-8 ინგლისურმა არმიამ გენერალ ბ. მონტგომერის მეთაურობით ელ-ალამეინთან გაანადგურა რომელის აფრიკული კორპუსი, ხოლო როცა ინგლის-ამერიკული არმიის ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ინგლისელი ფელდმარშალი ჰ. ალექსანდერი, ტუნისთან სძლია მოწინააღმდეგის უპირატეს ძალებს. ჩრდილოეთ აფრიკის მთელი ტერიტორია მოკავშირეთა ხელში გადავიდა).

საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებით, სისტემატურად უსვამდა საკითხს აშშ-ისა და ინგლისის მთავრობებს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე. ამ მთავრობებმა რამდენჯერმე საზეიმო აღთქმაც დადეს, მაგრამ შესრულებით კი არ შეასრულეს. როცა სრულიად აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირს შესწევდა უნარი საკუთარი ძალებით გაენადგურებინა გერმანია და გაეთავისუფლებინა მთელი ევროპა, მხოლოდ მაშინ გადმოსხდნენ ინგლის-ამერიკის ჯარები ამერიკელი გენერლის დ. ეიზენჰაუერის მეთაურობით ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე (1944 წ. 6 ივნისს). ასე გაიხსნა მეორე ფრონტი. ჰიტლერული გერმანია აღმოჩნდა ორ ფრონტს შუა მომწყვდეული, რამაც დააჩქარა ევროპაში ომის დამთავრება.

წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი დაეხმარნენ ინგლის-ამერიკის სადესანტო ძალებს დაეკავებინათ, გაემაგრებინათ და გაეფართოებინათ შეჭრის პლაცდარმი. წინააღმდეგობის მონაწილენი ამით არ შემოფარგლულან, მათ საკუთარი ძალებით გაათავისუფლეს ქვეყნის დიდი ტერიტორია, პარიზის ჩათვლით.

1944 წლის ზაფხულში ჰიტლერს თავს დაესხნენ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები. ზოგს უნდოდა რეაქციული დიქტატურის განადგურება, ზოგი კი მხოლოდ იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ჰიტლერი სხვა ფაშისტი მეთაურით შეეცვალათ. ფაშიზმის ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ პოლკოვნიკმა შტაუფენბერგმა 1944 წ. 20 ივლისს გერმანიის მთავარსარდლობის ბანაკში, სადაც მიმდინარეობდა ოპერატიული თათბირი, ჰიტლერს ყუმბარიანი პორტფელი დაუდო მაგიდის ქვეშ. ყუმბარის აფეთქებით ჰიტლერს მსუბუქი კონტუზია დაემართა მხოლოდ. შეთქმულება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ვერ განხორციელდა, რომ მის მთავარ ორგანიზატორებს კავშირი არ ჰქონდათ ხალხთან და ეშინოდათ მას დაყრდნობოდნენ.

მუშათა კლასის საქმისა და ქვეყნის ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების ერთგული რჩებოდა მთელი ომის განმავლობაში გერმანიის კომუნისტური პარტია. გერმანელი კომუნისტები თავგანწირულად ებრძოდნენ ფაშიზმს. ბრძოლაში ისინი

1945 წ. 27 ივნისს მოსკოვში გამარჯვების პარადის დღეს წითელ მოედანზე საზეიმო მარშით ჩაიარა ათასობით გამარჯვებულმა ჯარისკაცმა. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან ჰიტლერული არმიის 200 დროშა დაყარეს, მათ შორის ჰიტლერის პირადი შტანდარტი.

აბამდნენ სოციალისტებსა და უპარტიოებს. გერმანიის ღრმა იატაკქვეშეთში წარმატებით მოქმედებდნენ ანტიფაშისტური ახალგაზრდული ორგანიზაციები.

მას შემდეგ, რაც გერმანიის სამხედრო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ჰიტლერელებმა გააძლიერეს ტერორი და შურისგება. 1944 წ. მათ გაანადგურეს ბევრი აქტიური კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი. 1944 წ. 18 აგვისტოს ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში მოკლეს მუშათა კლასის ბელადი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცკ-ის თავმჯდომარე ერნსტ ტელმანი. ციხეშიც კი საშიში იყო იგი ფაშისტებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გაიხსნა მეორე ფრონტი, გერმანელ-ფაშისტთა არმიის ძირითადი ძალები განაგრძობდნენ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1945 წ. იანვარში გერმანიას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 169 დივიზია ჰყავდა. ინგლის-ამერიკის ჯარების პირისპირ იდგა 107 გერმანული დივიზია. გერმანიის წინააღმდეგ ომის გამარჯვებით დამთავრებამდე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი რჩებოდა მთავარ ფრონტად და აქ მომხდარი მოვლენები განსაზღვრავდნენ ომის სხვა ფრონტების მდგომარეობას. მეორე ფრონტისათვის ფასდაუდებელი როლი შეასრულა საბჭოთა ჯარების გრანდიოზულმა ბელორუსიის ოპერაციამ (1944 წ. ზაფხული). ომი სსრკ-ის ტერიტორიას გასცდა.

საბჭოთა არმიის იერიში და მეორე ფრონტის გახსნა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ხალხთა მასების შეიარაღებული აჯანყებით აღინიშნა.

ხიროსიმაში მშვიდობის პარკში აღმართულია იმ ბავშვთა ხსოვნის მონუმენტი, რომლებიც იმსხვერპლა 1945 წლის 6 აგვისტოს ამერიკული თვითმფრინავიდან გადმოგდებულმა ატომურმა ბომბმა. სიმბოლური ატომური ბომბის წვეროზე დგას ბრინჯაოს გოგონას ფიგურა. ცისკენ აწვდილ ხელებში გოგონას უჭირავს ოქროსფერი პატარა წერო. ძეგლი აგებულია იაპონელ მოსწავლეთა მიერ შეგროვილი სახსრებით.

1944 წ. ზაფხულს სახალხო აჯანყებამ მოიცვა მთელი საფრანგეთი.

1944 წ. 23 აგვისტოს რუმინეთის კომუნისტური პარტიის მოწოდებით ბუქარესტსა და სხვა ქალაქებში ათასობით შეიარაღებულმა მეამბოხემ ბრძოლა აუტეხა გერმანელ-ფაშისტთა შენაერთებს. რუმინეთი გამოვიდა ჰიტლერული კოალიციიდან და ომი გამოუცხადა გერმანიას.

31 აგვისტოს საბჭოთა მეომრები, რომლებსაც სიხარულით ესალმებოდა მოსახლეობა, შევიდნენ მეამბოხეთა მიერ გათავისუფლებულ ბუქარესტში. საბჭოთა არმიასთან ერთად უტევდა 1943 წელს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ტუდორ ვლადიმირესკუს სახელობის რუმინული დივიზია, რომელშიც რუმინელი სამხედრო ტყვეები ნებაყოფლობით შევიდნენ.

1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარეთში გაიმარჯვა კომუნისტური პარტიის მიერ ორგანიზებულმა აჯანყებამ.

1944 წლის სექტემბერში აჯანყდნენ ბელგიელი პატრიოტები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

1944 წლის დამდეგს იუგოსლავიის სახალხო-გამათავისუფლებელი არმია კონტროლს უწევდა ქვეყნის უდიდეს ნაწილს (სახალხო-გამათავისუფლებელი პარტიზანული რაზმების მთავარი შტაბი შეიქმნა 1941 წ. ივნისში, მისი მეთაური იყო იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი ი. ბროზ ტიტო). 1944 წლის შემოდგომაზე საბჭოთა არმიისა და იუგოსლავიის სახალხო გამათავისუფლებელი არმიის ერთობლივი მოქმედებით გაათავისუფლეს იუგოსლავიის დედაქალაქი — ბელგრადი.

ალბანეთისა და საბერძნეთის პატრიოტებმა ისარგებლეს საბჭოთა არმიის შეტევით შექმნილი ხელსაყრელი პირობებით და მთლიანად გაათავისუფლეს თავიანთი ქვეყანა ოკუპანტებისაგან.

1945 წლის 25 აპრილს საბჭოთა ჯარები ელბაზე შეხვდნენ ამერიკელებს, რომლებიც დასავლეთიდან უტევდნენ.

1945 წლის აპრილის შუა რიცხვებში იტალიის კომპარტიის მოწოდებით ამ ქვეყანაშიც დაიწყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება. განსაკუთრებული ძალით იფეთქა აჯანყებამ იტალიის სამ დიდ მუშათა ცენტრში — გენუაში, მილანსა და ტურინში. გენუის რაიონში აჯანყებულებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს გერმანიის 30 ათასიან არმიას და იძულებული გახადეს დანებებულიყო. გერმანელი სარდლისაგან კაპიტულაცია მიიღო გენუის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარემ მუშა-კომუნისტმა ნ. სკაპინიმ. მილანის მუშებმა გაანადგურეს დიდი ფაშისტური გარნიზონი. გერმანიის ჯარის დარჩენილი ნაწილი შეეცადა იტალიიდან შვეიცარიაში გაქცეულიყო. სამხედრო მანქანების კოლონაში იყო ერ-

პოლკოვნიკი ფაბიანი

ინტერნაციონალური ბრიგადის მეთაური საკაცეზე, დაიხარა, რომელზედაც იწვა მისი თანამემამულე ცხრამეტი წლის პიერ ჟორჟი:

— პიერ, რა ვაუკაცურად იბრძოდი ფაშისტთა ტანკების წინააღმდეგ. სარდლობა შენ განიჭებს ლეიტენანტის წოდებას და დამოუკიდებლობის მედლით გაჯილდოებს.

პიერს წამოდგომა არ შეეძლო. იგი მძიმედ იყო დაჭრილი.

ახალგაზრდა ფრანგი კომუნისტი პიერ ჟორჟი ორ წელს გმირულად იბრძოდა ესპანეთში. ახლა კი გადაწყვიტეს, დაჭრილი და ავადმყოფი სამკურნალოდ გაეგზავნათ სამშობლოში. ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს. რა თქმა უნდა, მაშინ არავინ იცოდა, რომ 5 წლის შემდეგ ამ კაცს მთელი საფრანგეთი ვაიცნობდა, რომ ყველა კონტინენტის პრესა მისი სახელით აჭრელდებოდა და მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში შევიდოდა. მხოლოდ ახლა მისი სახელი სხვაგვარად იწერებოდა: ლეიტენანტი პიერ ჟორჟი კი არა, პოლკოვნიკი ფაბიანი.

1941 წ. 23 აგვისტოს დილით 8 საათზე პიერ ჟორჟმა პარიზის შუაგულში, მეტროს სადგურთან ტყვია ღაახალა ჰიტლერელ მაიორს და თვალსა და ხელს შუა უკვალოდ გაუქრა მდევრებს. ამ ზუსტმა გასროლამ ათასობით ფრანგს გაახსენა მათი ვალი — ებრძოლათ სამშობლოსათვის. ერთი წლის შემდეგ გადაცმულმა გესტაპოელებმა აღმოაჩინეს იარაღის საიდუმლო სასელოსნო, ჩაუსაფრდნენ, მაგრამ (ასლა უკვე ფაბიანმა) კარი ვააღო, ერთ წამში მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, წააქცია ზღურბლთან მდგარი ფაშისტი და გაქრა. ბოლოს ოკუპანტების მსახურებმა პარიზის მეტროსთან შეიპყრეს ფაბიანი და საშინელი წამების შემდეგ გადასცეს გესტაპოს. მაგრამ 6 თვის შემდეგ ფაბიანი გაიქცა ფორტიდან, რომელიც დამპყრობლებმა საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს. კომპარტიის დავალებით მალე ფაბიანი ცენტრალურ და ჩრდილოეთ საფრანგეთში ათასობით შეიარაღებულ პატრიოტს ხელმძღვანელობდა.

...1944 წლის 19 აგვისტოს ოკუპირებულ პარიზში ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. მუშები, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, პარ-

თი სატვირთო მანქანა, რომელშიც იმყოფებოდა გერმანელი ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმული იტალიის ფაშისტთა მეთაური მუსოლინი. იგი პარტიზანებმა იპოვეს და სიკვდილით დასაჯეს. 2 მაისისათვის უკვე მთელი იტალია გაათავისუფლეს. იტალიის გათავისუფლებაში მონაწილეობა მიიღო 250 ათასმა იტალიელმა პარტიზანმა.

აჯანყებებს აწყობდნენ აგრეთვე ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში. მათგან ყველაზე დიდი იყო და წარმატებით დამთავრდა ბუხენვალდის ტყვეთა გამოსვლა, რომელსაც სათავეში ედგნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეები.

ევროპაში ომი დაგვირგვინდა საბჭოთა ჯარების ბერლინის შეტევითი ოპერაციით. საბჭოთა ჯარები, რომლებიც ძლევდნენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ მტრის დედაქალაქის ცენტრისაკენ. 30 აპრილს ჰიტლერმა თავი მოიკლა. მომდევნო დღის განთიადისას რაიხსტაგის თავზე გამარჯვების წითელი დროშა ფრიალებდა, რაიხსტაგის შენობაში კი კვლავ ბრძოლა გრძელდებოდა.

1945 წლის 8 მაისს ბერლინში ხელი მოაწერეს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. საბჭოთა მთავრობის დავალებით კაპიტულაცია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ვ. ჟუკოვმა მიიღო. 1945 წლის 9 მაისი იქცა საბჭოთა ადამიანების საყოველთაო სახალხო ზეიმად — გამარჯვების დღედ.

ჩეხოსლოვაკიაში კიდევ იყო მტრის მნიშვნელოვანი დაჯგუფება, რომელიც არ თანხმდებოდა კაპიტულაციაზე. იგი თავს დაესხა პრაღაში აჯანყებულ პატრიოტებს. საბჭოთა არმია დაიძრა პატრიოტების მისაშველებლად და გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა ეს დაჯგუფება, მიეხმარა პრაღელ მეამბოხეებს და საბოლოოდ გაათავისუფლა ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა ჯარების ამ სახელოვანი ოპერაციით დამთავრდა ომი გერმანიის წინააღმდეგ.

უსასტიკეს ბრძოლებში, რომლებიც 47 თვეს გაგრძელდა, საბჭოთა არმიამ გაანადგურა, ტყვედ წამოიყვანა და სავსებით გამოიყვანა მწყობრიდან 507 გერმანულ-ფაშისტური დივიზია და ჰიტლერული გერმანიის მოკავშირეთა ქვეყნების 100 დივიზია. ინგლისისა და აშშ-ის ყველა ფრონტზე კი გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა დაკარგეს 176 დივიზია.

საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ ჰიტლერულ გერმანიაზე დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა სოციალისტური წყობილების ძლიერი სიცოცხლო ძალა და უძლეველობა. თავისი ქვეყნის მხურვალე სიყვარულმა, მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, სსრკ-ის ხალხთა მეგობრობამ გამოიწვია ძალების ისეთი მძლავრი აღმავლობა, რომ საბჭოთა კავშირმა არა მარტო გაუძლო ფა-

---

ველნი გამოვიდნენ ბარიკადების ასაგებად. პიტლერელები ხალხის შემოტევამ ააწრიალა. აჯანყებულებს სენის მარცხენა სანაპიროზე მეთაურობდა პოლკოვნიკი ფაბიანი. ძველმა ანტიფაშისტმა მეომრებმა იცოდნენ, რომ ფაბიანი უშიშარი მეომარი, ნიჭიერი მეთაური და გამჭრიახი მზვერავი იყო. თანაც ფაბიანს ბედი სწყალობსო, — სუმრობდნენ მეომრები, — როცა მეთაური იღბლიანია, ამას რაღა სჯობსო.

პატრიოტებმა შეუტიეს. ფაბიანის რაზმებმა სენის მარცხენა სანაპიროს მხრიდან გაანადგურეს ფაშისტები და მიადგნენ ლუქსემბურგის სასახლეს, რომელიც პიტლერელებმა ციხესიმაგრედ აქციეს. სასახლის სქელი კედლების იქით და მასზე მიშენებული რკინა-ბეტონის საცეცხლე წერტებში 600 ფაშისტი იმალებოდა. ამბრაზურებიდან გამოშვერილი იყო ათეულ ტყვიამფრქვევთა ლულები, ტყვიის წვიმა ცელავდა ყველას, ვინც შეეცდებოდა მოედნის გავლით მისულიყო სასახლესთან. სასახლე მიუვალი იყო. მაგრამ ფაბიანმა მოისაზრა ტყვიამფრქვევების უვნებელყოფის საშუალება: ამბრაზურებისკენ უკუსვლით დაიძრნენ ქვიშით დატვირთული ოვითმცლელები. ფაშისტთა ტყვიები ვერაფერს დააკლებდა მათ. ვზა ხსნილი იყო და სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ „ლუქსემბურგის“ სასახლეში იყრიალა „ინტერნაციონალმა“ და „მარსელიეზამ“.

პარიზის პირველი პოლკი პოლკოვნიკ ფაბიანის მეთაურობით დაიძრა გათავისუფლებული დედაქალაქიდან და მისდია მტერს. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე თვე სახელოვანი ცხოვრებისა განვლო გმირმა და ერთი უბედური შემთხვევა დაუჯდა სიცოცხლის ფასად. იგი არც იერიშის დროს დაღუპულა და არც ტყვია მოსვედრია. ეს მოხდა სამეთაურო პუნქტის მაგიდასთან. პოლკოვნიკს სურდა შეესწავლა ნაღმის მოწყობილობა, რომელიც გაუვნებელი ეგონა, და სელში აუფეთქდა...

ფრანგ კომუნისტთა ბელადმა მორის ტორეზმა პიერის შესახებ თქვა: „პარტიზანთა ბრძოლების გმირმა პოლკოვნიკმა ფაბიანმა, რომელიც დაიღუპა ელზასში, მთელი თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით გვიჩვენა, როგორი ბრძოლა იციან ჩვენი ქვეყნის შვილებმა“

შიზმის წინააღმდეგობას, არამედ გაანადგურა კიდეც.

საბჭოთა ადამიანების მორალური სულისკვეთების უდიდესი აღმავლობა და ენერგია, მათი მასობრივი გმირობა ფრონტზე და ზურგში, ხალხის ყველა ძალის მობილიზაცია გამარჯვების მისაღწევად — კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი მოქმედების შედეგია, პარტიისა, რომელიც საბჭოთა ხალხის ბელადი და ორგანიზატორი იყო.

ჰიტლერული გერმანიისა და მისი მოკავშირეების განადგურებამ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს საშუალება მისცა თავიანთი ნება-სურვილით გადაეწყვიტათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების საკითხი. ამ ქვეყნებში მშრომელებმა დაამხვეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება და სოციალიზმის შენების გზას დაადგნენ.

საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა და აზიის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ შეცვალა ომის წყნაროკეანურ ასპარეზზე პოლიტიკური ვითარება. ამან საშუალება მისცა აშშ-სა და ინგლისს 1943 წელს გაეშალათ შეტევითი ოპერაციები იაპონიის წინააღმდეგ წყნარი ოკეანის აუზში. ამ ოპერაციების თავისებურება ის იყო, რომ ის იაპონიის ძირითად ძალებს კი არ ეხებოდა, არამედ ფილიპინების, ინდონეზიის, მალაისა და ბირმის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. სამხედრო მოქმედების წყნაროკეანურ ასპარეზზე ომი ჭიანურდებოდა და საბჭოთა კავშირი რომ არა, არაერთ წელიწადს გასტანდა.

გაითვალისწინა რა, რომ იაპონია მთელი ომის განმავლობაში გერმანიის მოკავშირე იყო და ეხმარებოდა მას სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ის, რომ იაპონია თავს დაესხა ინგლისსა და შეერთებულ შტატებს — საბჭოთა სახელმწიფოს მოკავშირეებს, 1945 წლის 8 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის მთავრობამ ომი გამოუცხადა იაპონიას.

იაპონიის წინააღმდეგ სსრკ-ის ომში ჩაბმის წინ, 6 აგვისტოს, ყოველგვარი სამხედრო აუცილებლობის გარეშე, იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაზე ამერიკული თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს ატომური ბომბი, რის შედეგადაც დაიღუპა ათეულ ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა — ბავშვები, ქალები, მოხუცები. 9 აგვისტოს, როცა საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა, აშშ პრეზიდენტისა და სამხედრო სარდლობის ბრძანებით, ატომური ბომბი ჩამოაგდეს ნაგასაკიში. ამ ქალაქის ცეცხლში და ნანგრევებში ასევე ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ეს იყო სასტიკი და ბარბაროსული დანაშაული არა მარტო იაპონელი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის მიმართ.

საბჭოთა ჯარებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს 9 აგვისტოს გამთენიისას და გაანადგურეს იაპონიის ჯარების უძლიერესი დაჯგუფება — კვანტუნის არმია, რომელიც მანჯურიაში იმყოფებოდა. 19 აგვისტოს ამ არმიის ნაწილებმა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და ჩრდილოეთ კორეაში შეწყვიტეს წინააღმდეგობა და ტყვედ ჩაბაიება იწყეს. 1 სექტემბერს დასრულდა იაპონიის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული სამხრეთ სახალინისა და კურილიის კუნძულების გათავისუფლება.

2 სექტემბერს ამერიკულ სახაზო გემ „მისურიზე“ ტოკიოს ყურეში ხელი მოაწერეს იაპონიის კაპიტულაციის აქტს. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

როგორი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენი პლანეტა, რა საფუძველზე განვითარდებოდა ხალხთა შორის ურთიერთობა? რაც უფრო დასასრულს უახლოვდებოდა ომი, მით უფრო აღელვებდა ეს საკითხი კაცობრიობას.

მშვიდობაზე ომის შემდეგ ლაპარაკი იყო ანტიფაშისტური კოალიციის მონაწილეთა ორმხრივი მოლაპარაკებისას ამ კოალიციის წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენციებზე (თეირანის კონფერენცია 1943 წ. და იალტის კონფერენცია 1945 წ.), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს და მისი წესდების შემუშავებისას დუმბარტონ-ოკსში (1944), სან ფრანცისკოში (1945) გამართულ კონფერენციებზე და ბევრ სხვა საერთაშორისო შეხვედრაზე. ამ საკითხის გადაწყვეტა არცთუ ისე ადვილი იყო, მის ირგვლივ დაძაბული პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა. მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი დაჟინებით მოითხოვდა ისეთ ომისშემდგომ წყობას, რომელიც უპასუხებდა ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს და თავიდან აგვაცილებდა ახალი ომის წარმოშობის საფრთხეს. ჩვენი ქვეყნის მონდომების წყალობით საერთაშორისო აღიარება ჰპოვა ომის მიერ წარ-

მოქმნილი პრობლემების დემოკრატიული გზით გადაჭრის მნიშვნელობამ და სახელმწიფოებს შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის მოწესრიგებამ.

საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ მეორე მსოფლიო ომში და მისმა გადამწყვეტმა წვლილმა ფაშიზმის განადგურებაში ხელი შეუწყო ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. განხორციელდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ, სახალხო-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციათა მთელი სერია.

მეორე მსოფლიო ომში თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გამარჯვება კაცობრიობის ისტორიული განვითარების მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა. ფაშისტურ სახელმწიფოთა განადგურება, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება, კოლონიურ იმპერიათა დაშლა მოასწავებდა მსოფლიოს ძალთა თანაფარდობის ძირეულ ცვლილებებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ.

1975 წ. 8 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამარჯვების ოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „XX საუკუნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ორჯერ იდგა მსოფლიოს სახის უდიდესი შეცვლის სათავეებთან.

ასე იყო 1917 წელს, როცა ოქტომბრის გამარჯვებამ გვამცნო ახალ ისტორიულ ეპოქაში მსოფლიოს შეცვლის შესახებ. ასე იყო 1945 წელს, როცა ფაშიზმის განადგურებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა შეასრულა, წარმოშვა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების მძლავრი ტალღა, რომელმაც მთელს პლანეტას გადაუარა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის ძალების განმტკიცებამდე მიგვიყვანა“.

■

სოციალიზმი — მსოფლიო სისტემა

მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოქმნა

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში დასაბამი მისცა ახალ ერას, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის ჩამოყალიბების ერას. საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით მტკიცდებოდა და ვითარდებოდა, თავისი მაგალითით აჩქარებდა მთელი მსოფლიოს რევოლუციური და გამათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობას. მაგრამ თითქმის 30 წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხი კაპიტალისტურ გარემოცვაში ცხოვრობდა. საბჭოთა საზღვრების მხოლოდ ერთ უბანზე, აღმოსავლეთ ციმბირის მახლობლად, 1921 წ. წარმოიშვა ახალი ძმური სახელმწიფო — მონღოლეთი, რომელიც 1924 წ. სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა. საბჭოთა კავშირის ხალხთა დახმარებით მონღოლეთი დაადგა განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, მერე კი გადავიდა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაზე.

კაპიტალისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ სხვა ქვეყნებში არ დაეშვათ სოციალისტური რევოლუციები და ჩვენს ქვეყანაშიც ჩაეხშოთ სოციალიზმი. სწორედ ეს ჰქონდათ მიზნად, როცა მეორე მსოფლიო ომს ამზადებდნენ. მაგრამ მშვიდობისა და თავისუფლების მტრები ანგარიშში მოტყუვდნენ. ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირეები გაანადგურეს, საბჭოთა კავშირი ომიდან გამარჯვებული გამოვიდა.

40-იანი წლების მეორე ნახევარში სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ ევროპისა და აზიის ახალი სახელმწიფოები. წარმოიშვა მსოფლიო სოციალისტური სისტემა — საერთაშორისო მუშათა კლასის მთავარი მონაპოვარი.

1944—1945 წწ. ფაშისტებს რომ მიერეკებოდა, ჰიტლერელ ოკუპანტთა მიერ დაპყრობილ და ფაშისტური გერმანიის მიერ ომში თავის მოკავშირედ ჩათრეულ ქვეყნებში. საბჭოთა არმია შევიდა როგორც მეგობრული, განმათავისუფლებელი არმია. ამ ქვეყნებში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მუშათა კლასს მხარს უჭერდნენ გლეხობის, ხელოსნების, ინტელიგენციის ძირითადი მასები. ბურჟუაზიისა და მემამულეების უმრავლესობა კი ჰიტლერელ დამპყრობთა ლაქია გახდა. თავიანთი სიმდიდრისა და პრივილეგიების შესანარჩუნებლად მათ სამშობლოს უღალატეს.

ფაშისტ დამპყრობთაგან გათავისუფლების შემდეგ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გაიმარჯვა სახალხო-დემოკრატიულმა და სოციალისტურმა რევოლუციებმა. ხელისუფლება ხელში აიღო ანტიფაშისტურმა დემოკრატიულმა ფრონტმა, რომელსაც სათავეში ედგა მუშათა კლასი. პოლონეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში დამყარდა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება, რომელმაც ზოგ ქვეყანაში თავიდანვე და ზოგში კი თანდათან განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციები და ამოცანები. 1949 წ. გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

აზიაში იაპონიის იმპერიალიზმის მთავარი ძალების განადგურებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა არმიამ. ამის შემდეგ ჩინელმა ხალხმა განდევნა უცხოეთის იმპერიალისტები და დაამხო ექსპლოატატორთა ხელისუფლება. 1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა. იაპონელ იმპერიალისტთა განადგურებით ჩრდილოეთ კორეისა და ვიეტნამის ხალხებსაც გზა გაეხსნათ რევოლუციური გარდაქმნებისაკენ. 1945 წ. ვიეტნამი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. თუმცა ვიეტნამელი ხალხი დიდხანს ებრძოდა ფრანგ კოლონიზატორებს, იგერიებდა ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ ამ ქვეყანაში გაბატონებას და ვიეტნამელი ხალხის სოციალური მონაპოვრის განადგურებას. 1976 წელს დამთავრდა ვიეტნამის გაერთიანება და იგი გამოცხადდა სოციალისტურ რესპუბლიკად.

1948 წ. გამოცხადდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ქვეყნების ხალხები დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. მოგვიანებით დასავლეთ ნახევარსფეროზეც გაჩნდა სოციალიზმის პირველი კერა: მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელ ნაწილად იქცა კუბის რესპუბლიკა, კუბელმა ხალხმა 1959 წ. გაიმარჯვა ექსპლოატატორებზე. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ლაოსის პატრიოტულ ძალთა გამარჯვება (1975), ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში დადგა მარქსისტულ-ლენინური სახალხო-დემოკრატიული პარტია. ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ ამ ქვეყნის მშრომელები შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას.

იმავე წელს უცხოელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლდა კამპუჩიაც, მაგრამ ძალაუფლება ხელთ იგდო პრომაოისტურმა ხროვამ. 1978 წელს დაიწყო სახალხო აჯანყება და 1979 წელს ვიეტნამელი ხალხის დახმარებით კამპუჩიელებმა საბოლოოდ მოიპოვეს გამარჯვება ტეროროისტულ რეჟიმთან ბრძოლაში.

ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში სახალხო-

სამშობლოსაგან მოშორებით

უშიშარ პოეტანს (საბჭოთა კავშირის გმირი თედორე ანდრიანეს ძე პოლეტაევი) იტალიაში ყველა იცნობს — დიდი თუ პატარა. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა იტალიის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი სამხედრო გმირობისათვის. ასეთივე ჯილდო მიღებული აქვს კიდევ ერთ საბჭოთა მეომარს — ფორე მოსულიშვილს.

იტალიის მიწა-წყალზე ათასობით საბჭოთა ადამიანი იბრძოდა თავისუფლებისათვის. რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, ჩვენი ქვეყნის მრავალ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ისინი გაიქცნენ ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკებიდან და შეუერთდნენ იტალიელ ანტიფაშისტებს. პარტიზან-გარიბალდელების ქვეგანაყოფებში იყო რუსული დამკვრელი ბატალიონი, რომელსაც მეთაურობდა ვ. პერელადოვი, სხვა რაზმების მეთაურები იყვნენ: ნ. ჩერნოუსი, დ. სოსედკო, ნ. ესარო.ია. პარტიზანი ა. სპიცინი იტალიის ქალაქის სან-კარლოს მცხოვრებლებმა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წევრად აირჩიეს. ცნობილია ბევრ სხვა გმირთა სახელებიც.

იტალიის სხვადასხვა მხარეშია გავარდნილი სმა მამაც საბჭოთა მეომრებზე, რომელთა სახელები დღესაც უცნობია. კამპანის პროვინციაში ჰყვებიან ორ აზერბაიჯანელ ძმაზე, რომლებმაც ბანაკიდან გაქცევა მოახერხეს, და მერე თავის ამხანაგებს მიესმარნენ გაქცევაში. ტყვიამფრქვევის ცეცხლით მათ რამდენიმე საათით შეაჩერეს ფაშისტთა კოლონა, რომელიც ნეაპოლიდან უკან ისევდა. ტურინში ისსენებენ მოსკოველ ტანკისტ ლეიტენანტს, რომელსაც ვიქტორს ეძახდნენ. იგი დღისით-მზისით მოტოციკლეტით შეევარდა ამ უშველებელი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე და ყუმბარები დააყარა ფაშისტებს. დაბა ლანცე ტორინეზეში ვიქტორი ჰიტლერელებით სავსე ფაშისტური ყაზარმის ეზოში შევიდა, მოიტაცა სურსათით სავსე მანქანა და პარტიზანებს მიჰგვარა. ვიქტორის შესახებ ბევრ სხვა გმირობასაც ჰყვებიან. იგი დაიღუპა 1944 წლის გაზაფხულზე. მისი ნამდვილი სახელი უცნობია, მაგრამ მისი სხოვნა ცოცხლობს იმათ გულებში, ვისი თავისუფლებისათვისაც ასე ვაჟკაცურად იბრძოდა მოსკოველი ტანკისტი ალპების კალთებზე. „იტალიაში არაა პარტიზანული რაიონი, რომელსაც იტალიელი პარტიზანების საყვარელ სიმღერა „კატიუშასთან“ ერთად არ შემორჩენოდეს სხოვნაში თავიანთი მისეილები, თავიანთი ალექსანდრეები, თავიანთი ვიქტორები და გრიგორები“, — წერს სერბანდინი, — იტალიელ პარტიზანთა ერთ-ერთი სელმძღვანელი.

დემოკრატიული რევოლუციები 40-იან წლებში დამთავრდა. გაჩნდა სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების შემდგომი გარდაქმნის წინაპირობა. 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანათა უმრავლესობაში დამთავრებული იყო სოციალიზმის საძირკვლის მშენებლობა. 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი წლების დამდეგს ევროპის სოციალისტურ ქვეყანათა უმრავლესობა გადავიდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაზე.

ამჟამად სოციალიზმის გზით მილიარდზე მეტი ადამიანი მიდის. თუ მეორე მსოფლიო ომის წინ სოციალისტურ ქვეყნებს ეკავათ პლანეტის ტერიტორიის 17%, 1980 წლისათვის 26%-მდე გაიზარდა. ხოლო მოსახლეობა 9%-ს შეადგენდა. 1980 წლისათვის სოციალისტურ ქვეყნებში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 32%-ზე მეტი.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოქმნა კაცობრიობის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ისტორიული მოვლენა იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. მსოფლიო სოციალისტურ სისტემას ეყრდნობიან კაპიტალიზმის ქვეყნების მშრომელები ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები კი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მოძმე ხალხთა წარმატებები

სსრკ-სა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა დიდი ისტორიული გამარჯვებები მოიპოვეს ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის ბრძოლაში, წყობილებისა, რომელიც თავისუფალია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან.

საბჭოთა კავშირში აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, წარმატებით იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენი ქვეყანა შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას.

მოძმე ქვეყნების უმრავლესობამ გადაჭრა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალი პერიოდის ამოცანები. ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები. საზოგადოება შედგება მეგობრული კლასებისაგან — მუშათა და მშრომელი გლეხობისაგან, შეიქმნა ახალი, სახალხო ინტელიგენცია. თითქმის მთელ სამრეწველო პროდუქციას იძლევიან საწარმოები, რომლებიც ხალხის საკუთრებაა. ძმური ქვეყნების უმეტესობის სოფლის მეურნეობაში ასევე განმტკიცდა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა. არსებითად ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური დონე. მშრომელები სარგებლობენ შვებულებებით, იღებენ დახმარებას ავადმყოფობისა და შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში, შემოღებულია მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიები, განხორციელებულია უფასო ან შეღავათიანი სამედიცინო დახმარება.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის დამთავრებით ძმურ ქვეყანათა უმრავლესობამ ფესი შედგა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. ეს ნიშნავს, რომ ახლა ამ ქვეყნებში სოციალიზმი სულ უფრო მეტად და უფრო ჩქარა განვითარდება საკუთარ საფუძვლებზე, ე. ი. ეკონომიკისა და კულტურის იმ დონეზე კი არა, რაც ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან მიიღეს მემკვიდრეობით, არამედ იმაზე, რაც სახალხო ხელისუფლების წლებში შეიქმნა.

ახლა სოციალისტურ ქვეყნებში შექმნილია მსხვილი სამანქანო ინდუსტრია. სოფლის მეურნეობა უფრო მეტ ტექნიკას და სასუქს იღებს. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა. მაგალითად, ახლა ბულგარეთი 6 დღეში აწარმოებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რამდენიც აწარმოა მთელი 1939 წლის განმავლობაში ბურჟუაზიული წყობილების პირობებში. განუხრელად ვითარდება წარმოების პროგრესული დარგები, იქმნება წარმოების მაღალეფექტური მრავალდარგოვანი სტრუქტურა. მომზადებულია მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მეცნიერთა კვალიფიციური კადრები. ამაღლდა ხალხის კულტურული დონე. დაგროვილია სოციალიზმის მშენებლობის უდიდესი გამოცდილება, რაც ყველა ძმური ქვეყნის ხალხთა კოლექტიურ საკუთრებად იქცა. ადამიანები ყოველწლიურად სწავლობენ მეურნეობის უკეთ წარმართვას, უკეთ მუშაობას. სოციალიზმი სულ უფრო და უფრო სრუ-

ლად ავლენს თავის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით. ყოველმხრივი ურთიერთთანამშრომლობა ეხმარება სოციალისტურ ქვეყნებს დაიპყრონ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის ახალი მიჯნები, განავითარონ და განამტკიცონ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

სოციალიზმის ქვეყნების ურთიერთობის საფუძვლები

სოციალიზმის მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში შედიან ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით, ბუნებრივი რესურსების მარაგით. თუმცა სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში ყველა სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, სავსებით თანასწორუფლებიანია. თუ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში მოქმედებს არათანაბარი ეკონომიკური განვითარების კანონი, რომლის მიზეზითაც ხდება სახელმწიფოებს შორის შეჯახება, სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში მოქმედებენ თავისი შინაარსით სხვაგვარი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემაში შემავალი ყველა სახელმწიფოს ეკონომიკის გეგმაზომიერ, სწრაფ ზრდას.

იმ დროიდან, რაც სოციალიზმის ქვეყნებში დამყარდა მშრომელთა ძალაუფლება, ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზეა აგებული: ამ ქვეყნების ხალხები ისწრაფვიან, რათა ერთმანეთს გაუწიონ ძმური, უანგარო დახმარება, დარაზმულად, ერთსულოვნად გამოვიდნენ იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, ერთად განამტკიცონ თავიანთი თავდაცვითი ძლიერება, იცხოვრონ მეგობრულად, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება შრომაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, კულტურასა და ხელოვნებაში, გაამდიდრონ ახალი ცხოვრების მშენებლობის კოლექტიური გამოცდილება.

ხალხთა შორის ასეთი ურთიერთობა შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ხოლო სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, განისაზღვრება მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებით. ყველა ძმური სოციალისტური ქვეყნის მშრომე-

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ფაშისტ დამპყრობლებს ებრძოდნენ, ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანები ჩაუფიქრდნენ იმას, თუ როგორ ეხსნათ კაცობრიობა ასალი ომების საშინელებისაგან. 1945 წლის 25 აპრილს, როცა საბჭოთა ჯარებს ბერლინზე მიჰქონდათ იერიში, სან-ფრანცისკოში (აშშ) კონფერენციაზე შეიკრიბნენ 50 ქვეყნის წარმომადგენლები, რათა ხელი მოეწერათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე. გაერთიანებული ერები — ასე უწოდებდნენ თავის თავს ომის დროს ანტიფაშისტურ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოები.

ამ დროიდანვე არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მშვიდობის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის გასავითარებლად, მრავალი სხვადასხვა პრობლემის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გადასაწყვეტად, მას ხელი უნდა შეეწყო იმისათვის, რომ ძთელ მსოფლიოში პატივი ეცათ ადამიანის უფლებებისათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა; უნდა შეეთანხმებინა სხვადასხვა ერთა მოქმედებანი ამ საერთო მიზნების მისაღწევად. სახელმწიფოებმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა აიღეს ვალდებულება მშვიდობიანად, კეთილმეზობლურად ეცხოვრათ ერთმანეთის გვერდით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო სამდივნო.

1945 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის ღელეგაციები ყოველწლიურად იკრიბებიან გენერალური ასამბლეის სესიაზე. სესიები მიმდინარეობს ნიუ-იორკში, დარბაზებში, რომლებიც აკრავს 39-სართულიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინას. აქ განისილავენ მშვიდობის შენარჩუნების, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხებს. საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების შენარჩუნების მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია უშიშროების საბჭოს. მის შემადგენლობაში შედის 15 წევრი. მათ შორის 5 საბჭოს მუდმივი წევრია (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და ჩინეთი). უშიშროების საბჭოს დანარჩენ 10 წევრს ირჩევს გენერალური ასამბლეა ორი წლის ვადით. როცა უშიშროების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, აუცილებელია ამ გადაწყვეტილებამ მიიღოს არანაკლებ 9 ხმისა, იმ პირობით, რომ უშიშროების საბჭოს არც ერთი მუდმივი წევრი არ უნდა იყოს წინააღმდეგი.

ლებს ერთი დიადი საერთო მიზანი აქვთ — კომუნიზმის (უკლასო საზოგადოების) აშენება. სოციალიზმის ქვეყნებში შექმნილია მეგობრობისა და ძმობის მყარი ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეური საფუძვლები.

რაში გამოიხატება ეს საფუძვლები?

ძმურ ქვეყნებში გაბატონებულია საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე და წარმოებულ პროდუქციაზე. ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, ელექტროსადგურები, ბანკები, ტრანსპორტი, დედამიწის წიაღი მისი სიმდიდრით ეკუთვნის ხალხს და მის ინტერესებს ემსახურება. ხორციელდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და განვითარება. ეროვნული ეკონომიკა ვითარდება გეგმაზომიერად, ხოლო სახალხო სამეურნეო გეგმების მიზანია სოციალისტური ეკონომიკის განვითარება, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. ესაა სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებანი.

წარმოების ძირითად საშუალებათა სახალხო-სოციალისტური საკუთრება, სოციალისტური გეგმიანი მეურნეობა, სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური საფუძველია.

მუშათა კლასი სოციალისტურ სახელმწიფოებში საზოგადოების წამყვანი ძალაა. მან გაათავისუფლა საკუთარი თავი და ყველა მშრომელი კაპიტალისტური უღლისა და ექსპლოატაციისაგან, ძირფესვიანად გარდაქმნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე, შექმნა ყველაზე ხელსაყრელი პირობები მთელი ხალხისა და ყოველი ადამიანის განვითარებისათვის. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, მუშათა კლასის მეთაურობით, რომლის ავანგარდია კომუნისტური პარტია, ძალაუფლება ქალაქისა და სოფლის მშრომელების ხელში გადავიდა.

მშრომელთა ხელისუფლება მუშათა კლასის მეთაურობით და მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით არის სოციალისტური თანამეგობრობის პოლიტიკური საფუძველი. სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მთელი ხალხის სრული ნდობის მოპოვება და მათი ძლევამოსილ რევოლუციამდე მიყვანა, ახალი ცხოვრების ასაშენებლად შთაგონება და ძალთა მობილიზება შეძლეს იმით, რომ ისინი მიჰყვებიან მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას. ეს დიდი და უძლეველი მეცნიერება ამკვიდრებს სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში ძმურ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო კავშირის სასიცოცხლო აუცილებლობას.

ესაა დიდ სახელმწიფოთა ერთსულოვნების პრინციპი, ზოგჯერ მას „ვეტოს“ უფლებას უწოდებენ („ვეტო“ ლათინურად ნიშნავს „ვკრძალავ“).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი სარგებლობა მოუტანა მშვიდობის საქმეს, ხელი შეუწყო ბევრი საერთაშორისო დავის გადაწყვეტას, მაგრამ ორგანიზაციის მოღვაწეობა ყოველმხრივ სასარგებლო და ნაყოფიერი როდი იყო. საქმე ისაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ბევრი კაპიტალისტური სახელმწიფო ცდილობდა და ცდილობს ორგანიზაცია გამოიყენოს თავისი ვიწრო ინტერესებისათვის. ისინი არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ხშირად წინააღმდეგობას უწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და უშიშროების საბჭოს მიერ მშვიდობის ინტერესებისათვის, განიარაღებისა და სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაციისათვის გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საბჭოთა კავშირი მთელი თავისი ძალებით ისწრაფის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადააქციოს მშვიდობის ქმედით იარაღად. იგი მტკიცედ უჭერს მხარს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყველა საკითხი წყდებოდეს მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესების მიხედვით, რომ სახელმწიფოთა შორის დავა მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოწესრიგდეს. მშვიდობისმოყვარე სხვა სახელმწიფოებთან ერთად სსრკ-მა მიაღწია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიეღო რეზოლუცია ომის პროპაგანდის წინააღმდეგ, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის აუცილებლობის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების, საყოველთაო და სრული განიარაღების აუცილებლობის, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

იზრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი. 1945 წ. მათი რაოდენობა 50 იყო, 1979 წლისათვის კი — 151. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების უმეტესობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებია, რომლებიც უწინ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიებს წარმოადგენდნენ. მათ შორის ბევრი აქტიურად უჭერს მხარს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. იბრძვის განიარაღებისათვის, კოლონიური და ნეოკოლონიური ჩაგვრის აღმოსაფხვრელად. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფრო და უფრო იძენს ავტორიტეტს, როგორც მშვიდობის განმტკიცებისა და სალსთა შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ჭეშმარიტი იარაღი.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხში ეუს კომიტეტის სხდომის მონაწილენი სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ გამოკვლევათა სამეცნიერო ცენტრში (ქალაქ პუშჩინო-ოკაზე). სურათზე: სტუმრები ათვალიერებენ ახალ დანადგარებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი იდეოლოგია, კომუნიზმის აშენების საერთო მიზანი — აი, სოციალისტური თანამეგობრობის, ძმური ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების იდეური საფუძველი.

სოციალისტური სახელმწიფოს ხალხები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ერთიანობით და დარაზმულობით. ერთიანობა ამრავლებს სოციალიზმის ძალებს. ერთად დარაზმული ძმური ქვეყნები წარმატებით იგერიებენ მსოფლიო იმპერიალიზმის მუქარასა და დივერსიას, იმპერიალიზმისა, რომელიც ცდილობს გაანადგუროს თავისუფალ ხალხთა სოციალისტური მონაპოვარი, ერთმანეთს გადაჰკიდოს ეს ხალხები. რაც უფრო მჭიდროდ დაირაზმება სოციალისტური თანამეგობრობა, მით უფრო წარმატებით და ჩქარა განხორციელდება ახალი საზოგადოების მშენებლობა, მით უფრო მალე ამაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე. ძმური ქვეყნების ერთიანობა და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, მათი ეკონომიკური და კულტურული დონის ზრდის მაღალი ტემპები სულ უფრო დამაჯერებლად ამჟღავნებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით.

ჭეშმარიტი მარქსისტ-ლენინელები იცავენ სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ერთად გამომუშავებულ პრინციპებს, წეუნელებლად იღვწიან მეგობრობის განსამტკიცებლად, მჭიდრო თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სოციალიზმის ქვეყნების ხალხებთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ინტერნაციონალიზმის, სოლიდარობის სულისკვეთებით ზრდის. იგი შეუწყნარებელია ყველაფერ იმის მიმართ, რაც ვნებს მსოფლიოს მშრომელთა ერთიანობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ძალღონეს არ იშურებს სოციალიზმის ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის სრულყოფი-

სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული ენერგოსისტემა „მშვიდობა“ უკვე დიდი ხანია დახმარებას უწევს ენერგეტიკული რესურსების უფრო მწარმოებლურად გამოყენებას. პრაღის ცენტრალური სადისპეტჩერო სამმართველოდან მოდის განკარგულება და მისი გამგონი ელექტროენერგიის ნაკადი იცვლის მიმართულებას და ძალას, მყისვე მიემართება იმ ქვეყნისაკენ, სადაც ამ დროს მასზე მოთხოვნილება უფრო დიდია. სურათზე: სადისპეტჩერო სამმართველოს მთავარი პულტი პრაღაში.



ენერგოსისტემა „მშვიდობის“ მაღალძაბვიანი ხაზები.

სა და განმტკიცებისათვის, მოთმინებით ეხმარება თავიდან აიცილონ ამ გზაზე წარმოქმნილი სიძნელეები. სკკპ განუხრელად ასრულებს იმ გადაწყვეტილებებს, რასაც ერთობლივად გამოიმუშავებენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები. ჩვენი ლენინური პარტია და საბჭოთა მთავრობა ბოლომდე ასრულებენ მოძმე პარტიებისა და სახელმწიფოების წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

ჰეშმარიტ მარქსისტ-ლენინელებს თავის მოვალეობად მიაჩნიათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ზრდას და ძალებს არ ზოგავენ ამ მაღალი მიზნის მისაღწევად. ისინი ცდილობენ განამტკიცონ მოქმედებათა ერთიანობა, ეძებენ ურთიერთგაგების უკეთეს გზებს, რათა ერთად გადაწყვიტონ სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს მშრომელთა საერთო საქმის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

სოციალისტურმა ქვეყნებმა უკვე დააგროვეს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, თავდაცვითი მეტად მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობის დიდი გამოცდილება. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მეგობრობის მტკიცე საფუძველია ჩაყრილი, ბევრი რთული პრობლემაა გადაწყვეტილი.

1949 წ. სსრკ-მა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა და ჩეხოსლოვაკიამ შექმნეს ახალი ტიპის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეუს), რომელშიც იმავე წელს შევიდა ალბანეთი (1961 წლიდან აღარ მონაწილეობს ამ ორგანიზაციის მუშაობაში), 1950 წ. — გდრ, 1962 წ. — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, 1972 წ. — კუბის რესპუბლიკა, ხოლო 1978 წ. — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა. ეუს ზოგიერთ ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკაც. აქტიურად ვითარდება კავშირი ეუს-სა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. 1973 წლიდან ეუს-თან თანამშრომლობს ფინეთი, 1975 წ. — ერაყი და მექსიკა. ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს ლაოსმა, ანგოლამ და ეთიოპიამ.

საბჭოთა კავშირს ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში. საბჭოთა კრედიტებს, მანქანების, დანადგარების, ნავთობის, ქვანახშირის, ბამბის, მარცვლეულის მიწოდებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას ომისშემდგომ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქვეყნების ეკონომიკის აღდგენისათვის, ხოლო მომდევნო წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ამჟამად ასრულებს ყოველი მოძმე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ყოველმხრივი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება აჩქარებს საერთო განვითარებას. საბჭოთა კავშირი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სოციალისტურ სახელმწიფოებს, თვითონაც ღებულობს ჩარხებს, ხელსაწყო-იარაღებს, ოპტიკურ და რადიოელექტრონულ მოწყობილობას, გემებსა და სამთო ხელსაწყოებს, ელექტროძრავებს, საღებავებს, მჟავებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სინთეზურ ქსოვილსა და სხვა ნაწარმს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან და



ქალაქ კარლოვოს ქარხანაში სრულდება საბჭოთა შეკვეთა. ორი ათასი უნივერსალური ტრაქტორი ტ-54-B, რომლებიც ბულგარეთშია გაკეთებული, დაამუშავებს ჩვენი ქვეყნის ველნახებსა და ტყის ნარგავებს.

სოციალიზმის დანარჩენი ქვეყნებიდან. სსრკ-ის ავტომშენებლობასა და ელექტროტექნიკაში უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში წარმოების კოოპერაციის შეთანხმების საფუძველზე დამზადებულ კვანძებსა და დეტალებს.

ათასზე მეტი საწარმო, ნაგებობა და სხვა ობიექტი, რომლებიც სოციალისტურ ქვეყნებში სსრკ-ის ტექნიკური დახმარებითაა აგებული, უკვე ამოქმედებულია. მათ შორისაა დიდი ელექტროსადგურები, სამთო გამამდიდრებელი და მეტალურგიული კომბინატები, ნავთობგადამმუშავებელი და მანქანათმაშენებელი ქარხნები.

ეუს ქვეყნებმა მოკლე დროში ჩააყენეს მწყობრში გიგანტური ნავთობსადენი „მეგობრობა“, რომელიც გადაჭიმულია 5 ათასი კმ-ის სიგრძეზე — ვოლგისპირეთიდან, სადაც ნავთობს მოიპოვებენ, პოლონეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის საზღვრებამდე. წარმატებით მუშაობს ერთობლივად აგებული ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემა „მშვიდობა“, რომელიც ევროპის მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებს ამარაგებს ელექტროენერგიით. ეუს დაინტერესებული ქვეყნები ერთობლივად აგებენ ქვანახშირის, კალიუმის მარილის, რკინის მადნის მომპოვებელ საწარმოებს, სასუქისა და ცელულოზის საწარმოებს. დასრულდა ორენბურგიდან სსრკ-ის დასავლეთ საზღვრებამდე გაზსადენ „კავშირის“ მშენებლობა (1978 წ.).

ძალიან მნიშვნელოვანია სოციალისტური ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ჩვენს დროში მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ნამდვილი რევოლუცია ხდება, სულ უფრო და უფრო ძლიერდება ბუნებაზე ადამიანის ძალაუფლება. მეცნიერების შემდგომი განვითარება დიდად შეუწყობს ხელს ხალხისათვის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის სიუხვის შექმნას და დააჩქარებს კომუნიზმში გადასვლას.

სოციალისტური ქვეყნები ერთმანეთს უცვლიან სამეცნიერო ინფორმაციას, ახალ საწარმოთა პროექტებს, უახლეს მანქანათა და დანადგართა წარმოების დოკუმენტაციას. ამ გაცვლა-გამოცვლაში დიდი როლი ენიჭება საბჭოთა კავშირს. მთელი მსოფლიოს მეცნიერ-მუშაკთა ერთი მეოთხედი ჩვენს ქვეყანაზე მოდის; საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა მეცნიერების მთელ რიგ დარგებში მსოფლიო პირველობა მოიპოვეს.

სსრკ-ის ინიციატივით მოსკოვის მიდამოებში (ქალაქ დუბნაში) გაიხსნა ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი, სადაც სოციალისტური ქვეყნების ფიზიკოსები ერთობლივად მუშაობენ ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის, ახალი ცხოვრების მშენებლობის ინტერესებისათვის გამოსაყენებლად.

70-იან წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ერთობლივი სამუშაო ჩაატარა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების 1500-ზე მეტმა მეცნიერულმა ორგანიზაციამ. ამ ქვეყნებმა შექმნეს სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების დაახლოებით 50 საკოორდინაციო ცენტრი.

სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პრობლემები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და სოციალიზმის სხვა ქვეყნების მოძმე პარტიების ყურადღების ცენტრშია მუდამ. ამას მოწმობს სკკპ-ისა და სხვა მოძმე პარტიების ყრილობების გადაწყვეტილებე-

ბი, ამ პარტიათა ცკ-ის პლენუმების დადგენილებანი, სოციალისტურ ქვეყანათა კომუნისტურ და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრები.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნების ეკონომიკათა განვითარებისა და დაახლოების ახალი შესაძლებლობები ნათლად აისახა მოსკოვში 1969 წ. გამართული ეუს 23-ე სპეციალური სესიის გადაწყვეტილებებში. ამ დროიდან დაიწყო ეუს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ეტაპი. ეუს სესიამ 1971 წ. ერთხმად მიიღო ეუს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, გაუმჯობესებისა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამა. ეს პროგრამა გათვალისწინებულია 15—20 წელიწადზე და ეტაპურად ხორციელდება.

მაინც რა არის სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია? ესაა ეუს წევრი ქვეყნების ეკონომიკის დაახლოების, ეროვნულ მეცნიერებათა მალალეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბების, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების გაუმჯობესების გეგმაზომიერი პროცესი, რასაც აწესრიგებს ეუს ქვეყანათა კომუნისტური და მუშათა პარტიები და მთავრობა.

როგორც სკკპ 25-ე ყრილობაზე აღინიშნა, ყოველი სოციალისტური ერის აყვავებასა და სოციალისტურ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის განმტკიცებასთან ერთად, სულ უფრო მჭიდრო ხდება მათი ურთიერთკავშირი, ერთობის უფრო და უფრო მეტი ელემენტი ჩნდება მათ პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში, თანდათან ხდება განვითარების დონის გათანაბრება. სოციალიზმის ქვეყნების თანდათანობითი დაახლოების ეს პროცესი ახლა სრულიად გარკვეულად ვლინდება, როგორც კანონზომიერება. კომპლექსური პროგრამის შესასრულებლად ჩატარებულმა მუშაობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ახლა უკვე საგრძნობლად გაღრმავდა ეუს ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთმოქმედება.



მოსკოვი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს)— სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის — შენობა.

ეკონომიკური ინტეგრაციის გზებზე ძლიერდება სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობის სიმტკიცე და დარაზმულობა.

ეუს ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთავრობები ავითარებენ სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, რათა წარმატებით გადაჭრან თავიანთი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, როგორიცაა: მწარმოებლური ძალების შემდგომი განვითარება, უმაღლესი სამეცნიერო-ტექნიკური დონის მიღწევა, ხალხთა კეთილდღეობის ამაღლება, მოძმე ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

ეუს ქვეყნების თანამშრომლობა ვითარდება, უპირველეს ყოვლისა, ერთობლივი გეგმიანი საქმიანობით. ეს ნიშნავს, რომ ძმური ქვეყნები ერთობლივად განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ძირითადი სამეურნეო ამოცანები, რა სახის პროდუქციის გამოშვებაზე დასპეციალდეს თითოეული მათგანი, საით გაიგზავნოს ეს ნაწარმი და თითოეულმა ქვეყანამ საიდან უნდა მიიღოს საჭირო მანქანები, დანადგარები და ნედლეული. სრულყოფილი ხდება მოძმე ქვეყნების თანამშრომლობა სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში, საგარეო ვაჭრობის სფეროსა და სავალუტო-

საფინანსო ურთიერთობაში. ეუს XXX სესიაზე (1976) მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, კერძოდ, გრძელვადიანი მიზნობრივი სანედლეულო, ენერგეტიკული, სასურსათო და სხვ. პროგრამის შესამუშავებლად. ამჯერად სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ არა მარტო იუგოსლავიის, არამედ ვიეტნამის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ლაოსისა და ანგოლის წარმომადგენლები. ეს ეუს ავტორიტეტის, მისი კავშირის გაფართოების დამადასტურებელია.

ეკონომიკური ინტეგრაცია აახლოებს სოციალისტურ ქვეყნებს, ამტკიცებს მათ მეგობრობასა და ძმობას. მას კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრში ახალი წარმატებები მოაქვს სოციალიზმისათვის და დახმარებას უწევს მთელი მსოფლიოს მშრომელებს რევოლუციურ ბრძოლაში.

1979 წელს შესრულდა ეუს 30 წლისთავი. ამ პერიოდში მასში შემავალი სოციალისტური ქვეყნების ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 8-ჯერ, თუ ამ ქვეყნების მრეწველობის განვითარების დონე ერთმანეთისაგან 5-ჯერ განსხვავდებოდა, ამჟამად განსხვავდება 1,7-ჯერ.

სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობა

სოციალიზმის ძმური ქვეყნები აღვართოებენ და ამტკიცებენ პოლიტიკურ თანამშრომლობას ერთმანეთს შორის. ისინი ერთობლივად გამოიმუშავებენ საგარეო პოლიტიკის კურსს და ერთმანეთს უთანხმებენ საერთაშორისო ასპარეზზე თავიანთ მოქმედებას. ერთად იცავენ სოციალიზმის მონაპოვარს. ისინი ატარებენ ინტერნაციონალურ პოლიტიკას: მუდამ ზრუნავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის საერთო ინტერესებისათვის, ამტკიცებენ სოლიდარობას საერთაშორისო მუშათა კლასთან, მხარს უჭერენ იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას, მტკიცედ იცავენ მშვიდობის საქმეს.

სოციალისტური სახელმწიფოები თავიანთი პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ერთმანეთს უცვლიან მთავრობისა და პარტიულ დელეგაციებს, აწყობენ მეგობრულ მოლაპარაკებას, თათბირებს და კონსულტაციებს, მრავალმხრივ და ორმხრივ შეხვედრებს. ისინი ერთად განიხილავენ მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებს, ერთმანეთს უზიარებენ ნოსაზრებებს, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას. ძმური ქვეყნებისა და პარტიების წარმომადგენლები ასეთ შეხვედრებზე პირდაპირ და დაუფარავად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს, ისწრაფვიან მათი ურთიერთმისაღები გადაწყვეტისათვის, რაც შეესაბამება მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებს.

1955 წ. სსრკ-მა და სოციალიზმის ევროპულმა ქვეყნებმა დადეს ვარშავის ხელშეკრულება მეგობრობაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა შეიარაღებულ ძალთა გაერთიანებული სარდლობა. ამ ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი.

სოციალისტური სახელმწიფოების ეს თავდაცვითი კავშირი დაიდო ახალი ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ძმური ქვეყნების შეთანხმებული მოქმედების მიზნით. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია იყო საპასუხო ღონისძიება აშშ-სა და სხვა იმპერიალისტურ ხელისუფალთა აგრესიულ მზადებაზე, რომლებმაც ჯერ კიდევ 1949 წ. შექმნეს ჩრდილოეთ-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ანუ ნატო-ს ბლოკი), რათა დამუქრებოდნენ სოციალისტურ ქვეყნებს.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია საიმედოდ ემსახურებოდა და ემსახურება მშვიდობის განმტკიცების საქმეს ევროპასა და მთელს მსოფლიოში. ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები ერთად იბრძვიან იმპერიალიზმის ცდის წინააღმდეგ — განხეთქილება შეიტანონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობაში.

1980 წლის მაისში, ვარშავის ხელშეკრულების ხელმოწერის 25 წლისთავთან დაკავშირებით პოლონეთის დედაქალაქში ჩატარდა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის საიუბილეო სხდომა, რომელზეც მიღებული იყო მშვიდობის განმტკიცებისა და განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების კონსტრუქციულ წინადადებათა მთელი კომპლექსი.

სსრკ-მა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა უდიდესი მატერიალური, მორალური და სამხედ-



გდრ-ის აზოტის კომბინატის მუშები იღებენ ჩეხოსლოვაკიაში დამზადებულ ქიმიურ რეაქტორს. ეს რთული კონსტრუქცია 12 დღის განმავლობაში დიდი სიფრთხილით გადაჰქონდათ საავტომობილო გზებზე.

რო დახმარება გაუწიეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს აშშ-ის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში, მერე კი დიდად დაეხმარნენ ამ ძმურ სახელმწიფოებს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში.

რამდენადაც მტკიცეა და მჭიდრო სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა, იმდენად უფრო სწრაფია და წარმატებით მტკიცდება მათი ეკო

იუნესკო

1965 წ. წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში გაცურეს საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევმა გემებმა—„ვიტიაზმა“. „ი. მ. შოკალსკიმ“, „ვოეიკოვმა“, „ქემჩუგმა“, „ვენაღი ნეველსკოიმ“. ზუსტი ხელსაწყოებითა და რადიოლოკატორებით აღჭურვილი ეს გემები სწავლობდნენ წყლის შემადგენლობას, წყლის ზედაპირსა და სიღრმეში ტემპერატურის ცვლილებებს, დინებათა მიმართულებებს. ფსკერის, რელიეფს, ოკეანის ფლორას და ფაუნას. თევზის რეწვის პირობებს. საბჭოთა მკვლევარებთან ერთად ოკეანეს იკვლევდნენ ევროპის, ამერიკისა და აზიის მრავალი ქვეყნის მეცნიერები. ყველა გამოკვლევა ტარდებოდა ერთიანი საერთაშორისო გეგმით, რომელიც რამდენიმე წელიწადზე იყო გათვალისწინებული.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმ ერთობლივი სამეცნიერო მუშაობისა, რაც თანამედროვე მსოფლიოში ათეულმა სახელმწიფოების ძალებით სორციელდება. ღვასასელებთ კიდევ წყნარი მზის საერთაშორისო წელს. საერთაშორისო პიდროლოგიურ ათწლეულს, საერთაშორისო პროგრამას „ადამიანი და ბიოსფერო“, განათლების საერთაშორისო წელს, წიგნისა და კითხვის საერთაშორისო წელს, ეგვიპტის უძველესი კულტურის ძეგლთა შენარჩუნების ღონისძიებებს.

ამ და სხვა უამრავ საქმეს ორგანიზაციას უკეთებს ი უ ნ ე ს კ ო. ასე ჰქვია შემოკლებულად (ინგლისური სახელწოდების პირველი ასოებს მისედვით) გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში. მასში შედის 146 სახელმწიფო (1979 წ.). ამ ორგანიზაციის ამოცანაა ხელი შეუწყოს სასალსო განათლების განვითარებასა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების პროგრესს. ი უ ნ ე ს კ ო უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოკეანეების, ატმოსფეროს, ფლორისა და ფაუნის ერთობლივი სამეცნიერო კვლევის განვითარებაში, სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელებაში. მისი საშუალებებით, მისი გეგმების მისაღწევად სორციელდება ბევრი სასარგებლო საქმე — წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ამ ქვეყნებისათვის სპეციალისტების მომზადება, განვითარებადი ქვეყნებისათვის მოწინავე სამეცნიერო და ტექნიკური გამოცდილების გადაცემა. იუნესკოს თაოსნობით საზეიმოდ აღინიშნება დიდი ადამიანებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების თარიღები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მშვიდობისა და ხალხთა დაახლოების საქმეს.

საბჭოთა კავშირი იუნესკოს წევრია 1954 წლიდან. იგი იღვწის, რათა ამ ორგანიზაციამ უფრო მეტად შეუწყოს ხელი მშვიდობის საქმეს და მსოფლიოს ბავშვებს შეეძლოთ სკოლაში სწავლა, ამხილოს ომის გამჩაღებლები და ყველა ის, ვისაც სურს ხალხები ერთმანეთს გადაპკიდოს.

1970 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით მთელს მსოფლიოში საზეიმოდ აღინიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავი.

ნომიკური ძლიერება, მაღლდება ხალხთა კეთილდღეობის დონე.

სოციალისტური ქვეყნები არა მარტო ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობენ. მათ შორის არსებობს მდიდარი, მრავალმხრივი კულტურული თანამშრომლობა. ისინი ერთმანეთს უცვლიან ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევებს, კინოფილმებს, სატელევიზიო გადაცემებს, აწყობენ თეატრების, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების საზღვარგარეთულ გასტროლებს, ხელოვნების ნიმუშების გამოფენებს, ფესტივალებს. ყოველ ძმურ ქვეყანაში თარგმნიან და გამოსცემენ სხვა სოციალისტური ქვეყნების მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებს.

სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობა — ესაა გაცხოველებული, სისხლსავსე კავშირი იმ ხალხებს შორის, რომლებიც აშენებენ ახალ საზოგადოებას. ძმური ქვეყნების ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივები საწარმოო დახმარებისათვის, გამოცდილების გასაზიარებლად ერთმანეთს უცვლიან დელეგაციებს, ერთმანეთთან თანამშრომლობენ მოძმე ქვეყნების ქალაქები და ოლქები, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. ლენინური კომკავშირი მეგობრობს სხვა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. მათთან ინტერნაციონალურ კავშირში უფრო და უფრო აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერები და მოსწავლეები.

პიონერულ რაზმებს და სკოლებს მიმოწერა აქვთ მოძმე ქვეყნების თანატოლების ორგანიზაციებთან. საზღვარგარეთის მოსწავლეთა დიდი ჯგუფები ყოველწლიურად ჩამოდიან სსრკ-ის პიონერთა ბანაკებში, საბჭოთა კავშირის ბავშვები კი დასასვენებლად მიემგზავრებიან მათ ქვეყნებში. ასი ათასობით საბჭოთა ტურისტი ეცნობა მოძმე ხალხების ცხოვრებას, ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ტურისტები კი ჩამოდიან საბჭოთა კავშირში. ამ ცოცხალ ურთიერთობასა და თანამშრომლობას ღრმა ისტორიული აზრი აქვს: ასე ეყრება საძირკველი მსოფლიოს ხალხთა მომავალ საერთაშორისო ძმობას.

მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა

თავისი არსებობის პირველივე დღიდან საბჭოთა ქვეყანა გამოვიდა როგორც მშვიდობის მედროშე. 1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მშვიდობის დეკრეტი. ამ დეკრეტით დაპყრობითი იმპერიალისტური ომი კაცობრიობის მიმართ უდიდეს დანაშაულად გამოცხადდა. საბჭოთა მთავრობამ ყველა ქვეყანას შესთავაზა მშვიდობიანი ცხოვრება, სახელმწიფოთა და ხალხთა შორის თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება, ვაჭრობის განვითარება და მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა ურთიერთგაზიარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ურყევად ერთგულია ლენინის ანდერძისა. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე ისინი მტკიცედ იცავენ მშვიდობის, თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და ხალხთა ძმობის საქმეს.

თანამედროვე სამყაროში არსებობენ ძლიერი ძალები, რომელთაც შესწევთ უნარი ალაგმონ იმპერიალისტები, არ მისცენ მათ საშუალება, რომ კაცობრიობა მსოფლიო ატომური ომის უფსკრულში ჩაითრიონ. ესენი არიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები; საერთაშორისო მუშათა კლასი და კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მასები; აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხები, რომლებიც იბრძვიან ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა მშვიდობის მთავარი საყრდენია. სოციალისტური სახელმწიფოები იცავენ მშვიდობას, იმიტომ, რომ მშვიდობა სჭირდება ხალხებს, იმიტომ, რომ სოციალიზმი ვითარდება მშვიდობიანობის პირობებში და სულ უფრო თვალსაჩინოდ ამტკიცებს თავის უპირატესობას კაპიტალისტურ წყობასთან შედარებით.

სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს ისეთი კლასები, რომლებისთვისაც საჭირო იქნებოდა ომი, ძარცვა და სხვა ხალხების დამონება.

საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვა-

რე ძალთა შეუპოვარმა ბრძოლამ მშვიდობისათვის და ხალხთა შორის კეთილმეზობლობისათვის უკვე დიდი ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა კავშირმა მიაღწია იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებიც გმობენ აგრესიულ ომებს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში ძალის გამოყენებას. ჩვენი ქვეყანა დაჟინებით მოითხოვს, რომ სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი ყველა სადავო საკითხი იარაღის საშუალებით კი არა, მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაწყდეს. სსრკ-ის ინიციატივით ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დედამიწაზე, ჰაერში და წყლის ქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ.

სკკპ XXIV ყრილობამ (1971) განიხილა მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ყრილობამ გამოიტანა დასკვნა, რომ მსოფლიოში მოხდა სერიოზული ძვრები სოციალიზმის სასარგებლოდ. გაიზარდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ძლიერება, განმტკიცდა ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ძალთა პოზიციები. სსრკ-ის თავდაცვითი ძლიერება ზღუდედ აღიმართა ომის იმპერიალისტ წამომწყებთა წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკის დარგში სკკპ XXIV ყრილობამ წამოაყენა მშვიდობის პროგრამა. მისი მთავარი აზრი ის არის, რომ მსოფლიო სოციალიზმის ძლიერებაზე, დარაზმულობასა და აქტიურობაზე, მთელ პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან მზარდ კავშირზე დაყრდნობით მიგვეღწია შემობრუნებისათვის „ცივი ომიდან“ სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ. იმას, რასაც მივაღწიეთ ამ მიმართებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ყოველი ღონე ვიხმარეთ, — თქვა მოხსენებაში სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე, — ჩვენს ქვეყანასა და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მშვიდობიანი მშენებლობის პირობების უზრუნველყოფისათვის, ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროებისათვის“.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას ფართოდ დაუჭირა მხარი მსოფლიოს კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ, ყველა ქვეყნის მშვიდობისათვის მებრძოლებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

მშვიდობის პროგრამას რომ ახორციელებს, საბჭოთა კავშირმა მიაღწია დიდ წარმატებას. გაიზარდა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკის გავლენა საერთაშორისო მოვლენების მსვლელობაზე. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბევრი წამყვანი პოლიტიკური მოღვაწე იძულებული შეიქნა ეღიარებინა თავისი ადრინდელი პოლიტიკის უნაყოფობა, იმ პოლიტიკისა, რომელიც გულისხმობდა სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირზე, მსოფლიო სოციალიზმზე. ისინი იძულებულნი გახდნენ ეცნოთ მსოფლიოს ძალთა ახალი თანაფარდობა. 70-იანი წლების დამდეგს აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ხდება შემობრუნება დაძაბულობის შენელებისაკენ, ომის საშიშროების შესუსტებისაკენ.

როგორ ხორციელდება მშვიდობის პროგრამა ცხოვრებაში?

1. ვიეტნამელმა ხალხმა იმპერიალისტ აგრესორთა და მათ დამქაშთა წინააღმდეგ მრავალწლიან გმირულ ბრძოლაში მოიპოვა ისტორიული გამარჯვება. ლიკვიდირებულია სამხედრო კერა ინდოჩინეთში. ეს მნიშვნელოვანი წვლილია საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებაში, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში.

ფართო აღიარებას პოულობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რაზედაც უნდა იგებოდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოების ურთიერთობა. ეს პრინციპები დამტკიცებულია სხვა მრავალ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან სსრკ-ის ერთობლივ განცხადებაში. 1972 წ. მაისში სსრკ-მა და აშშ-მა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელშიც მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები ორივე მხარის მიერ აღიარებულია, როგორც მათი ურთიერთობის საფუძველი.

2. მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები ევროპაში უშიშროების განმტკიცების საქმეში. უკანასკნელ წლებში ხელმოწერილი საერთაშორისო დოკუმენტები განამტკიცებენ იმ საზღვრების დაურღვევლობას, რომლებიც შეიქმნა ევროპაში ფაშიზმის განადგურების შედეგად. ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

1975 წლის ზაფხულში წარმატებით დამთავრდა თათბირი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ. ეს შეხვედრა იქცა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად. მან დასაბამი მისცა დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპს, იგი მოგვევლინა როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი მშვიდობიანი თანაარსებობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპების განმტკიცების გზაზე.

ევროპის 33 სახელმწიფოს, აშშ-ისა და კანადის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ხელი მოაწერეს დასკვნით აქტს, რომლის პრინციპებითაც ისინი იხელმძღვანელებენ ურთიერთდამოკიდებულებაში. აი, ეს პრინციპები: თანასწორობა, სუვერენიტეტის დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა; ძალისა ან ძალის მუქარის გამოუყენებლობა; საზღვრების დაურღვევლობა; სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი მოწესრიგება; შინაურ საქმეში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და უფლება, თვითონ განაგოს თავისი ბედი; სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლის ხაზით მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულება. თათბირმა განსაზღვრა თანამშრომლობის პერსპექტივები მთელ რიგ დარგებში — ვაჭრობა-ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, გარემოს დაცვაში, კულტურასა და განათლებაში. მან შეიმუშავა რიგი მნიშვნელოვანი შეთანხმებებისა სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების, მათ შორის სამხედრო დარგშიც.

სრულიად ევროპის თათბირის შეთანხმებების ცხოვრებაში განხორციელება სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს ევროპის ხალხთა ცხოვრებაზე, უდიდეს წვლილს შეიტანს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში.

3. 1973 წ. სსრკ-მა და აშშ-მა ხელი მოაწერეს უვადო შეთანხმებას ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ მათი პოლიტიკის მიზანია ბირთვული ომისა და ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროებათა თავიდან აცილება.

საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით იბრძვის განიარაღებისათვის, აყენებს წინადადებებს მასობრივი მოსპობის იარაღის ასაკრძალავად, ხოლო შემდგომ საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიაზე (1975) საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება მასობრივი მოსპობის იარაღის სახეობათა და ასეთი იარაღის ახალი სისტემის დამუშავებისა და წარმოების აკრძალვის შესახებ, დააყენა საკითხი ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების დადების შესახებ.

4. სსრკ-სა და აშშ-ს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება და უკვე დადეს კიდეც პირველი შეთანხმებანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. ევროპის სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელებასთან ერთად მოხდეს სამხედრო დაძაბულობის შენელება, მიაღწიონ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ორმხრივი შემცირების შეთანხმებას.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა იდეა კოლექტიური ძალებით შეიქმნას აზიაში უსაფრთხოების სისტემა, რომელსაც მხარს უჭერს დედამიწის ამ ყველაზე დიდი კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ძალები.

სსრკ-ის წინადადებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო (1974) გადაწყვეტილება, მოუწოდოს უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შეამციროონ სამხედრო ბიუჯეტი 10%-ით და დაზოგილი სახსრების ნაწილით დახმარება გაუწიონ განვითარებად ქვეყნებს.

5. საბჭოთა კავშირი, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოები, მთელი პროგრესული ძალები გადაჭრით უჭერენ მხარს ჯერ ისევ კოლონიზატორთა ძალაუფლების ქვეშ მყოფი ქვეყნებისა და ხალხთა განთავისუფლებას. სოციალისტურმა ქვეყნებმა პირველებმა სცნეს გვინეა-ბისაუს, მოზამბიკის, ანგოლის, ზიმბაბვეს ახალი სახელმწიფოები, რომლებმაც მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლებში მოიპოვეს თავიანთი დამოუკიდებლობა. სოციალიზმის ქვეყნების მძლავრ მხარდაჭერას პოულობენ კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ნამიბიაში, ყველა, ვინც გამოდის თავისუფლებისათვის, თანასწორობის და›

ხალხთა ძმობისათვის. სსრკ-ისა და ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოების ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1974 წელს მიიღო დეკლარაცია, რომ თითოეულ სახელმწიფოს აქვს ხელშეუვალი უფლება განაგოს თავისი ბუნებრივი რესურსები და განსაზღვროს თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, აქვს აგრეთვე უცხოური საკუთრების ნაციონალიზაციის უფლება. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მსოფლიოში უნდა დამყარდეს ისეთი წყობა, რომლის დროსაც უცხო იქნება უსამართლობა და უთანასწორობა ხალხებს შორის, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის წაიშლება განსხვავება ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ.

6. სსრკ და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები ავითარებენ ურთიერთხელსაყრელ და თანასწორუფლებიან ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ თანამშრომლობას სხვაგვარი საზოგადოებრივი წყობის მქონე სახელმწიფოებთან. ეს ყველა ხალხისათვის სასარგებლოა.

სკკპ XXV ყრილობამ (1976) გამოიტანა დასკვნა, რომ მშვიდობის საქმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლა პირველ რიგში მოითხოვს შემდეგი მომწიფებული ამოცანების გადაჭრას:

— განუხრელად განვამტკიცოთ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობა და განვავითაროთ მათი ყოველმხრივი თანამშრომლობა ახალი საზოგადოების აშენებაში, გავზარდოთ მათი აქტიური ერთიანი ღვაწლი მშვიდობის განმტკიცებაში.

— ვიღვწოდეთ იმისათვის, რომ შეწყდეს მზარდი, მშვიდობისათვის საშიში გამალებული შეიარაღება და გადავიდეთ იარაღის დაგროვილი მარაგის შემცირებაზე, განიარაღებაზე. ამ მიზნით: ა) ყოველი ღონე ვიხმაროთ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ სსრკ-სა და აშშ-ს შორის ახალი შეთანხმების მომზადების დასამთავრებლად, ბირთვული იარაღის გამოცდის საყოველთაო და სრული შეწყვეტის, ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის, მასობრივი განადგურების ახალ სახეობათა იარაღის შექმნის აკრძალვის შესახებ. ბ) განვახორციელოთ ახალი ღონისძიებანი ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების გააქტიურებისათვის. გ) მივაღწიოთ, რომ ბევრი სახელმწიფოს სამხედრო ხარჯების ახლანდელი მუდმივი ზრდა შეცვალოს მათი სისტემატური შემცირების პრაქტიკამ. დ) ყოველი ღონე ვიხმაროთ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევისათვის.

— წარვმართოთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მთავარი ღონისძიებანი დარჩენილი საომარი კერების ლიკვიდაციისა და, უწინარეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგების განხორციელებისათვის.

— ყოველი ღონე ვიხმაროთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გასაღრმავებლად, სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებით მისი განხორციელებისათვის. აქტიურად გავატაროთ სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის სრული განხორციელების, ევროპაში მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ხაზი. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაბამისად სხვადასხვა დარგში — პოლიტიკასა და ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში — თანმიმდევრულად განვავითაროთ ხანგრძლივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, დიდ ბრიტანეთთან და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

— საქმე წარვმართოთ აზიის უშიშროების უზრუნველყოფისათვის ამ კონტინენტის სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებების საფუძველზე.

— ვესწრაფოდეთ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების დადებას.

— ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ამოცანად მივიჩნიოთ ხალხთა კოლონიური ჩაგვრის სისტემის ყველა ნაშთის სრული ლიკვიდაცია.

— ვიღვწოდეთ საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციისა და ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლებების აღმოფხვრისათვის, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში არათანასწორუფლებიანობის დიქტატის, ექსპლოატაციის ყველა გამოვლინების ლიკვიდაციისათვის.

ეს წინადადებები წარმოადგენს სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის ორგანულ გაგრძელებას და განვითარებას. საბ-

ჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ამ წინადადებებს განიხილავენ, როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას.

მშვიდობის საქმემ უკვე დიდ წარმატებებს მიაღწია, თუმცა ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი, ომის საშიშროება ძალაში რჩება. კაპიტალისტურ ქვეყნებში კვლავაც მოქმედებენ მშვიდობისადმი მტრულად განწყობილი ძალები. ამიტომაც საბჭოთა ხალხი განამტკიცებს თავისი ქვეყნის თავდაცვით ძლიერებას. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შეკავშირებული სსრკ და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები მტკიცედ დგანან უსაფრთხოების სადარაჯოზე, ფხიზლად იცავენ ხალხთა რევოლუციურ მონაპოვრებს. სკკპ საერთაშორისო ლენინური პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას მშვიდობა მთელს მსოფლიოში, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, და ამავე დროს საკადრისი პასუხი გასცეს იმპერიალიზმს, მტკიცედ დაუჭიროს მხარი ყველა ქვეყნის რევოლუციურ, განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მშვიდობის დამცველთა რიცხვი უამრავია. რაც უფრო დაირაზმებიან და აქტიურად იმოქმედებენ ისინი, მით უფრო მალე გამოეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი ომის გამჩაღებლებსა და ხალხების დამმონებლებს, მით უფრო მტკიცედ დამკვიდრდება მთელს დედამიწაზე მშვიდობა, კეთილმეზობლობა და ყველა ხალხთა თანამშრომლობა.

მაგალითის ძალა

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმს აქვს მაგალითის ძალა. მთელს მსოფლიოში კლასობრივ ბრძოლაზე მთავარ ზემოქმედებას სოციალისტური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამეურნეო წარმატებებით ახდენს. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების თითოეული ეტაპი, მით საზოგადოებრივი წყობის განმტკიცება კონკრეტულად ეხმარება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის. ეხმარება აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ყველა ხალხს, რომლებიც თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ.

მშვიდობისმოყვარე ძალთა მსოფლიო კონგრესი

1973 წ. 25 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში თავი მოიყარა 3,5 ათასმა ადამიანმა. ისინი აქ მოვიდნენ 143 ქვეყნიდან — მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ამ სჯლხს, რომელსაც მრავალ საკითხზე სხვადასხვანაირი შეხედულება და რწმენა ჰქონდა, აერთიანებდა ერთი დიდი იდეა — დედამიწაზე მშვიდობის იდეა.

იმ დღეს კრემლში შეიკრიბნენ მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის დელეგატები. დრო აღარ ითმენს, უნდა დამყარდეს ისეთი საერთაშორისო ურთიერთობა, რომლის დროსაც ომი შეუძლებელი იქნება.

ორატორები ერთმანეთს ცვლიან. აი, სიტყვით გამოდის უნგრელი ხალხის წარმოგზავნილი. კაცობრიობას თუ მომავალ თაობათა ბედნიერება და სიკეთე სურს, მსოლოდ მშვიდობის გზით შეუძლია განვითარდეს, ამბობს იგი. აფრიკელი თავის სიტყვაში მშვიდობისათვის ბრძოლას რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, კოლონიური ჩაგვრის შენარჩუნების ცდის წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირებს. ლათინური ამერიკის დელეგატი ქალი იმ სასტიკ გაკვეთილზე ლაპარაკობს, ჩილეში რომ მოხდა. სადაც ფაშისტმა გენერლებმა დაამხვეს სახალხო სელისუფლება. მშრომელი სალხის მტრები, რომლებიც პატრიოტების სისხლით რწყავენ ქვეყანას, მშვიდობის მტრებიც არიან.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. იგი ამბობს, რომ კაცობრიობას მყარი მშვიდობა ესაჭიროება. ადამიანებს სურთ, რომ არსად არ იღვრებოდეს სისხლი. უნდათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ სახლებს არ ემუქრება ბომბები და ყუმბარები, რომ მომავალმა თაობამ არ ნახოს ის ტრაგედია და ტანჯვა, რაც მათმა უფროსმა თაობებმა გადაიტანეს. ამისათვის იბრძვიან კონგრესის დელეგატები და ის 1200 ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებმაც ისინი აქ გამოგზავნა.

მტკიცედ გაისმის ორატორის სიტყვა: „დამერწმუნეთ, რომ მშვიდობის განმტკიცების საქმეში თქვენ შეხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ადამიანების ყველაზე მსურვალე და ქმედით მხარდაჭერას... თქვენ შეგიძლიათ დაენდოთ საბჭოთა ხალხს, რომელიც თავისი დიდი რევოლუციის შემდგომ პირველ წლებშიც, სოციალიზმის მშენებლობის წლებშიც, ფაშიზმთან ბრძოლებშიც, ომისშემდგომ ათწლეულებშიც, ამჟამადაც არის და დარჩება კაცობრიობის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის პირველ რიგებში“.

მსოფლიოს არენაზე ეკონომიკურ შეჯიბრში სოციალიზმი ამარცხებს კაპიტალიზმს. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები, რომლებშიც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 10%, აწარმოებს მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის $^1/_3$-ზე მეტს და მსოფლიო ეროვნული შემოსავლის $^1/_4$. 1950 წლიდან 1979 წლამდე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 3-ჯერ და უფრო მეტად, სოციალისტურ ქვეყნებში კი, რომლებსაც აერთიანებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, იგი გაიზარდა 8-ჯერ. მათი ეკონომიკა გაცილებით უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე კაპიტალის ქვეყნებისა. თუ 1950 წელს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები აწარმოებდნენ ნაკლებ პროდუქციას, ვიდრე „საერთო ბაზრის“ ქვეყნები, ამჟამად ისინი 2-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებენ, ვიდრე აღნიშნული კაპიტალისტური გაერთიანების ქვეყნები.

იმ ქვეყნებმა, სადაც ხელისუფლების სათავეში მშრომელები დგანან, პასუხი გასცეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე რთულსა და აქტუალურ საკითხებს, რომლებიც საუკუნეობით და ათასწლეულობით აღელვებდა კაცობრიობას. სსრკ-მა და დანარჩენმა სოციალისტურმა ქვეყნებმა მსოფლიოს

მოსკოვი, მშვიდობისმოყვარე ძალთა საერთაშორისო კონგრესი (1973). სურათზე: ტრიბუნაზეა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას კონგრესის დელეგატები მქუხარე ტაშით მიესალმებიან. მათ იციან, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობის საიმედო ბურჯია, ის ქვეყანაა, რომელიც საკადრის პასუხს აძლევს აგრესორებს, ომის გამჩაღებლებს და ამავე დროს ყოველ ღონეს სმარობს, რომ დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობის საქმე.

მშვიდობისმოყვარე ძალთა მსოფლიო კონგრესმა ყოველმხრივ განისილა ომის მოწინააღმდეგეთა ამოცანები. მშვიდობა რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა:

სახელმწიფოებმა მიიღონ და განახორციელონ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები: პატივი სცენ ყველა სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, მათ დამოუკიდებლობას და თანასწორუფლებიანობას, არ ჩაერიონ მათს საშინაო საქმეში, უარი თქვან მუქარას ან ძალის გამოყენებაზე.

აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოყენება, მისი წარმოება, გამოცდა და დაგროვება;

შეწყდეს ყოველგვარი აგრესია, ყოველგვარი ცდა სხვა ქვეყნების ტერიტორიის მიტაცებისა.

ლიკვიდაცია უყონ ყველა სამხედრო ბაზას, ყველა სამხედრო კავშირს.

მიღწეულ იქნას საყოველთაო და სრული განიარაღება.

ლიკვიდირებულ იქნას რასიზმი, კოლონიალიზმი და ნეოკოლონიალიზმი, მათი ყოველგვარი გამოვლენა;

ის სასხრები, რაც დღეს საომარ დანიშნულებას სმარღება, გამოიყენონ სიღარიბის, გაუნათლებლობისა და ავადმყოფობის აღმოსაფხვრელად;

უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა სალხთა უფლებები, განაგონ თავიანთი ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, თავიანთი ცხოვრება საკუთარი შესედულებებისამებრ აშენონ;

შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი, რაც გულისხმობს მშვიდობის, უშიშროებისა და სამართლიანობის დაცვის ინტერესებს.

კონგრესმა მიიღო მიმართვა დედამიწის ყველა ადამიანისადმი. მასში ნათქვამია: „ჩვენ მივმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა. გონიერება და ნდობა უნდა ზეიმობდეს დედამიწაზე. მათ შეუძლიათ იზეიმონ. ეს დამოკიდებულია თითოეულ ჩვენგანზე“.

კონგრესის გადაწყვეტილებამ გამოძახილი პოვა ყველა ქვეყანაში. მშვიდობის ყველა ჭეშმარიტმა მომხრემ ახალი ძალის მოზღვავება იგრძნო: მათ დაინახეს, რომ მშვიდობის დიად საქმეს აქტიურად უჭერს მხარს ასობით მილიონი ადამიანი პლანეტის თითოეულ კონტინენტზე. ამ კეთილშობილურ საქმეს ბოლომდე დაიცავენ სოციალისტური ქვეყნები, საერთაშორისო მუშათა კლასი, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ყველა პატიოსანი ადამიანი.

ოს ხალხებს დაანახვეს, თუ როგორ უნდა მოისპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და კლასობრივი უთანასწორობა, უმუშევრობა, სიღატაკე, უწიგნურობა, შექმნან სოციალური პირობები და მატერიალური წანამძღვრები ხალხის ცხოვრების განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. მათ აჩვენეს საზოგადოების ჭეშმარიტად დემოკრატიული ორგანიზაციის მაგალითი. გადაჭრეს ეროვნული საკითხი ყველა ხალხის სრული თანასწორუფლებიანობის დამყარებით, რაც მათ შორის მტკიცე მეგობრობასა და ძმობაზეა დაფუძნებული.

თავისი მაგალითით სოციალიზმის ქვეყნები არევოლუციონერებენ კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებს, აღაფრთოვანებენ მათ კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, უმსუბუქებენ ამ ბრძოლის პირობებს. სოციალისტური სახელმწიფოების წარმატებები, რომლებმაც შეძლეს ასე სწრაფად დაეძლიათ კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული საუკუნოვანი ჩამორჩენილობა, აღაფრთოვანებს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხებს ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში, უჩვენებს სიღატაკის ლიკვიდაციის გზებს, სადამდეც ისინი კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა მიიყვანა.

სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების შესაბამისად, სოციალისტური ქვეყნებისა და ეროვნებების დაახლოებასთან ერთად იზრდება ამ მაგალითის მიმზიდველი ძალა. ახალი საზოგადოების მშენებლები ახალ-ახალ წარმატებებს რომ აღწევენ, ამით ხელს უწყობენ სოციალიზმის იდეის გავრცელებას მთელს მსოფლიოში, მუშათა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანას.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „სხვა ქვეყნებთან ომით კი არა, არამედ საზოგადოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციით, საწარმოო ძალთა გაფურჩქვნით, ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ყველა პირობის შექმნით კომუნიზმის იდეები იპყრობენ ხალხთა მასების გონებასა და გულს“.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა — ესაა საერთაშორისო მუშათა კლასის უდიდესი მონაპოვარი, ესაა მეტად საიმედო დასაყრდენი ყველა ხალხისა, ვინც იბრძვის მშვიდობისათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ამ სისტემის ქვეყნების მუდმივად მზარდი ძლიერება ბოჭავს საერთაშორისო რეაქციისა და აგრესიის ძირითად ძალებს, ამიტომაც მშრომელთა მასებს და ჩაგრულ ხალხებს კაპიტალიზმის სამყაროში უფრო და უფრო ხელსაყრელი პირობები აქვთ თავიანთი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის. ახლა უკვე ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ისწრაფოდეს სოციალიზმისაკენ, მიუხედავად იმისა, დიდია იგი თუ პატარა, მრავალრიცხოვანი თუ მცირერიცხოვანია მისი ხალხი, განვითარების რა დონეს მიაღწია მისმა ეკონომიკამ, რა ბუნებრივი და შრომითი რესურსები აქვს მას.

თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისი

სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ კაპიტალიზმი მსოფლიოში ერთადერთი ყოვლისმომცველი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა იყო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან ამ საზოგადოებრივმა წყობამ დაკარგა უწინდელი მსოფლიო ბატონობა, დადგა მისი მზის ჩასვენების ხანა. კაპიტალიზმი დამხობილ იქნა ჯერ რუსეთში, მერე კი ევროპის, აზიისა და ამერიკის (კუბა) მთელ რიგ ქვეყნებში. გაჩნდა, ვითარდება, მტკიცდება მსოფლიო სოციალიზმი, ხოლო ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ესაა მთავარი, რაც განსაზღვრავს თანამედროვე სამყაროში საქმის ვითარებას. კაპიტალიზმის ციტადელში — აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გფრ-ში, იაპონიასა და სხვა განვითარებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კაპიტალიზმს უპირისპირდება მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.

კაპიტალიზმის დასუსტება და რღვევა გარდა-

უვალად გაგრძელდება მის საბოლოო დაღუპვამდე, ვიდრე მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს სოციალიზმი, მერე კი კომუნიზმი.

თავის ბოლო, იმპერიალისტურ ეტაპზე კაპიტალიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური წყობის მთავარი დამახასიათებელი თვისება არის მონოპოლიის, ანუ მსხვილ კაპიტალისტურ გაერთიანებათა ყოვლისშემძლეობა, რომელიც ბატონობს ეკონომიკაში და თავის გავლენას განავრცობს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში სამ-ოთხ ყველაზე ძლიერ ფირმაზე მოდის თითქმის მთელი მრეწველობის მთავარი დარგების პროდუქციის უდიდესი ნაწილი. მაგალითად, აშშ-ში ესაა „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდი“ და „კრაისლერი“ (ავტომობილების წარმოების 83,5%); „ექსონი“, „მობილ ოილი“, „ტექსაკო“ (ნავთობის პროდუქტების წარმოების 48%) და სხვ. ინგლისში მარტო ერთი კომპანია იძლევა შავი ლითონის 90%, 4 ფირმა — ავტომანქანების 90%, გფრ-ში 5 ფირმა აწარმოებს ავტომანქანების 98%, 3 კომპანია თვითმფრინავებისა და მისი ნაწილების 93,8%.

მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა პატარა ჯგუფი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მილიარდერები და მილიონერები, კაპიტალისტურ სამყაროში საზოგადოებრივი სიმდიდრის უდიდეს ნაწილს განაგებს. ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ეს ფინანსური ოლიგარქია აერთიანებს რამდენიმე ათეულ ოჯახს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესაური და საქმიანი ურთიერთობით.

მონოპოლიის გავლენა სცილდება ცალკეულ ქვეყანათა ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათს იღებს. ასე მაგალითად, მსოფლიოში უდიდესი ელექტროტექნიკურ და ელექტრონულ მონოპოლიას „ჯენერალ ელექტრიკს“ იმის გარდა, რომ თავის სამშობლოში (აშშ-ში) 160 საწარმო ეკუთვნის, დასავლეთ ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში აქვს — 35, ლათინურ ამერიკაში — 24, კანადაში — 22, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — 9 და სამხრეთ აფრიკაში 3 ქარხანა. ამ საერთაშორისო, ანუ, როგორც კიდევ უწოდებენ, ტრანსნაციონალურ მონოპოლიათაგან ზოგი უფრო მდიდარია, ვიდრე საშუალო სიდიდის მთელი კაპიტალისტური ქვეყანა. ისინი თანდათან იმორჩილებენ არასოციალისტური სამყაროს მთელ ეკონომიკას. ამ მონოპოლიებში, ჩვეულებრივ, ამერიკული კაპიტალი ჭარბობს.

უოლ-სტრიტის ქუჩა ნიუ-იორკში. აქ განლაგებულია აშშ-ის მრავალი უდიდესი ბანკის გამგეობა.

მონოპოლიები გაჩნდა კაპიტალისტებს შორის სასტიკი საკონკურენციო ბრძოლის შედეგად, რომლის დროსაც დიდი მტაცებლები ჯაბნიდნენ სუსტებს. მონოპოლიების ბატონობა აჩანაგებს მრავალ ათას წვრილ და საშუალო საწარმოს, რომლებიც ვერ უძლებენ ამ გიგანტების კონკურენციას. ამ საწარმოთა უმეტესობა კარგავს თავის დამოუკიდებლობას: მათ ან ნთქავს მონოპოლიური ფირმები, ან იძულებულნი ხდებიან მონოპოლისტური ფირმებისათვის ხელსაყრელ პირობებში ითანამშრომლონ მათთან. თუმცა ახლა უფრო ხშირად ერწყმიან ერთმანეთს თვითონ მონოპოლიები, რამდენადაც ბაზრის კონტროლი და კონკურენციის გაძლება ახლა მხოლოდ ზეგიგანტებს შეუძლიათ.



ჩიკაგო, სასოფლო-სამეურნეო ბირჟა. აქ „საქმიანი ხალხი“ სპეკულანტობით აგროვებს სიმდიდრეს.

მონოპოლიების საქმიანობის მიზანი ის კი არ არის, რომ საზოგადოების საკეთილდღეოდ განავითაროს ეკონომიკა, არამედ რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ და მსხვილ კაპიტალის მფლობელებს განუმტკიცონ უფლებები და გავლენა. მონოპოლისტ მესვეურთა ეს ანგარებიანი ინტერესები ეწინააღმდეგება თანამედროვე წარმოების დამახასიათებელ თვისებებს, რადგან თითოეულ მონოპოლისტურ საწარმოში ხომ ათასობით და ათეულ ათასობით ადამიანი მუშაობს. ამ საწარმოთა პროდუქცია საბოლოო ანგარიშით გათვალისწინებულია მასობრივი ბაზრისათვის. საწარმოები, როგორც არასდროს, ისე არიან ერთმანეთთან დაკოკიდებული და მჭიდროდ დაკავშირებული. წარმოებას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი, მაგრამ მუშათა კლასის შრომის შედეგებს ითვისებს მსხვილ მესაკუთრეთა პატარა ჯგუფი. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის წინააღმდეგობა არის სწორედ კაპიტალიზმის ძირეული წინააღმდეგობა.

მართალია, თანამედროვე კაპიტალიზმი ცდილობს საკუთრების სააქციო ფორმის გავრცელებით შენიღბოს ეს წინააღმდეგობა. კაპიტალის მიზიდვის მიზნით ბევრი კომპანია საჯაროდ ყიდის თავის საწარმოთა აქციებს. ამით ისინი იზიდავენ წვრილ მესაკუთრეთა და უბრალო მშრომელთა დანაზოგს, რაც მათ დიდ დამატებით სახსრებს აძლევს. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათი წვრილი მეპაიეები კი არ აკონტროლებენ მონოპოლიებს, არამედ მსხვილი აქციონერები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ეგრეთწოდებული აქციის საკონტროლო პაკეტები.

კაპიტალიზმის დამცველები, როცა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების თითქოს გაქრობის შესახებ ლაპარაკობენ, ეყრდნობიან იმასაც, რომ მონოპოლიის სათავეში, როგორც წესი, დგებიან დაქირავებული მმართველები (ანუ, როგორც ამერიკაში ამბობენ, მენეჯერები). მაგრამ ჯერ ერთი, მმართველთა დანიშვნა დამოკიდებულია აქციის უმსხვილეს მფლობელებზე, რომლებიც განსაზღვრავენ თავიანთი ფირმების მოქმედებების მთავარ მიმართულებას, მაშინ, როცა მმართველები მხოლოდ მიმდინარე საქმეებს განაგებენ; მეორეც, მმართველები იღებენ იმდენად დიდ შემოსავალს, რომ თვითონვე წინაურდებიან მსხვილ კაპიტალისტთა რიგებში; მესამეც, მონოპოლისტთა შვილების. არცთუ მცირე რიცხვი ირჩევს ბიზნესმენის კარიერას და შესაბამისი განათლების მიღების შემდეგ ხდება იმავე ფირმის მმართველი, სადაც მათ ოჯახს ეკუთვნის აქციის სოლიდური პაკეტი.

თანამედროვე კაპიტალიზმი ხასიათდება მონოპოლისტური ფორმიდან სახელმწიფო-მონოპოლისტურ ფორმაში გადასვლით. თუ წინათ ბურჟუაზი-

ული სახელმწიფო თავის თავზე იღებდა არსებული წყობილების დაცვას ქვეყანაში და მის გარეთ, ახლა იგი მუდმივად ერევა ეკონომიკაში მონოპოლისტური კაპიტალის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ბევრი საწარმო და წარმოების მთელი რიგი დარგები. სახელმწიფო მონოპოლიის პროდუქციის, განსაკუთრებით სამხედრო წარმოების პროდუქციის, უდიდესი მუშტარია. ყველაფერი ეს მოწმობს მონოპოლიის შეზრდას სახელმწიფოსთან. იგი ვლინდება ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის ფინანსური კაპიტალის მოღვაწეთა უშუალო მონაწილეობით სახელმწიფო მმართველობაში.

მაგრამ ამავე დროს საკუთრების სააქციონერო ფორმის განვითარება და ეკონომიკის გასახელმწიფოებრიობა იმასაც მოწმობს, რომ საზოგადოებას არ სჭირდება კაპიტალისტები. სამაგიეროდ, ეკონომიკის მართვის ჩამოყალიბებული აპარატი შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც მუშათა კლასმა ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის შემდეგ, ახალი, სოციალისტური წყობილების ორგანიზაციის დროს.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მოქმედების განვითარება ხანდახან იქამდე მიდის, რომ მისი პოლიტიკა ზოგ საკითხში არ ემთხვევა ამა თუ იმ მონოპოლიის პოზიციას. სახელმწიფო ხომ არა იმდენად ცალკეული მონოპოლიის ინტერესებს ემსახურება, რამდენადაც მონოპოლისტურ კაპიტალს მთლიანად. ამიტომ სახელმწიფო ხანდახან ღებულობს კანონებს და ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებიც გარკვეულად ითვალისწინებენ მშრომელთა ამა თუ იმ ჯგუფის ან მთელი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. მაგალითად, ეხმარება უკიდურესად ღარიბებს, რამდენადმე აფერხებს ფასების აწევას და ა. შ. ასეთი ღონისძიებების მიზანია თავიდან აიცილოს სოციალურ წინააღმდეგობათა აფეთქება, შეანელოს პოლიტიკური დაძაბულობა. ასეთი ღონისძიებები მშრომელთა მასების, მათი ორგანიზაციების ძალდატანებით ტარდება. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ სახელმწიფო აღარ არის ბურჟუაზიული? რა თქმა უნდა, არა. ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ხომ უწინდებურად მონოპოლისტური ბურჟუაზიის ხელშია. და მას, ამ სახელმწიფოს, არასგზით არ ძალუძს ჯადალახოს სერიოზული სიძნელეები და წინააღმდეგობანი და თუ ხანდახან ახერხებს რამდენადმე შეარბილოს ძველი წინააღმდეგობანი, იგი ახალს ეჯახება.

ჭარბწარმოების ღრმა და მწვავე კრიზისის თავიდან ასაცილებლად (ასეთი იყო, მაგალითად, მსოფლიო კრიზისი 1929—1933 წწ., როცა აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ნადგურდებოდა პროდუქტები, თუმცა მილიონობით ადამიანი შიმშილობდა), კაპიტალისტური სახელმწიფო თავის თავზე იღებს ფინანსურ ტვირთს, მოძველებული მოწყობილობით აღჭურვილი ამა თუ იმ დარგის გარდასაქმნელად, უზრუნველყოფს მონოპოლიებს სუბსიდიებითა და შეკვეთებით, აძლევს სარგებლიან სახელმძღვანელო მითითებებს, ახორციელებს სხვა „ანტიკრიზისულ“ ღონისძიებებს. ამავე დროს მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ (კერძოდ, წარმოების ახალი დარგების გაჩენა: ატომური ენერგეტიკა, რაკეტათმშენებლობა, ნავთობქიმია, ელექტრონიკა, ბიოქიმია და უახლესი მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების: ნახევარგამტარების, სინთეზური მასალის, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების, ლაზერებისა და მაზერების, დაზგა-ავტომატებისა და ავტომატური ხაზების დანერგვა) გამოიწვია ბურჟუაზიული ეკონომიკის მთელი საწარმოო აპარატის სწრაფი განახლების ჯაჭვური რეაქცია.

მეორე მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ამწვავებს კაპიტალიზმის მიერ გამოწვეულ უბედურებას. წარმოების ავტომატიზაციას მშრომელთათვის ახალი გაჭირვება მოაქვს: ის იწვევს სამუშაო ადგილის შემცირებას, ზედმეტი ხდება ასეულ ათასობით მუშა, ართმევს მათ ხვალინდელი დღის იმედს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა გარემოს — ჰაერის, წყლის, ნიადაგის, სამრეწველო წარმოების ნარჩენებითა და პროდუქტებით გაჭუჭყიანება. დიდი ტბები აშშ-სა და კანადის საზღვარზე, ზოგიერთი ყურე იაპონიაში, რაინისა და ევროპის და აშშ-ის სხვა დიდი მდინარეები მკვდარ წყალსატევებად იქცნენ. პარალელურად მატულობს ბუნებრივი ნედლეულის მრავალი სახეობის უკმარისობა, მცირდება მათი სამრეწველო მარაგი. 1973—74 წლებში ნავთობის საერთაშორისო მონოპოლიების მოქმედებით გამოწვეულმა ეგრეთ წოდებულმა ენერგეტიკულმა, ნავთობის, კრიზისმა დიდი ზიანი მიაყენა ყველა

კაპიტალისტურ ქვეყანას, რომლებსაც ნავთობი შეჰქონდათ.

მონოპოლიების მიდრეკილებამ შემდგომი უზომო მოგებისაკენ, მათმა მისწრაფებამ, რომ მშრომელთ კისერზე სამხედრო ხარჯების სიმძიმე დაადონ, ბიძგი მისცა ინფლაციას — ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ფასების ზრდას და ფულის გაუფასურებას. ფულის ერთეულის მერყეობას 70-იანი წლების დამდეგს მოჰყვა სავალუტო კრიზისი, რომელსაც ზოგიერთი ეკონომისტი ადარებს 1929—1933 წწ. მოვლენებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1975 წლიდან დაიწყო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის ერთგვარი გამოცოცხლება, კრიზისის შედეგები არ იყო დაძლეული: განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა უმუშევრობა, ინფლაცია, ფასები და ა. შ. 1979 წ. ბოლოსა და 1980 წ. დასაწყისისათვის წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების განვითარებაში გაჩნდა ახალი კრიზისის თვალსაჩინო ნიშნები.

კაპიტალისტური წყობილების დროს ძლიერდება ექსპლოატატორული კლასების პარაზიტიზმი, ხდება ხალხის შრომით შექმნილი სიმდიდრის უაზრო ფლანგვა. იზრდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი. უდიდესი თანხა იხარჯება რეკლამისათვის. მაგრამ განსაკუთრებით ძვირი ჯდება ეკონომიკის მილიტარიზაცია — გამალებული შეიარაღება. ჩრდილოატლანტიკურ აგრესიულ ბლოკში (ნატო) შემავალი ქვეყნები სამხედრო საჭიროებისათვის მარტო ერთ თვეში ხარჯავენ იმდენს, რაც ეყოფოდა საჰარის უდაბნოს მორწყვას.

უდიდესი მოგების მიზნით საფინანსო კაპიტალის შედარებით აგრესიული წრეები, ეგრეთ წოდებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ცდილობენ დაამკვიდრონ გამალებული შეიარაღება. სწორედ ეს კომპლექსია ომის საფრთხის მთავარი წყარო.

თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობა ვლინდება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროშიც. კაპიტალიზმის ქვეყნები არათანაბრად ვითარდებიან — ასეთია ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონი. 30-იან წლებში გერმანიამ, იტალიამ, იაპონიამ განაცხადეს თავიანთი პრეტენზია მსოფლიოს ბატონობაზე, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ მათ უკანა რიგში გადაინაცვლეს. კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა თავმოყრილი აღმოჩნდა აშშ-ში. 10—15 წლის შემდეგ მდგომარეობამ შეცვლა იწყო. თავდაპირველად განმტკიცდა გფრ-ის პოზიციები. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის გფრ თავისი ეკონომიკური ძლიერებით მეორე კაპიტალისტური სახელმწიფო გახდა. 70-იან წლებში იაპონიამ ჩამოიტოვა გფრ, ამავე დროს მსოფლიო წარმოებაში აშშ-ის ხვედრითი წილი კვლავ მცირდებოდა.

70-იანი წლების დამდეგს ნავთობის კრიზისმა განსაკუთრებით მძიმე დაღი დაასვა იაპონიას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ნავთობი. სამაგიეროდ, კვლავ გაძლიერდა აშშ-ის პოზიციები, რომლის მონოპოლიები კონტროლს უწევენ ნავთობის პროდუქტების მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარს.

დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები ცდილობენ, გადაარჩინონ საერთო კრიზისით შერყეული კაპიტალიზმის სისტემა, გაამყარონ მისი პოზიცია სოციალიზმის სამყაროსთან ეკონომიკურ შეჯიბრში, იმპერიალისტური მონოპოლიის ინტერესებიდან გამომდინარე ატარებენ შემთანხმებლურ პოლიტიკას ურთიერთეკონომიკურ დამოკიდებულებასა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამას ემსახურება სხვადასხვა ფორმა კაპიტალისტური ეკონომიკური ინტეგრაციისა — სამეურნეო-პოლიტიკური სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება, კაპიტალისტური ქვეყნების რეგიონული ეკონომიკური ბლოკები და დაჯგუფებანი. კაპიტალისტური ინტეგრაციის ტიპური მაგალითია — ევროპის ეკონომიკური გაერთიანება („საერთო ბაზარი"), რომელშიც შედიან საფრანგეთი, გფრ, ინგლისი, იტალია და სხვა ქვეყნები. აშშ, იაპონია, დასავლეთევროპული „საერთო ბაზარი" — ესაა კაპიტალისტური სამყაროს სამი ეკონომიკური ცენტრი, რომლებიც მუდმივად უწევენ მეტოქეობას ერთმანეთს. ეს წინააღმდეგობანი ასუსტებენ „საერთო ბაზარსაც" და კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებასაც. ასე დაემართა, მაგალითად, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავარ ბლოკს — ნატოს, რომლის სამხედრო ორგანიზაციიდან გამოვიდა საფრანგეთი და საბერძნეთი.

კაპიტალიზმი მშრომელთა ექსპლოატაციაზე დაფუძნებული წყობილებაა. იგი შეიცავს გადაუ-

ლახავ, ანტაგონისტურ წინააღმდეგობას შრომასა და კაპიტალს შორის.

მსხვილი წარმოების განვითარების შესაბამისად სწრაფად იზრდება დაქირავებული შრომის მუშაკთა არმია. მე-20 საუკუნის შუა წლებში განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დაქირავებული შრომის მუშაკთა არმია ითვლიდა 160 მილიონ ადამიანს, განვითარებად ქვეყნებში (აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა) კი დაახლოებით 140 მლნ. ადამიანს. 1974 წლისათვის დაქირავებული შრომის მუშაკთა არმიის რიცხვმა განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში მიაღწია 240 მლნ. განვითარებად ქვეყნებში — 190 მლნ. მას შემდეგ ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზარდა. მათ შორის გაიზარდა არაფიზიკური შრომის მუშაკთა, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, „თეთრ საყელოიანთა“ ხვედრითი წილი. ესენი არიან ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერი მუშაკები, სავაჭრო და კანტორის მოსამსახურეები.

XIX საუკუნისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისთან შედარებით XX საუკუნის 70-იან წლებში მუშათა კლასის მდგომარეობა შეიცვალა. სოციალიზმის მონაპოვართა გამარევოლუციურებელი ზემოქმედებით კაპიტალის ბევრ ქვეყანაში თავისი უფლებებისათვის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მუშებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას, შვებულების დაწესებასა და უმუშევართათვის დახმარების შემოღებას, საგანმანათლებლო დონის ამაღლებას. 70-იან წლებში განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშა ახალგაზრდობის ნახევარზე მეტს საშუალო განათლება ჰქონდა.

და მაინც, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს არ გააჩნიათ საშუალება, რათა დაიკმაყოფილონ თუნდაც აუცილებელი მოთხოვნილებანი. 60-იანი წლების ბოლოს გფრ-ში კვალიფიციური მუშის საშუალო ხელფასი შეადგენდა ოფიციალურად გამოანგარიშებული საარსებო მინიმუმის, ანუ, ოჯახის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი თანხის 87%, საფრანგეთში 80%, აშშ-ში არა უმეტეს 88,1%. მაშინაც კი, როცა მშრომელები გაფიცვის შედეგად აღწევენ ხელფასის მომატებას, დამატებული ხელფასი მალე „ქრება“ ფასებისა და გადასახადების ზრდის გამო. სამაგიეროდ სწრაფი ტემპით იზრდება კაპიტალისტების შემოსავალი.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია „ცხოვრება ვალით“. თუ მშრომელი იძენს ხანგრძლივი მოხმარების შედარებით ძვირფას ნივთებს, იგი მას აუცილებლად ნისიად იძენს. ვალში ჩავარდნილი ხანდახან ათეული წლების განმავლობაში იხდის დავალიანებას და მის პროცენტებს. და თუ მან ხელფასი დაკარგა, მაშინ ხშირად ნისიად ნაყიდ საქონელსაც კარგავს.



მასწავლებელთა მანიფესტაცია პარიზში. ისინი პენსიის მომატებას მოითხოვენ.

განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროში მშრომელთა დიდი ჯგუფი უბადრუკად, ხანდახან კი პირდაპირ მათხოვარივით ცხოვრობს. ესენი არიან ინვალიდები, მოხუცები, ჩაგრულ ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენლები (აშშ-ში ზანგები, გფრ-ში ან საფრანგეთში საშოვარზე ჩამოსული მუშა-იმიგრანტები; მაგალითად: ალჟირელები, ტუნისელები, თურქები, ბერძნები). როცა ესა თუ ის ქვეყანა განიცდის ეკონომიკურ სიძნელეებს, კაპიტალიზმი ცდილობს იგი გადაჭრას მთელი მუშათა კლასისა და ქვეყნის მშრომელთა პირობების გაუარესების გზით.

რის ფასად უჯდება პროლეტარიატს მატერიალური პირობების გაუმჯობესება?

თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში ახალი მანქანებისა და მექანიზმების დანერგვასთან ერთად იზრდება შრომის ინტენსივობა — იზრდება მისი ტემპი და შესაბამისად დაძაბულობაც, რომლის გავლენის ქვეშ ხვდება მუშის ორგანიზმი და მეტადრე მისი ნერვული სისტემა. შრომის ინტენსიურობის ზრდას მოჰყვება წარმოებაში უბედური შემთხვევების მომრავლება. გფრ-ში ყოველი მეათე მუშა ყოველწლიურად უბედური შემთხვევის თუ პროფესიული დაავადების მსხვერპლი ხდება.

შრომის ორგანიზაციის მძიმე სისტემა, მისი დამქანცველი და მონოტონური ხასიათი იწვევს იმას, რომ ძლიერდება მუშათა უკმაყოფილება, ხშირდება შრომითი კონფლიქტები.

მუშათა კლასს დამოკლეს მახვილით ემუქრება უმუშევრობის საფრთხე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში უმუშევრობა ხშირად ფართო მასშტაბებს იღებს: კაპიტალისტები წარმოების გადაკეთების დროს ხომ ამცირებენ მუშებს, რათა დაზოგონ ხელფასი. 70-იანი წლების შუა ხანებში მკვეთრად გაძლიერდა უმუშევრობა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით.

კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს არ სურთ შეურიგდნენ მათი ცხოვრების დონეს, მათ უფლებებზე მონოპოლიების შეტევას. ისინი იბრძვიან თავიანთი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ამ ბრძოლის ყველაზე უფრო მასობრივი გამოვლინებაა საგაფიცვო მოძრაობა.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი გამუდმებით იზრდება. თუ 1958 წ. კაპიტალისტურ ქვეყნებში გაიფიცა 26 მლნ., 1965 — 36 მლნ., 1979 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში — 25 მლნ. ადამიანი. გაფიცულთა ძირითადი ნაწილი მოდის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ასე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1979 წლის 8 თვის განმავლობაში გაიფიცა 4 მლნ. ადამიანი (5-ჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს), შეერთებულ შტატებში გაფიცვების შედეგად დაკარგულ სამუშაო დღეთა საერთო რაოდენობამ 5,2 მლნ. მიაღწია (2,5-ჯერ მეტს, ვიდრე წინა წელს), იტალიაში იგივე მაჩვენებელი (1979 წ. პირველი ნახევარი) შეადგენდა 108 მლნ. (1978 წელს — 36 მლნ. შედარებით) და ა. შ.

რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში ერთიანად მაღალი როდია მშრომელთა შეგნება და მათი საბრძოლო შემართება. საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიაში არსებობენ ძლიერი მებრძოლი მუშათა ორგანიზაციები, ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა საგაფიცვო ბრძოლის ურყევი ტრადიცია, საგაფიცვო მოძრაობაში ფართო მასები მონაწილეობენ. ამავე დროს, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში გაფიცვები ნაკლებადაა გავრცელებული. ეს იმით აიხსნება, რომ იქაური მუშათა კლასი იმყოფება რეფორმისტული ორგანიზაციების გავლენის ქვეშ, ამ ორგანიზაციებს კი კაპიტალისტებთან „მშვიდობიანი თანამშრომლობა“ სურთ.

გაფიცვების დროს მუშათა მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა უმრავლესობა ეკონომიკური ხასიათისაა. მათ შორის მთავარია — ხელფასის მომატების მოთხოვნა. მაგრამ ფასების ზრდასა და მონოპოლიების თვითნებობასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო შეგნებული მუშები ხვდებიან, რომ მარტო ეკონომიკური ბრძოლა არაა საკმარისი. მუშები მოითხოვენ მონოპოლიების შემოსავლისა და უფლებების შეზღუდვას, მათი საწარმოების ნაციონალიზაციას (სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას) და მთელ რიგ სერიოზულ დემოკრატიულ გარდაქმნებს — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აწარმოებენ პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც საბოლოოდ გადაიზრდება კაპიტალიზმის დამხობისათვის და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლად. მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ სათავეში უდგანან კომუნისტური პარტიები.

მშრომელი ხალხისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მათი ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ, პოლიტიკური ვითარება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობაა. იქ ფორმალურადაა გამოცხადებული დემოკრატიული უფლებები და სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, დემონსტრაციებისა და გაფიცვის უფლება. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი — ყველა მოქალაქეთა მიერ არჩეული წარმომადგენელთა კრება; მთავრობა (მინისტრთა საბჭო) ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. ზოგიერთი ქვეყნის (იტალიის, საფრანგეთის, ფინეთის, იაპონიის და სხვ.) პარლამენტებში საკმაო

გაფიცულთა პიკეტი ქიმიური ქარხნის ალაყაფთან მაინის ფრანკფურტში — გფრ-ის მსხვილ სამრეწველო ცენტრში.

ადგილი უჭირავთ კომუნისტებსაც, მაგრამ თითქმის ყველა წინადადებას და კანონპროექტს, რომელიც საკეთილდღეოა მუშათა კლასისათვის, უარყოფს ან არსს გამოაცლის ბურჟუაზიული უმრავლესობა. საქმე ისაა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის ძირითადი მასა ჯერ კიდევ თავის ხმას აძლევს ბურჟუაზიულ და სოციალურ-რეფორმისტულ პარტიებს — იმდენად დიდია ტრადიციისა და ჩვეულების ძალა, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ბურჟუაზიული საშუალებების: ტელევიზიის, რადიოს, გაზეთებისა და ჟურნალების გავლენის ძალა.

და მაინც ეს ძალა უსაზღვრო არ არის. მონოპოლისტური ბურჟუაზიის ძალაუფლება თანდათან მერყევი ხდება. ფინეთში 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იან წლებში კომუნისტები მონაწილეობდნენ მთავრობაში. 1974 წ. საფრანგეთში პრეზიდენტის არჩევნებში მემარცხენე დემოკრატიულ ძალთა კავშირმა, რომელშიც მონაწილეობდა კომპარტია, შეაგროვა ხმათა 49%. იტალიაში კომუნისტებს ხმას აძლევს ამომრჩეველთა დაახლოებით მესამედი.

კომუნისტური პარტიების დოკუმენტებში ხშირადაა ნათქვამი, რომ ახლანდელ ვითარებაში ხდება ანტიმონოპოლისტური კოალიციის ჩამოყალიბება. ეს ნიშნავს, რომ მონოპოლიების ხელისუფლების წინააღმდეგ მუშათა კლასთან ერთად იბრძვის გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია (წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და ა. შ.), მოსამსახურეები, ინტელიგენცია. ისინი გრძნობენ, რომ თანდათან მძიმდება მონოპოლიის უღელი და მიდიან დასკვნამდე: მხოლოდ სოციალიზმისაკენ მიმავალი ძირფესვიანი დემოკრატიული გარდაქმნები დაეხმარებათ გადაწყვიტონ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინტელიგენციის ფართო ფენების გადასვლას მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიების მხარეზე. ინტელიგენცია არის საზოგადოების ფენა, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით მუდმივად იზრდება. თანამედროვე კაპიტალიზმი განიცდის ინჟინრების, ტექნიკოსების, მეცნიერების უფრო და უფრო მწვავე საჭიროებას. მაგრამ ამავე დროს იგი ინტელიგენტებს აყენებს კაპიტალის დაქირავებული მონების, გონებრივი შრომის პროლეტარების მდგომარეობაში. მაშინაც კი, როცა კაპიტალისტი

მათ შრომას საკმაოდ კარგად უნაზღაურებს, შემოქმედი მუშაკის, როგორც კულტურის შემქმნელისა და გამავრცელებლის შეგნება აიძულებს მათ უფრო მეტად შეურიგებელნი იყვნენ კაპიტალისტური წყობილების ისეთი განუკურნებელი მანკიერების მიმართ, როგორიცაა: გამალებული შეიარაღება, სოციალური უსამართლობა, საზოგადოებრივი დივლათის უაზრო ფლანგვა, აგრესიის აქტი და ფაშიზმი.

აქტიურ როლს თამაშობს ინტელიგენციის ნაწილი, ანუ, უფრო სწორად, მისი რეზერვი — სტუდენტობა. 1968 წ. საფრანგეთში სწორედ სტუდენტურმა მღელვარებამ მისცა ბიძგი ძლიერ საერთო ეროვნულ საგაფიცვო ბრძოლას, რომელმაც ქვეყანაში ბურჟუაზიული წყობის საფუძვლები შეარყია. 60-იანი წლების ბოლოს სტუდენტური გამოსვლები მოედო მსოფლიოს 50 ქვეყანას.

მშრომელთა პოლიტიკური ბრძოლა მიმართულია ომის, მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. სსრკ-სა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე აშშ-სა და დანარჩენი კაპიტალისტური სახელმწიფოების ომის მოწინააღმდეგეთა, დემოკრატიული ძალების მხარდაჭერის წყალობით ვიეტნამის გმირმა ხალხმა გაიმარჯვა თავისი დამოუკიდებლობისათვის უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1974 წ. პორტუგალიაში დაამხვეს ფაშისტური დიქტატურა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ამ ქვეყანაში. შეიქმნა ქვეყნის განახლების საშუალება. იმავე წელს დაამხვეს სამხედრო რეაქციული დიქტატურა საბერძნეთში. მომდევნო წლებში დაემხო ფაშისტური დიქტატურა ესპანეთში და 1978 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ამ ქვეყანაში აღდგა ბურჟუაზიული დემოკრატია.

მშრომელთა ბრძოლის გაძლიერება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაპიტალისტური წყობილების დაღუპვას. მონოპოლისტური ბურჟუაზია ცდილობს, ერთის მხრივ, შეეგუოს ახალ ვითარებას და გამოიყენოს იძულებითი რეფორმები თავისი ინტერესებისათვის ან არსი გამოაცალოს მათ. მეორეს მხრივ, რეაქცია ხშირად გადადის კონტრშეტევაზე. გააქტიურდნენ კონსერვატული ძალები, განსაკუთრებით კი ნეოფაშისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს ყველა უბედურება ხდება „მეტისმეტად ფართო დემოკრატიისაგან“, მოითხოვენ დაამყარონ „ძლიერი ხელისუფლება“.

1973 წ. ჩილეში ხელისუფლების სათავეში მოექცა ნეოფაშიზმი. შეთქმულმა გენერლებმა მოკლეს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ს. ალიენდე და დაამყარეს წამების და ტერორის რეჟიმი. რეაქციის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საფრთხე სხვა ქვეყანაშიცაა.

კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა მოწინავე რაზმებს კომუნისტური პარტიები წარმოადგენენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კომუნისტური მოძრაობა უდიდეს ძალად იქცა.

წინააღმდეგობა მომაკვდავ კაპიტალიზმსა და გამარჯვებულ სოციალიზმს შორის, რომლისთვისაც იბრძვიან კომუნისტები, არის თანამედროვე ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობა. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო სოციალისტურ სისტემას შეადგენენ, თვით თავისი არსებობის ფაქტით ძირს უთხრიან იმპერიალიზმის პოზიციებს და ზღუდავენ მის აგრესიულ ზრახვებს. მთელი სამი ანტიიმპერიალისტური ნაკადი — მსოფლიო სოციალიზმი, კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა — ერთიან მძლავრ ძალად ერწყმიან ერთმანეთს.

კაპიტალიზმი ყოველნაირი საშუალებებით ცდილობს შეეგუოს ახალ გარემოებას, მაგრამ მისი ბედი გადაწყვეტილია. ცხოვრება მოწმობს, რომ კაპიტალიზმი თავს ვერ დააღწევს მის გამანადგურებელ წინააღმდეგობებს. საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარება აღრმავებს კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, აახლოებს ყველაზე სამართლიანი წყობილების — კომუნიზმის სრულ გამარჯვებას.

კოლონიალიზმის მსხვრევა და გამათავისუფლებელი რევოლუციების გაღრმავება

კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული ჩაგვრა. ამ საზოგადოებაში არა მარტო ერთი კლასი უწევს ექსპლოატაციას მეორე კლასს, მაგალითად, კაპიტალისტები — მუშებს, არამედ, ერთი ერი იპყრობს და ექსპლოატაციას უწევს სხვა ერებს.

ეროვნული ჩაგვრის ყველაზე სასტიკი სახეა კოლონიური ჩაგვრა. ასეთ შემთხვევაში უცხოელი დამპყრობი მთლიანად ართმევს ქვეყანას დამოუკიდებლობას. დაპყრობილი ქვეყნის სიმდიდრე იძარცვება, ხოლო მისი ხალხი ექსპლოატაციას განიცდის უცხო დამპყრობთა გასამდიდრებლად.

აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და სხვა სახელმწიფოების იმპერიალისტებმა თავიანთი ბატონობის წლებში კოლონიებიდან ამოჭაჩეს კოლოსალური სახსრები, ასობით და ასეულ მილიონობით ტონა ყველაზე ძვირფასი წიაღისეული, მოიტაცეს კულტურის უიშვიათესი ძეგლები, რომლებიც ხალხების — მისი შემქმნელების ეროვნული საგანძური და სიამაყეა. კოლონიზატორები ყოველნაირად ამუხრუჭებდნენ დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ფეხქვეშ თელავდნენ დაპყრობილი ხალხის ღირსებას, ისინი „არასრულფასოვან“ და „უმდაბლეს ერად“ გამოაცხადეს.

იმპერიალიზმმა შექმნა კოლონიური სისტემა, თავის უშუალო ბატონობას დაუმორჩილა ქვეყნები, რომლებზეც კაცობრიობის $^2/_3$ მოდიოდა. ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები, აშშ და იაპონია ბატონობდნენ ქვეყნებში, რომლებიც ხშირად ტერიტორიისა თუ მოსახლეობის რაოდენობით ბევრად აღემატებოდნენ დამპყრობლებს. ინგლისის ხელისუფალნი ტრაბახობდენ, ისეთი ვრცელია ბრიტანეთის იმპერია, იქ არასოდეს ჩადის მზეო. 1938 წ. მისი ტერიტორია (დომინიონებითურთ) დაახლოებით 34 მლნ. კვ კმ იყო, მოსახლეობა — 450 მლნ. კაცი. თვითონ ინგლისის ფართობი 250 ათას კვ კმ-საც ვერ აღწევს. მოსახლეობა კი 50 მლნ. კაცზე ნაკლები იყო, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში (1939). ჰოლანდიის კოლონიური სამფლობელოები ჰოლანდიის ტერიტორიას 65-ჯერ, მოსახლეობა კი 8-ჯერ აღემატებოდა. ასობით მილიონი ადამიანის, მრავალი ათეული ხალხის ბედი წყდებოდა ვაშინგტონსა და ლონდონში, პარიზსა და ბრიუსელში, რომსა და ჰააგაში.

ხალხები მამაცურად იცავდნენ თავისუფლებას კოლონიზატორთა ხელყოფისაგან. პატრიოტთა რაზმები, რომლებიც ხშირად მარტო მშვილდ-ისრითა და მარტივი იარაღით იყვნენ აღჭურვილნი, იბრძოდნენ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული ინტერვენტების წინააღმდეგ. სახალხო წინააღმდეგობა არ ცხრებოდა კოლონიური რეჟიმის დამყარების შემდეგაც. ბევრ დაპყრობილ ქვეყანაში კოლონიზატორები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ვულკანზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაში. მან მოსპო მსოფლიოში იმპერიალიზმის განუყოფელი ბატონობა, ბოლო მოუღო ცარიზმს, რომელიც რუსეთის იმპერიის ხალხთა მიმართ სასტიკი ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას ატარებდა და კოლონიურ ძარცვაში სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თანამზრახველი იყო. საბჭოთა ქვეყანა გახდა ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ძლიერი საყრდენი, მათი მეგობარი და მოკავშირე.

ჩვენმა ხალხმა უთანასწორო ბრძოლაში დაიცვა თავისუფლება უცხოელ ინტერვენტთა და შინაური კონტრრევოლუციის ხელყოფისაგან. ეს იყო შთამაგონებელი მაგალითი კოლონიურ საპყრობილეში მომწყვდეული ხალხისათვის. საბჭოეთის ქვეყანამ ყველაზე დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ იმპერიალისტების დამარცხება შეიძლება. ოქტომბერმა აამოძრავა მთელი კოლონიური და ნახევრადკოლონიური სამყარო. მან უდიდესი ბიძგი მისცა განმათავისუფლებელ მოძრაობას. ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა კოლონიური სისტემის კრიზისს, გახსნა ძლევამოსილი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა.

ოქტომბერმა მიანიჭა ეროვნული თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის იდეებს უზარმაზარი, დაუძლეველი ძალა. მან ლახვარი ჩასცა რეაქციულ მონაჩმახს ერთი რასის მეორეზე უპირატესობის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბობოქარი გამოსვლები ჩინეთში, ინდონეზიაში, ინდოეთში, ავღანეთში, ეგვიპტეში, თურქეთში, მონღოლეთში, სირიაში, კორეაში, პალესტინაში, ირანში, ერაყში, სამხრეთ აფრიკაში, ინდოჩინეთსა და სხვა ქვეყნებსა და რაიონებში.

ოქტომბრის რევოლუციიდან სამი ათეული წლის განმავლობაში იმპერიალისტები ინარჩუნებდნენ თავიანთ კოლონიურ იმპერიებს, მაგრამ კოლონიური წყობილების სიმტკიცე უკვე შერყეული იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაჩქარდა კოლონიური სისტემის რღვევა. 1945—75 წწ. კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ტყვეობას თავი დააღწია 1,5 მილიარდმა ადამიანმა, დამონებული ქვეყნების მოსახლეობის 95%. დამოუკიდებლობა მოიპოვა აზიის 24, აფრიკის 45 ქვეყანამ, ვესტ-ინდოეთისა და სამხრეთ ამერიკის 7 ყოფილმა კოლონიამ, ოკეანეთის 5 და ევროპის ერთმა ქვეყანამ. ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა: დამოუკიდებლობა მოიპოვეს ზიმბაბვეს, ტუვალუს, დომინიკის, სენტ-ლუსიის და ზოგიერთი სხვა ქვეყნების ხალხებმა.

სამ საუკუნე ნახევარზე მეტ ხანს იქმნებოდა ბრიტანეთის იმპერია, მაგრამ 20 წელი აღმოჩნდა საკმარისი, რომ მისგან მხოლოდ ნამსხვრევი დარჩენილიყო. ახლა ინგლისის ხელისუფლების ქვეშ მისი ყოფილი სამფლობელოების მოსახლეობის მხოლოდ 2% და ტერიტორიის 3,2%-ია. 1976 წლის 1 იანვრის მონაცემებით საფრანგეთმა დაკარგა თავისი იმპერიის ფართობის 98,8% და მოსახლეობის 98,1%; შესაბამისად ჰოლანდიამ 99,9 და 99,7%; აშშ-მა — 96 და 80,8%. თავისი კოლონიური სამფლობელოები სავსებით დაკარგა ბელგიამ, იაპონიამ, იტალიამ. გვინეა-ბისაუს, მოზამბიკისა და ანგოლის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ანტიფაშისტურმა რევოლუციამ პორტუგალიაში დაამსხვრია პორტუგალიის უკანასკნელი კოლონიური იმპერია.

კოლონიური სისტემის რღვევა თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა, რის შედეგადაც იმპერიალისტებმა დაკარგეს შესაძლებლობა, იპარპაშონ ათეულობით ქვეყანაში, უკონტროლოდ განაგონ ნედლეულისა და ადამიანების უზარმაზარი რესურსები. ამას გარდა, იმპერიალიზმის რეზერვიდან ეს ქვეყნები გარდაიქმნებიან პროგრესულ ანტიიმპერიალისტურ ძალთა მოკავშირედ.

ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხები საერთაშორისო ცხოვრებაში აქტიური ძალა და მსოფლიო ისტორიის დამოუკიდებელი მონაწილენი გახდნენ. გამართლდა ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩაგრული ხალხების გაღვიძების პერიოდს მოჰყვება დრო, როცა ისინი მონაწილეობას მიიღებენ მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში.

კოლონიური სისტემის რღვევა როგორც საშინაო, ისე საგარეო მიზეზების მოქმედებათა შედეგია.

არნახული გაქანება მოიპოვა ხალხების ბრძოლამ თვით კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში, სადაც კოლონიურმა ძარცვამ და რასობრივმა ჩაგვრამ ხალხის უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია. მეორე მსოფლიო ომის წლებში სახელმწიფოთა ანტიჰიტლერული კავშირი, რომელშიც შედიოდა კოლონიების მფლობელი ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა, ფაშიზმისა და მისი რასისტული იდეოლოგიის ლიკვიდაციის, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ლოზუნგებით გამოდიოდა. ამ ლოზუნგებმა მხურვალე გამოხმაურება პოვა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხთა შორის, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ეს პრინციპები მათ მიმართ გამოეყენებინათ. ომის დროს იმპერიალისტები, არმიის მომარაგების ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებულნი იყვნენ ზოგიერთ თავიანთ კოლონიურ სამფლობელოში დაეშვათ მრეწველობის სწრაფი განვითარება. ამან პროლეტარიატის — ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მოთავის, აქტიური მონაწილის — ზრდა გამოიწვია.

აზიის მთელ რიგ ქვეყნებში გაჩნდა წინააღმდეგობის შეიარაღებული ძალები იაპონელი კოლონიზატორების წინააღმდეგ, რომელსაც კომუნისტე-



აფრიკის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — გვინეა-ბისაუს რესპუბლიკად გამოცხადება 1973 წ. 24 სექტემბერს.

ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის მხარდასაჭერად გამართული მასობრივი მიტინგი ლუანდის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში.

ბი, აგრეთვე, ზოგიერთი ეროვნულ-რევოლუციური პარტია მეთაურობდნენ.

ომის შემდეგ ჰოლანდია შეეცადა აღედგინა თავისი ძალაუფლება ინდონეზიაში, საფრანგეთი — ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში (ახლანდელი კამპუჩია), ინგლისი — ბირმაში. მაგრამ კოლონიზატორები ამ ქვეყნების ხალხთა უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდნენ და ვერ შეძლეს თავიანთი ბატონობის აღდგენა.

აღმავალმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ თითქმის ერთდროულად მოიცვა ბევრი კოლონიური ქვეყანა, ამან კი ხელი შეუშალა იმპერიალისტებს, ჩაეხშოთ პატრიოტული ძალები. უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზმებს შორის. განმტკიცდა სოლიდარობა ხალხებისა, რომლებიც იბრძოდნენ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ვითარებამ ძლიერ შეუწყო ხელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძლევამოსილ განვითარებას.

მსოფლიო სოციალისტურმა სისტემამ დიდად დაუჭირა მხარი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამას გარდა, სოციალისტურმა სისტემამ თავისი არსებობით შეზღუდა იმპერიალიზმის ძალები, ხელი შეუშალა მას მთელი ძალით გამოეყენებინა სამხედრო მანქანა მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ.

თუმცა ამჟამად იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა დამსხვრეულია, მაგრამ კოლონიზატორების მიერ ჩაგრული აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა მიზნები სავსებით მაინც არ არის მიღწეული. ამიტომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კვლავაც გრძელდება.

ზოგიერთ ქვეყანაში შედგა დამოუკიდებლობის გამოცხადების ცერემონია, გააუქმეს კოლონიური ადმინისტრაცია, მაგრამ ფაქტიურად ამ ქვეყნებზე კონტროლი კვლავ კოლონიზატორთა ხელში დარჩა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინათ ისინი აშკარად უფროსობდნენ ამ ქვეყნებში, ახლა კი ფარულად მოქმედებენ.

ჯერ კიდევ არ არის დასრულებული კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნამიბიის, ვესტ-ინდოეთისა და ოკეანეთის მთელი რიგი კუნძულების ხალხები ჯერაც კოლონიზატორებისა და რასისტების მორჩილებაში იმყოფებიან. იმპერიალისტები გააფთრებით ებღაუჭებიან უკანასკნელ კოლონიებს.

დაბოლოს, მიმდინარეობს ბრძოლა იმ ქვეყნების ეკონომიკური განთავისუფლებისათვის, რომელთაც პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. ჯერ კიდევ იმპერიალისტების ხელთ არის ქვეყნის მეურნეობის ბევრი წამყვანი დარგი. კოლონიზატორებს უყვართ მსჯელობა „კეთილშობილურ მისიაზე“, დამონებულ ქვეყნებში „ცივილიზაციისა და კულტურის“ შეტანის შესახებ.

მაგრამ ეს მონაგონი მარტო იმ ფაქტით ბათილდება, რომ ყველა ყოფილი კოლონია და ნახევ-



პერუ. ამაზონის აუზის გაუვალ ჯუნგლში აღმოაჩინეს ნავთობი. დიდ მიწასთან კავშირს უზრუნველყოფენ საბჭოური წარმოების ვერტმფრენები.

რადკოლონია ჩამორჩენილი და ღატაკი ქვეყანაა.

ეგრეთ წოდებული ცივილიზატორები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარება რომ დაემუხრუჭებინათ, რათა ბნელში ჰყოლოდათ ხალხი. ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისათვის (1947), ე. ი. ინგლისელთა ბატონობის 200 წლის შემდეგ, მოსახლეობის მხოლოდ 18% იყო წერა-კითხვის მცოდნე. მაროკოში ფრანგთა ბატონობის წლებში ერთი ექიმი მოდიოდა ქალაქის 45 ათას და სოფლის 120 ათას მცხოვრებზე. სამაგიეროდ ყოველ 600 მცხოვრებზე მოდიოდა 1 პოლიციელი.

ყოფილ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში ცხოვრობს არასოციალისტური სამყაროს მოსახლეობის $^2/_3$-ზე მეტი, მაგრამ მათზე მოდის ფოლადის წარმოების მხოლოდ 5%, თუჯისა — 6%, ელექტროენერგიის 8%-ზე ნაკლები, ფეხსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის 10%. მსოფლიო სამრეწველო წარმოების მხოლოდ 1,35%-ს იძლევა აფრიკის მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობა, იმ კონტინენტისა, რომელსაც მიწის მეოთხედი ნაწილი უკავია.

ჩაგრული კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე აღებული ეროვნული შემოსავლის მიხედვით 10—40-ჯერ ჩამორჩებიან კაპიტალისტური სამყაროს წამყვან ქვეყნებს. ამ აგრარულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაც კი ერთ სულ მოსახლეზე ბევრჯერ უფრო ნაკლები იწარმოება, ვიდრე ინდუსტრიულ სახელმწიფოში.

დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკა კოლონიზატორ სახელმწიფოთა საჭიროებებს ემსახურებოდა. კოლონიებიდან გაჰქონდათ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული: ნავთობი, რკინის მადანი, ალმასი, ოქრო, ფერადი ლითონის მადნები, ბამბა, არაქისი (მიწის თხილი), კაკაოს მარცვალი, ჯუთი, ბანანი, ფორთოხალი, ბრინჯი.

კოლონიზატორები ხელს უშლიდნენ დაპყრობილი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას. ინგლისს, საფრანგეთს, ბელგიასა და სხვა სახელმწიფოებს კოლონიებში შეჰქონდათ თავიანთი სამრეწველო ნაწარმი და სამმაგ ფასად ყიდდნენ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ განაში, მაგალითად, გასაყიდად ჩაჰქონდათ ამავე ქვეყნიდან გაზიდული კაკაოს მარცვლისაგან დამზადებული შოკოლადი.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, ეროვნული ეკონომიკის აშენება და სამეურნეო თუ კულტურული ჩამორჩენილობის სალიკვიდაციო პირობების შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამჟამინდელი ეტაპის მთავარი ამოცანაა.

განთავისუფლებულ ქვეყნებში უფრო და უფრო მწვავდება ბრძოლა განვითარების შემდგომი გზების ასარჩევად: კაპიტალიზმისა თუ სოციალიზმის გზით წავიდნენ? ამავე დროს ბევრ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაიზარდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში.

იმ განთავისუფლებული ქვეყნების გამოცდილებამ, რომლებიც დაადგნენ განვითარების კაპიტალისტურ გზას, გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმი ვერ უზრუნველყოფს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უღლისაგან ეკონომიკურ თავისუფლებას. ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების კაპიტალისტურ განვითარებას გარდაუვალად იქამდე მივყავართ, რომ ეს ქვეყნები უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებიან კაპიტალისტურ სამყაროზე, რომელშიც იმპერიალისტური მონოპოლიები ბატონობს. კაპიტალისტური განვითარება ესაა ხალხთა უმრავლესობის ექსპლოატაციითა და ჩაგვრით

უმცირესობის გამდიდრების გზა. იმ განთავისუფლებულ ქვეყნებში, სადაც ვითარდება კაპიტალიზმი, მშრომელთა მდგომარეობა ძველებურად მძიმეა, გაბატონებული ზედაფენა კი მდიდრდება. მაგალითად, აფრიკის ქვეყანაში, სპილოს ძვლის ნაპირზე, მინისტრის ან დეპუტატის ოფიციალური ხელფასი 50—100-ჯერ აღემატება მუშის ხელფასს და გლეხის შემოსავალს.

განთავისუფლებულ ქვეყნებში კომუნისტები და მთელი პროგრესული, რევოლუციურ-პატრიოტული ძალები, რომლებიც გამოხატავენ ხალხის — მუშათა კლასის, გლეხობის, დემოკრატიული ინტელიგენციის ინტერესებს, იბრძვიან, რათა ბოლომდე მიიყვანონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია და ქვეყანა განავითარონ სოციალიზმის გზით.

სოციალიზმის იდეები უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა მასებს შორის. დღეს აზიასა და აფრიკაში არაერთმა ქვეყანამ უარყო განვითარების კაპიტალისტური გზა და აირჩია სოციალისტური ორიენტაცია. სირიაში, ერაყში, ბირმაში, გვინეაში, კონგოში, ეთიოპიაში, ანგოლაში, ავღანეთში, ტანზანიაში, იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში განხორციელებულია უდიდესი. საზოგადოებრივი გარდაქმნები: იმპერიალისტურ მონოპოლიათა საკუთრების ნაციონალიზაცია, სახელმწიფოებრივი სექტორის განმტკიცება, აგრარული რეფორმის გატარება, სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობათა შექმნა, სოციალური და შრომითი კანონმდებლობის შემოღება, რაც აუმჯობესებს მშრომელთა მდგომარეობას. ეს ყველაფერი ამტკიცებს ამ ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ბრძოლა რეაქციის ძალების წინააღმდეგ იმპერიალიზმის დამჭაშებისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მიმდინარეობს აგრეთვე სხვა ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. მაგალითად, ინდოელმა ხალხმა ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ქვეყანაში ნაციონალიზებულია მსხვილი ბანკები, გაუქმებულია საუკუნეობით შემონახული თავადების პრივილეგიები, შექმნილია მრეწველობის სახელმწიფოებრივი სექტორი, განმტკიცდა დემოკრატიულ ძალთა პოზიციები.

ყოფილ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ სამყაროს ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ბევრი მნიშვნელოვანი თვისება აახლოებს ამ ქვეყნებს აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან. ერთსაც და მეორესაც ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და დამოკიდებულების იმპერიალისტური ექსპლოატაციის დაღი აზის. მათ წარსულში კოლონიური და ნახევრადკოლონიური ჩაგვრის ხანგრძლივი პერიოდი აქვთ გადატანილი. ლათინური ამერიკის, ისევე როგორც აზიისა და აფრიკის ხალხების წინაშე, დგას ამოცანა, ბოლომდე მიიყვანონ ეროვნული განთავისუფლების პროცესი, მოიპოვონ იმპერიალიზმისაგან ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ამავე დროს ლათინური ამერიკის ქვეყნებს აქვთ საკუთარი თავისებურებანი. მათმა უმრავლესობამ კოლონიურ უღელს თავი დააღწია ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. და თუმცა შემდეგში ისინი იმპერიალისტურ კაპიტალზე დამოკიდებული გახდნენ, მათი განვითარება დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა ჩარჩოების ფარგლებში მიემართებოდა (თუნდაც ეს დამოუკიდებლობა ფორმალური ყოფილიყო). ამან აზიისა და აფრიკის დამონებულ ქვეყნებთან შედარებით ისინი სხვაგვარ პირობებში ჩააყენა. ლათინური ამერიკის ქვეყნებმა მიაღწიეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ საფეხურს, ვიდრე აფრიკისა და აზიის ქვეყნებმა. ამ ქვეყნებში უფრო ადრე დაიწყო ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება, უფრო მწვავედ გამოვლინდა სოციალური წინააღმდეგობანი. კონტინენტის ბევრ ქვეყანაში მუშათა კლასი ხდება განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი. ამიტომ ლათინური ამერიკის ხალხთა მასების ბრძოლას თავისი უფლებებისა და ინტერესებისათვის ბევრი მსგავსი დამახასიათებელი თვისება აქვს განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების მშრომელთა ბრძოლასთან.

ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში ძლიერდება მრეწველობა, იზრდება მუშათა კლასის, მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტთა რიცხვი. ამავე დროს მშრომელთა მდგომარეობა ძალზე მძიმეა. მუშათა კლასი უფრო და უფრო მტკიცედ გამოდის უცხოური მონოპოლიების ჩაგვრის წინააღმდეგ. მშრომელი გლეხობა მოითხოვს ლატიფუნდიის სისტემის (მსხვილ მემამულეთა მეურნეობის) ლიკვიდაციას. ლათინურ ამერიკაში

განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობას ხელს უწყობს კუბის რევოლუციის წარმატებები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება სხვა კონტინენტებზე. 60—70-იან წლებში ლათინური ამერიკა გადაიქცა განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრ კერად, მსოფლიო რევოლუციური პროცესის მნიშვნელოვან რგოლად.

1979 წელს დიდ წარმატებას მიაღწია ნიკარაგუას ხალხმა, რომელმაც დაამხო ტეროროისტული დიქტატურა. ამავე დროს პანამელმა ხალხმა აიძულა შეერთებული შტატები ახალი ხელშეკრულება დაედო პანამის არხის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ამ ზონაში პანამის სუვერენიტეტის აღდგენას.

იმპერიალიზმი და ადგილობრივი რეაქცია ცდილობს გადავიდეს კონტრშეტევაზე, შემოაბრუნოს მოვლენათა განვითარება კონტინენტზე. ამას მოწმობს სამხედრო-ფაშისტური პუტჩი ჩილეში, რეაქციული სამხედრო დიქტატურის დამყარება მთელ რიგ ქვეყნებში, მაგრამ ეს ცდები აწყდება გადამწყვეტ წინააღმდეგობას ორგანიზებული მუშათა მოძრაობისა და მისი კომუნისტური ავანგარდის პოლიტიკურად გამოღვიძებულ ხალხთა მასების მხრივ. ლათინური ამერიკის ხალხები უფრო და უფრო მტკიცედ გამოდიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ამერიკული მონოპოლიების კაბალის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოვლინებაა ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა მისწრაფება დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსისაკენ, სოციალისტურ ქვეყნებთან გაფართოებული კავშირისაკენ, კუბის რესპუბლიკის იზოლაციის პოლიტიკის კრახი.

ქვეყნები, რომლებმაც სოციალიზმის, საზოგადოებრივი პროგრესის კურსი აიღეს, ავითარებენ მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ამაში ხედავენ ისინი თავიანთი დამოუკიდებელი პროგრესული განვითარების საყრდენს.

იმპერიალიზმთან მძიმე ბრძოლაში სამი კონტინენტის ხალხები იკაფავენ გზას ახალი ცხოვრებისაკენ. იმპერიალისტები ცდილობენ ყოველნაირად შეაფერხონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი განვითარება, გაშმაგებით ეჭიდებიან შემორჩენილ კოლონიებს, სურთ განიმტკიცონ თავიანთი კონტროლი პროკოლონიური რეჟიმისადმი, აძლიერებენ ძირგამომთხრელ მოქმედებებს იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, სადაც ხელმძღვანელობა რევოლუციური ძალების ხელშია, ცდილობენ ეს ქვეყნები კვლავ კაპიტალიზმის გზაზე დააყენონ. სწორედ ამ მნიშვნელობით უნდა შევაფასოთ ისრაელის მმართველი წრეების აგრესიული კურსი. მათ ომისშემდგომ წლებში იმპერიალიზმის წაქეზებით არა ერთი (1948, 1956, 1967 და 1973 წლებში) ავაზაკური თავდასხმა მოაწყვეს მეზობელ არაბულ ქვეყნებზე.

თავიანთი საძრახისი მიზნების მისაღწევად რა საშუალებებს არ მიმართავენ კოლონიზატორები!— ომებს, ეკონომიკურ ბლოკადას, სახელმწიფო გადატრიალებებს, არათანასწორუფლებიანი შეთანხმებების თავზე მოხვევას, მოსყიდვას, მოტყუებას, შანტაჟს, პატრიოტ ლიდერთა მკვლელობას, ტომთა და ხალხთა შორის დავის გაჩაღებას და რელიგიური შუღლის გაღვივებას.



კანაკრი — გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქი. საბჭოთა კავშირის მიერ აშენებული პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

იმპერიალიზმის აგრესიის ნათელი მაგალითი იყო ომი, რომელსაც აწარმოებდა აშშ ინდოჩინეთში.

თანამედროვე პირობებში ომის ხელკეტს აღარ ძალუძს უწინდებურად უზრუნველყოს იმპერიალისტების ბატონობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებზე. იმპერიალისტები ეძებენ ხალხთა დამონების ახალ საშუალებებს, ახალ ხერხებს, რამაც მიიღო სახელწოდება ნეოკოლონიალიზმი, ანუ ახალი კოლონიალიზმი. ეს უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ განთავისუფლებულ ქვეყნებს თავს მოახვიონ განვითარების კა-

პიტალისტური გზა. თუ წინათ მონოპოლისტური კაპიტალი ჩვეულებრივ წინააღმდეგობას უწევდა კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში ეროვნული კაპიტალიზმის განვითარებას, ახლა კი, პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ ქვეყნებში კაპიტალისტური წესწყობილების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი კონტროლის ქვეშ. განთავისუფლებულ ქვეყნებს ითრევენ იმპერიალისტებთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში, ვითომ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული „თანამშრომლობის“ ლოზუნგით მათ თავს ახვევენ „ურთიერთდაცვის“ ხელშეკრულებებს, სხვადასხვა ბლოკებისა და ორგანიზაციების შექმნას. მაგრამ ყველა შემთხვევაში იმპერიალისტების მიზანია დააწესონ კონტროლი ყოფილ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებზე, შეზღუდონ მათი სუვერენიტეტი — უფლება საგარეო და საშინაო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვისა.

სწორედ ესაა ეგრეთ წოდებული „კოლექტიური“ კოლონიალიზმი. სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტები ცდილობენ გააერთიანონ თავიანთი ძალები ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების წინააღმდეგ და აწყობენ ერთობლივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მოქმედებებს მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს „კოლექტიური“ კოლონიალიზმი არ სპობს თვით კოლონიზატორებს შორის წინააღმდეგობებს.

იმპერიალისტები კოლონიებში, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდნენ ადგილობრივ ფეოდალთა და დიდგვაროვანთა წრეს. ისინი ახლაც არ ამბობენ უარს რეაქციულ ფენებთან კავშირზე. მაგრამ თანამედროვე პირობებში მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ეროვნულ ბურჟუაზიასთან, როგორც ძირითად ძალასთან, რომელიც დაინტერესებულია კაპიტალისტური განვითარებით. ამ მიზნით იმპერიალისტები ფართოდ იყენებენ რეაქციულ ნაციონალიზმსა და ანტიკომუნიზმს, რომლებიც მათ ასევე ემსახურება როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამთიშველი იარაღი, რითაც სურთ ჩაშალონ ან დაასუსტონ მისი კავშირი მსოფლიო სოციალიზმთან.

ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ეგრეთ წოდებულ დახმარებას. ვითომ დახმარების სახით იმპერიალისტები ყოფილ კოლონიებში თავიანთ დამჭაშებს აძლევენ დიდ თანხას. ამ ფულითვე ინახავენ მარიონეტულ ჯარს. ამას გარდა, იმპერიალისტები იყენებენ თავიანთ კრედიტებსა და სესხებს, რომ დანერგონ კერძო კაპიტალისტური ურთიერთობა, რათა უცხოურ კაპიტალს გამოსძალონ შეღავათები.

განვითარებადი ქვეყნები მწვავედ განიცდიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ამით სარგებლობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები. კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ისინი ცდილობენ თავიანთთვის ხელსაყრელი სულისკვეთებით აღზარდონ აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან ჩამოსული სტუდენტები. იმპერიალისტები ისწრაფვიან გაავსონ ეს ქვეყნები თავიანთი ექსპერტებითა და მრჩევლებით.

თანამედროვე კოლონიალიზმის მთავარი საყრდენი არის აშშ-ის იმპერიალიზმი. აშშ-მა ათეულობით ქვეყანა და ხალხები გახლართა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დამოკიდებულებების ბადეში. მრავალი ათეული წლების განმავლობაში აშშ-ის იმპერიალისტები მბრძანებლობდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ბევრ მათგანში აქამდეც შეინარჩუნეს თავიანთი გაბატონებული პოზიციები. ახლა ისინი ცდილობენ დამოკიდებულნი გახადონ აზიის და აფრიკის ქვეყნები.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ემყარება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერას. ამიტომაც შესაძლებელი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიული გამარჯვება, კოლონიური სისტემის განადგურება და 80-ზე მეტი ახალგაზრდა, სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. როცა გაიზარდა და განმტკიცდა სოციალიზმის სამყარო, ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხებმა მიიღეს რეალური შესაძლებლობა აერჩიათ თავიანთი ინტერესების გამომხატველი განვითარების გზა, მიეღწიათ იმპერიალიზმისაგან ეკონომიკურად განთავისუფლებისათვის, უარეყოთ კაპიტალიზმი. „მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი, — ამბობდა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ, მიჰყვება რა ლენინის ანდერძს, ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი აქტიურად უჭერს მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და კოლონი-

ური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ხალხთა პროგრესულ პოლიტიკას“.

მსოფლიო სოციალიზმს და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ერთი და იგივე მთავარი მტერი ჰყავს — იმპერიალიზმი და მასთან ბრძოლის ინტერესებიც საერთოა.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის, თავისი არსებობის პირველივე დღიდან, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე იყო. აი, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი ომისშემდგომი წლების ისტორიიდან: 1956 წ. სსრკ გადაჭრით გამოვიდა ეგვიპტის დასაცავად, რომელსაც ავაზაკურად დაეცხნენ თავს ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი. 1957 წ. საბჭოთა კავშირის პოზიციამ ჩაშალა იმპერიალისტების გეგმები, რომლებიც დაემუქრნენ სირიას. 1958 წ. ჩვენმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა ერაყში ივლისის რევოლუციას, რომელმაც დაამხო პროიმპერიალისტური რეჟიმი და გამოვიდა ლიბანსა და იორდანიაში ამერიკულ-ინგლისური ინტერვენციის წინააღმდეგ. სსრკ-მა ძმური სოლიდარობა გამოუცხადა ალჟირისა და იემენის რევოლუციებს, მხარი დაუჭირა ირანელი ხალხის ბრძოლას შაჰისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა ქვეყანა მხარს უჭერდა კონგოს (ამჟამად ზაირი), სამხრეთ როდეზიის (ამჟამად ზიმბაბვე) და აფრიკის სხვა ხალხებს მათ ბრძოლაში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, კოლონიზატორების ცდის წინააღმდეგ, დაენაწილებინათ ისინი. სსრკ მხარს უჭერდა ინდოეთს, რომელიც იბრძოდა თავის მიწა-წყალზე კოლონიალიზმის უკანასკნელი საყრდენი პუნქტების ლიკვიდაციისათვის, გოადან, დამანიდან და დიუდან პორტუგალიელი იმპერიალისტების განდევნისათვის.

საბჭოთა ქვეყანა ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის არაბეთის ქვეყნების კანონიერი მოთხოვნების დასაცავად, ისრაელის აგრესიისა და კემპდევიდის სეპარატული გარიგების წინააღმდეგ. როცა 1974 წ. ერაყმა ბრძოლა გამოუცხადა უძლიერეს ამერიკულ და ინგლისურ საერთაშორისო ნავთობის მონოპოლიებს და ნაციონალიზაცია უყო მათ ფილიალს „ერაყ პეტროლეუმს“, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა მხარდაჭერით ერაყმა გაუძლო ეკონომიკურ შანტაჟს ამ ქვეყნების მხრივ და გაიმარჯვა.

საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალიზმის ნათელი დემონსტრაცია იყო მისი მხარდაჭერა ვიეტნამელი ხალხისადმი. სსრკ-ის უდიდესი დახმარება დიდად შეაფასა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ვიეტნამის კომუნისტურმა პარტიამ და ყველა ვიეტნამელმა პატრიოტმა. საბჭოთა კავშირის დახმარებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ თავის მრავალრიცხოვან გმირულ ბრძოლაში ვიეტნამელმა ხალხმა შეძლო ისტორიული გამარჯვებისათვის მიეღწია.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან უკანასკნელი კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის. ჩვენი ქვეყანა ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებთან ურთიერთობას აგებს სრული თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეში ჩაურევლობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველზე. ეს ხელს უწყობს სსრკ-სა და განთავისუფლებულ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის სწრაფ გაფართოებას. სსრკ-ის ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების წარმატების მაჩვენებელია მათთან დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

საბჭოთა კავშირსა და განთავისუფლებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა — მნიშვნელოვანი საყრდენია ამ ქვეყნების ხალხებისათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 1975 წ. დამდეგისათვის სსრკ-ის დახმარებით აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში აშენდა სახალხო-სამეურნეო, სოციალური და კულტურული მნიშვნელობის 472 ობიექტი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ის საწარმოებია, რომლებიც ამ ქვეყნების ეკონომიკის საფუძველი გახდება — ელექტროსადგურები, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. სწრაფად იზრდება საქონელბრუნვა სსრკ-სა და განვითარებად ქვეყნებს შორის. 1970—1974 წწ. იგი თითქმის გაორკეცდა. საბჭოთა კავშირი მანქანებისა და მოწყობილობის დიდ რაოდენობას აწვდის განვითარებად ქვეყნებს. თავის მხრივ, სსრკ იღებს ამ ქვეყნებიდან (როგორც ჩვეულებრივი სავაჭრო ოპერაციების, ასევე წარმოდგენილი კრედიტების დაფარვის შედეგად) ჩვენ-

თვის საჭირო ფართო მოხმარების საგნებს, სურსათსა და ნედლეულის მნიშვნელოვან რაოდენობას.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დახმარებას ეროვნული ინჟინერ-ტექნიკური კადრების და კვალიფიციური მუშების მომზადებაში, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში. სსრკ-სა და აზიის, აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის 50-ზე მეტ ქვეყანას შორის დადებულია კულტურული ურთიერთობის ხელშეკრულება. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ საწარმოებში, პროფესიულ სკოლებში განვითარებადი ქვეყნების 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. აქ ისინი იძენენ სწორედ იმ სპეციალობას, რაც მათ ქვეყანას სჭირდება. სსრკ-ში შექმნილია პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, სადაც აფრიკა-აზიისა და ლათინური ამერიკის ათასობით სტუდენტი სწავლობს.

კვალიფიციურ მუშებსა და ტექნიკურ სპეციალისტებს ამზადებენ თვით განვითარებად ქვეყნებში, საწარმოების მშენებლობისა და ტექნიკური სამუშაოების შესრულების დროს, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით ხორციელდება.

სსრკ-ის დახმარებით განვითარებად ქვეყნებში აშენებულია ან შენდება 100-ზე მეტი კულტურის დაწესებულება: ინსტიტუტები, ტექნიკური და საშუალო სკოლები, სასწავლო ცენტრები.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიკური თანამშრომლობა განამტკიცებს განთავისუფლებული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, აიძულებს იმპერიალისტებს წავიდნენ დათმობაზე, ზოგჯერ სერიოზულზე, საშუალებას აძლევს ახალგაზრდა ქვეყნებს ქმედითი წინააღმდეგობა გაუწიონ შანტაჟისა და ეკონომიკური ზემოქმედების ცდებს. როგორც პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს ახალგაზრდა სახელმწიფოთა კანონიერ მისწრაფებებს, მათ სიმტკიცეს მთლიანად განთავისუფლდნენ იმპერიალისტური ექსპლოატაციისაგან, თვითონვე განაგონ თავისი ეროვნული სიმდიდრე“.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა წამოაყენეს მებრძოლი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ეს ლოზუნგი — მთელი კომუნისტური მოძრაობის დევიზი — პროლეტარიატის, ყველა მშრომელთა ძალისა და ბრძოლისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

როცა მსოფლიო ასპარეზზე, როგორც მებრძოლი რაზმი, გამოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით!“

როცა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციების შედეგად შეიქმნა და განმტკიცდა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა (1969) წამოაყენა ლოზუნგი, რომელიც უფრო სრულად ასახავს რევოლუციური ძალების თანამედროვე შემადგენლობას: „სოციალისტური ქვეყნების ხალხებო, პროლეტარებო, კაპიტალის ქვეყნების ყველა დემოკრატიულო ძალებო, განთავისუფლებულო და ჩაგრულო ხალხებო, გაერთიანდით საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის“.

დიადი მიზანი დიად დარაზმულობას მოითხოვს. „კაპიტალი საერთაშორისო ძალაა, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. — იგი რომ დავამარცხოთ, საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა. ჩვენ ეროვნული მტრობის, ეროვნული შუღლის, ეროვნული განკერძოებულობის წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ მესაერთაშორისო ინტერნაციონალისტები ვართ“.

ისტორიაში არც ერთ მოძრაობას არ გადაუტანია ისეთი მძიმე განსაცდელი და დევნა, როგორც კომუნისტურ მოძრაობას. მაგრამ მსოფლიოს ისტორიაში არც ერთ მოძრაობას არ გამოუმჟღავნებია ისეთი მამაცობა, ისეთი მასობრივი გმირობა და თავგანწირვა, ისეთი ნებისყოფა ხალხთა ინტერესებისათვის ბრძოლაში, როგორც კომუნისტურ მოძრაობას.

1847 წ., როცა მარქსმა და ენგელსმა შექმნეს კომუნისტთა კავშირი, მსოფლიოში სულ 400 კომუნისტი იყო. მაშინ ცოტას თუ სჯეროდა, რომ ამ პატარა ჯგუფიდან ყველაზე ძლიერი მსოფლიო ძალა გაიზრდებოდა. მაგრამ კომუნისტებმა დაამტკიცეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უდიდესი ჭეშმარიტება და ცხოველმყოფელი ძალა, მთელი მსოფლიოს წინაშე დაადასტურეს, რომ მათ მარტო პროპაგანდის უნარი კი არ შესწევთ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებენ სოციალიზმის იდეალებს.

მე-20 საუკუნის დამდეგს რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადაინაცვლა. აქ შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომელსაც მაშინ ბოლშევიკების პარტია ეწოდებოდა. იგი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი, რევოლუციისა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში დასაბამი მისცა ახალ ერას — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების ჩამოყალიბება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ლენინის პარტიამ, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობდა მშრომელთა ბრძოლას უმძიმეს პირობებში, გამოიარა სამი რევოლუცია და მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მიიყვანა თვითმპყრობელობასა და კაპიტალიზმზე გამარჯვებამდე და დედამიწის ყველა კონტინენტზე მუშათა კლასის ახალი რევოლუციური პარტიებისათვის პირველსახედ, მაგალითად იქცა.

1918 წ. დედამიწაზე არსებობდა 10 კომუნისტური პარტია, 1921 წ. — 34, 1928 წ. — 46, 1935 წ. — 61. 1957 წ. — 85. 70-იანი წლების დამდეგს მსოფლიოში იყო 89 კომუნისტური და მუშათა პარტია.

განუხრელად იზრდება კომუნისტური მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი. 1917 წ. მსოფლიოში დაახლოებით 400 ათასი კომუნისტი იყო, 1921 წ.— 2231 ათასი, 1935 წ. — 3140 ათასი, 1957 წ. — 33 მილიონზე მეტი, 1960 წელს 36 მილიონს გადააჭარბა. 70-იანი წლების დასაწყისისათვის კომუნისტების რიცხვი მსოფლიოში 50 მილიონს აღემატებოდა.

„მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ავანგარდი იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველაზე უფრო გამოცდილი და გამოწრთობილი რაზმი. სკკპ-ის გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებლობასა და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის განხორციელებაში, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობისათვის“, — ასე შეაფასა ლენინური პარტიის როლი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა (1960).

ლენინური პარტიის დიდი დამსახურება ისაა, რომ მსოფლიოს კომუნისტურმა მოძრაობამ ასეთი დიდი გაქანება მიიღო, ხალხთა მასებზე უდიდესი გავლენა მოიპოვა, ასეთ დიდ გამარჯვებებს მიაღწია.

თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა — ეს მსოფლიო მოძრაობაა. იგი წარმოდგენილია სამი მთავარი რაზმით.

ყველაზე ძლიერი რაზმი — ესაა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები. ეს პარტიები ახორციელებენ მსოფლიოს სოციალისტური გარდაქმნების იდეალებს, მეთაურობენ ახალი ცხოვრების მშენებლობას. ისინი თავის მთავარ ამოცანას ხედავენ იმაში, რომ ყოველნაირად განამტკიცონ მსოფლიო სოციალისტური სისტემა, უზრუნველყონ სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობა, თავისი ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად გააკეთონ შესაძლებლობის მაქსიმუმი.

სოციალისტური ქვეყნები თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წარმატებებით ყოველმხრივ აძლიერებენ ზემოქმედებას მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე. ისინი ატარებენ მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, რითაც დედამიწის მოსახლეობის უფართოესი მასების ინტერესებსა და სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ახალი ძმური ურთიერთობის მაგალითს იძლევიან.

მეორე უდიდესი რაზმია ინდუსტრიულად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიები. მათ რთულ პირობებში უხდებათ ბრძოლა იმპერიალიზმის მთავარი ძალების წინააღმდეგ. ბევრმა მათგანმა გაიარა კლასობრივი ბრძოლების დიდი სკოლა და გავლენიან პოლიტიკურ ძალად იქცა. ეს პარტიები მთავარ დარტყმას მიმართავენ კაპიტალისტური მონოპოლიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ინტერესების სადარაჯოზე მდგომი სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგ. კომუნისტები თანმიმდევრულად იცავენ ხალხთა ცხოვრებისეულ ინტერესებს და დემოკრატიულ უფლებებს იმპერიალისტური რეაქციის თავდასხმისაგან, განუხრელად უკავშირებენ ერთმანეთს დემოკრატიის დაცვასა და სოციალიზმისათვის ბრძოლას. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში კომუნისტები რაზმავენ მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, მოწინავე ინტელიგენციას, ქმნიან მომავალი სოციალისტური რევოლუციის არმიას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია (იგი შეიქმნა 1920) თავის რიგებში ითვლის 700 ათასზე მეტ ადამიანს. იგი მნიშვნელოვან ეროვნულ ძალად იქცა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მშრომელი ხალხის ყველა ფენაზე. ქვეყნის სხვა მემარცხენე ძალებთან კავშირში საფრანგეთის კომუნისტური პარტია, უპირველეს ყოვლისა, იბრძვის მშრომელთა პოლიტიკური უფლებების გაფართოებისათვის, ხალხთა მასების საჭიროების ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის, იბრძვის, რათა სახელმწიფოს გადაეცეს მსხვილი მონოპოლიური საწარმოები, ყველა ქვეყანასთან გატარდეს მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა. „ვიცხოვროთ უკეთ, თავისუფლად, მეგობრულად და მშვიდობიანად“, — ამ სიტყვებით გამოიხატა ახალი პოლიტიკა, რომელიც შესთავაზეს კომუნისტებმა ფრანგ ხალხს. 1973 წ. მარტის არჩევნების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ 10 მლნ. ამომრჩეველმა აზრი გამოთქვა გადამწყვეტი პოლიტიკური ცვლილებების სასარგებლოდ, საითკენაც მოუწოდებენ მემარცხენე პარტიები. ამ არჩევნებში კომუნისტებმა სოციალისტურ პარტიასთან და მემარცხენე რადიკალებთან ერთად წამოაყენეს საერთო პოლიტიკური პროგრამა. 1974 წ. პრეზიდენტის არჩევნებზე 13 მლნ. ამომრჩეველმა მისცა ხმა მემარცხენე ძალთა საერთო კანდიდატს.

იტალიის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1921 წ.) თავის რიგებში ითვლის დაახლ. 1800 ათას კაცს. ეს ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ყველგან, სადაც კი ცხოვრობენ და იბრძვიან იტალიის მშრომელები, არის კომუნისტთა მებრძოლი რაზმები. იტალიის კომუნისტურმა პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. კომუნისტები ხელმძღვანელობენ მშრომელთა ყველა მნიშვნელოვან გამოსვლას. იტალიის ბევრ ქალაქსა და სოფელში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში — მუნიციპალიტეტის სათავეში კომუნისტები დგანან.

1976 წ. ივნისში პარლამენტის არჩევნებში ყოველმა მესამე იტალიელმა ხმა მისცა კომუნისტური პარტიის კანდიდატებს. იტალიის დედაქალაქ რომში და ქვეყნის უდიდეს ქალაქებში — მილანში, ტურინში, ნეაპოლში, გენუაში, ფლორენციასა და ბოლონიაში კომუნისტები იქცნენ უპირველეს და წამყვან ძალად.

გერმანიაში კომუნისტური მოძრაობა არსებობს 1918 წლიდან. ფაშიზმთან ბრძოლის წლებში კომუნისტებმა აჩვენეს მამაცობისა და გმირობის მაგალითები. 145 ათასი კომუნისტი ჩაყარა ჰიტლერმა ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში. 30 ათასი კომუნისტი დახოცეს ფაშისტებმა, მათ შორის რაიხსტაგის (პარლამენტის) 27 დეპუტატი.

გერმანიის კომუნისტური პარტია ჭეშმარიტად გამოხატავს გფრ-ის მშრომელთა ინტერესებს. გერმანიის კომპარტიაში 46 ათასზე მეტი წევრია, მათ შორის $^3/_4$ მუშაა. გკპ-ის ბონის ყრილობამ (1976) მოუწოდა მშრომელებს, ქვეყნის ყველა პროგრესულ ძალებს, ერთიანობისაკენ მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, დემოკრატიული უფლებებისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობის დასაცავად.

ფინეთის კომუნისტური პარტიის რიგებში (შეიქმნა 1918 წ.) დაახლ. 50 ათასი ადამიანია. მათ შორის 80 მუშაა. კომუნისტური პარტია მტკიცედ, თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, მუშათა კლასისა და გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებს, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს რეაქციულ ძალებს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობას.

მიუხედავად ბევრი სიძნელისა, აშშ-ში იზრდე-

ბა კომუნისტების გავლენა. ამერიკელი კომუნისტები აძლიერებენ მუშაობას მასობრივ ორგანიზაციებში, გამოდიან მშვიდობის, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, აძლიერებენ თავიანთ პოზიციებს პროფკავშირულ მოძრაობაში.

იზრდება პორტუგალიის, დანიის, ავსტრიის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და სხვა სახელმწიფოების კომუნისტური პარტიების გავლენა.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მესამე ძლიერი რაზმია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კომუნისტური პარტიები.

კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყნების კომუნისტური პარტიები მობილიზაციას უკეთებენ თავიანთი ერის ყველა პატრიოტულ, დემოკრატიულ ძალებს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ისინი იბრძვიან საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის, ატარებენ თანმიმდევრულ ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას.

არგენტინის კომუნისტური პარტია (ჩამოყალიბდა 1918 წ.) გავლენიანი პოლიტიკური ძალა გახდა. მის რიგებში დაახლ. 150 ათასი კომუნისტია. პარტია სათავეში უდგას ბრძოლას მშრომელთა კონსტიტუციურ უფლებებსა და სასიცოცხლო ინტერესებზე მემარჯვენე ძალების შეტევის წინააღმდეგ.

კოლუმბიის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1930 წ.) თავის რიგებში ითვლის დაახლოებით 30 ათას ადამიანს. 1969—1970 წწ. გატარდა ლენინური გაწვევა პარტიაში, რის შედეგადაც მისი რიგები თითქმის ნახევარჯერ გაიზარდა, უმთავრესად მუშათა კლასის ხარჯზე. 1973 წ. პერუს კომუნისტური პარტიის (შეიქმნა 1928 წ.) ყრილობაზე განსაზღვრეს პარტიის როლი იმ ვითარებაში. როცა ქვეყანა ლათინურ ამერიკაში დემოკრატიული გარდაქმნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად იქცა. იზრდება მექსიკის, კოსტა-რიკის, სალვადორისა და ჰონდურასის კომპარტიების გავლენა.

თავიანთი ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ალმავალი გავლენით სარგებლობს ერაყის, სირიის და შრი-ლანკას კომუნისტური პარტიები. ამ ქვეყნების კომუნისტები მთავრობის შემადგენლობაში არიან.

ბევრ ქვეყანაში კომუნისტებს უმკაცრესი რეპრესიისა და დევნის პირობებში უხდებათ ბრძოლა. კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების თითქმის ნახევარი არალეგალურად მოქმედებს. 1969 წ. ჰაიტელ კომუნისტებს სასტიკი რეპრესია დაატყდათ თავს. ციხეში ჩაყარეს და ფიზიკურად გაანადგურეს მისი თვალსაჩინო მოღვაწეები. 1972 წ. მხეცურად მოკლეს გვატემალის შრომის პარტიის ხელმძღვანელები. მკაცრად უსწორდებიან პარაგვაელ კომუნისტებს. კომპარტიის თავმჯდომარე მ. მაიდანა 1958 წლიდან ციხეში ზის.

1973—74 წწ. მძიმე დარტყმა განიცადა ჩილესა და ურუგვაის კომუნისტურმა პარტიებმა. ჩილეში ფაშისტურმა ხუნტამ მოაწყო სისხლიანი ტერორი, დაიღუპა ათასობით კომუნისტი და სხვა პატრიოტები. საპატიმროებში იმყოფებოდა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლ. კორვალანი. სოლიდარობის კამპანიამ, რომელიც გაიშალა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში ლუის კორვალანის დასაცავად, თვალსაჩინოდ დაგვანახა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძალა. ლ. კორვალანი გაათავისუფლეს.

ბრძოლაში დაცემულ გმირებს ცვლიან ახალი მებრძოლები. „მაგრამ ყველა შემთხვევაში და ყოველ ქვეყანაში, — ხაზს უსვამდა ვ. ი. ლენინი, — კომუნიზმი იწრთობა და იზრდება; მისი ფესვები იმდენად ღრმაა, რომ დევნის შედეგად იგი კი არ სუსტდება, კი არ უძლურდება, არამედ ძლიერდება“.

ამ პირობებში, როცა კომუნისტური მოძრაობა გაღრმავდა და გაფართოვდა, ახლებურად დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამყარდეს კავშირი კომუნისტურ პარტიებს შორის, თუ როგორ უნდა გამომუშავდეს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საერთო პოლიტიკა.

თავდაპირველად ამ ამოცანას ასრულებდა კომუნისტური ინტერნაციონალი (კომინტერნი), რომელიც შეიქმნა 1919 წ. ვ. ი. ლენინის აქტიური მონაწილეობით. კომინტერნის ისტორიული როლი ის არის, რომ მან დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ოპორტუნისტების შერყვნისაგან, ხელი შეუწყო მთელ რიგ ქვეყნებში მოწინავე მუშათა ავანგარდის დარაზმვას — ჭეშმარიტად მუშათა კომუნისტურ პარტიებად, ხელმძღვანელი კადრების ზრდას, დაეხმარა მშრომელთა მასების მობილიზებას თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, ფაშიზმისა და მის მიერ

ომის სამზადისის წინააღმდეგ ბრძოლას, დაეხმარა მშრომელ ხალხს მხარი დაეჭირათ საბჭოთა კავშირისათვის, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საყრდენისათვის. კომინტერნის ფარგლებში გაერთიანება თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის განვითარების პირველი ეტაპი იყო.

მაგრამ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გახდა ცხადი, რომ პარტიები გაიზარდნენ, ვითარება გართულდა და საჭირო გახდა ინტერნაციონალური კავშირის ახალი ფორმების ძიება. ამიტომ 1943 წ. კომინტერნი დაიშალა.

თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების ახალი ეტაპი იმით ხასიათდება, რომ ბევრ ქვეყანაში განმტკიცდა კომპარტიის ავტორიტეტი, გაიზარდა მათი ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური სიმწიფე. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საერთო მიზნების მისაღწევად ყოველი პარტიის მოქმედებას საფუძვლად უდევს ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების სწორი შეხამება. კომუნისტურმა მოძრაობამ იპოვა გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი ინტერნაციონალური პოლიტიკის შემუშავების ახალი ფორმები. უპირველეს ყოვლისა ესაა კომუნისტური პარტიების საერთაშორისო თათბირები. მათ შორის პირველმა (1957) მიიღო მშვიდობის მანიფესტი და დეკლარაცია. მეორე თათბირმა (1960) შეიმუშავა განცხადება, რომელშიც განხილული იყო ღრმა ცვლილებები, რაც თანამედროვე სამყაროში ხდება და გაშუქებული იყო მშვიდობისათვის და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლის გზები. მესამე საერთაშორისო თათბირმა (1969) მიიღო დოკუმენტი „თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელ ანტიიმპერიალისტურ ძალთა ერთობლივი მოქმედების ამოცანები“. მან ენთუზიაზმით მოიწონა მიმართვა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ 1969 წლის საერთაშორისო თათბირი შეაფასა, როგორც კომუნისტების საერთაშორისო მოქმედების ერთიანობის განმტკიცებისა და ანტიიმპერიალისტურ ძალთა დარაზმვისათვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი. თათბირმა ბევრი რამ გააკეთა თანამედროვე გარემოების შესაბამისად მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებისათვის.

სამი თათბირის გადაწყვეტილებანი შეადგენს კომუნისტური მოძრაობის საერთო გენერალურ ხაზს, განსაზღვრავს მის სტრატეგიასა და ტაქტიკას. საერთაშორისო თათბირები, რომლებიც ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობენ, ყოველი კომუნისტური პარტიის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის. ინტერესებს უპასუხებენ.

1967 წ. კარლოვი ვარში, 1976 წ. ბერლინში და 1980 წ. პარიზში შედგა ევროპის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციები, რომლებმაც დაისახეს კონტინენტის მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების მთელი დემოკრატიული ძალების ერთობლივი ბრძოლის გზა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის, მშრომელთა ძირეული ინტერესების განსახორციელებლად.

კომუნისტური მოძრაობა ვითარდებოდა და ვითარდება რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების კოლექტიური განზოგადების საფუძველზე. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მტკიცე ერთობა, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება — აი, წყარო ძალისა და კომუნისტების უძლეველობისა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განუყოფელი ნაწილია. მარქსიზმ-ლენინიზმის საქმის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მჭიდრო კავშირშია სხვა ქვეყნების კომპარტიებთან, მსოფლიოს ყველა რევოლუციურ ძალებთან.

სკკპ XXV ყრილობას (1976 წ. თებერვალ-მარტი) ესწრებოდა მსოფლიოს 96 ქვეყნის 103 კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიის დელეგაციები — უფრო მეტი, ვიდრე ჩვენი პარტიის ნებისმიერ წინათ ჩატარებულ ყრილობას. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები ლენინის დროიდან მოყოლებული დღემდე უმდიდრესი წყაროა გამოცდილებისა, რაზედაც სწავლობს მსოფლიოს ყველა რევოლუციონერი“, — ამბობდა კუბის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ფიდელ კასტრო ყრილობის ტრიბუნიდან. ყველა

ქვეყნის მარქსისტ-ლენინელებს აუცილებლად მიაჩნიათ შეისწავლონ სკკპ-ის უმდიდრესი გამოცდილება, იმიტომ, რომ ეს ის პარტიაა, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა განვლეს სამი რევოლუცია, ისტორიაში პირველად მიაღწიეს ექსპლოატატორებზე სრულ გამარჯვებას და დაამკვიდრეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ისტორიაში პირველად ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, ისტორიაში პირველად გაშალეს კომუნიზმის მშენებლობა.

სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა საზღვარგარეთის ქვეყნებში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდა, მათი ახალი წარმატებანი იმპერიალიზმთან მშვიდობის განმტკიცებისათვის და მშრომელთა უფლებებისათვის ბრძოლაში. ყრილობის სახელით სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყველა ქვეყნის კომუნისტებს — ჩვენს ამხანაგებს და თანამოაზრეებს — გაუგზავნა საბრძოლო სალამი და კეთილი სურვილები. მან აღუთქვა კომუნისტებს, მუშებს, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები და მთელი ხალხი კვლავაც იდგებიან თავისი ინტერნაციონალური ამოცანების სიმაღლეზე. ყრილობამ მიიღო ამხანაგ ბრეჟნევის წინადადება, რათა მოსკოვში აღიმართოს მონუმენტი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გმირთა, ხალხთა ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლთა უკვდავსაყოფად, რომლებიც დაიღუპნენ კლასობრივი მტრის ხელით. ამ წინადადებას მხურვალედ იწონებს საბჭოთა ხალხი.

მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა სკკპ XXV ყრილობა შეაფასეს, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის მსოფლიო ტრიბუნა, მისი გადაწყვეტილებები კი როგორც მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლის საიმედო კომპასი.

სკკპ XXVI ყრილობამ 1981 წლის თებერვალში მთლიანად და სავსებით მოიწონა პარტიის ცკ-ის ლენინური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა. განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ყრილობამ მეათე ხუთწლედის შედეგების კრიტიკული და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა პარტიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები ახალ ხუთწლედსა და 1990 წლამდე პერიოდისათვის, შეიმუშავა მათი განხორციელების ღონისძიებათა სისტემა.

საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებით ყრილობაზე ითქვა: არა მზადება ომისათვის, რომელიც ხალხებს თავიანთი მატერიალური და სულიერი დოვლათის უგუნურ ფლანგვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი, ჩვენი მერმისის შუქურვარსკვლავი.

ევროპა

ევრაზიის, დედამიწის ყველაზე დიდი კონტინენტის, დასავლეთი ნაწილი ევროპას უკავია. ევროპის ფართობი თავისი კუნძულებით 10,5 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 700 მლნ. კაცი. ევროპას ყოფენ ორ დიდ ნაწილად: აღმოსავლეთი ევროპა (დიდი ნაწილი ამ ტერიტორიისა სსრკ-ს უკავია, იხ. სე. ტ. 9) და დასავლეთი ევროპა (ძირითადად საზღვარგარეთული ევროპა).

დასავლეთ ევროპის რელიეფზე დაბლობები და მაღლობები ჭარბობს. ჩრდილოეთი სკანდინავიის მთებს უჭირავს. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს შუა ევროპის დაბლობი.

დასავლეთ ევროპის შუა ნაწილში გადაჭიმულია საშუალო სიმაღლის მთები, რომლებსაც ენაცვლება ვაკეები და ქვაბულები. სამხრეთით მდებარეობს ალპების დანაოჭებული ქედების ჯაჭვი: მასიური პირენეი (3504 მ-მდე); ყინულებით დაფარული ალპები (4807 მ-მდე); მრავალი ქედისა და მასივებისაგან შემდგარი კარპატების რკალი (2655 მ-მდე). ალპებს და კარპატებს ეკვრის პადანის, შუა დუნაის ვაკის და ქვემო დუნაის დაბლობი. მთაგორიანია სამხრეთ ევროპის სამივე ნახევარკუნძული და ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა კუნძული.

დასავლეთ ევროპის უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია ზომიერი ჰავა, წლიური ტემპერატურის მცირე ამპლიტუდით (+8°-დან +18°-მდე). აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ზომიერი ჰავა გადადის კონტინენტურში. ჩრდილოეთ რაიონებში და პოლარულ კუნძულებზე ჰავა სუბპოლარულია. სამხრეთი ევროპა მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის თბილი ჰავის სუბტროპიკულ სარტყელში (გვალვიანი და ცხელი ზაფხული, წვიმიანი და თბილი ზამთარი).

დასავლეთ ევროპაში ბევრი წყალუხვი, მაგრამ შედარებით მოკლე მდინარეა. ყველაზე დიდი მდინარეებია: დუნაი, ვისლა, ოდერი, ელბა, რაინი, სენა, ლუარა, ტახო, დუერო, რონა, პო.

ევროპა დედამიწის ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული ნაწილია. თითქმის 100 კაცია 1 კმ²-ზე, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი და ნიდერლანდები 320 კაცია 1 კმ²-ზე.

დასავლეთ ევროპის ქალაქებში ცხოვრობს მოსახლეობის $^3/_5$ ნაწილი. ქალაქის მცხოვრებთა ყველაზე დიდი პროცენტია დიდ ბრიტანეთში, გფრ-ში, ნიდერლანდებში, დანიასა და შვეციაში. ევროპის მოსახლეობის 30%-ზე ნაკლები ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო ისეთ სამრეწველო ქვეყანაში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, სოფლის მოსახლეობა სულ 4%-ია.

კაპიტალიზმი ევროპაში ჩაისახა და ფეოდალიზმი შეცვალა. კაპიტალიზმის განვითარება დაკავშირებული იყო პირველ ხანებში საწარმოო ძალთა თავბრუდამხვევ ზრდაზე. პირველ მსოფლიო ომამდე ევროპის ქვეყნები სამრეწველო პროდუქციას ქმნიდნენ უფრო მეტს, ვიდრე მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანა ერთად აღებული. შემდეგ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში პირველობა აშშ-მა მოიპოვა.

ევროპაში წარმოიშვა კომუნისტური მოძრაობა. ამჟამად კომუნიზმის იდეალები აღაფრთოვანებს მსოფლიოს ხალხს ექსპლოატაციის ლიკვიდაციისა და უკლასო საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად უზარმაზარ ტერიტორიაზე გაიმარჯვა ახალმა საზოგადოებრივმა წყობამ, რომელმაც შეცვალა კაპიტალიზმი.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების და ჰიტლერული ფაშიზმის განადგურების შემდეგ სოციალიზმის გზას დაადგა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია და ალბანეთი.

ამ ქვეყნების უმრავლესობა ადრე ევროპაში ყველაზე ნაკლებად იყო განვითარებული, სულ მოკლე ხანში დიდი ნახტომი გააკეთეს ეკონომიკის განვითარებაში. წარსულში უპირატესად აგრარულმა ქვეყნებმა შექმნეს ძლიერი ინდუსტრია. ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეში ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის ყოველმხრივ მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ. სოციალისტური ქვეყნების წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც 1949 წ. შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო სისტემა — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეუს).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად დასუსტებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს თავს მოახვია დახმარება, იმ პირობით, რომ ამ ქვეყნების პოლიტიკას და ეკონომიკას კონტროლს გაუწევდა ამერიკული მონოპოლიები. 1949 წ. აშშ-ის მეთაურობით შეიქმნა აგრესიული სამხედრო ბლოკი — ჩრდილოატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია — ნატო, რომელშიც აშშ-ისა და კანადის გარდა შევიდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი (1966 წ. საფრანგეთმა უარი თქვა ბლოკის სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობაზე), იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ნორვეგია, დანია, ისლანდია, პორტუგალია, 1952 წელს — საბერძნეთი (რომელიც 1974 წ. გამოვიდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან) და თურქეთი, 1955 წელს კი გფრ. ნატოს სამხედრო ბლოკი მიმართულია სსრკ-ისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

1957 წ. საფრანგეთმა, გფრ-მ, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა შექმნეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (ეეგ, ანუ „საერთო ბაზარი“). თავის მხრივ დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრიამ, შვეციამ, ნორვეგიამ, დანიამ, შვეიცარიამ, ისლანდიამ და პორტუგალიამ 1960 წ. ხელი მოაწერეს კონვენციას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (ეთვა) შექმნაზე. 1973 წ. იანვარში დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია შევიდა „საერთო ბაზარში“. მიუხედავად ამისა, ყველა ეს პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება ვერ შველის ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს გადალახოს ის წინააღმდეგობები, რაც არსებობს როგორც მის მონაწილეებს, ისე აშშ-სა და მის ევროპელ პარტნიორებს შორის.

დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკურად ერთად აღებულ დასავლეთევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებზე ძლიერია, თუმცა ამ ბოლო ათწლეულებში დასავლეთ ევროპის ყველაზე უფრო მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა (გფრ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) საგრძნობლად განიმტკიცეს თავისი პოზიციები და მცირდება მათი პოლიტიკური დამოკიდებულება აშშ-ზე.

პოლიტიკური ინტეგრაციის განხორციელების მიზნით 1979 წელს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ჩაატარეს პირდაპირი არჩევნები ე. წ. „ევროპის პარლამენტში“ (81-81 დეპუტატი ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და დასავლეთ გერმანიიდან, 25 — ჰოლანდიიდან, 24 — ბელგიიდან, 16 — დანიიდან, 15 — ირლანდიასა და 6

ლუქსემბურგიდან). ამასთან ერთად იქმნება ბურჟუაზიული პარტიების (ქრისტიანი დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები) სრულიად ევროპის გაერთიანებანი. უფრო შორეულ მომავალში ვარაუდობენ ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას.

ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით, რომლებიც მათი პოლიტიკური ავანგარდია, შეუნელებელ ბრძოლას ეწევიან თავიანთი ქვეყნის ეროვნული ინტერესების, ნატოდან გამოსვლის, ევროპაში ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გატარებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის მქონე ქვეყნებს შორის თანაბარუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირის გაფართოებისათვის, დემოკრატიული უფლებების დასაცავად და მონოპოლიათა ძალაუფლების შეზღუდვისათვის.

ნატოს მუქარის საპასუხოდ ევროპის სოციალისტურმა ქვეყნებმა 1955 წ. შექმნეს თავდაცვითი კავშირი — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. ნატოსაგან განსხვავებით ვარშავის ხელშეკრულებით ნებადართულია შევიდეს მასში ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც იზიარებს ხელშეკრულების მიზნებს. ამჟამად ვარშავის ხელშეკრულებაში შედის: ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ და ჩეხოსლოვაკია. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პოლიტიკური კონსულტატიური კომიტეტი (პკკ).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკის წყალობით 60-იანი წლების ბოლოდან ევროპაში დაიწყო მნიშვნელოვანი ძვრები საერთაშორისო დაძაბულობის განსამუხტავად. მშვიდობისმოყვარე ძალთა მიზანია (მიუხედავად განსხვავებული საზოგადოებრივი სისტემებისა) ევროპა გადააქციოს მშვიდობიანი თანაარსებობის ნიმუშად. ამ ამოცანის განსახორციელებლად დიდ ძალ-ღონეს ხარჯავს ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყანა. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის კონსტრუქტიული ქმედითი საგარეო პოლიტიკა.

ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა (1973—1975), რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის 33 სახელმწიფომ, აშშ-მა და კანადამ. 1975 წ. 1 აგვისტოს ჰელსინკის თათბირის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს დასკვნით აქტს — დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის კონტინენტის მოსახლეობის მშვიდობასა და უშიშროებას. ჰელსინკის თათბირი თანამედროვე ისტორიის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც აშშ-მა და ნატოში შემავალმა ქვეყნებმა 1979 წ. მიიღეს გადაწყვეტილება ევროპაში დაახლოებით 600 ახალი ამერიკული რაკეტის განლაგებისა და სამხედრო ბიუჯეტების ყოველწლიური 3 პროცენტიანი ზრდის შესახებ, მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. დასავლეთის პოზიციის გამო შეფერხდა ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს ქვეყნების მოლაპარაკება ვენაში, ცენტრალურ ევროპაში, შეიარაღებულ ძალთა და შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ.

იმავე 1979 წ. ვენაში საბჭოთა კავშირმა და აშშ-მა ხელი მოაწერეს მეორე შეთანხმებას სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ, მაგრამ აშშ-ის მთავრობამ შეაჩერა მისი რატიფიკაცია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სსრ კავშირმა ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე, დაიწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან 20 ათასი ჯარისკაცის გაყვანა. 1980 წ. აპრილში პარიზში ჩატარდა ევროპის კომუნისტური პარტიების თათბირი, რომელმაც მოუწოდა ყველა ხალხებს, მთავრობებსა და პოლიტიკურ თუ რელიგიურ ორგანიზაციებს მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

ავსტრია

ავსტრიის რესპუბლიკა.
ფართობი — 84 ათასი კმ².
მოსახლეობა — 7,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ვენა (1,6 მლნ. მცხ. მეტი).
სახელმწიფო ენა — გერმანული.



ეს პატარა ქვეყანა მდებარეობს ევროპის ცენტრში აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ბალტიის სანაპიროებიდან ხმელთაშუა ზღვამდე გამავალ მნიშვნელოვან გზების გადაკვეთაზე.

ავსტრიის ბუნება მრავალფეროვანია. ევროპის ყველაზე დიდი მდინარე დუნაი გადის ავსტრიაში. ავსტრიის თითქმის $^3/_4$ უჭირავს აღმოსავლეთ ალპებს (გროსგლოკნერის მწვერვალი 3797 მ-ია). ბევრი მწვერვალი მუდმივი თოვლითა და ყინულითაა დაფარული, ქვევით გადაშლილია ალპური და სუბალპიური მდელოები, რომლებიც შესანიშნავი საძოვრებია. 2000—2200 მ სიმაღლემდე მთის ფერდობები ტყითაა დაფარული. მხოლოდ ფინეთსა და შვეციას ჩამორჩება ავსტრია ტყის სიმდიდრით. დასავლეთ ევროპაში, მთებში, ბევრი მდელოა მოსახერხებელი დასახლებისა და მეურნეობისათვის. ამიტომაცაა, რომ აქ ტყეს ჩვეულებრივ ენაცვლება ბაღები, ვენახები, მინდვრები.

ავსტრიის აღმოსავლეთ ნაწილში მთები დაბლდება. აქ იჭრება შუა დუნაის დაბლობის ნაწილი— ვენის აუზი. ჩრდილო-აღმოსავლეთის ვაკე და გორაკიანი ტერიტორია უფრო დასახლებული და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რაიონია. ავსტრია მდინარეებით მდიდარი ქვეყანაა. ჰიდროსადგურები იძლევა ქვეყნის თითქმის $^2/_3$ ელექტროენერგიას. სანაოსნოდ მხოლოდ დუნაია გამოყენებული. ბოდენისა და ნოიზიდლერ-ზეეს დიდი ტბების მხოლოდ ნაწილი ეკუთვნის ავსტრიას.

ავსტრია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ იღებენ ნავთობს (ჩრდილო-აღმოსავლეთში), მურა ნახშირს, რკინის მადანს, მაგნეზიტს (მსოფლიოში უდიდესი მარაგითა და მოპოვებით), გრაფიტს. არის ფერადი ლითონების მცირე საბადოებიც.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ავსტრიელებია. ლაპარაკობენ გერმანულ დიალექტებზე. კარინტიასა და შტირიაში ცხოვრობენ სლოვენები, აღმოსავლეთით კი ხორვატები და უნგრელები. ავსტრიის ერი ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტომებისა და ეროვნებების შერევის შედეგად, რომლებშიც თუმცა ჭარბობდნენ გერმანელები, მაგრამ არანაკლები როლი ითამაშეს კელტებმა, რეტებმა, ილირიელებმა, მოგვიანებით კი სლავებმა. ეს დღესაც ვლინდება ავსტრიის თვითმყოფადი კულტურის თავისებურებებში, ეროვნულ ხასიათში, ყოფაში, ენაშიც კი, სადაც ბევრი სიტყვა და გამოთქმაა ისეთი, რომელიც გერმანულში არ გვხვდება.

ავსტრიის ბურჟუაზიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა 1918 წლის ნოემბერში მრავალეროვანი ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დაშლის შედეგად. რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდნენ ავსტრიის ძირითადი ოლქები, რომლებიც ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიის დაახლოებით $^1/_8$ შეადგენდნენ. 1938 წ. ფაშისტურმა გერმანიამ მიიტაცა ავსტრია. ავსტრია გადაიქცა ფაშისტური სახელმწიფოს უუფლებო დანამატად და მეორე მსოფლიო ომის დროს იგი გერმანიასთან ერთად იბრძოდა. ავსტრიის ფაშისტური უღლიდან განთავისუფლებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა არმიამ, რომელმაც 1945 წ. აპრილში ვენიდან და ავსტრიის ტერიტორიის უმეტესი ნაწილიდან განდევნა ჰიტლერელები.

1955 წ. მაისში სსრკ-ის, აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრიის წარმომადგენლებმა ვენაში ხელი მოაწერეს სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ. გაიყვანეს მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარები. 1955 წლის ოქტომბერში ავსტრიის პარლამენტმა მიიღო კანონი ქვეყნის მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც ავსტრია არ უნდა შეუერთდეს არც ერთ

სამხედრო კავშირს და არ უნდა დაუშვას თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნა.

ნეიტრალიტეტის კანონის მიღების დღე — 26 ოქტომბერი ეროვნული დღესასწაულის დღედ გამოცხადდა.

ავსტრია რვა მხარის (ლანდის) ფედერაციაა. ვენასაც აქვს მხარის სტატუსი. რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ფედერალური პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება: ეროვნული საბჭოსა, რომელსაც მოსახლეობა ირჩევს და ფედერალური საბჭოსგან, რომლის დეპუტატებს მხარეების პარლამენტები ირჩევენ. სახელმწიფოს სათავეში დგას ფედერალური პრეზიდენტი, იგი თვითონ ნიშნავს მთავრობის მეთაურს — კანცლერს.

შედარებით მსხვილი პოლიტიკური პარტიებია — ავსტრიის სოციალისტური პარტია (მასში შედის მუშებისა და მოსამსახურეების ნაწილი და წვრილი ბურჟუაზია) და ავსტრიის სახალხო პარტია (მსხვილბურჟუაზიული, მიწათმფლობელებისა და კათოლიკური წრეების პარტია). ამ პარტიებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა მთავრობის შექმნისათვის. ისინი ახერხებენ ფედერალურ პარლამენტში ადგილების უმრავლესობის შენარჩუნებას.

ავსტრიის მუშათა კლასის ავანგარდია ავსტრიის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1918 წ.). იგი თანამიმდევრულად იცავს მშრომელების ძირეულ ინტერესებს და იბრძვის ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის.

ავსტრია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სადაც განვითარებულია მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სახელმწიფო სექტორი სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 25%-ს იძლევა. მაგრამ ეკონომიკაში ბატონობს კერძო კაპიტალი — ეროვნული და უცხოური (ძირითადად დასავლეთგერმანული და ამერიკული). ყველაზე მეტად განვითარებულია შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა. სამთომომპოვებელი მრეწველობა, საფეიქრო, კვების, ქიმიური, ელექტროტექნიკური და ენერგეტიკული მრეწველობა.

ავსტრიას საგარეო ბაზარზე გააქვს მაგნეზიტი, გრაფიტი, დახერხილი ხე-ტყე, ქაღალდი, ცელულოზა. ექსპორტში მიდის ქიმიური პროდუქციის მეოთხედი ნაწილიც, დაახლოებით მესამედი მანქანებისა, ალუმინის ნახევარი (იწარმოება შემოტანილი ნედლეულიდან) და შავი ლითონები.

სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს. გამოყენებულია მიწის ფართობის დაახლოებით ნახევარი, აქედან 40% სათესი ფართობია, 60% კი სათიბი და საძოვარია. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მესაქონლეობა. აშენებენ მსხვილ რქოსან საქონელს და ღორებს. მოჰყავთ მარცვლეული, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი. ავსტრიაში ბევრი ბაღი და ვენახია. ჭარბობს მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა. მცირემიწიანი გლეხების მდგომარეობა კვლავ მძიმე დარჩა.

ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმს. ალპების ულამაზესი პეიზაჟი, დუნაის ხეობა, ვენის და სხვა ქალაქების მრავალი არქიტექტურული ძეგლი, მთის მცხოვრებთა თავისებური ყოფა ავსტრიაში ყოველწლიურად 10 მლნ. მეტ ტურისტს იზიდავს.



„ფესტ-ალპინეს“ — ფირმის მეტალურგიული ქარხანა ლინცეში. ამ მსხვილ თანამედროვე საწარმოს დიდი ხნის მეგობრული კავშირი აქვს საბჭოთა კავშირთან.



ვენის მთავარი მაგისტრალი რინგშტრასე.
პარლამენტის შენობა. მარცხნივ მოჩანს რატუშა.

მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ვენაში ცხოვრობს, ავსტრიის მუშების მესამედი ქალაქების საწარმოებში მუშაობს (უმთავრესად მანქანათმშენებელ და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში). ქალაქი ლამაზადაა გაშენებული დუნაის ნაპირზე. ვენას მჭიდროდ ეკვრის ალპების ერთ-ერთი განშტოება — ვენის ტყე. მისი სიმაღლიდან იშლება ქალაქის ფართო პანორამა: ცენტრიდან რადიუსებით მიემართებიან მთავარი ქუჩები, რომლებსაც წრიული მაგისტრალები კვეთს. მოჩანს ეკლესიების გოთური კოშკები, პარკები, ქარხნების მილები. ვენა მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. ქალაქის ცენტრში არის ავსტრიელ ხუროთმოძღვართა უძველესი ქმნილებები: წმ. სტეფანეს ტაძარი, იმპერატორის ყოფილი სასახლე და სხვა ისტორიული ნაგებობანი. რინგშტრასეზე განლაგებულია პარლამენტი, ქალაქის რატუშა, მუზეუმები, თეატრები და ევროპაში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი (დაარსდა XIV ს.).

ვენის გარდა ავსტრიაში კიდევ ოთხი მნიშვნელოვანი ქალაქია: ლინცი, გრაცი, ზალცბურგი და ინსბრუკი. ლინცი ზემო ავსტრიის მხარის მთავარი ქალაქია. იგი შავი მეტალურგიისა და კოქსქიმიის ცენტრია. ფოლადჩამომსხმელი ქარხნები და საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ მოწყობილობას მეტალურგიულ, ქიმიურ და სხვა ქალაქებისათვის, გაერთიანებულია მძლავრ კონცერნ „ფესტალპინეში“. იგი ერთ-ერთი უდიდესი კონცერნია ევროპაში. გრაცი შტირიის დედაქალაქია. იგი სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის და კვების მრეწველობის მსხვილი ცენტრია. გრაცი ცნობილია თავისი სასწავლებლებით, განსაკუთრებით, ძველი უნივერსიტეტით. ზალცბურგი ამავე სახელწოდების მხარის ცენტრია. იგი ცნობილია თავისი ძველი მუსიკალური ტრადიციებით. ზალცბურგში დაიბადა მოცარტი. ქალაქში მუშაობს პოლიგრაფიული მრეწველობის მსხვილი საწარმო და ზუსტი მანქანათმშენებელი საწარმო. მდინარე ინის ხეობაში მდებარეობს ტიროლის დედაქალაქი ინსბრუკი. იგი არის ევროპული მნიშვნელობის დიდი სატრანსპორტო კვანძი და საერთაშორისო ტურიზმის ცენტრი, ალპინისტებისა და სამთომეთხილამურეთა „დედაქალაქი“.

ავსტრიელები დიდი მოყვარულნი არიან მუსიკის, ცეკვის, სიმღერის. მთელ მსოფლიოშია ცნობილი ტიროლური ხორხისმიერი სიმღერები. ავსტრია ვალსების სამშობლოა. საქვეყნოდ არიან ცნობილი, როგორც ვალსების შემქმნელები, მამაშვილი შტრაუსები. ვენა იყო და რჩება ევროპაში ერთ-ერთ მუსიკალურ ცენტრად. მასთანაა დაკავშირებული არა მარტო ავსტრიელი დიდი კომპოზიტორების ჰაიდნის, მოცარტის, გლუკის, შუბერტის, არამედ ბეთჰოვენის, ლისტის, ბრამსის შემოქმედებაც. ავსტრიელებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ლიტერატურასა და მეცნიერებაში.

ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ ავსტრიელ ხალხს საშუალება მისცა განევითარებინა ეკონომიკა, კულტურა და მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს ქვეყნის დამოუკიდებელ განვითარებას, ხელს უწყობს მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას. ავსტრიის ისტორიამ და მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა მისი განსაკუთრებული დაინტერესება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ურთიერთობის განვითარებაში. დასავლეთში ავსტრია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც გამოეხმაურა სოციალისტური ქვეყნების წინადადებას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევის შესახებ. ავსტრიის დედაქალაქი არის რიგი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი სამყოფელი და საერთაშორისო თათბირების ჩატარების ადგილი. ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულია ფართო ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული კავშირ-ურთიერთობა.

ალბანეთი

ალბანეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკა.
ფართობი — 28,7 ათასი კმ².
მოსახლეობა — 2,63 მლნ. მეტი.
დედაქალაქი — ტირანა (200 ათასზე მეტი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ალბანური.

ალბანეთი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ალბანელები (დაახლოებით 96%) ევროპის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ალბანეთში ცხოვრობენ ბერძნებიცა და მაკედონელებიც.

ტერიტორიის დიდი ნაწილი ქედებსა და ზეგნებს უჭირავს. შედარებით მაღალი მწვერვალებია კორაბი (2764 მ) და ეზერცა (2692 მ). მთებში ბევრი ფართოფოთლოვანი მუხისა და წიფლის ტყეებია. სასარგებლო წიაღისეულიდან ალბანეთში მოიპოვება ნავთობი, ნატურალური ბიტუმი (ასფალტი), ქრომიტები, სპილენძისა და რკინის მადნები.

მთის ხეობებიდან გადმოჩქეფს და ზღვისაკენ მიქუხს მდინარეები: დრინი, სემანი, მატი, ვიოსა. ისინი სერავენ ნოყიერ ზღვისპირა დაბლობს, რომელიც დაახლოებით 150 კმ-ზეა გადაჭიმული ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, ხოლო სიგანე 15-დან 35 კმ-მდე აღწევს. ალბანეთის დაბლობ ადგილას თბილი ხმელთაშუა ზღვის ჰავაა.

კარგა ხანს ალბანეთის სიმდიდრით სარგებლობდნენ გადამთიელი, უცხოელი დამპყრობლები. ძვ. წ. II საუკუნეში ალბანეთი რომაელებმა დაიპყრეს. რომის დაცემის შემდეგ ალბანეთს დაეპატრონენ ბიზანტიელი დამპყრობლები, XV ს-ში კი — თურქი ურდოები. თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდა ალბანელი ხალხი თურქეთის უღელქვეშ. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხი შეუპოვრად იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლის სახელოვანი ეტაპი იყო 1443 წლის ხალხთა აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა გიორგი სკანდერბეგი. მისი ხელმძღვანელობით ალბანელი ხალხი 25 წლის განმავლობაში თავისუფალი იყო თურქეთის ბატონობისაგან. საბოლოოდ ალბანეთმა თურქეთის უღელი მხოლოდ 1912 წელს მოიცილა, მაგრამ კვლავ კარგა ხანს იმყოფებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების დამოკიდებულების ქვეშ.



1924 წელს ფეოდალურ-მემამულურმა წრეებმა ალბანეთში დაამკვიდრეს მონარქიული რეჟიმი. ალბანეთი გადაიქცა ფაშისტური იტალიის აგრარულ-სანედლეულო დანამატად. 1939 წლის აპრილში იტალიის ჯარებმა დაიკავეს ალბანეთი. მაგრამ ალბანელები ვერ შეურიგდნენ დამპყრობლებს და დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ალბანელი პატრიოტების გმირულ ბრძოლას. 1942 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობა გამოვიდა განცხადებით „ალბანეთის დამოუკიდებლობის შესახებ“, სადაც ნათქვამი იყო, რომ სსრკ თანაუგრძნობს ალბანელ ხალხს იტალიელი ოკუპანტების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში და სურს იხილოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და აღდგენილი ალბანეთი.

1943 წლის სექტემბერში ფაშისტური იტალია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერული გერმანიის მხარეს იბრძოდა, იძულებული გახდა დანებებოდა ანტიჰიტლერულ კოალიციას. ალბანეთი გერმანელმა ჯარმა დაიკავა. ალბანელმა



ტირანას ცენტრალური მოედანი.

ხალხმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალა პარტიზანული ბრძოლები დამპყრობლების წინააღმდეგ. მათ აღაფრთოვანებდათ დიდ სამამულო ომში ჰიტლერულ არმიაზე საბჭოთა ჯარების გამარჯვება. ალბანეთის მთებში პარტიზანული რაზმებიდან ჩამოყალიბდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალბანეთის კომუნისტური პარტია (ამჟამად ალბანეთის შრომის პარტია).

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერელების დამარცხების შემდეგ ოკუპანტებმა ალბანეთიდან გაიყვანეს თავიანთი ჯარების ნაწილი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმია კი გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე. 1944 წლის 29 ნოემბერს ფაშისტური ჯარების უკანასკნელი ნაწილი გააძევეს ალბანეთის მიწიდან. ეს დღე — ალბანეთის განთავისუფლების დღე — ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმურ თანამშრომლობაში ალბანელი ხალხი შეუდგა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნას. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში მიწა და მისი წიაღი, ტყეები და საძოვრები, სამრეწველო საწარმოები, ბანკები და ტრანსპორტი სახელმწიფო საკუთრება გახდა. მიწა გლეხებს გადაეცა და ისინიც გაერთიანდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად.

1946 წელს ალბანეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად, სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანო გახდა ერთპალატიანი სახალხო სა-



ბერატას ძველი უბანი.

კრებულო, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო — მინისტრთა საბჭო.

ალბანეთში შეიქმნა ახალი სამრეწველო დარგები: საფეიქრო, ხისდამამუშავებელი, ცემენტის, ელექტროენერგიის, შაქრის და სხვა.

ტირანა მარტო ადმინისტრაციული კი არა სამრეწველო ცენტრიც გახდა. საფეიქრო კომბინატის გარდა აქ აშენდა ორი მექანიკური ქარხანა, ავეჯისა და ფეხსაცმელების ფაბრიკა, შუშისა და ქაშანურის ქარხნები. დედაქალაქში აიგო ახალი საცხოვრებელი რაიონები, აღდგინეს ცენტრალური მოედანი და მთავარი ქუჩები, გაიხსნა უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, დრამატული თეატრი, კინოსტუდია და სხვ.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობის დროს ალბანეთის მოსახლეობის 90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. სახალხო ხელისუფლებამ მოსპო წერა-კითხვის უცოდინარობა და სავალდებულო გახადა ბავშვთა რვაწლიანი სწავლება. ამჟამად ალბანეთში 8 უმაღლესი სასწავლებელია.

მრეწველობა დედაქალაქის გარდა სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც განვითარდა. ჩრდილოეთით

მდებარე ქალაქ შკოდერში აშენდა ცემენტის ქარხანა და თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკა. აქვე აშენდა ხისდამამუშავებელი პატარა საწარმო, გაანაახლეს სართავი ფაბრიკაც. სამხრეთით, მდინარე მატის აუზში, გაფართოვდა სპილენძისა და ქრომის მადნის მოპოვება. ქალაქ რუბიკში აღადგინეს და გააფართოვეს სპილენძსადნობი ქარხანა. ტირანას, კორჩისა და ტეპელინის მიდამოებში აიგო ქვანახშირის მაღაროები. ხოლო პატოსისა და ბერატას ახლოს გაიბურღა ნავთობის ახალი ჭაბურღილები, აშენდა პატარა ელექტროსადგურები.

სახალხო ხელისუფლების წლებში გაიყვანეს ალბანეთში პირველი რკინიგზა, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ქალაქებს ელბასანს, ტირანასა და დურესს. მთავარი საპორტო ქალაქია დურესი, საიდანაც ალბანეთს საზღვარგარეთ გააქვს ქრომიტები, შავი სპილენძი, ნავთობი, თამბაქო, ზეითუნის ზეთი, ციტრუსები, მესაქონლეობის პროდუქტები.

ექსპორტის ნახევარზე მეტს შეადგენს მინერალური და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული. ალბანეთს შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან მანქანები, ჩარხები და მრეწველობის სხვა მოწყობილობანი, კაუჩუკი, ქიმიკალიები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელი. სახალხო მეურნეობის მთავარი დარგი ალბანეთში მაინც სოფლის მეურნეობაა. გლეხები, რომლებიც ალბანეთის მთელი მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, თესავენ სიმინდს, ხორბალს, ბრინჯს, ქერს, შვრიას, მოჰყავთ კარტოფილი, ბოსტნეული, პარკოსანი კულტურები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა ალბანეთში ამუშავებს ტექნიკურ კულტურას: თამბაქოს, ბამბას, შაქრის ჭარხალს. სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მესაქონლეობა.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ხელმძღვანელობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, დიდი დახმარება გაუწია ალბანეთს, რათა აღედგინათ და განევითარებინათ ეკონომიკა და კულტურა. საბჭოთა კავშირის დახმარებით ალბანეთში აშენდა საფეიქრო კომბინატი, ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ცერიკეში, ჰიდროელექტროსადგურები ტირანასთან ახლოს და მდინარე მატიზე, ცემენტისა და შაქრის ქარხნები, ხისდამმუშავებელი, ბამბისსაწმენდი და სხვა ფაბრიკები, რეკონსტრუირებული იქნა დურესის პორტი, გაიბურღა ნავთობის ახალი ჭაბურღილები. ალბანეთს დახმარება გაუწია სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც და ალბანელმა ხალხმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტში. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1979 წ. (1938 წ. შედარებით) გაიზარდა 125-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა 5-ჯერ.

60-იანი წლების დასაწყისში ალბანეთი განუდგა ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავს ალბანეთის სახალხო სოციალისტურ რესპუბლიკასთან ნორმალიზაციას და დამოკიდებულების გაღრმავებას, ეყრდნობა თანასწორობას, სუვერენიტეტს, შინაგან საქმეებში ჩაურევლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და ურთიერთსაბარგებლო თანამშრომლობას.

ალბანეთი სოციალისტური სახელმწიფოა. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო სახალხო კრებაა. სესიებს შორის მის მოვალეობას ასრულებს სახალხო კრების პრეზიდიუმი. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო მინისტრთა საბჭოა.

საზოგადოებას ხელმძღვანელობს ალბანეთის შრომის პარტია (შეიქმნა 1941, 1948 წლამდე ერქვა კომუნისტური პარტია). არსებობს მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია — ალბანეთის დემოკრატიული ფრონტი.

ანდორა

ანდორა.
ფართობი — 465 კმ².
მოსახლეობა — 27 ათას კაცზე მეტი.
დედაქალაქი — ანდორა-ლა-ვიეხა (ანდორა) (დაახლ. 9 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — კათალანური, ესპანური და ფრანგული.

ანდორა მდებარეობს აღმოსავლეთ პირინეებზე, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. მას უჭირავს მდინარე ვალირას ხეობის მცირე ნაწილი. ანდორა პირველად იხსენიება დაახლოებით 805 წ., როცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მთის უღელტეხილით გაატარეს ფრანკების ჯარი მავრების ზურგში. მოულოდნელად თავზეწამომდგარმა ჯარმა დააბნია მავრები და გაიქცნენ, ფრანკების მეფე ლუ-



ანდორას დედაქალაქი ანდორა-ლა-ვიეხა მდებარეობს მდ. ვალირას თვალწარმტაც ხეობაში.

დოვიკომ ამ დახმარებისთვის ანდორას მცხოვრებლებს დამოუკიდებლობა აჩუქა.

კარგა ხნის მანძილზე ანდორას ტერიტორია იყო ფრანგი გრაფებისა და ესპანეთის ქალაქ სეოდე-ურხელის ეპისკოპოსების ფეოდალური ბრძოლის ობიექტი. ბრძოლა დამთავრდა 1278 წ. ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება ანდორაზე ერთობლივი პროტექტორატის შესახებ.

ამჟამად ანდორის თანამმართველებად ითვლებიან საფრანგეთის პრეზიდენტი და ურხელის (ესპანეთის) ეპისკოპოსი. საკანონმდებლო ორგანო — გენერალური საბჭო თავისი წევრებიდან ნიშნავს პირველ სინდიკს და მის მოადგილეს, რომლებიც წარმოადგენენ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ანდორის ეკონომიკის ძირითადი დარგია მეცხვარეობა. მოჰყავთ ჭვავი, ხორბალი, ბოსტნეული, თამბაქო და ყურძენი. არის კვების და თამბაქოს მრეწველობის პატარა-პატარა საწარმოები. განვითარებულია კუსტარული ნაკეთობის წარმოება, ტყის ჩეხვა და ხის ნახშირის გამოწვა. ანდორას საკუთარი ვალუტა არა აქვს, ბრუნვაშია ესპანური პესეტი და ფრანგული ფრანკი.

დიდ შემოსავალს იძლევა ტურიზმი. ანდორაში ყოველწლიურად ორ მილიონამდე ტურისტი ჩადის. განსაკუთრებით ბევრია სამთო მეთხილამურეები.

ანდორა-ლა-ვიეხა ყველაზე მაღალმთიანი დედაქალაქია ევროპაში (1055 მ ზღვის დონიდან). იგი მდებარეობს მდ. ვალირას სანაპიროზე. ერთადერთი გზატკეცილია აქ, რომელიც აკავშირებს დედაქალაქს ესპანეთთან და საფრანგეთთან. ქალაქის ცენტრში შემორჩენილია ძველი ანდორას ნაწილი. მდინარეზე დიდებულადაა აღმართული ისტორიული შენობა, „ხეობის სახლი“ (კასა-დელოს-ვალიესი), რომელიც აშენებულია 1508 წ. აქაა განლაგებული გენერალური საბჭო, მთავრობა, სასამართლო, სასტუმრო და ციხეც კი. ანდორაში არ გამოდის ჟურნალები, წიგნები. ისინი საფრანგეთიდან და ესპანეთიდან შემოაქვთ. პირველი ანდორული გაზეთი გამოიცა 1975 წ. მძლავრი რადიოსადგური „ანდორას რადიო“ ეკუთვნის ფრანგულ კომპანიას.



ბელგია

ბელგიის სამეფო.
ფართობი — 30,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 9,8 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბრიუსელი (შემოგარენით 1,1 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენები — ფრანგული და ფლამანდური.

ბელგიის დედაქალაქის ბრიუსელის ერთ-ერთ მოედანს ევროპის გზაჯვარედინი ჰქვია. ეს ორიგინა-



ლური სახელწოდება შეიძლება მთელ ამ პატარა ქვეყანას ეწოდოს. წარმოიდგინეთ გოლიათი ფარგალი, რომელიც ექვსას კილომეტრზე იშლება, მისი ერთი „ფეხი“ ბრიუსელის ცენტრში ჩავარჭოთ და მეორეთი შემოვხაზოთ წრე. წრეხაზის შუაში მოექცევა ლონდონი და პარიზი, ჰააგა და ბონი, ლუქსემბურგი და ბერნი, დორტმუნდი და ლივერპული. ერთი სიტყვით, მთელი დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრები და ყველა ამ ცენტრებთან ბელგია დაკავშირებულია როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო და საზღვაო გზებით.

ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ დიდი გავლენა იქონია ბელგიის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე. შუასაუკუნეებიდანვე პორტებსა და ქალაქებში გაცხოველებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთ, სამხრეთსა და აღმოსავლეთთან. ჯერ კიდევ ასი წლის წინათ, მაგალითად, საპორტო ქალაქი ბრიუგე ითვლებოდა მსოფლიო სავაჭრო პორტად. ბრიუგეს ჩრდილოეთის ვენეციას უწოდებდნენ და ათასობით უცხოელი ჩამოდიოდა აქ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ქალაქი არხებითაა დასერილი და ადრე ყველა სახლთან ნავებით შეიძლებოდა მისვლა, მაგრამ დროთა განმავლობაში ზღვამ უკან დაიხია და ბრიუგე რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორდა სანაპიროს. რამდენიმე ათეული წელი აქ თითქოს სიცოცხლე ჩაკვდა, მაგრამ ამ ბოლო წლებში ქალაქი გამოცოცხლდა, გარეუბნებში აშენდა სამრეწველო საწარმოები, ისევ აივსო არხები. თუმცა ქალაქის ცენტრი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ასი წლის წინათ. აქ თვალს იტაცებს საოცარი ხიდები, კრამიტით გადახურული ძველი სახლები და გოთური სტილით აშენებული ტაძრები.

XV—XVI საუკუნეებში ქალაქი ანტვერპენი იყო მსხვილი სავაჭრო და იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საფინანსო ცენტრი. სწორედ აქ დაარსდა ჩრდილო ევროპაში პირველი ბანკი და პირველი ბირჟა.

ბელგიაში მეურნეობის ახალი აღმავლობა ინდუსტრიის დარგში დაიწყო XIX ს. პირველ ათწლეულში. ქვანახშირის მსხვილი საბადოების წყალობით განვითარდა შავი მეტალურგია. პირველად შავი მეტალურგიისთვის იყენებდნენ ადგილობრივ რკინის მადანს. მაგრამ მადანი ცოტა იყო და ბელგიის ბრძმედებმა დაიწყეს საფრანგეთიდან და ლუქსემბურგიდან შემოტანილი ნედლეულის დამუშავება, მეტალურგიასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა ლითონდამუშავებაც, მანქანათმშენებლობა, ქიმია. ევროპის კონტინენტზე პირველი რკინიგზა ბელგიაში გაიყვანეს.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ბელგიის კაპიტალისტებმა დაიტაცეს ზღაპრულად მდიდარი ცენტრალური აფრიკის უზარმაზარი მიწები (იხ. სტატია „ბურუნდი“, „ზაირი“, „რუანდა“). ბელგიის კაპიტალიზმის სწრაფი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო უმოწყალო კოლონიური ძარცვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბელგიის მეურნეობის სტრუქტურა ისევ სრულიად შეიცვალა. ძველი, ტრადიციული დარგები — ქვანახშირი და საფეიქრო მრეწველობა — ერთ ადგილას გაიყინა. უკანასკნელ ათწლეულში დაიხურა ბევრი ქვანახშირის მაღარო. სამაგიეროდ, განვითარდა ახალი დარგები; უმთავრესად, ნავთობქიმია, რომელიც მუშაობს შემოტანილი ნედლეულით. განვითარდა ზუსტი მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა. განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება მრეწველობის საექსპორტო დარგები. ამჟამად ბელგიას საზღვარგარეთ გააქვს თავისი წარმოებული პროდუქციის 40%. ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის რაოდენობით ბელგიას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

ბელგიაში სამრეწველო წარმოების უმეტესობა ძველთაგანვე განლაგებული იყო ქალაქებში, რომლებიც მონსი—შარლერუა—ლიეჟის ხაზზეა. ზოგჯერ ამ ხაზს ქვეყნის სამრეწველო ღერძსაც უწოდებენ ხოლმე.

ძველი არხი ქ.ლაქ ბრიუგეში.

სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მრეწველობის ღერძს (საფრანგეთის საზღვრიდან ქალაქ მონსამდე) ეწოდება ბორინაჟი — „შავი ბელგია“. დიდი ხანი არ არის, რაც აქ იყო ქვანახშირის წარმოების მთავარი ცენტრი. მას შემდეგ, რაც ქვანახშირის მაღაროები დაიხურა, ქვეყნის ამ ნაწილში შენდება ახალი სამრეწველო საწარმოები. მიუხედავად ამისა, „შავი ბელგიის“ ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში საგრძნობლად დაეცა.

ქალაქ შარლერუას მიდამოებში თავმოყრილია ბელგიის მეტალურგიის და მანქანათმშენებელი საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ქალაქი გარშემორტყმულია ქარხნების რკალით. ამათგან გამოირჩევა ელექტრომანქანათმშენებლობის კომბინატი — გიგანტი, რომლის პროდუქცია მთელ მსოფლიოშია განთქმული.

უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს ქალაქი ლიეჟი, რომელიც გაშენებულია არდენის მთისწინეთის ბორცვებზე. ვრცელმოედნებიანი და ფართოქუჩებიანი ქალაქი ხმაურიანია. შორიდან ზუსტი მანქანათმშენებელი და ფერადი მეტალურგიის ქარხნების მილების მთელი ტყე მოჩანს. ქალაქი ლიეჟი განთქმულია თავისი რევოლუციური ტრადიციებით, მეორე მსოფლიო ომის დროს ანტიფაშისტური „წინააღმდეგობის“ ცენტრით.

ბელგიის სამხრეთ ნაწილში, ე. წ. ვალონის რაიონში, მოსახლეობა ფრანგულად ლაპარაკობს, სოფლებში კი ვალონურად (ფრანგულის ერთ-ერთი დიალექტია). ბელგიის ჩრდილოეთ ნაწილში, ფლანდრიაში, მოსახლეობა ლაპარაკობს ფლამანდიურ ენაზე, ეს ენა ახლოსაა ჰოლანდიურთან. უკანასკნელ ხანამდე ფლანდრია იყო ძირითადად აგრარული რაიონი, მხოლოდ ანტვერპენის რაიონში ძველთაგანვე განვითარებული იყო მრეწველობა — გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა. ამ ბოლო წლებში კი განვითარდა ქიმიური და ელექტრომრეწველობა. ამჟამად გენტში, ქვეყნის ამ დიდ ქალაქში, გაჩნდა ქიმიური საწარმოები, მსხვილი მეტალურგიული კომპლექსი „სიდმარი“. სხვა ქალაქებშიაც შენდება ახალი ქარხნები. ფლანდრიის, როგორც სამრეწველო რაიონის როლი, თანდათან იზრდება.

ბელგიის თითქმის ცენტრშია გაშენებული სამეფოს დედაქალაქი ბრიუსელი. აქაა ქვეყნის ყველაზე დიდი უნივერსიტეტი, ქალაქში ბევრია მანქანათმშენებელი, ქიმიური და საფეიქრო საწარმოები. ბრიუსელში ქუჩების აღმნიშვნელ დაფებზე ცნობები და განცხადებები ორ ენაზეა დაწერილი, დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევს პლაკატებსა და აფიშებს. ერთი წყება პლაკატებისა და აფიშებისა ფრანგული ენის დაცვასა და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის დაცვას მოითხოვს, მე-

ორე კი იცავს ფლამანდიურ ენასა და ფლამანდიელებს. ეს აფიშები იმ სერიოზული ეროვნული კონფლიქტის გამოძახილია, რომელიც ხდება ახლა ბელგიაში.

ამ კონფლიქტის ფესვები უძველესი დროიდან მოდის. XIX ს. დასაწყისში ბელგია შედიოდა ნიდერლანდებში. 1830 წლის რევოლუციის შემდეგ იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ნიდერლანდებთან მჭიდრო კავშირში მყოფი ფლამანდიელი ბურჟუაზიის პოზიცია შეირყა, რადგან გაბატონდა ვალონის ბურჟუაზია. თავდაპირველად თანამედროვე მრეწველობა ვალონში განვითარდა და ამიტომაც XIX ს. ბოლოს ფლანდრია ვალონის სოფლის მეურნეობაზე იყო მთლიანად დამოკიდებული.

ფლანდრიისა და ვალონიის 50—60 წწ. ტემპების ზრდის ცვალებადობასთან დაკავშირებით შეიცვალა მათ შორის ეკონომიკურ ძალთა თანაფარდობაც, სხვა გახდა ამ ორივე რაიონის მოსახლეობის ზრდის რიცხობრივი თანაფარდობა. საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდა ვალონელები. ახლა ბელგიის მცხოვრებლებიდან 5,7 მლნ. ფლამანდიელია, 4 მლნ. კი — ვალონელი. მოსახლეობა ორივე ენაზე ლაპარაკობს.

ეს ენობრივი კონფლიქტი ნაწილობრივ გავლენას ახდენს ფლამანდიურ და ვალონიურ კაპიტალზეც. მაგრამ დღეს უფრო მეტად დაკავშირებულია კლასობრივ ბრძოლასთან პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ბელგიის მონოპოლიები ხელოვნურად მხარს უჭერენ ფლამანდიელებისა და ვალონიელების მტრობას და ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ მშრომელების გაერთიანებას, რათა ერთად არ იბრძოლონ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

1979 წელს შექმნილ ახალ მთავრობაში წარმოდგენილია, როგორც ფლამანდიელთა (ქრისტიანულ-სახალხო, ბელგიის სოციალისტური), ისე ვალონთა (სოციალ-ქრისტიანული, სოციალისტური და ფრანკოფონების დემოკრატიული) ბურჟუაზიული პარტიები.

ბელგიის ჰავა სოფლის მეურნეობისათვის არც ისე ხელსაყრელია. თითქმის დღეგამოშვებით წვიმს და ყოველ მესამე დღეს ნისლია. ამის მიუხედავად, ბელგიის სოფლის მეურნეობა განვითარებულია ევროპაში. მოსახლეობის მხოლოდ 4% მუშაობს სოფლად, მაგრამ აკმაყოფილებს დაახლოებით 50%-ით ქვეყნის მოთხოვნილებებს სურსათზე.

ძირითადი სოფლის მეურნეობის რაიონებია ფლანდრია და სამხრეთ ვალონია. სულ პატარა მიწის ნაგლეჯიც კი გამოყენებულია მიწათმოქმედებისათვის, დამუშავებულია და რაიმეა დათესილი. მაგრამ დასამუშავებელი მიწები არც ისე ბევრია.

ბელგიის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მეცხოველეობა, აქ გამოჰყავთ მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებისა და ღორების ჯიშები. ჯიშიან ტვირთმზიდველ ცხენებს — ბრაბანტებსა და არდენებს — ამრავლებენ სავანგებოდ ექსპორტისათვის. საძოვრები ბელგიაში საკმაო რაოდენობითაა — საკვებ კულტურებს და მდელოებს უჭირავთ მთელი სოფლის მეურნეობის ფართობის ნახევარზე მეტი.

როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ბელგიაშიც ფაქტიურად სახელმწიფოს მართავენ მსხვილი კაპიტალისტები.

მსხვილი კომპანიების ორ პროცენტს ეკუთვნის ბელგიის მრეწველობა, რომელშიც მუშაობს მთელი ბელგიის მუშების 60%. ეს კომპანიები იღებენ მთელი მოგების $^2/_3$. განსაკუთრებით ცნობილია ბელგიაში ბანკი „სოსიეტე ჟენერალი“. ამ საფინანსო გიგანტის ფილიალები და განყოფილებებია ყოველ ქალაქსა და თითქმის ყოველ სოფელში. მას ეკუთვნის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი. „სოსიეტე ჟენერალი“ ფლობს უდიდეს მიწის ფართობს და კონტროლს უწევს სოფლის მეურნეობას. „სოსიეტე ჟენერალი“, ისევე, როგორც ბელგიის სხვა კომპანიები, მჭიდროდაა დაკავშირებული საფრანგეთის, გფრ-ისა და სხვა სახელმწიფოთა მონოპოლიებთან.

ამ ბოლო ხანებში ბელგიაში სულ უფრო და უფრო იჭრება ამერიკული და ინგლისური კაპიტალი. მის წილზე მოდის ახალ საშუალებათა $^1/_3$-მდე, რომელიც დაბანდებულია ქვეყნის ინდუსტრიაში. ამის მიზეზია ის, რომ დღეს ბელგია მონაწილეა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა („საერთო ბაზარი“) — ეკონომიკური ბლოკისა, რომელიც აერთიანებს დასავლეთ ევროპის ცხრა სახელმწიფოს.

მაგრამ თავის მხრივ ბელგიის მონოპოლიებს კაპიტალი გააქვთ საზღვარგარეთ, უმთავრესად აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.

ბელგია წევრია ნატოს სამხედრო ბლოკისა, რომლის შტაბიც ბელგიის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მონოპოლიის მძიმე უღელს ზიდავს ყველაზე ფართო წრე ბელგიელი საზოგადოებისა, პირველ რიგში კი მუშათა კლასი. ამიტომაცაა, რომ დროდადრო იფეთქებს ხოლმე აჯანყება, რომელშიც მონაწილეობას იღებს ათასობით მუშა და მოსამსახურე.

ბელგიის მშრომელთა მებრძოლი ავანგარდია კომუნისტური პარტია, რომელიც 1921 წელს შეიქმნა. მისი მიზანია გააერთიანოს ქვეყნის ყველა პროგრესული ძალა და მეთაურობს ბრძოლებს მონოპოლიის წინააღმდეგ, იბრძვის დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

წარსულში ბელგია არაერთხელ ყოფილა ბრძოლის ასპარეზი. არაერთხელ განუცდია აგრესია გერმანიის მიერ.

ორჯერ — 1914 და 1940 წწ. — ეს პატარა ქვეყანა კინაღამ განადგურდა დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების ერთმანეთთან შეტაკების დროს. გერმანელმა ჯარებმა ბელგიის ოკუპაცია მოახდინეს და ახლა ბელგიაში შეხვდებით ძეგლებს, მემორიალებს, რომლებიც გვახსენებენ ორი მსოფლიო ომის დღეებს.

უკანასკნელი ომის დროს ჰიტლერელების ტყვეობიდან გაქცეული მრავალი საბჭოთა მეომარი იბრძოდა ბელგიის მიწაზე. ბევრმა საბჭოთა მეომარმა შესწირა სიცოცხლე ბელგიელი ხალხის განთავისუფლების საქმეს. არდენში დგას ძეგლი უცნობი საბჭოთა ჯარისკაცისა, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიზანულ რაზმებს.

ბელგიის მთავრობა აშშ-თან ატარებს პოლიტიკურ თანამშრომლობას, იცავს გაძლიერებულ ინტეგრაციას „საერთო ბაზრის“ ჩარჩოებში. ამავე დროს ბელგია მხარს უჭერს სოციალისტური ქვეყნების ზოგიერთ საგარეოპოლიტიკურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, შეიარაღების შეზღუდვისაკენ. ფართოვდება მრავალმხრივი კავშირი ბელგიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ბელგია კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური მეფეა. პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება: სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან.

ბულგარეთი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 111 ათასი კმ².
მოსახლეობა — 8,82 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სოფია (1 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — ბულგარული.



ბულგარეთი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მის ტერიტორიას ბალკანეთის მთები თითქმის ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს, რომელსაც ბულგარელები სტარა-პლანინას (პლანინა ბულგარულად მთას ნიშნავს) ეძახიან. ბალკანეთის ჩრდილოეთით გადაჭიმულია დუნაის ვრცელი ბორცვიანი ვაკე, რომელიც მდინარის ნაპირებს ციცაბო ფლატეებად მიჰყვება. ბალკანეთის მთების სამხრეთით რელიეფი უფრო მრავალფეროვანია. სამხრეთ ბულგარეთის დასავლეთი ნაწილი უჭირავს რილა-როდოპის მთის მასივებს, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უმაღლესი მწვერვალებით (მუსალა — 2925 მ), აღმოსავლეთ ნაწილზე კი გადაჭიმულია ზემო თრაკიის დაბლობი.

ბულგარეთში ზომიერი, კონტინენტური ჰავაა. სახნავი მიწების ნახევარზე მეტი შავმიწანიადაგიანია, აქ მოჰყავთ სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, რომლებიც ზომიერ სარტყელში ხარობს და ძირითადად სითბოსა და სინათლის მოყვარულია (თამბაქოს აღმოსავლური ჯიშები, ეთერზეთოვანნი, ასევე ბამბეული და ბრინჯი).

ბულგარეთში ტყე ცოტაა, უმთავრესად მთებშია. სახელმწიფო იცავს და ზრუნავს ტყეზე. ბულგარეთის მდინარეები პატარა და წყალმარჩხია, ნა-



ბურგასის კომბინატი — ბალკანეთზე უმსხვილესი ნავთობგადამმუშავებელი საწარმო.

ოსნობისათვის გამოუსადეგარი. მხოლოდ დუნაია ერთადერთი ნაოსნობისათვის გამოსადეგი მდინარე. მთის ბევრ მდინარეზე აგებულია ჰიდროსადგურთა კასკადები და ჰიდროტექნიკური ნაგებობანი მინდვრების, ბაღებისა და ბოსტნების სარწყავად.

ბულგარეთს აქვს სხვადასხვა მინერალური რესურსები (რკინის, მარგანეცის, ტყვია-თუთიის და სპილენძის მადნები, მურა ნახშირი და ქვანახშირი, აღმოჩნდა ნავთობიც).

ბულგარეთში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბულგარელები არიან, რომლებიც ეკუთვნიან სამხრეთ სლავურ ხალხებს. ენითა და კულტურით ბულგარელი ხალხი ენათესავება რუს ხალხს. IX საუკუნეში სლავი განმანათლებლების კირილესა და მეთოდეს მიერ შექმნილი სლავური ანბანი (კირილიცა) დღესაც საფუძვლად უდევს როგორც ბულგარულსა და სერბიულ ალფაბეტს, ასევე საბჭოთა კავშირის ბევრ ხალხთა ალფაბეტსაც.

XIV ს. ბოლოს ბულგარეთი დაიმორჩილა თურქეთმა და მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში მის უღელ ქვეშ გმინავდა. ბულგარეთი გაათავისუფლა რუსმა ჯარმა და ბულგარელმა მოლაშქრეებმა რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

საქართველო-ბულგარეთის კულტურულ ურთიერთობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე ეს ორი ქრისტიანული ქვეყანა ებრძოდა ერთსა და იგივე მუსულმან დამპყრობლებს. 1083 წელს როდოპის მთებში გამოჩენილმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანის ძემ ააგო ბაჩკოვოს (პეტრიწონის) შესანიშნავი მონასტერი, რომლის არქიტექტურა და მოხატულობა დღესაც ხიბლავს მნახველს.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა არმია დაეხმარა ბულგარელ ხალხს განთავისუფლებულიყო მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმისაგან, რომელსაც კავშირი ჰქონდა ჰიტლერულ გერმანიასთან. ბულგარეთის საზღვრებთან საბჭოთა ჯარების გამოჩენამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვებაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაიწყო მასობრივი შეიარაღებული აჯანყება. 1944 წლის 9 სექტემბერი, მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმის დამხობის დღე, ბულგარეთის ნაციონალურ დღესასწაულადაა გამოცხადებული.

ბულგარელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხელმძღვანელობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომლის იდეურ-ორგანიზაციულ განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშეს ისეთმა შესანიშნავმა რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტებმა, როგორებიცაა: დ. ბლაგოევი, ვ. კოლაროვი და გ. დიმიტროვი. 1923 წლის სექტემბერში კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ანტიფაშისტურ აჯანყებას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდნენ პარტიზანულ და იატაკქვეშა ჯგუფებს, რომლებიც გა-

დაიზარდნენ სახალხო-გამათავისუფლებელ მეამბოხეთა არმიად. ამან აღძრა მასები შეიარაღებულ აჯანყებისათვის, რის შედეგადაც ბულგარეთში დამყარდა სახალხო ხელისუფლება.

სახალხო-დემოკრატიული წყობის გამარჯვებისთანავე ბკპ სათავეში ჩაუდგა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლას. ამ ბრძოლაში კომპარტიასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირი (ბმსკ). სამამულო ფრონტი რაზმავს მშრომელებს სოციალისტური მშენებლობის გადაწყვეტილებებისათვის და აერთიანებს როგორც ბკპ-სა და ბმსკ-ს წევრებს, ასევე უპარტიოებს.

სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოა სახალხო კრება. უმაღლესი მუდმივმოქმედი ორგანოა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც სახალხო კრება ირჩევს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარელმა ხალხმა სულ მოკლე დროში შეძლო ჩამორჩენილი ქვეყანა გადაექცია განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ. ბულგარელმა ხალხმა წარმატებით გადაწყვიტა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ამოცანა. 1950 წელთან შედარებით 1978 წელს სამრეწველო პროდუქცია 22-ჯერ გაიზარდა, ძირითადად ენერგეტიკის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიის ხარჯზე. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მანქანათმშენებლობის ისეთი დარგები, სადაც იყენებენ ბევრ ფერად ლითონს (ელექტროტექნიკა, რადიოელექტრონიკა, ხელსაწყოთმშენებლობა). შეიქმნა საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობა. მანქანებისა და მისი მოწყობილობების, ასევე საზღვაო და სამდინარო გემების უმრავლესობა საექსპორტოა. ინტენსიურად ვითარდება გემოკვების მრეწველობა, განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი ხილბოსტნეულის კონსერვების მრეწველობა. ეროვნული შემოსავალი იმავე წლებში 10,3-ჯერ გაიზარდა.

ბულგარეთის ეკონომიკის ზრდას დიდად უწყობს ხელს ბულგარეთის სსრკ-თან თანამშრომლობა. ბულგარეთის მიწაზე ჩვენი ქვეყნის დახმარებით აშენებული საწარმოები იძლევა შავი მეტალურგიის მთელი პროდუქციის დაახლოებით 95%, ნავთობქიმიური და ქიმიური მრეწველობის 80%, ელექტროენერგიის — 80%.

სრულიად შეიცვალა სოფელმა სახე. ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, არხებმა, ქიმიურმა სასუქებმა, მანქანებმა, ელექტრიფიკაციამ ხელი შეუწყო მოსავლის მკვეთრ ამაღლებას. კერძოდ, ისეთი დარგებისას, როგორიცაა: მებოსტნეობა, მეთამბაქოეობა, მებაღეობა და მევენახეობა. ბულგარეთს ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს პამიდვრის, ყურძნის სადესერტო ჯიშების, აღმოსავლური სურნელოვანი თამბაქოს, ღვინოების, არომატული ვარდის ზეთისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტში.

ბულგარეთს რომ უკეთ გავეცნოთ, გადავხედოთ მის ცალკეულ დიდ რაიონებს.

ბულგარეთის ძირითადი ბეღელია დუნაის დაბლობი, რომელიც უამრავი მდინარითაა დასერილი. მდინარეების გაყოლებით ბარში დიდი სოფლებია, სოფლების გარშემო კი ბაღები, ვენახები, პურის ყანები, სიმინდის, მზესუმზირისა და შაქრის ჭარხლის უკიდეგანო მინდვრებია. ამ რაიონების ქალაქებში მრავლადაა საკონსერვო საწარმოები, ხორცკომბინატები, რძის, შაქრის, ერბო-კარაქის, ტყავის ქარხნები, წისქვილები. მანქანათმშენებელი ქარხნები უმთავრესად სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს ემსახურება.

დუნაის იყენებენ როგორც სანაოსნოდ, ასევე სარწყავად და თევზსაჭერად. ქალაქ ნიკოპოლის ახლოს მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად. მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი და ბულგარეთის დიდი სამდინარო პორტია დუნაიზე ქალაქი რუსე. დუნაიზე დიდი ორიარუსიანი ხიდია აშენებული, ზედ გადის სარკინიგზო და სამანქანო გზა, რომელიც აკავშირებს ბულგარეთს რუმინეთთან და შემდეგ სსრკ-თან. დუნაის ვაკეზე აღმოაჩინეს ნავთობი და ბუნებრივი გაზი. აქ შენდება ქიმიური ნავთობგადამმუშავებელი და სხვა საწარმოები.

ჩრდილოეთი ბულგარეთის მსხვილი საწარმოო ცენტრი და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია პლევენი (პლევნა). ქალაქში და მის შემოგარენში ათეულობით მუზეუმი, ძეგლი, ნაკრძალი და სკობელევის ლამაზი პარკია. აქ ბულგარელმა ხალხმა უკვდავყო რუს ჯარისკაცთა დიდება, 1878 წელს იერიშით რომ აიღეს თურქეთის ერთ-ერთი მიუვალი ციხესიმაგრე. სამხედრო-ისტორიული მუზეუმის შესასვლელში ასეთი წარწერაა: „თავი და-

ხარეთ ჩვენი განმათავისუფლებელი ძმების წინაშე და არ დაივიწყოთ რუსი ხალხის უსაზღვრო თავდადება“.

დუნაის დაბლობის ნაყოფიერი მინდვრები სამხრეთით სტარა-პლანინის მთისწინეთში გადადის. სათესი მიწები აქ ცოტაა. მთის ფერდობებზე გადაჭიმულია ბაღები და ვენახები. განვითარებულია მესაქონლეობა და სატყეო მეურნეობა.

სტარა-პლანინის მთები ჰყოფენ ჩრდილოეთ ბულგარეთს სამხრეთისაგან. თუმცა მთები დაბალია, მაგრამ რკინიგზები და გზატკეცილები აქ შედარებით ცოტაა, რადგან უღელტეხილები არც თუ ისე ხელსაყრელია გზების გასაყვანად. ჯერჯერობით მთებში მხოლოდ სამი რკინიგზაა გაყვანილი. ყველაზე ხელსაყრელი გასასვლელია მდინარე ისკირის ხეობა, რომელიც დიდი ქვაბულისაკენ მიემართება, სწორედ იქ, სადაც გაშენებულია ბულგარეთის დედაქალაქი სოფია. სოფია ერთ-ერთი უძველესი ქალაქია ევროპაში. იგი ვიტოშის მთის ძირასაა გაშენებული, რომლის ფერდობებზეც ნაციონალური ლამაზი პარკია. სოფიის მრეწველობა მთელი სამრეწველო პროდუქციის ერთ მეექვსედს იძლევა. სოფია ამარაგებს ქვეყანას ტრანსფორმატორებით, ელექტროძრავებით, ჩარხებით, მსუბუქი მრეწველობის საქონლით. ქალაქის ახლოს, ადგილობრივი მადნით და სსრკ-ის ტექნიკური დახმარებით აგებულია კრემიკოვის მეტალურგიული კომბინატი.

სოფიაში ბევრი ძეგლია: გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი, საბჭოთა არმიის მეომართა ძეგლი, ალექსანდრე ნეველის ტაძარი, რუსი მეომრების რამდენიმე ძეგლი.

სოფიის ქვაბულის გვერდითაა პერნიკის ქვაბულიც. ქალაქი პერნიკი ქვანახშირის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებელი მრეწველობის ცენტრია. სოფია და პერნიკი ბულგარეთის ყველაზე მსხვილი საწარმოო რაიონია.

ამ ქვაბულების აღმოსავლეთით, სტარა-პლანინისა და სპილენძის მადნის გადამუშავებით ცნობილი პატარა ქედის — სრედნა-გორას შუა გამწკრივებულია იმიერბალკანეთის პატარ-პატარა ხეობები. ესაა ბულგარეთის ყველაზე ლამაზი და ბარაქიანი მხარე, სადაც გაშენებულია ვენახები, აქ ხარობს კაკლისა და წაბლის ხეები, ხილის ბაღები და ვარდის პლანტაციები. ყაზანლიყისა და კარლოვოს ქვაბულები ცნობილია ბულგარეთის საზღვრებს გარეთაც. მას ვარდის ველს უწოდებენ, ყაზანლიყისა და კარლოვოს ქალაქების რაიონებში გამოჰყავთ ცნობილი ყაზანლიყის ვარდი. ვარდისაგან ზეთს ხდიან, რომელიც ორჯერ უფრო ძვირია ოქროზე. ერთი გრამი ვარდის ზეთის მისაღებად ორი ათას ვარდს უნდა დააცალონ ფურცლები. ვარდის ზეთს იყენებენ როგორც კვების მრეწველობაში, ასევე პარფიუმერიისათვისაც. მისგან მზადდება მაღალხარისხოვანი სუნამოები.

ყაზანლიყის ველიდან ჩრდილოეთ ბულგარეთში გადადიან შიპკის უღელტეხილით. აქ იყო სწორედ 1877 წელს უდიდესი ბრძოლები თურქების წინააღმდეგ. რუსმა მეომრებმა ბულგარელი მოლაშქრეების დახმარებით ოთხი თვე გაუძლეს მოწინააღმდეგის ცეცხლს. ამ ომში დაღუპულთა პატივსაცემად ბულგარელმა ხალხმა მრავალი ძეგლი დადგა. ერთ-ერთი მათგანი დგას სოფელ შიპკასთან.

სამხრეთით, მდინარე მარიცის ხეობაში გაშლილია ზემო თრაკიის დაბლობი. მას ჩრდილოეთის ქარებისაგან იცავს სტარა-პლანინის ქედი. ჰავა აქ რბილია. ესაა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელიც დახელოვნებულია ძვირფასი ტექნიკური და სასურსათო კულტურების დამუშავებაში. ნაადრევი ბოსტნეული — პამიდორი, წიწაკა, ხახვი, კომბოსტო — გააქვთ საზღვარგარეთ. ამას გარდა ამუშავებენ კანაფს, მოჰყავთ მიწის თხილი, ქუნჯუთი, აბუსალათინი. დიდი ფართობი უჭირავს ვაშლის ბაღებსა და ვენახს. ზემო თრაკიის დაბლობებზე კარგადაა შერწყმული მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. ბულგარეთის ახალგაზრდობის მიერ გაშენებული ახალი ქალაქის დიმიტროვგრადის ახლოს არის ბულგარეთში ყველაზე დიდი მარიცის ქვანახშირის აუზი. მისი ქვანახშირით მუშაობს დიდი ელექტროსადგურები, დიმიტროვგრადისა და სტარა-ზაგორეს ქიმიური და ცემენტის ქარხნები. განვითარებულია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგები. აქვეა სიდიდით მეორე ქალაქი პლოვდივი, რომელიც მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრია. აქ ყოველ წელიწადს იმართება საერთაშორისო ბაზრობა. ისევე, როგორც ბულგარეთის სხვა ქალაქებში, გასული წლების ბობოქარი დღეების გამომხატველი ბევრი ძეგლია აქ. ერთერთ ქედზე დგას ჯარისკაცის დიდებული ფიგუ-

რა, ესაა საბჭოთა მეომრის ძეგლი. ბულგარელები ამ ძეგლს მოფერებით „ალიოშკას“ ეძახიან.

რილა-როდოპის მთის მასივების ქებათა-ქებაა ბევრ ნაწარმოებსა და ძველ ბულგარულ სიმღერებში. თურქეთის ბატონობის დროს რილა-როდოპის უდაბურ ხეობებს, კლდეებსა და გაუვალ ტყეებში თავს აფარებდნენ შურისმაძიებლები, მეორე მსოფლიო ომის დროს კი — ბულგარელი პატრიოტები.

სახალხო ხელისუფლების დროს ამ უდაბურმა და ძალზე ჩამორჩენილმა რაიონმა სახე იცვალა. მთის მდინარეებზე აშენდა და ახლაც შენდება ჰიდროელექტროსადგურები, მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, მთებშუა ქვაბულებში მოჰყავთ ბამბა, მიწისთხილი, ხაშხაში, ცერცვი, ყურძნის უმაღლესი ჯიშები, ატამი, გარგარი და, რაც მთავარია, არომატული აღმოსავლური თამბაქო. სამხრეთი ბულგარეთი ნაძვის, სოჭისა და ფიჭვის მერქნის ძირითადი მიმწოდებელია. მთებში, სადაც სამკურნალო მინერალური წყლები გადმოჩქეფს, აგებულია კუროორტები.

ძველად ბულგარეთში შავი ზღვის სანაპირო მეურნეობისათვის უმნიშვნელო როლს ასრულებდა. საქონელი უმთავრესად გაჰქონდათ რკინიგზით, ნაწილობრივ კი დუნაით. არ ჰქონდათ სავაჭრო ფლოტი, განუვითარებელი იყო მეთევზეობაც. სოციალისტური მშენებლობის წლებში შავი ზღვისპირეთი მნიშვნელოვანი გახდა. ერთიათად გადიდდა ბულგარეთის სხვადასხვა საქონლის ექსპორტი. ნახევარზე მეტი გარესავაჭრო ბრუნვა საბჭოთა კავშირზე მოდის. უმოკლესი და იაფი გზა საბჭოთა კავშირისაკენ კი შავი ზღვაა. ბულგარეთი გახდა საზღვაო სახელმწიფო. მისი თევზსაჭერი გემები გავიდნენ ოკეანეში და თევზს იჭერენ ატლანტიკაში.

შავი ზღვის სანაპიროზე ბევრია სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, სასტუმრო, პანსიონატი და ოტელი. გაიხსნა დიდი დასასვენებელი სახლი ბავშვებისათვის — ბულგარეთის არტეკი. თანამედროვე დიდი კუროორტებია „ოქროს ქვიშა“, „მზიური ნაპირი“, რომლებიც განთქმულია მთელ მსოფლიოში.

შავი ზღვისპირეთის სანაპიროზე ორი დიდი საპორტო ქალაქია: ჩრდილოეთით — ვარნა, რომელიც სიდიდით მესამე ადგილზეა ბულგარეთში, სადაც გემთმშენებელი ქარხანაა და სამხრეთით — ბურგასი, რომელიც ნავთობგადამმუშავებელი წარმოების ცენტრია. ნავთობი აქ მოდის ნოვოროსიისკიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

ბულგარეთის საგარეო მშვიდობისმოყვარე პოლიტიკამ ფართო აღიარება ჰპოვა საერთაშორისო არენაზე. ბულგარეთი არის ვარშავის ორგანიზაციის მოლაპარაკებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აქტიური წევრი.

დამოკიდებულება ჩვენს ქვეყნებს შორის ეყრდნობა ღრმად ისტორიულ მეგობრულ კავშირსა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ეს კი გამოხატულებას პოულობს არა მარტო სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც სსრკ-ის დახმარებით შეიქმნა ბულგარეთში, არამედ ბულგარელი მშენებლების სულ უფრო და უფრო აქტიურ მონაწილეობაში ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში. ვითარდება ურთიერთვაჭრობა და სამეცნიერო თანამშრომლობა, მტკიცდება კავშირი საბჭოთა ქვეყნისა და ბულგარეთის საწარმოებს შორის, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან.

ბულგარეთი სოციალისტური სახელმწიფოა. უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო კრებას, სესიებს შორის კი მუდმივ მოქმედ სახელმწიფო საბჭოს. გარდა კომუნისტური პარტიისა არის ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირი, რომელიც მოქმედებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გიბრალტარი

გიბრალტარი ერთადერთი კოლონიაა ევროპაში. მორუხო-თეთრი კირქვის კლდე (425 მ) ხმელთაშუა ზღვისაკენ მკვეთრად ეშვება და თითქოს სრუტეს ბატონობსო.

ინგლისელები ასეც ეძახიან გიბრალტარს — კლდე. ძველი ხალხისათვის გიბრალტარის კლდე და მუსის მთა, რომელიც მოპირდაპირე მხარესაა აფრიკის სანაპიროზე (ახლანდელი სეუტის დასავლეთით) ითვლებოდა ჰერკულესის სვეტებად—ქვეყნის დასასრულად. ფინიკია, კართაგენი, რომი, ვესტგოთები — ყველანი ისწრაფოდნენ დამკვიდ-



გიბრალტარი ქალაქისა და პორტის ხედი



რებულიყვნენ გიბრალტარზე. 711 წ. კლდეს დაეპატრონენ არაბები და ტარიკის ხელმძღვანელობით ააგეს ციხესიმაგრე (გიბრალტარი დამახინჯებული „ჯებელ ალ-ტარიკია“, რაც ნიშნავს „ტარიკის მთას“). რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში გიბრალტარი შედიოდა ესპანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ინგლისმა 1704 წ. დაიპყრო ხმელთაშუა ზღვის და აღმოსავლეთის ეს გასაღები და გიბრალტარი გადააქცია ამჟამად დაცემული იმპერიის სამხედრო-საზღვაო ბაზების — მალტის, სუეცის, ადენის, სინგაპურის — პირველ რგოლად.

დღესაც გიბრალტარი პირველ რიგში ციხესიმაგრეა, მის გერბზე გამოსახულია ციხესიმაგრე და გასაღები. აქ არის ინგლისის დიდი სამხედრო საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია ნატოს გეგმებშიც კი. კოლონიის მთელი რეალური ძალაუფლება ძველებურად ინგლისის გუბერნატორს ეკუთვნის, იგი ბაზის სარდალია. მასთან არსებობს სათათბირო ორგანო — გიბრალტარის საბჭო. საკრებულო პალატა — პარლამენტი, რომელსაც ძალიან შეზღუდული უფლებები აქვს და რომლის წევრებიდანაც ირჩევენ მთავარ მინისტრსა და სხვა მინისტრებს, არსებითად, გუბერნატორს ექვემდებარება.

გიბრალტარში დასამუშავებლად ვარგისი მიწები არ არის. მიწა, საერთოდ, არ ყოფნით (კოლონიის ფართობია 6,5 კმ²), ამიტომ სახლების ასაშენებელ ადგილებს ზღვას სტაცებენ, ქვებით ავსებენ, რომელსაც იღებენ კლდეში გაყვანილი გვირაბებიდან და წვიმის წყლის მოსაგროვებელი რეზერვუარების აგებისას. ამავე მიზეზით ზღვაზე აქვთ აგებული აეროდრომი, რომელიც ზღვის დონიდან ოდნავ მაღლაა და ვიწრო ქვიშის ისარივითაა შეჭრილი ზღვაში. იგი აერთებს გიბრალტარს ესპანეთთან.

გიბრალტარი ევროპაში ერთადერთი ადგილია, სადაც მაიმუნები ბინადრობენ. მოსახლეობას (29,5 ათასი კაცი) შეადგენს ძირითადად ესპანელების, იტალიელების, მალტელებისა და პორტუგალიელების შთამომავალნი. მოსახლეობა ძირითადად სამხედრო ბაზებსა და სავაჭრო პორტში მსახურობს. გემთშეკეთებაც და ტურისტების მიღებაც მათი მოვალეობაა. პატარა სამრეწველო სარეწები (სამკერვალო, კონსერვების მრეწველობა, ყავის გადამუშავება, თამბაქოს, მინერალური წყლების ჩამოსხმა) აკმაყოფილებს ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებას.

ესპანეთი დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნონ გიბრალტარი. ეს საკითხი არაერთხელ განიხილეს ბაერო-ში, მაგრამ ინგლისსა და ესპანეთს შორის მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გ დ რ.
ფართობი — 108,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 16,75 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბერლინი (1,18 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — გერმანული.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს, იგი სოციალისტური



სახელმწიფოა, მუშებისა და გლეხების პირველი სახელმწიფო გერმანიის მიწა-წყალზე — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სამშობლოში. 1945 წ. მაისში საბჭოთა მეომრებმა იერიშით აიღეს ბერლინი და აიძულეს ჰიტლერული არმიის სარდლობა უსიტყვო კაპიტულაციაზე. 1945 წლის ივლის-აგვისტოში სსრკ, აშშ და ინგლისის ხელმძღვანელები (ქვეყნები, რომლებიც შეადგენდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის საყრდენს) შეიკრიბნენ პოტსდამში და მიიღეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება ომისშემდგომი ევროპის წყობის შესახებ. პოტსდამის შეთანხმება (მას შეუერთდა საფრანგეთიც) მიზნად ისახავდა გერმანული ნაციზმისა და მილიტარიზმის ძირფესვიანად აღმოფხვრას და გერმანიის მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას. გერმანიის ყოფილი ტერიტორია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად, შეიქმნა საკონტროლო საბჭო, რომლის ადგილსამყოფელი იყო ბერლინში.

ვითარების მსვლელობამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი და დასავლეთის სახელმწიფოები სხვადასხვანაირად მიუდგნენ პოტსდამის გადაწყვეტილების რეალიზაციას. საბჭოთა კავშირმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი ევალებოდა, რათა მის საოკუპაციო ზონაში პოტსდამის ამოცანა სრულყოფილად შესრულებულიყო. აიკრძალა ფაშისტური პარტია და მისი მონათესავე ორგანიზაციები, სასამართლოს გადაეცნენ და დაისაჯნენ სამხედრო დამნაშავენი, დემონტირდა სამხედრო მრეწველობა. წარმოება, რომელიც სამხედრო დამნაშავეებს ეკუთვნოდა, გადაეცა ხალხს. აგრარული რეფორმის საფუძველზე გაუქმდა საიუნკრო მიწათმფლობელობა — გერმანული რეაქციის ერთ-ერთი საყრდენი. მთელი ეს ღონისძიება გატარდა გერმანელი ანტიფაშისტ-დემოკრატების მხარდაჭერით, რომელთა სათავეშიც იდგნენ გერმანელი მუშათა კლასის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი კომუნისტები, ისეთები, როგორებიც იყვნენ მისი გამოჩენილი წარმომადგენლები: კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, ერნსტ ტელმანი.

1945 წ. ივლისში შეიქმნა ანტიფაშისტური დემოკრატიული პარტიების ბლოკი. 1946 წ. 21 აპრილს ბოლო მოეღო გერმანელი მუშათა კლასის განხეთქილებას: კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტია შეერთდა ერთ მუშათა პარტიად — გერმანიის სოციალისტურ ერთიან პარტიად (გსეპ). ძირითადად 1948—1949 წწ. გადაწყდა ხელისუფლების საკითხი დემოკრატიულ ძალთა სასარგებლოდ, რომელსაც მეთაურობს მუშათა კლასი. ოკუპაციის დასავლეთ ზონაში კი კურსი აიღეს იქითკენ, რომ აღედგინათ ბურჟუაზია და პოტსდამის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ შეექმნათ სეპარატული სახელმწიფო. გერმანიის განხეთქილების პარალელურად აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა ბერლინიც დაყვეს: მათ გამოჰყვეს ბერლინის დასავლეთი სექტორები და აქციეს ისინი „საფრონტო ქალაქად“, ფორპოსტად იმ ძირგამომთხრელი მოქმედებისა, რომელიც მიმართული იყო ანტიფაშისტურ-დემოკრატიული ქვეყნის შექმნის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით 1949 წლის 7 ოქტომბერს ჩამოყალიბდა გდრ.

მიწაზე, სადაც ადრე ბატონობდა გერმანული იმპერიალიზმი და მისი ნაშიერი — ფაშიზმი, მთავარი დამნაშავენი ორი მსოფლიო ომისა — პირველად დაიბადა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომლის აკვანთან იდგნენ ვ. პიკი და ო. გროტევოლი. გდრ-მა მას შემდეგ განვლო დიდი და სახელოვანი გზა. ახალგაზრდა რესპუბლიკამ შეძლო მოკლე დროში გარდაქმნილიყო ანტიფაშისტურ-დემოკრატიულად და კურსი აიღო სოციალიზმის

აშენებისაკენ. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაადგნენ სოციალიზმის აშენების გზას, გდრ-მა ეს გზა გაიარა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როდესაც მტრები იყენებენ დასავლეთ ბერლინს სოციალისტური წყობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის ჩასატარებლად.

1961 წლის ზაფხულში, გფრ-ის რეაქციულმა წრეებმა ისარგებლეს იმით, რომ საზღვარი გდრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის ფაქტიურად ღია იყო, მოაწყვეს საშიში პოლიტიკური და ეკონომიკური დივერსია გდრ-ის წინააღმდეგ, იმ ანგარიშით, რომ შეექმნათ პროვოკაციული კონფლიქტი და მაქსიმალურად გაერთულებინათ ევროპის ამ რაიონში მდგომარეობა. ამის საპასუხოდ გდრ-ის მთავრობამ 1961 წ. 13 აგვისტოს ვარშავის მოლაპარაკებების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით შემოიღო გდრ-ის საზღვრებზე, დასავლეთ ბერლინის ჩათვლით, სასაზღვრო კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ ტარდება ყველა სუვერენული სახელმწიფოების საზღვარზე. ამ კონტროლმა შექმნა ხელსაყრელი პირობები თვით რესპუბლიკის შინაგანი განვითარებისათვის.

1963 წ. იანვარში გსეპ-ის მეექვსე ყრილობამ, რომელიც ეყრდნობოდა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის გამარჯვებას ქვეყანაში, ჩამოაყალიბა შემდგომი ამოცანა — გააჩაღოს სოციალიზმის მშენებლობა გდრ-ში. გდრ-ის ახალმა კონსტიტუციამ გაამაგრა სოციალისტური პრინციპები გდრ-ის როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1976 წ. იანვარში შედგა გსეპ-ის მეცხრე ყრილობა. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც დასახა ახალი ამოცანა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობის შესახებ.

გდრ-ში არსებობს მრავალპარტიული სისტემა. წამყვან როლს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თამაშობს გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტია (გსეპ). სხვა პარტიებია გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტია და გერმანიის ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია. ყველა ეს პოლიტიკური პარტია, ასევე გერმანიის თავისუფალი გაერთიანებული პროფსაბჭოები, თავისუფალი გერმანული ახალგაზრდობის კავშირი, გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირი და გდრ-ის კულტურბუნდი (აერთიანებს შემოქმედ და მეცნიერ ინტელიგენციას) შედის გდრ-ის ნაციონალურ ფრონტში, რომლის მთავარი ამოცანაა მიიზიდოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლობაში.



ბერლინის ტრეპტოვ-პარკში აღმართულია საბჭოთა არმიის მებრძოლთა ძეგლი. ძეგლის ცენტრალური ფიგურაა მებრძოლი განმათავისუფლებელი.

პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ გდრ-ის სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოს — სახალხო პალატისა და ადგილობრივი სახალხო წარმომადგენელთა არჩევნებში ეროვნული ფრონტის საერთო სიის მიხედვით. ყოველი მოწვევის პირ-

ველ სხდომაზე ნაციონალური პალატა ირჩევს სახელმწიფო სათათბიროს და ნიშნავს გდრ-ის მთავრობას — მინისტრთა საბჭოს.

გდრ-ს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში უდიდესი მიღწევები აქვს მიუხედავად იმისა, რომ პირველ წლებში რესპუბლიკის ეკონომიკა დიდ სიძნელეებს განიცდიდა. ომის პერიოდში გდრ-ის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ომის ძირითადი ოპერაციები. განადგურდა 40%-ზე მეტი სამრეწველო პოტენციალისა, დაინგრა კომუნიკაციები, განადგურდა ტრანსპორტი, წინა ისტორიული განვითარების შედეგად გდრ-ის ტერიტორიაზე ძირითადად ყურადღება მიექცა მრეწველობის გადამმუშავებელ დარგებს, ხოლო მძიმე მრეწველობა ძალიან სუსტად იყო განვითარებული, ბევრგან არ იყო სამყოფი ნედლეულის ბაზები. გდრ შედარებით ღარიბია სასარგებლო წიაღისეულით. დიდი რაოდენობით მოიპოვება მხოლოდ მურა ნახშირი და კალიუმის მარილები, ასევე სპილენძი (საბადო მანსფელდში) და ურანის მადანი. სხვა სასარგებლო წიაღისეულ მარაგს არა აქვს საწარმოო მნიშვნელობა, მდგომარეობას ამწვავებდა გფრ-ის იმპერიალისტური წრეების გაუთავებელი დივერსიები, რომლებმაც გდრ-ს უდიდესი ეკონომიკური ზარალი მიაყენა.

ყველა ეს სიძნელე გადალახა გდრ-ის მშრომელმა ხალხმა თავდადებული შრომით. უანგარო ძმური დახმარება გაუწია რესპუბლიკას სხვა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, ყველაზე უფრო კი საბჭოთა კავშირმა.

ახლა გდრ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო სახელმწიფოა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობით გდრ ევროპაში მეექვსე ადგილზეა, ხოლო მსოფლიოში მეათეზე, ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებული სხვადასხვა სახის პროდუქციის მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა რესპუბლიკაში დამზადებული სხვადასხვა სახის ჩარხებზე, ქიმიურ მოწყობილობებზე, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკის, პოლიგრაფიის ნაწარმზე, საზღვაო გემებზე, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობის საქონელზე.

მაღალინტენსიური სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების $^{2}/_{3}$, საკვები პროდუქტებით $^{3}/_{4}$-ზე მეტს. მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მხრივ გდრ ერთ-ერთი პირველთაგანია. გდრ-ის სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკურ ბაზას შეადგენს კოლექტივები (კოოპერატივები) და სახელმწიფო მეურნეობა (სახალხო მამულები).

გდრ-ში შექმნილია განათლების სოციალისტური ერთიანი სისტემა. რესპუბლიკის 6 ათას სკოლაში უფასოდ სწავლობს დაახლოებით 3 მლნ. ბავშვი; 54 უმაღლეს სასწავლებელში — დაახლოებით 140 ათასი სტუდენტი.

გდრ-ის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაბლობია, უამრავი ტბა და დაბალი გორაკებია. სამხრეთი უფრო მთაგორიანია, ხოლო უკიდურეს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადადის მთის მასივებში (მადნიანი მთები, ფოგტლანდი, ტიურინგიის ტყე და ჰარცი). შედარებით მაღალი მთის მწვერვალია ფიხტელბერგი (1214 მ) მადნიან მთებში. გდრ-ის ტერიტორიის თითქმის 30% ტყითაა დაფარული (უმთავრესად ფიჭვი, ნაძვი, წიფელი, მუხა). გდრ-ის კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, რომელიც ერწყმის ზღვის ჰავას, რაც საშუალებას იძლევა მოიყვანონ ზომიერი ზონის სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმრავლესობა.

გდრ-ის დედაქალაქი მდებარეობს ქვეყნის რკინიგზებისა და გზატკეცილების მნიშვნელოვან კვანძზე. აქვეა გდრ-ის აეროპორტი შონეფელდი, რომელსაც შეუძლია მიიღოს რეაქტიული თვითმფრინავებიც. ბერლინი დიდი სამდინარო პორტია. ქალაქი მდებარეობს მდ. შპრეეზე, გდრ-ის ერთერთი ყველაზე გრძელი საწყლო არტერიის (398 კმ) სანაპიროზე.

ბერლინში ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილია. მთელ მსოფლიოშია განთქმული უნტერ-დენ-ლინდენის ქუჩა, რომელიც მთავრდება ცნობილი ბრანდენბურგის ჭიშკრით. თავიდან აშენდა ქალაქის ულამაზესი ცენტრი—ალექსანდერპლაცი, რომლის თავზე აღმართულია სატელევიზიო კოშკი. მისი სიმაღლეა 365 მ. ფართო და ლამაზია მუდამ სიცოცხლით სავსე კარლ მარქსის სახელობის ხეივანი. რესპუბლიკის სასახლეში ტარდება გსეპ-ის ყრილობები და მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებანი. ტრეპტოვ-პარკში დგას ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მეომრების დიდებული ძეგლი.

ბერლინი მეცნიერებისა და სტუდენტების, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუ-



გდრ-ის სოციალისტური ინდუსტრიის სიამაყე — ნავთობგადამამუშავებელი კომბინატი შვედტში. აშენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით 1959 წ. ეს გიგანტური საწარმო სსრკ-დან ნავთობსადენით „მეგობრობა“ იღებს ნედლეულს. ს უ რ ა თ ზ ე: მართვის ავტომატურ პულტთან.



რესპუბლიკის ნავსაშენებში აგებენ თანამედროვე საზღვაო გემებს, მათ შორის საბჭოთა კავშირის დაკვეთით აშენებული გემებიცაა. ს უ რ ა თ ზ ე: ახალი სწრაფმავალი მშრალტვირთსაზიდი.

შაკთა ქალაქია. აქ მუშაობენ გდრ-ის მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულებები — მეცნიერებათა აკადემია, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ხელოვნების აკადემია, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები. ბერლინში არის ევროპაში ერთ-ერთი უძველესი ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი. აქ სწავლობდა კარლ მარქსი. დედაქალაქში ცხოვრობს გდრ-ის ბევრი მწერალი. ისინი აგრძელებენ გერმანული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები — გოეთე, ჰაინე, შილერი, ბრეხტი მთელ მსოფლიოში არიან სახელგანთქმულნი. აქ არსებობს ფართოდ ცნობილი თეატრალური დასები: კომიკური საოპერო თეატრი, სახელმწიფო საოპერო თეატრი, ბერლინის ანსამბლი. რაღა თქმა უნდა, როცა ბერლინზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არაფერი ვთქვათ მის ეკონომიკურ როლზე. დედაქალაქში რესპუბლიკის მრეწველობის წამყვანი დარგების ბევრი მანქანათმშენებელი ქარხანაა, ასევე აქ ბევრია საფეიქრო, პოლიგრაფიული საწარმოები.

ბერლინის შემდეგ გდრ-ის მნიშვნელოვანი ცენტრია ლაიფციგი, რომელიც დაარსდა 800 წელზე მეტი ხნის წინათ. ამ ქალაქმა გაითქვა სახელი მსოფლიოში იმით, რომ აქ ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო ბაზრობა. ამ ქალაქში ქმნიდა თავის ნაწარმოებებს ი. ს. ბახი, აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ გერმანელი მუშათა კლასის ცნობილი ბელადები: ა. ბებელი, კ. ლიბკნეხტი და კ. ცეტკინი. ლაიფციგში არაერთხელ იყო ვ. ი. ლენინი. 1900 წ. ქალაქის ერთ-ერთ პატარა სტამბაში დაიბეჭდა ცნობილი ლენინური „ისკრის“ პირველი ნომერი.

საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ლაიფციგის სიმფონიურმა ორკესტრმა „ჰევანდჰაუზმა“ და ბიჭუნების გუნდმა. აქვეა გდრ-ის უდიდესი ბიბლიოთეკა (დაახლოებით 5 მლნ. ტომი); ლაიფციგის უნივერსიტეტი 550 წლისაა. ქალაქში არის მსხვილი მანქანათმშენებლობის მრეწველობა, იგი პოლიგრაფიისა და ბეჭდვითი საქმის წამყვანი ცენტრია.

ლაიფციგის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ქალაქი ჰალე. ჰალეს ოლქი გდრ-ის შედარებით დიდი სამრეწველო რაიონია, მისი ქიმიური ინდუსტრიის გულია. აქ მუშაობენ ქიმიური გიგანტი „ლოინა“ (უშვებს დაახლოებით 500 სახის

პროდუქციას), ქიმიური კომბინატები ბიტერფელდში, ფოტოკინოფირის ფაბრიკა ვოლფენეში, სპილენძმადნის კომბინატი მანდსფელდში.

ლაიფციგის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს გდრ-ის სხვა ორი სამრეწველო ოლქი კარლ-მარქს-შტადტი და დრეზდენი. კარლ-მარქს-შტადტის ოლქი მდებარეობს ულამაზეს მთაგორიან ადგილას და განთქმულია ძვირფასი წყაროებითა და კურორტებით. ოლქის მრეწველობა მრავალფეროვანია, მაგრამ ჭარბობს საფეიქრო და სამკერვალო ფაბრიკები, ასევე ავტო და ჩარხმშენებელი ქარხნები, ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა.

დრეზდენის ოლქში მადნიანი მთების აღმოსავლეთი შტო გადადის ქვიშაქვის ბელტებში, რომელიც ტყითაა დაფარული და მდინარე ელბითა და მისი შენაკადებით ისერება.

სილამაზის გამო ამ ადგილს საქსონიის შვეიცარია შეარქვეს. 1945 წ. თებერვალში ინგლის-ამერიკის ავიაციის ინტენსიური დაბომბვების შედეგად თითქმის მთელი დრეზდენი დაინგრა. სახალხო ხელისუფლების წლებში იგი თავიდან დაიბადა და გადაიქცა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური აზროვნების მნიშვნელოვან ცენტრად. აქ არის ტექნიკური უნივერსიტეტი, ტრანსპორტის უმაღლესი სკოლა, ბირთვული ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტი.

ელექტრონიკის მრეწველობის მხრივ (ქალაქში მუშაობს კომბინატი „რობოტრონი“ — გდრ-ის ელექტრონული მრეწველობის ძირითადი საწარმო), ზოგიერთი სახის ჩარხების გამოშვების და ფოტოაპარატების გამოშვების მხრივ დრეზდენს თავის ქვეყანაში ბადალი არა ჰყავს. ოლქი ცნობილია თავისი კერამიკული მრეწველობით. ძველ ქალაქ მაისენში მზადდება განთქმული ფაიფური. მთელ მსოფლიოშია ცნობილი დრეზდენის გალერეა, რომელშიც თავმოყრილია გერმანული, იტალიური, ესპანური, ჰოლანდიური და ფრანგული ფერწერის შედევრები. ეს გალერეა გადაარჩინეს საბჭოთა მეომრებმა.

დრეზდენის ოლქში და მის მეზობელ კოტბუსის ოლქში ცხოვრობს გდრ-ის ერთადერთი ეროვნული უმცირესობა — ლუჟიცის სორბები, სლავური წარმოშობის ხალხი (დაახლოებით 100 ათასი კაცი).

კოტბუსის ოლქი, სადაც არის მურა ნახშირის უდიდესი საბადო, გდრ-ის ენერგეტიკის ცენტრია. აქ ლაუჰამერში მუშაობს მსოფლიოში პირველი დანადგარი, რომელიც მურა ნახშირიდან იღებს მეტალურგიისათვის საჭირო კოქსს.

კოტბუსიდან ჩრდილოეთით მდებარეობს ფრანკფურტის ოლქი, რომელიც წინათ გერმანიაში ერთერთი ყველაზე ჩამორჩენილი რაიონი იყო. სახალხო ხელისუფლების დროს აქ, აიზენჰიუტენშტადტში შეიქმნა მძლავრი მეტალურგიული კომბინატი „ოსტი“, ხოლო შვედტში საერთაშორისო ნავთობსადენ „მეგობრობის“ ბოლო პუნქტში, რომელსაც სათავეს იღებს საბჭოთა თათრეთის მიწისქვეშა ნავთობსაცავიდან, გიგანტური ნავთობქიმიური კომბინატი.

ფრანკფურტზე გავლით წარმოებს ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან. საგარეო ვაჭრობა გდრ-ისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რესპუბლიკას უცხოეთიდან შეაქვს სათბობის მრავალი სახეობა, სამრეწველო ნედლეული და მასალა, სურსათი. გააქვს უმთავრესად მანქანები, ხელსაწყოები, ქიმიური პროდუქცია. სოციალისტურ ქვეყნებზე მოდის 70%-ზე მეტი საგარეო ვაჭრობის ბრუნვისა, მათ შორის სსრკ-ზე დაახლოებით 40%.

ბერლინის ჩრდილოეთით, ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობზე, ნოიბრანდენბურგისა და შვერინის ოლქები უმთავრესად სოფლის მეურნეობის ადგილებია. გდრ-ის ბალტიისპირეთი მთლიანად შედის როსტოკის ოლქში. რბილი ჰავა, ზღვა, თეთრი ქვიშა, ფიჭვისა და ფოთლოვანი ტყე იზიდავს აქ ზაფხულის თვეებში ბევრ დამსვენებელს. როსტოკი გდრ-ის მსხვილი საზღვაო პორტი და გემთმშენებელი წარმოების ცენტრია.

ბერლინიდან დასავლეთით პოტსდამისა და მაგდებურგის ოლქებში განვითარებულია როგორც მრეწველობა, ძირითადად მანქანათმშენებლობა, ისე სოფლის მეურნეობაც. ქალაქ კალბეში მუშაობს მეტალურგიული კომბინატი „ვესტი“.

უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მდებარეობს ერფურტის, ჰერას და ზულის ოლქები, რომლებიც განთქმულია ზუსტი მექანიკური და ოპტიკური საწარმოებით, ელექტროტექნიკითა და ელექტრონიკით. გდრ-ის ფარგლებს გარეთ არის ცნობილი ოპტიკურ-მექანიკური ქარხნების „კარლცაისის“ (იენა), ზულიელ მინისმბერავთა და მეიარაღეთა ნაწარმი. აიზენში არის

მსუბუქი ავტომობილების „ვარტბურგის“ ქარხანა, უნტერველენბრუნში — მეტალურგიული კომბინატი „მაკსჰიუტე“.

გდრ-ს დიდი მიღწევები აქვს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამავე დროს მას განსაკუთრებული მიღწევებიც გააჩნია საგარეო პოლიტიკაში. 1950 წ. იგი გახდა ეუს წევრი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ვარშავის თათბირის ორგანიზაციის წევრი. სსრკ-სა და ძმურ სახელმწიფოებთან საერთო ძალით ჩაშალა იმპერიალისტური წრეების ცდა, არ ეცნოთ გდრ, როგორც სუვერენული სახელმწიფო. გდრ გაეროს წევრია, იგი აღიარა მთელმა მსოფლიომ. გფრ-მაც აღიარა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა გერმანული მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი.

სსრკ-სა და გდრ-ს შორის მჭიდრო ძმური კავშირი არსებობს. ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა მოიცავს საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს. 1975 წ. ოქტომბერში, სსრკ-სა და გდრ-ს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება მეგობრობაზე, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობაზე, რომლის ძალითაც ორივე სახელმწიფო მზადაა მომავალშიც განამტკიცოს მუდმივი ურღვევი მეგობრობა და ძმური ურთიერთდახმარება.



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — გფრ.
ფართობი — 248 ათასი კმ².
მოსახლეობა — 59,4 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბონი (285 ათასი კაცი).
სახელმწიფო ენა — გერმანული.

გფრ ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტური ქვეყანაა დასავლეთ ევროპაში. მისი შექმნის ისტორია დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ჯერმანიის კრახთან და ევროპის ომისშემდგომ განვითარებასთან.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს და მალე ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ ანტიჰიტლერული კოალიციის ძირითადმა სახელმწიფოებმა — სსრკ-მა, აშშ-მა და ინგლისმა, რომელთაც შემდეგ საფრანგეთიც შეუერთდა, ხელი მოაწერეს მეტად მნიშვნელოვან შეთანხმებას გერმანიის ომისშემდგომი განაწილების შესახებ. გადაწყვეტილების მთავარი მიზანი, რომლის შესახებაც პოტსდამის შეთანხმებაში (ასე ეწოდება ბერლინის გარეუბანში, პოტსდამში, 1945 წლის აგვისტოში ომისშემდგომ გამარჯვებული სახელმწიფოების კონფერენციას) იყო ლაპარაკი, მდგომარეობდა იმაში, რომ საბოლოოდ აღმოეფხვრათ გერმანული ნაციზმი, მილიტარიზმი და შეექმნათ პირობები, რაიცა გერმანია მტკიცედ დამდგარიყო მშვიდობისა და დემოკრატიის განვითარების გზაზე და არასდროს არ შეექმნა ომის მუქარა. პოლონეთს დაუბრუნეს მისი კუთვნილი მიწები. საკუთრივ გერმანიის ტერიტორიაზე დროებით დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი ოთხ ზონაში. აღმოსავლეთით შეიქმნა სსრკ-ის ოკუპაციური ზონა, დასავლეთით — აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის ოკუპაციური ზონები.



ბონი. მთავრობის შენობათა კვარტალი. სურათზე: ბეჭდვითი სიტყვის სახლი, მარცხნივ ბუნდესტაგის შენობა (პარლამენტი).



კონცერნს „მანსემან აგ“ დიდი ხნის ეკონომიკური ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან. იგი აგზავნის ჩვენს ქვეყანაში დიდდიამეტრიან მილებს გაზგაყვანილობისათვის. სურათზე: პროდუქციის გაგზავნა მიულჰაიმის ქარხნიდან.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავდა პოტსდამის შეთანხმებას. აღმოსავლეთ ზონაში გატარდა მიწის დემოკრატიული რეფორმა, მოხდა სამხედრო დამნაშავეთა საკუთრების კონფისკაცია, შეიქმნა მრეწველობის სახელმწიფო სექტორი. ხელისუფლება გადავიდა მშრომელების ხელში (იხ. სტ. „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“).

დასავლეთ ზონებში კი აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების მხარდაჭერით აღადგინეს გერმანული მონოპოლიის პოზიციები, ჩაშალეს დემოკრატიული რეფორმის გატარება და რეაქციულ ძალებს ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს მოღვაწეობისათვის. პოტსდამის შეთანხმების დარღვევისას დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ დაეარსებინათ სეპარატული სახელმწიფო. მართლაც, ასეთი სახელმწიფო დაარსდა 1949 წ. ოქტომბერში.

ამგვარად, ევროპის გეოგრაფიულ რუკაზე გაჩნდა ახალი იმპერიალისტური სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

გეოგრაფიულად ქვეყანა შეიძლება დაიყოს სამ რაიონად: ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობი, შუა გერმანიის მთების მასივი და ალპების ჩრდილოეთი განშტოება. ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროს ფრიზის კუნძულების ჯაჭვი მიუყვება. ნაპირიდან კარგა მოშორებით მდებარეობს პატარა კლდოვანი კუნძული ჰელჰოლანდი. გფრ-ის დიდი ნაწილი უჭირავს მთებს: შვარცვალდის, რაინის ფიქლოვან მთებს, ბავარიის ტყეს, ჰარცის დასავლეთ ნაწილს და სხვ. დუნაის სამხრეთით ალპების მთისწინეთი გადადის ალპების მთების ჯაჭვში. აქ არის გფრ-ის ყველაზე უმაღლესი წერტილი — ცუგშპიტცეს მთა (2968 მ).

გფრ-ში ბევრი მდინარეა. ფართო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მდინარეებს: რაინს, ვეზერს, ელბის ქვემო დინებას, ასევე დუნაის. დიდი მდინარეების უმრავლესობა შეერთებულია არხებით. სამდინარო გემთმიმოსვლას წამყვანი როლი აკისრია შიგა სატრანსპორტო გადაზიდვაში.

კლიმატი გფრ-ში ზომიერია. ჩრდილო-დასავლეთით უფრო რბილი ზამთარი და გრილი ზაფხული იცის, სამაგიეროდ სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰავა უფრო კონტინენტურია: ზამთარი ცივი და ზაფხული თბილი.

მოსახლეობა გერმანელებია, მხოლოდ დანიისა და ნიდერლანდების საზღვართან ახლოს ცხოვრობენ რამდენიმე ათასი დანიელი და ჰოლანდიელი. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ გფრ ჭარბობს სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. მოსახლეობის სამი მეოთხედი ქალაქელია.

გფრ-ის მიწის წიაღი მდიდარია ქვანახშირით (რურის აუზი), ასევე მურა ნახშირითა და კალიუმის მარილებით. აღმოჩნდა ურანის მადანიც. ნავთობი და ნავთობპროდუქტები, გაზი, რკინა და სხვა მადანი გფრ-ს შემოაქვს.

გფრ ეკონომიკურად კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანაა. მრეწველობის პროდუქციის მოცულობით მას მესამე ადგილი უკავია კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის აშშ-ისა და იაპონიის შემდეგ.

განსაკუთრებით განვითარებულია მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებელი, თბო-ენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, კვების და საფეიქრო მრეწველობა, ავტომშენებლობა და გემთმშენებლობა. თავბრუდამხვევი ტემპით ვითარდება ავტომატიზაცია, ელექტრონიკა, სინთეტიკურ მასალათა მრეწველობა, ატომური ენერგია — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეს მნიშვნელოვანი მიმართულებანი.

გფრ-ის მრეწველობის სტრუქტურულმა ძვრებმა ცვლილება მოახდინა ქვეყნის ძირითად გეოგრაფიულ ცენტრებში. 60-იანი წლების ბოლოსათვის რაინ-მაინის რაიონი (გფრ-ის სამხრეთ-დასავლეთი), სადაც ნაკლებად იყო განვითარებული მრეწველობის ახალი დარგები, ახლა მთელი მრეწველობის პროდუქციის $^1/_3$-ს აძლევს ქვეყანას, იმ დროს, როდესაც რაინ-ვესტფალის რაიონმა დაკარგა ლიდერობა.

მაგრამ რურის ოლქი ძველებურად დარჩა მძიმე ინდუსტრიის უმსხვილეს ცენტრად. აქ ადნობენ მთელს გფრ-ში გამოდნობილი ფოლადის 70%, იღებენ 90%-მდე ქვანახშირს. რურის ოლქში მდებარეობს ორ ათეულზე მეტი ქალაქი, ისინი ერთიან ინდუსტრიულ ქალაქურ მასივს ქმნიან: ესენი, დორტმუნდი, დუისბურგი, მიულჰაიმი და სხვ. რურის ოლქში არაერთხელ იფეთქა მუშათა რევოლუციურმა ბრძოლებმა კაპიტალისტების წინააღმდეგ. გასულ საუკუნეში აქ მუშაობდა და მუშათა რევოლუციურ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი.

სოფლის მეურნეობა საერთო ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 4%-ს იძლევა, მაგრამ ასე თუ ისე სურსათით აკმაყოფილებს მოსახლეობის 75%. მეცხოველეობა იძლევა მთელი სოფლის მეურნეობის დაახლ. 80%. აშენებენ მსხვილფეხა რქოსან საქონელს და ღორებს, დიდ ფერმებში — ფრინველს. სათესი მიწების უდიდეს ნაწილზე თესენ ხორბალს, ჭვავს, ქერს, შვრიას. მოჰყავთ კარტოფილი, შაქრის ჭარხალი და საკვები კულტურები. სამხრეთ-დასავლეთით მებაღეობასა და მევენახეობას მისდევენ. გფრ-ის სოფლის მეურნეობა მაღალმექანიზებულია. მიუხედავად ამისა, გლეხების უმრავლესობას — მცირემიწიან და საშუალო გლეხებს — მეურნეობის ინტენსიური გამგებლობა ხელს არ აძლევთ. ისინი ვერ უძლებენ მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის კონკურენციას, მონოპოლიის უღელს, სოფლის მეურნეობის პროდუქციას რომ ყიდულობენ და ამუშავებენ. გლეხობა ღატაკდება და ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის რიგებში ხვდება.

გფრ-ის დიდ ქალაქებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰ. ჰაინეს სამშობლოს დიუსელდორფს. წინათ იგი იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი, ბანკებისა და კონცერნების მმართველი ქალაქი, ახლა კი რურის ადმინისტრაციული ქალაქია.

სამხრეთით, რაინის სანაპიროზე მდებარეობს უძველესი კულტურულ-სამრეწველო ქალაქი კიოლნი (დაარსდა ჯერ კიდევ ძვ. წ. I ს.). მთელს მსოფლიოშია ცნობილი კიოლნის წმ. პეტრეს ტაძარი — შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრული ხელოვნების ეს შედევრი.

გფრ-ის დედაქალაქი ბონი შედარებით პატარა ქალაქია, მდებარეობს კიოლნთან ახლოს. აქ არის სახელმწიფო დაწესებულებები, უნივერსიტეტი, სადაც სწავლობდა კარლ მარქსი. ბონში დაიბადა ბეთჰოვენი, რომელმაც კაცობრიობას დაუტოვა უკვდავი მუსიკალური ნაწარმოებები.

ზემო რაინის დასავლეთით, შენაკად მოზელთან მდებარეობს ძველი ქალაქი ტრირი, რომელიც დაარსეს რომაელებმა და დღემდეა შემორჩენილი იმდროინდელი რამდენიმე შენობა. ტრირში 1818 წ. 5 მაისს დაიბადა კარლ მარქსი.

გფრ-ის ცენტრში, მაინის სანაპიროზე მდებარეობს ფრანკფურტი, რომელსაც გაცხოველებული კავშირი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქთან. აქ არის დიდი გერმანელი ჰუმანისტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი.

სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბავარიაში, ორი მსხვილი სამრეწველო ქალაქია — მიუნხენი და ნიურნბერგი.

მიუნხენში, როგორც ცნობილია, დაიწყეს თავისი დანაშაულებრივი მოქმედება ფაშისტებმა. აქ ახლა დამკვიდრებულია გფრ-ის ყველაზე რეაქციული ძალები. ნიურნბერგში, ფაშიზმის ერთ-ერთ ყოფილ ცენტრში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ



ჰამბურგი. ქალაქის საპორტო ნაწილი.

შედგა ფაშისტ მთავარ დამნაშავეთა საერთაშორისო გასამართლება.

1972 წ. მაინის გაწმენდისა და გაღრმავების შემდეგ ნიურნბერგი გადაიქცა მსხვილ სამდინარო ნავსადგურად. აქედან რეგენსბურგამდე (დუნაიზე) აშენდა არხი, რომლის ამოქმედებასთან ერთად გაიხსნა „ევროპის წყლის ქუჩა“ — რაინი-მაინი-დუნაი. იგი აერთებს ატლანტიკას შავ ზღვასთან, სამდინარო ქსელს კონტინენტის 13 სახელმწიფოსთან. სამხრეთ ბავარია ულამაზესი სამთო-საკუროორტო მხარეა.

სამხრეთ-დასავლეთით, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის საზღვარზე, გადაშლილია საარის სამრეწველო რაიონი, სადაც ქვანახშირის მნიშვნელოვანი საბადოები და მეტალურგიული ქარხნებია.

დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ელბისა და ვეზერის შესართავებთან გაშენებულ საპორტო ქალაქებს ჰამბურგსა და ბრემენს, სადაც მსხვილი გემთმშენებელი ქარხნებია და ნავსაშენები. ამ პორტებიდან კილის არხით, რომელიც ბალტიკას აკავშირებს ჩრდილოეთის ზღვასთან, გადის გფრ-ის საგარეო ვაჭრობის პროდუქტები.

ჰამბურგი ერთ-ერთი ისტორიული ადგილია გერმანიის მუშათა მოძრაობისა. აქ დაიწყო რევოლუციური ბრძოლა ერნსტ ტელმანმა.

გფრ წარმოადგენს 10 მხარის ფედერაციულ სახელმწიფოს, ყოველ მათგანს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი (ლანდტაგი) და მთავრობა.

უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ბუნდესტაგსა (დეპუტატთა პალატა) და ბუნდესრატს (მხარეთა პალატა). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. ხელისუფლების სათავეში დგას ფედერალური კანცლერი.

კარგა ხანს (1949—1969) გფრ-ს შეუცვლელად მართავდა რეაქციული ბურჟუაზიული პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის (ქდკ/ქსკ). ბლოკი. ამ ბლოკის ლიდერებმა არ გაითვალისწინეს გერმანიის იმპერიალიზმის ადრინდელი გაკვეთილი და კვლავ ააღორძინეს რევანშიზმი. მთავარი, საითაც უმიზნებდა ქდკ/ქსკ, იყო მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვა „ძალის პოზიციიდან“, მოთხოვნა იმისა, რომ აღდგეს კაპიტალისტური გერმანიის 1937 წლის დროინდელი საზღვრები. აქედან გამომდინარეობდა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიის მიჩემებისაკენ სწრაფვა, არ ცნობდნენ გდრ-ს და ისწრაფოდნენ გაეუქმებინათ გდრ-ში სოციალისტური წყობა, ეწყობოდა საყოველთაო მშვიდობისათვის საშიში პროვოკაცია, შური და სიძულვილი ითესებოდა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

რევანშისტული პოლიტიკის გავლენაში მოექცა სამხედრო ბაზაც. დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმებით გფრ შევიდა (1955) ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკში (ნატო) და შექმნა ბუნდესვერი — დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი არმია, რომელსაც პირველი ადგილი უკავია ნატოს შეიარაღებულ ძალებში.

ბონში იხილებოდა ბუნდესვერის ბირთვული შეიარაღების გეგმები. გფრ-მა დაიკავა წამყვანი

ბონის მცხოვრებთა დემონსტრაცია. ისინი მოითხოვენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების გადაუდებელ რატიფიკაციას.

პოზიცია „საერთო ბაზარში“, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც იგი გვევლინება.

საშინაო პოლიტიკაში დემოკრატიულ ძალათა ჩახშობის ხაზს მისდევდნენ. 1956 წ. აკრძალეს გერმანიის კომუნისტური პარტია (გკპ), რომელიც გამოდიოდა მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ და იცავდა მშრომელთა სასიცოცხლო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. ამავე დროს მთავრობა განსაკუთრებით მფარველობდა მრავალრიცხოვან მილიტარისტულ და რევანშისტულ კავშირს. შემთხვევითი როდი იყო, რომ გფრ-ში თავი წამოჰყვეს ნეონაცისტებმა, რომლებმაც 1969 წ. შექმნეს ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია (ნდპ).

სოციალიზმის სასარგებლოდ მსოფლიო ძალთა თანაფარდობის შეცვლის, მსოფლიოს სოციალისტური სისტემის განმტკიცებისა და გდრ-ის საერთაშორისო აღიარების გამო ქდკ/ქსკ-ის რეაქციული პოლიტიკური კურსი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა თვით გფრ-შივე, პირველ რიგში მუშათა კლასის და პროგრესული საზოგადოების მხრივ.

გფრ-ის დემოკრატიულმა ძალებმა შეძლეს კომუნისტების მოღვაწეობის ლეგალიზაცია. 1968 წ. შეიქმნა გერმანიის კომუნისტური პარტია (გკპ), რომელიც, როგორც მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტია, ავანგარდი გახდა მშრომელთა ბრძოლებისა რეაქციულ ძალთა წინააღმდეგ.

1969 წ. შემოდგომაზე ბუნდესტაგის არჩევნებზე გაიმარჯვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა (გსდპ) და ლიბერალურ-ბურჟუაზიული თავისუფალი დემოკრატიული პარტიის (თდპ) კოალიციამ. ორივე პარტიამ პირობა დადო, რომ მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმას გაატარებდნენ თვით გფრ-ში და დროის შესაფერის პოლიტიკას განახორციელებდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

გსდპ—თდპ-ის მთავრობამ 1970 წ. დადეს ხელშეკრულება სსრკ-სა და პოლონეთთან, რომელშიც დადასტურებულია ევროპაში არსებული საზღვრების დაურღვევლობა: პსრ-ის დასავლეთი საზღვრისა ოდერ-ნეისეზე და გფრ-სა და გდრ-ს შორის არსებული საზღვრისა. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჩსსრ-თანაც. ამ ხელშეკრულებით მიუნხენის 1938 წ. შეთანხმება ჩაითვალა გაუქმებულად.

1973 წ. ძალაში შევიდა ხელშეკრულება გფრ-სა და გდრ-ს შორის, რომელშიც აღიარებულია ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი. ყველაფერმა ამან საგრძნობლად გააჯანსაღა ევროპაში პოლიტიკური მდგომარეობა, ეს არის დიდი გამარჯვება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალის-

ტური ქვეყნების თანამიმდევრული ბრძოლისა ევროპაში უშიშროების გასამტკიცებლად. პოლიტიკური ურთიერთობის ნორმალიზაციას გფრ-სა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ხელი შეუწყო მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკურმა კავშირმაც. ასე, მაგალითად, გფრ-მა ჩვენს ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა გაზარდა ოთხჯერ.

ხელისუფლების სათავეში ბსდპ—თდპ-ის კაბინეტის ჩადგომა და მის მიერ საგარეო პოლიტიკაში გატარებული რეალისტური ხაზი არ ნიშნავს დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის არსის შეცვლას. ამით მხოლოდ ის ჩანს, როგორ ეგუება დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი ბრძოლის ახალ პირობებს საერთაშორისო არენაზე და თვით გფრ-ში.

ისევე, როგორც სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, გფრ-შიც არსებობს მძაფრი კლასობრივი უთანხმოებანი, სოციალური ჩაგვრა და უთანასწორობა. გფრ-ის მოსახლეობის 1,7% ფლობს წარმოების საშუალებების 74%. ფასების მუდმივმა ზრდამ, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაძვირებამ, მათ შორის ფასიანი სამედიცინო დახმარების ღირებულების გაზრდამ „შთანთქა“ მშრომელების მიერ ბრძოლით მოპოვებული ხელფასის ნამატი. ქალები, როგორც წესი, მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ ხელფასს იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ იმავე საქმეს ასრულებენ. განსაკუთრებით უმოწყალოდ უწევენ ექსპლოატაციას მრავალრიცხოვან (2 მლნ. მეტი) უცხოელ მუშას.

გფრ-ში მძაფრ სოციალურ პრობლემას ქმნის უმაღლესი განათლების მოძველებული სისტემა: უმაღლესი განათლება მდიდართა შვილების პრივილეგიაა. მიუხედავად იმისა, რომ 1960—1970 წწ. სტუდენტების რიცხვი ორჯერ გაიზარდა (340 ათასამდე), მათ შორის მხოლოდ 9%-ია მუშების შვილები. კაპიტალისტურ სამყაროში 70-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა (სავალუტო-ფინანსურმა, ენერგეტიკულმა, მრეწველობის საწარმოთა ჩავარდნამ) დიდი ზიანი მიაყენა მშრომელთა ინტერესებს.

უმუშევართა არმიამ გფრ-ში 1 მლნ. კაცს მიაღწია. მმართველმა წრეებმა ეკონომიკური სიძნელის დაძლევა მონოპოლიების მოგების შეზღუდვის ხარჯზე კი არა, მშრომელთა ხარჯზე გადაწყვიტეს.

გფრ-ში გავლენიანი პოზიციები უჭირავთ რეაქციულ ძალებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მძიმე პირობებში უხდებათ ბრძოლა დასავლეთგერმანელ კომუნისტებს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, იმ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა თანმიმდევრობით განსახორციელებლად, რომლებიც გფრ-ს დადებული აქვს სსრკ-თან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ამ ბრძოლაში ისინი ეყრდნობიან მუშათა კლასს, ყველა პროგრესული და დემოკრატიული ქვეყნის ძალებს.

დანია

დანიის სამეფო.
ფართობი — 43 ათასი კმ².
მოსახლეობა — 5 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი — კოპენჰაგენი (1,4 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — დანიური.



დანიის შემადგენლობაში შედის იუტლანდიის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და მის მახლობლად გაფანტული 500-მდე კუნძული. შედარებით დიდი კუნძულებია ზელანდია და ფიუნი. ზელანდიის კუნძული სკანდინავიის ნახევარკუნძულს გამო-

ეყოფა ვიწრო ერესუნის სრუტით. ქალაქ ჰელსინგორიდან, რომელიც სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილასაა გაშენებული, მოწმენდილ ამინდში შეუიარაღებელი თვალით კარგად ჩანს მეორე ნაპირას გაშენებული შვეციის ქალაქი ჰელსინგბორგი. ჰიტლერული ოკუპაციის დროს ბევრმა დანიელმა ნავებით, ზოგმა კი ცურვით გადასერა ერესუნის სრუტე და შვეციას შეაფარა თავი.

ასეთივე ვიწროა მცირე ბელტის სრუტე ფიუნისა და იუტლანდიის კუნძულებს შორის. მათ შუა გადაჭიმულია კილომეტრიანი ხიდი. ზელანდია უერთდება მის სამხრეთით მდებარე კუნძულ ფალსტერს სამ კილომეტრზე მეტი სიგრძის ხიდით. ზელანდია და ფიუნი ერთმანეთს უკავშირდებიან ბორნებით. ამ ბორნებით მატარებელიც კი გადააქვთ.

ნახევარკუნძულ იუტლანდიის აღმოსავლეთი ნაწილი დაღარულია ყურეებითა და უბეებით, ბევრი მათგანი ბუნებრივად მოხერხებული ნავსადგურებია. დასავლეთ ნაპირზე კი ნავსადგურისათვის მოხერხებული ადგილები თითქმის არ არის. უბეები პატარა-პატარაა, ლიმანის ტიპისაა და ნაოსნობისათვის გამოუსადეგარი. განსაკუთრებით საინტერესოა ყურე ლიმ-ფიორდი, უფრო სწორად, ეს ყურე კი არა, სრუტეა. იგი იუტლანდიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს კონტინენტისაგან ჰყოფს. ამ ყურეში უამრავი კუნძულია მიმოფანტული. ერთ მათგანთან არის ხამანწკის მეჩეჩი. აქედან ყოველწლიურად გააქვთ 5 მილიონი ხამანწკა, მისი უმეტესი ნაწილი საექსპორტოა.

ნორვეგიისა და შვეციისაგან განსხვავებით დანიის რელიეფში დაბლობები და ვაკე ადგილები ჭარბობს. ჰავა რბილია, ზღვისაა, თოვლი იშვიათად მოდის და ისიც მალე დნება.

ოდესღაც დანიაში უზარმაზარი წიწვიანი ტყეები იყო გადაჭიმული, მაგრამ ახლა თითქმის სულ გაჩეხილია, შემორჩენილია მხოლოდ წიფლის ხეივნები, რომლებსაც სახელმწიფო იცავს.

დანიას ეკუთვნის დანიის არქიპელაგის გარეთ მდებარე კუნძულები: პატარა კუნძული ბორნხოლმი ბალტიის ზღვაში (50 ათასი მცხოვრები), ნორვეგიისა და ისლანდიის შუა მდებარე ფარერის (ცხვრის კუნძულების ჯგუფი) (1,4 ათასი კვ. კმ, 40 ათასი მცხოვრები) და მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული გრენლანდია (2.2 მლნ. კვ. კმ, 50 ათასი მცხ.). ფარერის მკვიდრთ თავიანთი ენა (ფარერული), ხოლო კუნძულებს თავიანთი საშინაო თვითმმართველობა აქვთ, ასევე აქვთ საკუთარი საკანონმდებლო ორგანო — ლაგტინგი. ფარერის მოსახლეობა მისდევს მეთევზეობასა და მეცხვარეობას.

გრენლანდიის უმეტესი ნაწილი ყინულითაა დაფარული და დაუსახლებელია. ყინულით არ არის დაფარული მხოლოდ კლდოვანი სანაპიროს ვიწრო ზოლი, რომელიც დაღარულია უთვალავი ფიორდით. გრენლანდიაში ცხოვრობენ ესკიმოსები. ისინი მისდევენ მეთევზეობასა და ნადირობენ ვეშაპებზე, აშენებენ ირმებსა და ცხვარს. კუნძულზე არის ქვანახშირის მაღაროები. გრენლანდიაში ლაპარაკობენ და წერენ ესკიმოსურ ენაზე, რომელზედაც გამოდის გაზეთები და ჟურნალები. აშშ-ის იმპერიალისტებმა გრენლანდიაში ააგეს თავიანთი სამხედრო ბაზები. 1979 წ. გრენლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი შინაგანი ავტონომიის საკითხზე. შეიქმნა ადგილობრივი პარლამენტი — ლანდსტინგი. არჩევნებში გაიმარჯვა პარტია „სკუმუტმა“, რომელიც მოითხოვს „საერთო ბაზრიდან“ გასვლას, ბუნებრივ სიმდიდრეთა (იშვიათი ლითონები, ნავთობი, ქვანახშირი) დამოუკიდებელ გამოყენებას. ოპოზიციაშია პარტია „ატასუტი“. კუნძულის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებს დანიის მთავრობა წყვეტს.

დანიაში კონსტიტუციური მონარქიაა. მეფე ან დედოფალი ითვლება სახელმწიფოს მეთაურად, რომელიც ერთპალატიან პარლამენტთან — ფოლკეტინგთან ერთად ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. ფოლკეტინგში როგორც გრენლანდიიდან, ასევე ფარერის კუნძულებიდან ირჩევენ ორ დეპუტატს.

დანიაში მრავალი პარტიაა: სოციალ-დემოკრატიული, ვენსტრე-ლიბერალური, პროგრესის, კონსერვატული სახალხო, რადიკალური ვენსტრეს, ქრისტიანულ სახალხო, სოციალისტური და სხვანი.

დანიის სამეფო ოდესღაც ძალიან ძლიერი იყო. XI ს. იგი აერთიანებდა დანიას, ნორვეგიასა და ინგლისის მნიშვნელოვან ნაწილს. დანიელი ვიკინგები თავს ესხმოდნენ ხოლმე ევროპის სანაპიროებს. გაუთავებელი ომების შედეგად, ხან კარგავდა თავის ზღვისიქითა სამფლობელოებს, ხან ახალს იძენდა.

1940 წლის 9 აპრილს ჰიტლერულმა გერმანიამ დანია დაიპყრო. ამ წლებს დანიელები „ხუთ

დიდი მეზღაპრის ჰ. ქ. ანდერსენის ძეგლი კოპენჰაგენში.

დაწყევლილ წელს“ უწოდებენ. დაიწყო ფაშიზმის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერელებზე მოპოვებულ პირველ გამარჯვებათა შემდეგ.

ოკუპანტების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მთავარი როლი ეკუთვნის დანიის კომუნისტურ პარტიას (შეიქმნა 1919 წ.). პატრიოტები აფეთქებდნენ სამხედრო ობიექტებს, გადაჰყავდათ შავ სიაში შეყვანილი ხალხი შვეციაში, ეხმარებოდნენ პატიმრებს ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, იატაკქვეშ სცემდნენ გაზეთებს, ფურცლებს და წიგნებსაც კი.

დასავლეთ სახელმწიფოებზე ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ დანია იქამდე მიიყვანა, რომ იგი მჭიდრო პოლიტიკურ თანამშრომლობას ეწევა მათთან.

1949 წ. დანია შევიდა ნატო-ში, 1973 წელს კი შეუერთდა „საერთო ბაზარს“. დანია კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა უცხოეთის მსხვილ მონოპოლიებზე.

დანიაში იზრდება მოძრაობა სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაჯგუფებებში დანიის მონაწილეობის საწინააღმდეგოდ. ამ მოძრაობაში ჩაბმულია მოსახლეობის ფართო ფენები, მათ შორის ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებიც კი.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განახლებისათვის მშრომელთა ბრძოლის ავანგარდში ისევე, როგორც ანტიფაშისტური ბრძოლის წლებში, დგანან დანიის კომუნისტები.

დანია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. კარგად განვითარებულია ლითონდამმუშავებელი, მანქანათმშენებელი (განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კერძოდ, სეპარატორები), ქიმიური და მრავალი სხვა დარგი.

დანიის მრეწველობა განთქმულია თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობისა და მედიკამენტების წარმოებით. დიდ როლს ასრულებს გემთმშენებლობაც. დანიის ერთ-ერთი უდიდესი გემსაშენი „ბურმაისტერ ოგ ვაინი“ კოპენჰაგენშია. აქ აგებენ გემებს საექსპორტოდ, კერძოდ, საბჭოთა კავშირისათვის.

კოპენჰაგენის ფაიფურის ქარხანა მუშაობს კაოლინზე, რომელიც მოაქვთ კუნძულ ბორნჰოლმიდან. აქ აკეთებენ ჭურჭელს და პატარა-პატარა ქანდაკებებს. ქანდაკებები გამოხატავს ქვეყნის ღირსშესანიშნაობასა და ანდერსენის ზღაპრების გმირებს. ამ ფაიფურის ქარხნის პროდუქცია მთელ მსოფლიოშია განთქმული.

დანიის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია სარძევე-სახორცე მესაქონლეობა, მიწათმოქმედება კი ძირითადად აინტერესებთ, როგორც საქონლის საკვები წყარო. დანია განთქმულია წითელი, წაბლა ჯიშის ძროხებით. ისინი კარგად იწველიან და რძეც ცხიმიანია. დანიის მესაქონლეობის პროდუქცია — ღორის ხორცი (ბეკონი), ხორცი, კარაქი, ყველი, კვერცხი საექსპორტოა. უმთავრესად გააქვთ ინგლისსა და გფრ-ში. მიწათმოქმედების პროდუქტები დანიას არ ჰყოფნის და დაახლოებით 20% პური და 30% საქონლის საკვები შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან.

დანიაში ბევრი რკინიგზა და გზატკეცილია. ყველაზე პატარა ქალაქებს შორისაც რეგულარულად დადის ავტობუსები, გვხვდება უამრავი ველოსიპედისტიც.

აქ დაახლოებით ორი მილიონი ველოსიპედია. ცნობილი მხატვრის ბიდსტრუპის სიტყვით „დანია პატარა ქვეყანაა, მჭიდროდ დასახლებული ველოსიპედებით“. ველოსიპედებით მიდიან სასეირნოდ, სტუმრად, სამუშაოდ, დიასახლისები ველოსიპედით შემოირბენენ ხოლმე მაღაზიებს, ტურისტები კი ყველა კუნჭულს მოივლიან. ველოსიპედითვე

გადააქვთ პატარ-პატარა ტვირთი. ველოსიპედით სარგებლობს ყველა, სკოლის მოსწავლე თუ ღრმად მოხუცებული ადამიანი (თუმცა, ამ ბოლო წლებში ველოსიპედები გზას უთმობენ ავტომობილებს).

მთელი დანიის მეოთხედი ცხოვრობს დედაქალაქსა და მის გარეუბნებში.

კოპენჰაგენი ერთ-ერთი უძველესი ევროპული ქალაქია. 1967 წ. მას 800 წელი შეუსრულდა. ქართულად კოპენჰაგენი „სავაჭრო ნავსადგურს“ ნიშნავს. იგი ნამდვილი თანამედროვე ქალაქია, ფართო ქუჩებით, მაღალი შენობებითა და ბაღ-პარკებით. თუმცა ძველ რაიონებს შემორჩა ვიწრო ქუჩები და პატარა სახლები.

კოპენჰაგენში ბევრი ტბაა. ზღვის ნავსაყუდელის გასწვრივ ფართო ხეივანია. დანიელებს ყველაზე უფრო აქ უყვართ სეირნობა. ნავსადგურში უზარმაზარ ქვაზე ზის ბრინჯაოს ჩაფიქრებული ალი, ანდერსენის ცნობილი ზღაპრის გმირი. კოპენჰაგენში ბევრი ძეგლია. რამდენიმე ძეგლი დაიდგა ფაშისტური ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლთა სსოვნის უკვდავსაყოფად.

კოპენჰაგენის ძველ ნაგებობათაგან ცნობილია მრგვალი კოშკი, რომლის წვერზეც XVII ს. მოწყობილი იყო ცნობილი დანიელი ასტრონომის ოლე რიომერის ობსერვატორია. 1675 წ. რიომერი აკვირდებოდა იუპიტერის თანამგზავრის დაბნელებას და განსაზღვრა სინათლის სხივის სიჩქარე.

ვესტერბროგადის ქუჩაზე შემორჩა სახლი, სადაც 1910 წ. ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. იგი კოპენჰაგენში ჩამოვიდა II ინტერნაციონალის კონგრესზე.

კოპენჰაგენში არის უნივერსიტეტი (მეორე უნივერსიტეტია ქალაქ ორჰუსში), რამდენიმე მუზეუმი და ბევრი უძველესი სასახლე და ციხე-სიმაგრე. ძალიან საინტერესოა დანიელი სკულპტორის ბ. ტორვალდსენის მუზეუმი. აქ თავმოყრილია მისი ძირითადი ქანდაკებები, აქვე ინახება მისივე ფერფლი. ტორვალდსენი ცხოვრობდა გასული საუკუნის დასაწყისში და სკულპტურაში კლასიციზმის მამამთავრად ითვლება. მის მიერ შექმნილი ქანდაკებები ამშვენებს ევროპის ბევრ ქალაქს.

ქალაქ ჰელსინგორში დაცულია კრონბორგის ძველი სასახლე. კრონბორგის სასახლის სარდაფში დაბალ თაღებქვეშ დგას მძინარე გმირის დანიელი ჰოლგერის სკულპტურა. ძველი თქმულება გადმოგვცემს, რომ ჰოლგერი იღვიძებს მხოლოდ მაშინ, როცა დანიას საფრთხე ელის. მაშინ იგი გამოდის მიწისქვეშეთიდან და იცავს სამშობლოს. გერმანიის ოკუპაციის დროს მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი რაზმი ატარებდა ამ ლეგენდარული გმირის სახელს.

დანიამ მსოფლიო კულტურას ბევრი სახელოვანი ადამიანი მისცა.

სამყაროს ყველა ბავშვი კითხულობს ანდერსენის ზღაპრებს.



გრენლანდიის კუნძულების მკვიდრნი — ესკიმოსები მისდევენ ბეწვიან მხეცებზე ნადირობას, მეთევზეობას.
ს უ რ ა თ ზ ე: სათევზაოდან დაბრუნება.

ფართოდაა ცნობილი დანიის პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის მ. ანდერსენ-ნექსეს რომანები და მოთხრობები. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იციან შესანიშნავი მხატვრის ჰ. ბიდსტრუპის სახელი. მისი კარიკატურები და ჩანახატები იბეჭდება დანიის კომუნისტური პარტიის გაზეთ „ლანდ ორ ფოლკში“. 1964 წელს მას მიაკუთვნეს ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

ბევრი რამ გააკეთეს დანიელებმა მეცნიერებაში. XVI საუკუნის ასტრონომი ტიხო ბრაგე დანიელია. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მეორე დანიელ ასტრონომზე ო. რიომერზე. ხოლო ჩვენმა თანამედროვე შესანიშნავმა ფიზიკოსმა ნ. ბორმა შექმნა ნივთიერების აგებულების კვანტური თეორია.

დანიისა და სსრკ-ის თანამშრომლობის საზოგადოება აცნობს დანიელებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, კულტურასა და მეცნიერებას, ხელს უწყობს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებას.

დასავლეთი ბერლინი

გდრ-ის ტერიტორიის შიგნით, მისი დასავლეთი საზღვრიდან 180 კმ-ზე მდებარეობს დასავლეთი ბერლინი, განსაკუთრებული საერთაშორისო სტატუსის მქონე პოლიტიკური წარმონაქმნი. მისი ფართობია 480 კმ², მოსახლეობა 2 მილიონზე ცოტა ნაკლები. დასავლეთ ბერლინის წარმოშობის ისტორია დაკავშირებულია „ცივ ომთან“.

ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ პირველ წლებში, ბერლინი თუმცა დაყოფილი იყო 4 ნაწილად — საბჭოურ, ამერიკულ, ინგლისურ და ფრანგულ სექტორებად — მაინც რჩებოდა ერთიან ქალაქად, რომელსაც ერთობლივად მართავდნენ გამარჯვებული მოკავშირე სახელმწიფოები. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა მიზნად დაისახეს ქალაქი გაეთიშათ და მისი დასავლეთი ნაწილი გშრ-ის ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემაში მოექციათ. ისინი აქეზებდნენ რევანშისტებს, გამოსულიყვნენ ბერლინის ამ ნაწილის დამჩემებლად. დასავლეთი ბერლინი გახდა გდრ-ისა და სოციალიზმის მშენებელი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული დივერსიისა და პროვოკაციის ცენტრი. „ცივი ომის“ მომხრენი ცდილობდნენ, აქ შეექმნათ სტრატეგიული პლაცდარმი სოციალისტური თანამეგობრობისათვის ძირის გამოსათხრელად. ასეთი კურსი მრავალ წელს გრძელდებოდა და ეს იყო მიზეზი პოლიტიკური კრიზისისა, რამაც არაერთხელ სერიოზულად გაამწვავა საერთაშორისო მდგომარეობა.

დასავლეთ ბერლინის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა 1971 წ. 3 სექტემბრის შეთანხმებამ, რომელიც დაიდო სსრკ-სა, აშშ-სა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის. შეთანხმების შედეგად დასავლეთი ბერლინი არ წარმოადგენს გშრ-ის ნაწილს და გშრ-ს არა აქვს უფლება გაავრცელოს ამ ქალაქზე თავის სახელმწიფოში მიღებული რაიმე ქმედება. ოთხი ქვეყნის შეთანხმებას დაერთო შეთანხმებანი გდრ-სა და გშრ-ს შორის, ასევე გდრ-სა და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის, რომლებიც ადგენენ გდრ-ის საკომუნიკაციო საშუალებებით სატრანზიტო მიმოსვლის წესს გშრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის, უფლებას აძლევენ დასავლეთ ბერლინელებს, იაროონ გდრ-სა და მის დედაქალაქში, აგრეთვე წყვეტენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ამგვარად, შეთანხმებათა კომპლექსი, რომელიც ეხება დასავლეთ ბერლინს, არეგულირებს ერთერთ ყველაზე რთულ პრობლემას, მეორე მსოფლიო ომმა რომ დატოვა მემკვიდრეობით და ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვას. მაგრამ გშრ-ის რევანშისტული ელემენტები ცდას არ აკლებენ, დასავლეთი ბერლინი გამოიყენონ გდრ-ის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

1950 წლის კონსტიტუციის თანახმად დასავლეთ ბერლინში მმართველობის უმაღლესი ორგანოა დეპუტატთა პალატა, აღმასრულებელი ხელისუფლება სენატი (მთავრობა) ბურგომისტრის მეთაურობით, რომელსაც ირჩევს დეპუტატთა პალატა. დასავლეთ ბერლინის მთავრობა ექვემდებარება საოკუპაციო ორგანოების კონტროლს.

დასავლეთი ბერლინი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. წამყვანი დარგია ელექტროტექნიკა და მანქანათმშენებლობა, ასევე ქიმიური, გემოკვების, საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობა, ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებანი, ძირითადად გზრის და აშშ-ისა.

ომისშემდგომ წლებში დასავლეთ ბერლინში გაჩნდა ბევრი დიდი საინტერესო ნაგებობა: საერთაშორისო სამშენებლო გამოფენის „ინტერბაუს“ შენობათა კომპლექსი, შილერის თეატრი, მსხვილმალიანი დაკიდულ გადახურვიანი კონგრეს-ჰალეს დარბაზი. გულგრილად ვერ შეხედავთ რაიხსტაგის აღდგენილ შენობას, რომლის თავზეც 1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა მეომრებმა გამარჯვების დროშა აღმართეს, როგორც სიმბოლო საბჭოთა ხალხის არნახული გმირობისა, ხალხისა, რომელმაც საკუთარ ბუნაგში გაანადგურა ფაშიზმი.

დასავლეთ ბერლინში ბევრი სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებაა. ქალაქის სამხატვრო მუზეუმში თავმოყრილია სხვადასხვა დროის ხელოვნების ნაწარმოებები.

დასავლეთ ბერლინელების დასასვენებელი საყვარელი ადგილია შპანდაუს, გრუნევალდის, ტეგელის პარკები. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტირგარტენის პარკს, სადაც საბჭოთა მოქანდაკეების პროექტით აღმართულია ბერლინის ისტორიული შტურმის გმირთა ძეგლი.

დასავლეთ ბერლინში დაფუძნებულია სსრკ-ის გენერალური საკონსულო, გახსნილია საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის ბიურო და აეროფლოტის წარმომადგენლობა.

საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ბერლინს შორის წარმატებით ვითარდება სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის შეერთებული სამეფო.
ფართობი — 244,1 ათ. კმ².
მოსახლეობა — 56 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლონდონი (გარეუბნებიანად — 7,3 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

უძველეს კაპიტალისტურ ქვეყანას, დიდ ბრიტანეთს, ინგლისსაც უწოდებენ ყველაზე დიდი ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონის სახელწოდების მიხედვით, რომელიც შოტლანდიასა, უელსსა და ჩრდილო ირლანდიასთან (ოლსტერთან) ერთად ქმნის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის შეერთებულ სამეფოს.

დიდი ბრიტანეთი, დაწყებული ჩრდილოეთით მდებარე დანეტ-ჰედის კონცხის მიუვალი კლდოვანი მასივებიდან, დამთავრებული სამხრეთის უკიდურესი პუნქტით, ლენდს-ენდის კონცხით („მიწის კიდე“) დაახლოებით ათასი კმ-ია. იგი ევროპის კონტინენტიდან გამოყოფილია ლა-მანშისა და პადე-კალეს სრუტეებით. სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილია 30 კმ. ბრიტანეთის კუნძულების სანაპირო ზოლი ყურეებითა და უბეებითაა დაფარული და მოხერხებულია გემსადგომებად. დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 300 ნავსადგურია.

კაპიტალისტური ურთიერთობის ადრეულმა განვითარებამ და კუნძულებზე მდებარეობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ბრიტანეთის თავისებურებანი.

ინგლისის სავაჭრო კომპანიებმა, პირველ რიგში კი ოსტ-ინდოეთის კომპანიამ, XVI—XVII სს. შექმნეს თავისი საყრდენი პუნქტები აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. მონებით, ძვირფასი ნივთებით და სხვადასხვა ნედლეულით ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა ინგლისის ბურჟუაზიისათვის. XVII საუკუნის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შეზღუდა მონარქის აბსოლუტური ხელისუფლება და კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა ვაჭრობა, საბანკო საქმე და მრეწველობა. მრეწველობის აღმავლობა დიდ ბრიტანეთში XVIII საუკუნეში დაიწყო, რადგან ამ დროიდან ხელით შრომა შეცვალა მანქანებმა. გაჩნდა პირველი ლოკომოტივები და გემები. გასული საუკუნის შუა წლებში ინ-



გლისი გახდა უკვე ყველაზე მსხვილი სამრეწველო ქვეყანა, ეგრეთ წოდებული მსოფლიოს სახელოსნო. ასეთ განვითარებას თან ახლდა წვრილი მესაკუთრეების გაბოგანოება, განადგურება და დაღუპვა. გაღატაკებული ხალხი ემიგრაციაში მიდიოდა სხვადასხვა ქვეყნებში, უფრო კი ამერიკაში.

ვ. ი. ლენინმა ინგლისის იმპერიალიზმს კოლონიური იმპერიალიზმი უწოდა. 1875 წლიდან 1900 წლამდე ინგლისმა დაიპყრო დაახლოებით 15 მლნ. კვ. კმ. ტერიტორია, მათ შორის აფრიკაში დაიპყრო 8 მილიონი კვ. კმ. ფართობი, სადაც 90 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ინგლისმა სამრეწველო დარგში პირველობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიას დაუთმო. ეს პროცესი დააჩქარა პირველმა მსოფლიო ომმა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ზრდა ბრიტანეთის კოლონიებში.

ომის წინა წლებში ინგლისის მმართველი წრეები აქეზებდნენ ფაშისტურ აგრესიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ნაცისტები ჯერ დასავლეთისაკენ დაიძრნენ. ინგლისს დაღუპვა ემუქრებოდა. ანტიფაშისტური კოალიციის შექმნამ და საბჭოთა კავშირის გადამწყვეტმა როლმა ფაშიზმის განადგურებაში იხსნა ინგლისი სრული კატასტროფისაგან.

„ცივი ომის“ პერიოდში დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების პოლიტიკაში იძალა უწინდელმა ანტისაბჭოურმა გეზმა. 1949 წ. ვაშინგტონი და ლონდონი იყვნენ აგრესიული ჩრდილო ატლანტიკური ბლოკისა (ნატო) და დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის შექმნის აქტიური ინიციატორები.

60-იან წლებში პრაქტიკულად დასრულდა ბრიტანეთის იმპერიის დაშლის პროცესი.

ლონდონში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ თავისი კაპიტალის დაბანდებას ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში. ინგლისის ბანკებში კვლავ დიდი მოგება მიედინება, რომელსაც იღებენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის რესურსების ექსპლუატაციის წყალობით.

კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში 30-იანი წლებიდან 70-იანი წლების დასაწყისამდე ინგლისის წილი ორჯერ დაეცა და მან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა აშშ-ის, გფრ-ისა და იაპონიის შემდეგ.

1978 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობა ინგლისში შეადგენდა 22,7 მლნ. კაცს; აქედან მრეწველობასა და მშენებლობაში — 9,3 მლნ., სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში — 390 ათასს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 1,45 მლნ. და ვაჭრობაში — 2,7 მლნ. ადამიანს.

საწარმოო ნედლეულის ძირითადი ნაწილი და ნაწილობრივ სურსათიც უცხოეთიდან შემოაქვთ. შემოტანის ხარჯებს ძლივს ფარავს სამრეწველო საქონლის ექსპორტი და ის შემოსავალი, რასაც ინგლისი სხვა ქვეყნებში დაბანდებული კაპიტალისაგან იღებს, ასევე დიდ შემოსავალს იძლევა ნაოსნობა და ტურიზმი. ბრიტანული ფინანსები განიცდიან სისტემატურ კრიზისს. 70-იან წლებში არნახულ მასშტაბს მიაღწია ინფლაციამ — გირვანქა სტერლინგის გაუფასურებამ. მარტო 1975 წ. ფასებმა 25% აიწია ინგლისში.

ისეთ ახალ დარგებში, როგორიცაა ავიაკოსმოსური, ელექტრონული, ბირთვული ენერგეტიკა, ინგლისმა აჯობა გფრ-სა და საფრანგეთს და უშუ-

ალად მიჰყვება აშშ-ს. 1970 წ. აღმოაჩინეს ნავთობის მსხვილი საბადო ჩრდილოეთის ზღვაში. ვარაუდობენ, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ამ დარგის ექსპლუატაცია საშუალებას მისცემს ინგლისს, მთლიანად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება ამ მნიშვნელოვანი ნედლეულით.

დიდ ბრიტანეთში პარლამენტური მონარქიაა, მაგრამ როგორც ინგლისელები ამბობენ, მეფე (დედოფალი) მხოლოდ მეფეა და არა მმართველი.

სახელმწიფოს ყველა გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს სამეფო სახლმა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალობაა. ინგლისის პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება — ზედა და ქვედა პალატისაგან. ქვედა პალატაში (თემთა პალატა) დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით. ზედა პალატაში (ლორდთა პალატა) მხოლოდ მემკვიდრეობითი ტიტულის მქონე პირები ხვდებიან ანდა ისინი, ვისაც მონარქებმა უბოძეს „სამუდამო ლორდის“ ტიტული.

1979 წ. ჩატარებული არჩევნების შედეგად მთავრობას სათავეში ჩაუდგა კონსერვატული პარტია (ტორი), რომელიც მიზნად ისახავს მრეწველობის დენაციონალიზაციას, ფასების მომატებას, პოლიტიკური ძალების გაძლიერებას, იმიგრაციაზე კონტროლის დაწესებას და ა. შ. საგარეო პოლიტიკაში კონსერვატორები მთლიანად იზიარებენ აშშ-ის თვალსაზრისს. საპარლამენტო ოპოზიციას შეადგენენ ლეიბორისტები, ლიბერალები (ვიგი) და შოტლანდიისა და უელსის წვრილი ნაციონალისტური ჯგუფები.

ლონდონში ტურისტებს უჩვენებენ ხოლმე ბუკინჰამის სასახლეს და მის გუშაგებს, რომლებიც წლის ყოველ დროს და ყოველგვარ ამინდში გაუნძრევლად დგანან კარიბჭესთან, უჩვენებენ, აგრეთვე, მეფის ცხენოსან გვარდიას, ტაუერის ციხესიმაგრეს, ისტორიულ მონუმენტებს.

ბუკინჰამის სასახლესთან ახლოს, უაიტჰოლის ქუჩაზე განლაგებულია მთავრობის დაწესებულებანი. დაუნინგ-სტრიტზე. პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაა. ტემზის სანაპიროზე აღმართულია ინგლისის პარლამენტის შენობა, ესაა ვესტმინსტერის სასახლე შესანიშნავი კოშკით და კოშკზე საათ „დიდი ბენით“.

ხელისუფლების სათავეში ორი წამყვანი პარტიის წარმომადგენლები ცვლიან ერთმანეთს. XVII—XVIII სს. ეს ორი პარტია იყო ტორები და ვიგები. შემდეგ მათ უწოდეს კონსერვატორები და ლიბერალები. XX ს. 20-იან წლებში ლიბერალური პარტიის გავლენა დაეცა და დაწინაურდა ლეიბორისტული (მუშათა) პარტია, ეს პარტია დაარსდა 1900 წ. ლეიბორისტული პარტიის დროს გატარდა რამდენიმე რეფორმა (ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაცია, მთელი რიგი ზომები მიიღეს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის), მაგრამ ეს ზომები არ შეხებია საზოგადოების ძირეულ საფუძველს. ლეიბორისტული პარტიის ბაზაა პროფკავშირები.



ამ საოკეანო ლაინერებს აგებენ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ნავსაშენში — მდინარე კლაიდზე ქალაქ გლაზგოს რაიონში.

ხალხის ინტერესებისათვის თანმიმდევრულად იბრძვის დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1920 წ.). მიუხედავად იმისა, რომ მას ცუდ პირობებში უხდება მუშაობა, მაინც აქვს გავლენა პროფკავშირებში, კოოპერაციულ და ქალთა მოძრაობაში.

ინგლისში ინტენსიურად მიმდინარეობს კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი.

60-იან წლებში ბიზნესის ისეთ ძველ გიგანტებს, როგორიცაა: „შელი“ (ნავთობი), „იუნილევერი“ და „იმპირიალ კემიკალ ინდასტრი“ (ქიმია), „ვიკერსი“ (შეიარაღება), შეემატა კიდევ უფრო მსხვილი კონცერნები, რომლებიც შეიქმნა რამდენიმე კომპანიის შეერთებით. ესენია: „ჯენე-

მშრომელთა დემონსტრაცია ლონდონის ქუჩებში. დემონსტრანტები გმობენ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ფასებს ზრდის და მოსახლეობის ცხოვრების პირობებს აუარესებს.

რალ ელექტრიკი“ (მანქანათმშენებლობა), „ბრიტიშ ლეილენდი“ (ავტომობილმშენებლობა), „ელაიდ ბრუერისი“ და „ბას კარინგტონი“ (ქვების მრეწველობა). საგრძნობლად გაძლიერდა ინგლისში მრეწველობა, რომელიც ამერიკელმა მონოპოლისტებმა შექმნეს, და ამით გაზარდეს ინგლისში თავისი კაპიტალდაბანდება.

მთელი უფსკრული აშორებს ლონდონის უბრალო მუშა ხალხს, რომელსაც მეტსახელად „კოკნის“ უწოდებენ, შეძლებული ჯენტლმენებისაგან, თავი რომ მოაქვთ ოქსფორდული გამოთქმით; მათ ეს გამოთქმა შეითვისეს პრივილეგიურ სკოლებსა და უნივერსიტეტებში. დიდია ჭონებრივი სხვაობაც. მოსახლეობის 1 პროცენტი ფლობს კერძო საკუთრების 25%-ს, ხოლო ინგლისელთა 50% — მხოლოდ ჭონების 5,5%-ს.

სწავლა დიდ ბრიტანეთში ყველასათვის სავალდებულოა 5-დან 15 წლამდე. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, სადაც სწავლობენ 5-დან 11 წლამდე, ბავშვები გადიან სავალდებულო გამოცდას: ამოწმებენ მათ გონებაგახსნილობას და ნაკითხობას. ყველაზე ნიჭიერები და მომზადებულნი შედიან „გრამატიკულ“ სკოლებში, აქედან კი გზა ეხსნებათ უნივერსიტეტისაკენ. სინამდვილეში ეს სისტემა იქით არის მიმართული, რომ განამტკიცოს კლასობრივი პრივილეგიები; უნივერსიტეტში ხვდებიან, პირველ რიგში მდიდარი მშობლების შვილები, რომლებიც წინდაწინვე მოსამზადებელ სწავლებას დახურულ სკოლა-ინტერნატებში გადიან.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთს დიდი ტერიტორია არ უჭირავს, ბუნება ფრიად მრავალფეროვანია, ინგლისში არ არის ვრცელი დაბლობები. ბორცვიანი ადგილები მეტწილად სამხრეთსა და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშია. მთის მასივებია აღმართული უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით — კორნუელში, სამხრეთით — უელსში და ჩრდილოეთით — შოტლანდიაში. ყველგან ზამთარ-ზაფხულ თვალს ახარებს ბალახის მწვანე საფარი.

ატლანტის ოკეანის წყალობით კუნძულზე დიდი ტენიანობაა. ბრიტანეთის კუნძულებზე ტყეები გვხვდება მხოლოდ შოტლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში.

ინგლისის მიწის უდიდესი ნაწილის მესაკუთრეა სამეფო ოჯახი. მას ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სასახლეები, პარკები, სავარგული ადგილები.

ინგლისის ყველაზე დიდ ქალაქებში — ლონდონში, გლაზგოში, ბირმინგემში, მანჩესტერში, ლივერპულში, ლიდსსა და ნიუკასლ-აპონ-ტაინში მთელი მოსახლეობის 40% ცხოვრობს.

კაპიტალისტური სამყაროს მსხვილი ფინანსურ-სავაჭრო ცენტრია ლონდონი. აქ უმთავრესად

50—100 წლის წინათ აშენებული ორ და სამსართულიანი სახლებია, მაგრამ თანდათანობით იზრდება მაღლივი შენობების რიცხვი.

ლონდონის ცენტრი წინათ სიტის კვარტალი იყო. ადრეულ შუა საუკუნეებში იგი იქცა ანგლონორმანთა მეფეების რეზიდენციად. შემდეგ რეზიდენციამ გადაინაცვლა მეზობელ ვესტმინსტერის უბანში. სიტი და ვესტმინსტერი მალე გადაიქცა კვარტალებისა და დასახლებების ლაბირინთებად. ახლა აქ ძველი ლონდონის მკვიდრთაც კი უჭირთ ორიენტირება. ამ ქალაქების ზრდა ვაჭრობასთანაა დაკავშირებული. ამჟამად კაპიტალისტური სამყაროს ფინანსური ცენტრია სიტის კვარტალი.

ქალაქს ჩამოუდის მდინარე ტემზა, რომლის ნაპირებზე ათეულ კილომეტრზე გადაჭიმულია დოკები, საწყობები, ნავსაბმელები. აქვე მოაქვთ ნედლეული და აქედანვე გააქვთ მზა პროდუქცია. ლონდონის პორტი უნდა გაიაროს ინგლისის იმპორტის ნახევარმა და ექსპორტის $^1/_4$-მა. ლონდონში 13 რკინიგზის სადგურია, 400 კმ მიწისქვეშა გზა (მეტრო).

ლონდონისათვის დამახასიათებელია რაიონების სპეციალიზაცია. ერთ ქუჩაზე, მაგალითად, ჩერინგ-კროსის ქუჩაზე წიგნის მაღაზიებია, ფლიტ-სტრიტზე — გაზეთების რედაქციები, ოქსფორდ-სტრიტზე — უნივერსალური მაღაზიები, ბონდ-სტრიტი კი ქალთა ტანსაცმლის ფეშენებლური მაღაზიებითაა ცნობილი. ჩელსის კვარტალში მხატვართა სტუდიებია. ქალაქის ცენტრში გადაჭიმულია ტბორიან-ყვავილნარიანი ჩრდილიანი პარკი. ასეთია ჰაიდ-პარკი, ცნობილი თავისი „სპიკერს—კორნერით“ — ორატორების კუთხით. ტრაფალგარის მოედანი მიტინგების სარბიელია. აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დემონსტრაციებს მართავდნენ ჩარტისტები, 1918—1919 წლებში კი ეწყობოდა ლონდონის მშრომელების ყრილობები ლოზუნგებით: „ხელები შორს რუსეთისაგან!“

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოღვაწეობა დაკავშირებულია ლონდონთან. 1848 წელს ლონდონში გამოვიდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1864 წელს კი ჩამოყალიბდა I ინტერნაციონალი. ჰაიგეიტის სასაფლაოზე არიან დასაფლავებულნი კ. მარქსი და მისი ოჯახის წევრები.

ლონდონში 1857—1865 წწ. ა. ი. გერცენი და ნ. პ. ოგარიოვი უშვებდნენ გაზეთ „კოლოკოლს“. 1902, 1903, 1905 და 1907 წლებში ლონდონში ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი, აქვე ჩაუყარა საფუძველი გაზეთ „ისკრას“ გამოცემას, იღებდა მონაწილეობას რსდმპ II, III და V ყრილობებში.

ლონდონში 30-ზე მეტი მუზეუმია: ეროვნული საზღვაო მუზეუმი, ბრიტანეთის, საიმპერიო, საბუნებისმეტყველო-ისტორიული და სხვ. ბევრია სურათების გალერეა: ნაციონალური, ტეიტი, უოლესის კოლექცია, მარქსის სახელობის მემორიალური ბიბლიოთეკა („მარქსის სახლი“).

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრია ბირმინგემი. ინგლისური ანდაზის მიხედვით „ბირმინგემელი დაბადებისთანავე ხელოსანია“. დღედაღამ ბოლავენ მისი საწარმოების მილები და ქალაქის თავზე მუდამ კვამლის იმ სისქე ფენაა, მზის სხივი ძლივს ატანს. მსხვილ სამრეწველო ქალაქებში შემოდგომობითა და ზამთრობით ბოლი და ბურუსი ერთმანეთში ირევა და წარმოშობს ცნობილ ინგლისურ სმოგს.

გლაზგოდან ედინბურგამდე — შოტლანდიის

მითხარი, როგორ გაცვია...

და მე გეტყვი, საღ სწავლობ. ყოველი ინგლისელი მოსწავლე მისვდება ამ რომაული გამოთქმის პერიფრაზირებას. საქმე ისაა, რომ ყოველ ინგლისურ სკოლას თავისი ფორმა აქვს. იგულისხმება კერძო დახურული სკოლები, ისეთები როგორებიცაა იტონი, ჰაროუ ანდა გორდონ-სტაუნი. წლიური სწავლება ასეთ სკოლებში ღირს დაახლოებით იმდენი, რამდენსაც გამოიმუშავებს კვალიფიციური ინგლისელი მუშა მთელ წელიწადში. თავიანთი ფორმები აქვთ საკლებად ცნობილ კერძო სკოლებსაც. ფორმები სხვადასხვანაირია. იტონში, მაგალითად სულ პატარა ბიჭუნები ვისატყრებში დადიან, ზოლიანი შარვლებით და ცილინდრებით, სწორედ ისეთით, როგორითაც სადღესასწაულო დღეებში დადიან ლორდთა პალატის წევრები, ისინი, ვინც თავიანთ შვილებს აბარებს იტონში. სცხელა ბიჭუნას ვიზიტურაში, უხერხულადაა ცილინდრში, მაგრამ რას იზამ, ტრადიციაა. გორდონ-სტაუნის სკოლაში პირიქითაა: ათი წლის ბიჭიც და 15-16 წლის ჭაბუკებიც მოკლე შარვლებსა და გრძელ წინდებს ატარებენ. ასე დადიოდა ოდესღაც ერთერთი პრინცი, გორდონ-სტაუნის მოსწავლე, და მას შემდეგ ასეთია სამოსი გახდა ტრადიციული. უნდა მივითმანონ, განა შეიძლება ტრადიციის უარყოფა, განა ამ სკოლის აღზრდილები არ მართავენ ინგლისს? სახელმწიფო იაფფასიან სკოლებში კი ფორმა არ არსებობს. ვინდა ჯინსით და სვიტერით აარე, ვინდა შორტებით. ამ სკოლების კურსდამთავრებულები მაინც ქარხნებსა და ფაბრიკებში იმუშავებენ.

დედაქალაქამდე — ელექტრომატარებლით ერთი საათის გზაა. ედინბურგი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. შორიდანვე მოჩანს ჰორიზონტზე დიდი კლდის კონტური. მისი მწვერვალი ერწყმის ამ კლდისავე გრანიტის ლოდებისაგან აგებულ ძველ ციხე-კოშკებს. ედინბურგი უზარმაზარ მუზეუმს ჰგავს. აქ ყოველ წელიწადს აწყობენ მუსიკის, სიმღერის, დრამის, კინოს საერთაშორისო ფესტივალებს. 25 იანვარს მთელ შოტლანდიაში როგორც ეროვნულ დღესასწაულს, ისე აღნიშნავენ სახალხო პოეტის რობერტ ბერნსის დაბადების დღეს.

დიდი ბრიტანეთის მეორე თავისებური ეროვნული ხასიათის მატარებელი რაიონია უელსი. მისი ცენტრია კარდიფი. აქაური ბევრი მცხოვრები ჯერ კიდევ ლაპარაკობს ვალიურ (კელტურის სახესხვაობა) ენაზე, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ინგლისურთან. ქვანახშირის მოპოვება ტრადიციული დარგია ამ რაიონისა. უელსის მაღაროელები ცნობილი არიან შეუპოვარი კლასობრივი გამოსვლებით.

ჩრდილოეთი ირლანდია თავისი მილიონ ნახევარი მცხოვრებით მდებარეობს სხვა კუნძულზე და ფაქტიურად ნახევრად კოლონიური სამფლობელოა, როგორიც იყო მთელი ირლანდია, სანამ ირლანდიელი ხალხის ბრძოლის შედეგად სამხრეთში დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნებოდა, მაგრამ ჩრდილოეთი მაინც ლონდონის ბატონობის ქვეშ დარჩა. 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო სამოქალაქო უფლებებისათვის მძაფრი მოძრაობა კათოლიკური უმცირესობისა, რომელიც ცხოვრების ბევრ სფეროში ჩაგვრას განიცდიდა. ირლანდიელი კომუნისტები იბრძვიან დემოკრატიულ საფუძველზე მთელი ირლანდიელი ხალხის გაერთიანებისათვის.

დიდ ბრიტანეთს ეკვრის პატარა კუნძულები უაიტი, მენი; ჯერსის და გერნსის (ნორმანდიის კუნძულების ჯგუფში შედის) აქვთ ავტონომიური ადმინისტრაცია.

დიდ ბრიტანეთში შემორჩა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ბევრი ქალაქი და დასახლება, საუნივერსიტეტო ცენტრები: ოქსფორდი და კემბრიჯი, შექსპირის სამშობლო სტრატფორდ-ონ-ეივონი, ლონდონთან როჩესტერი, რომელიც დაკავშირებულია დიკენსის სახელთან.

დიდი ბრიტანეთის ხალხმა მსოფლიოს ბევრი ნიჭიერი სწავლული, მოგზაური და გამომგონებელი მისცა. ი. ნიუტონი კლასიკური მექანიკის ფუძემდებელია; ჯ. კუკმა გამოიკვლია ავსტრალიის სანაპირო და სამჯერ შემოუარა დედამიწას; ჰ. ფარადეიმ აღმოაჩინა ელექტრობისა და მაგნეტიზმის ბევრი მოვლენა; ჩ. დარვინმა ორგანული სამყაროს ევოლუციის თეორია შექმნა. ინგლისელმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე მეცნიერების მრავალი დარგის განვითარებაში.

ესპანეთი

ესპანეთი.
ფართობი — დაახლოებით 505 ათასი კმ².
მოსახლეობა — 36,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მადრიდი (3,7 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.



პირენეი თავისი ჩრდილო-დასავლეთის განტოტებით ბისკაის ყურის სანაპიროზე გადის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ხმელთაშუა ზღვაზე. ისინი თითქოს დასავლეთი ევროპისაგან მიჯნავენ პირენეის ნახევარკუნძულს, რომლის $^5/_6$ ესპანეთს უკავია. ესპანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის ბალეარისა და პიტიუზის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში და კანარის კუნძულები ატლანტის ოკეანეში.

ესპანეთს უძველესი ისტორია აქვს. მის ტერი-

ტორიაზე შემორჩენილია უამრავი არქიტექტურული ძეგლის ნაშთები — ძველბერძნული, კართაგენული და რომაული შენობების ნანგრევები. ,რვა საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელ პირენეის ნახევარკუნძულზე არაბები ბატონობდნენ. არაბულმა ეპოქამ ღრმა კვალი დააჩნია ესპანეთის როგორც ენას, ისე კულტურას, არქიტექტურას, ეკონომიკას.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ესპანელი კონკისტადორები მიემგზავრებოდნენ ოქროთი და თვალ-მარგალიტით მდიდარი მიწების საძებნელად. მათ ზედიზედ დაიპყრეს უცხო ქვეყნები და ესპანეთი გახდა კოლონიებით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი სახელმწიფო, მაგრამ კოლონიების ძარცვით მოპოვებული სიმდიდრით ესპანეთის ფეოდალებმა ვერ შეძლეს სიძლიერის შენარჩუნება.

XVII საუკუნეში ესპანეთი დაამარცხა საფრანგეთისა და ინგლისის არმიამ. XIX საუკუნის დასაწყისში მისმა კოლონიებმა ლათინურ ამერიკაში დამოუკიდებლობას მიაღწიეს და ახლა ესპანეთის ძველ დიდებას შეგვახსენებს მხოლოდ ესპანური ენის ფართოდ გავრცელება სამხრეთ ამერიკის ყველა სახელმწიფოში (ბრაზილიის გარდა) და ესპანური კულტურის ელემენტები.

ჩვენს დროში ესპანეთის ბატონობას ემორჩილება ქალაქები სეუტი და მელილია გარეუბნებით მაროკოს სანაპიროზე. ფაქტიურად ეს არის ესპანეთის სამხედრო ბაზები. დასავლეთი საჰარა კი იძულებული იყო დაეთმო 1976 წ.

რეაქციულმა მონარქიულმა რეჟიმმა, მსხვილი ფეოდალებისა და კათოლიკური ეკლესიის ძალმომრეობამ შეაფერხეს ესპანეთის განვითარება და XX ს. დასაწყისში იგი ითვლებოდა ნახევრად შუასაუკუნოებრივ ქვეყნად, რასაც ვერ ურიგდებოდა ესპანელი ხალხი.

1931 წელს მონარქია დაემხო, მაგრამ ხელისუფლება ხელში ჩაიგდო მსხვილმა ბურჟუაზიამ. რეაქციული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კომუნისტური პარტიის ინიციატივითა და მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სახალხო ფრონტი, რომელშიც შევიდა ყველა პროგრესული პარტია. 1936 წელს სახალხო ფრონტმა პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა. ამის საპასუხოდ ესპანელმა რეაქციონერებმა კონტრრევოლუციური ამბოხება მოაწყვეს. მათ მხარი დაუჭირეს გერმანელმა და იტალიელმა ფაშისტებმა და შეიარაღებული ძალები გამოუგზავნეს. სამ წელიწადს ებრძოდა გმირი ესპანელი ხალხი ფაშიზმს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მთელს მსოფლიოშია ცნობილი თავისუფლებისათვის მებრძოლი კომუნისტების ხოსე დიასისა და დოლორეს იბარურის სახელები. დოლორეს იბარური, იგივე პასიონარია (მგზნებარე) ხალხს მოუწოდებდა: „უმჯობესია სიკვდილს ფეხზე მდგარი შეეგებო, ვიდრე დაჩოქილი!“ ამ სიტყვებით აღანთებდა იგი ესპანელ ხალხს რესპუბლიკის დასაცავად.

ესპანელებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი კაცობრიობის მოწინავე ადამიანები ამოუდგნენ მხარში. ესპანელი ხალხის მომხრე პროგრესული ძალების ავანგარდში საბჭოთა მშრომელები იდგნენ. საბჭოთა ხალხი ეხმარებოდა ესპანეთის რევოლუციურსა და პროგრესულ ძალებს და ამით იხდიდა თავის ინტერნაციონალურ ვალს. რესპუბლიკელების მხარეს ინტერნაციონალური ბრიგადების რიგებში მსოფლიოს 54 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ათასობით მოხალისე იბრძოდა. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო. დასავლეთის სახელმწიფოების „ჩაურევლობა“ ხელს აძლევდა ფაშიზმს. 1939 წლის მარტში ესპანეთის

ტორეროს მოძრაობა იმდენად პლასტიკური და დახვეწილია, ბალეტის პა-ს მოგვაგონებს.

დემოკრატიული მთავრობა დაეცა და კვლავ გამეფდა რეაქცია. გენერალი ფრანკო გახდა ესპანეთის დიქტატორი. მან ესპანეთში ფაშისტური ტიპის დიქტატურა შექმნა და მჭიდრო კავშირი შეინარჩუნა თავის მფარველებთან — ჰიტლერთან და მუსოლინისთან.

მეორე მსოფლიო ომის დროს ესპანეთი ფორმალურად არ ომობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა ე. წ. „ცისფერი დივიზია“.

1947 წ. ესპანეთი გამოაცხადეს მონარქიად, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურად სიკვდილამდე, 1975 წ-მდე კვლავ ფრანკო იყო. მისი სიკვდილის შემდეგ ესპანეთს სათავეში მეფე ჩაუდგა. 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ესპანეთი „საპარლამენტო მონარქიად“ გამოცხადდა, რომელშიც საკანონმდებლო ხელისუფლება გადავიდა კორტესების (პარლამენტი) ხელში. ლეგალიზებული იყო პარტიები.

ესპანეთის კომუნისტური პარტია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპარტიაა კაპიტალისტურ ევროპაში. 1977 წლის აპრილამდე იგი აკრძალული იყო. მაგრამ მუშაობას ეწეოდა არალეგალურად, იცავდა მუშათა კლასისა და თავისი ქვეყნის პროგრესულ ძალების ინტერესებს.

ესპანელი ხალხი შრომისმოყვარე და ნიჭიერია. მან მსოფლიოს მისცა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე. მათ შორის სერვანტესი, ლოპე დე ვეგა, კალდერონი; მხატვრები: მურილიო, ველასკესი, გოია, ელ გრეკო. შესანიშნავი მხატვარი პიკასოც ესპანეთშია დაბადებული.

ესპანეთი არის მთაგორიანი ქვეყანა. მხოლოდ სანაპიროებსა და მდინარის ხეობებშია გადაჭიმული დაბლობები. ცენტრში მდებარეობს ქედებით შემოფარგლული მესეტის ვრცელი ზეგანი. ჰავა მშრალია, კონტინენტური. ესპანეთის ჩრდილოეთი სანაპირო თავისი რბილი ნოტიო ჰავით მოგვაგონებს ჩრდილო-დასავლეთი ევროპის ჰავას. მის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში ხმელთაშუა ზღვის ჰავაა და აქ სუბტროპიკული მცენარეულობა ხარობს.

ესპანეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. რკინის მადნისა და ქვანახშირის მნიშვნელოვანი მარაგია ჩრდილოეთით კანტაბრიის მთებში. აქ საბადოები ახლოსაა ერთმანეთთან და შავი მეტალურგიისათვის მოხერხებული ადგილია. ესპანეთი მდიდარია ფერადი ლითონებითაც. განსაკუთრებით ბევრია სპილენძი, ვერცხლისწყალი, ტყვია, თუთია, აგრეთვე ურანი. ესპანეთი ვერცხლისწყლის მარაგით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ხოლო სპილენძის პირიტებით პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ ევროპაში. მოპოვებული მადნის მნიშვნელოვანი ნაწილი ესპანეთს საზღვარგარეთ გააქვს.

ესპანეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელიც განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ათეულში შედის. აქ აქტიურად მოქმედებენ უცხოური მონოპოლიები, რომელთა სათავეშიც ამერიკული კაპიტალია. განსაკუთრებით იწრდება უცხოელების კაპიტალდაბანდება ნანჯანათმშენებლობაში, ქიმიურ და კვების მრეწველობაში. ესპანეთში განვითარებულია საფეიქრო, ფეხსაცმლისა და სამშენებლო მრეწველობა.

სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს ვერც სურსათით, ვერც ნედლეულით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ესპანეთში კვლავ ძლიერია ფეოდალიზმის გადმონაშთები. ესპანელი გლეხების უმრავლესობას მიწა არა აქვს და ბევრი მათგანი მუშაობს მოჯამაგირეებად მემამულეებთან, ანდა ხშირად სამუშაოს საძებნელად მეზობელ საფრანგეთში მიდის. დასამუშავებელი მიწების უმეტესი ნაწილი ეკუთვნის მსხვილ მემამულეებსა და კათოლიკურ ეკლესიას — ქვეყნის გავლენიან ძალას.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება. პროდუქციის უმეტესი ნაწილი საექსპორტოდ გააქვთ: სუბტროპიკული კულტურების ნაყოფი, ყურძენი, ღვინო, ზეთისხილი. ზეითუნის ზეთი (რომლის წარმოების მხრივ ესპანეთი მსოფლიოში პირველ, ხოლო ციტრუსების რაოდენობით მეორე ადგილზეა). ესპანეთი ევროპის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც იზრდება შაქრის ლერწამი და ფინიკის პალმა.

ესპანეთის ცენტრალური ნაწილი — კასტილია, მესეტის ზეგანზე მდებარეობს. სევდიანი და საცოდავი შესახედავია ეს რაიონი: მცხუნვარე მზისგან გადახრუკული მიწა, ქვიანი ბორცვები და შიშველი მთები ნაღვენს მოჰგვრის ადამიანს. მესეტაში მოსახლეობა ცოტაა, ყოველი სოფლის ცენტრში, ყოველ ქალაქში აღმართულია კათოლიკური ეკლესიის პატარ-პატარა კოშკები. მხოლოდ გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა წვიმები მოდის, მესეტა ამწვანდება ხოლმე. ესაა მარცვლეუ-

ლი კულტურების რაიონი, სადაც მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ჭვავი. იქ, სადაც მინდვრები დაუმუშავებელია, ცხვრის ფარები ძოვს. კასტილია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ევროპაში მატყლის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი.

პირენეის ნახევარკუნძულის თითქმის შიგ ცენტრშია ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი. მადრიდის ცენტრალური მოედანი პუერტა-დელ-სოლი თითქოს ფასადია ესპანეთის დედაქალაქისა. აქედან იწყება ერთ-ერთი მთავარი ქუჩა ალკალისა, სადაც განლაგებულია თითქმის ყველა ბანკი და სავაჭრო დაწესებულება. ერთი მუჭა ძლიერი ბანკირები, რომლებიც ახლანდელი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია, ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტს თვითონ იჯიბავენ.

სიმდიდრე და სიღარიბე ესპანეთის ქალაქების დამახასიათებელია: დიდებული საკუთარი სახლები და ქოხმახები, მაღაზიების ბრწყინვალე, მდიდრული ვიტრინები და მეძველმანის დუქნები, პირველი კლასის რესტორნები, სადაც მხოლოდ ერთი სადილი მუშის მთელი კვირის გასამრჯელოზე მეტი ჯდება და მძაღე ზეთის სუნით გაჟღენთილი უბრალო მშრომელების დუქნები; ასეთ კონტრასტებს შეხვდებით ყოველ ნაბიჯზე მადრიდსა და ესპანეთის ყველა ქალაქში.

მადრიდში არის მსოფლიოში განთქმული ბევრი ღირსშესანიშნაობა. ასეთია პრადო — ეროვნული მუზეუმი. აქაა თავმოყრილი ფერწერის უნიკალური ნიმუშები. მსოფლიოს არც ერთ მუზეუმში არ არის ველასკესის, გოიასა და ესპანეთის გამოჩენილი სხვა მხატვრების იმდენი ტილო, რამდენიც აქაა დაცული (ამ მხატვრებზე შეგიძლიათ წაიკითხოთ სტატიები, რომლებიც მოთავსებულია სე-ს მე-12 ტომში).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურისტები მოისწრაფიან მადრიდისაკენ, მისი მუზეუმებისაკენ, ასევე ქვეყნის სამხრეთი პროვინციებისაკენ. საერთაშორისო ტურიზმისაგან სახელმწიფოს ყოველწლიურად ორ მილიარდზე მეტი დოლარი შემოსდის.

ნახევარკუნძულის სამხრეთი, რომელსაც ოკეანეც და ხმელთაშუა ზღვაც ერტყმის, ესპანეთის ბარაქიანი მხარეა. მზის, სიმღერისა და წარსულის ძეგლების ქვეყანას უძახიან ანდალუზიას. მრავალ კილომეტრზეა გადაჭიმული ვენახები, ზეთისხილის ჭალები და ფორთოხლის ხეები. ზაფხულში ნალექი იშვიათია და ხელოვნურად რწყავენ მინდვრებს, უზარმაზარი პლანტაციები და საერთოდ რწყვის სისტემა მემამულეების ხელშია.

ანდალუზია ესპანეთის ერთ-ერთი ბეღელია. იგი განთქმულია აგრეთვე, მაღალხარისხოვანი ღვინოებით. მევენახეობის მსხვილი ცენტრია მალაგა. ესაა სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი-ნავსადგური ქიმიური საწარმოებითა და საფეიქრო ფაბრიკებითურთ. ანდალუზიის ყველაზე დიდი ქალაქია სევილია. დიდებული სახლები აშენებული ღარიბების ქოხმახების გვერდით, ძველებური სასახლეების ახლოს დგას უღიმღამო ფაბრიკებისა და ქარხნების პირქუში კორპუსები. სევილიაშია ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი არენა ხარების ბრძოლისა. კორიდა იხსნება მონაწილეთა პარადით. მარშის ხმაზე მაყურებლის წინ გაივლიან ესპანეთის განთქმული ტორეროები. ფანფარების ხმაზე არენაზე გამოვარდება გააფთრებული ხარი. საბრძოლო ხარის (ტორო) წონაა დაახლოებით ნახევარი ტონა, ეს ჯიში მოშენებული ჰყავთ მხოლოდ ანდალუზიაში. ხარებთან ბრძოლის ხელოვნებით ესპანეთი განთქმულია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან. ეს ბრძოლები უკვდავყო თავის ნახატებში გოიამ.

ანდალუზიაში კარგადაა დაცული არაბთა ხუროთმოძღვრების ძეგლები. ქალაქები: კორდოვა, სევილია, გრანადა არაბთა ბატონობის ბოლო საყრდენი იყო. კორდოვაში VIII საუკუნის შესანიშნავი მეჩეთი არაბთა არქიტექტურის შედევრად ითვლება. მეჩეთში ასობით სვეტია მოზაიკითა და ორნამენტით შემკული.

უნდა გადასერო მთელი ესპანეთი, რომ ანდალუზიიდან მოხვდე ბასკების მთიან ქვეყანაში. ბასკების ქვეყანა გადაშლილია უკიდურეს ჩრდილოეთით ბისკაის ყურესთან. ეს მხარე გეოგრაფიულად განცალკევებულია ესპანეთის სხვა რაიონებისაგან. ძირითადი მოსახლეობა ბასკები პირენეის ნახევარკუნძულის უძველეს მკვიდრთა შთამომავალია. ბასკების წარმოშობა დღემდე უცნობია. მათი ენა მკვეთრად განსხვავდება ესპანურისაგან.

ასტურია და ბასკთა ქვეყანა მჭიდროდ დასახლებული რაიონებია. აქ განვითარებულია მეტალურგიული და სამთო მრეწველობა. მათი მთავარი ქალაქები ბილბაო და ოვიედო მუშათა მოძრა-

ობის მსხვილი ცენტრებია. ბასკ მუშებსა და ასტურიის მაღაროელებს ესპანეთის მუშათა კლასის გვარდიას ეძახიან.

ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს გალისია — „საზღვაო“ რაიონი, რომელსაც ესპანეთში პირველი ადგილი უჭირავს მეთევზეობის მხრივ, სოფლის მეურნეობა ამ რაიონში ჩამორჩენილია, მრეწველობა (სამთომოპოვებითის გამოკლებით) სუსტადაა განვითარებული. ბევრი გალისიელი სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ მიემგზავრება.

კატალონია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის რაიონია. მის აყვავებას ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ხელი შეუწყო ხელსაყრელმა ზღვისპირა მდებარეობამ. აქაა წყალუხვი მდინარეები და კალიუმის მარილების დიდი მარაგი. ამ რაიონებში ყველაზე უხვი მოსავალი მოდის მარცვლეულის, ხილის, ზეთისხილის, ყურძნისა და ბოსტნეულის, რადგან მედარებით უფრო ფართოდ იყენებენ მექანიზაციასა და სასუქს. მთავარი ქალაქია ბარსელონა. აქ ბევრია საფეიქრო, გემო-კვებისა და ქიმიური საწარმოები და მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნები. ბარსელონა მუშათა მოძრაობის მსხვილი ცენტრია. ბევრჯერ წამოიწყეს ბარსელონის მუშებმა ბრძოლა თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად.

როგორც ვხედავთ, ესპანეთში მრავალი ისტორიული პროვინცია არის. 15 მათგანი პრეტენზიას აცხადებს ავტონომიაზე. 1979 წელს ჩატარდა რეფერენდუმები ბასკეთსა და კატალონიაში. მათ მიიღეს ავტონომია და შექმნეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. ამჟამად ესპანეთის პარლამენტში წარმოდგენილია რამდენიმე პარტია: სოციალ-დემოკრატიული ცენტრი (მმართველი), ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია, კომუნისტური პარტია და დემოკრატიული კოალიცია.

ესპანეთის ხალხს უჭირს ცხოვრება. მუშის შრომის ანაზღაურება და გლეხის შემოსავალი ხშირად საარსებო მინიმუმზე მცირეა. ყველა ღარიბის შვილს როდი აქვს სკოლაში სწავლის შესაძლებლობა. მოსახლეობის თითქმის მეათედი წერა-კითხვის უცოდინარია. ბევრი ესპანელი ტოვებს თავის ქვეყანას და მიდის სხვაგან სამუშაოს საძებნელად. 1973 წ. ბფრ-ში, ბელგიაში და დასავლეთ ევროპის სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობდა დაახლოებით 900 ათასი ესპანელი. სულ ემიგრაციაში ცხოვრობს არანაკლებ 4 მლნ. ესპანელისა.

ვატიკანი

ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი.
ფართობი — 0,44 კმ².
მოსახლეობა — 1 ათას კაცზე ნაკლები.
ოფიციალური ენები — ლათინური და იტალიური.

ვატიკანი არის მსოფლიოში ყველაზე პატარა სახელმწიფო, სახელმწიფო-ქალაქი, ქალაქის ნაწილი, რადგან ვატიკანი მდებარეობს იტალიის დედაქალაქის რომის დასავლეთ ნაწილში. სახელმწიფომ სახელწოდება მიიღო ტიბრის ნაპირზე მდებარე ვატიკანის ბორცვიდან. ამ ბორცვზე ადრეულ შუა საუკუნეებში აშენდა სასახლე, რომელიც XIV ს. მიწურულიდან გახდა კათოლიკური ეკლესიის მეთაურის — პაპის მუდმივი რეზიდენცია. VIII ს-დან XIX ს. გასულამდე საეკლესიო, ანუ საპაპო ადგილს ეჭირა ვრცელი მიწა-წყალი აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში.

იტალიის გაერთიანების დროს, 1870 წ., ეს ნაწილი შევიდა იტალიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. რომის პაპი, რომელსაც დაუტოვეს ვატიკანისა და ლატერანის სასახლეები, ჩამოაშორეს საერო ხელისუფლებას.

ვატიკანის სახელმწიფო შეიქმნა 1929 წ. ე. წ. ლატერანის შეთანხმების შედეგად, რომელიც დაიდო პაპსა და იტალიას შორის.

ვატიკანი აბსოლუტური თეოკრატიული მონარქიაა. თეოკრატია ეს არის მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სასულიერო წოდების ხელშია ერთდროულად სასულიერო და საერო ხელისუფლება.

სახელმწიფოს მეთაურია რომის პაპი, რომელსაც სიკვდილამდე ირჩევს კარდინალების კოლეგია. მას ეკუთვნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ვატიკანის ადმინისტრაციულ მმართველობას ახორ-



ციელებს პაპის სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის ხუთი კარდინალი და ამ კომისიის ხელქვეითი გუბერნატორი. კომისიის წევრებსა და გუბერნატორს ნიშნავს რომის პაპი.

ყოველ სახელმწიფოს, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის თანახმად, უნდა ჰქონდეს თავისი დაწვრილებითი რუკა. არის ასეთი რუკა ვატიკანშიც. მასზე 78 დასახელებაა. მაგალითად, „შვეულმფრენის ბასტიონი“ ერთი პატარა ბეტონის ფილაა, რომელზეც ვერტმფრენები ეშვებიან, „სპორტის ავენიუ“ ესაა ბილიკი, რომელიც მიემართება ერთადერთი სპორტული მოედნის — ჩოგბურთის კორტისაკენ. ვატიკანის ტერიტორიის ერთი მესამედი არქიტექტურულ ნაგებობებს უჭირავს. აქაა მსოფლიოში ყველაზე დიდი წმ. პეტრეს ტაძარი, პაპის სასახლე, მუზეუმები და სხვა. თავისი გრანდიოზულობითა და დიდებული იერით გამოირჩევა წმ. პეტრეს ტაძარი (იხ. სე, ტ. 12, სტ. „იტალიის აღორძინების ხელოვნება“).

ვატიკანი კათოლიკური ეკლესიების ადმინისტრაციული და იდეოლოგიური ცენტრია. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თავისი გავლენა სხვადასხვა ქვეყნების კათოლიკე მორწმუნეებში, ვატიკანი იყენებს უდიდეს საეკლესიო აპარატს (400 ათასზე მეტ მღვდელს და ბერ-მონაზონთა თუ ნახევრად ბერმონაზონთა ორდენების 1 მლნ. წევრს), კათოლიკურ პარტიებს და პროფკავშირებს, ფართოდაა გამოყენებული ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, ტელეხედვა. ვატიკანს აქვს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი რადიოსადგური, რომელიც გადაცემებს აწყობს ბევრ ენაზე.

ვატიკანსა და კათოლიკურ ეკლესიას უამრავი კაპიტალი აქვს დაბანდებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მრეწველობაში და უამრავი საკუთარი მიწა აქვს. ასე, მაგალითად, მარტო იტალიაში მას ეკუთვნის დაახლოებით 500 ათასი ჰა, გფრ-ში — 250 ათ. ჰა. ვატიკანს აქვს მტკიცე ფინანსური კავშირი აშშ-ის ბანკებთან და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნიზმის მტრობამ ვატიკანი აქცია აშშ-ისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე უფრო აგრესიული იმპერიალისტური წრეების მოკავშირედ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მსოფლიოში პროგრესულ-ტენდენციათა განვითარება ხელს უწყობს ვატიკანის და მთელი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის გავლენის დაცემას. ამასთან დაკავშირებით ვატიკანი იძულებული იყო შეეცვალა თავისი პოლიტიკა. მან გააუმჯობესა ურთიერთდამოკიდებულება სოციალისტურ ქვეყნებთან და ისეთ ქვეყნებთან, რომლებმაც მოიცილეს კოლონიალიზმის უღელი. ვატიკანი ახლა გამოდის მშვიდობის დასაცავად, ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის და უერთდება ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას, როგორიცაა, მაგალითად, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვატიკანმა უარყო ყველა თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულება. იგი კომუნიზმის მოწინააღმდეგე და კაპიტალიზმის ერთგული დამცველია.

ირლანდია

ირლანდია.
ფართობი — 70,3 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — დუბლინი (679,7 ათ. მცხ.).
ოფიციალური ენები — ირლანდიური და ინგლისური.

ირლანდიის სახელმწიფოს უკავია კუნძულ ირლანდიის დიდი ნაწილი. ეს კუნძული მდებარეობს ევროპის ჩრდილო-დასავლეთით. კუნძულს დასავ-



ლეთით უვლის ჩრდილო-ატლანტიკური თბილი დინება, ამიტომაც ირლანდიის ჰავა რბილია: ოკეანიდან მთელი წლის განმავლობაში თბილი, ნოტიო ქარები უბერავს. ამინდი ირლანდიაში ჩვეულებრივ ღრუბლიანია, ხშირად წვიმს, ცოტაა მზიანი დღეები.

ირლანდიის ზედაპირი უმთავრესად ვაკეა. ბევრი ტბა და ტორფიანი ჭაობია. კუნძულის სამხრეთით და ჩრდილოეთით თითქმის ზედ ნაპირთან აღმართულია დაბალი მთები.

ადრე ირლანდია ტყით იყო დაფარული. ტყე უწყალოდ გაჩეხეს. ინგლისს გაჰქონდა ირლანდიიდან საშენი ხე-ტყე და ხის ნახშირი. ამას გარდა, ინგლისელები ტყის გაჩეხვით თავსაც იცავდნენ: ტყეს შეფარებული ირლანდიელები თავს ესხმოდნენ ინგლისელთა ციხესიმაგრეებს. იმ ადგილებში, სადაც წინათ ტყე იყო, ტორფიანი ჭაობები გაჩნდა. ამ ჭაობებს თითქმის მთელი ტერიტორიის 15% უკავია.

ზამთარ-ზაფხულ ირლანდიის დიდი ნაწილი დაფარულია მწვანე მდელოთი, ამიტომაცაა რომ მას ხშირად „მწვანე ქვეყანას“, „ზურმუხტის კუნძულს“ ეძახიან. ირლანდიაში ბევრია წყალუხვი მდინარეც.

XII საუკუნეში ინგლისმა დაიწყო ირლანდიის დაპყრობა, რვაასი წელი ებრძოდნენ ირლანდიელები ინგლისელ დამპყრობლებს და რაც უფრო ჯიუტად ცდილობდნენ ინგლისელები ირლანდიელების დამონებას, მით უფრო დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ინგლისელები ართმევდნენ ირლანდიელებს მიწებს, მუსრს ავლებდნენ ჰოსახლეობას. ისინი კრძალავდნენ ირლანდიურ ენასა და ვინც გაბედავდა ირლანდიური ენის სწავლებას, მას სიკვდილი ელოდა. მიუხედავად ამისა, ირლანდიელმა ხალხმა შეძლო შეენარჩუნებინა თავისი კულტურა და მშობლიური ენა. ინგლისელებმა თავის კოლონიად აქციეს ირლანდია და ამან ხელი შეუშალა ირლანდიის მრეწველობის განვითარებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ირლანდიის ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებები მოხდა, ეს იყო ეგრეთ წოდებული აგრარული გადატრიალება — ირლანდია მიწათმოქმედებიდან მესაქონლეობაზე გადავიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მსოფლიო ბაზარზე დაეცა პურის ფასი და ირლანდიურმა ხორბალმა-კონკურენცია ვერ გაუწია არგენტინისას, კანადისა და რუსეთისას, რომელთაც იაფი უჯდებოდათ ხორბლის მოყვანა. ირლანდიის მიწები ინგლისელ ლენდლორდებს ეკუთვნოდათ, მათ სახნავი მიწები საძოვრებად აქციეს და ამ მიწებიდან გააძევეს ირლანდიელი მოიჯარეები. მესაქონლეობას აღარ ესაჭიროებოდა იმდენი მუშახელი, რამდენიც მიწათმოქმედებას. ირლანდიის მოსახლეობას შიმშილი ემუქრებოდა. ათასობით ირლანდიელმა დატოვა სამშობლო და უცხო ქვეყნებში, უფრო კი ამერიკაში გადასახლდა. სიღატაკე და ინგლისელების მხრივ ეროვნული და პოლიტიკური ჩაგვრა აიძულებდათ სამშობლოს დატოვებას.

გასული საუკუნის შუა წლებში, როცა ის იყო დაიწყო მასიური ემიგრაცია, მოსახლეობის რიცხვი 6,5 მილიონი იყო.

ბოლო ას წელიწადში მოსახლეობამ ერთიორად იკლო. ახლა აქ დაახლოებით 3 მილიონი კაცია. ემიგრაცია გრძელდება, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა მიემგზავრება. ძირითადი ნაკადი ემიგრანტებისა გასული საუკუნის ბოლოს წავიდა სამშობლოდან, ახლა ირლანდიის გარეთ (აშშ-სა და კანადაში) ცხოვრობს გაცილებით მეტი ირლანდიელი, ვიდრე თვით ირლანდიაში.

1921 წ. ირლანდიელმა ხალხმა დიდი გამარჯვე-



ირლანდიის დედაქალაქი დუბლინი — უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი და ქვეყნის მთავარი ნავსადგური. ქალაქი გაშენებულია მდინარე ლიფის ორივე ნაპირ...



ტბები დასავლეთ ირლანდიაში.

ბა მოიპოვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მათ მიაღწიეს დომინიონის უფლებას. 1937 წლიდან ირლანდიას ეწოდა ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურად მაინც ინგლისის მეფე ითვლებოდა. 1949 წ. ირლანდია გახდა რესპუბლიკა, მას პრეზიდენტი განაგებს. პრეზიდენტს ირჩევენ შვიდი წლით. პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება: წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. ირლანდიაში რამდენიმე პარტიაა. ფიანა ფაილი („ბედის ჯარისკაცები", მმართველი), ფინეგელი („ირლანდიის გაერთიანებული პარტია"), ლეიბორისტული პარტია, სოციალისტური ლეიბორისტული პარტია, შინფეინი (მუშათა პარტია), კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1933 წ.).

კათოლიკური ეკლესია დიდ როლს თამაშობს ირლანდიაში, განსაკუთრებით კი სოფლად. მორწმუნე ირლანდიელებს შორის 90% კათოლიკეა. ამის ისტორიული ფესვები წარსულში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ მჩაგვრელი ერი — ინგლისელები პროტესტანტები იყვნენ, ხოლო კათოლიკური რელიგიისადმი ერთგულება ნიშნავდა ერთგვარ პასიურ წინააღმდეგობას ინგლისელ მჩაგვრელთადმი.

1921 წელს ჩრდილოეთი ირლანდია, ანუ ოლსტერი, სადაც უფრო განვითარებულია მრეწველობა, დიდ ბრიტანეთს დარჩა. დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ დაჩაგროს ჩრდილოეთი ირლანდიის კათოლიკები. ხალხი აქტიურად იბრძვის დემოკრატიული უფლებებისათვის.

ირლანდიის ეკონომიკა ძველებურად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინგლისურ კაპიტალზე, რომელსაც ეკუთვნის ბევრი სამრეწველო საწარმო.

ექსპორტის ნახევარზე მეტი იგზავნება დიდ ბრიტანეთში.

სოფლის მეურნეობა ძველებურად ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვან დარგად დარჩა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული.

ირლანდიაში აშენებენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. მისდევენ მეთევზეობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს რძის მრეწველობას, მეღორეობას, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში — მეცხვარეობას. ირლანდიის მინდვრებზე მოჰყავთ ხორბალი, შვრია, კარტოფილი, მაგრამ სოფლის მეურნეობის ფართობის ნახევარზე მეტი მაინც საძოვრებსა და მდელოებს უჭირავს.

სოფლის მოსახლეობა ცხოვრობს უმთავრესად ცალკეულ ფერმებში.

ფერმერის სახლებს სახნავი მიწები და საძოვრები აკრავს გარს. მთელი მისი მეურნეობა ჩვეულებრივ ყორეებითაა შემორაგული. შეძლებული

ფერმერი ცხოვრობს კეთილმოწყობილ, მეტწილად ორსართულიან კოტეჯში. ღარიბი ფერმერის სახლი გრძელი და ვიწროოთახებიანი შენობაა, სახურავი თივის ან ლერწმისა აქვს.

სამხრეთისა და ჩრდილო-დასავლეთის პატარა და საშუალო ფერმებში ზრდიან ხბორებს, მოზარდეულს რეგულარულად ყიდიან ბაზრობებზე, საიდანაც აღმოსავლეთის ფერმებში მიჰყავთ.

ერთსა და იმავე მოზარდეულს ყიდიან რამდენჯერმე და ასე საბოლოოდ ხელში უვარდებათ აღმოსავლეთის ცენტრალური ნაწილის ნოყიერი საძოვრების მფლობელ მსხვილ მიწათმოქმედთ, რომლებიც თავის მხრივ საქონელს ინგლისში ჰყიდიან.

ირლანდიის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქალაქებში ცხოვრობს, მაგრამ დიდი ქალაქები ირლანდიაში ცოტაა. უფრო დამახასიათებელია პატარა ქალაქები, რომლებშიც დაახლოებით 5 ათასი მცხოვრებია.

დამოუკიდებლობას მიაღწია თუ არა, ირლანდიამ დაიწყო საკუთარი მრეწველობის განვითარება. აგრარული, ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად.

ირლანდიის მრეწველობის თითქმის ნახევარი დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებაზე. ირლანდიაში ამზადებენ ხორცისა და რძის კონსერვებს, კარაქს. დიდი მნიშვნელობა აქვს ლუდსახდელებსა და შაქრის მრეწველობას. კვების მრეწველობის შემდეგ მეორე ადგილზეა საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობა. ამ ბოლო წლებში ძალიან სწრაფად გაიზარდა ლითონდამმუშავებელი და მანქანათმშენებელი მრეწველობა.

დიდი ცვლილება მოხდა ენერგეტიკაშიც. უკვე აშენდა რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური, ამათგან ყველაზე დიდია მდინარე შანონზე ქალაქ ლიმერიკთან აშენებული ელექტროსადგური. თბოელექტროსადგურები მუშაობენ ადგილობრივი ტორფით, ქვანახშირითა და შემოტანილი ნავთობით. ბევრი ახალი საწარმო შეიქმნა პატარა ქალაქებში, განსაკუთრებით სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ირლანდიაში თითქმის არ არის მსხვილი სამრეწველო საწარმოები. მნიშვნელოვანი საწარმოებია ყველაზე დიდ ქალაქ-პარკებში: დუბლინში, კორკში, ლიმერიკსა და უოტერფორდში.

ირლანდიის რესპუბლიკის დედაქალაქი დუბლინი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი და მთავარი საზღვაო ნავსადგურია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ქვეყნის თითქმის ყველა საგარეო სავაჭრო კავშირი. დუბლინში მრეწველობის მთავარი დარგია კვების მრეწველობა (ლუდსახდელი, საფქველი, საკონსერვო, საკონდიტრო და სხვა საწარმოები) და მსუბუქი მრეწველობა.

დუბლინი ირლანდიის კულტურული ცენტრია. აქაა ორი უნივერსიტეტი, ნაციონალური ბიბლიოთეკა, მეცნიერებათა აკადემია, სპეციალური სასწავლო დაწესებულებები. ესაა ირლანდიის ერთადერთი ქალაქი, რომლის მოსახლეობა განუწყვეტლივ იზრდება.

ირლანდიამ მსოფლიო ლიტერატურას მისცა დიდი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, ცნობილი ადამიანები: ჯ. სვიფტი, ო. უაილდი, ბ. შოუ. ყველა ისინი წერდნენ ინგლისურ ენაზე. ახლა ირლანდიაში მეორედ იბადება ირლანდიური ენა, რომელსაც ყველა სკოლაში ასწავლიან. ირლანდიური ენის ცოდნა აუცილებელია სახელმწიფო მუშაკებისათვის, ხოლო მთავრობის დოკუმენტები დგება ერთდროულად როგორც ინგლისურ, ისე ირლანდიურ ენაზეც.

მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ირლანდიის კომუნისტურ პარტიას, რომელიც შეიქმნა 1933 წ. იგი მოქმედებს მთელი ირლანდიის (ოლსტერის ჩათვლით) ტერიტორიაზე. იგი იცავს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ინტერესებს.

ისლანდია

ისლანდიის რესპუბლიკა.
ფართობი — 103 ათასი კმ².
მოსახლეობა — 224 ათასი კაცი.
დედაქალაქი — რეიკიავიკი (83 ათასი მცხოვრებით).
სახელმწიფო ენა — ისლანდიური.

ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, ზედ პოლარულ წრესთან მდებარეობს ისლანდიის დიდი კუნძული. იგი წარმოიქმნა ვულკანის მოქმე-

დებისაგან, რაც დაიწყო 60 მილიონი წლის წინ და გრძელდება დღემდე. ვულკანის მრავალგზის ამოფრქვევის შედეგად დაგროვდა ბაზალტის უდიდესი ფენა და წარმოიშვა დიდი პლატოები და მთები. ყველაზე მაღალი მწვერვალია ხვანადალსხნუკური (2119 მ.).

ისლანდიაში 200-მდე ვულკანია. ამათგან 30 ამ ათასი წლის განმავლობაში დროდადრო მოქმედებდა. ფართოდაა ცნობილი ვულკანი ჰეკლა, რომელიც მდებარეობს რეიკიავიკიდან აღმოსავლეთით 110 კმ-ზე. ამ ვულკანის ამოფრქვევა 1947—1948 წწ. 13 თვეს გრძელდებოდა. გავარვარებული ლავის ნაკადებმა დაფარეს 250 კვ. კმ ფართობი, საბედნიეროდ ეს ადგილი დასახლებული არ იყო. 1970 წელს ჰეკლას ამოფრქვევა განმეორდა, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით. ვულკანური ამოფრქვევები ხდება ისლანდიის ნაპირებზეც, ატლანტის ოკეანის ფსკერზე. 1963—1965 წწ. წყალქვეშა გიგანტური ამოფრქვევის შედეგად გაჩნდა კუნძული სურტსეი. ლავის მკვრივი ჯავშანი იცავდა მას ოკეანის წყლის გადარეცხვისაგან. 1973 წ. დასაწყისში კუნძულ ხეიმაეიზე მოხდა ვულკანის ამოფრქვევა. თევზრეწვის მსხვილი ცენტრის ქალაქ ვესტმანაეიარის მეოთხედი დაიმარხა გავარვარებული ლავის ქვეშ. ქალაქს დაეყარა დაახლოებით 1,2 მლნ. ტ. ვულკანის ფერფლი. ვულკანის ამოფრქვევამდე მოსახლეობა დროულად გაასახლეს სხვა რაიონში. დიდი თანხა დაიხარჯა დანგრეული შენობების აღსადგენად, ქუჩების გასაწმენდად და კომუნიკაციის საშუალებათა შესაკეთებლად.

ისლანდიის ტერიტორიის თითქმის მეათედი ნაწილი უჭირავს ახალ ლავისეულ მინდვრებს — უნაყოფო ქვაღორღიან უდაბნოებს ქაოსურად აჩხორილი გაყინული ლავითა და მრავალრიცხოვანი ვულკანური კრატერებით. ისლანდიაში ბევრია ცხელი წყლები — გეიზერები.

ისლანდიის ჰავა ზღვის წყალობით რბილია. დიდ გავლენას ახდენს ჩრდილო-ატლანტიკური დინების განშტოების ირმინგერის თბილი დინება, რომელიც სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს უვლის. დიდი ყინვები იშვიათად იცის ისლანდიაში და ორ-სამ დღეს თუ გასტანს. ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებზე ზამთარი უფრო მკაცრია, ვიდრე რეიკიავიკში. აქ გავლენას ახდენს აღმოსავლეთ-გრენლანდიის ცივი დინება,



რომელსაც თან მოჰყვება არქტიკის მცურავი ყინულები და აისბერგები.

კუნძულის შიგა რაიონებში ჰავა უფრო მკაცრია. თოვლი აქ ნახევარ წელიწადს დევს. მთის მწვერვალებს ყინულის გვირგვინი ადგას, რომლებსაც ისლანდიის ფართობის $^1/_{10}$ უჭირავს. ტყუილად როდი ჰქვია „ისლანდია“, რაც ქართულად „ყინულის ქვეყანას“ ნიშნავს.

ისლანდიის დიდი მდინარეები, ბაზალტის შვერილებზე დაქანებულნი, ულამაზეს ჩანჩქერებს ქმნიან. ყინულისა და თოვლის საოცრად სწრაფ დნობას მოჰყვება წყალდიდობა და მაშინ მდინარეებზე გადასვლა ძალიან სახიფათოა. მხოლოდ ამ ბოლო წლებში მთავარ ავტომაგისტრალებზე ააშენეს გამძლე ხიდები.

მცენარეებით ისლანდია ღარიბია. მრავლადაა ტორფის ჭაობები. კლდის ზედაპირები დაფარულია ხავსითა და ქარაგოზით. მხოლოდ ცალკეულ ადგილებშია შემონახული ტანდაბალი არყის, ტირიფისა და ცირცელის პატარ-პატარა ჭალები. ამ ბოლო ათ წელიწადში დიდი ყურადღება ექცევა ტყის განაშენიანებას. უმთავრესად ჭარსაცავად აშენებენ ტყეებს. ნერგები და თესლი შემოაქვთ სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდანაც.

კუნძულზე ბევრია ჩრდილოეთის ირემი, ყარსაღი და ლემინგები. დასავლეთის სანაპიროზე სელაპების თავშესაყარია. სანაპიროს კლდოვანი ადგილები ხმაურიანი ჩიტების ბაზრებითაა სავსე.

მეურნეობის ძირითადი დარგია საოკეანო მეთევზეობა, რომელიც არ წყდება მთელი წლის განმავლობაში. ისლანდიის ნაპირების თავთხელი განთქმულია პლანქტონის სიუხვით. პლანქტონი ძირითადი საკვებია სხვადასხვა სახის თევზების —



წყალქვეშა ვულკანი სიურტსეი კუნძულ ისლანდიის ახლოს.

ვირთევზების, საიდების, ქაშაყისა და მისთანათა. ერთ სულ მოსახლეზე თევზის ჭერის მხრივ ისლანდია მსოფლიოში პირველ ადგილზეა. თევზსაჭერი ფლოტი მსხვილ თევზმრეწველთა ხელშია.

ისლანდიის ნაპირების მეჩიჩზე თევზს იჭერდნენ სხვა ქვეყნის გემებიც. ამ რაიონში თევზის რესურსების მკვეთრი შემცირებით შეშფოთებულმა ისლანდიის ხელისუფლებამ 1972 წ. გააფართოვა თევზსაჭერი ზონა თავისი ქვეყნის ირგვლივ 50 საზღვაო მილამდე (92,5 კმ). ამ ტერიტორიაზე უცხოელ გემებს ეკრძალებოდათ თევზაობა. მიუხედავად ამისა, ინგლისის გემები არღვევდნენ ამ კანონს. ინგლის-ისლანდიის კონფლიქტმა, რომელიც ხშირად ზღვაზე შეტაკებებით მთავრდებოდა და დიპლომატიურ ურთიერთობას არღვევდა, „ვირთევზის ომის“ სახელწოდება მიიღო.

ისლანდიის მეურნეობის ბევრი დარგი დაკავშირებულია თევზის გადამუშავებასთან: ამზადებენ ახლადშეყინულ სუკს, თევზის ფქვილს, კონსერვებს, ასევე ამარილებენ და გამოჰყავთ თევზი. თევზი და მისი გადამუშავების პროდუქტები ექსპორტის 75,4%-ს (1978 წ.) შეადგენს. შემოაქვთ აუცილებელი სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

მიწათმოქმედება სუსტადაა განვითარებული. ამუშავებენ მთელი სახელმწიფოს მხოლოდ 0,1% მიწას. თესავენ უმეტესად საკვებ ბალახსა და ძირნაყოფას. სოფლის მეურნეობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეცხვარეობასა და სარძევე მესაქონლეობას. მსხვილი სარძევე ფერმები გაშენებულია მჭიდროდ დასახლებულ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. კუნძულზე 896 ათასი ცხვარი, 63 ათასი ძროხა და 50 ათასი ცხენია.

ისლანდიის მდინარეებზე აშენებულია ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ენერგიით ამარაგებენ დასახლებულ პუნქტებსა და სამრეწველო საწარმოებს. ბინების გასათბობად და მრეწველობაში ფართოდ იყენებენ მიწისქვეშა ცხელ წყაროებს. ცდილობენ აითვისონ აგრეთვე ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი მდინარეები, რომლებსაც მყინვარები კვებავს, მათ რიცხვშია ისლანდიის დიდი მდინარე ტიოურსაუ, რომელზეც აშენებულია ბურფელდის ჰიდროელექტროსადგური. იგი ამარაგებს ენერგიით სტრიოუმსვიკის დასახლების ალუმინის კომბინატს, რომელიც რეიკიავიკის სამხრეთითაა და მუშაობს იმპორტულ ბოქსიტებზე.

ისლანდიის ქალაქებში მთელი მოსახლეობის $^3/_4$ ცხოვრობს. რეიკიავიკი გაშენებულია ფახსაფლოუის ყურეს სიღრმეში, მყუდრო უბის ნაპირას. წითელ, მწვანე და ლურჯსახურავიანი პატარა-პატარა ორ-სამსართულიანი სახლები თავისებურ ლაზათს აძლევენ ქალაქს. ქალაქში სულ რამდენიმე დიდი შენობაა, მათ შორის ნაციონალური

საგები და სამშობლოს სიყვარული

ისლანდიელებმა კარგად იციან თავისი ისტორია და სათუთად ეპყრობიან მას. გააჩერეთ ქუჩაში, რომელიც გინდათ, ეოყონა ან ბიჭუნა, თუნდაც სულ პატარა ბავშვი და ზუსტად გეტყვით თავისი ოჯახის რომელი წევრი ჩამოვიდა პირველად ნორვეგიიდან ისლანდიაში, რომელ საუკუნეში, რა ერქვათ მათ და როდის დამთავრდა ისლანდიაში წარმართობა. ყოველ ისლანდიელს ზეპირად ახსოვს ძველი ისლანდიური თქმულება — საგები, და ყოველ მათგანს შეუძლია ავიხსნას იგი, რადგან ათასი წლის მანძილზე ისლანდიური ენა თითქმის არ შეცვლილა. ისლანდიელებს ახსოვთ ის შორეული დრო, როცა მათი პაპები ტორფისაგან აშენებულ მიწურებში ცხოვრობდნენ, ახსოვთ ის დროც, როცა მათ „მოაშინაურეს“ მიწის შინაგანი სითბო სახლების გასათბობად და სათბურებისათვის, ის ღღეც ახსოვთ, როცა კებლავიკში სამხედრო ბაზის თავზე უცხოელების დროშა აღიმართა. მათ სჯერათ, რომ დაღვება დრო, როცა ეს დროშა ძირს დაეშვება. სშირად იმართება დემონსტრაციები ისლანდიაში უცხოელთა არმიის წინააღმდეგ.

თეატრი, უნივერსიტეტი, სასტუმროები. რეიკიავიკსა და მის შემოგარენში, ისევე, როგორც ბევრ თევზგადამმუშავებელ საწარმოში, არის გეოთბაშენი ქარხანა, ცემენტის ქარხანა, აზოტსასუქის კომბინატი, ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკები.

ისლანდიაში აუცილებელია 7-დან 15 წლის ბავშვებმა მიიღონ განათლება. ექვსი კლასის დამთავრების შემდეგ შეიძლება საშუალო სკოლაში შესვლა. სწავლობენ აქ 2—3 წელიწადს. სოფლებში გახსნილია სკოლა-ინტერნატები. სწავლება საშუალო სკოლაში, ტექნიკუმებსა და უნივერსიტეტში ფასიანია.

ისლანდიელები ამაყობენ თავიანთი უძველესი კულტურით. მთელ მსოფლიოშია ცნობილი ისლანდიური საგები, რომლებშიც ხატოვანი და ნათელი ენითაა გადმოცემული ხალხის ცხოვრებისეული ამბები. ისლანდიური ენა ძალიან ახლოსაა ძველსკანდინავიურ ენასთან, ამიტომაცაა, რომ ისლანდიელები IX—X საუკუნეების ხელნაწერებს თავისუფლად კითხულობენ. თანამედროვე ისლანდიაში ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი ნიჭიერი წარმომადგენელია. ცნობილი მწერლის ლაქსნესის რომანები, რომლებშიც გამოხატულია ისლანდიელი ხალხის ისტორია და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დიდი პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა მკითხველებში.

ისლანდია აღმოაჩინეს, ალბათ, ჯერ კიდევ VIII ს. ბოლოს ჯერ ირლანდიიდან, ხოლო ასი წლის შემდეგ კი სკანდინავიიდან გამოსულმა ხალხმა. ისლანდიაში X ს. შუამდე ჩრდილოევროპული ქვეყნებიდან წამოსული ხალხი სახლდებოდა. X ს.-დან XIII ს. შუამდე ქვეყანა იყო დამოუკიდებელი. შემდეგ კი შვიდი საუკუნის განმავლობაში ჯერ ნორვეგიის, მერე კი დანიის კოლონია იყო. უცხოელების მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ისლანდიამ 1918 წელს მიაღწია დამოუკიდებლობას, მაგრამ 1941 წლამდე დარჩა უნიაში (კავშირი) დანიასთან.

ისლანდია ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. იგია პარლამენტთან — ალტინგთან — ერთად კანონმდებელი. პარლამენტი — ალტინგი შედგება 60 დეპუტატისაგან. ისლანდიის ალტინგი დაარსდა ჯერ კიდევ 930 წელს, როგორც კრებული ყველა რაიონის ამორჩეული წარმომადგენლისა, და ევროპის ერთერთ უძველეს პარლამენტად ითვლება.

1949 წ. ისლანდია შევიდა ჩრდილო ატლანტიკის ბლოკში (ნატო), რასაც მოჰყვა ამ ქვეყანაზე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერება. რეიკიავიკთან ახლოს, დაბა კებლავიკში არის ნატოს ბაზა. ისლანდიელი ხალხი მოითხოვს ლიკვიდირებული იქნას ეს ბაზა და ისლანდიიდან გაიყვანონ ამერიკის სამხედრო პერსონალი.

ისლანდიაში რამდენიმე პარტიაა. დამოუკიდებლობის (კონსერვატული), პროგრესული (ფერმერთა) პარტიები, სახალხო კავშირი (იცავს მშრომელთა ინტერესებს) და სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1980 წლის არჩევნების შედეგად მთავრობის კოალიციაში შედის პირველი სამი. საგულისხმოა, რომ მთავრობის კოალიციის ერთ-ერთი წევრი (სახალხო კავშირი) ნატოში მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდის.

იტალია

იტალიის რესპუბლიკა.
ფართობი — 301,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 56,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — რომი (2,9 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად — 3,8 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — იტალიური.

იტალია მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძულზე ალპების სამხრეთ ფერდობზე, სარდინიის, სიცილიისა და მთელ რიგ წვრილ-წვრილ კუნძულებზე.

უძველესი დიდებული ქალაქები, მისი განუმეორებელი ძეგლები და ხელოვნების საგანძური, მადლიანი ჰავა და შესანიშნავი ბუნება, აი, რითაა იტალია განთქმული მთელს მსოფლიოში. ალპები იცავენ იტალიას ჩრდილოეთის ქარებისაგან. ქვეყნის უდიდეს ნაწილზე ზამთარი თბილია, ზაფხულში კი არ იცის ძალიან შემაწუხებელი სიცხე.

აპენინის ნახევარკუნძული ძველი რომის აკვანია. შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ იტალიაზე გამავალი სავაჭრო გზები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა. ეს ხელს უწყობდა იტალიის ვაჭრობის ზრდას ისეთ ქალაქ-სახელ-



მწიფოებში, რომელთა შორის იყო საყოველთაოდ ცნობილი ვენეციისა და გენუის რესპუბლიკები. როცა საერთაშორისო სავაჭრო გზებმა ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში გადაინაცვლა, აპენინის ნახევარკუნძულის სახელმწიფოთა მნიშვნელობა ბევრად შემცირდა.

მეურნეობის განვითარებას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ისიც უშლიდა ხელს, რომ ქვეყანა დაქუცმაცებული იყო წვრილ-წვრილ სახელმწიფოებად. მხოლოდ 1870 წელს ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ნახევარკუნძულიდან განდევნეს უცხოელთა ჯარები და ძირითადად დამთავრდა იტალიის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ქვეყნის გაერთიანებას ყველაზე უფრო კათოლიკური ეკლესია ეწინააღმდეგებოდა, რომლის ხელშიც იყო ვრცელი მიწა-წყალი — იტალიის პაპის ოლქი. ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო იტალიის სახალხო გმირი ჯუზეპე გარიბალდი (იხ. სე. ტ. 8. სტ. „გარიბალდი და მისი „ათასეული“).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით აზვირთდა რევოლუციური მოძრაობა. იტალიის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1921 წელს) ამ მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო. მსხვილ კაპიტალისტებს ეშინოდათ რევოლუციის და მთელ იმედებს ამყარებდნენ რეაქციულ ფაშისტურ ორგანიზაციებზე. როდესაც ფაშისტურ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მუსოლინი (1922), ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტია აიკრძალა, ათასობით ადამიანი ციხეებში ჩაყარეს. იტალიაში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა.

ფაშისტური რეჟიმის საგარეო პოლიტიკა უკიდურესად აგრესიული იყო. 1935 წ. იტალია თავს დაესხა აფრიკის სუვერენულ სახელმწიფოს ეთიოპიას. 1936—1939 წწ. იტალიისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების დახმარებით ესპანელმა ფაშისტებმა მოსპეს ესპანეთის რესპუბლიკა. ფაშისტური იტალია, რომელიც ჰიტლერულ გერმანიასთან მჭიდრო კავშირში იყო, აქტიურად ჩაება მეორე მსოფლიო ომში. იტალიის დივიზიები გერმანიის არმიასთან ერთად შემოიჭრნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ჰიტლერული არმიის განადგურებამ საბჭოთა ფრონტზე, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზში მოკავშირე ინგლის-ამერიკელთა ჯარების ოპერაციამ და შიგ იტალიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ფაშისტური რეჟიმი დაამხო 1943 წ. ახალმა მთავრობამ ხალხის მოთხოვნით ომიდან იტალიის გამოსვლა გამოაცხადა. მაგრამ ჰიტლერულმა გერმანიამ დაიკავა ცენტრალური და ჩრდილოეთი იტალია, იტალიელმა მუშებმა და გლეხებმა ოკუპანტებს პარტიზანული ბრძოლით უპასუხეს. ეს იყო წინააღმდეგობის გმირული მოძრაობა. ამ მოძრაობის პირველ რიგებში კომუნისტები იბრძოდნენ. ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც იტალიელი პარტიზანების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. 1945 წლის აპრილში იტალია განთავისუფლდა ჰიტლერული ოკუპანტებისაგან, 1946 წელს კი იგი რესპუბლიკად გამოცხადდა.

იტალიის სახელმწიფოს მეთაურს — პრეზიდენტს — 7 წლით ირჩევენ. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, რომელიც დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან შედგება. პარლამენტში ადგილების უმრავლესობა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის. იგი

ხიდი ვენეციის დიდ არხზე.

მსხვილი ბურჟუაზიის, მემამულეების ინტერესებს იცავს. მას მხარს უჭერს აგრეთვე კათოლიკური ეკლესია. ეკლესიას იტალიაში დიდი გავლენა აქვს და ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ ჯერჯერობით ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია არჩევნებში ხმის უმრავლესობას იღებს, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური უმრავლესობა და ამიტომ ქრისტიანი დემოკრატები იძულებულნი არიან ითანამშრომლონ სხვა პარტიებთან მთავრობის შექმნის მიზნით. იტალიაში კიდევ რამდენიმე პარტიაა: სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, რესპუბლიკური, ლიბერალური პარტიები და აგრეთვე ე. წ. იტალიის სოციალური მოძრაობა — მემარჯვენე ეროვნული ძალები (ნეოფაშისტური პარტია).

1980 წლის აპრილში შექმნილი მთავრობა კოალიციურია: მასში ქრისტიან დემოკრატთა გარდა მონაწილეობენ სოციალისტები და რესპუბლიკანელები.

ომისშემდგომ პირველ წლებში იტალია ამერიკის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და გახდა ჩრდილოატლანტური აგრესიული კავშირის — (ნატოს) ერთ-ერთი დამფუძნებელი. მის ტერიტორიაზე განლაგებულია ამ ბლოკის სამხედრო ბაზები. 1947 წ. იტალიის დედაქალაქში ხელი მოაწერეს ე. წ. რომის ხელშეკრულებას, რომელმაც გააფორმა „საერთო ბაზრის“ შექმნა. იტალიის ნატოში და „საერთო ბაზარში“ მონაწილეობა ვერ წყვეტს ვერც ერთ სერიოზულ ეროვნულ პრობლემას.

საშინაო ვითარება იტალიაში რთულია: ინფლაცია შეადგენს 12%-ს (1978 წ.), 1,6 მლნ. კაცი უმუშევარია, იზრდება ფასები, იგრძნობა სამხრეთი რაიონების ჩამორჩენილობა, ფართო გასაქანი მიიღო ტერორიზმმა (მარტო 1977—1978 წწ. მოხდა 3000-ზე მეტი ტერორისტული აქტი).

იტალიაში სულ უფრო და უფრო იზრდება მასიური გამოსვლები, რათა მოისპოს მის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზები, შეზღუდონ მონოპოლიების ძალაუფლება, გატარდეს მშრომელთა ინტერესების შესატყვისი პოლიტიკა, აღიკვეთოს ნეოფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობა და მოხდეს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია. იტალიაში განსაკუთრებით ფართოდაა გაშლილი საგაფიცვო მოძრაობა. ბრძოლების სულისჩამდგმელი და წარმმართველია იტალიის მშრომელთა კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნეს გამოჩენილმა რევოლუციონერებმა ა. გრამშიმ და პ. ტოლიატიმ. ეს არის უმსხვილესი კომუნისტური პარტია კაპიტალისტურ სამყაროში. (1979 წ. იკპ-ის რიგებში 1,8 მლნ. წევრი ითვლებოდა). ბევრ მუნიციპალიტეტში (თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანო) კომუნისტები ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებენ, ხოლო პარლამენტის არჩევნებში 1979 წ.

მათ ამომრჩევლების 1/3 მისცა ხმა. ეს ლაპარაკობს პარტიის ავტორიტეტის ზრდაზე და გავლენაზე იტალიის მოსახლეობის ფართო ფენებში. იტალიის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იბრძვის ყველა დემოკრატიული ძალების გაერთიანებისათვის და მოითხოვს მთავრობაში მონაწილეობას.

იტალია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მისთვის დამახასიათებელია კონტრასტები; მაგალითად: მაღალგანვითარებული მრეწველობა ჩრდილოეთში და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა სამხრეთ რაიონებში. მარცვლეულთაგან გავრცელებულია ხორბალი და სიმინდი. ყველგან მოყავთ ყურძენი. აქ ვენახებით დაფარული ფართობების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში. იტალიას გააქვს საზღვარგარეთ ბევრი ღვინო, ასევე ფორთოხალი, ლიმონი, ბოსტნეული.

ჩრდილოეთ რაიონებში ბევრი მსხვილი სამრეწველო ქალაქია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მილანი. ესაა იტალიის ეკონომიკური დედაქალაქი. ქალაქს გარს ერტყმის სამრეწველო რაიონები. მილანის ქარხნები და ფაბრიკები ეკუთვნის რამდენიმე ტრესტს, რომლებიც კონტროლს უწევენ მრეწველობის მნიშვნელოვან ნაწილს. მილანის მთავარ მოედანზე აღმართულია უზარმაზარი, თითქოს მაქმანისებრი, მილანის ტაძარი — მთელ მსოფლიოში ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა. ტაძართან სულ ახლოს აღმართულია ცნობილი საოპერო თეატრი „ლა სკალა“. მის სცენაზე მღეროდნენ განთქმული იტალიელი მომღერლები და უცხოელნიც, მათ შორის რუსები — თ. ი. შალიაპინი, ლ. ვ. სობინოვი. ჩვენს დროში მილანის თეატრის სცენაზე ხშირად გამოდიან ქართველი მომღერლებიც. იტალიამ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში. ფართოდ არიან ცნობილი იტალიელი კომპოზიტორები: ჯ. ვერდი, ჯ. როსინი, გ. დონიცეტი, რ. ლეონკოვალო და სხვა მრავალი (იხ. სე. ტ. 12. სტ. „მუსიკა“).

მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი ცენტრია ტურინი. იგი მდებარეობს დასავლეთ ალპების ძირში. ტურინი მსხვილი სატრანსპორტო კვანძია. აქ გადის რკინიგზები, გზატკეცილები, საავიაციო ხაზები და ყველა ეს გზა იტალიას საფრანგეთთან აერთებს. ტურინშია ევროპის უდიდესი „ფიატის“ სამრეწველო კონცერნი, რომელიც უშვებს სხვადასხვა პროდუქციას, მაგრამ უმთავრესად ავტომანქანებს. ყოველწლიურად კონვეიერიდან გამოდის მილიონზე მეტი ავტომობილი. ამ კონცერნს ეკუთვნის ტურინში საცხოვრებელი სახლებიც, კინოთეატრებიც და სტადიონებიც კონცერნის ქარხნები, რომლებიც ქალაქში და მის შემოგარენშია, უშვებენ ტრაქტორებს, თვითმფრინავებს, ლოკომოტივებს, ბურთულ-საკისრებს. ტურინში განვითარებულია სამკერვალო და კვების მრეწველობა. ტურინის პროლეტარიატი კლასობრივი ბრძოლის დროს ყოველთვის პირველ რიგებში იდგა.. 1921 წელს სწორედ აქ ჩაისახა იტალიის კომუნისტური პარტიის პირველი უჯრედი. ტურინელი მუშები მედგრად და ვაჟკაცურად იბრძოდნენ ფაშისტური რეჟიმისა და ჰიტლერული ოკუპაციის წინააღმდეგ. ჩრდილოეთ იტალიაში, ლიგურიის ზღვის ნაპირებზე, გადაჭიმულია იტალიის ყველაზე მსხვილი ნავსადგური — გენუა. ოდესღაც გენუა იყო მძლავრი სავაჭრო რესპუბლიკის ცენტრი, რომელმაც შექმნა თავისი კოლონიები შავი ზღვის სანაპიროებზეც კი. დღეს გენუა დიდი სამრეწველო ქალაქია. აქ ბევრი მსხვილი გემთსაშენია, აქვეა ნავთობგამწმენდი, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნები. ჯენუის მუშათა კლასი განთქმულია საბრძოლო-რევოლუციური ტრადიციებით. 1945 წელს გენუის მოსახლეობამ გაათავისუფლა ქალაქი ფაშისტური ოკუპანტებისაგან და ქალაქმაც უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

რბილი ჰავისა და გენუის ყურის ულამაზესი ნაპირების წყალობით ამ რაიონში ბევრი კურორტია.

ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე, იქ, სადაც ნაპირს გარს უვლის ადრიატიკის ზღვა, გაშენებულია იტალიის მეორე ნავსადგური ვენეცია. ეს ქალაქი 118 კუნძულზე მდებარეობს. ვენეციის ლაგუნის ნაპირიდან ქალაქისაკენ ორი დიდი ხიდით მიემართებით. ქუჩების მაგივრად აქ არხებია და დადიან კატარღები, სწრაფმავალი წყლის ტრამვაები (ვაპორეტო), გონდოლები. ეს გახლავთ ქალაქის ტრანსპორტი. ვენეციის რესპუბლიკის აყვავების პერიოდში მდიდარმა ვაჭრებმა ქალაქში ააგეს დიდებული სასახლეები — პალაცოები, ბრწყინვალე ტაძრები, შეაერთეს კუნძულები საოცარი აჟურული ხიდებით. ყველა-

ზე ლამაზი პალაცოებია აშენებული „მთავარ ქუჩაზე“ — დიდი არხის ნაპირებზე. ამ სასახლეების უმრავლესობა ცარიელია: მისი მდიდარი მეპატრონეები აქ ჩამოდიან მხოლოდ ზაფხულობით. სასახლეების გვერდით კი ათასობით ღარიბი ცხოვრობს ძველ ნესტიან შენობებში. კარგა ხანია წყალი დაღუპვით ემუქრება ვენეციას. თავისი არსებობის თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქალაქმა მეტრ-ნახევრით დაიწია.

ქალაქის ცენტრში წმ. მარკოზის უზარმაზარი მოედანია. მას გარს არტყია შენობები, რომლებშიც ოდესღაც რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულებები იყო. განსაკუთრებით ლამაზია წმ. მარკოზის ტაძარი და დოჟების სასახლე — რესპუბლიკის მმართველების სასახლე. ძველი დროიდანვე განთქმულია ვენეციური მხატვრული შუშა და მაქმანი. ჩვენს დროში ვენეცია (უფრო ზუსტად მისი გარეუბნები მესტრე და მარგერა) მნიშვნელოვანი ნავსადგური და სამრეწველო ცენტრია.

იტალიის ჩრდილოეთით გადაჭიმულია დიდად ნაყოფიერი პადანის დაბლობი. აქ ძირითადად მსხვილი კაპიტალისტური ტიპის მემამულეთა მეურნეობებია. პადანის დაბლობის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხორბალი, სიმინდი და ბრინჯი. მოჰყავთ ყურძენიც და ბოსტნეულიც. დაბლობის სამხრეთით არის უძველესი ქალაქი ბოლონია, სადაც XI საუკუნეში ევროპის პირველი უნივერსიტეტი გახსნეს. ამჟამად იგი იტალიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრია. ბოლონიაში ბევრი საწარმოა: რადიომოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკები. დიდი გავლენა აქვს ბოლონიაში კომუნისტურ პარტიას. 1945 წლიდან ქალაქის მერად კომუნისტს ირჩევენ ხოლმე.

ბოლონიის სამხრეთით, მდინარე არნოს ნაპირებზე მდებარეობს იტალიის ულამაზესი და უძველესი ქალაქი ფლორენცია. აღორძინების ხანაში ეს ქალაქი იყო ხელოვნებისა და მეცნიერების დიდი კერა. აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ სახელგანთქმული ჯოტო, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, დანტე, გალილეი. ფლორენციას, როგორც კულტურის საგანძურს, სახელი გაუთქვა სასახლეებმა, ქანდაკებებმა, შუასაუკუნეების ტაძრებმა. ფლორენცია ულამაზესი ქალაქი-მუზეუმია, სადაც უამრავი უცხოელი ტურისტი ჩამოდის.

რომი — „მარადიული ქალაქი“ — ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში. პალატინის ბორცვზე — სადაც დაირწა ძველი რომის აკვანი, მდებარეობს ძველრომაული მოედანი ფორუმი. ფორუმის ახლოს აღმართულია ნახევრადდანგრეული გიგანტური კოლიზეუმი. ეს არის ძველრომაული ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაგებობა. მის ტრიბუნებზე ეტეოდა 50 ათასამდე მაყურებელი. აქ მართავდნენ გლადიატორების სასტიკ ბრძოლებსა და აწყობდნენ სხვადასხვა დღესასწაულებს. კოლიზეუმის ნანგრევებს, ისევე როგორც რომის სხვა ისტორიულ ძეგლებს, მიწისზედა თუ მიწისქვეშა ტრანსპორტის ნაკადის ზრდის გამო დაღუპვა ემუქრება. კარგადაა შემონახული უძველესი დიდებული პანთეონის ტაძარი (იხ. სე. ტ. 12. სტ. „ძველი რომის ხელოვნება“). რომში არის „სახელმწიფო სახელმწიფოში“ — ეს გახლავთ ვატიკანი (იხ. სტ. „ვატიკანი“).

რომში მუშაობს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ცენტრალური ორგანიზაციები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები. ამ ბოლო წლებში აშენდა მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური და ქიმიური ქარხნები, ბევრია მსუბუქი მრეწველობის პატარა-პატარა საწარმო.

ნეაპოლის უბის ნაპირზე გადაშლილია ქალაქი ნეაპოლი. ნეაპოლის მეშვეობით მრავალ ქვეყანასთან წარმოებს ვაჭრობა. ქალაქი მკვეთრადაა გაყოფილი ორ არათანაბარ ნაწილად. ქალაქის დასავლეთ ნაწილშია სასახლეები, მდიდრული ვილები, პარკები, ბულვარები. აქ ცხოვრობს ბურჟუაზია. ვრცელი მოედნებისა და ფართო ქუჩების გვერდით არის ღარიბთა ჭუჭყიანი და მჭიდროდ დასახლებული კვარტალები. ნეაპოლის თავზე ჰაერი ყოველთვის გამჭვირვალეა და ყოველი კუთხიდან ჩანს ვეზუვის ვულკანი. იგი ნეაპოლს სულ რაღაც 12 კმ-ითაა დაშორებული. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 79 წელს ვეზუვმა შთანთქა სამი ქალაქი: პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბია. პომპეი დაფარული იყო ვულკანური სქელი ფერფლით. ამ ადგილის გათხრა უმდიდრეს მასალას იძლევა ძველი რომის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. ვულკანი ახლაც მოქმედია. 1944 წ. ვეზუვის ამოფრქვევის დროს დაინგრა მთის ძირას გაშენებული ქალაქი სან-სებასტიანო. ნეაპოლის რაიონში და მის ახლომდება-

რე ულამაზეს კუნძულებზე ისკიასა და კაპრიზე ბევრი საკურორტო ქალაქია. კაპრიზე 1906 წლიდან 1913 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაქსიმ გორკი. აქ მასთან ორჯერ ჩავიდა ვ. ი. ლენინი. დაცულია ის კაბინეტი და ტერასა, სადაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს.

თვით ნეაპოლსა და მის. გარეუბნებში ბევრი გემთმშენებელი და სამხედრო ქარხანა მუშაობს. აქვეა მეტალურგიული და ქიმიური საწარმოები. ამ ბოლო წლებში ნეაპოლის ნავსადგური გადაიქცა ნატოს სამხედრო-საზღვაო ბაზად.

ნეაპოლის გარშემო და ქვეყნის სამხრეთით გადაჭიმულია სასოფლო-სამეურნეო რაიონები. აქ გაშენებული აქვთ ვენახი, მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული. სამხრეთ იტალიის სანაპიროებზე ციტრუსების პლანტაციებია. არის ზეთისხილის ჭალები, ატმის, ლეღვისა და დაფნის ბაღები. მთის მწირ საძოვრებზე ძოვენ ცხვრისა და თხის ფარები.

სამხრეთ იტალიის მიწის უმეტესი ნაწილი მემამულეების ხელშია. ისინი იჯარით აძლევენ მიწას უმიწაწყლო გლეხებს, რომლებიც მას გულმოდგინედ ამუშავებენ. ამ მიწის უხვი ნაყოფით სარგებლობენ მიწის პატრონები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ქალაქად ცხოვრობენ. ხალხი ღარიბად ცხოვრობს. იტალიაში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი, თუმცა დაწყებითი განათლება სავალდებულოდ ითვლება, მაგრამ ბევრ ბავშვს არა აქვს სწავლის საშუალება.

იტალიის კუნძულები სიცილია და სარდინია ყველაზე ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო რაიონებია. მეურნეობის წამყვანი დარგია მესაქონლეობა. გლეხებს ჰყავთ ცხვარი და თხა. სიცილიაში მოიპოვებენ შავ ფისს, გოგირდსა და ნავთობს.

60—70-იან წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობა. მხოლოდ 1974—1978 წწ. საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყნებს შორის 4-ჯერ გაიზარდა. იტალია საბჭოთა კავშირიდან ღებულობს ნავთობსა და ბუნებრივ გაზს. ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთერთი მაგალითია ქალაქ ტოლიატში (სსრკ) ფირმა „ფიატის“ მონაწილეობით აშენებული ქარხანა, რომელიც უშვებს ავტომობილ „ჟიგულს“.

■

იუგოსლავია

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, ი ს ფ რ.
ფართობი — 255,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 22 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბელგრადი (746 ათასი მცხ. გარეუბნებიანად — 1,3 მლნ.-ზე მეტი).
ყველა ენა, რომელზეც მრავალეროვანი მოსახლეობა ლაპარაკობს, თანასწორუფლებიანია.

დახედეთ იუგოსლავიის — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ამ უდიდესი ქვეყნის ფიზიკურ რუკას და წარმოიდგენთ მისი გეოგრაფიული პირობების საოცარ სხვადასხვაობას. მაშინვე თვალში გეცემათ, რომ იგი უპირატესად მთიანი ქვეყანაა. მართლაც, მისი ტერიტორიის 75% მაღლობებსა და მთებს უკავია. ჩრდილოეთით ალპების მთები ბატონობს. აქ სლოვენიის ტერიტორიაზე მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი პიკი — ტრიგლავი (2863 მ.).

ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადაჭიმულია კანიონებით და კარსტული ველებით დასერილი დინარის მთები, ხოლო საბერძნეთის საზღვართან შარ-პინდის მთების სისტემაა. სერბიის სამხრეთით და მაკედონიის აღმოსავლეთით როდოპის მთაგრეხილია აღმართული. დუნაიდან ბულგარეთის საზღვრისაკენ მიემართება კარპატ-ბალკანეთის სისტემის ქედები.

იუგოსლავიის ყველაზე ნაყოფიერი ნაწილი, მისი ბეღელი, გადაჭიმულია შუა-დუნაის (პანონის) დაბლობის სამხრეთით, დუნაის გაყოლებაზე. ვოევოდინაში დუნაი-ტისა-დუნაის არხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოირწყვება ტერიტორიის დიდი ნაწილი. იუგოსლავიის ვაკე რაიონები ერთფეროვანია. აქ არის მაღლობები, რომლებიც ცაცხვის, წიფლის, მუხის დიდებული ტყეებითა და ვენახებითაა დაფარული.

შიდა და მთის რაიონების ტყეები უმთავრესად მუხნარი და ფიჭვნარია. ესენია ქვეყნის მნიშვნელოვანი რესურსები. დიდებულ დუნაის და მის შენაკად სავას შესანიშნავი ნოღები აკრავს.

ვოევოდინა და სხვა ნაყოფიერი რაიონები მარცვლეულის (ხორბალი, სიმინდი), ტექნიკური კულტურების (შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა) და საკვები კულტურების (ჭარხალი და სამყურა) დიდ

მოსავალს იძლევა. აქ ფართოდაა განვითარებული მესაქონლეობა, უმთავრესად მეღორეობა და მეფრინველეობა.

ტერიტორიის მესამედი ტყეს უჭირავს. მთელი ევროპის მერქნის მარაგის დაახლოებით 10% იუგოსლავიას ეკუთვნის. ქვეყანა წარმატებით ავითარებს ხის დამუშავებისა და ავეჯის მრეწველობას, ცელულოზის, ქაღალდისა და მერქნის დამუშავებით მიღებული სხვა პროდუქციის წარმოებას.

უამრავი მდინარე და ნაკადული უერთდება შავ, ადრიატიკისა და ეგეოსის ზღვებს. მათ შორის ევროპის მთავარი არტერია — დუნაი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 555 კმ-ზე მიედინება. ზოგიერთ ადგილას დუნაის სიგანე 2 კმ-მდე აღწევს. ხოლო ყველაზე ვიწრო ადგილი 132 მეტრი (და ყველაზე ღრმა ადგილი კი 82 მ) არის ე. წ. რკინის ჭიშკრის ხეობაში (ანუ ჯერდაპის ხეობაში), სადაც იუგოსლავიისა და რუმინეთის საერთო ძალებით და საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროსადგური. მოგვარდა ამ რაიონში ნაოსნობის პრობლემაც.

იუგოსლავიის უდიდესი მდინარეებია დუნაის მარჯვენა შენაკადები — სავა, დრავა, მორავა (ველიკა მორავა). მთის მდინარეები არა მარტო წარმტაცი სანახავია, არამედ დიდ ენერგოპოტენციალსაც შეიცავს. იუგოსლავიაში აშენებულია ათობით ჰესი, ისეთი, როგორიცაა „იაბლანიცა“ მდინარე ნერეტვაზე, სადაც ომის წლებში მოხდა ერთერთი დიდი ბრძოლა ფაშისტ ოკუპანტებთან, „სპლიტი“ და „პერუჩიცა“ მდინარე ცეტინზე, „ზვორნიკი“ და „ბაინა-ბაშტა“ დრინზე.

იუგოსლავიაში ბევრი დიდი ტბაა. თავისი სილამაზით განთქმულია ოხრიდის ტბა მაკედონიაში (თავისი ბუნებრივი პირობებით ბაიკალს წააგავს), სკადარის ტბა ჩერნოგორიეში, პლიტვიცის ტბა ხორვატიაში, გამორჩეული ჩანჩქერების 70 მეტრიანი კასკადით, ბლედის და ბოხინის ტბები სლოვენიაში.

ბუნებრივ ტბებს ტოლს არ უდებენ ჰიდროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ხელოვნური ტბები: იაბლანიცკი, მავროვი და ვლასინი.

იუგოსლავიის ბუნების განსაკუთრებულ სილამაზეს წარმოადგენს ადრიატიკის სანაპირო, რომლის უამრავი არქიტექტურული ძეგლი იზიდავს აქ ტურისტებს.

ადრიატიკის სანაპირო არის გრძელი ზოლი 2092 კმ (სწორი ხაზით 610 კმ), რომელიც შეჭრილ-შემოჭრილია უამრავი ყურით და უბით, ხოლო ზღვა ნაპირთან ახლოს კუნძულებითაა სავსე. საოცარი და განუმეორებელი სილამაზისაა ქვეყნის ეს ნაწილი. მთელ ამ სანაპიროს მიუყვება იადრანის (ადრიატიკის ზღვას იადრანს ეძახიან იუგოსლაველები) ავტომაგისტრალი, საიდანაც კარგად მოჩანს ხმელთაშუა ზღვის ბუნების სიმშვენიერეც და ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სილამაზეც. ესაა ცნობილი პულა, სადაც ყოველწლიურად ტარდება ნაციონალური კინოფესტივალები; რიეკა — ქვეყნის უდიდესი ნავსადგური, რომლის ვერფებში შენდება დიდი გემები, მათ შორის საბჭოთა კავშირის შეკვეთითაც; ოპატია — ლამაზი საკურორტო ქალაქი.

ადრიატიკის მარგალიტია სპლიტი, განთქმულია რომის იმპერატორის სასახლის ნანგრევებით, მარიანის მთით, ულამაზესი არქიტექტურული ძეგლებით, შესანიშნავი მოქანდაკის მეშტროვიჩის მუზეუმით. თანამედროვე სპლიტი სიდიდით ქვეყნის მეორე დიდი ნავსადგურია, მსხვილი მანქანათმშენებელი და სამრეწველო ცენტრია. დაუვიწყარი სილამაზისაა შუასაუკუნეების ქალაქი-სიმაგრე დუბროვნიკი.

იუგოსლავიის ქალაქები საოცრად მრავალფეროვანია: ხმელთაშუა ზღვის ტიპის ქალაქებს, ადრიატიკის სანაპიროზე გაშენებულთ, ცვლის აღმოსავლური ქალაქები ბოსნიისა და ჰერცოგოვინისა, კოსოვოსია და მაკედონიისა, ხოლო ამ უკანასკნელთ — ცენტრალურევროპული ტიპის ქალაქები



საცხოვრებელი კვარტალი ბელგრადში.

სერბიის, ხორვატიისა და სლოვენიის ჩრდილოეთ რაიონებში.

იუგოსლავიისა და სერბიის დედაქალაქია ბელგრადი, რომლის შემადგენლობაში შედის სევის მარცხენა ნაპირზე წარმოშობილი ახალი ბელგრადი.

სახელმწიფოში ორი ანბანი (კირილიცა და ლათინიცა) იხმარება; ლაპარაკობენ სამ ძირითად ენაზე (სერბო-ხორვატული, სლოვენური და მაკედონური). ექვს რესპუბლიკაში — სერბიაში, ხორვატიაში, სლოვენიაში, მაკედონიაში, ჩერნოგორიაში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ცხოვრობენ სერბები, ხორვატები, სლოვენები, მაკედონელები, ჩერნოგორელები, სლავი-მუსულმანები და სხვა ხალხები.

სერბიის შემადგენლობაში შედიან ვოევოდინისა და კოსოვის ავტონომიური მხარეები.

მრავალი საუკუნე იბრძოდა იუგოსლავია დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მხოლოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დაშლის შემდეგ შეიქმნა სერბიის, ხორვატიისა და სლოვენიის ერთიანი სამეფო. 1941 წლის აპრილში იუგოსლავია (ასე ეწოდა სახელმწიფოს 1929 წლიდან) დაიპყრო ფაშისტურმა გერ-

გმირობის ხსოვნისათვის

ფაშისტური ოკუპაციის წლებში იუგოსლავიაში იბრძოდნენ მაძაც პატრიოტთა რაზმები. ამიტომაც ქვეყანაში არ არსებობს ქალაქი თუ სოფელი, სადაც ძეგლი არ ედგას, იუნდაც სულ უბრალო, გმირობასა და პირქუში დღეების ტრაგედიას.

ძეგლები სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ჭა, გვერდზე კი წარწერა: „ეს ჭა ამოთხრილია პიტლერელებთან უთანასწორო ბრძოლაში აქ დაღუპულ პარტიზანთა მოსაგონებლად, რომლებიც ამ სოფლის მცხოვრებნი იყვნენ. როცა ამ წყალს სვამთ, ჯაისხენეთ ისინი, ვინც თავი დადო თქვენი **თავისუფლებისათვის". სერ**ბიის ქალაქ კრაგუევაცში **არის ძეგ**ლი, რომელსაც მთელი **მსოფლიო** იცნობს. არ არსებობს **ალბათ** ამ ძეგლზე უფრო ტრაგიკული ჰეველი. ერთი შესედვით **უცნაურია: უზარმა**ზარი რომაული სუთიანი დგას. ამ სუთიანს ასეთი ახსნა აქვს: 1941 წ. გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს კრაგუევაცის მე-5 კლასის მოსწავლეები. ჯალათებმა დაკარგეს ადამიანური სახე და ბავშვები მძევლად წაიყვანეს. აი, ამ მესუთეკლასელთა სხოვნისადმია ეს რომაული სუთიანი აღმართული.

მწვანე ბორცვზე დგას უზარმაზარი რომაული სუთიანი, რომელიც მოლიანი თეორი ქვისგანაა გამოკვეთილი. ამ ქვაზე მოჩანს ათობით ბიჭის სახე, სოლო ირგვლივ, საითაც უნდა გაიხედო, წითელბაფთიანი გვარგვანებია. მუდროდ შეკრულნი დგანან აქ პიონერთა რაზმები.

ამას დაინახავთ ყოველი წლის 21 ოქტომბერს. ესაა — „საეროო გაკვეთილი" ბელგრადის სკოლის მოსწავლე მოდის აქ, რათა პატივი სცეს მესუთეკლასელ მოსწავლეთა სხოვნას.

მანიამ. კომუნისტური პარტიის მოწოდებით ქვეყნის მშრომელები ჩაებნენ გამათავისუფლებელ ბრძოლაში, რომლის შეჩერება ვერ შეძლო დამპყრობლების ვერავითარმა რეპრესიებმა. ამ გმირულ, მძვინვარე და სისხლისმღვრელ ომში დაიღუპა იუგოსლავიის მოსახლეობის 10%. ამ ბრძოლებში იუგოსლავიის მოძმე ხალხს დახმარება გაუწიეს საბჭოთა არმიის ნაწილებმა, რომლებმაც სახალხო გამათავისუფლებელ არმიასთან ერთად 1944 წ. 20 ოქტომბერს გაათავისუფლეს დედაქალაქი ბელგრადი. 1945 წ. 29 ნოემბერს ქვეყანას ეწოდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა (იფსრ). 1963 წ. შეეცვალა სახელი და გახდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა (ისფრ).

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა ესაა ნებაყოფლობით გაერთიანებულ თანასწორუფლებიან ხალხთა საკავშირო სახელმწიფო. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სკუპშჩინა, რომლის ფორმირება დელეგატთა სისტემის საფუძველზე ხდება. სკუპშჩინა შედგება ორი პალატისაგან — საკავშირო ვეჩესა და რესპუბლიკისა და მხარეების ვეჩესაგან. სკუპშჩინის აღმასრულებელი ორგანოა საკავშირო აღმასრულებელი ვეჩე — ქვეყნის მთავრობა.

ისფრ არის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე მიუმხრობელი სახელმწიფოების მოძრაობისა, იბრძვის ამ მოძრაობის ანტიიმპერიალისტური მიმართულების გაძლიერებისათვის. მისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ გაჯანსაღდეს საერთაშორისო ურთიერთობა. 1978 წელს ბელგრადში ჩატარდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრა.

1964 წელს დაიდო ხელშეკრულება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ისფრ-ს შორის თანამშრომლობის შესახებ. ეს აძლიერებს ყოველმხრივ თანამშრომლობასა და მეგობრობას იუგოსლავიასა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის. სსრკ და ისფრ ხალხებს ძველთაგანვე აქვთ მრავალმხრივი კავშირი და მეგობრობა. მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ფაშისტებთან ერთობლივი ბრძოლის შედეგად. კიდევ უფრო ფართოვდება და ძლიერდება სსრკ და ისფრ შორის პოლიტიკური და კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. სსრკ ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს იუგოსლავიას 100-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმოს, აგრეთვე სხვა ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში.

იუგოსლავიამ სახალხო ხელისუფლების წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია ახალი ცხოვრების შენებაში. მისმა ხალხმა ძირფესვიანად შეუცვალა

მთელს იუგოსლავიის სანაპიროზე, რიეკიდან ულცინამდე, გადის იადრანის ავტომაგისტრალი. ამ გზატკეცილიდან დიდებული თვალწარმტაცი სანახაობა იშლება თვალწინ.

სახე თავის ქვეყანას. 1974 წლისათვის მრეწველობის ნაწარმი ომამდელ დონესთან შედარებით 15-ჯერ გაიზარდა. მხოლოდ 1978 წ. საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი 7%-ით გადიდდა. ეკონომიკის სტრუქტურაში მრეწველობის როლი გაორმაგდა და ახლა 50%-ს შეადგენს. 800 ათასამდე იუგოსლაველი სხვა ქვეყნებში (ძირითადად დასავლეთ გერმანიაში) მიდის სამუშაოდ. ახლა იუგოსლავიის ინდუსტრიის ძლიერებაზე მეტყველებს ისეთი გიგანტები, როგორიცაა მეტალურგიული კომბინატი სმედერევში (აშენდა სსრკ-ს დახმარებით), შავი მეტალურგიის საწარმოები ზენიცასა და სკოპიაში, ჩარხმშენებელი ქარხნები ბელგრადთან ახლოს და ზაგრებში, სპილენძსადნობი კომბინატი ბორში, ტყვია-თუთიის კომბინატი ტრეპჩეში, ორთქლმავალ და ვაგონმშენებელი

ქარხანა სლავონსკი-ბროდში, გემთმშენებელი ქარხნები რიეკში, სპლიტში, პულასა და ტროგირში. კრაგუევაცის საავტომობილო ქარხანა „ცრვენა ზასტავა“ („წითელი დროშა“) გვაწვდის „ჟიგულის“ წარმოებისათვის საჭირო დეტალებსა და კვანძებს.

ახალი იუგოსლავია უშვებს თვითმფრინავებსა და ელექტროაპარატურას, ტრაქტორებსა და კომბაინებს, სარეცხ მანქანებსა და მაცივრებს, ავეჯსა და წამლებს, რადიომიმღებებსა და ტელევიზორებს, ჰიდროტურბინებსა და ფართო მოხმარების საქონელს, რომლებიც ცნობილია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა. ახლა სოფლის მოსახლეობა 40%-ზე ნაკლებია, ომამდე კი 75% იყო. მარტო 1953 წლიდან 1971 წლამდე იგი შემცირდა 2,5 მლნ. კაცით.

სოფლის მეურნეობის წარმოების საფუძველს წარმოადგენს გლეხთა ინდივიდუალური მიწათმფლობელობა. მაგრამ სულ უფრო და უფრო მოქმედებს მის განვითარებაზე საზოგადოებრივი სექტორი — აგროკომბინატები, სასოფლო-სამეურნეო მამულები, კოოპერატივები. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ სექტორს ეკუთვნის დასამუშავებელი მიწების მხოლოდ 16%, იგი სახელმწიფოს აძლევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნახევარს.

სახე იცვალეს იუგოსლავიის სოფლებმა, განსაკუთრებით კი ვაკე ადგილებში მდებარე სოფლებმა. სოფლები ელექტრიფიცირებულია, აშენდა სკოლები, კლუბები, ბევრ სოფელში არის ამბულატორიები და სამედიცინო პუნქტები. არის წყალგაყვანილობა.

იუგოსლავიის კომუნისტების კავშირმა (იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიას გადაერქვა სახელი — იკკ 1952 წ.) XI ყრილობაზე დასახა დიდი ამოცანები ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ყრილობა მიმდინარეობდა 1978 წ. მისი გადაწყვეტილებები არის დასაწყისი ქვეყნის განვითარების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპისა.

■

ლიხტენშტაინი

ლიხტენშტაინი.
ფართობი — 160 კმ²-მდე.
მოსახლეობა 25 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ვადუცი (4 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — გერმანული.

ცენტრალური ევროპის სახელმწიფო ლიხტენშტაინი მდებარეობს შვეიცარიასა და ავსტრიას შორის ზემო რაინის ვიწრო დაბლობზე. სამთავრო, რომელიც 1719 წ. შეიქმნა, თავდაპირველად ავსტრიას ემორჩილებოდა, შემდეგ რაინისა და მერე კი გერმანიის კავშირში შედიოდა. 1866 წლიდან იგი დამოუკიდებელია. 1868 წელს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. 1924 წ. შვეიცარიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ამ ქვეყანასთან ერთად საბაჟო კავშირში შევიდა.

შვეიცარიის მიერ სხვადასხვა ქვეყანასთან დადებული ყველა სავაჭრო და საბაჟო ხელშეკრულება ავტომატურად ვრცელდება ლიხტენშტაინზეც. შვეიცარია ახორციელებს ლიხტენშტაინის დიპლომატიურ წარმომადგენლობას საზღვარგარეთ. ლიხტენშტაინის ელჩი მხოლოდ შვეიცარიის დედაქალაქ ბერნშია.

ლიხტენშტაინში კონსტიტუციური მონარქიაა (სამთავრო). მთავარს (ქვეყნის გამგებელს) უფლება აქვს მოიწვიოს და დაითხოვოს ლანდტაგი (პარლამენტი), გამოიყენოს ვეტო ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებათა მიმართ. ლანდტაგში 15 დეპუტატია, რომლებსაც ოთხი წლით ირჩევენ.

მოსახლეობის თითქმის 50% მრეწველობაშია ჩაბმული. საწარმოები არ არის დიდი (30—50 მუშა), მაგრამ მაღალმექანიზებულია. ისეთი ცნობილი ფირმების ნაწარმი, როგორებიცაა: „ბალცერს აგ“ (ვაკუუმის ტექნიკა), „ჰილტი აგ“ (სამონტაჟო სქემები), „კონტინა“ (მცირეგაბარიტიანი გამოთვლითი მანქანები) საექსპორტოა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 5%. სულ დამუშავებულია მხოლოდ 10 ათასი ჰა მიწა. მოჰყავთ ხორბალი, ყურძენი, სხვადასხვა ბოსტნეული. განვითარებულია მეცხოველეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა.

დიდად შემოსავლიანი დარგია ეკონომიკისა ტურიზმი. ლიხტენშტაინში რამდენიმე მაღალმთიანი კურორტია, ბევრი სასტუმრო, ოტელი და



სუვენირების დამამზადებელი სხვადასხვა კუსტარული საწარმო.

მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს სამთავროს საფოსტო მარკების გამოცემა, რომლებზედაც ფილატელისტები პირდაპირ ნადირობენ. ლიხტენშტაინს თავისი ვალუტა არა აქვს, მის ბრუნვაშია შვეიცარიული ფრანკი.

სამთავროს დედაქალაქია ვადუცი, რომელიც დაარსდა 1342 წელს. იგი მდებარეობს მდინარე რაინის ნაპირზე, სამ დად წოდებული მთის ძირას. მთის ერთ-ერთ ფერდობზე დგას შუა საუკუნეების ციხესიმაგრე — თავადის რეზიდენცია, რომელიც გადმოჰყურებს ქალაქს. ვადუცში არის მთავრობის დაწესებულება, საფილატელიო და ისტორიული მუზეუმები, სურათების გალერეა. ლიხტენშტაინში კაპიტალზე ძალიან მცირე გადასახადია, ამიტომ ვადუცი თავის ადგილსამყოფელად აირჩია უცხოეთის 20 ათასმა ფირმამ.

ლუქსემბურგი

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო.
ფართობი — 2,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 360 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ლუქსემბურგი (80 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენები — გერმანული და ფრანგული.

ათას წელზე მეტი ხნის წინათ, 963 წ., კაროლინგების ფრანგული დინასტიის ერთ-ერთმა შორეულმა შთამომავალმა მდინარეების პეტრუსისა და ალზეტის შესართავთან, ერთ მაღალ კლდეზე, დიდი, მიუვალი ციხესიმაგრე ააგო. ციხის ირგვლივ თანდათანობით გაშენდა ქალაქი, რომელსაც ლუცილინბურხუკი („პატარა ქალაქი“) უწოდეს. ასე გაჩნდა რუკაზე ლუქსემბურგის სახელმწიფო.

ათი საუკუნის მანძილზე ლუქსემბურგს ბევრი უბედურება დაატყდა თავს. ვინ იცის, რამდენჯერ ეცადნენ საფრანგეთი და გერმანია ხელში ჩაეგდოთ საჰერცოგო და თავისი ტერიტორიისათვის შეეერთებინათ! მაგრამ არც ერთი მათი ცდა წარმატებით არ დამთავრებულა: დიდი სახელმწიფოების ურთიერთჭიშპი ხელს უწყობდა ლუქსემბურგს შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა. ამ პატარა ქვეყნის ხალხი გმირულად იცავდა თავის ქვეყანას და ტრადიციებს, ინარჩუნებდა თავის ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

დიდი მამაცობა და შემართება გამოიჩინეს ლუქსემბურგელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს. ლუქსემბურგის ოკუპაციის შემდეგ ჰიტლერს უნდოდა იგი „მესამე რაიხის“ შემადგენლობაში შეეყვანა, მაგრამ ლუქსემბურგელები არ დაემორჩილნენ დიქტატორს. 1942 წლის სექტემბერში ლუქსემბურგში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ ფაშისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. ლუქსემბურგის ხალხი წმინდად ინახავს ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა სახელებს.

ომის შემდეგ ლუქსემბურგი ჩაითრიეს დასავ-



ეში — მეტალურგთა ქალაქი.

ლეთევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაჯგუფებებში (დასავლეთევროპული კავშირი „საერთო ბაზარი“). 1949 წლიდან ლუქსემბურგი შედის ნატოს შემადგენლობაში.

ლუქსემბურგში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ჰერცოგი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დეპუტატთა პალატა, რომელსაც ხუთი წლით ირჩევენ. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომელსაც ჰერცოგი ნიშნავს. სხვა პარტიებთან (ქრისტიანულ-სოციალური, სახალხო, დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული პარტიები) არის კომუნისტური პარტიაც (დაარსდა 1921 წ.), რომელიც ხელმძღვანელობს მშრომელთა ბრძოლას საკუთარი ინტერესებისათვის.

როგორ გამოიყურება დღევანდელი ლუქსემბურგი! დედაქალაქში, რომელიც საზღვრიდან მანქანით 40 წუთის სავალზეა, დღემდეა შემორჩენილი ძველი ციხესიმაგრეების ნანგრევები. შორიახლო ჰერცოგის სახლი და პარლამენტის შენობაა. ქალაქში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ გერმანული წარწერები, მაგრამ გერმანული ენა არ არის სახელმწიფოს ერთადერთი ენა. ოფიციალური დოკუმენტები დგება ძირითადად ფრანგულ ენაზე, ფრანგულად ლაპარაკობენ პარლამენტის სხდომებზეც. შინ კი, ოჯახში, ადგილობრივი მცხოვრებლები საკუთარ ლუქსემბურგულ ენას ამჯობინებენ.

დედაქალაქის თითქმის ცენტრში აღმართულია თანამედროვე ყაიდის დიდი რუხი შენობა. ესაა საერთაშორისო ორგანიზაციის ე. წ. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების სამმართველო, რომელიც მჭიდრო კავშირშია „საერთო ბაზართან“.

შემთხვევით როდი აირჩიეს ლუქსემბურგი ქვანახშირ-ფოლადის გაერთიანების „დედაქალაქად“. იგი მდებარეობს იმ გზის გასაყარზე, რომელიც მიემართება რურიდან ლოტარინგიისაკენ და ლოტარინგიიდან ბელგიის ქარხნებისა და ნავსადგურებისაკენ. რაც მთავარია, თვით ლუქსემბურგი შავი ლითონების დიდი მწარმოებელია. ხანდახან ხუმრობით მას „ქვანახშირისა და ფოლადის დიდ საჰერცოგოსაც“ კი უწოდებენ.

დედაქალაქის ოდნავ დასავლეთით მდებარეობს ქალაქი ეში — მსხვილი მეტალურგიული ცენტრი. „არბედისა“ და „როდანჟის“ კონცერნების გიგანტური ქარხნები ყოველწლიურად დაახლოებით 5,5 მილიონ ტონა მაღალხარისხოვან ფოლადს ადნობენ, ამ ლითონის წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე (თითქმის 16 ტ.) ლუქსემბურგს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. მეტალურგიის პროდუქციის დიდი ნაწილი ექსპორტად მიდის. ეს შემოსავალი პატარა სახელმწიფოს არსებობისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა.

დედაქალაქის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოზელის ველზე, მევენახეობის რაიონებია. ლუქსემბურგის სუფრის თეთრ ღვინოებზე დიდი მოთხოვნილებაა მეზობელ ქვეყნებში. მთიან რაიონებში განვითარებულია სარძევე მეცხოველეობა.

ᲛᲐᲚᲢᲐ

მალტის რესპუბლიკა.
ფართობი — 316 კმ².
მოსახლეობა — 310,8 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ვალეტა (18,3 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — მალტური და ინგლისური.

მალტის რესპუბლიკას უკავია ხმელთაშუა ზღვის ცენტრალური ნაწილის კუნძულთა ჯგუფი და მათ

შორის ყველაზე დიდი კუნძულის სახელს ატარებს. მოსახლეობა ძირითადად მალტელებია. მალტა უმდინარო, მცენარეულობით მეტად ღარიბი, ქვიანი კუნძულია. დიდი ჯაფა სჭირდებათ გლეხებს, რომ ამ მწირ მიწაზე რაიმე მოიწიონ. თითო გოჯ დამუშავებულ მიწის ნაკვეთზე საადრეო ბოსტნეული, ზოგიერთი მარცვლოვანი კულტურა მოჰყავთ, ხეხილსა და ყვავილებს ახარებენ. მიწა ღარიბია სასარგებლო წიაღისეულით. გარდა დიდი ვერფისა, რომელიც უმთავრესად გემების შესაკეთებლადაა განკუთვნილი, აქ აშენებულია და შენდება შედარებით პატარა ფაბრიკები და ქარხნები, სადაც ხდება მსუბუქი ავტომანქანების აწყობა, მზადდება ქსოვილები, ცემენტი და კერამიკული ფილები, ფეხსაცმელი, ავეჯი, საღებავები, სათამაშოები, სასმელები.

მალტის ეკონომიკამ განვითარება დაიწყო მხოლოდ XX ს. 60-იან წლებში. ეს იმის შედეგია, რომ მალტა კარგა ხანს იყო ინგლისის ქვეშევრდომი და გადაქცეული იყო ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მომსახურე ბაზად. მალტის მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ (იგი ევროპას აკავშირებს ზღვით აფრიკასა და აზიასთან) თავიდანვე მიიქცია უცხოელ დამპყრობთა ყურადღება — ესენი იყვნენ: ფინიკიელები, კართაგენელები, რომაელები, არაბები, ნორმანები, ესპანელები. 1530 წ. მალტაში შეიქმნა რაინდთა ორდენი, რომელმაც მალტის ორდენის სახელწოდება მიიღო. 1798 წ. იგი განდევნეს კუნძულიდან ფრანგებმა, დაიპყრეს მალტა, 1800 წ. კი კუნძული მალტა და მისი მეზობელი კუნძულები გოცო და კომინო დაიპყრო ინგლისმა და თავის კოლონიად გაიხადა. კუნძულები გახდა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძლიერების დასაყრდენი ხმელთაშუა ზღვაზე, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — ნატოს მეექვსე ამერიკული ფლოტის ბაზა.



მალტის დედაქალაქი ვალეტა.



ვალეტას ნავსაყუდელი.

მიუხედავად იმისა, რომ კუნძულზე გამუდმებით იმყოფებოდა ინგლისის ჯარი, მალტელები შეუპოვრად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. 1921 წ. ინგლისი იძულებული გახდა, თავისი კოლონიისათვის კონსტიტუცია მიეცა, თუმცა ეს კონსტიტუცია მეტად შეზღუდული იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მალტელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ინგლისმა კუნძულს შინაგანი თვითმმართველობა მისცა. 1964 წ. 21 სექტემბერს, ინგლისელი კოლონიზატორების ბატონობის 160 წლის შემდეგ, მალტა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო ახალი სახელმწიფო.

1972 წლის ინგლის-მალტის შეთანხმების თანახმად ბრიტანეთი ინარჩუნებდა კუნძულზე ბაზებს, მაგრამ 1979 წლის გაზაფხულისათვის უკანასკნელმა ინგლისელმა ჯარისკაცმა დატოვა მალტა.

სახელმწიფოს სათავეში დგას პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის წარმომადგენელთა პალატას (პარლამენტი), რომელსაც ხუთი წლით ირჩევენ. მალტაზე რამდენიმე პარტიაა: ლეიბორისტული (მმართველი), ნაციონალისტური და კომუნისტური (შეიქმნა 1969 წ.).

მონაკო

მონაკო.
ფართობი — 1,9 კმ².
მოსახლეობა — 25 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ქალაქი მონაკო (3 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

მონაკო ევროპის ყველაზე პატარა სახელმწიფოა. იგი მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის ულამაზეს სანაპიროზე, რომელიც ცნობილია რივიერის, ანუ ლაჟვარდოვანი ნაპირის სახელით.

ქალაქ მონაკოს ადგილას ძვ. წ. X—IX სს. ფინიკიელების სიმაგრე იყო. ძვ. წ. II ს. აქ მოვიდნენ რომაული ლეგიონები. შემდეგ ისინი განდევნეს არაბებმა, არაბები კი გენუელებმა. XIII ს-დან მონაკო ხან გენუის, ხან საფრანგეთის, ხან პიემონტის პროტექტორატის ქვეშაა. ამჟამად მონაკო ფაქტიურად საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. საფრანგეთ-მონაკოს მოლაპარაკების თანახმად მონაკოს მთავარმა ისე უნდა მართოს სახელმწიფო, რომ საფრანგეთის ინტერესებს შეეფერებოდეს. საზღვარი მხოლოდ იურიდიულად არსებობს და მისი გადაკვეთისას რაიმე საბუთი არ გჭირდება, არ არის საბაჟო კონტროლი. ვალუტა ფრანგულია. თითქმის ყველა კანონი, მონაკოში რომ მოქმედებს, ფრანგულია, მონაკოს პატიმ-



რებიც კი სასჯელს საფრანგეთის ციხეებში იხდიან.

მონაკოს სამთავრო კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოა. სახელმწიფოს თავი მემკვიდრეობით მთავარია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ნაციონალურ საბჭოს (პარლამენტს), რომელშიც ყველა ადგილი ბურჟუაზიულ პარტიებს (ეროვნული-დემოკრატიული კავშირი, სოციალისტური პარტია, დემოკრატიული კავშირის მოძრაობა) უკავიათ. აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობის საბჭოს ხელშია. მის სათავეშია მინისტრი. ტრადიციით ამ თანამდებობას იკავებს საფრანგეთის მოქალაქე. სამთავროს მოსახლეობის უმრავლესობა ფრანგები არიან. მკვიდრი მცხოვრები — მონეგასკი დაახლოებით 5 ათასია.

მონაკო არის სამკილომეტრიანი ვიწრო ზოლი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. იგი მჭიდროდაა განაშენიანებული 10—30 სართულიანი შენობებით. ადგილი ცოტაა და ალპების განტოტებაზე აშენებენ სახლებს. სამი ქალაქისაგან: მონაკოსა, ლა-კონდამინისა და მონტე-კარლოსაგან შექმნეს ერთიანი ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც არა აქვს მიწა არც სოფლის მეურნეობისათვის და არც მრეწველობისათვის. ეს არის საკურორტო ადგილი და ამიტომაც ტურიზმია მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო. მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობს და ტურისტებს ემსახურება. ყოველწლიურად აქ 500 ათასამდე ტურისტი ჩამოდის.

დიდ მოგებას იძლევა მონტე-კარლოს კაზინო და საფოსტო მარკების გამოშვება. კაზინოში — მონტე-კარლოს აზარტულ თამაშობათა სახლში — ნებადართულია რულეტის თამაში, რომელსაც ეტანებიან იოლი ცხოვრების მოყვარულები, ავანტიურისტები და უსაქმური მდიდრები. სამთავროს ქვეშევრდომებს კაზინოში თამაში ეკრძალებათ.

მონაკო მსოფლიო ოკეანის შემსწავლელი ერთერთი სამეცნიერო ცენტრია. მის ცნობილ ოკეანოგრაფიის მუზეუმის დარბაზებში თავმოყრილია ყველაფერი, რაც ზღვასთანაა დაკავშირებული. აქ წარმოდგენილია: თევზის ჭერისა და რეწვის იარაღები, ყველა დროისა და ხალხის საზღვაოსნო საშუალებათა მოდელები, უკანასკნელი ტექნიკური სიახლენიც კი. მუზეუმის აკვარიუმში არის ზღვის სხვადასხვა სიღრმის ბინადართა ცოცხალი კოლექცია. მუზეუმის ფრონტონზე გამოკვეთილია ათი გემის სახელწოდება, რომლებმაც სახელი გაითქვეს ზღვის მეცნიერული კვლევით. მათ შორის დასახელებულია „ვიტიაზი“, რომელზეც ადმირალი ს. ო. მაკაროვი გასული საუკუნის ბოლოს ატარებდა წყნარი ოკეანის ჰიდროგრაფიულ კვლევას.

მონაკოში ტარდება საერთაშორისო კონფერენციები ოკეანოგრაფიაში.

ნიდერლანდები

ნიდერლანდების სამეფო.
ფართობი — 36,9 ათასი კმ², შიგა წყლებითურთ 41,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 14 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ამსტერდამი (1 მლნ. მცხოვრებით),
მთავრობის რეზიდენცია — ჰააგა.
სახელმწიფო ენა — ჰოლანდიური.

ნიდერლანდები, ქართულ ენაზე თუ ვთარგმნით, „დაბალ მიწებს“ ნიშნავს. მართლაც, ქვეყნის $^2/_5$ ზღვის დონეზე დაბლაა, $^1/_3$ კი მასზე ოდნავ მაღლა. აქედან წარმოდგა სწორედ მისი სახელწოდება. მაგრამ მას აქვს სხვა სახელწოდებაც. შუა საუკუნეებში ამ ქვეყნის ყველაზე მდიდარი პროვინციები ჩრდილოეთი და სამხრეთი ჰოლანდია იყო. ვაჭრები, ჩვეულებრივ, „ჰოლანდიაში“ მიემგზავრებოდნენ (ასე იხსენიებდნენ საბუთებში და სასაუბრო მეტყველებაშიც). ამიტომ სიტყვა „ჰოლანდია“ ფართოდ გავრცელდა და გახდა ნიდერლანდების არაოფიციალური სახელწოდება (ანალოგი-

ური მაგალითია: ინგლისი — დიდი ბრიტანეთი).

ზღვის დონეზე დაბლა რომ არის მიწის ზედაპირი, ეს ამ ქვეყნის მცხოვრებლებს დიდ საზრუნავს უჩენს. ზღვისაგან თავი რომ დაიცვან, ჰოლანდიელები ქმნიან ჯებირებს, კაშხალების, არხებისა და რაბების მთელ სისტემას. ზოგი ჯებირი 15 მ სიმაღლესა და 100 მ სიგანეს აღწევს. საშუალოდ ჯებირები აღმართულია 6—8 მ-ზე მიწის ზედაპირიდან. მათი საერთო სიგრძე დაახლოებით 3 ათასი კმ-ია. ქვეყანას სერავს ორი წყალუხვი მდინარე რაინი და მაასი. მთელ რიგ ადგილებში ისინი მიედინებიან არამცთუ მინდვრების ზევით, საცხოვრებლებზე ზევითაც.. მდინარეების ადიდებისაგან დასაცავად სანაპიროს გაყოლებით აგებულია ჯებირები. როგორ მოხდა, რომ ხალხი ცხოვრობს ზღვის დონეზე დაბლა, ხოლო მდინარეები მიედინება სადღაც მაღლა? ჰოლანდიის ტერიტორია საუკუნეში დაახლოებით 1 მ-ით იწევს დაბლა. ზღვისაგან საკუთარი მიწის დაცვა ჰოლანდიელებმა ჯერ კიდევ XII ს. დაიწყეს და დღემდე აგრძელებენ.

მაგრამ ჰოლანდიელები არა მარტო იცავენ ზღვისაგან მიწას, არამედ ზღვას სტაცებენ ახალ მიწებსაც. ჰოლანდიის ტერიტორია (ხმელეთი), მაგალითად, 1950 წელს იყო 32,4 ათასი კმ², 1972 წ. კი — 36,6 ათასი კმ². ეს 4 ათასი კმ² ჰოლანდიელებმა შეიმატეს შეუპოვარი, მძიმე შრომის შედეგად. პოლდერს პოლდერზე ქმნიდნენ (მიწის დამშრალი ნაკვეთები). ეს ასე ხდება: ჯერ მიწაყრილით შემოზღუდავენ ზღვის ან ტბის ნაწილს. მერე ამოტუმბავენ წყალს და მიწას ღრმად ამოიღებენ. ძველი მიწის ნაცვლად ყრიან ახალს; ძველი მიწა მარილიანი წყლითაა გაჯერებული და მისი დატოვება არ შეიძლება, რადგან მარილი ზევით ამოდის და სპობს ყოველივე ცოცხალს. პოლდერების შექმნა ჰოლანდიაში აუცილებელია, რადგან ჰოლანდია პატარა ქვეყანაა (მისი ფართობი თითქმის მოსკოვის ოლქის ტოლია), მოსახლეობა კი დაახლოებით იმდენია, რამდენიც დანიაში, ნორვეგიაში და ფინეთში ერთად ჰოლანდია ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა მსოფლიოში.

ზღვასთან ბრძოლა, ქვეყნის დაცვა მისი შემოტევისაგან და მისთვის ახალი მიწების წართმევა, ხელს არ უშლის ჰოლანდიას, მეგობრობდეს კიდეც ზღვას.

ევროპის სავაჭრო ცენტრის გადანაცვლებამ ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებში, საზღვაო ვაჭრობის განვითარებამ და რაინზე ვაჭრობამ ის შედეგი გამოიღო, რომ XVI ს. ჰოლანდია გახდა ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიკის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა. იმ დროის ჰოლანდიაში ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაერთიანებული იყო საამქროებად და გილდიებად; ჩნდებოდა პროლეტარიატი, ყალიბდებოდა ბურჟუაზიული კლასი. ხელოსნობამ, მრეწველობამ და ფართოდ გაშლილმა ვაჭრობამ დიდი სიმდიდრე შესძინა ქვეყანას. ფეხს იკიდებდა კაპიტალისტური ურთიერთობანი, მაგრამ ამ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა ფეოდალური წესები ესპანეთის იმპერიისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მაშინ ჰოლანდია. გაძლიერდა კლასობრივი ბრძოლა და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ პირობებში იფეთქა მსოფლიოში პირველმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ — ნიდერლანდების რევოლუციამ (1566).

აქედან იწყება ჰოლანდიის ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა, მკვეთრად იზრდება ვაჭრობა. ჰოლანდიის იმდროინდელი ფლოტი ერთად აღებული ყველა ქვეყნის ფლოტს აღემატებოდა.

XVII ს. ჰოლანდიელმა ბურჟუაზიამ ცეცხლითა და მახვილით შექმნა უზარმაზარი კოლონიური იმპერია. მასში შედიოდა ინდონეზია, ჩრდილოეთ



ჭვეყნის დედაქალაქი ამსტერდამი — სიდიდით მეორე (როტერდამის შემდეგ) ქალაქი და ნიდერლანდების ნავსადგური.

ამერიკის დიდი ტერიტორია, სადაც დაარსდა ნიუიორკი (მაშინ მას ეწოდებოდა ახალი ამსტერდამი), კუნძული ცეილონი და ახალი ჰოლანდია (ასე ეძახდნენ კარგა ხანს ავსტრალიას), ბრაზილიის ნაწილი და სამხრეთ ამერიკაში გვიანა, კაპის მიწა აფრიკაში, კარიბის ზღვის ბევრი კუნძული და მთელ დედამიწის ზურგზე მიმოფანტული სხვა კოლონიები. ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით კოლონიები ათჯერ აღემატებოდა ჰოლანდიას. კოლონიური სისტემა იყო ულმობელი და მძარცველური.

XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში ჰოლანდიის კოლონიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრეს ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვა კოლონიურმა სახელმწიფოებმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეუპოვარი ბრძოლის წყალობით დამოუკიდებლობას მიაღწია ინდონეზიამ, 1975 წელს კი — სურინამმა. ამჟამად ჰოლანდია ჯერ კიდევ ფლობს ანტილის რამდენიმე კუნძულს (კიურასაო, არუბა და სხვ.).

ჰოლანდიის ისტორიული გზა ერთობ წინააღმდეგობრივი იყო. იგი ესპანეთის კოლონიას წარმოადგენდა, მერე კი განთავისუფლდა და თვით შექმნა უზარმაზარი კოლონიური იმპერია. ჰოლანდიაში მოხდა მსოფლიოში პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რის შედეგადაც გამოცხადებულ იქნა შეერთებულ პროვინციათა რესპუბლიკა და ხელისუფლება გადავიდა გენერალური შტატების (პარლამენტი) ხელში. ახლა კი ჰოლანდია კონსტიტუციური მონარქიაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს (ან დედოფალს) და გენერალურ შტატებს, რომელიც ორი პალატისაგან შედგება, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებენ როგორც ბურჟუაზიული (შრომის, კათოლიკური სახალხო, ანტირევოლუციური, ქრისტიანულ-ისტორიული, რადიკალების, სახელმწიფო-რეფორმისტული, გლეხთა, პაციფისტურ-სოციალისტური პარტიები, აგრეთვე თავისუფლებისა და დემოკრატიის სახალხო პარტია, „დემოკრატები—66“ და სხვანი), ისე კომუნისტური (შეიქმნა 1918 წელს) პარტიები.

ას წელზე მეტ ხანს ჰოლანდია ატარებდა ნეიტრალურ პოლიტიკას, ახლა კი შესულია ნატოს აგრესიულ ბლოკში და ის მიწა, რომელიც ესოდენ ძნელად გამოგლიჯეს ზღვას, გადაეცა სამხედრო საჰაერო ბაზებს, სამხედრო საწყობებს, პოლიგონებს და ტანკოდრომებს. ეს ისტორიული წინააღმდეგობები აიხსნება იმით, რომ ყველა საქმეს განაგებს და თავის ინტერესებს უმორჩილებს ბურჟუაზიული კლასი.

მეორე მსოფლიო ომამდე ჰოლანდიას ხშირად „ევროპის ბაღ-ბოსტანს“ ეძახდნენ, რადგან ეკონომიკის მთავარი დარგი იყო მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა, რომლის პროდუქცია აკმაყოფილებდა ჰოლანდიის მოსახლეობის მოთხოვნილებას და ევროპის ბევრ სახელმწიფოშიც გადიოდა. ახლაც ჰოლანდიაში მოჰყავთ უმაღლესი ხარისხის ხორბალი, კარტოფილი, ჭარხალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მოშენებული ჰყავთ მაღალპროდუქტიული მეწველი საქონელი (მთელ მსოფლიოში ცნობილი ჰოლანდიური ჯიშის ძროხა). განვითარებულია ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობაც, მაგრამ სოფლის მეურნეობის როლი ჰოლანდიის ეკონომიკაში შემცირდა. ამ ბოლო 30—40 წლის მანძილზე ჰოლანდია იქცა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. აქ მოქმედებს მსოფლიო ანდა ევროპული მნიშვნელობის მქონე მსხვილი მონოპოლიები.

„საერთო ბაზრის“ სოფლის მეურნეობის პოლიტიკას ფერმერები მიჰყავს გაკოტრებისაკენ. მათ შრომით პროდუქტებზე ფასები დღითიდღე ეცემა. საზოგადოების ყურადღება რომ მიიპყრონ, მათ თავიანთ ტრაქტორებზე მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია.

მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიცაა ნავთობის ინგლის-ჰოლანდიური კონცერნი „როიალ დატჩ-შელი“, ელექტროტექნიკური და რადიო ელექტრონული კონცერნი „ფილიპსი“, ქიმიური კონცერნი „იუნილევერი“ და „აკზო“. მათში მონაწილეობს არა მარტო ჰოლანდიური, არამედ ამერიკული, ინგლისური, დასავლეთ გერმანული კაპიტალიც. ბევრი ფირმა მთლიანად უცხოელ კომპანიებს ეკუთვნის.

ჰოლანდია ღარიბია სასარგებლო წიაღისეულით. არის ბუნებრივი გაზი. ნავთობს ცოტას იღებენ. მადანი საერთოდ არ არის. მთელი მრეწველობა მუშაობს შემოტანილი ნედლეულით. ნედლეულის შეტანასა და მზა პროდუქციის გატანას საგარეო ვაჭრობის განვითარება სჭირდება. სწორედ ამიტომაა, რომ პატარა ჰოლანდია საგარეო ვაჭრობის მოცულობის მხრივ მსოფლიოს პირველი ათი ქვეყნის რიცხვში შედის და აქვს დიდი საზღვაო სავაჭრო ფლოტი. მისი მთავარი საზღვაო ნავსადგურია როტერდამი, რომელიც მსოფლიოში პირველ ადგილზეა ტვირთბრუნვით.

ყოველწლიურად იზრდება უმუშევართა რაოდენობა. ეს გამოწვეულია პირველ რიგში იმით, რომ ჰოლანდია ნატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკში მონაწილეობამ მიიყვანა ეკონომიკის მთელი რიგი დარგების მილიტარიზაციამდე. მსხვილი მონოპოლიების ინტერესებისათვის ჰოლანდია შევიდა „საერთო ბაზრის“ კარჩაკეტილ-ეკონომიკურ დაჯგუფებაში, რამაც მონოპოლიებს დამატებითი მოგება მისცა, მშრომელები დააზარალა. უმუშევართა გაზრდამ, გადასახადთა გადიდებამ და საკვები პროდუქტებისა თუ ფართო მოხმარების საგნებისათვის ფასების მომატებამ მშრომელების მდგომარეობა გააუარესა. ბინების ფასების მუდმივი ზრდა აიძულებს ასობით ჰოლანდიელი მშრომელის ოჯახს, იცხოვროს ჯურღმულებში ან კარჭაპებზე (ვონბოტებზე), რომლებიც მრავალრიცხოვანი არხის ნაპირებზე დგას. ამავე დროს ათიათასობით ბინა ჰოლანდიაში ცარიელია ბინის ქირის სიძვირის გამო. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის რომ იბრძვიან, ჰოლანდიელები ხშირად აწყობენ გაფიცვებს, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

ჰოლანდიელმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ბევრი გამოჩენილი ჰოლანდიელის სახელს მთელი მსოფლიო იცნობს. ჰოლანდიელი მხატვრების: რემბრანდტის, ჰალსის, ოსტადეს, სტენის ნაწარმოებებში გამოსახულია არა მარტო მათ თანამედროვეთა ყოფა და ხასიათები, არა მარტო მათი დროინდელი ჰოლანდიის სახე, არამედ ბრძოლა და იდეალები მთელი იმდროინდელი პროგრესული და დემოკრატიული ძალებისა (იხ. სე ტ. 12, სტ. „XVII ს. ჰოლანდიური ხელოვნება“).

ჰოლანდიასა და ჩვენს ქვეყანას ძველთაგანვე მრავალმხრივი კავშირი აქვთ. ჯერ კიდევ ივანე მრისხანის დროს ჰოლანდიასა და რუსეთის სახელმწიფოს შორის დაწესებული იყო მტკიცე სავაჭრო ურთიერთობა. ჰოლანდიაში სამჯერ იყო პეტრე I. იგი აქ სწავლობდა ხელობას ჰოლანდიელი გემთმშენებლებისაგან. ზანდამში (ამსტერდამის ჩრდილო-დასავლეთით) არის სახლი, სადაც პეტრე I ცხოვრობდა. ახლა იქ მუზეუმია გახსნილი. გასულ საუკუნეებში ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის ყოველთვის მეგობრული იყო. რუსეთი არაერთხელ დახმარებია ჰოლანდიას.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლანდია 5 წელი ოკუპირებული იყო გერმანელების მიერ. საბჭოთა არმია, რომელმაც ფაშისტური სახელმწიფოების აგრესიული ბლოკის ძირითადი ძალები დაამარცხა, დაეხმარა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათ შორის ჰოლანდიასაც, განთავისუფლებულიყვნენ ფაშიზმისაგან.

ნორვეგია

ნორვეგიის სამეფო.
ფართობი — 324 ათასი კმ².
მოსახლეობა — 4 მლნ.-ზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ოსლო (465 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ნორვეგიული.



ნორვეგია ევროპის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა. იგი სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ მხარეს ვიწრო ზოლადაა გაწოლილი. მისი ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი პოლარული წრის იქით მდებარეობს. უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია ნორდკინის კონცხი. უკიდურესი სამხრეთი წერტილი — ლინესნესის კონცხი. მათ შორის ათას შვიდას ორმოცდაათი კმ მანძილია. სანაპირო დასერილია ფიორდებითა და უბეებით, რომელთაც ყოვლად უცნაური ფორმები აქვთ. ზღვის სასაზღვრე ხაზის სიგრძე დაახლოებით 21 ათასი კმ-ია. ამას თუ გამოვაკლებთ ყველა ფიორდსა და უბეს, მხოლოდ 2650 კმ დარჩება. ნორვეგიას ეკუთვნის შპიცბერგენის არქიპელაგი (62 ათასი კვ. კმ) ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, რომელიც დათვის კუნძულთან ერთად ქმნის სვალბარდის ადმინისტრაციულ ოლქს. მას ეკუთვნის ასევე ატლანტის ოკეანის კუნძულები — იან-მაიენი და ბუვე. ნორვეგიის სანაპიროებზე დაახლოებით 150 ათასი სანაპირო კუნძულია და მათგან მხოლოდ 2,5 ათასია დასახლებული. ჰავა რბილია. ნორვეგიის თბილი დინება მთელ დასავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროზე მიემართება; აქ გაშენებული ნავსადგურები არასდროს არ იყინება.

ძირითადი მოსახლეობა ნორვეგიელებია. ცხოვრობენ აგრეთვე კვენები (ნორვეგიელი ფინელები), შვედები, საამები (ლოპარები).

ნორვეგია მთიანი ქვეყანაა, რაც მეტად აძნელებს მიმოსვლას ქვეყნის სხვადასხვა მხარეს შორის. ჩრდილოეთიდან სამხრეთში და სამხრეთიდან ჩრდილოეთში გაცილებით ადვილად მიხვალ ზღვით, ვიდრე ხმელეთით. ყველაზე მაღალი მწვერვალია გალჰიოპიგენი (2469 მ.).

გადმოცემის თანახმად ქალაქი ოსლო დაუარსებიათ XI ს. მისი სახელწოდება, ეტყობა, ორი სიტყვისაგან შეიქმნა — „ასს“ ღმერთის სახელს ნიშნავს და „ლუ“ — ჭალას.

ქალაქი ოსლო არის ნორვეგიის მთავარი სამრეწველო-სატრანსპორტო ცენტრი. ძირითადი დარგებია: მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. შედარებით განვითარებულია გემთმშენებლობა და გემთშეკეთება, რადიოელექტრონიკა და ელექტრონიკა.

ოსლოში ნახევარკუნძულ ბიუგდეზე განლაგებულია საზღვაოსნო ეთნოგრაფიული და ტექნიკური მუზეუმი. საგანგებოდ აშენებულ შენობაში ინახება ნანსენის გემი „ფრამი“, ტურ-ჰეიერდალის ტივი „კონ-ტიკი“ და მისივე ნავი „რა“. ოსლოს გარეუბნებში შექმნილია თხილამურების მუზეუმი, სადაც ნახავთ ნანსენისა და ამუნდსენის პოლარული ექსპედიციების აღჭურვილობასა და აგრეთვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ყოველგვარი სახის თხილამურსა და სათხილამურო ინვენტარს.

სიდიდით მეორე ქალაქია ბერგენი, რომელიც ოსლოსავით ძალიან ძველია. იგი დაარსდა 1070 წელს. დასავლეთითა და ჩრდილოეთით ქალაქი ზღვაზე გადის, სამხრეთით ტბები აკრავს, აღმოსავლეთით კი მთები ესაზღვრება. აქედან ქუჩები საფეხურებად ეშვება ზღვამდე. წელიწადში აქ თითქმის 200 დღე წვიმს. ბერგენი მსხვილი სა-

ვაჭრო ნავსადგური და ქალაქია, რომელიც მდიდარია კულტურული ტრადიციებით. აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ნორვეგიის უდიდესი მწერლები ჰ. იბსენი და ბ. ბიორნსონი. სხვადასხვა დროს ორივე ხელმძღვანელობდა ნორვეგიის უძველეს თეატრს „ნაციონალურ სცენას“. ბერგენში ცხოვრობდა დიდი კომპოზიტორი ე. გრიგი. მისი სახლი მუზეუმადაა დაცული. ბერგენთანაა დაკავშირებული დიდი დრამატურგის, პოეტისა და რომანისტის ნ. გრიგის სახელიც. „ნაციონალურ სცენაზე“ იდგმებოდა ომის საწინააღმდეგო, ანტიფაშისტური მისი პიესები.

ამ მცირერიცხოვანმა ხალხმა მსოფლიოს მისცა ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მკვლევარი, კულტურის მუშაკი. მთელს მსოფლიოშია ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარების ფ. ნანსენის, რ. ამუნდსენის სახელები. ნანსენი გარდა ამისა ცნობილია თავისი ომის საწინააღმდეგო მოღვაწეობითაც. იგი იყო ვოლგისპირეთის დამშეულ მოსახლეთა დახმარების ერთ-ერთი ორგანიზატორი (1921).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში ცნობილი გახდა ეთნოგრაფი ტურ-ჰეიერდალი, რომელმაც გადალახა წყნარი ოკეანე (1947 წ.), იყო აღდგომის კუნძულზე (1955—1956) და პაპირუსის ნავით „რა“ გადალახა ატლანტის ოკეანე (1969).

ნორვეგიის ისტორია, როგორც ერთიანი სახელმწიფოსი, იწყება IX საუკუნიდან. მანამდე ქვეყანა შედგებოდა მთელი რიგი დაქუცმაცებული წვრილ-წვრილი ფეოდალური სამფლობელოებისაგან. დაახლოებით 400 წელიწადს ნორვეგია დანიის მონარქიის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო დაახლოებით 100 წელი — შვეციის მონარქიისა. 1814 წელს ნორვეგიის ისტორიაში მოხდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: დამფუძნებელმა კრებამ მიიღო იმ დროისათვის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია და გამოაცხადა თავი დამოუკიდებელ ქვეყნად, თუმცა 1905 წლამდე ნორვეგია კვლავ უნიაში (კავშირში) იყო შვეციასთან (შვეციის მეფე იყო ერთდროულად ნორვეგიის მეფეც). კონსტიტუციის მიღების დღე — 17 მაისი — ყველაზე დიდი დღესასწაულია ნორვეგიაში. ამ დღეს ყველა ქალაქსა და ქვეყნის ყოველ კუთხეში იმართება საბავშვო დემონსტრაციები, ბავშვები მიდიან ქუჩებში ყვავილებითა და დროშებით და ამით დღესასწაულს უფრო დიდებული იერი ეძლევა.

1940 წ. აპრილში ნორვეგია ჰიტლერელების არმიამ დაიპყრო. ხუთი წლის განმავლობაში ნორვეგიელი ხალხი, მიუხედავად ტერორისა და სიკვდილით დასჯისა, შეუნელებელ ბრძოლას ეწეოდა სამშობლოს გასათავისუფლებლად. ნორვეგიის საკონცენტრაციო ბანაკებში ჰიტლერელებს ათიათასობით საბჭოთა ტყვე ჰყავდათ გამომწყვდეული. ნორვეგიელები ყოველნაირად ეხმარებოდნენ ტყვეებს, ამარაგებდნენ საჭმლით, შველოდნენ გაქცევაში. ამ დახმარებისთვის ომის დამთავრების შემდეგ ბევრი მათგანი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

1944 წ. ოქტომბერში საბჭოთა არმიამ ჰიტლერელებისაგან გაათავისუფლა ჩრდილოეთი ნორვეგია და ამით მთელი ქვეყნის განთავისუფლებასაც ჩაეყარა საფუძველი. ნორვეგიის მიწაზე საბჭოთა მეომრების მრავალი საფლავია. ნორვეგიელები სათუთად უვლიან ამ საფლავებს. ოსლოსთან ახლოს საბჭოთა მეომრების უკვდავსაყოფად აღმართულია ძეგლი, რომელსაც აწერია „ნორვეგია მადლობას გიხდით თქვენ!“ ქალაქ კირკენესშიც დგას საბჭოთა მეომრის ფიგურა, რომელსაც ხელში შაშხანა უჭირავს. ესაა ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების აღსანიშნავად აღმართული ძეგლი.

ომისშემდგომ წლებში ნორვეგია, მიუხედავად ხალხის წინააღმდეგობისა, შევიდა ნატოს სამხედრო ბლოკში. ამის გამო ნორვეგია უზარმაზარ სამხედრო ხარჯსა სწევს.

ნორვეგიაში კონსტიტუციური მონარქიაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სტორტინგს (პარლამენტს), რომლის შემადგენლობასაც 4 წლით ირჩევენ. ნორვეგიის ერთ-ერთი მსხვილი პოლიტიკური პარტიაა ნორვეგიის მუშათა პარტია. თავისი ხასიათით ესაა სოციალ-დემოკრატიული პარტია (რეფორმისტული), იგი არაერთხელ ედგა სათავეში ქვეყანას.

სხვა პარტიებიდან აღსანიშნავია: ჰეირე, ქრისტიანული სახალხო პარტია, ცენტრის პარტია, ვენსტრე, სოციალისტური მემარცხენე პარტია.

მშრომელთა ინტერესების ნამდვილი დამცველია ნორვეგიის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1923 წ.). ნაცისტების ოკუპაციის დროს კომუნისტური პარტიის ბევრი რიგითი წევრი და ხელმძღვ-

ეს ახალგაზრდები დღესასწაულზე მიდიან, ამიტომაც აცვიათ ეროვნული ტანსაცმელი.

ნელების უმრავლესობა დაიღუპნენ ჰიტლერელებთან ბრძოლაში. ომისშემდგომ კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მშრომელების ბრძოლას მონოპოლიის უღლისაგან გასათავისუფლებლად, დემოკრატიული გარდაქმნების განსახორციელებლად და ნატოდან გამოსასვლელად. ბოლო წლებში კომუნისტური პარტია აძლიერებს ბრძოლას ქვეყნის ყველა მემარცხენე ძალის გასაერთიანებლად.

ნორვეგიაში მოიპოვებენ რკინის, ფერადი და იშვიათი ლითონების მადანს, ქვანახშირს — შპიცბერგენზე. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ ნორვეგია პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამას ხელს უწყობს კარგი ბუნებრივი პირობები: აქ ბევრია სწრაფი მდინარე, წყალვარდნილი. ელექტროენერგიის 99%-ზე მეტს ჰესები გამოიმუშავებენ. ყველა ქალაქი და თითქმის ყველა დასახლება ელექტრიფიცირებულია. დიდად განვითარებულია ნორვეგიაში ფოლადის, ფეროშენადნობის, ალუმინისა და ნიკელის წარმოება. ელექტროტექნიკური, ელექტრომეტალურგიული, ხის დამამუშავებელი და თევზგადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის უმეტესობა საგარეო ბაზარზე გადის. სატყეო და ხისდამამუშავებელი მრეწველობის ნაკეთობათა (ცელულოზა, ქაღალდი, მუყაო) ექსპორტის მხრივ ნორვეგია კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მხოლოდ კანადას, ფინეთსა და შვეციას ჩამოუვარდება. ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეთევზეობა.

ჩრდილოეთის ზღვაში, ქალაქ სტავანგერის სამხრეთ-დასავლეთით აღმოაჩინეს და ინტენსიურად ამუშავებენ ნავთობისა და გაზის მდიდარ საბადოებს. ვარაუდობენ, რომ უახლოეს წლებში მათი მოპოვება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ქვეყნის მოთხოვნილებას და ნავთობი გახდება ძირითადი საექსპორტო დარგი. ნორვეგიას სამართლიანად უწოდებენ „მსოფლიოს მეეტლეს“. სატრანსპორტო საზღვაო ფლოტის წყალწყვის მიხედვით იგი მეტოქეობას უწევს დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს — აშშ-ს, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთს.

ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობისა (რომელშიც დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 10%) სახორცე-სარძევე მესაქონლეობაა. ძირითადი მარცვლოვანი კულტურებია ქერი და შვრია. ჭვავსა და ხორბალს თესავენ სამხრეთ რაიონებში. მარცვლეული შემოაქვთ.

ნორვეგია სპორტსმენების ქვეყანაა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბავშვი ფეხს აიდგამს თუ არა, მაშინვე თხილამურებზე დგება. კვირაობით და დღესასწაულებზე ქალაქის ქუჩები დაცარიელებულია — ყველა ქალაქგარეთ გადის. განვითარებულია წყლის სპორტის სხვადასხვა სახეები, კერძოდ კი ბუერი.

ნორვეგია საბჭოთა კავშირის ჩრდილოელი მეზობელია, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს. ევროპის ქვეყნებიდან ნორვეგიამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საბჭოთა რუსეთი.

ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ყოველწლიურად მტკიცდება და ფართოვდება. სულ უფრო აქტიურად ვითარდება კულტურული და მეცნიერული კავშირი, სავაჭრო ურთიერთობა.

პოლონეთი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა — პსრ.
ფართობი — 312,7 ათასი კმ².
მოსახლეობა — 35 მლნ.-ზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ვარშავა (1,6 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — პოლონური.

პოლონეთს ევროპის ცენტრალური ნაწილი უკავია. ჩრდილოეთით ბალტიის ზღვაში გადის.. იგი



მდებარეობს მდინარეების ვისლისა და ოდერის აუზში. ამ მდინარეებით ბალტიის სანაპიროზე ოდესღაც გადიოდა ცნობილი „ქარვის გზა“. ქარვა უძველესი ხეების ძვირადღირებული გაქვავებული ფისია. ვაჭრები მდინარეებით გრძელ გზას გადიოდნენ, რომ ეყიდათ ბალტიისპირული ძვირფასი ქარვა და მერე გაეყიდათ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბალტიის ზღვის სანაპიროზე ახლაც პოულობენ ზღვისგან გამორიყულ ქარვის ნატეხებს.

პოლონეთში 9 ათასზე მეტი ტბაა. განსაკუთრებით ბევრი ტბაა ვარმიასა და მაზურში. ამ ულამაზეს მხარეს „სამიათასიანი ტბის მხარეს“ უწოდებენ. ყველაზე დიდი ტბაა სნიარდვი, მისი ფართობი 113 კვ. კმ-ს უდრის.

სამხრეთითა და დასავლეთით, ტბების სარტყელს იქით, გადაშლილია დაბლობის ფართო ზოლი. პოლონეთის ყველაზე დიდი მდინარეა ვისლა, რომელიც სათავეს იღებს სამხრეთით სილეზიის ბესკიდებში (დასავლეთი კარპატები) და მიედინება ჩრდილოეთისაკენ მთელი პოლონეთის გავლით. ეს არის ფართო დაბლობი, რომელსაც სიცოცხლეს ანიჭებს ბორცვებისა და წარაფების წყება.

პოლონეთის სამხრეთში აღმართულია მთის მწვერვალები სუდეტი და კარპატი, სილეზიის, ლიუბლინისა და მცირე პოლონეთის მაღლობები, სვენტოკშის მთები, სილეზიის ბესკიდები, ტატრები; ყოველი მთის სისტემა თავისებურია. სილეზიის მაღლობის კალთებზე მოულოდნელად ისეთ ადგილს წააწყდებით, რომელიც უდაბნოს მოგაგონებთ. ტყეებს შორის, სვენტოკშის მთებს რომ ფარავს, აღმართულია ჩვენი მატერიკის შუა ზოლისათვის საოცრად იშვიათი კვარციტის კლდეები.

ყველაზე მაღალი და ლამაზი მთებია ტატრები. ცაში აზიდული ციცაბო მწვერვალები, ღრმა მღვიმეები, მთის ტბები და ჩანჩქერები იზიდავს აქ ალპინისტებს, სამთო მოთხილამურეებს, სპელეოლოგებს — მღვიმეების მკვლევართ.

ქვანახშირი პოლონეთის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა. იგი, როგორც პოლონელები ამბობენ, „მთელ მსოფლიოში გადის“. განსაკუთრებით მდიდარია ქვანახშირით სილეზია. პატარა ქალაქები, ყელსაბამივით რომ შემოხვევიან მეშახტეთა მხარის ცენტრს — კატოვიცეს, ზედ ქვანახშირის ფენებზე დგანან. პოლონეთში თუთიისა და ნიკელის, გოგირდისა და ქვამარილის დიდი მარაგია. არის რკინისა და ბუნებრივი გაზის საბადოები. სახალხო ხელისუფლების წლებში ლიუბლინ-გლოგუვის რაიონში ნაპოვნია სპილენძის უმდიდრესი საბადოები.

პოლონეთის სახელმწიფოს, რომელიც წარმოიშვა ათას წელზე მეტი ხნის წინათ, იმ მიწა-წყალზე ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ვისლის და ვარტის შუაწელზე მდებარეობს. ქვეყნის პირველი მმართველების დედაქალაქი იყო გნეზნო. ახალგაზრდა პოლონეთის სახელმწიფოს კარგა ხანს უხდებოდა თავდაცვა ტევტონთა ორდენის გერმანელი რაინდებისაგან, რომლებმაც XIV ს. დაიპყრეს პოლონეთის ბალტიის სანაპირო. დღემდე შემორჩა ხალხს მეხსიერებაში 1410 წლის გრიუნვალდის გრანდიოზული ბრძოლის ხსოვნა, როცა პოლონელების, ლიტველების, რუსებისა და ჩეხების გაერთიანებულმა ძალებმა გაანადგურეს დამპყრობლები (იხ. სე ტ. 8, სტ. „გრიუნვალდის ბრძოლა“). ამ დროიდან პოლონეთის სახელმწიფო (რეჩ პოსპოლიტა) თანდათან გადაიქცა ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ, მაგრამ ძლიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. XVIII ს. ბოლოს პოლონეთის მთელი ტერიტორია გაიყვეს პრუსიამ, ავსტრიამ და მეფის რუსეთმა. პოლონეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა, რაც 120 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

არაერთხელ აღდგა პოლონელი ხალხი ერთიანობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

პოლონეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას ყურადღებით ადევნებდა თვალს ვ. ი. ლენინი, რომლის სახელთანაც ამ ქვეყანაში დაკავშირებულია არაერთი ღირსსახსოვარი ადგილი. მაგალითად, ტატრებში მდინარე ბიალის სანაპიროზე არის პატარა ქალაქი პორონინი. გზატკეცილთან ახლოს დგას სახლი, რომელიც ახლა მუზეუმია. ამ სახლში 1913—1914 წწ. ცხოვრობდა ვლადიმერ ილიჩი. პორონინთან ახლოს არის პატარა ქალაქი ნოვი-ტარგი. 1914 წ. ავსტრიის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული ლენინი აქ იჯდა ციხეში.

პოლონური სახელმწიფოს აღდგენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველსავე დღეებში გაათავისუფლა მეფის რუსეთის მიერ დამონებული ხალხები, მისცა მათ თვითგამორკვევის უფლება, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საშუალება. პოლონელ ხალხს მიეცა რეალური შესაძლებლობა, აღედგინათ ეროვნული დამოუკიდებლობა და პოლიტიკური თავისუფლება.

დიდი ხნის ტრადიცია პოლონელი და რუსი მშრომელების ერთობლივი ბრძოლისა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნათლად გამოვლინდა რუსეთში სამოქალაქო ომის დროს. წითელი არმიის რიგებში მყოფი ათასი პოლონელი იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო პოლონეთის სახელოვანი შვილი ფ. ძერჟინსკი.

რუსეთის მუშებისა და გლეხების მაგალითზე პოლონელმა მშრომელებმა გააჩაღეს ფართო რევოლუციური ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შესაქმნელად. 1918 წლის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დროს პოლონეთში შეიქმნა კომუნისტური პარტია. მაგრამ პოლონელმა ბურჟუაზიამ შეძლო რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა. ოცწლიანი ბურჟუაზიული და მემამულური მმართველობა კატასტროფით დამთავრდა. მათმა ანტისახალხო პოლიტიკამ, რასაც საფუძვლად ედო კავშირი საერთაშორისო რეაქციასთან და მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, გააძნელა მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანება, რათა ჩაეშალათ ფაშისტური სახელმწიფოს გეგმა ომის გაჩაღებისა. 1939 წლის 1 სექტემბერს, გამთენიისას, ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი პოლონეთის ისტორიაში — პერიოდი ფაშისტური ოკუპაციისა. შეიქმნა სიკვდილის ბანაკები ოსვენციმში, მაიდანეკში, ტრებლინკაში და სხვა მრავალ ადგილას. ომის განმავლობაში ჰიტლერელებმა გაანადგურეს 6 მლნ. პოლონელი, მათ რიცხვში 2 მლნ. ბავშვი და 18 წლამდე ახალგაზრდა.

მაგრამ ჰიტლერელმა დამპყრობლებმა ვერ დააჩოქეს პოლონელი ხალხი. კომუნისტებმა მოუწოდეს პოლონელ პატრიოტებს ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს წინააღმდეგობის ფართოდ გაშლილ მოძრაობასთან ერთად პოლონეთის მოქალაქეებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ, ჩამოაყალიბეს თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზია. 1943 წლის ოქტომბერში პოლონელთა ამ სამხედრო შენაერთმა საომარი ნათლობა მიიღო საბჭოთა მებრძოლებთან მხარდამხარ ბრძოლისას ლენინოსთან, სმოლენშჩინის მიწაზე. დივიზიამ საფუძველი ჩაუყარა პოლონეთის ჯარის შექმნას.

1944 წლის ივლისში ჰელმში, საბჭოთა არმიისა და პოლონეთის ჯარების მიერ განთავისუფლებულ პირველ პოლონურ ქალაქში, შეიქმნა პოლონეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი კომიტეტი (ამავე წლის ბოლოს გარდაქმნილ იქნა პოლონეთის დროებით მთავრობად). 22 ივლისს გამოიცა მანიფესტი, რომელიც ახალი, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების პროგრამად იქცა. ეს დღე აღინიშნება, როგორც პოლონეთის აღორძინების ეროვნული დღესასწაული.

1952 წ. პოლონეთს ეწოდა სახალხო რესპუბლიკა. მისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი სეიმი. მიმდინარე ამოცანებს სესიებს შორის ასრულებს სახელმწიფო საბჭო. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო.

ხელმძღვანელი პოლიტიკური ძალა პოლონეთში არის პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტია (პმგპ). არსებობს, აგრეთვე, გლეხთა გაერთიანებული და დემოკრატიული პარტიები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ პმგპ-თან.

პმგპ-ს ხელმძღვანელობით პოლონეთი შევიდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. თანამედროვე პოლონეთი ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფოა. სა-

საყვირი მდინარე ვისლას სანაპიროზე.

ხელმწიფო პროდუქციის მოცულობით პოლონეთი მეათე ადგილზეა მსოფლიოში. გაფართოვდა მრეწველობის ტრადიციული დარგები: თბოენერგეტიკული, საფეიქრო, კვების. ააგეს მსხვილი საწარმოები, რომლებიც უშვებენ ფოლადს, ალუმინს, კალას, სპილენძს. ახლად შეიქმნა გემთმშენებლობა, საავიაციო, საავტომობილო, რადიოელექტრონული და ქიმიური მრეწველობა.

ჩვენი ქვეყნის ტექნიკური დახმარებით აიგო ლენინის სახელობის უდიდესი მეტალურგიული კომბინატი ნოვა-გუტაში, ავტოქარხნები ვარშავასა და ლიუბლინში, ქიმიური კომბინატები პლოცკსა და ოსვენციმში, მთელი რიგი ელექტროსადგურები. შენდება შავი მეტალურგიის ახალი გიგანტი „კატოვიცე“. საბჭოთა კავშირი აძლევს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას რკინის მადანს, ბუნებრივ გაზს, ნავთობს, რომლის მიწოდება ხდება ნავთობსადენი „მეგობრობით“, სამრეწველო აღჭურვილობას.

მკვეთრად იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. მექანიზაციის ფართოდ გამოყენების წყალობით და სასუქების მეშვეობით გაცილებით უხვი მოსავალი მოჰყავთ, ისეთი ძირითადი კულტურებისა, როგორიცაა: ჭვავი, ხორბალი, ქერი, შვრია, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი. პოლონეთში 7 ათასზე მეტი სახელმწიფო მეურნეობაა და 1100 მეტი მიწათმოქმედების საწარმოო კოოპერატივი, მათ ხელშია დაახლოებით ერთი მეხუთედი ქვეყნის სავარგულებისა. მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნით ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს, რომელიც მიიღეს მათ აგრარული რეფორმის გატარების შედეგად. სოფლის მეურნეობაში ახლა აღებულია კურსი სოციალისტური სექტორის გაფართოებისა და გაძლიერებისაკენ.

პოლონეთი მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაა. მან მსოფლიოს მისცა ასტრონომი ნ. კოპერნიკი, მწერალი ჰენრიკ სენკევიჩი, პოეტი ადამ მიცკევიჩი, კომპოზიტორი ფრედერიკ შოპენი, მხატვარი იან მატეიკო, ფიზიკოსი მარია სკლოდოვსკაია-კიური. პოლონელი ხალხი სათუთად ინახავს თავისი ქვეყნის დიდი ადამიანების ხსოვნას.

ქვეყნის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდობაა. სახალხო ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პოლონეთში სწავლება უფასოა. ყოველწლიურად შენდება ათობით

ახალი სკოლა, იზრდება უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი.

სკოლაში არსებობს საკუთარი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — პოლონელი ჰარცერების კავშირი, — რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1973 წელს შეიქმნა პოლონელი ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირთა ფედერაცია. მასში შევიდნენ სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი, სოფლის ახალგაზრდობის კავშირი, სტუდენტები, ჰარცერები და არმიის ახალგაზრდობა. ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს 5 მლნ.-ზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს.

ვარშავას 1964 წელს 700 წელი შეუსრულდა. ვისლის სანაპიროზე აღმართულია სირენას სკულპტურა. მას ცალ ხელში ფარი უჭირავს, მეორეში — ხმალი. სირენა არის გერბი პოლონეთის დედაქალაქისა და გამოხატავს ვარშაველ ქალს, რომელიც იცავს თავის ქალაქს.

ჰიტლერელებმა ისე საშინლად გაანადგურეს ვარშავა, რომ ომის შემდეგ ზოგს ეჭვიც კი აღეძრა, ღირდა თუ არა იმავე ადგილას ქალაქის აღდგენა.

ახლა ვარშავა ლამაზი, თანამედროვე ქალაქია, პოლონეთის მსხვილი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. მისი საწარმოები უშვებენ ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობის ნაკეთობებს, ხარისხიან ფოლადს, ჩარხებს, მსუბუქ ავტომობილებს.

ყოველ ქალაქს, ისევე როგორც ადამიანს, თავისი სახე აქვს. კრაკოვი ესაა ქალაქი-მუზეუმი. თითქმის ექვსი საუკუნე იყო იგი პოლონეთის დედაქალაქი. აქ, მაღლობზე, ვისლის თავზე დგას გალავანშემოვლებული ვაველის ციხესიმაგრე — მეფეების ყოფილი რეზიდენცია. ვაველის კათედრალური ტაძრის მიწისქვეშ დაცულია თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის თადეუშ კოსტიუშკოს და პოლონეთის დიდი პოეტის ადამ მიცკევიჩის აკლდამები. კრაკოვის მთავარ მოედანზე დგას მარიაცკის ეკლესია. ეკლესიის კოშკიდან ყოველ საათს გაისმის საყვირის ხმა ლეგენდარული მესაყვირის პატივსაცემად. გადმოცემის თანახმად, მონღოლ-თათართა ცხენოსანი ჯარი კრაკოვს მოადგა, მესაყვირემ ეკლესიის კოშკიდან განგაში ატეხა, მაგრამ თვითონ დაიღუპა, განგმირა მტრის ისარმა.

კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. 1964 წელს პოლონეთმა აღნიშნა მისი 600 წლისთავი.

კრაკოვის გვერდით გაშენდა პოლონეთის სულ ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი ნოვა-გუტა. იგი ცნობილია თავისი მეტალურგიული კომბინატით. მეტალურგების ახალგაზრდა ქალაქის მეზობლობამ გააახალგაზრდავა ძველი კრაკოვიც.

პოლონეთის ნავსადგურები: გდანსკი, გდინია და შჩეცინი ქვეყანას ყველა კონტინენტთან აკავშირებენ. მსოფლიოში ცოტა ნავსადგური თუა ისეთი, სადაც არ შედიოდეს პოლონეთის ალამ-ამართული გემი.

პოლონეთის საპორტო ქალაქები განთქმულია გემთმშენებელი ვერფებით. მათი გემხარიხებიდან საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების დაკვეთით ჩამოდიან მშრალტვირთიანი გემები, ნახ-

კოპერნიკის წელი

1973 წ. შესრულდა 500 წელი პოლონეთის გენიალური მეცნიერის ნიკოლოზ კოპერნიკის დაბადებიდან. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ეს წელი გამოაცხადეს პოლონური მეცნიერების დღედ. კოპერნიკის დაბადებიდან ხუთასი წლისთავი დაემთხვა პოლონეთის ცოდნის აკადემიის ასი წლისთავს.

თუმცა ბურჟუაზიულ პოლონეთში ცხოვნენ დიდი მეცნიერები: მედიკოსები, მათემატიკოსები, ინჟინრები, აგრამ მათ არ ჰქონდათ მუშაობის პირობები. ბევრი მათგანი პოლონეთიდან აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში მიდიოდა. სახალხო პოლონეთში შეიქმნა მეცნიერების აკადემია, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ინსტიტუტები და უნივერსიტეტები. ათასობით სტუდენტმა, მუშისა და გლეხის შვილმა, შეიძლეს აუდიტორიების კარები.

კოპერნიკის წელს პოლონეთმა ზეაჯამა თავისი სწავლულების პოტენციალი. საუკეთესონი მათ შორის დაჯილდოვდნენ კოპერნიკის სახელობის ოქროს მედლებით. მოსწავლეებიც იღებდნენ სამეცნიერო შრომათა კონკურსში მონაწილეობას. თექვსმეტი წლის იუზეკ გოლომბეკმა მიიღო მედალი გონებამახვილური და ფრიად მარტივი გამოგონებისათვის: მან შეიმუშავა ახალი მეთოდი გემების ტრიუმებიდან ფსვიერი ტვირთის გადმოსატვირთად. ბიჭი, როგორც ის ამბობს, ამ პრობლემას სულ სხვა მხრიდან მიუდგა, არა ისე, როგორც მოზრდილი სპეციალისტები უყურებდნენ. კოპერნიკმაც თავის დროზე ასევე სრულიად სხვაგვარად შესედა დედამიწას მზის სისტემაში. რა თქმა უნდა, იუზეკი კოპერნიკი არ არის, მაგრამ ალბათ გაჩნდებიან კიდევ კოპერნიკები პოლონეთში, იქ, სადაც ზრუნავენ აღზარდონ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ უბრალო საგნებს შესედონ სრულიად უჩვეულო მხრიდან.

შირმზიდავები, თევზსაჭერი ტრაულერები, ნავთობგადამტანი ტანკერები.

საგარეო პოლიტიკაში პოლონეთი ატარებს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების კურსს, აძლიერებს თანამშრომლობას მათთან ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს კოლექტიური ორგანიზაციების ფარგლებში. ვარშავის ხელშეკრულების 25 წლისთავთან დაკავშირებით 1980 წლის მაისში პოლონეთის დედაქალაქში ჩატარდა ამ ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიიღეს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის ახალი პროგრამა და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი.

პორტუგალია

პორტუგალიის რესპუბლიკა.
ფართობი — დაახლოებით 92 ათასი კმ².
მოსახლეობა — 9,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლისაბონი (დაახლოებით 1,5 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — პორტუგალიური.

პორტუგალია პირენეის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მასში შედის აგრეთვე აზორის კუნძულები და კუნძული მადეირა.

ჩვენს ერამდე დიდი ხნის წინ პორტუგალია დასახლებული იყო ლუზიტებით, ამიტომაც პორტუგალიას ხანდახან ლუზიტანიას ეძახიან, თუმცა იგი ბევრად პატარაა უძველეს ლუზიტანიასთან შედარებით. ადრე ქვეყანა დაიპყრეს კელტებმა და რომაელებმა. რამდენიმე საუკუნე, VIII-დან XIII-მდე, აქ, ისევე, როგორც ესპანეთში, ბატონობდნენ არაბები და ჩრდილოეთ აფრიკიდან მათთან ერთად მოსული ბერბერები. მავრიტანულმა პერიოდმა (არაბ-ბერბერებს მაშინ მავრებს ეძახდნენ) დიდი კვალი დააჩნია პირენეის ნახევარკუნძულის ხალხთა ცხოვრებას, იმოქმედა მათი კულტურის განვითარებაზე. XV ს. ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში პორტუგალია გახდა დიდი კოლონიური სახელმწიფო. პორტუგალიის მეფეებმა ააგეს იმ დროისათვის მძლავრი ფლოტი და ექსპედიციებს აგზავნიდნენ ზღვისიქითა მიწების დასაპყრობად. მათ დაიპყრეს აფრიკაში ანგოლა, მოზამბიკი, გვინეისა და სენეგალის შუა ზღვისპირეთის ნაწილი. ცნობილმა პორტუგალიელმა ზღვაოსანმა ვასკო და გამამ 1498 წ. აღმოაჩინა ინდოეთის საზღვაო გზა. აზიაში გაჩნდა პორტუგალიის კოლონიები — გოა — ინდოეთში, აომინი (მაკაო) ჩინეთში. 1500 წ. პორტუგალიელმა ზღვაოსანმა პედრო კაბრალმა სამხრეთ ამერიკის ნაპირებამდე მიაღწია, აღმოაჩინა ბრაზილია, რომელიც კარგა ხანს იყო პორტუგალიის კოლონია. შემდეგ პორტუგალიამ დაკარგა წამყვანი საზღვაო სახელმწიფოს როლი, ჩამორჩა ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მხრივ სხვა ევროპულ ქვეყნებს და XX ს. დასაწყისში ღრმა კრიზისი განიცადა. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო რევოლუცია და ჩაეხშოთ პროგრესული ძალების მოქმედება, პორტუგალიელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა გზა გაუხსნეს ფაშიზმს.

1926 წელს პორტუგალიაში დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. პოლიტიკურმა პოლიციამ (პიდე) დემოკრატიისათვის მებრძოლებისა და, პირველ რიგში, კომუნისტების წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიები დაიწყო.

პორტუგალიის კომუნისტური პარტია თავისი დაარსების დღიდანვე (1921 წ.) იყო მთავარი ძალა ფაშისტური დიქტატურის წლებში დემოკრატიული თავისუფლებისათვის, მშრომელთა სასიცოცხლო უფლებებისათვის ბრძოლაში, კოლონიური ომის შეწყვეტისა და კოლონიური ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებისა, ფაშიზმის ლიკვიდაციისა და დემოკრატიული პორტუგალიის შექმნის საქმეში.

კომუნისტური პარტია ერთადერთი ანტიფაშისტური პარტიაა, რომელსაც იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში არ შეუწყვეტია ბრძოლა. ფაშისტებმა ათასობით და ათი ათასობით პატრიოტი გაუსამართლებლად შეუყარეს ციხეებში.

1974 წლის 25 აპრილს სამხედროები, გაერთიანებულნი „შეიარაღებული ძალების მოძრაობად“, აჯანყდნენ. ფაშისტური რეჟიმი დაემხო. ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია. გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, დაშალეს ფაშისტური რეჟიმის დროს შექმნილი ორგა-



ლისაბონის ერთ-ერთი მთავარი მოედანი.

ოჯახური მოგზაურობა.

ქვეყნის მომავალი მისი ბავშვებია.

ნიზაციები (მათ შორის პოლიტიკური პოლიციაც). პარტიებმა ლეგალური მოღვაწეობის უფლება მიიღეს. დემოკრატიზაციის პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტური პარტია. მოხდა ბანკების, დამზღვევი სალაროების, მრეწველობის ძირითადი დარგების, ტრანსპორტის ნაციონალიზაცია. დაიწყო აგრარული რეფორმა. პორტუგალიაში დემოკრატიულ გარდაქმნებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს შიდა რეაქციულმა ძალებმა, ყველამ, ვინც ძველ რეჟიმს იცავდა.

შესამჩნევი ცვლილებები მოხდა საგარეო პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალია დარჩა ნატოს წევრი, მან აღადგინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. პორტუგალიის ყოფილი კოლონიების ყველა ხალხს უფლება მიეცა თვითონ განსაზღვროს თავისი მომავალი.

პორტუგალიის ბუნება მრავალფეროვანია. აქ არის მაღალი მთები, ვრცელი ველები, ოკეანის გრძელი სანაპირო, მდიდარი ფლორა და ფაუნა. სანაპიროს ჰავა სუბტროპიკულია, შუა რაიონებისა — კონტინენტური, მშრალი. თუმცა ზაფხულობით შედარებით მცირე წვიმები იცის, ნალექების წლიური ჯამი აქ ხმელთაშუა ზღვის იმავე პარალელის რაიონებზე უფრო დიდია, ოკეანის მარბილებელი გავლენა ზაფხულობით უფრო იგრძნობა, ვიდრე ზამთრობით.

პორტუგალია ტყით იყო მდიდარი. ახლა კი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მთიან რაიონებში, სადაც ტყეს ძველთაგანვე წვავდნენ ხოლმე საძოვრებისათვის, თითქმის მთლიანად განადგურებულია, მაგრამ იქ, სადაც ტყე შერჩა, მთებში, წაბლსა და მუხებს შორის იზრდება მარადმწვანე კორპის მუხა. პორტუგალიას კორპის ქერქის დამზადებისა და მისი გატანის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის ნახევარი.

სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, პარკოსანი მცენარეები. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მევენახეობა და მეღვინეობა. ბევრია ზეთისხილი და ციტრუსი.

საექსპორტო მნიშვნელობისაა მეთევზეობა. განვითარებულია მესაქონლეობა.

ცოტა ქვეყანას თუ აქვს თავისი ტერიტორიის ფართობთან შედარებით ისეთი დიდი რაოდენობით სანაოსნო მდინარეები, როგორც პორტუგალიას. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მდინარეა ტეჟუ (ტახო), რომლის შესართავთან მდებარეობს ღისაბონი. ესაა ქვეყნის მნიშვნელოვანი პორტი, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი. მისი ნავსადგური ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. სხვა დიდი ქალაქებია პორტუ, სეტუბალი, ბრაგა, კოიმბრა.

პორტუგალიაში ბევრია ბუნებრივი სიმდიდრე — ვოლფრამი, კალა, ტყვია, სპილენძი, მარგანეცი. და მაინც პორტუგალია ჩამორჩენილი ქვეყანაა. მის განვითარებას ბოჭავდა ფაშისტური რეჟიმი, რომელიც მხოლოდ მსხვილი კაპიტალის, უფრო კი უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის ზრუნავდა.

ფაშისტური რეჟიმის დროს 1,5 მლნ.-ზე მეტმა პორტუგალიელმა დატოვა სამშობლო და სამუშაოს საძებნელად სხვა ქვეყნებში წავიდა. რევოლუციის შემდეგ ბევრი ემიგრანტი დაბრუნდა სამშობლოში.

შედარებით სუსტადაა განვითარებული მრეწველობა. ძირითადად ესაა სამთო-მომპოვებელი, საფეიქრო, ღვინის, თევზკონსერვის (სარდინი), ხის დამმუშავებელი, ცემენტის მრეწველობა.

ფაშისტური დიქტატურის დროს პორტუგალიის მშრომელები ძალიან მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ. მცირე ხელფასი ვერ აკმაყოფილებდა ცხოვრების მინიმუმსაც კი. ფართოდ იყენებდნენ ქალებისა და ბავშვების შრომას. 10—12 წლის ბავშვებიც კი იძულებულნი იყვნენ ემუშავათ. ბევრი მათგანი დაწყებითი სკოლის სამ კლასს ძლივს ამთავრებდა. პორტუგალიაში მრავალი წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა ევროპაში ბავშვების ყველაზე მეტი სიკვდილიანობა.

ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა მშრომელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დადგინდა ხელფასის მყარი მინიმუმი მრეწველობის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, დაწესებულია კონტროლი ფასებზე, გაიზარდა მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიები.

1976 წლის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც ხუთი

წლით ირჩევენ. იგი ამავე დროს რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და ჯარების მთავარსარდალია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის ასამბლეას (კრებას) — პარლამენტს. აღმასრულებელი — მთავრობას.

ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე პარტია: სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული ცენტრის, კომუნისტური და სხვანი.

1979 წლის არჩევნების შედეგად მმართველი პარტია გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ცდილობს შეზღუდოს კონსტიტუციური უფლებანი, გააუქმოს ნაციონალიზაციისა და აგრარული რეფორმის შედეგები.



რუმინეთი

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, რ ს რ.
ფართობი — 237,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 22 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბუქარესტი (1,8 მლნ. მცხოვრებზე მეტი).
სახელმწიფო ენა — რუმინული.

რუმინეთი მდებარეობს დუნაის ქვემო წელის აუზში. ქვეყნის ცენტრში გადაშლილია კარპატების მთებით გარშემორტყმული ტრანსილვანიის პლატო. მთებს ირგვლივ აკრავს მთისწინეთი, რომელიც თანდათანობით დაბლა ეშვება — სამხრეთით და დასავლეთით შუა დუნაისა და ქვედა დუნაის დაბლობისაკენ, ხოლო აღმოსავლეთით — მოლდავეთის დაბალი ზეგნისაკენ. მთის ფერდობები დაფარულია ხშირი წიწვიანი ტყეებით, წიფლნარითა და მუხნარით. მთისწინეთის ბორცვებიან რაიონებში ტყე გაჩეხილია და გაშენებულია ხეხილის ბაღები და ვენახები, ხოლო მიწა გამოყენებულია საყანედ და საძოვრებად. რუმინეთის ჰავა ზომიერია, კონტინენტური, შედარებით ნესტიანია ჩრდილო-დასავლეთი, გვალვიანია სამხრეთ-აღმოსავლეთი.

ნავთობი რუმინეთის რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრეა. მისი მოპოვების მხრივ რუმინეთი ევროპაში პირველ ადგილზეა, ხოლო ბუნებრივი გაზის მარაგით — მეორეზე. რუმინეთში არის ქვამარილი, ქვანახშირი, შავი, ფერადი და კეთილშობილი ლითონების საბადოები.

რუმინეთი მდიდარია წყლის ენერგიითაც. დუნაი 1000 კმ-ის მანძილზე მიედინება საზღვრის გასწვრივ და ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე იგი გზას მიიკვლევს მთებს შორის, ეგრეთ წოდებული რკინის ჭიშკრის ხეობაში. წყალქვეშა კლდეები, ხშირი ნისლი ძალიან აძნელებდა ნაოსნობას. ახლა უზარმაზარი კაშხალი ფარავს დუნაის და დიდ სამდინარო გემებს შეუძლიათ დაუბრკოლებლად იცურონ ამ რაიონში.

მძლავრი ენერგეტიკული კომპლექსი, რომელიც აიგო რუმინეთსა და იუგოსლავიაში სსრკ-ის ტექნიკური დახმარებით, დენს აძლევს ორ მეგობარ სახელმწიფოს.

ქალაქ ტულჩასთან დუნაი იყოფა სამ ტოტად (გირლა). მათ შორის უამრავი კუნძული, ტბა, ტოტი, ლიმანია. ეს დუნაის ცნობილი დელტაა, რომელიც გადაჭიმულია რამდენიმე ასი ათას ჰექტარზე. იგი განთქმულია აურაცხელი ფრინველთა კოლონიით, რომლებიც ევროპიდან აფრიკაში გადაფრენის დროს აქ ჩერდებიან.

ფრინველთა კოლონიებში მილიონობით სხვადასხვაგვარი ფრინველია. აქ შეხვდებით წეროებს, ყარყატებს, თევზიყლაპიებს, ვარხვებს, თეთრ გედებს, გარეულ იხვებსა და ბატებს. შესართავთან ბევრი თევზია, მეტად ფასეულია თართი. დაბურულ ლელიანებში გარეული ღორები ბინადრობენ.

მაგრამ დელტის ძირითადი სიმდიდრეა ლერწამი. მას ამზადებენ და დუნაით გადააქვთ ქალაქ ბრეიალში, რომლის ახლოსაც რუმინეთმა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის დახმარებით ააგო ცელულოზა-ქიმიური კომბინატი. ცელულოზისაგან იღებენ ხელოვნურ ბოჭკოს, მუყაოს, სპირტს და სხვა მრავალ პროდუქტს.

რუმინელების გარდა, რომლებიც ლაპარაკობენ ერთ-ერთ რომანულ ენაზე, აქ ცხოვრობენ უნგრელები (1,6 მლნ.) და გერმანელები (400 ათასი), აგრეთვე სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც — უკრაინელები, რუსები, ბულგარელები, სერბები, სლოვაკები, თურქები, ბოშები.

რუმინეთი მდებარეობს მნიშვნელოვან სავაჭრო და სტრატეგიულ გზაზე და ამიტომაც უცხოელი დამპყრობლები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ ამ ქვეყნით. შუა საუკუნეებში სამხრეთ (ვლახეთი) და აღმოსავლეთ (მოლდოვა) რუმინულ სამთავროებში თურქების ბატონობა დამყარდა.

რუმინეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპია 1859 წ. ვლახეთისა და მოლდოვის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, თუმცა ეს სახელმწიფო კვლავაც თურქეთზე იყო დამოკიდებული. სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რუმინეთმა მიიღო მხოლოდ 1877 წ., როცა თურქეთი დამარცხდა 1877—1878 წწ. ომში, რომელშიაც რუსეთის ჯართან ერთად იბრძოდნენ რუმინელებიც. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუმინეთის შემადგენლობაში შევიდა ტრანსილვანიაც.

1940 წ. რუმინეთის ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო-ფაშისტური ხროვა, რომელმაც ქვეყანა ჰიტლერულ გერმანიასთან დააკავშირა და რუმინელი ხალხი თავისი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩააბა დანაშაულებრივ ომში სსრკ-თან. ჰიტლერელებმა გაყვლიფეს ქვეყანა, გაჰქონდათ სურსათი და ძვირფასი ნედლეული, უფრო კი ნავთობი.

საბჭოთა არმიის ძლევამოსილმა შეტევამ და რუმინეთის კომუნისტური პარტიის მიერ (შეიქმნა 1921 წ.) ორგანიზებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა დაამხო. რუმინეთის ჯარებმა იარაღი მიმართეს ჰიტლერელების არმიის წინააღმდეგ.

1944 წლის 23 აგვისტო — ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების დღე, გადაიქცა რუმინეთის ნაციონალურ დღესასწაულად.

განთავისუფლების შემდეგ ხალხმა ძალაუფლება ჩამოართვა მეფის მთავრობას და ექსპლოატატორულ კლასს. 1947 წ. რუმინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა. სახალხო ხელისუფლების წლებში რუმინეთში მოხდა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნები. 1965 წ. რუმინეთი გამოცხადებულ იქნა სოციალისტურ რესპუბლიკად. რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე (1974 წ. ნოემბერი) მიიღეს „რჯპ პროგრამა ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და კომუნიზმისაკენ რუმინეთის წინსვლის შესახებ“.

სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლებაა დიდი ეროვნული კრება, რომელიც ირჩევს სახელმწიფო საბჭოს. იგი მოქმედებს ეროვნული კრების სესიებს შორის პერიოდში. 1974 წელს დაწესდა პრეზიდენტის პოსტი, რომელმაც გააერთიანა სახელმწიფოს მეთაურის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობანი. სახელმწიფოს მმართველობის უმაღლესი ორგანოა მინისტრთა საბჭო.

სოციალისტური განვითარების წლებში რუმინეთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან, რომელიც დამოკიდებული იყო უცხოეთის კაპიტალზე, გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ. მრეწველობა გახდა ეკონომიკის ძირითადი დარგი და 1978 წელს გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის საერთო ღირებულებამ მიაღწია 917,1 მლრდ. ლეის. საგრძნობლად გაიზარდა ქიმიური, სათბობ-ენერგეტიკული და შავი მეტალურგიის მრეწველობა. შეიქმნა მრეწველობის ბევრი ახალი დარგი.

სსრ კავშირი რუმინეთის სახალხო მეურნეობას აწვდის მანქანებს, აღჭურვილობებს, სამრეწველო ნედლეულს (რკინის მადანს, კოქსს). ჩვენი ქვეყანა დაეხმარა რუმინეთს ეკონომიკის აღდგენაში, მონაწილეობდა ასზე მეტი მსხვილი სამრეწველო ობიექტის შექმნაში. ეკონომიკური კავშირი ჩვენს ქვეყნებს შორის კიდევ უფრო ფართოვდება. უკანასკნელ წლებში დასრულდა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ჰიდრო-ენერგეტიკული კომპლექსის „კოსტეშტი-სტინკას“ მშენებლობა მდ. პრუტზე.

ახალ, სოციალისტურ საწყისებზე მოხდა სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციაც. გლეხები გა-

ერთიანდნენ საწარმოო კოოპერატივებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. 1978 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 128 მლრდ. ლეი. რამდენჯერმე გაიზარდა მარცვლეულის, მზესუმზირის, შაქრის ჭარხლის, სელის, კახაფისა და თამბაქოს მოსავალი. გაიზარდა ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი. სულ უფრო და უფრო ვითარდება მესაქონლეობაც.

ახალ, სოციალისტურ რუმინეთში წარმატებით ხორციელდება კულტურული რევოლუცია. ფართოდ განვითარდა განათლება და შემოღებულია ათწლიანი სავალდებულო სწავლება.

რუმინეთში შეიძლება გამოიყოს ოთხი ეკონომიკური რაიონი: სამხრეთის, ცენტრალური, აღმოსავლეთის და დასავლეთის.

სამხრეთ რაიონში შედის ოლტენიის, მუნტენიისა და დობრუჯის ისტორიული ოლქები. მუნტენია რუმინეთის სახელმწიფოს აკვანია, რომლის ირგვლივაც მოხდა რუმინელებით დასახლებული მიწების გაერთიანება. მუნტენიის ცენტრში მდებარეობს ბუქარესტი. იგი გაშენებულია მნიშვნელოვან სატრანსპორტო მაგისტრალზე, რომელიც ცენტრალური ევროპიდან მოემართება და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიდის. აქვეა შესაყარი სახმელეთო გზებისა, რომლებიც რუმინეთის ცალკეულ მხარეებს ერთმანეთთან აერთებს და რომლებსაც შავი ზღვისა და დუნაისაკენ მივყავართ.

ქალაქი განთქმულია თავისი თეატრებითა და მუზეუმებით, რომელთაგან ძალიან საინტერესოა სასოფლო მუზეუმი. იგი მოთავსებულია ღია ცის ქვეშ. აქაა თავმოყრილი ქვეყნის ყოველი კუთხის გლეხთა ჭოხები თავისი დგამითა და ხალხური შემოქმედების ნივთებით. დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობაა „სკინტეის სახლი“ — მსხვილი პოლიგრაფიული კომბინატი, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა.

დობრუჯა, რომელიც შავ ზღვაზე გადის, ადრე უდაბური, გვალვიანი მხარე იყო. ახლა მას სერავს ტყის ზოლები — გვალვისაგან საიმედო საცავი. სანაპიროზე ბევრი კურორტია: მამაია, სამხრეთი და ჩრდილოეთი ეფორია, კოსტინეშტი, მანგალია. აქვეა კონსტანცა — რუმინეთის დიდი ნავსადგური შავ ზღვაზე.

მუნტენიის დასავლეთით, მდინარე ოლტის გადმა, მდებარეობს ოლტენია, რომლის ცენტრია ქალაქი კრაიოვა. წინათ ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, სადაც მხოლოდ მევენახეობას მისდევდნენ, ახლა ცნობილია არა მარტო ეროვნული ქსოვილებითა და ხალიჩებით, არამედ სამრეწველო საქონლითაც. კრაიოვის ჩრდილოეთით მსხვილი საბადოებია: მურა ნახშირის, ნავთობის, ბუნებრივი გაზისა. ეს არის ნედლეული სათბობ-ენერგეტიკული და ქიმიური მრეწველობისათვის, რომელიც აქ ვითარდება.

რუმინეთის ცენტრალური ნაწილი (ჩრდილოეთის ნაწილის ჩათვლით) უჭირავს ტრანსილვანიისა და მარამურეშის ისტორიულ პროვინციებს. ამ მხარეების ძირითადი სიმდიდრეა: ბუნებრივი გაზი, შავი, ფერადი და კეთილშობილი ლითონები, ქვანახშირი, ქვამარილი, ტყე. თბოელექტრო-

რესპუბლიკის მოედანი ბუქარესტში.



შუქურა კონსტანცაში.

სადგურები ენერგიით ამარაგებენ მრავალრიცხოვან ქიმიურ ქარხნებს, სპილენძის, ტყვიისა და თუთიის სადნობ საწარმოებს (ქალაქი ბაია-მარე). ადგილობრივი ნედლეულით მუშაობენ ცემენტის, მინის, ქაშანურ-ფაიფურის ქარხნები. განვითარებულია ხისდამმუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით ავეჯის წარმოება. მთავარიან ტრანსილვანიაში ცოტაა დასამუშავებელი მიწები, სამაგიეროდ, ბევრი საძოვარი და სათიბია. აქ სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია მესაქონლეობა. დიდი ქალაქები გაშენდა ტრანსილვანიის შემოგარენში უღელტეხილებთან და მთის მოხერხებულ გასასვლელებთან. განსაკუთრებით ცნობილია თავისი მრეწველობით ქალაქი ბრაშოვი, სადაც არის ავტომობილებისა და ტრაქტორების დიდი ქარხნები. ტრანსილვანიის სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ხუნედოარაში, ძველი ქარხნის ბაზაზე შეიქმნა მეტალურგიული კომბინატი. მისი ბრძმედები იყენებენ ადგილობრივ რკინის მადანსა და კოქსს, რომელსაც იღებენ ქვეყნის ყველაზე მსხვილი ქვანახშირის აუზის — პეტროშენის — ქვანახშირისაგან.

აღმოსავლეთი რაიონი მდებარეობს აღმოსავლეთ კარპატებსა და სასაზღვრო მდინარე პრუტს შუა. მასში შედის მოლდოვას ისტორიული ოლქი. მოლდოვის სამრეწველო, ისტორიული და კულტურული ცენტრია ქალაქი იასი.

მდინარე სირეტის ხეობაში გადის მაგისტრალური რკინიგზები და გზატკეცილები. აქვეა დიდი ქალაქებიც: სუჩავა — ხისდამმუშავებელი ცენტრი, ბაკეუ — ცელულოზა-ქაღალდისა და მსუბუქი მრეწველობის ცენტრი, გალაცი, სადაც არის გემთმშენებელი ვერფი და ახალი მეტალურგიული კომბინატი, რომელიც სსრკ-ის დახმარებით აშენდა და ქვეყანას აძლევს ფოლადის მთელი წარმოების ნახევარს.

აღმოსავლეთი კარპატები აღმოსავლეთის ნაყოფიერ ველებს ნესტიანი ჰარისაგან იცავენ. ამიტომაც გვალვა ხშირი სტუმარია სირეტის და პრუტის შუამდინარეთისა. სირეტის დასავლეთით, კარპატების მთისწინეთში, სამეურნეო ადგილებია მდინარის ვიწრო ხეობები. ბისტრიცის სათავეში აშენებულია 13 ჰიდროელექტროსადგურიანი კასკადი, მათ შორის ვ. ი. ლენინის სახელობის დიდი ჰესი ბიკაზში.

მდინარე ტროტუშის ახლოს, ახალ ნავთსარეწებში ააგეს ნავთობგადამმუშავებელი და ქიმიური კომბინატები (ხელოვნური კაუჩუკი, სოდა, შხამქიმიკატები) და თბოელექტროსადგურები. ოდესღაც ჩამორჩენილ აგრარულ პროვინციას სახალხო ხელისუფლების წლებში დიდი პერსპექტივა გაეხსნა სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის.

რუმინეთის დასავლეთი მოიცავს ბანატისა და კრიშანუს ისტორიულ მხარეებს. ადრე, წყალდიდობების დროს, მდინარეები ტბორავდნენ დიდ ფართობს. საჭირო გახდა ათასობით კილომეტრზე გაეჭრათ საწრეტი არხები, რომ დაეცვათ თავი წყალდიდობისაგან.

დიდი ქალაქები — ტიმიშოარა და არადი მდებარეობენ ვაკეზე. ესენია მანქანათმშენებლობის, საფეიქრო და კვების მრეწველობის ცენტრები. ადგილობრივი რკინის მადნითა და ქვანახშირით



რუმინეთის სოფლებში ოდითგანვე მისდევენ ხის მოჩუქურთმებას. ბევრი მაზრა ახლაც სახელგანთქმულია თავისი მხატვარ-მეჩუქურთმეებით.



საბჭოთა არმიის გმირთა ძეგლი ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში.

მუშაობს რეშიცის რეკონსტრუირებული მეტალურგიული კომბინატი.

რუმინეთი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) წევრი და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილეა.

საბჭოთა კავშირი და რუმინეთი თანამშრომლობენ არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, არამედ კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროშიც.

სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში შემდგომი თანამშრომლობის საფუძველია საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ (1970).

ახალგაზრდობა მშენებლობებზე

ზაფხულობით რუმინეთში მშენებლობაზე მუშაობს 200 ათასი ახალგაზრდა ენთუზიასტი. მშენებლობები სხვადასხვაგვარია: ადგილობრივი, რომლის დანიშნულებაა სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევა, არის ეროვნული სამუშაოები, როგორიცაა გზატკეცილებისა და აეროპორტების მშენებლობა. ამას გარდა ახალგაზრდობის მშენებლობის „სატიტულო სიებში“ შევიდა შვიდი დიდი საირიგაციო სისტემა რესპუბლიკის გვალვიან რაიონებში. არის კიდევ ერთი მშენებლობა — ესაა სიდი, 1,5 ათას მეტრზე გაჭიმული დუნაიზე, რომელმაც გზა გაუხსნა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტს.

სიდები დუნაიზე რუმინეთის ტერიტორიაზე ადრეც შენდებოდა. დაახლოებით ორი ათასი წლის წინ არქიტექტორმა აპოლოდარ დამასკოელმა რომაელი მეომრებისათვის ააგო სიდი, რომლის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი დრობეტა-ტურნუ-სევერინის ახლოს. მეორე სიდი აშენდა ჩერნოვოდში ამ საუკუნის დასაწყისში. მესამე სიდი აშენდა გასულ ათწლეულში. ეს სიდი რუმინეთს ბულგარეთთან აკავშირებს და მეგობრობის სიდს უწოდებენ. მის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ რუმინეთის, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის სპეციალისტები და მშენებლები. და აი, ვრცელი დუნაის ახალი ულამაზესი სიდი რიცხვით მეოთხეა!

ბუქარესტის ერთ-ერთ უჩვეულო ნაგებობას „დე კურტია ვეკეს ზონა“, ანუ „ძველი სასახლის ზონა“ ეწოდებოდა. 8 ჰექტარზე კვლავ შეიქმნა, ზუსტად ძველი გრავიურების მიხედვით, მუხის ყავრით დაფარული შვიდი სავაჭრო ქუჩა, კუსტარული ნაწარმის სავაჭრო დუქნები, ტყავის, ჭონის სახელოსნოები, აქვეა სამიკიტნოები და ფუნდუკები. ბუქარესტის ცენტრშიც გაიხსნა ძველი რუმინული არქიტექტურის თავისებური „ცოცხალი“ მუზეუმი.

საბერძნეთი

საბერძნეთის რესპუბლიკა.
ფართობი — 131,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — 9 მლნ.-ზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ათენი (ათენი და პირეი გარეუბნებიანად 2,9 მლნ.-ზე მეტი მცხ.).
ოფიციალური ენა — ბერძნული.

საბერძნეთი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით და ეგეოსისა და იონიის ზღვების მრავალრიცხოვან კუნძულზე. საბერძნეთის აღმოსავლეთი სანაპირო ძალიან შეჭრილ-შემოჭრილია. აქ გემების სადგომად მეტად მოხერხებული ბევრი უბეა. ეგეოსის ზღვის მრავალი ლამაზი კუნძული ისე ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ყოველი მათგანიდან კარგად ჩანს მეზობელი კუნძული.

საბერძნეთის ჰავა რბილია, ხმელთაშუა ზღვისა, სანაპიროებზე სუბტროპიკულია. ცენტრალური და სამხრეთ საბერძნეთის მთის მოკლე მდინარეები ზაფხულობით თითქმის შრებიან. მხოლოდ ხანმოკლე ზამთრის პერიოდში მოდის აქ წვიმა და ზოგჯერ თოვლიც წამოვა, მაგრამ მალე დნება. უამრავი მთა და ზეგანი, ძლიერ შეჭრილ-შემოჭრილი ნაპირები, ლაჟვარდოვანი ლურჯი ზღვა და ცა — საბერძნეთის დამახასიათებელი პეიზაჟია.

ძველად საბერძნეთი ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო (იხ. სე ტ. 8. სტატია „ათენი აყვავების პერიოდში“). შუა საუკუნეებში საბერძნეთი იყო ვენეციის რესპუბლიკასა და თურქეთს შორის მწვავე ბრძოლების ობიექტი. ამ ბრძოლების დროს ნაწილობრივ დაინგრა მსოფლიოში სახელგანთქმული პართენონის ტაძარი. თურქებმა აქ დენთის საწყობი მოაწყვეს, ვენეციელებმა კი ზარბაზნები დაუშინეს. XIV—XV სს. საბერძნეთი თურქეთის ფეოდალებმა დაიმონეს. ბერძენი ხალხი ხანგრძლივად და შეუპოვრად იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და მხოლოდ 1830 წ. ქვეყანამ მიაღწია დამოუკიდებლობას. ოსმანთა იმპერიის უღლისაგან გათავისუფლების დროს საბერძნეთს რუსეთიც უჭერდა მხარს, რომელმაც დაამარცხა თურქეთის ჯარი 1828 — 1829 წწ. ომში.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში საბერძნეთის ხელისუფლებამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, 1940 წლის ოქტომბერში ფაშისტური იტალია შეიჭრა საბერძნეთში. იტალიური არმია შეაჩერეს, მერე კი გააძევეს საბერძნეთიდან, მაგრამ 1941 წლის აპრილში იტალიას ჰიტლერული გერმანიის არმია მიეშველა.

ფაშისტური ოკუპაციის პირველივე დღეებიდან ბერძენმა ხალხმა გადამწყვეტი ბრძოლები გამართა, რათა გაეძევებინათ დამპყრობლები. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა საბერძნეთის კომუნისტური პარტია, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფართო ფრონტი. გათიშული პარტიზანული რაზმები შეუერთდნენ საბერძნეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ არმიას.

1944 წლის ოქტომბერში, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ბალკანეთზე ძლიერი შეტევა, გათავისუფლდა საბერძნეთიც ჰიტლერული ოკუპაციისაგან. მაგრამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა კვლავ გამოგლიჯეს ხელიდან ბერძენ ხალხს. ადგილობრივმა რეაქციამ, ინგლისისა და აშშ-ის იმპერიალისტებზე დაყრდნობით, გააჩაღა სამოქალაქო ომი (1946—1949). უცხოელების ჩარევამ ხელი შეუწყო საბერძნეთის რეაქციას, ჩაეხშო დემოკრატიული მოძრაობა ქვეყნის შიგნით. საბერძნეთი აღმოჩნდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, პირველ რიგში კი აშშ-ზე, დამოკიდებული.

1952 წ. ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად,



ათენის ხედი აკროპოლისიდან.

საბერძნეთი გახდა სამხედრო-პოლიტიკური აგრესიული ბლოკის ნატოს წევრი. აშშ-ისა და ნატოს ბაზები განლაგდა საბერძნეთის მთელს ტერიტორიაზე.

1967 წელს რეაქციულად განწყობილი საბერძნეთის სამხედრო წრეებმა იმის შიშით, რომ არ აღდგენილიყო ახალი დემოკრატიული მოძრაობა, ნატოს განსაზღვრული წრეების მხარდაჭერით, გადატრიალება მოახდინეს. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო ხუნტამ, რომელმაც საბერძნეთში სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის რეჟიმი დაამყარა. მთლიანად გაუქმდა ისედაც შეზღუდული ბურჟუაზიული თავისუფლება, დაიშალა ყველა პოლიტიკური პარტია (კომუნისტური პარტია აკრძალეს ჯერ კიდევ 1947 წ.), დაიხურა პროგრესული გაზეთები და ჟურნალები, ათასობით ბერძენი პატრიოტი ჩაყარეს ციხეებში. კიდევ უფრო განმტკიცდა საბერძნეთის დამოკიდებულება აშშ-ზე და ნატოზე.

შვიდ წელზე მეტ ხანს ბატონობდა საბერძნეთში სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა და ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა მივიდა ეროვნულ კატასტროფამდე. ეკონომიკა დეზორგანიზებული იყო, ხოლო ხუნტის დანაშაულებრივი მოქმედება კვიპროსის რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ საბერძნეთს ომის საშიშროებას უქმნიდა. 1974 წ. ზაფხულში, მხედრიონი იძულებული გახდა ხელისუფლება დაეთმო სამოქალაქო მთავრობისათვის, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები.

სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის ლიკვიდაცია ნიშნავდა ბერძენი ხალხის დიდ გამარჯვებას, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ შეუწყვეტია დიქტატურის რეჟიმთან ბრძოლა. ქვეყანაში შეიცვალა საგანგებო კანონები, საკონცენტრაციო ბანაკებიდან და ციხეებიდან გამოუშვეს პატიმრები, აღდგა კონსტიტუციური თავისუფლება, პოლიტიკურ პარტიებს დაუბრუნეს მუშაობის საშუალება. იატაკქვეშა მუშაობის 27 წლის შემდეგ ლეგალურად დაიწყო მოქმედება საბერძნეთის კომუნისტურმა პარტიამ.

რეფერენდუმის შედეგად საბერძნეთში გაუქმდა მონარქია და იგი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1974 წელს საბერძნეთი გამოვიდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან, მაგრამ ნატოს და აშშ-ის სამხედრო ბაზები კვლავ საბერძნეთის მიწაზეა განლაგებული. 1979 წელს საბერძნეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც იგი 1981 წლიდან „საერთო ბაზრის“ წევრი უნდა გახდეს.

საბერძნეთში შედარებით განვითარებული მრეწველობაა. განსაკუთრებით განვითარებულია მეტალურგია, ნავთობქიმია, ენერგეტიკა. მაგრამ ძირითადი დარგები მაინც საფეიქრო და კვების მრეწველობაა, რომელშიც მოსახლეობის უმეტესი

ნაწილია ჩაბმული. საბერძნეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სავაჭრო ფლოტს და უცხოურ ტურიზმს, რაც ქვეყანას უცხოური ვალუტით ამარაგებს. მაგრამ საბერძნეთი ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ღარიბ ქვეყნად ითვლება. 300 ათასზე მეტი ბერძენი იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო და სამუშაოს საძებნელად უცხოეთში წასულიყო.

საბერძნეთი მთაგორიანი ქვეყანაა, ტერიტორიის დაახლოებით $^2/_3$ მთები და ზეგნებია. დიდი სამსახური გაუწიეს მთებმა კლეფტებს, თურქეთის უღლის წინააღმდეგ მებრძოლთ. ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს მთები იფარავდა პარტიზანებს. მთები საბერძნეთის სიმდიდრეცაა, იგი ინახავს სასარგებლო წიაღისეულს: რკინას, მურა ნახშირს, ვერცხლს, მანგანუმს და ფერად ლითონებს. საბერძნეთი ოდითგანვეა განთქმული ბოქსიტებისა და მარმარილოს უდიდესი მარაგით. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში მოიპოვება ნაირგვარი სასარგებლო წიაღისეული, მრეწველობის ბევრი დარგი არ არის განვითარებული. მდიდარი წიაღისეული უმთავრესად ექსპორტის საგანი ხდება.

საბერძნეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას. შრომისმოყვარე ბერძენ გლეხობას მოჰყავს ფორთოხალი და ლიმონი, ნუში და ზეთისხილი. თესალიისა და მაკედონიის ნაყოფიერ ველებზე მოჰყავთ ხორბლის, ქერის, სიმინდის, ბამბის დიდი მოსავალი. საბერძნეთის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამბაქოს. თამბაქოს ექსპორტი სახელმწიფოს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს. საბერძნეთს მსოფლიოში მესამე ადგილი უჭირავს ზეთისხილის მოყვანასა და ზეითუნის ზეთის წარმოებაში. ზეთისხილის ხეები იზრდება მთელ ქვეყანაში. მათ არ აშინებთ არც სიცხე, არც გვალვა და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მსხმოიარენი არიან. ზღვისპირა მცხოვრებლები მეთევზეობას მისდევენ, თუმცა მაინცდამაინც ბევრს ვერ იჭერენ.

საბერძნეთის დედაქალაქი ათენი ევროპაში თითქმის ყველაზე ახალგაზრდა და ამავე დროს უძველესი ქალაქია. თანამედროვე ათენი აშენდა ამ ბოლო ასი წლის განმავლობაში. „დიდ ათენში“ (ასე ეძახიან ათენსა და პორტ პირეის, რომელიც ამჟამად ერთ ქალაქად იქცა) ცხოვრობს მთელი საბერძნეთის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი. ყველა, ვინც კი ათენში ჩამოდის თვითმფრინავით, ზღვით თუ მატარებლებით, შორიდანვე ხედავს უძველესი პართენონის სვეტებს, რომელიც დღემდე ამშვენებს დედაქალაქს. ამ ბოლო წლებში ქალაქი მნიშვნელოვნად გაშენდა. თანამედროვე ქალაქთმშენებლობა აღარ აქცევს ყურადღებას ადრე დაწესებულ კანონს, რომლის ძალითაც არ უნდა აშენებულიყო ცხრა სართულიანზე ჰაღალი შენობა, რათა არ დაეფარა აკროპოლის ხედი. აკროპოლის კვარცხლბეკს ეკვრის ათენის ძველი ნაწილი — პლაკა.

შუასაუკუნეების კოლორიტული ქალაქის ნაწილი თავისი ვიწრო დაკლაკნილი ქუჩებით, სამიკიტნოებით, ბერძნული სიმღერებით, რომელიც ბუზუკის აკომპანემენტის ქვეშ სრულდება, ბევრ ტურისტს იზიდავს. მაგრამ ტურისტებს უფრო მეტად იზიდავს ბერძენი ხალხის წარსულის უდიდესი ძეგლები: მთელ მსოფლიოში ცნობილი პართენონი და ერეხთეიონი, ათენის ნიკეს ტაძარი და დიონისეს თეატრი. ფასდაუდებელი განძი ინახება ათენის აკროპოლის, აგორისა და ბენაკის მუზეუმებში.

პირეი საბერძნეთის საზღვაო ჭიშკარია. მშრომელთა ქალაქი. მის გემმისადგომებზე სხვადასხვა ქვეყნის გემები დგას. აქ ბევრი ქარხანა და ფაბრიკაა, მის ვერფებში აგებენ გემებს, შეკეთებითაც აქვე ხდება მათი შეკეთება. საბერძნეთი ოდითგანვე ითვლება „ზღვის მეეტლედ“. ბერძენი გემთმფლობელების გემების რიცხვით, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის დროშით დაცურავენ (გემთმფლობელებზე გადასახადი ზოგიერთ ქვეყანაში ნაკლებია, ვიდრე საბერძნეთში), საბერძნეთის სავაჭრო ფლოტი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ბერძენ მეზღვაურებს შეხვდებით მსოფლიოს ყველა ნავსადგურში. ისინი სამშობლოსგან მოშორებულები თვეობით დაცურავენ, ყველაფერს იკლებენ, ოღონდ გამომუშავებული ფული ოჯახს გაუგზავნონ.

მოსახლეობის რაოდენობით საბერძნეთში მეორე ქალაქია სალონიკი, აქ ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობა. რკინიგზები და საავტომობილო გზატკეცილები სალონიკს აკავშირებენ იუგოსლავიასთან, თურქეთთან და ბულგარეთთან. სალონიკი დიდი ნავსადგურია. მისი სა-



საბერძნეთის ტერიტორიის ოთხი მეხუთედი მთებს უკავია. ჩრდილო-ეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთებშუა ბევრი ტაფობია, ბეოტიის მსგავსი, რომელსაც ახლა სურათზე ხედავთ.

ნაპირო სავაჭრო და საქმიანი ცენტრია. ქალაქის სხვა ნაწილი ამფითეატრადაა აღმართული მოხერხებულ ღრმა ყურეზე. საბერძნეთის ხუთი უნივერსიტეტიდან ერთ-ერთი სალონიკშია. აქ შემონახულია წარსულის მრავალი ძეგლი.

საბერძნეთის სამხრეთით მდებარეობს პელოპონესის მთაგორიანი ნახევარკუნძული. იგი კონტინენტთან დაკავშირებულია ვიწრო ყელით, რომელზეც გაყვანილია ლამაზი სამდინარო არხი.

ნახევარკუნძულზე ბევრი ქალაქია, რომელიც ცნობილია ჩვენთვის საბერძნეთის უძველესი ისტორიიდან: სპარტა, კორინთო, ეპიდავრი, მიკენი. პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ქალაქი ოლიმპია, სადაც ძველი ელინები დღესასწაულების დღეებში ზევსის პატივსაცემად აწყობდნენ შეჯიბრებას სირბილში, ბადროს ტყორცნასა, ჭიდაობასა და ეტლით სრბოლაში. ოლიმპიური თამაშების დღეებში საბერძნეთის ტერიტორიაზე წყდებოდა ომები, იწყებოდა „წმიდათა-წმიდა დაზავება“. ოლიმპიური შეჯიბრებების ტრადიციამ, რომელიც ძვ. წ. 776 წელს დაწესდა, საბერძნეთში იარსება ათი საუკუნე. თანამედროვე ოლიმპიური თამაშები, რაც სიმბოლოა საერთაშორისო სპორტული ახალგაზრდობის ერთიანობისა, პირდაპირი მემკვიდრეა ძველბერძნული ოლიმპიური თამაშებისა.

ბერძნები მხიარული ხალხია. მათ უყვართ ხუმრობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი. არც ერთი დღესასწაული და კვირა დღე მუსიკისა და ცეკვის გარეშე არ ჩაივლის. მიუხედავად ამისა, უბრალო ბერძენი ხალხი მაინც გაჭირვებაში ცხოვრობს. ათენშიც კი, სადაც ბრწყინვალედ მორთული ქუჩები, მდიდრული სასტუმროები და რესტორნებია, შეიმჩნევა სიღატაკე. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში საშუალო განათლება უფასოა, სახელმწიფოში ბევრი წერა-კითხვის უცოდინარია. სიღარიბის გამო ბევრ მშრომელს არა აქვს საშუალება, სკოლაში გაუშვას ბავშვები. პატარა ბიჭები ალიონიდან გვიან ღამემდე დახეტიალობენ ქალაქში, ტურისტებს სთავაზობენ ფეხსაცმლის გაწმენდას, ლიმონათს ან კაკალს, რესტორნებისა და კაფეების წინ კი ნახავთ ყვავილების გამყიდველ გამხდარ გოგონებს.

საბერძნეთის სუფთა და მყუდრო ბევრი ქალაქი და სოფელი ამფითეატრებადაა შეფენილი მთის კალთებზე. ცენტრში ჩვეულებრივი მოედანია და კოლორიტული ბაზარი. წვრილი მიხვეულ-მოხვეული ქუჩები მიიკლაკნება მთის ფერდობებზე. სახლის კედლები ქვისგანაა ნაშენი და თვალისმომჭრელ თეთრ ფერადაა შეღებილი. სახურავები ბრტყელია და კრამიტით გადახურული. ეზოებში ბაღებია.

საბერძნეთის მეხუთედი თვალწარმტაც კუნძულებს უჭირავს. კუნძულების ჰავა რბილია. ბევრ მათგანზე შემორჩენილია ძველბერძნული ხელოვნების ძეგლები. ასეთი კუნძულების მოსახლეობისათვის შემოსავლის არსებით წყაროს ტურიზმი წარმოადგენს. ადგილობრივ მცხოვრებლებს ზღვის სანაპიროზე აქვთ პატარა სამიკიტნოები, სადაც შეიძლება იგემო ბერძნული ეროვნული კერძები: შამფურზე შემწვარი ცხვარი, წვრილი ჭიჭყინები.

საბერძნეთის ყველაზე დიდი კუნძულია კრეტა. მის ნაპირებს ეკვრის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვები. კრეტის მარადმწვანე ველებზე ხარობს

ბანანი და მანდარინი. სახელგანთქმული სულთანინის (თეთრი უწიპწო ყურძენი) უდიდეს ნაწილს კრეტა იძლევა.

თანამედროვე საბერძნეთი მკვეთრი კონტრასტების ქვეყანაა. აქ შერწყმულია მშრომელთა სიღატაკე და მილიონერთა ზღაპრული სიმდიდრე, უმაღლესი კულტურა და უწიგნურობა.

საბერძნეთის ხალხის წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანები დგას, რომლებიც დაკავშირებულია დემოკრატიულ გარდაქმნებთან. ის იბრძვის იმისათვის, რომ აგრესიული ბლოკის ნატოს ფორპოსტის როლი, რომელიც თავის დროზე ძალით მოახვიეს თავს საბერძნეთს, ბალკანეთიდან სამუდამოდ გაქრეს და წარსულს ჩაბარდეს.

სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც ირჩევს 5 წლით ერთპალატიანი პარლამენტი. იგი ნიშნავს მთავრობის მეთაურს. საბერძნეთში რამდენიმე პარტიაა: ე. წ. „ახალი დემოკრატია“ (მმართველი), სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა, დემოკრატიული ცენტრის კავშირი, ეროვნული დაჯგუფება, ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტია.



სან-მარინო

სან-მარინოს რესპუბლიკა.
ფართობი — 61 კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 20 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ქალაქი სან-მარინო (დაახლოებით 4,5 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — იტალიური.

აპენინის ქედის განშტოებაზე, რომელსაც მონტეტიტანოს ეძახიან, მდებარეობს პატარა სახელმწიფო სან-მარინო.

გადმოცემის თანახმად, სან-მარინო დაარსდა 301 წ. აქ, ერთ-ერთ მღვიმეში თავი შეაფარა ფეოდალებისაგან დევნილმა ქვისმთლელმა, სახელად მარინომ, რომელმაც შექმნა თავისუფალ ქვისმთლელთა თემი.

სან-მარინოს ხალხი მრავალი საუკუნის განმავლობაში იარაღით ხელში იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ისინი ყოველთვის ეხმარებოდნენ იტალიის დამოუკიდებლობისათვის მეზრძოლებს. ასე, მაგალითად, 1849 წ. ზაფხულში, იტალიელი რევოლუციონერების — „წითელხალათიანების“ ავსტრიის ჯართან დამარცხების შემდეგ, გარიბალდიმ თავის დარჩენილ მეომრებთან ერთად თავშესაფარი სთხოვა სან-მარინოს. გარიბალდისა და მისი თანამოაზროვნეების თხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეს. დედაქალაქში არის გარიბალდის სახელობის მოედანი, სადაც მის პატივსაცემად აღმართულია მონუმენტი.

1944 წ., როცა იტალია ოკუპირებული იყო ჰიტლერელი ჯარების მიერ, სან-მარინოს მთავრობამ 100 ათასი იტალიელი, რომელიც გადაურჩა ფაშიზმის მხეცობას, შეიფარა თავის სახელმწიფოში.

სან-მარინო რესპუბლიკაა. მის პარლამენტში — დიდ გენერალურ საბჭოში — 60 დეპუტატია, რომელთაც ირჩევენ 5 წლის ვადით. ყოველ 6 თვეში დიდი გენერალური საბჭო ირჩევს ორ კაპიტან-რეგენტს. ისინი ასრულებენ სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის ფუნქციას. მათი გადაწყვეტილება და მოქმედება ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს. ყოველ მათგანს შეუძლია დაადოს ვეტო მეორის გადაწყვეტილებას. მათ კაბინეტში ყველაფერი ორ ეგზემპლარადაა: ორი ერთმანეთთან გადაბმული ხის სავარძელი, ორი ერთნაირი საქაღალდე ერთნაირი საბუთებით, კანონთა ორი კრებული... მუშაობა ამ კაბინეტში, საბუთების გადახედვა, განკარგულებების გაცემა, ხალხის მიღება და ა. შ. მათ აუცილებლად ერთად უნდა შეასრულონ.

სან-მარინოს რესპუბლიკა აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო საქმეებში. მას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა მრავალ სახელმწიფოსთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთანაც. მისი საგარეო პოლიტიკის მუდმივი ხაზია ნეიტრალიტეტი.

სან-მარინოს რესპუბლიკა პოლიტიკურად დამოუკიდებელია, მაგრამ ეკონომიკურად მჭიდროდ უკავშირდება იტალიას. მან არ უნდა აიღოს საბაჟო გადასახადი და არ უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი ფული (მას ცვლის იტალიური ლირა), არა აქვს უფლება თამბაქოს მოყვანისა, არ უნდა ჰქონდეს რადიოსადგური და ტელეცენტრი. იტალია ყოველწლიურად აძლევს მას ფულად კომპენსაციას.

მოსახლეობის უმრავლესობა მისდევს სოფლის მეურნეობას. მოჰყავთ ხორბალი და სიმინდი. განვითარებულია მესაქონლეობა, მევენახეობა და მებაღეობა. მრეწველობის წვრილი საწარმოები უშვებენ ბამბის ქსოვილებს, საღებავებს, საწერ ქაღალდს. აკეთებენ კუსტარულ ნაკეთობებს შუშისაგან, მარმარილოსა და ლითონისაგან, რომლებსაც ტურისტებზე ყიდიან. ტურიზმი მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს. ყოველწლიურად სან-მარინოში დაახლოებით 2 მლნ. ტურისტი ჩადის. შემოსავლის მეორე მნიშვნელოვანი წყაროა მარკები, რომელთა გაყიდვა ბიუჯეტში შემავალი თანხის მეოთხედზე მეტს იძლევა.

დედაქალაქი სან-მარინო მდებარეობს მონტეტიტანოს მწვერვალთან, ოთხ ტერასაზე. მაღალი კედელი ერტყმის ქალაქს და მთის მწვერვალამდე აღწევს. აქ კი მთავრდება ციხესიმაგრით, რომელიც 1525 წელს აშენდა. ქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე, აღმართულია მთავრობის სასახლე. მის წინ დგას თავისუფლების ძეგლი — ქალი. მას ხელში რესპუბლიკის დროშა უჭირავს. ქალაქი იტალიის ქალაქ რიმინის უკავშირდება ელექტროფიცირებული რკინიგზით.

რესპუბლიკაში გავლენიან ძალად ითვლება კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1921 წ.). 1945 წლიდან 1957 წლამდე რესპუბლიკის მთავრობა შედგებოდა კომუნისტებისა და სოციალისტებისაგან. ამ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

საფრანგეთი

საფრანგეთის რესპუბლიკა.
ფართობი — 551,6 ათ. კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 53,4 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პარიზი (დაახლოებით 2,5 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად 10 მლნ.).
სახელმწიფო ენა — ფრანგული.

საფრანგეთი მდებარეობს ევროპის კონტინენტის დასავლეთ ბოლოზე. მისი ბუნებრივი პირობები განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი უჭირავს ჩრდილო საფრანგეთისა და გარონის დაბლობებს. ისინი მაღლდება ცენტრალური მასივის მთლიან პლატოდ, რომლის უმაღლესი წერტილი ჩამჭრალი ვულკანის კონუსებია. აღმოსავლეთი ვოგეზის მთების დაბალ გუმბათებს გასდევს გფრ-ის საზღვარი.

იურის ტყიანი ფერდობი საფრანგეთს შვეიცარიისაგან ყოფს, სამხრეთით ალპების თოვლიანი ქედი მიუყვება, რომლის თავზეც აღმართულია დასავლეთ ევროპის ყველაზე მაღალი მონბლანის მთა (4807 მ.). აქ იყრის თავს სამი სახელმწიფოს — საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის საზღვრები.

საფრანგეთის სახელმწიფო საზღვრების ნახევარზე მეტი ზღვას გასდევს (დაახლ. 3100 კმ). ნორმანდიის ნაპირების პირქუშ შვერილებს ლამანშის ტალღები ეხლება. ლანდის ქვიშოვანი დიუნები ერტყმის ბისკაის ყურის სანაპიროს. ბისკაის წყალმარჩხი ქალაქ არკაშონთან ის რაიონია, სადაც მომრავლებული ჰყავთ ესოდენ ცნობილი ფრანგული ხამანწკა. იქ სადაც ალპები ხმელთაშუა ზღვაში ეშვებიან, მდებარეობს სილამაზითა და ჰავით განთქმული ლაჟვარდოვანი ნაპირი.

საფრანგეთში ბევრი წყალუხვი მდინარეა. დაუღალავი სენა შეუპოვრად მიიკვლევს გზას ოკეანისაკენ და თან მიჰყავს თვითმავალი კარჭაპების გრძელი მწკრივი. მჩქეფარე რონა, რომელიც ხმელთაშუა ზღვისაკენ მიეშურება, ალპების მყინვარებით იკვებება.

საფრანგეთის მცენარეული საფარველი ძირითადად ადამიანის ხელითაა შექმნილი. წარსულში ხშირ ტყეებს ტერიტორიის 1/5 უჭირავს.

ფრანგებს მდიდარი ისტორია აქვთ. მსოფლიო

ცივილიზაციის განვითარებაში მათ დაუფასებელი წვლილი შეიტანეს.

ოდესღაც საფრანგეთში ცხოვრობდნენ გალების კელტური ტომები. ძვ. წ. 50-იან წლებში იულიუს კეისრის ლაშქრობების შედეგად დასრულდა რომაელების მიერ გალების კოლონიზაცია. საფრანგეთის ბევრ ქალაქშია შემორჩენილი ძველი რომაელების ნაგებობათა ნაშთები. პარიზში, რომელიც რომის კოლონიის ლუტეციის ადგილზე დაარსდა, რომაული არენის ნანგრევებია შემორჩენილი. პატარა ქალაქ ნიმის ცენტრალურ ნაწილში დგას ცირკი, ხოლო ნიმის გარეუბანში — აკვედუკი, რომელიც მნახველს ანცვიფრებს ინჟინრული ჩანაფიქრის სრულყოფილებითა და მისი ოსტატური ხორცშესხმით.

ძვ. წ. V ს. საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ ვესტგუთების, ბურგუნდებისა და ფრანკების ტომები. საფრანგეთმა თავისი სახელი ფრანკებისაგან მიიღო, რომლებიც სხვა ტომების დარად, გალ-რომაელ მოსახლეობაში გაითქვიფნენ.

საფრანგეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა IX ს. შუა წლებში, კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ.

ტერიტორიულად საფრანგეთის საზღვრები დადგინდა XV—XVII სს. ამ დროისათვის დადგინდა ფრანგული ენაც. მას საფუძვლად უდევს ხალხური ლათინური, რომაელი ჯარისკაცებისა და ვაჭართა ენა, და საფრანგეთში მცხოვრები სხვა ტომების დიალექტები.

ფრანგმა ხალხმა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა. ლიბერალური აზნაურებისა და ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენლების (ვოლტერი, მონტესკიე, რუსო), ასევე ფილოსოფოს-მატერიალისტების (დიდრო, ჰელვეციუსი) პროგრესულმა იდეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის მომზადებაში საფრანგეთი დიდი სოციალისტ-უტოპისტებისა — სენ-სიმონისა და ფურიეს — სამშობლოა.

საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის ყოველი შემდგომი ეტაპი — 1830 წლის ივლისის რევოლუცია, 1848 წლის თებერვლის რევოლუცია — აღინიშნება ფრანგი მშრომელების პოლიტიკური შეგნების განუხრელი ზრდით. საფრანგეთის მუშათა კლასმა, პირველმა კაცობრიობის ისტორიაში, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო — პარიზის კომუნა. 1871 წ. 18 მარტს შექმნილმა კომუნამ იარსება 72 დღე. იგი სისხლში ჩაახშვეს უცხოელი ინტერვენტების დახმარებით. პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, კომუნარების კედლის ახლოს, სადაც დახვრიტეს პარიზის კომუნის დამცველები, განისვენებენ პროგრესული საფრანგეთის საუკეთესო შვილები. აქაა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივნის მორის ტორეზის საფლავიც (საფრანგეთში XIX ს. რევოლუციურ მოძრაობაზე იხილეთ სტატიები სე ტ. 8).

კომუნარ ეჟენ პოტიეს ეკუთვნის უკვდავი სიტყვები „ინტერნაციონალისა“. მუსიკა დაწერა ფრანგმა მუშამ პ. დეგეიტერმა.

ფრანგულმა პროგრესულმა აზრმა და საფრანგეთის რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი გავლენა იქონიეს რუსი დემოკრატებისა და რევოლუციონერების შეხედულებათა ფორმირებაზე.

1920 წლის დეკემბერში ქალაქ ტურში ყრილობაზე შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის მშრომელი ხალხის ინტერესების ერთგული დამცველი. ეს თავისი მისია საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ საუკეთესო შვილების სისხლით დაამტკიცა. „დახვრეტილთა პარტია“ — ასე უწოდა ფრანგმა ხალხმა ჰიტლერელ ოკუპანტებთან ბრძოლის წლებში მას. ამ ბრძო-

ლაში კომუნისტები წინააღმდეგობის მოძრაობის პირველ რიგებში იდგნენ.

1944 წ. აგვისტოს აჯანყებას, რომელმაც გაათავისუფლა პარიზი ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან, მეთაურობდა კომუნისტი როლ-ტანგი.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა განამტკიცა ფრანგი მფრინავების გმირობამ, მფრინავებისა, რომლებიც ჯერ ეს-კადრილიას, მერე კი „ნორმანდია-ნემანის“ პოლკს შეადგენდნენ და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. ეს საბრძოლო თანამეგობრობა ასევე განამტკიცა საბჭოთა მოქალაქეების გმირობამ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ფრანგ პარტიზანთა ოპერაციებში. არასის ციხის თხრილები. სადაც ჰიტლერელები თავისუფლებისათვის მებრძოლთ უსწორდებოდნენ, პერიგიოს სასაფლაო და ბევრი სხვა ქალაქი სათუთად ინახავენ საბჭოთა ადამიანების სახელებს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ საფრანგეთის მიწაზე ფრანგი ხალხის თავისუფლების დასაცავად, მის გასათავისუფლებლად. პარიზის ერთ-ერთი ხალხმრავალი ქუჩა სტალინგრადის სახელს ატარებს.

ომმა და ჰიტლერელთა მძარცველობამ ძალზე შეარყია საფრანგეთის ეკონომიკა. ფრანგმა პატრიოტმა მშრომელებმა დიდი ჯაფა გასწიეს საფრანგეთის ნაციონალური ეკონომიკის აღსადგენად. კომუნისტური პარტიის მოწოდებით მეშახტეებმა უზრუნველყვეს ქალაქებში გათბობა და სინათლის აღდგენა, ხოლო საწარმოებმა — ენერგიის მიწოდება.

საფრანგეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ნაციონალური პროდუქციის მთლიანი მოცულობის მიხედვით მას კაპიტალისტურ მსოფლიოში მეხუთე ადგილი უკავია.

საფრანგეთის ეკონომიკას ახასიათებს მსხვილი სახელმწიფო, ნაციონალიზებული სექტორი. მის წილად მოდის ქვეყნის ყველა სამრეწველო სიმძლავრეთა $^1/_5$. სახელმწიფო კონტროლს უწევს რკინიგზებს, მას ეკუთვნის პარიზის საქალაქო ტრანსპორტი, სახელმწიფო ელექტროსადგურები მთელი ელექტროენერგიის 80%-ს აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა მონოპოლისტურ კაპიტალს უკავია. კაპიტალის კონცენტრაცია რამდენიმე მსხვილი მონოპოლიის ხელშია, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა 60—70-იან წლებში, რამაც გამოიწვია წვრილ და საშუალო საწარმოთა გაკოტრება.

საფრანგეთში მოიპოვებენ ქვანახშირის, რკინისა და ურანის მადანს, კალიუმის მარილებს, ბუნებრივ გაზს, ბოქსიტებს. ბოქსიტმა თავისი სახელწოდება მიიღო პატარა ქალაქ ბოდან, რომლის ახლოსაც პირველად აღმოაჩინეს ამ მინერალური ნედლეულის მარაგი, ესოდენ აუცილებელი რომ არის ალუმინის წარმოებისათვის. საფრანგეთი ალუმინის წარმოების მხრივ მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა.

კომუნარების კედელი პარიზში პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. აქ დახვრიტეს პარიზის კომუნის უკანასკნელი დამცველები.

ქვანახშირის მთავარი აუზი მდებარეობს ჩრდილოეთში, ბელგიის საზღვართან. ჩრდილო-აღმოსავლეთ ლოტარინგიაში რკინის მადნის ძირითადი მარაგია, აქაა თავმოყრილი მეტალურგიული ქარხნების უმრავლესობა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში იმასთან დაკავშირებით, რომ შემოტანილი ნედლეულის გამოყენება უხდებათ, მეტალურგიულ ქარხნებს აშენებენ სანაპიროებზე — დიუნკერკში და მარსელის ახლოს ფოს-სიურ-მერში. ფოს-სიურ-მერის მეტალურგიული კომპლექსის მშენებლობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი. ელზასი მდიდარია კალიუმის მარილებით. ქიმიური მრეწველობისათვის მეორე მნიშვნელოვან ნედლეულს — გოგირდს — იღებენ გაზის გაწმენდის შედეგად აქვიტანიაში.

ქიმიური მრეწველობა ერთ-ერთი ინტენსიურად განვითარებადი დარგია ეკონომიკისა. ამზადებენ სინთეზურ კაუჩუკს, ხელოვნურ ბოჭკოს,

შამპანის ვენახები. ამ ყურძნისაგან აყენებენ მსოფლიოში განთქმულ ფრანგულ შამპანურს.

პლასტმასებს, მედიკამენტებს. საფრანგეთი ადრიდანვე ცნობილია საპარფიუმერიო ნაწარმით.

წამყვანი დარგების რიცხვს ეკუთვნის საფეიქრო მრეწველობა. მაღალხარისხიან და ლამაზად გაწყობილ ფრანგულ ქსოვილებზე დიდი მოთხოვნილებაა. თითქმის ერთი მესამედი საექსპორტოდ გადის.

მრეწველობის ყველაზე მსხვილი სექტორია მანქანათმშენებლობა. საფრანგეთში მზადდება ყოველნაირი დაზგები, ელექტროტექნიკური მოწყობილობანი, ავტომანქანები, ელმავლები და დიზელიანი ლოკომოტივები. საფრანგეთს სახელი აქვს განთქმული თავისი გემებით. აქ აგებენ დიდ ტანკერებს, გათხევადებული გაზის გადასაზიდ გემებს, კონტეინერების საზიდრებს. სახელმწიფო კომპანიამ „სიუდ-ავიასიონმა“, რომლის ქარხნები ტულუზაშია, ინგლისელ თვითმფრინავმშენებლებთან ერთად შექმნა ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი „კონკორდი“. საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ფრანგმა ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა შეიმუშავეს ფერადი ტელეხედვის სისტემა სეკამი.

საფრანგეთში მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობაა. სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის მხრივ მას მეორე ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ სამყაროში, მხოლოდ აშშ-ს ჩამოუვარდება. საფრანგეთში მოჰყავთ ზომიერი სარტყლის თითქმის ყველა კულტურა — ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, შვრია, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი. მევენახეობა, მებოსტნეობა და მებაღეობა განვითარებულია საფრანგეთის თითქმის ყველა რაიონში. მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული საფრანგეთის ღვინოები. მაგრამ საფრანგეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მაინც მესაქონლეობაა, რომლის წილად სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულების ნახევარზე მეტი მოდის. სელექციონერებმა გამოიყვანეს ხორცისა და რძის მომცემი საქონლის არაჩვეულებრივი ჯიშები.

საფრანგეთში მიმდინარეობს წვრილგლეხურ მეურნეობათა ლიკვიდაცია და იქმნება კაპიტალისტური ტიპის მსხვილი მეურნეობები. ყოველწლიურად ღატაკდება და ნადგურდება მრავალი ათასი გლეხის ოჯახი, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მხარე.

საფრანგეთი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკაა. 1958 წლის კონსტიტუციის თანახმად (1962 წელს მასში შეტანილი იყო მნიშვნელოვანი შესწორება) სახელმწიფოს მეთაურს — პრეზიდენტს — 7 წლის ვადით ირჩევენ. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის წევრებს; არის ჯარების მთავარსარდალი, შეუძლია დაშალოს ეროვნული კრება და დანიშნოს ახალი არჩევნები. პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება: ეროვნული კრებისა და სენატისაგან. საფრანგეთში რამდენიმე ბურჟუაზიული პარტიაა: რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანება (გოლისტები), რესპუბლიკური პარტია, დამოუკიდებელთა და გლეხთა ეროვნული ცენტრი, რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების პარტია, სოციალ-დემოკრატთა ცენტრი, საფრანგეთის დემოკრატიული კავშირი, სოციალისტური პარტია, მემარცხენე რადიკალების მოძრაობა, გაერთიანებული სოციალისტური პარტია და სხვანი.

საფრანგეთის ტერიტორია იყოფა 95 დეპარტამენტად პარიზის ჩათვლით, რომელიც ცალკე დეპარტამენტს წარმოადგენს. ყოველი დეპარტამენტის სათავეში დგას მთავრობის მიერ დანიშნული პრეფექტი: გარდა ცენტრალური მთავრობის მითითებებისა, პრეფექტი ასრულებს დეპარტამენტის არჩევითი ორგანოს — გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებებსაც. დეპარტამენტები იყოფიან კომუნებად. საფრანგეთში დაახლოებით 38 ათასი კომუნაა. თითოეული კომუნა ირჩევს მუნიციპალურ საბჭოს მერის მეთაურობით.

ადრე საფრანგეთს ჰქონდა ფართო კოლონიური იმპერია, რომელიც თავისი სიდიდით მხოლოდ ბრიტანეთს ჩამორჩებოდა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად საფრანგეთის ყოფილმა კოლონიებმა (ალჟირი, კონგო, გვინეა, მადაგასკარი და ბევრი სხვა) დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი უზარმაზარი ქალაქია. აქაა საფრანგეთის უდიდესი სატრანსპორტო კვანძი, აქედან ყველა მიმართულებით მიდის რკინიგზები, გზატკეცილები და სწრაფსავალი ავტოსტრადები. პარიზთან სამი აეროპორტია. ძველ აეროდრომებს ორლისა და ბურჟეს მიემატა შარლ დე გოლის აეროდრომი რუასიში, რომელიც 10 მლნ. მგზავრს ემსახურება წელიწადში. რუანი, რომელიც მდებარეობს სენის ქვემოწელზე, პარიზის საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენს.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ პარიზს კვეთს სენა. სიტეს კუნძული, რომელიც სენაზეა, ისტორიული აკვანი და ქალაქის ცენტრია. აქედან დაიწყო ქალაქის განვითარება. კუნძულზე აღმართულია პარიზის ღვთისმშობლის სახელგანთქმული ტაძარი, XII ს. გოთიკური ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი.

სიტეს ახლოს სენის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ლათინური უბანი — საფრანგეთის სასწავლო დაწესებულებათა უდიდესი ცენტრი. აქაა პარიზის უძველესი უნივერსიტეტი სორბონა, რომლის მეთაურობითაც ახლა საფრანგეთში 70 უნივერსიტეტია, სამი საუნივერსიტეტო ცენტრი, სამი ნაციონალური ინსტიტუტი, რომლებშიც სწავლობს 700 ათასზე მეტი სტუდენტი. ლათინური კვარტალის მეზობლად აღმართულია გუმბათი პანთეონისა, სადაც საფრანგეთის გამოჩენილ ადამიანთა ნეშტი განისვენებს. აქვე, სენის მარცხენა სანაპიროზეა ეროვნული კრებისა და სენატის შენობები. ეროვნულ კრებას უჭირავს ბურბონების სასახლე, სენატს კი — ლუქსემბურგის სასახლე. პრემიერმინისტრის რეზიდენცია მოთავსებულია „ოტელ მატინიონის“ ძველ შენობაში. მის მახლობელ სახლებში განლაგებულია სამინისტროების უმრავლესობა.

პრეზიდენტის რეზიდენცია — ელისეს სასახლე — მდებარეობს სენის მარჯვენა სანაპიროზე. ქალაქის ამ შედარებით ახალ ნაწილს გამოეყოფა გარსკვლავის მოედანი (შარლ დე გოლის მოედანი), საიდანაც მზის სხივებივით მიემართება 12 პროსპექტი. მოედნის ცენტრში დგას დიდებული ტრიუმფალური თაღი, თაღის ქვეშ, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, ანთია მარადიული ცეცხლი. მოედნიდან აღმოსავლეთით მიემართება ქალაქის მთავარი ქუჩა — ელისეს მინდვრები, რომელსაც ამთავრებს თანხმობის მოედნის ანსამბლი. აღმოსავლეთით, ტიუილრის დაბურული პარკის იქით, არის მსოფლიოში ცნობილი ლუვრი — უზარმაზარი სასახლის ანსამბლი, რომლის მშენებლობა დაიწყო XIII ს. და დამთავრდა XIX ს. შუა წლებში. ესაა მსოფლიოს უდიდესი მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ხელოვნების უკვდავი ქმნილებები (იხ. სე. ტ. 12. სტ. „საფრანგეთის ხელოვნება“).



ფერჭედელთა ძველ ქალაქ ლიონში მუშაობს სინთეზური ქსოვილების მსხვილი ქარხანა.

შაიოს სასახლე, სადაც, ჩვეულებრივ, გამოფენები ეწყობა ხოლმე, ტროკადეროს ბაღებთან ერთად ქმნის ანსამბლს, რომლის გაგრძელებასაც თითქოს წარმოადგენს ეიფელის კოშკი და მარსის ველი. კარგა ხნის მანძილზე ეიფელის კოშკი პარიზში ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო. ახლა პარიზის ცისკენ აწვდილან თანამედროვე ცათამბჯენები, რომლებიც საგრძნობლად არღვევენ ქალაქის ისტორიულ იერს.

საფრანგეთის დედაქალაქის სამხრეთ გარეუბანში არის ერთი ვიწრო ქუჩა, მარი-როზის ქუჩა. აქ, ოთხ ნომერში, 1909 წ. ივლისიდან 1912 წ. ივნისამდე არაერთხელ გაჩერებულა ვლადიმერ ილი-

ას ძე ლენინი. ფრანგმა კომუნისტებმა ამ სახლში ლენინის მუზეუმი გახსნეს.

პარიზი მუშა ქალაქია. იგი უშვებს ავტომობილებს, ძრავებს, ჩარხებს, ხელსაწყოებს. სამკერვალო ფაბრიკებმა სახელი გაუთქვეს პარიზს, როგორც მოდების დამკანონებელს.

1871 წლის პარიზის კომუნის მემკვიდრე პარიზის მუშათა კლასი საფრანგეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორგანიზებული რაზმია. ივრი, სენ-დენი, ობერვილე და სხვა მუშათა გარეუბნები შეადგენენ პარიზის ე. წ. „წითელ სარტყელს“. პარიზის გარეუბნებისა და საფრანგეთის სხვა ქალაქების მუშათა რაიონები საფრანგეთის კომპარტიის საიმედო დასაყრდენია.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია (სკპ) ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი პარტიაა საფრანგეთში. მის რიგებში 700 ათასზე მეტი წევრია. იგი იბრძვის მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, ესწრაფვის ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობას, დემოკრატიას, სოციალიზმსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობას. სკპ ძალას არ იშურებს, რათა უზრუნველყოს მემარცხენე ძალების ერთიანობა.

ცენტრალური მასივის აღმოსავლეთით, იქ, სადაც მდინარე სონა უერთდება რონას, მდებარეობს სიდიდით საფრანგეთის მეორე ქალაქი ლიონი. ამ რაიონში ფართოდაა განვითარებული მეტალურგიული, სამშენებლო, ქიმიური, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგები. ლიონელმა ფეიქრებმა, რომლებიც 1831 წ. აჯანყდნენ და შექმნეს თავისი რევოლუციური მუნიციპალიტეტი, დიდების ფურცელი ჩაწერეს საფრანგეთის ისტორიაში.

ხმელთაშუა ზღვის პორტში — მარსელში ოდნავ ნაკლები მცხოვრებია. ტვირთბრუნვის მხრივ მარსელი ქვეყნის ყველაზე დიდი საზღვაო პორტია. ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ პორტიდან რომ გადის, არის ნავთობი, რომელიც აქ შემოდის აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. საფრანგეთის ეკონომიკისათვის საჭირო თითქმის მთელი ნავთობი საზღვარგარეთიდან შემოაქვს. საკუთარი ნავთობი მოთხოვნილების 1%-საც ვერ აკმაყოფილებს. საფრანგეთი ეყრდნობა თავის მაღალგანვითარებულ ატომურ მრეწველობას და ცდილობს, რაც შეიძლება გააფართოოს ატომური ელექტროსადგურების ქსელი. დასახული გეგმის მიხედვით, 1985 წელს ატომურმა ელექტროსადგურებმა ქვეყანას უნდა მისცენ მთელი ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი.

ფრანგი ხალხის უმეტესობის გავლენითა და

პარიზის „წითელი სარტყელი“

სენ-დენი პარიზის ცნობილი „წითელი სარტყლის“ ერთ-ერთი ქალაქია 1967 წ. დიდ პარიზს, რომელიც აქამდე გარეუბნებთან ერთად მთლიანობას ქმნიდა, გამოეყო შვიდი ახალი დეპარტამენტი. თვითონ ქალაქი, რომელიც საგრძნობლად შემცირდა, გადაიქცა განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად. ამ ღონისძიების მიზანი ნათელია: მინიმუმამდე შემცირდეს ქალაქში მცხოვრები მუშების რიცხვი, ძირითადად კომუნისტების ხმის მიმცემთა რიცხვი. ბურჟუაზიას ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდი პარიზის მუნიციპალიტეტის საბჭოს დეპუტატების უმრავლესობა კომუნისტები აღმოჩნდებოდა. ახლა მუნიციპალიტეტის საბჭოები 68 ქალაქისა, რომლებიც პარიზს გარს არტყია, ძირითადად კომუნისტებისაგან შედგება.

სენ-დენის მერი კომუნისტია. აი, რა გვიამბო მან: „ჩვენ მოვგვმართავენ ქალაქის მცხოვრებნი დასახმარებლად, ზოგს რაღაც უჭირს, ზოგს რამე პრეტენზია აქვს, ზოგს — შეკითხვა, და ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რის გაკეთებაც შეგვიძლია. ჩვენ, კომუნისტები პირველად აგვირჩიეს 1945 წ. 25 აპრილს. ჩვენმა მუნიციპალიტეტმა მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. 750 შენობა საცხოვრებლად უვარგისი აღმოჩნდა, 10 ათას ბინაში წყალგაყვანილობა არ იყო, 23 ათას ბინაში — კანალიზაცია.

ახლა როგორღაა? მუნიციპალურ სასლებში აშენდა 8 ათასი ახალი ბინა. მეტსაც ავაშენებდით, მაგრამ მიწა მესაკუთრეთა ხელშია, ფასები კი საოცრად იზრდება. ჩვენი საქმე თავისთავად მეტყველებს, თვალსაჩინო აგიტაციაა. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ დაპირება იციან. ექვს წელიწადში ერთხელ სდება მუნიციპალიტეტის საბჭოების არჩევნები და ჩვენი ამომრჩევლები მუდამ კომუნისტებს აძლევენ სმას. მუნიციპალიტეტმა სენ-დენიში გახსნა მოსახლეობის მომსახურებისათვის სამედიცინო სკოლა, ქალაქში გახსნა ორი ათეული საბავშვო ბაგა და ბაღება. ჩვენს სამშობიარო სახლს თანამედროვე აღჭურვილობით, მოსახსურე პერსონალის კვალიფიკაციით მსრივ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლიან. ბავშვებზე ზრუნვის შედეგი აშკარაა — ომის წინა პერიოდში სენ-დენი ბავშვების სიკვდილობით პირველ ადგილზე იყო საფრანგეთში. ახლა ბავშვთა სიკვდილობა ჩვენთან ყველაზე მცირეა. ბევრს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მოსპოს უმუშევრობა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ამომრჩევლები ყოველთვის ჩვენ, კომუნისტებს, გვაძლევენ სმას.

პარიზის „წითელი სარტყელი“ ძველებურად წითელია.

მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის შეცვლის შედეგად საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა საერთაშორისო საქმეებისადმი უფრო რეალისტური მიდგომა. 1966 წ. მიიღეს გადაწყვეტილება, ჩრდილოატლანტიკური ბლოკის (ნატოს) სამხედრო ორგანიზაციიდან საფრანგეთის გამოსვლის შესახებ. საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი დაადგა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის გზას. საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრების შედეგად დაიდო მნიშვნელოვანი შეთანხმებები. ამ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს შორის ტრადიციული კავშირი და მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა, რომელიც დრომ გამოსცადა, ემსახურება მშვიდობის განმტკიცებას და უშიშროებას ევროპის კონტინენტზე.



უნგრეთი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 93 ათასი კმ².
მოსახლეობა — 10,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბუდაპეშტი (2 მლნ.-ზე მეტი მცხ.).
სახელმწიფო ენა — უნგრული.

უნგრეთი მდებარეობს ევროპის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მას კარპატების უზარმაზარი რკალი არტყია, დასავლეთით ალპების განშტოებანი აღმართულან, ხოლო სამხრეთით, ზედ საზღვართან, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მთები ეკვრის. უნგრეთს დიდი სიმაღლიდან რომ დახედოთ, მისი ტერიტორია მოგაგონებთ უსწორმასწორო ფორმის ჭირბორცვიან უზარმაზარ ლამბაქს. დუნაი ქვეყანას ყოფს ორ არათანაბარ ნაწილად: დიდი ნაწილი აღმოსავლეთითაა, მცირე კი დასავლეთით.

ამ მიწაზე IX საუკუნიდან ცხოვრობენ უნგრელები. შორეულ წარსულში უნგრელები, ანუ მადიარები (უნგრო-ფინური წარმოშობის ხალხი) ურალის ქედის მთისწინეთში ცხოვრობდნენ, მერე ი დატოვეს თავიანთი სამშობლო, სამხრეთ-დასავლეთისაკენ წამოვიდნენ და დასახლდნენ ახლანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე.

XVII ს. უნგრეთი ავსტრიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ უნგრელები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. უნგრელი მშრომელი ხალხი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა, ერთი მხრივ, დამპყრობლებისაგან და, მეორე მხრივ, თავიანთივე ფეოდალებისაგან. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1848—49 წწ. რევოლუცია (იხ. სე ტ. 8. სტ. „უნგრეთის 1848—1849 წლების რევოლუცია და ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ომი“), მიმართული ავსტრიის ბატონობისა და უნგრეთის ფეოდალურ-მემამულური წყობის წინააღმდეგ. თუმცა რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ხალხს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების და უნგრეთის ფეოდალების წინააღმდეგ.

უნგრეთის მუშათა და გლეხთა კლასობრივ თვითშეგნებაზე და რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერია, რომელიც 1914—1918 წწ. იმპერიალისტური ომის დროს დამარცხდა, დაიშალა. უნგრეთი გახდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა. 1919 წლის მარტში უნგრეთის მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა პროლეტარული რევოლუცია და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. „... რუსეთის რევოლუციის მიერ დათესილმა თესლმა ევროპაში იხარა“, — ამბობდა ლენინი უნგრეთის რევოლუციაზე.

უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორი იყო უნგრეთის კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1918 წ.). უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკამ იარსება 1919 წლის 21 მარტიდან იმავე წლის 1 აგვისტომდე. მიუხედავად ასეთი მცირე დროისა, საბჭოთა ხელისუფლებამ მუშათა კლასის სასარგებლოდ მთელი რიგი სოციალური რეფორმები გაატარა. მან მოახდინა მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია, მსხვილი მამულების კონფისკაცია და სხვ. მაგრამ ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა საბჭოთა უნგრეთის წინააღმდეგ მოაწყვეს ინტერვენცია. უნგრეთის მემამულეებმა და კაპიტალისტებმა აღადგინეს თავიანთი ძალაუფლება და უნგრეთი კვლავ მონარქიად აქციეს. დაიწყო უნგრეთის ისტორიის ყველაზე სავალალო პერიოდი, რომელიც მეოთხედი საუკუნე გაგრძელდა.

ფაშისტურ გერმანიასთან დაახლოების შემდეგ უნგრეთის მმართველმა წრეებმა უნგრეთი შეუერთეს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის აგრესიულ პაქტს. უნგრეთის ტერიტორიიდან ფაშისტური გერმანიის არმია გადავიდა ბალკანეთზე. 1941 წლის ივნისში უნგრეთის მთავრობამ ომი გამოუცხადა სსრკ-ს და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადაისროლა მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები. უნგრეთის მთავრობის გამყიდველი პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხმა აშკარა უკმაყოფილება გამოხატა. იატაკქვეშ შეიქმნა უნგრეთის დამოუკიდებელი ეროვნული ფრონტის ორგანიზაციები, რომლის ფარგლებშიც კომუნისტებმა შეამჭიდროვეს უნგრეთის პატრიოტული ძალები.

1945 წლის თებერვალში საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ბუდაპეშტი, 4 აპრილს კი — მთელი უნგრეთი. ეს დღე ეროვნულ დღესასწაულადაა გამოცხადებული და უნგრეთის ისტორიაში მკვეთრი შემობრუნების დღედ ითვლება.

გატარდა აგრარული რეფორმა, ნაციონალიზებულ იქნა ბანკები, ყველა მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმო, ადრე რომ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. 1948 წლის ზაფხულში მშვიდობიანად დასრულდა საერთო დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურში. ხელისუფლება განუყოფლად გადავიდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ხელში.

1949 წელს უნგრეთს ეწოდა სახალხო რესპუბლიკა.

1956 წლის შემოდგომაზე მემარჯვენე რევიზიონისტებმა, რომლებმაც არსებითად დააუძლურეს კომუნისტური პარტია და დაასუსტეს მისი გავლენა, სოციალიზმის კლასობრივმა მტრებმა უნგრეთში საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერით მოახდინეს კონტრრევოლუციური ამბოხება, რათა ჩამოეცილებინათ ეს ქვეყანა სოციალისტური ბანაკისათვის და აღედგინათ კაპიტალისტური წყობა. ეს იყო შეთქმულება, მოწყობილი არა მარტო უნგრელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგაც. უნგრეთის მშრომელებმა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძმური მხარდაჭერით ჩაახშვეს კონტრრევოლუციური ამბოხება და ქვეყანას საშუალება მისცეს, განეგრძო სოციალისტური მშენებლობა.

მომდევნო წლებში უნგრელმა მშრომელებმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის (1918 წლიდან 1956 წლამდე ეწოდებოდა უნგრეთის კომუნისტური პარტია) ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის ყველა სფეროში ახალი დიდი მიღწევები მოიპოვეს. უნგრეთში შექმნილია სოციალისტური საზოგადოების საფუძველი და უნგრეთის მშრომელების ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ ააშენონ განვითარებული სოციალიზმი. ახლა უნგრეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სადაც დიდი რაოდენობითაა თანამედროვე სამრეწველო საწარმოები, მთელს რესპუბლიკაში რომაა რაციონალურად განლაგებული. მრეწველობის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში ახლა 60%-ს აღემატება. სახალხო ხელისუფლების წლებში რეკონსტრუირებულია ძველი საწარმოები, შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები, რომელთა პროდუქცია ომამდე შემოჰქონდათ სხვა ქვეყნებიდან, ახლა კი პირიქით — გააქვთ საზღვარგარეთ.

განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მანქანათმშენებლობა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით ამარაგებს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს. ამზადებენ ბევრ საექსპორტო ნაწარმს: რთულ ჩარხებს, სამთო და სამშენებლო მანქანებს, მუხლუხა ტრაქტორებს, სხვადასხვა ტიპის კომბაინებს, ნავთობის საწარმოო მოწყობილობას, დიზელიან ლოკომოტივებს, რკინიგზის ვაგონებს, ექსკავატორებს, ტროლეიბუსებს, ავტობუსებს, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში კარგად ცნო-

ბილ „იკარუსებს“. ბუდაპეშტის გემთსაშენი უშვებს სამდინარო და საზღვაო დიდ გემებს. ქიმიური მრეწველობის ცენტრი გახდა ახალგაზრდა ქალაქი ყაზინცბარციკა, რომელიც მდინარე ბაიოს ველზე მდებარეობს.

ბუდაპეშტიდან 70 კილომეტრზე აღმოცენდა მეტალურგიის ცენტრი, ქალაქი დუნაუივაროში. აქ საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მეტალურგიული კომბინატი. მსოფლიო ბაზარზე განთქმულია უნგრეთის ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია: მექანიკური ელექტროხელსაწყოები, რადიოაქტიური იზოტოპების ხელსაწყოები და სხვ. ცნობილია, აგრეთვე უნგრეთის რადიომიმღებები და ტელევიზორები, ელექტროწათურები, ნახევარგამტარები და მედიკამენტები.

უნგრეთში კარგი პირობებია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ტერიტორიის 60%-ზე მეტი სახნავ-სათესად ვარგისი ნაყოფიერი მიწაა. აქ ხვნა-თესვისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. მიუხედავად ამისა, ომამდე სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლიდა მიწის უსამართლო განაწილება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონე (მანქანებით იღებდნენ მოსავლის მხოლოდ 3%-ს), ნაკლებმოსავლიანი ჯიშის თესლის გამოყენება და სხვ.

სადღეისოდ უნგრეთის სოფლის მეურნეობა თითქმის სრულიად კოოპერირებულია და აღჭურვილია მანქანებით. დღითიდღე იზრდება მესაქონლეობა, მატულობს ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი. ასევე ფართოვდება მიწის მორწყვაც. მესაქონლეობის მთავარ ცენტრში — დუნანტულში მოშენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯიშები. უნგრეთში დიდად განვითარებულია მეღორეობა, მეფრინველეობა, ბევრი ჰყავთ ცხვარიც, განსაკუთრებით მერინოსი, რომელიც უმაღლესი ხარისხის შალს იძლევა. მარცვლოვანი კულტურებიდან პირველ ადგილზეა ხორბალი. დიდი ფართობი უჭირავს სიმინდის ყანებს, შაქრის ჭარხალს, კარტოფილს, შვრიას, ჭვავს, ბრინჯის ყანებს. უნგრეთში უამრავი ხეხილის ბაღია. კარპატების მთისწინა ტოკაის რაიონში უმთავრესად მევენახეობაა განვითარებული.

უნგრეთში სახალხო ხელისუფლების წლებში საგრძნობლად აიწია მოსახლეობის ცხოვრების დონემ. შემოღებულია სავალდებულო სწავლება 6-დან 16 წლამდე ბავშვებისათვის. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვები შედიან საშუალო (ზოგადსაგანმანათლებლო, სამხატვრო და მუსიკალური გიმნაზიები) სკოლებში, ანდა შიდიან პროფესიულ სასწავლებლებში.

უნგრეთი შეიძლება დაიყოს რამდენიმე რაიონად, რომელთა ბუნებრივი პირობები საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისაგან და ეკონომიკურადაც სხვადასხვაგვარადაა განვითარებული. შუა დუნაის დაბლობი, ანუ ალფიოლდის სტეპი, რომელიც დუნაის აღმოსავლეთითაა გადაჭიმული და შუა დუნაის მცირე დაბლობი (კიშალფიოლდი) ქვეყნის დასავლეთ ნაწილში — ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონებია.

ალფიოლდის დაბლობის ნოყიერი მიწები უნგრეთის ძირითადი მასაზრდოებელი რაიონია, მაგრამ სოფლის მეურნეობის ეს მდიდარი რაიონი ძველთაგანვე ტენის ნაკლებობას განიცდის, განსაკუთრებით გვალვიან წლებში. სწორედ აქ, ალფიოლდის უღრუბლო ცის ქვეშ, თაკარა სტეპში დაიბადა უნგრული ანდაზა: „ყოველი წვეთი წყალი ოქროდ ღირს“.

სახალხო ხელისუფლების წლებში ბევრი რამ გაკეთდა, რომ აღედგინათ უხვმოსავლიანობა ალფიოლდის მინდვრებისა, პირველ რიგში კი ცნობილი ჰორტობადისა, რომელიც თითქმის 300 ათას ჰა-ზეა გადაჭიმული ტისის გასწვრივ. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჰორტობადი უწყლო სტეპი იყო და ადრე გაზაფხულზევე აქ საძოვრები ისე გადაიხრუკებოდა, რომ გადამხმარი ყავისფერი ბალახის მეტი აღარაფერი რჩებოდა.

1950—1954 წწ. პატარა სოფელ ტისალიოკთან აშენდა კაშხალი, გაიყვანეს 100 კილომეტრიანი არხი და ტისის წყალი რწყავს აქაურ ველებს. ერთდროულად მწყობრში ჩადგა ტისალიოკის ჰიდროელექტროსადგურიც. ჰორტობადში გაჩნდა პურის ვრცელი ყანები, სამყურას სათიბები, ჭარხლის ბოსტნები, სიმინდისა და მზესუმზირის ყანები, ბრინჯის პლანტაციები. შეიქმნა საჯიშე საქონლის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები. სტეპებში გაშენდა მუშათა კეთილმოწყობილი დაბები.

1973 წლის გაზაფხულზე კიშკიორესთან ახლოს, მდ. ტისაზე, ამუშავდა ახალი ჰიდროკვანძი. მოირწყვება კიდევ 300 ათასი ჰა ალფიოლდის მი-

წა. ტისის ქვემოწელზე, ჩინგრადის ოლქში, აიგება მესამე ჰიდროკვანძი.

შუა დუნაის მცირე დაბლობი დასერილია შენაკადებითა და დუნაის ტოტებით. აქ უხვი ნალექები მოდის. სოფლის მეურნეობა ამ რაიონში დიდად განვითარებულია და მიწა ბარაქიან მოსავალს იძლევა.

ორი სხვა რაიონი — დუნაის გაღმა ოლქი (დუნანტული) და ჩრდილოეთი მხარე, უმთავრესად, სამრეწველო რაიონებია. დუნანტულის ტერიტორიას კვეთს დაბალი მთაგრეხილი, რომელიც ხშირი ფოთლოვანი ტყითაა დაფარული. აქ განვითარებულია მებაღეობა, განსაკუთრებით მევენახეობა. დუნაის გაღმა ოლქის მთებში იღებენ ბევრ სასარგებლო წიაღისეულს. ბოქსიტების მარაგით უნგრეთი მსოფლიოში ერთი პირველთაგანია. ნადკანიჟი ნავთობის რაიონის ცენტრია, ეს რაიონი მარტო ნავთობს კი არა, ბუნებრივ გაზსაც იძლევა. ამ გაზს იყენებენ საწარმოო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. აქვეა უნგრეთის უდიდესი ქვანახშირის აუზიც.

ჩრდილოეთი მხარე უფრო მთიანია. უნგრეთის ყველაზე მაღალი მთის მასივია მატრა, რომლის მწვერვალია კეკეში (1015 მ). აქ არის მურა ნახშირისა და უნგრეთში ერთადერთი რკინის საბადო. აქვე მოიპოვებენ მარგანეცსა და ფერად ლითონს. ამავე რაიონშია უნგრეთის მძიმე ინდუსტრიის მზარდი ცენტრი ბორშოდ-მიშკოლცი (მეტალურგია, ქიმია, ენერგეტიკა). დაბალი მთის ფერდობები, ალფიოლდისაკენ რომაა დახრილი, მიწათმოქმედებისთვისაა გამოყენებული. აქ არის ვენახები, ვრცელი მდელოები კი საძოვრებადაა გამოყენებული, რაც ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას.

დუნაი უნგრეთის მიწაზე 400 კმ-ზე მიედინება. ესაა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სამდინარო გზა. იგი აკავშირებს უნგრეთს სხვა დუნაისპირა სახელმწიფოებთან. დუნაის ნავსადგურ ჩეპელში (ბუდაპეშტშია) შესვლა შეუძლიათ საზღვაო გემებს შავი ზღვიდან. უნგრეთის მეორე დიდი მდინარეა ტისა.

უნგრეთის დასავლეთ ნაწილში, ბაკონის მთაგრეხილის ძირას, 80 კმ-ზეა გადაჭიმული შუა ევროპის ყველაზე დიდი და ცნობილი ბალატონის ტბა. მისი წყლის ზედაპირი 600 კმ²-ს უდრის. ბალატონის სანაპირო ერთ-ერთი უდიდესი ევროპული კურორტია. აქ მრავალი ჯანმრთელობის კერაა როგორც დიდებისათვის, ისე პატარებისათვის.

უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი დუნაის ორივე ნაპირზეა გაშენებული. ბუდა ქალაქის უძველესი ნაწილია თავისი ვიწრო და მოკლე ქუჩებით. ეს რაიონი მდინარის მარჯვენა ნაპირის ბორცვებზე მდებარეობს და ალაგ-ალაგ ციცაბო ფერდობებად ეშვება დუნაისაკენ. ბუდის ირგვლივ აგარაკები და ვილებია. ადრე ეს აგარაკები და ვილები მდიდარ მრეწველებსა და ფინანსისტებს ეკუთვნოდათ, ახლა კი ეს შენობები გადაკეთდა სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად. ჩილებერცის მთაზე აიგო უდიდესი პიონერთა ბანაკი, აქ მთის ულამაზეს ადგილებში გადის პიონერთა რკინიგზა.

პეშტი მარცხენა სანაპიროს ვაკეზე მდებარეობს. პეშტის სამი ხეივანი, ნახევარწრედ რომ ერტყმის ქალაქს, დუნაის სანაპიროს ებჯინება. ეს ხეივნები დასერილია რადიუსული ქუჩებით და უამრავი კვარტალებია გაშენებული. ეს რაიონი დედაქალაქის ყველაზე საქმიანი ნაწილია. აქაა თავმოყრილი მთავრობის თითქმის ყველა დაწესებულება, სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები. დუნაის სანაპიროზე აღმართულია გოთიკური სტილით ნაშენები პარლამენტის ულამაზესი შენობა. ეს შენობა 20 წლის განმავლობაში შენდებოდა და დამთავრდა 1904 წელს. თითქმის მის პირდაპირ, დუნაის მეორე ნაპირზე, მეფის ყოფილ სასახლეში, ბუდაში, ნაციონალური კულტურის დიდი ცენტრია შექმნილი. აქ გადმოტანილია ეროვნული გალერეა, ეთნოგრაფიული და ისტორიული მუზეუმი, უახლესი ისტორიის მუზეუმი და სხვა დაწესებულებები. აქვე დაიწყო თავისი მეორე სიცოცხლე ცნობილმა სასახლის თეატრმა.

მეცნიერებისა და კულტურის ამ სასახლის გვერდით, ზედ მდინარის ნაპირას, აღმართულია გელერტის მთა; მის მწვერვალზე დგას ძეგლი, რომელსაც მთელი ბუდაპეშტი და მისი ახლომახლო მუშათა გარეუბნები ხედავენ. ეს არის გრანიტის კვარცხლბეკზე აღმართული უზარმაზარი ბრინჯაოს ქალის ფიგურა, რომელსაც მაღლა უჭირავს პალმის რტო. ქალი თავისუფალი უნგრეთის გამოხატულებაა. მაღალი კვარცხლბეკის ძირას კი აღმართულია დროშიანი საბჭოთა მეომრის ფიგურა. კვარცხლბეკზე ოქროს ასოებითაა ამოკვეთი-



გელერტის მთაზე აღმართული თავისუფლების მონუმენტი. გამოხატავს უნგრეთის აღორძინებას და საბჭოთა მეომრების გმირობის მარადიულ ხსოვნას, მეგობრებისა, რომლებმაც თავი დადეს უნგრეთის განთავისუფლებისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს.

უნგრელი მოსწავლეები — უფროსკლასელები ზაფხულს ატარებენ მოხალისეთა შრომით ბანაკებში. ისინი ეხმარებიან გზების მშენებლობებში, მოსავლის მოყვანა-აღებაში. სურათზე. ნადკატელი საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონები სახელმწიფო მეურნეობის ვენახში.



ბუდაპეშტი. ჩეპელის კომბინატი — უნგრეთის მძიმე მრეწველობის ცენტრი.

ლი: „გამათავისუფლებლებს — საბჭოთა გმირებს, მადლიერი უნგრელი ხალხისაგან“.

ქალაქში ბევრია მანქანათმშენებელი ქარხანა, საფეიქრო და ქიმიური საწარმო. მათ შორის ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოებია, როგორიცაა მძიმე მრეწველობის ჩეპელის კომბინატი, სატრაქტორო, ვაგონმშენებელი და საავტომობილო ქარხნები, გემთმშენებელი ვერფები.

გასული საუკუნის ბოლოს ბუდაპეშტში მწყობრში ჩადგა მიწისქვეშა შვიდკილომეტრიანი გზა, რომელიც პირველი იყო კონტინენტურ ევროპაში. ხოლო უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავისათვის გაიყვანეს ოცკილომეტრიანი მეტროს ახალი ხაზი, რომელიც გადის დუნაის ქვეშ და აერთებს პეშტის აღმოსავლეთ ნაწილს ბუდას ცენტრთან. ამ ოცკილომეტრიანი მეტროს მშენებლობაში უნგრელ ხალხს ეხმარებოდნენ საბჭოთა სპეციალისტებიც.

ჩრდილოეთი მხარის ცენტრში, ქალაქ მიშკოლცში, ბევრი სამრეწველო საწარმოა. აქვეა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ქალაქი დებრეცენი ვრცელი აღმოსავლეთი რაიონის ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ქვეყნის სამხრეთით, ტისის სანაპიროზე, გაშენებულია სეგედი, სამხრეთ უნგრეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქი.

დუნაისგაღმა სამხრეთი ნაწილის ყველაზე დიდი ქალაქია პეჩი. იგი, ისევე როგორც ბუდაპეშტი, ორი ათასი წლისაა. პეჩი ცნობილია უნივერსიტეტით, რომელიც 1300 წ. დაარსდა. აქვეა განთქმული ფაიფურის ქარხანა „ჟოლნაი“. აქ თავის დროზე ცხოვრობდნენ უნგრეთში გადმოხვეწილი მეზღვაურები ჯავშნოსან „პოტიომკინისა“, რომელიც 1905 წელს ცარიზმს აუჯანყდა. მათმა რევოლუციურმა სულისკვეთებამ მსოფლიო ომებს შუა პერიოდში დიდი გავლენა იქონია ქალაქის მშრომელებზე. ისინი არაერთგზის გამოვიდნენ რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ.

უნგრეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი სახელმწიფო კრება, უმაღლესი ორგანო სახელმწიფო მმართველობისა არის მინისტრთა საბჭო (1972 წლამდე ეწოდებოდა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა).

უნგრეთი აფართოებს ძმურ ურთიერთობას სოციალისტურ ქვეყნებთან, ასევე ისწრაფვის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განავითაროს პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი სხვა ქვეყნებთან. უნგრეთი წევრია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსი (ეუს) და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეცაა. უნგრეთის საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 70% სოციალისტურ ქვეყნებზე მოდის, რომელთაგანაც იგი იღებს რკინის მადანს, ხელოვნურ კაუჩუკს, მინერალურ სასუქებს, ხე-ტყის მასალას, ბამბას, ბუნებრივ გაზს. ნავთობსადენით „მეგობრობა“ უნგრეთში მოდის საბჭოთა ნავთობი, ხოლო ელექტროენერგია გადმოიცემა მაღალძაბვიანი ენერგოსისტემით „მშვიდობა“. მოძმე ქვეყნებს უნგრეთი აწვდის მანქანებს, ელექტროტექნიკურ ნაწარმს, მედიკამენტებს და სხვა პროდუქციას. ჭეშმარიტად ძმური დამოკიდებულება აკავშირებს უნგრეთსა და სსრკ-ს. ამ ურთიერთობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრკ-უნგრეთის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ფინეთი

ფინეთის რესპუბლიკა.
ფართობი — 337 ათასი კმ².
მოსახლეობა — 4,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ჰელსინკი (515 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენები — ფინური და შვედური.

ჩრდილოეთით, ბარენცის ზღვის ახლოს, გასდევს ჩვენი ქვეყნის საზღვარი ფინეთთან და მთავრდება ბალტიის ზღვის სანაპიროსთან.

ფინეთს ხშირად ათასი ტბის ქვეყანას უწოდებენ. მაგრამ ეს მხოლოდ პოეტური თქმაა, სინამდვილეში ფინეთში 60 ათასი დიდი და მცირე ტბაა. უფრო სწორი იქნებოდა, ფინეთისათვის ტყეთა ქვეყანა ეწოდებინათ. ფინეთის ტერიტორიის შვიდი მეათედი ტყითაა დაფარული და ნახევარზე მეტი მათ შორის ფიჭვნარია. ფიჭვს მოსდევს სინესტისმოყვარული ნაძვი, მერე კი — არყის ხეები.

ტყე ფინეთის ნაციონალური ეკონომიკის საფუძველია. ფინეთში მზადდება ყველაფერი, რაც



კი შეიძლება ხისაგან დამზადდეს: მორები, ფიცრები, შახტის თაღების გასამაგრებელი ხე-ტყე, ცელულოზა, ქაღალდი, ავეჯი, ასანთი, სტანდარტული სახლები, მუყაო, ხელოვნური აბრეშუმი, სპირტი. საოკეანო გემებითა და მატარებლებით გააქვთ ეს საქონელი სხვადასხვა ქვეყანაში და თუმცა ახლა მრეწველობის სხვა დარგებიც ვითარდება, მაინც არავინ ივიწყებს აქ, რომ ყველა ისინი წარმოიშვა სატყეო მეურნეობის, ხის სახერხი, ქაღალდის ფაბრიკების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ტყე ტბების ნაპირებს ეკვრის. ტბებზე და მდინარეებზე აცურებენ ხე-ტყეს. სრუტეებითა და მდინარის ტოტებით ფინეთის ტბები ერთმანეთს ებმის და ქმნის წყლის სისტემებს — იაფ სატრანსპორტო გზას. სისტემა, რომელიც დაკავშირებულია საიმის ტბასთან, ყველაზე დიდია, მაგრამ ზღვაში ბუნებრივი გასასვლელი არა აქვს. და აი, გასული საუკუნის შუა წლებში გაიყვანეს საიმენის არხი.

ჩვენი ქვეყნისა და ფინეთის ერთიანი ძალებით საიმენის არხი, რომელიც ნაწილობრივ საბჭოთა ტერიტორიაზე გადის და ფინეთის ყურეს უერთდება ქალაქ ვიბორგთან, გააღრმავეს და გადააკეთეს. საბჭოთა ქვეყანამ იჯარით გადასცა ფინეთს საიმენის არხის საბჭოთა ნაწილი. აღმოსავლეთი და ცენტრალური ფინეთიდან ამ უმოკლესი სამდინარო გზით გადიან დიდი საზღვაო გემები. სახნავ-სათესი მიწები თითქოს ტყეებსა, ტბებსა და ჭაობებს შორის მომწყვდეულა. მრავალი თაობა ებრძოდა ტყეს, რომ მისთვის ერთი მტკაველი მიწა გამოეგლიჯა. მიწაზე იმდენი ქვა და ღორღი ყრია მყინვარებისაგან ჩამოტანილი, რომ არც თუ ისე ადვილია მათი გაწმენდა და სახნავად გამოყენება. თანდათანობით, წლიდან წლამდე წმენდდნენ გლეხები ქვა-ღორღისაგან სახნავ მიწებს, საყანე მიწის კიდეებზე ყრიდნენ ამ ქვა-ღორღს. ასე წარმოიშვა ქვის ყორეები, რომლებიც გლეხების ნადელებს ერთმანეთისაგან ყოფს.

ნორვეგიის თბილი დინება (ჩრდილო-ატლანტიკურის გაგრძელება) რამდენადმე არბილებს ფინეთის ჰავას, მაგრამ მიწათმოქმედებისათვის ეს ჰავა მაინც მკაცრია. ღამით ივლისშიც კი სუსხი იცის; გაზაფხულზე ეს სუსხი ხშირად ანადგურებს ნათესებს, მაგრამ ფინელებმა კულტურული მცენარეების ისეთი ჯიშები გამოიყვანეს, რომლებიც კარგად ეგუებიან ჩრდილოეთის პირობებს. მკაცრი ჰავისა და სახნავი მიწების სიმცირის მიუხედავად, ფინელები ახერხებენ ქერის, ჭვავის, ხორბლისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებას. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია სარძევე მესაქონლეობა. სათესი მიწების ნახევარზე მეტს საქონლის საკვებ კულტურებს უთმობენ.

ფინეთის ეკონომიკა მსხვილი კაპიტალის ხელშია, რომელიც ორი ბანკის — ეროვნული სააქციონერო ბანკისა და ჩრდილოეთის გაერთიანებული ბანკის ირგვლივაა დაჯგუფებული. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ყველა მსხვილ სამრეწველო კორპორაციასთან.

60—70-იან წლებში ფინეთის მრეწველობა სწრაფად განვითარდა, ტრადიციულ ხისდამმუშავებელ და ქაღალდის მრეწველობის გვერდით აღმოცენდა სწრაფადგანვითარებადი ახალი დარგებიც, კერძოდ, ლითონდამმუშავებელი მრეწველობა.

საბჭოთა კავშირის დახმარებით ქალაქ რახეში

აშენდა მეტალურგიული კომბინატი „რაუტარუუკი“. ქალაქ ლოვისას ახლოს აშენდა პირველი და შენდება მეორე ატომური ელექტროსადგური, ასევე სსრკ-ის დახმარებით. საბჭოთა კავშირის დიდი შეკვეთების წყალობით ფინეთში სწრაფად იზრდება გემთმშენებლობა. ჰელსინკისა და ტურკუს ვერფებში აგებენ დიდ ყინულმჭრელებსა და სავაჭრო გემებს.

ფინელები დახელოვნებული მშენებლები არიან. ისინი მონაწილეობას იღებენ ელექტროსადგურების, სატყეო დაბების, სასტუმროების მშენებლობაში საბჭოთა ტერიტორიაზე. ჩვენი ქვეყნის ქალაქების საზოგადოებრივ შენობებს ფინეთი ამარაგებს ავეჯითა და სხვა მოწყობილობებით.

გასული საუკუნის შუა წლებში, ტყის სიმდიდრის ათვისებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გამოცოცხლდა ფინეთის ეკონომიკა. ამან გამოიწვია ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების აღორძინება.

უდიდესმა საზოგადო მოღვაწემ და ხალხური ხელოვნების დიდმა მცოდნემ ე. ლიონროტმა შეაგროვა და გამოსცა კარელია-ფინეთის ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ასე დაიბადა შესანიშნავი და მთელ მსოფლიოში ცნობილი „კალევალას“ ეპოსი (1849). ამან სტიმული მისცა ფინეთის ეროვნული კულტურის შემდგომ განვითარებას. ფინეთის ლიტერატურამ, მხატვრობამ, მუსიკამ და მეცნიერებამ მსოფლიოს მისცეს უდიდესი მოღვაწენი, როგორებიც არიან: მწერალი ა. კივი, მხატვარი ა. ჰალენ-კალელა, კომპოზიტორი ი. სიბელიუსი.

სახალხო სკოლების სისტემა არსებობს 1861 წლიდან. 1921 წლიდან ფინეთში დაკანონდა ბავშვების საყოველთაო სავალდებულო ექვსწლიანი უფასო სწავლება. ერთიანი სასკოლო სისტემის კანონი ითვალისწინებს ცხრაწლიანი ზოგადი განათლების თანდათანობით შემოღებას.

ფინეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ცხოვრობს. ფინეთის ყველაზე ძველი ქალაქია ტურკუ. ის XIII საუკუნეში შვედებმა დააარსეს როგორც ციხესიმაგრე და აქედან შეუდგნენ ქვეყნის დაპყრობას. დიდხანს იყო ეს ქალაქი დაპყრობილი მხარის დედაქალაქი. 1640 წელს აქ გაიხსნა ფინეთში პირველი უნივერსიტეტი. ადრე ქალაქი ხისა იყო და ისევე, როგორც ფინეთის ქალაქების უმრავლესობა, არაერთხელ გადაბუგულა. ახლა ტურკუ თანამედროვე ქალაქია. ძველი ქალაქიდან დარჩა ქუჩა-მუზეუმი „ძველ ხელოსანთა ქუჩა“.



ქალაქ ლოვისის მახლობლად საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა ატომური ელექტროსადგური: სურათზე: ასე გამოიყურებოდა რეაქტორული დარბაზი სამონტაჟო მუშაობის დროს.

ქალაქი ტამპერე შედარებით ახალგაზრდაა და მისი მცხოვრებლები იმით ამაყობენ, რომ მათ ქალაქში ელექტროგანათება გაიყვანეს ჯერ კიდევ 1882 წელს, ე. ი. ევროპის ბევრ ქალაქზე უფრო ადრე; ტამპერე საფეიქრო, ქაღალდის, ფეხსაცმლისა და ტყავის მრეწველობის ცენტრია. სამრეწველო ქალაქებში ფაბრიკები, ჩვეულებრივ, გარეუბნებშია განლაგებული. ტამპერეში პირიქითაა, ყველაზე მსხვილი ქარხნები და ფაბრიკები ცენტრშია თავმოყრილი, ხოლო საცხოვრებელი კვარტალები — გარეუბნებში. ეს იმიტომ ხდება, რომ ტამპერე აღმოცენდა ფაბრიკების გარშემო ორ ტბას შორის გამავალ ვიწრო ყელზე. ტბების დონე სხვადასხვანაირია და მათ შორის, მდინარის ტოტზე, ძლიერი ჩანჩქერია. ჩანჩქერზე აშენებულია ჰიდროელექტროსადგური.

1905 წელს ტამპერეში (მისი შვედური სახელწოდებაა ტამერფორსი) შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I კონფერენცია, რომელზედაც ვ. ი. ლენინი სიტყვით გამოვიდა. ამ სახლში „ფინეთ-სსრკ“-ის საზოგადოებამ ვ. ი. ლენინის მუზეუმი დააარსა. ვლადიმერ ილიას ძე არაერთხელ დამალვია ფინეთში მეფის მთავრობას. სულ 26-ჯერ იყო იგი ფინეთში, ხოლო მთლიანად სამი წელი დაჰყო იქ. 1917 წლის შემოდგომაზე

უკანასკნელად იქ მოუხდა იატაკქვეშეთში ყოფნა. ჰელსინკში, ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე, დაამთავრა ვ. ი. ლენინმა თავისი სახელგანთქმული ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“.

ლახტი — სიდიდით მეოთხე ქალაქი — განთქმულია ავეჯის ფაბრიკითა და თხილამურით სახტომი ტრამპლინებით. ქალაქში ხშირად იმართება მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებები. ფინელებისათვის თხილამურები მიმრსვლის საშუალებაცაა. საერთოდ, ფინეთში სპორტის სხვა სახეობებსაც დიდი ყურადღება ექცევა.

ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი მარტო მთავრობის ადგილსამყოფელი როდია, იგი დიდი სამრეწველო ქალაქია, ნავსადგური და ქვეყნის კულტურული ცხოვრების ცენტრია. ქალაქი ნახევარკუნძულზე მდებარეობს, რომლის ირგვლივაც უამრავი პატარა თუ დიდი ტყიანი და კლდოვანი კუნძულია. კუნძულიდან კუნძულზე მსუბუქი ხიდებია გადებული. თითოეული კუნძული თავისებურადაა ცნობილი. სეურასაარის კუნძულზე ძველი სოფლის მუზეუმია. აქ ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოტანილია ძველი გლეხური სახლები თავიანთი მორთულობითურთ. მეორე კუნძულზე ზოოლოგიური ბაღია გაშენებული. ოთხ კუნძულზე სუომენლინის ძველი ციხესიმაგრეა, შვედურად სვეაბორგი ჰქვია.

ჰელსინკში და ფინეთის სხვა ქალაქებში ბევრი სკულპტურული ძეგლია. აქაა ცნობილი ადამიანების ძეგლებიცა და ალეგორიული ქანდაკებებიც, რომლებშიც გამოსახულია სხვადასხვა პროფესიის ხალხი ანდა ისტორიული ეპიზოდები; ჰელსინკის ცენტრში აღმართულია ე. ლიონროტის ძეგლი. თავისი ჩანაფიქრით ძალიან ორიგინალურია კომპოზიტორ ი. სიბელიუსის ძეგლი.

ჰელსინკის მთავარ პროსპექტზე აღმართულია დიდებული შენობა, გრანიტის სვეტებით და გრანიტისავე განიერი კიბეებით. ეს ფინეთის პარლამენტია (ფინელები მას ედუსკუნტას ეძახიან). ფინეთი პარლამენტური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც 6 წლით ირჩევენ. საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც 200 დეპუტატისაგან შედგება და ირჩევენ 4 წლით.

ფინეთში მრავალი პარტიაა: სოციალ-დემოკრატიული, ცენტრის, ეროვნულ-კოალიციური, შვედური სახალხო, ლიბერალური სახალხო, კონსტიტუციონალისტური სახალხო, ხალხის ერთიანობის, სასოფლო, ქრისტიანული კავშირი და სხვანი.

კომუნისტური პარტია, რომელიც 1918 წელს შეიქმნა, წამყვან როლს ასრულებს ფინეთის სახალხო დემოკრატიულ კავშირში — პროგრესულ ძალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციაში.

500 წელზე მეტ ხანს გმინავდა სუომი (ასე უწოდებენ ფინელები თავის სამშობლოს) შვედეთის უღელქვეშ. XIX ს. დასაწყისში ფინეთი მეფეს რუსეთმა შეიერთა. რაკი ფინეთში სწრაფი ტემპით იზრდებოდა კაპიტალიზმი და ამავე დროს ფინეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა ჰქონდა, მეფის მთავრობა დათმობაზე წავიდა, რათა გადმოებირებინა ფინეთის ბურჟუაზია. ფინელებმა მიიღეს ერთგვარი თვითმმართველობის უფლება. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით, რომელსაც ფინეთის მშრომელი ხალხი აქტიურად უჭერდა მხარს, ფინელებმა აიძულეს ცარიზმი და ადგილობრივი არისტოკრატია, გაეუქმებინათ წოდებრივი პრივილეგიები და მიაღწიეს საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას ფინეთის პარლამენტის არჩევნებში. ფინეთი იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც ქალმა მიიღო ხმის უფლება; მრავალი წელი ერთად ებრძოდნენ რუსი და ფინელი რევოლუციონერები საერთო მტერს — ცარიზმს. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოიპოვა სუომმა დამოუკიდებლობა. პირველი ქვეყანა, რომელმაც ფინეთის დამოუკიდებლობა ცნო, საბჭოთა რუსეთი იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ომისა, რომელშიც ფინეთი ჰიტლერულმა გერმანიამ ჩააბა, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები მოხდა. კომუნისტური პარტია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და საშუალება მიეცა, აქტიურად ემოქმედა და ფინეთის პროგრესული ძალები მშვიდობისა და დემოკრატიისათვის დაერაზმა.

ახორციელებდა რა ომისშემდგომ წლებში აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, ფინეთმა ბევრი რამ გააკეთა საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვისათვის. კერძოდ, უნდა აღინიშნოს ევროპის უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის თათბირის მომზადებასა და ჩატარებაში მისი ენერგიული მონაწილეობა. ამ თათბირის დასკვნითი მესამე ეტაპი 35 ქვეყნის ხელმძღვანელთა მო-

ნაწილობით შედგა ჰელსინკში 1975 წელს. კიდევ უფრო მტკიცდება კეთილმეზობლური დამოკიდებულება და მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. კერძოდ, ამაზე მეტყველებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 1948 წ. სსრკ-სა და ფინეთს შორის და გაგრძელებულია 1990 წლამდე. ეს ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ფინეთისა და სსრკ-ის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის უსაფრთხოებას, წარმოადგენს ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობის მნიშვნელოვან ფაქტორს. წლითიწლობით სულ უფრო და უფრო ვითარდება სავაჭრო და კულტურული კავშირი ჩვენს ქვეყნებს შორის. სულ უფრო და უფრო ფართოვდება თანამშრომლობა სამრეწველო ობიექტების მშენებლობისას.



შვეიცარია

შვეიცარიის კონფედერაცია.
ფართობი — 41,3 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 6,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბერნი (დაახ. 140 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენები — გერმანული, ფრანგული, იტალიური.

ბევრ ახალგაზრდა ფილატელისტს კოლექციაში ალბათ აქვს მარკა, რომელზეც გამოსახულია მწვანექურთუკიანი ბიჭი. ბიჭს ხელში ძველებური მშვილდი — არბალეტი უპყრია, თავზე ისარგარჭობილი ვაშლი ადევს. ეს ბიჭი ლეგენდარული მშვილდოსნისა და თავისი სამშობლოს, შვეიცარიის თავისუფლებისათვის მებრძოლის ვილჰელმ ტელის შვილია. თაობიდან თაობაზე გადადიოდა ამბავი უბრალო მონადირის ტელისა, რომელმაც უარი თქვა შეესრულებინა ავსტრიის იმპერატორის (იმ დროს შვეიცარიის მიწების მფლობელის) ნაცვალის დამამცირებელი ახირება, თაყვანი ეცა ჭოკზე ჩამოცმული მისი ქუდისათვის. გაცოფებულმა ტირანმა დააჭერინა ვილჰელმ ტელი და დასასჯელად უბრძანა, შვილის თავზე დადებული ვაშლი ისრით გადმოეგდო. ისარი გაერჭო ვაშლს ისე, რომ ბიჭს არაფერი დაშავებია. მეორე ისარმა გული გაუგმირა ტირანს. ატყდა სახალხო აჯანყება და დამპყრობლები შვეიცარიიდან განდევნეს.

ამას ამბობს ლეგენდა. სინამდვილეში შვეიცარიელი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბევრად უფრო მძიმე და ხანგრძლივი იყო. 1291 წ. სამი მთიანი კანტონი — შვიცი (აქედან დაერქვა შვეიცარიას სახელი), ური და უნტერვალდენი შეერთდნენ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. თანდათან ამ სამ კანტონს შეუერთდა სხვა კანტონებიც: ციურიხი, ლიუცერნი, ბერნი, ჟენევა. XIX ს. დასაწყისში შეიქმნა შვეიცარიის კონფედერაცია, რომელიც 22 კანტონისაგან შედგებოდა. საკანონმდებლო ძალაუფლება კონფედერაციაში ეკუთვნის ფედერალურ კრებას, იგი შედგება ორი პალატისაგან: ეროვნული საბჭოსა და კანტონთა საბჭოსაგან. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ფედერალური საბჭო (მთავრობა), რომელშიც შედიან ფედერალური მრჩევლები (მინისტრები).

სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია კონფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ რიგრიგობით ფედერალურ მრჩეველთა რიცხვიდან ერთი წლით. კანტონები ფართო უფლებებით სარგებლობენ: თითოეულს თავისი მთავრობა და პარლამენტი აქვს, აწესებს ადგილობრივ გადასახადებს და წყვეტს სხვა ბევრ საკითხს. ამიტომაა, მაგალითად, რომ ერთ კანტონში სასწავლო წელი იწყება შემოდგომაზე, მეორეში — გაზაფხულზე; არ ემთხვევა არც სასკოლო პროგრამა.

შვეიცარიაში რამდენიმე პარტიაა: სოციალ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული, დემოკრატიულ-ქრისტიანული, სახალხო, დამოუკიდებელთა და ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი.

მშრომელთა ინტერესებს იცავს შვეიცარიის შრომის პარტია (შეიქმნა 1944 წ. კომპარტიის ბაზაზე).

მოსახლეობა ლაპარაკობს ოთხ ენაზე. მრავალრიცხოვანი მოსახლეობის სამი ჯგუფიდან თითოეულისათვის მშობლიურ ენას წარმოადგენს: ფრანგული, გერმანული ან იტალიური, ამავე დროს ხშირად ერთი კანტონის მცხოვრებლებს არ ესმით მეზობელი კანტონის მცხოვრებთა ენა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 5 ათასი შვეიცარიელი ლაპარაკობს რეტორომანულ ენაზე.

1815 წ. გამოცხადდა შვეიცარიის მუდმივი ნეიტრალიტეტი და დღემდე მას არ მიუღია მონაწილეობა ევროპაში მიმდინარე არც ერთ ომში. შვეიცარიული ბურჟუაზია გამდიდრდა მეომარ მხარეებთან ვაჭრობით. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რომელიც შედის ინდუსტრიის მხრივ კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნების რიცხვში. მას მუშებისა და ინჟინრების კვალიფიკაციის მხრივ, სამრეწველო ნაწარმის ხარისხის მიხედვით (რომლის ნახევარზე მეტი საექსპორტოდ მიდის), მოგების სიდიდის მხრივ (რასაც შვეიცარიის ბურჟუაზია იღებს შვეიცარიაშივე თუ მის ფარგლებს გარეთ მქონე საწარმოთა მუშების შრომისაგან) ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. „როცა დაინახავთ, რომ შვეიცარიელი ბანკირი ფანჯრიდან ხტება, მსწრაფლ მიბაძეთ მას, არასდროს წააგებთ ჰკუას!“ რარიგ ოხუნჯურიც უნდა გვეჩვენოს ეს ანდაზა, იგი ზუსტად გამოხატავს შვეიცარიის ბურჟუაზიის ფხიანობასა და მოქნილობას.

შვეიცარიის მრეწველობა ძირითადად შემოტანილ ნედლეულს ამუშავებს. ქვეყანა ღარიბია საბარგებლო წიაღისეულით და სათბობით. მაგრამ ალპების მრავალრიცხოვანი ჰიდროსადგურები იძლევა იაფ ელექტროენერგიას. ამიტომაც ყველა საწარმო და ქვეყნის მთელი რკინიგზა ელექტრონზე მუშაობს.

ქვეყნის ტერიტორიის სამი მეხუთედი მთებსა და ტბებს უკავია და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარია. მიწათმოქმედება ვერ აძლევს ქვეყანას საჭირო პურის მარაგის ნახევარსაც კი. შვეიცარიაში მოშენებული ჰყავთ კარგი წველადობის მქონე ცნობილი ჯიშის ძროხები — სიმენტალის და შვიცის ჯიშისა. შვეიცარია ცნობილია რძითა და ყველით, ასევე შოკოლადით.

შვეიცარიის დიდი ქალაქია ციურიხი — ესაა შვეიცარიის ინდუსტრიის გული. ციურიხი იძლევა ლითონდამმუშავებელი და მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციის ძირითად წილს. აქ მზადდება ტურბინები, ელექტროძრავები, ჩარხები, გემების დიზელის ძრავები. მუშებს შორის ბევრი შვეიცარიელები როდი არიან, აქ შეხვდებით იტალიელებს, ესპანელებს, ბერძნებს. ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში, გზების გაყვანაზე, ასევე მაღაზიებში, სასტუმროებში მუშაობს ასიათასობით უცხოელი. ისინი უმუშევრობამ აიძულა დაეტოვებინათ სამშობლო და შვეიცარიაში ეძებნათ სამუშაო.

ციურიხი დაახლოებით 2 ათასი წლისაა. მის ცენტრალურ ნაწილში რომ გაივლი, თითქოს ისტორიის სახელმძღვანელო გადაგეფურცლოს. აქ შეიძლება ნახო ძველრომაული ნაგებობების ნაშთები, სახლები, აშენებული ჯერ კიდევ XIV—XV სს. ზოგში ცხოვრობენ, ზოგში წიგნებისა და ანტიკვარული მაღაზიებია ანდა კაფეები. ერთ-ერთ ქუჩაზე — შპიგელჰასეზე — არის სახლი № 14. ზედ მიკრულია მემორიალური დაფა წარწერით: „1916 წლის 21 თებერვლიდან 1917 აპრილამდე აქ ცხოვრობდა რუსეთის რევოლუციის ბელადი ლენინი“. ეს სახლი ერთი იმ მრავალრიცხოვან ადგილთაგანია, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან შვეიცარიაში ყოფნის დროს. ვ. ი. ლენინმა აქ, ემიგრაციაში, დაახლოებით შვიდი წელი დაჰყო. ლენინის ხსოვნას ინახავს ციურიხის ბიბლიოთეკაც, სადაც ვლადიმერ ილიჩი არჩევდა მასალებს თავისი ნაშრომებისათვის. აქვე ინახება ვლადიმერ ილიჩის სააბონენტო ბარათები, წიგნები, რომლებსაც იგი კითხულობდა. ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე დგას სახალხო სახლის (მუშათა კლუბის) შენობა. აქ არაერთხელ ყოფილა ვ. ი. ლენინი, ხოლო 1917 წ. იანვარში მოხსენებით გამოვიდა.

თუ შვეიცარიის ჩრდილოეთი, სადაც მრეწველობის ცენტრია, ბორცვებიანი პლატოა, ცენტრალური ნაწილი, აღმოსავლეთი და სამხრეთი — მთიანი რაიონებია. აქ ალპების უმაღლესი (მონბლანის შემდეგ) მწვერვალებია: დიუფურის პიკი (4634 მ), ფინსტერაარხორნი, იუნგფრაუ. შვეიცარიის ალპებისათვის დამახასიათებელია ღრმა ხე-

ციურიხის სახალხო სახლში არაერთხელ ყოფილა ვ. ი. ლენინი. აქ იგი 1917 წ. იანვარში გამოვიდა მოხსენებით 1905 წ. რევოლუციაზე.

ობები, საოცარი ფრიალო კლდეები. ბევრი მთა დაფარულია მუდმივი თოვლითა და მყინვარებით. ზამთრობით ხშირია თოვლის ზვავები. სამხრეთ შვეიცარიას იტალიასთან უღელტეხილები აკავშირებს. დიდ სენ-ბერნარის უღელტეხილზე დგას მონასტერი, სადაც ძველი დროიდანვე ჰყავთ ცნობილი სენ-ბერნარის ჯიშის დიდი ამტანი ძაღლები, რომლებსაც იყენებენ მთაში უამინდობის დროს მგზავრების მისაშველებლად. სენ-გოტარდის უღელტეხილი გზატკეცილით უნდა გადალახო, რომელიც ხრამებში მიიკლაკნება. ამჟამადაც კი პირქუში, ველური ადგილია იგი. და განა ამ მიუვალ ხრამებზე არ გადაიარეს 1799 წ. 25 სექტემბერს რუსმა ჯარისკაცებმა, სუვოროველმა დევგმირებმა!? მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ისინი უტევდნენ და აიღეს ეშმაკის ხიდი; ის ხიდი უკვე კარგახანია აღარ არის, მაგრამ გზიდან ასი მეტრის დაშორებით გამოშვერილ კლდეში გამოკვეთილია 12 მეტრიანი ძეგლი მამაცი რუსი მეომრების პატივსაცემად და ზედ რუსულ ენაზე აქვს წარწერა.

ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი (გრაუბიუნდენის კანტონი) კარგახანს იყო ეკონომიკურად ჩამორჩენილი მხარე. მცხოვრებლები მისდევდნენ ნადირობას და ტყის რეწვას. მათ ხშირად ჭირაობდნენ უცხოელები სამხედრო სამსახურისთვის და ქმნიდნენ შვეიცარიელების სწორედ იმ რაზმებს, რომელთა ამბებსაც ისტორიულ რომანებში ვკითხულობთ ხოლმე. გასულ საუკუნეში, როდესაც შვეიცარია გახდა ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი, გრაუბიუნდენი აყვავდა. მთის სუფთა ჰაერი, ბუნების უზადო სილამაზე, სამთო-სათხილამურო სპორტისათვის ხელსაყრელი პირობები, დიდრონი რუხი ქვისაგან ნაშენები გლეხების მშვენიერი ქოხები და ხის კოპწია ოდები (შალე), ბოლოს, ლამაზი სახალხო დღესასწაულები — ყველაფერი ეს იზიდავს მრავალრიცხოვან ტურისტს გრაუბიუნდენსა და შვეიცარიის სხვა რაიონებში. წელიწადში შვეიცარიაში 10—12 მლნ. კაცი ჩადის, რაც ქვეყნის ეკონომიკას საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევს.

შვეიცარიის დედაქალაქი ბერნი მოსახლეობის მხრივ სახელმწიფოს მეოთხე ქალაქია მხოლოდ. იგი მდებარეობს მდ. აარეს მოსახვევთან. ქალაქის ცენტრში დგას ფედერალური სასახლის მასიური შენობა, სადაც სხდომებს მართავს პარლამენტი და მოთავსებულია მთავრობის დაწესებულებები. ბერნში ბევრი ბიბლიოთეკა და მუზეუმია: ხელოვნებისა, ისტორიული, ალპების მუზეუმი, საფოსტო მუზეუმი. ბერნის გარეუბანში ბევრი ქარხანა და ფაბრიკა კვების მრეწველობის საწარმოა.

ბერნის დასავლეთით, საფრანგეთის საზღვრის მახლობლად, პატარა ქალაქებსა და დაბებში არის საათების ბევრი პატარა ქარხანა. ზოგი მათგანი დაარსდა ჯერ კიდევ XVIII ს. შვეიცარიული საათები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ქვეყანა წელიწადში უშვებს 70 მლნ. სხვადასხვაგვარ საათს (ეს იმის ნახევარია, რასაც კაპიტალისტური სამყარო უშვებს).

ჟენევის ტბის ნაპირები, ასევე ვალეს ველი, რომელზედაც მიედინება რონა, მებაღეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის რაიონია. აქ კარგი ნიადაგია, მზე და ტენი უხვად იცის. ეს მხარე ტურისტებისთვისაც საინტერესოა. აქ ნახევრად ხმელეთზე, ნახევრად ტბაზე დგას შილიონის ციხესიმაგრე. საპყრობილის ფანჯრებს, სადაც ეწამებოდა ბაირონის პოემის გმირი — შილიონელი ტუსაღი — ავდარში წყალი ეშხეფება. ამ მხარის მთავარ ქალაქში, ლოზანაში, შესანიშნავადაა შემონახული XIII ს. კათედრალური ტაძარი, რომელიც ნიმუშია კლასიკური გოთიკისა. აქ არის ორღანი, რომლის ხმა იმდენად ძლიერი და ამავე დროს მელოდიურია, რომ ფირფიტებზე იწერენ. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, ულამაზეს ადგილას, სადაც რონა ტბის გავლით საფრანგეთისაკენ მიედინება, მდებარეობს ჟენევა. ეს ქალაქი არის ფილოსოფოს-ჰუმანისტისა და მწერლის ჟანჟაკ რუსოს სამშობლო. აქ ცხოვრობდა ვოლტერი.



ჰიდროელექტროსადგურები, ალპების მაღალ მთებში რომ მდებარეობს, მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

აქ იყვნენ რუსი მწერლები: კარამზინი, გერცენი, დოსტოევსკი. XIX ს. ბოლოს ჟენევაში შეიქმნა რუსეთის პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რომელსაც პლეხანოვი მეთაურობდა. ჟენევაში თითქმის სამი წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვ. ი. ლენინი. აქ იბეჭდებოდა „ისკრა“, „პროლეტარი“ და სხვა რევოლუციური გაზეთები.

ქალაქი ცნობილია, როგორც სამრეწველო (ჩარხების, საათების წარმოება) და ფინანსური ცენტრი და, რაც მთავარია, საერთაშორისო შეხვედრების ადგილი. ჟენევის ერთა სასახლეში (სადაც მეორე მსოფლიო ომამდე ერთა ლიგის ასამბლეა მართავდა სხდომებს) ტარდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები, სხდომებს მართავს განიარაღების კომიტეტი, მუშაობს გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (თვითონ შვეიცარია არ არის გაეროს წევრი). ჟენევაში არის რეზიდენციები ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირის, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა. ქალაქი სწრაფად იზრდება, ძველი კვარტალების ირგვლივ დაიბადა ახალი რაიონები, სადაც აშენებენ მაღლივ სახლებს მინის, ბეტონისა და ფოლადისაგან, რაც თითქოს სიმბოლურად განასახიერებს პატარა ალპური სახელმწიფოს ცხოვრებაში დღევანდელობის შეჭრას.

შვეცია

შვეციის სამეფო.
ფართობი — 450 ათასი კმ².
მოსახლეობა — 8,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სტოკჰოლმი (658 ათასი მცხოვრები, გარეუბნებიანად დაახლოებით 1,4 მლნ.).
სახელმწიფო ენა — შვედური.

შვეციის ფიზიკურ რუკაზე ზეგანის აღმნიშვნელი ღია ყავისფერი ჭარბობს. დაბლობის მწვანე ფერითაა შეღებილი ვიწრო ზოლი, რომელიც მიუყვება მთელ ბოტნიის ყურის სანაპიროს. დიდი ტბების ცისფერი ლაქები ციმციმებს დაბლობზე, რომელიც შვეციის დედაქალაქიდან დასავლეთითაა გადაჭიმული. ნორვეგიის საზღვართან ახლოს მუქი ყავისფერი საღებავი მიგვანიშნებს სკანდინავიის მთების სიმაღლეს. ამ მთების მთავარი მწვერვალი კებნეკაისე 2123 მ აღწევს.

ტყე (ნაძვი და ფიჭვი), რკინის მადანი და მრავალრიცხოვან მდინარეთა ენერგია შვეციის მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა. ქაღალდის, მუყაოს, ცელულოზის ექსპორტით შვეციას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. რკინის მადანს იყენებენ მეტალურგიაში და გააქვთ ბევრ სხვა სახელმწიფოში. შვეციას ელექტროენერგიის 60 %-ზე მეტს აძლევს ჰიდროელექტროსადგურები.

მოსახლეობის უმრავლესობა შვედები არიან. აქ ცხოვრობს აგრეთვე 400 ათასი ფინელი, ნორვეგიელი, საამი (ლოპარი) და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი.

შვეცია კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მის გემთმშენებელ ვერფებში, საავტომობილო ქარხნებში, ხისდამმუშავებელ ფაბრიკებში, მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ, ელექტროტექნიკურ და სხვა საწარმოებში იქმნება პროდუქცია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფ-



ლიოს ბევრ ქვეყანაში გადის. შვეციას შემოაქვს ნავთობი, ქიმიური ნედლეული, ცოტა ნახშირი, მანქანები, ხილი, თამბაქო და... თითქმის იმდენივე სხვა მოდელის ავტომობილი, რამდენსაც საექსპორტოდ გზავნის.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის სულ რამდენიმე პროცენტი. წვრილი ფერმერები ძალიან ცოტანიღა დარჩნენ. მიწის პატარა ნაგლეჯებზე თავის დღეებს ითვლიან მეტწილად ღრმა მოხუცები. მათი შვილები კი ქალაქებში მუშაობენ ანდა მსხვილ ფერმებში, რომლებიც ან მემამულეებს ეკუთვნიან ანდა კაპიტალისტურ ფირმებს. ასეთ მეურნეობებში არის ინტენსიური აგროტექნიკა, ბევრი მანქანა, ჯიშიანი საქონელი. მატერიალურად შვედები ბევრად უფრო კარგად არიან უზრუნველყოფილნი, ვიდრე მსოფლიოს ბევრი სხვა ევროპული ქვეყნის ადამიანები. ამბობენ, რომ შვეციის ნეიტრალიტეტი არის მისი ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთი მთავარი პირობა.

ძველ დროს მეომარი შვედი ვიკინგები თავს ესხმოდნენ მომიჯნავე მიწებს. ათასი წლის წინ რუსების წინაპრებიც ხან შეეჯახებოდნენ ჩრდილოელ მეზობლებს — ვარიაგებს, ხან კი ერთმანეთში ცვლიდნენ თავიანთ სიმდიდრეს. რუსი ვაჭრები სტოკჰოლმში დადიოდნენ, ხოლო ვარიაგებს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ „ბატონ დიდ ნოვგოროდთან“.

XVII—XVIII სს. შვეცია ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო ქვეყანა გახდა ევროპაში, მაგრამ მეფე კარლ XII თავისი ძლევამოსილი არმიით რუსეთში შეიჭრა და პოლტავის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. ამ წაგებული ომის შემდეგ დასრულდა შვეციის სამხედრო დიდებაც. შვეციას ბოლო ომი ჰქონდა 1814 წ. მას შემდეგ საუკუნენახევარზე მეტი გავიდა და შვეციაში ერთი ბომბიც არ ჩამოვარდნილა, არც ერთი სახლი არ დანგრეულა, არაფერი არ გადამწვარა, არც ერთი ქარხანა არ აფეთქებულა.

მიუხედავად ამისა, შვეციას ომის საშიშროება მაინც ემუქრებოდა. ჰიტლერელთა ფარული გეგმა „პოლარული მელა“ ითვალისწინებდა 1943 წ. ზაფხულში შვეციაში შეჭრას, მაგრამ ამ დროისათვის საბჭოთა კავშირმა სტალინგრადთან და კურსკთან ფაშისტები წელში გატეხა. „პოლარულ მელას“ ნახტომი არ დასცალდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მალე დამყარდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასა და შვეციას შორის. 1920 წ. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დამთავრებამდე, საბჭოთა რესპუბლიკამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით, შვეციის ფირმებს ათასი ორთქლმავალი შეუკვეთა. ვოლხოვის ჰესისათვის — ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციის პირმშოსათვის — ტურბინების ნაწილი შვეციის ფირმებმა დაამზადეს.

ჩვენ დღესაც წარმატებით ვვაჭრობთ ჩვენს ჩრდილოეთელ მეზობლებთან. მაგრამ თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩვენი ქვეყანა შვეციას აძლევდა მხოლოდ ნედლეულს, ახლა შვედები ჩვენგან ყიდულობენ, მაგალითად: მოწყობილობას უჟანგავი ფოლადის წარმოებისათვის, პროგრამული მართვის ჩარხებს.

შვეციის სტუმარი ქვეყნის გაცნობას, ჩვეულებრივ, სტოკჰოლმიდან იწყებს. ქალაქი კუნძუ-

ლებზე მდებარეობს, რომლებიც ერთმანეთთან ხიდებითაა შეერთებული. სტოკჰოლმის ცენტრში შეხვდებით შუა საუკუნეების ვიწრო ქუჩებს, რაინდთა საგვარეულოს გერბიან ძველებურ სახლებს, მეფეებისა და მხედართმთავრების ბრინჯაოს გამწვანებულ ქანდაკებებს. აქვეა მეფის სასახლეც.

შვეცია კონსტიტუციური მონარქიაა. 1975 წ. ქვეყნის კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილება. თუმცა მეფე რჩება სახელმწიფოს მეთაურად, მაგრამ ფაქტიურად საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის რიკსდაგს (შვეციის პარლამენტს). ას წელზე მეტ ხანს იგი შედგებოდა ორი პალატისაგან, ახლა რიკსდაგი ერთპალატიანი გახდა. მას სამი წლის ვადით ირჩევენ.

შვეციის ძირითადი პარტიებია: სოციალ-დემოკრატიული, მუშათა ცენტრის, ზომიერი კოალიციური, სახალხო (ლიბერალური) და მემარცხენე პარტია — კომუნისტური (შეიქმნა 1917 წ.).

30-იან წლებში აშენებულ სტოკჰოლმის ცნობილ რატუშას ბევრი შვეციის ქალაქის სამკაულად თვლის. არქიტექტორმა რ. ესტბერგმა ამ შენობას XV ს. სკანდინავიური ნაგებობის იერი მისცა. სპილენძის შეჭედილი მძიმე კარით შევდივართ ოქროს დარბაზში. აქ ეწყობა ხოლმე საზეიმო მიღება.

სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკა შვეციის დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილია. აქ მუშაობდა 1907 წ. დეკემბერსა და 1910 წ. სექტემბერში ვ. ი. ლენინი. აქ, სტოკჰოლმში, შვილის სანახავად ჩამოვიდა მარია ალექსანდრეს ასული ულიანოვა. ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა ვლადიმერ ილიას ძისა დედასთან. ემიგრაციიდან 1917 წ. სტოკჰოლმის გავლით დაბრუნდა ვ. ი. ლენინი ბობოქარ რუსეთში და რევოლუციას ჩაუდგა სათავეში.

ისევე როგორც ყველა დიდი ქალაქი, სტოკჰოლმიც მრავალსახაა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში აღმართულია მაღალი შენობები; აშენდა ჰიოტორგსიტი, ანუ უბრალოდ სიტი — დედაქალაქის ახალი სავაჭრო ცენტრი. აქაა თავმოყრილი მსხვილი ბანკების განყოფილებები, უნივერმაღები, მაღაზიები.

მეტრო, საგარეუბნო მატარებლები, ავტობუსების ხაზები სტოკჰოლმის ცენტრს აერთებენ გარეუბნებთან, რომლებსაც შვედები „საძილე ქალაქებს“ უწოდებენ. აქ ცოტაა საწარმოები, ხოლო საცხოვრებელი სახლები ისე იგება, რომ არ დაზიანდეს ტყე და კლდეები. „დიდი სტოკჰოლმის“ მოსახლეობა თავის ქალაქ-თანამგზავრებიანად დღითიდღე იზრდება. თვით დედაქალაქში კი მოსახლეობის რიცხვი კლებულობს. აქ არ აშენებენ ახალ ქარხნებს; ზოგი დაწესებულება სხვა ქალაქში გადააქვთ.

შვეციის სამხრეთით მდებარეობს სკონეს ნახევარკუნძული. რბილმა ჰავამ და ნაყოფიერმა მიწამ აქციეს იგი შვეციის ბეღლად. პურისა და შაქრის ჭარხლის ყანებს შორის მოჩანს მემამულეების მდიდრული კარ-მიდამოები, შაქრის ქარხნები, წისქვილები. მალმიო, ლანდსკრუნა, ჰელსინგბორგი ერესუნის სრუტის სანაპიროზე მდებარე საპორტო ქალაქებია. ერესუნის სრუტე ჰყოფს სამხრეთ შვეციას დანიისაგან. ქალაქები

შვეციის პატარა ქალაქებში დღესაცაა შემორჩენილი გასული საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ძველი შენობები.

მთები, ტბები, ულამაზესი ველები — ასეთია შვეციის ტიპიური ლანდშაფტი.

მრავალი საუკუნისაა და ძველთაგანვე აქ გაცხოველებული საზღვაო ვაჭრობაა. მალმიო გემთმშენებლობის მეორე ცენტრია შვეციაში. მისი მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები უშვებენ ვაგონებს, ძრავებს, ცემენტს. ვიწრო ერესუნით დიდ საზღვაო ბორანს გადაჰყავს ხალხი, გადააქვს ავტომანქანები და მატარებლებიც კი. შემუშავებულია სახმელეთო მიმოსვლის პროექტი შვეციის სამხრეთსა და დანიას შორის. ამისათვის უნდა აშენდეს დიდი ხიდი და სრუტის ნაწილის ქვეშ გაიყვანონ გვირაბი.

სტოკჰოლმიდან გიოტებორგამდე გადაჭიმულია შუა შვეციის, ამ ძველი სამრეწველო რაიონის ბექობიანი მჭიდროდ დასახლებული დაბლობი. რკინიგზების შესაყართან, არხების გაყოლებით, დიდი ტბების — მელარენის, ელმარენის, ვეტერნისა და ვენერნის — ნაპირებზე განლაგებულია ინდუსტრიული ქალაქები. ნორჩოპინგი განთქმულია მანქანათმშენებლობით; ესკილსტუნა უშვებს პირველხარისხოვან ინსტრუმენტებს, ვესტეროსი — ელექტროძრავებს, ლინჩიოპინგი და ტროლჰეტანი თვითმფრინავთმშენებლობის ცენტრია.

შუა შვეცია ქვეყანას აძლევს სამრეწველო პროდუქციის დიდ ნაწილს. აქ შრომობს შვეციის მუშების $^2/_3$. გიოტებორგში, რომელიც ამ ინდუსტრიული რაიონის დასავლეთ განაპირა მხარეს მდებარეობს, არის კონცერნ „გიოტავერკენის“ ვერფები, მთელ მსოფლიოში განთქმული „სკფ“ კონცერნის ბურთულა-საკისრების ქარხნები, აქვეა საავტომობილო კონცერნის „ვოლვოს“ მსხვილი ქარხნები, საზღვაო პორტის ამწეები და ნავმისადგომები. ეს პორტი თითქოს ატლანტიკისაკენ ფართოდ გაღებული ჭიშკარია. აქ უფრო მეტ გემს იღებენ და გაისტუმრებენ ხოლმე, ვიდრე სტოკჰოლმში. ნავსადგურს ზემოდან დასცქერის ქალის ბრინჯაოს ქანდაკება. ის შორს გაჰყურებს ზღვას შეშფოთებული მომლოდინე სახით. ეს ძეგლი ზღვაში დაღუპულ შვედებს აუგეს.

პატარა შვეციას გემთმშენებლობის მხრივ მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო შვეციის გემების ნახევარზე მეტს გიოტებორგის გემთმშენებლები უშვებენ.

გიოტებორგის ჩრდილოეთი სანაპირო მამაცი მეთევზეების მხარეა, რომლებიც სარეწაოდ ატლანტიკის ოკეანეში გადიან.

შუა შვეციაში არის ვერმლანდის პროვინცია, სადაც წყნარი ტყის ტბები შემორკალულია არყნარით. ერთ-ერთი ასეთი ტბის პირას ცხოვრობდა მწერალი ქალი სელმა ლაგერლიოფი. ახალგაზრდობაში იგი სკოლის მასწავლებელი იყო და მაშინ დაიწყო ხალხური ლეგენდების ჩაწერა და



რკინის მადნის ამოღება ნორბოტენში.

შეგროვება. მრავალ ენაზეა თარგმნილი მისი საბავშვო წიგნი „ნილს ჰოლგერსონის საოცარი მოგზაურობა გარეულ ბატებთან ერთად“.

შვეციაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან შემოიღეს საყოველთაო დაწყებითი განათლება. ამჟამად ყველა ახალგაზრდა შვედი აუცილებლად ამთავრებს ათწლიან სკოლას.

შვეციის უძველესი უნივერსიტეტი (1477) მდებარეობს ჩრდილოეთის დედაქალაქ უპსალაში. ამ უნივერსიტეტთან დაკავშირებულია ბოტანიკის „მეფის“ კარლ ლინეის, ფიზიკოს ცელსიუსისა და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა სახელები.

რაც უფრო შორს მივდივართ უპსალიდან ჩრდილოეთისაკენ, მით უფრო იცვლება პეიზაჟი, გზები გადის ზეგანზე, ხოლო ჰორიზონტზე მოჩანს უზარმაზარი მთები. წიწვიანი ტყეები ჩარჩოსავით შემორტყმია ტბებს. ესაა წინაკარი ნაკლებადდასახლებული ჩრდილოეთის მხარის ნორლანდისა, სადაც ხე-ტყისა და რკინის მადნის ძირითადი მარაგია. ნორლანდის მთის ჩქარი მდინარეებით ბოტნიის ყურის სანაპიროებამდე აცურებენ ასიათასობით მორს. მათგან ხის სახერხ და ცელულოზა-ქაღალდის ქარხნებში აკეთებენ მუყაოს, ქაღალდს, სტანდარტულ სახლებს, ავეჯს, ფიბრის ფილებს.

რკინის მთავარი საბადოები მდებარეობს პოლარული ქალაქის კირუნის ახლოს. მრავალი წლის განმავლობაში რკინის მადანს ზედაპირზევე მოიპოვებდნენ, ორი დიდი მთის ფერდობებზე. ახლა მთის მწვერვალების ადგილას ღრმა ორმოებია, მაღაროები მიწის ქვეშ ღრმად გაითხარა.

ელექტრომავლები დაქრიან კირუნიდან შვეციის პორტ ლულეომდე და ნორვეგიის გაუყინავ პორტ ნარვიკამდე. აქ მადნით ტვირთავენ საოკეანო გემების ტრიუმებს. ლულეოს მეტალურგიული კომბინატი ამარაგებს ქვეყნის მრავალ საწარმოს თუჯით, ფოლადით და ნაგლინით.

კირუნის გადაღმა, შვეციის უკიდურეს ჩრდილოეთით, მაღალ ზეგნებზე, ირმის ჯოგებთან ერთად, ტუნდრაში მომთაბარეობენ საამები.

მშვიდობიანი პერიოდის ხანგრძლივობამ, ბუნებრივ სიმდიდრეთა სიუხვემ, მეომარ ქვეყნებთან



ქალაქგარეთა ზოოპარკი სტოკჰოლმის ახლოს.

სარფიანმა ვაჭრობამ, ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, სხვა ხალხებთან შედარებით განათლების ადრევე გავრცელებამ — ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო შვეციას, მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა გამხდარიყო. თუმცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია სათავეში უდგას პარლამენტსა და მთავრობას, ზოგჯერ ლაპარაკობენ „სოციალიზმის სკანდინავიურ ნაირსახეობაზე“, სინამდვილეში შვეცია ტიპური კაპიტალისტური ქვეყანაა, რომლის ძირითადი სიმდიდრე მსხვილი მონოპოლისტური ჯგუფების ხელშია, უზარმაზარ მოგებას რომ იღებენ. ამიტომაც ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც შვეციაა, უამრავი სოციალ-ეკონომიკური პრობლემაა გადასაწყვეტი: უმუშევრობა, ცხოვრების სიძვირე, გადასახადები, რასაც გასამრჯელოს თითქმის მესამედი მიაქვს, საპენსიო ასაკის სიდიდე და სხვა.

მუშათა კლასი და მოსახლეობის სხვა ფენები შეუნელებლად იბრძვიან თავისი ძირეული ინტერესების დასაცავად. ამ ბრძოლების ავანგარდია შვეციის კომუნისტური პარტია (მემარცხენე პარტია — კომუნისტები).

შვეციასა და სსრკ-ს შორის წარმატებით ვითარდება მეგობრული ურთიერთობა, ფართოვდება პოლიტიკური კონტაქტი, ეკონომიკური კავშირი და კულტურული გაცვლა-გამოცვლა.

ჩეხოსლოვაკია



ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა (ჩსსრ).
ფართობი — 127,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — 15,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პრაღა (1,18 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენები — ჩეხური და სლოვაკური.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა მდებარეობს ევროპის ცენტრში. ხშირად მას ევროპის კონტინენტის გულს უწოდებენ. მოგზაურებს უჩვენებენ ხოლმე პლზენიდან ხებში მიმავალ გზატკეცილზე აღმართულ გრანიტის ობელისკს წარწერით: „ევროპის ცენტრი“. დასავლეთით გაწოლილია ჩეხეთის ძველი მასივი — ესაა საშუალო სიმაღლის დაშლილი მთები, ბექობები და პატარა-პატარა ვაკეები. აღმოსავლეთით გადაჭიმულია უფრო ახალგაზრდა და უფრო მაღალი კარპატის მთები, რომლებსაც სამხრეთიდან ბარი ეკვრის. ჩეხოსლოვაკია მდიდარია ქვანახშირით, მურა ნახშირით, არის ფერადი და იშვიათი ლითონებიც, მარგანეცის საბადოებიც. ნავთობი, გაზი და რკინის მადანი შეაქვს სხვა სახელმწიფოებიდან. უდიდესი მარაგია წყლის ენერგიისა, განსაკუთრებით სლოვაკიაში. ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ჩეხოსლოვაკიამ 1918 წელს შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო (მანამდე კარგა ხანს ჩეხეთი და სლოვაკია შედიოდა ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში).

მაგრამ ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა, ქვეყნის ბედი დაუკავშირა დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების შემთანხმებლურ პოლიტიკას, რამაც რესპუბლიკა 1938 წ. მიიყვანა ეროვნულ კატასტროფამდე — დანაწევრებამდე და მერე კი ჰიტლერელების მიერ მთელი ქვეყნის ოკუპაციამდე. ჰიტლერული ოკუპაციის მკაცრ პირობებში მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეძლო სათავეში ჩასდგომოდა ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ, ანტიფაშისტურ ბრძოლას. ოკუპანტების წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო სლოვაკთა ეროვნული აჯანყება 1944 წ. აგვისტოში. საბჭოთა კავშირმა აჯანყებულთა დასახმარებლად გაგზავნა პარტიზანთა დიდი შენაერთები, ხოლო საბჭოთა ჯარები, რომელთა შემადგენლობაშიც მოქმედებდა ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული პირველი ჩეხოსლოვაკური კორპუსი, აღმოსავლეთ კარპატებში იერიშზე გადავიდნენ. ეს დაეხმარა აჯანყებულთ, ორი თვე შეენარჩუნებინათ აჯანყების რაიონები და განეგრძოთ პარტიზანული ბრძოლები, ვიდრე საბჭოთა არმიას შეუერთდებოდნენ.

1945 წლის 9 მაისს საბჭოთა არმიამ უმაგალითო ნახტომი გააკეთა ბერლინიდან პრაღამდე და გაათავისუფლა ქვეყანა ჰიტლერელებისაგან, ეს დღე იქცა ჩეხოსლოვაკი ხალხის ეროვნულ დღესასწაულად.

განთავისუფლების პირველ წლებში ბრძოლა გაჩაღდა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. მუშათა კლასი ისწრაფოდა გაეღრმავებინა სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია და შეექმნა ფართო სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის აუცილებელი პირობები. ბურჟუაზიას სურდა მუშათა კლასი და კომუნისტური პარტია ჩამოეცილებინა სახელმწიფოს მმართველობიდან, ჩეხოსლოვაკიაში ბურჟუაზიული წყობილება აღედგინა და რესპუბლიკა კაპიტალისტურ ბანაკში დაებრუნებინა. გარედან დახმარების იმედით 1948 წლის თებერვალში შიდა რეაქციულმა ძალებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ კონტრრევოლუციური გადატრიალება. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღდგნენ თავიანთი მონაპოვრის დასაცავად და დაამხვეს კონტრრევოლუცია.

თებერვლის გამარჯვებამ გაუხსნა ქვეყანას ფართო გზა სოციალიზმის მშენებლობისაკენ. მოახდინეს მრეწველობის ნაციონალიზაცია, დაასრულეს მიწის რეფორმა. გლეხობა მტკიცედ დაადგა განვითარების კოოპერაციულ გზას. უკვე 1960 წ. სოციალიზმმა გაიმარჯვა. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას ეწოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური

რესპუბლიკა. ჩსსრ-ის მშრომელებმა დაუმტკიცეს მსოფლიოს, რომ სოციალიზმი მაღალგანვითარებულ ქვეყანაშიც კი უზრუნველყოფს განვითარების ისეთ ტემპებს, როგორიც კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია.

1968 წ. ქვეყნის ანტისოციალისტურმა ძალებმა ისარგებლეს იმით, რომ ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური მშენებლობის დროს დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომა, და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და სსრკ-თან მისი კავშირის წინააღმდეგ წამოიწყეს ფართო შეტევა. მათი საბოლოო მიზანი იყო, ჩეხოსლოვაკია სოციალისტური თანამეგობრობისათვის ჩამოეცილებინათ და ქვეყანაში ბურჟუაზიული წესები აღედგინათ. მაგრამ ეს კონტრრევოლუციური გეგმები შეეჯახა ხალხის ინტერესებს. სსრკ-ს და სხვა მოძმე ქვეყნების ინტერნაციონალური დახმარებით კომპარტიამ და ხალხმა, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულნი იყვნენ, შეძლეს აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაში სოციალიზმის მტრების დამარცხება.

ჩსსრ ფედერაციული სახელმწიფოა ორი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკისა — ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა. სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ფედერალური კრება (პარლამენტი), რომელიც შედგება სახალხო და ეროვნებათა პალატებისაგან. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა ფედერალური მთავრობა, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი. ფედერალური სტრუქტურის ფარგლებში თითოეულ რესპუბლიკას აქვს თავისი საკანონმდებლო ორგანო — ეროვნული საბჭო და ჰყავს თავისი მთავრობა. ამჟამად პარტია და ხალხი აშენებს განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას.

ჩსსრ-ში რამდენიმე პოლიტიკური პარტიაა. ხელმძღვანელი როლი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკუთვნის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას (შეიქმნა 1921 წ.). მისი შემადგენელი ნაწილია სლოვაკიის კომუნისტური პარტია. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტია აერთიანებს მოსამსახურეთა და ინტელიგენტთა არცთუ ისე დიდ ნაწილს. ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტიაში შედის გლეხთა, ინტელიგენტთა და მუშა-კათოლიკეთა ნაწილი. არსებობს აგრეთვე სლოვაკიის აღორძინების პარტია და სლოვაკიის თავისუფლების პარტია. ყველა პოლიტიკური პარტია პროფკავშირთან ერთად, ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, გაერთიანებულია ჩსსრ-ის ეროვნულ ფრონტად, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩკპ.

ჩეხოსლოვაკია დიდად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მეორე მსოფლიო ომამდე იგი ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო იყო. მრეწველობა უმთავრესად ჩეხეთში ვითარდებოდა, სლოვაკია კი რჩებოდა მის აგრარულ დანამატად. ახლა ჩეხოსლოვაკია მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარების დონით მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების რიგში დგას. საბოლოოდ აღიკვეთა უთანაბრობა ცალკეული რაიონების განვითარებაში. ახლა ინდუსტრიულად განვითარებულია სლოვაკიაც.

ამჟამად ჩსსრ მრეწველობა უშვებს 10-ჯერ მეტ პროდუქციას 1937 წელთან შედარებით. წამყვანი როლი ეკუთვნის მანქანათმშენებლობას. მის პროდუქციას — დაწყებული ცნობილი ავტომობილი „შკოდათი“ და მოტოციკლეტ „იავათი“, გათავებული ურთულესი გამომთვლელი მანქანებით, იცნობს მთელი მსოფლიო. მანქანათმშენებლობის შემდეგ მეორე ადგილზეა მეტალურგიული მრეწველობა, რომლისთვისაც მადანს ჩვენი ქვეყნიდან იღებენ. საოცარი სისწრაფით ვითარდება ქიმიური მრეწველობა (ხელოვნური ბოჭკო, კაუჩუკი, პლასტმასა, სასუქები). ნედლეულად მისთვის იყენებენ ადგილობრივ ნახშირსა და მარილებს, აგრეთვე ნავთობს, რომელსაც სსრკ-დან იღებენ ნავთობგაყვანილობა „მეგობრობით“.

მრეწველობის ტრადიციულად განვითარებულ დარგებს შორის წინა პლანზეა სხვადასხვა სახის ქსოვილებისა და ფეხსაცმლის წარმოება, რომელთა საუკეთესო ნიმუშები კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. ერთ სულ მოსახლეზე მათი გამოშვების მხრივ ჩეხოსლოვაკიას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ფართოდაა ცნობილი ჩსსრ-ის შუშისა და ფაიფურის ნაწარმი.

ჩეხოსლოვაკიაში მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, შაქრის ჭარხალი, სელი, კანაფი. მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს კარტოფილის ნათესებსაც. ჩსსრ-ის დასავლეთ მცირე რაიონში მოჰყავთ სვია ლუდის გამოსახდელად. მისი ნაწი-

ლი საექსპორტოა. მეცხოველეობის დარგში მთავარი ყურადღება ექცევა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, ჰყავთ ღორებიცა და ცხვრებიც. ჩეხეთის აღმოსავლეთ ოლქებში მეცხენეობას მისდევენ. 1 ჰა სავარგულზე გაანგარიშებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ ჩსსრ მსოფლიოს წამყვან ათეულში შედის.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. თითქმის არ არის არქიტექტურის არც ერთი სტილი, ბრწყინვალედ რომ არ იყოს წარმოდგენილი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. აქაა რომანული სტილი, გოთიკა და რენესანსი, ჩეხური ბაროკო. პრაღა ერთადერთი დედაქალაქია, რომელსაც თითქმის ხელუხლებლად შემოუნახავს შუა საუკუნეების არქიტექტურა. პრაღელების სიამაყეა უძველესი ქანდაკებებით მორთული კარლის ხიდი. ეს ხიდი ექვსასი წელია დგას. მის ქვაფენილზე დადიოდა ტიხო ბრაგე და ციურ მნათობთა მოძრაობას ანგარიშობდა. ამ ხიდზე გაუვლია იან ჰუსს, რომ ბეთლემის მონასტერში ექადაგა. მისი ამბიონიდან ამხელდა იან ჰუსი მდიდრების სიხარბეს და სისასტიკეს, კიცხავდა ეკლესიის მზაკვრობას, ქვეყნის საუკეთესო მიწების მფლობელთ და უამრავ ყმათა მეპატრონეთ. ჰუსის სიტყვა უნივერსიტეტშიც ქუხდა, სადაც ის მრავალი წლის განმავლობაში რექტორად იყო. კარლის ხიდზე აღმართული იყო 1848 წელს ავსტრიის მონარქიის ჩაგვრის წინააღმდეგ ამბოხებულთა ერთ-ერთი ბარიკადაც.

ძნელია პრაღის წარმოდგენა უგრადჩანოდ, წმ. ვიტეს ტაძრის ან სტარომესტკის მოედნისა და განსაცვიფრებელი განუშის კურანტებიანი რატუშის გარეშე. აქ ჩეხმა მექანიკოსმა განუშმა გააკეთა მოძრავ ფიგურებიანი საათი. ლეგენდის მიხედვით, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, განუშს თვალები დასთხარეს, რომ ეს შედევრი ერთადერთი ყოფილიყო მსოფლიოში.

პრაღაში ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი. გიბერნის ქუჩის №7 სახლში, ვიწრო, მრავალფანჯრიან ოთახში, უშუალოდ სახურავქვეშ რომ მდებარეობდა, გრძელ მაგიდასთან მუშაობდა ვლადიმერ ილიას ძე. ახლა ამ სახლში ლენინის მუზეუმია. 1912 წ. იანვარში პრაღაში შედგა რსდმპ-ს პრაღის კონფერენცია.

პრაღის საწარმოები უშვებენ თბომავლებსა და მოტოციკლებს, ტელეგრაფის აპარატებსა და ტე-



ძველი პრაღა.

ლეფონებს, ქვაბებსა და ამწეებს, წამლებს, საღებავებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ტანსაცმელს, ლუდს.

ცნობილია მეორე სამრეწველო ცენტრი — პლზენი. ქალაქის სწორ ქუჩებს მივყავართ ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათმშენებელ კომბინატთან (წინანდელი „შკოდას“ ქარხნები). მანქანათმშენებელი კომბინატი უშვებს ელმავლებს, დიდი სიმძლავრის ჩარხებს, გენერატორებს ელექტროსადგურებისათვის, ტროლეიბუსებს და სხვა მანქანებს.

მაღაროელების, მეტალურგების, მანქანათმშენებლებისა და ქიმიკოსების ქალაქს — ოსტრავას ჩეხოსლოვაკურ დონბასს ეძახიან. ოსტრავა ქვანახშირზე დგას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ქვანახშირს აგერ უკვე ორი საუკუნეა იღებენ. საცხოვრებელ კვარტალებს გარს არტყია მეტალურგიული ქარხნების უზარმაზარი კორპუსები.

ბრნო მანქანათმშენებლობის ცენტრია. აქ მზად-

ფართოდაა ცნობილი ჩეხური ნაწარმი. სურათზე: უნიკალური ჰაღი, იგი იწონის 400 კგ და შედგება 4916 დეტალისაგან.

დება დაზგები, ტრაქტორები, საწარმოო მოწყობილობანი. კრალოვო-პოლონეთის ქარხნის მარკას — კბილანას ნიშანს — იცნობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. შემთხვევითი როდია, რომ ამ ქალაქში ყოველწლიურად ტარდება მანქანათმშენებელთა საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც ათობით სახელმწიფო მონაწილეობს.

სლოვაკიის მთავარი ქალაქია ბრატისლავა. იგი სამხრეთის ქალაქს წააგავს. ზევიდან დაჰყურებს უზარმაზარი ოთხწახნაგოვანი ციხესიმაგრე გრადი, რომელსაც კუთხეებში სათვალთვალო კოშკები აქვს. გრადი ისეთივე სიმბოლოდ იქცა ბრატისლავისა, როგორც გრადჩანი — პრაღისა. ახლა იგი რესტავრირებულია და მუზეუმადაა გადაქცეული. ბრატისლავაში ყოველი მხრიდან მოჩანს სლავინი — ჩეხოსლოვაკიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი. იგი აღმართულია ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილას.

60—70-იან წლებში გაიზარდა ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმოები სლოვაკიის ისეთ ქალაქებში, როგორიცაა: ჟილინი, ნიტრი, კოშიცა, ბანსკა-ბისტრიცა. მათ მთლიანად შეუცვალეს სახე სლოვაკიას, რომელიც ადრე სიღარიბისა და უმუშევართა მხარე იყო, საიდანაც ათასობით ადამიანი ემიგრაციაში მიდიოდა სამუშაოს საძებნელად.

ამჟამად სლოვაკია აწარმოებს ფოლადსა და ალუმინს, აგებს გემებსა და დიზელის ძრავებს, ჩარხებსა და ექსკავატორებს, აკეთებს ბურთულასაკისრებსა და ქვაბებს, ელექტროღუმელებსა და მაცივრებს, ხელოვნურ ბოჭკოებსა და ტელევიზორებს. მდინარე ორავაზე აშენებულია კაშხალი — ქვეყნის უმსხვილესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

ჩეხოსლოვაკიის ხალხებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. პრაღის კარლოვის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესია ცენტრალურ

უმსხვილესი კომბინატის „ჩკდ—პრაღის“ საამქროში. ამ საწარმოს პროდუქცია — ელმავლები, ტურბინები, გენერატორები, ტრამვაები — მრავალ ქვეყანაში იგზავნება.

და აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო პრაღის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესთაგანია მთელ მსოფლიოში. ყოველი კულტურული ადამიანისათვის ცნობილია ჩეხური და სლოვაკური ლიტერატურის კლასიკოსები: ი. ჰაშეკი, კ. ჩაპეკი, მ. მაიეროვა (იხ. სე. ტ. 11, სტ. „ჩეხოსლოვაკიის მწერლები“).

სსრკ-სა და სხვა მოძმე სახელმწიფოებთან ერთად ჩეხოსლოვაკია გამოდის ერთიანობის განმტკიცებისა და სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა დარაზმულობისათვის, იგი ნაყოფიერად თანამშრომლობს ამ სახელმწიფოებთან ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ 996 წ. კიევის რუსეთის მთავარმა და ჩეხი მთავრის ელჩმა დადეს მეგობრული ხელშეკრულება. XV საუკუნეში ჩეხეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იან ჟიჟკას რაზმში ჩეხებთან ერთად რუსი მეომრებიც იბრძოდნენ. უფრო მოგვიანებით, როცა რუსეთში სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, ბარიკადების ერთ მხარეს ბევრი ჩეხი და სლოვაკი დადგა. მათ შორის თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ იბრძოდა გამოჩენილი მწერალი იაროსლავ ჰაშეკი.

ახდა სიტყვები შესანიშნავი მწერლის, უშიშარი პატრიოტის, იულიუს ფუჩიკისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის ყველაზე მძიმე პირობებში წერდა, რომ ჩეხი და სლოვაკი ხალხისათვის თავისუფლება აღმოსავლეთიდან მოვიდოდა, რომ მათ საბჭოთა კავშირი გაათავისუფლებდა. ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობა, ძმობა.

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურმა ურთიერთდამოკიდებულებამ გამოხატულება ჰპოვა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებაში, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო 1970 წ. მაისში. იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც საბჭოთა კავშირი ვაჭრობს, ჩეხოსლოვაკიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მანქანებისა და მოწყობილობათა საბჭოური იმპორტის თითქმის მეხუთედი ჩსსრ-ის წილად მოდის. ნაყოფიერად ვითარდება აგრეთვე კულტურული და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირი, ხდება როგორც საწარმოო, ისე პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილების გაზიარება.

■

ხელოსანთა ქვეყანა

ჩეხოსლოვაკია სასარგებლო წიაღისეულით ღარიბია, სამაგიეროდ ხელოსნებითაა მდიდარი. ჩესი ხელოსნები მუდამ ცდილობდნენ ემუშავათ ისე, რომ ვერავის ეჯობნა და ვერავის შეეცვალა ისინი. ყველაზე მეტად განსაკუთრებულ უნიკალურ ხელობას სცემდნენ პატივს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შუშის მრეწველობისათვის ჩეხოსლოვაკიაში იდეალური პირობებია. აქ არის შუშის მრეწველობისათვის აუცილებელი კვარცის ქვიშის მადანი. შუშის მრეწველობის ცენტრია ქალაქი იაბლონეცი. აქ და იაბლონეცის ირგვლივ მღებარე პატარა ქალაქებში ამზადებენ განთქმულ ჩეხურ ბროლს. ადრე შუშის დამუშავება საოჯახო საიდუმლოება იყო, ახლა ხელოსნებს სასწავლებელი ამზადებს. არ არსებობს ისეთი კუთხე ჩვენს პლანეტაზე, სადაც არ იცოდნენ ჩეხური ბროლის ლარნაკები, ყელსაბამები, გულსაბნევები

აზია

შესავალი

აზია — მსოფლიოში ყველაზე ვრცელი კონტინენტის — ევრაზიის დიდი ნაწილია. აზიის ფართობი 44,4 მლნ. კვ. კილომეტრია (მთელი ხმელეთის 30%). მისი ტერიტორია გადაჭიმულია აღმოსავლეთით — ბერინგის სრუტიდან, დასავლეთით — სუეცის ყელამდე, ჩრდილოეთით — ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან, სამხრეთით — ინდოეთის ოკეანემდე.

აზია გამოირჩევა რელიეფის, ჰავის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებით. აზიის ცენტრში მდებარეობს ე. წ. ტიბეტის ზეგანი. აქვეა მსოფლიოში უმაღლესი ჰიმალაის მთაგრეხილები და მწვერვალი ჯომოლუნგმა (8848 მ.). ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ვრცელი დასავლეთ ციმბირის ვაკე, რომელსაც სამხრეთით ენაცვლება თურანის დაბლობი.

აზიის მოსახლეობა თითქმის 2,5 მლრდ. კაცს შეადგენს (მთელი პლანეტის მოსახლეობის 57%). მსოფლიოს ყველაზე დასახლებული ქვეყნებია: ჩინეთი (975 მლნ.) და ინდოეთი (640 მლნ.). მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქალაქებიც აზიაში მდებარეობს — შანხაი (11 მლნ.) და ტოკიო (11,7 მლნ.).

ტიგრის, ევფრატის, ინდისა და ხუანხეს აუზებში, კავკასიასა და შუა აზიაში იქმნებოდა და ვითარდებოდა ცივილიზაციის უძველესი ცენტრები. აზიის ხალხებმა მსოფლიოს მისცეს ბრინჯი, ბამბა, სანელებელი, ქაღალდი, მაგნიტური კომპასი და ბევრი სხვა. უძველეს დროში აზიაში ჩაისახა პირველი მეცნიერული ცოდნა, რომელიც საფუძვლად დაედო მათემატიკას, ასტრონომიას და მთელ რიგ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. აზიის მრავალი ხალხის ისტორიული განვითარების თავისებურებებმა განაპირობა ის, რომ შუა საუკუნეებში აზია შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა.

უცხოელმა დამპყრობლებმა ისარგებლეს აზიის ხალხების ფეოდალური ჩამორჩენილობით, დაქუცმაცებულობით და გათიშულობით. XVI—XIX სს. ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, აშშ ძალადობით, მოტყუებითა და მოსყიდვით განამტკიცებდნენ აზიის მიწებზე თავიანთ კოლონიურ იმპერიებს. კოლონიურმა ჩაგვრამ ძალზე შეაფერ-

ხა აზიის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წაართვა ამ ქვეყნების მოსახლეობას ყოველგვარი უფლებები და გააღატაკა იგი.

აზიის ხალხებს არასოდეს შეუწყვეტიათ ბრძოლა კოლონიზატორების წინააღმდეგ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის სახალხო აჯანყებებმა, რომლებმაც იფეთქა ინდოეთში, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში, ცხადყვეს რამდენად ღრმა და მძაფრია წინააღმდეგობანი ჩაგრულებსა და მჩაგვრელებს შორის.

როგორც კი დაიწყო ახალი ისტორიული ერა, ოქტომბერში რომ იშვა, გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ინდოჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში. შეიქმნა კომუნისტური პარტიები, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგნენ. ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა შეასრულა, გამოიწვია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღმავლობა. აზიაში შეიქმნა 20-ზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო. სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კვალდაკვალ სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ ვიეტნამელი, კორეელი, ჩინელი ხალხები. თავისუფლება მოიპოვა ინდოეთმა, ინდონეზიამ, სირიამ, ერაყმა და მრავალმა სხვა ქვეყანამ. აზიის სახელმწიფოების ნაწილმა (ბირმამ, სირიამ, ერაყმა, ავღანეთმა, იემენის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ) სოციალისტური ორიენტაცია აირჩია. ყოფილი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები, რომლებიც ადრე კაპიტალიზმის რეზერვს წარმოადგენდნენ, ახლა მნიშვნელოვანი ძალა გახდნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალისტური პროგრესისათვის ბრძოლაში.

იმპერიალისტური სახელმწიფოები არაერთხელ ცდილან უკუღმა შემოებრუნებინათ აზიის ჩარხი. მათ წამოიწყეს აგრესია კორეის და ინდოჩინეთის ხალხების წინააღმდეგ, გამოიყენეს ისრაელის აგრესიული სამხედრო წრეები მთელი რიგი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, შექმნეს სამხედრო ბლოკები სეატო (დაიშალა 1975 წ.) და სენტო (დაიშალა 1979 წ.), თავს ახვევენ „დახმარებას“ კაბალურ პირობებში, ისწრაფვიან ჩაითრიონ აზიის ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები თავიანთ პოლიტიკურ ორბიტაში, სამუდამოდ დააკანონონ მათ შორის გათიშულობა და განხეთქილება.

საერთაშორისო რეაქციის ხრიკებს, როგორი საშიშიც არ უნდა იყოს ისინი, არ ძალუძს გადამწყვეტი გავლენა იქონიოს აზიის განვითარების პერსპექტივებზე. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში იმარჯვებს მსოფლიოს სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები. ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა — გმირული ვიეტნამის გამარჯვება — აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ვერ სძლევ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხალხს, რომელიც ეყრდნობა სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერას.

აზიის სუვერენული სახელმწიფოების წინაშე, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან, დგას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის რთული ამოცანა, იმის აუცილებლობა, დაძლიონ ჩამორჩენილობა, რაც ფეოდალების მრავალსაუკუნოვანი ბატონობის და კოლონიზატორების პოლიტიკის ნაყოფი იყო, ებრძოლონ მოუსავლიანობას, გვალვასა და წყალდიდობას, წერა-კითხვის უცოდინარობასა და სიღატაკეს. ეს გადაუდებელი ამოცანები რომ გადაწყვიტონ, აზიის ქვეყნებს სჭირდებათ მტკიცე მშვიდობა. იმპერიალისტები კი იმისკენ ისწრაფვიან, რომ აზიის სახელმწიფოების ურთიერთობა დაძაბულობითა და კონფლიქტებით იყოს დაბინდული.

აზიის ხალხებს ესმით, რომ კონტინენტზე მტკიცე მშვიდობის მისაღწევად, როგორც საბჭოთა კავშირი მოუწოდებს, საჭიროა შეერთებული ძალებით აზიის უშიშროების უზრუნველყოფა, რაც თავიდან აგვაცილებს ომს და იმპერიალისტურ აგრესიას, უზრუნველყოფს კონტინენტის ყველა ქვეყნის თავისუფალი განვითარებისა და ეროვნული აღორძინების უფლებას, განამტკიცებს ურთიერთნდობასა და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას.

■

ავღანეთი

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა.
ფართობი — 655 ათასი კვ. კმ.
მოსახლეობა — 15,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ქაბული (650 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — პუშტუ (ავღანური) და დარი (სპარსული ენის ავღანური დიალექტი).



ცენტრალური აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გადაჭიმულია მთიანი ქვეყანა ავღანეთი. მარაოსავით გაშლილი მთაგრეხილები მთელ ქვეყანას ქსელავს. მთათა სისტემის ცენტრალური ქედი — ჰინდუკუში — ქვეყანას მკვეთრად ყოფს ორ — ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილად. ავღანეთის ჩრდილოეთი — სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედების, კარგი საძოვრების რაიონია, ხოლო სამხრეთი ქვიანი, თიხიანი და ქვიშიანი უდაბნოებია, სადაც იშვიათია ოაზისები. ავღანეთს არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. უახლოესი საზღვაო ნავსადგური (სპარსეთის ყურეში) სამხრეთ-დასავლეთი საზღვრიდან 500 კმ-ზე მდებარეობს.

ავღანეთის მოსახლეობა საკმაოდ რთული ეთნიკური შემადგენლობისაა. ავღანები, ანუ პუშტუნები მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. ქვეყანაში ცხოვრობენ ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ხაზარები, ბელუჯები, ჯემშიდები და სხვა ხალხები. ჰინდუკუშის სამხრეთით უმეტესად ავღანები ცხოვრობენ, ცენტრში — ტაჯიკები და ხაზარები, ხოლო ჩრდილოეთით უზბეკები და თურქმენები. ავღანეთის თითქმის მთელი მოსახლეობა სოფლის ბინადარია. ქალაქებში დაახლოებით 2 მილიონი კაცი ცხოვრობს.

ძველად ავღანეთის ტერიტორიაზე გადიოდა სავაჭრო გზები, რომლებიც ინდოეთსა და ჩინეთს შუა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა. აქ იყვნენ მრავალრიცხოვანი დამპყრობლები: ასირიელები და სპარსელები, ჰუნები და მონგოლები, რომლებიც ისწრაფოდნენ დაპატრონებოდნენ ინდოეთის ზღაპრულ სიმდიდრეს. ავღანეთის ტერიტორიაზე ერთ დროს უძლიერესი ყუშანების სამეფოს უძველესი ძეგლებია, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი კლდეში ნაკვეთი ქალაქი ბამიანი.

ავღანეთი დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა ინგლისელ კოლონიზატორებს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ გადაექციათ იგი დამოკიდებულ სახელმწიფოდ, ხოლო მისი ტერიტორია გამოეყენებინათ ირანსა და შუა აზიაში შემდგომი კოლონიური დაპყრობის ბაზად. ინგლისმა პირველად 1838 წ. გაგზავნა თავისი ჯარი ავღანეთში, მაგრამ ავღანელი ხალხი აღდგა დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად და გარეკა ისინი თავის მიწა-წყლიდან. 1878 წ. ინგლისის არმია კვლავ შეიჭრა ავღანეთში. ორ წელიწადში ინგლის-ავღანეთის ეს მეორე ომიც ინგლისელების სრული განდევნით დამთავრდა. 1919 წ. ავღანელმა ხალხმა ისევ დაიცვა საკუთარი თავისუფლება ინგლისელებთან ბრძოლაში.

1973 წ. ავღანეთში დაემხო მონარქიული რეჟიმი და ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა. 1978 წ. 27 აპრილს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა სახალხო რევოლუცია და 30 აპრილს ავღანეთი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. დეკემბერში ხელმოწერილი იქნა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ.

1979 წ. ზაფხულში ძალაუფლება მოტყუებით ხელთ იგდო მოღალატეთა და უცხოეთის აგენტების ჯგუფმა, რომელიც შეეცადა გაეუქმებინა აპრილის რევოლუციის მონაპოვარი. ქვეყანაში დაიწყო პროგრესული ელემენტების დევნა, რეპრესიები, ხოცვა-ჟლეტა.

ავღანეთის დედაქალაქი ქაბული.

იმავე წლის ბოლოს ქვეყნის პატრიოტულმა ძალებმა დაამხეს მოღალატეთა რეჟიმი და სთხოვეს საბჭოთა კავშირს ჯარების შეზღუდული კონტიგენტი შეეყვანა ავღანეთში, უცხოეთიდან მის საშინაო საქმეებში ჩარევის აღკვეთის მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ აშშ-ის, პაკისტანისა და ჩინეთის ხელმძღვანელები. სსრ კავშირმა ავღანეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა და გაეროს წესდების თანახმად აღმოუჩინა ავღანეთს ძმური დახმარება.

ავღანეთის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი ქაბული — ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ქალაქში და მის გარეუბნებში თავმოყრილია ქვეყნის ყველაზე მსხვილი სამრეწველო საწარმოები, ბევრი კუსტარული სახელოსნო. ქალაქი იზრდება და თანდათანობით იცვლის სახეს.

ქაბულის აკადემია „პუშტუ ტალინა“ სწავლობს პუშტუს ენას, ავღანეთის ლიტერატურასა და ისტორიას. ქალაქში ბევრი ძეგლია. მათ შორის ყველაზე საინტერესოა დიდ მოგოლთა დინასტიის დამაარსებლის სულთან ბაბურის აკლდამა და დამოუკიდებლობის სვეტი, რომელიც დამოუკიდებლობისათვის ომებში ავღანეთის გამარჯვების აღსანიშნავად არის აღმართული.

ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობაა, მაგრამ მისი დონე ჯერჯერობით საკმაოდ დაბალია. წამყვანია მარცვლეულის წარმოება. მოსავლიან წლებში იგი მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო მოთხოვნილებას. ზოგიერთ რაიონში განვითარებულია მებაღეობა (მეციტრუსეობა) და მევენახეობა.

ავღანეთის მიწათმოქმედება ხელოვნურ მორწყვას საჭიროებს. ხშირია გვალვა, ხოლო მდინარეები წყალმცირენი არიან. ძალზე ცოტაა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, რომლებიც შეაკავებდნენ და დააგროვებდნენ წყალდიდობის წყალს.

დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეუდგა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ფართო პროგრამის განხორციელებას 1978 წლის სექტემბერში 11 მლნ. მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხი გაათავისუფლა მემამულეთა და მევახშეთა ვალისაგან, ნოემბერში მიიღეს კანონი აგრარული რეფორმის შესახებ.

ზოგიერთი ხეობა აყვავებული ოაზისია სადაც ჩინებული მცენარეები, სუბტროპიკული კულტურები ხარობს. ავღანეთის საძოვრებსა და იალაღებზე ამრავლებენ წვრილფეხა რქოსან საქონელს. განვითარებულია მეკრავეელეობა. მომთაბარე მეურნეობა სულ უფრო ბინადარი ხდება, მაგრამ მაინც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ ისევ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწევა.



გზატკეცილი ქაბულ-შერხანი გადადის ჰინდუქუშის ქედზე სალანგის უღელტეხილის რაიონში. აიგო საბჭოთა კავშირის დახმარებით.

ავღანეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით — ქვანახშირით, რკინის, ქრომისა და სპილენძის მადნით, ტყვიით, კალით, მარილით, ლაჟვარდით. არის გაზისა და ნავთობის საბადოები. მაგრამ მოპოვებითი მრეწველობა სუსტადაა განვითარებული.

დამუშავებით მრეწველობას 20-იან წლებამდე შეიძლება მიკუთვნებოდა მხოლოდ კუსტარული

სახელოსნოები, რომლებიც ქსოვილებს, ხალიჩებს, ჰურჭელს და იარაღს ამზადებდა. ასეთი სახელოსნოები დღესაც ბევრია ავღანეთში, მაგრამ ჩნდება თანამედროვე სამრეწველო საწარმოებიც. ყველაზე დიდი მნიშვნელობა საფეიქრო მრეწველობას ენიჭება.

ეკონომიკის განვითარების გეგმები ითვალისწინებს ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და სხვა ახალი საწარმოების აგებას, ელექტროენერგიის წარმოების ზრდას, საავტომობილო გზების მშენებლობას. ქვეყანაში მუშები ცოტაა. სამრეწველო საწარმოებში, კუსტარულის ჩათვლით, დაახლოებით 260 ათასი კაცია.

ავღანეთში სუსტადაა განვითარებული ტრანსპორტი. რკინიგზები არ არის. 1920 წლამდე საავტომობილო გზებიც არ იყო.

ტვირთი გადაჰქონდათ საქარავნო გზებითა და სასაპალნე ბილიკებით. ამჟამად მათ მიემატა დაახლოებით 8 ათასი კმ. საავტომობილო გზატკეცილები და ყამირგზები, რომლებითაც გადააქვთ ტვირთის დაახლოებით 80 პროცენტი. ვითარდება საჰაერო ტრანსპორტი.

საგარეო ვაჭრობა უაღრესად მნიშვნელოვანია ავღანეთისათვის, რადგან ქვეყანა არ აწარმოებს საკუთარ მანქანებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. საექსპორტოა ბუნებრივი გაზი და ტრადიციული საქონელი: კრაველი, ბამბა, მატყლი, ტყავის ნედლეული, ხილი, კაკალი და ხალიჩები. შემოაქვთ მანქანები, მოწყობილობა, სათადარიგო ნაწილები, ავტომობილები, ნავთობპროდუქტები, სხვადასხვა სამომხმარებლო, მათ შორის სასურსათო საქონელი. ავღანეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 30 პროცენტზე მეტი საბჭოთა კავშირზე მოდის.

1921 წ. თებერვალში დაიდო საბჭოთა სახელმწიფოსა და ავღანეთს შორის მეგობრობის ხელშეკრულება. ეს იყო ავღანეთის პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. 1931 წ. სსრ კავშირმა და ავღანეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ. ხელშეკრულებების მოქმედების ვადა დროთა განმავლობაში გრძელდება.

საბჭოთა კავშირი ეხმარება თავის მეგობარ მეზობელ ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებაში. ავღანეთის ჩრდილოეთ რაიონებში საბჭოთა გეოლოგებმა აღმოაჩინეს ბუნებრივი გაზის მდიდარი საბადოები და აწარმოებენ ნავთობის საბადოების ძიებას. 1967 წლიდან ავღანეთის გაზი მილსადენით შემოდის საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით და საბჭოთა კრედიტით ავღანეთში აშენდა სხვადასხვა სამრეწველო საწარმოები, მათ შორის სამი ელევატორი, რვა ნავთობსაცავი, ასფალტ-ბეტონის ქარხნები, პურკომბინატი ქაბულში, ავტოსარემონტო ქარხანა ჯანგალაჭში (ქაბულის გარეუბანში), ჰიდროელექტროსადგურები ნაღლუში, ფულ-ი-ხუმრიში და დარუნტში.

მწყობრში ჩადგა საერთაშორისო აეროპორტი ქაბულში, ნავსადგური მდინარე ფანჯზე შერხანში, ავტოსტრადა ქუშქა—ჰერათი—ყანდაარი, მაღალი მთის გზატკეცილი და გვირაბი ჰინდუქუშის ქედზე სალანგის უღელტეხილის რაიონში, აზოტოვანი სასუქების ქარხანა მაზარი-შარიფში. 1965 წ. დასრულდა ჯალალაბადის სარწყავი არხის მშენებლობა, რომლის სიგრძე 70 კმ-ია. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირი ავღანეთს ეხმარება სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ეროვნული კადრების მომზადებაში. ქაბულში სსრ კავშირის დახმარებით აშენდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ავღანეთის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება მშვიდობიანი თანაარსებობისა და მიუმხრობლობის პრინციპებს, ავღანეთი თანამიმდევრულად ატარებს სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების კურსს.

აომინი (მაკაო)

ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე სიძიანის შესართავთან უკვე მრავალი საუკუნეა არსებობს პორტუგალიის კოლონია აომინი (მას მაკაოსაც უწოდებენ). იგი მოიცავს ნახევარკუნძულ აომინსა და რამდენიმე მცირე კუნძულს. ფართობი 16 კვ. კმ-ია. მოსახლეობა დაახლოებით 350 ათასი კაცი (98% ჩინელია).

პორტუგალიელი კოლონიზატორები ამ რაიონში 1557 წ. დამკვიდრდნენ. თავდაპირველად მათ

„იჯარით აიღეს“ აომინი, ხოლო 1849 წ. პორტუგალიის მთავრობამ აომინი ჩინეთიდან გამოყოფილად გამოაცხადა.

ადმინისტრაციულ ცენტრში — ქალაქ აომინში — ოქროთი და ნარკოტიკებით ვაჭრობაა გაჩაღებული, ბევრია ბანქოს სათამაშო სახლები, ოპიუმის მოსაწევი დარბაზები. აომინში ჩადის მრავალი საქმოსანი და უცხოელი ტურისტი.

მოსახლეობა მისდევს თევზჭერას, კუსტარულ რეწვას, განვითარებულია ტურიზმი. მშრომელთა ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონე მსოფლიოში აქ არის.

პორტუგალიის მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას აომინის საკითხი გადაწყვიტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკების გზით.

არაბთა გაერთიანებული საამიროები

არაბთა გაერთიანებული საამიროები (აგს).
ფართობი — 83,6 კვ. კმ.
მოსახლეობა — 877,4 ათასი კაცი.
დროებითი დედაქალაქი — აბუ-დაბი (300 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — არაბული.

თუ თქვენ ფილატელიით ხართ გატაცებული, მაშინ, რასაკვირველია, ყურადღებას მიაქცევდით დიდ, ლამაზად გაფორმებულ მარკებს, რომლებსაც მჟღერი და ცოტათი იდუმალი წარწერები აქვს: აბუ-დაბი, დუბაი, შარჯა, ელ-ფუჯაირა, უმ-ელ-კაივაინი, აჯმანი, რას-ელ-ხაიმა. ეს არაბული საამიროებია (სამთავროები), რომლებიც არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობენ. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ისინი შედიოდნენ ინგლისის პროტექტორატის — ხელშეკრულებითი ომანის — შემადგენლობაში. ახალი სახელმწიფო — ფედერაცია, რომელმაც არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელი მიიღო, — შეიქმნა 1971 წლის 2 დეკემბერს. ფედერაციის პირველ პრეზიდენტად ემირებმა აბუ-დაბის სამთავროს მმართველი აირჩიეს. შეიქმნა მთავრობა



და საკანონმდებლო ორგანო — ემირთა უმაღლესი საბჭო.

XIX ს. დასაწყისში მეკობრეებთან ომის მომიზეზებით, ინგლისმა დაიპყრო სამთავროები და მათ მმართველებს თავს მოახვია უთანასწორო შეთანხმება. ამ შეთანხმების შესაბამისად ემირები განაგრძობდნენ ქვეშევრდომებისათვის სამართლისა და სასჯელის გადაწყვეტას, მაგრამ „ვალდებულებას ღებულობდნენ“ არ დაეთმოთ თავიანთი ტერიტორია რომელიმე მესამე სახელმწიფოსათვის და ინგლისის მთავრობას გადასცეს უფლებები საგარეო ურთიერთობის წარმოებისა. არაბი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების შედეგად ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა უარი ეთქვა პროტექტორატის შესახებ შეთანხმებაზე და შეეცვალა იგი ერთიანი ხელშეკრულებით „მეგობრობის“ შესახებ, რომელიც უფლებას აძლევს ინგლისს გავლენა ჰქონდეს ახალ სახელმწიფოზე.

არაბთა გაერთიანებული საამიროების მთავარი შემოსავლის წყარო — აბუ-დაბისა და დუბაის საამიროებში აღმოჩენილი ნავთობის ანარიცხებია. 1978 წ. მოპოვებული იყო 100 მლნ. ტონა ნავთობი, რაც 14 მლრდ. მოგებას უდრიდა ქვეყნისათვის. ამ მოგების მესამედი გადაეცემა განვითარებად ქვეყნებს.

მოსახლეობის უმრავლესობა არაბებია, მაგრამ ბევრია პაკისტანიდან, ინდოეთიდან, ირანიდან გადმოსახლებულნიც. დედაქალაქის გარდა უმთავრესი ქალაქებია — დუბაი და შარჯა. სხვა საამიროების დედაქალაქებს, რომლებიც ამავე საამიროების სახელებს ატარებენ, ჯერჯერობით ძნელია ქალაქი ეწოდოს. სანაპირო ზოლის მოსახლეობის ძირითა-

დი საქმიანობა მეთევზეობა და მარგალიტის მოპოვებაა, ოაზისებში მიწათმოქმედებას მისდევენ, ქვეყნის შიდა რაიონებში კი მომთაბარე მესაქონლეობას.

საამიროებში შუასაუკუნეობრივი ურთიერთობა ბატონობს. ფეოდალი დიდებულების პრივილეგიები წმიდათაწმიდად ითვლება. წერა-კითხვის უცოდინარია მცხოვრებთა 85%. ამავე დროს ნავთობის შემოსავლის ხარჯზე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სწრაფად ვითარდება მრეწველობის ცალკეული დარგები, გაჰყავთ გზები, აშენებენ საზღვაო და საერთაშორისო აეროპორტებს, რომ უცხოეთის კაპიტალს უფრო გაუადვილდეს ამ რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია.

ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი საამიროები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის, ისე განვითარების დონის მიხედვით.

აბუ-დაბი ტერიტორიულად ყველაზე დიდი სამთავროა (მთელი ფედერაციის ტერიტორიის დაახლოებით 80%), რომელსაც ნავთობის უმდიდრესი მარაგი აქვს. იგი წამყვან როლს ასრულებს არაბთა გაერთიანებული საამიროების ეკონომიკურ განვითარებაში. აბუ-დაბში შენდება ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ჯერჯერობით კი სამთავრო იძულებულია საწვავი გარედან შემოზიდოს, რაც სამჯერ ძვირი უჯდება. მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილია ოაზისების რაიონებში, ქვეყანაში დაახლოებით 40 ოაზისია, რომლებშიც განვითარებულია მიწათმოქმედება.

დუბაი — ამ სამთავროში ცხოვრობს არაბთა გაერთიანებული საამიროების მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედი. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ ნავთობს აღმოაჩენდნენ, დუბაი ძალიან მდიდარ საამიროდ ითვლებოდა ფართოდ განვითარებული ვაჭრობის გამო. აქ არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოქროს ბაზარი. სამთავროს დედაქალაქში — ნავსადგურ დუბაიში შემოდის მსოფლიოს 15 საზღვაო ნაოსნობის სააგენტოს გემები. დუბაი ვაჭრობს მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანასთან, მათ შორის სსრ კავშირთან. 1973 წ. მწყობრში ჩადგა ახალი დიდი ნავსადგური — რაშიდი. საამიროებში აღმოჩენილია მიწისქვეშა მტკნარი წყლის დიდი მარაგი, რომელიც დააკმაყოფილებდა მთელი ფედერაციის მოთხოვნილებას.

შარჯა არაბთა გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთი უძველესი სამთავროა. იგი შედგება ოთხი ერთიმეორისაგან განცალკევებული რაიონისაგან. შარჯა განთქმულია ხალიჩებითა და ქსოვილებით, ასევე ძვირფასი ლითონების ნაკეთობებით.

ელ-ფუჯაირაში მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობას მისდევს. ტროპიკული ხილი, ბოსტნეული, კარგი ხარისხის თამბაქო ექსპორტის საფუძველია. საამიროს წიაღში აღმოჩენილია ქრომი და ურანის მადანი.

უმ-ელ-კაივანს თითქმის სრულებით არა აქვს წყალი. ამიტომ მოსახლეობის უმრავლესობა დედაქალაქში და ფალაჯ-ალ-მუალას ოაზისში ცხოვრობს. ძირითადი საქმიანობა თევზჭერა და მარგალიტის მოპოვებაა.

აჯმანი ტერიტორიულად ყველაზე პატარა სამთავროა, რომელიც სამი ცალკეული რაიონისაგან შედგება. მოსახლეობა თევზჭერას მისდევს. აჯმანში ყველაზე დიდი თევზსაჭერი ფლოტია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. სამთავრო განთქმულია კარგი ჰავით. იგი მეზობელი საამიროების მმართველი ოჯახების ტრადიციული დასასვენებელი ადგილია.

რას-ელ-ხაიმა სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით არაბთა გაერთიანებული საამიროების ყველაზე მდიდარი სამთავროა. ექსპორტის მთავარი წყაროა ხილი და ბოსტნეული. სამთავროს აქვს საკუთარი პატარა სავაჭრო ფლოტი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲢᲘᲛᲝᲠᲘ

აღმოსავლეთ ტიმორს უჭირავს კუნძულ ტიმორის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (კუნძულის დანარჩენი ტერიტორია ინდონეზიას ეკუთვნის) და მიმდებარე კუნძულები კამბინგი და ჟაკუ (საერთო ფართობია 14,9 ათასი კვ. კმ). მოსახლეობა (660 ათასი) უმთავრესად შედგება ინდონეზიის ხალხების მონათესავე ტეტუმებისა და მაკასაებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია დილი (დაახლ. 20 ათასი მცხოვრები).

მეურნეობის საფუძველი ბრინჯის, სიმინდის, ბატატის, ყავის, კაუჩუკის წარმოებაა. განვითარებულია მესაქონლეობა, თევზჭერა, ნადირობა, ტრეპანგების ჭერა და ნიჟარების მოგროვება. აღმოჩენილია ნავთობისა და გაზის საბადოები.

თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში (1586 წლიდან) აღმოსავლეთი ტიმორი პორტუგალიის კოლონია იყო. 1974 წ. პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ახალმა მთავრობამ ცნო ამ ტერიტორიის ხალხის თვითგამორკვევის უფლება. დეკოლონიზაციის მომზადების პერიოდში ქვეყანაში მოხდა შეიარაღებული შეტაკებები დამოუკიდებლობის მომხრეებსა და იმათ შორის, რომლებიც ინდონეზიასთან მიერთებას მოითხოვდნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გამოთქვა აზრი, რომ აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობას მიეცეს საშუალება დემოკრატიულ საწყისებზე გადაწყვიტოს თავისი მომავლის საკითხი. 1976 წ. ივლისში ინდონეზიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აღ. ტიმორის ტერიტორია ინდონეზიას შეუერთდა.

აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობის რევოლუციური ფრონტი (ფრეტილინი) განაგრძობს შეიარაღებულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

1978 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა აღმოსავლეთ ტიმორის ხალხის უფლება თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობაზე.



ბანგლადეში

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 142,7 ათასი კვ. კმ.
მოსახლეობა — 85,4 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი — დაკა (1,85 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ბენგალიური.

ორი ნახევარკუნძულის — ინდოსტანისა და ინდოჩინეთის — შესაყარზე მდებარეობს ბანგლადეში — „ბენგალელების ქვეყანა“ (მოსახლეობის 95% ბენგალელები არიან). კონტინენტურ ქვეყნებს შორის აქ მოსახლეობის ყველაზე დიდი სიმჭიდროვეა — საშუალოდ 530 კაცი 1 კმ².

ბანგლადეშის სახელმწიფო აღმოსავლეთ პაკისტანის ადგილზე აღმოცენდა 1947 წ. ინგლისელმა კოლონიზატორებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მძლავრი შემოტევის შედეგად დამოუკიდებლობა მისცეს ინდოეთს (იხ. სტ. „ინდოეთი“). მათ ეს ქვეყანა იმპერიალისტური პრინციპების შესაბამისად — „გაყავი და იბატონე“ — რელიგიური ნიშნით ორ ნაწილად გაყვეს. პროვინციის იმ ტერიტორიაზე, რომელიც უმთავრესად მუსულმანებითაა დასახლებული, შეიქმნა პაკისტანის სახელმწიფო. ეს სახელმწიფო ორი ნაწილისაგან შედგებოდა — დასავლეთი და აღმოსავლეთი, რომელშიც შევიდა ყოფილი ინდოეთის პროვინცია აღმოსავლეთი ბენგალია. ერთმანეთისაგან 1500 კმ-ზე მეტი მანძილით დაშორებულ, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებით დასახლებულ პაკისტანის ორ ნაწილს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების არათანაბარი დონე ჰქონდა.

დროთა განმავლობაში გათიშულობა არა თუ შესუსტდა, არამედ უფრო და უფრო გაღრმავდა. აღმოსავლეთ ბენგალიაში წარმოიშვა და გაძლიერდა ეროვნული უფლებებისათვის მოძრაობა. თავდაპირველად მხოლოდ ფართო ავტონომიას მოითხოვდნენ. ასეთი პოზიცია ეკავა სახალხო ლიგას — ქვეყნის გავლენიან პოლიტიკურ პარტიას. სამხედროები, რომელთა ხელში იყო ძალაუფლება პაკისტანში, ცდილობდნენ აეძულებინათ სახალხო ლიგის ხელმძღვანელობა, უარი ეთქვა ავტონომიის მოთხოვნებზე, მაგრამ როცა ეს ვერ

მოახერხეს, შეიარაღებულ ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ. რეპრესიების მიუხედავად ბანგლადეშის ხალხმა იარაღით ხელში დაიცვა უფლება, თავისი ხვედრის ბატონ-პატრონი თვითონ ყოფილიყო. 1971 წ. აპრილში ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა გამოაცხადეს ბანგლადეშის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. მას დახმარების ხელი გაუწოდა მეზობელმა ინდოეთმა. ბანგლადეშის ხალხის სამართლიან საქმეს მტკიცედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა.

ბანგლადეში მსოფლიოში პირველ ადგილზეა ჯუთის წარმოების მხრივ, რომლის ბოჭკო გამოიყენება ტომრების, ხალიჩების, ქერელის ტილოს, თოკების წარმოებისათვის. სიჭარბე დაბლობებისა, რომლებიც წარმოქმნა მძლავრმა მდინარეებმა განგმა, ბრაჰმაპუტრამ და მეგჰნამ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჯუთის, ჩაისა და სხვა მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. მაგრამ ჯერჯერობით სოფლის მეურნეობა, რომელშიც ჩაბმულია მოსახლეობის 58%, ცალმხრივი განვითარების შედეგად ზარალდება. კოლონიური წარსულის დამღუპველი შედეგია ის, რომ ქვეყანაში სურსათ-სანოვაგის, განსაკუთრებით ბრინჯის ქრონიკული უკმარისობაა.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა რიტმი ბევრად არის დამოკიდებული კლიმატურ თავისებურებებზე. ზაფხულობით მუსონებს, რომლებიც ბენგალის ყურიდან უბერავს, უხვი ნალექი მოაქვს: ცალკეულ დღეებში 250 მმ-მდე. გარდამავალ სეზონებში, მუსონების ცვლის დროს ზღვისპირა რაიონებს თავს ატყდება შტორმები, რომლებიც ზოგჯერ ტაიფუნის ძალას აღწევს. გამანადგურებელ ციკლონს, რომელმაც 1970 წ. გადაიარა, თან ახლდა გრიგალისებური ქარი და თითქმის ექვსმეტრიანი მოქცევადი ტალღა. ამან მნიშვნელოვანი ნგრევა და ადამიანთა დიდი მსხვერპლი გამოიწვია.

ბანგლადეშში მრეწველობის განვითარებასაც სერიოზული პრობლემები უშლის ხელს. ქვეყანაში არის მხოლოდ ჯუთის ფაბრიკები, რომელთა პროდუქცია საექსპორტოდ მიდის, მეტალურგიული და ნავთობსახდელი ქარხნები, სასუქის მწარმოებელი ორი საწარმო. მრავალრიცხოვან კუსტარულ სახელოსნოებში ამზადებენ ფართო მოხმარების საგნებს.

საომარი მოქმედების დროს ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. უკუქცეულმა პაკისტანის ჯარებმა ააფეთქეს მდინარეებზე გადებული ბევრი ხიდი, რამაც სერიოზულად გააძნელა ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის კავშირი.

ბანგლადეშის ხალხის წინაშე დგას სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება-განმტკიცების, ეკონომიკური აღმავლობისათვის ბრძოლის რთული საკითხები. ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველია ბანგლადეშის კომუნისტური პარტია, რომელიც იბრძვის დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, ინდოეთის სუბკონტინენტის ყველა ხალხს შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის დახმარებას „ბენგალელთა ქვეყნისათვის“, მისი მრეწველობის გასავითარებლად, ეროვნული კადრების მოსამზადებლად, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად, ტრანსპორტის აღსადგენად.

საბჭოთა სპეციალისტები დაეხმარნენ, კვლავ გაეღოთ ქვეყნის საზღვაო ჭიშკარი — ჩიტაგონგის ნავსადგური, რომელიც ომის დროს ნაღმებითა და ჩაძირული ხომალდებით იყო ჩაკეტილი.

ბანგლადეშის დედაქალაქი დაკა — ახალგაზრდა და სახელმწიფოს პოლიტიკური, სამრეწველო და კულტურული ცენტრია.

დაკაში ატარებენ მნიშვნელოვან საერთაშორისო თათბირებს. აქ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე აზიაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ (1973 წ. მაისი), რომელშიც მონაწილეობდა 26 ქვეყნის დელეგაცია სსრ კავშირის ჩათვლით, მიიღეს დაკის დეკლარაცია. დეკლარაცია მოუწოდებს აზიის ყველა ქვეყანას და ხალხს, დარაზმონ ძალები კონტინენტზე თანამშრომლობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

1978 წელს ჩატარდა პრეზიდენტის, ხოლო 1979 წ. ეროვნული ასამბლეის (პარლამენტი) არჩევნები, რომლებშიც გაიმარჯვა ბანგლადეშის მმართველმა ნაციონალისტურმა პარტიამ. ქვეყანაში მრავალი სხვა პარტიაც არსებობს: ეროვნული მუშათა პარტია, ბანგლადეშის სახალხო ლიგა, ეროვნული ლიგა, მუსლიმანური ლიგა, ნიზამ-ი-ისლამი, დემოკრატიული ლიგა, ეროვნული სოციალისტური პარტია, კომუნისტური პარტია და სხვანი.

ბანგლადეშის დედაქალაქ დაკის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.

ჯუთი ქვეყნის ძირითადი სიმდიდრეა. დიდ შრომას ხარჯავს გლეხი, რომ მოიყვანოს იგი. ჯუთის აღება იწყება წვიმების სეზონის დამთავრების შემდეგ. მოსავალს იღებს მთელი ოჯახი, ბავშვებიც კი.

ბრძოლა საუკუნეობრივ უბედურებასთან — ეპიდემიებთან. სურათზე: ქოლერის საწინააღმდეგო აცრა.







ბაჰრეინი

სახელმწიფო ბაჰრეინი.
ფართობი — 598,3 კვ. კმ.
მოსახლეობა — 341 ათასი კაცი.
დედაქალაქი — მანამა (დაახლოებით 220 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

ბაჰრეინი არაბული სიტყვაა და „ორ ზღვას“ ნიშნავს. იგი მდებარეობს ამავე სახელწოდების არქიპელაგზე, სპარსეთის ყურეში. არქიპელაგის შემადგენლობაში შედის 25 კონტინენტური, მარჯნისა და ქვიშიანი კუნძული, რომელთა შორის ყველაზე დიდია ბაჰრეინი, მუჰარაკი, სითრა, უმნაასანი, ჰავარი. ქვეყანა უმეტესად არაბებითაა დასახლებული. ასევე არიან ირანიდან, ინდოეთიდან და პაკისტანიდან გადმოსახლებულები.

ბაჰრეინის ჰავა ტროპიკულიდან სუბტროპიკულისაკენ გარდამავალია. ნალექების რაოდენობა ძალიან მცირეა, ნიადაგი დამლაშებულია.

ბაჰრეინის კუნძულები ვაკეა. გეოლოგიური აგებულებით ძალიან ჰგავს არაბეთის ნახევარკუნძულის სანაპირო რაიონებს. კუნძულ ბაჰრეინის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში ამოზიდულია პატარა პლატო რამდენიმე კირქვიანი პიკისმაგვარი მწვერვალით (135 მ-მდე).

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1971) ბაჰრეინის სამთავრო ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა.

სახელმწიფოს სათავეში ემირი დგას, რომელსაც შეუზღუდავი უფლებები აქვს. არსებობს ეროვნული კრებაც საკანონმდებლო უფლებებით. პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აკრძალულია. არალეგალურად მოქმედებს ბაჰრეინის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტი და ეროვნული ძალების ფრონტი.

მანამა. მთავრობის რეზიდენცია.

ბაჰრეინი მეტწილად უცხოურ კაპიტალზეა დამოკიდებული. ეკონომიკის საფუძველი ნავთობის მოპოვება (დაახლოებით 5 მლნ. ტ. წელიწადში) და მისი გადამუშავებაა. კუნძულ სითრაზე აგებულია დიდი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა (მისი სიმძლავრე 14 მლნ. ტ-მდე ადის). ქარხანა მუშაობს ადგილობრივ ნავთობზე და ორი ნავთობსადენით საუდის არაბეთიდან შემოტანილ ნავთობზე. ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებას კონტროლს უწევენ ამერიკის კომპანიები.

ექსპორტზე მუშაობს ავტომატიზებული ალუმინის ქარხანა, რომელიც იყენებს შორეული ავსტრალიიდან შემოტანილ თიხამიწას. შენდება ნავთობსასხმელი გემების, მათ შორის სუპერტანკერების სარემონტო მშრალი დოკი.

სოფლის მეურნეობაში ჭარბობს მებაღეობა და მებოსტნეობა. ბევრია ფინიკის პალმა, ოაზისებში მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი და ქერი.

გლეხობის უმეტესობა მემამულეებისა და კულაკებისაგან მოზიარობის პირობითი იჯარით იღებენ მიწას. ამ კუნძულოვანი ქვეყნის მრავალი მოსახლე თევზჭერით ირჩენს თავს (იჭერენ 50-მდე სახეობის თევზს). ამას გარდა ბაჰრეინელები უძველესი დროიდან მარგალიტის მოპოვებას მისდევენ. მათ მიერ მოპოვებული მარგალიტი საქვეყნოდაა ვანთქმული.

კუნძულები ბაჰრეინი, სითრა და მუჰარაკი, რომელზედაც მდებარეობს დიდი საერთაშორისო აეროპორტი, ერთმანეთთან ჯებირებითაა დაკავშირებული.

ბირმა



სოციალისტური რესპუბლიკა ბირმის კავშირი.
ფართობი — 678 ათასი კვ. კმ.
მოსახლეობა — 32,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — რანგუნი (გარეუბნებით 2,4 მლნ. მცხოვრებზე მეტი).
სახელმწიფო ენა — ბირმული.

ბირმას — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქვეყანას — უჭირავს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი. სამი მხრიდან მას აკრავს ძნელადსავალი მთების თხემები, სამხრეთით — ინდოეთის ოკეანის წყლები. თითქმის ნახევარი უჭირავს მერიდიანულად განლაგებულ ტყიან ქედებს, რომელთა შორის მიედინება ქვეყნის ძირითადი მდინარეები — ირავადი, ჩინდუინი და სალუინი. ყველაზე დიდი მდინარის ირავადის ხეობა ნაყოფიერი დაბლობია. იგი ქვეყნის მთავარი ბეღელია.

ბირმაში დაახლოებით 70 ეროვნება და ტომია. ყველაზე დიდი ეროვნული ჯგუფი ბირმელებია (20 მლნ-ზე მეტი). ბირმელებს რაოდენობის მიხედვით მოსდევენ კარენები (2,5 მლნ.) და შანები (2 მლნ.).

ბირმა მუსონების ქვეყანაა. მაისიდან ოქტომბრამდე ქრის სამხრეთ-დასავლეთის მუსონი. მას მოაქვს წლიური ნალექების 95%-მდე. ყველაზე ცხელი თვეა აპრილი, დღისით ჰაერი +47°-მდე ხურდება, ყველაზე ცივია იანვარი (+20°).

ბირმის მთები მდიდარია კალით, ვოლფრამით, ვერცხლით, ტყვია-თუთიის, კობალტის და რკინის მადნებით, პატიოსანი თვლებით. ირავადის ხეობა მდიდარია ნავთობითა და ბუნებრივი გაზით, მაგრამ ქვეყნის ტერიტორია ნაკლებადაა შესწავლილი და ბუნებრივი ნედლეულის გამოკვლეული მარაგი მცირეა. ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სატყეო მეურნეობას. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყეს უჭირავს. ყველაზე ძვირფასი ხეა ტექტონა. იგი 30—40 მ. სიმაღლეს აღწევს, შტამბის სიგანე დაახლოებით 1,5 მ-ია. იგი აშოლტილი ფართოფოთლოვანი ხეა. ტექტონის მერქანი პრაქტიკულად წყალს არ ისრუტავს, ცეცხლგამძლეა, ძალიან მყარია და დიდხანს არ ლპება. ნედლი ტექტონა წყალზე მძიმეა და არ შეიძლება მდინარეებზე მისი დაცურება. ამიტომ მოჭრამდე ორიოდე წლით ადრე ხეებს შემოფისავენ და ისინი თანდათანობით ზეზეულად ხმებიან. ტყის საექსპლოატაციო სამუშაოებზე ფართოდ იყენებენ მოშინაურებულ სპილოებს. არსებობენ კოოპერატივები, რომლებიც დაოსტატებულები არიან ველური ცხოველების ჭერასა და მათი ძირითადი სამუშაო ჩვევების გამომუშავებაში. ტექტონის ტყეებს იცავს სახელმწიფო. კერძო პირებს აკრძალული აქვთ ტექტონის მერქნის დამზადება.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. სოფლებში ცხოვრობს მოსახლეობის 80%-ზე მეტი. თითქმის მთელი მოსახლეობა დაკავშირებულია ქვეყნის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ბრინჯის წარმოებასთან. ბირმელ გლეხებს, გარდა ბრინჯისა, მოჰყავთ ფეტვი, ხორბალი, სიმინდი, არაქისი და ქუნჯუთი, ასევე ფორთოხალი, ბანანი, ანანასი, მანგო და ბოსტნეული. წელიწადში ორ-სამ მოსავალს იღებენ.

ფართოვდება კაუჩუკოვანი ჰევეის, ბამბის, ჩაისა და შაქრის ლერწმის პლანტაციები.

მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. ჭარბობს წვრილი საწარმოები (10—20 კაციანი) და სახელოსნოები. მრეწველობაში და ტრანსპორტზე შრომობს დაახლოებით 1,3 მლნ. კაცი. სამრეწველო მუშათა უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებითაა დაკავებული. გადამამუშავებელი მრეწველობის წამყვან დარგად რჩება კვების მრეწველობა — ბრინჯის, ჩაის ფოთლის, შაქრის, მცენარეული ზეთის წარმოება, საწებლების დამზადება. საფეიქრო მრეწველობა მნიშვნელობით მეორეა.

ყველაზე დიდი საწარმოებია (ყველა ისინი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აიგო) ფოლადსაგლინავი ქარხანა, გემთსაშენი, საბარგო და მსუბუქი ავტომანქანების, ავტობუსების, ელექტროაპარატების საამწყობო საამქროები. თითქმის მთელი სამრეწველო მოწყობილობის და ნაწილობრივ დამუშავებითი მრეწველობისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატებს საზღვარგარეთ ყიდულობენ. ისინი რომ შეიძინოს, ბირმამ უნდა გაყიდოს ბრინჯი, ფერადი ლითონების მადანი და მერქანი, ამ საქონლის ფასები კი უკანასკნელ წლებში მსოფლიო ბაზარზე იკლებდა.

ახალი საწარმოების შექმნა დამოუკიდებელი ბირმის დიდი მიღწევაა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, პირველ რიგში კი იმიტომ, რომ ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზეა დამოკიდებული, ახალი მშენებლობის შესაძლებლობა ძალიან შეზღუდულია, ეს კი მოსახლეობის დასაქმებაში დიდ სიძნელებს ქმნის. ქვეყანაში მრავალი უმუშევარია.

უდიდესი ქალაქებია: დედაქალაქი რანგუნი — ქვეყნის ძირითადი ნავსადგური სამრეწველო და კულტურის ცენტრი, მანდალაი — ჩრდილოეთ ბირმის ცენტრი, და მოლამიაინი.

ბირმა ძველი თვითმყოფი კულტურის ქვეყანაა. უკვე XI ს.-ში ბირმის ქალაქები აზიის დიდ კულტურულ ცენტრებად გადაიქცა, ხოლო ბირმის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ მრავალი ქვეყნის სტუდენტები. განთქმულია ბირმელი არქიტექტორებისა და მშენებლების ხელოვნება. მათ პირველებმა აზიაში გამოიგონეს თაღი. ჩვენამდე მოაღწიეს მრავალრიცხოვანმა სასახლეებმა და ტაძრებმა. უძველესი ნაგებობანი დამშვენებულია ფრესკებით, რომლებიც გვიამბობენ, როგორ ცხოვრობდნენ ბირმელები შუა საუკუნეებში, როგორ სახლებს აგებდნენ, როგორ იცვამდნენ, ამუშავებდნენ მიწას, შრომის რა იარაღებს იყენებდნენ.

ძველი ბირმის ხუროთმოძღვრების ყველაზე ცნობილი ძეგლია შუედაგოუნის პაგოდა, რომელიც აღმართულია უხსოვარ დროში ბორცვის კორტოხზე და ჩანს რანგუნის ყველა ადგილიდან. ლეგენდა ამტკიცებს, რომ პაგოდა აიგო 2500 წლის წინათ. XIV ს. ჩატარდა დიდი სარემონტო სამუშაოები. ყოველი შეკეთების დროს შუედაგოუნის პაგოდას აგურის ახალი კედლები უკეთდებოდა და დიდდებოდა. XV ს. შუა წლებში პაგოდამ ას მეტრ სიმაღლეს გადააჭარბა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი გახდა და შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა შეიქნა.

რამდენი დღესასწაულია წელიწადში?

ბირმელს რომ ჰკითხოთ, რამდენი დღესასწაულია წელიწადში, იგი მაშინვე ვერ გიპასუხებთ და ჩამოთვლას დაიწყებს: ნადო, პიატო, ვაგაუნი, ტაუტელინი, ტინჯანი... თანაც, ალბათ, აერევა და თვლას ისევ თავიდან დაიწყებს. მართლაც ბევრია ბირმაში დღესასწაული.

არის დიდი და პატარა დღესასწაულები. დღესასწაულები, როცა მთელი ქვეყანა მხიარულობს, და დღესასწაულები, რომლის მნიშვნელობა ერთ სოფელს ანდა ტაძარს არ სცილდება. არის დღესასწაულები ოფიციალური, რომელთაც თან ახლავს პარადები და დემონსტრაციები: კავშირის დღე, დამოუკიდებლობის დღე, არმიის დღე.

არის დღესასწაულები ტრადიციული, ისეთივე ძველი, როგორიც თვით ბირმაა. ზოგჯერ ისტორიკოსებისა და ბრძენი ბერების გარდა არავის ახსოვს დღესასწაულის დღეს რატომ უნდა გააკეთო სწორედ ეს და არა სხვა რამ. რატომაა, რომ ტაზაუნმონის დღესასწაულზე უნდა აუშვან საჰაერო ბურთები, ხოლო ტაუტელინის დღესასწაულზე ვამართონ ნავებით შეჯიბრი.

დღესასწაულის სათავე და მისი რელიგიური მნიშვნელობა თუმცა დავიწყებას მიეცა, მაგრამ მისი წესები ურყევად, ენთუზიაზმითა და ხალისით სრულდება.

გავიდა თვე — ელოდე დღესასწაულს. მათ შორის უმთავრესია ტანჯანი, ბირმული ახალი წელი. იგი აპრილში დგება — წელიწადის ყველაზე ცხელ დროს. ყველაფერი გადახმა — აკი წვიმა ოქტომბრიდან აღარ მოსულა. გაიღვიძებენ თუ არა ადამიანები, იმედის თვალით ასცდავენ ზეცას: ნეტა მალე გვეღირსებოდეს ძუსონი. ბუნება რომ ააჩქარონ, ადამიანები ტინჯანზე ერთმანეთს წყლით წუწავენ. წუწაობენ შინ და გარეთ, წუწაობენ მოხუცები და ახალგაზრდები, ნაცნობები და უცნობები.



მძიმე სამუშაოებზე ფართოდ იყენებენ მოშინაურებულ სპილოებს. თავდაპირველად მათ ასწავლიან ძირითად სამუშაო ჩვევებს „სპილოების სკოლაში“.

შუედაგოუნის ბაქანზე არის 1778 წ. ჩამოსხმული მახაგანტის ზარი. მისი წონა 16 ტონაა, სიმაღლე 2,5 მ, ხოლო კედლების სისქე — 30 სმ. როცა ინგლისელებმა რანგუნი აიღეს, მათ სურდათ ზარი ინგლისში წაეღოთ, მაგრამ გემი გადაბრუნდა და ზარი წყალში ჩაიძირა. ინგლისელებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს ზარის ამოღება. ბოლოსდაბოლოს კოლონიზატორებმა უფლება მისცეს ბირმელებს ამოეღოთ მდინარის ფსკერიდან რელიქვია. ზარი შუედაგოუნის ბაქანს დაუბრუნდა, სადაც აქამდე დგას.

ინგლისელი კოლონიზატორების მიერ ქვეყნის დაპყრობამდე (XIX ს. დასასრული) ბირმა წიგნიერების შედარებით მაღალი დონის ქვეყანა იყო. ეს შესაძლებელი გახდა უძველესი დროიდან არსებული სამონასტრო სწავლების სისტემის წყალობით, რომლის მიხედვით 14 წელს მიღწეულ ყოველ ვაჟს სამი-ოთხი წელიწადი ბუდისტურ მონასტერში უნდა დაეყო. ინგლისელებმა დაანგრიეს სახალხო განათლების ტრადიციული სისტემა. ამის შედეგად დამოუკიდებლობის წინა ხანებში მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახალ ბირმაში თითქმის ყველა ბავშვი სკოლაში სწავლობს. დიდი ყურადღება ეთმობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მოზრდილთა შორისაც. ათეულათასობით სტუდენტი სწავლობს რანგუნისა და მანდალაის უნივერსიტეტებში, ტექნოლოგიურ (აიგო 1961 წ. რანგუნში სსრ კავშირის დახმარებით), პედაგოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სხვა ინსტიტუტებში.

ბირმელები მრავალ წელს იბრძოდნენ კოლონიზატორების წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი როლი ამ ბრძოლაში ითამაშა ეროვნულმა გმირმა, მხურვალე პატრიოტმა აუნ სანმა, რომლის ხელმძღვანელობით შემუშავდა ქვეყნის პროგრესული განვითარების პროგრამა. ადგილობრივი რეაქცია კოლონიზატორების მხარდაჭერით თავდაუზოგავად ცდილობდა შეენარჩუნებინა ბირმაში ძველი წესწყობილება. 1947 წ. 19 ივლისს მოღალატეთა ჯგუფი შეიპარა დარბაზში, სადაც თათბირობდნენ განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელები და ყველანი ავტომატებით დახოცეს. აუნ სანი დაიღუპა, მაგრამ კოლონიზატორთა აგენტურამ ვერ შეძლო შეეჩერებინა გამათავისუფლებელი მოძრაობა. 1948 წ. 4 იანვარს ბირმა დამოუკიდებელი გახდა.

ბირმის განვითარების გამოცდილება დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში, როცა ქვეყანას ხელმძღვანელობდა ეროვნული ბურჟუაზია, თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ კაპიტალიზმი არ სახავს გზებს ძირითადი ეროვნული პრობლემების გადასაწყვეტად, რაც მიმართული უნდა იყოს მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ. საკმარისია ითქვას, რომ ამ წლების მანძილზე არ იყო დაძლეული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თვით კოლონიური დონეც კი, გლეხობის მასამ მიწები დაკარგა, ხოლო მუშათა უმრავლესობა ოფიციალურ საარსებო დონეზე დაბალ ხელფასს იღებდა.

ბირმაში მდგომარეობა შეიცვალა 1962 წლიდან, როცა ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ რევოლუციურად განწყობილი ოფიცრები, რომლებიც აუნ სანის პროგრესული იდეების ერთგულნი დარჩნენ. უცხოური მონოპოლიების მთელი საკუთრება სახელმწიფოს ხელში გადავიდა, რომელმაც თავისი კონტროლი დააწესა ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზეც. შემდეგ მოხდა ნაციონალიზაცია სამრეწველო, სამთომოპოვებითი და სავაჭრო საწარმოებისა, რომლებიც ადგილობრივ მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიას ეკუთვნოდა. ქვეყანაში დადგენილია ხელფასის მინიმუმი, შემოღებულია ფასიანი შვებულებები და დახმარება ავადმყოფობისა და ინვალიდობის დროს, ქალებმა მიიღეს მა-

მაკაცთა თანასწორი უფლებები, აიკრძალა ბავშვთა შრომა. 1965 წლიდან მოქმედებს კანონი, რომელიც გლეხებს საიჯარო გადასახადისაგან ათავისუფლებს. ამრიგად, მემამულეებს, რომლებიც ჯერ კიდევ მიწის მეპატრონეებად რჩებიან, არა აქვთ უფლება მიწიდან შემოსავალი აიღონ.

გლეხების სასარგებლოდ მრავალჯერ ამაღლდა ბრინჯის შესყიდვის ფასები. მიღებულია კოოპერატიული გეგმა. სახელმწიფო ეხმარება კოოპერატივებს ფულით, მათ პირველ რიგში ეძლევათ ხარისხიანი თესლი და მანქანები. ბირმელ გლეხთა მინდვრებზე პირველად გავიდნენ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ტრაქტორები. გამოჩნდნენ პირველი ბირმული ტრაქტორებიც. ჯერჯერობით მათ აწყობენ საზღვარგარეთ შესყიდული ნაწილებისაგან. სახელმწიფო სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ეხმარებიან კოოპერატივებს მიწის ხვნასა და მოსავლის აღებაში.

მაგრამ, მიღებული ზომების მიუხედავად, ბირმელ გლეხობას ჯერ ისევ საკმარისი მიწა არა აქვთ. გლეხის ოჯახს შეუძლია შეძლებულად იცხოვროს, თუკი იგი 2,5 ჰექტარ მიწას დაამუშავებს, ხოლო ქვეყანაში თითოეულ ოჯახზე საშუალოდ 1 ჰექტარზე ოდნავ მეტი მოდის. ბოლო წლებში სათესი ფართობი ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტით გაიზარდა. გრძელვადიანი გეგმები ითვალისწინებენ კიდევ 2 მლნ. ჰექტარის ათვისებას. ახალი მიწების ათვისებაში ბირმას დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. სსრ კავშირის ტექნიკური და ეკონომიკური დახმარებით 1967 წ. საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩემოლტაუს სარწყავი სისტემა, რამაც საშუალება მისცა ბირმას აეთვისებინა ათეულ ათასობით ჰექტარი ველი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე გვალვიან რაიონში.

ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალაა ბირმის სოციალისტური პროგრამის პარტია. მის გეგმებში გათვალისწინებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარება, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება. 1974 წ. კონსტიტუციით ბირმის სახელმწიფოს ეწოდება სოციალისტური რესპუბლიკა ბირმის კავშირი, ხოლო სახელმწიფოს მიზანია — სოციალიზმის აშენება. ბირმის ხალხების ცხოვრებაში ახლის დამკვიდრება ძნელ პირობებში ხდება. ეროვნული და უცხოეთის ბურჟუაზია, მემამულეები და ფეოდალები ყოველმხრივ უშლიან ხელს პროგრესული რეფორმების გატარებას. მთელ რიგ სასაზღვრო რაიონებში განაგრძობენ მოქმედებას მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებული ორგანიზაციები, რომლებსაც გარედან სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები უჭერენ მხარს.

მიუხედავად ყველა სიძნელისა, ბირმის ხალხები მიდიან წინ და ავითარებენ ეროვნულ ეკონომიკასა და კულტურას. მტკიცდება და ვითარდება მეგობრობა და თანამშრომლობა ბირმასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ბრუნეი

კუნძულ კალიმანტანის (ბორნეო) ჩრდილოეთით მდებარეობს ინგლისის პროტექტორატი ბრუნეი (5,8 ათასი კვ. კმ.). მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ვაკეა. ჰავა ეკვატორულია, ნალექები უხვი რაოდენობით მოდის (2000—4000 მმ. წელიწადში). ჰაერის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით +26°-ია.

ამ კოლონიური სამფლობელოს მოსახლეობას (180 ათასი) შეადგენენ დაიაკები, კედაიანები, დუსუნები და იბანები, ასევე მალაელები და ჩინელები. დედაქალაქია ბანდარ-სერი-ბეგავანი (1971 წლამდე — ბრუნეი) (45 ათასი მცხოვრები). ოფიციალური ენებია მალაური და ინგლისური.

XV—XVIII სს.-ში ბრუნეის სასულთანოს გავლენა ვრცელდებოდა კუნძულ კალიმანტანის მნიშვნელოვან ნაწილზე და მალაის არქიპელაგის სხვა კუნძულებზე. XIX ს. შუა წლებში ინგლისელმა კოლონიზატორებმა წაართვეს საბახის და სარავაკის ტერიტორია და 1888 წ. სულთანს თავს მოახვიეს უთანასწორო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბრუნეიში გაძლიერდა დამოუკიდებლობის მოთხოვნები. 1962 წ. იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ. აჯანყებას ხელმძღვანელობდა კალიმანტანის განთავისუფლების მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა, შეექმნა გაერთიანებული რესპუბლიკა ბრუნეის, სამახისა და სარავაკის შემადგენლობით, მაგრამ აჯანყება ინგლისის ჯარმა ჩაახშო.


ბრუნეი
45 კმ
115°ა.გ
ს. ლაგუანი
ზღვა
ს°ჩ.გ
ბელმონტი
ლიმბანანი
ბანანარი
ბელაისი
ლიმბანანი
ლიმბანანი
ლიმბანან



ბჰუტანის დედაქალაქ თიმფუს ერთ-ერთი ქუჩა.

ინდოეთში ინგლისის კოლონიური ბატონობის ლიკვიდაციის შემდეგ მდგომარეობა ბჰუტანშიც შეიცვალა. 1949 წ. ინდოეთის და ბჰუტანის მთავრობებმა ხელი მოაწერეს მეგობრობის ხელშეკრულებას. ინდოეთმა ქვეყანას დაუბრუნა ინგლისელების მიერ წართმეული დივანგირის ოლქი, ვალდებულება იკისრა აღმოუჩინოს მას ეკონომიკური დახმარება. ბჰუტანელებმა შესაძლებლობა მიიღეს დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საშინაო საქმეები. საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხელმძღვანელობდნენ ინდოეთის მთავრობის რჩევით.

ბჰუტანი თანდათანობით დგება თანამედროვე განვითარების გზაზე. ინდოეთმა ეკონომიკური გეგმების განხორციელებისათვის მას უნაცვალგებო დახმარება აღმოუჩინა. ქვეყანაში აშენდა გზები, რომლებიც ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებს ერთმანეთთან აერთებს, აიგო საავადმყოფოები, სკოლები, შეიქმნა ეროვნული ბანკი. მაგრამ ბჰუტანი ჯერ ისევ აზიის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებგანვითარებულ ქვეყანად რჩება. მისი ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობაა, რომელშიც დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 90%. უმთავრესად ხარობს ბრინჯი, ასევე ხორბალი, ქერი, წიწიბურა, კარტოფილი, ციტრუსოვანი. წლის მშრალ პერიოდში საჭიროა ხელოვნური მორწყვა. ჩრდილოეთში განვითარებულია საძოვრული მესაქონლეობა (იაკები, ცხვრები, თხები).

ბჰუტანელები ძირითადად დასახლებული არიან ქვეყნის ცენტრალური ნაწილის ხეობებში, სადაც სამეურნეო საქმიანობისათვის კარგი პირობებია. ყველა მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის ცენტრში ციხესიმაგრეა (ძონგი). ადრე ძონგებში უცხოელ დამპყრობლებს ემალებოდნენ მცხოვრებლები, ახლა შიგ მოთავსებულია მონასტრები ანდა ფეოდალთა რეზიდენციები. მოსახლეობის უმრავლესობას ჯერ არ შეხებია თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტარული სიკეთე. ბჰუტანელთა ძირითადი მასა ამჟამადაც შორეული წარსულის ტრადიციასა და ყაიდაზე ცხოვრობს.

ბჰუტანი ძველთაგანვე განთქმული იყო ხელოსანთა ნატიფი ნაწარმით, განსაკუთრებით ვერცხლის, რკინის, სპილენძისა და ბრინჯაოს ჭედურობით. დღევანდლამდე ბევრ რაიონში ხელით ქსოვენ. განვითარებულია უმარტივესი სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ჭურჭლისა და საოჯახო ნივთების კუსტარული წარმოება.

გამოჩნდნენ პირველი პატარა საწარმოები: ხილის კონსერვებისა და წვენების წარმოების ფაბრიკა სამჩიში და არყის სახდელი ქარხანა. იწყება ქვეყნის მდიდარი ჰიდრორესურსების ათვისე-

ბა. აიგო ელექტროსადგურები თიმფუში და პაროში.

სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური მეფეა, რომელიც ჯარების მთავარსადალიცა და საგეგმო კომისიის თავმჯდომარეც არის. საკანონმდებლო ორგანო ეროვნული ასამბლეაა. პარტიები აკრძალულია. საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია ინდოეთის მთავრობის ხელშია.

ერაყი

ერაყის რესპუბლიკა.
ფართობი — 434,9 ათასი კვ. კმ.
მოსახლეობა — დაახლოებით 12,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბაღდადი (გარეუბნებიანად დაახლოებით 3,3 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენები — არაბული და ქურთული.



ერაყი არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ძირითადი ხალხები, რომლებიც ქვეყანაში სახლობენ, არიან არაბები, ქურთები, ასევე თურქმენები, ასირიელები, სომხები.

სიტყვა „ერაყი“ ნიშნავს „ნაპირს“, „სანაპიროს“. მდინარეების ტიგრსა და ევფრატს შორის მდებარე ქვეყანას ოდესღაც მესოპოტამიას უწოდებდნენ („შუამდინარეთი“, ანუ „ორმდინარეთი“). თანამედროვე ერაყი ისტორიულ მესოპოტამიასთან შედარებით უფრო ვრცელია. მასში შედის ქურთისტანის მთები ჩრდილოეთით, უდაბნოს რაიონები დასავლეთით და სამხრეთით. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი უჭირავს მესოპოტამიის ვაკეს, რომელსაც გარს ერტყმის სომხეთისა და ირანის მთიანეთები. მის სამხრეთით, სანამ ტიგრი და ევფრატი ერთ კალაპოტში — შატ-ელ-არაბში შეერთდებოდნენ, გადაკვეთენ უამრავი ტბით მოფენილ დაჭაობებულ დაბლობს, მხარეს, სადაც ცხოვრობენ თავისებური ყაიდის ტომები, ეგრეთწოდებული ტბების არაბები.

ერაყი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მათ შორის მთავარია — ნავთობი. გამოკვლეული მარაგით (5 მლრდ. ტონაზე მეტი) რესპუბლიკა ნავთობით ყველაზე მდიდარი მსოფლიოს ქვეყნების რიცხვში შედის. მნიშვნელოვანია ბუნებრივი გაზის, ასფალტის, გოგირდის, რკინის მადნის, ფოსფორიტების, ქვამარილის მარაგი.

ქვეყნის ჩრდილოეთში და ცენტრალურ ნაწილში ჰავა სუბტროპიკული, კონტინენტური ტიპისაა, სამხრეთ ნაწილში ტროპიკულია. მარტის დასაწყისში იფურჩქნება ვარდი, ჰყვავიან ფორთოხლის ხეები და პალმები. ყველაზე ცხელი დრო აგვისტოა.

ზოგჯერ ტემპერატურა +52°-მდე ადის. ტიგრი და ევფრატი წყალმარჩხი ხდება, მაგრამ შატ-ელ-არაბის სიღრმე თვით დიდ საოკეანო გემებსაც კი საშუალებას აძლევს ავიდნენ ქალაქ ბასრამდე, რომელსაც ერაყის საზღვაო ჭიშკარს უწოდებენ.

სექტემბრის მეორე ნახევრიდან ტემპერატურა თანდათანობით +30°, +32°-მდე კლებულობს. ოქტომბერში იცის ქვიშიანი ქარიშხალი — ხუჯაჯი. ასეთ დღეებში რუხ-მოყვითალო საბურველში მზე არ მოჩანს, ავტომანქანებს ფარები უნთიათ. ზამთარი (დეკემბერი—თებერვალი) წვიმიანია, ტემპერატურა ეცემა +10°, +15°-მდე. ჩრდილოეთით მთებში თოვს.

ერაყი მცენარეულობით ღარიბია, თუმცა მესოპოტამიის დაბლობის სამხრეთი ფინიკის პალმების პლანტაციებითაა მოფენილი. უხვი ტენისა და მზის წყალობით აქ 13 მლნ. პალმის ხე ხარობს, ერაყში კი სულ 32 მლნ. პალმაა. მრავალი საუკუ-

ნის განმავლობაში ფინიკის პალმა არაბებს აძლევდა საკვებს, სათბობს, სამშენებლო მასალას. ფინიკისაგან ღებულობდნენ წამალს, შაქარს, სასმელს, კურკისაგან — ყავის სუროგატს. პალმა მსხმოიარობს 3 წლიდან 80—90 წლამდე, წლიურად იძლევა 100—120 კგ ფინიკს, რომელიც ძალზე ნოყიერია: 1 კგ ფინიკი უფრო მეტ კალორიას შეიცავს, ვიდრე 1 კგ ხორცი ანდა 2 კგ თევზი. ერაყს ფინიკის წარმოებითა და ექსპორტით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

მრავალფეროვანია ერაყის ცხოველთა სამყარო. არიან ჩლიქოსნები: ჭურციკი, ტახი, კანჯარი; მტაცებლები: ტურა, ზოლებიანი აფთარი, მგელი, ლეოპარდი. მდიდარია ფრთოსანთა სამყაროც. არიან ძერები, მთის არწივები, სვავები, ვარხვები, ყანჩები, ფლამინგოები, გედები, იხვები. უდაბნოსა და ტრამალის რაიონებში გვხვდებიან შხამიანი გველები და მღრღნელები.

ერაყს უძველესი ისტორია აქვს. შუამდინარეთის ხეობაში ხალხი ჯერ კიდევ 60 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. იქ 5 ათას წელზე მეტი ხნის წინათ მცხოვრებ შუმერებს უკვე ჰქონდათ დამწერლობა, იცოდნენ მინდვრების მორწყვა, ქმნიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. დაახლოებით 3 ათასი წლის შემდეგ, ბაბილონის სამეფოს ეპოქაში (იხ. სე ტ. 8 სტ. „ქალაქი ბაბილონი“) კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეადგინეს კანონთა კრებული, მთვარის კალენდარი და ვარსკვლავეთის რუკა, საფუძველი ჩაუყარეს გეომეტრიას, ალგებრას, გამოყენებით ქიმიას, შეისწავლეს ადამიანის სხეულის ანატომია და სამკურნალო მცენარეთა თვისებები. ძველ ბაბილონელთა დროიდან ჩვენს დრომდე მოაღწია სამოცწილადებმა, წრეწირის გრადუსებმა, დროის საზომმა წუთებმა და წამებმა.

შუამდინარეთი რიგრიგობით შედიოდა ძველი სპარსეთის სამეფოს, სელევკიდების, საბერძნეთ-მაკედონიის სახელმწიფოს, პართიელების სამეფოს და სასანიდების სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ჩვენი წელთაღრიცხვის 637 წელს მესოპოტამია არაბებმა დაიპყრეს. 762 წელს მათ მიერ დაარსებული ბაღდადი გახდა აბასიდების სახალიფოს (ბაღდადის სახალიფოს) დედაქალაქი. აბასიდების დაცემისა და თურქ-სელჯუკების, მონგოლების, თემურის მეომრების შემოსევის შედეგად ოდესღაც მდიდარი და აყვავებული ქვეყანა



ბაღდადის მაჩეთები ცათამბჯენებს ტოლს არ უდებენ. მინარეთებზე დაყენებულია რეპროდუქტორები.

ბრმა მუსიკოსი ხალხურ ინსტრუმენტ რაბაბზე ძველებურ მელოდიას ასრულებს.

XVII საუკუნეში ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ ჩამორჩენილ პროვინციად გადაიქცა. მისი დაცემის შემდეგ ინგლისმა ერთა ლიგისგან მიიღო ერაყის

მმართველობის მანდატი. 1932 წ. ერაყი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, მაგრამ ფაქტიურად ინგლისის ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გაძლიერება ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციად გადაიზარდა. 1958 წლის 14 ივლისს ერაყის ხალხმა დაამხო პროინგლისური მონარქიული რეჟიმი და ქვეყანა რესპუბლიკად გამოაცხადა, რამაც ახალი ფურცელი გადაშალა ერაყის ისტორიაში. 1968 წ. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის პროგრესული ფრთა (ბაასი), რომელმაც დასახა ძირეული გარდაქმნების ფართო პროგრამა, განამტკიცა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა სოციალიზმის ქვეყნებთან.

ერაყის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა რევოლუციური სარდლობის საბჭო, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ერთდროულად რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე, მთავრობის მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალიცაა.

1973 წლის ივლისში შეიქმნა პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა პარტია ბაასი და ერაყის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1934 წ.). 1974 წლის მარტში მიიღეს კანონი ერაყის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ქურთების რაიონისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ, რომელმაც გზა გაუხსნა არაბებისა და ქურთების ერთიანობას.

ერაყში დიდი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოხდა. ნაციონალიზებულია მსხვილი საწარმოები, ბანკები, სავაჭრო კომპანიები. უდიდეს მოვლენად გადაიქცა უცხოეთის ნავთობის კომპანიის „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ ნაციონალიზაცია 1972 წ. 1 ივნისს. შემოიღეს პროგრესული კანონები შრომის, მშრომელთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ. გაფართოვდა სარწყავი არხების ქსელი, გაიყვანეს ახალი რკინიგზები, ქალაქებში იზრდება ახალი სახლების კვარტალები. წარსულს ჩაბარდა სარიფები — პალმის შტოებით გადახურული, სოხანიანი თიხატკეპნილი ქოხები.

ვითარდება და მტკიცდება ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ერაყი იძულებული იყო შემოეტანა ყველაფერი: ლურსმნიდან დაწყებული ავტომობილით გათავებული. ახლა ქვეყანა ამზადებს ელექტროტექნიკურ ხელსაწყოებს, ცემენტს, ქსოვილებს, ფართლეულს, მინას, მედიკამენტებს, ფეხსაცმელს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ფოლადს.

თანდათანობით მექანიზებული ხდება სოფლის მეურნეობა, რომელშიც დასაქმებულია მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ჩატარდა მიწის რეფორმა. მსხვილი მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწები გაუნაწილდა გლეხებს, ანდა გადაეცა კოოპერატივებს. ერაყში მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ბამბა, თამბაქო, ბოსტნეული, ხილი. აშენებენ აქლემებს, ცხენებს, ცხვრებს, თხებს.

გარდაიქმნა ერაყის საგარეო ვაჭრობაც. რესპუბლიკა ყიდულობს შავ ლითონს, სამრეწველო ნედლეულს, მანქანებს, მოწყობილობას, სამაგიეროდ ფინიკთან, ბამბასა და ტყავის ნედლეულთან ერთად საექსპორტოდ გააქვს ცემენტი, ლითონის ნაწარმი, შალი, ფეხსაცმელი, ელექტროსაქონელი, ხოლო 1972 წლიდან — ნავთობი. მომძლავრებული ეკონომიკა საშუალებას აძლევს ერაყის მთავრობას გაზარდოს ასიგნებანი ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მშენებლობის, განათლების საჭიროებისათვის.

ქვეყნის აღმავლობა ვლინდება ერაყელების გარეგნობაშიც. სოფლებში მოსახლეობის უმეტესობას ტრადიციულად აცვია: სანდლები, გრძელი მუქი პერანგი (დიშდაშა), თავზე ახურავთ კუბოკრული თავსაფარი (იაშმაგი). ბევრნი იაშმაგთან ერთად ატარებენ თანამედროვე ევროპულ კოსტიუმებს, ანდა დიშდაშის ზემოდან იცვამენ პიჯაკებს. ევროპულად აცვია ქალაქის მოსახლეობას. ქალაქელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ერაყის უდიდესი ქალაქები: ბაღდადი, მოსული, ბასრა — ქვეყნის კულტურული, სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრებია. ერაყის სხვა დიდი ქალაქებია: ქირქუქი, სამარა, რამადი.

ერაყს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის სხვა ქვეყნები. ერაყ-საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი კავშირის განვითარებას მოჰყვა 1972 წლის 9 აპრილის ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერის შედეგად ერაყმა გაარღვია ეკონომიკური ბლოკადა, რომლის ორგანიზებას ცდილობდნენ იმპერიალისტური მონოპოლიები მას შემდეგ, რაც „ირაკ პეტროლეუმ

კომპანის“ ნაციონალიზაცია მოხდა და შეუდგა ნავთობის ეროვნული მრეწველობის შექმნას. 1972 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის დახმარებით მწყობრში ჩადგა მისი პირმშო — მსხვილი ნავთობსარეწი ერ-რუმაილის რაიონში.

სსრ კავშირის მონაწილეობით ერაყში იქმნება 100-ზე მეტი სამრეწველო და სხვა ობიექტი. მათ შორისაა: სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა ელ-ისკანდარიაში, ელექტროტექნიკური — ბაღდადში, მინის — რამადში, ანტიბიოტიკებისა და ფარმაცევტული პრეპარატების — სამარაში და მრავალი სხვ. წარმატებით მოქმედებს ბაღდადბასრას რკინიგზა. დამთავრდა კაშხალის აგება ტარტარის ტბაზე და ტბიდან ევფრატამდე არხის მშენებლობა. ეს დიდი ჰიდროტექნიკური კომპლექსია, რომლის მეორე რიგი იქნება ტარტარ-ტიგრის არხის მშენებლობა. იგი საშუალებას მისცემს, ორივე მდინარეში წყლის რეგულირებით, დაიცვან ბაღდადი წყალდიდობისაგან, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ერაყის სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

1979 წელს დაისვა საკითხი ერაყისა და სირიის გაერთიანების შესახებ და შეიქმნა კიდეც ერთობლივი პოლიტიკური კომიტეტი, რომელმაც რამდენიმეჯერ განიხილა საკითხი სირია-ერაყის არაბთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ (ერთიანი ცენტრალური ხელისუფლება, არმია, დროშა და ჰიმნი).

ერაყი გამოდის ისრაელის აგრესიული კურსისა და ეგვიპტე-ისრაელის სეპარატიული ხელშეკრულების წინააღმდეგ, შედის არაბული სახელმწიფოების სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ფრონტში (ერაყი, სირია, ალჟირი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია), რომელიც მოითხოვს ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიის განთავისუფლებასა და პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღიარებას.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა რევოლუციური სარდლობის საბჭო, რომლის თავმჯდომარე ამავე დროს პრეზიდენტიცაა.

პოლიტიკური პარტიებია: არაბეთის სოციალისტური აღორძინების, კომუნისტური და ქურთისტანის დემოკრატიული პარტია.

■

ვიეტნამი

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა.
ფართობი — 329,6 ათასი კვ. კმ.
მოსახლეობა — 50 მლნ.-ზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ჰანოი (გარეუბნებით 1,4 მლნ. მცხ.).
ოფიციალური ენა — ვიეტნამური.

ვიეტნამი მდებარეობს აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ეს ქვეყანა იწყება ჩრდილოეთ ტროპიკთან და გრძელდება სამხრეთისაკენ 1700 კილომეტრზე მეტ მანძილზე, ხოლო მისი სიგანე ზოგიერთ ადგილას 50 კილომეტრს ძლივს აღწევს. მიწის ზოლი, რომელიც სამხრეთ-ჩინეთის ზღვის ნაპირს მიჰყვება, მხოლოდ უკიდურეს ჩრდილოეთით და სამხრეთით ფართოვდება. აქ არის დელტები ინდოჩინეთის დიდი მდინარეებისა: მდინარე ჰონგჰისა (წითელი მდინარე) ჩრდილოეთით, მეკონგისა სამხრეთით.

ჰავა ვიეტნამში მუსონური, სუბეკვატორულია. ზაფხულის მუსონს თან მოაქვს პაპანაქება და თითქმის გადაუღებელი კოკისპირული წვიმები. შემოდგომაზე მშრალი, თბილი ამინდებია. ზამთარში ჩრდილოეთში და მთებში გრილა. მთები მეტისმეტად დანაწევრებულია. მათ ქვეყნის $^4/_5$ უკავიათ. მთები დაფარულია ხშირი ტროპიკული ტყით. ამ ტყეში ხარობს ველური ბანანი, პალმა, ხეგვიმრა. ხეები ლიანებითაა დახლართული.

თავისებურია ვიეტნამის უკიდურესი სამხრეთი კიდის — ნახევარკუნძულ კამაუს ბუნება. აქ მეტისმეტად დაცემული, ჭაობიანი ადგილებია, სადაც უხვად ხარობს მანგრის ხე. ისინი ზღვის მოქცევის ზოლის დამლაშებულ ნიადაგზე იზრდებიან. მოქცევის დროს წყლის ზედაპირზე ხეების ზედა ნაწილი მოჩანს. უკუქცევის დროს კი გაშიშვლებულ შავ ლამიან რიყეზე წვრილი თევზები ირევიან, რომლებიც მარჯვედ დაცოცავენ მიწის ზემოთ ამოშვერილ მანგრის ხეების საბრჯენ ფესვებზე. აქვეა ხასხასა შეფერილობის წვრილი კიბორჩხალები, სულ პატარა ჩქამზეც კი საჩქაროდ რომ იმალებიან ჯილეებში. მანგრის მცენარეთა მცირე რაყები არის ვიეტნამის სანაპიროს სხვა ადგილებშიც. სანაპიროებზე ბევრია შესანიშნავი ქვიშიანი პლაჟი. ცენტრალურ ვიეტნამში კი მთები თითქმის ზღვის ნაპირამდე აღწევს.

ვიეტნამი
105°
20°
10°
ჩინეთი
ლაოსი
ტაილანდი
კამბოჯა
სამხრეთ ჩინეთის ზღვა
ტონკინის ყურე
ჰანოი
ჰაიფონი
ნამდინი
ვინი
ნა-ტრანგი
ფანრანგი
ფანთიეტი
ლონგანი
ფნომპენი
ტაი-ნინი
ბენ-ხაი
ვინლონგი
ვინჩაუ
ბაკლიაო
ფანგ-ნგა
ლანგ-სონი
ლაო-კაი
ფონ-სალი
ნამ-დინი
ნინ-ბინი
ტაი-ბინი
ტანჰოა
ტაინგუენი
ბაკ-ნინი
ბაკ-ზიანგი
ჰონგაი
ჰაიზუონგი
ჰუნგიენი
ჰანამი
ტაი-ნინი
ფუ-ლანგ-ტანი
ლანგ-სონ

ყანაში მოვიდა ცნობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. ვიეტნამში გავრცელდა მარქსიზმის იდეები. ჩაისახა კომუნისტური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა ვიეტნამელი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი, ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობარი ჰო ში მინი (1890—1969). 1930 წ. ცალკეული წრეებისა და ჯგუფებისაგან შეიქმნა ინდოჩინეთის კომუნისტური პარტია (1951 წლიდან 1976 წლამდე ეწოდებოდა ვიეტნამის მშრომელთა პარტია, ამჟამად — ვიეტნამის კომუნისტური პარტია).

1940 წელს იმპერიალისტურმა იაპონიამ მოახდინა ვიეტნამის ოკუპაცია. იაპონელ დამპყრობლებთან პარტიზანული ბრძოლის ქარცეცხლში თანდათანობით იქმნებოდა ვიეტნამის სახალხო არმია და სახალხო ხელისუფლების ორგანოები. 1945 წ. ვიეტნამში მოხდა აგვისტოს რევოლუცია, რომელმაც რამდენიმე დღის განმავლობაში გაიმარჯვა მთელ ქვეყანაში, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ამ ეროვნულ-გამათავისუფლებელმა და სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ ფართო გზა მისცა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს. 1945 წლის 2 სექტემბერს გამოცხადდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ვიეტნამის კომუნისტებმა, რომლებიც ხალხის ინტერესებს გამოხატავენ, წამოაყენეს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა. მაგრამ ვიეტნამელები იძულებულნი გახდნენ ისევ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. 1945 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ვიეტნამის სამხრეთ რაიონებში საფრანგეთის ჯარები გადმოვიდნენ, რომლებმაც ხელთ იგდეს საიგონი (ახლანდელი ჰოშიმინი) და სხვა დიდი ქალაქები. საფრანგეთის მთავრობამ სიტყვიერად სცნო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და განაცხადა, იაპონელი ტყვეების ევაკუაციის შემდეგ ჩვენს ჯარებს გავიყვანთო. სინამდვილეში კი მიზნად ისახავდა აღედგინა კოლონიური წყობილება. 1945 წლის ბოლოს სამხრეთ ვიეტნამში დაიწყო საომარი მოქმედება, ხოლო 1946 წ. ბრძოლები ქვეყნის ჩრდილოეთშიც გაჩაღდა. 1945 წლიდან 1954 წლამდე წინააღმდეგობის ხანგრძლივი და მძიმე ომი მიმდინარეობდა. 1954 წ. ვიეტნამის სახალხო არმიამ გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია. ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ საბჭოთა ადამიანები, თვით საფრანგეთის პროლეტარიატი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. 1954 წლის მარტ-აპრილში ბრძოლა გაჩაღდა პატარა ქალაქ დიენბიენფუს რაიონში. ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს საფრანგეთის თერთმეტი ბატალიონი. ამან და კიდევ სხვა დამარცხებებმა აიძულა კოლონიზატორები მოლაპარაკება დაეწყოთ.

1954 წ. ჟენევაში სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ ვიეტნამში. დაადგინეს დროებითი გამმიჯნავი ხაზი ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის, რომელიც გადიოდა პატარა მდინარე ბენხაიზე, დაახლოებით მე-17 პარალელის გასწვრივ. საფრანგეთის ჯარებმა დატოვეს ჩრდილოეთი ვიეტნამი. ჟენევის შეთანხმება ითვალისწინებდა 1956 წ. მთელს ვიეტნამში ჩატარებულიყო საყოველთაო თავისუფალი არჩევნები, რის შემდეგაც მოხდებოდა მთელი ქვეყნის გაერთიანება. ჟენევის თათბირის მონაწილეებმა ივალდებულეს ეცნოთ ვიეტნამის ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა.

სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული ხელისუფლება, რომელმაც ამ დროისათვის ფრანგი ბატონები ამერიკელებით შესცვალა, შეშინდა, რომ ქვეყნის გაერთიანების მომხრეები უეჭველად გაიმარჯვებდნენ არჩევნებში და საყოველთაო არჩევნები ჩაშალა. მათ გაითამაშეს სეპარატიული არჩევნების კომედია და გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ე. წ. „ვიეტნამის რესპუბლიკა“.

ჩრდილოეთში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხალხი სოციალიზმის მშენებლობას შეუდგა. სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე კი დაიწყო ამერიკელი იმპერიალისტების და საიგონელი მარიონეტების წინააღმდეგ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა, რომელიც 1975 წლამდე გაგრძელდა.

დამყაყებული რეჟიმი რომ გადაერჩინათ, ნახევარმილიონიანმა ამერიკელთა არმიამ მოახდინა სამხრეთ ვიეტნამის ოკუპაცია; ისინი საიგონის ჯართან ერთად ცდილობდნენ ჩაეხშოთ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ომი მოედო მთელ სამხრეთ ვიეტნამს, გადაინაცვლა ლაოსსა და კამ-

ბოჯაში (ამჟამად კამპუჩია). დაიწყო ამერიკული ბომბდამშენების ყაჩაღური თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებზე, მათ შორის ჰანოისა და ჰაიფონზე, რომელთაც დიდი ზარალი მიაყენეს. სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობდნენ, გადაეწვათ მთელი მიდამო, ანადგურებდნენ არა მარტო სოფლებსა და ყანებს, არამედ უზარმაზარ ტყის მასივებსაც. მაგრამ ვერავითარმა მხეცობამ ვერ გატეხა ვიეტნამელი ხალხის ნებისყოფა, ვერ ჩაკლა მასში გამარჯვების რწმენა.

1960 წლის ბოლოს შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა საიგონის რეჟიმისა და ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლას. ომის მიუხედავად, იმ რაიონებში, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ხდებოდა პროგრესული გარდაქმნები, მოქმედებდა დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ორგანოები. 1969 წ. გათავისუფლებულ რაიონებში გამოცხადდა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა.

ვიეტნამელი ხალხის მამაცობამ, ბრძოლაში საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების დიდმა მხარდაჭერამ, აგრესიის დაგმობამ მთელ მსოფლიოში აიძულა იმპერიალისტები უარი ეთქვათ თავიანთ განზრახვაზე, დაეჩოქებინათ ვიეტნამი.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც 1973 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა პარიზში, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობიანობის აღდგენის შესახებ. ამ შეთანხმების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები გაიყვანეს ვიეტნამიდან. მომავლისათვის გაითვალისწინეს სამხრეთ ვიეტნამში ჩატარებულიყო თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები და მთელი ქვეყანა გაერთიანებულიყო. შეთანხმების დადების დროისათვის სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის დიდ ნაწილზე დამყარდა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ხელისუფლება.

მაგრამ საიგონის ადმინისტრაციის ჯარები მუდმივად არღვევდნენ პარიზის შეთანხმებას, თავს ესხმოდნენ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას. სამხრეთ ვიეტნამის ხალხს აღარ უნდოდა მომავალში ეთმინა საიგონის ხროვის მოქმედება, რომელიც ხელს უშლიდა მშვიდობიანობისა და ერთიანობის აღდგენას და გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამისათვის. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა 1975 წლის გაზაფხულზე ძლიერი დარტყმით მთლიანად გაანადგურა საიგონის მარიონეტთა ჯარები. 1975 წ. 1 მაისს საიგონი გაათავისუფლეს. ამ ქალაქს ვიეტნამელმა ხალხმა თავისი ბელადის ხსოვნის აღსანიშნავად ახალი სახელი — ქალაქი ჰოშიმინი უწოდა.

მთელი ქვეყნის განთავისუფლების შედეგად შესაძლებელი გახდა ვიეტნამელი ხალხის სანუკვარი ოცნების შესრულება — შეიქმნა ერთიანი დამოუკიდებელი სოციალისტური ვიეტნამი, რისი განხორციელებისათვისაც იბრძოდნენ ვიეტნამელი პატრიოტები ოცდაათი წლის განმავლობაში, რაზედაც ოცნებობდა ჰო ში მინი, რისთვისაც მოხდა აგვისტოს რევოლუცია. 1976 წლის 25 აპრილს ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთში ჩატარდა ვიეტნამის ერთიანი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს დეპუტატთა საყოველთაო-სახალხო არჩევნები, ხოლო 1976 წ. 2 ივნისს ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა.

ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებამ ამერიკელ იმპერიალისტთა და ჩინელ მაოისტთა გულისწყრომა გამოიწვია. წლების მანძილზე გრძელდებოდა პროვოკაციები სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კამპუჩიის მხრიდან, სადაც გაბატონებული იყო ჩინეთის მარიონეტული და ტერორისტული ჯგუფი.

კამპუჩიელი ხალხის გამარჯვების შემდეგ 1979 წლის თებერვალში დაიწყო ჩინეთის პირდაპირი აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, რომელიც აგრესორთა მარცხით დამთავრდა. მაგრამ ჩინეთ-ვიეტნამის საზღვარზე ახლაც დაძაბული ვითარებაა.

მდინარე ჰონგჰისა და მეკონგის ხეობებს სამართლიანად უწოდებენ ვიეტნამის ბეღელს. ძველად მათ შესართავებში იყო ზღვის წყალმარჩხი ყურეები. ათასეული წლების მანძილზე მდინარეებმა შლამით ამოავსეს ისინი. ასე შეიქმნა ნაყოფიერი ვაკეები. მიწა აქ დაყოფილია უამრავ კოხტა სწორკუთხედად. ეს ბრინჯის ყანებია. წლის უმეტეს დროს ბრინჯის ყანები წყლით უნდა იყოს დაფარული და სიარული შეიძლება მხოლოდ ჯებირებზე — მიწაყრილებზე, რომლებიც ერთ ყანას მეორისაგან ჰყოფს.

ვაკეზე მიმოფანტულია მრავალი სოფელი. მათ შორის არხების, მდინარის ტოტებისა და ფშანების ხშირი ქსელია. სახლები ხეხილის ბაღების, პალმებისა და ბამბუკის სიმწვანეშია ჩაფლული. ასე რომ, სოფლები კორომებს წააგავს. სოფლებიდან გასაოცარი ხედი იშლება: არხები შორიდან არ მოჩანს, და ასე გგონია, მოწითალო-მოყავისფრო იალქნიანი ჯონკები პირდაპირ ბრინჯის მოყვითალო-მომწვანო თაველში მოცურავენო.

სახალხო ხელისუფლების წლებში მდინარე ჰონგჰის დელტაში გაიყვანეს მრავალი ახალი არხი, ნაპირების გასამაგრებელი ჯებირები, ამოაშრეს ჭაობები, წყლით უზრუნველყოფილია უშენი ადგილები.

მიწა ერთ სულ მოსახლეზე დელტაში მცირეა, მაგრამ ნიადაგის დიდი ნაყოფიერება საშუალებას იძლევა აიღონ ორი, ზოგჯერ სამი მოსავალი წლიურად. ბრინჯს მინდორში ერთბაშად როდი თესავენ, თავდაპირველად გამოჰყავთ ჩითილი სახლთან ახლოს პატარა ნაკვეთზე. მინდორს ხნავენ, შემდეგ ტუმბოს ანდა ხელიხაპიას საშუალებით წყლით ავსებენ და მხოლოდ ამის შემდეგ რგავენ ხოლმე აჯეჯილებულ ჩითილს. წარსულში თითქმის მთელი მიწა მემამულეებს, კულაკებსა და ფრანგ კოლონიზატორებს ეკუთვნოდა. ყველაზე მოსავლიან წლებშიც კი გლეხს ძლივს გაჰქონდა თავი მკიდან მკამდე, რადგან მარცვლეულის დიდი ნაწილი იჯარის გადასახადს მიჰქონდა. სულ მცირე გვალვა და მოუსავლიანობაც კი ათასობით ოჯახს შიმშილით სიკვდილს უქადდა. ახლა მიწა გლეხებს ეკუთვნის. სოფლის მეურნეობაში შეიმუშავეს ბრინჯის დარგვისა და მოვლის ახალი მეთოდები.

ვიეტნამი მრავალეროვანი ქვეყანაა. მოსახლეობის 80%-ზე მეტი ვიეტნამელები (სხვანაირად მათ კინებს უწოდებენ) არიან. მეკონგის დელტის რაიონში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ქხმერები, რომლებიც მეზობელი კამპუჩიის ქხმერების მონათესავენი არიან. სამხრეთის ქალაქებში მრავლად ცხოვრობენ ჩინელები. მთიან რაიონებში ბინადრობს რამდენიმე ათეული მცირე ხალხი. ზოგიერთი მათგანი ასიათასობით კაცისაგან შედგება, ზოგი — ასობით კაცისაგან.

ეროვნული უმცირესობებისათვის შეიქმნა რამდენიმე ავტონომიური ოლქი. ყველაზე მთიანი, წარსულში უკიდურესად ჩამორჩენილი ოლქი დასახლებულია ტხაის და მეოს (მიაო) ხალხებით. მათ გარდა აქ ათობით სხვა, უფრო მცირერიცხოვანი ხალხები ცხოვრობენ. ზოგჯერ ერთ სოფელში სამი ეროვნების ხალხია თავმოყრილი, მაგრამ ისიც ხდება, რომ ხუთ მეზობელ სოფელში ხუთი სხვადასხვა ხალხია დამკვიდრებული.

ტხაი უმეტესად მდინარეთა ხეობებში სახლობს. გორაკების ფერდობებზე ეს ხალხი ტერასებს აკეთებს და ზედ ბრინჯს თესავს. ზემოთ, მთებში. სხვა ხალხები — პუოკი, იაო, უნი ცხოვრობენ. აქ მოჰყავთ შედარებით უხეში ჯიშის ბრინჯი, რომელიც მოურწყავ მიწებზე ხარობს. აქ ასევე მოჰყავთ სიმინდი, ანანასი და სხვადასხვა ძირხვნეული. სათესი ფართობები რომ გაწმინდონ, ჯუნგლებს კაფავენ და წვავენ. სახლებს ბამბუკისას აგებენ, ხშირად მათ მაღალ ბოკონებზე აყენებენ, რათა დაიცვან ვეფხვების, გველების, წურბელებისაგან, რომლებითაც სავსეა ტროპიკული ტყე. უფრო ძნელადმისადგომ მთის რაიონებში მეო შეხიზნულა. ეს ხალხი ჩალით დახურულ თავის ფაცხებს პირდაპირ მიწაზე დგამს. მეოს სიმინდი მოჰყავს.

იალაღებსა და მდინარეების ხეობებში მთიელები კამეჩის ჯოგებს მწყემსავენ და მონადირეობას მისდევენ. ნადირობენ ირმებსა და სხვა ნადირზე, მათ შორის მაიმუნებზედაც, რომლებიც დიდად აზარალებენ ყანებსა და ბაღებს. ცდილობენ ეს ცხოველები ცოცხლად დაიჭირონ. მაიმუნებს ჰყიდიან სხვა ქვეყნებში, სადაც ისინი ზოოპარკებში, სპეციალურ საშენებსა და სამედიცინო ინსტიტუტებში ხვდებიან. სპეციალისტ-მონადირეები საექსპორტოდ გველებსაც იჭერენ. მთის ნაკადულებში თევზაობენ.

კოლონიური რეჟიმის დროს ვიეტნამის მთიელებს ჩაგრავდნენ ფრანგი ხელისუფალნი და ადგილობრივი ფეოდალებიც. ისინი ხალხებს ერთმანეთს უსისიანებდნენ. მთის ხეობებში ძმათა შორის გამუდმებული შეტაკებები და მოსისხლეობა იყო. მთიელები უსაფრდებოდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს, მძვინვარებდა შინაომები. მთის ხალხებს არცერთი წერა-კითხვის მცოდნე კაცი არ ჰყავდა.

სახალხო ხელისუფლებამ მაღალმთიანეთში ახალი ყოფა მოიტანა. ყველანი მრავალეროვანი სახელმწიფოს სწორუფლებიანი მოქალაქეები გახდნენ. ადრე ერთმანეთისადმი სამტროდ გადაკიდებული ტომები ახლა მშვიდობიანად ცხოვრობენ

და ერთობლივად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. ხალხები ადრე ჯუნგლების ყველაზე მიუვალ კუთხე-კუნჭულებში რომ ემალებოდნენ კოლონიზატორებს, ახლა გზებისა და ქალაქების მახლობლად გადმოსახლდნენ. მათ შესაძლებლობა მიეცათ უფრო მწარმოებლურად წარემართათ თავიანთი მეურნეობა და სამრეწველო საქონელზე გადაეცვალათ პროდუქცია. თითოეულ მათგანს თავისი ენა, გამორჩეული ჩაცმულობა და ჩვეულება აქვს. ამჟამად მთის ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი სკოლებია გახსნილი, სადაც წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე ასწავლიან. გაიფურჩქნა მცირე ხალხების თვითშემოქმედება, პოპულარული გახდა იგი მთელ ქვეყანაში. ვითარდება მხატვრული ლიტერატურა.

ვიეტნამის უდიდესი ქალაქია ჰოშიმინი (ყოფილი საიგონი) — მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი. აქ თავმოყრილია ბევრი საწარმო, უმეტესად მსუბუქი მრეწველობისა. წარმოება, რომელიც ომის დროს დაეცა, სწრაფად იწყებს აღდგენას. ჰოშიმინი — მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია. თუმცა იგი ზღვიდან საკმაოდ დაშორებულია, მაგრამ პორტის მოვალეობას ასრულებს, რადგან მეკონგის საშუალებით აქ დიდ საოკეანო გემებს შეუძლიათ შემოსვლა.

აღდგენილია სარკინიგზო მიმოსვლა ჩრდილოეთ-სამხრეთის მნიშვნელოვან ხაზზე, რომელიც ჰოშიმინს ჰანოისთან აერთებს.

თუმცა ჰანოი მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ჩამორჩება ჰოშიმინს, მაგრამ ისტორიულად საქმე ისე წარიმართა, რომ ეს ქალაქი მთელი ვიეტნამის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი გახდა.

ჰანოიში 200-ზე მეტი სხვადასხვა საწარმოა, მათ შორის ახალი მანქანათსაშენებელი ქარხანა, მრავალი საფეიქრო და კვების მრეწველობის ფაბრიკა, სამეცნიერო დაწესებულებები, უნივერსიტეტი, სხვა უმაღლესი სასწავლებლები და მთავრობის დაწესებულებები. ქუჩები უმეტესად სწორი, განიერია. გზის გაყოლებაზე დარგულია ტოტებგაბარჯღული ხეები. ქალაქის მხოლოდ უძველეს უბნებშია ვიწრო, მრუდე ქუჩაბანდები, სადაც მცენარეებს ვერ ნახავთ, ამ უბნებში ძალიან ბევრი სახელოსნოა: — სადაბაღო, სამკერვალო, სამჭედლო. ჰანოის კოოპერატიული კუსტარული წარმოების პროდუქცია ქვეყანას ცოტა შემოსავალს როდი აძლევს.

ქალაქის ახალ ნაწილში თითქმის ყველა სახლი ნათელი, ფართოა და მწვანეშია ჩაფლული. უწინ აქ კოლონიური ხელისუფლების მოხელეები ცხოვრობდნენ. ახლა ეს სახლები მშრომელ ხალხს ეკუთვნის. მრავალი ტბა ქალაქს ძალზე ალამაზებს. მათ ნაპირებზე პარკებია გაშენებული, ანდა კოხტა სანაპიროებია აგებული. პრეზიდენტის რეზიდენციის მახლობლად, რომელიც ლამაზი პარკის შუაგულშია მოთავსებული, პატარა ტბის ცენტრში აღმართულია უძველესი პაგოდა მოტ-კოტი (ერთი სვეტი). იგი ერთ ბურჯს ეყრდნობა და წყლიდან ლოტოსისმაგვარად არის ამოზრდილი. პარკს ეკვრის ტრიბუნებიანი დიდი მოედანი ბადინი. აქ 1945 წლის 2 სექტემბერს გამოცხადდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჰანოიში ძირითადი ტრანსპორტი ველოსიპედია, თუმცა აქ ტრამვაიცაა და ბევრი ავტომობილიც.

ჰოშიმინსა და ჰანოის შორის შუა გზაზე მდებარეობს ქალაქი ჰიუე, იმპერატორის ყოფილი დედაქალაქი. ქალაქი დიდი არ არის, მაგრამ საინტერესოა თავისი არქიტექტურული ძეგლებით — სასახლეებით, ხიდებით, ტაძრებით, პავილიონებით.

რკინიგზასა და გზატკეცილს ჰანოიდან აღმოსავლეთით მივყავართ ზღვისკენ, სანავსადგურო-სამრეწველო ქალაქ ჰაიფონში. ნავსადგურის მუშები ვიეტნამში ყოველთვის მუშათა კლასის ავანგარდს წარმოადგენენ. ქალაქის ყველაზე მსხვილი საწარმო ცემენტის ქარხანაა. ჰაიფონში სხვა სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი სოციალისტური ქვეყნების ძმური დახმარებით ახლახან აშენდა. თევზის საკონსერვო ქარხანა საბჭოთა დანადგარებითაა აღჭურვილი. გემსაშენის ამუშავებაში ვიეტნამელებს პოლონელი სპეციალისტები დაეხმარნენ.

ვიეტნამს ასევე თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საქმეში. ჰაიფონის ნავსადგურიდან ამ ქვეყნებში გააქვთ შეკერილი ნაწარმი და მოწნული ნაკეთობანი, კონსერვები, ხილი, ყავა, ძვირფასი ხე-ტყე.

ჰაიფონის აღმოსავლეთით ულამაზესი ალონგის უბე მდებარეობს. ტალღებმა ისე ჩამორეცხეს

კირქვიანი კლდეები, რომ ფანტასტიკური მოხაზულობა მისცეს. ზოგი ხომალდებს ჰგავს, ზოგი კი ბაყაყებს, შეხვდებით ბუნებრივ თაღებსაც, რომელთა ქვეშ შეიძლება კატარღებით გასცუროთ. კლდეებზე ბუჩქები და ხეები დაკოსებულა, ხოლო კუნძულების კბოდოვან ნაპირებზე მღვიმეთა ხვრელები ჩანს. ავდარში მათ მეთევზეები აფარებენ თავს.

სანაპიროზე მცურავი სოფლები შეგხვდებათ. ასეთი სოფელი რამოდენიმე ასეული ნავისაგან შედგება, რომლებიც მეთევზეებს სახლის მაგივრობას უწევს. სახალხო ხელისუფლება მეთევზეებს კოოპერატივებში აერთიანებს და მათ უფრო მოხერხებულ საცხოვრებლებს აძლევს ხმელეთზე.

ყურის სანაპიროზე სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ჰონგაის სამთო მრეწველობის რაიონია გადაშლილი. მისგან ჩრდილოეთით, მთებში, რკინის მადნის, თუთიის და სხვა ფერადი ლითონების ბევრი საბადოა. მაგრამ ამ ადგილების მთავარი სიმდიდრე ქვანახშირია. ქვანახშირის ძირითადი ბუდობი სანავსადგურო ქალაქ ჰონგაის გარეუბანში მდებარეობს. ქვანახშირის მოპოვება აქ დიდი ხანია ღია წესით ხდება. მძლავრი ბულდოზერები, ექსკავატორები, თვითმცლელები ჰონგაისათვის დამზადდა სსრ კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში. სახალხო ხელისუფლების წლებში ჰონგაის მემაღაროეთა ყოფა ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობთ. წინათ ისინი ბარაკებში ცხოვრობდნენ, სადაც თითოეულ ოთახში 20—30 კაცი შეჭუჭკულიყო. საწოლები რამდენიმე სართულიანი იყო. ახლა მაღაროელები კოხტა ახალ სახლებში ცხოვრობენ.

ჰონგაის ნავსადგურში ყოველთვის დგანან უცხოეთის სატვირთო გემები. ისინი აქ ქვანახშირით დასატვირთად მოდიან. ჰონგაის ქვანახშირს უხვად იყენებს ვიეტნამის მრეწველობაც. საწვავით დატვირთული ბარჟები ყოველდღიურად გადიან ნავსადგურიდან და ქვეყნის სხვა რაიონებისაკენ მიემართებიან.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და საკანონმდებლო ორგანო ეროვნული კრებაა, რომელიც ირჩევს მუდმივ კომიტეტს. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, მთავრობისა კი — პრემიერ-მინისტრი.

თურქეთი

თურქეთის რესპუბლიკა.
ფართობი — 780,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 45 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ანკარა (1,7 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — თურქული.



თურქეთი მსოფლიოს იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს განეკუთვნება, რომლებიც ერთდროულად ორ კონტინენტზე მდებარეობენ. მისი პატარა ნაწილი — აღმოსავლეთი თრაკია (23,5 ათასი კვ. კმ.) ევროპაში მდებარეობს, დანარჩენი — ანატოლია, აზიაშია. თურქეთის ტერიტორიასა და სანაპირო წყლებზე გადის საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო გზები, რომლებიც ქვეყნის ამ ორ ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებს. თურქეთის ევროპულ და აზიურ ნაწილებს შორის მდებარეობს ბოსფორის სრუტე, მარმარილოს ზღვა და დარდანელის სრუტე, რომლებიც შავსა და ხმელთაშუა ზღვებს აერთებენ, და ამიტომ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ.

თურქეთის დიდი ნაწილი ზეგანია, რომლის ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი მთაგრეხილებითაა შემოზღუდული. განსაკუთრებით მაღალი მთებია აღმოსავლეთში. აქ, სსრ კავშირის საზღვართან, სომხეთის ზეგანზე აღმართულია ჩამქრალი ვულკანი დიდი არარატი (5165 მ.), რომელიც მუდმივი თოვლის ქუდითაა დაფარული.

თურქეთში ჰავა ძალიან მრავალფეროვანია, მაგრამ უმეტესად სუბტროპიკულია. აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთებზე ტენიანი სუბტროპიკული ჰავაა. ნალექები 3000 მმ-მდეა და მთელი წლის განმავლობაში მოდის. დასავლეთ პონტოს მთების ზღვისპირა ფერდობებზე, ტავრსა და დასავლეთ ანატოლიის ხეობებში ხმელთაშუა ზღვის ჰავაა — მშრალი ზაფხულითა და წვიმიანი

VI საუკუნის ბიზანტიის ტაძარი სტამბოლში, ახლ. აია-სოფიის მეჩეთი.

ზამთრით. ზეგნის შიგა ოლქებში მშრალი ნახევრად უდაბნოს ჰავაა. ნალექები ცოტა მოდის (300—500 მმ). ზაფხული ცხელია, ზამთარი გრილი, ზოგჯერ სუსხიანი.

ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობა თურქებია. აქ ასევე ცხოვრობენ ქურთები, არაბები, ბერძნები, ქართველები, ჩერქეზები, სომხები, ლაზები.

თურქეთის სახელმწიფო XI ს. მეორე ნახევარში სელჯუკების — მომთაბარე თურქმენმა ტომებმა შექმნეს, რომლებიც სომხეთის ზეგნისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე შუა აზიიდან მოვიდნენ. XIII საუკუნის შუა წლებში სელჯუკთა სახელმწიფო დაიპყრეს მონღოლეთის ჯარებმა. იგი დაეცა და 12 ბეილიკად (სამთავროდ) დაიშალა. თანდათანობით ძლიერდებოდა ბეილიკი, რომელიც მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მისმა მმართველმა ოსმან-ბეიმ გააფართოვა ბეილიკის ტერიტორია და ქალაქ ბურსაში დედაქალაქი დააარსა. ასე მიეცა დასაბამი დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ოსმალეთის მომავალ იმპერიას.

შემდეგში ოსმალებმა შეძლეს ხელთ ეგდოთ მცირე აზიის დიდი ნაწილი მარმარილოსა და შავ ზღვამდე, მიიტაცეს საქართველოსა და სომხეთის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამას მოჰყვა დაპყრობითი ლაშქრობები და ოსმანთა სახელმწიფო-

[illegible] ევროპის დიდ სახელმწიფოებისაგან გახდა დამოკიდებული. ამასთან ერთდროულად ზოგიერთი დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის შედეგად იმპერიას ჩამოსცილდნენ ადრე დამორჩილებული ქვეყნები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელშიაც თურქეთი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე იყო, ოსმანთა იმპერია დაიშალა.

ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ცდილობდნენ დაემონებინათ თურქეთი. მაგრამ თურქი ხალხი 1919 წ. მუსტაფა ქემალის მეთაურობით აღსდგა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში მას მხარი დაუჭირა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ. ჩვენი ქვეყანა დაეხმარა თურქ ხალხს იარაღით და ფინანსურად. 1921 წ. მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთსა და ახალ თურქეთს შორის მეგობრობისა და ძმობის შესახებ.

1923 წ. ოკუპანტები განდევნეს და შეიქმნა ახლო და შუა აღმოსავლეთის პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკა. მისმა მთავრობამ განახორციელა ზოგი კულტურული და ეკონომიკური გარდაქმნა. ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, სკოლებში არაბული ანბანის ნაცვლად შემოიღეს ლათინური. ქვეყანა ევროპულ წელთაღრიცხვაზე გადავიდა. ქალებმა ჩადრი მოიხსნეს. გაუქმდა ფეოდალური ტიტულები და წოდებები, შემოიღეს გვარები. მუსტაფა ქემალმა მიიღო ათათურქის (თურქთა მამის) გვარი. მთავრობა შეუდგა თურქეთის რკინიგზების, სახომალდო კომპანიების და საწარმოების შესყიდვას უცხოელი კაპიტალისტებისაგან. დაიწყო ფაბრიკების და ქარხნების მშენებლობა, შეიქმნა ეროვნული ბანკები.

საბჭოთა სახელმწიფომ პირველმა სცნო ახალი თურქეთი და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. 1932 წ. საბჭოთა მთავრობამ თურქეთს მისცა უპროცენტო კრედიტი 8 მლნ. დო-

ლარის რაოდენობით. ამ ფულით თურქეთის ორ ქალაქში — კაისერსა და ნაზილში — საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აიგო სოფეიქრო კომბინატები, რომელიც საბჭოთა ჩარხებით აღჭურვეს.

თურქეთი უპირატესად აგრარული ქვეყანაა, სადაც ვითარდება მრეწველობაც. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 70%, მაგრამ ბევრ გლეხს არა აქვს საკუთარი მიწა. მემამულეთა და კულაკთა მეურნეობებს ეკუთვნის მთელი დამუშავებული მიწის დაახლოებით $^2/_3$. ბევრი უმიწაწყლო გლეხი იძულებულია მოჯამაგირედ დაუდგეს მემამულეებს, ანდა მშობლიური ადგილებიდან აიყაროს და ქალაქებში და საზღვარგარეთ წავიდეს საშოვარზე.

თურქული სოფლის სიღატაკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ შენარჩუნებულია ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობა და გლეხებს ნაკლებად აქვთ მიწები. მრავალი სოფლის მცხოვრებს წარმოდგენაც კი არა აქვს საავადმყოფოებზე და ელექტრობაზე. გლეხთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. ბევრ სოფელში სკოლა არ არის. მიწის დამუშავება პრიმიტიულად ხდება. მხოლოდ მემამულეებისა და კულაკების მეურნეობაში იყენებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

სოფლის მეურნეობის ძირითად კულტურებს— ხორბალს, ქერს, სიმინდს, ჭვავს, შვრიას, პარკოსნებს ზეგნის რაიონი უჭირავს. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ვაკეზე ბევრია ციტრუსი და ზეთისხილი — მთავარი ზეთოვანი კულტურა. აქვე სარწყავ მიწებზე მოჰყავთ ბამბა და ბრინჯი. მარმარილოს ზღვის სანაპირო რაიონებში თესავენ შაქრის ჭარხალსა და მზესუმზირას.

თურქეთის იმ ადგილებში, სადაც მკაცრი ზამთარი არ იცის, გლეხობა ძველთაგანვე მევენახეობას მისდევს. განსაკუთრებით განთქმულია უწიპწო ყურძენი, რომლითაც ჭიშმიშს ამზადებენ. თურქეთი ასევე განთქმულია ლეღვით, თხილით, კაკლით. ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს თამბაქოს კულტურა (ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი საგანი). მისი პლანტაციები შეიძლება ნახოთ ქვეყნის დასავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროს მთის ფერდობებზე. ვრცელ ალპიურ მდელოებზე ძოვენ ცხვრის ფარები, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგები. ქვეყნის ზოგიერთ სამხრეთ რაიონებში აშენებენ სახელგანთქმულ ანგორის (თურქეთის დედაქალაქის სახელწოდების ადრინდელი ტრანსკრიფციის მიხედვით) თხებს, რომლისაგან თივთიკს ღებულობენ.

თურქეთში ვითარდება მრეწველობა. ადრე არსებული საფეიქრო, თამბაქოს, კვების მრეწველობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გვერდით ქვეყანაში გაჩნდა ისეთი დარგები, როგორიცაა შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ნავთობგადასამუშავებელი, ქიმიური, რადიოტექნიკური მრეწველობა. ამ საწარმოების დიდი ნაწილი შედის არა ცალკეული კაპიტალისტების, არამედ სახელმწიფოს გამგებლობაში. სახელმწიფო საწარმოები უშვებს ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის ნახევარს. თურქეთში



ბოსფორზე გადებულმა კიდულმა ხიდმა ევროპა და აზია ერთმანეთთან დააკავშირა. ბოსფორის ხიდი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. უდიდესია მისი ეკონომიკური მნიშვნელობა თურქეთისათვის.

მოიპოვებენ ქრომს, რკინის მადანს, სპილენძს, ქვანახშირს, ბოქსიტებს, ნავთობს (მაგრამ საკუთარი ნავთობი არ ჰყოფნით).

ქვეყანაში ბევრი კუსტარული სახელოსნოა; ისინი ამზადებენ ხალიჩებს, კერამიკას, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმს.

მუშათა მდგომარეობა ძალზე მძიმეა. ბევრია უმუშევარი (1980 წელს მათი რიცხვი 3 მლნ. შეადგენდა), ხოლო იმათ, ვინც მუშაობს, ხელფასი საარსებო მინიმუმზე მნიშვნელოვნად დაბალი აქვს. ფასებმა 1970 წლიდან 1980 წლამდე 800 პროცენტით იმატა. სამუშაოს საძებნელად თურქი მშრომელები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიდიან.

ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქი სტამბოლია — თურქეთის ნავსადგური და მთავარი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი. სტამბოლი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში. ძველად იგი აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) დედაქალაქი იყო და კონსტანტინოპოლი ერქვა. 1453 წ. ქალაქი თურქებმა დაიპყრეს და იგი ოსმანთა იმპერიის დაცემამდე მის დედაქალაქად იქცა. სტამბოლი ბოსფორის სანაპიროზე მდებარეობს. ბოსფორი ქალაქს ევროპულ და აზიურ ნაწილად ჰყოფს. 1973 წლის 29 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის 50-ე წლისთავზე მწყობრში ჩადგა დიდი კიდული ხიდი ბოსფორზე. ხიდის საერთო სიგრძე 1500 მ აღემატება, სიმაღლე — 64 მ. ეს საშუალებას აძლევს ოკეანის გემებსაც კი თავისუფლად გავიდნენ მის ქვეშ. ხიდი მნიშვნელოვნად აადვილებს სახმელეთო ტრანსპორტის მიმოსვლას ევროპასა და აზიას შორის. ქალაქში ბევრია ისტორიული ძეგლი. სულთნის სასახლეები, ძველი წყალსადენი, მეჩეთი სულთან ახმედი და ქვეყნის ყველაზე ცნობილი სიძველის ძეგლი — მეჩეთი აია-სოფია.

თურქეთის დედაქალაქი ანკარა პირველ მსოფლიო ომამდე ცოტათი თუ განირჩეოდა ანატოლიის სხვა პროვინციული პატარა ქალაქებისგან. იქ სულ 30 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1919 წ. ანკარა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი გახდა, ხოლო 1923 წ. რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადდა. აქ თავმოყრილია მთავრობის დაწესებულებები და იკრიბება პარლამენტი — დიდი ეროვნული კრება.

თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ბუნებრივი სიმდიდრეები ყოველთვის იზიდავდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ყურადღებას. ამ ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ თურქეთი შევიდა ნატოსა და სენტოს (დაიშალა 1979 წ.) აგრესიულ ბლოკებში და დადო სამხედრო ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1979 წ. დაიდო კიდევ ერთი ხელშეკრულება აშშ-თან, რომლის თანახმადაც თურქეთმა ჩაბარდგინა ამერიკის 26 სამხედრო ბაზა საკუთარ ტერიტორიაზე (გაუქმებული იყო 1974 წ.). ამის სანაცვლოდ თურქეთმა მიიღო შეერთებული შტატებიდან სამხედრო დახმარება (450 მლნ. დოლარი).

მიუხედავად დემოკრატიული ძალების დევნისა და კომუნისტური პარტიის აკრძალვისა, თურქეთში იზრდება მოძრაობა ეკონომიკური რეფორმების გატარებისათვის და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის. ამავე დროს გავრცელდა ტერორიზმი. მხოლოდ 1978 წ. მოკლული იყო დაახლოებით 1000 კაცი. მთელ რიგ ვილაიეთებში (ოლქებში) შემოიღეს საალყო წესები.

ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ასახვას პოულობს თურქულ მხატვრულ ლიტერატურაში. უდიდესი პოეტი და დრამატურგი კომუნისტი ნაზიმ ჰიქმეთი (1902—1963) თავის ნაწარმოებებში იცავდა თურქეთისა და მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების ინტერესებს, გამოდიოდა იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმის დასაცავად.

საბჭოთა მთავრობა ნიადაგ გამოდიოდა და გამოდის თურქეთთან კეთილმეზობლობისა და მასთან თანამშრომლობის განმტკიცების მომხრედ. 1978 წ. მოსკოვში თურქეთის მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგად ხელმოწერილი იქნა პოლიტიკურ დოკუმენტზე კეთილმეზობლური და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, შეთანხმება შავ ზღვაში კონტინენტალური შელფის გამიჯვნის შესახებ და კულტურული და სამეცნიერო გაცვლების პროგრამა. ორივე მხარე ურთიერთობის საფუძვლად აღიარებს სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემის პრინციპებს.

ეკონომიკური შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს თურქეთის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში სსრ კავშირის მონაწილეობას, უკვე აგებულია ისეთი დიდი ქარხნები, როგორიცაა ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა იზმირის მახლობლად, გოგირდმჟავასი ბანდირმაში, ალუმინისა სეიდიშეჰირში, მერქანბოჭკოვანი ფილების დამამზადებელი საწარმო ართვინში. საექსპლოატაციოდ გადაეცა მეტალურგი-

ული კომბინატი ისქენდერუნში. სასაზღვრო მდინარე ახურიანზე შენდება კაშხალი და წყალსაცავი, რაც საშუალებას მოგვცემს მოირწყას 34 ათასი ჰექტარი მიწა თურქეთისა და საბჭოთა სომხეთის ტერიტორიაზე.

იაპონია

ფართობი — დაახლოებით 372,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 115,1 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი — ტოკიო (11,7 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — იაპონური.

იაპონია წყნარი ოკეანის კუნძულებზე მდებარეობს. მათ შორის ყველაზე დიდია ჰონსიუ. მისგან ჩრდილოეთით მდებარეობს კუნძული ჰოკაიდო, სამხრეთით კუნძულები — კიუსიუ და სიკოკუ, ხოლო მათ შორის და მათ ირგვლივ კიდევ ასობით და ათასობით პატარა და უპატარავესი კუნძული. კიუსიუდან სამხრეთით გადაჭიმულია კუნძულთა ჯგუფი რიუკიუ მთავარ კუნძულ ოკინავათი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ძალაუფლებას ემორჩილებოდა.

მოსახლეობის შემადგენლობის მხრივ იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ერთგვაროვანი სახელმწიფოა. მოსახლეობის 99%-ზე მეტი იაპონელია. მათ გარდა აქ ცხოვრობს დაახლოებით ნახევარი მილიონი კორეელი, ხოლო კუნძულ ჰოკაიდოზე — დაახლოებით 20 ათასი აინი. აინები ამ კუნძულის მკვიდრნი არიან. ადრე ისინი ძირითადად ნადირობით და მეთევზეობით ირჩენდნენ თავს, მაგრამ XX ს. დასაწყისიდან მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი და ახლა ცხოვრების წესით არაფრით განსხვავდებიან იაპონელებისაგან. აინების ნაირფერადი ეროვნული ტანსაცმელი, ცეკვები, ძველი წეს-ჩვეულებები ახლა მხოლოდ ფასიან წარმოდგენებზე თუ შეიძლება ნახოთ, რომლებსაც აინები ჰოკაიდოზე ჩამოსული ტურისტებისათვის მართავენ.

იაპონიის კუნძულები ჯაჭვისებურადაა წაგრძელებული 3,5 ათას კმ-ზე მეტ მანძილზე, ზომიერი განედიდან თითქმის ტროპიკამდე. ჰოკაიდოს ჩრდილოეთი დაფარულია ტყით, რომელიც ჩვენი



შორეული აღმოსავლეთის ტაიგას ჰგავს, ხოლო რიუკიუზე ხარობს პალმები და ბანანები. თვით ჰოკაიდოზეც კი მწიფდება ბრინჯი, ვაშლი, მსხალი, ატამი. ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე სუბტროპიკული ჰავაა. აქ ხარობს კვიპაროსები, ბამბუკი, მარადმწვანე ხეები, რომლითაც დაფარულია იაპონიის ციცაბო მთები. მთებს მთელი ტერიტორიის $^3/_4$ უჭირავს.

იაპონიაში ბევრია მოქმედი ვულკანი, ხშირია მიწისძვრები. ყველაზე მაღალ ჩამქრალ ვულკანს— ფუძიამას (3776 მ) წესიერი კონუსის ფორმა აქვს.

იაპონელებისათვის ფუძიამა სამშობლოს სიმბოლო და ნახევრადრელიგიური თაყვანისცემის საგანია. ვაკეებს მიწის მხოლოდ ვიწრო ზოლები უკავია სანაპიროს გასწვრივ, მაგრამ ამ ვაკეებზეა თავმოყრილი თითქმის მთელი დასამუშავებელი მიწები, ყველა დიდი ქალაქი და მოსახლეობის უმრავლესობა.

რელიეფით, ჰავითა და მცენარეულობით იაპონია მოგვაგონებს კავკასიის შავისზღვისპირეთს, და შემთხვევითი არაა, რომ ჩვენს სუბტროპიკებში გახარებული ბევრი კულტურა და დეკორატიული მცენარე — ბამბუკი, ჩაის ბუჩქი, ციტრუსოვანნი (მანდარინი და ფორთოხალი), ხურმა — ფართოდაა გავრცელებული იაპონიაში. მაგრამ იაპონიის მინდვრების მთავარი კულტურა ბრინჯია. ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ თავს ბრინჯით, მაგრამ შემოაქვთ ხორბლის, ქერის, სო-

იის, შაქრისა და სხვა პროდუქტების დიდი ნაწილი.

ტენის წვეთები, რომელიც იაპონიის მთების ხავსმოკიდებულ კლდოვან ფერდობებზე ჩამოიწვეთება, ჩანჩქერებად ერთდება და ქმნის ბობოქარ ჭორომიან მდინარეებს. ხევებში ისინი კაშხალებში არიან მომწყვდეულნი და აბრუნებენ მრავალრიცხოვან ჰიდროელექტროსადგურთა ტურბინებს, ხოლო ხეობებში ნაწილდებიან სარწყავ არხებსა და ბრინჯის ყანებში, რომლებიც წლის უმეტეს დროს წყლითაა დაფარული.

ჰიდროენერგიის სიუხვემ საშუალება მისცა იაპონელებს ჯერ კიდევ 20-იან წლებში თითქმის მთლიანად განეხორციელებინათ ქალაქებისა და სოფლების ელექტრიფიკაცია, მაგრამ სწრაფად მზარდი მრეწველობის, ტრანსპორტისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში, ჰიდროენერგია საკმარისი არ არის. იაპონიას ესაჭიროება ნავთობის უდიდესი რაოდენობა, საკუთარი ნავთობი კი თითქმის არა აქვს. ნავთობის 99% უმთავრესად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოაქვს.

იაპონიაში იცის კოკისპირულ წვიმებიანი ცხელი ზაფხული და მზიანი შემოდგომა. შემოდგომაზე ყვავის ქრიზანთემები, წითლად ღუის ნეკერჩხლის ფოთლები. მაგრამ ამ დროს ხშირია ტაიფუნი — გრიგალისებური ქარი, რომელიც მოულოდნელად ამოვარდება და ზოგჯერ დიდ ნგრევას იწვევს. ზამთარი თბილია, თოვლი თუ მოვა, სწრაფად დნება, მხოლოდ ჰოკაიდოს მთებსა და ჰონსიუს ჩრდილოეთ ნაწილში ძლებს რამდენიმე ხანს.

თითქმის მთელი წლის განმავლობაში რაღაც ყვავის. ახალი წლის დადგომამდე, წაყინვების დროს აყვავდება ველური ქლიავი უმე, რომლის ყვავილები ვაჟკაცობისა და სიმტკიცის სიმბოლოდაა მიჩნეული, თებერვალსა და მარტში ყვავის კამელია, ზაფხულში — შროშანი, ზამბახი და იელი, მაგრამ ყველაზე საუცხოოა ალუბალ საკურას აყვავება გაზაფხულზე. ამ დღეებში იაპონელები ტკბებიან ალუბლის ნაზი ყვავილების ცქერით, რომლებიც ჩქარა ცვივა. ალუბლის ყვავილი ქრიზანთემასთან ერთად იაპონიის ეროვნულ ყვავილად ითვლება.

იაპონია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. დიდ ქალაქებში ათეულ კილომეტრზე გადაჭიმულია ნავმისადგომების, საწყობების, ქარხნებისა და ფაბრიკების რიგები. ბევრი მათგანისათვის ხმელეთზე ადგილი აღარაა და მათ აგებენ ზღვისთვის წართმეულ, ხელოვნურად დაყრილ ნიადაგზე. მრავალმილიონიანი ქალაქები — ტოკიო, იოკოჰამა, ნაგოია, კიოტო, ოსაკა, კობე იზრდებიან, ერთმანეთს ერწყმიან და ქმნიან ქალაქის მთლიან ზოლს. შეიძლება საათობით იმგზავრო სწრაფი საავტომობილო და სარკინიგზო ტრასებით და ვერ შეამჩნიო, სად მთავრდება ერთი ქალაქი და იწყება მეორე. ასევე ერთბაშად ვერ შეამჩნევ სად თავდება ქალაქი და იწყება სოფელი. ბრინჯის ყანები და ჩაის პლანტაციები თანდათანობით მცირდება, რადგან მათ ადგილზე შენდება ფაბრიკის სულ ახალ-ახალი კორპუსები.

შეუპოვარი შრომის, დიდი რაოდენობით ქიმიური სასუქების გამოყენების, ახალი, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვის წყალობით, იაპონელი გლეხები უხვ მოსავალს ღებულობენ თავიანთ ციცქნა ნაკვეთებზე. უწინ ვაკეებზე ვერ იპოვიდით დაუმუშავებელ მიწის ნაგლეჯს, ახლა კი ძალზე ხშირად ნახავთ მიტოვებულ მინდვრებს. ახალგაზრდობა სოფლიდან ქალაქებში, ფაბრიკებისა და ქარხნებში მიდის, სადაც ცხოვრობს და მუშაობს მოსახლეობის $^4/_5$-ზე მეტი.

კაპიტალისტურ კერძომესაკუთრულ ეკონომიკას არ ძალუძს გადაწყვიტოს სოფლის მეურნეობის პრობლემები. მცირე, დაჭუცმაცებულ ნაკვეთზე შეუძლებელია ფართო მექანიზაციის გამოყენება და ბევრ რაიონში სოფლის მეურნეობა თანდათანობით კნინდება.

იაპონიაში მჭიდროდაა გადაჯაჭვული ახალი ძველთან, უცხოური — ეროვნულთან. ტოკიოსა და სხვა დიდი ქალაქების მაგისტრალები სავსებით ევროპულად გამოიყურება, მაგრამ თუკი ტოკიოს სატელევიზიო კოშკის (პარიზის ცნობილი ეიფელის კოშკის თითქმის ზუსტი ასლი) დასათვალიერებელ ბაქანზე ავალთ, დავინახავთ, რომ სამინისტროების, ბანკების, კანტორების, უნივერმაღების მრავალსართულიანი ბეტონის შენობათა კვარტალები — ეს მხოლოდ პაწია კუნძულებია ერთ და ორსართულიანი პატარა სახლების თვალუწვდენელ ზღვაში. არქიტექტურულად თითქმის ერთნაირი ეს სახლები როგორც ქალაქად ისე სოფლად, აქამდე შეადგენენ ქვეყნის საცხოვრებელი ფონდის დიდ ნაწილს.

იაპონური საოჯახო ყოფა-ცხოვრება ბევრ რამეში არ ჰგავს ევროპულს. იაპონელები, სანამ სახლში შეიდოდნენ, ფეხსაცმელს იხდიან და ზღურბლთან ტოვებენ: იატაკზე დაფენილია მოყვითალო ფერის სუფთა ჩილოფი, რომელზედაც მხოლოდ წინდების ამარა დადიან. აქ ცოტა ავეჯია. ჭურჭელი და სხვა საოჯახო ნივთები თახჩებში ინახება. იქიდან ღამით გამოაქვთ ლოგინი და პირდაპირ იატაკზე გაფენილ ჩილოფებზე აგებენ, ხოლო დილით ისევ ალაგებენ. იაპონელები უმეტესად იატაკზე, ბრტყელ ბალიშებზე, სხედან დაბალ, პატარა სუფრებთან. თუმცა, შეძლებულთა სახლებში, ოთახების ნაწილი, განსაკუთრებით სასტუმრო, ევროპულადაა მორთული.

მართალია, ქალაქებში ბევრია სასადილო და რესტორანი, სადაც ევროპულ კერძებს ამზადებენ, მაგრამ იაპონელები ძირითადად შინ ტრადიციული საჭმლით იკვებებიან — ეს უმარილო მოხარშული ბრინჯია, რომელსაც ჯამებიდან ჩხირებით ჭამენ. მასთან ერთად შეექცევიან ცხარე და მარილიან კერძებს, ძირითადად ბოსტნეულისგან დამზადებულს (ბოლოკის, კომბოსტოს, კიტრისაგან), ასევე თევზეულს. თევზის ჭერის მხრივ (დაახლოებით 10 მლნ. ტ. წელიწადში) იაპონიას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ხორცსა და რძის პროდუქტებს იაპონელები ცოტას ხმარობენ. ისიც მხოლოდ ამ ბოლო ათ წელიწადში დამკვიდრდა.

სახელმწიფოებრივი წყობის მიხედვით იაპონია კონსტიტუციური მონარქიაა, მაგრამ იმპერატორი მხოლოდ სიმბოლურ როლს თამაშობს. მთავრობას ორპალატიანი (წარმომადგენელთა და მრჩეველთა პალატები) პარლამენტი ადგენს, რომელშიც ადგილების უმრავლესობა ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის. იგი მსხვილი კაპიტალისტების ინტერესებს იცავს. სხვა პარტიებიდან აღსანიშნავია სოციალისტური პარტია, კომეიტო, დემოკრატიული ცენტრალიზმის პარტია, ახალი ლიბერალური კლუბი, სოციალ-დემოკრატიული კავშირი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული კონსტიტუციის თანახმად, იაპონიას არ უნდა ჰყავდეს რეგულარული არმია, მაგრამ მიუხედავად აკრძალვისა, მაინც შეიქმნა ე. წ. „ეროვნული უშიშროების კორპუსი“. 1979 წლის დასაწყისისათვის იაპონიის არმიაში ირიცხებოდა 256 ათასი ჯარისკაცი, 1400 თვითმფრინავი, 3000 ჭვემეხი, 1200 ტანკი, ხოლო საერთო ცეცხლის ძალა 30-ჯერ აღემატებოდა ყოფილი საიმპერატორო არმიის ცეცხლის ძალას. იაპონიაში დღემდე რჩება ამერიკის ჯარები, რომლებიც მრავალრიცხოვან სამხედრო ბაზებში არიან განლაგებულნი. ეს ბაზები კორეასა და ვიეტნამთან ომის დროს ამერიკის ჯარებს ამარაგებდა. იაპონელი მშრომელები ენერგიულად იბრძვიან ამერიკული ბაზების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც მათ ტერიტორიებზე არსებობს.

ამერიკულ სამხედრო ბაზა იოკოტასთან. პოლიცია მიერეკება დემონსტრანტებს, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იაპონიის ტერიტორიაზე აშშ-ს ჯარების განლაგების გამო.

მუშათა კლასს ძველი საბრძოლო ტრადიციები აქვს. ეს ტრადიციები მტკიცდებოდა მუდმივ საგაფიცვო ბრძოლებში, საპროტესტო მასობრივ გამოსვლებსა და დემონსტრაციებში, რომლებიც მიმართული იყო ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ, იაპონელთა საქმეებში ამერიკის ჩარევის ცდების წინააღმდეგ, იაპონიის ნავსადგურებში ამერიკის ატომური სამხედრო ხომალდების შესვლის წინააღმდეგ. მშვიდობის დაცვისათვის, ატომური მუქარის წინააღმდეგ მოძრაობაში ჩაბმულია უამრავი ადამიანი: იაპონია ხომ ის ქვეყანაა, რომელმაც განიცადა ატომური დაბომბვის საშინელება. მშვიდობისათვის მოძრაობაში მონაწილეობენ პროფკავშირები, გლეხთა, ქალთა, ახალგაზრდობის და თვით ბუ-



მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ელექტრონული მრეწველობის ქარხანა „მაცუსიტა ელექტრიკი“. იგი წელიწადში 1 მლნ.-ზე მეტ ტელევიზორს უშვებს.

დისტური ორგანიზაციებიც კი. მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის ავტორიტეტით სარგებლობს იაპონიის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1922 წ.) და მისი გაზეთი „აკახატა“.

შოვინიზმისა და მილიტარიზმის აღდგენის წინააღმდეგ ბრძოლაში კომუნისტებთან ერთად გამოდიან ოპოზიციური პარტიები — სოციალისტური და კომეიტო (რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ბუდისტურ საზოგადოება „სოკა გაკაისთან“).

ფასების გამუდმებული მატების პირობებში იაპონელ მშრომელებს უხდებათ განუწყვეტელი და ძნელი ბრძოლა მეწარმეებთან ხელფასის მომატებისათვის. ამ ბრძოლას, რომელიც ხშირად მასობრივი გაფიცვების ხასიათს ღებულობს, ხელმძღვანელობენ იაპონიის მრავალრიცხოვანი პროფკავშირები, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფკავშირთა გენერალურ საბჭოში (სოხე).

იაპონიამ სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით გაუსწრო ევროპის ყველა ქვეყანას და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ სამყაროში. მრეწველობა უშვებს სხვადასხვა საქონელს. თითქმის ყველაფერი, რასაც იაპონიაში ხედავთ, ელმავლიდან დაწყებული, ცხვირსახოცით გათავებული — იაპონური წარმოებისაა.

მაგრამ იაპონელ მშრომელთა ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად დაბალია — მათი ხელფასი გაცილებით ნაკლებია ვიდრე ევროპელი და ამერიკელი მუშებისა. ამის გამო იაპონური საქონელი ადვილად უწევს კონკურენციას ევროპისა და ამერიკის საქონელს მსოფლიო ბაზარზე, რადგან ხარისხით არაფრით არ ჩამოუვარდება მას, თანაც უფრო იაფია. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს იაპონური გემები, ელექტრონული აპარატურა, ტრანზისტორული რადიომიმღებები, ავტომანქანები, სინთეტური და აბრეშუმის ქსოვილების ნაწარმი, ჭურჭელი, სათამაშოები.

იაპონია ძალზე ღარიბია სასარგებლო წიაღისეულით. მრეწველობისათვის საჭირო თითქმის მთელი ნედლეული უნდა შემოიტანოს. ეს არა მარტო ნავთობია, არამედ კოქსვადი ქვანახშირი, რკინის მადანი და ფერადი ლითონების მადანი, მატყლი, ხე-ტყე და მრავალი სხვა. იაპონიის საქმიანი წრეები დაინტერესებულნი არიან გაფართოვდეს სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირთან. იაპონიას სსრ კავშირიდან შეაქვს დიდი რაოდენობით თუჯი, ხე-ტყე, კალიუმის სასუქები, ხოლო ჩვენთან ყიდის სამრეწველო ნაწარმს, გემებს, ფართო მოხმარების საქონელს. საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებულია შეთანხმება საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივი რესურსების დამუშავებაში თანამშრომლობის შესახებ. სამრეწველო მოწყობილობის მოწოდებისათვის იაპონია მიიღებს გაზს, ქვანახშირს, ნავთობს.

იაპონია ძველი, მაღალგანვითარებული კულტურის ქვეყანაა. აღტაცებას იწვევს ძველი და თანამედროვე იაპონელი ოსტატების ხელოვნება: პეიზაჟური ფერწერა, არქიტექტურა, ლიტერატურა, თეატრი. მსოფლიო აღიარება მოიპოვა იაპონური დეკორატიული ხელოვნების ისეთმა სპეციფიკურმა სახეობებმა, როგორიცაა იკებანა — ყვავილებით კომპოზიციების შექმნა, ბონსაი — ოთახის ჯუჯა ხეების გამოყვანა. ქვეყნის ფარგლებს შორს გასცდა ტრადიციული იაპონური სპორტის სახეობა — ჰიდაობა ძიუ-დო და კრივი კარატე.

იაპონიაში ბევრია შესანიშნავი არქიტექტურული და ისტორიული ძეგლი — ბუდას ვეება ქანდაკებები და ტაძრები, პაგოდები, ლანდშაფტური პარკები, აკლდამები, თავადებისა და იმპერატორების ციხე-დარბაზები და სასახლეები. მაგრამ ყველაზე ცნობილი ძეგლი ალბათ მემორიალური კომპლექსია, რომელიც ჰიროსიმაშია აგებული სახელგანთქმული იაპონელი არქიტექტორის კენძო ტანგეს პროექტის მიხედვით, იმათ მოსაგონებლად, რომლებიც ამ ქალაქის ატომური დაბომბვის დროს დაიღუპნენ. ჰიროსიმა იაპონიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, მაგრამ იგი მთლიანად ხელახლა ააშენეს. იმავე არქიტექტორმა ააშენა შესანიშნავი სპორტული ნაგებობანი ტოკიოში ოლიმპიური თამაშებისათვის (1964).

ძალზე რთულია იაპონური დამწერლობა. მას საფუძვლად უდევს VI—VIII სს. ჩინელებისაგან გადმოღებული და იაპონური ენის თავისებურებებისადმი მისადაგებული იეროგლიფები. გაზეთი რომ წაიკითხო, დაახლოებით 2 ათასი ნიშანი უნდა იცოდე, ხოლო სულ 10 ათასზე მეტი იეროგლიფია. რა თქმა უნდა, ყველა ნიშანი არავინ იცის და თუკი წიგნში იშვიათ ნიშანს შეხვდებიან, ლექსიკონში უნდა ჩაიხედონ. მაგრამ იეროგლიფების გარდა, არსებობს ასოებიც, რომელიც ცალკეულ მარცვლებს, დამხმარე გრამატიკულ ნაწილაკებს აღნიშნავს. ფონეტიკური ანბანით იწერება წიგნები ბავშვებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არ იციან იეროგლიფები.

მიუხედავად დამწერლობის სირთულისა, იაპონიაში წერა-კითხვა უკლებლივ ყველამ იცის. სკოლებში ექვსი წლიდან დადიან. სავალდებულოა ცხრაწლიანი განათლების მიღება, მაგრამ ეს არ არის სრული საშუალო განათლება. მის მისაღებად საჭიროა სწავლის კიდევ სამი წელი ეგრეთ წოდებულ მაღალი ტიპის სკოლაში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. მაღალი ტიპის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ფასიანია და ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. იაპონიაში 230-მდე უნივერსიტეტია, მაგრამ მათ შორის უმეტესობა კერძოა, სადაც სწავლება ძალზე ძვირი ღირს. სახელმწიფო უნივერსიტეტები ცოტაა, აქ სწავლება რამდენადმე იაფია, მაგრამ შესვლისას დიდი კონკურსებია.

თანამედროვე კულტურული ცხოვრება იაპონიაში ძალზე ინტენსიურია. ქვეყანაში განვითარებულია ტელევიზია, იღებენ ბევრ კინოფილმს. მათ შორის საუკეთესოებს აჩვენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

იაპონელ მაყურებლებში პოპულარობით სარგებლობს ჩეხოვისა და გორკის პიესები. მათ დგამენ როგორც პროფესიული დრამატული თეატრები, ისე მრავალრიცხოვანი მხატვრული თვითმოქმედების წრეები. კლასიკური ბალეტის განვითარებაში იაპონელ მსახიობებს დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა ხელოვნების ოსტატები. იაპონიაში არის ტრადიციული ეროვნული თეატრის რამდენიმე სახეობაც. ეს არის თოჯინების თეატრის „ბუნრაკუს“ სხვადასხვა სახეობა, კლასიკური იაპონური ოპერა „ნო“, რომელშიც გამოყენებულია ძველი მითოლოგიური სიუჟეტები, თეატრი „კაბუკი“, რომლის პიესებში გადმოცემულია სიუჟეტები შუა საუკუნეების მეომართა და ქალაქელთა ცხოვრებიდან.

იაპონიაში იცემა ბევრი წიგნი და, ალბათ, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ ითარგმნება და არ გამოდის საბჭოთა ლიტერატურის იმდენი ნაწარმოები, რამდენიც ამ ქვეყანაში. ძალიან პოპულარულია რუსი კლასიკოსების და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. იაპონია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ და ორივე ქვეყნის ხალხები დაინტერესებულნი არიან მეგობრული ურთიერთობის განვითარებით. მაგრამ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას ხელს უშლის ამ ქვეყნის სამხედრო კავშირი აშშ-თან და მმართველი წრეების პრეტენზიები ე. წ. „ჩრდილოეთის ტერიტორიებზე“ (კურილიის კუნძულების ნაწილი).

იემენი, იარ

იემენის არაბთა რესპუბლიკა (ი ა რ).
ფართობი — 195 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სანა (175 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

იემენის არაბთა რესპუბლიკა მთებისა და ნახევარუდაბნოების ქვეყანაა. დასავლეთით მისი სანაპიროები ეკვრის თბილ მეწამულ ზღვას, რომელიც მდიდარია თევზით. ხელმარჯვე მეთევზეებს ზღვის სიღრმიდან ამოაქვთ მარგალიტი და სადაფი. უძველესი დროიდან იემენელები განთქმული იყვნენ როგორც მამაცი და გამოცდილი ზღვაოსნები, რომლებიც იალქნიანი გემებით მიცურავდნენ აზიისა და აფრიკის შორეულ ქვეყნებში. იემენის ნაპირებთან მარჯნის რიფების ბარიერები და პატარა-პატარა უდაბურ კუნძულთა არქიპელაგებია.

მეწამული ზღვის გასწვრივ გადაჭიმულია ცხელი ქვიშიანი ზოლი — ტიხამა, რომლის სიგანე 50—80 კმ-ია. ეს ვაკეა, სადაც მწირი მცენარეულობა, ქვიშიანი დიუნები და ცხელი ნოტიო ჰავაა. მის მოსაწყენ ერთფეროვნებას აცოცხლებს ფინიკის პალმების, აკაციის, იალღუნის ხეთა ოაზისები. ჰაერის მაღალი ტენიანობის მიუხედავად, წვიმა იშვიათად მოდის — ორ-სამჯერ წელიწადში. ტიხამაში მუდმივი მდინარეები არ არის, მაგრამ ნიადაგქვეშა წყლების უხვი რაოდენობა შეიძლება გამოიყენონ ირიგაციისა და წყალმომარაგებისათვის.

სარწყავ მიწებზე მოჰყავთ ხორბალი, დურო (სორგოს გვარი), სიმინდი, ცერცვი და სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები. ფართოვდება ბამბის პლანტაციები, ტიხამის ცხელი ჰავა ბამბის დამწიფების კარგ საშუალებას იძლევა. სოფლის მეურნეობის განვითარება იემენის ამ ნაწილში დაკავშირებულია კაშხალების, სარწყავი არხების, წყალსაცავის მშენებლობასთან, მოძრავი ქვიშის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლასთან. მიწების დიდი რაოდენობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ნაყოფიერი იყო, ქვიშის სქელი ფენით დაიფარა და დიუნების სიმაღლე პალმების ვარჯებამდე აღწევს.

ტიხამის აღმოსავლეთით მდებარეობს ქვეყნის მთიანი ნაწილი — ჯებელი. მას იემენის არაბთა



რესპუბლიკის ტერიტორიის ²/₃ უჭირავს. მთავრეხილები, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა გადაჭიმული, დახრამულია ხეობებითა და ხევებით. ცალკეული მწვერვალები 3000 მეტრზე მაღალია. ჯებელის ბუნება მრავალფეროვანია. მთისწინეთი მდიდარ სუბტროპიკულ მცენარეთა და მრავალფეროვან ფრინველთა სამყაროს მხარეა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მთის ბილიკებზე შეხვდებოდით მაიმუნების დიდ ჯოგებს, ზოგჯერ ლეოპარდებსაც. მთისწინეთის ჰავა რბილია.

ქვეყნის მთიან ნაწილში ზაფხულის წვიმების პერიოდში ვადები (შრობადი მდინარეებისა და ნაკადულების კალაპოტები) ივსება მთიდან დაქანებული ნაკადებით. წელიწადის დანარჩენ დროს ვადები შრება და სანამ თანამედროვე გზებს გაიყვანდნენ, მათ მაგივრობას სწევდა. ამ გზებით ნელა მიმოდიოდა აქლემების ქარავნები. ახლა იემენის მთავარ ქალაქებს შორის გაყვანილია თანამედროვე საავტომობილო გზები. ჰოდეიდიდან სანამდე გზას, რომელსაც უწინ 5—7 დღეს უნდებოდნენ, ახლა 3 საათი სჭირდება.

მთის ფერდობებზე ხარობს ოლეანდრი, ფიკუსი, ბანანი, ყავის ხე, რომელმაც თავის დროზე იემენს მსოფლიოში საუკეთესო ყავის მიმწოდებლის სახელი მოუპოვა, პალმა, სხვადასხვა სახეობის ბუჩქი. მაგრამ რაც უფრო მაღლა მივიწევთ, მით უფრო ღარიბია მცენარეულობა. აქ არის სხვადასხვა სახეობის კაქტუსები, რომელთაგან ზოგიერთი რამდენიმე მეტრის სიმაღლისა იზრდება. ჯებელი ქვეყნის ბეღელია. წყლის ნაკადები და ნიადაგქვეშა წყლები ხელსაყრელ პირობებს ქმნის მყარი მოსავლიანობისათვის. მთის ფერდობებზე ტერასებადაა გაწოლილი პატარ-პატარა მინდვრე-

ბი, რომლებიც გულმოდგინედაა დამუშავებული. ამ მინდვრებზე დათესილია ხორბალი, ლობიო, დურო.

იემენი უძველესი ტერასული მიწათმოქმედების ქვეყანაა. ტერასები ბუნების მიერ კი არ არის შექმნილი, არამედ მიწათმოქმედთა მრავალი თაობის შეუპოვარი და მძიმე შრომის შედეგია. ქალები და ბავშვები მთის ძირიდან თითქმის მის კორტოხამდე საფეხურებით ადიოდნენ, კალათებით მიწა აჰქონდათ, ქვებით შემოწყობილ მცირე მოედნებზე ყრიდნენ და ნაყარ მინდვრებს ქმნიდნენ. ასეთი მინდვრები განუწყვეტლივ მოვლა-პატრონობას და ზრუნვას მოითხოვს, განსაკუთრებით წვიმის პერიოდში, რათა ისინი ჩამონგრევისაგან დაიცვან.

მოსავალი ორ-სამჯერ მოჰყავთ წელიწადში. მაგრამ მიწას ჯერ ისევ პრიმიტიული წესით ამუშავებენ, რადგან იემენელ გლეხს არ ძალუძს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა. რევოლუციამდე (1962) გლეხობის უმეტესობას საკუთარი მიწა არ ჰქონდა და იძულებული იყვნენ კაბალურ პირობებში იჯარით აეღოთ მცირე ნაკვეთი შეიხებისაგან — მიწის მესაკუთრე მსხვილი ფეოდალებისაგან, ანდა მოჯამაგირეებად დადგომოდნენ მათ.

მოსავლის გამუდმებული მტერია კალია, რომელთა შემოსევა იემენელი გლეხისათვის ნამდვილი უბედურებაა. კალიების ვეება ღრუბელი სუდანის სიღრმიდან ანდა დიდი არაბეთის უდაბნოს რუბელ-ჰალის განაპირა მხრიდან გადმოსერავს მეწამულ ზღვას და სამხრეთ არაბეთს მოედება.

იემენის არაბთა რესპუბლიკაში ძირითადად არაბები ცხოვრობენ. ქვეყანაში არიან ეთიოპები, სომალიელები და სხვა ეროვნული უმცირესობანი. მოსახლეობის უმეტესობა ბინადარ ცხოვრებას ეწევა და სოფლის მეურნეობას მისდევს. ქვეყნის აღმოსავლეთში და ჩრდილო-აღმოსავლეთში ჯერ ისევ შემორჩნენ მომთაბარე ტომები. უფრო მჭიდროდაა დასახლებული იემენის არაბთა რესპუბლიკის მთიანი ნაწილი.

იემენელი მთიელები დაკუნთული, კარგი აღნაგობის ხალხია, ისინი შესანიშნავი მსროლელები და მამაცი მებრძოლები არიან. მათ ღია ფერის კანი აქვთ. მთიელთა ტანსაცმლის განუყრელი ნაწილია ფართო, მოხრილი ხანჯალი, რომელიც ტყავის ქამარზე ჰკიდიათ. მთებში 2500—3000 მ. სიმაღლეზე გრილა, განსაკუთრებით ღამით, ამიტომ მთიელები ტყაპუჭს ყოველთვის ატარებენ. ტიხამის მცხოვრებლები აფრიკული სისხლის მნიშვნელოვანი აღრევის გამო გარეგნულად და ჩაცმულობით განსხვავდებიან ჯებელის მთიელებისაგან, რომლებმაც შეინარჩუნეს ცენტრალური არაბეთის ბედუინთა ტომებისათვის დამახასიათებელი ნაკვთები.

იემენის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქია სანა, რომელიც მთის განიერი ხეობის შუაში, ზღვის დონიდან 2300 მეტრზე მაღლა მდებარეობს. იგი თვალწარმტაცი ძველი ქალაქია, რომელიც 1962 წლის რევოლუციამდე ხელშეუხებლად შეინარჩუნა შუა საუკუნეების სახე და ცხოვრების წესი. დღეს სანა სწრაფად იცვლება — ქუჩებსა და მოედნებზე ასფალტს აგებენ, აშენებენ თანამედროვე სახლებს, ჩნდება ახალი კვარტალები.

ტაიზი, იემენის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მისი ყოფილი დედაქალაქი, მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში 1600 მეტრ სიმაღლეზე. საავტომობილო გზა აკავშირებს მას ქალაქ მოხასთან — ძველ ნავსადგურთან მეწამული ზღვის სანაპიროზე. დღეს ქალაქი დაკნინდა და ქვიშით დაიფარა. უწინ ამ ქალაქიდან გაჰქონდათ იემენური ყავა, რომელსაც პორტუგალიელმა ვაჭრებმა „მოკო“ უწოდეს.

მეწამული ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქი ჰოდეიდა იემენის არაბთა რესპუბლიკის საზღვაო ჭიშკარია, რომელიც რესპუბლიკას გარე სამყაროსთან აკავშირებს. ამ ღრმაწყლიანი საზღვაო ნავსადგურიდან, რომელიც 1961 წ. საბჭოთა კავშირის დახმარებით ააგეს, გადის იემენის ექსპორტის დიდი ნაწილი. ჰოდეიდა სწრაფად იზრდება, შენდება თანამედროვესახლებიანი ახალი რაიონები, იგება სამრეწველო საწარმოები.

იემენის შედარებით სხვა დიდი ქალაქები — დამარი, იარიმი, იბი, საადა, ჰამდა — ქვეყნის მთიან ნაწილში მდებარეობს, ხოლო ბაჯილი, ზაბიდი, ბაიტ-ელ-ფაკიხი, ელ-ლუჰაია — ტიხამაში.

იემენის ისტორია ოცდაათ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. I ათასწლეულში ჩვენს ერამდე მის ტერიტორიაზე ჰყვაოდა მდიდარი სავაჭრო სახელმწიფოები, რომელთაც დიდად განვითარებული მიწათმოქმედება, განშტოებული სარწყავი სისტემა, წყალსაცავები, კაშხალები ჰქონდა. ჩინებული გზები აერთებდა ხალხმრავალ ქალაქებს, რომლე-

ბიც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები იყვნენ. ინდოეთისა და აღმოსავლეთ აფრიკის საქონელი, რომელიც სამხრეთ არაბეთში შემოდიოდა, შემდეგ იემენის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ მიდიოდა.

სავაჭრო გზების შეცვლამ, დამპყრობლების შემოსევამ, უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ, ერთ დროს აყვავებული და მდიდარი ქვეყანა ოსმანთა იმპერიის ჩამორჩენილ პროვინციად გადააქცია. წარსული დიდების მოწმეებად შემორჩა მხოლოდ გრანდიოზული კაშხალის ნაშთები მარიბაში, იემენის აღმოსავლეთში და ქვიშით დაფარული უძველესი სასახლეებისა და ტაძრების ნანგრევები. პირველი მსოფლიო ომისა და ოსმანთა იმპერიის დაშლის შემდეგ, იემენმა 1918 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა და გახდა დესპოტური რეჟიმისა და ცხოვრების ფეოდალური წყობის სამეფო.

1962 წლის 26 სექტემბრის რევოლუციამ, რომელიც ხალხის მხარდაჭერით არმიამ მოახდინა, დაამხო თეოკრატიულ-მონარქიული რეჟიმი. პირველად არაბეთის ნახევარკუნძულზე გამოცხადდა რესპუბლიკა. მაგრამ დამხობილმა საერო და სასულიერო მმართველმა — იმამმა, ფეოდალმა თავკაცებმა — იომთა შეიხებმა, რეაქციულმა წრეებმა, რომლებიც საუდის არაბეთისა და იმპერიალისტების მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ, ქვეყანაში ხანგრძლივი სამოქალაქო ომი გააჩაღეს. 1970 წ. ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილმა მხარეებმა — მეფის მომხრეებმა და რესპუბლიკელებმა — მიაღწიეს შეთანხმებას ომის შეწყვეტისა და რესპუბლიკური წყობილების ცნობის შესახებ, რის შემდეგაც რესპუბლიკურ მთავრობას შესაძლებლობა მიეცა მთელი ძალები საბოლოოდ წარემართა წარსულის მძიმე გადმონაშთებისა და ხანგრძლივი სამოქალაქო ომის შედეგების ლიკვიდაციისაკენ. მიღებულ იქნა ზომები იემენის არაბეთა რესპუბლიკის ეკონომიკის ასაღორძინებლად, სოფლის მეურნეობის გასავითარებლად, ეროვნული მრეწველობის საფუძვლის შესაქმნელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონის ასამაღლებლად.

ნახევარი საუკუნეა, რაც იემენსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობა არსებობს. 1928 წლის 1 ნოემბერს სანაში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იემენის ხელშეკრულებას მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. ეს არაბულ აღმოსავლეთში პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება იყო, რომელიც არაბთა სახელმწიფომ დიდ სახელმწიფოსთან დადო. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას. 1964 წ. საბჭოთა კავშირმა და იემენის არაბთა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს მეგობრობის ახალ ხელშეკრულებას.

საბჭოთა კავშირისა და იემენის თანამშრომლობას ამ ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის დიპლომატიური მხარდაჭერა ხელს უწყობს იემენის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის დახმარებითა და მონაწილეობით იემენში გაიყვანეს საავტომობილო გზატკეცილები, ააგეს აეროპორტები, სამრეწველო საწარმოები, საავადმყოფოები, სკოლები. იემენის ეკონომიკისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს ნავსადგურის მშენებლობას ჰოდეიდაში — იემენის ხალხის კარგა ხნის ოცნებას. იემენის არაბთა რესპუბლიკაში მუშაობენ საბჭოთა ექიმები, აგრონომები და სხვა სპეციალისტები. ახალგაზრდა იემენელები განათლებასა და სპეციალობას საბჭოთა კავშირში იღებენ.

სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება დამფუძნებელი სახალხო კრების ხელშია.

იემენი, ისდრ

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (ი ს დ რ).
ფართობი — 336,5 ათასი კმ² (მთავრობის შეფასებით; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით კი — 287,7 ათასი კვ. კმ.).
მოსახლეობა — 1,85 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ადენი (365 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ეს მთიანი ქვეყანაა, ცალ-



კეული მწვერვალები 2500 მ აღემატება. მხოლოდ სანაპიროს ვიწრო ზოლი, მცირერიცხოვანი მთის ხეობები და ვადები (შრობად მდინარეთა კალაპოტები) გამოსადეგია მიწათმოქმედებისათვის (რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 1,8%). ამ მიწებზე მოჰყავთ ხორბალი, ქერი, დურო (სორგოს გვარი), ცერცვი და სხვა სასურსათო კულტურები. აქვე ხარობს ფინიკის პალმა, ბანანი, გარგარის ხე, არაბეთის აკაციების სხვადასხვა სახეობა.

მიწათმოქმედების განვითარებას ხელს უშლის არა მარტო სავარგულების უქონლობა, არამედ ნალექების უაღრესად მცირე რაოდენობაც. გვალვები ხშირია. ცხელ ქარებსა და ქვიშიან ქარბუქებს, რომლებიც დიდი არაბეთის უდაბნო რუბ-ელ-ჰალიდან აღწევს, ენაცვლება ინდოეთის ოკეანიდან მონაბერი მუსონები. მაგრამ მათ მიერ მოტანილ ტენს სანაპიროზე მთის კალთები აკავებს.

სასარგებლო წიაღისეული სამხრეთ არაბეთში ნაკლებადაა გამოკვლეული. მთების წიაღში ვარაუდობენ რკინის მადნის, სხვა წიაღისეულისა და მინერალების მარაგს, ასევე ქვანახშირსაც. ნავთობის სამრეწველო მარაგი ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი.

ქვეყანაში ძირითადად არაბები ცხოვრობენ. ისინი მისდევენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, სანაპიროებზე კი — მეთევზეობას.

რესპუბლიკის დედაქალაქი ადენი მდებარეობს ამავე სახელწოდების ყურის ნაპირზე, დიდი უბის სიღრმეში, რომელსაც ქარებისაგან მთები იცავს და წარმოადგენს ბუნებრივ ნავსადგურს. ადენში შედიან სხვადასხვა ქვეყნის გემები, რომლებიც მიდიან ატლანტის ოკეანიდან ინდოეთისა და წყნარ ოკეანეში ან პირუკუ. აქ შემოსული გემები საწვავის მარაგს ივსებენ. ადენში არის მსხვილი ნავთობსახდელი ქარხანა.

ქალაქი მდებარეობს ჩამჭრალი ვულკანის კრატერში და ამიტომაც მისი ერთ-ერთი რაიონი კრატერის სახელს ატარებს. ქუჩები კლდეებშია გამოკვეთილი, კლდეებშივე იყო განლაგებული ინგლისის ფორტები, რომლებმაც ადენი ინგლისის იმპერიალიზმის დასაყრდენ პუნქტად გადააქცია „აღმოსავლეთის დიდ საზღვაო გზაზე“.

სხვა დიდი ქალაქები — ლაჰიჯი, ტარიმი, საივუნი ქვეყნის სიღრმეში მდებარეობენ და დღემდე ფაქტიურად მიუწვდომელი იყო უცხოელთათვის. ეს ქალაქები ინარჩუნებენ სამხრეთარაბული არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. მაღალი სახლები რუხი ქვითაა ნაგები, ფასადს თეთრი ორნამენტი გასდევს. მეორე სართულს დატანებული აქვს სათოფურები და რკინით შეჭედილი მძიმე კარი. თითოეული სახლი ნამდვილი ციხე-სიმაგრეა, რომელიც იფარავდა მის მობინადრეებს და იცავდა მათ ქონებას სამხრეთ არაბეთის ძნელბედობის ჟამს.

ადენის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ახალ ერამდე დიდი ხნის წინათ სამხრეთ არაბეთში არსებობდა აყვავებული საბეისა და ხიმიარითის სახელმწიფოები. სამხრეთ არაბეთის მდიდარ ქალაქებს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ინდოეთთან, აღმოსავლეთ აფრიკასთან და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. ადენიდან ყოველწლიურად გადიოდა რამდენიმე ქარავანი, რომელთაგან თითოეულ მათგანში ათასამდე აქლემი იყო და ღაზაში, პეტრაში და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში მიჰქონდა ძვირფასი ინდური აბრეშუმი, ინანთეული, სანელებლები, ოქრო, პატიოსანი თვლები, სირაქლემის ფრთები.

სამხრეთ იემენის მიწის დასაპყრობად იბრძოდნენ ეთიოპია და ირანი, მის ნაპირებზე ცდილობდნენ დამკვიდრებულიყვნენ პორტუგალიელები. XVI ს. ადენი ხელთ იგდეს თურქეთის სულთნებმა, 1839 წ. აქ განმტკიცდა ინგლისი. ინგლისის ბატონობა შემდეგში ადენის მოსაზღვრე ტერიტორიებზეც გავრცელდა. ამ მიწებზე მდებარე სამთავროების მთავრებს თავს მოახვიეს კაბალური ხელშეკრულებები, რითაც ისინი ადენში მყოფ ინგლისის კოლონიურ ხელისუფალთა კონტროლს დაუქვემდებარეს.

არაბეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი გაქანება მიეცა, 60-იან წლების დასა-

წყისში გავრცელდა სამხრეთ არაბეთშიც. 1926 წ. ჩრდილოეთ იემენში რესპუბლიკის გამოცხადებამ ახალი ძალა შემატა ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას სამხრეთში.

1963 წლის 14 ოქტომბერს სამხრეთ იემენის პატრიოტებმა რადფანში მოაწყვეს შეიარაღებული აჯანყება ინგლისის ოკუპაციის წინააღმდეგ. ეს თარიღი იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამჟამად აღინიშნება როგორც ეროვნული



საბჭოთა მანქანები სახალხო მეურნეობაში.

ზეიმი. მალე აჯანყებამ მოიცვა ადენი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ინგლისის ცდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა იარაღის ძალით ჩაეხშო, ანდა ფეოდალი მმართველების დახმარებით ჩაეფუშა, უშედეგო აღმოჩნდა. როცა დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია ადენზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე კონტროლის შენარჩუნება, ინგლისელები იძულებულნი გახდნენ მოლაპარაკება დაეწყოთ ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელებთან — უდიდეს ეროვნულ-პატრიოტულ ორგანიზაციასთან, რომელიც მეთაურობდა ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლას. მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ ინგლისმა სამხრეთ იემენის დამოუკიდებლობა სცნო. 1967 წლის 30 ნოემბერს ყოფილი ინგლისელი გუბერნატორის შენობის თავზე აღმართეს სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის დროშა. 1970 წლიდან ქვეყანას ეწოდა იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

რესპუბლიკის შემადგენლობაში ადენისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების გარდა შედის პერიმი, სოკოტრა, კურია-მურია და სხვა კუნძულები, რომლებიც მეწამულ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში მდებარეობენ.

1975 წლის ბოლოს ყველა პატრიოტულ პროგრესულ ძალთა შემადგენლობით შეიქმნა გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაცია — ეროვნული ფრონტი (ბპოეფ), რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა იემენის სოციალისტური პარტია.

რესპუბლიკას მეთაურობს პრეზიდენტის საბჭო, რომელსაც ირჩევს საკანონმდებლო ორგანო — უმაღლესი სახალხო საბჭო. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომლის სათავეში პრემიერ-მინისტრი დგას.

რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ფეოდალური დაჩუცმაცებულობის ლიკვიდაცია, სულთნების, ემირებისა და შეიხების ძალა-უფლების გაუქმება, მათი ქონების კონფისკაცია.

იემენის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამოცანად დაისახა განათლების და ჯანმრთელობის დაცვის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა, მრეწველობის შექმნა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონის ამაღლება. 1968 და 1970 წწ. მიიღეს კანონები აგრარული რეფორმის შესახებ, რომელთა თანახმად დადგინდა მიწათმფლობელობის მაქსიმალური ოდენობა. მემამულეებისათვის ჩამორთმეული, დაუმუშავებელი და მოცდენილი მიწები გაუნაწილდა უმიწო და მცირემიწიან გლეხებს. ათი ათასობით გლეხის ოჯახმა მიწა უკვე მიიღო. ქვეყანაში აგებენ კამხალებს, ბურღავენ არტეზიულ ჭებს, ინერგება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე. ნაციონალიზებულია უცხოური ბანკები, დამზღვევი კომპანიები, საწარმო, რომელიც უცხოეთის კაპიტალს ეკუთვნოდა.

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკაში ემყარება მიუმხრობლობის პრინციპებს, განამტკიცებს თანამშრომლობას საერთაშორისო პროგრესულ ძალებთან, პირველ რიგში სოციალისტურ ქვეყნებთან. იგი მოითხოვს მეწამული ზღვისა და ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევას. გამოდის ეგვიპტე-ისრაელის სეპარატიული შეთანხმების წინააღმდეგ.

შედის არაბული სახელმწიფოების სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ფრონტში.

საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო ახალგაზრდა რესპუბლიკა. სსრ კავშირი მას მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას და ტექნიკურ შემწეობას უწევს. საბჭოთა კავშირის უშუალო მონაწილეობით აშენდა კაშხალები ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში, შეიქმნა და ვითარდება თევზის მრეწველობა, მზადდება ეროვნული ტექნიკური კადრები. საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშაობენ, სიამოვნებით უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას იემენელ მეგობრებს, ეხმარებიან მათ დაძლიონ იმპერიალისტთა ხანგრძლივი ბატონობის მემკვიდრეობა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში.

ინდოეთი

ინდოეთის რესპუბლიკა.
ფართობი — 3287,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 634 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი —დელი (4,9 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ჰინდი და (დროებით) ინგლისური.

ინდოსტანის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი ინდოეთს უკავია. მის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ანდამანის, ნიკობარის და ლაკადივის კუნძულები, რომლებიც ინდოეთის ოკეანეში მდებარეობენ.

ინდოეთის რელიეფი უზარმაზარ ამფითეატრს მიაგავს, რომელიც სამხრეთითაა გაშლილი. ჩრდილოეთი ნაწილი მსოფლიოში უმაღლესი მთის სისტემების — ჰიმალაისა და ყარაყორუმის განშტოებებს უკავია. ბევრი მთა 8000 მ აღწევს, მათ შორის სიმაღლით მეორე მწვერვალია დედამიწის ზურგზე ჩოგორი (8611 მ). მთები მუდმივი თოვლითა და მყინვარებითაა დაფარული. 4000—5000 მ სიმაღლეზე ალპური მდელოებია, ქვემოთ — ტყით დაფარული ფერდობები. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს უფრო დაბალი ინდო-ბირმის მთები. სამხრეთით, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ინდოსტანის ნახევარკუნძულს არშიასავით შემოვლებია დასავლეთი და აღმოსავლეთი გატები.

ინდოეთის ცენტრალური ნაწილი უჭირავს დეკანის ზეგანს. აქ გვალვიანი რაიონი ბევრია. ყველაზე ნოყიერია „შავი“ ნიადაგი, რომელიც ვულკანური წარმოშობის ქანების ნგრევის შედეგად წარმოიშვა. მაგრამ იმისათვის, რომ კარგი მოსავალი მიიღონ, საჭიროა ხელოვნური მორწყვა. დეკანის მდინარეები ძირითადად ნალექების ხარჯზე საზრდოობს. წლის მშრალ დროს ისინი საგრძნობლად იკლებს, წვიმების პერიოდში კი დიდდება, ნაპირებიდან გადმოდის, ყანებს ტბორავს და ნიადაგს რეცხავს. ამიტომ, გარდა მდინარეებისა, ირიგაციისათვის ფართოდ გამოიყენება საგანგებოდ ამოთხრილი წყალსატევები, სადაც გროვდება წვიმის წყალი, ასევე იყენებენ არტეზიულ ჭებსაც.

დაბლობები უმთავრესად მდებარეობს ინდოსტანის ნახევარკუნძულის მდინარეთა აუზებში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ინდ-განგის დაბლობი — ინდოეთის მთავარი ბეღელი. აქ ქვეყნის უდიდესი მდინარეების ინდისა და განგის გასწვრივ გადაჭიმულია ნაყოფიერი ლამიანი მიწის მასივები. მრავალრიცხოვანი სარწყავი არხებით მაცოცხლებელი წყალი მოედინება მინდვრებისაკენ. ინდური ხალხური ანდაზა ამბობს: „მზე მოსავლის მამაა, წყალი — დედა“.

ჰავა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტემპერატურა ზამთრობით 0° ქვემოთ მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ჩამოდის. დანარჩენ ტერიტორიაზე ჭარბობს ტროპიკული და სუბეკვატორული ჰავა. წელიწადის დროები — ინდოეთში წლის სულ ორი დროა — ტენის რაოდენობით განისაზღვრება და მუსონების ცვლასთანაა დაკავშირებული. მშრალ სეზონში (ნოემბერი—მაისი) კონტინენტიდან ოკეანისაკენ ქრის ქარები, რომელთაც ტენი არა აქვს. წვიმის სეზონში კი (ივნისი—ოქტომბერი) თბილი ზღვების მხრიდან ქრის მუსონი, რომელსაც უხვი ნალექი მოაქვს.

სითბოსა და ტენის სიუხვე საშუალებას იძლევა ტერიტორიის დიდ ნაწილზე წელიწადში ორი-სამი მოსავალი აიღონ, მაგრამ ნალექების განაწილება მეტისმეტად არათანაბარია: წლიური ჯამის 80%-ზე მეტი ივნის-ოქტომბერზე მოდის.

ინდოეთშია ყველაზე წვიმიანი ადგილი მსოფლიოში — ქალაქი ჩერაპუნჯი, შილონგის პლატო-



ასეთი მძიმე შრომით უნდა მოიპოვონ გლეხებმა წყალი დეკანის გვალვიან რაიონებში.



ზე, სადაც წლიურად 12000 მმ-მდე ნალექი მოდის, ე. ი. დაახლოებით იმდენი, რამდენიც მოსკოვში რამდენიმე წლის განმავლობაში. ყველაზე გვალვიანი ჰავა ჩრდილო-დასავლეთშია, განსაკუთრებით ტარის უდაბნოს რაიონში.

ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 1/5 ტყეებსა და ბუჩქნარებს უჭირავს. ბევრია ძვირფასი ჯიშის ხე (ტექტონა, სანდალის ხე, ჰიმალაის კედარი, წითელი ხე და აბანოზი). მეურნეობაში ფართოდ გამოიყენება ბამბუკი. ბევრ რაიონში გვხვდება ბანიანი (ფიკუსის გვარი). ერთი ასეთი ხის ვარჯი ქმნის ვეება დამრეც კარავს (300 მ-მდე სიგანისა), რომელსაც ურიცხვი საჰაერო ფესვები ამაგრებს, როგორც კი ასეთი ფესვები მიწამდე ჩამოეშვება, შიგ ჩაიზრდება და შტამბად იქცევა. ასეთი ბანიანის ქვეშ ისე შეიძლება ისეირნო, როგორც პარკში.

მრავალფეროვანია ინდოეთის ცხოველთა სამყარო. ჯუნგლებსა და სავანებში ბინადრობენ გარეული სპილოები, ვეფხვები, ლომები, მარტორქები, კამეჩები, ტახები, ანტილოპები, მაიმუნები. მდინარეებში ბევრია თევზი, სამხრეთში გეხვდება ნიანგები. დიდი რაოდენობითაა ნაირგვარი მწერები, ქვეწარმავლები, განსაკუთრებით გველები, მათ შორის შხამიანებიც. მთელ მსოფლიოში ცნობილია ინდოელი კობრას შემლოცველები (მწვრთნელები).

ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. დეკანის ზეგნის წიაღში აღმოჩენილია მსოფლიოში უდიდესი მაღალხარისხოვანი რკინის მადნის, ქვანახშირის და მარგანეცის საბადოები, რაც ხელს უწყობს მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. ფერადი ლითონების მადანთა შორის ბევრია ქრომიტები და ბოქსიტები. არის გრაფიტის, მაგნეზიტის, ქარსის საბადოები.

დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ინდოეთი ღარიბია ნავთობით. მისი მცირე საბადოები აღმოაჩინეს გასული საუკუნის ბოლოს მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში, მდინარე ბრამაპუტრას ხეობაში. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი ინდოეთის მთავრობამ საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით დაიწყო ფართო საძიებო სამუშაოები, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში (კამბეი, ანკლეშვარი) აღმოაჩინეს ნავთობის დიდი

ბომბეი — ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი და ნავსადგური.

ამრეწველო მარაგი. აღმოჩენილია ბუნებრივი გაის დიდი მარაგი.

ინდოეთი მრავალეროვანი სახელმწიფოა. ქვეანაში 14 დიდ ხალხს ითვლიან, რომლებიც ქვეყის მოსახლეობის 90% შეადგენენ. ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ ჰინდუსტაელები, პენჯაბელები, ქაშმირელები; აღმოსავლეით — ბენგალიელები, ბიჰარელები, ასამები, ორიბი; დასავლეთით — გუჯარათელები, რაჯასტჰანეები, მამატხები; სამხრეთით — თამილები, მალაილები, ტელუგუები.

თითოეული ამ ეროვნების ხალხი რიცხობრივად შეიძლება დიდი ქვეყნის მოსახლეობას შეედაოს. გარდა ამისა, ინდოეთში ბევრია მცირე როვნებანი და ტომები, რომლებიც 150-ზე მეტ ნაზე და დიალექტზე ლაპარაკობენ.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით ინდოეთი 1 შტატად იყოფა. 1974 წ. ინდოეთის შტატი გახა მისი ყოფილი პროტექტორატი სიკიმი.

ინდოეთის დედაქალაქი დელი — ქვეყნის პოიტიკური და კულტურული ცენტრია. აქ მდებაეობს პრეზიდენტის სასახლე, პარლამენტის შეობა, მთავრობის რეზიდენცია. დელიში არის ორი ნივერსიტეტი, რამდენიმე ინსტიტუტი, ლიტეატურის, სახვითი ხელოვნების, ცეკვის, დრამი- და მუსიკის ეროვნული აკადემიები.

დელის სამხრეთით მდებარეობს ქალაქი აგა — ქვეყნის ძველი დედაქალაქი. აქ ძალზე ბევ-



ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი აგრაში — შუა საუკუნეების ინდური არქიტექტურის მარგალიტი.

რი ძეგლია, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი, რომელიც სულთანმა შაჰჯეჰანმა ააგო ცოლის, მუმთაზ-ი-მაჰალის სამახსოვროდ (XVII ს.). შენობას, რომელიც საუკეთესო ხარისხის თეთრი მარმარილოთია ნაგები, პოემას



ინდოეთის დედაქალაქი დელი.

ქვაში უწოდებენ. დღისით მას სადაფისფერი ელფერი დაჰკრავს, ხოლო ღამით, მთვარის შუქზე — ღია ცისფერი. იგი ზღაპრულად ლამაზია, მსუბუქი და ჰაეროვანი.

ყველაზე დიდი ქალაქებია კალკუტა და ბომბეი — მნიშვნელოვანი სამრეწველო, სავაჭრო-საფინანსო ცენტრები და საზღვაო ნავსადგურები.

ინდოეთის ისტორიას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ინდ-განგის ვაკეზე აღმოცენდა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა. ძველთაძველ დროში აქ სახელმწიფოების ჩამოყალიბება დაიწყო. ამ სახელმწიფოებში დიდად განვითარდა მიწათმოქმედება, ქსოვილების წარმოება. ინდოელმა სწავლულებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მათ დასაბამი მისცეს ალგებრას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას, პირველებმა გამოიყენეს ციფრები, რომლებიც არაბების წყალობით გახდა ცნობილი ევროპაში და არაბული ციფრების სახელწოდება მიიღო.

მსოფლიოში ცნობილია ინდოეთის ლიტერატურის უძველესი ძეგლები — ეპიკური პოემები „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. ინდოელმა ხუროთმოძღვრებმა, მოქანდაკეებმა და მხატვრებმა ჯერ კიდევ იმ შორეულ წლებში სახელი გაუთქვეს ინდოეთს, როგორც საოცრებათა ქვეყანას.

ინდოეთის სიმდიდრე და დიდება ძველთაგანვე იზიდავდა უცხოელ დამპყრობლებს. ესპანელი მმართველები კოლუმბის ხომალდებს სწორედ იმ მიზნით აგზავნიდნენ, რომ „ინდოეთისაკენ მიმავალი გზა“ აღმოეჩინათ. ინდოეთის კოლონიური დაპყრობა დაიწყო 1498 წელს პორტუგალიელთა ექსპედიციებით, რომელსაც სათავეში ედგა ვასკო და გამა (იხ. სე ტ. 1, სტ. „დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქა“). კოლონიური ბატონობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც. XVIII საუკუნის ბოლოს ყველას ინგლისმა აჯობა. კოლონიზატორთა მრავალსაუკუნეობრივმა ბატონობამ ქვეყანა ეკონომიკურად დააკნინა. მოსახლეობა კი გაამათხოვრა და დააბეჩავა. 1853—1900 წწ. მარტო შიმშილით 28 მლნ. ინდოელი დაიღუპა.

ინგლისის კოლონიური ხელისუფლება თავისი ინტერესების სასარგებლოდ ინარჩუნებდა ჩამორჩენილ ფეოდალურ წესწყობილებას, საზოგადოების კასტებად დაყოფას. დაახლოებით მოსახლეობის მეათედი ნაწილი ყველაზე დაბალი კასტისაგან, ანუ „მიუკარებლებისაგან“ შედგებოდა. მათ ეკრძალებოდათ სხვა კასტების წარმომადგენლებთან ურთიერთობა, აძლევდნენ ყველაზე შავ სამუშაოს, თანაც წყალობის სახით.

ინდოელ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა თავისუფლებისათვის. 1885 წ. შეიქმნა პარტია — ინდოეთის ეროვნული კონგრესი, რომელიც სათავეში ედგა ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მათ ხელმძღვანელთა

შორის იყვნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა მ. განდი (1869—1948) და ჯ. ნერუ (1889—1964).

ინდოეთის ხალხების გამათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. 1925 წ. შეიქმნა ინდოეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ხალხის ინტერესებს გამოხატავს.

„ძალდაუტანებელ წინააღმდეგობასთან ერთად“ ე. ი. კოლონიური ადმინისტრაციისადმი მოქალაქეობრივ დაუმორჩილებლობასთან ერთად, საითკენაც ინდოეთის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელები მოუწოდებდნენ, ხალხი შეიარაღებულ ბრძოლასაც მიმართავდა. 1947 წ. ინდოეთმა გადაიგდო კოლონიური უღელი. ინდოეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ინდოეთი და პაკისტანი (იხ. სტ. „პაკისტანი“). 1950 წ. ინდოეთში მიიღეს კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა რესპუბლიკის შექმნა. სახელმწიფოს მეთაური — პრეზიდენტია; უზენაესი საკანონმდებლო ორგანო — ორპალატიანი (სახალხო პალატა და შტატების საბჭო) პარლამენტი.

დამოუკიდებელმა ინდოეთმა თავიდანვე აიღო კურსი, რომელიც პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ეკონომიკური თვითმყოფადობისაკენ იყო მიმართული. ამ ამოცანების გადაწყვეტა არც ისე ადვილი იყო. ეროვნულ ეკონომიკაში მძლავრი პოზიციები უცხოეთის კაპიტალს, ძირითადად ინგლისის კაპიტალს, ეჭირა. მსხვილი მემამულეები და ბურჟუაზია, განსაკუთრებით მისი მონოპოლისტური ზედაფენა, გამოდიოდა რადიკალური გარდაქმნების წინააღმდეგ, იბრძოდა დასავლეთის სახელმწიფოებთან კავშირისათვის.

ინდოეთის მთავრობამ, რომელსაც ჯავაჰარლალ ნერუ ედგა სათავეში, მოითხოვა შექმნილიყო სახელმწიფო სექტორი და დაენერგათ ეკონომიკაში გეგმიანობის საფუძვლები. როცა უცხოეთის მონოპოლიები წინ აღუდგნენ ინდოეთის ინდუსტრიალიზაციას, ახალგაზრდა სახელმწიფოს დახმარების ხელი გაუწოდა საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა. სსრ კავშირის დახმარებით ინდოეთში აიგო მეტალურგიული ქარხნები ბჰილაისა და ბოკაროში (გაფართოების შემდეგ აწარმოებენ შესაბამისად 7 და 10 მლნ. ტ ფოლადს წელიწადში), მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა ჩანდიგარჰი — ფანჯაბის თუ ჰარიანის შტატში, მოვლენები კაშკანსებს. სასამართლოს დარბაზებში ახლა სამი მოსამართლე მუშაობს: ორი — შტატისაგან და ერთი — ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი.

ბევრნი, მაგალითად, ამბობენ, რომ ჯერჯერობით ინდოეთს შეეძლო ეყოლა მარტივ ქალაქს დასჯერებოდა, არ გაეყვანა გზატკეცილების უფართოესი ზოლები, არ გაეშენებინა დასვენების ზონები უშენ ადგილებზე, ერთი სიტყვით, იმ გაქანების გარეშე, რასაც ითვალისწინებდა თავის ქალაქში ლე კორბუზიე. მაგრამ აქ დროული იქნება გავიხსენოთ ინდოეთის დიდი შვილის ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვები, რომელიც ჩანდიგარჰში წარმოთქვა: „ეს ახალი ქალაქი თავისუფალი ინდოეთის სიმბოლოა, რომელიც წარსულის ტრადიციებით არ არის შებოჭილი... იგი გამოხატავს ერის რწმენას თავისი მომავლისადმი“.

ქალაქი—ადამიანი

ცნობილ ფრანგ არქიტექტორს, ლე კორბუზიეს ადამიანზე ფიქრმა გადააწყვეტინა, აეშენებინა ქალაქი. მას მხოლოდ ის ჩვეულებრივი აზრი კი არ ამოძრავებდა, რომ ქალაქი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანთა მრავალგვარ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნას, არამედ ის პარადოქსული აზრიც, რომ ქალაქი შეიძლება ადამიანს ჰგავდეს.

ადამიანის ორგანიზმის სიმეტრია და მისი გასაოცარი ფუნქცირება შთააგონებდა კორბუზიეს შეექმნა ასეთი ქალაქი, და, აი, ასალი ქალაქი ასე აშენდა: ადმინისტრაციულ შენობათა კომპლექსი, კაპიტოლიუმი, უნივერსიტეტი და მუზეუმი — თავი და ტვინია, სავაჭრო ცენტრი — გული, სამრეწველო ზონა — სელი, მდინარის სეობა — ფილტვები.

ქალაქი ჩანდიგარჰი, რომელიც ინდოეთის ჩრდილოეთითაა აშენებული, 20 წელზე ცოტა მეტი ხნისაა—ქალაქის პირობაზე ეს ასაკი სათქმელადაც არა ღირს. ჩანდიგარჰის აგება ინდოეთისათვის იმ მძიმე პერიოდში იყო ჩაფიქრებული და მშენებლობაც მაშინ დაიწყო, როცა ქვეყანას თავისუფლება სულ ახალმოპოვებული ჰქონდა, როცა პირველ ნაბიჯებს ადგამდა იგი დამოუკიდებელი ცხოვრების ძნელ გზაზე. ჩანდიგარჰს, ისე როგორც მასზე გაცილებით უფროს ძმებს — ინდოეთის ქალაქებს, სხვადასხვაგვარი დღეები უნახავს. მისი აწმყო აქამდე გაურკვეველია. ასე მაგალითად, ახლა ამ ქალაქზე პრეტენზიას აცხადებს ორი შტატი—ფანჯაბი (ქალაქის მოსახლეობა ძირითადად ფანჯაბურად ლაპარაკობს) და ჰარიანის ახალი შტატი. ქალაქი მდებარეობს ტერიტორიაზე, სადაც ძირითადი ენა პინდია—(შტატის ოფიციალური ენა). შტატებს შორის საზღვარი ქალაქს მიაღგა და საით გაგრძელდება იგი მომავალში, რომელ შტატში მოექცევა

ნა რანჩიში და სხვა მსხვილი სამრეწველო საწარმოები.

დიდ წარმატებებს მიაღწია ინდოეთმა მძიმე ინდუსტრიის განვითარების დარგში. საკუთარი რკინის მადნისა და ქვანახშირის ბაზაზე ფაქტიურად ქვეყანაში ხელახლა შეიქმნა შავი მეტალურგია.

სწრაფი ტემპით ვითარდება ლითონდამუშავება და მანქანათმშენებლობა. კოლონიურ ინდოეთში იყო საქსოვი დაზგების მშენებელი, აგრეთვე, ზოგიერთი მანქანისა და მექანიზმის საამწყობო და სარემონტო რამდენიმე საწარმო. ახლა უშვებენ მოწყობილობას მეტალურგიული მრეწველობისათვის. ჩარხებს, ელექტრომოწყობილობას, დიზელებს, ელმავლებს და თბომავლებს, ვაგონებს, გემებს, ავტომობილებს, სამედიცინო ხელსაწყოებს. აიგო დიდი ელექტროსადგურები, მათ შორის ჰიდროკვანძი ბჰაკრა-ნანგალი მდინარე სატლეჯზე. თბოელექტროსადგური ნეიველში აიგო სსრ კავშირის დახმარებით, მაგრამ ელექტროენერგია ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ტრომბეიში (ბომბეის მახლობლად) და კოტაში (ჩრდილო-დასავლეთ რაჯასტჰანი) დაიწყო ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა.

დამოუკიდებლობის წლებში სამრეწველო წარმოება სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი როდია. ინდოეთს ჯერ კიდევ არ შეუძლია იარსებოს უცხოეთის სესხებისა და კრედიტების გარეშე, არ შეიძინოს საზღვარგარეთ მრავალი სახის სამრეწველო პროდუქცია და ნედლეული.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სოფლად. სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის საფუძველია. სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 70%-მდეა დასაქმებული. აგრარულმა რეფორმებმა, რომლებიც დამოუკიდებლობის წლებში დაიწყო, შეზღუდა მსხვილი მიწათმფლობელების ძალმომრეობა, ბოლო მოეღო შუამავლებისა და მევახშეების მიერ ხალხის ყვლეფას. მიწების ნაწილი მემამულეებისაგან შეისყიდეს და სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, ხოლო გლეხებმა უფლება მიიღეს სახელმწიფოსაგან ეყიდათ ეს მიწები. გარკვეულად განვითარდა კოოპერაცია, განსაკუთრებით მომარაგება-გასაღებისა.

აგრარულმა გარდაქმნებმა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას, განსაკუთრებით მის წამყვან დარგს — მიწათმოქმედებას. 1974 წ. 1950 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა მარცვლეულის მოყვანა, უმთავრესად ბრინჯისა და ხორბლისა. ამან კი საშუალება მისცა შეეწყვიტათ მარცვლეულის სისტემატური შესყიდვა, რაც აიძულებდა ინდოეთს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ყოფილიყო დამოკიდებული. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყანას არ ყოფნიდა ბამბა და ჯუთი, ახლა კი მათზე მოთხოვნას ადგილობრივი წარმოება აკმაყოფილებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის წარმოებას. ჩაი ჩოჰყავთ უხსოვარი დროიდან მთისწინეთში, განსაკუთრებით ასამის შტატში. ჩაის კრეფითა და ექსპორტით ინდოეთს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

მეცხოველეობა მეორეხარისხოვან როლს თამაშობს სოფლის მეურნეობაში. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, განსაკუთრებით კამეჩები და ხარები, ძირითადად გამოიყენება როგორც გამწევი ძალა გლეხურ მეურნეობაში. ქალაქის ქუჩებში ხშირად ნახავთ ძროხებს, რომლებიც მანქანების ნაკადის საპირისპიროდ მიაბოტებენ (ინდუისმის რწმენით ძროხა წმინდათაწმინდა ცხოველად ითვლება).

ინდოეთის სოფელში ჯერ კიდევ ბევრია გადაუწყვეტელი პრობლემა. აქამდე გლეხობის 40%-ს მცირე რაოდენობით, ანდა სულ არ გააჩნია ნიწა. გლეხობის უმეტესობას არ ძალუძს შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ხარისხიანი თესლი, სასუქები. დიდ გავლენას ინარჩუნებენ ნემამულეები და სოფლის მდიდრები.

კოლონიალიზმის დროს ინდოეთი წერა-კითხვის სრული უცოდინარობის ქვეყანა იყო. ინდოელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა უმაღლესი განათლების მიღებას და ისიც უმთავრესად საზღვარგარეთ. დამოუკიდებლობის წლებში აშენდა ათასობით სკოლა და ათობით უმაღლესი სასწავლებელი.

საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა ბომბეის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და სხვა სასწავლო და სამეცნიერო ცენტრები, მათ შორის რუსული კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ინდოელები რუსულ ენას სწავლობენ. ათასობით ინდოელმა სპეციალისტმა განათლება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო.

ახალი ცხოვრების მშენებლობა ინდოეთში საშინაო და საგარეო რეაქციის გააფთრებულ წინა-



ბჰილაის მეტალურგიული კომბინატის — ინდოეთის მძიმე ინდუსტრიის პირმშოს მარტენის საამქროში, რომელიც სსრ კავშირის დახმარებით აშენდა.



ბომბეის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც ააშენა და მოაწყო საბჭოთა კავშირმა.

აღმდეგობას იწვევს. განსაკუთრებით მკვეთრად დაისვა საკითხი ქვეყნის შემდგომი განვითარების გზების შესახებ ჯავაჰარლალ ნერუს გარდაცვალების შემდეგ. ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველ პარტიაში გაჩნდა მემარჯვენე ლიდერების ჯგუფი, რომელიც შემდგომ ჩამოსცილდა პარტიას და დაუფარავად გამოვიდა მთავრობის მიერ გატარებულ რადიკალურ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების წინააღმდეგ, მსხვილი ბანკების ნაციონალიზაციის, აგრარულ რეფორმის წინააღმდეგ, სიღარიბესა და უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის ძირითად ბირთვს მხარი დაუჭირეს კომუნისტურმა პარტიამ და სხვა პროგრესულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მომხრეებად გამოდიან. დემოკრატიული ძალებისა და სოციალური პროგრესის ესოდენ დიდი გამარჯვება განმტკიცდა 1974 წ. შტატების საკანონმდებლო კრებების არჩევნების დროს. კერალის შტატში (ინდოეთის სამხრეთი) შეიქმნა მთავრობა, რომელსაც ინდოეთის კომუნისტური პარტია უდგას სათავეში.

1977 წლის იანვარში ინდოეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ძალაში შევიდა კანონი კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ. ამ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ ინდოელ ხალხს გადაწყვეტილი აქვს იაროს „სუვერენული, სოციალისტური, საერო, დემოკრატიული რესპუბლიკის“ მშენებლობის გზით.

მაგრამ 1977 წ. ჩატარებული არჩევნების შედეგად ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა პირველად დამოუკიდებელი ინდოეთის არსებობის ისტორიაში დაკარგა ხელისუფლება, რომელიც გადავიდა ჯანატა პარტიის ხელში, მაგრამ 1979 წ. კვლავ ჩატარდა არჩევნები (ამ დროისათვის ეროვ-

ნულ კონგრესში განხეთქილება დაძლეულ იქნა) და ინდოეთის ეროვნული კონგრესი კვლავ ჩაუდგა მთავრობას სათავეში (1980 წლის იანვრიდან).

ინდოეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველია მიუმხრობლობა. ინდოეთი გადაჭრით უარყოფს აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობას, გამოდის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მომხრედ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობისა. დამსახურებული აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში ინდოელი ხალხის წვლილმა კოლონიალიზმის და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინდოეთმა დახმარება გაუწია ბანგლადეშის ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებთ ერთმანეთთან ინდოეთსა და სსრ კავშირს. ხანგრძლივი მეგობრული კავშირის წარმატებით განვითარების ბუნებრივ შედეგსა და შემდგომი მისი განმტკიცების საწინდარს წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1971 წელს იქნა ხელმოწერილი. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაცია (1973 წ. ნოემბერი) ხელს უწყობს აზიასა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ინდონეზია

ინდონეზიის რესპუბლიკა.
ფართობი — 1904,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 141,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ჯაკარტა (6,5 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ინდონეზიური.

„სამი ათასი კუნძულის ქვეყანას“ (სინამდვილეში ცამეტი ათას ხუთასი კუნძულია), რომლებიც გადაჭიმულია ეკვატორის ორივე მხარეს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 5 ათას კილომეტრზე და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 1,5 ათას კილომეტრზე, ინდონეზიას უწოდებენ. კუნძულთა ეს ვეება სამყარო თითქოს ბუნებრივ ხიდს ქმნის, რომელიც კონტინენტურ აზიასა და ავსტრალიას ერთმანეთთან აკავშირებს. ინდონეზიის კუნძულების ზუსტი დათვლა ძნელია, რადგან მათი რიცხვი მუდმივი როდია. ეს დამოკიდებულია ვულკანების მოქმედებაზე, აქ 400-მდე ვულკანია, მათ შორის ბევრია მოქმედი. ვულკანების ამოფრქვევის შედეგად ზოგიერთი პატარა კუნძული იძირება წყალში, ზოგიერთი კი ამოდის წყლის ზედაპირზე.

ინდოეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველია წელიწადის დროების მკაფიო ცვლა და ამიტომაც ტემპერატურის სეზონური მერყეობაც მეტად უმნიშვნელოა. ტროპიკული მზე უხვად აორთქლებს გარშემორტყმულ ზღვებისა და შიგა წყალსატევების წყალს. ჰაერი ძალზე ტენიანია. ქვეყანაში სეზონური ნალექები ორჯერ აღწევს მაქსიმალურ დონეს, აპრილსა და ნოემბერში, რაც მუსონების ცვლის პერიოდებს შეესაბამება. კუნძულების უმეტეს ნაწილზე ნალექების რაოდენობა, ძირითადად ტროპიკული თავსხმების სახით, 2000 მმ აღემატება წელიწადში, ხოლო მთის რაიონებში — 3000 მმ-საც კი. გვხვდება შედარებით გვალვიანი რაიონებიც, მაგალითად, კუნძულ სულავესზე, სადაც ხშირად სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები ქრის.

ინდონეზიის მცენარეთა სამყარო განსაკუთრებით მდიდარია. აქ მარტო ყვავილოვან მცენარეთა 24 ათასზე მეტი სახეობაა. არქიპელაგის მნიშვნელოვანი ნაწილი მარადმწვანე ჯუნგლებითაა დაფარული. კალიმანტანისა და სხვა კუნძულების უღრან ტყეებში ხარობს გიგანტური ხეები, რომელთა შტამბი 80 მ სიმაღლეს აღწევს, დიამეტრი კი 2 მ-ს აღემატება, მათი განტოტვილი ვარჯები მკვრივ სახურავს ქმნის და დღისითაც კი ხეების ქვეშ ისე ბნელა, რომ ხასხასა მწვანე ფოთლები შავი გეგონებათ.

მდიდარი და მრავალფეროვანია ქვეყნის ფაუნა. მხოლოდ კუნძულ სუმატრაზე ძუძუმწოვართა 170 სახეობის წარმომადგენელი ბინადრობს, ფრინველებისა დაახლოებით — 430, ქვეწარმავლებისა — 200, წყალხმელეთას 60 სახეობაა. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ევროპაში, რომლის ფართობი სუმატრას 22-ჯერ აღემატება, ძუძუმწოვარა ცხოველების მხოლოდ 160 სახეობაა, 300 — ფრინველისა, 95 — ქვეწარმავლისა და 43 სახეობა წყალხმელეთას ცხოველებისა.

ინდონეზიის ფაუნის ყველაზე მეტად ცნობილი წარმომადგენელია ორანგუტანგი (მალაურად — „ტყის კაცი“). ეს ადამიანის მსგავსი მაიმუნების



ძალიან დიდტანა წარმომადგენელი უმეტესად სუმატრის სამხრეთში და კალიმანტანის ჭაობიან ტყეებში ბინადრობს. მაიმუნები პატარ-პატარა ოჯახებად ცხოვრობენ. ყოველ ღამით ორანგუტანგები მაღალ ხეებზე ფოთლებისა და ტოტებისაგან იკეთებენ ახალ ბუდეებს. იკვებებიან ნაყოფითა და მცენარეთა ყლორტებით. არის შემთხვევები, რომ დიდმა ორანგუტანგმა ორთაბრძოლაში აჯობა დიდ ნიანგსა და პითონს.

„კუნძულ კომოდოს დრაკონი“ დედამიწაზე ყველაზე დიდი ხვლიკია. მისი სიგრძე 3 მეტრზე მეტია. იგი ძალზე მოქნილი მტაცებელია. მისი მსხვერპლი ხდება ირმის ბიჭინა, გარეული ღორები და მაიმუნები. ირიან ჯაის პროვინციაში (ინდონეზიის ნაწილი ახალ გვინეაში) შეიძლება შეგხვდეს ისეთი „ცოცხალი ნამარხი“, როგორიც არის პროიქედნე. აქვე ბინადრობს 30-მდე სხვადასხვა ჯიშის ჩანთოსანი ცხოველი. ინდონეზიის კუნძულები ფრინველთა ჭეშმარიტი სამეფოა. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა უზარმაზარი ფრინველი — მარტორქა, არგუსი — ფარშავანგის თანამოძმე, უჩვეულოდ ხასხასა, ფერადბუმბულიანი სამოთხის ჩიტები (იხ. სე ტ. 4. სტ. „ტროპიკული ტყეების ცხოველთა სამყარო“).

თუმცა ინდონეზიელები (მოსახლეობის 96%) ახლო დგანან ერთმანეთთან ენით, კულტურითა და წეს-ჩვეულებებით, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ ერთ ერად არ ქცეულან. მათ შორის ისეთი მრავალრიცხოვანი ხალხებია, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ინდონეზიის ჩამოყალიბებაში; ესენი არიან იაველები (50 მლნ. მეტი), სუნდანელები (15 მლნ.), მინანგკაბაუ (5 მლნ.) და შიგა რაიონების მრავალი სხვა მცირე ეროვნება, რომლებმაც ყოფა-ცხოვრებასა და საზოგადოებრივ წყობაში შემოინახეს პირველყოფილი თემური წყობილების საკმაოდ ბევრი ელემენტი. სხვადასხვა კუნძულის მცხოვრებლები ერთმანეთისაგან გარეგნობით შესამჩნევად განსხვავდებიან.

ქვეყნის მრავალრიცხოვან ერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩინელ იმიგრანტებს, რომლებიც არცთუ ისე ბევრნი არიან (4 მლნ.-ზე მეტი), მაგრამ ისინი დიდ როლს ასრულებდნენ და კვლავაც ასრულებენ ინდონეზიის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჩინელი ბურჟუაზია, რომელიც ინდონეზიაში ცხოვრობს, პრაქტიკულად კონტროლს უწევს ქვეყნის საშინაო ვაჭრობას, მათვე ეკუთვნით საშუალო სამრეწველო საწარმოების უმეტესობა, მაღაზიები, რესტორნები და კინოთეატრები.

ინდონეზიის ტერიტორია თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ცენტრია. აქ აღმოჩენილია პითეკანთროპის, იავანთროპისა და ვადიაკის ადამიანის ჩონჩხები.

ინდონეზიის კუნძულებზე პირველი სახელმწიფოები ჯერ კიდევ II საუკუნეში ჩამოყალიბდა. შუა საუკუნეების ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები იყო შრივიჯაიას, მატარამის, მაჯაპახიტის ფეოდალური იმპერიები.

შრივიჯაიის იმპერიის ეპოქას განეკუთვნება კუნძულ იავაზე აგებული დიდებული ბუდისტური ტაძარი ბორობუდური, რომელიც მოწმობს ინდონეზიელთა მატერიალური და სულიერი კულ-



ინდონეზიის რესპუბლიკის დედაქალაქი ჯაკარტა.

ტურის მაღალ დონეს იმ შორეულ წარსულში. ბორობუდური აღმართულია იავის ცენტრში ქალაქ ჯოკიაკარტიდან ორმოც კილომეტრზე, დამრეც გორაკზე. მისი ფუძე 123 მეტრიანი გვერდის მქონე წესიერი კვადრატია, სიმაღლე 31,5 მეტრია.

ბორობუდური 10 ტერასისაგან შედგება, რომელთა დიდი ნაწილი ბარელიეფებითაა დამშვენებული. ბარელიეფების საერთო სიგრძე თითქმის 2 კმ-ია, თითოეულის სიმაღლე — 3 მ. ბორობუდურის ბარელიეფები 6 ათასი კვ. მ. ქვაში გამოკვეთილი ქანდაკებებია, რომლებიც მოგვითხრობს ინდონეზიელთა ცხოვრებასა და ყოფაზე, მათ სოციალურ წყობასა და სხვადასხვა ამბებზე. ბორობუდურის ბარელიეფების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ცხოვრება — მეომრები მწყობრად მიდიან საბრძოლველად, დიდი იალქნიანი გემები სერავენ ოკეანეებს, გლეხები ხნავენ.

სამნახევარი საუკუნის მანძილზე ინდონეზია ნიდერლანდების კოლონია იყო. ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა ისარგებლეს ფეოდალი მმართველების შინაომით, სამხედრო ტექნიკის უპირატესობით და მთელი ინდონეზია დაიპყრეს, რომელიც მეტროპოლიის ტერიტორიას 57-ჯერ აღემატებოდა. ხალხს სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ, ხოლო ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს ძარცვავდნენ. მაგრამ ინდონეზიელთა დამონება არც ისე ადვილი იყო. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ანტიკოლონიური ბრძოლა, რომელიც ანტიფეოდალურ აჯანყებებში გადაიზრდებოდა ხოლმე.

XX საუკუნის დასაწყისიდან ინდონეზიელთა ანტიკოლონიურმა ბრძოლამ ორგანიზებული მასობრივი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დაარსების (1920) შემდეგ.

ინდონეზიელი ხალხის გამარჯვებისათვის ხელსაყრელი პირობები მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის შეიქმნა, როცა საბჭოთა არმიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰიტლერელთა ურდოებისა და იაპონიის მილიტარიზმის დამარცხებაში და საერთაშორისო რეაქციას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. ინდონეზიელმა ხალხმა 1945 წლის 17 აგვისტოს აზიის ხალხებს შორის ერთერთმა პირველმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ინდონეზია აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის $^3/_4$-ზე მეტი სოფლად ცხოვრობს. ინდონეზიელ ხალხს კოლონიზატორი ბატონებისაგან მძიმე მემკვიდრეობა ერგო. სასოფლო-სამეურნეო მიწები ძირითადად კაუჩუკოსნების, ქოქოსისა და ზეთისხილის პალმების, ჭინაჭინის ხის და პილპილის პლანტაციებს ეკავა. ინდონეზიას მოჰყავდა მისთვის საჭირო სასურსათო კულტურების ნახევარზე ნაკლები. ქვეყანა ბრინჯის იმპორტზე იყო დამოკიდებული. თითქმის მთელი მიწები მემამულეებსა და კულაკებს ეკუთვნოდა. გლეხობის 65%-ს მიწა სრულიად არ ჰქონდა. მემამულეები გლეხებს კაბალურ პირობებში აძლევდნენ დასამუშავებელ მიწებს. იჯარის გადასახადზე მოდიოდა მოსავლის $^3/_4$-ზე მეტი. კოლონიურმა ბატონობამ ერთ წერტილზე გაყინა ქვეყნის ბევრი რაიონი, მდიდარი ბუნებრივი რესურსებიც კი არათანაბრად იყო გამოყენებული. უცხოეთის მონოპოლიები სამთო-

მოპოვებითი მრეწველობის მხოლოდ იმ დარგს ავითარებდნენ, რომლის პროდუქციას დიდი გასავალი ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე.

კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლებამ დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა მისცა ინდონეზიას, შექმნა წინაპირობა ეროვნული ინტერესების შესაბამისად გარდაექმნა თავისი მეურნეობა და უფრო თანაბრად გაენაწილებინა სამრეწველო ძალები იავასა და სხვა კუნძულებზე. მაგრამ იავა კვლავ რჩება ქვეყნის მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონად და სამრეწველო ცენტრად. ყველაზე დიდი ქალაქები (ჯაკარტა, სურაბაია და ბანდუნგი) მდებარეობენ ამ კუნძულზე, რომლის წილად მოდის ტერიტორიის 7% და ინდონეზიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. აქ თავმოყრილია დასამუშავებელი მიწების ნახევარი და ქვეყნის სამრეწველო ნაწარმის 70%.

დამუშავებითი მრეწველობა წარმოდგენილია კვების, საფეიქრო, სამშენებლო და ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოებით. საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება გაუწია დამოუკიდებელ ინდონეზიას ეკონომიკის განვითარებაში, კერძოდ, ეხმარებოდა ეროვნული მეტალურგიის პირმშოს — ჩილეგონის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში კუნძულ იავაზე, სუპერფოსფატის ქარხნის მშენებლობაში ჩილაჩაპში, გზატკეცილების გაყვანაში, ინდონეზიის კუნძულების გეოლოგიურ შესწავლაში. საბჭოთა კავშირის ხალხთა დახმარებას, ინდონეზიის ხელმძღვანელთა შეფასებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სამრეწველო განვითარებისათვის.

ინდონეზიელმა ხალხმა, რომელიც ეყრდნობა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერას, შეძლო მნიშვნელოვნად შეეზღუდა უცხოური კაპიტალი, შეერყია უცხოელთა მონოპოლიების პოზიციისა და მათი აგენტურის სიმტკიცე ქვეყნის შიგნით.

პროფკავშირების ინიციატივით 1957—1964 წწ. მოახდინეს სამრეწველო და სამთომოპოვებითი საწარმოების უმეტესი ნაწილის, აგრეთვე მონოპოლიების კუთვნილი პლანტაციების ნაციონალიზაცია. მიიღეს აგრარული კანონები, რომლებიც ითვალისწინებდა მემამულეებისათვის ზედმეტი მიწების ჩამორთმევას და შესყიდვის გზით მცირემიწიანი გლეხებისათვის გადანაწილებას, დადგინდა საიჯარო გადასახადის ზღვარი.

იავის სოფელში

ინდონეზიელებს აქვთ ანდაზა: „ინდონეზიაში ათასი კუნძულია, მაკრამ იავა ერთადერთია“. კუნძულები მართლაც აურაცხელი რაოდენობითაა. დიდი, პატარა, დასახლებული, სრულიად უკაცრიელი. მაგრამ ათასობით კუნძულზე ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები, სულ იავაზე (ქვეყნის ტერიტორიის 7%) — ყველა დანარჩენი.

განსაკვირი არ არის, რომ იავა ჩვენს პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე დასახლებული ადგილია: ერთ კვადრატულ კილომეტრზე აქ 500-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. ამიტომაც იავაზე არ არის სოფელი, რომლიდანაც სხვა სოფელი არ ჩანდეს, ზოგჯერ ორი-სამიც კი მოჩანს. იავაზე ყველა სოფელი ერომანეთს ჰგავს, იქნებ იმიტომაც, რომ მიწა არ ჰყოფნით. მთათა კალთები ტერასებადაა დაკვალული. მათზე ტყეები კარგა ხანია გაჩეხეს და გადაწვეს. ტერასებზე მოპყავთ ყავა, სარობს ქინაქინის ხე, ხოლო წყლით დაფარულ ვაკეზე ბრინჯი ისრუტება. მთელი დღეობით მუსლამდე წყალში დააბოტებენ გლეხები, თავზე კონუსისებური ქუდი ასურავთ ქვედატანი — სარონგები (იავაზე სარონგებს მამაკაცებიც ატარებენ და ქალებიც) მაღლა აქვთ აკეცილი. კამეჩებზე მოკალათებული შიშველი ბიჭები ყანებში ჩამდგარ წყალში თევზაობენ.

თვით სოფელში ქოხები ერთმანეთთან ისე მიჯრილან, რომ არც ერთი მტკაველი მიწა უქმად არ არის. ქოხების კედლები ბამბუკისაგანაა მოწნული, სულ სასურავი ვრძელი და ფართო ხეშეში ბალასის ალანგ-ალანგის კონებითაა გადახურული ქოხში არც მაგიდაა და არც სკამები: აქ სოსანეზე ჭილოფი აფენია, ზედ სხედან და შეექცევიან საჭმელს. ამ ჭილოფზევე იძინებენ, სათუმლად ბალიშის ნაცვლად ხის მორს სმარობენ.

ასეთივე სოფლებია მთელ კუნძულზე: ყანებით შემორკალულ ციცქნა მოედანზე, სადაც სათემო სახლი, მეჩეთი და სოფლის დუქანი დგას, მოხუცები სხედან და სოფლის საქმეებს არჩევენ. ზოგჯერ სკოლა დიდ ქოხშია, სშირად კი ღია ცის ქვეშ, დიდი სის ჩრდილშია მოთავსებული. ბავშვები მიწაზე სხედან, სულ მასწავლებელი სეზე მიჭედებულ დაფასთან დგას: დაფაზე გამოჰყავთ ასოები და ციფრები. გეოგრაფიის გაკვეთილზე მასწავლებელი იღებს წვერწამახულ ჯოხს და მოწითალო მიწაზე ხაზავს ინდონეზიის რუკას, სადაც ათასობით კუნძულია, მაგრამ იავა ერთადერთია.

60-იანი წლების შუა ხანებში ქვეყანაში მკვეთრად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი. ყველა ექსპლოატატორული ელემენტი, მაღალი ჩინის ოფიცრები და მოხელეები წინ აღუდგნენ ანტიიმპერიალისტური რევოლუციის შემდგომ განვითარებას, რომელიც გარდუვალად გადაიზრდებოდა კაპიტალიზმის და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. კაპიტალისტ-ბიუროკრატები (ინდონეზიაში მათ „კაბირებს“ უწოდებდნენ) იპარავდნენ სახელმწიფო ქონებას, საბოტაჟს უწევდნენ ქვეყანაში პროგრესული კანონების გატარებას. მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად ინდონეზიის ეკონომიკა კატასტროფის ზღვრამდე მივიდა. ქვეყანაში 10 მლნ.-ზე მეტი უმუშევარი იყო.

მდგომარეობა იმან გაართულა, რომ ინდონეზიის კომუნისტებმა და ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა დაუშვეს შეცდომა ტაქტიკის არჩევაში და შეასუსტეს კავშირი ხალხის მასებთან. ამით ისარგებლეს რეაქციულმა ძალებმა და 1965 წლის 1 ოქტომბერს ღამით სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს და სისხლიანი ტერორის გზით გაანადგურეს მემარცხენე პარტიები და ორგანიზაციები.

1965 წ. გადატრიალების შემდეგ ინდონეზიაში პრაქტიკულად გაუქმდა სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში. სამრეწველო და სამთომოპოვებითი საწარმოების დიდი ნაწილი, ასევე პლანტაციები კერძო მფლობელებს დაუბრუნდა. ინდონეზიაში მოზღვავდა ამერიკული, იაპონური, დასავლეთგერმანული კაპიტალი. ამას კი ის მოჰყვება, რომ ინდონეზიის ეკონომიკა და პოლიტიკა უფრო მეტად გახდება დამოკიდებული იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე.

როგორც ბოლო წლების პრაქტიკამ დაგვანახა, კაპიტალიზმის გზით ინდონეზიის განვითარებას თან სდევს სოციალური და ეკონომიკური წინააღმდეგობების გამწვავება. იზრდება უმუშევრობა. თვით ბურჟუაზიული მკვლევარების შეფასებით უმუშევარია მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ღრმავდება აგრარული კრიზისი. უკმაყოფილებამ, რომელიც უცხოელთა ძალმომრეობითაა გამოწვეული, თვით ეროვნულ ბურჟუაზიას შორისაც იჩინა თავი.

უმაღლესი ორგანო სახელმწიფოში არის სახალხო-საკონსულტაციო კონგრესი, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს (სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი). საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს. ინდონეზიაში ლეგალურად მოქმედებენ შემდეგი პარტიები: გოლკარი (ე. წ. ფუნქციონალური ჯგუფები), ერთიანობისა და განვითარების პარტია, ინდონეზიის დემოკრატიული პარტია, კომუნისტური პარტია (დაარსდა 1920 წ.). აკრძალულია 1965 წლიდან.

იორდანია

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო.
ფართობი — 95,4 ათასი კმ² (1967 წ. ივნისიდან ისრაელის მიერ ოკუპირებულია 6,6 ათასი კვ. კმ.).
მოსახლეობა — 2,9 მლნ. კაცი (ოკუპირებული ტერიტორიის გარეშე).
დედაქალაქი — ამანი (დაახლოებით 850 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

იორდანია (1950 წლამდე — ტრანსიორდანია) წინა აზიის ერთ-ერთი ქვეყანაა. ამ სახელმწიფოს თითქმის მთელი საზღვარი სახმელეთოა, მხოლოდ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით სანაპიროს მცირე ზოლი მეწამული ზღვის აქაბის ყურეს ეკვრის.

ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვიშიან ანდა ქვიან უდაბნოს უკავია. იორდანიის ჰავა სუბტროპიკული, კონტინენტურია, დასავლეთ ნაწილში — ხმელთაშუაზღვის ტიპისაა. ოქტომბრიდან მაისამდე წვიმების სეზონია, რასაც ცვლის მშრალი, ცხელი ზაფხული.

ქვეყნის უმეტესი ნაწილის მცენარეულობა უდაბნოსი და ნახევრად უდაბნოსია. ჭარბობს ბალახი და ჯუჯა ბუჩქნარი. ბალახს, წვიმიან სეზონში რომ წამობიბინდება ხოლმე, მალე თაკარა მზე ახმობს.

ჩრდილოეთ ნაწილში ქვეყანას კვეთს დაკლაკნილი და ჭრომიანი მდინარე იორდანე, რომელიც მკვდარ ზღვას უერთდება. წვიმების პერიოდში უდაბნოში წარმოიქმნება ნაკადები, რომელთაც სარწყავად იყენებენ. თვით ყველაზე პატარა ნაკადული გვალვით გამომშრალი იორდანიის მიწისათვის სიცოცხლის წყაროა. იქ, სადაც წყალია,


იორდანია
ს ი რ ი ა
ერბილი
ამანი
ზარკა
ირბიდი
ჯერაში
ქალკილია
ნაბლუსი
ტულქარმი
ჯენინი
ბეთლემი
იერიხონი
ქალკილია
ნაბლუსი
ტულქარმი
ჯენინი
ბეთლემი
იერიხონი
ხებრონი
ბეერშება
ნეგევის უდაბნო
ნეგევის უდაბნო
ნეგევის უდაბნო

კავით ხნავს, ყანას თოხით თოხნის და ნამგლით მკის. მარცვლის გასალეწად შემაღლებულ ადგილას გამართავენ კალოს: აქლემი ან წყვილი სახედარი წრიულად დაათრევს მძიმე კევრს. მერე გალეწილ მარცვალს ქარში ანიავებენ და ხელსაფქვავით ფქვავენ.

გლეხები (ფელაჰები) თიხატკეპნილ ქოხებში ან ქვიტკირის სახლებში ცხოვრობენ. სახლის წინ ყორეშემოვლებული ეზოებია. აქ ღამით საქონელს ამწყვდევენ.

იორდანიის აღმოსავლეთი ნაწილი ქვიშის თვალუწვდენელ ზღვას წარმოადგენს. უდაბნოს პლატოებზე იშვიათად შეხვდებით მომთაბარე-მესაქონლეების (ბედუინების) კარვებს. მესაქონლეები თავიანთი ნახირიანად ოაზისებიდან ოაზისებში გადადიან და საქონლისათვის საკვებს დაეძებენ. იორდანიის სამხრეთი უპირატესად ნახევრად მომთაბარე ტომებითაა დასახლებული. ტომები შემოდგომობით მიწას დახნავენ, დათესავენ, შემდეგ ნათესის დასაცავად ორ-სამ ოჯახს დატოვებენ და გამოსაზამთრებლად საძოვრებისაკენ მიეშურებიან. ზამთარში აქ უხვად წვიმს.

თითქმის მთელ მიწას მომთაბარე ტომების შეიხები და მემამულე-ფეოდალები ფლობენ. მოიჯარეები ფაქტიურად ნახევრადყმებად არიან გადაქცეული. ისინი იძულებული არიან მოსავლის დიდი ნაწილი მემამულეს ან გადასახადების ამკრეფს მისცენ.

მრეწველობა ქვეყანაში ძალზე სუსტადაა განვითარებული. მრეწველობის ძირითადი დარგებია: ფოსფატების მოპოვება და ცემენტის წარმოება. შედარებით განვითარებულია კვების მრეწველობა: აქვთ ბისკვიტისა და მაკარონის ფაბრიკები, წისქვილები, ზეითუნის ზეთის წარმოებისა და ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო ქარხნები. სამრეწველო საწარმოების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია იორდანიის დედაქალაქ ამანში. ეს ქალაქი ნაწილობრივ თანამედროვე ყაიდაზეა გარდაქმნილი. მაგრამ მრავალსართულიანი სახლებისა და განიერი ქუჩების გვერდით საცოდავ ქოხმახებსაც ნახავთ.

იორდანიას შემოაქვს სამრეწველო საქონელი და სურსათი, ხოლო გააქვს ხილი და ბოსტნეული. ქვეყანა იმპერიალისტური სახელმწიფოების მოვალეა.

პროგრესული ძალები მოითხოვენ დემოკრატიული რეფორმების გატარებას, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, არაბულ ქვეყნებთან სოლიდარობას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი, მშვიდობიანი მოგვარებისათვის ბრძოლაში.

სახელმწიფოს მეთაური მეფეა, საკანონმდებლო ორგანო — ორპალატიანი (სენატი და დეპუტატთა პალატა) ეროვნული კრება. პოლიტიკური პარტიები აკრძალულია. კომუნისტური პარტია (დაარსდა 1943 წ.) მოქმედებს არალეგალუად.

ირანი

ირანის ისლამური რესპუბლიკა.
ფართობი — 1648 ათასი კმ².
მოსახლეობა — 34,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — თეირანი (დაახლოებით 4,5 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — სპარსული.

ირანი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა. მეექვსე საუკუნეში ჩვენს ერამდე ირანის ტომები მეფე კიროსმა გააერთიანა და შექმნა აქემენიდების სახელმწიფო. ირანის ტერიტორიაზე მანამდე არსებობდა უფრო ძველი სახელმწიფოები — ელამი (IV და III ათასწლეულის მიჯნა ძვ. წ.) და მიდია (IX—VI სს. ძვ. წ.). სახელწოდება „სპარსეთს“ თვით ირანელები არ ხმარობენ. ეს სახელი მემკვიდრეობით მოდის ძველი ბერძნებისგან, რომლებიც აქემენიდური სახელმწიფოს პერსიდს უწოდებდნენ, მისი პროვინციის ფარსის (პარსის) სახელის მიხედვით.

ირანის ისტორია სავსეა დრამატული მოვლენებით. ერთმანეთს ცვლიდა აყვავების, დაცემისა და აღორძინების პერიოდები, ჩაგრული ხალხების აჯანყებებს ენაცვლებოდა გარეშე ტომების თავდასხმები. აქემენიდების სახელმწიფო, რომელიც ძლიერების დროს გადაჭიმული იყო ნილოსის სანაპიროდან ინდის ნაპირებამდე, ალექსანდრე მაკედონელმა დაამხო IV ს. ძვ. წ. III საუკუნის შუა წლებში ძვ. წ. იქმნება ახალი სახელმწიფო — პართია, რომელიც წარმატებით ებრძოდა რომს. ჩვ. წ



III საუკუნეში პართია სასანიდების სახელმწიფომ შეცვალა, რომელიც თავის მხრივ VII საუკუნეში არაბების თავდასხმების შედეგად დაემხო და XI, XIII და XIV სს-ში ირანი და არაბეთის სახელმწიფო შემადგენლობაში შევიდა. ქვეყანას თავს ესხმოდნენ თურქთა ტომები, ჩინგის ყაენისა და თემურის ჯარები. ახალი აღორძინება იწყება სეფევიდების დინასტიის პერიოდში (XVI—XVIII სს.). XIX ს. ირანი ინგლისისა და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ობიექტი გახდა და თანდათანობით კარგავდა დამოუკიდებლობას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად შობილმა საბჭოთა ქვეყანამ ირანის ხალხს უსასყიდლოდ გადასცა სხვადასხვა კონცესიების ქონება, რომელიც მეფის რუსეთს ჰქონდა შესყიდული, უარი თქვა ირანის იმ ვალზე მეფის რუსეთისაგან სესხად რომ ჰქონდა. 1921 წლის საბჭოთა-კავშირ-ირანის ხელშეკრულება ირანისათვის პირველი თანასწორუფლებიანი შეთანხმება იყო. შემდგომ წლებში სსრ კავშირი ეკონომიკურ დახმარებას უწევდა ირანს. საბჭოთა კავშირის მეგობრული პოლიტიკა ბევრად დაეხმარა ირანის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ირანის მმართველმა წრეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან დაახლოების კურსი აიღეს. ამ ქვეყნების დაძალებით ირანი 1955 წ. აგრესიულ სამხედრო ბლოკში — სენტოში ჩაითრიეს. 60-იანი წლების დასაწყისიდან ირანი თანდათანობით ჩამოშორდა ცალმხრივ პროდასავლურ ორიენტაციას, გააფართოვა კეთილმეზობლური დამოკიდებულება სსრ კავშირთან და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირი დაამყარა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ირანის ბუნება და ლანდშაფტი კონტრასტებითა და მრავალფეროვნებით გვაოცებს. უდაბნოს გადამწვარ ვაკეზე აღმართულია ვეება ქვიანი ქედები. ეს ქედები გადადის ნაოჭა მთისწინეთებში, რომელიც დამშვენებულია ხასხასა კორომებით, ბაღებითა და ყანებით. მთაგრეხილები გარს შემორტყმია ცენტრალურ პლატოს, რომლის დიდი ნაწილი უჭირავს უდაბნოებს დეშტე-ლუტსა და დეშტე-კევირს (დიდი მარილიანი უდაბნო). აქ გვხვდება ფეხმარდი ჭურციკების, ჯეირნებისა და გარეული ვირების — ონაგრების იშვიათი ჯოგები. მარტოოდენ უდაბნოს განაპირას გვხვდება აქა-იქ მიმოფანტული თიხატკეპნილსახლებიანი დაბები. ზაფხულობით ამ დაბებში მცხოვრებლები აუტანელი სიცხის დროს თავს ღრმა სარდაფებს აფარებენ.

ირანის შიგა რაიონებში, რომლებშიც ზღვის ნოტიო ქარებს მთები ეღობება, პაპანება ზაფხული და გრილი ზამთარი იცის. მტკნარი წყალი აქ დიდად ფასობს. ამიტომ უფრო მჭიდროდაა დასახლებული მაღალი, უმეტესად ჩრდილოეთი და დასავლეთი ოლქები, სადაც მთის პატარა მდინარეები რწყავს დამუშავებულ ხეობებს, მომიჯნავე მთის ფერდობები კი ხშირად დაფარულია ველური ნუშის, ფსტის, მუხის რაყებით და ალპური მდელოთი. ჩრდილოეთით დემავენდის თეთრი მწვერვალით დაგვირგვინებული (5604 მ.) ელბრუსის ვეება მთებია, რომლებიც ნოტიო სუბტროპიკულ ოლქს — კასპიის სანაპიროს იცავს სამხრეთის მშრალი ქარებისაგან.

განსაცვიფრებელი კონტრასტია ცენტრალურ პლატოსა და სანაპიროს დაბლობს შორის, სადაც ციტრუსების, ბრინჯის, თამბაქოს, კენაფის და ჩაის პლანტაციებს ენაცვლება ნაწილობრივ დაჭაობებული ჯუნგლები. აქ ბინადრობენ ტახები, ირმები, ჯიქები, ხოხბები და იშვიათი თურანული ვეფხვებიც კი. სანაპირო ჭაობებში შეიძლება დაინახოთ ვარდისფერი ფლამინგო. გამოსაზამთრებლად აქ მოფრინავენ გედები, ბატები და იხვები.



მეჩეთი მეშჰედში.

სხვაგვარად გამოიყურება სპარსეთისა და ომანის ყურეები — მშრალი სუბტროპიკების ზონა, სადაც ჭრის არაბეთის ცხელი ქარები და ფინიკის პალმებიან იშვიათ ოაზისებს გარს ავლია ქვიანი მიწა.

სამხრეთ-დასავლეთში ზღვისპირა დაბლობი გადადის ხუზისტანის ნაყოფიერ ვაკეში, რომელსაც რწყავს ქარუნის სწრაფი წყალი — ირანის ერთადერთი სანაოსნო მდინარე. მდინარის ქვემო დინების მის სანაპიროებზე პალმის კოროშები, შაქრის ლერწმის პლანტაციები და ხეხილის ბაღებია. აქ-იქ მოჰყავთ ბანანიც.

ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა ძალზე ჭრელია. სპარსელები (მოსახლეობის ნახევარზე მეტი) — მიწის მუშები და ქალაქელები — ცენტრალურ ოლქებში ცხოვრობენ. სპარსელის ტრადიციული საცხოვრებელი თიხატკეპნილი სახლია, რომლის ღია აივანი ეზოში გადის, და პატარა აუზიანი ბაღი. სახლი ორადაა გაყოფილი — მამაკაცთათვის და ქალთათვის და ქუჩის მხარეს ყრუ კედელი აქვს.

ირანის ჩრდილო-დასავლეთი, თავრიზი და მისი მომიჯნავე ოლქები დასახლებულია აზერბაიჯანელებით, რომელთაც ცხოვრების წესის მიხედვით ბევრი საერთო აქვთ სპარსელებთან. კასპიის ზღვის სანაპიროზე სახლობენ თალიშები, გილიანები, მაზენდერანები, რომლებიც ირანული ჯგუფის ენაზე ლაპარაკობენ. მისდევენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეთევზეობას, სატყეო რეწვას. თავისებურია ზღვისპირა მცხოვრებთა სოფლები. აქ ბოკონებზე შემდგარი ძელურებია, რომელთაც ლელქაშით გადახურული წაწვეტებული სახურავები აქვთ.

კასპიისიქითა სტეპებში ცხოვრობენ თურქმენები — მიწის მუშები, მეთევზეები და მესაქონლეები. ირანის თურქმენეთის სტეპში მოჰყავთ მარცვლეული და ბამბა, მომთაბარე მესაქონლეთა რიცხვი კლებულობს. დასავლეთში, ზაგროსის მთებში ცხოვრობენ ქურთთა, ლურთა, ბახტიართა, კაშკაელთა მესაქონლე ტომები. ბევრი მათგანი ცხვრისა და თხის ფარებიანად სეზონურად გადადის ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებზე. მომთაბარეები გაერთიანებული არიან გვარ-ტომებად, ფეოდალ ბელადთა მმართველობის ქვეშ, რომელთა ძალაუფლება მთავრობამ ძლიერ შეზღუდა. მომთაბარეთა ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩა ძველი ადათ-წესები.

ხუზისტანში და სპარსეთის ყურის სანაპიროზე არაბები სახლობენ. ქვეყნის აღმოსავლეთში, მეკრანის მთებში ბინადრობენ ნახევრადმომთაბარე ბელუჯის ტომები. ხუზისტანელებს და ბელუჯებს მოჰყავთ ფინიკი, მარცვლეული, ბამბა, აშენებენ ცხვრებს, აქლემებს, ცხენებს, ეწევიან საზღვაო რეწვას. გარდა ამისა ირანში ცხოვრობენ ქართველები და სომხები.

ირანის მოსახლეობის დაახლოებით 80% მაჰმადიან-შიიტია. ისლამი (შიიტური მოძღვრება) ირანის სახელმწიფო რელიგიაა. შიიზმი, მაჰმადიანური რელიგიის ორი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთია (მეორე მიმართულებაა სუნიზმი). რელიგიურ სწავლებას დიდი ადგილი უჭირავს სკოლებში.

ირანის დედაქალაქი თეირანი სწრაფად მზარდი ქალაქია. ის მდებარეობს დემავენდის ძირას, ხეობაში. ქვეყნის დიდი ქალაქები — ისპაანი, შირაზი, მეშჰედი, თავრიზი, ყუმი — მდიდარია ძველი მაჰმადიანური ხუროთმოძღვრების ძეგლებით, რომელთა ფონზე კონტრასტულად მოჩანს მიწისა და ბეტონის სახლები, ქარხნები. ქალაქებს განსაკუთრებულ კოლორიტს ანიჭებს დუქან-სახელოს-



ისპაანში საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აიგო ირანის პირველი მეტალურგიული ქარხანა.

ნოებიანი დახურული ბაზრები, მეჩეთთა გუმბათებისა და მედრესეთა (სასულიერო სასწავლებლების) კარიბჭეების მბრწყინავი შორენკეცები, ქარვასლათა თაღოვანი შენობები, რომლებიც დღეს სავაჭრო რიგებადაა გადაქცეული. ავტომობილებით გაჭედილ მოასფალტებულ პროსპექტებს ეკვრის თიხატკეპნილ ყრუ კედლებს შორის მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები. კონტრასტულნი არიან აგრეთვე ქალაქის ქუჩებში მოსიარულენიც. ევროპულად ჩაცმულ გამვლელთა შორის დაინახავთ ჩადრში გახვეულ ქალს, ქათქათა ჩალმიან, ინით წვერშეღებილ მოლას, ჩამოფლეთილ დერვიშს კომბლით ხელში და ნაბდისქუდიან მომთაბარეს.

1970-იანი წლების ბოლომდე ირანში ბატონობდა ფეჰლევის დინასტია და სახელმწიფო კონსტიტუციურ მონარქიად ითვლებოდა. სინამდვილეში კი ეს იყო ერთპიროვნული დიქტატურა, რომელიც ემყარებოდა საიდუმლო პოლიციასა (სავაკი) და ერთადერთ პარტიას „რასტახიზ“-ს (ე. წ. ირანის ეროვნული აღორძინების პარტია). ქვეყანაში სუფევდა რეპრესიებისა და ტერორის ატმოსფერო.

საგარეო პოლიტიკაში შაჰის მთავრობა აშშ-თან სამხედრო კავშირს ემყარებოდა. ქვეყანა მილიტარიზებული იყო, ყოველწლიური სამხედრო ხარჯები 10 მლრდ. დოლარს შეადგენდა. ქვეყანაში თარეშობდა დაახლ. 500 ამერიკული კომპანია.

1978 წლის დასაწყისიდან დაიწყო მძლავრი სახალხო მოძრაობა, რომელმაც დაამხო შაჰის რეჟიმი (1979 წ. იანვარი). ძალაუფლება გადავიდა ისლამური რევოლუციური საბჭოს ხელში. ამავე წელს ჩატარდა არჩევნები ეროვნულ საკონსულტაციო საბჭოში, რომელმაც შეიმუშავა ირანის ისლამური რესპუბლიკის (გამოცხადდა 1979 წ. 1 აპრილს) კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე 1980 წ. იანვარში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები.

1979 წ. ოქტომბრიდან, როდესაც თეირანელმა სტუდენტებმა ხელთ იგდეს ამერიკის საელჩო, უკიდურესად დაიძაბა ამერიკა-ირანის ურთიერთობა, მარცხით დამთავრდა ამერიკის მთავრობის ცდა სამხედრო ძალით გაეთავისუფლებინა საკუთარი საელჩო (1980 წ. აპრილი). მსოფლიომ დაგმო ეს ავანტიურა.

ახალი მთავრობის დეკრეტებიდან აღსანიშნავია: სენტოდან გამოსვლა, ისრაელსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღიარება, მრეწველობის რიგი დარგების (სპილენძ და ფოლადსადნობი ქარხნების, სამთამადნო მრეწველობის, ალუმინის წარმოებისა და ა. შ.) ნაციონალიზაცია და ა. შ.



მეჩეთი ისპაანში — XVIII საუკუნის არქიტექტურული ხელოვნების ძეგლი.

ირანის სამეურნეო განვითარებას არსებით დახმარებას უწევდა სსრ კავშირი, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობით აშენდა 60-ზე მეტი სამრეწველო და სხვა ობიექტები. 1973 წლიდან მუშაობს ქვეყნის პირველი მეტალურგიული ქარხანა ისპაანში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა. სსრ კავშირისა და ირანის ერთობლივი ძალებით სასაზღვრო მდინარე არაქსზე აშენდა ჰიდროკვანძი, რომლის წყალობით ირწყვება საზღვრის გაღმა-გამოღმა მდებარე მიწები. მწყობრში ჩადგა მანქანათსაშენებელი ქარხანა ერაქში. გაიხსნა ტრანსირანული გაზსადენი, რომლითაც ირანი საბჭოთა კავშირს ბუნებრივ გაზს აწვდიდა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდება მუშათა კლასის რაოდენობა და მისი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ მუშათა მდგომარეობა კვლავ მძიმეა, განსაკუთრებით წვრილ საწარმოებში.

ირანს აქვს რკინის მადნის, ფერადი ლითონების მდიდარი საბადოები. მაგრამ ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ნავთობია, რომლის მოპოვების მიხედვით (255 მლნ. ტ 1978 წ.) ირანს მეოთხე ადგილი უკავია მსოფლიოში. ნავთობმომპოვებელი ძირითადი რაიონია ხუზისტანის დაბლობი. აბადანის ქვიშიან კუნძულზე შატ-ელ-არაბთან, მდინარე ქარუნის შესართავის სამხრეთით მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. მაგრამ ირანი დიდი ხნის განმავლობაში არ იყო თავისი ნავთობის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი. 1951 ნაციონალიზებული იყო ინგლის-ირანის ნავთობის კომპანია, რომელსაც ამ საუკუნის დასაწყისიდან ჩაღის ფასად ამოჰქონდა ირანის ნავთობი, მაგრამ 1954 წ. უცხოეთის ნავთობის მონოპოლიებმა აიძულეს ირანი ნავთობის მოპოვებასა და გასაღებაში წილი მიეცა საერთაშორისო ნავთობის კარტელისათვის. მაგალითად 1973 წლის ზაფხულიდან ქვეყნის ნავთობის ყველა რესურსი და ობიექტი, რომლებიც საერთაშორისო ნავთობის კარტელის მმართველობაში იყო, ირანის კონტროლს დაექვემდებარა. ნავთობიდან მიღებული შემოსავლის ზრდა (750 მლნ. დოლარიდან 1964 წ. და 18 მლრდ. დოლარამდე 1974 წ.) ხელს უწყობდა ირანის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

საფუძველი ჩაეყარა მეტალურგიულ, ნავთობქიმიურ, მანქანათსაშენებელ, ალუმინის, ავტომობილების მრეწველობას, დაიწყო ტელევიზორების, მაცივრების გამოშვება. ააგეს რამდენიმე დიდი ჰიდროელექტროსადგური და კაშხალი მდინარე დიზზე (ქარუნის შენაკადი), სეფიდურზე, არაქსზე. მაგრამ წამყვანი ადგილი ეკონომიკაში უწინდებურად მსუბუქ მრეწველობას უჭირავს (ქვების, საფეიქრო).

მაგრამ ხალხისათვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ქვეყნის სიმდიდრეთა უდიდესი ნაწილი შაჰის ოჯახის ხელში რჩებოდა. როგორც ახლა ცნობილი გახდა, ფეჰლევის საგვარეულოს წევრებს ეკუთვნოდა 17 ბანკისა და სადაზღვევო კომპანიის აქციები; მათ შემოსდიოდათ შემოსავალი 25 მეტალურგიული ქარხნიდან, 8 სამთამადნო საწარმოდან, 10 სხვადასხვა სახის კომპანიიდან. მათ ეკუთვნოდათ ირანის სასტუმრო-



კაშხალი მდინარე ქერვაზე თეირანის მახლობლად.

ების 70%, გაიტანეს ქვეყნიდან 50 მლრდ. დოლარი.

ირანელი ხალხი სამართლიანად მოითხოვს ყოველივე ამის დაბრუნებას.

ირანელები დახელოვნებული მიწათმოქმედი ხალხია. გვალვიანი ჰავის გამო ჯერ კიდევ ძველ დროში განვითარდა მორწყვის განსაკუთრებული სისტემა მიწისქვეშა ვიწრო არხების (კიარიზების) სახით. ამ არხებით, რომლებიც ხელითაა გაყვანილი (მათი სიგრძე ზოგჯერ ათობით კილომეტრია), ნიადაგქვეშა წყალი მთისწინეთიდან ვაკეში მოდის. კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მოიყვანონ სხვადასხვა კულტურები. მარცვლეულიდან ჭარბობს ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ტექნიკურიდან — ბამბა, თამბაქო, კენაფი, შაქრის ჭარხალი. განვითარებულია მეცხოველეობა და მეთევზეობა. ქვეყანაში 50 მლნ. სული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელია, რომელთა უმეტესი ნაწილი მომთაბარე ტომებს ეკუთვნის.

კასპიის ზღვა ირანს აძლევს ბევრ სვიას, ზუთხს, ტარაღანას და სხვა ძვირფას თევზს. ხიზილალის წარმოების მიხედვით ირანი სსრ კავშირის შემდეგ მეორე ადგილზე დგას და მსოფლიო პროდუქციის 30% იძლევა. სპარსეთის ყურეებში მოიპოვებენ მარგალიტს.

ნავთობის გარდა ირანს დიდი რაოდენობით გააქვს ბამბა, ხალიჩები, ლითონის მადანი, ტყავი, მატყლი, ჩამიჩი, ასევე ფეხსაცმელი, ქსოვილი, სამშენებლო მასალები, სარეცხი საშუალებები, ლაქები, საღებავები.

ირანი სახელგანთქმულია ტრადიციული ხელობით, რომლის სათავეები შორეულ წარსულში მიდის. ხელით ნაქსოვი სპარსული ხალიჩა ხშირად ხელოვნების შედევრია, რომელიც გვაოცებს ფერების სიმკაცრით, მოხატულობის სილამაზით. ბევრი ქალაქი განთქმულია თავისი ხელობით. ასე მაგალითად, ისპაანი ცნობილია თავისი ყალამქრებით (დაჩითული დეკორატიული ქსოვილით), ნაჭედი ჭურჭლით, შირაზი — ოქრომჭედლობით, მეშჰედი — ფერადი ქაშანურით, შორენკეცებით.

ირანელები გამოირჩევიან პოეზიისა და მუსიკის დიდი სიყვარულით. ირანული ლიტერატურა ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში. ფირდოუსის, ომარ ხაიამის, ჰაფეზის, საადის, რუმის და შუა საუკუნეების სხვა პოეტთა ნაწარმოებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს აღმოსავლეთის ხალხების ლიტერატურის განვითარებაზე (იხ. სე ტ. 11, სტ. „სპარსული კლასიკური პოეზია“). თანამედროვე კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ ლიტერატურული საზოგადოებები, სხვადასხვა მიმართულების სამხატვრო სკოლები, ფილარმონია, თეატრი. მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული

ირანელთა ეროვნულ კულტურასა და დასავლეთის ბურჟუაზიულ ფსევდოკულტურას შორის. ქვეყანაში 8 უნივერსიტეტი და 15 ინსტიტუტია. ბოლო 10—15 წლის მანძილზე წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა, 30% მიაღწია.

ირანისათვის ამჟამად მეტად რთული ვითარებაა დამახასიათებელი. რევოლუციურ ძვრებს უმტკივნეულოდ არასოდეს ჩაუვლიათ.

ისრაელი

სახელმწიფო ისრაელი.
ფართობი — 14,1 ათასი კმ² (საზღვრებში, რომლებიც დადგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1947 წ.).
მოსახლეობა — 3,73 მლნ. კაცი.
დედაქალაქად უკანონოდ გამოცხადებულია იერუსალიმი (376 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ივრიტი (ძველებრაული).

1947 წ. 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის ტერიტორიაზე, რომელიც ინგლისის მმართველობაში იმყოფებოდა ერთა ლიგის მანდატით, შექმნილიყო ებრაელთა და არაბთა ორი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იერუსალიმი, რომლის ისტორიასთან დაკავშირებულია სამი რელიგიის — ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამის განვითარება, იმავე გადაწყვეტილებით ცხადდებოდა ინტერნაციონალურ ტერიტორიად, რომელსაც განსაკუთრებული მმართველობა ექნებოდა. მაშინ პალესტინაში 1,2 მლნ. არაბი და 600 ათასი ებრაელი ცხოვრობდა.

1948 წლის მაისში შეიქმნა ებრაული სახელმწიფო ისრაელი, რომლის დედაქალაქი თელ-ავივი გახდა. ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო სიონისტური წრეების ხრიკების წყალობით ამას მოჰყვა არაბ-ისრაელის ომი, რომელმაც ერთ წელზე მეტ ხანს გასტანა. მაშინ არაბული ქვეყნები სუსტი იყო. ისრაელმა, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიღებული იარაღითა და ფინანსური დახმარებით, დაიპყრო 6 ათასი კვ. კილომეტრზე მეტი ტერიტორია, რომელიც პალესტინის არაბთა სახელმწიფოსათვის იყო გამოყოფილი, ნახევარი იერუსალიმი და უკანონოდ გამოაცხადა იგი თავის დედაქალაქად. ამრიგად ისრაელის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა 20,7 ათას კვ. კმ. (უწინდელი პალესტინის ⁴/₅) ტერიტორია, რაც ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას. ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან განდევნეს ანდა გაიქცა 900 ათასი არაბი. ლტოლვილებმა მეზობელ არაბულ ქვეყნებს შეაფარეს თავი. მათი ჭონება ისრაელის მთავრობამ მიითვისა.

ისრაელის მმართველმა მსხვილმა სიონისტურმა ბურჟუაზიამ თავიდანვე იქითკენ აიღო კურსი, რომ მჭიდრო კავშირი დაემყარებინა იმპერიალიზმთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საერთაშორისო სიონიზმთან. ისრაელი — იმპერიალიზმის იარაღი — შეიქნა არაბი ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ისრაელის მმართველი წრეები ამავე დროს იმედოვნებდნენ განეხორციელებინათ არაბთა ახალი ტერიტორიების მიტაცების საკუთარი გეგმები, რათა შეექმნათ „დიდი ისრაელი“.

1956 წ. ისრაელი ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად ეგვიპტის წინააღმდეგ სამთა აგრესიაში მონაწილეობდა. 1967 წლის ივნისში ისრაელის მმართველმა წრეებმა ეგვიპტის, ასევე სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ ახალი აგრესია წამოიწყეს. ისრაელის დროებითი ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არაბული ტერიტორიები, არაბ ლტოლვილთა რიცხვმა უფრო იმატა. მოუწესრიგებელმა მდგომარეობამ ახლო აღმოსავლეთში; ისრაელის მიერ არაბთა ძველისძველი მიწების ოკუპაციამ ბოლო 25 წლის მანძილზე, შექმნა ნიადაგი ახალი, მეოთხე ომისათვის, რომელიც 1973 წლის ოქტომბერში დაიწყო. ამ ომმა გაფანტა მითი ისრაელის არმიის უპირატესობის შესახებ არაბთა არმიაზე.

ოკუპანტები უხეშად არღვევენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო კონვენციებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ისინი კონფისკაციას უკეთებენ ანდა ანგრევენ არაბთა სახლებს, არაბებს ერეკებიან საკუთარი მიწებიდან, ამწყვდევენ ეკლიან მავთულხლართებში, დაპყრობილ მიწებზე კი ქმნიან სამხედრო-შრომით დასახლებებს — „კი-



თელ-ავივის ერთ-ერთი ქუჩა.

ბუცებს“ — ემიგრანტი ებრაელებისათვის. ისრაელის მმართველი წრეები ესწრაფვიან, რადაც უნდა დაუჯდეთ, ხელი შეუშალონ პალესტინის არაბი ხალხის ეროვნული უფლებების განხორციელებას, ისეთი ხელშეუვალი უფლებისა, როგორიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებაა.

ისრაელის აგრესიულ პოლიტიკას კიცხავს მსოფლიოს სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა. არაბი ხალხი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, მშვიდობისმოყვარე ძალები მოითხოვენ 1967 წელს დაპყრობილი არაბთა მიწების გათავისუფლებას, პალესტინის არაბთა ეროვნული უფლებების აღდგენას, ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფას და ახლო აღმოსავლეთში კანონიერი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

ისრაელის სახელმწიფო ბურჟუაზიული რესპუბლიკაა ერთპალატიანი პარლამენტით (კნესეტი), რომელიც ირჩევს პრეზიდენტს. ქვეყანაში არ არის კონსტიტუცია, ამავე დროს ისრაელში კანონადაა აღიარებული უკიდურესად რეაქციული რელიგიური დოგმები. ჩვეულებრივი საერო სასამართლოების გვერდით მოქმედებს რაბინატის — უმაღლესი რელიგიური ხელისუფლების სასამართლოები.

ისრაელის მმართველი წრეები აშკარად მიზნად ისახავენ სიონიზმის (იერუსალიმის ერთ-ერთი ბორცვის — სიონის სახელწოდების მიხედვით) მოთხოვნათა განხორციელებას. ეს რეაქციული, ვიწრონაციონალისტური რასისტული დოქტრინა ავითარებს ცრუ იდეებს ებრაელთა ზეკლასობრივ „ძმობაზე“, „ერთიან ებრაელ ერზე“ რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ებრაელთა „რჩეულობაზე“, „განსაკუთრებულობაზე“. ამით სიონიზმი ქადაგებს მუშა ებრაელსა და კაპიტალისტ ებრაელს შორის კლასობრივ მშვიდობას, ამავე დროს აღმართავს რელიგიურ-ეროვნულ ზღუდეებს, შუღლს თესავს მშრომელთა შორის, ძირს უთხრის მათ საერთო კლასობრივ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ.

გასამართლებისა და გამოძიების გარეშე ამწყვდევენ არაბებს ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. სურათზე: არაბი პატრიოტის დაპატიმრება.

სიონისტები თხოულობენ ყველა ქვეყნის ებრაელები გადმოსახლდნენ ისრაელში, ამავე დროს არ მალავენ, რომ აპირებენ ისრაელის ტერიტორიების გაზრდას არაბთა მიწების დაპყრობის ხარჯზე. ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ სხვა ქვეყნებში მცხოვრები ებრაელები ისრაელის მოქალაქეებად ითვლებოდნენ და ემსახურებოდნენ მის ინტერესებს. სიონისტები ერევიან ამ სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. საერთაშორისო სიონიზმი იმპერიალიზმთან სოლიდარობის გზით დიდ სარგებელს ნახულობს. სიონიზმის ძირითადი ცენტრებია ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი.

ისრაელის მხედრიონის მოქმედება სრულიად აღვირახსნილი გახდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტის ხელმძღვანელობის სეპარატიული მოქმედების შედეგად 1979 წ. ხელმოწერილი იყო საზავო ხელშეკრულება ეგვიპტესთან, ხოლო 1980 წელს აღსდგა დიპლომატიური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

ისრაელი კატეგორიულად უარყოფს პალესტინელი ხალხის უფლებას შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ისრაელში ცხოვრობს 3,1 მლნ. ებრაელი, დანარჩენი მოსახლეობა (400 ათასზე მეტი) — არაბები და დრუზები — მეორეხარისხოვან მოქალაქეთა მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი. ქვეყნის ებრაული მოსახლეობის ნახევარზე მეტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული იმიგრანტები არიან. ისრაელის ყველაზე დიდი ქალაქებია — თელ-ავივი, ხაიფა, მნიშვნელოვნად იზრდება ნათანია, დიმონა, პეტახ-ტიკვა.

ქვეყნის თითქმის მთელი სამხრეთი ნახევარი უჭირავს უდაბნო პლატო ნეგევს, რომელიც ჩრდილოეთ ნაწილში იუდეის მთების ტოტს ეკვრის. მთებში ბევრი გამოქვაბულია. ძველად ისინი აკლდამების, მტერთა ურიცხვი შემოსევების დროს თავშესაფრებისა და საცხოვრებლების მაგივრობასაც კი სწევდნენ. ისრაელის ტერიტორიის ეს ნაწილი ეკვრის მკვდარ ზღვას, მრავალმხრივ უნიკალურ ტბას. იგი მსოფლიო ოკეანის დონიდან 395 მ. დაბლა მდებარეობს და მისი წყლები ჭარბი რაოდენობით შეიცავს მარილებს. ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ ვიწრო სანაპირო ზოლია გადაჭიმული. მას ქვეყნის მთელი ცენტრალური, ყველაზე ვიწრო ნაწილი უკავია. ისრაელის ჩრდილოეთში მდებარეობს გალილეის მაღლობი.

ნეგევის უწყლო, გადამწვარ უდაბნოში კაქტუსებისა და ბუჩქნარის გარდა არაფერი ხარობს. ზღვისპირა ზოლის ნაყოფიერ ხეობებში უხვი სუბტროპიკული მცენარეულობაა. აქ ხარობს ავოკადო, გუაიავა, მანგო, სარწყავ მიწებზე მოჰყავთ ფინიკი, ბანანი, ფორთოხალი და სხვა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რომლებიც დიდი რაოდენობით გააქვთ ევროპის ქვეყნებში. ჩრდილოეთში შემორჩა ოდესღაც ხშირი ტყის ნაშთები.

ისრაელის ეკონომიკის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი დიდადაა დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე. ძალიან დიდ სახსრებს იღებს ისრაელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, ინგლისისაგან, საფრანგეთისაგან, ბელგიისაგან, ჰოლანდიისაგან და, აგრეთვე, შეწირულებათა სახით სიონისტური ორგანიზაციებისაგან. ამის წყალობით ისრაელს შეუძლია შეიარაღებაზე დახარჯოს (მოსახლეობის პროპორციასთან შედარებით) უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანას. მრეწველობაში მთავარი ყურადღება ექცევა სამხედრო მრეწველობის დარგებს. განვითარებულია, აგრეთვე, საფეიქრო, ქიმიური (მკვდარი ზღვის მარილების დამუშავება), ელექტროტექნიკური მრეწველობა. ისრაელს მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში ალმასის დაწახნაგებასა და სა-

ექსპორტოდ მის გატანაში. დაუწახნაგებელ ალმასს ისრაელი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან იღებს.

სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის წყლის ნაკლებობა. ძირითადი დარგებია — მეხილეობა (ციტრუსოვანი) და მეფრინველეობა.

ისრაელის მმართველი წრეების გამუდმებული სამხედრო ავანტიურა, მილიტარიზაციის გაძლიერება დიდ გავლენას ახდენს მშრომელი ხალხის მდგომარეობაზე. ისრაელში მატულობს ფასები. მწვავედ დგას ბინების საკითხი: ათასობით ოჯახი ბარაკებში ცხოვრობს.

ისრაელის კომუნისტური პარტია სათავეში უდგას მშრომელთა ბრძოლას სიონიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლას ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, არაბთა ოკუპირებული მიწების განთავისუფლებისათვის, არაბ-ისრაელის კონფლიქტის სამართლიანი მოგვარებისათვის, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკისათვის.

კამბუჩია

კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 181 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პნომპენი (მოსახლეობის რაოდენობა ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგანაც იგი მხოლოდ ახლა ბრუნდება ქალაქში).
სახელმწიფო ენა — ქხმერული.

კამბუჩია (უწინ კამბოჯა ერქვა) ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მას სიამის ყურე ეკვრის. ქვეყანაში ძირითადად ქხმერები, ანუ კამბოჯელები სახლობენ. კამბუჩიაში ცხოვრობენ, აგრეთვე, ვიეტნამელები, ლაოსელები, ჩინელები. მოსახლეობა უმთავრესად თავმოყრილია სოფლად და ქალაქის ტიპის პატარა დასახლებებში.

ქხმერები სამხრეთ აზიის უძველესი ხალხია, რომლებმაც ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშივე შექმნეს ქხმერის სახელმწიფო. ამ სახელმწიფომ დიდ აღმავლობას IX—XIII საუკუნეებში მიაღწია. ჩვენს დრომდე შემონახულია ქხმერული კულტურის ძეგლები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მონუმენტური



არქიტექტურული ნაგებობის კომპლექსი — ანგკორი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იგი ქვეყნის ძველი დედაქალაქი იყო. ანგკორი არაერთხელ დანგრეულა, დაცემულა და ხელახლა აღმდგარა. XV საუკუნეში ანგკორმა თავისი მნიშვნელობა საბოლოოდ დაკარგა.

ანგკორს ვეება ტერიტორია უკავია. აქ რამდენიმე ასეული ტაძარია, მათ შორის მხოლოდ ასამდე ტაძრის აღდგენა მოხერხდა, დანარჩენები ჯერ ისევ ტროპიკული ტყის ბარდებითაა დაფარული. ტაძრებისა და სასახლეების ქვის კედლებზე დაინახავთ უცნობი ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილ სკულპტურულ ქანდაკებებს, რომლებზეც ქხმერების სახელმწიფოს აყვავების ეპოქაა ასახული. აქ გამოსახული არიან ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, იმდროინდელი ცხოვრების ამსახველი სურათები — მეომართა ტრიუმფალური სვლა, ბრძოლები, სასახლის ცერემონიები და ღმერთების სხვადასხვაგვარი ქანდაკებები, განსაკუთრებით ბუდასი. ანგკორს სახელი გაუვარდა არა მარტო ხუროთმოძღვრებით, არამედ იმ დროისათვის განთქმული არხებისა და წყალსაცავების განტოტვილქსელიანი სარწყავი სისტემით.

XIX საუკუნის შუა წლებში ქვეყანაში ევროპელი კოლონიზატორები მოვიდნენ. კამბუჩია ფრანგების კოლონია, მეტროპოლიის აგრარულ-სანედლეულო დანამატი გახდა. ქხმერი ხალხის ინტერესები უგულვებელყოფილი იყო, ხოლო მისი ძველთაძველი კულტურა დასამარებული, სახელმწიფო ენად ფრანგული იქცა. ქხმერებმა არ იცოდნენ ფრანგული. ამიტომაც სამსახურის შოვნა არ შეეძლოთ.

მეორე მსოფლიო ომის წლებში იაპონელმა იმპერიალისტებმა ქვეყნის ოკუპაცია მოახდინეს. ამ განსაკუთრებული ძნელბედობის დროს მეტისმეტად გაძლიერდა ქხმერი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. საფრანგეთმა 1945 წელს ისევ აღადგინა კოლონიური წესწყობილება და ყოველნაირად ცდილობდა სამუდამოდ დაეკანონებინა იგი. მაგრამ განმათავისუფლებელი ბრძოლის ალის ჩაქრობა უკვე შეუძლებელი იყო. 1953 წ. კამპუჩიამ დამოუკიდებლობას მიაღწია.

კამპუჩიის ზედაპირს ჩვეულებრივ ბრტყელ ფიალას ადარებენ. ქვეყნის ცენტრი ვაკეა, რომელიც გარშემორტყმულია მაღლობებით (ადგილობრივ სახელწოდებებში ხშირად გვხვდება სიტყვა „პნომი“, რაც ბორცვს ნიშნავს). ქვეყანაში ცხელი და ნოტიო ჰავაა. ზაფხულობით ოკეანიდან მონაბერ მუსონებს მოაქვს თითქმის გადაუღებელი კოკისპირული წვიმები. ზამთრის მუსონები მიმართულებას იცვლის და უფრო მშრალი ხდება, ამიტომაც ნალექები ნაკლები მოდის. ამ დროს კამპუჩიის ამინდი ჩვენი შავიზღვისპირეთის ამინდს მოგვაგონებს. მუსონების ცვლაზეა დამოკიდებული ქვეყნის მეურნეობის რიტმი. აქ წელიწადში ორი, ზოგჯერ კი სამი მოსავალი მოჰყავთ.

კამპუჩიის ძირითადი სიმდიდრე ნაყოფიერი მიწა და მდინარეების, ტბების და სარწყავი არხების სიუხვეა. ქხმერები ხშირად ხუმრობით ამბობენ, ჩვენს ქვეყანაში უფრო ადვილია ნავით მოგზაურობა, ვიდრე ოთხთვალათიო (რკინიგზები და გზატკეცილები ძალზე ცოტაა). წყლის მთავარი არტერია მეკონგი აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა. მეკონგს აქვს დიდი ბუნებრივი რეზერვუარი — ტბა საპი, რომელთანაც მას მდინარე საპი აკავშირებს. წვიმების სეზონში ტბაში მეკონგის წყალი ჩადის, ხოლო მშრალ სეზონში პირუკუ, ტბა ავსებს მეკონგს. ამ დროს ტბა წყალმარჩხი ხდება, მაგრამ უკან რომ იხევს, უნოყიერეს ლამს ტოვებს. ტბის სანაპიროები ქვეყნის ყველაზე დასახლებული ადგილია. აქ ცხოვრობენ მიწათმოქმედებიც და მეთევზეებიც, რამდენადაც საპის ტბა ძალზე მდიდარია თევზით. ჩვეულებრივ ტბებისა და მდინარეების ყოველ კვადრატულ კილომეტრზე დაახლოებით 10 ტ თევზს იჭერენ. თევზი ბრინჯთან და ბოსტნეულთან ერთად — კვების ძირითადი პროდუქტია. თევზეული გააქვთ მეზობელ ქვეყნებში.

მიწათმოქმედება და მეთევზეობა ეკონომიკის საფუძვლად რჩება. ბრინჯის ნათესებს დაახლოებით 2,5 მლნ. ჰა უჭირავს, მაგრამ მოსავლიანობა მცირეა, რადგან მეურნეობა პრიმიტიულია. ტექნიკური კულტურებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰევეას (კაუჩუკის ხის) ნარგავებს. თითქმის მთელი კაუჩუკი გააქვთ. ქვეყნის მინერალური სიმდიდრე ცუდადაა შესწავლილი და ჯერჯერობით არა აქვს არსებითი სამრეწველო მნიშვნელობა.

კამპუჩია მდიდარია ტროპიკული ტყით, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი უჭირავს. დიდი მოთხოვნილებაა ხის მაგარ ჯიშებზე, რომლებსაც მშენებლობაში იყენებენ. სახლები უფრო ხშირად ხიმინჯებზე დგას, მარტო სოფელში კი არა, ქალაქებშიაც.

თანამედროვე ტიპის მრეწველობა კამპუჩიაში სუსტადაა განვითარებული, ჭარბობს კუსტარულ-ხელოსნური წარმოება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ელექტროსადგურების აგებას: 1970 წელს 1960 წელთან შედარებით ელექტროსადგურების სიმძლავრე 3,5-ჯერ გაიზარდა. ქვეყნის სამხრეთში ააგეს სანავსადგურო ქალაქი კამპონგსაომი. შენდება ავტოსტრადები და რკინიგზები. შედარებით მოკლე ვადაში ქვეყანაში გაიზარდა საწარმოები, რომლებიც ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში შევიდა. ესენია: ლითონდასამუშავებელი, ხის დასამუშავებელი, ავტოსაამწყობო, ნავთობგადასამუშავებელი და საბურავების ქარხნები, ქაღალდის, ფანერის, საფეიქრო ფაბრიკები, კვების საწარმოები. კამპუჩიას ინდუსტრიალიზაციაში აქტიურ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

მშვიდობისმოყვარე ნეიტრალური კამპუჩიის არსებობა ხელს უშლიდა იმპერიალიზმის გეგმებს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში გაჩაღებული ომის დროს კამბოჯის რეაქციულმა გენერლებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება. ისინი ემყარებოდნენ იმპერიალისტების შეიარაღებულ დახმარებას. ქხმერი ხალხი აღსდგა რეაქციისა და იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ. ქვეყანა გააფთრებული სამოქალაქო ომის ასპარეზად გადაიქცა. 1975 წ. ეროვნული გათავისუფლების ძალებმა მოიპოვეს გამარჯვება. მაგრამ ხელისუფლება აღმოჩნდა პრომაოისტური



პნომპენში დამოუკიდებლობის მონუმენტის თაღქვეშ გმირ ჭხმერ ხალხის მოსაგონებლად მარადიული ცეცხლი ანთია.

ტერორისტული ჯგუფის ხელში, რომელმაც თავისი არსებობის სამიოდე წლის მანძილზე სიცოცხლეს გამოასალმა 3 მილიონამდე კამპუჩიელი (8 მლნ. მცხოვრებიდან). დაცარიელდა ქალაქები, შეწყდა სამრეწველო წარმოება, გაუქმდა ფული. მთელი ქვეყანა გადაიქცა დიდ საკონცენტრაციო ბანაკად.

ხალხმა ვერ გაუძლო ამგვარ რეპრესიებს და უკვე 1978 წლის მაისში დაიწყო მძლავრი მოძრაობა, რომელსაც იმავე წლის დეკემბრიდან სათავეში ჩაუდგა ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტი. 1979 წლის 1 იანვარს განთავისუფლებულ იქნა პნომპენი, ხოლო ივლისისათვის რეაქციული რეჟიმის ძირითადი ძალები განადგურებული იყო. ამ ბრძოლაში კამპუჩიელ ხალხს დიდი დახმარება ვიეტნამელმა ძმებმა აღმოუჩინეს.

1979 წლის თებერვალში სახალხო რევოლუციურმა საბჭომ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

დაიწყო კამპუჩიელი ხალხის ჭეშმარიტად აღორძინების ხანა, რაშიც მას პირველ რიგში ეხმარებიან საბჭოთა კავშირი, ვიეტნამი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ჩინეთი, აშშ მხარდაჭერით, კვლავ განაგრძობს პროვოკაციულ მოქმედებას საკუთარი მარიონეტების აღდგენის მიზნით.

კატარი

კატარის სახელმწიფო.
ფართობი — დაახლოებით 22 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 250 ათასი კაცი.
დედაქალაქი — დოჰა (დაახლოებით 190 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

კატარი მდებარეობს დასავლეთ აზიაში ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე სპარსეთის ყურეში. დედაქალაქისა და ნავსადგურ უმ-საიდის გარდა, ქვეყანაში სხვა ქალაქი თითქმის არ არის. აქაიქ მიმოფანტულ პატარა სოფლებში, როგორც წესი, დგას თიხატკეპნილი რამდენიმე ქოხი და ფინიკის პალმის ფოთლებით დაწნული ფაცხა. ისინი კი, ვინც საზღვაო რეწვას — თევზჭერასა და მარგალიტის მოპოვებას მისდევს, საცხოვრებლად ხშირად ნავებსა და მომცრო ბარკასებს იყენებენ. მოსახლეობის უმეტესობა ბინადარ ცხოვრებას ეწევა.

ძირითადი მოსახლეობა არაბებია, მაგრამ მათ გარდა ბევრია ირანიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და აღმოსავლეთ აფრიკიდან გადმოსახლებულნი. კატარის მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარია. მართალია სწავლება სკოლებში უფასოა, მაგრამ სწავლა ბევრ ბავშვს როდი შეუძლია, რადგან პატარაობიდანვე მშობლებთან ერთად შრომობენ.

ქვეყანაში ცხელი და მშრალი ჰავაა. ნალექები ცოტა მოდის. კატარში პრაქტიკულად არ არის მტკნარი წყალსატევები და მდინარეები, ხოლო წყალი იშვიათად გათხრილ ჭებში მომლაშო და უგემურია. აი რატომაა, რომ სასმელ წყალს სულ



ახლახან ეზიდებოდნენ ბაჰრეინის კუნძულებიდან და ინდოეთიდანაც კი. ახლა გამტკნარებულ ზღვის წყალს იყენებენ.

კატარის უდაბნოს ბუნება ღარიბია. ოაზისებიც კი ძალიან იშვიათია და ისიც პატარ-პატარაა. ნახევარკუნძულის სამხრეთში ბორცვიანი ლანდშაფტია, რომელიც ჩრდილოეთისაკენ თანდათანობით დაბლდება და ცენტრალურ ნაწილში ქვიან უდაბნოში, ხოლო ჩრდილოეთში ქვიშიან, ალაგ დაჭაობებულ ვაკეში გადადის.

სანაპირო ხაზი საკმაოდ დაკბილულია და გარშემორტყმულია მარჯნის რიფებით, რაც აძნელებს სანაპირო ნაოსნობას.

კატარის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ყოველთვის იპყრობდა იმპერიალისტების, უპირველეს ყოვლისა, ინგლისელ იმპერიალისტების ყურადღებას, რომლებიც 1868 წლიდან ფაქტიურად ბატონობდნენ ამ სამთავროში. მხოლოდ 1971 წლის სექტემბერში კატარი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. კატარში აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს სათავეში ემირი დგას.

კატარის ეკონომიკა ნავთობის (23,5 მლნ. ტონა 1978 წ.) და ბუნებრივი გაზის მოპოვებას ემყარება. ნავთობის უმნიშვნელო რაოდენობა მუშავდება უმ-საიდის ქარხანაში და საშინაო მოთხოვნილებას ხმარდება, დიდი ნაწილი კი ამ ქალაქის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ გადის.

კატარში, როგორც საერთოდ აღმოსავლეთში, ბევრი ხელოსანია, რომლებიც ამზადებენ და აქვე ყიდიან თავიანთ ნახელავს.

სოფლად ბატონობს ფეოდალური ურთიერთობა, დიდია პატრიარქალური წეს-ჩვეულებების გავლენა. მოჰყავთ ბოსტნეული, სიმინდი, ფეტვი. ეს ხელოვნურ მორწყვას მოითხოვს, მაგრამ რადგან წყალი ცოტაა, ნათესებიც უაღრესად უმნიშვნელოა. იშვიათ ოაზისებში ახარებენ ფინიკის პალმებს. სანაპიროებზე საკმაოდ გავრცელებულია მეთევზეობა, მარგალიტის რეწვა და კრევეტის ჭერა. ქვეყანას შემოაქვს მისთვის აუცილებელი თითქმის მთელი სურსათი და ფართო მოხმარების საქონელი.

კატარის ემირი სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი და სასულიერო თავია. არსებობს საკონსულტაციო საბჭო, რომელმაც კონსტიტუცია უნდა შეიმუშავოს. პოლიტიკური პარტიები არ არსებობს.

კვიპროსი

კვიპროსის რესპუბლიკა.
ფართობი — 9 251 კმ².
მოსახლეობა — 640 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ნიკოზია (გარეუბნებიანად 120 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენები — ბერძნული და თურქული.

კვიპროსის რესპუბლიკა მდებარეობს მთაგორიან კუნძულზე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. კუნძულის ვაკეებზე მოჰყავთ არა მარტო ხორბალი და ქერი, არამედ ფორთოხალი და ლიმონი. ამას ხელს უწყობს ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული ჰავა. მთის ფერდობები დაფარულია ზეთისხილის და კვიპაროზის რაყებით, ზვრებით, მუხნარით, კედრის ტყით.

კვიპროსი სიდიდით მესამე კუნძულია (სიცილიის და სარდინიის შემდეგ) ხმელთაშუა ზღვაში. კვიპროსის მიწისქვეშა საკუჭნაოებში ბუნება ინახავს სპილენძის, ქრომისა და რკინის მადნებს, აზბესტს, თაბაშირს, მარმარილოს.

კუნძულის ცენტრალური ნაწილი უჭირავს მესაორიის ნაყოფიერ ვაკეს. მის ცენტრში მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქი — ნიკოზია. მსხვილი სანავსადგურო ქალაქებია ფამაგუსტა, ლიმასოლი, ლარნაკა.

კვიპროსის ეკონომიკა ბევრ რამეში ჯერ კიდევ კოლონიური დროიდან შემორჩენილ ცალმხრივ ხა-

სიათს ატარებს. განვითარებულია მხოლოდ სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, რომელიც საექსპორტოდ მუშაობს, და მრეწველობა, რომელიც ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს: თამბაქოს, ღვინის, საკონსერვოსა და ზეთსახდელი, ქიშმიშის დამამზადებელი საწარმოები. ქალაქ ლარნაკის ახლოს აგებულია ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. ასევე განვითარებულია კუსტარულ-ხელოსნური წარმოება (ხალიჩები, ქარგვა, კერამიკა). მადნეულისა (სპილენძისა და ქრომის) და მინერალების გარდა კვიპროსიდან გააქვთ ყურძენი, ციტრუსები, ღვინო, ქიშმიში, კარტოფილი. რესპუბლიკის მთავრობა ისწრაფის განავითაროს ეროვნული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

კვიპროსელთა უმეტესობა ბერძნებია (დაახლოებით 80%). მათი წინაპრები სამი ათას წელზე მეტი ხნის წინათ გადმოსახლდნენ კუნძულზე სამხრეთ საბერძნეთიდან. მეორე დიდი ეთნიკური ჯგუფი თურქებია (18%).

კვიპროსი უძველესი კულტურის ქვეყანაა. მუზეუმებში ინახება კვიპროსელების მიერ როგორც ჩვენს ერამდე, ისე შედარებით გვიან პერიოდში შექმნილი ხელოვნების უამრავი შესანიშნავი ნაწარმოები: ქანდაკება, კერამიკა, ფერწერა, სამკაულები, ტანისამოსის, ავეჯის ნიმუშები. კვიპროსზე შემონახულია, აგრეთვე, ბევრი არქიტექტურული ძეგლი. განსაკუთრებით საინტერესოა აფროდიტეს, აპოლონისა და ზევსის ძველი ტაძრების დიდებული ნანგრევები.

1571 წელს კუნძული თურქეთმა დაიპყრო. 1878 წ. თურქეთი იძულებული იყო, კვიპროსი ინგლისისათვის დაეთმო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მალე კუნძული ოფიციალურად ინგლისის კოლონიად გამოცხადდა. 1959 წ. დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც ძალა არ შესწევდა ჩაეხშო კვიპროსელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1960 წლის 16 აგვისტოს გამოცხადდა კვიპროსის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

მაგრამ ინგლისმა კვიპროსზე შეინარჩუნა დიდი სამხედრო ბაზები — აკრიტირი, დეკელია, ეპისკოპი, კვიპროსს ასევე თავზე მოახვიეს ხელშეკრულება „კავშირისა“ და „გარანტიების“ შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს ინგლისს, თურქეთსა და საბერძნეთს ჩაერიონ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

ნატოს მესვეურები ითვალისწინებენ კუნძულის სტრატეგიულ მდებარეობას და განუწყვეტლივ ცდილობენ გადააქციონ იგი თავის „ჩაუძირავ ავიამზიდად“. ამისათვის უნდათ ყოველნაირად ბოლო მოუღონ დამოუკიდებელ, მიუმხრობელ კვიპროსს. მათ გეგმებს სავსებით შეესაბამებოდა კუნძულის გაყოფა ნატოს მონაწილე საბერძნეთსა და თურქეთს შორის და კვიპროსზე ეროვნული ნიშნის მიხედვით ორი სახელმწიფოს შექმნა, რომელთაც ექნებოდათ მხოლოდ მოჩვენებითი დამოუკიდებლობა.

ნატოს ყველაზე რეაქციული წრეები, როგორც თავის დროზე კოლონიზატორები, ცდილობენ გააღვივონ შუღლი კვიპროსელ ბერძნებსა და კვიპროსელ თურქებს შორის, რისთვისაც რელიგიურ განსხვავებულობასაც იყენებენ (ბერძნები ქრისტიანები არიან, თურქები — მუსულმანები). 1963 წლის დეკემბერში მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი ბერძენ და თურქ თემებს შორის.

ნატოს გეგმებთან განუყოფლადაა დაკავშირებული 1974 წლის ზაფხულის ამბებიც, როცა კვიპროსზე იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. ეს აჯანყება, რომელიც ჩაიშალა, რეაქციონერებმა მოაწყვეს. ისინი ბერძნულ ფაშისტურ ხუნტასთან იყვნენ დაკავშირებულნი. რეაქციონერები ცდილობდნენ განეხორციელებინათ ეგრეთწოდებული „ენოზისი“, ანუ კვიპროსის შეერთება საბერძნეთთან. ამან გამოიწვია კუნძულზე თურქეთის ჯარის გადმოსხდომა, რომელმაც დაიკავა კვიპროსის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი. აქ გადმოსახლდა თითქმის ყველა კვიპროსელი თურ-

ქი, ხოლო უწინ აქ მცხოვრები ბერძნები სამხრეთ რაიონებში გაიქცნენ. შეიქმნა კუნძულის გაყოფის საშიშროება. დიდი ზარალი განიცადა კვიპროსის ეკონომიკამ. თემებს შორის მოლაპარაკებისას, რომელიც მიეძღვნა კრიზისის მოგვარებისა და კვიპროსის სახელმწიფოს სამართლიანი შინაგანი წყობილების შექმნის საკითხს, რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა გეგმა, დაარსებულიყო შვეიცარიული კანტონების ტიპის მძლავრი ცენტრალურხელისუფლებიანი ფედერაცია. თურქული თემის ხელმძღვანელები ამის საპირისპიროდ ცდილობენ შეინარჩუნონ მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა თურქეთის ჯარების შემოყვანის შედეგად — შეიქმნა კვიპროსზე ტერიტორიულად ორი განცალკევებული რაიონი.

კვიპროსის პატრიოტები იცავენ თავიანთი სახელმწიფოს მთლიანობას, იბრძვიან „კავშირისა“ და „გარანტიების“ შესახებ კაბალური ხელშეკრულების გასაუქმებლად, ინგლისის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და ქვეყნიდან უცხოელთა ჯარების გასაყვანად. ამისათვის ყველაზე გაბედულად გამოდის კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია (რომელიც 1941 წ. აპრილში დაარსეს კვიპროსელმა კომუნისტებმა).

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს კვიპროსელ პატრიოტებს სამართლიანი გადაწყვეტილებისათვის ბრძოლაში და მოითხოვს კვიპროსის კრიზისის მოგვარებას მშვიდობიანი გზით, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, მის საშინაო საქმეში უცხოელთა ჩაურევლობის საფუძველზე.

ᲡᲝᲠᲔᲐ
1 ᲡᲐᲡᲐᲖ
ᲜᲐᲙᲘᲜᲘ
ᲮᲠᲝᲜᲯᲘᲜᲘ
ᲕᲔᲡᲐᲜᲘ
ᲡᲘᲒ-ᲠᲐᲯᲘ
ᲡᲘᲜᲘᲬᲣ
ᲕᲘᲜᲐᲯᲘ
ᲕᲝᲜᲬᲐᲜᲘ
ᲤᲐᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ
ᲡᲐᲮᲘᲝᲗᲝᲜᲘ
ᲚᲘᲕᲐᲜᲘᲐᲜᲘ
ᲡᲔᲥᲔᲠᲘ
ᲘᲜᲯᲘᲮᲝᲜᲘ
(ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲝ)
ᲢᲝᲯᲝᲜᲘ
ᲢᲔᲒᲣ
ᲕᲔᲡᲐᲜᲘ
ᲛᲝᲚᲐᲤᲮᲝ
ᲙᲕᲐᲜᲯᲣ
ᲙᲘᲠᲘᲜᲘᲐ
ᲡᲐᲠᲙᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲡᲘ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ



უწინ აგრარული ქვეყანა ამჟამად ურთულეს მანქანებს უშვებს. სურათზე: სამთამადნო მოწყობილობის ქარხანაში.

სხვაგვარი ჯიშის მუხა, სოჭი და ერთ-ერთი უძველესი ხის ჯიში — ტექტონა.

კორეის მცენარეთა სამყაროს სიმდიდრე აიხსნება მისი რელიეფისა და ჰავის მრავალფეროვნებით, აგრეთვე იმით, რომ გამყინვარების პერიოდში კორეის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილს არ შეხებია გამყინვარება, რამაც სხვა ადგილებში გაანადგურა თანამედროვე ტყეებისა და მცენარეების „წინაპრები“. ტყეებში ბინადრობს უსურიის ვეფხვი და დათვი, ლეოპარდი, ფოცხვერი, ტახი. ზღვა, გარს რომ ერტყმის კორეას, მდიდარია მრავალი სახეობის ჭაშაყით, კიბორჩხალითა და კრევეტით.

ქვეყანა მდიდარია წიაღისეულით. კორეაში ბევრია ქვანახშირი და მურა ნახშირი. შავი, ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების მადნები. ვოლფრამის, მოლიბდენის, ბარიტის, განსაკუთრებით მაგნეზიტის და გრაფიტის მარაგით კორეას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

პირველი სახელმწიფოები კორეის ტერიტორიაზე აღმოცენდა რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს ერამდე. ამ სახელმწიფოების მოსახლეობამ იცოდა სარწყავი მიწათმოქმედება, მოჰყავდათ ბრინჯი, მისდევდნენ მეაბრეშუმეობასა და საფეიქრო საქმეს, მინდვრებში სამუშაოდ იყენებდა მსხვილფეხა რქოსან საქონელს. ჩვენამდე შემონახული იმ ეპოქის მატერიალური კულტურის ნივთები მოწმობენ ძველი კორეელი ხელოსნების ხელოვნებას ლითონის დნობასა და დამუშავებაში, ბრინჯაოს ნივთებისა და საიუველირო ნაწარმის დამზადებაში.

V—VIII სს. კორეაში შეიქმნა დამწერლობის სისტემა; იმ დროისათვის მაღალ დონეს მიაღწია მედიცინამ, ასტრონომიამ, მათემატიკამ. კორეის კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ადრეფეოდალურ იაპონურ კულტურაზე, რომელიც დაახლოებით ამავე დროს ყალიბდებოდა. 1234 წ. კორეაში პირველად მსოფლიოში წიგნის დასაბეჭდად გამოიყენეს ლითონის მოძრავი შრიფტი. მაღალ დონეს მიაღწია არქიტექტურამ, ქანდაკებამ, გამოყენებითმა ხელოვნებამ.

კორეის ისტორია ძველი დროიდან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე, ეს არის ისტორია ხალხის განუწყვეტელი ბრძოლისა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. VII ს. კორეას თავს დაესხნენ ტანის დინასტიის ჩინელ იმპერატორთა მიერ წარგზავნილი ურდოები, X—XI სს. კორეელ ხალხს წილად ხვდა მოეგერიებინა მომთაბარე კიდანების თავდასხმა, ხოლო XIII ს. ებრძოლა მონღოლი ურდოების წინააღმდეგ. XVI ს. ბოლოს კორეას თავს დაესხა ფეოდალური იაპონიის მმართველების დიდი არმია. კორეის ჯარმა და ფლოტმა, რომელთა სათავეში იდგა ნიჭიერი მხედართმთავარი ლი სუნ სინი, უცხოელებს სასტიკი დამარცხება აგემა. XVII ს. ჩინელმა მბრძანებლებმა — ცინის მანჯურთა დინასტიის იმპერატორებმა, კორეა კვლავ

კორეული სოფელი.

საბავშვო ბაღში.

ჩინეთის ვასალად აქციეს. XIX ს. მეორე ნახევარში კორეაში ბატონობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები და იაპონია.

იაპონიამ ისარგებლა სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობით და XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში შესძლო გაეძლიერებინა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა კორეაში, ხოლო 1910 წ. იგი თავის კოლონიად გამოაცხადა. 1945 წლამდე კორეა იაპონელი კოლონიზატორების უღელქვეშ გმინავდა, რომლებმაც ქვეყანა გადააქციეს სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად აგრესიული გეგმების განსახორციელებლად შორეულ აღმოსავლეთში.

კორეელი ხალხი არაერთხელ აღდგა ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით 1919 წ. მარტ-აპრილში კორეაში საერთო ეროვნულმა აჯანყებამ იფეთქა, მაგრამ იაპონელმა ხელისუფლებმა იგი სასტიკად ჩაახშეს. 1925 წ. კორეელი კომუნისტებისა და სოციალისტების რამდენიმე ჯგუფი გაერთიანდა კომუნისტურ პარტიად, რომელიც მეთაურობდა კორეელი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობას და გააჩაღა შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა.

კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლების გზა კორეას გაუხსნა 1945 წ. საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა იაპონიის ჯარებზე მანჯურიაში და კორეის ტერიტორიაზე. 1945 წ. 15 აგვისტო კორეის გათავისუფლების დღედ იქცა. მაგრამ ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა. ძალაუფლება ჩრდილოეთ კორეაში, სადაც ერთხანს საბჭოთა არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ, ხელში აიღეს სახალხო კომიტეტებმა. 1946 წ. სახალხო ხელისუფლებამ მოახდინა აგრარული რეფორმა, განახორციელა მრეწველობის ნაციონალიზაცია, შემოიღო შრომის კანონი. 1946 წ. აგვისტოში კორეის კომუნისტური პარტია გაერთიანდა ახალ სახალხო პარტიასთან ერთად კორეის შრომის პარტიაში. ჩრდილოეთ კორეის ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია გაერთიანდა ერთიან დემოკრატიულ სამამულო ფრონტში. მშრომელები შეუდგნენ ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის გატარებას, იაპონელი დამპყრობლების მიერ დანგრეული ეკონომიკის აღდგენას. მაგრამ ქვეყნის სამხრეთში შენარჩუნებული იქნა ამერიკული საოკუპაციო რეჟიმი.

კორეის პროგრესულ ძალებს თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნდათ ქვეყნის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მშვიდობიანი გაერთიანება დემოკრატიულ საწყისებზე, საერთო-სახალხო არჩევნების

ჩატარების გზით. მაგრამ კორეელ ხალხს ერთიანობისა და დამოუკიდებელი დემოკრატიული განვითარების გზაზე გადაეღობა მსოფლიო იმპერიალიზმის ძალები. 1948 წ. მაისში ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა კონტროლის ქვეშ სამხრეთ კორეაში მოეწყო არჩევნების ინსცენირება ეგრეთ წოდებული სამხრეთ კორეის ეროვნული კრებისა, რომელმაც ქვეყნის სამხრეთი ნაწილი „კორეის რესპუბლიკად“ გამოაცხადა. კორეა ხელოვნურად გამოყოფილი აღმოჩნდა.

კორეელმა ხალხმა ეს „არჩევნები“ არ სცნო. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის პროგრესული პარტიების წარმომადგენელთა გაერთიანებულმა თათბირმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა ნამდვილად დემოკრატიული ნაყოველთაო არჩევნები, სადაც აირჩევდნენ კორეელი ხალხის ხელისუფლების ჭეშმარიტად საერთო ეროვნულ ორგანოს. არჩევნები ტარდებოდა ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც, სამხრეთში — არალეგალურად. უმაღლესმა სახალხო კრებამ, რომელიც დაარსდა საერთო-ეროვნული ნებასურვილის შესაბამისად, 1948 წ. 8 სექტემბერს გამოაცხადა, რომ შეიქმნა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (კსდრ)

ფართობი — 121,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 17,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ფხენიანი (დაახლოებით 1,5 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — კორეული.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველივე წლები წარმატებით აღინიშნა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში. 1949 წლის მარტში საბჭოთა კავშირმა და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ; ჩვენი ქვეყანა ეხმარებოდა კორეელ მეგობრებს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საწარმოების აღდგენასა და რეკონსტრუქციაში, აწვდიდა მოწყობილობებს, უგზავნიდა სპეციალისტებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. უკვე 1950 წლისათვის სამრეწველო წარმოება 1946 წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია 50%-ით.

დაწყებული მშვიდობიანი მშენებლობა ომმა შეწყვიტა. იმპერიალიზმი და სამხრეთ კორეის ხელისუფალნი 1950—1953 წწ. ცდილობდნენ იარაღის ძალით გაეუქმებინათ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის ხალხის ეროვნული და სოციალური მონაპოვარი, მაგრამ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები დამარცხდნენ. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა და მეომართა გმირობამ, რომელიც ემყარებოდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივ დახმარებას, ჩინელი სახალხო მოხალისეების დახმარებას საომარ მოქმედებაში, აიძულა აგრესორები დაეხიათ 38-ე პარალელისაკენ და დათანხმებულიყვნენ დროებითი ზავის დადებაზე.

ომმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდი ზიანი მიაყენა. ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვის შედეგად დაიღუპა მრავალი ადამიანი, დაინგრა 8 700-ზე მეტი საწარმო, ნანგრევებად იქცა სკოლის, საავადმყოფოს, თეატრის 6 000 შენობა. ჩრდილოეთ კორეის მშრომელებმა თავგანწირული შრომის წყალობით, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებით, უკვე 1956 წლისათვის არა მარტო აღადგინეს ომით დანგრეული საწარმოები, არამედ ბევრ ძველ ფაბრიკასა და ქარხანას რეკონსტრუქცია გაუკეთეს.

1958 წლის ბოლოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოოპერირება. ქალაქად და სოფლად გაიმარჯვა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობებმა. 60-იანი წლების დასაწყისისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

1961 წლის ივლისში სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება მოასწავებს ძმური ქვეყნების ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას, საიმედო

გარანტიას იძლევა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ხელშეუხებელი იქნება.

შემდგომ წლებში შეუპოვარი მიზანსწრაფული შრომით თავისუფალი კორეის ხალხმა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების, კულტურისა და განათლების, განვითარებაში მნიშვნელოვან ძვრებს მიაღწია. კორეის შრომითი პარტიის მეხუთე ყრილობამ (1970), რომელმაც შეაჯამა ქვეყნის განვითარების შედეგები გასული პერიოდისა, აღნიშნა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა.

მრეწველობა სწრაფი ტემპით ითვისებს ახალ წარმოებებს, ნერგავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს, ამზადებს მანქანებსა და მოწყობილობებს, ელექტროტექნიკის და რადიოტექნიკის რთულ სახეობებს, ხელოვნურ ბოჭკოს. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდად განვითარდა მოპოვებითი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა, რომელიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, რომლის წარმოების მოცულობა 1970 წელს 1949 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა, ბევრი რამ კეთდება მინდვრების მორწყვის გაუმჯობესებისა და წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად. ქიმიური მრეწველობის წარმატებათა წყალობით გაიზარდა ნიადაგში შეტანილი ქიმიური სასუქების რაოდენობა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ახორციელებს აქტიურ საგარეო პოლიტიკას — სოციალიზმის ქვეყნებთან მეგობრობის პოლიტიკას, მხარს უჭერს ანტიიმპერიალისტურ ძალებს, განუხრელად აფართოებს საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა თანმიმდევრულად იბრძვის სამხრეთი კორეიდან ამერიკული ჯარების მთლიანად გაყვანისა და ქვეყნის მშვიდობიანი გზით გაერთიანებისათვის. 1972 წ. კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კონკრეტული წინადადებები წამოაყენა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილების მშვიდობიან დემოკრატიულ გაერთიანებას გარედან ჩაურევლობის გზით და სამხრეთი კორეიდან უცხოელთა ჯარების მთლიანად გაყვანას. ამ ინიციატივამ მთელი პროგრესული ძალების გამხნევაჟურება და მხარდაჭერა ჰპოვა.

სამხრეთ კორეის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო დიალოგზე, მაგრამ მალე კონტაქტები ქვლავ შეწყდა. დიალოგი განახლდა 1980 წელს.

არნახულ აყვავებას მიაღწია განათლებამ, კულტურამ, ჯანმრთელობის დაცვამ სახალხო ხელისუფლების პერიოდში. უკვე 60-იან წლებში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში განხორციელდა საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, მარტო 10 წელიწადში — 1954 წლიდან 1964 წ. — რესპუბლიკაში აიგო 9 000 სკოლა, ტექნიკუმი და უმაღლესი სასწავლებელი. შემდგომ წლებში სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ქსელი კიდევ უფრო გაიზარდა. 1973

ხილის უხვ მოსავალს იძლევა კორეული მიწა. სურათზე: ატმის კრეფა კოოპერატივ „მიგოჯში“.

წლის აპრილში მიიღეს კანონი საყოველთაო სავალდებულო ათწლიანი განათლების შესახებ. სახალხო ხელისუფლების წლებში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და 100-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებლის შექმნა უზრუნველყოფს მეცნიერების განვი-

თანებას და უმაღლესი განათლების დონის ამაღლებას.

ქვეყნის უდამაზესს ადგილებში განლაგებული ოცამდე კურორტი ხასიათდება ცივი ზამთრით, ხანგრძლივი, ნესტიანი ზაფხულით და ხშირი ტაიფუნებით. ზამთარში ტემპერატურა ხშირად ეცემა ნულზე დაბლა, ზაფხულში კი ხშირია 30°-ზე მეტი სიცხე. ამიტომ ზაფხულის დადგომასთან ერთად ათასობით ადამიანი ტოვებს ქალაქებს და მიემგზავრება ზღვისპირა კურორტებში. ზაფხულის ბოლო თვეებში ტურისტების ნაკადი ისეთ ზომებს აღწევს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ხშირად უწევს ტურისტების ნაწილის ევაკუირება ქარიშხლის საფრთხის გამო.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის დახმარებამ. 1945—1978 წლებში სამხრეთ კორეამ მიიღო 12,7 მლრდ. დოლარის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, რომლის 70% გრანტის სახით იქნა გაწეული. ამ დახმარების ძირითადი ნაწილი ხმარდებოდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტექნიკური და სამხედრო პერსონალის მომზადებას, ასევე ამერიკული ტექნიკის, ნედლეულის, საკვები პროდუქტების შეძენას. ამერიკული დახმარების ეკონომიკური ეფექტიანობა ეჭვქვეშ დადგა 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ამერიკის კონგრესმა დაიწყო ამ დახმარების შემცირება. ამ პროცესის ფონზე სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ დაიწყო ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლა ამერიკული ბაზრიდან იაპონიის ბაზრისაკენ. ამ მიზნით 1965 წელს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ამ ნაბიჯის შედეგად იაპონიის ინვესტიციების ნაკადი სამხრეთ კორეაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1978 წელს იაპონიის ინვესტიციების მოცულობამ 1,8 მლრდ. დოლარს მიაღწია. ამ ინვესტიციების ნაწილი ხმარდებოდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, ნაწილი კი ინვესტირებული იყო ისეთ ინდუსტრიულ დარგებში, როგორიცაა ავტომობილების, ელექტრონული ტექნიკის, ფოლადის, ქიმიური ნივთიერებების წარმოება. ამ ინვესტიციების ნაწილი ხმარდებოდა ასევე ნედლეულის, საკვები პროდუქტების შეძენას. ამერიკული დახმარების ეკონომიკური ეფექტიანობა ეჭვქვეშ დადგა 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ამერიკის კონგრესმა დაიწყო ამ დახმარების შემცირება. ამ პროცესის ფონზე სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ დაიწყო ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლა ამერიკული ბაზრიდან იაპონიის ბაზრისაკენ. ამ მიზნით 1965 წელს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ამ ნაბიჯის შედეგად იაპონიის ინვესტიციების ნაკადი სამხრეთ კორეაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1978 წელს იაპონიის ინვესტიციების მოცულობამ 1,8 მლრდ. დოლარს მიაღწია. ამ ინვესტიციების ნაწილი ხმარდებოდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, ნაწილი კი ინვესტირებული იყო ისეთ ინდუსტრიულ დარგებში, როგორიცაა ავტომობილების, ელექტრონული ტექნიკის, ფოლადის, ქიმიური ნივთიერებების წარმოება. ამ ინვესტიციების ნაწილი ხმარდებოდა ასევე ნედლეულის, საკვები პროდუქტების შეძენას.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ამერიკის დახმარებამ. 1945—1978 წლებში სამხრეთ კორეამ მიიღო 12,7 მლრდ. დოლარის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, რომლის 70% გრანტის სახით იქნა გაწეული. ამ დახმარების ძირითადი ნაწილი ხმარდებოდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტექნიკური და სამხედრო პერსონალის მომზადებას, ასევე ამერიკული ტექნიკის,

ლაოსი

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.
ფართობი — 236,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3,56 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ვიენტიანი (220 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ლაოსური.

XIX საუკუნის ბოლოს ფრანგმა კოლონიზატორებმა ინდოჩინეთის ეს ქვეყანა თავის პროტექტორატად აქციეს. ლაოსის ხალხი მუდამ იბრძოდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ, რომლებიც ადგილობრივ რეაქციონერებსა და ფეოდალებს ეყრდნობოდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიზატორებმა და მათმა ლაქიებმა გააჩაღეს ომი ლაოსის თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, რომლებიც ლაოსის პატრიოტულ ფრონტში გაერთიანდნენ. ამ ფრონტის ბირთვი და ლაოსის ხალხის პოლიტიკური ავანგარდი გახდა ლაოსის მარქსისტულ-ლენინური სახალხო-რევოლუციური პარტია.

ხალხის ბრძოლას 1953 წელს მოჰყვა კოლონიური რეჟიმის გაუქმება, მაგრამ გამარჯვების ნაყოფით ისარგებლეს ფეოდალებმა და პროიმპერიალისტურმა ძალებმა. ლაოსის რეაქციამ კავშირი დაამყარა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და შეეცადა ჩაეხშო სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა ლაოსში შექმნეს სამხედრო ბაზები, საიდანაც ბარბაროსულად ბომბავდნენ იმ რაიონებს, რომლებიც პატრიოტული ფრონტის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. დაინგრა ბევრი ქალაქი და სოფელი, მაგრამ ამან ვერ გატეხა ლაოსელი პატრიოტები. ისინი გამოქვაბულებს შეეხიზნენ და განაგრძეს ბრძოლა და შრომა საკუთარ მიწაზე ავიაციის გამუდმებული თავდასხმების პირობებში.

მხოლოდ 1973 წელს, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯარები გაიყვანა ვიეტნამიდან, საომარი მოქმედება შეწყდა ლაოსშიც. ამან დააჩქარა რევოლუციის განვითარება. იმ რაიონების მოსახლეობამ, რომელიც მეფის მთავრობის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა, მხურვალედ დაუჭირა მხარი ლაოსის სამხედრო-რევოლუციური პარტიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრამას. 1975 წლის ბოლოს სახალხო ხელისუფლება დამყარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მისმა უმაღლესმა ორგანომ — სახალხო წარმომადგენელთა ეროვნულმა კონგრესმა მიიღო მეფის გადადგომა და ლაოსი რესპუბლიკად გამოაცხადა.



ლაოსის თითქმის მთელი ტერიტორია მთაგორიანია, რომელიც დაფარულია ძვირფასი მერქნით მდიდარი ხშირი ტროპიკული ტყეებით. მხოლოდ დიდი მდინარის — მეკონგისა და მისი შენაკადების გაყოლებაზე გადაჭიმულია ნაყოფიერნიადაგიანი ვიწრო ვაკეები. მეკონგისა და მისი მთავარი შენაკადების ხეობებში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, აქვეა დედაქალაქი — ვიენტიანიც, ხოლო უფრო ჩრდილოეთით ყოფილი სამეფო რეზიდენცია — ქალაქი ლუანგ-პარაბანგი. მეკონგის გაყოლებაზე გადის მთავარი გზატკეცილებიც, რკინიგზები ლაოსში არ არის.

ლაოსი აგრარული ქვეყანაა. ხეობათა მცხოვრებლების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა, უწინარეს ყოვლისა, ბრინჯის მოყვანა. ქვეყნის სამხრეთით გაშენებულია კაუჩუკის ხის, შაქრის ლერწმის, ყავისა და ჩაის ბუჩქის პლანტაციები. ლაოსის სოფლებში უწესრიგოდ მიმოფანტუ-

ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყარდება ახალი, ბედნიერი ცხოვრება, რომლისთვისაც უცხოა ექსპლოატაცია და ჩაგვრა. ს უ რ ა თ ზ ე: ბამბის კრეფა.

ქალიშვილები სამნიოას პროვინციაში სწავლობენ წერას.

ლი ხის სახლებია. სინესტესა და წყალდიდობას თავი რომ დააღწიონ, სახლებს მაღალ ხიმინჯებზე დგამენ. სახლის შორიახლოს ჩვეულებრივ აღმართულია ბუდას ქანდაკებიანი პაგოდა. პაგოდის ეზოში ტარდება კრებები და სოფლის დღესასწაულები. ბუდისტი მღვდელი უწინ სოფლად ცვლიდა ექიმსაც და მასწავლებელსაც. იმ პროვინციებში, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე პატრიოტული ფრონტის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ჩატარდა დემოკრატიული გარდაქმნები, გლეხებმა მიიღეს მიწა, თავი დააღწიეს მევახშეებისა და ვაჭრების მუდმივ კაბალას, შემოღებულია საყოველთაო სწავლება და ხდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ორგანიზებულია სამედიცინო დახმარება. რესპუბლიკის შექმნასთან ერთად ეს პროგრესული ცვლილებები ფეხს იკიდებს მთელს ლაოსში.

ლაოსი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: კალით, ოქროთი, პატიოსანი თვლებით. მაგრამ ისინი ჯერჯერობით ნაკლებად მუშავდება, მრეწველობა ძალზე სუსტადაა განვითარებული. ჭარბობს წვრილი საწარმოები, რომლებიც ამუშავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და მერჭანს.

მთის რაიონების მოსახლეობის უმრავლესობა მცირე ეროვნებებია, რომლებიც ენათესავებიან მეზობელი ვიეტნამის მთის ხალხებს. მთიელების სამეურნეო და საზოგადოებრივი განვითარების დონე სხვადასხვაგვარია. მთიელი ტაები, რომლებიც ენითა და კულტურით ახლოს დგანან ლაოსის ძირითად ხალხთან — ლაოსთან, ბრინჯს მთის ფერდობებზე გაკეთებულ ტერასებზე თესავენ. ხოლო ისეთი ხალხები, როგორიც არიან მიაო და იაო ტყეს კაფავენ ან წვავენ და ამ საყანე ახოებს ამუშავებენ.

ლაოსელი ხალხის წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანები დგას. ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობისაგან თავის დასაღწევად, რაც კოლონიური ბატონობის დროიდან შემორჩათ, საბჭოთა კავშირი, რომელიც ნიადაგ მხარს უჭერდა ლაოსის ხალხს გამათავისუფლებელ ბრძოლაში, ძმურად ეხმარება მას ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაშიც. ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით წყდება ეკონომიკის აღმავლობის ყველაზე გადაუდებელი ამოცანები და ამავე დროს საფუძველი ეყრება ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

1979 წლის დასაწყისიდან გამწვავდა მდგომარეობა ლაოს-ჩინეთის საზღვარზე, სადაც ჩინეთის მხედრიონი პერიოდულად აწყობს პროვოკაციებს

პროფილაქტიკური მიზნით სოფლის ბავშვების გასინჯვა

და თავდასხმით ემუქრება ახალგაზრდა სახელმწიფოს.

ლაოსი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელშიც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უმაღლესი სახალხო კრებაა. ამ კრების თავმჯდომარე ამავე დროს პრეზიდენტიცაა.

სახელმწიფოში ხელმძღვანელი ძალა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიაა (შეიქმნა 1955 წ.). არსებობს მასობრივ ორგანიზაციათა გაერთიანებაც — ლაოსის ეროვნული მშენებლობის ფრონტი.

ლიბანი

ლიბანის რესპუბლიკა.
ფართობი — 10,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბეირუთი (გარეუბნებიანად 1,4 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — არაბული.

ლიბანი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე პატარა სახელმწიფოა, ადამიანები აქ უძველესი დროიდან ცხოვრობენ. არქეოლოგები ლიბანის ტერიტორიაზე პოულობენ ყველს, რომელიც ცხადყოფს, რომ აქ ბევრი სხვადასხვა ხალხი ყოფილა. სავაჭრო ქალაქებითა და განვითარებული სოფლის მეურნეობით მდიდარი მხარე — უძველესი ფინიკია — ოდითგანვე იზიდავდა დამპყრობლებს. ლიბანს იპყრობდნენ ეგვიპტელები და ხეთები, ასირიელები და რომაელები, ჯვაროსნები და თურქები. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ლიბანიდან გაჰქონდათ ლიბანური კედარი, რომელიც სახელგანთქმულია თავისი მაგარი, მტკიცე, ულპობადი მერქნით. ეს ხე გამოსახულია რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაზე.

ლიბანის ტერიტორიაზე არის უძველესი არქიტექტურის საყოველთაოდ ცნობილი ძეგლი — ჯბეილის ქალაქი ბაალბექი (უძველესი ჰელიოპოლისი), რომელიც ჩვენს ერამდე მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა. ბაალბექში შემორჩენილია ნანგრევები გრანდიოზული ტაძრის ანსამბლისა, რომელიც რომაელების მიერაა აგებული.

პირველ მსოფლიო ომამდე ლიბანი ოსმანთა იმპერიის პროვინცია იყო. ომის შემდეგ ერთა ლიგის მანდატით ლიბანს საფრანგეთი მართავდა. 1943 წ. გამოცხადდა დამოუკიდებელი ლიბანის



ლიბანური კედრის ჯიში.

რესპუბლიკა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 1946 წ. დატოვეს ეს ქვეყანა საფრანგეთის ჯარებმა.

იმპერიალისტები არაერთგზის ცდილან ლიბანი სამხედრო ბლოკებში ჩაეთრიათ. 1958 წ. ზაფხულში, როცა ერაყზე თავდასხმა მზადდებოდა, რომ იქ რევოლუცია ჩაეხშოთ, ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადა გამოეყენებინა ლიბანი პლაცდარმად და მის ტერიტორიაზე საკუთარი ჯარები შეეყვანეს. სსრ კავშირის მტკიცე პროტესტმა და ლიბანელი ხალხის წინააღმდეგობამ აიძულა იმპერიალისტი აგრესორები ქვეყნიდან წასულიყვნენ.

ლიბანის ძირითადი მოსახლეობა არაბებია. მათ გარდა ქვეყანაში ცხოვრობენ სომხები, თურქები, ბერძნები, ასირიელები. სხვა არაბული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მაჰმადიანური რელიგია აქ სახელმწიფოებრივი რელიგია არ არის. მოსახლეობის ნახევარი ქრისტიანებია, რომლებიც სხვადასხვა სექტებს განეკუთვნებიან.

ამ რელიგიურმა დაყოფამ ლიბანის სახელმწიფოებრივ წყობაზეც მოახდინა გავლენა. რესპუბლიკის პრეზიდენტი მხოლოდ ქრისტიანი უნდა იყოს, ხოლო პრემიერ-მინისტრი — მაჰმადიანი. ლიბანის ერთპალატიან პარლამენტში ადგილები ასევე ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორისაა განაწილებული.

1975 წლის აპრილში რეაქციულმა ქრისტიანულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მაჰმადიანებზე და ლიბანში მყოფ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებზე თავდასხმა და გააჩაღეს ძმათამკვლელი ომი. რელიგიურ შეტაკებათა მიღმა იმალებოდა იმპერიალიზმის, სიონიზმისა და არაბული რეაქციის შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიკვიდაციას. ეს მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია, იცავს პალესტინელი არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებებს, ასევე იცავს ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს განადგურებისაგან, რომელიც მხარს უჭერს პალესტინელებს. ლიბანში კონფლიქტის გაჩაღებით იმპერიალისტური წრეები,

ისრაელის მმართველები და არაბთა ქვეყნების რეაქციონერები ასევე იმედოვნებდნენ გაეთიშათ არაბები, ჩამოეშორებინათ ისინი ბრძოლისგან, რომელიც მიმართულია ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფისაკენ და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლისაკენ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, ბევრმა საერთაშორისო და ეროვნულმა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაგმეს ლიბანისა და მთელი არაბული აღმოსავლეთის წინააღმდეგ შეთქმულება, მხარი დაუჭირეს ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის მეცადინეობას, რათა შეწყდეს სისხლის ღვრა და უზრუნველყოფილი იქნას პირობები ლიბანის კრიზისის მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის ამ ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე, გარედან ჩაურევლობის გზით. სამოქალაქო ომმა დიდი ზარალი მიაყენა ლიბანის ეკონომიკას, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ლიბანის მძიმე შინაგანი მდგომარეობით სარგებლობს ისრაელის მხედრიონი, რომელიც განუწყვეტლივ თავს ესხმის ქვეყნის სამხრეთ რაიონებს, პალესტინელთა ბანაკებს და ეხმარება მემარჯვენე ქრისტიანთა რეაქციულ ძალებს. 1978 წელს ისრაელის ჯარებმა მოახდინეს სამხრეთ ლიბანის ტერიტორიის ოკუპაცია. უშიშროების საბჭოს ჩარევის შემდეგ ისინი იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ეს რაიონი, მაგრამ ეს უკანასკნელნი გადაეცა მემარჯვენე ქრისტიანთა შეიარაღებულ რაზმებს, რომლებმაც აქ მარიონეტული „თავისუფალი ლიბანის“ შექმნა სცადეს. ეს რეაქციული ძალები თავს ესხმიან და სპობენ არა მარტო პალესტინელებსა და მემარცხენე ძალთა წარმომადგენლებს, არამედ აქ დისლოცირებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებსაც.

ლიბანში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პარლამენტია, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს. პოლიტიკურ პარტიებს შორის აღსანიშნავია: კატაიბ („ლიბანის ფალანგა“, მემარჯვენე ქრისტიანული „ლიბანის ფრონტის“ წამყვანი ძალა), პროგრესული სოციალისტური პარტია (ეროვნულ-პატრიოტული ძალების ბლოკის წამყვანი ძალა), ეროვნულ-ლიბერალური პარტია, დამოუკიდებელ ნასერისტთა მოძრაობა და სხვანი. ლიბანის კომუნისტური პარტია დაარსდა 1924 წელს, ამჟამად შედის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ფრონტში.

ლიბანი ზღვისა და მთების ქვეყანაა. სანაპირო ვაკის ვიწრო ზოლს ლიბანის ქედი გადმოჰყურებს. ზამთარში ნაპირთან მიახლოებისას, უწინარეს ყოვლისა, ჩანს თოვლით დაფარულ მთათა მწვერვალები. ლიბანის ქედის პარალელურად, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გაწოლილია ანტილიბანის ქედი, ხოლო მათ შორის მდებარეობს ბექაას ქვაბული. აქ ბევრი ბაღია. გლეხებს მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სიმინდი, პარკოსნები.

მთებში შემორჩენილია მუხნარი, წიფლნარი, ნეკერჩხლის ტყე. ანტილიბანის ნაკრძალში ხარობს ასობით ლიბანური კედარი. ეს შესანიშნავი ხე გადაშენების გზაზეა და აქ მას ისე ინახავენ, როგორც დედამიწის ძველი მცენარეულობის ძეგლს.

სანაპირო ვაკე მისი რბილი სუბტროპიკული ჰავითა და ზღვისკენ მიქცეულ მთათა დასავლეთი კალთებით ქვეყნის ყველაზე ნაყოფიერი და დასახლებული ნაწილია. ხმელთაშუა ზღვის ქარებს აქ უხვი ნალექები მოაქვს. თუმცა ისინი მხოლოდ ზამთარში მოდის, ხოლო წელიწადის დანარჩენ დროს მზე აცხუნებს. მაგრამ ზამთარში მოსული ტენი უხვად ასაზრდოებს მდინარეებსა და მთის ნაკადებს, რომლებსაც ყველაზე ცხელ დროს სარწყავად იყენებენ. უდაბნოს ხორშაკიანი ქარისაგან — ჰამსინისაგან — სანაპირო ზოლს მთის ორმაგი ზღუდე იცავს. აქ მოჰყავთ ციტრუსები და ბანანები. მთის ფერდობები დაფარულია ზვრებით, ზეთისხილის ხის კოროშებით, უფრო ზემოთ იზრდება გარგარი, ატამი, ქლიავი, კიდევ უფრო მაღლა — ვაშლისა და მსხლის ხეები. სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი თითქმის მთელი მიწები მემამულეებს, ქრისტიანულ მონასტრებსა და მაჰმადიანურ სასულიერო წოდებას ეკუთვნის. ისინი მიწის პატარა ნაკვეთებს კაბალურ პირობებში აძლევენ გლეხებს (ფელაჰებს).

მეზობელი ქვეყნებისაგან — სირიისაგან, იორდანიისაგან — განსხვავებით, მესაქონლეობა ლიბანში ყოველთვის დამხმარე დარგი იყო. გლეხები ძირითადად თხებს აშენებენ.

მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. ბევ-

რი ლიბანელი სამუშაოს საძებნელად იძულებულია აფრიკის, ამერიკის ქვეყნებში გაემგზავროს (დაახლოებით 1,5 მლნ. ლიბანელი საზღვარგარეთ ცხოვრობს). ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად იმპერიალისტურ სახელმწიფოებზეა დამოკიდებული. მრეწველობის მთავარი დარგებია: საფეიქრო, ცემენტის, კვების, თამბაქოს, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა.

ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი — დიდი და ხმაურიანი ქალაქი-ნავსადგური — ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური და სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრია. აქ ერთმანეთს კვეთს ბევრი საერთაშორისო და საზღვაო ტრასა, ამიტომ ბეირუთში ფრიად მჩქეფარე ცხოვრებაა.

ტრიპოლი და საიდა ნავსადგურები და ამასთანავე ერაყიდან, საუდის არაბეთიდან გამოყვანილი ნავთობსადენების ბოლო პუნქტებია. ამ ქალაქებში თავმოყრილია ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები და დიდი ნავთობსაცავები.

ლიბანის ხალხი სულ უფრო აქტიურად გამოდის დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. მშრომელთა უფლებებისათვის ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლია ლიბანის კომუნისტური პარტია. პატრიოტული, მშვიდობისმოყვარე ძალების შემჭიდროებისათვის იბრძვის, აგრეთვე, პროგრესულ-სოციალისტური პარტია.

მალაიზია

მალაიზიის ფედერაცია.
ფართობი — 332 8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 12,9 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კუალა-ლუმპური (1 მლნ.-ზე მეტი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — მალაიური.

მალაიზია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ფართო რკალადაა გადაჭიმული, რომელიც შუაში 700 კილომეტრიანი ზღვის სივრცითაა გაჭრილი. მალაკის ნახევარკუნძულზე, აზიის კონტინენტის გრძელ შვერილზე, რომელიც თითქმის ეკვატორამდე აღწევს, მდებარეობს ფედერაციის 11 შტატი. კიდევ ორი — სარავაკი და საბაჰი — განლაგებულია კუნძულ კალიმანტანის ჩრდილოეთ ნაწილში. ქვეყნის ზედაპირის დიდი ნაწილი უკავია ბორცვებსა და მთებს, რომლებიც დაფარულია მარადმწვანე ტროპიკული ტყეებით. ჰავა ტენიანი, ცხელია. იანვარშიც კი თერმომეტრის სვეტი +25° დაბლა არ ეშვება, ხოლო ივლისში +27°-ზე ზემოთ არ ადის. ხშირი წვიმების გამო მდინარეები მთელი წლის მანძილზე წყალუხვია.

მალაიზიაში ცხოვრობენ მალაელები (47%), ჩინელები (34%), ინდოელთაგან, ბანგლადეშიდან და პაკისტანიდან გადმოსახლებულნი, დაიაკები და ჩრდილოეთ კალიმანტანის სხვადასხვა ტომები.

კოლონიური დროიდან ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო მეტოქეობა და შუღლი აქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შორის. ეს კი ფედერაციას სიძნელეს უქმნის. საქმე ის არის, რომ მალაის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ტრადიციულად მისდევს შედარებით ნაკლებად მწარმოებლურ დარგს — ბრინჯის მოყვანას და მცირეშემოსავლიან მეთევზეობას. მალაიზიაში მცხოვრებმა ჩინელებმა, რომლებიც XIX საუკუნეში კალის საბადოებზე სამუშაოდ და ჯუნგლებში ხეების გასაჩეხად ჩამოსული ემიგრანტების შთამომავალნი არიან, თანდათანობით თავი მოიყარეს ქალაქებში, სადაც ახლა მცხოვრებთა უმეტესობას წარმოადგენენ და ინგლისელი მეწარმეების შემდეგ საქმიან სამყაროში მეორე ადგილი უჭირავთ. ინდოსტანის მკვიდრნი, რომლებიც თავდაპირველად აქ ინგლისელების კუთვნილ კაუჩუკის პლანტაციებზე სამუშაოდ ჩამოიყვანეს, დროთა განმავლობაში ასევე ქალაქებში გადასახლდნენ, წვრილ მოხელეებად იწყეს მუშაობა, ანდა ვაჭრობას მოკიდეს ხელი. დამოუკიდებელი მალაიზიის მთავრობა მნიშვნელოვან ძალებს ახმარს, რომ აღზარდოს ეროვ-

მალაიზიელი მეთევზეები.

ნული ერთიანობის გრძნობა, უწინარეს ყოვლისა, მალაიზიელთა ახალგაზრდა თაობაში. შემოღებულია განათლების ერთიანი სისტემა დაწყებით და ნაწილობრივ საშუალო სკოლებში. სხვადასხვა ეროვნულ თემებს შორის ვითარდება მეგობრული თანამშრომლობა.

ძველი მოგზაურები, რომლებმაც მოინახულეს მალაკის ნახევარკუნძული, გაოცებულნი იყვნენ მისი ზღაპრული სიმდიდრით. შუა საუკუნეებში ნახევარკუნძულის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით მალაკის სასულთნომ, მნიშვნელოვან აყვავებას მიაღწია იმის წყალობით, რომ იგი ჩინეთის, ინდოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობს. XVI ს. მალაკა დაიპყრეს პორტუგალიელებმა, რომლებიც შემდეგ ჰოლანდიელებმა განდევნეს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ შემოაღწიეს ინგლისელმა კოლონიზატორებმა; დაპყრობილი სასულთნოებისაგან, რომლებიც ფორმალურად ბრიტანეთის გვირგვინის „მფარველობის“ ქვეშ იმყოფებოდა, შეიქმნა მალაის ფედერაცია.

1957 წ. გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შედეგად მას დამოუკიდებლობა მიენიჭა. მოგვიანებით, 1963 წ., ინგლისის ყოფილ კოლონიებთან — საბაჰთან და სარავაკთან მალაის ერთიანების შემდეგ, სახელმწიფოს მალაიზიის ფედერაცია ეწოდა.

მალაიზიაში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურს — უმაღლეს მმართველს სულთნები თავისივე წრიდან ირჩევენ ხუთი წლის ვადით (13 შტატიდან 9 შტატს სულთნები მეთაურობენ). უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი (სენატი და წარმომადგენელთა პალატა) პარლამენტია.

ლეგალური პოლიტიკური პარტიებიდან აღსანიშნავია: მალაის გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაცია, მალაიზიის ჩინური ასოციაცია, მალაიზიის ინდური კონგრესი, დემოკრატიული მოქმედების პარტია, პან მალაიური ისლამური პარტია და კიდევ 5 უფრო წვრილი პარტია, რომლებიც ქმნიან მმართველ ბლოკს — ე. წ. ეროვნულ ფრონტს.

მალაიზიის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1930 წ.) მაოისტების გავლენას განიცდის, აკრძალულია 1948 წლიდან და აწარმოებს შეიარაღებულ ბრძოლას მთავრობასთან.

კოლონიური ბატონობის წლებმა განაპირობა მალაიზიის ეკონომიკის საერთო ჩამორჩენა და მისი ცალმხრივი ხასიათი. მოგებას გამოდევნებულნი ინგლისელი მონოპოლისტები გამალებით ავითარებდნენ მინერალური და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მხოლოდ რამდენიმე სახეობის, უწინარეს ყოვლისა, კალისა და კაუჩუკის წარმოებასა და პირველად დამუშავებას. ახლაც ძირითადი პოზიციები ეკონომიკაში უცხოეთის ფირმებს ეკუთვნით. გარდა ინგლისის მონოპოლიებისა, რომლებიც მალაიზიაში დიდი ხანია დამკვიდრდნენ,

ბოლო წლებში აქ აქტიურად იკიდებს ფეხს ამერიკული, იაპონური და დასავლეთგერმანული კომპანიები, რომლებსაც იზიდავს მდიდარი ბუნებრივი რესურსების — კაუჩუკის, კალის, ტკინის, ბოქსიტების, ძვირფასი მერქნის ერთობლიობა, ასევე მუშახელი, საგადასახადო და სხვა შეღავათები.

სოფლის მეურნეობაში დაკავებულია მოსახლეობის დაახლოებით 60%. მალაიელები საკუთარ ბაღს „ბუმიპუტრის“ (მიწის შვილებს) უწოდებენ, მაგრამ მიწა ძირითადად გლეხებს კი არ ეკუთვნის, რომლებიც მას ამუშავებენ, არამედ უცხოელ პლანტატორებს, მემამულეებსა და მევახშეებს. კაუჩუკის დიდ კაპიტალისტურ პლანტაციებს დასამუშავებელი მიწის ⅔ უჭირავს. 1978 წ. მალაიზიაში აწარმოეს 1,646 მლნ. ტ. ნატურალური კაუჩუკი (მსოფლიო წარმოების 45%). მნიშვნელობით მეორე კულტურაა ქოქოსის პალმა (კოპრას მსოფლიო ექსპორტის 20%). აშენებენ ბანანს, ანანასს, კაკაოს, პილპილს, ზეთოვან პალმას. მთავარი სასურსათო კულტურა იყო და არის ბრინჯი, რომელიც ძირითადად ჩრდილოეთ შტატებში მოჰყავთ, მაგრამ მისი წარმოება სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას. სატყეო მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს სამთომპოვებით და ტყის დარგებს. კალის გარდა (მსოფლიო წარმოების 40%) იღებენ ნავთობს სარავაკში, რკინის და მარგანეცის მადნებს, ბოქსიტებს.

მალაიზიის მთავარი სამრეწველო ცენტრია მისი დედაქალაქი კუალა-ლუმპური და გვერდით მდებარე ქალაქი-თანამგზავრი პეტალინგ-ჯაია. დედაქალაქის ადგილას, მალაკის სრუტის დაჭაობებულ სანაპიროდან აღმოსავლეთით 40 კმ-ზე, კალის მდიდარი საბადოების ცენტრში, XIX საუკუნის შუა წლებამდე მხოლოდ პატარა დაბა არსებობდა. როგორც მალაიზიის უმეტეს ქალაქებში, კუალა-ლუმპურშიც მოსახლეობის შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია. დამახასიათებელია ქალაქის დაყოფა ევროპულ, ჩინურ, მალაურ, ინდურ კვარტალებად და არქიტექტურის სტილთა აღრევა. ქალაქის ცენტრში განიერი გამწვანებული ქუჩებია, რომელთა გასწვრივ ჩამწკრივებულია „კოლონიური სტილის“ შუშაბანდიანი, გუმბათიანი, შპილიანი სახლები და მრავალი აივნითა და ვერანდით დამშვენებული თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები. ჩინურ კვარტალებში დაინახავთ ვიწრო ქუჩებს, მრავალიარუსიან კრამიტის სახურავიან პაგოდებს, უამრავ სხვადასხვა დუქანს. მალაის რაიონებში დგას დაფერდებული ერთსართულიანი მიწისიატაკიანი სახლები, რომლებზეც მეჩეთების გუმბათებია ამოშართული.

მალაიზიის მთავრობა საგარეო პოლიტიკაში ადგას მიუმხრობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კურსს. ყველა სახელმწიფოსთან, მოითხოვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის ზონად გადაქცევას.

მალდივი

მალდივის რესპუბლიკა.
ფართობი — დაახლოებით 300 კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 150 ათასი კაცი.
დედაქალაქი — მალე (17,5 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — მალდივური.

ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, მარჯნის კუნძულების მწკრივში მდებარეობს მალდივის სახელმწიფო. არქიპელაგს შემადგენლობაშია დაახლოებით 2 000 კუნძული, მაგრამ დასახლებულია მხოლოდ 218.

უძველესი დროიდან არქიპელაგზე დასახლდა ინდოეთიდან და ცეილონიდან, ასევე მალაიიდან და არაბული ქვეყნებიდან გადმოსული ხალხი.



მძიმეა მალდიველი მეთევზეების შრომა. გარიქრაზე გადიან ისინი ზღვაში, სადაც ჩვეულებრივი ანკესით თევზებს იჭერენ.



XV საუკუნის ბოლოდან აქ დაიწყეს მოსვლა ევროპელმა კოლონიზატორებმა — პორტუგალიელებმა, ჰოლანდიელებმა, ხოლო შემდეგ ინგლისელებმა. 1887 წ. ინგლისელებმა მალდივების სულთანს თავს მოახვიეს ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ. მხოლოდ 1965 წ. მალდიველი ხალხის ბრძოლამ აიძულა ინგლისი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობა მიეცა. 1968 წ. მალდივში რესპუბლიკა გამოცხადდა. მის სათავეში დგას პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტს (მეჯლისს) ეკუთვნის. პარტიები და პროფკავშირები არ არსებობს.

ქვეყნის ეკონომიკა სუსტადაა განვითარებული. მეურნეობის საფუძველია მეთევზეობაა. რეწვის 70%-ზე მეტი მოდის თინუსზე, რომელიც მზეზე გამოჰყავთ და საექსპორტოდ გააქვთ. იჭერენ ზღვის კუს, მოიპოვებენ მარგალიტს, მარჯანს, ნიჟარებს.

აშენებენ ქოქოსის პალმას, პურის ხეს, პაპაიას, ბანანს, ციტრუსებს. მიწის სიმცირის გამო, კვების პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი (ბრინჯი, შაქარი) სამხრეთ აზიის მეზობელი ქვეყნებიდან შემოაქვთ.

მონღოლეთი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 1565 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 1,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ულან-ბატორი (402,9 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — მონღოლური.

მონღოლეთი აზიის შუაგულში მდებარეობს. მისი ტერიტორიის უმეტეს ნაწილს სტეპების მწვანე ხალიჩა ფარავს. სამხრეთში ეს სტეპები ნახევრად უდაბნოებსა და უდაბნოებში გადადიან. ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში გაწოლილია ქედები, რომლებიც თითქმის მთლიანად დაფარულია წიწვოვანი და შერეული ტყეებით. ტყეებში ბინადრობს ჯიქი, არჩვი, დათვი, ფოცხვერი, მარალი, სიასამური, ციყვი. ყველაზე მაღალი მწვერვალი მუნხ-ჰაირხან-ულა (4362 მ.) მონღოლეთის ალტაიში მდებარეობს.

მონღოლეთის ჰავა მკვეთრად კონტინენტურია. ზაფხულში სიცხე +40°-ს აღწევს, ზამთრობით ტემპერატურა —40°-მდე ჩამოდის. ზამთარში სტეპებში დათარეშობს ქარი.

სტეპის ზონაში თვალუწვდენელ საძოვრებზე ძოვს საქონელი — მონღოლი ხალხის მთავარი სიმდიდრე. მოსახლეობის 40% სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. მონღოლეთში აშენებენ ცხენებ-



სა და აქლემებს, ცხვრებს და თხებს, მსხვილფეხა რქიან საქონელს, იაკებს. მოსახლეობის ერთ სულზე საქონლის რაოდენობის მიხედვით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საქონელი მონღოლებს აძლევს საკვებს (ხორცი, რძე, ყველი), მატყლს ტანსაცმლისათვის, ქეჩას ალაჩოყისათვის და ტყავს — ფეხსაცმლისათვის.

მონღოლი გლეხები — არატები — უძველესი დროიდან მომთაბარეობდნენ, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკის მთავარი დარგის — მეცხოველეობის განვითარებას. იგი აბრკოლებდა გამოეყვანათ კარგი, მაღალპროდუქტიული საქონლის ჯიშები, ებრძოლათ მათი დაავადების, სტიქიური უბედურების წინააღმდეგ: ყველაზე საშინელი უბედურება იყო თეთრი ძუტი. იგი ზამთარში იცის ხოლმე. მძაფრი ქარი სტეპებს ყინულივით მკვრივი თოვლის ფენით ფარავს. საქონელს არ შეუძლია ფეხით მოჩიჩქნოს იგი, რომ საკვები მოიპოვოს და თუ მომთაბარეთა სადგომებში თივის და სხვა საკვების საკმარისი მარაგი არაა, ნახირს დაღუპვა ემუქრება.

მონღოლეთის სახელმწიფო მრავალი საუკუნის განმავლობაში ტომთა გაერთიანების, ან შედარებით სუსტი ტომების ძლიერი ტომებისადმი დამორჩილების შედეგად ყალიბდებოდა. ეს პროცესი XIII ს. ჩინგის ყაენმა დაასრულა. მან გაილაშქრა ჩრდილოეთ ჩინეთში, შუა აზიაში, ირანში, ამიერკავკასიაში. მისმა მემკვიდრეებმა დაიმორჩილეს ჩინეთი, დაიპყრეს ირანი, მივიდნენ ალმოსავლეთ ევროპამდე და ჩრდილოეთ ინდოეთამდე. მაგრამ სხვისი მიწების დაპყრობა არ აუმჯობესებდა მონღოლი მესაქონლეების ცხოვრებას. ისინი უწინდებურად მომთაბარეობდნენ თავიანთ ნახირთან ერთად სტეპებში, იყვნენ ფეოდალი ყაენებისა და რელიგიური ბანგის ტყვეობაში. ქვეყანაში არ წყდებოდა მონღოლი ფეოდალების შინაომები. ეს ომები ოთხი საუკუნე გაგრძელდა, შემდეგ კი შინაომებით დასუსტებული მონღოლეთი ჩინეთის მანჯურიელმა მბრძანებლებმა დაიპყრეს და ციწინის იმპერიის კოლონიად აქციეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით გაძლიერდა მონღოლი ხალხის ბრძოლა ადგილობრივი ფეოდალებისა და ჩინელი მილიტარისტების წინააღმდეგ, რომელთა ჯარებმა მონღოლეთის ოკუპაცია მოახდინა. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, რომელიც 1921 წელს შეიქმნა გამოჩენილი რევოლუციონერების სუხე-ბატორისა (1893—1923) და ჩოიბალსანის (1895—1952) მიერ. მონღოლეთში წარმოიშვნენ პარტიზანული რაზმები, რომელთაგანაც შემდგომში შეიქმნა სახალხო რევოლუციური არმია. 1921 წ. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყანაში მოხდა ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია. 1921 წლის 6 ივლისს მონღოლეთის სახალხო რევოლუციურმა არმიამ, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, რომლებიც ციმბირში დამარცხებული თეთრგვარდიელ ბანდებს მისდევდნენ, გაათავისუფლეს მონღოლეთის დედაქალაქი ურგუ. 1921 წლის 11 ივლისს შეიქმნა პირველი სახალხო მთავრობა. ამ დროიდან 11 ივლისი ყოველწლიურად აღინიშნება როგორც ეროვნული დღესასწაული — სახალხო რევოლუციის გამარჯვების დღე.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის პროგრამას საფუძვლად დაედო ლენინის მოძღვრება. რუსეთ 1921 წ. ნოემბერში მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის დელეგაცია, ვლადიმერ ილიას ძე დიდხანს ესაუბრა სუხე-ბატორსა და მონღოლი ხალხის სხვა წარგზავნილებს მონღოლეთის მომავალზე, სოციალიზმისაკენ მიმავალ გზებზე, საბჭოთა და მონღოლ ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების მნიშვნელობაზე. 1921 წლის 5 ნოემბერს მოსკოვში, კრემლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მონღოლეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ.

1924 წლის ნოემბერში საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ — დიდმა სახალხო ხურალმა (სახალხო წარმომადგენელთა სრუ-



წისქვილკომბინატი ულან-ბატორში, რომელიც საბ-ჭოთა კავშირის დახმარე-ბით აშენდა.

ლიან-მონღოლეთის კრება) მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების თანასწორობა (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობის 90%-ზე მეტი მონ-ღოლებია; ქვეყანაში ცხოვრობენ ყაზახები, ტუვე-ლები და სხვა ხალხები). კონსტიტუციამ გამოაცხა-და აგრეთვე ქალების თანასწორუფლებიანობა, სი-ტყვისა და პრესის თავისუფლება. საერთო-სახალ-ხო საკუთრებად გამოცხადდა მთელი მიწა, მისი წიაღი, აგრეთვე ქვეყნის წყლები და ტყეები.

რევოლუციამდე მონღოლეთი აზიის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. საქონლის სულადობის ნახევარზე მეტი ფეოდალებს და ლა-მაისტურ მონასტრებს ეკუთვნოდა (ლამაიზმი — ბუდიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა). აქ ასობით მონასტერი იყო. ლამები (ბერები) ქვეყნის მამა-კაცთა მესამედზე მეტნი იყვნენ. ყოველ ოჯახს მო-ნასტრისთვის უნდა გადაეცა პირველი ვაჟი. უუფ-ლებო არატები დიდძალ გადასახადს და ბეგარას იხდიდნენ. ქვეყანაში ხშირად მძვინვარებდა ეპი-დემიები, მაგრამ საავადმყოფოები და ექიმები არ იყო, სკოლებიც კი არ არსებობდა, რომ არაფერი ვთქვათ უმაღლეს სასწავლებლებზე. მოსახლეობის 99% წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

მონღოლეთმა სახალხო ხელისუფლების წლებ-ში საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებით დიდ წარმატებებს მიაღ-წია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ახლა მონღოლეთი აგრარულ-ინდუსტრიული სო-ციალისტური სახელმწიფოა, რომელსაც აქვს კო-ოპერირებული სოფლის მეურნეობა და განვით-არებადი მრეწველობა.

ქვეყანაში ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, ხორციელდება საყოველთაო სა-ვალდებულო რვაწლიანი უფასო სწავლება სას-კოლო ასაკის ბავშვებისათვის. ყოველწლიურად ას-ობით მონღოლი ჭაბუკი და ქალიშვილი ჩამოდის საბჭოთა კავშირში უმაღლეს და საშუალო სპეცი-ალურ სასწავლებლებში, ასევე პროფესიულ-ტექნი-კურ სასწავლებლებში განათლების მისაღებად. საბჭოთა საწარმოებში პრაქტიკასა და სტაჟირებას გადიან მონღოლი სპეციალისტები, ხოლო ინს-ტიტუტებში ამზადებენ და იცავენ დისერტაციებს მეცნიერ-მუშაკები.

მონღოლეთის სტეპებში აღმოცენდა ქალაქები, ეს, უპირველეს ყოვლისა, აიმაყური (საოლქო) ცენტრებია. ქალაქის იერი მიიღო სომონურმა (რა-იონულმა) ცენტრებმა. იზრდება და კეთილმოწყო-ბილი ხდება მუშათა დაბები ქვანახშირის შახტე-ბის, მაღაროების, რკინიგზის სადგურების გარშემო.

წარსულში ურგა ერთადერთი ქალაქი იყო მონღოლეთში. იქ იდგა მხოლოდ ერთი ქვის შენო-ბა — რუსეთის წარმომადგენლობა. ქალაქში იყო ათასობით ალაჩოყი და ათეულობით მონასტერი, რომელთა შუაში ამოვარდნილი იყო ლამაელთა უცნაური შენობები. 1924 წ. ურგას სახელი შე-ეცვალა და ულან-ბატორი ეწოდა („წითელი გმი-ლიათი“). ამჟამად მონღოლეთის სახალხო რესპუბ-

ლიკის დედაქალაქი სწრაფად მზარდი თანამედროვე ქალაქია.

ულან-ბატორი რესპუბლიკის ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურის მთავარი ცენტრია. მისი საწარმოებიდან ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის თითქმის ნახევარს იძლევა. ჩოიბალსანის სახელობის სამრეწველო კომბინატი ამზადებს ქეჩას და მალის ქსოვილებს, გამოაქვს ტყავი. ამ ტყავიდან აქმე ყურავენ პალტოებსა და ქურთუკებს, ფეხსაცმელს და სხვა ნაწარმს, რომელთაც აგზავნიან მაღაზიებში და საექსპორტოდ დაქალაქმია თავმოყრილი რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებელი: უნივერსიტეტი, სამედიცინო და სამხედრო ინსტიტუტები, უმრავლესი სკოლა და მეცნიერებათა აკადემია.

ელექვნულად დემოსასწაულების დღეებში დედაქალაქის ნაღმის მოედანზე იმართება ტრადიციული შეჯიბრებები: ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, ჭიდაობა. ბავშვები ორიან ცხენოსნობას 4—5 წლის ასაკიდან სწავლობენ, ხოლო 8—9 წლიდან დიდებთან ერთად შეჯიბრებებში პრიზებს ეზიარებიან. დიდი პოპულარობით სარგებლობს ახლა მონღოლეთში ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა.

სწრაფად ვითარდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობა. მისი საერთო პროდუქცია უკვე 1970 წ. 1940 წლთან შედარებით თითქმის 14-ჯერ გაიზარდა. მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობამ (1976 წ.) დაამტკიცა „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში“. ამ ხუთწლედში გათვალისწინებული იყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გაზრდა 60—65%.

მას შემდეგ, რაც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შევიდა (1962 წ.) უფრო მეტად გაფართოვდა და მისი თანამშრომლობა მთძმე სოციალისტურ ქვეყნებთან. ბევრ მნთგანს მონღოლეთი აწვდის ნედლეულსა და ტყავის ნაწარმს, ბეწვის ტანსაცმელს, ძარცვლეულსა და ფქვილს, ძაღანს გაიზარდა ექსპორტი ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების დახმარებით მონღოლეთის დღესტფორ ულ განგითარებაში მათი დახმარებით შენდება ტრიდან ჩრდილოეთით აგებული ახალი სამრეწველო ცენტრი — ქალაქი დარხანი. აქ საბჭოთა და მონღოლეთის გეოლოგიურმა ექსპედიციებმა აღმოაჩინეს რკინის მადნის, ქვანახშირის და სამშენებლო მასალათა წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის დიდი მარაგი. ამ ბაზაზე დაიხანში აშენდა სხვადასხვა კომპლექსი: მანქანათმშენებლობის, ქვანახშირის შახტები და მაღაროები, ცემენტისა და აგურის ქარხნები, მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, ფეიქრული, ტყავსაკერავი, დარხანის მშენებლობაში მონღოლ ხალხს დაეხმარნენ საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და სხვა მოძმე ქვეყნები.

რა არის გამოსახული მონღოლეთის დროშაზე

დროშაზე გამოსახულია: სუთქიმიანი ვარსკვლავი, მის ქვემოთ ალი, მერე რგოლი, მერე დაწოლილი ნამგალა მთვარე, სამკუთხედები, მართკუთხედები, ისევ რგოლი — ორი თეთრი, ვერტიკალურად აღმართული ორი გრძელი მართკუთხედი. ეს სიმბოლოა — მონღოლი ხალხის ძველი ეროვნული ემბლემა.

ალის სამი ენა განასახიერებს ცხოველების სიტბოს წარსულში, აწმყოსა და მომავალში; მის ქვემოთ მზე და ნამგალა მთვარეა. ძველი ლეგენდა ამბობს: „მონღოლთა წინაპარი მთვარის პირველი მეოთხედია, ხოლო დედა—ნათელი მზე“. ერთად აღებული ეს სამი სიმბოლო — ცხცხლი, მზე და მთვარე ისე უნდა გავიგოთ, როგორც პიმნი ხალხისა, რომელიც ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებს, მაგრამ ხალხის სიცოცხლეს დაცვა სჭირდება და ამიტომ მას დარაჯობს მიწაში ჩასობილი ორი შუბის წვეტი. ორი ჰორიზონტალური მართკუთხედი ნიშნავს: „დაე, მთელი ხალხი თავიდან ბოლომდე იყოს გულწრფელი და პატიოსანი“ მათ შორის არის თვალგახელილი ორი თევზის გამოსახულება, თევზები გონიერებისა და სიბრძნის, მაშაკაცისა და ქალის სიწყისების სიმბოლოა. ვერტიკალური მართკუთხედები, რომლებშიც ჩასმულია ემბლემა, თითქოს მას ციხესიმაგრის გალავანში აქცევს. გამოსატავს ანდაზას: „ერთად მყოფი ორი მეგობარი ქვიტკირის კედელზე მაგრია“. სოლო ემბლემის თავზე გამოსახული სუთქიმიანი ვარსკვლავი ახალი ცხოვრების ცისკარია — სოციალიზმმა შესაძლებლობა მისცა მონღოლ ხალხს გაეფანტა ფეოდალიზმის წყვდიადი.

მთა ერდენტილის („საუნჯის ბორცვი“) ახლოს, სადაც აღმოჩენილია სპილენძისა და მოლიბდენის უმდიდრესი საბადო, საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების დახმარებით შენდება სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იქნება. აქ გაიზრდება ახალი ქალაქი. მასთან უკვე მიყვანილია რკინიგზა.

სხვაგვარად ცხოვრობენ ახლა მონღოლი მესაქონლეებიც. მათი მეურნეობები კოოპერატივებშია გაერთიანებული. სახელმწიფო მათ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მეშვეობით ტექნიკურ დახმარებას უწევს. მესაქონლის ალაჩოყში ახლა ბევრი ისეთი რამაა, რაზედაც ადრე არატს ოცნებაც კი არ შეეძლო: თანამედროვე ავეჯი, რადიომიმღებები, წიგნები და ჟურნალები, ტელევიზორები. სტეპებში გაშენდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კეთილმოწყობილი კარმიდამოები, რომელთაც აქვთ გამართული ბინები, კარგად მოწყობილი საქონლის ეზოები, სატრაქტორო სახელოსნოები, გარაჟები. ბევრი არატი მომთაბარეობიდან მკვიდრ ცხოვრებაზე გადავიდა.

მონღოლეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების განვითარებას. ამ ცოტა ხნის წინათ ლამაისტური რელიგია მორწმუნეებს უკრძალავდა: „მიწას ძილს ნუ დაუფრთხობთო,— ნიადაგს ნუ დააშუშავებთო“, მაგრამ მონღოლებმა დაძლიეს ეს რელიგიური ცრურწმენაც. კოოპერატივებსა და სახელმწიფო მეურნეობებს მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ფეტვი, შვრია, სიმინდი, ბოსტნეული, საკვები კულტურები. ვითარდება მებაღეობაც, რაც მონღოლეთისათვის წინათ უცხო იყო.

მონღოლი ხალხი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის (დაარსდა 1921 წ.) ხელმძღვანელობით ამთავრებს სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტია კი თავის რიგებში ითვლის ათეულ ათასობით მოწინავე მუშას, არატს და ინტელიგენციის წარმომადგენელს. პარტიის მებრძოლი თანაშემწე და საიმედო რეზერვია მონღოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირი, რომელიც 1921 წ. შეიქმნა. მონღოლეთის პიონერული ორგანიზაცია, რომელიც სუხე-ბატორის სახელს ატარებს, 1925 წლიდან არსებობს.

მონღოლეთში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მონღოლეთი ხომ სოციალიზმში გადადის განვითარების კაპიტალისტური სტადიის გვერდის ავლით, უშუალოდ ფეოდალიზმიდან. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გზა მაგალითია აზიისა და აფრიკის ბევრი ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის, რომლებიც გათავისუფლდნენ კოლონიური უღლისაგან.

კაპიტალისტური სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ცდილობდნენ უგულვებელეყოთ მისი არსებობა. მაგრამ იმპერიალისტების ცდებმა მიზანს ვერ მიაღწია. 1961 წ. მონღოლეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღეს. 1976 წლის ნახევრისათვის მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს 79 ქვეყანამ.

მონღოლ და საბჭოთა ხალხებს დიდი ხნის ურყევი მეგობრობა აკავშირებთ. ეს მეგობრობა განმტკიცებულია სისხლით, რომელიც ერთობლივად დაღვარეს მათ მონღოლეთის სახალხო რევოლუციის წლებში, აგრეთვე, იაპონიის აგრესიის მოგერიების დროს ხალხინ-გოლის რაიონში (1939). მონღოლმა ხალხმა დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა ადამიანებს დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში: იგი გვიგზავნიდა სურსათს, მატყლს, ტყავს, საბჭოთა არმიას საჩუქრად გადასცა სატანკო კოლონა „რევოლუციური მონღოლეთი“ და ავიაესკადრილია „მონღოლი არატი“, ხოლო როცა 1945 წელს საბჭოთა არმიამ საომარი მოქმედება დაიწყო შორეულ აღმოსავლეთში იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმია მოქმედებდა საბჭოთა იმიერბაიკალის ფრონტის არმიასთან ერთად.

1976 წელს სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელმაც შეცვალა ანალოგიური 1946 წლის ხელშეკრულება. ხელშეკრულება წარმატებით უწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების საქმეს.

ნეპალი

ნეპალის სამეფო.
ფართობი — 140,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 13 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კატმანდუ (180 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ნეპალური.



ნეპალის თითქმის მთელი ტერიტორია ჰიმალაის მთების ფარგლებშია მოქცეული. აქ მდებარეობს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (ევერესტი) 8848 მ. დიდსა და პატარა ჰიმალაის მთებს შორის მდებარეობს „ჰიმალაის მარგალიტი“ — კატმანდუს ხეობა — მცირედტალღოვანი ადგილი, რომელიც ყოველი მხრიდან მთებითაა გარშემორტყმული. მთების კალთები თავიდან ბოლომდე დასერილია ვიწრო ტერასებით, რომლებზეც ბრინჯს თესავენ. ტერასები ადამიანთა მრავალი თაობის ტიტანური შრომის ნაყოფია.

ნეპალი დიდი ხანია სამეფოა, მაგრამ მისი ისტორია ისე წარიმართა, რომ 1846 წლიდან ქვეყანას ფაქტიურად დიდი ბრიტანეთის მიერ დანიშნული რანის ფეოდალთა ოჯახების წევრები მართავდნენ. ისინი დაეხმარნენ კოლონიზატორებს ნეპალი არსებითად ინგლისის პროტექტორატად გადაექციათ. რანის ოჯახთა წევრებს ეკავათ ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პოსტი და მათ თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ.

თუმცა ნეპალი ფორმალურად არ ყოფილა ინგლისის კოლონია, მაგრამ კატმანდუში მუდმივად იმყოფებოდნენ ინგლისელი რეზიდენტები. მათთან მორიგების საფუძველზე ქვეყნის მმართველები ინგლისის კოლონიურ არმიაში აყენებდნენ ათობით ათას ნეპალელ ჯარისკაცს — გურკხს. მათ ღარიბ გლეხებს შორის აგროვებდნენ და თითოეულ მათგანში 25 ინგლისურ გირვანქა სტერლინგს იღებდნენ.

1951 წ. ნეპალელი პატრიოტების შეიარაღებული გამოსვლის შედეგად რანის ბატონობა დაემხო. ნეპალი კონსტიტუციური მონარქია გახდა. შეიქმნა ეროვნული ფანჩაიათი — საკანონმდებლო ორგანო, რომლის წევრთა ნაწილი ირჩევა პროვინციათა ფანჩაიათების მიერ, ხოლო ნაწილს მეფე ნიშნავს.

ამ ცოტა ხნის წინ ქვეყანა ნამდვილი შუა საუკუნეების პირობებში ცხოვრობდა. თითქმის მთელი მიწა მემამულეებს ეკუთვნოდა, გლეხები კი ვალდებული იყვნენ მიწის მფლობელთათვის მიეცათ აღებული მოსავლის დიდი ნაწილი. 1963 წელს ეროვნულმა ფანჩაიათმა მიიღო კანონები, რომელმაც ფეოდალიზმის ზოგიერთი გადმონაშთი აღკვეთა. კერძოდ, მიიღეს ზომები ფეოდალთა თვითნებობის შესაზღუდავად: აეკრძალათ გლეხი-მოიჯარეების მიწიდან გარეკვა, შემცირებულია საიჯარო გადასახადი, დადგენილია მიწის ნაკვეთების მაქსიმალური ზომები. ზედმეტი მიწები უნდა გამოისყიდონ ფეოდალებისაგან და მიჰყიდონ გლეხებს.

ნეპალი აგრარული ქვეყანაა, მისი მოსახლეობის 93% სოფლის მეურნეობას მისდევს. სამხრეთში, ტერაებში — ქვეყნის მთისწინა ძალიან ტენიან და ყველაზე ცხელ მხარეში მოჰყავთ ბრინჯი, ჯუთი, შაქრის ლერწამი, თამბაქო. შუა ნეპალის ხეობებში, სადაც ჰავა უფრო ზომიერია, მოჰყავთ ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, ხოლო ჩრდილოეთ ნეპალის ხეობებში — ამტანი კულტურები: კარტოფილი, შვრია, სიმინდი, ქერი. მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა მესაქონლეობაა.

ნეპალში ძველთაგანვე განვითარებული იყო კუსტარული სარეწები: ბამბუკის კალათების მოწვნა, სამეთუნეო ნაწარმთა, შალის ქსოვილთა, ხალიჩების წარმოება.

მრეწველობის ჩასახვა ახლა ხდება. თავდაპირველად ინდოეთის საზღვრების მახლობლად აღმოცენდნენ ჯუთის, ასანთის და სხვა პატარ-პატარა ფაბრიკები. ქალაქ ბირგანჯში 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის დახმარებით აიგო შაქრისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხნები. ჯანაკპურში საბჭოთა სპეციალისტებმა ნეპალელებთან თანამშრომლობით ააშენეს სიგარეტის ფაბრიკა. ეს



სიგარეტის ქარხანა ჯანაკპურში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აიგო.

პირველი თანამედროვე სამრეწველო საწარმოებია ნეპალში. წარმოიშვა სამრეწველო საწარმოები კატმანდუს ირგვლივ — ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკა, აგურ-კრამიტის ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური.

1956 წლამდე კატმანდუში ჩასვლა ქვეყნის სამხრეთ რაიონებიდანაც კი მხოლოდ ფეხით, მთის ვიწრო ბილიკებით იყო შესაძლებელი. ამ გზის გავლას ბევრი დრო სჭირდებოდა. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ მეჯინიბეებს — ყუ-ლებს — დიდებულები დედაქალაქში საგანგებო ტახტრევნებით — პალანკინებით მოჰყავდათ. ყუ-ლებს ზურგით გადაჰქონდათ ავტომანქანები, რომლებიც ქვეყნის მმართველობისათვის საზღვარგარეთ იყო ნაყიდი; ასევე ეზიდებოდნენ ძეგლებსაც კი, რომლებიც საზღვარგარეთ იყო ჩამოსხმული და კატმანდუს მოედნებზე უნდა დაედგათ.

ნეპალის დედაქალაქი გარესამყაროსთან გზატკეცილებმა მხოლოდ 1965 წ. დააკავშირა. ამაზე ადრე ქვეყანაში პირველი თვითმფრინავებიც გამოჩნდა. 1975 წ. გაიხსნა საქალაქთაშორისო ტროლეიბუსის ხაზი კატმანდუსა და ბჰაგტაპურს შორის (14 კმ).

საბჭოთა მშენებლებმა ქვეყნის სამხრეთში გაიყვანეს ჯანაკპურსიმრას გზატკეცილი (ბირგანჯის მახლობლად). ეს იყო ნეპალისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მაგისტრალის პირველი რგოლი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სახელმწიფოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილს. სანამ ასეთი გზა არ არსებობდა, იძულებული იყვნენ ტვირთი ქვეყნის ერთი ნაწილიდან მეორეში ტრანზიტად, ინდოეთის გავლით გადაეზიდათ. გაყვანილია გზები კატმანდუდან დასავლეთით — პოკჰარაში, იქიდან კი სამხრეთით — ინდოეთის საზღვრამდე. გაიყვანეს გზა კატმანდუდან ჩრდილოეთით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტიბეტის ავტონომიურ რაიონამდე.

ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ახალი და ძველი ერთმანეთის გვერდიგვერდაა. ახალს ერთბაშად ვერც კი შეამჩნევთ ძველ ტაძრებსა და პატარა-პატარა რელიგიურ ძეგლებს შორის, ხმაურიანი ქუჩის კალეიდოსკოპში. ძველი სახლების ნაცვლად აშენებენ თანამედროვე არქიტექტურულ ნაგებობებს. ნეპალელთა საცხოვრებელი სახლები თვითმყოფადი ეროვნული სტილითაა ნაგები. ისინი აგურით ნაშენი და კირით შეფეთქილი ორსართულიანი სახლებია. ბევრ მათგანს ფასადი ხისა აქვს, კრამიტის სახურავი წინ გამოდის და ქმნის ლავგარდანს და დაქანებულ ბიჯგებს ეყრდნობა. ფანჯრები, კარები, ლავგარდანები ფანტასტიკური სახეებითაა მოხატული.

ქუჩაში ჭრელი ხალხი ირევა. გამვლელთა შორის შეგხვდებათ ტვირთის მზიდავები, ზურგზე ბამბუკის გოდრები რომ აქვთ წამოკიდებული, ფეხშიშველი მთიელები, აბრეშუმის ყვითელ მოსასხამში გახვეული ნელი ნაბიჯით მიმავალი ბუდელი ბერები. მამაკაცთა უმრავლესობა თეთრ შარვალს, თეთრ გრძელ ჩამოშვებულ პერანგს, შავ ჟილეტს ან პიჯაკს და ნაჭრის პატარა ქუდს ატარებს. ქალები ჩვეულებრივ იცვამენ სრულ კოფ-

სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ნეპალელი მწყემსები. შორს მოჩანს ჰიმალაის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის დხაულაგირის მთა (8221 მ).

თას, ქამართან ასხმულ გრძელ ქვედატანს და იხურავენ თავშალს, რომელიც თავსა და მხრებს უფარავთ.

დედაქალაქის ქუჩებში ნეპალელებს გარდა შეიძლება შეხვდეთ ნეპალში მცხოვრებ თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენელს; ესენია: ნევარები, კირანტები, მაგარები, გურუნგები, შერპა, ლეპჩა.

დედაქალაქში რამდენიმე კოლეჯია, მათ შორის სამასწავლებლო, აგრეთვე, სამედიცინო და იურიდიული სკოლები, უნივერსიტეტი.

არის ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, მუზეუმი. ძველი ტაძრების სილუეტებს მიღმა აღმართულია რადიომაუწყებლობის სადგურის ანძა. ნეპალში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ 97%-მა წერა-კითხვა არ იცოდა, ახლა დაწყებითი სკოლებია გახსნილი ჰიმალაის მრავალ შორეულ სოფელშიც კი.

ჩვენს ქვეყანასა და ნეპალის სახელმწიფოს შორის ვითარდება ეკონომიკური და კულტურული კავშირი. ნეპალელი სტუდენტები სწავლობენ საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა სპეციალისტები მიემგზავრებიან ნეპალში, რათა დაეხმარონ მათ მეურნეობის განვითარებაში.

1922 წლის კონსტიტუციის მიხედვით ნეპალი კონსტიტუციური მონარქიაა. მთელი ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს, რომელიც ნიშნავს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის წევრებს, მთავარ მოსამართლეს, უმაღლესი სასამართლოს წევრებსა და სხვა მსხვილ მოხელეებს. პარლამენტის როლს ასრულებს ეროვნული ფანჩაიათი.

საგარეო პოლიტიკაში ნეპალი იცავს მიუმხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, მოითხოვს განიარაღებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ᲝᲛᲐᲜᲘ

ომანის სასულთნო.
ფართობი — 212,4 ათასი კმ² (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით)
მოსახლეობა — 750 ათასი კაცი (გაეროს შეფასებით; 1,6 მლნ. მთავრობის აზრით).
დედაქალაქი — მასკატი (დაახლოებით 85 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

ომანს უკავია არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთი. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაბალ პლატოზე (200—500 მ) მდებარეობს. ომანის ყურის სანაპიროს პარალელურად გადაჭიმულია მთები (მწვერვალი შამი — 3353 მ). მთებსა და ზღვას შორის მდებარეობს ვიწრო ელბატინის დაბლობი. ომანის ჰავა ძალზე ცხელი და მშრალია.

ქვეყნის ისტორია საუკუნეების სიღრმეშია იკარგება. ომანის სანაპიროზე, როგორც ჩანს, მსოფლიოში პირველად დაიწყეს დიდი იალქნიანი გემების მშენებლობა. დახელოვნებული ომანელი მეზღვაურები სავაჭროდ გემებით სამხრეთ ჩინეთამდე მიდიოდნენ.



VII საუკუნეში ისლამის გავრცელებასთან ერთად აქ შეიქმნა ძლიერი თეოკრატიული სახელმწიფო — საიმამო. მას თავდაპირველად მართავდნენ იმამები, რომელთა ხელში იყო არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო, არამედ სასულიერო ძალაუფლებაც. ქვეყნის შიგა და სანაპირო რაიონების ფეოდალების ძმათაშორისმა ომმა XVIII ს. ქვეყანა გათიშვამდე მიიყვანა.

ქალაქ მასკატში დამკვიდრებულმა იმამთა დინასტიის მმართველებმა საკუთარ თავს სულთნები უწოდეს (რაც არაბულად „მბრძანებელს“ ნიშნავს). XIX საუკუნეში მასკატის სასულთნოს სამფლობელოებს აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ნაწილი ეჭირა (შემდეგში გამოიყო ზანზიბარის სასულთნო).

ქვეყნის ხელსაყრელი მდებარეობა იპყრობდა კოლონიური სახელმწიფოების ყურადღებას. ყველას აჯობა ინგლისმა, რომელმაც მასკატის სულთნებს თავს მოახვია პროტექტორატი. ხალხის მასები ილაშქრებდნენ კოლონიალიზმის ამ ფორმის წინააღმდეგ და ამავე დროს ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ შეერთებოდნენ ომანის საიმამოს, რომელიც დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

მაგრამ 1955 წ. ქვეყნის შიგა რაიონებში ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენასთან დაკავშირებით კოლონიზატორებმა საიმამოს წინააღმდეგ ჭარბი ძალები გაგზავნეს და რამდენიმე წლის ომის შემდეგ აიღეს მისი დედაქალაქი ნაზვა და ძირითადი ცენტრები. 1970 წლიდან ქვეყანას ომანის სასულთნო ეწოდება.

ომანი აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს სათავეში სულთანი დგას.

ინგლისმა ფორმალურად უარი თქვა პროტექტორატის რეჟიმზე ომანში, მაგრამ მისი გავლენა ქვეყანაში ჯერ ისევ ძალზე დიდია. კუნძულ მასირასა და ქალაქ სალალაში რჩება ინგლისის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები. ომანის ხალხი იარაღით ხელში განაგრძობს ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის, ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის. ბრძოლას ხელმძღვანელობს ომანის გათავისუფლების სახალხო ფრონტი.

ომანი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის 90%-ზე მეტი მიწათმოქმედებას (ოაზისებში) და მომთაბარე მესაქონლეობას მისდევს. მთავარი კულტურებია — ფინიკი, ლიმონი, ბროწეული, მანგო, ბანანი. განვითარებულია მეთევზეობა.

1967 წლიდან წარმოებს ნავთის სამრეწველო მოპოვება (16,1 მლნ. ტ. 1978 წ.), რომელსაც კონტროლს უწევს ინგლის-ჰოლანდიის კაპიტალი. ნავთობის საბადოები დაკავშირებულია ნავსადგურ ელ-ფახლთან (მატრაჰის მახლობლად) ნავთობსადენით (300 კმ). რკინიგზები არ არის. ავტომაგისტრალი მასკატს შარჯთან (არაბეთის გაერთიანებული საამიროები) აკავშირებს. შიგა რაიონებთან კავშირი საქარავნო გზებით ხორციელდება. 1972 წელს დამთავრდა საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა ქალაქ ეს-სიბაში, მასკატის მახლობლად.

ომანს გააქვს ნავთობი, ფინიკი, მზეზე გამოყვანილი თევზი, ხილი, თამბაქოს ფოთოლი, შემოაქვს სურსათ-სანოვაგე და სამრეწველო ნაწარმი.

პაკისტანი

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა.
ფართობი — 803,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 77,8 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ისლამაბადი (250 ათასზე მეტი მცხ.).
ოფიციალური ენები — ურდუ, ინგლისური და ყოველ პროვინციაში ადგილობრივი ენა.



ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით, ჰიმალაის და ჰინდუკუშის განტოტებებსა და არაბეთის ზღვას შორის მდებარეობს პაკისტანი. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებს უკავია. განსაკუთრებით მაღალია მთები ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (უმაღლესი წერტილია მთა ტირიჩ-მირი 7690 მ.). აქ მკაცრი კლიმატური პირობებია — ზაფხული გრილია, ზამთარი ცივი. სხვა რაიონებსა და მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირისათვის იყენებენ მთის კლდეკარებსა და უღელტეხილებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაიბერის კლდეკარი ავღანეთის საზღვარზე.

პაკისტანის სამხრეთ-აღმოსავლეთში გადაჭიმულია ფანჯაბის (ხუთმდინარეთი) ვრცელი ვაკე, რომელიც მდინარე ინდისა და მისი შენაკადების შლამით შეიქმნა. ქვეყნის ამ ნაწილში ყველაზე ხელსაყრელი პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. მაგრამ ჰავა ძირითადად კონტინენტური, გვალვიანია. ზაფხულის მუსონები, რომელთაც ზღვიდან ნალექები მოაქვთ, ხანმოკლეა, ხოლო დანარჩენ თვეებში კონტინენტიდან წამოსული ციკლონები ტენს მთებში ტოვებენ.

მიწათმოქმედებისათვის აუცილებელია ხელოვნური მორწყვა. ინდსა და მის შენაკადებზე შექმნილია დიდი წყალსაცავები სარწყავი არხების რთული სისტემით. ირწყვება დასამუშავებელი მიწების ნახევარზე მეტი. წყლის უკმარისობის გამო განსაკუთრებით ზარალდება წვრილი გლეხური მეურნეობები. ამავე დროს ინდისა და მისი შენაკადების ადიდების გამო პაკისტანში ხშირია გამანადგურებელი წყალდიდობა.

მთისწინეთის ზოლში ჭარბობს ნახევარუდაბნოები და სტეპები. ტყეებსა და მდელოებს პატარა ფართობები უჭირავს. აქ ბევრია ნიამორი და გარეული ცხვარი, ბინადრობენ მაიმუნები, ხოლო მტაცებლებიდან აქ გავრცელებულია ლეოპარდი, აფთარი, ბელუჯისტნური მელია. ინდ-განგის ვაკის სამხრეთი ნაწილი პაკისტანის საზღვრებში უმეტესად გადახნულია და კულტურულ მცენარეებს უჭირავს. მლაშობი და ქვიშრობები, რომლებსაც აკავებს გართხმული მარცვლოვანები, აბზინდა და ჯუჯა ბუჩქები, საძოვრებადაა გამოყენებული. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო: არწივები, სვავები, ფარშავანგები, თუთიყუშები, **ყანჩები**, უმეტეს რაიონებში ბევრია გველები, მათ შორის შხამიანებიც. მდინარეები და არაბეთის ზღვის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

პაკისტანის წიაღი ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვლეული. აღმოაჩინეს ქვანახშირის, ბუნებრივი გაზის, ქრომიტების, ქვამარილის, კირქვის და თაბაშირის საბადოები.

პაკისტანი მრავალეროვანი სახელმწიფოა. ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფებია: ფანჯაბელები, სინდხები, ბელუჯები და პატანები. მათი დასახლების მიხედვით ქვეყანა ოთხ პროვინციად იყოფა: ფანჯაბი, სინდი, ბელუჯისტანი და ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო პროვინცია (აქ პატანები ჭარბობენ). დიდი ხნის განმავლობაში დედაქალაქი ყარაჩი იყო ქვეყნის მნიშვნელოვანი სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრი. პაკისტანის ახლანდელი დედაქალაქი საგანგებოდ აშენებული ქალაქი ისლამაბადია.

ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობაა. სოფლებში ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 75%. მიწის ძირითადი ნაწილი მე-



ლაჰორის მეჩეთი ეროვნული არქიტექტურის ერთ-ერთი ულამაზესი ძეგლია.

მამულეებსა და სოფლის მდიდრებს ეკუთვნის. უმიწო და მცირემიწიანი გლეხები იძულებულნი არიან კაბალურ პირობებში იჯარით აიღონ მიწა. აქედან მომდინარეობს მეურნეობის მოძველებული მეთოდები, სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების დაბალი მოსავლიანობა. დამუშავებულ მიწებზე უმეტესად მოჰყავთ მარცვლეული (ხორბალი, ბრინჯი, ქერი, სიმინდი).

ძირითადი ტექნიკური კულტურა ბამბაა. ახარებენ შაქრის ლერწამს, ფინიკის პალმას, მთის იალაღები და სტეპის საძოვრები მეცხოველეობისათვის გამოიყენება. ქვეყანაში აშენებენ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, აქლემებს, თხებს და ცხვრებს.

ქვეყანას სჭირდება საკუთარი ეროვნული კადრები. სურათზე: სამედიცინო სასწავლებელში ქ. ყარაჩში.

მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგებია — საფეიქრო (ბამბის ქსოვილების წარმოება), კვების, სამთომოპოვებითი, განსაკუთრებით ქვანახშირის, გაზის, აგრეთვე, ქრომის მადნის მოპოვება, რომელიც საექსპორტოდ გადის. არის ცემენტის ქარხნები, მექანიკურ-საამწყობო საწარმოები, ქიმიურ-ფარმაცევტული ფაბრიკები. მრავალრიცხოვან კუსტარულ სახელოსნოში ამზადებენ საოჯახო ნივთებს, ფეხსაცმელს, ქსოვილებს, სამეთუნეო ნაწარმს.

50-იანი წლების ბოლოს კერძო კაპიტალის, განსაკუთრებით უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით, შეიქმნა სამრეწველო განვითარების კორპორაცია, რომელმაც ააგო რამდენიმე მსხვილი საწარმო, მათ შორის გემსაშენი, მანქანათსაშენი ქარხანა, რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური. მიუხედავად ამისა ქვეყანა უწინდებურად მეტისმეტად დამოკიდებულია სამრეწველო მოწყობილობის და ნედლეულის იმპორტზე, რომელიც უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და იაპონიიდან შემოდის.

პაკისტანის განვითარებას დიდად დაეტყო ქვეყნის ისტორიის სირთულე. სახელმწიფო შეიქმნა



საბჭოთა სპეციალისტები ეხმარებიან პაკისტანელებს ბუნებრივი სიმდიდრეების დაზვერვაში.

1947 წ. ინდოეთის — ინგლისის ყოფილი კოლონიის — გაყოფის შედეგად. პაკისტანის შექმნის შემდეგ მისმა მმართველმა წრეებმა, პირველ რიგში მსხვილმა მემამულეებმა, რომლებიც დახარბდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების შეპირებას „დახმარების“ თაობაზე, დაიწყეს ცალმხრივი საგარეო პოლიტიკის კურსის გატარება და პაკისტანი აგრესიული ბლოკების სეატოსა და სენტოს მონაწილედ აქციეს. 1956 წ. ქვეყანაში გამოცხადდა რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტი გახდა, მაგრამ ქვეყნის მთელი ძალაუფლება ხელთ იგდო სამხედრო დაჯგუფებამ, რომელიც სასტიკად თრგუნავდა დემოკრატიულ ძალებს და ავტონომიისათვის მოძრაობას აღმოსავლეთ პაკისტანში (ახლანდელი ბანგლადეშის რესპუბლიკა). სამხედრო ხელისუფალთა მოქმედებამ გააძლიერა დაძაბულობა ქვეყნის შიგნით.

1971 წ. მარტში აგრესიული სამხედრო წრეები თავს დაესხნენ აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობას და გააჩაღეს სისხლიანი რეპრესიები, ხოლო როცა მის კანონიერ უფლებებს მხარი დაუჭირა მეზობელმა ინდოეთმა, იმავე წლის დეკემბერში წამოიწყეს შეიარაღებული კონფლიქტი ამ ქვეყანასთან.

სამხედრო დამარცხებამ დააჩქარა ანტიხალხური რეჟიმის დამხობა. 1971 წლის დეკემბერში ხელისუფლების სათავეში ჩადგა სამოქალაქო ადმინისტრაცია. ქვეყანაში გააუქმეს კანონი, რომელიც კრძალავდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას (აღადგინეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, გარდა პაკისტანის კომუნისტური პარტიის. ეს პარტია ლეგალიზებული იქნა 1972 წ.), განახლდა პარლამენტის მუშაობა, მიიღეს ახალი კონსტიტუცია.

სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა მსხვი-

ისკანდერის ხიდი

მდინარე ინდს თითქმის ნახევარი წელიწადი მაღალ ინდს ეძახიან, სოლო შემდეგი ნახევარი წელიწადი — დაბალ ინდს. მდინარის სათავე მთებიდან ჩამომდინარე გამდნარი თოვლისა და მყინვარის წყლებით საზრდოობს, სოლო მისი ქვემოდინება უხვი მუსონური წვიმებით. მუსონური წვიმები კი წელიწადის ერთსა და იმავე დროს მოდის, ამიტომ მდინარის დონის ცვალებადობა მეტისმეტად რეგულარულია: მარტიდან სექტემბრის ჩათვლით „მაღალი ინდია“, სექტემბერში იგი კლებას იწყებს, დეკემბრიდან თებერვლამდე ყველაზე „დაბალია“. დონეებს შორის სხვაობა 7 მ-ია. ასეთი სასიათის მდინარეს ჭირვეულს ვერ უწოდებ, რადგან ყოველთვის იცი, რას შეიძლება მისგან მოელოდე.

როცა მდინარე აღიდდება და წყალი 7 მ-ზე აიწევს, სახელდახელო მასალისაგან აგებული ნებისმიერი ხიდი (და არა მარტო ხიდები), წყალს მიაქვს, ამიტომ ინდზე აგებენ განსაკუთრებულ ხიდებს, რომლებიც ორივე სეზონში გამოსადეგია. ნავებს კრავენ მსხვილი ბაგირებით, რომლებიც ქიმის ნახვრეტებშია გაყრილი, შემდეგ ნავებს ფიჩხებით ტვირთავენ, ხოლო ზემოთ ჭილოფებს აფენენ. ხიდი მზადაა. ამ ხიდით შეიძლება ერთკილომეტრიანი სიგანის მდინარეზე გადასვლა. როცა ინდი აღიდდება და მისი განი 2 კმ. მიაღწევს, ნავებს ასხნიან და ერთი ნაპირიდან მეორეზე ამ ნავებით გადადიან. ასეთ ხიდებს ისკანდერის ხიდებს ეძახიან.

თქმულებით, ისკანდერ ორრქიანმა — ალექსანდრე მაკედონელმა — ინდი (ბერძნები მას სინდჰოსს უწოდებენ) ასეთი ხიდით გადალახა. საეჭვოა ეს ხიდი დიდ სარდალს გამოეგონებინოს. ასეთი ხიდები ინდის ხეობის მცხოვრებლებს ალექსანდრე მაკედონელამდე ათასობით წლით ადრე ისევე ერთგულად ემსახურებოდნენ, როგორც ათასობით წელი მის მერე, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელი აღმოსავლური ლეგენდების საყვარელი გმირი გახდა.

ლი საწარმოები. მიიღეს და იწყებს განხორციელებას გადაწყვეტილება სოფლად აგრარული რეფორმის გატარებისა და მიწათმფლობელობის ზღვრული ნორმების დაწესების შესახებ. შემოღებულ იქნა შრომის კანონმდებლობის საფუძვლები.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საგარეო პოლიტიკის დარგშიც. პაკისტანი გამოვიდა აგრესიულ სამხედრო ბლოკ სეატოდან, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ვიეტნამთან და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. 1972 წლის ივლისში პაკისტანმა და ინდოეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, ბოლო მოეღოს კონფლიქტებს და დამყარდეს მეგობრული ურთიერთობა და მტკიცე მშვიდობა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. გადაწყვიტეს, რომ ინდოეთსა და პაკისტანს შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლად არასოდეს მიმართონ ძალადობას. 1974 წ. პაკისტანმა ცნო ბანგლადეშის რესპუბლიკა.

სსრ კავშირსა და პაკისტანს შორის ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად შეთანხმება ითვალისწინებს იმას, რომ საბჭოთა კავშირი დაეხმაროს პაკისტანს ყარაჩის მახლობლად მსხვილი მეტალურგიული ქარხნის, აგრეთვე თბოელექტროსადგურის და სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო და სამეურნეო ობიექტების მშენებლობაში.

1978 წელს პაკისტანში მოხდა გადატრიალება და მთელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელში აღმოჩნდა. იგი არის სახელმწიფოს მეთაური, მთავარი სამხედრო ადმინისტრატორი, მთავრობის თავმჯდომარე, განაგებს საგარეო საქმეებს, მეცნიერებას, ტექნიკას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და დაგეგმვის საკითხებსა და ა. შ.

ქვეყანაში მოქმედებენ შემდეგი პარტიები: პაკისტანის სახალხო პარტია (მმართველი), პაკისტანის სოციალისტური პარტია, ჯამაათ-ი-ისლამი, ტეპრიკ-ი-ისთიკლიალო, სრულიად პაკისტანის მუსლიმანური ლიგა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, კომუნისტური პარტია (დაარსდა 1948 წ.).

1979-80 წლებში პაკისტანის ტერიტორიაზე ჩინეთისა და აშშ დახმარებით შეიქმნა ბანაკები, სადაც ამზადებენ ავღანეთში მოქმედ ბანდიტებს.

საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის სამეფო.
ფართობი — 2,150 ათასი კმ².
მოსახლეობა — 9 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ელ-რიადი (800 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — არაბული.

საუდის არაბეთი ტერიტორიით აზიის ყველაზე დიდი არაბული სახელმწიფოა. მას არაბეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი უკავია. საუდის არაბეთის სახმელეთო საზღვრები ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის და ცნობარებში მისი ფართობი სხვადასხვანაირადაა მითითებული, 1,6 მლნ. კვ. კმ.-დან 2,4 მლნ. კვ. კმ.-მდე. ეს არის ცხელი, გვალვიანი ჰავის ქვეყანა. აქ ძალზე ცოტა ნალექები მოდის და არ არის არც ერთი მუდმივი მდინარე. მხოლოდ წვიმების სეზონში მდინარეთა ამომშრალი კალაპოტები (ვადები) ცოტა ხნით ივსება წყლით, რომელიც სწრაფად ჩადის მიწაში. მხოლოდ იქ, სადაც მიწისქვეშა წყლები გამოდის ზედაპირზე, ანდა ამოაქვთ ჭებიდან, არის ოაზისები. უდიდესი ოაზისები მდებარეობს დასავლეთში — ჰიჯაზის მთის გასწვრივ, ცენტრში — შუა არაბეთის პლატოზე (ნაჯდის ისტორიული ოლქი) და აღმოსავლეთით — ელ-ხასის დაბლობზე.

მოსახლეობა იყოფა სამ სამეურნეო ჯგუფად: მომთაბარე მესაქონლეებად (ბედუინებად), ნახევარმომთაბარეებად, რომლებიც ერთმანეთს უთავსებენ მესაქონლეობასა და მიწის დამუშავებას და ოაზისების მკვიდრ მოსახლეობად, რომლებიც მისდევენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, ვაჭრობას, ახლა კი მრეწველობასაც (უმთავრესად ნავთობმოპოვებით).

ბედუინები (არაბულად — „უდაბნოების ბინადარნი“) ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენენ. ისინი აშენებენ აქლემებს, ცხოველებს, რომლებიც ყველაზე კარგად ეგუებიან უდაბნოს პირობებს. ბედუინები აქლემებიანად მთელი წელიწადი საძოვრებიდან საძოვრებზე მომთაბარეობენ. აქლემი აძლევს მომთაბარეს თითქმის ყველაფერს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის: რძესა და ხორცს იყენებენ საკვებად, ბეწვისა და ტყავისაგან ამზადებენ ტანსაცმელს, საცხოვრებელსა და დგამს.


საუდის არაბეთი
ერაყი
ირანი
ქუვეითი
ბაჰრეინი
ყატარი
არაბთა გაერთიანებული საამირატები
ომანი
იემენი
ცარიელი ტალახი
ალ ჰუფუფი
ალ რიადი
ალ ჰასა
ალ ჯაუფი
ალ ნეფუდი
ალ ქასიმი
ალ ჰანაკია
ალ ჰიჯაზი
ალ ტაიფი
ალ ბაჰა
ალ ასირი
ნაჯრანი
ალ ჯაუფი
ალ ვაჯჰი
ალ ულა
ალ ჰაიმა
ალ ჰუფრა
ალ ბატინა
ალ ჰასა
ალ ქატიფი
ალ ზაჰრანი
ალ ხობარი
ალ ჯუბაილი
ალ ჰოფუზი
ალ ჯუბაილ



მუსულმანთა სალოცავი ქალაქის მექის საერთო ხედი. ყოველწლიურად განსაზღვრულ დროს აქ სალოცავად (ჰაჯი) ჩამოდიან ასიათასობით მორწმუნენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ლებსა და მომთაბარეებს. ბევრმა ქალაქმა შეინარჩუნა შუასაუკუნეების სახე: ვიწრო დაკლაკნილი ქუჩები და შესახვევები, დახურული ბაზრები, ქარვასლები (ქარავანთა ფუნდუკები) და მინარეთების მრავალრიცხოვანი კოშკები. ამავე დროს, სწორედ ქალაქებში ძველ ადათ-წესებში სულ უფრო ხშირად ახალი შეიჭრება ხოლმე. ძველებური სახლების გვერდით შეიძლება დაინახოთ თანამედროვე ტიპის ნაგებობები, აქლემთა ქარავნებს ენაცვლება ავტომობილები და ველოსიპედები, ტრადიციულ ტანსაცმელს ემატება ევროპული ყაიდის სამოსი ანდა თანდათანობით იდევნება პირველი.

საუდის არაბეთში არ არის რამდენადმე განვითარებული დამუშავებითი მრეწველობა, მაგრამ მის ნავთობმოპოვებით მრეწველობას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ჯერ კიდევ ძველად, სპარსეთის ყურის სანაპიროზე მომთაბარე ბედუინები თავიანთი სანათურებისათვის დედამიწის ზედაპირზე ამოჟონილ ნავთობს აგროვებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აქ აღმოაჩინეს ნავთობის უდიდესი მარაგი, ხოლო 30-იანი წლების დასაწყისში არაბეთის „შავმა ოქრომ“ ამერიკის კომპანიების ყურადღება მიიპყრო. მათ



საუდის არაბეთი მიეკუთვნება მსოფლიოს მთავარი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების რიცხვს. ნავთობის კოშკურა მისი გარეგნობის დამახასიათებელი თვისება გახდა.

საუდის არაბეთის მთავრობისაგან მიიღეს მონოპოლიური უფლება ნავთობის ძიებისა და მოპოვებისა ფართობზე, რომელიც ქვეყნის მთელი ტერიტორიის 2/3 აღემატებოდა. მალე აღმოცენდა დიდი ნავთობმოპოვებითი მრეწველობა, გაიყვანეს რამდენიმე ნავთობსადენი, ქალაქ რას-ტანურაში აიგო დიდი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.

ახლა საუდის არაბეთი — „სილისა და ნავთობის ქვეყანა“ — ნავთობის მოპოვების მიხედვით კაპიტალისტურ სამყაროში მეორე ადგილზე დგას ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. 1976 წ. ნავთობის მოპოვება სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა. ნავთობის შემოსავლით, — ის კი სახელმწიფოს მთელი შემოსავლის 95% შეადგენს, — იწყებენ სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას (რკინა, ტყვია, თუთია, სპილენძი), გაჰყავთ გზები, ვითარდება კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებანი.

ბედუინები უდაბნოში.

გაზრდილი ფინანსური სიძლიერის წყალობით საუდის არაბეთის მთავრობა ისწრაფის სულ უფრო მეტი გავლენა იქონიოს მთელ არაბულ სამყაროზე. ამავე დროს მას მჭიდრო კავშირი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებთან, რომლებიც საუდის არაბეთს მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებენ თავიანთ სტრატეგიულ გეგმებში. ქვეყანაში ნაკადად მიედინება ამერიკული იარაღი.

არაბეთის ნახევარკუნძული არაბთა ისტორიული სამშობლოა. VII—VIII სს. არაბთა დაპყრობითი ომების ეპოქაში ისინი აქედან მეზობელ ქვეყნებში გადასახლდნენ, იქ ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და დასაბამი მისცეს სხვა თანამედროვე არაბულ ხალხებს — სირიელებს, ეგვიპტელებსა და სხვ. საუდის არაბეთის დასავლეთი ნაწილი — ჰიჯაზი — ისლამის სამშობლოა. აქ მდებარეობს მუსულმანთა მთავარი წმიდა ქალაქები: მექა, სადაც გადმოცემით დაიბადა ისლამის დამაარსებელი მუჰამედ წინასწარმეტყველი, და მედინა, სადაც იგი დაკრძალულია. მექაში ინახება ისლამის ყველაზე დიდი სათაყვანო — ქააბის შავი ქვა, რომელიც ქალაქის მთავარი მეჩეთის ერთ-ერთ კედელშია დატანებული. მექას „წმიდა ადგილებში“ სალოცავად ჩასვლა (ჰაჯი) მაჰმადიანის ერთ-ერთი მოვალეობაა. აქ ყოველწლიურად ასეულ ათასობით მორწმუნე ჩამოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მექაში სალოცავად ჩასულთ ენიჭებათ უფლება თავიანთ სახელს წინ საპატიო თავსართი „ჰაჯი“ წარუმძღვარონ. სხვა მორწმუნეთათვის მექა და მისი შემოგარენი აკრძალული ზონაა: მექას არ შეიძლება გადაუფრინოს თვითმფრინავმაც კი, თუკი მას მუსულმანი-მფრინავი არ მართავს.

საუდის არაბეთი მისი ახლანდელი საზღვრის ფარგლებში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენდა. თავისი სახელწოდება მან მიიღო საუდიდთა ემირული (თავადიშვილური) ოჯახის სახელისაგან, რომელიც მეთაურობდა ნაჯდას არაბთა ბრძოლას თურქი, შემდეგ კი ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ არაბეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი ერთიან სამეფოდ გააერთიანა.

საუდის არაბეთის მეფეს თითქმის შეუზღუდველი ძალაუფლება აქვს. ფორმალურად იგი მხოლოდ მაჰმადიანური ძველი კანონის — შარიათის — მითითებებს უნდა უწევდეს ანგარიშს. მეფე არის სახელმწიფოს არა მარტო საერო, არამედ სასულიერო მეთაური — იმამი (ხელმძღვანელი) ქვეყანაში გაბატონებული ისლამის — ვაჰაბიტური სექტისა. ვაჰაბიტებს თავიანთი რელიგიის დროშით ხშირად გაუჩაღებიათ „წმიდა ომები“ სხვა მორ-

წმუნეთა წინააღმდეგ არაბეთის გაერთიანებისათვის. ისინი მაჰმადიანების სხვა სექტებისაგან მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი მეორეხარისხოვანი რელიგიური ტრადიციით განსხვავდებიან.

საუდის არაბეთი ფეოდალური სახელმწიფოა. წყლისა და სავარგულების დიდი ნაწილი მეფის ოჯახს, შეიხებს (ტომის ბელადებს), მეჩეთებს, მუსლიმანურ სამღვდელოებას ეკუთვნის. ისინი მიწის პატარ-პატარა ნაკვეთებს გლეხებს იჯარით აძლევენ და მოსავლის $^2/_3$-ს ართმევენ. შეიხები საქონლის დიდ ჯოგებს ფლობენ და ღარიბ მომთაბარეებს მათ ასევე იჯარით აძლევენ. ფაქტიურად ქვეყანაში შემორჩენილია მონობა, რომელიც ფორმალურად მხოლოდ 1962 წელს გაუქმდა.

ფეოდალურ ურთიერთობათა ბატონობა აფერხებს საუდის არაბეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ისე, როგორც ათასობით წლის წინათ, ქვეყნის მოსახლეობა განსაკუთრებით მომთაბარეები და ნახევრად მომთაბარეები, იყოფიან ტომებად და გვარებად და სისხლის აღების ჩვეულებასაც კი იცავენ. ქალი აქ სრულუფლებიანი არ არის და დამცირებულია: შენარჩუნებულია საცოლის ფულით ყიდვა, მრავალცოლიანობა, ქალთა კარჩაკეტილობა, რომელიც იმაში მჟღავნდება, რომ საცხოვრებელი ორადაა გაყოფილი. მამაკაცთათვის განკუთვნილ ოთახში — მაჯლისში, ქალების ყოფნა არ შეიძლება. ხოლო ქალების ოთახში — მაჰარამში გარეშე მამაკაცის შესვლა აკრძალულია. ქალები ქალაქებში ისევ ჩადრს ატარებენ. მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი ან მცირე მცოდნეა.

და მაინც, მეზობელ, უფრო განვითარებული არაბული ქვეყნების პროგრესულმა გარდაქმნებმა, განვითარებადი მრეწველობის საჭიროებამ წააქეზა საუდის არაბეთის მთავრობა ზოგიერთი რეფორმა გაეტარებინა. ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვას, გაფართოვდა სახალხო განათლების სისტემა, გაიხსნა ქალთა სკოლები, დაიწყო მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მომზადება. გაიხსნა ათამდე უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის ორი უნივერსიტეტი. განათლების გავრცელება, ისევე როგორც პროლეტარიატის ზრდა თანდათანობით ასუსტებს საუდის არაბეთის ფეოდალურ საფუძვლებს.

სიანგანი (ჰონკონგი)

ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს სიანგანი (ფართობი 1013 კმ²). ეს ჩინეთის ტერიტორიის ნაწილია, რომელიც მას ინგლისელმა კოლონიზატორებმა მოწყვიტეს. მასში შედის კუნძული სიანგანი (სამხრეთ-ჩინურ კილოზე — ჰონკონგი), ეს კუნძული 1842 წ. წაართვეს ჩინელებს, ნახევარკუნძულ ძიულუნის (კოულუნი) სამხრეთი კიდე, რომელიც 1860 წ. ინგლისის სამფლობელოებს შეუერთეს და ეგრეთ წოდებული ახალი ტერიტორია (ნახევარკუნძულ ძიულუნის ძირითადი ნაწილი 33 პატარა კუნძულითურთ), რომელიც 1898 წ. ინგლისელებმა იჯარით აიღეს ჩინელებისაგან არათანასწორუფლებიანი შეთანხმების საფუძველზე 99 წლის ვადით. მოსახლეობა 4,8 მლნ. კაცია, ძირითადად ჩინელები. ადმინისტრაციული ცენტრი — ქალაქი სიანგანია (ვიქტორია, 1,4 მლნ. მცხოვრები). კოლონიას მართავს ინგლისის გუბერნატორი. სიანგანში არის ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო-საზღვაო ბაზა აზიაში. ამ ბაზით სარგებლობენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებიც (ასე იყო ვიეტნამის ომის დროს).

სიანგანი მსხვილი სავაჭრო, ფინანსური და სამრეწველო ცენტრია. აქ არის 600-ზე მეტი ბანკი, საბანკო კანტორა, საერთაშორისო სავაჭრო-ფინანსური კომპანიების წარმომადგენლობა, 4 ბირჟა, რომლებშიც ხდება აქციების ყიდვა-გაყიდვა. მრეწველობის დარგებიდან განვითარებულია საფეიქრო, გემთშეკეთების, პოლიგრაფიული, ელექტროტექნიკური მრეწველობა და ელექტრონიკა. პროდუქციის ძირითადი ნაწილი საექსპორტოდ მიდის.

სოფლის მეურნეობა (ბრინჯის, ბოსტნეულის მოყვანა, მებაღეობა) ვერ უზრუნველყოფს კოლონიის მოსახლეობას. კვების ბევრი პროდუქტი და სასმელი წყალი ჩინეთიდან შემოაქვთ.

სიანგანი განთქმულია როგორც ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი. ქალაქის „ღირსშესანიშნაობაა“ გარყვნილების, ბანქოს სათამაშო მრავალრიცხოვანი სახლი. სიანგანის მშრომელებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევს უცხოეთის მონოპოლიები. მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბად ცხოვრობს.

სინგაპური

სინგაპურის რესპუბლიკა.
ფართობი — 581,5 კმ².
მოსახლეობა — 2,35 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ქალაქი სინგაპური (1,35 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — მალაური.
ოფიციალური ენები — ჩინური, ინგლისური, თამილური.

სინგაპური მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ამავე სახელწოდების კუნძულზე, მალაქის ნახევარკუნძულის სამხრეთ კიდესთან. პრაქტიკულად მთელი რესპუბლიკა დიდი სანავსადგურო ქალაქი სინგაპურია. მოსახლეობის 76%-ზე მეტი ჩინელებია, 15% — მალაელები, 7% — ინდოელები. ეს იმით აიხსნება, რომ კუნძულის მკვიდრი მოსახლეობა, იმის გამო, რომ თვით კუნძული პატარაა, ცოტა იყო და მოსახლეობის ახლანდელი შემადგენლობა მაშინ შეიქმნა, როცა ქალაქმა აზიის სხვა ქვეყნების ემიგრანტთა ხარჯზე დაიწყო ზრდა.

სინგაპური სანსკრიტულად „ლომის ქალაქს“ ნიშნავს (თუმცა ნადირთა მეფე აქ არასოდეს ცხოვრობდა). სინგაპური ჩინეთიდან ინდოეთისაკენ და სხვა ქვეყნებისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, რის გამოც იგი უკვე შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა. მას ბევრჯერ დასხმიან თავს, დაუნგრევიათ და ხელახლა აღორძინებულა. 1819 წელს ინგლისელმა კოლონიზატორებმა გაითვალისწინეს კუნძულის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა და იგი მალაის სასულთნოს მმართველის ჯოჰორისაგან იყიდეს. სინგაპური იქცა საზღვაო ციხე-სიმაგრედ, რომელიც იცავდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მარცხმა ამ რაიონის ხალხებს თავისუფლება მოუტანა. 1963 წლიდან 1965 წლამდე სინგაპური მალაიზიის დამოუკიდებელ ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა; 1965 წლის აგვისტოში ფედერაციიდან გასვლის შემდეგ სინგაპური დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

რესპუბლიკის მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც პარლამენტი (საკანონმდებლო კრება) ირჩევს. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომლის სათავეში პრემიერ-მინისტრი დგას.

სინგაპურში რამდენიმე პოლიტიკური პარტიაა: სახალხო მოქმედების პარტია (მმართველი), სინგაპურის სოციალისტური ფრონტი, მუშათა პარტია, გაერთიანებული სახალხო ფრონტი.

სინგაპური მოკლებულია საკუთარ ბუნებრივ რესურსებს. არის კაუჩუკოსნების, ქოქოსის პალმის, სანელებლების და თამბაქოს მხოლოდ პატარა პლანტაციები. თვით სასმელ წყალსაც კი იგი მეზობელი მალაიზიიდან იღებს და თითქმის მთელი სურსათ-სანოვაგე საზღვარგარეთიდან შემოაქვს. ამიტომ მისი მეურნეობა, უპირველეს ყოვლისა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებაზეა დაფუძნებული.

სინგაპური იყო და კვლავაც რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ნავსადგურად და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრად. პაია-ლებარის აეროპორტში ჯდება თანამედროვე რეაქტიული ლაინერები. ნავსადგურის საბაჟო შემოსავლისა და სინგაპურში ყოველწლიურად რეიდზე დამდგარი ათასობით გემის მომსახურეობის გარდა, სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხას იღებს საგარეო ვაჭრობის ოპერაციებისაგანაც.

სინგაპური მეზობელი ქვეყნებისაგან ყიდულობს კაუჩუკს, ნავთობს, კოპრას, ყავას, პილპილს, კალის კონცენტრატებს, გადაამუშავებს მათ და შემდეგ მზა საქონელს ყიდის ევროპასა და

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო იქიდან ღებულობს სამრეწველო ნაწარმს აზიის ქვეყნებისათვის და საშინაო მოხმარებისათვის. სავაჭრო დაწესებულებების ურიცხვმა რაოდენობამ საერთაშორისო ფირმების, კანტორებისა და მდიდარი უნივერმაღებიდან დაწყებული, წვრილი დუქნებით გათავებული, ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „საკომისიო მაღაზიის“ სახელი მოუპოვა.

სინგაპურის ეკონომიკის მნიშვნელოვანი თვისება მრეწველობის სწრაფი ზრდაა, რაც ხელს უწყობს უმუშევართა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობის შემცირებას. უკვე მუშაობს კალის სადნობი დიდი ქარხნები, კაუჩუკის გადასამუშავებელი საწარმოები, გემთმშენებელი, ნავთობგადასამუშავებელი და სხვადასხვა მანქანათსაშენებელი ქარხნები. ჩნდება ისეთი დარგები, როგორიცაა ქიმიური, ელექტრონული, ავტომობილების ამწყობი. კუნძულის დასავლეთ ნაწილში შენდება ქალაქი-თანამგზავრი ჯურონგი, რომელსაც ათობით სხვადასხვა სამრეწველო ობიექტი ექნება.

სინგაპურის ეკონომიკური განვითარება რთულდება უცხოეთის კაპიტალის მოძალეობის გამო, რომელიც მხოლოდ საკუთარი მოგებისათვის ზრუნავს და არა ახალგაზრდა რესპუბლიკის საჭიროებისათვის. უცხოეთის იმ კომპანიების გვერდით, რომლებიც ინგლისის კოლონიური მმართველობის დროს დამკვიდრდა, უკანასკნელ წლებში აქ გაჩნდა ამერიკის, ინგლისის და იაპონიის ასობით ფირმა. კაპიტალისტებს ის იზიდავს, რომ ხელფასის საშუალო დონე სინგაპურში გაცილებით დაბალია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში ანდა იაპონიაში.

სინგაპურის ცენტრში, რომელიც ნავსადგურს ეკვრის, აგებულია ბანკების, სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების, ადმინისტრაციული დაწესებულებების მრავალსართულიანი სახლები. მაგრამ ლამაზი ფასადის მიღმა იმალება ვიწრო და ჭუჭყიანი პატარა ქუჩები, სადაც ქოხმახებში ღარიბ-ღატაკნი ცხოვრობენ. მიწის მეტისმეტი უკმარისობის გამო დაიწყეს წყალმარჩხი სანაპიროს მიწით ამოვსება, სადაც ახალ საცხოვრებელ კვარტალებს აგებენ.

საბჭოთა კავშირსა და სინგაპურს შორის იზრდება ვაჭრობა. და ურთიერთთანამშრომლობა, ვითარდება კულტურული კავშირი.

სირია

სირიის არაბთა რესპუბლიკა.
ფართობი — 185,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 9,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — დამასკი (1200 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

სირია მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ძირითადი მოსახლეობა არაბებია, მაგრამ მის მიწაზე ცხოვრობენ, აგრეთვე, ქურთები და სომხები. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს პლატოს — ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულ ცალკეულ მთაგრეხილიან ვაკე მხარეს, მშრალი სტეპებისა და ნახევარუდაბნოების მხარეს, რომელიც აღმოსავლეთში სირიის უდაბნოში გადადის. დასავლეთი რაიონები მთაგორიანია. ეშ-შეიხის მასივის სიმაღლე ლიბანის საზღვარზე 2814 მ-ია. სირიის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს ედ-დუზის მთიანი მხარე.



ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა სხვადასხვა რაიონებში 250 მმ-დან 800 მმ-მდეა. ზღვისპირა ზონაში იანვრის საშუალო ტემპერატურა +12°-ია, შიგა ოლქებში +4°. ივლის-აგვისტოში შესაბამისად +24° და +34°. ყინვა და თოვლი ზამთრობით მხოლოდ მთებში იცის. სირია ღარიბია მდინარეებით. ყველაზე დიდია ელ-ასი (ძველი ორონტი), ბარადა და წყალუხვი ევფრატის შუა წელი.

მცენარეთა სამყარო, ისევე, როგორც ჰავა, იცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებასთან ერთად. ზღვისპირა ზონაში ხა-



მსოფლიოში არსებულ ქალაქებს შორის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი დამასკი ფართოვდება და კეთილმოწყობილი ხდება.

რობს მარადმწვანე მუხა, ოლეანდრი, ფიჭვი, ლეღვი, ნუში, გარგარი, ფინიკის პალმა, ციტრუსი. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი უფრო ღარიბია მცენარეულით. აღმოსავლეთი რაიონები ირწყვის ზამთრის წვიმებით და მაშინ იფარება მწვანე ბალახით, რომელიც ზაფხულის პაპანაქებაში ხმება. სირიაში ფაუნა ღარიბია. აქ ბინადრობენ ანტილოპები, ტურები, აფთრები, დათვები, მაჩვები, მიწის კურდღლები; გაქრა ლომები, სირაქლემები, გარეული ვირები — ონაგრები, რომლებსაც მოიხსენიებდნენ XIX საუკუნეშიც.

სირიის ისტორია უძველეს ხანაში იღებს სათავეს. მის ტერიტორიაზე ჩვენს ერამდე III ათასწლეულში უკვე არსებობდა მონათმფლობელური სახელმწიფოები. სირიისათვის იბრძოდნენ ძველი ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონი. 64 წ. ჩვენს ერამდე სირია დაიპყრო რომმა და იგი რომის პროვინციად გადაიქცა, მაგრამ პალმირის სამეფომ, რომელსაც ამავე სახელწოდების დედაქალაქი ჰქონდა, სირიის უდაბნოს ოაზისში ავტონომია შეინარჩუნა, ხოლო შემდეგ თავისი ძალაუფლება თითქმის მთელს სირიაზე გაავრცელა. პალმირამ აყვავებას ჩვენი წელთაღრიცხვის III ს. მიაღწია, მაგრამ 273 წ. რომის თავდასხმის გამო დაეცა და იგი დაინგრა. პალმირის დიდებული ტაძრებისა და სასახლეების ნაშთები ახლაც აღაფრთოვანებს ტურისტებს.

VII ს. სირია, რომელიც იმ დროს ბიზანტიის იმპერიის ნაწილი იყო, არაბებმა დაიპყრეს. დამასკი ომეადების სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა, მაგრამ VIII ს., მას შემდეგ, რაც ძალაუფლება აბასიდების დინასტიის ხელში გადავიდა, თავისი მნიშვნელობა დაკარგა. 1516 წ. სირია თურქ-ოსმანებმა დაიპყრეს და ოთხი საუკუნის განმავლობაში იგი ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. იმპერიის დაშლის შემდეგ სირია, როგორც სამანდატო ტერიტორია, საფრანგეთის კონტროლსა და გამგებლობას დაექვემდებარა.

საფრანგეთის ჯარებმა ჩაახშვეს სირიის პატრიოტთა წინააღმდეგობა, გააუქმეს არაბეთის სამეფო, რომელიც დამასკში შეიქმნა და მთელი ძალაუფლება საფრანგეთის უმაღლესი კომისრის ხელში გადავიდა, რომლის რეზიდენცია ბეირუთი გახდა.

სირიის ხალხმა უარი თქვა ეღიარებინა უცხოელთა ბატონობა და განაგრძობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. 1925—1927 წწ. აჯანყებამ, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა, აიძულა საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა სირიის საზოგადოებრიობა.

ბრძოლა სირიის ხალხის კანონიერი უფლებების აღიარებისათვის კვლავ გრძელდებოდა. 1941 წ. სირიამ ფორმალურად მიაღწია დამოუკიდებელი

სახელმწიფოს სტატუსს, მაგრამ საფრანგეთისა და ინგლისის ჯარები კვლავ მის მიწაზე დარჩნენ. სირიის მოთხოვნას თავისი ტერიტორიიდან უცხოეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მტკიცედ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირმა და მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ 1946 წლის 17 აპრილს უკანასკნელმა უცხოელმა ჯარისკაცმა დატოვა სირია. ეს დღე ქვეყანაში ეროვნულ დღესასწაულად იქნა მიჩნეული.

ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველი ორი ათეული წელი აღინიშნა პოლიტიკური პარტიების მეტოქეობით, მთავრობათა ხშირი ცვლითა და სახელმწიფო გადატრიალებებით. გეოგრაფიული მდებარეობა სირიისა, რომლის ტერიტორიაზედაც გადის სახმელეთო და საჰაერო ტრასები, ნავთობსადენები, იმპერიალისტთა წრეებისა და ნავთობის მონოპოლიების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

არაბთა ერთიანობისათვის მოძრაობის აღმავლობამ 1958 წ. სირია ეგვიპტესთან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ კავშირში გააერთიანა და შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. ამ კავშირმა მხოლოდ 3 წელი იარსება და 1961 წელს დაიშალა.

1963 წ. 8 მარტს ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტია, რომელიც ანტიიმპერიალისტური ბრძოლის, არაბთა ერთიანობის, ფართო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების პროგრამით გამოვიდა. 1972 წელს შეიქმნა პროგრესული ეროვნული ფრონტი, რომლის შემადგენლობაში გარდა არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიისა, შევიდნენ სირიის კომუნისტური პარტია და რიგი პოლიტიკური და საზოგადოებრივი დაჯგუფებანი, რომლებიც პროგრესულ შეხედულებებს უჭერენ მხარს. 1973 წლიდან სირიაში მოქმედებს მუდმივი კონსტიტუცია.

სახელმწიფოს სათავეში დგას პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება სახალხო საბჭოს ეკუთვნის, აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება მინისტრთა საბჭოსა და პრეზიდენტის მიერ.

არსებობს რამდენიმე პარტია: არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია (მმართველი), სირიის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1924 წ.), არაბეთის სოციალისტური კავშირი, არაბთა სოციალისტური პარტია, სოციალისტ-იუნიონისტთა პარტია.



შენდება ევფრატის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით. ადამიანის მიერ დაკებული ევფრატის წყალი აბრუნებს ჰიდროელექტროსადგურის პირველ ტურბინებს და სარწყავი არხებით მაცოცხლებელი ტენი მიაქვს სირიელი გლეხის ყანებში.

მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო სექტორის განმტკიცებას, ეროვნული მრეწველობის შექმნას, კოოპერატიულ მოძრაობას სოფლად, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებულია ქვეყნის სამრეწველო წარმოების 75%. აგებენ ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს. საფეიქრო მრეწველობას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. იგი ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობს (ბამბა, მატყლი, აბრეშუმი). მისი ნაწარმი ცნობილია ქვეყნის

ფარგლებს გარეთ. დიდდება შაქრის, თამბაქოს ნაწარმის, საშენ მასალების, ცემენტის წარმოება.

ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრების გვერდით, როგორიცაა დამასკი და ჰალაბი (ალეპო), აღმოცენდა ახალი — ჰომსი (შაქრის, ცემენტის, ქიმიური, ენერგეტიკული მრეწველობა), ჰამა (მეტალურგიული ქარხანა, საფეიქრო ფაბრიკა, ცემენტის ქარხანა), ლატაკია — სწრაფად მზარდი საზღვაო ნავსადგური ნავთობსაცავებითა და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნებით. წარმატებით ვითარდება ნავთობის მრეწველობა, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ხელშია. მიმდინარეობს ბუნებრივი სიმდიდრის დაზვერვითი სამუშაოები.

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია მოსახლეობის $^2/_3$. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სიმინდი, ქუნჟუთი, სხვადასხვა პარკოსნები, შაქრის ჭარხალი, თამბაქო. სარწყავი მიწების ყველაზე დიდი ფართობი ბამბას უჭირავს. სირიის ბამბა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს მსოფლიოს ბაზარზე. უძველესი დროიდან განვითარებულია მებაღეობა. ბევრია ზეთისხილის ხეები. მოჰყავთ ყურძენი, გარგარი, ვაშლი, ფსტა. მეცხოველეობაც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს აშენებენ მომთაბარე ბედუინები ქვეყნის აღმოსავლეთის გვალვიან რაიონებში.

1958 წ. აგრარული რეფორმის დაწყებამდე მიწის მსხვილ მესაკუთრეებს ეკუთვნოდათ დასამუშავებელი მიწების დაახლოებით 80%. 600 ათას გლეხის ოჯახიდან ნახევარს მიწა არ ჰქონდა, ხოლო მეოთხედი იძულებული იყო დამატებით იჯარით აეღოთ იგი მემამულეებისაგან. აგრარული რეფორმის გატარების შედეგად მემამულეებს ჩამოერთვათ 1,5 მლნ. ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც ძირითადად განაწილდა უმიწო გლეხებს შორის. შექმნილია სახელმწიფო ფერმები, რომელთა ამოცანაა ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

სირიის დედაქალაქი დამასკი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია (იგი მოიხსენიება ჩვ. ერამდე XVI ს. ეგვიპტურ წარწერებში). დადამასკი არა მარტო მთავრობის რეზიდენციაა, არამედ მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრია. დამასკში არის უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, დამასკის აკადემია, არაბეთის აკადემია და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები. სირიის დედაქალაქის ისტორიული ძეგლები ფართოდაა ცნობილი მთელს მსოფლიოში.

სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობა ატარებს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების, ისრაელის აგრესიისა და იმპერიალისტთა ხრიკებისათვის წინააღმდეგობის გაწევის, სოციალიზმის ქვეყნებთან და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა შეესატყვისება რესპუბლიკის ინტერესებს და განამტკიცებს მის საერთაშორისო მდგომარეობას.

სსრ კავშირის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით ხორციელდება სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების გეგმები — სამრეწველო საწარმოების, რკინიგზების, საირიგაციო სისტემების მშენებლობა, მთამადნეულის და ნავთობის სიმდიდრის დაზვერვა. საბჭოთა კავშირის დახმარებით შექმნილ მძლავრ ჰიდროენერგეტიკულ კომპლექსს ევფრატზე სოფელ ტაბკის მახლობლად, რომელიც ამჟამად მზარდ სამრეწველო ქალაქ ეს-საურად გადაიქცა, დიდი მნიშვნელობა აქვს სირიის ეკონომიკისათვის. წყალსაცავი საშუალებას იძლევა, მოირწყას უდაბნოსა და გვალვიანი მიწების 600 ათასი ჰექტარი, გაფართოვდეს მარცვლეულის, ბამბის, ბაღჩეული კულტურების ნათესები, გააშენონ ხილის ახალი ბაღები. ევფრატზე აგებულმა ჰესმა (სიმძლავრე 800 ათასი კილოვატი) უზრუნველყო მრეწველობა და ქალაქები იაფი ელექტროენერგიით.

საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა, ამასთანავე ამ ქვეყნების მიერ სირიის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ზრუნვა დაეხმარა სირიას მედგრად მდგარიყო ისრაელის აგრესიის დღეებში 1967 წ., ჩაეფუშა ისრაელის სამხედრო წრეების გეგმები, 1973 წლის ოქტომბერში მძიმე დარტყმები მიეყენებინა ისრაელის შეიარაღებული ძალებისათვის. ყოველივე ამან გაფანტა მითი ისრაელის ჯარების „უძლეველობისა“, მათ უპირატესობაზე არაბებთან შედარებით. ანტიიმპერიალისტურ ძალებთან ერთად სირიის მთავრობა იბრძვის ისრაელის აგრესიის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისათვის, ყველა ოკუპირებული

არაბული ტერიტორიის განთავისუფლებისათვის, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფისა და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის ახლო აღმოსავლეთში.

ტაილანდი

ტაილანდის სამეფო.
ფართობი — 514 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 45 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბანგკოკი (გარეუბნებიანად დაახლოებით 5 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ტაიური.



ტაილანდს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი და მალაქის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი უკავია. ტაილანდი მრავალეროვანი სახელმწიფოა. მცხოვრებთა დაახლოებით $^3/_4$ ტაი და მისი მონათესავე ხალხები ლაო და შანია. გარდა ამისა, აქ ცხოვრობენ ჩინელები, ვიეტნამელები, მალაელები, ხოლო ტყიან მთებში საკაის და სემანგის ტომები.

ტაილანდის აღმოსავლეთ მეზობლები ქვეყანას სიამს ეძახდნენ და იგი ადრე ამ სახელით იყო ცნობილი. იმის წყალობით, რომ სიამი ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოთა შორის მდებარეობდა, მან შეძლო ფორმალურად შეენარჩუნებინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. კოლონიზატორებმა ისარგებლეს ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური სისუსტით, XIX ს. ბოლოს მას თავზე მოახვიეს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები და იგი ნახევრადკოლონიად გადააქციეს.

ადგილობრივი არისტოკრატიის ბევრი წარმომადგენელი ცოდნის შესაძენად რუსეთის პრივილეგირებულ სასწავლებლებში მიდიოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ტაილანდის გვარდიის ფორმა გასაოცრად ჰგავს ძველი რუსეთის არმიის ტანსაცმელს.

უწინ ტაილანდში აბსოლუტური მონარქია იყო, ე. ი. მთელი ძალაუფლება მეფეს ეკუთვნოდა და იგი ღმერთის ცოცხალ განსახიერებად მიაჩნდათ. 1932 წ. ქვეყანაში მიიღეს კონსტიტუცია, რომელიც მეფის უფლებებს ზღუდავდა, მაგრამ მას უწინდებურად ეკუთვნოდა უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლება, იგი რჩებოდა უმაღლეს მთავარსარდლად და სახელმწიფო რელიგიის — ბუდიზმის უმაღლეს მფარველად.

1941 წ. ტაილანდის ხელისუფლებამ სამხედრო კავშირი შეკრა იაპონიასთან და ქვეყანაში იაპონიის ჯარები დაბანაკდნენ, მაგრამ ხალხმა გააჩაღა წინააღმდეგობის მოძრაობა იაპონიის ჯარების წინააღმდეგ, რომლებმაც ფაქტიურად დაიპყრეს ქვეყანა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტაილანდში ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს მბრძანებლობა, რომლებმაც ქვეყანა ერთ-ერთ თავის საყრდენ პუნქტად გადააქციეს აზიაში, ჩაითრიეს იგი სეატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკში. ტაილანდში შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზები. აქედან ხდებოდა საჰაერო თავდასხმები ვიეტნამზე და ლაოსზე, პროვოკაციები კამპუჩიის წინააღმდეგ.

სტუდენტებისა და ბანგკოკის მოსახლეობის მასობრივმა დემონსტრაციებმა 1973 წლის შემოდგომაზე, რეაქციული მთავრობის დაცემა გამოიწვია. ყოფილი მმართველების ანტიეროვნული საგარეო და რეაქციული საშინაო პოლიტიკა ხალხმა გადაჭრით უარყო. ხალხის მასების ზემოქმედე-



ტაილანდში ბევრი მდინარე და აურაცხელი არხია. ქვეყნის თითქმის მთელმა მოსახლეობამ პატარაობიდანვე იცის ნავის მართვა. სურათზე: პატარა ტაილანდელი მეზობლებთან სტუმრად მიდის.

ბით, რომლებიც მოითხოვდნენ ქვეყნიდან ამერიკის სამხედრო ბაზების მოცილებას, 1976 წ. გაიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეები და გაიტანეს სამხედრო ტექნიკა. მაგრამ პენტაგონი — ამერიკის სამხედრო სამინისტრო — ცდილობს შეინარჩუნოს ტაილანდში თავისი პოზიციები.

1976 წლის ოქტომბერში ქვეყანაში მოხდა რეაქციული სამხედრო გადატრიალება.

ტაილანდი ტროპიკული ტყეების ზონაში მდებარეობს. მისი ფართობის დაახლოებით 50% ჯუნგლებს უჭირავს. სატყეო მეურნეობა ტაილანდის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. ტყის რაიონების მცხოვრებლები სხვადასხვა ფისს აგროვებენ, რომლებიც თანამედროვე ტექნიკის მრავალ დარგში გამოიყენება. ზოგიერთი ტყის მცენარის (მანგოს, დურიოს) ნაყოფი იჭმევა. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ქოქოსის პალმას. ჩრდილოეთ რაიონის მთის კალთებზე ხარობს ტექტონა. მისი სიმაღლე 40 მ აღწევს, ხოლო შტამბის დიამეტრი 2 მ. ტექტონის მერქანი ძალიან მაგარია. იგი შესანიშნავი მასალაა გემებისა და სანავსადგურო ნაგებობათა მშენებლობისათვის. ტყის საექსპლოატაციო სამუშაოებზე იყენებენ მოშინაურებულ სპილოებს. ისინი მდინარეებისაკენ ეზიდებიან მორებს და ასუფთავებენ ხე-ტყის დაცურების დროს ჩახერგილ ადგილებს. სპილოები რამდენიმე საათს მუშაობენ, დანარჩენ დროს ისვენებენ. ტაილანდში გარეული სპილოებიც შემორჩა.

ტყეებსა და ბამბუკის ტევრებში ბინადრობენ მეტად მრავალგვარი ცხოველები: ტაპირები, ვეფხვები, ლეოპარდები, გარეული კატები. განსაკუთრებით ბევრია მაიმუნი. გვხვდებიან მაკაკები და ადამიანის მსგავსი გიბონები. რაყაში ბინადრობენ ირმები. უამრავია გველი, მათ შორის ბევრი შხამიანია.

ტაილანდში ბევრი დიდი მდინარეა. თითქმის ყველა ჩრდილოეთში, მთებში იღებს სათავეს და სიამის ყურეს ერთვის. თავიანთ შენაკადებთან ერთად მდინარეები რწყავენ იმ რაიონებს, სადაც ბრინჯი მოჰყავთ. ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მდინარე მენამს. მრავალრიცხოვანი არხებით (კლონგებით) წყალი მდინარიდან ბრინჯის ყანებშია მიშვებული. მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე, წვიმების პერიოდში, მთელი დაბლობი, რომელზედაც მენამი მიედინება, წყლითაა დაფარული.

ტაილანდელის ცხოვრებაში წყალი ბევრ რამეს განსაზღვრავს: მასზეა დამოკიდებული მოსავალი; არხებითა და მდინარეებით მოსავალი ქალაქში მიაქვთ გასაყიდად; ვიწრო, გრძელი ნავებით უკავშირდებიან ერთმანეთს მდინარეთა და არხთა ნაპირებზე განლაგებული სოფლები. ხანგრძლივი წყალდიდობის გამო ბევრი სახლი ხიმინჯებზეა აგებული. მდინარე ყოველთვის მფარველი და მარჩენალი როდია. წყალდიდობის დროს იგი სასტიკი და ულმობელი ხდება, როგორც ავი ურჩხული ხალხურ ზღაპრებში. მდინარეებსა და არხებში ბევრი თევზია და თითქმის ყველა გლეხი მეთევზეობას მისდევს.

ტაილანდის ყოფის განუყრელი ნაწილია მცურავი ბაზარი. აქ უთენია მიდიან ახლომახლო სოფლების გლეხები, რათა დილით გაყიდონ ახალი ხილი, თევზი, ბრინჯი. ზოგჯერ გლეხმა ნავით უნდა გაიაროს ათობით კილომეტრი, სანამ ასეთ ბაზარს მიაღწევდეს.

ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ძირითადი კულტუ-

რა ბრინჯია. ტაილანდი წელიწადში 10 მლნ. ტონაზე მეტ გაუცხვავ ბრინჯს იძლევა. ბრინჯის ნაწილი საექსპორტოდ გააქვთ. ტაილანდში მოჰყავთ სიმინდი, პარკოსნები, ბამბა, თამბაქო, ხაროზს შაქრის ლერწამი, კაუჩუკის ხე. მიწის დიდი ნაწილი ეკუთვნით მეფის საგვარეულოს წევრებს, კარისკაცებს, მემამულეებს. მათ მიწას იჯარით ართმევენ მევახშეები და შეძლებული გლეხები, რომლებიც თავის მხრივ, პატარა-პატარა ნაკვეთებად ურიგებენ უმიწაწყლო გლეხებს და მოსავლის ნახევარს ართმევენ.

სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ კალასა და ვოლფრამს. ტაილანდში მრეწველობა სუსტადაა განვითარებული და თავმოყრილია ქალაქებში — ჩიანგ-მაიში, ნაქონრატჩასიმაში, ნაქონსიტთანმარატში და დედაქალაქ ბანგკოკში. დამუშავებითი მრეწველობის დარგებიდან ყველაზე უფრო განვითარებულია საფეიქრო, ჯუთის, ცემენტის, შაქრის მრეწველობა. არის რამდენიმე ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა და საამწყობო საწარმო. ქვეყნის ეკონომიკაში ძლიერი პოზიცია უჭირავს უცხოეთის კაპიტალს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკისა და იაპონიისას.

ბანგკოკი მდებარეობს მდინარე მენამის ნაპირებზე, 33 კმ-ზე იმ ადგილიდან, სადაც იგი სიამის ყურეს ერთვის. ქალაქი არხებითაა დაქსელილი, რომლებიც რაიონებს ერთმანეთთან აკავშირებს. არხებში უწყვეტლად მიდი-მოდიან ნავები. ბევრი ნავი მარგილზეა მიბმული; მათში ოჯახიანად ცხოვრობენ მტვირთავები, მეთევზეები, მუშები. ხშირად ასეთი ნავები საცხოვრებელ უბნებს ქმნიან.

ბანგკოკში ბევრი ბუდისტური ტაძარია. ტროპიკული მზის სხივებში ბრწყინავს მათი ლამაზი ვარაყი და ლაპლაპებს კედელთა ფერადი შორენკეცები, ნიავის ოდნავ შემოქროლვაზე წკრიალებს ზეაზნექილ სახურავის კიდეებზე ჩამოკიდებული ასობით ზანზალაკი. ბენჩამ-ობოპიტის „მარმარილოს ტაძარი“ ეროვნული არქიტექტურის ნიმუშია. იგი თეთრი მარმარილოთია ნაგები, მოხატული სახურავი წითელი კრამიტისაა. შესასვლელში ქვის ვეება ქანდაკებებია, რომლებიც ზღაპრულ გუშაგებს გამოხატავენ. ბენჩამ-ობოპიტს, ისევე როგორც ბევრ სხვა ბუდისტურ ტაძარს, აგვირგვინებს გველის — ტაილანდში ამ წმიდა არსების — სიმბოლური გამოსახულება.

დიდით დედაქალაქისა და სხვა ქალაქების ქუჩებში პირველად გამოჩნდებიან ღია-ნარინჯისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი თავგადაპარსული მამაკაცები. მათ ხელში ქისები ან ქოთნები უჭირავთ. ესენი ბუდისტი ბერები არიან, რომლებიც მოწყალებას აგროვებენ. ჩვეულების მიხედვით, ყოველმა ტაილანდელმა, თავისი სიცოცხლის თუნდაც რამოდენიმე თვე მონასტერში უნდა დაჰყოს, ყოველი ბუდისტი კი ვალდებულია დაეხმაროს ბერს.

პირდაპირ ქუჩებში დგას მაყლები. ნაკვერჩხლებზე შემდგარი ხორცის ცხარე საწებელი თუხთუხებს, რომელსაც მოხარშულ ბრინჯს ასხამენ. ბრინჯი ტაილანდელისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩრდილოელი მკვიდრისათვის პური.

ბანგკოკის გარეუბნები სოფლისაგან არაფრით განსხვავდება. აქ მცხოვრებლები თესავენ ბრინჯს და თევზაობენ. ხოლო ქალაქის ცენტრში ტაილანდელი მდიდრების სახლები და ამერიკის, ინგლისისა და იაპონიის ფირმებისა და ბანკების განყოფილებათა შენობები დგას.

1978 წლიდან განახლდა ტაის ეროვნული, სოციალური მოქმედებისა და დემოკრატიული პარტიების მოღვაწეობა. კომუნისტური პარტია (დაარსდა 1942 წ.) აკრძალულია 1947 წლიდან.

ფილიპინები

ფილიპინების რესპუბლიკა.
ფართობი — 299,7 ათასი კმ².
მოსახლეობა — 46,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მანილა (გარეუბნებიანად 5,8 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენები — ტაგალური და ინგლისური.

წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ფილიპინის არქიპელაგი, რომელიც 7 ათასზე მეტი კუნძულისაგან შედგება. მათ შორის უმრავლესობა ციცქნა უკაცრიელი კუნძულებია, ზოგიერთი კი წყლიდან ამოშვერილი კბოდეებია. 11 კუნძულზე არქიპელაგის მთელი ფართობის 95% ნოდის. ყველაზე დიდი კუნძულებია ლუსონი და მინდანაო. ფილიპინებს დასავლეთით ეკვრის სამ-



ხრეთ ჩინეთის ზღვა, ხოლო აღმოსავლეთით — წყნარი ოკეანე.

ფილიპინებზე რამდენიმე ათეული დიდი და პატარა ეროვნება ცხოვრობს. ყველაზე მრავალრიცხოვან ეროვნებებს განეკუთვნებიან ვისაიები, ტაგალები, ილოკინები, კანგასინანები, პამპანგანები.

კუნძულებზე ტროპიკული, მუსონური ჰავაა. ტემპერატურა +24°-დან +28°-მდე მერყეობს. ხშირად ფილიპინს გამანადგურებელი გრიგალები — ტაიფუნები გადაუვლის ხოლმე: წელიწადში 3—4 ძლიერი და დაახლოებით 20 სუსტი ტაიფუნი. ტაიფუნს შეუძლია საოკეანო ხომალდიც კი გამორიყოს ხმელეთზე. იგი საცხოვრებლებს ანგრევს, ანადგურებს ნათესებს, ქოქოსის პალმის კორომებს, იღუპებიან ადამიანები.

ფილიპინის კუნძულები მთაგორიანია. შედარებით დიდი ვაკეები მხოლოდ ლუსონის, მინდანაოს, პანაის, ნეგროსისა და სებუს კუნძულებზეა. მთებში ათზე მეტი მოქმედი ვულკანია. ვულკანის ამოფრქვევებსა და მიწისძვრებს, ისევე როგორც ტაიფუნებს, კუნძულის მცხოვრებლებისათვის დიდი უბედურება მოაქვთ. მთები დაფარულია მდიდარი ტროპიკული მცენარეულობით. ტყეები ალაგ-ალაგ ზედ ზღვისპირამდე მოდის, რომელთა გაყოლებაზე მანგრის მცენარეთა რაყებია გადაჭიმული. მეცნიერები ფილიპინზე 10 ათასზე მეტი სახეობის მცენარეს ითვლიან, რომელთაგან თითქმის ნახევარი მსოფლიოში სხვაგან არსად გვხვდება. ლაუანის ხის საუკეთესო მერქნისაგან ძვირფას ავეჯს აკეთებენ და საზღვარგარეთ გააქვთ. როტანგის პალმის მოქნილი ღეროებისაგან მოწნულ ნაწარმს ამზადებენ.

მრავალფეროვანია კუნძულების ცხოველთა სამყარო. აქ ბევრია ქვეწარმავალი — გველი, კუ, ხვლიკი. არის ნიანგებიც. ნაკლებია ძუძუმწოვრები, ხოლო მათ შორის მტაცებლები თითქმის არ არიან. მაიმუნ მაკაკების მრავალრიცხოვანი გუნდები ხშირად ანადგურებენ სოფლების ყანებსა და ბოსტნებს. ამ მაიმუნების ყველაზე სასტიკი მტერია არწივი გარპია — მაიმუნჭამია. არქიპელაგზე ბუდობენ პატარა მხეცები — გრძელფეხიანები, რომელთაც მეცნიერები ცოცხალ ნამარხად მიიჩნევენ: შორეულ წარსულში გრძელფეხიანები ევროპასა და ამერიკაში ბინადრობდნენ, ხოლო ამჟამად მხოლოდ ფილიპინებისა და ზონდის კუნძულებზე არიან შემორჩენილნი.

XIV—XVI სს. ფილიპინის კუნძულებზე იყო რამდენიმე ფეოდალური სამთავრო, რომლებსაც ინდონეზიასთან, იაპონიასთან, ჩინეთთან, ინდოეთთან და სხვა ქვეყნებთან გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული. 1565 წ. ფილიპინებს მიადგა ესპანეთის ფლოტილია, რომელიც იმისთვის იყო გამოგზავნილი, რომ ეს მდიდარი არქიპელაგი დაეპყრო. კუნძულის მცხოვრებლები თავგანწირვით იცავდნენ თავს. უკვე დაპყრობილ რაიონებში გამუდმებით ხდებოდა სახალხო აჯანყებები. ხოლო ძნელადმისადგომ მთიან ადგილებში ასი წლის შემდეგაც თავისუფლებას ინარჩუნებდნენ.

ესპანელები უმოწყალო ექსპლოატაციას უწევდნენ ფილიპინელებს. იძულებითი შრომა, სხვადასხვა გადასახადები, ბეგარა მოსახლეობას აღატაკებდა. არქიპელაგიდან გაჰქონდათ სანელებელი, თამბაქო, შაქარი, ქერელი. ესპანელი მღვდლები ძალით ნერგავდნენ კათოლიკურ რელიგიას, ბარბაროსულად ანადგურებდნენ უძველეს ხელნაწერებს და ფილიპინური კულტურის სხვა ძეგლებს. კათოლიკური მონასტერი კოლონიის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა. XVII ს. დასაწყისიდან ეს-



კუნძულ ლუსონზე ვულკან მაიონის ძირში გადაჭიმულია ქალაქი და პორტი ლეგასპი.

პანელებმა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ადგილობრივი ფეოდალები მიიზიდეს. ბევრი მათგანი ესპანელებს დაემოყვრა კიდეც.

1896 წ. ფილიპინებზე საერთო-სახალხო აჯანყება მოეწყო ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამ აჯანყების მომზადებაში დიდი როლი ითამაშა გამოჩენილმა მწერალმა და პოეტმა ხოსე რისალმა (1861—1896), რომელიც ესპანელებმა სიკვდილით დასაჯეს. აჯანყებამ გაიმარჯვა და 1898 წ. ფილიპინების დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოცხადდა. მაგრამ რესპუბლიკამ მცირე ხანს იარსება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ესპანეთს ომი გამო

სამოთხე ეთნოგრაფებისათვის

თითქმის ორმოცდაორი მილიონი კაცი სახლობს 7 ათას კუნძულზე — ეს ფილიპინებია. ციფრი 7 ათასი, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ მსედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მასში შეტანილია ისეთი კუნძულებიც, როგორიცაა ლუსონი თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, უსარმაზარი მინდანაო, უკიდეგანო ტყეებით დაფარული სივრცე და უსახელო და უკაცრიელი სმელეთის ნაწყვეტები, რომლებიც თითქმის არ ჩანს ყველაზე დიდმასშტაბიან რუკაზეც კი.

ფილიპინებზე 80-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ აქაც მსედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ სტატისტიკისათვის სახელმწიფო ტაგალოგური ენაც ენაა და ტასადაი მანუბეს ცაცქნა ტომის (ორი ათეული კაცი) კილოკავიც ენა. ეს ტომი კუნძულ მინდანაოს ტყეებში მხოლოდ 1972 წ. აღმოაჩინეს.

42 მლნ. ფილიპინელიდან ოთხი მლნ. შეადგენს იმას, რასაც ოფიციალური ენით კულტურული უმცირესობა ეწოდება. ოთხი მილიონი მოსახლეობის მეათედი ნაწილია, მაგრამ სწორედ მასზე მოდის ტომების, ენებისა და კულტურის ის უზარმაზარი მრავალფეროვნება, რაც ფილიპინებს ეთნოგრაფებისათვის სამოთხედ აქცევს.

მთიანი კუნძულები, რომლებიც ჯუნგლებითაა დაფარული, ერთმანეთისაგან ზღვითაა დაშორებული. ამიტომაც შემორჩა აქ მიუვალი კუთხეები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ იზოლირებულია გარესამყაროსაგან. აქ სახლობენ ისეთი ტომები, რომელთა წარმოშობის, ენისა და კულტურის ახსნა მეცნიერებს ჯერჯერობით უჭირთ.

კულტურულ უმცირესობათა უმრავლესობა მთებში ცხოვრობს, საითკენაც მიემართება დაკლაკნილი ბილიკები, რომელთა პოვნა უცხო კაცისათვის ძნელია. იქ ასულს კიდევ უფრო უჭირს საუბრის გაბმა, რადგან ენობრივი ბარიერი შეიძლება მთის ზღუდეზე ძნელი აღმოჩნდეს.

აი, რატომ იყო, რომ ბოლო წლებში სწორედ ფილიპინებზე მოხდა ყველაზე სენსაციური ეთნოგრაფიული აღმოჩენები. ამასთან ეჭვი არ არის, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია მიკვლეული. **ბევრი გამოცანა თავის დროს ელის.**

უცხადა და ფილიპინებზე დესანტი გადმოსხა, რომელიც თითქოსდა უნდა დახმარებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს ესპანეთის ჯარების საბოლოო განადგურებაში, ჯერ ისევ წინააღმდეგობას რომ უწევდა მათ. 1898 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ესპანეთთან საზავო ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვით ფილიპინი ამერიკელებს გადაეცა. ფილიპინელმა ხალხმა ახალი კოლონიზატორების წინააღმდეგ გაილაშქრა. დიდხანს გრძელდებოდა გამათავისუფლებელი ომი, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო.

1941 წ. დეკემბერში იაპონელი მილიტარისტები შეიჭრნენ ფილიპინებზე. ფილიპინელების კომუნისტური პარტიის ინიციატივით კუნძულ ლუსონზე შეიქმნა სახალხო არმია ხუკბალახაპი, რომელმაც იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ ომის ძირითადი სიმძიმე თავის მხრებზე გადაიტანა.

მხოლოდ 1946 წ. მიიღო ქვეყანამ ფორმალური დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფილიპინებს თავს მოახვია კაბალური ხელშეკრულებები. არქიპელაგზე შეინარჩუნეს ამერიკის სამხედრო ბაზები, ხოლო ქვეყანა ჩაითრიეს სეატოს აგრესიულ ბლოკში და სხვა სამხედრო დაჯგუფებებში.

ფილიპინები რესპუბლიკაა. 1973 წლამდე ქვეყანაში მოქმედებდა 1935 წლის კონსტიტუცია, რომელიც თითქმის მთლიანად ამერიკულის ასლი იყო. ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებს მმართველობის პარლამენტური ფორმის შემოღებას ერთპალატიანი საკანონმდებლო კრებითურთ. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში რჩება. 1972 წლიდან პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა შეჩერებულია. კომპარტია მოქმედებს არალეგალურად.

ფილიპინების ბუნებრივი სიმდიდრეები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოყენებული. სავარგულის $^1/_3$-ზე ცოტა მეტი ფართობი მუშავდება. სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაში პირველი ადგილი უჭირავს კოპრას — ქოქოსის კაკლის გამხმარ გულს. მცენარე აბაკის ფოთლებისაგან ამზადებენ ეგრეთ წოდებულ მანილის ქერელს — ნედლეულს ბაგირისათვის. იგი ძალიან გამძლეა და ზღვის წყალში არ ლპება. კოპრისა და მანილის ქერელის წარმოების მხრივ ფილიპინებს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. გარდა ამისა, მოჰყავთ შაქრის ლერწამი და უმაღლესი ხარისხის სასიგარე თამბაქო.

ბრინჯის მოყვანა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია ფილიპინებზე. დამუშავებული მიწის თითქმის ნახევარზე აქ ბრინჯი ითესება, მაგრამ მისი მოსავლიანობა ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში, რადგან იმ კულტურების პლანტაციებმა, რომლებიც საექსპორტოდ მიდის, ბრინჯი მთებში გააძევა, იქ კი უარესი პირობებია. ბრინჯს ხშირად თესავენ ტერასებზე, რომლებსაც მთის ძირითად წვერამდე მთელი ფერდობი უჭირავს. არქიპელაგის ბევრ რაიონში, სადაც წვრილი მეურნეობები ჭარბობს, მიწათმოქმედება განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე დგას.



მებრინჯეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია ფილიპინებზე. ბრინჯს უკავია დასამუშავებელი მიწის თითქმის ნახევარი. სურათზე: არხის გაწმენდა, რომლითაც ირწყვება ბრინჯის ყანები.

ზღვები, არქიპელაგს გარს რომ ერტყმის, მდიდარია თევზით. მეთევზეობას დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი მისდევს. დაჭერილი თევზის დიდ ნაწილს ან მზეზე ახმობენ, ან ამარილებენ. თევზის საკონსერვო მრეწველობა აქ არ არის.

აქ მოიპოვებენ რკინის მადანს, სპილენძს, ოქროს, ვერცხლს, ტყვიას. დამუშავებითი მრეწველობის დარგებიდან ყველაზე უფრო განვითარებულია საფეიქრო, შაქრის, თამბაქოს, ცემენტის მრე-

წველობა. არის ფოლადსადნობი, ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, ხის დასამუშავებელი საწარმოები.

ქვეყნის უდიდესი ქალაქია მანილა — ძირითადი ნავსადგური, საიდანაც ხორციელდება საგარეო ვაჭრობა.

ფილიპინელი ხალხი იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. იგი მოითხოვს ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას ფილიპინების მიწაზე და ამერიკის შეერთებულ შტატებთან არათანასწორუფლებიანი შეთანხმების გადასინჯვას. დიდი ხნის განმავლობაში იმპერიალიზმი ხელს უშლიდა ფილიპინებს კავშირი დაემყარებინათ სოციალისტურ ქვეყნებთან. მაგრამ ამას ბოლო მოეღო. 1976 წ. ივნისში საბჭოთა კავშირსა და ფილიპინებს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, დაისახა ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები.



ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘ

სახელმწიფო ქუვეითი.
ფართობი — 20,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 1,4 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ელ-ქუვეითი (გარეუბნებიანად 1,031 მლნ. მცხ.).
ოფიციალური ენა — არაბული.

ქუვეითი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სპარსეთის ყურის ნაპირზე. ქუვეითს ეკუთვნის ყურის სანაპირო კუნძულები — ბუბიანი, ვარბა, ფაილაკა და სხვები. სახელწოდება ქუვეითი წარმოიშვა არაბული სიტყვისაგან „ქუთ“, რაც პატარა ციხე-სიმაგრეს ნიშნავს. უწინ ქუვეითი ეწოდებოდა მხოლოდ გამაგრებულ სანაპირო ფორპოსტს, რომელიც შემდეგში გადაიქცა თანამედროვე ქალაქ ელ-ქუვეითად. აქ ცხოვრობენ მუტეირის ტომის არაბები, ასევე სხვა არაბული ქვეყნებიდან, ირანიდან, პაკისტანიდან და ინდოეთიდან გადმოსახლებულები. ამასთან მოსახლეობის 50%-ზე მეტი არ არის ქუვეითის ქვეშევრდომი.

ქუვეითის ჰავისათვის დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა გაზაფხულზე და ზაფხულში, ამავე დროს, მაღალტენიანობაა თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ივლისში ტემპერატურა ხშირად ადის +50°-მდე, ზოგჯერ უფრო მაღლა. ნალექების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოა (100—200 მმ წელიწადში), ისიც მხოლოდ ზამთარში მოდის.

ქუვეითის საამირო XVIII ს. შუა წლებში შეიქმნა. ინგლისის მთავრობასა და ქუვეითის ემირს (მმართველს) შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით 1899 წ. ქვეყანა ინგლისის პროტექტორატი გახდა. გაძლიერებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ქუვეითში, არაბი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის საერთო აღმავლობამ ბოლო მოუღო კოლონიურ რეჟიმს. 1961 წლის 19 ივნისს ქუვეითი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

ქუვეითი კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს სათავეში დგას ემირი. საკანონმდებლო ძალაუფლება ემირსა და ერთპალატიან ეროვნულ კრებას აქვს. საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მამაკაცები. პოლიტიკური პარტიები აკრძალულია.

ქუვეითი განვითარებადი ქვეყანაა. მისი ეკონომიკის საფუძველი ნავთობის მოპოვებაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლის 90%-ს. ნავთობის წყალობით ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე — ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ნავთობის დაზვერილი მარაგის მიხედვით (10 მლრდ ტ) ქუვეითს მეორე ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ სამყაროში. ქუვეითის ნავთობის მოპოვების თვითღი-

რეჟიმი ძალზე დაბალია. 1975 წლიდან ნავთობის მრეწველობა ძირითადად უცხოელთა კომპანიების, უწინარეს ყოვლისა, ინგლის-ამერიკის „ქუვეით ოილ კომპანიის“ ხელში იყო. ქუვეითის მთავრობამ 1975 წ. გამოისყიდა ამ კომპანიის ყველა აქცია. თითქმის მთელი ნავთობი საექსპორტოდ გადის. ქვეყანაში მუშაობს ორი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა — მინა-ელ-აჰმადსა და ეშ-შუაიბში, რომლებიც ქუვეითის ნავთობის ეროვნულ კომპანიას ეკუთვნის. არის აგრეთვე ნავთობქიმიის, დამუშავებითი და თევზის მრეწველობის, საშენ მასალათა საწარმოები, ზღვის წყლის სამტკნარებელი, ავტომობილთა საბურავების მწარმოებელი ქარხნები.

სოფლის მეურნეობა ქუვეითში ძალზე სუსტადაა განვითარებული მტკნარი წყლის ნაკლებობის გამო. სარწყავი მიწების მცირე ნაკვეთებზე მოჰყავთ ხორბალი, ქერი, პარკოსნები, საკვები ბალახი, ბოსტნეული, ფინიკი. განვითარებულია მესაქონლეობა. ქუვეითში არის რამდენიმე ათეული მეფრინველეობის ფერმა. იჭერენ თევზსა და კრევეტებს.

ქუვეითსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულია შეთანხმება ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ეს ურთიერთობა წარმატებით ვითარდება სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.



ქუვეითში არ ყოფნით მტკნარი წყალი. სპეციალური ქარხნები წმენდენ ზღვის წყალს მარილებისაგან. ერთ-ერთ მათგანს თქვენ სურათზე ხედავთ.

შრი ლანკა

შრი ლანკას რესპუბლიკა.
ფართობი — 65,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 15 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კოლომბო (616 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — სინგალური.

შრი ლანკა სახელმწიფოა სამხრეთ აზიაში და ამავე სახელწოდების კუნძულზე მდებარეობს (ადრინდელი სახელწოდება ცეილონი კუნძულს ევროპელებმა უწოდეს).

კუნძულის $^3/_4$ ვაკეა, მხოლოდ ცენტრშია ალმართული ციცაბოკალთებიანი საფეხურებრივი ზეგანი. წიაღის რღვევა, რამაც ეს საფეხურებრიობა წარმოშვა გეოლოგიურად ახლო წარსულში მიმდინარეობდა, ამიტომაც ბევრი მდინარე, რომლებსაც ხეობის გაჭრა ვერ მოუსწრია, საფეხურებიდან ჩანჩქერებად „მოხტის“. ზემო ზეგნებზე ალმართულია მასიური და ვეება მწვერვალები, მათ შორის კოხტა პირამიდული ადამს-პიკი. მის მწვერვალზე დაეხეტებიან მლოცველთა ჯგუფები, რათა თაყვანი სცენ „წმინდად“ მიჩნეულ ჩაღრმავებულ ადგილს ქვებზე. ბუდისტები მას ბუდას ნაფეხურად მიიჩნევენ, ინდუისტები — ღმერთ შივას ტეროს ანაბეჭდად, ხოლო მაჰმადიანები ადამის ნაფერფალად... სამოთხიდან მომავალი აქ რომ დაეშვა მიწაზე! ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი პიდურუტალაგალას მთაა (2524 მ).

ეკვატორი ახლოსაა, ამიტომ კუნძულზე ყოველთვის ცხელა. აქ წელიწადის ნებისმიერ დროს მარადი ზაფხულია. დაბლობზე დაახლოებით +30°-ია, ღამღამობით კი ტემპერატურა +25°-ზე დაბლა არ ჩამოდის. მხოლოდ ზედა ზეგანზე გრილა — აქ მარადი გაზაფხულის ჰავაა. ზამთრის თვეებში ქრის მშრალი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები — კონტინენტური მუსონი. ეს ქარები კუნძულის ნაპირებს ბენგალის ყურის ტენით გაჯერებულნი აღწევენ, ამიტომ ქვეყნის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში ზამთარი ტენიანი სეზონია. ხოლო ზაფხულში ქარები გამთბარი კონტინენტისაკენ ქრიან — ეს ოკეანის მუსონია. იგი უხვი წვიმებით არწყულებს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთს.

ტენიან სამხრეთ-დასავლეთში წელიწადში მოდის დაახლოებით 2000 მმ ნალექი, ხოლო შედა-



რებით მშრალ ჩრდილო-აღმოსავლეთში — 1000 მმ. ზეგანის კალთებზე, სადაც ორივე მუსონის ტენი აღწევს და სადაც ამის გამო მთელი წელი წვიმს, ზედაპირზე წყლის ხუთმეტრიანი ჩქერი იღვრება. ასეთი უხვი დატენიანება ბუნების გასაოცარი დიდებულებისა და სიმდიდრის მიზეზია კუნძულის სამხრეთ-დასავლეთით და მთებში. მუქი მწვანე ფერის ჩაის ბუჩქის პლანტაციათა შორის მიიკლაკნება წითელი ბილიკები — აქ მთელი ნიადაგი წითელია, ცხელი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ნიადაგთწარმოქმნის წითელმიწა ტიპი.

წვიმიანი სამხრეთ-დასავლეთი ოდესღაც განთქმული იყო ნოტიო ტროპიკული ტყით. ჩვენამდე შემორჩენილია მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაკვეთები — მარტოოდენ ყველაზე ციცაბო ფერდობებზე შეიძლება ნახოთ ასობით ჯიშის ხეთა მრავალიარუსიანი ტყე, დაკიდული, საჰაერო და მდგარი ფიცრისებრი ფესვებით. ესენია საგოვანები, თერმინალიები, ლეღვები, ხეგვიმრები. ხეები გადახლართულია ლიანებით, მათ შორის აღსანიშნავია მცოცავი პალმა როტანგი. ხის ტოტებს და ტანს ეკვრის უცნაური ორქიდეები.

უკვე XIX ს. 70-იან წლებში ეს დიდებული ტყეები გაჩეხეს და მათ ადგილას გაჩნდა კოლონიზატორთა ყავის პლანტაციები. მაგრამ ყავის ხემ ცეილონზე ვერ იხარა — პლანტაციები დააზიანა ადგილობრივმა სოკომ. მაშინ პლანტატორებმა გასუფთავებულ ფერდობებზე ჩაის ბუჩქი გააშენეს და ახლა ზეგნის ყველა ტენიან ფერდობზე 2 კმ სიმაღლემდე გრანდიოზული პლანტაციაა, ჩაის ბუჩქის მარადმწვანე ხავერდის ხალიჩაა. შრი ლანკა ერთ-ერთი უდიდესი ჩაის მიმწოდებელია მსოფლიოში.

ზეგნის ძირას და ვაკეზე ჩაის ლანდშაფტს ცვლის ტყის ლანდშაფტი, მაგრამ სინამდვილეში ეს ტყეები კი არა, ტყე-ბაღებია; უფრო მაღლა კაუჩუკოსანი ჰევეის კორომებია, ხოლო უფრო დაბლა, ზღვის მახლობლად — მაღალღეროიანი ქოქოსის პალმის ნარგავები. ნატურალური კაუჩუკი და ქოქოსის პალმის პროდუქტები ჩაის შემდეგ რესპუბლიკის ექსპორტის უმნიშვნელოვანესი საქონელია.

კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი მჭიდროდაა დასახლებული. ათობით კილომეტრზე გადაჭიმულია ქალაქები და სოფლები, რომლებიც პალმის ბაღებშია ჩაფლული. სულ სხვა სამყაროა შრი ლანკას ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი. აქ ვაკე დიდ სივრცეებზე დაფარულია ტყით. ტყე დაბალია, ფოთოლი მშრალ სეზონში ცვივა. ჩვენ შევეჩვიეთ გაძარცული ხეები წელიწადის ცივ დროს ვიხილოთ. ფოთოლცვენის დროს ტროპიკულ ჯუნგლში შიშველი ვარჯები განსაკუთრებით უსიცოცხლოდ გამოიყურებიან ზაფხულში, როცა თაკარა მზე აცხუნებს. ტყეებში ბინადრობს მრავალი მაიმუნი, ნაღიტა ირმები, ლეოპარდები, ლემურები, ასობით ჭრელ-ჭრელა ჩიტი, ვეება პეპლები. შემორჩა სპილოებიც — არა მარტო შინაური, მუშა, არამედ გარეულიც. კუნძულზე სულ რამდენიმე ათასი სპილოა.

ვაკის ტყეები ხშირია და გაუვალი, მაგრამ ეს მაინც არაა უღრანი ჯუნგლი: ძველად და შუა საუკუნეებშიც კი ცეილონის ვაკეების დიდი ნაწილი საცხოვრებლად აითვისეს და დაამუშავეს. სინგალები — ცეილონის ძველი კულტურის დამაარსებელნი — ხელოვნური მორწყვის ოსტატები იყვნენ. მათ შექმნეს ათასობით წყალსაცავი, რათა წაერთმიათ წყალი მდინარეებისათვის, რომლებიც ზეგნის უხვი წვიმებით საზრდოობდნენ და გვალვიან ვაკეს კვეთდნენ.

ცეილონის ძველ სინგალურ დედაქალაქთა — ანურადჰაპურის, სიგირიის, პოლონარუვის ნანგრევებს შორის ჩვენამდე შემორჩენილია უძველესი არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერის შესანიშნავი ქმნილებები. განსაკუთრებით შთამბეჭდავია



ონდრას კონცხი — შრი ლანკას ყველაზე სამხრეთი წერტილი.

დაგობები — გუმბათისებური ფორმის საფლავის ქვები. დაუვიწყარია სიმშვენიერე „ციური ფერებისა“, რომლებიც სიგირიის კლდეებზე საღებავებითაა მოხატული ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის V ს-ში.

ძველი სინგალური კულტურა სამხრეთ ინდოსტანიდან მოსული მებრძოლი ხალხების იერიშებმა დაანგრია. შუა საუკუნეებში იგი აღორძინდა და ისევ დაეცა. ვაკეზე გამართული საირიგაციო ნაგებობანი დაანგრიეს და მიტოვებული მინდვრები უსიცოცხლო უღრანმა დაფარა. მხოლოდ აურაცხელი წყლის სარკეები — უწინდელი წყალსაცავების ნაშთები, და ყოფილი დედაქალაქების ნანგრევები მოგვითხრობენ გამქრალ კულტურაზე.

ზეგნის პირობებში, სადაც გადმოსახლდნენ სინგალები, ვაკელ მიწათმოქმედ-მებრინჯეების შრომითი ჩვევები ნაკლებად გამოსადეგი იყო და მათი ცხოვრება უფრო მძიმე და ღარიბული გახდა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება, რამაც მეურნეობისა და კულტურის სასტიკი დაცემა გამოიწვია, ცეილონზე ევროპელი კოლონიზატორების გამოჩენა იყო. XVI ს. დასაწყისში მის სანაპიროებს მოადგა პორტუგალიის პირველი ხომალდები. ას ორმოცდაათი წელი პორტუგალიელები ძარცვავდნენ კუნძულს; მათ გაჰქონდათ პილპილი, დარიჩინი, კოპრა, პატიოსანი თვლები. XVII ს. გამოჩნდნენ ჰოლანდიელები, რომლებმაც მალე შეძლეს პორტუგალიელების გაძევება. მცხოვრებლებისათვის წართმეულ საუკეთესო მიწებზე კოლონიზატორებმა გააშენეს დარიჩინის ხის პლანტაციები. XVIII ს. ბოლოს ცეილონი ინგლისელებმა დაიპყრეს. ახალმა ბატონებმა გააძლიერეს კოლონიური ექსპლოატაცია. ინდოეთიდან შემოყვანილი მოჯამაგირე თამილები ამუშავებდნენ ჩაის ბუჩქის, კაუჩუკის ხის პლანტაციებს, ხოლო მათი შრომის ნაყოფს უცხოელი ბატონები ისაკუთრებდნენ.

ხალხი მრავალჯერ აღდგა მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ კოლონიზატორები ულმობლად ახშობდნენ აჯანყებებს. განსაკუთრებით გაძლიერდა კუნძულის მკვიდრთა ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთში მომხდარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენის შედეგად. შეიქმნა კოლონიური რეჟიმისადმი ოპოზიციური პარტიები. თავისუფლებისათვის ყველაზე თანმიმდევრულად იბრძოდა შრი ლანკას კომუნისტური პარტია, რომელიც 1943 წ. შეიქმნა.

1948 წ. ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელმა ბრძოლამ აიძულა ინგლისელები მიენიჭებინათ ცეილონისთვის დამოუკიდებლობა დომინი-

ონის უფლებებით. სახელმწიფოს მეთაურად რჩებოდა დიდი ბრიტანეთის მეფე. მისი სახელით ცეილონზე მოქმედებდა გენერალ-გუბერნატორი. დამოუკიდებლობა არასრული გამოდგა იმის გამოც, რომ ხელისუფლებას სათავეში მოექცნენ ინგლისელი იმპერიალისტების მიერ დაყენებული პირები. 1956 წ. პარლამენტის (ეროვნული სახელმწიფო ასამბლეა) არჩევნებში გაიმარჯვეს დემოკრატიულმა ძალებმა, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა თავისუფლების პარტია, რომელსაც მეთაურობდა სოლომონ ბანდარანაიკე. წამოაყენეს დემოკრატიული რეფორმების ფართო პროგრამა. ცეილონი დამოუკიდებელი პოლიტიკის გზაზე დადგა, მეგობრული კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, სამხედრო ბლოკებთან მიუერთებლობის პოზიცია დაიკავა. რეაქციონერთა აგენტებმა 1959 წ. სოლომონ ბანდარანაიკე მოკლეს, მაგრამ ამან ვერ აიძულა ცეილონი მიუერთებლობის პოლიტიკის გზიდან გადაეხვია.

გარდა კომუნისტებისა შრი ლანკაში ამჟამად კიდევ რამდენიმე პარტია მოქმედებს: გაერთიანებული ეროვნული პარტია, თამილის განთავისუფლების გაერთიანებული ფრონტი, შრი ლანკას თავისუფლების პარტია, შრი ლანკას სოციალისტური პარტია.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ქვეყანამ ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში, იგი გათავისუფლდა ინგლის-ამერიკის ნავთობის კომპანიების მრავალწლიანი ძალაუფლებისაგან, მოახდინა ტრანსპორტის საწარმოების, ჩაის, კაუჩუკის, ქოქოსის პლანტაციების ნაციონალიზაცია, რომლებიც უცხოელებს ეკუთვნოდათ. ტარდება მიწის რეფორმა. შრი ლანკა აქტიურად გამოდის მშვიდობის დასაცავად.

ცეილონის მცხოვრებთა უმეტესობა სინგალები არიან (დაახლოებით 10 მლნ.), მათ სახის ევროპეოიდული ნაკვთები, მაგრამ ბრინჯაოსფერი კანი აქვთ. გაბატონებული რელიგია ბუდიზმია. 2 მლნ-ზე მეტი კაცი სამხრეთ ინდოეთიდან გადმოსახლებული თამილები არიან, რომლებსაც უფრო მუქი ფერის კანი აქვთ და დრავიდების ნეგროიდულ რასას განეკუთვნებიან. თამილები ინდუიზმის რელიგიის მიმდევრები არიან, უფრო იშვიათად აღიარებენ ისლამს. ისინი ცხოვრობენ კუნძულის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში, ავრეთვე მთებში. ვაჭრობასა და ზღვაოსნობას მისდევენ არაბთა შთამომავალნი — მავრები, რომლებიც მხოლოდ მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებენ. გარდა ამისა, არიან ბიურგერები — ჰოლანდიელთა შთამომავალნი, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებლებს შეერივნენ. ისინი ქრისტიანლუთერანები არიან. სინგალთა და თამილთა ნაწილი — კათოლიკეები არიან. აღმოსავლეთის ტყეებში ცხოვრობს ვედების მცირერიცხოვანი ტომი — კუნძულის უძველესი მკვიდრნი.

კოლონიზატორებმა ცალმხრივი მეურნეობა შექმნეს: საუკეთესო მიწებზე მათ ჩაის, ქოქოსის და კაუჩუკის პლანტაციები გააშენეს საექსპორტოდ.

ამიტომაც მოსახლეობას ბრინჯი არ ჰყოფნის და იძულებულნი არიან იყიდონ. ამჟამად შრი ლანკაში ხდება ჯუნგლის გაჩეხვა, ახალი საირიგაციო სისტემების გაყვანა, ძველის აღდგენა. ეს საქმე ძნელიცაა და ძვირიც, მაგრამ თუკი ვაკეებს მთლიანად დაამუშავებენ, კუნძული საკმარის ბრინჯს მიიღებს.

შრი ლანკა აგრარული ქვეყანაა, მაგრამ მას მრეწველობაც აქვს. ამ ცოტა ხნის წინათ ეს იყო უპირატესად პატარა ფაბრიკები, რომლებიც ამუშავებდნენ იმ პროდუქციას, რასაც პლანტაციები იძლევიან — ჩაის ფოთოლს, კაუჩუკს, ქოქოსის კაკალს. ბოლო წლებში ქვეყანა შეუდგა უფრო მძლავრ სამრეწველო საწარმოთა შექმნას. ეკონომიკის განვითარებაში ეხმარებიან მეგობრული სოციალისტური ქვეყნები.

დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ჩვენი სპეციალისტები მონაწილეობენ საწარმოთა მშენებლობაში, ეხმარებიან შრი ლანკას ნავთობის ძიებაში. საბჭოთა კავშირის დახმარებით კუნძულზე ააგეს მეტალურგიული და საბურავების ქარხნები, წისქვილკომბინატი და ელევატორი.

კუნძულის წიაღიდან ამოაქვთ გრაფიტი, ქარსი, ფერადი ქვები — ლალი, საფირონი, მთვარის სპეკალი. გვერდით ოკეანეა, მაგრამ თევზის მრეწველობა სუსტადაა აღჭურვილი ტექნიკით და თევზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ქვეყანაში მოიხმარება, გარედან უნდა შემოიტანონ.

ქვეყნის დედაქალაქი კოლომბო — მთავარი სამრეწველო, სავაჭრო-საფინანსო და კულტურული ცენტრი — ინდოეთის ოკეანის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. იგი მსოფლიოს საზღვაო გზების

გზაჯვარედინზე აღმოცენდა (კეიპტაუნიდან სინგაპურისაკენ, სუეციდან ავსტრალიისაკენ). მის საქმიან, თანამედროვე შენობებით დამშვენებულ ცენტრს ფორტი ეწოდება (იგი ციხე-სიმაგრის ადგილზე გაშენდა). გვერდით კოლორიტული აღმოსავლური ბაზრები, მწვანეში ჩაფლული მდიდართა ცალკე სახლების კვარტალები, ხოლო გარეუბნებში — მუშათა უბრალო სახლებია.

ქუჩები სავსეა უამრავი ხალხით. მამაკაცებს ქალის ქვედატანის მსგავსი გრძელი თეთრი სამოსი — სარონგები აცვიათ; ქალებს — მშვენიერი კოფთები და ინდური ყაიდის ნაირფერი სარი. ღარიბები, შავი მუშები, მტვირთავები მხოლოდ წვივსაკრავს ატარებენ. კუზიანი ხარი — ზებუ მიათრევს ურემს და იქვეა თანამედროვე ტექნიკა — მარცხენამხრის მოძრაობის ნაკადში დაქრიან ორსართულიანი ავტობუსები, უამრავი ავტომობილი, საღამოობით ციმციმებენ ნეონის რეკლამები.

კოლომბოდან ქვეყნის სხვადასხვა ადგილისაკენ მიემართება გზატკეცილები და რკინიგზები. საუკეთესო ტრასა გადის კანდში — შრი ლანკას ძველ სინგალურ დედაქალაქში, სადაც მდებარეობს მთელი მსოფლიოს ბუდისტებისათვის სათაყვანებელი „წმიდა კბილის“ ტაძარი (თითქოსდა ბუდის კბილია!), შორიახლოს, ქალაქ პერედენიაში, არის ქვეყნის ერთ-ერთი უნივერსიტეტი, ხოლო მის გვერდით — მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი — ტროპიკული და ეკვატორული ფლორის ენციკლოპედია.

ჩინეთი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 9 597 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 975 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პეკინი (დაახლოებით 8,4 მლნ. მცხოვრები).

ჩინეთი აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში მდებარეობს. ტერიტორიის სიდიდის მხრივ (იგი თითქმის ევროპის ფართობის ტოლია) მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში საბჭოთა კავშირისა და კანადის შემდეგ. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით კი — პირველი ადგილი მსოფლიოში.

ჩინეთი მრავალეროვანი ქვეყანაა. გარდა ჩინელებისა, რომლებიც საკუთარ თავს ხანს უწოდებენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს 50-ზე მეტი სხვა ეროვნება, რომელთა საერთო რაოდენობა 60 მლნ. კაცს აღემატება. ყველაზე დიდი ეროვნული უმცირესობანი არიან — ჯუანები, უიღურები, ხუეი (დუნგანები), ეროვნებანი, ტიბეტელები, მონღოლები, მიაო, მანჯურები, ყაზახები, ყირგიზები, ტაჯიკები.

ჩინეთის მოსახლეობის თითქმის 96% თავმოყრილია ქვეყნის აღმოსავლეთ ვაკე ნაწილში, ფართობზე, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაახლოებით მესამედს შეადგენს. ჩინეთში ჭარბობს მთაგორიანი და ბორცვიანი რელიეფი.

ჩინეთის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი ტიბეტის ზეგანი (ფართობი—2 მლნ. კვ. კმ., საშუალო სიმაღლე—4500 მ), რომელსაც ჩრდილოეთით კუენლუნის ქედი ესაზღვრება. ჩინეთის დასავლეთი საზღვარი გადის ჰიმალაის, ყარაყორუმის, ტიან-შანის მთათა სისტემებზე. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში გადაჭიმულია ჯუნგარისა და თარიმის (კაშგარიის) ვაკეთა უკიდეგანო სივრცეები. ჩინეთის მთიანი დასავლეთი ნაწილი საფეხურებად ეშვება აღმოსავლეთისაკენ და გადადის დაცემული, ალუვიური ვაკეების ზოლში, რომელსაც ერთმანეთისაგან დაბალი მთები და პლატოები ჰყოფს. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, როგორც საფეხურებზე, ისე „ეშვებიან“ ჩინეთის უდიდესი მდინარეებიც ხუანხე (ყვითელი მდინარე) და იანძი, ანუ ჩანძიანი (გრძელი მდინარე), რომლებიც ტიბეტში იღებენ სათავეს. სამხრეთ ჩინეთის უდიდესი მდინარეა სიძიანი. ქვემო დინებაში მას ჯუძიანი („მარგალიტის მდინარე“) ჰქვია.

ჩინეთის ჰავა, სამხრეთ ნაწილისა და ზღვისპირა რაიონების გარდა, — კონტინენტურია. ჩრდილო-დასავლეთში და გობის უდაბნოში ცივი ჭარიანი ზამთარი და ხანგრძლივი ცხელი და მშრალი ზაფხული იცის. ტიბეტში ხანგრძლივ, თუმცა არც ისე ცივ ზამთარს ენაცვლება ხანმოკლე, გრილი ზაფხული. ჩინეთის ამ რაიონებში ნალექები ცოტა მოდის. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, დიდი ხინგანის დაბალ მთებში ყინვები —45°-მდე აღწევს.



ზაფხული აქ ხანმოკლე, მაგრამ თბილია, ტენი ზომიერი რაოდენობითაა. ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ზღვისპირეთში ხანმოკლე თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ცხელი და ტენიანი ზაფხულია, რასაც ახლავს ხშირი კოკისპირული წვიმები, რომელიც ზაფხულის მუსონებს მოაქვთ ოკეანიდან.

მდიდარი და მრავალფეროვანია ჩინეთის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ხეების ჯიშთა ნაირგვარობით ჩინეთს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მათ შორისაა ჰევეა, თუთის, ქაფურის, ლაქის, ტექტონის, ქონის ხეები, ხებამბუკი. მარტო ჩინეთში დაახლოებით 50 ჯიშის ხე და ბუჩქი გვხვდება. სამხრეთ ჩინეთის ტყეებში შემორჩა მცენარეები, რომლებიც რამდენიმე მილიონი წლის წინათ იზრდებოდა დედამიწაზე, მაგალითად ხეგვიმრები, ურთხელი. ოდესღაც ტყით იყო დაფარული არა მარტო მთათა ფერდობები, არამედ ქვეყნის აღმოსავლეთის ვრცელი ვაკეები. ტყეები უწესრიგოდ იჩეხებოდა და ახლა შემორჩა მხოლოდ ზოგიერთ რაიონში, უმთავრესად ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში.

ჩრდილო-აღმოსავლეთის ტყეებში გვხვდება ვეფხვი და ამურის ტყის კატა, ჩრდილო-დასავლეთში — ვეფხვი, ჯიქი და ლეოპარდი; ტიბეტში — ველური იაკი და თოვლის ჯიქი. სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის მთებში, რომლებიც ბამბუკისა და ფიჭვის ტყეებითაა დაფარული, შემორჩა ისეთი იშვიათი ცხოველები, როგორიცაა ბამბუკის დათვი (პანდა) და ოქროსფერი მაიმუნი. უფრო სამხრეთით ტყეებში შეიძლება შეხვდეთ ტროპიკების ისეთ წარმომადგენლებსაც, როგორიცაა მარტორქები, სპილოები და ტაპირები.

ჩინეთის წიაღი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აღმოჩენილია ქვანახშირის, რკინის მადნის, ნავთობის, საწვავი ფიქალის დიდი მარაგები ძვირფასი ლითონების დიდი საბადოები. მინერალური ნედლეულისა და იშვიათი ლითონების



პეკინის მთავარი ქუჩა ჩანანძე.

მნიშვნელოვანი სახეობის მარაგთა მიხედვით ჩინეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში (ვოლფრამი, კალა). ჰიდროენერგიის მარაგის მიხედვით — სსრ კავშირის შემდეგ მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში. წყლის ენერგიით განსაკუთრებით მდიდარია იანძი და ხუანხე.

ჩინეთი, როგორც ეგვიპტე და შუამდინარეთი,— მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ცენტრია. II ათასწლეულში ჩვენს ერამდე ჩინეთის ტერიტორიაზე, მდინარე ხუანხეს აუზში, წარმოიშვა პირველი სახელმწიფო შანი (ინი), რომლის მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, ნადირობას და მეთევზეობას, იცოდა ხელოსნობაც. უკვე ამ პერიოდში ჩინეთის მცხოვრებლები ადნობდნენ ლითონს, მოჰყავდათ ბრინჯი და ამზადებდნენ აბრეშუმს. ამ დროს გაჩნდა თავისებური დამწერლობა — ჩინეთის თანამედროვე იეროგლიფური დამწერლობის პირველსახე, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია კუს ბაკანსა, ცხვრის ბეჭსა და ბრინჯაოს ჭურჭელზე წარწერების სახით.

ძველი და შუა საუკუნეების პერიოდებში ჩინეთში იყო მაღალგანვითარებული კულტურა. მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენა შესძინა ჩინეთმა მსოფლიო კულტურას. ფართოდაა ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის მაგნიტური კომპასი, დენთი, ქაღალდი და ფაიფური— „ოთხი უდიდესი გამოგონება“, როგორც მას უწოდებენ ჩინეთში. მაღალ დონეს მიაღწიეს ჩინელებმა ასტრონომიაში, ირიგაციაში, სამშენებლო ხელოვნებაში. ჩინეთის ძველმა მშენებლებმა გამოიგონეს თავისებური სამშენებლო კონსტრუქციები და თვითმყოფადი არქიტექტურული სტილი. ერთ-ერთი მისი თავისებურებაა სახურავი ზეაშვერილი კიდეებით („მფრინავი ჩიტის ფრთების“ სტილი). უძველეს და შუასაუკუნეების ჩინეთში დიდად იყო განვითარებული ლიტერატურა, ფერწერა და თეატრი.

მრავალი საუკუნის განმავლობაში, დაწყებული II ათასწლეულიდან ჩვენს ერამდე, ჩინელმა ხალხმა შექმნა უდიდესი რაოდენობის ხელოვნების სხვადასხვაგვარი ნაწარმოები, რომლებშიც გამჟღავნებულია ბუნების პოეტური სიყვარული და ჭეშმარიტად ვირტუოზული ოსტატობაც, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და ვითარდებოდა.

I ათასწლეულში ჩვენს ერამდე გაჩნდა აბრეშუმის მოსასხამებზე ტუშით შესრულებული სურათები. მათ შორის ყველაზე ადრინდელი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, განეკუთვნება IV საუკუნეს ჩვენს ერამდე.

ჩინეთის ხელოვნება განთქმულია კერამიკისა და ფაიფურის, ხისა და ქვის ნაკეთობებით. ქვა და ძვალი, ხე და ქაღალდი, ფისი და თიხა ცოცხლდებოდა ჩინელ ხელოვანთა ხელით. შუასაუკუნეების ჩინეთის ხელოვნებას შევყავართ ჯადოსნურ სამყაროში, რომელიც უძველესი ლეგენდების სურნელითაა გაჟღენთილი.

ჩინეთის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა კონფუციანელობა.

ამ ეთიკურ-პოლიტიკური მოძღვრების შემქმნელი იყო კონფუცი (551—479 წწ. ჩვ. ერამდე) — ჩინურად კუნ-ძი, რაც შეიძლება ითარგმნოს როგორც „მასწავლებელი“ ანდა „დამრიგებელი კუნი“. იგი იყო თავის დროის დიდად განათლებული ადამიანი, მოხელე, მასწავლებელი, ქვეყნის ძველი წერილობითი ძეგლების შემკრები და მკვლევარი. კონფუცი ცდილობდა განესაზღვრა „ბრძენი მმართველის“ და მისი ქვეშევრდომების ქცევის წესები.

ჩინეთის ისტორიის ერთ-ერთი თავისებურებაა ფეოდალიზმის ხანგრძლივი პერიოდი. ფეოდალური ურთიერთობანი ჩინეთში ბატონობდა 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რასაც შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის ბედ-იღბალზე მსოფლიოს ახალი და უახლოესი ისტორიის პერიოდებში. ჩინეთი ბევრ ქვეყანაზე ადრე შევიდა ფეოდალიზმის ეპოქაში. ამ გარემოებამ საშუალება მისცა მას XIV—XV სს-მდე გაესწრო მსოფლიოს ქვეყნებისათვის მატერიალური და სულიერი კულტურის დონის მიხედვით.

მაგრამ დაახლოებით XVI ს-დან ჩინეთი ჩამორჩა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანას. იმ დროს, როცა XVII და XVIII სს. ევროპის ქვეყნებს ბურჟუაზიული რევოლუციების ტალღამ გადაუარა, დადგა კაპიტალიზმის ეპოქა თავისი მანქანური ტექნიკით, ფეოდალური წყობილება ჩინეთში, ხელით შრომა სოფლის მეურნეობაში და ხელოსნობა ურყევი რჩებოდა.

ქვეყნის განვითარების შენელების ერთ-ერთი მიზეზი ნატურალური მეურნეობის სიმყარე იყო. მიწათმოქმედნი და ხელოსნები თვითვე უზრუნველყოფდნენ თავის თავს ყოველივე აუცილებლით, რაც გახდა სუსტი სამეურნეო ურთიერთობის მიზეზი ქვეყნის შიგნით. სწორედ ეს ამუხრუჭებდა შრომის იარაღების განვითარების პროგრესს მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაში.

მეორე მიზეზი იყო განტოტებულ ჩინოვნიკიერარქიული სისტემის განსაკუთრებული სიმყარე, რომელიც თოვნა ბიუროკრატიული აპარატის ხელში. ეს აპარატი ხელს უშლიდა ახალი ტექნიკის დანერგვას, ახალი ფორმების გაჩენას ეკონომიკაში, ხელოვნებაში, ცხოვრების წესში.

ჩინეთის ხელოვნების ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ხანგრძლივ პერიოდებს, როდესაც ხელოვნების ფორმები ფაქტიურად უცვლელი რჩებოდა. ასეთ პერიოდებში ხელოვნების განვითარება ხდებოდა ან ძველი ტრადიციების ერთგული გაგრძელებით, ან ახალი ფორმების ძალიან ნელი ათვისებით.

ჩინეთის ხელოვნების ისტორიაში ასეთ ხანგრძლივ პერიოდებს ეკუთვნის ჩინეთის ხელოვნების ისეთი ფორმების ჩამოყალიბება, როგორიცაა ქანდაკება, ფერწერა, ხუროთმოძღვრება, ორნამენტი, ხელოვნების ისეთი სახეობების განვითარება, როგორიცაა ფერწერა ქაღალდზე, ხელოვნური ფაიფურის დამზადება, ლაკის ნახატები, ხელოვნების ისეთი ჟანრების ჩამოყალიბება, როგორიცაა პეიზაჟი, ნატურმორტი, ანიმალისტური ჟანრი.

ჩინეთის ხელოვნების ისტორიაში ასეთ ხანგრძლივ პერიოდებს ეკუთვნის ჩინეთის ხელოვნების ისეთი ფორმების ჩამოყალიბება, როგორიცაა ქანდაკება, ფერწერა, ხუროთმოძღვრება, ორნამენტი, ხელოვნების ისეთი სახეობების განვითარება, როგორიცაა ფერწერა ქაღალდზე, ხელოვნური ფაიფურის დამზადება, ლაკის ნახატები, ხელოვნების ისეთი ჟანრების ჩამოყალიბება, როგორიცაა პეიზაჟი, ნატურმორტი, ანიმალისტური ჟანრი.

რა არის იეროგლიფი

ჩინეთსა და იაპონიაში იეროგლიფებით წერენ. თუ ჩვენ გვინდა დავწეროთ სიტყვა „კაცი“, ვწერთ ასოს „კ“, მერე „ა“, მერე „ც‘ და ა შ. სოლო ჩინელები სატავენ ნიშანს, რომელიც „კაცს“ აღნიშნავს. იეროგლიფი ერთი ნიშანია. სიტყვები კი ენაში ძალიან ბევრია და თითოეულს თავისი ნიშანი სჭირდება. თუ უნდათ დაწერონ სიტყვა „ტყე“, სატავენ ორ ნიშანს — „ხეს“.

ეს დამწერლობა წარმოიშვა XV—XVIII სს. ჩვ. ერამდე. თავდაპირველად, უბრალოდ, სატავდნენ ადამიანს თავიანად, ხელებიანად, ფეხებიანად. მაგრამ სწრაფი წერისას შეუძლებელია მკაფიოდ დაიხატოს ადამიანის სხეულის ყველა დეტალი და რამდენიმე სნის შემდეგ ნახატი გადაიქცა წაშნად, რომელიც თდნავ გვაგონებს თავის მთრეულ წინაპარს

ყველა იეროგლიფის დამახსოვრება—დახლოებით 60 ათასისა—შეუძლებელია. კულტურულმა ადამიანებმა, ჩვეულებრივ, 5 ათასამდე იეროგლიფი იციან, გაზეთში რომ წაიკითხო, უნდა იცოდე 3 ათასა იეროგლიფი. მოწაფეები და სტუდენტები იძულებულნი არიან არა მარტო ისწავლონ ახალი ცნებები, არამედ დაიზეპირონ ახალი იეროგლიფებიც.

იაპონელებმა, კორეელებმა და ვიეტნამელებმა იეროგლიფები ჩინელებისაგან გადაიღეს. ერთსა და იმავე იეროგლიფს „კაცს“ ყველანი ერთნაირად წერდნენ, მაგრამ კითხულობდნენ სხვადასხვანაირად: ჩინელები კითხულობდნენ — „ჟენს“, კორეელები — „სარამს“, იაპონელები — „სიტოს“, სოლო ვიეტნამელები — „ნგოის“. იეროგლიფები ვერ მიჰყვება თანამედროვე სწრაფ ცხოვრებას.

ვიეტნამელები გადავიდნენ ლათინურ ანბანზე, კორეელები თავიანთ ეროვნულ ანბანზე, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შექმნეს, მაგრამ ადრე ნაკლებად იყენებდნენ. მისი ასოები ჯგუფდება მარცვლებად ბუდეებში, რომლებიც გარეგნულად იეროგლიფებს მოგვაგონებს. იაპონელები აქამდე ხმარობენ იეროგლიფებს, რომლებიც ცალკეულ სიტყვებს ნიშნავს. ამას გარდა მათ დაუმატეს ორმარცვლოვანი ანბანი, სადაც თითოეული მარცვალი, მაგალითად, „კა“, „კე“, „კო“, „კი“, „კუ“, აწერება განსაკუთრებული ნიშნით. ასეთი მარცვლები დაახლოებით ორმოცდაათია. ანბანით „სირაგანა“ იწერება იაპონური სიტყვების გრამატიკული დაბოლოებანი, სოლო ანბანით „კატაკანა“ — სიტყვები, რომლებიც სხვა ენებიდანაა ნასესხები, აგრეთვე უცხოური საკუთარი სახელები.

რე, რომელიც ნაკურთხი იყო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით. მასების პოლიტიკური და სულიერი დამონების თავისი ოსტატური მეთოდით. განვითარებას აფერხებდა მომთაბარე ტომებისა და ხალხების მუდმივი გამანადგურებელი თავდასხმები. ჩვენი წელთაღრიცხვის X საუკუნეში ჩინეთს თავს დაესხნენ ტანგუტები და კიდანები, XII საუკუნეში — ჯურჯენები, XIII საუკუნეში — მონღოლები. განსაკუთრებით მძიმე იყო მანჯურთა თავდასხმები. XVII საუკუნის შუა წლებში მანჯურებმა დაიპყრეს ჩინეთის დედაქალაქი და მალე მთელი ჩინეთი. მანჯურიელი მბრძანებლები თითქმის 300 წელი — XVII ს-დან 1911 წლის რევოლუციამდე ისხდნენ იმპერატორის ტახტზე პეკინში.

მანჯურიელმა დამპყრობლებმა, რომლებიც მიისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ბატონობა ჩინეთზე, გადაწყვიტეს „ჩაეკეტათ“ ჩინეთი. ისინი სიკვდილით ემუქრებოდნენ იმათ, ვინც ააშენებდა დიდ ხომალდებს, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა ჩინეთის ნაპირებიდან შორს წასვლა, ხოლო უცხოურ გემებს აუკრძალეს შესულიყვნენ ჩინეთის ნავსადგურებში. ჩინეთი მოწინავე ქვეყნების ტექნიკის, მეცნიერების და კულტურის მონაპოვრებისაგან ხელოვნურად მოწყვეტილი აღმოჩნდა. ჩინელი მეცნიერები და წარჩინებული მოხელეები მსოფლიოს შესახებ შუასაუკუნისდროინდელ ცნობებს უნდა დასჯერებოდნენ. ჩინელი ფეოდალი მბრძანებლების ამპარტავნობა და კარჩაკეტილობა კიდევ ერთი დაბრკოლება იყო პროგრესის გზაზე.

XIX ს. მეორე ნახევარში დაბრკოლებებს, რომლებსაც აყენებდა ფეოდალიზმი ჩინელი ხალხის წინაშე პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე, უცხოური კაპიტალის უღელი დაემატა. XIX ს. 40—60-იან წლებში ჯერ ინგლისმა და საფრანგეთმა, შემდეგ სხვა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა აიძულეს ჩინეთის მმართველები ხელი მოეწერათ არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც უცხო სახელმწიფოებს აძლევდა სხვადასხვა უფლებებსა და პრივილეგიებს. XIX ს. ბოლოს ჩინეთი აღმოჩნდა ეგრეთ წოდებულ გავლენის სფეროებად დაყოფილი. იმპერიალისტებმა „იჯარის“ სახით დაიპყრეს მთავარი სავაჭრო და სამხედრო ნავსადგურები, მიიღეს კონცესიები რკინიგზების, შახტებისა და მაღაროების მშენებლობებზე. XX ს. დასაწყისში უცხოეთის სახელმწიფოებმა დააწესეს კონტროლი ჩინეთის ფინანსებზე, ხელთ იგდეს სარფიანი პოზიციები ეკონომიკის სხვა დარგებშიც. ჩინეთი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ნახევრად კოლონიად იქცა.

ლიუიდის რაიონის მეთევზეები.

ჩინელი ხალხი არაერთხელ აღმდგარა ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო უცხოური კაპიტალის შემოჭრასთან დაკავშირებით — შიგა და გარეშე რეაქციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ. ხანგრძლივი გლეხთა ომები ჩინეთის ისტორიის ერთ-ერთი თავისებურებაა და მისი ერთ-ერთი რევოლუციური ტრადიციაა. ქვეყნის ისტორიაში შევიდა ლი ძი-ჩენის აჯანყება XVII ს. პირველ ნახევარში, ტაიპინების გლეხთა ომი XIX ს. შუა წლებში, იხეტუანის აჯანყება XIX—XX სს. მიჯნაზე.

ჩინეთში ახლად ჩასახული ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც ცდილობდნენ გაეთავისუფლებინათ ქვეყანა ფეოდალების უღლისა და იმპერიალისტთა მოძალეობისაგან. 1905 წ. რევოლუციური ფრთის ბელადმა სუნ-იატ-სენმა შექმნა პირველი საერთო ჩინური რევოლუციური პარტია ტუნმენხოი, რომელმაც მიზნად დაისახა მანჯურების განდევნა და რესპუბლიკის შექმნა. მისი პროგრამა ცნობილი იყო „სამი სახალხო პრინციპის“

სახელწოდებით. მაგრამ ჩინეთის ბურჟუაზია ძალიან სუსტი იყო, ამიტომ 1911 წ. რევოლუცია შემოიფარგლა იმით, რომ მანჯურთა იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდეს, მაგრამ ძალაუფლება ჩინეთში წინანდებურად მემამულეების და რეაქციული სამხედრო წრეების — მილიტარისტების ხელში დარჩა.

ფეოდალიზმზე და იმპერიალიზმზე გამარჯვების პირობები ჩინელ ხალხს შეექმნა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქაში, რომელსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაუდო სათავე. მისი გავლენით ჩინეთში მარქსიზმ-ლენინიზმმა იწყო გავრცელება, შეიქმნა პირველი კომუნისტური წრეები, რომელთა ბაზაზე 1921 წ. დაარსდა ჩინეთის კომუნისტური პარტია.

შინაური და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლის ოცდაათწლიანი პერიოდი — ანტიიმპერიალისტური „4 მაისის მოძრაობით“ დაწყებული 1919 წ. სახალხო რევოლუციის გამარჯვებით დამთავრებული 1949 წ., მკაფიო, დრამატული ამბებით იყო დატვირთული. 1925—1927 წწ. ქვეყანა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, ეროვნულმა რევოლუციამ მოიცვა. მან შეარყია მილიტარისტებისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების ბატონობა. სამხრეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით შექმნილმა რევოლუციურმა ჯარებმა ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს დაიკავეს ქალაქები უხანი, შანხაი, აამოძრავეს მუშათა და გლეხთა მასები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ჩინეთში. ხალხთა მასობრივი მოძრაობის გაჭანებით შეშინებული ბურჟუაზიულ-მემამულური ძალები, რომელსაც ჩან კაი-ში მეთაურობდა, შეუთანხმდა იმპერიალისტებს და მათი მხარდაჭერით დაიწყო სასტიკი თეთრი ტერორი კომუნისტების, წითელი პროფკავშირების და რევოლუციური მშრომელების წინააღმდეგ. რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ კომუნისტებს იარაღი არ დაუყრიათ. ქალაქებიდან განდევნილებმა რეაქციის ტერორს პარტიზანული ბრძოლის გაჩაღებით უპასუხეს. ისინი უმთავრესად ემყარებოდნენ გლეხობას, რომელიც მემამულეთა და მილიტარისტთა უღლისაგან იტანჯებოდა, სოფლად პარტიზანული ბრძოლის შედეგად გაიზარდა რევოლუციის ახალი ძალა — ჩინეთის წითელი არმია, რომელიც გმირულად ებრძოდა ჩან კაი-შის ჯარებს.

ბრიჯის ყანაში.

30-იან წლებში შეიქმნა საშიშროება იმპერიალისტური იაპონიის მიერ ჩინეთის სრული დამონებისა. 1931 წელს იაპონიის მხედრობამ ხელთ იგდო ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი (მანჯურია), 1933—1935 წწ. — ჩრდილოეთ ჩინეთის ნაწილი, ხოლო 1937 წელს დაიწყო ომი მთელი ჩინეთის დასაპყრობად. ჩინეთის სახალხო მასების ზეგავლენით შეიქმნა ყველა კლასის და პარტიის ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტი. 1937 წ.-დან 1945 წ. ჩათვლით ჩინელი ხალხი წინააღმდეგობის ომს ეწეოდა იაპონელ აგრესორებთან. იაპონიის განადგურებისა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ჩინეთის ბურჟუაზიულ-მემამულური ძალები, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედით, ვარაუდობდნენ თავიანთი ბატონობის გაძლიერებას, ცდილობდნენ არ დაეშვათ ქვეყნის მმართველობაში ხალხის მასების წარმომადგენლები.

მაგრამ ხალხს არ სურდა ძველებურად ეცხოვრა. 1946 წ. დაწყებული სამოქალაქო ომი რეაქციული ძალების სრული განადგურებით დამთავრდა. ჩან კაი-შის არმიის ნაშთები, რომელთაც ამერიკის ჯარები იფარავდნენ, კუნძულ ტაივანზე გაიქცნენ. კუნძულზე განაგრძობს არსებობას მარიონეტული პროიმპერიალისტური რეჟიმი, რომელსაც „ჩინეთის რესპუბლიკა“ ჰქვია. პეკინის თავზე აფრიალდა ხუთი ოქროსვარსკვლავით დამშვენებული წითელი დროშა — სახალხო რევოლუციის გამარჯვების ალამი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროშა.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება ნათელი მაგალითია ოქტომბრის იდეებით შთაგონებული ხალხის უშრეტი ძალისა. დიდი მსხვერპლი გაიღო ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლაში დაიღუპა მრავალი მისი იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელი, მათ შორის პირველი ჩინელი მარქსისტი ლი და-ჩაო, მუშათა მოძრაობის აღიარებული ხელმძღვანელი სუ ჯაო-ჩენი, გლეხთა კავშირების ორგანიზატორი პენ ბაი, პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი, ბრწყინვალე პუბლიცისტი, ჩინურ ენაზე კ. მარქსის, ვ. ი. ლენინის შრომების, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის მრავალი ნაწარმოების მთარგმნელი ციუი ციუ-ბო, გუანჯოუს (კანტონის) 1927 წლის აჯანყების ხელმძღვანელი ჯან ტაილეი, ჩინეთის წითელი არმიის საბრძოლო მეთაურები ფან ჯი-მინი, სიან ინი, ე ტინი და სხვები. აურაცხელია რიგითი გმირები, რომლებიც ჩანკაი-შელთა დილეგებში დაიღუპნენ, ომში დაეცნენ კომუნისტები და კომკავშირელები, მუშები და გლეხები, წითელი არმიის მებრძოლები (1946 წლიდან მას ეწოდა ჩინეთის სახალხო-გამათავისუფლებელი არმია).

ამავე დროს ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება ნათელი დადასტურებაა ყველა ქვეყნის რევოლუციური ხალხების ინტერნაციონალური ერთიანობის უდიდესი ძალისა, მაგალითია ჩინელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძმური დახმარებისა მათ სამართლიან ბრძოლაში.

რევოლუციის ყველა ეტაპზე ჩინელი რევოლუციონერები იღებდნენ დახმარებასა და მხარდაჭერას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისაგან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსაგან. ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური ინტერნაციონალი დაეხმარა ახალგაზრდა ჩინელ კომუნისტებს დაეარსებინათ პარტია, განესაზღვრათ მისი პროგრამის ძირითადი დებულებანი, შეემუშავებინათ მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი დებულებანი, რამაც გამარჯვებამდე მიიყვანა რევოლუცია.

1924—1927 წწ. მრჩეველ-მოხალისეთა საბჭოთა სამხედრო ჯგუფი, რომელსაც სათავეში სამოქალაქო ომის გმირი ვ. კ. ბლიუხერი ედგა, დაეხმარა ჩინეთს შეექმნა რევოლუციური შეიარაღებული ძალები. როცა 1937 წლის ივლისში იაპონელი იმპერიალისტები თავს დაესხნენ ჩინეთს, საბჭოთა კავშირი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ჩინელ ხალხს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია იარაღითა და საბრძოლო მასალით. აგრესორთა წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა მფრინავი-მოხალისეები, მათ შორის ასზე მეტი მამაცთა სიკვდილით დაეცა ჩინელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დახმარებოდა ჩინელ ხალხს გამათავისუფლებელ ბრძოლაში, ომი გამოუცხადა იაპონიას. საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს იაპონიის რჩეული ჯარები — კვანტუნის არმია და გაათავისუფლეს ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი. ამ ამბებმა წინასწარ განსაზღვრა იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხება. გათავისუფლებული მანჯურია გადაიქცა ჩინეთის რევოლუციური ძალების საიმედო სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად, ჩინეთის რევოლუციის ახალ პოლიტიკურ ცენტრად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამ (1949) ჩინელ ხალხს გზა გაუხსნა ახალი, სოციალისტური ჩინეთის მშენებლობისა. ისტორიული მნიშვნელობითა და გაქანებით ამ გიგანტური ამოცანის შესრულებას ართულებდა ქვეყნის საერთო ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, სრული რღვევა, რაც ხანგრძლივი ომების შედეგი იყო. სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეობების წარმოების მხრივ ძველი ჩინეთი საგრძნობლად ჩამორჩებოდა განვითარების საშუალო დონის მქონე ქვეყნებს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეჭირა მსოფლიოში.

წარსულის მძიმე მემკვიდრეობა ერგო ჩინელ ხალხს — მოსახლეობის თითქმის 90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო, უაღრესად მცირე რაოდენობით ჰყავდათ კვალიფიციური ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, მეცნიერები. სახალხო ხელისუფლების პირველ წლებიდანვე გაჩაღდა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სახალხო განათლების თანამედროვე სისტემის შესაქმნელად. ათეულ მილიონობით მუშა და გლეხი შეუდგა საღამოს სკოლებში სწავლას.

იმპერიალისტების ბატონ-პატრონობამ ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ მრეწველობის განვითარებამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო, რაც ტიპიურია ნახევრადკოლონიური ქვეყნისათვის. თანამედროვე მრეწველობის ბევრი დარგი, როგორიცაა საავტომობილო, სატრაქტორო, საავიაციო, ჩარხმშენებელი, ხელსაწყოთმშენებელი, საერთოდ არ იყო. თითქმის სულ არ არსებობდა მრეწველობა ჩინეთის შიგა რაიონებში.

სამი წელი (1949—1952) დანგრეული მეურნეობის აღდგენას მოხმარდა. ძალ-ღონის უდიდესი დაძაბვის შედეგად, რაც საბჭოთა კავშირის დახმარებასა და მხარდაჭერას ეყრდნობოდა, ჩინელმა ხალხმა შეძლო აღედგინა დანგრეული ქარხნები, რკინიგზები და ელექტროსადგურები, აემუშავებინა უმოქმედო შახტები და მაღაროები. ამავე წლებში ჩატარდა აგრარული რეფორმა — მემამულეთა მიწათმფლობელობა ლიკვიდირებული იქნა, მათი მიწები გლეხებს გადაეცა.

1953—1957 წწ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელდა პირველი ხუთწლედი. მისი მთავარი ამოცანა იყო შეექმნა ბაზა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, განეხორციელებინა სოციალისტური გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში. პირველ ხუთწლიან გეგმას საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება.

პირველი ხუთწლედის ამოცანები წარმატებით შესრულდა. მკვეთრად გაიზარდა მრეწველობის ძველი დარგების პროდუქციის გამოშვება, აშენდა ბევრი ახალი საწარმო, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე მრეწველობის ბევრ დარგს, რომლებიც მანამდე არ იყო ჩინეთში. წვრილი გლე-

მოგზაურობა ჩინეთში

ჩვენი მოგზაურობა ჩინეთში პეკინიდან დავიწყოთ. ჩინურად დედაქალაქის სასელწოდება ჟღერს ასე: „ბეიძინი“, რაც „ჩრდილოეთის დედაქალაქს“ ნიშნავს. პეკინი გარეუბნებიანად სწრაფადმზარდი დიდი ქალაქია იგი კარგა ხანია გასცილდა ძველ, შუა საუკუნეების ქალაქის საზღვრებს, რომლებსაც აღვილად შეამჩნევთ ძველი ქალაქის ჭიშკრებიანი და კოშკებიანი კედლების მართკუთხედების მიხედვით. ქალაქს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კვეთს მოასფალტებული ფართო მაგისტრალი. აღმოსავლეთ მხარეს იგი გადის ძველი ქალაქის ფარგლებიდან და კროპული ტიპის დაბალი სახლების კვარტალებში იკარგება. აქ დაინახავთ 80 ათას ადგილიან ვეება სტადიონს, სოლო შემდეგ საავტომობილო, სატრაქტორო, ქიმიურ და ბეტონის ქარხნებს, სამი საფეიქრო ფაბრიკის შენობას. პარკის ხოლი ჰყოფს ქარხნებისაგან საცხოვრებელ კვარტალებს, კლუბებსა და სკოლებს. პეკინის აღმოსავლეთ გარეუბანს კვეთს გზატკეცილი, რომელიც დედაქალაქის მთავარ აეროპორტში მიდის.

დავბრუნდეთ ქალაქის ცენტრში, ტიანანმენის მოედანზე, სადაც 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მოედანზე დგას სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრების შენობა და ჩინეთის ისტორიისა და რევოლუციის მუზეუმები — გრანიტის, მარმარილოსა და მინის თანამედროვე ნაგებობანი. გაივლი ტიანანმინის ჭიშკრის თაღის ქვეშ და თითქოს სხვა ეპოქაში აღმოჩნდები. აქ დგას იმპერატორის ყოფილი სამთრის სასახლე, — შუა საუკუნეების ჩინეთის არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში, რომელიც ამჟამად მუზეუმადაა ქცეული. ქალაქისა და სასახლის ნაგებობათა მუქი წითელი კედლები, ვარაყით დამშვენებული მრავალმეტრიანი სის წითელი სვეტები, ხოლო მათ თავზე ოქროსფერ-ყვითელი კრამიტის სახურავები ზღაპრულ სანახაობას ქმნიან. ზეაზნექილ კიდეებიანი სახურაკები, თითქოს გარინდული ტალღები, ერწყმიან ერთიანად ოქროსფერ — ყვითელ ზღვას. მარმარილოს ფილებზე, დამრეცად რომ ეშვება შიგა ეზოებში, ამოკვეთილია ბარელიეფები — ურჩხულები და ფენიქსები, იმპერატორთა ძალაუფლებისა და სიდიადის სიმბოლოები.

პეკინიდან სამხრეთისაკენ მიემართება რკინიგზის მაგისტრალები შანსაიში და გუანჯოუში. ტრანსჩინური სახი პეკინი — გუანჯოუ ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთს ერთმანეთთან აკავშირებს. იგი კვეთს მდინარე იანძის თითქმის მართი კუთხით ქალაქ უხანის მასლობლად.

როგორც კი პეკინს გაცდებით, იწყება დიდი ჩინეთის ვაკის ტიპობრივი ლანდშაფტი: არსებითა და თხრილებით დასერილი უკიდეგანო ველები, პატარა კორომებით გარშე-

ხური მეურნეობები პირველ ხუთწლედში გაერთიანდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში.

საბჭოთა კავშირის დახმარებით რეკონსტრუქცია გაუკეთეს და ხელახლა ააგეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიის ძირითადი ცენტრები — სამი დიდი მეტალურგიული კომბინატი: ანშანისა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, ბაოტოუსი შიგა მონღოლეთში და უხანისა ქალაქ უხანში, თითოეული დაახლოებით 3 მლნ. ტ ფოლადის საპროექტო სიმძლავრით წელიწადში. დიდი მეტალურგიული ქარხნები აიგო აგრეთვე ქალაქ ბენსიში (ანშანის მახლობლად) და პეკინთან ახლოს.

პირველ ხუთწლედში დაიწყო ავტომობილების, ტრაქტორების, თვითმფრინავების, ჩარხების, ხელსაწყოების წარმოება. ახალი დარგების პირმშოები გახდნენ საავტომობილო ქარხანა ჩანჩუნში, სატრაქტორო ქარხანა ლოიანში, საავიაციო ქარხანა შენიანში, ჩარხთმშენებელი ქარხნები შენიანსა და შანხაიში.

რევოლუციამდე მიაჩნდათ, რომ ჩინეთი ღარიბია ნავთობით. გათავისუფლების შემდეგ აღმოაჩინეს ნავთობის 30-ზე მეტი დიდი საბადო.

ჩინელი ხალხის წარმატებები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში განუყრელადაა დაკავშირებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებასთან.

ჩვენმა ქვეყანამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მისცა შეღავათიანი კრედიტი და საჭირო ტექნიკა მსხვილი საწარმოების მშენებლობისათვის, რაც მრეწველობის ჩონჩხი გახდა, დაეხმარა დაახლოებით 200 მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობაში. მარტო პირველ ხუთწლედში საბჭოთა კავშირმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწოდა მოწყობილობა ქვანახშირის დიდი შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკებისათვის, სამი მეტალურგიული გიგანტის მშენებლობაზე გაგზავნა ძირითადი მოწყობილობანი, აზიის ოთხი უდიდესი ბრძმედისა და შვიდი მარტენისათვის, უნიკალური საგლინი დგანები. მთლიანად სსრ კავშირიდან მიაწოდეს პირველი სატრაქტორო, საავტომობილო და რიგი თავდაცვითი ქარხნების მოწყობილობა.

მორტყმული ჯგუფად მდგარი გლესთა სახლები.

მაგრამ აპა, გამოჩნდა მდინარე იანძი და ქალაქი უსანი. უფრო სუსტად სამი გაერთიანებული ქალაქი — უსანი, სანკოუ და ხანიანი. უხანი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი და ნავსადგურია მდინარე იანძიზე. იანძის აღმა — ჩუნცინისაკენ და დაღმა — შანხაისა და ნანკინისაკენ უსარიდან მიდის მგზავრებითა და ტვირთით სავსე გემები. უხანში ზაფხულობით ძალიან ცხელა—ტემპერატურა ჩრდილში 50°-მდე აღწევს. საქმეს ვერც იანძის სიახლოვე შველის და ვერც ქალაქგარეთ გადაშლილი თვალწარმტაცი ტბები, სადაც მდებარეობენ უხანის უნივერსიტეტი, ძველი ტაძრები და მონასტრები, პარკი და ძველი ჩინეთის დიდი პოეტის — ციუი იუანის მემორიალური ტალავარი. ქალაქის მეორე ღირსშესანიშნაობაა იანძიზე ვაღებული თითქმის 2 კმ. სიგრძის ახალი ხიდი.

ახლა ჩვენი გზა სამხრეთ ჩინეთის უდიდეს ქალაქ გუანჯოუსკენ მიემართება: და ისევე, როგორც პეკინიდან უხანისაკენ მამაკაც გზაზე გაწოლილა ვაკე, უსასრულოდ მოჩანს ყანები, მაგრამ შორს, სამხრეთისაკენ ვაკე იბორცვება, ყანები ტერასებად მაღლა მიაწევს და ბორცვების შუამდე აღწევს. მცენარეულობა თანდათანობით სასსასა და ტანაყრილი სდება.

გუანჯოუში იკრძნობა ზღვის სიახლოვე. სახლების ზედა სართულები ბევრ ქუჩაში თავის შუშაბანდებითა და ჩარდახებით ტროტუარებს გადმოსცქერის. ეს გამვლელებს იცავს ტროპიკული წვიმებისაგან ზაფხულის მუსონების პერიოდში, როცა წყალი თქეშად დასდის ქალაქს რამდენიმე ღღეს.

შანხაი ჩინეთის უდიდესი სამრეწველო ცენტრია იგი მდინარე სუანპუზე მდებარეობს. შანხაის წამყვანი პოზიციები უკავია ქსოვილების წარმოებაში, გემთმშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში, სელსაწყოთმშენებლობაში. ქალაქის ირგვლივ აგებულია რამდენიმე ქალაქი-თანამგზავრი. შანხაის მახლობლად მდებარეობს ჩინეთის სასელგანთქმული საკურორტო ქალაქები სანჯოუ და სუჯოუ.

შანხაისთან მდინარე იანძი რამდენიმე ტოტად იყოფა, რომლებიც ზღვისკენ მიემართება. იანძის ტოტის სუანპუს ნაპირის გასწვრივ გაწოლილია შანხაის ყველაზე დიდი სანაპირო. ამ სანაპიროსთან, თითქოსდა ქალაქს რამდენიმე ზოლად კვეთსო, თავს იყრიან გრძელი დაკლაკნილი ქუჩები. ხუანპუთი თითქმის ქალაქის ცენტრამდე შედიან საზღვაო გემები. ხუანპუსა და იანძის სანაპიროებზე მრავალ კილომეტრზე ერთმანეთს მისდევს შანხაის სანავსადგურო გემთმისადგომები.

ჩვენ გავიარეთ მრავალკილომეტრიანი გზა, ვიყავით ჩინეთის ოთხ დიდ ქალაქში, მაგრამ ამ უდიდესი ქვეყნის მხოლოდ მცირე ნაწილს გაეცანით.

ბილობა. ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში დასახმარებლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სხვადასხვა დროს მუშაობდა ათასობით საბჭოთა სპეციალისტი. რამდენიმე ათასმა ჩინელმა მუშამ, ტექნიკოსმა და ინჟინერმა პრაქტიკა საბჭოთა ქარხნებში გაიარა.

პირველი ხუთწლედის წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა სოფლის მეურნეობაც. ჩინეთში მიწათმოქმედებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ბევრი ნალექი მოდის. დასავლეთი რაიონების სტეპებში, ნახევარ უდაბნოებსა და მაღალმთიან იალაღებზე კარგი პირობებია საძოვრული მეცხოველეობისათვის. კლიმატური პირობები მდინარე იანძიდან ჩრდილოეთ რაიონებში ორ წელიწადში სამი მოსავლის აღების საშუალებას იძლევა. მდინარე იანძის ხეობაში — ქვეყნის ამ ძირითად ბელელში — ერთსა და იმავე ნაკვეთიდან წელიწადში ბრინჯის ან ბამბის ერთ მოსავალსა და ხორბლის ერთ მოსავალს იღებენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ბრინჯის ორ მოსავალს და სხვა რომელიმე მარცვლეულის ერთ მოსავალსაც კი იღებენ. ამიტომაცაა, რომ ჩინეთში სათესი ფართობი დაახლოებით ერთი მესამედით ჭარბობს სახნავ ფართობს.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ჩინეთში მოჰყავთ, ბრინჯი და ხორბალია (ქვეყნის მარცვლეულის მოსავლის $^2/_3$). მარცვლეულის მესამედი მოდის გაოლიანზე (ფეტვის ნაირსახეობა), ღომზე, სიმინდზე, ჭვავზე, წიწიბურასა და შვრიაზე. მებრინჯეობის ძირითადი რაიონებია სამხრეთი და მდინარე იანძის აუზი, ხორბლისა — იანძის აუზი და მისგან ჩრდილოეთით მდებარე რაიონები, ვიდრე ჩინეთის დიდ კედლამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ჩინეთზე მოდის ძირითადი ნათესები გაოლიანისა,, რომელსაც ნაკლები ტენი სჭირდება.

მარცვლეულის გარდა მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურებია ბატატი (ტკბილი კარტოფილი), ჩვეულებრივი კარტოფილი, ბოსტნეული, სოია. ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურა ჩინეთში ბამბაა (ნათესების ძირითადი რაიონი იანძის აუზია), ფართოდაა გავრცელებული ჯუთი, კენაფი, შვრია, რამი, სელი.

ხალხის ხელში აღებულმა ძალაუფლებამ, აგრარულმა რეფორმამ და გლეხური მეურნეობების კოოპერირებამ გზა გაუხსნეს სოფლის მეურნეობას აღმავლობისაკენ. პირველ ხუთწლედში სახელმწიფომ სოფელში გაგზავნა მრავალი აგრონომი და მექანიზატორი, დაეხმარა სოფელს ხარისხოვანი თესლით, მანქანებითა და ტრაქტორებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთის დიდ მდინარეებზე საირიგაციო მშენებლობის გაძლიერებას.

ქვეყანაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. ახალი, სოციალისტური ურთიერთობის დამკვიდრება საფუძველი გახდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის. პირველი ათწლეულის განმავლობაში საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უაღრესად აქტიური დახმარებით, ჩინეთში იქმნებოდა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ვითარდებოდა მისი საწარმოო ძალები, მაღლდებოდა ხალხის კეთილდღეობა.

ახალი ცხოვრების მშენებლობაში ავანგარდულ როლს თამაშობდა ჩინეთის მუშათა კლასი, რომელიც კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხობასთან, სახალხო ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა.

მიღწეული წარმატებები მხოლოდ საწყისი ეტაპი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ გარდაქმნის გზაზე.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც ფართოდ გაიშალა მსოფლიოში, მოითხოვდა მრეწველობის არსებული დარგების არა მარტო შემდგომ განვითარებას, არამედ ახალი, უფრო თანამედროვე დარგების შექმნას. დიდი ამოცანები იდგა ჩინეთის სოფლის მეურნეობის წინაშეც, რომლის მექანიზაციაში მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო გადადგმული აგროტექნიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა.

ადრე განხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, 50-იან წლებში ჩაყრილმა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საძირკველმა, ხელსაყრელმა საერთაშორისო პირობებმა, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის ძირეული ცვლილებების შედეგად სოციალიზმის სასარგებლოდ — ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი წინაპირობები შემდგომი პროგრესული ძვრებისათვის ჩინე-

თის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

მაგრამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ნაციონალისტური წვრილბურჟუაზიული ძალების საქმიანობამ. 50-იანი წლების ბოლოს ჩინეთში წამოაყენეს „განსაკუთრებული“ კურსი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ურთიერთობამ გაუარესება იწყო, რაშიც საბჭოთა მხარეს ბრალი არ მიუძღოდა. ყოველივე ამან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხელოვნურად ჩამოაცილა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, გამოიწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება, შეაფერხა ქვეყნის განვითარება, გააძნელა მისი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. ჩინეთის ხელმძღვანელობაში გაბატონდა ფაქტიურად ანტიმარქსისტული იდეოლოგია მაოიზმი, წარმოიქმნა სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურა, ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ წლებში (60-იანი წწ.) გატარდა მასობრივი რეპრესიები, განადგურდა ძველი პარტიული სახელმწიფო კადრები, დაიწყო მძაფრი და დაუნდობელი ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდა მაო ძედუნის სიკვდილის (1976 წ.) შემდეგ. დაპატიმრებულ იქნა ე. წ. „ოთხთა ბანდა“, რომელშიც შედიოდა თვით მაოს მეუღლე და კიდევ სამი მისი უახლოესი მიმდევარი.

ახალმა მთავრობამ გამოაცხადა ე. წ. „ოთხი მოდერნიზაცია“ (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და შეიარაღებულ ძალთა განვითარება), რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის შემდგომი მილიტარიზაცია არის. ამავე დროს რეაბილიტირებული იყო „კულტურული რევოლუციის“ პერიოდში ბევრი დევნილი მოღვაწე. თითქოს ეკონომიკას ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ ეს ხდებოდა არა დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნის შედეგად, არამედ უცხო კაპიტალთან ურთიერთობის განმტკიცების ხარჯზე. ჩინეთი, რომელმაც მინიმუმამდე დაიყვანა ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს ამერიკის, იაპონიის, დასავლეთ ევროპის მონოპოლიებთან. მათი დახმარებით ცდილობს შეაიარაღოს თავისი არმია.

მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება. 1980 წლისათვის სახელმწიფო საწარმოთა 24 პროცენტი ზარალიანი იყო, უმუშევართა რიცხვი 20 მილიონს აღწევდა.

საგარეო პოლიტიკაში ახალი ხელმძღვანელობა განაგრძობდა მაოისტურ ანტისაბჭოთა კურსს. 1979 წელს ჩინეთის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგი საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დენონსაციას ახდენს. ყველა საერთაშორისო ფორუმზე ჩინეთის წარმომადგენლები ილაშქრებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და უწოდებენ მას „მტერს № 1“.

ამავე დროს ჩინეთის ხელმძღვანელობა გამოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და პროგრესული მოძრაობის წინააღმდეგ, განამტკიცებს ურთიერთობას ისეთ რეაქციულ ძალებთან, როგორიცაა ამერიკის იმპერიალიზმი, ფაშისტური რეჟიმი ჩილეში, რასისტული მთავრობა სამხრეთ აფრიკაში. 1979 წ. მაოს მემკვიდრეთა მხედრიონი თავს დაესხა ვიეტნამს, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადა.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის უთანხმოების არავითარი ობიექტური მიზეზი არ არსებობს, რომ სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება უპასუხებს ორივე ხალხის ძირეულ ინტერესებს, მსოფლიო სოციალიზმის ინტერესებს.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲙᲐ

აფრიკა ევრაზიის შემდეგ სიდიდით მეორე კონტინენტია. მისი ფართობი 29,2 მლნ. კვადრატული კილომეტრია (კუნძულებიანად 30,3 მლნ. კვ. კმ), მოსახლეობა — დაახლ. 450 მლნ. კაცი. იგი დედამიწის ყველაზე ცხელი კონტინენტია. მას თითქმის შუაზე გადაკვეთს ეკვატორი. აფრიკაში გამოყოფენ ეკვატორულ, სუბეკვატორულ, ტროპიკულ და სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყლებს. ეკვატორულ კლიმატურ სარტყელში შედის ფართო ზოლი გვინეის ყურის გასწვრივ და მდინარე კონგოს აუზი. ჩრდილოეთითა და სამხრეთით, სუბეკვატორულ კლიმატურ შუალედურ სარტყლებს მიღმა, ტროპიკული ოლქებია. აქ არ არის წელიწადის დროები, მხოლოდ ორი სეზონია — მშრალი და ტენიანი. აფრიკის უკიდურეს ჩრდილოეთსა და სამხრეთში ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული ჰავაა.

რელიეფში ყველაზე ტიპურია ვაკეები, პლატოები და ზეგნები. მთები ძირითადად გადაჭიმულია აფრიკის აღმოსავლეთ კიდეზე და დანაწევრებულია გიგანტური ნასხლეტი ღრმულებით. სამხრეთი აფრიკა შედარებით მთიანია. ბუნებას იგი მსოფლიო მნიშვნელობის სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი მარაგით დაუჯილდოვებია. აქ მოიპოვება ალმასი, ოქრო, ურანი, პლატინა, მანგანუმი, ქრომი, რკინა, სპილენძი, ბოქსიტები, კობალტი, ლითიუმი, ბერილიუმი, ფოსფორიტები, აზბესტი და ბევრი სხვ. ჩრდილოეთი და დასავლეთი აფრიკა ნავთობისა და გაზის დიდი მწარმოებელი გახდა.

აფრიკაში მიედინება მძლავრი მდინარეები. მათ შორის ნილოსი მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარეა (6671 კმ.). განსაკუთრებით წყალუხვია ეკვატორული და სუბეკვატორული სარტყლის მდინარეები: კონგო, ნიგერი, ზამბეზი. აფრიკის მდინარეები ჭორომებიანია და ნაოსნობისათვის ნაკლებად გამოსადეგი, მაგრამ მათ უზარმაზარი ენერგეტიკული პოტენციალი აქვთ. აღმოსავლეთ აფრიკის ტბები — ნიასა, ტანგანიიკა, ვიქტორია — ჯაჭვივით გადაბმული არიან ქედების რღვევის ხაზის გასწვრივ.

არაჩვეულებრივად მდიდარი და მრავალფეროვანია აფრიკის მცენარეული სამყარო, თუმცა ტყეების ფართობი შესამჩნევად შემცირდა. აფ-

რიკის ფლორაში ბევრია ენდემური, ე. ი. აფრიკის ცალკეული რაიონებისათვის დამახასიათებელი მცენარეები, რომლებიც სხვაგან არსად გვხვდება (ძველი ველვიჩია, მოგზაურთა ხე, დრაკონის ხე, სეიშელის პალმა). აფრიკა ბევრი კულტურული მცენარის, კერძოდ, მარცვლოვანებისა და ყავის სამშობლოა. ამავე დროს, აფრიკის ჰავას შეეგუა და დიდ მოსავალს იძლევა ისეთი კულტურები, როგორიცაა: არაქისი, კაკაო, სიზალი, ჰევეა, რომლებიც ამერიკიდანაა შემოტანილი. აფრიკის დიდი სიმდიდრეა ხეების მრავალი ჯიში, რომლებიც ლამაზ, გამძლე მერქანს იძლევიან.

მეტად თავისებურია და მდიდარი აფრიკის ცხოველთა სამყარო. კოლონიური ბატონობის პერიოდში ბევრ ცხოველს — ლომს, სპილოს, სირაქლემას, ნიანგს — მტაცებლური ნადირობის გამო გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. ზოგიერთი სახეობა სულ გაქრა, მაგალითად, ფრინველი დრონტი. ახლა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები ზრუნავენ ფაუნის ყველაზე ძვირფასი წარმომადგენლების შესანარჩუნებლად.

აფრიკაში სახლობენ განსხვავებული რასობრივი და ეთნიკური ნიშან-თვისებების ადამიანები. ჩრდილოეთ აფრიკაში უმთავრესად არაბები და ბერბერები ცხოვრობენ. მრავალრიცხოვანია ნეგროიდული რასის ხალხები, რომლებსაც კონტინენტის ძირითადი ნაწილი უკავიათ. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ჩვეულება, ტრადიცია, ტანსაცმელი, ბინა, მაგრამ მათ შორის ბევრია საერთოც. თანამედროვე მეცნიერება გამოყოფს ხალხთა მთელ ოჯახებსა და ჯგუფებს იმ ენების ნათესაობის მიხედვით, რომლებზეც ისინი ლაპარაკობენ. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის დიდი ენობრივი ოჯახი ბანტუ. ბანტუს ენებზე მოლაპარაკე ხალხები დასახლებული არიან ცენტრალურ აფრიკაში და სამხრეთ აფრიკის დიდ ნაწილში. ენობრივი დაყოფა უფრო რთულია დასავლეთ აფრიკაში. აქ გამოყოფენ აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ატლანტიკის ან დასავლეთის ბანტოიდურ ჯგუფებს, ჰაუსას, მანდინგოს ენებზე მოლაპარაკე ხალხებს. ხშირად ერთ ქვეყანაში ასი და მეტი ენა და დიალექტია, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველთვის ენობრივი სხვაობა დიდი არ არის. ისტორიული პირობების გამო აფრიკის ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდნენ ერთიანი ერები. აფრიკის კონტინენტს რომ იყოფდნენ, კოლონიურ სახელმწიფოებს ერთი საზრუნავი ჰქონდათ — რაც შეიძლება მეტი ტერიტორია ჩაეგდოთ ხელში. დიდი ხალხები კოლონიური სამფლობელოების საზღვრებით რამდენიმე ნაწილად დაყოფილი აღმოჩნდნენ. ამჟამად აფრიკის სახელმწიფოებში მიმდინარეობს ერების ჩამოყალიბება ყველაზე მრავალრიცხოვანი და განვითარებული ხალხების გარშემო; ქრება მცირე, არაარსებითი ეთნიკური განსხვავებანი. ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს და ხშირად იწვევს შინაგან თუ სასაზღვრო კონფლიქტებს. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე სამოქალაქო და ტერიტორიულ ომებში დაიღუპა 1,7 მლნ. ადამიანი. 1950—1979 წლებში მოხდა 42 გადატრიალება და 16 ომი.

ბევრი მეცნიერი აფრიკას კაცობრიობის აკვნად მიიჩნევს. სწორედ აფრიკაში, ეთიოპიისა და კენიის ხეობებში, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აღმოჩენილია ადამიანის წინაპართა უძველესი ნეშტები. ნილოსის ნაპირებზე ჩაისახა მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი ცივილიზაცია. მაგრამ თუკი ზოგიერთი ხალხის, მაგალითად, ჩრდილოეთი აფრიკის ხალხების, ისტორია საკმაოდ კარგად არის ცნობილი, აფრიკის ხალხთა უმრავლესობის ისტორიული გზის შესახებ მეცნიერებმა ამ ბოლო დრომდე თითქმის არაფერი იცოდნენ. კოლონიზატორები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ დამონებულ ხალხებს ისტორია არ ჰქონდათ. ასე უფრო ადვილი იყო მათი „ცივილიზატორული“ მისიის გამართლება.

აფრიკის ხალხებს აურაცხელი ტანჯვა და უბედურება მოუტანა კოლონიალიზმმა. უკვე პირველი პორტუგალიური ექსპედიციები, რომლებმაც XV საუკუნის დასაწყისში დასავლეთ აფრიკის მანამდე უცნობი ნაპირები მოიარეს, ლისაბონში „ნადავლით“ — აფრიკიდან წამოყვანილ პირველი მონებით — ბრუნდებოდნენ. რამდენიმე საუკუნე მონებით ვაჭრობა კაპიტალიზმისათვის უაღრესად სარფიან საქმედ იქცა. პორტუგალიის შემდეგ მონები გამოჰყავდათ ინგლისს, საფრანგეთს, ჰოლანდიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს. აფრიკა, კ. მარქსის სიტყვებით, ადამიანებზე ნადირობის სანუკვარ ველად გადაიქცა. შეტაკებებში მოკლულთა, გადაყვანის დროს გარდაცვლილთა და მონებად გაყიდულთა სახით აფრიკამ 100 მილიონამდე კაცი დაკარგა. კონტინენტი სისხლისაგან იც-

ლებოდა, აფრიკის ხალხთა განვითარება შეჩერდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის აფრიკის მიწების დატაცება გაძლიერდა. ევროპის სახელმწიფოებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს კონტინენტის ცხრა მეათედი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის აფრიკაში დარჩენილი იყო ეთიოპიისა და ლიბერიის მხოლოდ ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები. კოლონიზატორები შეუდგნენ აფრიკის ნედლეულის რესურსების მტაცებლურ ამოქაჩვას.

აფრიკის ხალხთა წინააღმდეგობა უცხოელი დამპყრობლებისადმი არასოდეს არ შეწყვეტილა, მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო: კოლონიზატორები ცდილობდნენ გაუგონარი სისასტიკით, ჭარბი სამხედრო ძალით გაეტეხათ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისაკენ.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალი, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის განადგურების შემდეგ, სადაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, როცა შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. აფრიკის ბევრ ქვეყანაში გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების ლოზუნგით გამოდიოდნენ. აფრიკის ხალხები თავიანთ გამათავისუფლებელ ბრძოლაში ეყრდნობოდნენ საბჭოთა კავშირის, მსოფლიო სოციალიზმის ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას. ისტორიული მოვლენა იყო დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ეს დეკლარაცია მიღებული იქნა 1960 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ საბჭოთა კავშირის წინადადებითა და დაბეჯითებითი მოთხოვნით. თვით აფრიკის ხალხების, საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ქვეყნებისა და ყველა ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობლივი ღონისძიებით ერთმანეთის მიყოლებით დაინგრა კოლონიური იმპერიები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდნენ. 1980 წლისათვის აფრიკაში შეიქმნა 50 დამოუკიდებელი სახელმწიფო. მათგან ათზე მეტი სახელმწიფო (ალჟირი, გვინეა, კონგო, ანგოლა, მოზამბიკი, ტანზანია, ბენინი, ეთიოპია, ზიმბაბვე და სხვანი) დაადგა სოციალისტური ორიენტაციის გზას.

მაგრამ კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ყველაზე შავბნელი რეაქციის ბურჯად, აფრიკის ხალხთა კოლონიურ საპყრობილედ რჩება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები ინარჩუნებენ თავიანთ უკანონო ბატონობას ნამიბიაზე.

აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების წინაშე ბევრი დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა დასახული, ყველაზე ძნელია — ბოლო მოუღონ ეკონომიკურ ჩამორჩენილობასა და იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულებას. კოლონიალიზმის ეპოქაში აფრიკის ქვეყნების ეკონომიკა ცალმხრივად ვითარდებოდა. მეტროპოლიებმა კოლონიები თავიანთ აგრარულ-საწედლეულო დანამატებად აქციეს. ბევრი ქვეყანა სპეციალიზდებოდა მხოლოდ ერთი, მაქსიმუმ ორი-სამი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებასა ან მხოლოდ მინერალური ნედლეულის მოპოვებაში. ამის შედეგად კოლონიური ხალხები იძულებული იყვნენ თავისი არსებობისათვის საჭირო თითქმის ყველა საგანი შეეტანათ მეტროპოლიიდან, რითაც ორმაგი დამოკიდებულების უღელში ებმებოდნენ.

აფრიკის ქვეყნებისათვის აშკარა ხდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ძალ-ღონის გაერთიანებას იმისათვის, რომ უფრო წარმატებით დაძლიონ კოლონიალიზმის მემკვიდრეობა, იბრძოლონ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, უკანასკნელი კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის, უარყონ ნეოკოლონიალიზმის დამკვიდრების, ე. ი. კოლონიალიზმის ახალი, ფარული ფორმებით აღორძინების იმპერიალისტური გეგმები. ამისათვის მოწოდებულია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, რომელიც აფრიკის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა შექმნეს 1963 წელს. ამ ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობენ აფრიკის იმ ქვეყნების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ დამოუკიდებლობა.

მრავალმხრივი თანამშრომლობა და ურთიერთსასარგებლო კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ეხმარება აფრიკის ხალხებს თავიდან აიცილონ ეკონომიკური დამოკიდებულება და დამოუკიდებელნი გახდნენ.



ალჟირელი სტუდენტი გოგონა.

ალჟირი

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ა ს დ რ.
ფართობი — 2382 ათასი კმ².
მოსახლეობა — 18,25 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ალჟირი (გარეუბნებიანად — 1,5 მილიონი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — არაბული.

ალჟირი დამოუკიდებელი სახელმწიფოა ჩრდილოეთ აფრიკის ცენტრალურ ნაწილში. მკვიდრი მცხოვრებლები არიან არაბები და ბერბერები.

ბუნებრივი პირობების მიხედვით ალჟირი შეიძლება დაიყოს ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ოლქად: ჩრდილოეთ ალჟირად და ალჟირის საჰარად. ჩრდილოეთ ალჟირშია (მოსახლეობის 95% მეტი) ატლასის მთები, მაღალი ვაკეები და პლატოები, აგრეთვე, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო მრავალი ფლატეებიანი კლდეებით. სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულია ორი მთავარი მთაგრეხილი — ტელ-ატლასი და საჰარის ატლასი. ყველაზე მაღალი მწვერვალია შელია (2328 მ) ორესის მთებში.

ალჟირის საჰარა უდაბნო რაიონია, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 86% უკავია. იგი დაფარულია ვრცელი ქვიშნარი დიუნებით, ქვიანი პლატოებით, აგრეთვე, მთის მასივებით. ალჟირის საჰარის ჩრდილოეთ ნაწილში საძოვრების რაიონებია. აქ შეხვდებით ოაზისებს, სადაც ფინიკის პალმა ხარობს.

სანაპიროს ჰავა ხმელთაშუა ზღვისაა, სუბტროპიკული; შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექები მოდის მხოლოდ 100-დან 200 კმ-მდე სიგანის სანაპირო ზოლში. საჰარის ჰავა ტროპიკულია, უდაბნოსი.

ალჟირში ცოტაა მდინარეები. ყველაზე დიდია — შელიფი.

სანაპირო რაიონში ნოყიერი ნიადაგი და საკმაო რაოდენობის ტენია. ეს ალჟირის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონია. აქაური მცენარეულობა ყირიმის სამხრეთ ნაპირისა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ფლორას მოგვაგონებს. ატლასის მთებში შემორჩენილია კორპის მუხის კორომები.

ამ ქვეყნის ოდესღაც მრავალფეროვანი ცხოველთა სამყარო ამჟამად ძლიერ გაღარიბებულია:

უმოწყალოდ გაიჟლიტა ლომი, ჯიქი, სირაქლემა, ჩიტამა და ზოგიერთი სხვა ნადირი და ფრინველი. ალჟირში შემორჩა მაიმუნი, კურდღელი, ტურა, აფთარი, გენეტი. ტბებზე ბევრია გადამფრენი ფრინველი. მრავლადაა ქვეწარმავალი: გველი, ხვლიკი. ვარანი.

ალჟირის ტერიტორიაზე (ორანის, კონსტანტინის, მასკარის რაიონებში) ადამიანი ცხოვრობდა ჯერ კიდევ 300—400 ათასი წლის წინათ. ახალი ერის მიჯნაზე ალჟირი დასახლებული იყო ნუმიდიელთა ტომებით (თანამედროვე ბერბერების წინაპარნი), რომლებიც მესაქონლეობასა და მონადირეობას მისდევდნენ. რომაელები ნუმიდიელებს, ისევე როგორც ჩრდილოეთ აფრიკის ყველა მცხოვრებს ბარბაროსებს უწოდებდნენ. მოგვიანებით ეს სახელწოდება „ბერაბერად“, „ბერბერად“ იქცა.

ალჟირის სიმდიდრე და ხმელთაშუა ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს გზებთან მისი სიახლოვე ყოველთვის იზიდავდა დამპყრობლებს. მრავალი საუკუნის მანძილზე ერთ დამპყრობელს მეორე ცვლიდა: ჩვენს ერამდე 46 წელს რომაელებმა დაიპყრეს ნუმიდია. იგი რომის პროვინციად გადაიქცა. თავისუფალ მიწათმოქმედთა ნაწილი მონებად აქციეს, ხოლო მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა საჰარის რაიონში გადაინაცვლა. VII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ აფრიკაში მოვიდნენ არაბები. ალჟირი არაბთა სახალიფოში შევიდა. არაბთა დაპყრობებს მოჰყვა ბერბერების გამაჰმადიანება და მათ შორის არაბული ენისა და კულტურის გავრცელება. არაბიზაციის პროცესი რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა. ახლა ძნელია მკაფიო ზღვარის გავლება ბერბერებსა და არაბებს შორის. ბერბერულენოვანი მოსახლეობა ძირითადად შემორჩა ალჟირისა და მაროკოს მთიან რაიონებში და საჰარის ზოგიერთ ოაზისში.

XVI საუკუნის დამდეგს ალჟირის სანაპირო ქალაქები ესპანელებმა დაიპყრეს. ოსმალეთის იმპერიის დახმარებით ადგილობრივმა ფეოდალებმა განდევნეს ახალი დამპყრობლები, მაგრამ ალჟირი ოსმალეთის პროვინციად გადაიქცა. XVIII საუკუნის დასაწყისში ალჟირმა ხარკის მიცემა შეუწყვიტა ოსმალეთის სულთანს და ფაქტიურად იქცა დამოუკიდებელ სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ, არჩეული დეის მეთაურობით. ფრანგმა კოლონიზატორებმა ისარგებლეს ფეოდალური შუღლითა და გათიშულობით და ალჟირში შეიჭრნენ (1830 წ.). მაგრამ ალჟირელი ხალხი არ დამორჩილდა დამპყრობლებს. თხუთმეტ წელიწადს (1832—1847) გრძელდებოდა წინააღმდეგობის ომი ნიჭიერი მხედართმთავრის, ეროვნული გმირის აბდ ალ-კადირის მეთაურობით. ბრძოლა საფრანგეთის ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციის დასრულების შემდეგაც გრძელდებოდა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა ალჟირში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1954 წლის მარტში ალჟირელმა პატრიოტებმა შექმნეს ერთიანობისა და მოქმედების რევოლუციური კომიტეტი, რომელიც მალე ეროვნული გათავისუფლების ფრონტად (ეგფ) გარდაიქმნა. 1954 წლის 31 ოქტომბერს, ღამით დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ორესის მთიან რაიონში, რომელიც შემდეგ სხვა რაიონებსაც მოედო. ალჟირელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა, გლეხებმა, ეროვნულმა ბურჟუაზიამ და ფეოდალთა ნაწილმაც კი.

აჯანყების ჩასახშობად კოლონიზატორებმა გადმოისროლეს ჯარები, გაჟლიტეს მილიონი ალჟირელი, ერთი იმდენიც საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს, ნახევარი მილიონი ალჟირელი იძულებული გახდა ტერორისაგან თავის დასაღწევად ტუნისისა და მაროკოსათვის შეეფარებინა თავი. მიუხედავად ამისა, ალჟირელმა ხალხმა ფარხმალი არ დაყარა.

1958 წლის სექტემბერს კაიროში გამოცხადდა ალჟირის რესპუბლიკა და შეიქმნა დროებითი მთავრობა. ალჟირელი პატრიოტების სამხედრო წარმატებებმა, ალჟირის გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივმა მხარდაჭერამ კოლონიზატორები აიძულა, ეცნოთ ალჟირელთა თვითგამორკვევის უფლება. 1962 წლის თებერვალ-მარტში საფრანგეთის მთავრობისა და ალჟირის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა ევრეთ წოდებული ევიანის შეთანხმებით. 1962 წლის ივლისში ალჟირში მოეწყო რეფერენდუმი, რომელმაც ასახა ალჟირელი ხალხის სუვერენული ნება-სურვილი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

ალჟირის მმართველი და ერთადერთი ლეგალური პარტიაა ეროვნული გათავისუფლების ფრონტი (ეგფ), რომელიც აერთიანებს ალჟირის

მშრომელთა საყოველთაო კავშირს, ალჟირის გლეხთა კავშირსა და ალჟირის ახალგაზრდობის ეროვნულ კავშირს. ეროვნულმა ქარტიამ, რომელმაც საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურა 1976 წლის ივნისში და ალჟირის რევოლუციის პროგრამად იქცა, დასახა ალჟირის განვითარების სოციალისტურ ეტაპზე გადასვლის ამოცანა, განამტკიცა ანტიიმპერიალისტური კურსი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. ეროვნული ქარტიის შესაბამისად იზრდება ეგფ-ის პარტიის ხელმძღვანელი როლი. 1976 წლის ბოლოს მიღებულ იქნა დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად გაიმართა ეროვნული სახალხო კრების დეპუტატებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები (1977 წ.). ყველა არჩეული დეპუტატი მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენელია, ხოლო პრეზიდენტად ხდება ეგფ-ს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

საგარეო პოლიტიკაში ასდრ იცავს მიუმხრობლობის პრინციპებს, ილაშქრებს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის და სიონიზმის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

ბუნებრივი რესურსებით ალჟირი აფრიკის კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. აქ ხელსაყრელი პირობებია მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ქვეყანაში ძვირფასი სასარგებლო წიაღისეულის: ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ვერცხლისწყლის, რკინის მადნის, ფოსფორიტების, პირიტის, პოლიმეტალური მადნების დიდი სამრეწველო მარაგია.

ალჟირის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა. მასში დასაქმებულია მოსახლეობის 55 პროცენტი (1979 წ.). მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ციტრუსები, ყურძენი, ზეთისხილი, ნუში და სხვა ტექნიკური კულტურები. მოშენებულია თხა და ცხვარი.

მთავრობა ღებულობს ზომებს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის. შეზღუდულია მსხვილი მიწათმფლობელობა. მიწა მიიღო ათეულ ათასმა გლეხის ოჯახმა. მიწებზე, რომლებიც წინათ კოლონიზატორებს ეკუთვნოდა, შეიქმნა კოოპერატივები. ვარაუდობენ, შეამცირონ პირადი საკუთრების ჯოგების ოდენობა. დახმარება ეწევათ უღარიბეს მესაქონლეებს. მიმდინარეობს საძოვრების გაუმჯობესება და მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

სახელმწიფო კონტროლს უწევს მთელ სამთომოპოვებითსა და დამამუშავებელ მრეწველობას, ნაციონალიზებულია გაზისა და თითქმის მთელი ნავთობის მოპოვება. გარდა ამისა, არსებობს მსხვილი შერეული საწარმოები, რომლებშიც მონაწილეობს ალჟირის სახელმწიფო და უცხოური კაპიტალი. მთელი სამრეწველო პროდუქციის მთავარ ნაწილს შეადგენს ნავთობი, გაზი, რკინის მადანი.

უდიდესი ქალაქებია: ალჟირი, ორანი, კონსტანტინა, ანაბა. ალჟირის, როგორც ბევრი სხვა არაბული ქვეყნების ქალაქები, მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად. ახალი ქალაქი — ესაა თანამედროვე სახლების, კაფე-რესტორნების კვარტალები. ძველ ქალაქს ზოგჯერ უწოდებენ „ყასბას“, რაც სიმაგრეს ნიშნავს, ან „მედინას“ (არაბულად „ქალაქი“); აქ ვიწრო ქუჩები, ყრუ კედლებიანი სახლები, მეჩეთების მრავალრიცხოვანი მინარეთებია.

სოფლებში ბანიან და შიგაეზოიან სწორკუთხა საცხოვრებელ სახლებს აშენებენ. სახლების ყრუ კედლები ეზოში გამოდის. მთებში ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული სახლები საფეხურებივით მიჰყვება ფერდობებს. საჰარის მომთაბარენი თექით გადახურულ დაბალ კარვებში ან ფარდულებში ცხოვრობენ.

ალჟირელები მეთუნეობას, ხალიჩების, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადებას მისდევენ, ამუშავებენ ბალახ ალფას, რომლისგანაც თოკებს გრეხენ, ჭილოფებს და კალათებს წნავენ. ალფა საექსპორტოდაც გადის. მისგან საუკეთესო ხარისხის ქაღალდი მზადდება.

ალჟირსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ალჟირი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. საბჭოთა კავშირი ალჟირს ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა და შენდება 100-ზე მეტი სამრეწველო და სხვა ობიექტი. 1972 წლიდან მუშაობს საბჭოთა კავშირის დახმარებით შექმნილი მეტალურგიული კომბინატის ფოლადსადნობი საამქრო ელხაჯერში. აშენდა ვერცხლისწყლის მწარმოებელი საწარმო, თბოელექტროსადგური, ტყვია-თუთიის ფაბრიკა. საბჭოთა კავშირი დაეხმარა ალჟირს დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა აღდგენა-

სა და რეკონსტრუქციაში. საბჭოთა გეოლოგებმა ალჟირში მიაკვლიეს ვერცხლისწყლის, ბარიტის, კალის, ვოლფრამის, ოქროს დიდ საბადოებს.

სსრ კავშირი ალჟირს მუდმივ დახმარებას უწევს ნავთობმოპოვებითი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ეროვნული კადრების მომზადებაში, ჯანმრთელობის დაცვის დარგში. 1964 წელს ქალაქ ბუმერდესში შეიქმნა ნავთობის, გაზის და ქიმიის ინსტიტუტი, მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტი. პოლიტექნიკური განათლების სასწავლო ცენტრებში საბჭოთა მასწავლებლების მონაწილეობით მომზადდა ათასობით კვალიფიციური მუშა. ალჟირში მუშაობენ საბჭოთა მედიცინის მუშაკები, მასწავლებლები, გეოლოგები, მენავთობეები, მშენებლები. საბჭოთა კავშირი ალჟირში ჰყიდის მანქანებსა და მოწყობილობას, ანტრაციტს, კოქსს, შავი ლითონების ნაგლინს, პოლიმეტალებს, ცემენტს, ჩაის, ხოლო ყიდულობს ციტრუსებს, ღვინოს, ზეითუნის ზეთს, კორპის ქერქს.

სსრ კავშირსა და ასდრ-ს შორის დადებულია შეთანხმებანი ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის, საჰაერო მიმოსვლის, საზღვაო ნაოსნობის შესახებ, ასევე დადებულია გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება.


ანგოლა
0 300 კმ
1 სამხრ. ჰემისფ.(ზამთ.)
ატლანტის ოკეანე
ზამბეზი
ქუანდა
ბენგელა
ლობიტო
ნოვა ლისბონა
2610
ბიე
ნოვა ლისბონა
ქუანგო
ნოვა ლისბონა
ნოვა ლისბონა
ნოვა ლისბონა

ლუანდა — ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი.



ლებრივი ძუძუმწოვრები, როგორიცაა პანგოლინი და მილკბილა, რომლებიც ჭიანჭველებითა და ტერმიტებით იკვებებიან.

ანგოლაში ბევრი მდინარეა. ამ მდინარეებში უამრავია ჭორომი და ჩანჩქერი, რაც აფერხებს ნაოსნობას, მაგრამ ენერგეტიკისა და ირიგაციის განვითარების მშვენიერ პერსპექტივას ქმნის.

ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მის წიაღში, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ნაპოვნია ალმასი, მანგანუმის, სპილენძისა და რკინის მადნები, ნავთობი, ქარსი, თუთია, ოქრო, პლატინა, ტიტანი, ფოსფორიტები. მრავალფეროვანია სასოფლო-სამეურნეო რესურსები. მაგრამ კოლონიზატორთა ბატონობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ანგოლა მეტროპოლიისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრარულ-საწედლეულო დანამატად ექციათ. განვითარდა არა ის დარგები, რომლებიც ხალხის კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი, არამედ ის, რომლებიც ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ კაპიტალისტს დიდ მოგებას აძლევს.

ანგოლის სიმდიდრემ, ნახევრადმონურმა იაფმა შრომამ მიიზიდა აშშ-ის, ინგლისის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, გფრ-ის, საფრანგეთის, ბელგიის, იაპონიის მონოპოლიები, რომლებმაც ხელთ იგდეს მთავარი პოზიციები ეკონომიკაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიურმა ხელისუფლებამ მოაწყვეს პორტუგალიელი კოლონისტების მასობრივი გადასახლება ანგოლაში, რითაც ცდილობდნენ თავისთვის მოეწყოთ სოციალური დასაყრდენი. გადასახლებულთა ფერმები და ნსხვილი კაპიტალისტური პლანტაციები იქმნებოდა აფრიკელებისათვის წართმეულ საუკეთესო მიწებზე. ანგოლის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია თვითმოქმედი მოსახლეობის 85 პროცენტი. აქ აწარმოებენ ძვირფას საექსპორტო პროდუქციას: ყავას (მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში), სიზალს, ბამბას, შაქრის ლერწამს, პალმის ზეთს, თამბაქოს, კაკაოს, კაუჩუკს, ინდიგოს, ციტრუსებს. იყენებენ ველური ყავისა და პალმის ხეებსაც. გააქვთ სიმინდის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამხრეთში ხელსაყრელი პირობებია მესაქონლეობისათვის, კერძოდ, მეკრავეობისათვის. ატლანტის ოკეანის წყლებში უხვადაა თევზი.

მრეწველობის წამყვანი დარგია სამთომოპოვებითი მრეწველობა. ანგოლიდან გააქვთ ალმასი, ძირითადად საიუველირო (მეოთხე ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში), ნავთობი, რკინის, სპილენძის, მანგანუმის მადნები, ოქრო. წარმოებს ქარსის, თუთიის, პლატინის, ტიტანის, თაბაშირის დამუშავება. გარკვეულად განვითარდა დამამუშავებელი მრეწველობა სანაპირო ქალაქებში — ლუანდაში, ლობიტუში, ბენგელაში, მოსამედიშში. არის კვების, თამბაქოს, საფეიქრო, ცემენტის, შუშის, პლასტმასისა და ქიმიკატების გამოსაშვები და სხვა საწარმოები. მოქმედებს დიდი ნავთობსახდელი ქარხანა, შენდება გემსაშენი. ძვირფასი მერქანი გააქვთ სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, ტყეს იყენებენ ქაღალდისა და მუყაოს წარმოებისათვის.

ანგოლის ტერიტორიაზე გადის ბენგელის რკი-

ნიგზა — ჯერჯერობით ერთადერთი ტრანსაფრიკული მაგისტრალის ნაწილი. იგი ანგოლას აკავშირებს მოზამბიკთან და გადის ზაირში, ზამბიასა და როდეზიაში. ამ გზას აშენებდნენ კოლონიური სახელმწიფოები ერთობლივად, რათა უფრო სარფიანი ექსპლუატაცია გაეწიათ აფრიკის უმდიდრესი მინერალური რესურსებისათვის და სწრაფად გადაესროლათ ჯარები აჯანყებათა ჩასახშობად.

კოლონიალიზმი ანგოლელ ხალხს განუმზადებდა ღატაკ, უუფლებო არსებობას. როგორც უთანასწორობის აშკარა გამოვლინება, კონტრასტი იქმნებოდა ლუანდის ულტრათანამედროვე ფეშენებლურ კვარტალებსა, უცხოეთის მონოპოლიების ბურჯსა და გარეუბნების აურაცხელ ქოხმახებს შორის. სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. წერა-კითხვის მცოდნე ძალზე მცირე იყო — 1%-ზე ნაკლები. გლეხებს აიძულებდნენ მოეყვანათ ყავა და ბამბა და ხელისუფლებისათვის მიეყიდათ იაფად. ამის შედეგად მცირდებოდა სურსათ-სანოვაგის წარმოება, ამ უმდიდრესი სასოფლო-სამეურნეო ქვეყნის მოსახლეობა შიმშილის პირას იმყოფებოდა. მონობის მდგომარეობაში აყენებდა აფრიკელებს მუშახელის „კონტრაქტაციის“ სისტემა. ყოველი აფრიკელი შეეძლოთ ძალიან მცირე ანაზღაურებით გაეგზავნათ მძიმე სამუშაოზე, ხშირად ანგოლის ფარგლებს გარეთაც. მოსახლეობას ავალებდნენ „საზოგადოებრივი სამუშაოების“ შესრულებას, ესე იგი, ყველაფრის უფასოდ გაკეთებას, რასაც კოლონიური მოხელე ინებებდა. როგორც შუა საუკუნეებში, შემოღებული იყო გაროზგვა.

ანგოლელი ხალხი აუტანელ პირობებში ცხოვრობდა. 1961 წელს იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელიც მრავალწლიან სახალხო ომში გადაიზარდა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობა ანგოლის განთავისუფლებისათვის (მპლა). კოლონიზატორებს შეეძლოთ გაენადგურებინათ სუსტად შეიარაღებული პარტიზანული რაზმები. მათ ჰყავდათ 60 ათასიანი საექსპედიციო არმია, რომელიც ნატოს დახმარებით აღჭურვილი იყო უაღრესად თანამედროვე იარაღით, მაგრამ გამარჯვებას ვერ მიაღწიეს. პორტუგალიის კოლონიური სისტემის კრიზისი ისე ცხადი გახდა, რომ დამსჯელი ლაშქრობების უმიზნობაში თვით გენერლებიც კი დარწმუნდნენ. კოლონიალიზმის მსხვრევამ 1974 წელს დააჩქარა პორტუგალიაში ფაშისტური დიქტატურის დაცემა.

1975 წლის 11 ნოემბერს ანგოლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. მაგრამ ანგოლელი ხალხი იძულებული გახდა კვლავ მოეკიდა ხელი იარაღისათვის, რათა დაეცვა თავისი ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობა. იმპერიალისტური მონოპოლიები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ კონტროლი ანგოლის ბუნებრივ სიმდიდრეებზე და მოაწყვეს ავაზაკური თავდასხმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა ჯარების, დაქირავებულებისა და ყველა ჯურის არამზადისა და გარეწრის მონაწილეობით.

ეს თავდასხმები სამხრეთ აფრიკის მხრიდან დღესაც გრძელდება, რაც დაგმო გაეროს უშიშროების საბჭომ.

1977 წელს ჩატარდა ერთადერთი ლეგალური და მმართველი პარტიის I ყრილობა, რომელმაც დაადასტურა ანგოლის სოციალისტური ორიენტაცია და პარტიის იდეოლოგიურ საფუძვლად მეცნიერული კომუნიზმის აღიარება. ამიერიდან პარტიას ეწოდება — სახალხო მოძრაობა ანგოლის განთავისუფლებისათვის — შრომის პარტია (შპლა). მისი თავმჯდომარე, საკონსტიტუციო კანონის ძალით, ამავე დროს ქვეყნის პრეზიდენტიცაა.

ანგოლას დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებაში ეხმარებიან სსრ კავშირი, კუბა, სხვა სოციალისტური ქვეყნები. 1976 წელს დაიდო საბჭოთა კავშირ-ანგოლის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ბენინი

ბენინის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 112,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პორტო-ნოვო (დაახლ. 125 ათასი მცხოვრები).
პრეზიდენტისა და მთავრობის რეზიდენცია — კოტონუ (185 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

აფრიკის ძველ რუკებზე შეიძლება შეხვდეთ წარწერას „მონების ნაპირი“. ასე უწოდებდნენ წინათ





ზეთსახდელ ქარხანაში.

ვრცელი გვინეის სანაპიროს ნაწილს, სადაც მდებარეობს სახელმწიფო ბენინიც (1975 წლის ბოლომდე ამ ქვეყანას დაჰომეა ეწოდებოდა). ოდესღაც აქ იყო მონებით ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი. დღემდე სანაპიროზე შემორჩენილია სიმაგრეთა ნაშთები, სადაც მონებით მოვაჭრენი ემალებოდნენ აფრიკელთა შურისძიებას.

ბენინს ეკვრის ბენინის ყურის წყლები (გვინეის ყურის ნაწილი), რომელმაც ეს სახელწოდება მიიღო ნიგერიის ქალაქ ბენინისაგან, თანამოსახელე სახელმწიფოს დედაქალაქისაგან, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა XIX საუკუნის დასასრულამდე. რესპუბლიკაში სახლობენ დაჰომეელები, იორუბები, ფულბები, ბარბები.

ბენინი ტროპიკული ტყეების ზონაშია. ეს ტყეები თითქმის ყველა გაჩეხილია, ხოლო მათ ადგილზე ზეთოვანი პალმის კორომებია. ამ პალმის ვარჯი მწვანედ მოჩანს 30 მეტრის სიმაღლეზე. ფოთლებიდან გამოიყურება ნარინჯოვანი ან შავყავისფერი ნაყოფი, რომლის ძვირფას ზეთს იყენებენ მარგარინისა და საპნის დასამზადებლად. ზეთოვანი პალმა და ბამბა ამ ქვეყნის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია. გლეხებს მოჰყავთ, აგრეთვე, არაქისი, თამბაქო, კრეფენ ქოქოსის პალმის ნაყოფს. სანაპირო წყლებსა და მდინარეებში იჭერენ თევზს. წყნარ ლაგუნებში საინტერესო სურათს ნახავთ: წყალზე თითქოს სახლები და ქოხები დაუკიდიათო, ეს მაღალ ხიმინჯებზე დასკუპებული მეთევზეთა სოფლებია.

ბენინი აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 90%. აწარმოებენ მანიოკს, ბატატს, ფეტვს, პალმის ზეთს, ბამბას, არაქისს; ამჟამად მრეწველობაც იწყებს განვითარებას. არსებული სამრეწველო საწარმოები — ბამბის საწმენდი ფაბრიკები, ზეთსახდელი, საპნის დამამზადებელი ქარხნები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს აწარმოებენ.

ბენინის გაცნობა, ჩვეულებრივ, იწყება სწრაფად მზარდი დიდი სანავსადგურო ქალაქ, ფაქტიურად ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრ კოტონუდან. დამთავრდა დიდი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა. აქვეა საერთაშორისო აეროპორტი.

მოსახლეობის 75 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, რომელიც იძლევა საექსპორტო საქონლის 72% (ბამბას, პალმის ზეთს, არაქისს, მანიოკს, ხორცსა და სხვ.). ქალაქიდან ქვეყნის სიღრმეში მიემართება რკინიგზა, რომელიც მთავრდება ქალაქ პარაკუსთან. აქედან ჩრდილოეთ რაიონებამდე შეიძლება მიაღწიოთ მხო-

ლოდ გზატკეცილებით ან სოფლის შარაგზებით.

ქალაქებიდან საინტერესოა აბომეი — დაჰომეის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი, რომელიც საფრანგეთის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობამდე არსებობდა. დაჰომეის სახელმწიფო, რომელიც XVII საუკუნის დამდეგს წარმოიშვა, აერთიანებდა ევეს ხალხის ნაწილს. სახელმწიფოს ჰყავდა რეგულარული არმია. საინტერესოა, რომ მეფის ბანაკს ბრძოლის ველზე ქალთა გვარდიის განსაკუთრებული რაზმები იცავდნენ.

XIX საუკუნის შუა წლებში საფრანგეთმა დაჰომეასთან დადო ვაჭრობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის ხელშეკრულება. მაგრამ 1890 წელს ამ ქვეყანაში საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ. დაჰომეელებს სათავეში ედგა ენერგიული მხედართმთავარი — მეფე ბეჰანზინი. მის რაზმებს ბევრჯერ დაუმარცხებიათ ფრანგები. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო. კოლონიზატორებმა ბოლოს და ბოლოს ხელთ იგდეს ქვეყანა და საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის შემადგენლობაში შეიყვანეს.

ბენინის ხალხი ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებს ეწეოდა დამოუკიდებლობისათვის. 1923 წლის თებერვალში დაიწყო აჯანყებები კოლონიზატორების წინააღმდეგ, მაგრამ ეს აჯანყებები ჩაახშვეს. ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 50-იან წლებში მთელ ქვეყანაში მშრომელთა გაფიცვები დაიწყო.

1960 წლის 1 აგვისტოს გამოცხადდა ბენინის დამოუკიდებლობა. მაგრამ პირველ ხანებში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ძალები, რომლებიც ცდილობდნენ შენიღბული სახით შეენარჩუნებინათ კოლონიზატორთა ბატონობა. 1972 წლის ოქტომბერში შედგენილმა სამხედრო-რევოლუციურმა მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის განვითარების პროგრესული პროგრამა, რომელსაც მხარი დაუჭირა ხალხმა. შეიქმნა ბენინის სახალხო რევოლუციის პარტია (ბსრპ), რომელმაც სოციალისტური ორიენტაცია აირჩია. 1977 წლის კონსტიტუციის ძალით, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის რევოლუციურ ეროვნულ საბჭოს, ხოლო ბსრპ-ს ცკ-ის თავმჯდომარე არის ამავე დროს პრეზიდენტიცა და მთავრობის მეთაურიც.

ბოტსვანა

ბოტსვანის რესპუბლიკა.
ფართობი — 570 ათასი კმ².
მოსახლეობა — 768 ათასი კაცი.
დედაქალაქი — გაბოროონე (37 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენები — ინგლისური და სეტსვანა.

რესპუბლიკა ბოტსვანა მდებარეობს სამხრეთ აფრიკის ცენტრალურ ნაწილში. იგი შეიქმნა 1966 წლის 30 სექტემბერს, ინგლისის ყოფილი პროტექტორატის ბეჩუანალენდის ტერიტორიაზე. ამ ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა ბეჩუანებია, ანუ, როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ, ტსვანებია (აქედანაა ბოტსვანა — ტსვანის ხალხის ქვეყანა). მხოლოდ ბოტსვანის სამხრეთ-დასავლეთით, ნახევრად უდაბნო კალაჰარის თითქმის უსიცოცხლო ქვიშრობში ცხოვრობს დაახლოებით 35 ათასი ბუშმენი — სამხრეთ აფრიკის ძველი მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ბუშმენები დღემდე არ იცნობენ მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. უმთავრესად მისდევენ ნადირობას, აგროვებენ მწერების ჭუპრებს, იჭერენ გველებს, რომელსაც საჭმელად იყენებენ.

ბუშმენები ნადირობენ მოწამლული ისრებით. მეტ დროს ისინი წყლის ძებნას ანდომებენ, რისთვისაც შორ მანძილზე მიეხეტებიან. განსაკუთრებული, მხოლოდ მათთვის ცნობილი ნიშნებით, ბუშმენები პოულობენ მიწისქვეშა წყლებს და სპეციალური მილების შემწეობით ამოწოვენ წყალს ზედაპირზე, ამ ძვირფას ტენს ისინი ინახავენ სირაქლემის კვერცხის ნაჭუჭებში, რომლებთან მისვლას ტომის ბელადი უწევს კონტროლს.

ბოტსვანა ნახევარუდაბნოების, სტეპებისა და უკაცრიელი ქვიშიანი პლატოების ვაკე ქვეყანაა. ოკეანისაგან დაშორება განაპირობებს გვალვიან და მკვეთრად კონტინენტურ ჰავას. წლის დიდი ნაწილი ბოტსვანაში ძლიერ გვალვიანია. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, კალაჰარში წვიმები წლების განმავლობაში არ მოდის. აღმოსავლეთში და ჩრდილოეთში ნალექების ჯამი 500—600 მმ შეადგენს, მაგრამ ნალექები იშვიათად, ისიც თავსხმების სახით მოდის. ამიტომ მიწათმოქმედება პრაქტიკულად შეუძლებელია ხელოვნური მორწყვის გარეშე. დამუშავებული მიწები ქვეყნის საერთო ფართობის მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენს.



საუკეთესო, ნოყიერი მიწების დიდი ნაწილი — ბოტსვანის ტერიტორიის თითქმის მესამედი — აფრიკელებს წაართვეს უცხოეთის კომპანიებმა. მათ ეკუთვნით მთელი რაიონები, სადაც უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია დიდძალი მინერალური სიმდიდრე. მათ შორისაა მსოფლიოში ერთი ყველაზე მდიდარი ალმასის საბადო ორაპაში, სპილენძ-ნიკელისა და კობალტის მადნების საბადოები სელები-პიკვეს რაიონში. ეკონომიკის საფუძველია მესაქონლეობა, რომელსაც მისდევს ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. იგი იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80%. საუკეთესო საძოვრებს მოკლებული ბეჩუანები საკვების ძიებაში პირუტყვს შორ მანძილზე მიერეკებიან. ბევრი ტომი იძულებულია საძოვრები იჯარით აიღოს ევროპელებისაგან. მიწათმოქმედება განვითარებულია ქვეყნის მხოლოდ აღმოსავლეთში და ჩრდილოეთში. მიწის პატარა ნაკვეთებიდან, რომელსაც თოხით ამუშავებენ, აფრიკელები სიმინდის, ფეტვის, პარკოსნების მცირე მოსავალს იწევენ. გაჭირვებას რომ თავი დააღწიონ, ყოველ წელს 35 ათასზე მეტი მამაკაცი-ბეჩუანი სამუშაოდ მიდის მეზობელ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ისინი გროშების ფასად შრომობენ თეთრკანიანთა პლანტაციებში, ქვანახშირის შახტებსა და ალმასის საბადოებში. ბოტსვანის მთავრობა ილაშქრებს სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ, თუმცა ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული წარსული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან საკმაოდ მჭიდრო კავშირის შენარჩუნების საფუძველს იძლევა. ჯერ კიდევ ინგლისელი კოლონიზატორების ბატონობის დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას სურდა ბეჩუანალენდის შემოერთება. ინგლისელი კოლონიზატორების ხელშეწყობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კომპანიები ყიდულობდნენ მიწებს, ბეჩუანალენდში ქმნიდნენ თავიანთ საწარმოებს, ცდილობდნენ ვაჭრობის ხელში ჩაგდებას. ახლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წილად მოდის ბოტსვანის ექსპორტის 60% (ალმასი და ხორცი) და იმპორტის (მექანიზმები და მოწყობილობა) 70%.

ბოტსვანის მთავრობა ცდილობს შეასუსტოს თავისი ეკონომიკის დამოკიდებულება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, განავითაროს კავშირურთიერთობა ზამბიასთან — ერთადერთ ანტირასისტულ ქვეყანასთან, რომელთანაც ბოტსვანას საერთო საზღვარი (10 კმ-მდე) აქვს. გაყვანილია საავტომობილო გზა ფრანსისტაუნი—ლივინგსტონი (ზამბია), რამაც ბოტსვანას საშუალება მისცა შეასუსტოს რასისტული სამხრეთის ეკონომიკური გზები. სახელმწიფომ დაიწყო მონაწილეობის მიღება სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებაში, გამოყოფს სახსრებს ირიგაციისათვის, საძოვრების გასაუმჯობესებლად, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების გასავითარებლად.

ბოტსვანა ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა (ირჩევენ 5 წლით) და ეროვნულ კრებას. მმართველი პარტია დემოკრატიული პარტიაა. ოპოზიციაშია სახალხო პარტია, ეროვნული ფრონტი და დამოუკიდებლობის პარტია.

ბურუნდი

ბურუნდის რესპუბლიკა.
ფართობი — 27,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 4,5 მლნ-ზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ბუჟუმბურა (90 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენები — კირუნდი და ფრანგული.

აფრიკის კონტინენტის ცენტრში, აფრიკის დიდი ტბების რაიონში მდებარეობს პატარა მთაგორიანი ქვეყანა ბურუნდი. მაღალ პლატოს უკავია მისი



ტერიტორიის დიდი ნაწილი და ვიწრო ზოლი ტანგანიიკის ტბის გასწვრივ, მდინარე რუზიზის ხეობა და აღმოსავლეთით მოსოს რაიონი — უმდიდრესი ნოყიერი ველებია. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების ჰავა დამოკიდებულია სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ბურუნდიში ბევრი ტბა და მდინარეა, ყველაზე დიდია მდინარე რუზიზი. ყველა მდინარე ჭორომიანი და ნაოსნობისათვის გამოუსადეგარია, მაგრამ გააჩნია ჰიდროენერგიის დიდი მარაგი, რომელიც ჯერჯერობით არ არის გამოყენებული. ტანგანიიკის ტბა ძირითადი წყლის გზაა, რომელიც ბურუნდის გარესამყაროსთან აკავშირებს.

მრავალფეროვანია ბურუნდის მცენარეულობა. მთიანი რაიონები დაფარულია ფოთლოვანი ტყეებით, მთისძირებზე ხარობს ველური ფიკუსი და ბამბუკი. რუზიზის ხეობაში პალმის ვრცელი კორომებია, გზების გასწვრივ დარგულია ევკალიპტის ხეები. მდიდარია ცხოველთა სამყარო: ანტილოპები, კამეჩები, სპილოები და მრავალრიცხოვანი ფრთოსნები: თუთიყუში, ოქროსფერი ტოროლა, გვირგვინოსანი წერო, ყანჩა, ვარდისფერი ფლამინგო, ვარხვი.

ქვეყნის ძირითადი ეროვნებაა ბარუნდი. ბურუნდიში ცხოვრობენ, აგრეთვე, დედამიწაზე თითქმის ყველაზე მაღალი ადამიანები — ბატუტსები, საშუალო სიმაღლე — 180 სმ და ყველაზე დაბალი ტანის პიგმეები, საშუალო სიმაღლე — 142 სმ. ბარუნდები ძველთაგანვე მისდევენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მათ მოჰყავთ სორგო, ფეტვი, პარკოსნები, მანიოკი, იამსი, ბანანი. საექსპორტო კულტურებიდან — ყავა, ბამბა და ჩაი. ამ ქვეყანაში ხელსაყრელი პირობებია მეცხოველეობის განვითარებისათვის — კარგი ბუნებრივი საძოვრები, არ არის ბუზი ცეცე. მეურნეობებში ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, თხა, ცხვარი და შინაური ფრინველი. საქონელი ნაკლებპროდუქტიულია. სახელმწიფო ფერმებში აშენებენ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ახალ სახორცე-სარძევე ჯიშებს. მიწათმოქმედნი იკვებებიან სხვადასხვა პარკოსნებით, კასავით, ფეტვით, სორგოთი და ბანანით, მესაქონლეები — რძითა და ხორცით. ბარუნდები ძალიან ლამაზად იცვამენ, განსაკუთრებით კი ქალები. მათ აცვიათ თეთრი ქსოვილის კაბები, ხოლო თავს ფერადი მძივებით დამშვენებული ბაფთებით იმკობენ.

ბურუნდი — მუდმივი ზაფხულის ქვეყანა. აქ კარგად ხარობს ყავა — რესპუბლიკის ძირითადი საექსპორტო კულტურა, მწიფდება ანანასი, ბანანი, ციტრუსები. სურათზე: ანანასის პლანტაცია.

ბურუნდიში პატარა ქალაქებია. ესენია სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრები. დედაქალაქი ბუჟუმბურა ქვეყნის დიდი ნავსადგურია, საიდანაც გააქვთ ბამბა, ყავა, ტყავეული და სხვა საქონელი. ქალაქი ტანგანიიკის ტბის ნაპირზე მდებარეობს, სუფთაა, მყუდრო და მწვანეში ჩაფლული. ცენტრში მოთავსებულია პარლამენტი, ბანკი, უნივერსიტეტი, დაწესებულებანი და სასტუმროები.

XIX საუკუნის ბოლოს ბურუნდიში შეიჭრნენ გერმანელი კოლონიზატორები. ქვეყანა შევიდა გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის შემადგენლობაში. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხებამ გამოიწვია გერმანიის კოლონიური იმპერიის ლიკვიდაცია. 1918 წლიდან ბუ-

რუნდიში გაბატონდნენ ბელგიელი კოლონიზატორები. 1946 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბურუნდი ბელგიის სამეურვეო ტერიტორია რუანდა-ურუნდის შემადგენლობაში შეიყვანა (სუაჰილის ენაზე ბურუნდს ურუნდი ეწოდება).

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ბურუნდი 1962 წლის 1 ივლისს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. 1966 წელს ბურუნდი რესპუბლიკად გამოაცხადეს.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბურუნდის წინაშე დაისახა ყველა აფრიკული სახელმწიფოსათვის საერთო ამოცანა — კოლონიალიზმის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია. მთავარი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას. გათვალისწინებულია დასამუშავებელი მიწების ფართობის გადიდება რუზიზისა და მოსოს ხეობებში. რუზიზის ხეობა ამ ქვეყნის ბეღელია და დროთა ვითარებაში იგი გადაიქცევა ბამბის, ყავისა და სხვადასხვა სასურსათო კულტურების მოყვანის უმთავრეს რაიონად. იგეგმება დიდი საირიგაციო სამუშაოების ჩატარება და საცდელი მეცხოველეობის ფერმების შექმნა. მიმდინარეობს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. 1973 წელს აღმოჩნდა ნიკელის უდიდესი საბადოები. დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებას.

ქვეყანას მართავს უმაღლესი რევოლუციური საბჭო და პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური და ერთადერთი პარტიის — ერთიანობისა და ეროვნული პროგრესის პარტიის — წარმომადგენელი.

გაბონი

გაბონის რესპუბლიკა.
ფართობი — 267,7 ათასი კმ².
მოსახლეობა — 1050 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ლიბრევილი (150 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

გაბონი პატარა სახელმწიფოა აფრიკის ატლანტიკის სანაპიროზე. ძირითადი მოსახლეობაა ბანტუს ეროვნების ხალხები: ფანგი, ბაკელე, მპონგვე და ბაკოტა. ტყეებში ცხოვრობენ ბაბინგის პიგმეები (ჯუჯა ტომები).



გაბონი ტროპიკული ტყეების ქვეყანაა. ათასგვარი ნაირსახეობის ხეები, ლიანები, გვიმრები არეულან და ერთმანეთში გადახლართულან ტყის უნაპირო მწვანე ოკეანეში. მიწიდან მაღლა, ხშირ-ფოთლიანებში, მარდად დახტიან მაიმუნები. გაბონის ტყეებში შეიძლება შეხვდეთ ყველაზე დიდ ადამიანის მსგავს მაიმუნებს — შიმპანზესა და გორილას. მდინარეთა ნაპირებზე მზეს ეფიცხებიან ნიანგები და ბეჰემოთები. ყველგან ნაირფერი ბუმბულით შემოსილი უამრავი ფრინველია.

ტყე რესპუბლიკის ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრეა. აქ მოიპოვებენ ძვირფასი ჯიშების, პირველ რიგში ოკუმეს (ვარდისფერი ხე) მერქანს. გაბონი მსოფლიოში ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც ეს უნიკალური ხე იზრდება. მისი მერქანი არაჩვეულებრივად მაგარია და ამავე დროს დრეკადი. ქვეყანაში ბევრია ხე-ტყის სახერხი და ხის დამმუშავებელი ქარხნები. პორტ-ჟანტილში აგებულია აფრიკაში უდიდესი ფირფიცრის ქარხანა. აქვეა ნავთობის მომპოვებელი და გადამმუშავებელი კომბინატები. ნავთობის მარაგი ამ რაიონში ძალიან დიდია. ქვეყანა დიდ შემოსავალს იღებს ნავთობის ექსპორტით.

ქვეყნის აღმოსავლეთში, მოანდის მახლობლად, მუშავდება მანგანუმის მადნის დიდი საბადოები. მოანდის მახლობლადვე ხდება ურანის მადნის მოპოვება (მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს მისი ექსპორტით). ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში ბელინგთან აღმოჩენილია რკინის მადნის უზარმაზარი საბადოები (1 მლრდ. ტონაზე მეტი). გაბონის ბუნებრივ სიმდიდრეებს ექსპლუატაციას უწევენ აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის მონოპო-



სასტუმროს შენობა გაბონის დედაქალაქ ლიბრევილში.

ლოები, რომლებიც უზარმაზარ მოგებას იღებენ. ქვეყნის ურანის მაღაროები საფრანგეთის ატომური მრეწველობის ნედლეულის ბაზას წარმოადგენს.

მინერალური ნედლეულის უდიდესი მარაგის მიუხედავად მრეწველობის განვითარება დაიწყო მხოლოდ 70-იან წლებში. მხოლოდ 1974 წელს გაიყვანეს პირველი რკინიგზა. გაბონის ეკონომიკა უცხოეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოებზეა დამოკიდებული.

ოკეანის ნაპირზე, თითქმის ეკვატორის ხაზზე, მდებარეობს ამ ქვეყნის დედაქალაქი და მთავარი ნავსადგური ლიბრევილი (თავისუფალი ქალაქი). ეს ქალაქი XIX საუკუნის შუა წლებში დააარსეს მონებით მოვაჭრეთა გემიდან გამოქცეულმა მონებმა. გაბონში პირველი ევროპელები გადმოსხდნენ თითქმის ხუთასი წლის წინათ. პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა შენიშნეს ზედ ზღვის ნაპირზე აღმართული მწვანე კედელი. ბარდებიდან მდინარე გამოდიოდა. მათ ამ მდინარეს რიო-დე-გაბაო (მდინარე-ქოხი) უწოდეს. მის ნაპირზე მდებარე ქვეყანას კი — გაბონი.

გაბონი აფრიკის სხვა მრავალ ქვეყანაზე ადრე აქციეს კოლონიად. 1839 წელს ფრანგებმა აქ პირველი ახალშენი დააარსეს. 1910 წელს გაბონი საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის შემადგენლობაში შევიდა.

გაბონის ხალხი არ ურიგდებოდა კოლონიურ ჩაგვრას და არაერთხელ ამხედრებულა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად. მაღაროებსა და ხის დამუშავების ადგილებზე ბევრჯერ იფეთქა აჯანყებებმა მხეცური ექსპლუატაციის წინააღმდეგ.



ტროპიკული ტყე მდინარე ოგოვეს ნაპირზე.

1960 წლის 17 აგვისტოს გაბონი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. მაგრამ გაბონის ხალხს ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლა მოელის დამოუკიდებლობის, განსაკუთრებით ეკონომიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

ამჟამად გაბონში ერთადერთი პარტიაა — გაბონის დემოკრატიული პარტია, რომელიც პირდაპირი არჩევნების გარეშე ნიშნავს ეროვნული კრების დეპუტატებს.

გამბია

გამბიის რესპუბლიკა.
ფართობი — 11,3 ათასი კმ².
მოსახლეობა — 530 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ბანჯული (43 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე, მდინარე გამბიის თვალწარმტაც ხეობაში ვიწრო ზოლად გადაჭიმულია სახელმწიფო, რომელიც ამ მდინარის სახელს



ატარებს. ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ტიპურ სავანას აკაციებითა და ბაობაბებით. მდინარეთა ხეობებში მარადმწვანე ტყეები გადაჭიმულან. ამ ტყეების ხშირ რაყებში ბინადრობენ სპილოები, ლომები, ჯიქები, ანტილოპები, გარეული ტახები, ბევრია მაიმუნი, მდინარეებში შეხვდებით ბეჰემოთებსა და ნიანგებს. ჰავა ეკვატორულ-მუსონურია, ტენიანი ზაფხულით და მშრალი ზამთრით.

ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა გლეხობაა. ისინი პალმის ტოტებით გადახურულ ქოხებში ცხოვრობენ. მთელი მათი ავეჯეულობა შედგება ხისგან გამოჩორკნილი რაღაც მაგიდისებური დგამის, რამდენიმე უხეში სკამისა და ფიცრებისაგან შეკოწიწებული საწოლებისაგან. გამბიაში დაბალია ცხოვრების დონე. მრავალი გამბიელი დაავადებულია საშინელი სენით — ტუბერკულოზით, კეთრით, ტრაქომით. მცხოვრებთა 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. გამბიაში რკინიგზები არ არის, ცოტაა მოასფალტებული გზატკეცილები. სატვირთო მანქანებით გაკვალულ სოფლის შარაგზებს ხშირად რეცხავს ტროპიკული ნიაღვრები. ძირითად სატრანსპორტო არტერიად მდინარე გამბია რჩება. ამ მდინარეზე რამდენიმე გემი მიმოდის.

ქვეყნის ჩამორჩენილობა ინგლისის კოლონიალიზმის სამასწლოვანი ბატონობის შედეგია. გამბია ინგლისის პირველი კოლონია იყო დასავლეთ აფრიკაში. 1651 წელს ბრიტანეთის ჯარისკაცებმა მდინარე გამბიის შესართავთან დაიპყრეს კუნძული, რომელსაც ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკის გამტარებლის იორკის ჰერცოგის სახელის მიხედვით ჯეიმსის კუნძული უწოდეს. დამპყრობლებმა ჯეიმსის კუნძული დასაყრდენ პუნქტად აქციეს და შეეცადნენ ქვეყნის სიღრმეში შეეღწიათ. გამბიელები მამაცურად ეწინააღმდეგებოდნენ. მათ შეძლეს თითქმის მთელი ინგლისის გარნიზონის მოსპობა. მაგრამ ინგლისიდან კუნძულზე ახალი გემები მოდიოდნენ. დამმონებლები



ბარკასების მშენებლობა.

ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდნენ გამბიის სოფლების მცხოვრებლებს.

კოლონიზატორები დაუნდობელ ექსპლუატაციას უწევდნენ მკვიდრ მოსახლეობას და ახშობდნენ ჩაგვრისაგან განთავისუფლების ყოველგვარ ცდას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისელები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ბატონობა გამბიაში, განახორციელეს ზოგიერთი კონსტიტუციური რეფორმა, გააფართოვეს გამბიელთა პოლიტიკური უფლებები. მაგრამ ამან ვერ უშველა კოლონიზატორებს. 1965 წლის 18 თებერვალს ბრიტანეთის ალამი სამუდამოდ დაეშვა ქალაქ ბათერსტში გუბერნატორის რეზიდენციის ფლაგშტოკიდან და მის ნაცვლად აფრიალდა გამბიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოთხფეროვანი დროშა. 1970 წლის აპრილში გამოცხადდა რესპუბლიკა. 1973 წელს რესპუბლიკის გამოცხადების მესამე წლისთავთან დაკავშირებით მიიღეს გადაწყვეტილება გამბიის დედაქალაქისათვის დაებრუნებინათ ძველი აფრიკული სახელწოდება ბანჯული.

გამბიის ბუნება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, თუმცა ამჟამად იგი მონოკულტურის ქვეყანაა. კოლონიზატორებმა გამბია თითქმის მთლიანად არაქისის პლანტაციებად გადააქციეს. საოკეანო გემებს არაქისი საზღვარგარეთ გააქვთ. არაქისის გარდა, გამბიელებს მოჰყავთ ბრინჯი, ფეტვი, სორგო, სიმინდი. მოსახლეობის ნაწილი მეცხოველეობასა და თევზჭერას მისდევს. გამბიაში მრეწველობა არ არის განვითარებული, არის არაქისის გადამმუშავებელი და სასმელების რამდენიმე წვრილი საწარმო, გემთშემკეთებელი სახელოსნოები, კუსტარული სარეწები.

ახალგაზრდა სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა მრავალდარგოვანი მეურნეობის შექმნა. გამბიაში აფართოებენ ბამბის ნათესებს, აშენებენ ბანანს, ზეთოვან პალმას. იქმნება კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. ამ ქვეყანაში ბევრი ტურისტი მოდის.

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოა წარმომადგენელთა პალატა. მისი შემადგენლობა ნაწილობრივ არჩევითია (35 დეპუტატი), ნაწილობრივ — დანიშვნითი (მთავრობისა და ადგილობრივი ბელადების მიერ 4-4 დეპუტატი). მმართველი პარტია — სახალხო პროგრესული პარტიაა. სხვა პარტიებიდან აღსანიშნავია ეროვნული კონვენტის პარტია და ეროვნული განთავისუფლების პარტია.

პრეზიდენტს (სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური) ირჩევენ ხუთი წლის ვადით.



განა

განის რესპუბლიკა.
ფართობი — 238,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 10,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — აკრა (1 მლნ. მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

განა — ასე იწოდებოდა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც III-დან XIII საუკუნეებამდე მდინარეების სენეგალისა და ნიგერის ზემო დინებაში არსებობდა. შემდეგ მისმა მოსახლეობამ სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაინაცვლა. სახელწოდება „განა“ აღსდგა მრავალი საუკუნის შემდეგ — 1957 წელს, როცა ინგლისის ყოფილი კოლონია — ოქროს ნაპირი — ტროპიკულ აფრიკაში პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ამას წინ უსწრებდა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლები.

1471 წელს ახლანდელ ქალაქ სეკონდის რაიონში გადასხდნენ პორტუგალიელი დამპყრობლები. აქ აღმოაჩინეს ოქრო და მოსულებმა ქვეყანას ოქროს ნაპირი შეარქვეს. მაგრამ უცხოელ დამპყრობლებს იზიდავდა არა მარტო ოქრო, მალე მათ ხელი მიჰყვეს უფრო შემოსავლიან საქმეს — მონებით ვაჭრობას. ქალაქ კეიპ-კოსტის მახლობლად შემონახულია იმ დროთა პირქუში ძეგლი — ელმინის სიმაგრე. მის ნესტიან და ბნელ მიწისქვეშეთში სულს ღაფავდნენ ბორკილდადებული მონები, სანამ მათ ამერიკაში გააგზავნიდნენ.

ოქროს ნაპირის ხელში ჩაგდებას ცდილობდა ჰოლანდია, შვეცია, ინგლისი. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხის მძლავრი წინააღმდეგობა ხელს უშლიდა ევროპელებს კონტინენტის სიღრმეში შეეღწიათ. მხოლოდ XX საუკუნის დამდეგისათვის ინგლისმა დაიმორჩილა მთელი ეს ქვეყანა. თავიანთი ბატონობის წლებში კოლონიზატორებმა მდიდარი კოლონიიდან გაზიდეს დიდძალი ოქრო, ალმასი, ძვირფასი მერქანი, კაკაოს მარცვალი. მოსახლეობა სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდა. აფრიკელი მუშა გასამრჯელოდ 12—15-ჯერ ნაკლებს იღებდა, ვიდრე ინგლისელი მუშა. აფრიკელები მოკლებულნი იყვნენ სამედიცინო დახმარებას. 1955 წელს 22 ათას მცხოვრებზე ერთი ექიმი მოდიოდა.

განა მდებარეობს ეკვატორის მახლობლად. მის ტერიტორიაზე გადის გრინვიჩის ნულოვანი მერიდიანი. ქვეყანაში ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნება. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია აშანტი, ევე, გა, ადანგმე, ფანტი, მოსი. ამ ქვეყანაში 40-ზე მეტ სხვადასხვა ენაზე და დიალექტზე ლაპარაკობენ.

განის ზედაპირის დიდი ნაწილი ვაკეა. სანაპიროს გასწვრივ ზღვისპირა დაბლობია. ქვეყნის ცენტრში აღმართულია ვრცელი პლატოები. მათი



„პიკის“ საათებში აკრის ერთ-ერთ ქუჩაზე.

მერქნის ძვირფასი ჯიშები საექსპორტოდ გადის.

კაკაოს მოსავლითა და ექსპორტით განას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. სურათზე: ასე იზრდება კაკაო.

სიმაღლეა 200—500 მ ზღვის დონიდან. მხოლოდ აღმოსავლეთ საზღვართან აღმართულია მთები, რომელთა სიმაღლე 876 მ აღწევს. ჰავა ცხელია. ნალექების ყველაზე მეტი რაოდენობა (2000 მმ-მდე წლიურად) მოდის სანაპიროს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ყველაზე ნაკლები (700 მმ-მდე) — რესპუბლიკის უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთში, აკრის რაიონში. განაში ბევრი მდინარეა, ყველაზე დიდია ვოლტა. 1965 წელს ამ მდინარეზე შეიქმნა დიდი წყალსაცავი (ფართობი 8422 კვ. კმ) და აკოსომბოს ახლოს აიგო ჰესი, რომლის ენერგიის ნაწილი მიდის ტოგოსა და ბენინში.

განას ჩრდილოეთით მდებარეობს მაღალი ბალახით დაფარული სავანა, სადაც ხარობს ბაობაბი, ზეთის ხე და აკაცია. სამხრეთით სავანას თანდათანობით ცვლის ხშირი მარადმწვანე ტროპიკული ტყე. ზედა იარუსის ხეები 60 მ-მდე აღწევს და გადახლართული არიან ხშირი ლიანებით. აქ ხარობს წითელი ხე, ოდუმი, კოლას ხე, სეიბა. ტყეებით წინათ ქვეყნის დიდი ნაწილი იყო დაფარული, მაგრამ ახლა გამეჩხრდა. სანაპიროს გასწვრივ ვიწრო ზოლად არის გადაჭიმული ბუჩქნარებისა და ბალახოვანი მცენარეების ზონა — ქოქოსის, ზეთოვანი პალმების, რაფიის (იძლევა ბოჭკოს) კო-

რომებით. სანაპირო ლაგუნებში მანგროვიანი ტყეები ხარობს.

წინათ ქვეყანაში ბევრი დიდი ცხოველი ბინადრობდა, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქლეტდნენ. ახლა ცხოველთა სამყარო გაღარიბდა. მაგრამ სავანაში ახლაც ბინადრობს მრავალი სახეობის ანტილოპა, შეხვდებით ლომების ოჯახს, მძვინვარე კამეჩებს, იშვიათად, სპილოებისა მცირე ჯოგებს.

ტყეებში ბევრია მაიმუნი (პავიანები, ბაბუინები) და ნახევარმაიმუნები — ლემურები, მდინარეებში ბევრია ნიანგი. არის შხამიანი კობრები, მამბები და გიგანტური პითონები. ხის ნაგებობებს დიდ ზიანს აყენებენ ტერმიტები. ზოგ რაიონში გავრცელებულია ბუზი ცეცე.

განა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ მოიპოვებენ მანგანუმის მადანს, ალმასს, ოქროს, ბოქსიტებს. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში აღმოჩენილია რკინის მადნის საბადოები. სანაპირო რაიონებში მიმდინარეობს ნავთობის ძიება.

განაში ვითარდება მრეწველობა. აგებულია ალუმინის, ავტოამწყობი, ფოლადსადნობი, ნავთობგადამმუშავებელი, ფარმაცევტული ქარხნები, საღებავების ფაბრიკა. არის სამშენებლო, საფეიქრო, კვების მრეწველობის საწარმოები, თამბაქოს და ასანთის ფაბრიკები, თევზის მაცივრები. ზოგიერთი საწარმო (რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა, თევზკომბინატი და სხვ.) აგებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით.

დიდი ქალაქებია: აკრა, კუმასი, სეკონდი, ტაკორადი, კეიპ-კოსტი, ტამალე. განაში ცოტაა რკინიგზები, მათი სიგრძე სულ რაღაც 1285 კმ-ია.

განის ეკონომიკის საფუძველია კაკაოს მარცვლის მოყვანა. ეს ხეები დიდ მოვლას მოითხოვს. კაკაო მოჰყავს ყოველ მესამე გლეხის ოჯახს. თუ სეზონურ და ტრანსპორტის მუშებს და მოსამსახურეებს დავუმატებთ, მაშინ გამოდის, რომ კაკაოს წარმოებაზე დასაქმებულია განის მოსახლეობის 40%-მდე. კაკაოს მარცვლის მოსავლით (მსოფლიო წარმოების დაახლ. მესამედი) და მათი ექსპორტით განა პირველ ადგილზეა მსოფლიოში. გააქვთ ზეთოვანი პალმის პროდუქტები, კოპრა (ქოქოსის პალმის კაკლის გამშრალი რბილობი), კოლას კაკალი, ყავის მარცვალი. ქვეყნის ბიუჯეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხე-ტყისა და დახერხილი მასალის გატანას.

განის ხალხები სახელგანთქმულნი არიან ხელოსნობით. ისინი ქსოვენ გასაოცრად ლამაზ ქსოვილებს, რომლისგანაც კერავენ ეროვნულ ტანსაცმელს — კენტეს. მეთუნეების, ხეზე ამოკვეთების ნაკეთობანი, შეღებილი ბალახისაგან ჭილოფების, ქუდების, ჩანთების მწვნელთა ნაწარმი განსაცვიფრებელია მშვენიერი ფორმითა და ლამაზი ორნამენტით.

განაში, ისევე როგორც ტროპიკული აფრიკის სხვა ქვეყნებში, კვების ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტია მანიოკი. ამ მცენარის მსხვილი ბოლქვებიანი ფესვები შეიცავს 29 პროცენტ სახამებელს. მათ ჭამენ მოხარშულს ან შემწვარს. მოხარშული, გამშრალი და დაქუცმაცებული ბოლქვებისაგან ამზადებენ ფქვილს — ტაპიოკს. საჭმელად ხმარობენ ბანანებს, იამსისა და ქოქოიამსის (ტაროს) ბოლქვებს, ტკბილ კარტოფილს — ბატატს. მანიოკი, იამსი და ტარო გემოთი კარტოფილს მოგვაგონებს. თითქმის ყველგან მოჰყავთ სიმინდი, ბოსტნეული, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში — ბრინჯი. ჩრდილოეთში თესავენ ფეტვსა და არაქისს. სამხრეთში შექმნილია კაუჩუკოვანი ჰევეის პლანტაციები.

მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული. მოშენებულია ცხვარი, თხა და ღორი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ მხოლოდ ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ბუზი ცეცე არ არის. გვინეის ყურის სანაპირო წყლებში იჭერენ ზღვის ქორჭილას, სარდინს, მაკრელს. თევზით მდიდარია მდინარეებიც.

1972 წლის იანვრიდან ხელისუფლება განაში გადავიდა ეროვნული ხსნის საბჭოს ხელში, რომელმაც შეზღუდა უცხოური კაპიტალის გავლენა, აღადგინა სახელმწიფო სექტორი ქვეყნის ეკონომიკაში, ახორციელებდა პროგრესულ საგარეო პოლიტიკის კურსს.

70-იანი წლების ბოლო ხასიათდებოდა პოლიტიკური არასტაბილურობით. მოხდა რამდენიმე გადატრიალება. 1979 წელს ძალაუფლება გადავიდა რევოლუციური საბჭოს ხელში, რომელმაც აღადგინა პარტიების არსებობა, ჩაატარა არჩევნები და გადასცა ხელისუფლება სამოქალაქო ადმინისტრაციას. მმართველი სახალხო ეროვნული პარტია მიზნად ისახავს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და არსებული ეკონომიკური სტრუქტურის შენარჩუნებას.

გვინეა

გვინეის სახალხო რევოლუციური რესპუბლიკა.
ფართობი — 245,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 5,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კონაკრი (650 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.


გვინეა
სენეგალი
გვინეა-ბისაუ
ბისაუ
ფრანსისკო ფერეირა
ბაბა ოკორო
სიგირი
ფრანსისკო ფერეირა

რების მიერ დაქირავებული ნაწილები, გვინეელებს დახმარება აღმოუჩინეს საბჭოთა კავშირმა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა, აფრიკის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა. დამპყრობლები დამარცხდნენ და გაიქცნენ.

გვინეის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, რომელშიც ჩაბმულია მოსახლეობის 85%. მოჰყავთ ყავა, ბანანი, ბრინჯი, სიმინდი, ფეტვი, მანიოკი, არაქისი, კოლას კაკალი, ფორთოხალი, ანანასი. სანაპიროზე განვითარებულია თევზჭერა. ყავა, ბანანი, ზეთოვანი პალმის ნაყოფი (პალმისტა), ანანასი, არაქისი სხვა ქვეყნებში გააქვთ. შედარებით განვითარებულია სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. მოიპოვებენ ბოქსიტებს (მესამე ადგილზეა მსოფლიოში), ალმასს, რკინის მადანს, რომლებიც საზღვარგარეთ გააქვთ. ამ დარგში ძლიერი პოზიციები ეკუთვნის უცხოურ კაპიტალს.

გვინეის მრეწველობის სხვა დარგები პრაქტიკულად შექმნილია დამოუკიდებლობის წლებში. ამათ მიეკუთვნება კვების, თამბაქოს, ხის დამმუშავებელი, საფეიქრო და საშენ მასალათა მრეწველობა. საბჭოთა კავშირის დახმარებით გვინეაში აგებულია პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელშიც სწავლა შეუძლია 1500 სტუდენტს, სამრეწველო საწარმოები, მათ შორის მაცივარი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საკონსერვო ქარხანა ხორც-მაცივარ-სასაკლაოთი, ორი მეცხოველეობის ფერმა. საბჭოთა სპეციალისტები გვინეელებს ეხმარებიან სამრეწველო თევზჭერის ორგანიზაციასა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ჩატარებაში. საბჭოთა კავშირი აშენებს დიდ სამთამადნო კომპლექსს ბოქსიტების მოსაპოვებლად ქალაქ კინდიას რაიონში და აწყობს კონაკრის ნავსადგურის რეკონსტრუქციას.

გვინეის რესპუბლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული კულტურის განვითარებას. 1970 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში მოეწყო ეროვნული ხელოვნების პირველი ფესტივალი. ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, შორს არის ცნობილი გვინეის ხალხური ცეკვის პროფესიული ანსამბლები — „ჯოლიბა“ და „აფრიკის ეროვნული ბალეტი“. კონაკრიში გახსნილია ეროვნული მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია გვინეელი გამოცდილი ოსტატების ნახელავები.

გვინეის რესპუბლიკას სათავეში უდგას პრეზიდენტი. მას ირჩევენ შვიდი წლით საყოველთაო კენჭისყრით. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს — საკანონმდებლო კრებას. საგარეო პოლიტიკაში გვინეა აქტიურად გამოდის იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების მხარდასაჭერად.

სახელმწიფოში წამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს პარტია — სახელმწიფო გვინეა (1978 წლამდე მას გვინეის დემოკრატიული პარტია ერქვა), რომელმაც დაადასტურა თავისი სოციალისტური ორიენტაციის კურსი.

გვინეა-ბისაუ

გვინეა-ბისაუს რესპუბლიკა.
ფართობი — 36,1 ათასი კმ².
მოსახლეობა — 777,2 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ბისაუ (110 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — პორტუგალიური.

ეს ალბათ აფრიკის ყველაზე დაბალი და ვაკე ქვეყანაა, მხოლოდ აღმოსავლეთით, გვინეის რესპუბლიკის შესაყართან, შეიმჩნევა რელიეფის მცირედი ამაღლება. მოკლე, უხვწყლიანი მდინარეები მდოვრედ მიედინებიან ვაკეზე, ხეები და ბუჩქები პირდაპირ წყლიდან ამოზრდილან. ეს იდეალური რაიონებია ბრინჯის — გვინეელთა კვების ძირითადი პროდუქტის — მოსაყვანად. სანაპიროს გასწვრივ მიმოფანტულია მრავალი კუნძული: ბოლამა — ერთ-ერთი უდიდესია ამავე სახელწოდების ქალაქით, საიდანაც ვრცელდებოდა პორტუგალიის ბატონობა, ბისაუ, კომო და სხვ. რამდენადმე მოშორებითაა ბიჟაგოშის არქიპელაგი.

გვინეა-ბისაუ დასახლებულია სხვადასხვა ეროვნებებით, ყველაზე მეტნი არიან — ბალანტე, ფულბე, მანჯაკი.

გვინეა-ბისაუს მცენარეული სამყარო გარდამავალი ტიპისაა ტყე-სავანიდან ტენიანი ტროპიკული ტყეებისაკენ. ჰავა ტენიანია, ეკვატორულ-მუსონური, ტემპერატურის უმნიშვნელო ცვლილებებით.

გრძელი და ძნელი იყო გვინეა-ბისაუს ხალხის

გზა თავისუფლებისაკენ. პირველი პორტუგალიური კარაველები გვინეის ნაპირებთან 1434 წელს გამოჩნდნენ. კოლონიზატორები ნადირობდნენ ადამიანებზე და მონებად ჰყიდდნენ მათ. მერე კოლონიური ექსპლუატაციის ფორმები იცვლებოდა, მაგრამ მისი კაცთმოძულეობითი არსი იგივე რჩებოდა. არ წყდებოდა წინააღმდეგობა კოლონიზატორებისადმი, ამიტომაც იყო, რომ მათი ქვეყნის სიღრმეში შეღწევა მხოლოდ XX საუკუნეში დამთავრდა.

1956 წელს შეიქმნა გვინეა-ბისაუს და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკული პარტია (პაიგკ). ამ პარტიის ხელმძღვანელობით გაჩაღდა ანტიკოლონიური ომი, რომელიც ათ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამავე დროს, აფრიკის დამოუკიდებლობის პარტია განთავისუფლებულ რაიონებში ახორციელებდა დემოკრატიულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს.

პორტუგალიელი კოლონიზატორები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ისტორიის მსვლელობა, მაგრამ ვერც უპირატესობამ შეიარაღებაში, ვერც მასობრივმა ტერორმა (90 ათასი ლტოლვილი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა მეზობელი სენეგალისათვის), ვერც პაიგკის პარტიის შესუსტების ცდამ — მისი დამაარსებლისა და ბელადის ა. კაბრალის მკვლელობის მოწყობით — ვერ შეძლო ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის შეჩერება.

1973 წლის სექტემბერში ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში პირველ სესიაზე შეიკრიბნენ ამ ქვეყნის უმაღლესი სუვერენული ორგანოს — სახალხო ეროვნული კრების დელეგატები. 24 სექტემბერს მოხდა ახალი სახელმწიფოს — რესპუბლიკა გვინეა-ბისაუს დაბადება. რესპუბლიკური ხელისუფლების ორგანოებად იქცნენ სახელმწიფო საბჭო, რომელიც კანონმდებლობას ახორციელებს ეროვნული სახალხო კრების სესიებს შორის და სახელმწიფო კომისართა საბჭო (მთავრობა).

ახალგაზრდა რესპუბლიკამ კოლონიალიზმის ეპოქიდან მემკვიდრეობით მიიღო განუვითარებელი, ამასთან ომით დასუსტებული ეკონომიკა. გვინეა-ბისაუ აწარმოებს არაქისს, ბრინჯს, პალმის ზეთსა და კოპრს, ბამბას, აბუსალათინს (რისგანაც სასაქმებელ ზეთს ხდიან), კაუჩუკს, კაკაოს, შაქრის ლერწამს, მერქანს. ქვეყნის მინერალური რესურსები თითქმის გამოუკვლეველია, ჯერჯერობით ცნობილია ბოქსიტების, ნავთობის, რკინის მადნის მარაგი.

გვინეა-ბისაუს ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც პირველებმა სცნეს ახალგაზრდა რესპუბლიკა და დაეხმარნენ მას ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დასავლეთი საჰარა

დასავლეთ საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკა.
ფართობი — 226 ათასი კმ².
მოსახლეობა — 80 ათასი კაცი.
ადმინისტრაციული ცენტრი — ელ-აიუნი (28 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — არაბული.

აფრიკის ატლანტის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი მაროკოსა და მავრიტანიას შორის 1976 წლამდე ესპანეთის „აფრიკის პროვინციად“ ითვლებოდა. 1436 წელს პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს ვიწრო უბე, რომელიც მდინარის შესართავად მიიჩნიეს და მას ოქროს მდინარე (რიო-დე-ორო) უწოდეს. აბორიგენები უხვად უხდიდნენ მოსულებს ოქროს სილას (როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი ადგილობრივი წარმოშობისა არ იყო). პორტუგალიელები შეცვალეს ესპანელებმა, ხოლო

სახელწოდება რიო-დე-ორო რჩებოდა დასავლეთ საჰარის სამხრეთ ნაწილს. ჩრდილოეთ ნახევარს ჩვეულებრივ სეგიეტ-ელ-ჰამრას უწოდებდნენ.

არაბულ-ბერბერული ტომები მედგრად იბრძოდნენ საკუთარი თავისუფლებისათვის. მთელი ქვეყნის დაპყრობა კოლონიზატორებმა მხოლოდ 1934 წელს შეძლეს, ხოლო აჯანყების ჩახშობად 1957—1958 წლებში იძულებული გახდნენ, დახმარებისათვის საფრანგეთის ჯარებისათვის მიემართათ. მაგრამ ამის შემდეგაც ბევრჯერ მომხდარა შეიარაღებული გამოსვლები.

როცა დასავლეთ საჰარაში განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწიეს, ესპანეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისი ბატონობის შენარჩუნებაზე. 1976 წლის თებერვალში ესპანეთის ჯარებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა სამუდამოდ დატოვა ეს მიწა. ამ ტერიტორიის მომავლის საკითხი განიხილებოდა აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციაში (აეო).

ბრძოლას დასავლეთ საჰარის სრული განთავისუფლებისათვის აწარმოებს სეგიეტ-ელ-ჰამრასა და რიო-დე-ოროს განთავისუფლების სახალხო ფრონტი (პოლისარიო), რომელიც 1973 წელს შეიქმნა. ესპანეთის ჯარების გაყვანის შემდეგ დასავლეთ საჰარაში შემოიჭრნენ მაროკოსა და მავრიტანიის ჯარები. 1979 წელს, მავრიტანიასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ბრძოლა მხოლოდ მაროკოსთან გაგრძელდა. 1980 წლის მარტში ქვეყნის განმათავისუფლებელმა ძალებმა დაამარცხეს მაროკოს ჯარები თვით მაროკოს ტერიტორიაზე, მაგრამ ბრძოლა გრძელდება, რადგანაც მაროკოს მეფის ზურგს უკან მძლავრი იმპერიალისტური ძალები შემოიჭრნენ.

საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1976 წელს დაარსდა, ამჟამად 36 სახელმწიფომ სცნო.

გამომშრალი ქვიშნარი ვაკე, რომელიც აღმოსავლეთით ატლასის მთისწინებში გადადის, სადაც საჰარიდან მონაბერ ცხელ ქარებს წვრილი სილის კორიანტელი მოაქვს, ღარიბი ნახევარუდაბნოს მცენარეულობა, იშვიათი ნალექები, რომლებიც ამასთან ხანმოკლე თავსხმების სახით მოდის და აქაფებული მიედინებიან უედბის ან ვადის კალაპოტებში, ვერ ასწრებენ მიწის დარწყულებას — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მიწათმოქმედებას. ამიტომ მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მომთაბარე მესაქონლეობა (აქლემების, თხების მოშენება, უხეშმატყლოვანი მეცხვარეობა). იშვიათ ოაზისებში მოჰყავთ ქერი, ფეტვი, გაშენებულია ფინიკის პალმა, სანაპიროზე იჭერენ თევზს, ლანგუსტებს, ამოაქვთ ღრუბელი. სეგიეტ-ელ-ჰამრას ხეობის მცხოვრებლები მოსავლის აღების შემდეგ გადადიან მომთაბარე ცხოვრებაზე. ზოგიერთი ტომი გადადის მავრიტანიაში, მაროკოში, ალჟირში და მერე უკან ბრუნდება. ამიტომ ძნელია მოსახლეობის რიცხვის დადგენა (დაახლოებით 100 ათასი, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გადახრები).

დასავლეთ საჰარაში აღმოჩენილია ფოსფორიტების (3 მილიარდ ტონამდე), რკინის მადნის, სპილენძის, ვერცხლისწყლის, კალიუმის მარილების დიდი მარაგი. ეს იქცევს იმპერიალისტური ქვეყნების მონოპოლიების ყურადღებას. ბუ-კრაას რაიონში წარმოებს ფოსფორიტების დამუშავება, რომელსაც ტრანსპორტიორებით აწვდიან ელ-აიუნის ნავმისადგომებს.

ეგვიპტე

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, ე ა რ.
ფართობი — 1004 ათასი კმ².
მოსახლეობა — 41 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კაირო (გარეუბნებით — 8,7 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — არაბული.

ეგვიპტე უდიდესი არაბული სახელმწიფოა. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი აფრიკაშია, მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარის (6671 კმ) ნილოსის ქვემო წელში. მხოლოდ სინას ნახევარკუნძული მდებარეობს აზიაში.

სახელწოდება „ეგვიპტე“ წარმოდგება ბერძნული „აიგიპტოს“-ისაგან, რომელსაც პირველ ხანებში უწოდებდნენ ქვემო ეგვიპტის ძველ სატახტო ქალაქ მემფისს.

ქვეყნის ფართობის დაახლოებით $^2/_3$ ლიბიის უდაბნოს უკავია და შედგება ერთფეროვანი ღორღითა და კენჭებით, ალაგ-ალაგ ქვიშით დაფარული ვაკე სივრცეებისაგან. ქარის მიერ გადატანი-



ლი ქვიშა ქმნის ბორცვებსა და დიუნებს, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 300 მ-მდე აღწევს. ლიბიის უდაბნოს ცენტრალურ ნაწილში გვხვდება ღრმა ღრმულები, რომლებშიც გრუნტის წყლები უახლოვდებიან მიწის ზედაპირს. წყალი ამოაქვთ არტეზიული ჭების საშუალებით.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის $^1/_5$-ზე მეტი არაბეთის უდაბნოს უკავია. მისი ქვიანი პლატო დანაწევრებულია ღრმა ხეობებით. აღმოსავლეთით მას ეკვრის გრანიტებისა და გნეისებისაგან აგებული მაღალი (2000 მ-მდე) მთები. ქვიან, ალაგ-ალაგ ქვიშნარ უდაბნოს სინას ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი უკავია. სინას სამხრეთში აღმართულია ციცაბო მთების მასივები, დაკბილული მწვერვალებით. აქ არის ეგვიპტის ყველაზე მაღალი (2637 მ) მთა — კატერინი.

ეგვიპტეში უდაბნოს ცხელი და გვალვიანი კონტინენტური ჰავაა. მხოლოდ ვიწრო ზოლი, რომელიც გარს ერტყმის ეგვიპტის ჩრდილოეთ სანაპიროს, მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის ჰავის ზონაში. წელიწადის ცხელი დროა ივლისი—ოქტომბერი. დეკემბრიდან მარტამდე გრძელდება გრილი სეზონი. ყველაზე ცივი თვე იანვარია, მაგრამ იანვარშიც ტემპერატურა იშვიათად თუ ჩამოდის +10°-ზე დაბლა.

წელიწადის ზამთრის დროს ხეებს ფოთლები არ სცვივა, ბევრი მცენარე ჰყვავის. გაზაფხულის თვეებში (აპრილი—მაისი) ჭრის უდაბნოს ცხელი და მშრალი ქარები. ეს ქარები უბერავენ 50 დღეს შესვენებებით, საიდანაც წარმოსდგება მათი არაბული სახელი — ჰამსინი (ორმოცდაათი). ჰამსინს მოაქვს მძიმე მტვრის ღრუბლები. ჰაერი მშრალი ხდება, მზის შუქი მკრთალდება და ძლივსღა მოჩანს უკუნეთში. მტვერი ყველგან აღწევს, ეყრება თვალებში, ავსებს ცხვირსა და ყურებს, კნაწუნებს კბილებს შორის. ხეთა ფოთლები მუქდება, ხუჭუჭდება და ხმება. ეგვიპტეში ცოტა ნალექებია და რაც უფრო შორს მივდივართ სამხრეთისაკენ, მით უფრო ნაკლებია (ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე 180—200 მმ, შიგა რაიონებში — სულ 30-დან 3 მმ-მდე წლიურად). ნალექები უმთავრესად მოდის ნოემბერ-იანვარში ხანმოკლე თავსხმა წვიმების სახით.

ერთადერთი მდინარე ნილოსი კვეთს მთელ ქვეყანას. ხეობა, სადაც იგი მიედინება, ფართოვდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (300 მ-დან 25 კმ-მდე). კაიროს ჩრდილოეთით იწყება ნილოსის დელტის ფართო ვაკე. დელტა ამ მხარეს უწოდა ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა სწავლულმა ჰეროდოტემ, რომელმაც მდინარის შესართავი რომ ნახა, შენიშნა, იგი ორ დიდ ტოტს შორის იყო მოქცეული, რაც მას ბერძნული ანბანის ასო Δ (დელტას) ფორმას აძლევდა. დელტა და ხეობა დაფარულია ლამით. ეს არის წვრილად დაქუცმაცებული ქანები, რომლებიც ნილოსს ეთიოპიიდან მოაქვს. ნილოსის ლამი მეტად ნოყიერია.

ეგვიპტემ, ცივილიზაციის ერთ-ერთმა უძველესმა აკვანმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ჩვენს ერამდე მრავალი საუკუნის წინ ეგვიპტელებმა ისწავლეს ქაღალდის კეთება პაპირუსისაგან, მინის, ბრინჯაოს დამზადება, დაეუფლნენ ფართობის გაზომვის ხელოვნებას, შეისწავლეს ვარსკვლავიერი ცა და შექმნეს კალენდარი, შეიმუშავეს არითმეტიკის ძირითადი წესები, მოქმედება წილადებზე, მნიშვნელოვნად განვითარდა ალგებრა და გეომეტრია. უზარმაზარი პირამიდები — ეგვიპტელი ფარაონების სამარხები — უძველესი სამშენებლო ტექნიკის სასწაულია.

VII საუკუნეში არაბების მოსვლით ეგვიპტეში გავრცელდა არაბული ენა და ისლამი. არაბულ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ეგვიპტის ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერ-

თობანი სამხრეთ-დასავლეთი აზიისა და ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნებთან, რამაც მრავალმხრივად ურთიერთგაამდიდრა ეს ხალხები.

საუკუნეთა მანძილზე ეგვიპტემ არაერთხელ გადაიტანა უცხოელ დამპყრობთა შემოსევები. XV საუკუნეში ეგვიპტე დაიპყრეს თურქებმა და იგი ოსმანთა იმპერიის პროვინციად აქციეს. XVIII და XIX საუკუნეებში ეგვიპტის დასაპყრობად გააფთრებით იბრძოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და ოსმანთა იმპერია. 1882 წელს სასტიკად ჩაახშო ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგობა და ქვეყანა დაიპყრო ინგლისმა. ამ დროიდან ეგვიპტე ფაქტიურად ინგლისის სამფლობელოდ იქცა, თუმცა თვით პირველ მსოფლიო ომამდე იგი ოსმანთა იმპერიის ნაწილად, ხოლო 1922-დან 1952 წლამდე დამოუკიდებელ სამეფოდ ითვლებოდა. ინგლისელმა იმპერიალისტებმა კონტროლი დაამყარეს ამ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ეგვიპტე თავის ბამბის პლანტაციად აქციეს.

1952 წელს ეგვიპტეში მოხდა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუცია, რომელიც დაიწყო პროგრესულად განწყობილი ახალგაზრდა ოფიცრების ჯგუფმა გამალ აბდელ ნასერის (1918—1970) მეთაურობით. ამ რევოლუციამ ეგვიპტის ხალხს გაუხსნა პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ეკონომიკური თვითმყოფადობისა და კულტურის აღორძინების ფართო გზა. 1956 წლის ივნისში ინგლისის საოკუპაციო არმია იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა ეგვიპტე. ეგვიპტის მთავრობამ მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რომელსაც უცხოეთის მონოპოლიები გამდიდრების მიზნით იყენებდნენ. 1956 წლის ოქტომბერში ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა წამოიწყეს აგრესია, ძალით ცდილობდნენ ძველი წესწყობილების აღდგენას. მაგრამ მათი ცდა მთლიანად ჩაიფუშა, რადგან წააწყდნენ ეგვიპტელთა მამაცურ წინააღმდეგობას, რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა და მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ძალებმა.

თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა რომ დაიცვა, ეგვიპტელმა ხალხმა ხელი მიჰყო სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს. ნაციონალიზებული იქნა უცხოეთისა და ეგვიპტის კერძო ბანკები, სადაზღვევო კომპანიები. სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა დიდი და ბევრი საშუალო სამრეწველო საწარმო, ტრანსპორტის უმნიშვნელოვანესი საშუალებანი. სახელმწიფო კონტროლი დაწესდა საგარეო და საშინაო ვაჭრობაზე. სახელმწიფო სექტორმა ეგვიპტის ეკონომიკაში საკომანდო პოზიციების დაკავება დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო დაგეგმვის ელემენტებს. მთავრობის დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე უცხოელები ეგვიპტელებმა შეცვალეს.

50—60-იან წლებში ხორციელდებოდა აგრარული გარდაქმნები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ მემამულეთა კლასის პოზიციებს. მიწები მფლობელობის დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით ერთმეოდა მემამულეებს და ეძლეოდათ გლეხებს გამოსასყიდად, ხოლო 1964 წელს გაუქმდა მიწის გამოსასყიდი გადასახდელებიც. აგრარულმა რეფორმამ მიწა მისცა 300 ათასზე მეტ უმიწო და მცირემიწიან გლეხის ოჯახს.

თანდათან მტკიცდება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობა ეგვიპტესა და საბჭოთა კავშირს შორის. გიგანტურმა ჰიდროენერგეტიკულმა კომპლექსმა მაღლივი ასუანის კაშხალიდან (სიგრძე დაახლოებით 5 კმ, სიმაღლე — 111 მ) და ჰესმა, რომლებიც აგებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით, უდიდესი ეკონომიკური შესაძლებლობანი შექმნა. კაშხალმა წარმოქმნა კოლოსალური წყალსაცავი, რომელიც ეგვიპტეს უზრუნველყოფს წყლით ყოველგვარ გვალვიან წელს (როგორც ეს 1972 წელს იყო), იცავს მას ხშირი წყალდიდობისაგან.

ეგვიპტის მეურნეობის მთავარ დარგს — სოფლის მეურნეობას — შესაძლებლობა მიეცა, მნიშვნელოვნად გაედიდებინა სათესი ფართობები და გაეუმჯობესებინა პროდუქტიულობა მიწის საუკეთესო მორწყვის შედეგად, ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეგვიპტისათვის, რომელიც სახნავი მიწებისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას განიცდის. ასუანის ჰესს შეუძლია ყოველწლიურად მისცეს ქვეყანას 10 მილიარდამდე კვტ. საათი ელექტროენერგია, ერთიორად მეტი, ვიდრე ეგვიპტეში აწარმოებდნენ ამ სადგურის აგებამდე.

ყველა დროს ნილოსი კვებავდა ეგვიპტეს, ახლა იგი ენერგიას აწვდის მრეწველობას, სინათლეს — სოფლებს, წყალს — ახალ მინდვრებს, ავსებს სახელმწიფოს შემოსავალს.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომ-



ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი.

ლობით ეგვიპტეში განვითარდა მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და მსუბუქი მრეწველობა. ხელუანის მეტალურგიული კომბინატი უზრუნველყოფს ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებას ფოლადზე, ლითონსაჭრელი ჩარხების ქარხანა საშუალებას იძლევა ეგვიპტის საწარმოები აღიჭურვოს თანამედროვე ტექნიკით. ნაგ-ჰამადში სსრ კავშირის დახმარებით აგებულია დიდი ალუმინის ქარხანა.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა უშვებს სამამულო ავტომობილებს, რკინიგზის ვაგონებს, საზღვაო და სამდინარო გემებს, მაცივრებს, ვითარდება ნავთობმოპოვებითი მრეწველობა.

70-იანი წლების დასაწყისიდან ეგვიპტის მთავრობამ იწყო „ღია კარების“ და ეკონომიკის „ლიბერალიზაციის“ პოლიტიკის განხორციელება, რაც მიმართულია უცხოეთისა და ეროვნული კერძო კაპიტალის წახალისებისაკენ. თითქმის მოიშალა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი. მასში 1980 წლისათვის 235 საწარმოს ნაცვლად დარჩა მხოლოდ 7. ქვეყანაში კვლავ გაბატონდა უცხო (პირველ რიგში), ამერიკული კაპიტალი: უცხოეთის 35 ბანკმა გახსნა აქ თავისი განყოფილება. გაძლიერდა ინფლაცია წელიწადში 35%, გაიზარდა უმუშევრობა (2,3 მლნ. კაცი), ბევრი ეგვიპტელი (4 მლნ.) სხვა ქვეყნებში ეძებს სამუშაოს.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიას ჩვეულებრივ ყოფენ სამ ეკონომიკურ რაიონად: ქვემო, შუა და ზემო ეგვიპტედ. ქვემო ეგვიპტე ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული რაიონია და მოიცავს მდინარე ნილოსის ქვემო დინებასა და დელტას. ამ რაიონის წილად მოდის ქვეყნის დასახლებული ტერიტორიის ნახევარზე მეტი და მცხოვრებთა დაახლოებით 70 პროცენტი. აქ მოჰყავთ მთელ მსოფლიოში ცნობილი მაღალხარისხოვანი გრძელბოჭკოიანი ბამბა (ეგვიპტე ბამბის მსოფლიო წარმოების თითქმის ნახევარს იძლევა). სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან გავრცელებულია ბრინჯი, სიმინდი, ხორბალი, ციტრუსები (ფორთოხალი, ლიმონი).

ქვემო ეგვიპტეშია ქვეყნის ადმინისტრაციული, სამრეწველო და სავაჭრო ქალაქები. ეარ-ის დედაქალაქი კაირო დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრია. აქ იმყოფება ეგვიპტის არა მარტო უმაღლესი მთავრობის დაწესებულებანი, არამედ არაბული სახელმწიფოების ლიგის სამდივნო, იმართება მრავალი საერთაშორისო ყრილობა და კონფერენცია. კაირო და მისი გარეუბნები ქმნიან ეარ-ის უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრს. კაიროს საერთაშორისო აეროპორტზე გადის მრავალი ტრასა, რომლებიც ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს აკავშირებენ აზიისა და აღმოსავლეთ აფრიკის სახელმწიფოებთან. ამ რაიონშია ეგვიპტის უდიდესი საზღვაო ნავსადგური ალექსანდრია, ქვეყნის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ხელუანი, მახალა-ელ-კუბრა, სადაც თავმოყრილია საფეიქრო წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

შუა ეგვიპტე — აგრარული რაიონი — მდება-

რეობს ნილოსის ხეობაში, ჩრდილოეთით კაიროსა და სამხრეთით ელ-მინიას შორის. შუა ეგვიპტეში მოჰყავთ ბამბა, უმთავრესად ადგილობრივი საფეიქრო მრეწველობისათვის, აგრეთვე, სიმინდი, ხორბალი და პარკოსანი კულტურები.

ზემო ეგვიპტე, რომელშიც შედის ნილოსის ხეობა ჩრდილოეთით ელ-მინიადან სამხრეთით ეგვიპტე-სუდანის საზღვრამდე, აგრარულ-ინდუსტრიული რაიონია. ზემო ეგვიპტეში მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბამბა და სიმინდი. ამ რაიონის სამრეწველო ცენტრია სწრაფმზარდი ქალაქი ასუანი, რომლის მახლობლადაც არის ასუანის მაღლივი კაშხალი და ქიმიური სასუქების მწარმოებელი კომბინატი. ზემო ეგვიპტის ქალაქებში აგებულია შაქრის ქარხნები და კვების მრეწველობის სხვა საწარმოები.

ეგვიპტელთა უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობას მისდევს. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის წილიც მნიშვნელოვანია (40%-მდე). ნილოსის ხეობასა და დელტაში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე მეტად მაღალია (700—800 კაცი 1 კვ. კმ.-ზე).

ეროვნული შემადგენლობით ეარ-ის მოსახლეობა ერთგვაროვანია. თანამედროვე ეგვიპტელები ერთ-ერთი იმ მრავალ არაბულ ხალხთაგანია, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკასა და წინა აზიაში ცხოვრობენ, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ამ ხალხებთან ერთიანი ენით, ისტორიული ბედისა და კულტურის სიახლოვით. ეგვიპტელების სამწერლობო ენაა ყველა არაბისათვის საერთო ლიტერატურული არაბული ენა. ეგვიპტელები ლაპარაკობენ არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტზე. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ეგვიპტეში, უმთავრესად, ნუბიელები, ბეჯები, ბერძნები და სომხები არიან. ეგვიპტელთა 90%-ზე მეტი მუსულმანია. მუსულმანური სარწმუნოება ეარ-ში სახელმწიფო რელიგიაა და დიდი გავლენით სარგებლობს. მოსახლეობის ნაწილი ქრისტიანია (კოპტები).

1952 წლის რევოლუციამდე სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა დაახლოებით 40% არსად არ სწავლობდა. ახლა ამ ქვეყანაში შემოღებულია ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლება. მაგრამ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა, როგორც წარსულის მემკვიდრეობა, ჯერ კიდევ დიდია.

რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი სახალხო კრება, რომელსაც საყოველთაო ფარული კენჭისყრით ირჩევენ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. იგი ნიშნავს და გადააყენებს მინისტრებს.

1967 წელს ისრაელმა აგრესია მოაწყო ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ, მიიტაცა არაბთა მნიშვნელოვანი ტერიტორიები. ისრაელის ჯარებმა დაიკავეს სინას ნახევარკუნძული და ბლოკადაში მოაქციეს სუეცის არხი — საერთაშორისო საზღვაო კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი რგოლი. ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმების შედეგად 1974 და 1975 წელს დაიწყო ისრაელის ჯარების გაყვანა სინას ნახევარკუნძულიდან. იმავე წელს განახლდა ნაოსნობა სუეცის არხში. ეგვიპტის წყლების ნაღმებისაგან გაწმენდის სამუშაოებში მონაწილეობდნენ საბჭოთა მეზღვაურები.

ამავე დროს, ეგვიპტის მთავრობამ გააუქმა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (1976 წ.), სხვა არაბული ქვეყნების ზურგს უკან ხელი მოაწერა სეპარატიულ ხელშეკრულებას ისრაელთან (1979 წ.). ამის საპასუხოდ ეგვიპტე გარიცხულია არაბთა ქვეყნების — ნავთობის ექსპორტიორების ორგანიზაციიდან, შეჩერებულია მისი წევრობა არაბთა ქვეყნების ლიგაში, რომლის წევრებმა (გარდა ომანისა, სუდანისა და სომალისა) გაწყვიტეს კაიროსთან დიპლომატიური კავშირი.

ამჟამად ეგვიპტე სამხედრო დახმარებას შეერთებული შტატებიდან ღებულობს.

ეთიოპია

სოციალისტური ეთიოპია.
ფართობი — 1 222 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 28,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ადის-აბება (1,2 მლნ. მეტი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ამჰარული.

ეთიოპია აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს. ამ ქვეყნის სახელი წარმოსდგება სიტყვა „აითიოპიადან“, რაც ნიშნავს „მზით გარუჯული სახის ადამიანების ქვეყანას“. წინათ საერთაშორისო





ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ასებაში, აგებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით.

ურთიერთობაში გავრცელებული სხვა სახელწოდება — აბისინია — ახლა არ იხმარება.

ეთიოპია მსოფლიოს ისტორიის მატიანეში შევიდა, როგორც ჩანს, ოთხი ათას წელიწადზე მეტი ხნის წინათ, როცა მის ნაპირებთან გამოჩნდნენ ეგვიპტელთა გემები, რომლებიც ტაძრებისათვის საკმეველსა და სხვა კეთილსურნელებას, აგრეთვე, ოქროსა და სპილოს ძვალს ეძიებდნენ. აქსუმის სამეფოს აყვავებით, რომელმაც გააერთიანა თანამედროვე ეთიოპიაში შემავალი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, საფუძველი დაედო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს არსებობას.

ეთიოპიის მცხოვრებლები მრავალი საუკუნის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ მოეგერიებინათ დამპყრობელთა თავდასხმები. ეს ბრძოლა განსაკუთრებით დაიძაბა XIX საუკუნის ბოლოს, როცა იტალიელი კოლონიზატორები შეეცადნენ, დაემონებინათ ქვეყანა. ადუასთან გამართულ ბრძოლაში 1896 წლის 1 მარტს გამბედავმა ეთიოპიელმა მეომრებმა დაამარცხეს კარგად შეიარაღებული მტერი. 1935 წელს იტალიელ ფაშისტთა ჯარები თავს დაესხნენ მშვიდობიანი ქვეყნის უმწეო მცხოვრებლებს, გამოიყენეს სამხედრო ტექნიკის მთელი სიძლიერე — თვითმფრინავები, ბომბები, ცეცხლმფრქვევი არტილერია, მოტორიზებული ჯარები. არც ქიმიური იარაღის გამოყენებაზე თქვეს უარი. ფაშისტები იკვეხნიდნენ, იტალიის ალამი ამიერიდან სამუდამოდ იფრიალებს ეთიოპიის მიწაზეო, მაგრამ გმირი ხალხი აღდგა დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1941 წელს ქვეყანა სამუდამოდ გათავისუფლდა დამპყრობლებისაგან.

ეთიოპია თითქმის მთლიანად მდებარეობს ეთიოპიის ზეგანზე. განსაკუთრებით ლამაზია ჩრდილოეთ ეთიოპიის მთები, რომელთა სიმაღლე 4000 მ-ს აღემატება. ქვეყნის ნაწილი უკავია ზეგნებს, რომლებსაც ამბებს უწოდებენ. მათი ბრტყელი მწვერვალები და ფერდობები მცენარეულობას მოკლებულია და უზარმაზარ მაგიდებს მოგვაგონებენ. სამაგიეროდ, ხეობებში საოცრად მრავალფეროვანი მცენარეულობაა. აქ უხვადაა თუთის, ლეღვისა და ზეთისხილის ხეები, ხისებრი ღვია, სხვადასხვა აკაციები და უზარმაზარი ბაობაბები (ერთი ხის ჩრდილი მზისაგან იცავს მის ქვეშ შეფარებულ რამდენიმე ქოხს).

ეთიოპიაში შეხვდებით რამდენიმე სახის ანტილოპას, ჟირაფს, კუს (40 კგ-მდე), გარეული ტახების კოლტს, ტურებსა და სხვა ცხოველებს. ჯუნგლებში ბევრია მაიმუნი, ხშირად ისინი თავს ესხმიან ყანებს და ანადგურებენ ნათესებს. ეთიოპიაში მაიმუნი საღვთო ცხოველად ითვლება. ხეების ფოთლებს თავს აფარებენ ფრინველთა გუნდები, რომლებიც ბუნებას მეტად ლამაზი ფერებით შეუმკია.

ეთიოპიის ძირითადი ეროვნება ამჰარაა (10 მილიონზე მეტი). ისინი ცხოვრობენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში. მათ მაღალი ტანი და ოდნავ წაგრძელებული თავები აქვთ, კანი ღია შოკოლა-

ის ფერისა, თვალები — თაფლისფერი, თმა შა-
ი, ხუჭუჭა.

სხვა დიდ ეროვნებათა შორის არიან ტიგრაები,
ფარები, სომალიელები, სიდამოები, ტიგრები.
ელიგიით მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტი-
ნია, ბევრია მუსულმანიც, კერძოდ, ერიტრეის
როვინციაში, რომელიც წითელი ზღვის სანაპი-
ოზე მდებარეობს.

ქვეყანა ცდილობს თავისი საწარმოო ძალების
ანვითარებას. შენდება ახალი ჰესები, ხორცის სა-
ონსერვო და ცემენტის ქარხნები, მეტალურგიუ-
ი და დამმუშავებელი მრეწველობის საწარმო-
ები, გაჰყავთ გზატკეცილები. ეთიოპიაში მოიპო-
ება პლატინა და ოქრო, კალიუმის მარილი, აღ-
ოჩენილია რკინის მადნის, მურა-ნახშირის, გო-
ირდის საბადოები. მიმდინარეობს ნავთობის, ბუ-
ებრივი გაზის, სპილენძის მადნის ძიება.

მაგრამ ეკონომიკის ძირითად დარგად სოფლის მეურნეობა რჩება. ამ დარგში შრომობს მოსახლეობის დაახლოებით 90%. გლეხთა საცხოვრებელი სახლებია — ტუკულები. ეს თიხით შელესილი, დაწნული ჩალით გადახურული მრგვალი ფაცხებია.

ეთიოპიის მთიანეთი აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი რაიონია. ეთიოპიის ნოყიერი მიწა წლიურად სამჯერ მაინც იძლევა მოსავალს. აქ თესავენ ხორბალს, პარკოსნებს, ფეტვს, ტეფს (ოსპის სახეობა), დუროს. ქვეყნის ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია ყავას. ამ კულტურის მოსავლის $^3/_4$-ზე მეტი საექსპორტოდ მიდის. ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ მისდევენ მომთაბარე მესაქონლეობას.

1975 წლამდე მიწების დაახლოებით 80% იმყოფებოდა მსხვილ მესაკუთრეთა (ფეოდალების), ეკლესიის, სამეფო სასახლის ხელში. ისინი მიწას იჯარით აძლევდნენ გლეხებს — გებარებს. საიჯა-

შამა გამუ-გოფადან

ამქვეყნად ყველა ბავშვს მშობლები ასწავლიან ცხოვრებას. პატარა ბიჭი დორზეს ტომიდან გამუ-გოფას პროვინციაში, რომელიც ეთიოპიის სამხრეთ დასავლეთშია, რა თქმა უნდა, რვეულებრივ სკოლაში დადის. მაგრამ ფეიქრის ხელობას — მისი მომავალი ცხოვრების მთავარ საქმეს — იგი ბინ სწავლობს.

დორზეს ტომს მოჰყავს ბამბა, საუკეთესო მთელს ეთიოპიაში, გრძელბოჭკოიანი, ნაზი და აბრეშუმისებრი. მინდვრის სამუშაოები ქალის საქმეა, მამაკაცები მხოლოდ მინდორს ხნავენ. ამიტომ დორზეს ტომის გოგონას ასწავლიან ბამბის დარგვას, მის მოვლას, შეგროვებასა და გაწმენდას. ბამბას რომ აიღებენ, ახლა მამაკაცთა რიგი დგება. ისინი ართავენ ძაფს, ღებავენ და ამზადებენ საქსოვ დაზგებს, რომლებიც არ შეცვლილა უსსოვარი დროიდან.

ბიჭები კი მოზრდილთა გაკვრლათ სხედან, ძაფს ართავენ თითისტარებზე. თითისტარი პატარა, მაგრამ ნამდვილია. მამა დროდადრო ტოვებს სამუშაოს და ამოწმებს ძაფის ხარისხს: თუ არ მოეწონება, აიძულებს ყველაფრის გადაკეთებას

პატარა საქსოვი დაზგები დორზეს ტომს არა აქვს. შვილი დგას და უყურებს, თუ როგორ ქსოვს მამა. მას დამხმარე, მაგრამ პასუხსაგები სამუშაო აქვს: აქ კვანძი უნდა შეკრას, იქ ძაფი გაუყაროს. ზოგჯერ მამა შვილს თავის ადგილას აყენებს, თვითონ კი თვალს ადევნებს შვილის მუშაობას. ერთადერთი შეცდომაც და რამდენიმე დღე ფიქრიც კი არ შეიძლება დაზგასთან მუშაობაზე! სამუშაო სომ ზუსტია და ნაზი: დორზეს ტომი ეთიოპიაში ამზადებს საუკეთესო შამებს — ეროვნულ წამოსასხამს, რომელიც პიჯაკისა და პალტოს მაგივრობას სწევს.

დორზეს ტომს არ უყვარს ცალცალკე მუშაობა. კარგ ამინდში ფეიქრები ქუჩაში მუშაობენ, რომ მეზობლებს გაესაუბრონ, ანდა მუშაობის დროს ერთად წაიმღერონ. პატარა ბიჭები მიმოდიან დაზგიდან დაზგასთან და თითოეული ოსტატისაგან სწავლობენ იმას, რასაც ის ყველაზე უკეთ აკეთებს.

1974 წელს პირველი მოხოკნილების საგნების ფასებმა მკვეთრად გადიდებამ და სასტიკმა გვალვამ შიმშილით სიკვდილისათვის ეასწირა მრავალი ათასი ადამიანი. ცხოვრების დონის განუწყვეტელ დაქვეითებასა და ხელისუფალთა ბოროტმოქმედებით გამოწვეულ აღშფოთებას მოჰყვა მასობრივი გამოსვლები ქალაქებსა და არმიის ნაწილებში. დიდმა დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა, რაც მთელ ქვეყანას მოედო, ცხადი გახადა, რომ ეთიოპიაში საჭირო იყო დემოკრატიული გარდაქმნები.

1974 წლის სექტემბერში დაამხეს იმპერატორი. ძალა-უფლება გადავიდა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს (დსას) და სამხედრო მთავრობის ხელში. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. მხოლოდ 1978 წელს საბოლოოდ გაანადგურეს შინაგანი კონტრრევოლუცია — ე. წ. „ეთიოპიის დემოკრატიული კავშირის“ ბანდები. 1979 წელს ბოლო მოეღო სეპარატიულ მოძრაობას ერიტრეაში.

1977 წელს შეიქმნა ეთიოპიის მარქსისტულ-ლენინური ორგანიზაციების კავშირი, რომელშიც წამყვან როლს ასრულებს „სედეთი“ („რევოლუციური ალი“). ამ გაერთიანების საბოლოო მიზანია პარტიის შექმნა მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე.

რო ქირა ზოგჯერ აღებული მოსავლის $^3/_4$ შეადგენდა.

თავის პოლიტიკურ პროგრამაში დსას-მა განაცხადა, რომ აირჩია სოციალისტური ორიენტაცია, გამოაცხადა ქვეყნის ყველა ეროვნების თანასწორობა. 1975 წელს გამოცხადდა, რომ მონარქია ლიკვიდირებულია და გაუქმებულია ყველა ფეოდალური ტიტული. განხორციელდა უცხოეთის ბანკების, სადაზღვევო საზოგადოებების, აგრეთვე, ძირითად სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია. მიწის დეკრეტის მიხედვით მთელი მიწა გამოცხადებულია სახალხო საკუთრებად. ფეოდალებისაგან კონფისკებული მიწა გამოუსყიდავად გადაეცა გლეხებს, აგრეთვე, სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობებს.

დსას-ის მნიშვნელოვანი ამოცანაა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, უფასო დაწყებითი განათლების შემოღება. ახალი მთავრობის პროგრესულ ღონისძიებებს მშრომელები მხარს უჭერენ. ათობით ათასი სტუდენტი წავიდა სოფლად, რათა გლეხებს განუმარტონ დსას-ის პოლიტიკა და შეასწავლონ მათ მეურნეობის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდები.

ძველისა და თანამედროვის შერწყმა თვალში გეცემათ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში. ქალაქის ცენტრში ბევრია თანამედროვე შენობა, მათ შორის პარლამენტი, აფრიკის სახლი, სადაც იმართება კონფერენციები და მუშაობს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის სამდივნო (1963 წლის მაისში აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილებით, ადის-აბება არჩეულ იქნა აეო-ს შტაბ-ბინად), ეროვნული თეატრი, უნივერსიტეტი, ბანკები და დიდი მაღაზიები. რაც უფრო შორდებით ცენტრს, მით უფრო ნაკლებია თანამედროვე სახლები, ჭუჩების უმრავლესობას სახელწოდება არა აქვს და სოფლის შარაგზებს მოგვაგონებენ. აქ დაეხეტებიან ძროხები და ვირები, გზას უღობავენ ტრანსპორტს. გვხვდება თიხის ტუკულებიც. ბაზარს რამდენიმე კვარტალი უკავია. აქ შეიძლება ნახოთ მეტად არაჩვეულებრივი ნივთები: გველის ტყავის ფეხსაცმელი, მშვილდი, პიკები, ტყავის ფარები.

1962 წელს ადის-აბებაში დაარსდა ეთიოპიაში პირველი უნივერსიტეტი, მაგრამ იგი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს საკმაო რაოდენობის სპეციალისტთა მომზადებას. ათასობით ახალგაზრდა ეთიოპიელი სწავლობს საზღვარგარეთ, მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებშიც.

ფართოდ არიან ცნობილი ეთიოპიელი სპორტსმენები. 1960 წელს ერთმა მათგანმა — გვარდიის სერჟანტმა აბებე ბიკილამ — მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. რომში ოლიმპიურ თამაშებში მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა მარათონულ რბოლაში. ეს იყო აფრიკის კონტინენტის პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი. ოლიმპიურ თამაშებზე ტოკიოში (1964) აბებე ბიკილამ კვლავ უჩვენა ყველაზე მაღალი შედეგი, ხოლო მეხიკოში (1968) იგი საპატიო კვარცხლბეკზე შეცვალა მეორე ეთიოპიელმა სპორტსმენმა.

XIX საუკუნის ბოლოს ადის-აბებაში გაიხსნა რუსეთის ჰოსპიტალი, რომელშიც დაჭრილ ეთიოპიელებს სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. დღესაც ამ საავადმყოფოში, რომელიც ეთიოპიის ეროვნული გმირის დეჯაზმაჩ ბალჩას სახელს ატარებს, საბჭოთა ექიმების ერთსულოვანი კოლექტივი ზრუნავს ეთიოპიელთა ჯანმრთელობაზე. აქვე მზადდება ეთიოპიის სამედიცინო პერსონალი. ჩვენს ხალხს ბევრჯერ გამოუხატავს გულწრფელი სიმპათია ეთიოპიის მცხოვრებლებისადმი. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ამ ქვეყნის წინააღმდეგ ფაშისტური აგრესიის დროს. საბჭოთა წარმომადგენელმა ერთა ლიგაში მოითხოვა აგრესორის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ეკონომიკური სანქციები.

წლითიწლობით ფართოვდება და მტკიცდება ეკონომიკური და კულტურული კავშირი ეთიოპიასა და საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა კავშირის კრედიტით ასებეში აგებულია ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. საბჭოთა კავშირი ეთიოპიაში ყიდულობს ყავას, ჭურჭეულს, ტყავს, ხოლო ეთიოპიას აძლევს მანქანებს, სხვადასხვა მოწყობილობასა და ნედლეულს მრეწველობისათვის. საბჭოთა ხალხი ეთიოპიას ეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაში. 1963 წლის მაისში ბაჰრ-დარში გაიხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა კავშირმა ეთიოპიას საჩუქრად აუშენა.

ბატა — ეკვატორული გვინეის საზღვაო კარიბჭე.

ეკვატორული გვინეა

ეკვატორული გვინეის რესპუბლიკა.
ფართობი — 28 051 კმ².
მოსახლეობა — 320 ათასი კაცი.
დედაქალაქი — მალაბო (45 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ესპანური.

ეკვატორული გვინეა კონტინენტური და კუნძულოვანი ქვეყანაა. მბინის პროვინცია (26 ათასი კვ. კმ) მდებარეობს კონტინენტზე, ეკვატორის ცოტა ჩრდილოეთით და თითქმის წესიერი სწორკუთხედის ფორმა აქვს. ყველაზე დიდი კუნძული (1973 წლამდე ფერნანდო-პო) ახლა ატარებს პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურის — მასიას ნგემას სახელს და იწოდება მასიას-ნგემა-ბიიოგოდ. გარდა ამისა, რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის კუნძულები: ელობეი, კორისკო და პაგალუ. ეკვატორულ გვინეაში ცხოვრობს დასავლეთ ბანტუს ენობრივი ოჯახის ორი ეროვნება: ფანგი — მბინიში და ბუბი — კუნძულ მასიას-ნგემა-ბიიოგოზე.

მბინის თითქმის მთელი ტერიტორია სამხრეთ გვინეის მაღლობზეა (600—900 მ სიმაღლე). მრავალრიცხოვან ჭორომიან მდინარეებს ღრმა ხეობებით დაუსერავს იგი. აღმოსავლეთით ბროლის მთების განშტოებებია ანკარა და ხმაურიანი ჩანჩქერებით. ქვეყანა მდიდარია ძვირფასი ტროპიკული მერქნით — ვარდისფერი (ოკუმე), შავი, წითელი ხეებით. ხარობს ზეთოვანი და ქოქოსის პალმები, ბამბუკი. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო: ადამიანის მსგავსი მაიმუნები, ანტილოპები, ჯიქები, დიდძალი ფრინველი. მბინის სანაპირო მთლიანი ოქროსფერი პლაჟია, მაგრამ აქ არ არის მოხერხებული ნავსაყუდელები, რისთვისაც ახალგაზრდა რესპუბლიკას მოუხდა ნაპირიდან მოშორებით მოეწყო ნავმისადგომები, რათა ქალაქი ბატა (პროვინციის ცენტრი) საოკეანო ნავსადგურად ექცია.

კუნძული მასიას-ნგემა-ბიიოგო სამართლიანად ითვლება აფრიკის თვალმარგალიტად. სამი მიძინებული ვულკანი აგვირგვინებს მის ლამაზ პლატოებსა და ხეობებს, ტყეებს აქ ადგილი გაუთავისუფლებიათ ვრცელი პლანტაციებისა და ნოყიერი მდელოებისათვის.

რესპუბლიკის დედაქალაქი მალაბო, რომელსაც სახელი ეროვნული გმირის პატივსაცემად უწოდეს (1973 წლამდე სანტა-ისაბელი), მდებარეობს ოკეანეში ჩაძირული კრატერის — იდეალური ბუნებრივი ნავსაყუდელის — კიდეზე. იგი ამ ქვეყნის ყველაზე დიდი ნავსადგურია.

XVIII საუკუნეში ამ ქვეყანას დაეუფლა ესპანეთი. ეკვატორული გვინეის ხალხის ხანგრძლივმა

განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ესპანელი კოლონიზატორები აიძულა 1968 წელს ეცნოთ მისი დამოუკიდებლობა. მაგრამ გუშინდელი ბატონები იმედს არ კარგავდნენ, რომ შეინარჩუნებდნენ მათთვის ხელსაყრელ წესწყობილებას, რისთვისაც ეროვნულ შუღლს თესავდნენ. 1969 წელს გადატრიალების ცდის მარცხით დამთავრების შემდეგ ესპანელები შეეცადნენ გამოეწვიათ ეკონომიკური ქაოსი: ყველა უცხოელმა შეწყვიტა სამეურნეო საქმიანობა და ქვეყნიდან გავიდა. წასვლის წინ ესპანელებმა ქალაქ ბატაში წყალსადენიც კი ააფეთქეს.

კოლონიურ ეპოქაში ეკონომიკა ორიენტირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უზრუნველსაყოფად. ეკონომიკის გარდაქმნა კი ადვილი არ არის. მთავრობა ცდილობს დაძლიოს მძიმე მემკვიდრეობა, მისცეს ეკონომიკას უფრო მრავალმხრივი ხასიათი, განამტკიცოს სახელმწიფო სექტორი, გააფართოოს საგარეო ვაჭრობის პარტნიორთა წრე.

ეკვატორულ გვინეას მსოფლიო ბაზარზე გააქვს კაკაო (ძირითადად კუნძულ მასიას-ნგემა-ბიოგოზე მოჰყავთ), ყავა (მბინიდან), ბანანი, თამბაქო, ამზადებენ ზეთოვანი (პალმის ზეთი) და ჭოჭოსის (კოპრი) პალმის პროდუქტებს, მცირე ოდენობით — ვანილს, ინდიგოს, კოლას კაკალს. დიდი მნიშვნელობა აქვს მბინიდან მერქნის, განსაკუთრებით, ვარდისფერი ხის გაზიდვას. მრეწველობა ჯერჯერობით შემოფარგლულია ყავის დასამუშავებელი, პალმის ზეთის გამოსახდელი, ხე-ტყის სახერხი, ხის დამმუშავებელი სახელოსნოებითა და წვრილი საწარმოებით.



კაკაო ერთ-ერთი სიმდიდრეა ამ პატარა რესპუბლიკისა. სურათზე: კაკაოს პარკების შრობა.

რესპუბლიკა ემხრობა აფრიკაში კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციასა და მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან თანასწორუფლებიან ურთიერთხელსაყრელ კავშირს.

1979 წელს მთელი ძალაუფლება უმაღლესი სამხედრო საბჭოს ხელში გადავიდა. მშრომელთა ერთიანი, ეროვნული პარტია ერთადერთია სახელმწიფოში.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეროვნული სახალხო კრების ხელშია.

ზაირი

ზაირის რესპუბლიკა.
ფართობი — 2 345 ათასი კმ².
მოსახლეობა — 26 მლნ. კაცი.
ღედაქალაქი — კინშასა (2,5 მლნ. მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

აფრიკის კონტინენტის ცენტრში მდებარეობს აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო — ზაირი. 1971 წლის 27 ოქტომბრამდე მას ეწოდებოდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ქვეყნის ახლანდელი სახელწოდება შეესაბამება მდინარე კონგოს ერთ-ერთ აფრიკულ სახელწოდებას.

ზაირს უჭირავს მდინარე კონგოს (ზაირის) თითქმის მთელი აუზი და ნილოსის აუზის ნაწილი. ზაირის ჩრდილოეთი ნაწილი მდებარეობს ეკვატორულ ზონაში. ქვეყანას დასავლეთით აქვს ატლანტის ოკეანეში გასასვლელი, სადაც მდინარე კონგოს შესართავში არის რესპუბლიკის ყველაზე დიდი ნავსადგური მატადი.

სახელმწიფოს დედაქალაქი — კინშასა (1966 წლამდე ლეოპოლდვილი) ლამაზი ქალაქია, გადაჭიმულია მდინარის გასწვრივ მრავალ კილომეტრზე. ცენტრში თანამედროვე ადმინისტრაციული შენობებია; ლამაზ რაიონებში ადგილობრივი ბურჟუაზიისა და მოხელეების ვილებია. განაპირებზე, მჭიდროდ დასახლებულ კვარტალებში, მშრომელი ხალხი ცხოვრობს. სხვა დიდი ქალაქებია — ლუ-

ბუმბაში (წინათ ელიზაბეტვილი), კისანგანი (წინათ სტენლივილი), ლიკასი, კანანგა, ბუკავუ.

მოსახლეობის დაახლოებით 85% ბანტუს ენობრივი ოჯახის ხალხებია. მათგან ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია — ბაკონგო, მონგო, ბატეტელე, ბანგალა. სამხრეთში ცხოვრობენ ბალუბები, ჩრდილოეთში — სუდანისა და ნილოტის ტომები. ქვეყანაში ითვლება 500-მდე სხვადასხვა ენა და დიალექტი. სკოლებში, სადაც ბავშვებს ექვსი წლის ასაკიდან იღებენ, სწავლობენ ფრანგულ ენაზე. კინშასაში არის ეროვნული უნივერსიტეტი, რომელსაც განყოფილებები აქვს ლუბუმბაშში და კისანგანში. არის სპეციალური სასწავლებლები: პედაგოგიური, არქიტექტურული, სამშენებლო, გამოყენებითი ხელოვნების სასწავლებლები.

რესპუბლიკის ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც კიდეებამოწეულ უზარმაზარ თეფშს მოგვაგონებს, ბევრია ტყე, ტბები, მდინარეები და მთები. ყველაზე მაღალი მთები — რუვენზორის მასივი — მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთში (უმაღლესი წერტილი — 5109 მ). არის მოქმედი ვულკანებიც. მთავარი წყლის გზებია: მდინარე კონგო (ზაირი) შენაკადებით და ტბები — ტანგანიიკა, მობუტუ-სესე-სეკო (წინათ ალბერტი), იდი-ამინ-და-და (წინათ ედუარდი), კივუ და მვერუ.

ზაირის ტყეები მდიდარია ძვირფასი ჯიშებით: წითელი და ყვითელი ხე, აბანოზის ხე. გავრცელებულია ზეთოვანი პალმისა და ჰევეის ნარგავები. ჰევეა კაუჩუკს იძლევა. ძალზე მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო: ანტილოპები, ჟირაფები, ზებრები, კამეჩები, სპილოები, მარტორქები, ჯიქები, მაიმუნები, აფთრები, გველები, ნიანგები.

ზაირი გამოირჩევა კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით. როცა ჩრდილოეთში მშრალი სეზონია, სამხრეთში მაშინ წვიმების პერიოდი დგება. შაბას პროვინციაში მაღლობზე (წინათ კაზანგა) ხშირია სუსხი. ეკვატორულ ზონაში ნალექების წლიური რაოდენობა 1500—2000 მილიმეტრამდეა.

ბუნებრივი რესურსებით ზაირი ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფოა მთელს მსოფლიოში. მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში კობალტისა და ტექნიკური ალმასის მოპოვებით და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი — სპილენძის მოპოვებით. არის მანგანუმის მადნის, კალისა და თუთიის საბადოები. მოიპოვება აგრეთვე ოქრო, ურანი, სამხედრო მრეწველობაში გამოსაყენებელი იშვიათი ლითონები (კადმიუმი, ბერილიუმი, გერმანიუმი, ვოლფრამი). ზაირის ეკონომიკაში იზრდება სამთო-მოპოვებითი მრეწველობის მნიშვნელობა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 70%-ზე მეტი, მაგრამ იყენებენ მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ტერიტორიის 6%-ზე ცოტათი მეტს. ზაირს აქვს დასამუშავებლად ვარგისი მიწების უზარმაზარი რეზერვი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. მთავარი კულტურებია — სიმინდი, სორგო, ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ზეთოვანი პალმა. გააქვთ პალმის ზეთი, კაკაო, ყავა, კაუჩუკი, ბამბა.

მეცხოველეობა ძირითადად განვითარებულია აღმოსავლეთ რაიონებში, კივუს პროვინციაში.

ქვეყნის ტრანსპორტი, უწინარეს ყოვლისა, გზატკეცილებისა და გრუნტის გზების ქსელია, აგრეთვე წყლის გზები და რკინიგზები.

ზაირის ისტორიაში ბევრი დრამატული ფურცელი ჩაიწერა, XIX საუკუნეში ინგლისელმა და ბელგიელმა კოლონიზატორებმა, რომლებმაც სამეცნიერო ექსპედიციების მომიზეზებით შეაღწიეს ქვეყნის შიგნით, ადგილობრივ ბელადებს თავს მოახვიეს მთელი რიგი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები. ამ პოლიტიკის შედეგად 1885 წელს ბელგიის მეფის მეთაურობით გაჩნდა ეგრეთ წოდებული კონგოს თავისუფალი სახელმწი-



მადნის მოპოვება კოლვეზის ღია კარიერებში — შაბას პროვინციის მთავარ სამთამადნო ცენტრში.

ფო. 1908 წელს მეფემ კონგო მიჰყიდა ბელგიას. კოლონიური ბატონობის დროს აფრიკელები მძიმე ექსპლუატაციას განიცდიდნენ, ხოლო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე უმოწყალოდ იძარცვებოდა.

ზაირის ხალხი ბევრჯერ აღმდგარა კოლონიზატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტად იქცა გაფიცვები ელიზაბეტვილში 1942 წელს, ჯარისკაცთა აჯანყებანი 1944—1945 წლებში, გაფიცვები მატადიში 1945 წელს. კოლონიური ხელისუფლები სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, თავისუფლებისათვის ბრძოლის განვითარებამ გამოიწვია პირველი პოლიტიკური პარტიების შექმნა, რომლებიც 1958 წელს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კონგოს ეროვნული მოძრაობის პარტია (ᲙᲔᲛ), რომლის ლიდერი იყო პატრის ლუმუმბა. ეთნიკურ საფუძველზე ჩამოყალიბებული მრავალი სხვა პარტიისაგან განსხვავებით, ᲙᲔᲛ-ი მოუწოდებდა ერთიანობისაკენ, მოითხოვდა კოლონიური რეჟიმის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერების შედეგად ბელგია იძულებული გახდა უკან დაეხია. 1960 წლის 30 ივნისი იქცა აფრიკის ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პირველ დღედ. პატრის ლუმუმბა გახდა მისი პირველი პრემიერ-მინისტრი.

ლუმუმბას მთავრობამ დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, რომელიც ხალხის ინტერესებს შეესაბამებოდა. მაშინ კოლონიზატორებმა მიმართეს სამხედრო პუტჩს და თავიანთი მოკავშირეების, უწინარეს ყოვლისა, ᲐᲨᲨ-ის მხარდაჭერით განახორციელეს ლუმუმბას კანონიერი მთავრობის ჩამოშორების გეგმა. მაგრამ კოლონიზატორებს ეშინოდათ ხელისუფლებისაგან ჩამოშორებული ლუმუმბასიც. 1961 წლის იანვარში ლუმუმბა ვერაგულად მოკლეს.

კოლონიზატორთა დამჭაშების ანტიხალხურმა პოლიტიკამ ქვეყანა საერთო-ეროვნულ კრიზისამდე მიიყვანა. გაჩაღდა ბრძოლა იმპერიალისტური მარიონეტების წინააღმდეგ. 1965 წელს ზაირში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ არმიის ოფიცრები. ახალმა მთავრობამ ლუმუმბა ეროვნულ გმირად გამოაცხადა. განაცხადეს, რომ განზრახულია აღდგეს სახელმწიფოს კონტროლი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი.

1979 წლის კონსტიტუციით ზაირში შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო ორგანოების ერთიანი სისტემა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ერთადერთი პარტია — რევოლუციის სახალხო მოძრაობა. წევრობა ამ პარტიაში სავალდებულოა ყველა ზაირელისათვის. პარტიის თავმჯდომარე ამავე დროს სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი), აღმასრულებელი (მთავრობა), საკანონმდებლო (პარლამენტი) და იურიდიული (სასამართლო), საბჭოების მეთაური, ჯარების მთავარსარდალი და თავდაცვის სახელმწიფო კომისარია.

ᲖᲐᲛᲑᲘᲐ

ზამბიის რესპუბლიკა.
ფართობი — 752,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 5,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლუსაკა (520 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ზამბია დასახლებული იყო უძველესი დროიდან. ამას მოწმობს უზარმაზარი ტერასები (აქ გავრცელებული იყო ტერასული მიწათმოქმედება) და სარწყავი ნაგებობები, რომლებიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ზამბიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. უკვე მრავალი ასეული წელია ამ ტერი-



ტორიაზე სახლობენ ბანტუს ჯგუფის ხალხები: ბემბა, ტონგა, ლოზი, ბანკოია და სხვ. აფრიკელებს გარდა ზამბიაში ცხოვრობენ აზიიდან გადმოსახლებულები და ევროპელები.

XIX საუკუნის დასასრულს „ბრიტანეთის სამხრეთ აფრიკის კომპანია“, რომელიც დააარსა ინგლისელმა კოლონიზატორმა სესილი როდსმა (აქედან წარმოსდგა ქვეყნის წინანდელი სახელი ჩრდილოეთი როდეზია), „მოელაპარაკა“ ბაროტსეს ტომის მმართველს და 850 გირვანქა სტერლინგად მიიღო უფლება, დაემუშავებინა სასარგებლო წიაღისეულის საბადოები მდინარე ზამბეზის ჩრდილოეთით. რამდენიმე წლის შემდეგ კი კომპანიამ იარაღის ძალით ჩაახშო ტომის წინააღმდეგობა და ხელთ იგდო უზარმაზარი ტერიტორია მდინარე ლიმპოპოდან სამხრეთით, ახლანდელი ზაირის საზღვრებამდე ჩრდილოეთით. 1924 წელს ჩრდილოეთი როდეზია ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ზამბიაში აღმოაჩინეს სპილენძის მადნის უმდიდრესი ბუდობები, ხოლო მოგვიანებით სხვა სასარგებლო წიაღისეულის — კობალტის, თუთიის, ტყვიის, ვანადიუმის, მანგანუმის მადნის, ურანისა და ოქროს ბუდობები. აქ წარმოიშვა დიდი მაღაროები, გაიყვანეს რკინიგზა. მაღაროებში ძირითადი მუშახელი აფრიკელები იყვნენ. პოლიტიკური უუფლებობა და ცხოვრების მძიმე პირობები აიძულებდნენ აფრიკელ მუშებს ებრძოლათ. 1935—1940 წლებში მაღაროელთა დიდი გამოსვლები მკაცრად ჩაახშვეს ინგლისის ჯარებმა.

კოლონიური რეჟიმის განსამტკიცებლად ცენტრალურ აფრიკაში ინგლისის მთავრობამ 1953 წელს შექმნა როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია, რითაც ერთმმართველობაში მოაქცია ჩრდილოეთი, სამხრეთი როდეზია (ამჟამად ზიმბაბვე) და ნიასალენდი (ამჟამად მალავი). მაგრამ მღელვარება გლეხობაში და გაფიცვები მუშათა შორის კვლავ გრძელდებოდა. მათ განსაკუთრებულ ძალას მიაღწიეს 1961—1963 წლებში. კოლონიზატორებს უკვე არ შეეძლოთ თავიანთი პოზიციების შენარჩუნება.

1963 წელს ფედერაცია დაიშალა, ხოლო 1964 წლის 24 ოქტომბერს ჩრდილოეთი როდეზია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ზამბიის რესპუბლიკად იქცა (მდინარე ზამბეზის სახელიდან).

ზამბია მდებარეობს პლატოზე, რომელიც ზღვის დონიდან 1000—1350 მ-ით არის ამაღლებული. ზამბიის ყველაზე მაღალი წერტილია მუმპუს მთა (1908 მ). ჰავა ცხელია, მშრალი და შედარებით გრილი სეზონია მაის-ივლისში. მაგრამ ივლისში მაღლობებზე ზოგჯერ ღამით ყინვებიც იცის. უხვია ნალექები.

ზამბიაში სათავეს იღებს სამხრეთ აფრიკის ყველაზე დიდი მდინარე ზამბეზი, რომელიც მოზამბიკის სრუტეს ერთვის. მდინარე ქმნის რამდენიმე ჩანჩქერს, მათ შორის მთელ კონტინენტზე უდიდესია ვიქტორია (120 მ სიმაღლე). აფრიკელები ამ ჩანჩქერს მოსი-ოია-ტუნიას (მგრგვინავ კვამლს) ეძახიან. ჩანჩქერიდან მრავალი კილომეტრის დაშორებით ისმის ძლიერი ხმაური და მოჩანს წყლის შხეფების ღრუბლები. ქვემოთ, კარიბის ვიწრო ხეობაში, მიედინება მდინარე. აქ აგებულია კაშხალი, რომელიც უზარმაზარ წყალსაცავს ქმნის. 1963 წელს მთლიანად ამუშავდა მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ზამბიასა და ზიმბაბვეს ეკუთვნის.

ზამბიის ჩრდილოეთით არის დიდი ტბა ბანგვეულუ. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს მვერუს ტბის აღმოსავლეთი და ტანგანიკის ტბის სამხრეთი ნაწილები. ზამბიის მდინარეებსა და ტბებში უხვადაა თევზი, რომელიც საექსპორტოდ გააქვთ. ბანგვეულუსა და მვერუს ტბების ნაპირებზე არის ლერწმის სახესხვაობის — პაპირუსის რაყები. ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ნახევა-

რი უკავია მშრალ ტროპიკულ ტყეს. ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილია მნიშვნელოვანი ტყის მასივები. მდინარეთა ხეობებში ჭალის ტყეებია. დიდძალი ხე-ტყე ხმარდება მაღაროებისა და შახტების სამაგრების შენებას.

ზამბიის ცხოველთა სამყარო ამჟამად შესამჩნევად გაღარიბებულია. მიუხედავად ამისა, სავანაში შეიძლება შეხვდეთ სპილოებს, მარტორქებს, ანტილოპებს, კამეჩებს, ჟირაფებს, ზებრებს. გვხვდება ლომები, ჯიქები, ბევრმოთები. ბევრია ნიანგი და შხამიანი გველები (კობრა, გველგესლა). ბინადრობს რამდენიმე სახის მაიმუნი. ბევრ რაიონში გავრცელებულია ბუზი ცეცე. მოსახლეობის ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს მალარიის კოღო.

ზამბიაში მოჰყავთ სიმინდი, სორგო, ბრინჯი, ფეტვი, არაქისი, ცერცვი, კასავა. ესენი ქვეყნის მთავარი სასურსათო კულტურებია. საექსპორტოდ გააქვთ თამბაქო და არაქისი, რომელიც მოჰყავთ ზამბიის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ნავარაუდევია ახალი საექსპორტო კულტურების — ყავის, ჩაის, ბამბის ნათესი ფართობების გადიდება. მეცხოველეობა ბუზი ცეცეს ფართოდ გავრცელების გამო სუსტად არის განვითარებული.

ქვეყნის მეურნეობის საფუძველია სამთომოპოვებითი მრეწველობა და ფერადი მეტალურგია. მადნებსა და ლითონებზე მოდის ექსპორტის 95%, მათ შორის სპილენძზე — 93%.

მთავარი სამთო-სამრეწველო რაიონი — სპილენძის სარტყელი (კოპერბელტი) — მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთში, სადაც თავმოყრილია ყველაზე დიდი ქალაქები — კიტვე, ნკანა, ნდოლა, ჩინგოლა, ლუანშია, ჩილილაბომბვე, კალულუში. სპილენძის მოპოვებითა და გამოდნობით ზამბიას კაპიტალისტურ სამყაროში მეორე ადგილი (აშშ-ის შემდეგ) უკავია. სპილენძის მარაგი ნავარაუდევია 54 მილიონი ტონის რაოდენობით. ზამბია იძლევა კობალტის მსოფლიო წარმოების 10%-ზე მეტს. იღებენ ქვანახშირს. ზამბიაში არის სპილენძის, კობალტის, ტყვიის, თუთიის, მანგანუმის გამომდნობი საწარმოები. გარდა ამისა, არის ცემენტის, ნავთობგადამმუშავებელი, ავტოამწყობი, ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ზეთსახდელი, ხორც-მაცივარ-სასაკლაოები, შაქრის ქარხნები.

ზამბიის მთავრობა ცდილობს გაათავისუფლოს თავისი ქვეყანა უცხოეთის დამოკიდებულებისაგან. განამტკიცებს ქვეყნის სახელმწიფო სექტორს. ზამბია მხარს უჭერს აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახორციელებს ყველა ქვეყანასთან კავშირ-ურთიერთობის განვითარების კურსს.

ზამბიის მნიშვნელოვანი პრობლემაა ტრანსპორტის განვითარება. მინერალური ნედლეულის ძირითადი ნაწილი ჯერჯერობით გააქვთ რკინიგზით ზაირისა და ანგოლას გავლით ლობიტუს ნავსადგურში, ატლანტის ოკეანის ნაპირზე, ზიმბაბვესა და მოზამბიკის გავლით ბეირას ნავსადგურში, ინდოეთის ოკეანის ნაპირზე. ზამბიას გზატკეცილები აერთებს ტანზანიასა და მალავისთან. გაყვანილია ნავთობსადენი ნდოლა—დარ-ეს-სალამი. გაიხსნა „ტანზამის“ რკინიგზა, რომელიც ზამბიას ტანზანიასთან აერთებს.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და ეროვნულ კრებას, აღმასრულებელი — პრეზიდენტსა და მთავრობას. ქვეყანაში ერთადერთი ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიაა.



მდინარე ზამბეზზე, კარიბის ხეობაში აგებულია ზამბიისა და ზიმბაბვეს მძლავრი ჰიდროელექტროსადგური.

ზემო ვოლტა

ზემო ვოლტის რესპუბლიკა.
ფართობი — დაახლოებით 275 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6,4 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — უაგადუგუ (200 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.



დასავლეთ აფრიკის სიღრმეში, ოკეანიდან მოშორებით, მდებარეობს ზემო ვოლტა. მის ტერიტორიაზეა სამი მდინარის (თეთრი, შავი და წითელი ვოლტის) სათავეები. აქ ცხოვრობენ ხალხები — მოსი, ფულბე, გურმა, ლობი. თეთრი, წითელი და შავი ვოლტის ხეობები დაფარულია ხშირი მწვანე რაყით. ეს რაყები საშიშია, რადგანაც შიგ ბინადრობენ სხვადასხვა შხამიანი მწერები (მათ შორის ბუზი ცეცე), რომელთა ნაკბენი მძიმე დაავადებებს იწვევს. ქვეყნის ჩრდილოეთი ესაზღვრება საჰარის უდაბნოს. აქ მშრალი, მზისგან დანაპრალებული მიწაა (გაუდაბნოებული სავანა, როგორც მას გეოგრაფები უწოდებენ), უზარმაზარი ოლქები, სადაც წლის დიდი დროის განმავლობაში წვეთი წვიმა არ ჩამოვარდება.

მაგრამ ქვეყნის დიდი ნაწილი უკავია ტიპურ სავანას. ზეთის ხე (კარიტე), ბაობაბები, აკაციები, პალმები სტეპების ზღვაში პატარ-პატარა კუნძულებს ქმნიან. მილიონობით სული პირუტყვი ძოვს მოსის პლატოს ბორცვებიან სივრცეებზე. ჯოგებთან ერთად გადადიან მომთაბარე მესაქონლეები. ამ ქვეყნის მცხოვრებლები მიწათმოქმედებასაც მისდევენ. მოჰყავთ სორგო, მანიოკი, ბატატი, იამსი. მოსავალი მეტად მცირეა ჩამორჩენილი აგროტექნიკის გამო.

ზემო ვოლტისათვის გვალვა იშვიათი მოვლენა არ არის. სამოციანი წლების ბოლოდან მთელი რიგი წლების მანძილზე გვალვები მეტად ხშირი და ხანგრძლივი იყო. განსაკუთრებით მკაცრი გვალვები დაიჭირა 1972—1974 წლებში. დაიღუპა დიდძალი პირუტყვი, პრაქტიკულად შეწყდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ქვეყანა სერიოზულმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა მოიცვა.

წიაღისეულის ძიება მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაიწყო. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტამბაოს რაიონში მუშაობენ მანგანუმის მადნის მსხვილი საბადოების ასათვისებლად. ტინ-ხრასანში ამუშავებენ კირქვის საბადოებს. დიდ შესაძლებლობას იძლევა გავის მახლობლად ნაპოვნი სპილენძის მადნის მარაგი. ზემო ვოლტის მრეწველობა თავმოყრილია ძირითადად ქალაქ ბობო-დიულასოში, სადაც არის ველოსამწყობი და საპნის სახარში საწარმოები, ზეთსახდელი, ფეხსაცმელების ფაბრიკა, ბამბის საწმენდი ქარხანა. 1970 წელს ქალაქ კუდუგუში დამთავრდა დიდი საფეიქრო კომბინატის მშენებლობა. ქვეყნის დედაქალაქ უაგადუგუში მუშაობს სამკერვალო ფაბრიკა.

მოსები ძველთაგანვე სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი მეომრული განწყობილებით. მოსის ტომის საბრძოლო რაზმები, რომლებშიც შედიოდნენ ქვეითი და ცხენოსანი მეომრები, ხშირად იჭრებოდნენ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და XI საუკუნეში დაიმორჩილეს მდინარე ნიგერის კლაკნილში მცხოვრები ხალხები. ზემო ვოლტაში ბატონობდნენ ფეოდალები — ტომების ბელადები, რომლებიც თავის მხრივ უზენაეს ბელადს ემორჩილებოდნენ. უზენაეს ბელადებს მყვირალა სახელები ერქვათ: მეფე ლომი, მეფე სპილო, სამყაროს მბრძანებელი. ბელადების ყანებში განთიადიდან განთიადამდე ახლომახლო სოფლების გლეხები მუშაობდნენ. მთავარი ფეოდალური სახელმწიფო იყო მოსის სამეფო. ზემო ვოლტაში 1901 წელს დამკვიდრებული ფრანგი კოლონიზატორები განზრახ ინარჩუნებდნენ ამ არქაულ სახელმწიფოს, რომლის მმართველი მორჩილად ასრულებდა მათ ნება-სურვილს. ასე უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო მორჩილებაში ჰყოლოდათ და ექსპლუატაცია გაეწიათ აფრიკელებისათვის.

ადგილობრივი ფეოდალებისა და უცხოელი დამპყრობლების ბატონობა ძვირად უჯდებოდა ზემო ვოლტის ხალხს, რომელიც სიღატაკეში ღა-

ფავდა სულს, გაწამებული იყო დაავადებებითა და შიმშილით. ქვეყნიდან ყოველწლიურად სამუშაოს საძიებლად მიდიოდა ათობით ათასი მცხოვრები. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ყოველი ასი ბავშვიდან მხოლოდ რვა სწავლობდა სკოლაში. ზემო ვოლტის ხალხი არაერთხელ გამოსულა კოლონიზატორებისა და ფეოდალი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას 1960 წლის 5 აგვისტოს მოჰყვა ზემო ვოლტის რესპუბლიკის გამოცხადება. თავისუფლება რომ მოიპოვა, ხალხი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავი დააღწიოს კოლონიური და ფეოდალური ჩაგვრის შედეგებს. ვითარდება ბრეწველობა, სოფლის მეურნეობა. მცირდება წერა-კითხვის უცოდინარობა.

მიუხედავად ამისა, 1980 წლისათვის მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. ქვეყანას შემოჰქონდა ორჯერ მეტი საქონელი, ვიდრე გაჰქონდა. წერა-კითხვის უცოდინარობა 90 პროცენტს აღწევდა. გავრცელებული იყო მრავალი ავადმყოფობა. ბავშვების 34% მკვდარი იბადებოდა, ხოლო 19% კვდებოდა ერთ წლამდე ასაკში. გლეხთა დაახლოებით 66% ნორმალურად ვერ იკვებებოდა.

1978 წლამდე ხელისუფლება სამხედრო-სამოქალაქო მთავრობის ხელში იყო. აღნიშნულ წელს კი ჩატარდა პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები, რომელთა მსვლელობაში რეგისტრირებული იყო 9 პარტია. ყველაზე მეტი ადგილი ეროვნულ კრებაში ვოლტის დემოკრატიულმა კავშირმა მიიღო. არსებობს აფრიკული გადაჯგუფების პარტია (ბურჟუაზიული) და ვოლტის პროგრესული კავშირი, რომელიც პროგრესულად განწყობილ ინტელიგენციას აერთიანებს.

ზიმბაბვე

ზიმბაბვეს რესპუბლიკა.
ფართობი — 390,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სოლსბერი (500 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

მდინარე ზამბეზის სამხრეთით მდებარე ქვეყანას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ძველთაგანვე ზიმბაბვეს უწოდებდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1980 წლის 18 აპრილი) ოფიციალურად სამხრეთ როდეზიად იწოდებოდა და აფრიკის კონტინენტზე დიდი ბრიტანეთის უკანასკნელ სამფლობელოს წარმოადგენდა.

ზიმბაბვეს ხალხს აქვს მდიდარი, თუმცა ნაკლებშესწავლილი ისტორია. შორეულ წარსულში აქ იცოდნენ ლითონის მოპოვება და დნობა. ვარაუდობენ, რომ ზიმბაბვეში იყო სოლომონ მეფის ზღაპრული ოქროს მაღაროები. უძველესი დროიდან აქ შემორჩა საოცარი ქვის ციხესიმაგრეები, რომელთა შორის გამოირჩევა VI საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ზიმბაბვეს ნანგრევები. აფრიკაში ევროპელთა გამოჩენის დროს ზიმბაბვეს ტერიტორიაზე არსებობდა მონომოტაპის (სიტყვასიტყვით „მაღაროების მფლობელს“ ნიშნავს) აყვავებული სახელმწიფო.

ამ ქვეყნის სიმდიდრეთა დაუფლებას ბევრჯერ ცდილან პორტუგალიელები, გერმანელები, ინგლისელები და ბურები. 1888 წელს „სამხრეთ აფრიკის ბრიტანეთის კომპანიამ“, რომელიც ს. როდსმა დააარსა, ადგილობრივი ბელადების მოსყიდვით მიაღწია წიაღისეულის დამუშავების „კონცესიის“ მიღებას. მიწების დაპყრობას, შიმშილსა და შევიწროებას მოსახლეობამ აჯანყებებით უპასუხა, რომლებსაც სასტიკად ახშობდნენ. 1898 წელს როდსმა ასეთივე მანევრის შემწეობით ხელთ იგდო ქვეყანა, რომელიც ზამბეზის ჩრდილოეთით მდებარეობს. როდსისადმი „მადლიერების ნიშნად“ კოლონიზატორებმა ახალ სამფლობელოებს სამხრეთი და ჩრდილოეთი როდეზია უწოდეს (ჩრდილოეთ როდეზიის ხალხმა დამოუკიდებლობა უფრო ადრე მოიპოვა და თავის ქვეყანას ზამბია უწოდა).

ზიმბაბვეს უკავია — ტალღოვანი ვაკე მთათა პატარ-პატარა კუნძულებით — მატაბელეს პლატო (საშუალო სიმაღლე 800—1500 მ). პლატოს აღმოსავლეთისაკენ ამაღლებული კიდეები აძნელებს ტენიანი ჰაერის შემოღწევას ინდოეთის ოკეანის მხრიდან. პლატოდან ჩრდილოეთისაკენ მიედინებიან ზამბეზის შენაკადები, სამხრეთი ზიმბაბვესაკენ — ლიმპოპოს ან ნიანგის მდინარის შენაკადები, რომელნიც გამოყოფენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისაგან. 1959 წელს ზამბეზზე, რომელსაც მიჰყვება ზამბიის საზღვარი, კარიბის ხეობაში, აშენდა დიდი ჰიდროელექტროსადგური — ორივე

ქვეყნის საკუთრება. კაშხალმა შექმნა 35 კმ-მდე სიგანის უზარმაზარი წყალსაცავი.

მცენარეულობისათვის ტიპურია მეჩხერი ტყეები, რომლებსაც სცვლიან ბალახოვანი სავანის ნაკვეთები. ხეებიდან ძვირფასია როდეზიული ტექტონა, რომლის მაგარი მერქანი შპალების დასამზადებლად იხმარება. ცხოველთა სამყარო, ჩვეულებრივი სავანისათვის (ანტილოპები, კამეჩები, ჟირაფები, ზებრები, ჯიქები), გაღარიბებულია სისტემატური ჟლეტის შედეგად.

ზიმბაბვეს ადგილობრივი მოსახლეობა (აფრიკელები) ძირითადად ორი, რიცხობრივად თითქმის თანაბარი — მაშონისა და მატაბელეს ხალხებისაგან შედგება. ცხოვრობს 268 ათასი ევროპელი (უმთავრესად ინგლისელები), 21 ათასი მეტისი და 10 ათასი აზიიდან გადმოსახლებული ადამიანი. სამხრეთ როდეზიის ხელისუფალნი თავისი ბატონობის უკანასკნელ წლებში ახორციელებდნენ სულ უფრო აშკარა რასისტულ პოლიტიკას. აფრიკელთა უმრავლესობა რეზერვაციებში — მათთვის გამოყოფილ ადგილებში — იყო შერეკილი, სადაც ცხოვრობდა განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში. ევროპელზე მოდიოდა 20-ჯერ მეტი მიწა, ვიდრე აფრიკელზე. აფრიკელი მუშის ხელფასი ათჯერ ნაკლები იყო ევროპელის ხელფასზე.

კოლონიური პერიოდის ისტორიიდან აღსანიშნავია სამხრეთ როდეზიისადმი 1923 წელს „თვითმმართველი კოლონიის“ სტატუსის მინიჭება. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტებმა საკუთარი ბატონობის შენარჩუნების მიზნით შექმნეს ე. წ. როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია, რომელიც 1964 წლისათვის დაიშალა და მისმა ორმა ნაწილმა — ჩრდილოეთ როდეზიამ (ზამბია) და ნიასალენდმა (მალავი) — დამოუკიდებლობა მიიღო. ამის შემდეგ როდეზიაში გაბატონდნენ ადგილობრივი რასისტები, რომლებმაც 1965 წელს „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ ცნო ეს ყალბი დამოუკიდებლობა და შემოიღო სპეციალური ეკონომიკური სანქციები (ამ ქვეყნიდან ნედლეულის შესყიდვისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონლის მიწოდების აკრძალვა) სამხრეთ როდეზიის მიმართ. მაგრამ აშშ, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიების მიერ სანქციების ფარული, ხოლო ზოგჯერ აშკარა დარღვევის შედეგად როდეზიის საგარეო ვაჭრობა თითქმის სულ არ შეფერხებულა.

ასეთ ვითარებაში რასისტების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ აფრიკის ეროვნული კავშირი ზიმბაბვე (ზანუ) და ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირი (ზაპუ), რომელნიც გაერთიანდნენ ზიმბაბვეს პატრიოტულ ფრონტში (1976 წ)..

მოსახლეობის ფართო მხარდაჭერამ და პატრიოტთა წარმატებებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში აიძულეს რასისტები და მათი მფარველები გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ. 1979 წლის აპრილში ჩატარებული „არჩევნების“ შედეგად შეიქმნა მარიონეტული მთავრობა, რომელიც არ სცნო არც ერთმა სახელმწიფომ. ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაგმო რასისტების მოქმედება. სახალხო ბრძოლამ მათ წინააღმდეგ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო.

ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება ლონდონში, რომელმაც დაპირისპირებულ მხარეებს საშუალება მისცა გამოემუშავებინათ შეთანხმება, რომლის საფუძველზე 1980 წლის თებერვალში ჩატარდა არჩევნები. მათ მსვლელობაში პატრიოტულმა ფრონტმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია, მოიპოვა 77 ადგილი პარლამენტში აფრიკელებისათვის განკუთვნილი 80-დან (დანარჩენი 20 ადგილი ევროპელებს ეკუთვნით). ახალმა მთავრობამ 1980 წლის 18 აპრილს ზიმბაბვეს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში სამხრეთ როდეზიაში გამეფებული იყო ტერორი: დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიცია ხშირად იყენებდა ჯოხს, ცრემლმდენ გაზსა და ძაღლებს. ასე იმედოვნებდნენ რასისტები ხელისუფლების შენარჩუნებას.

ზიმბაბვე შედარებით განვითარებული ქვეყანაა. ამ უკანასკნელ ათწლეულში სოლსბერსა და ბულავაიოში აიგო მეტალურგიული, ლითონდამმუშავებელი, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური, საფეიქრო, ქიმიური, კვების საწარმოები. აღმოჩენილია 30-ზე მეტი სახის სასარგებლო წიაღისეულის საბადოები. წარმოებს აზბესტის, ქრომის, სპილენძის, ნიკელის მადნების, ქვანახშირის, ოქროს, ლითიუმის, კალის, ვერცხლის, ურანის მადნის და სხვა ლითონების მადნების ინტენსიური მოპოვება.

ევროპელთა დიდ ფერმებსა და პლანტაციებში იყენებენ აფრიკელი მოჯამაგირეების შრომას. საექსპორტოდ მოჰყავთ თამბაქო, ბამბა, შაქრის ლერწამი, ჩაი, არაქისი, ყურძენი, ციტრუსები, სასურსათო კულტურებიდან — სიმინდი და ხორბალი. მოშენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ფრინველი. კოლონიური პერიოდიდან შემორჩა წვრილ მეპატრონე აფრიკელთა გაჩანაგებული მიწები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ტოვებდა და მიდიოდა მაღაროებში სამუშაოდ. ახალი მთავრობა ამ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს.

კამერუნი

კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკა.
ფართობი— 475 ათასი კმ².
მოსახლეობა — 7,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — იაუნდე (313,7 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — ფრანგული და ინგლისური.



ახლანდელი კამერუნის ტერიტორიის მიწები უხსოვარი დროიდან იხსენიება. ვარაუდობენ, რომ ჯერ კიდევ 500 წელს ჩვენს ერამდე კართაგენელმა მეზღვაურმა ხანონმა მოაღწია ამ ქვეყნის ნაპირებს და აღწერა მისი სანაპირო კუნძულები და ვულკან კამერუნის ამოფრქვევა.

XV საუკუნის მეორე ნახევარში კამერუნის სანაპიროსთან, ბიაფრის უბეში, გამოჩნდნენ პირველი ევროპელები — პორტუგალიელთა საზღვაო ექსპედიცია ფერნანდო პოს მეთაურობით. მათ მიერ აღმოჩენილი მდინარის შესართავში (ეს მდინარე ვური იყო) ნახეს დიდძალი ხამანწკები და მათ ამ მდინარეს რიო დოს კამაროესი (ხამანწკების მდინარე) უწოდეს. აქედან წარმოსდგა ამ ქვეყნის სახელწოდებაც.

კამერუნი მდებარეობს აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში. ქვეყნის დიდი ნაწილი მაღლობებს უკავია. სამხრეთში და ცენტრში ადამავას ტყიანი მთიანეთია. ჩრდილო-დასავლეთით, ნიგერის საზღვრების გასწვრივ, ქვეყანას ერტყმის მთაგრეხილები და კლდოვანი ბორცვები. ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან აღმართულია დასავლეთ აფრიკის ყველაზე მაღალი მთა-ვულკანი კამერუნი (4070 მ). მთიანეთი თანდათან დაბლდება ოკეანისაკენ და სანაპირო ვაკის ზოლში გადადის. ჩრდილოეთით, საზღვრების შესაყარის რაიონში, იგი საფეხურებიანი ფლატეებით ეშვება ლოგონის ვაკისაკენ, რომელზეც ჩადის ტბა მდებარეობს.

კამერუნის ჰავა ტენიანი და ცხელია. კამერუნის მთის ატლანტის ოკეანისაკენ მიქცეული დასავლეთი ფერდობები დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტენიანი ადგილია. აქ წელიწადში დაახლოებით 10 000 მმ ნალექი მოდის. სიმშრალეა მხოლოდ ჩრდილოეთში, ჩადის ტბის რაიონში.



პროფესიულ-ტექნიკური სკოლის მოსწავლეები იაუნდეში ეროვნულ დღესასწაულზე.

კამერუნის სოფელში.

კამერუნში ბევრი მდინარეა. ყველაზე დიდია სანაგა (918 კმ) და ნიონგი (860 კმ). ამ მდინარეებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის მეურნეობისათვის. კამერუნში იწყება აფრიკის ორი დიდი მდინარის — ნიგერისა და კონგოს მრავალრიცხოვანი შენაკადი. ტროპიკულ ტყეებში, რომლებითაც დაფარულია ამ ქვეყნის თითქმის მთელი ტერიტორია, ხარობს ძვირფასი ჯიშის ხეები: წითელი, აბანოზის, სანდალოზის, ოკუმე. სანაპირო ზოლში და მდინარეთა გასწვრივ მანგოს რაყებია, რომლებიც სავსეა მოსკიტებით, კოღოებითა და ბუზი ცეცეთი, რომლის კბენა ძილის დაავადებას იწვევს. ჩრდილოეთის შედარებით მშრალ რაიონებში გადაჭიმულია სავანები აკაციებითა და ბაობაბებით.

მდიდარი და მრავალფეროვანია კამერუნის ცხოველთა სამყარო. ტროპიკულ ტყეებში ბინადრობენ ადამიანის მსგავსი მაიმუნები — გორილები და შიმპანზეები. სავანებში — ანტილოპები და კამეჩები, შავი მარტორქები. მტაცებელთაგან — ლომები და ჯიქები. მდინარე ნიონგის ნაპირებზე გვხვდება ჯუჯა სპილოები, ლოპაკები.

კამერუნში სახლობს მრავალი ტომი და ხალხი. აქ ითვლიან 100-ზე მეტ ენასა და კილოკავს. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ხალხებია: ბამილეკე, ფანგი, ტიკარი, კირდი, ფულბე. კამერუნის უძველეს მცხოვრებლებად ითვლებიან პიგმეების ტომები. მოსახლეობის 80% სოფლებში ცხოვრობს. როგორც წესი, სოფლები მცირე დასახლებებია.

აქ შეხვდებით სხვადასხვა ფორმის საცხოვრებლებს. ზოგი ტომი, მაგალითად კირდები, ცხოვრობენ ქოხებში, რომელთაც კონუსისებური სახურავები აქვთ, სხვები — ბრტყელსახურავიან სახლებში.

კამერუნში ძლიერი ტომობრივი ტრადიციებია. წინანდებურად დიდი გავლენით სარგებლობენ ტომის ბელადები. გლეხები მოვალენი არიან დაამუშაონ მათი მიწები. სოფლებში ბელადის სიტყვას დღემდე დაუწერელი კანონის ძალა აქვს.

კამერუნელებმა შეინარჩუნეს ძველი თვითმყოფადი კულტურა. XIX საუკუნის ბოლოს ბამუმებმა (კამერუნის ერთ-ერთი ხალხი, რომელმაც XVII საუკუნეში თავისი სახელმწიფო შექმნა) შექმნეს დასავლეთ აფრიკაში პირველი ანბანი. გამარტივებული სახით იგი 83 ასოსაგან შედგება. ცნობილია ფანგების ხეზე და სპილოს ძვალზე ამოკვეთილობა, ბამილეკეს ხის ნიღბები.

1884 წელს გერმანიამ პროტექტორატი დაამყარა კამერუნის სანაპირო რაიონებზე. მაგრამ გერმანელ იმპერიალისტებს 20 წელი დასჭირდათ, რომ დაემორჩილებინათ ეს ქვეყანა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგამ აღმოსავლეთი კამერუნი მანდატით გადასცა საფრანგეთს, ხოლო დასავლეთი კამერუნი — ინგლისს. 1946 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით კამერუნის ორივე ნაწილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო ტერიტორიებად იქცა, მაგრამ ფაქტიურად კვლავ რჩებოდნენ კოლონიურ დამოკიდებულებაში საფრანგეთსა და ინგლისთან.

ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგად საფრანგეთი იძულებული გახდა 1960 წლის 1 იანვარს დამოუკიდებლობა მიენიჭებინა აღმოსავლეთი კამერუნისათვის. მალე დამოუკიდებელი გახდა დასავლეთი კამერუნიც, მისი ჩრდილოეთი ნაწილი ნიგერიას მიაკუთვნეს, ხოლო სამხრეთი ნაწილი კამერუნის რესპუბლიკას შეუერთდა. 1961 წლის 1 ოქტომბერს დაარსდა კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკა ორი მოკავშირე სახელმწიფოს — აღმოსავლეთი და დასავლეთი კამერუნის შემადგენლობით. 1972 წლის 20 მაისს

კამერუნის ხალხმა აზრი გაძოთქვა უხიტაოული სახელმწიფოს — კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკის — შექმნის სასარგებლოდ. კონსტიტუციით სახელმწიფოს პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილებანი აქვს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კრება. ქვეყანაში მოქმედებს ერთადერთი პარტია — კამერუნის ეროვნული კავშირი.

კოლონიზატორთა ხანგრძლივი ბატონობა აფერხებდა ქვეყნის განვითარებას. კამერუნი სუსტად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, რომელიც საგარეო ბაზრებზეა დამოკიდებული. მეურნეობის ბევრი დარგი უცხოეთის, უმთავრესად, საფრანგეთისა და ინგლისის მონოპოლიების კონტროლს ექვემდებარება.

სოფლის მეურნეობა სახელმწიფო შემოსავლის მთავარი წყაროა. საექსპორტოდ მოჰყავთ კაკაო, ყავა, ბანანი, ბამბა, არაქისი, ზეთოვანი პალმა, კაუჩუკოვანები. მთავრობამ შეძლო სათესი ფართობების ერთგვარი გადიდება და მოსავლიანობის ამაღლება. მაგრამ გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებულობა, ზოგან მიწათმოქმედების საახოვე სისტემა, შრომის პრიმიტიული იარაღები აძნელებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. საშინაო მოხმარებისათვის მოჰყავთ მანიოკი, სორგო, სიმინდი, იამსი, ბატატი. ჩრდილოეთ კამერუნში მოსახლეობის მთავარი საქმიანობა მესაქონლეობაა.

დამოუკიდებლობის წლებში რესპუბლიკამ გარკვეული წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, ძირითადად მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებაში, რომლებიც ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზე მუშაობენ. არის ცემენტის ქარხნები, ველოსიპედებისა და მოტოროლერების ასაწყობი, მინის ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ფაბრიკა, ხე-ტყის სახერხი საწარმოები. კამერუნის ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმოა ალუმინის სადნობი და დასამუშავებელი კომბინატი ქალაქ ედეაში, რომელიც საფრანგეთის კაპიტალს ეკუთვნის. დაიწყო ბოქსიტების მდიდარი საბადოების დამუშავება. არის აგრეთვე რკინის მადანი, ტიტანი, კირქვა, მარმარილო.

კამერუნში შედარებით განვითარებულია გზატკეცილებისა და რკინიგზების ქსელი. 1973 წელს დამთავრდა რკინიგზის მეორე რიგის მშენებლობა. ოპერაციას ამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ნგაუნდერესთან აკავშირებს.

კამერუნი ვაჭრობს ძირითადად საფრანგეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, ჰოლანდიასთან, გფრ-სთან. ექსპორტის დაახლოებით ნახევარი ყავასა და კაკაოზე მოდის. გააქვთ, აგრეთვე, ძვირფასი ჯიშის მერქანი, ალუმინი, ბამბა, ზეთოვანი პალმის ნაყოფი, კაუჩუკი. შემოაქვთ სამრეწველო მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სურსათ-სანოვაგე, ნავთობპროდუქტები.

ვითარდება კავშირ-ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და კამერუნს შორის. სსრ კავშირის დახმარებით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-ტექნიკური სკოლები. ბევრი ახალგაზრდა კამერუნელი სწავლობს საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში.

კენია

კენიის რესპუბლიკა.
ფართობი — 582,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 14,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ნაირობი (650 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენები — ინგლისური და სუაჰილი.

კენია მდებარეობს ინდოეთის ოკეანის აფრიკის სანაპიროზე. მას უკავია აღმოსავლეთ აფრიკის ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთი განაპირა მხარე. ქვეყნის რელიეფი განსაკუთრებით მრავალფეროვანია, უფრო მეტად დასავლეთით. აქ შეიძლება ნახოთ მასიური საფეხურები, მრავალრიცხოვანი ვულკანები, რომლებიც ძირითადად ჩამქრალია. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აღმოსავლეთ აფრიკის ზეგნის დასავლეთ ნაწილს გადაჰკვეთს ღრმა ნასხლეტი ღრმული, რომლის კიდეებზე მთიანეთებია აღმართული. აღმოსავლეთ კიდეს ქმნიან ლაიკიპიის, აბერდერის და კიკუიუს პლატოები, დასავლეთისას — მაუ. აბერდერის პლატოზე არის ამ ქვეყანაში უმაღლესი და აფრიკაში სიმაღლით მეორე (კილიმანჯაროს ვულკანის შემდეგ) კენიის მთა (5199 მ). ადგილობრივი ტომებისათვის ამ

წმინდა მთის თოვლიან მწვერვალს აფრიკის მოსახლეობა უწოდებს კეე-ნიიას (თეთრ მთას). აქედან წარმოსდგა მთელი ქვეყნის სახელწოდებაც.

კენიაში ბევრი ტბაა. ქვეყნის დასავლეთში მდებარეობს ვიქტორიის ტბის ნაწილი, ჩრდილოეთში — კენიის ყველაზე დიდი ტბა — რუდოლფი. ტბების უმრავლესობა აქ ძლიერ მლაშეა. მაგადის ტბის უბეებსა და მეჩეჩებში წყალი ნატრიუმის მარილებით არის გაჯერებული. აქ 1962 წელს კინაღამ დაიღუპა თეთრ-მოვარდისფრო ფლამინგოთა ორმილიონიანი გუნდი, რომელიც გადმოსახლდა მტკნარწყლიანი ტბა ნატრონიდან, სადაც მოდიოდა თვით ამ წვიმიანი ადგილებისთვისაც გაუგონარი ტროპიკული თავსხმა წვიმები. მდინარეები ცოტაა. ყველაზე დიდი — ტანა (750 კმ) და გალანა (350 კმ) — ერთვიან ოკეანეს. მდინარე ტანა ქმნის მრავალ ჭორომსა და ჩანჩქერს, რომელთაგან უდიდესებზე — სევენ-ფოლსზე (შვიდი ჩანჩქერი) — აგებულია ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი კინდარუმას ჰესი. დანარჩენი მდინარეები მცირეწყლიანნი და არასანაოსნონი არიან, ბევრი მათგანი მხოლოდ წვიმების დროს თუ გამოჩნდება.

კენიის ჰავა ეკვატორულ-მუსონურია. ნალექების რაოდენობა ერთნაირი არ არის, ყველაზე მეტი წვიმა მოდის ოკეანის სანაპიროზე და დასავლეთის მაღალ მთიანეთებზე (1500—2000 მმ წლიურად). ტენით ღარიბია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები (250—500 მმ). მთიანეთის ჰავა ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელია აფრიკაში. ასე, მაგალითად, ნაირობში (1650 მ ზღვის დონიდან) ყველაზე ცივი თვის (აგვისტოს) საშუალო ტემპერატურაა + 17,3°, ხოლო ყველაზე ცხელი თვისა (მარტი) — +21,6°.

მრავალფეროვანია კენიის მცენარეული სამყარო. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნახევრად უდაბნოები და მლაშობებია. კენიის დასავლეთი ნოყიერმიწებიანი სავანებია, სადაც ხარობს ხშირი ბალახეული, მაღალი ხეები — ქოლგისებრი აკაციები, პალმები და ბაობაბები. სანაპირო რაიონებსა და მდინარეთა ხეობებში სავანებს ენაცვლებიან მარადმწვანე ტროპიკული ტყეები და მანგროვიანი რაყები. ინდოეთის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ ვიწრო ზოლი დაფარულია პარკული ტყეებით. ინგლისის კოლონიური ბატონობის წლებში მტაცებლურად გაიჟლიტა სპილოები, ჟირაფები, ჯიქები. ახლა ამ ცხოველების ნახვა შეიძლება მხოლოდ ცავოს ნაკრძალში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნაკრძალია და ცნობილია სპილოების უზარმაზარი ჯოგით (30 ათასზე მეტი), ნაირობის ეროვნულ პარკში და დაუსახლებელ ნახევარუდაბნო რაიონებში კენიელებმა შექმნეს აფრიკაში ერთადერთი საზღვაო ნაკრძალი — ვატამუ.

კენიაში 40-ზე მეტი სხვადასხვა ხალხი და ტომი სახლობს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომებია ბანტუ (დაახლოებით 65%), კიკუიუ, კამბა, ბალუხია. ბანტუს გარდა კენიაში ცხოვრობენ ნილოტები, ქამიტები, კუშიტები, ინდოელები, ევროპელები (უმთავრესად ინგლისელები) და არაბები. თაობიდან თაობას გადაეცემა წინაპართა წესჩვეულებანი. მაგალითად, როცა კიკუიუს ოჯახში ბავშვი იბადება, თავს იყრიან ნათესავები და მეზობლები, რათა შეეგებონ ტომის ახალ წევრს. ყველა სადღესასწაულოდ არის მორთული: მამაკაცებს აცვიათ ნადირთა ტყავები, ქალებს ჰყეტელა ფერადი ქსოვილის ტანსაცმელი. ქალები სახეს თეთრი საღებავით იღებავენ, მღერიან დიდი ხნის წინათ შეთხზულ სიმღერებს. უხუცესი აცხადებს ახალშობილის სახელს.

არქელოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ ევროპელთა მოსვლამდე დიდი ხნის წინ კენიელებში განვითარებული ყოფილა ხელოსნობა (რკინის გამოდნობა და მისგან იარაღის დამზადება, ტყავის გამოქნა, მეთუნეობა), მესაქონლეობა, მიწათმოქმედება.

კენიის ხალხი შეუპოვრად იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ინგლისელთა ბატონობის პირველ წლებში აფრიკელთა წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ ატარებდა მასობრივ და ორგანიზებულ ხასიათს. ეს იყო ცალკეული ტომების გამოსვლები (მაგალითად, ნანდების აჯანყება 1896 და 1901 წლებში), რომლებსაც კოლონიზატორები სასტიკად უსწორდებოდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში კენიელებმა იწყეს ბრძოლის უფრო ქმედითი ფორმების ძიება. გაჩნდნენ პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები. თავისუფლებისათვის ბრძოლა გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კენიელები მოითხოვდნენ თეთრი კოლონისტების მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას, დისკრიმინაციული კანონების გაუქმებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. როცა 1952 წლის ოქტომბერში კოლონიურმა ხელისუფლებამ დააპატიმრეს კენიის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, აფრიკელებმა ხელი მოჰკიდეს იარაღს. კენიის ხალხი მტკიცედ მიდიოდა თავისუფლებისაკენ. 1963 წლის დეკემბერში კენია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1964 წლის დეკემბერში რესპუბლიკა გამოცხადდა.

ამ ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, რომელშიც დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 85%. ევროპელები მკვიდრ მოსახლეობას აძევებდნენ ნოყიერნიადაგიანი და ხელსაყრელჰავიანი რაიონებიდან და ქმნიდნენ დიდ საპლანტაციო მეურნეობებსა და ფერმებს. დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ყოველ ევროპელ ფერმერს კენიაში ეკუთვნოდა საშუალოდ 470-ჯერ მეტი მიწა, ვიდრე აფრიკელ გლეხს. ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის ევროპულ სექტორში ყოველწლიურად მუშაობდა 200 ათასზე მეტი დაქირავებული აფრიკელი, რომლებსაც მიწა არ გააჩნდათ და იძულებულნი იყვნენ სამუშაო ეძებნათ. კოლონიზატორებმა მოახდინეს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მონოპოლიზაცია: 100%-მდე სიზალის — უმნიშვნელოვანესი საფეიქრო კულტურისა, 95% დალმაციური გვირილასი (პირეტრუმის — მწერებთან ბრძოლის საშუალების), 90%-ზე მეტი ყავისა. აფრიკელებს სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი ძირითადად მოჰყავთ საკუთარი მოხმარებისათვის. ამ ბოლო დროს აფრიკელთა მეურნეობებში საექსპორტოდ მოჰყავთ ყავა, ჩაი, გვირილა. მთავრობა მიწებს ყიდულობს ევროპელი ფერმერებისაგან და აძლევს მას კენიელებს.

კენიის ნაციონალური პარკი-ნაკრძალი.

კენია აფრიკის ეკონომიკურად შედარებით განვითარებული ქვეყანაა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა მრეწველობის ზოგიერთი დარგი (კვების, საფეიქრო, ენერგეტიკული). აიგო ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა კინდარუმის ჰესი, ფოლადის ნაგლინის ქარხანა, ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა მომბასში, საშენი ფილების ქარხანა. არის ბამბის საწმენდი, საკონსერვო, შაქრის, ზეთსახდელი, ყველის ქარხნები. სუსტად არის განვითარებული სამთომოპოვებითი მრეწველობა, თუმცა კენიაში არის ზოგიერთი სასარგებლო წიაღისეული (სოდა, კიანიტი, მარილი, ცემენტი, დიატომიტი, მდნობი შპატი), ვერცხლის, ტყვიის, ნიკელისა და ბარიტის საბადოები.

კოლონიურ ადმინისტრაციას არ აინტერესებდა დაშორებული რაიონების განვითარება. ამიტომ კენიის ეკონომიკური ცხოვრება თავმოყრილი იყო რამდენიმე ქალაქში — ნაირობში, მომბასაში, ნაკურუში, კისუმუში და სხვ. კენიაში არსებული გზები (მთავარი მაგისტრალი მომბასა—ნაირობი—კისუმუს რკინიგზის ხაზი) ემსახურება სამრეწველო და ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს.

კენიის ეკონომიკაში კიდევ ძლიერია უცხოეთის კაპიტალის პოზიციები, რაც წინასწარ განსაზღვრავს კენიის სამეურნეო და პოლიტიკურ კავშირურთიერთობათა განვითარებას დასავლეთის

ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინგლისთან. კენია ინგლისთან დაკავშირებულია სამხედრო შეთანხმებით.

საბჭოთა კავშირსა და კენიას შორის ხორციელდება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობა. სსრ კავშირის სახსრებით ქალაქ კისუმუში აიგო და კენიელებს საჩუქრად გადაეცა ჰოსპიტალი და პოლიკლინიკა.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ ასამბლეას. პრეზიდენტი — სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური და ჯარების მთავარსარდალია.



კომორის კუნძულები

კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა.
ფართობი — 2236 კმ².
მოსახლეობა — 300 ათასი კაცი.
დედაქალაქი — მორონი (16,3 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

კომორის კუნძულები (არაბული „კამრ“-იდან — მთვარე) პატარა ვულკანური არქიპელაგია მოზამბიკის სრუტეში. ყველაზე მაღალი ვულკანი კარტალა (2361 მ) კუნძულ გრანდ-კომორზე ისევ მოქმედებს. მთების ფერდობები დაფარულია გაუვალი ტროპიკული ტყეებით, რომლებშიც ბევრია ხისებრი გვიმრები. კუნძულების გარშემო უხვადაა მარჯნის რიფები.

აღმოსავლეთ აფრიკიდან გადმოსული მალაგასიელების, არაბების, სპარსელების შთამომავლებიდან კომორის კუნძულებზე შეიქმნა ანტალაუტრას ერი. აქ ცხოვრობენ აფრიკელი ბანტუ, მალაგასიელები, არაბები, ფრანგები. ყველაზე უფრო გავრცელებულია სუაჰილი და არაბული ენები.

ვულკანური ქანებისაგან კუნძულზე შეიქმნა ნოყიერი ნიადაგები, მაგრამ მიწები ცოტაა. ამასთან მიწები ძირითადად ეკუთვნით ფრანგულ კომპანიებს და ახალმოსახლეებს, ადგილობრივ ფეოდალებს. კომორის კუნძულებზე მოჰყავთ ჭოჭოსის პალმა (გააქვთ კოპრა), ვანილი (მეორე ადგილი მსოფლიოში), ეთერზეთოვანი კულტურები — ჟასმინი, რეჰანი, ვარდისებრი პალმა, ილანგ-ილანგის ხე, რომლის ყვავილებისაგან იღებენ ძვირფას ზეთს საპარფიუმერიო მრეწველობისათვის (მსოფლიო წარმოების ნახევარი), აგრეთვე, მცენარეები, რომლებისგანაც მზადდება სანელებლები — მიხაკისა და დარიჩინის ხე, პილპილი. არსებობს ნახევრადკუსტარული საწარმოები, კერძოდ, ესენციების დამამზადებელი საწარმოები. კუნძულ გრანდ-კომორზე მოიპოვებენ ვულკანურ ტუფს. არქიპელაგის წყლებში ბევრია ლამაზი ნიჟარები, რომლებიც საექსპორტოდ გააქვთ. მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმეა.

საფრანგეთის მიერ XIX საუკუნეში არქიპელაგის დაპყრობამდე დიდ კუნძულებზე არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. კომორელები არასოდეს არ შერიგებიან კოლონიალიზმს. 1961 წელს საფრანგეთი იძულებული გახდა, კუნძულისთვის მიენიჭებინა შინაგანი ავტონომია, მაგრამ ძალაუფლება საფრანგეთის კომისარს რჩებოდა.

1974 წლის დეკემბერში გაიმართა რეფერენდუმი. კომორელთა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას, ხოლო 1975 წლის 6 ივლისს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფო გაჩნდა. მაგრამ საფრანგეთს კვლავ უპყრია კუნძული მაიოტა, რომელზეც მისი სამხედრო ბაზაა მოწყობილი.

1978 წელს კომორის კუნძულები ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა.



კომორის კუნძულები მოზამბიკის სრუტის „ყელსაბამია“. ასე, თანდათანობით ამოიწევა წყლის მორევიდან და წარმოგვიდგება ამ კუნძულების სახელმწიფოს დედაქალაქი — მორონი.

კონგო

კონგოს სახალხო რესპუბლიკა (კ ს რ).
ფართობი — 342 ათასი კმ².
მოსახლეობა — 1,45 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბრაზავილი (310 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

კონგო მდებარეობს აფრიკის დასავლეთ ნაწილში, ეკვატორის ორივე მხარეს. ამ ქვეყანაში ძირითადად სახლობენ ბანტუს ხალხები: ბაკონგო, ბატეკე, ბობანგი, ბაკოტა, ბაკელე. ეკვატორის სამხრეთით მარადმწვანე ეკვატორული ტყის სამეფოა, ჩრდილოეთით ტყე მეჩხერდება და ადგილს უთმობს სავანას. ბუნებას უხვად დაუჯილდოებია ეს ქვეყანა. ტყეებში ხარობს ძვირფასი ჯიშის ხეები: ლიმბა (ყვითელი), ოკუმე (ვარდისფერი), აკაჟუ (წითელი). ტყე ძირითადი საექსპორტო წყაროა.

კონგოს სამხრეთში გადის „კონგო—ოკეანის“ რკინიგზა. ეს გზა აკავშირებს ატლანტის ოკეანის ნაპირზე მდებარე ამ ქვეყნის ერთადერთ ნავსადგურს პუენტ-ნუარს დედაქალაქ ბრაზავილთან. ამ გზას 13 წელიწადს აგებდნენ აფრიკელები არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში: ტროპიკულ რაყებსა და ჭაობებში, მზის მცხუნვარე სხივების, ზედამხედველთა დაუნდობელი მათრახების ქვეშ. „კონგო—ოკეანის“ გზიდან გადის რკინიგზის შტო გაბონის მიმართულებით.

პუენტ-ნუარიდან გასული მატარებელი თითქოსდა მწვანე დერეფანში მიდის. ტყეებსა და მინდვრებზე შეიძლება ნახოთ დიდი კონუსისებრი შენობები, რომლებიც ზოგჯერ 2—3 მ სიმაღლეს აღწევენ. ეს სატერმიტეებია. ტერმიტები დიდ ზიანს აყენებენ ადამიანებს: აფუჭებენ ნივთებს, ანადგურებენ პროდუქტებს, ანგრევენ ხის ნაგებობებს.

პუენტ-ნუარიდან მატარებელი რამდენიმე საათში ბრაზავილში ჩადის. ქალაქი გაშენებულია მდინარე კონგოს მარჯვენა ნაპირზე — სტენლიპულის ტბის ქვემოთ, რომელიც შექმნილია დიდ ღრმულში, მძლავრი მდინარის გზაზე. კონგოს სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქს, რომელიც ეკვატორული აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, მწვანე ქალაქს უწოდებენ. ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია მრავალრიცხოვან ჩრდილიან ხეივნებსა და პარკებს. თუ ქალაქს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შენობის, საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული სასტუმრო „კოსმოსის“ სახურავიდან გადახედავთ, გეგონებათ, ბრაზავილი მთლიანად ხეების მწვანე სახურავით არის დახურული.

დედაქალაქის სახელწოდება მოგვაგონებს იმ დროს, როცა საფრანგეთის სამხედრო ექსპედიციამ საზღვაო ოფიცრის დე ბრაზას მეთაურობით საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის დაპყრობას უცხოელი დამპყრობლების მიერ. ეს მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

კონგოს ხალხი არაერთხელ აღმდგარა უცხო-

ბრაზავილი. ოტელი „კოსმოსი“ აგებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით.

ელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1928 წელს შრომის კატორღული პირობებით სასოწარკვეთამდე მისული „კონგო—ოკეანის“ გზის მშენებლები აჯანყდნენ. ეს აჯანყება გადაიქცა სახალხო ომად კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი აფრიკის კონტინენტზე გაჩაღებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ კონგოც მოიცვა.

1960 წელს გამოცხადდა კონგოს დამოუკიდებლობა. მაგრამ მთავრობა, რომელიც ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, არსებითად ინარჩუნებდა კოლონიზატორთა ბატონობას. 1963 წლის სახალხო რევოლუციამ პირისაგან მიწისა აღგავა ანტიხალხური რეჟიმი.

კონგოში შეიქმნა კონგოს შრომის პარტია (კშპ). კშპ-ს დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1969 წლის ბოლოს. დაიწყო დიდი რევოლუციური გარდაქმნები, რომელთა მიზანია დამოუკიდებლობის განმტკიცება, ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა და წანამძღვრები კონგოში სოციალიზმის აშენებისათვის. კშპ-მ და რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავეს ქვეყნის პერსპექტიული განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განმტკიცება. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ხორციელდება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ფართო დახმარებითა და მხარდაჭერით.

კონგოს რესპუბლიკაში მიღებულია კონსტიტუცია, რომლის შესაბამისად შექმნილია უმაღლესი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ორგანო — სახელმწიფო საბჭო, რომელსაც პრეზიდენტი მეთაურობს. საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოა ეროვნული სახალხო კრება. რესპუბლიკის მთავრობის მუშაობას წარმართავს კშპ.

1977 წელს პრეზიდენტ მ. ნგუაბის მკვლელობის შემდეგ ძალაუფლება კშპ სამხედრო კომიტეტის ხელში გადავიდა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1979 წლამდე, როდესაც ჩატარდა კშპ III საგანგებო ყრილობა და არჩეულ იქნა ქვეყნის ახალი პრეზიდენტი.

კონგო განვითარებადი ქვეყანაა. რესპუბლიკის გამოცხადებამდე მთელი სამრეწველო საქონელი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ახლა რესპუბლიკაში ვითარდება კვების, ქიმიური, ხისდამმუშავებელი, საფეიქრო, ენერგეტიკული, სამშენებლო მრეწველობა. კონგოში წარმოებს ტყვიის, სპილენძის, ოქროს მოპოვება.

ქვეყანამ დაიწყო საკუთარი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მიღება. აღმოჩენილია რკინის მადნის დიდი მარაგი ზანაგაში და მონ-ნაბომბაში. მუშავდება კალიუმის მარილების დიდი საბადოები. სოფლის მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა, ხეტყის დამუშავების გარდა, არის საექსპორტო კულტურების: ზეთოვანი პალმის, შაქრის ლერწმის, არაქისისა და ბანანის მოყვანა.

რესპუბლიკაში ახალი ცხოვრების მშენებლობაში დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას. ფერმებში, მშენებლობებზე — ყველგან შეხვდებით მგზნებარე ახალგაზრდა კონგოელებს.

კონგოს სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა

კონგოს ახალგაზრდობის სპორტული დღესასწაული.



საბჭოთა ტექნიკა ეხმარება კონგოელებს ეკონომიკის განვითარებაში. სურათზე: გზის მშენებლობა ჯუნგლებში.

კავშირს შორის მტკიცდება თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესების სასარგებლოდ. ასობით კონგოელი გოგონა და ჭაბუკი სწავლობს საბჭოთა პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს კონგოს სამრეწველო საწარმოების მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის ტექნიკით აღჭურვაში.

კონგოს სახალხო რესპუბლიკა აქტიურად იბრძვის მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის, აფრიკაში რასისტული რეჟიმების ლიკვიდაციისათვის.

ლესოთო

ლესოთოს სამეფო.
ფართობი — 30,3 ათასი კმ².
მოსახლეობა — 1,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მასერუ (30 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — ინგლისური და სესუტო.

ლესოთოს ზოგჯერ აფრიკის შვეიცარიას უწოდებენ. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ბასუტოს ზეგანს უკავია (სიმაღლე — 2300—3000 მ). აღმოსავლეთით და სამხრეთით ამ ქვეყანას გარს ერტყმის დრაკონის მთები. სამხრეთ აფრიკის ყველაზე მაღალი მწვერვალი კატკინ-პიკი (3660 მ) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ლესოთოს საზღვართანაა.

ლესოთო მდებარეობს სუბტროპიკების ზონაში. ნალექები მოდის უმთავრესად ზაფხულში, როცა სიცხე +28°-ს აღწევს. ზამთრობით ხშირია გვალვები, ძლიერი მტვრის ქარიშხალი; ზოგჯერ



თოვლიც მოდის, მაგრამ უმალვე დნება. აღმოსავლეთ ლესოთოში ხშირია წაყინვები. ტემპერატურის დღეღამური რყევა 20°-ს აღწევს. შეიმჩნევა ჰავის კონტინენტურობა. თავისებური და ლამაზია ლესოთოს ბუნება. მთებიდან გადმოხეთქილი მრავალი მდინარე ღრმა ვიწროებში მიედინება, სადაც მზიან დღეებშიც კი ბურუსი და სიგრილეა. მთების დამრეცი კალთები დაფარულია ქსეროფიტული (ჰაერისა და ნიადაგის სიმშრალის ამტანი) ბუჩქნარებით, აქა-იქ მოჩანს ტყის მწვანე კუნძულები.

ლესოთოში ძირითადად ცხოვრობენ ბასუტოები (99%) — ბანტუს ენობრივი ოჯახის ხალხი. ბასუტოს მთიელები გამბედავი და მამაცი ხალხია. თითქმის 50 წელიწადს გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა მხოლოდ მშვილდისრებითა და შუბებით შეიარაღებულ აფრიკელებსა და ევროპელებს შორის, რომლებიც ცეცხლსასროლ იარაღს იყენებდნენ. და თუმცა 1868 წელს ინგლისმა შეძლო პროტექტორატი დაემყარებინა ამ ქვეყანაში, რომელმაც მიიღო ბასუტოლენდის სახელი, მაგრამ ბასუტოს ხალხი არ ემორჩილებოდა მომხდურებს. ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ აიძულა ინგლისი პროტექტორატისათვის დამოუკიდებლობა მიენიჭებინა. ამგვარად, 1966 წლის 4 ოქტომბერს აფრიკის რუკაზე გაჩნდა ლესოთოს სახელმწიფო.

სახელმწიფო წყობილებით ეს ქვეყანა კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურს — მეფეს არა აქვს დიდი ძალაუფლება. ქვეყნის მმართველობას, საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას განაგებს პრემიერ-მინისტრი. ხალხის ფართო მასების განწყობილების საწინააღმდეგოდ, მმართველი წრეები ემხრობიან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის განვითარებას რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

ლესოთო კონტინენტის ერთ-ერთი უღარიბესი და ჩამორჩენილი ქვეყანაა. სამხრეთ აფრიკის მიწათმოქმედების კულტურის ამ უძველეს კერას არ ყოფნის პური. ნიადაგის ეროზიამ დააზიანა უდიდესი ტერიტორიები, რის შედეგადაც თითქმის ყოველი სოფელი გარშემორტყმულია მწირი და მიგდებული მიწებით. ქვეყნის ეკონომიკის მთავარი დარგი — მესაქონლეობა, რომელიც აფრიკელ მოსახლეობას საუკუნეთა მანძილზე აძლევდა საარსებო საშუალებას, დაცემის გზაზეა დამდგარი. ქვეყანაში, თუ არ ჩავთვლით ხალიჩების, ავეჯისა და მეთუნეობის რამდენიმე სახელოსნოს, არ არის დამამუშავებელი მრეწველობა. ამიტომ მამაკაცთა უმრავლესობა ყოველწლიურად ტოვებს თავის ქვეყანას და სამუშაოს საძებნელად რამდენიმე თვით მიდის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. მოსახლეობის დაახლოებით 80% სანახევროდ შიმშილობს, ყოველი ათასი ერთ წლამდე ბავშვიდან ასი კვდება.

ლესოთოს ყოველი მხრიდან გარს ერტყმის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომლის მთავრობა არ მალავს ბაკის განწყრომას, ლესოთო გადაიქციოს თავის კოლონიად. ლესოთოს არა აქვს ზღვაში გასასვლელი, ხოლო ერთადერთი რკინიგზა (რომელიც ამ ტერიტორიაზე სულ რაღაც 1,6 კმ-ის სიგრძეზეა) სამეფოს დედაქალაქს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან აკავშირებს. ამიტომ სამხრეთ აფრიკელი რასისტები მთლიანად კონტროლს უწევენ სამეფოს ეკონომიკურ ცხოვრებას. ცხვრის მატყლი, ქურქი, ცოცხალი პირუტყვი, ალმასი გააქვთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. სამხრეთ აფრიკელ ფერმერებს ეკუთვნით საუკეთესო ალპური საძოვრები.

ლესოთოს პროგრესული ძალების ავანგარდში არის კომუნისტური პარტია (დაარსებულია 1962 წელს, 1970 წლიდან მოქმედებს არალეგალურ პირობებში). ამ პარტიას მხარს უჭერს მოსახლეობა. პარტია მოითხოვს აგრარულ რეფორმას, ეკონომიკის აღმავლობას, ყველა ქვეყანასთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებას.

ლიბერია

ლიბერიის რესპუბლიკა.
ფართობი — 111,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 1,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მონროვია (180 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

XIX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში წარმოიშვა მოძრაობა, რომლის მიზანი იყო ზანგების დაბრუნება წინაპართა მიწა-წყალზე, აფრიკაში. ამერიკის საკოლონიზაციო საზოგადოებამ გვინეის ყურის სანაპიროზე, იქ, სადაც ახლა ლიბერია მდებარეობს, ადგილობრივი ბელადებისაგან უმნიშვნელო ფასად იყიდა მიწის ნაკვეთები. ამ ნაკვეთებზე დაარსდა დასახლებანი. აშშ-დან ზანგების პირველ ჯგუფებს კვალდაკვალ მიჰყვნენ ახალი ჯგუფები. 1847 წლის 26 ივლისს ახალმოსახლეთა საბჭომ გამოაცხადა ლიბერიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. რესპუბლიკის გერბზე წარწერილია: „თავისუფლების სიყვარულმა მოგვიყვანა აქ“. მაგრამ თავისუფლების სიყვარული ამოძრავებს ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობასაც. საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ახალმოსახლეთა და ადგილობრივ ტომებს შორის შეტაკებები. შეუთანხმებლობა მათ შორის დღესაც საგრძნობია.

ლიბერიის კონსტიტუცია თითქმის პირია აშშ-ის კონსტიტუციისა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის კონგრესს, რომელიც შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური, აგრეთვე უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტია. ამ ქვეყანაში ერთადერთი პოლიტიკური პარტია — ჭეშმარიტი ვიგების პარტია — ხელისუფლების სათავეშია 1878 წლიდან. ეს ქვეყნის მმართველი ზედაფენის პარტიაა, ამერიკელ-ლიბერიელების პარტია (ასე უწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებს).

რესპუბლიკის დედაქალაქი — ქალაქი მონროვია ტიპური კაპიტალისტური ქალაქია, ლამაზი კოტეჯებით ცენტრში და ღარიბ-ღატაკთა კვარტალებით განაპირას.

ლიბერიის მოსახლეობა იყოფა ორ ჯგუფად — ამერიკელ-ლიბერიელებად (45 ათასამდე) და მკვიდრ მოსახლეობად. ლიბერიაში 30-მდე ტომია. ყველაზე მრავალრიცხოვანია კრუს ხალხი. ყველაზე უფრო განვითარებული ტომია ვაი, რომელსაც აქვს თავისი დამწერლობა და ლიტერატურა.

ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია. ჰავა ცხელი და ტენიანია. სანაპირო ზოლი მრავალი ლაგუნით დასერილი და ალაგ-ალაგ დაჭაობებული ვაკეა. აქ გვხვდება მანგროვიანი გაუვალი რაყები. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ხშირი მარადმწვანე ეკვატორული ტყეებით. ტყეში იზრდება კაუჩუკოვანი მცენარეები, წითელი, პალისანდრისა და სხვა ძვირფასი ჯიშის ხეები. აქ ბევრია მაიმუნი, გველი, სხვადასხვა სახის ფრინველი. ლეონო-ლიბერიის მაღლობის ფერდობებზე არის მაღალბალახოვანი სავანა ქოლგისებრი აკაციებისა და ბაობაბების ჭალებით. სავანაში შემორჩენილია ანტილოპებისა და გარეული ღორების კოლტები, გვხვდება კამეჩები, ჯიქები, სპილოები, ჟირაფები.

ლიბერია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანაა. უცხოურმა, კერძოდ, ამერიკულმა, კაპიტალმა ეკონომიკას ცალმხრივი ხასიათი მისცა. ლიბერიის მეურნეობის საფუძველია კაუჩუკის წარმოება და რკინის მადნის მოპოვება. რკინის მადნის მდიდარ საბადოებს ძირითადად უცხოეთის მონოპოლიები ამუშავებენ. ცნობილია რკინის მადნის დიდი მარაგი ნიმბის მთის რაიონში.



რკინის მადნის მოპოვება ბომი-ჰილსში.

მოსახლეობის დაახლოებით 90% სოფლად ცხოვრობს. მიწათმოქმედება წარმოებს ჩამორჩენილი მეთოდებით. მოჰყავთ სასურსათო კულტურები — ბრინჯი და მანიოკი. მაგრამ ქვეყანას არ ჰყოფნის სურსათი, რის გამოც დიდი ნაწილი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან. მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების პირობები მეტად მძიმეა: მცირე შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, ცუდი კვება, ცუდი საცხოვრებელი ბინები. მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია.

პატარა ლიბერიას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია სავაჭრო ფლოტის ტონაჟით, ვინაიდან მისი ალმით მრავალი გემი დადის, რომლებიც სინამდვილეში ამერიკელებს, ინგლისელებს და სხვა სახელმწიფოთა კომპანიებს ეკუთვნით. ეს იმით აიხსნება, რომ ლიბერიაში სარეგისტრაციო საზღაური და გემის მფლობელთა გადასახადები უფრო დაბალია, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ხოლო „ლიბერიის“ გემების მეზღვაურები მცირე ხელფასს იღებენ.

ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ზეგავლენით ლიბერიაშიც გაატარეს ღონისძიებანი ეკონომიკის აღმავლობის მიზნით. ამასთან ერთად ხმის უფლება მკვიდრმა მოსახლეობამაც მოიპოვა. 1980 წლამდე ძალაუფლება ერთადერთი პარტიის — ჰეშმარიტი ვიგების პარტიის ხელში იყო. 1980 წელს მოხდა სამხედრო გადატრიალება.

ლიბია

ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირია.
ფართობი — 1759,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ტრიპოლი (700 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — არაბული.

„უდაბნოების ქვეყანა“ — ჩვეულებრივ ასე უწოდებდნენ ამ ნაკლებად დასახლებულ სახელმწიფოს, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია უკავია, რომლის მეტ ნაწილზე მდებარეობს ლიბიის უდაბნო. ეს ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ადგილია დედამიწაზე, სადაც ტემპერატურა ხშირად იწევს +50°-მდე ჩრდილში. წვიმა ხანდახან მიწამდეც ვერ აღწევს, ჰაერშივე ორთქლდება. არის რაიონები, სადაც 10—15 წელიწადში ნალექი არ მოდის. ქვიშნარი დიუნებისა და ქვაღორღიანი რიყეების თვალუწვდენ ოკეანეში აქა-იქ თუ გამოჩნდება იშვიათი ოაზისები, რომლებსაც მხოლოდ საქარავნო ბილიკები აკავშირებს. მაგრამ XX საუკუნის 60-იან წლებში უდაბნოს ჩვეული სახე შესცვალა ნავთობმოპოვებითი მრეწველობის სწრაფად განვითარებამ. ჭაბურღილების კოშკები, ავტოსტრადები და ნავთობსადენები ლიბიის პეიზაჟის თავისებურებად იქცნენ.

ლიბიას პირველად ჩვენს ერამდე მრავალი საუკუნის წინ იხსენიებდნენ. ძველი ბერძნები ლიბიას უწოდებდნენ თითქმის მთელ ჩრდილოეთ აფრიკას, ერთ-ერთი დიდი და მეომარი ბერბერული ტომის სახელის მიხედვით, რომლებიც მაშინ ამ ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ. ლიბიელი მეომრები შეადგენდნენ კართაგენის სახმელეთო ჯარების საფუძველს, კართაგენისა, რომელიც მაშინ ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქი-სახელმწიფო იყო, განსაკუთრებით ჰანიბალის დროს. შუა საუკუნეებში ლიბია, როგორც მთელი ჩრდილოეთი აფრიკა, არაბებმა დაიპყრეს. ისინი თანდათანობით შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ლიბიაში თავისი კულტურა, ენა და სარწმუნოება გაავრცელეს. XVI საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ლიბიის ტერიტორია შედიოდა ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში. 1911 წელს ეს ქვეყანა იტალიელმა კოლონიზატორებმა ჩაიგდეს ხელში. მეორე მსოფლიო ომის წლებში ლიბია გააფთრე-



ბული ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა. ფაშისტთა ჯარები შეუპოვრად მიიწევდნენ უდაბნოს გავლით ინგლისელთა სამფლობელოებისაკენ ახლო-აღმოსავლეთში, სუეცის არხისაკენ. ათასობით სამარე, დამსხვრეული ტანკები და ზარბაზნები, რომლებიც კიდევ არის დარჩენილი სოფლებსა და ქალაქებში, დღემდე მოგვაგონებენ აქ მეორე მსოფლიო ომს.

ომის შემდეგ, ლიბიის, როგორც იტალიის ყოფილი კოლონიის, ბედი განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით 1951 წელს ლიბია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1969 წელს სახელმწიფოებრივი გადატრიალების შედეგად, რომელიც მოაწყვეს ლიბიის არმიის პატრიოტულად განწყობილმა ახალგაზრდა ოფიცრებმა, წინანდელი მონარქიული რეჟიმი დაემხო და ლიბია რესპუბლიკად გამოცხადდა.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საყოველთაო სახალხო კონგრესი. 1977 წლის მარტში კონგრესის სესიამ მიიღო დეკრეტი ლიბიაში „პირდაპირი სახალხო დემოკრატიის“ დამყარების შესახებ. დეკრეტის თანახმად, ხალხი სახელმწიფოს მართავს სახალხო კრებებისა და კომიტეტების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით. ამავე დროს ლიბიის არაბთა რესპუბლიკას ეწოდა ლიბიის არაბთა სახალხო სოციალისტური სახელმწიფო. კანონმდებლობის საფუძვლად გამოცხადდა ყურანი.

ტრიპოლი — ლიბიის დედაქალაქი.

ლიბიის მთავრობას — უმაღლეს სახალხო კომიტეტს — ირჩევს საყოველთაო სახალხო კონგრესის სესია. გამოცხადებულია მიზანი — სოციალისტური, პროგრესული ლიბიის შექმნა, რომელიც იბრძვის კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. მიღებულია ზომები მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეწყობა ფართო კომპანია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, შემოღებულია ბავშვთა სავალდებულო სწავლება 6-დან 15 წლამდე. საგარეო პოლიტიკის დარგში ლიბია ატარებს მიუმხრობლობის კურსს, აქტიურად მონაწილეობს არაბთა ბრძოლაში ისრაელის იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ.

ლიბიის ტერიტორიაზე ლიკვიდირებულია აშშ-ისა და ინგლისის სამხედრო ბაზები.

ლიბიის მთავრობამ მოახდინა უცხოეთის საწარმოებსა და ბანკებში, სადაზღვევო და სავაჭრო კომპანიებში უცხოელთა წილის ნაციონალიზაცია. ნავთობის მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლია დაწესებული. მოხდა უცხოელთა ნავთობის კომპანიების მთლიანი ან ნაწილობრივი ნაციონა-



ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია ნავთობის მოპოვებას. ს უ რ ა თ ზ ე: ნავთობის საბურღზე.

ლიზაცია. ფართოვდება ლიბიის ეროვნული ნავთობის კორპორაციის მოქმედების სფერო.

ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია ნავთობის მოპოვებას, რომლის მარაგი ლიბიის უდაბნოში მნიშვნელოვანია. ამ დარგის სწრაფი განვითარების შედეგად 60-იან წლებში ლიბია ნავთობის წამყვან ექსპორტიორთა რიგებში გამოვიდა.

ნავთობის ძირითადი საბადოები გვხვდება ზელტენისა და რაგუბის რაიონებში, აგრეთვე, ჰადამესის რაიონში. ყველაზე უფრო დიდი ნავთობის სარეწები ნავთობსადენებითა და ავტოსტრადებით დაკავშირებულია ამ ქვეყნის მთავარ ნავსადგურ მარსა-ელ-ბურეიკასა და სხვა ნავსადგურებთან. ზოგიერთ საბადოში ნავთობთან ერთად ხდება გაზის მოპოვება, რომლის გასათხევადებლად მარსა-ელ-ბურეიკის ნავსადგურში აგებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა. ნავთობის გადასამუშავებელი პატარა-პატარა ქარხნები მოქმედებს ზოგიერთ სანავსადგურო ქალაქშიც.

მრეწველობის დანარჩენი დარგები სუსტად არის განვითარებული. არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებელი, საშენი მასალების წარმოების, თამბაქოს, აზბესტის მილების, ცეცხლგამძლე პლასტმასების, ასანთის და საფეიქრო ფაბრიკები. ნაკლებპროდუქტიულია სოფლის მეურნეობა, სადაც ჩაბმულია მოსახლეობის დაახლოებით $^3/_4$ ნაწილი. ქვეყანას არ ყოფნის საკუთარი სურსათი. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის იღებენ სერიოზულ ღონისძიებებს. ითვისებენ უდაბნო და გვალვიან მიწებს, ქმნიან კოოპერატივებს.

სანაპირო ზონაში, სადაც მიწები ნაყოფიერი და ჰავაც რბილია, მოჰყავთ ქერი, ხორბალი, გაშენებულია ზეთისხილის ხე, ფინიკის პალმა, ციტრუსები. აგროვებენ ბალახ ალფას (ქაღალდის დასამზადებელი ნედლეული), რომელიც საზღვარგარეთ გააქვთ.

უდაბნოს მცხოვრებლებისათვის ერთ-ერთი ძირითადი საკვები პროდუქტია ფინიკი. იყენებენ ფინიკის კურკასაც: დაფქვილი და მომწვარი კურკა იაფფასიანი ყავის მაგივრობას სწევს. პალმის ფოთლებისაგან წნავენ კალათებს, ჭილოფებს, ამზადებენ ფეხსაცმელს. პალმის ხშირი ვარჯის ქვეშ, ჩვეულებრივ, ხარობს ხეხილი, ხოლო უფრო ქვემოთ, ორმაგი მწვანე ჩრდილის ქვეშ, მწიფდება მარცვლეული და პარკოსანი კულტურები, ბოსტნეული. ოაზისის მცხოვრებლები აფასებენ და უფრთხილდებიან პალმას. ისინი იტყვიან „მოვკლათ“ და არა „მოვჭრათ“ პალმა და ამას აკეთებენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. უდაბნოს მცხოვრებთა შეორე მარჩენალია აქლემი, რომელსაც იყენებენ როგორც სამუშაო ძალას, იძლევა რძესა (ლიბიური დრომედარი, ე. ი. ერთკუზიანი აქლემი დღეში ათ ლიტრ რძეს იწველის) და მატყლს.

ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის. საამისო სახსრებს იძლევა ნავთობი. მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებანია გათვალისწინებული მეტალურგიული მრეწველობის (ფოლადსამსხმელო კომპლექსი მისურატში), ტრანსპორტის, უწინარეს ყოვლისა, ავტოსაგზაო მშენებლობის განვითარებისათვის. არსებული საავტომობილო გზები (რკინიგზები თითქმის არ არის) არ არის საკმარისი ისეთი დიდი ქვეყნისათვის, როგორც ლიბიაა. 1974 წელს ამ გზების სიგრძე დაახლოებით 5000 კმ-ს შეადგენდა, აქედან 1882 კმ მოდის ავტოსტრადაზე, რომელიც სანაპიროს მიჰყვება ეგვიპტის საზღვრიდან ტუნისის საზღვრამდე.

ლიბიასა და სსრ კავშირს შორის ვითარდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა. საბჭოთა კავშირი 1972 წელს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, ლიბიას უწევს ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას.



მადაგასკარი

მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკა.
ფართობი — 596 ათასი კმ².
მოსახლეობა — 8,9 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ანტანანარივუ (500 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენები — მალაგასიური და ფრანგული.

მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკა მდებარეობს მადაგასკარის კუნძულზე, აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ამ მთაგორიან ქვეყანაში ცხელი და ტენიანი ჰავაა. სიმშრალე და სიგრილეა კუნძულის მხოლოდ ცენტრალურ რაიონებში. კუნძულზე მოსახლე მადაგასკარელები არ ჰგვანან აფრიკის კონტინენტის არც ერთ ხალხს. სახით, ენითა და კულტურით მათ ბევრი რამ აქვთ საერთო მალაიზიისა და ინდონეზიის ხალხებთან. გარდა ამისა, აქ ცხოვრობენ ფრანგები, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და ჩინეთიდან გადმოსახლებულნი, კომორელები, არაბები.

აფრიკულისაგან ძლიერ განსხვავდება მადაგასკარის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. აქ ხარობს ინდური იასამანი, ავსტრალიური კაზუარინა და მწვანე გრძელწიწვიანი ხე, რომელიც ფიჭვს ჰგავს, პალმა რაფია, რომელიც ქოქოსის პალმას ნოგვაგონებს. მხოლოდ მადაგასკარსა და გვიანაში (სამხრეთი ამერიკა) და ზოგიერთ კუნძულზე ხარობს „მოგზაურთა ხე“ — რავენალა. მადაგასკარის მცენარეულობის სახეობათა უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ამ კუნძულზე გვხვდება.

ოდესღაც მადაგასკარზე ბინადრობდნენ უზარმაზარი ფრინველები — ეპიორნისები, რომელთა სიმაღლე სამ მეტრამდე აღწევდა. ეპიორნისის კვერცხის ნაჭუჭში რვა ლიტრი სითხე ეტეოდა. სანაპიროზე ხშირად შეხვდებოდით გიგანტურ კუს, ტყეებში — ლემურებს, ან ნახევარმაიმუნებს, რომელთა სიმაღლე ადამიანისას უდრიდა. ეს არაჩვეულებრივი ცხოველები დიდი ხანია გადაშენდნენ. შემორჩნენ მხოლოდ გაცილებით უფრო პატარა ლემურები. ძალიან ბევრია არაჩვეულებრივად შეფერადებული ფრინველი — ლურჯი მტრედი, მწვანე თუთიყუში, ცისფერი გუგული, გულთეთრა ყვავი.

XV საუკუნის ბოლოს მადაგასკარზე უკვე რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა, მათგან ყველაზე ძლიერი იყო იმერინის სამეფო. ამ დროს მიეკუთვნება კუნძულზე ჰირველი ევროპელების გამოჩენაც. ესენი იყვნენ ინდოეთის გზის საძიებლად გამოსული პორტუგალიელები. XVIII საუკუნის შუა წლებიდან მადაგასკარი ინგლისისა და საფრანგეთის გაძლიერებული ქიშპობის ობიექტად გადაიქცა. ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ, ფეხი მოეკიდებინათ საზღვაო გზებზე კეთილი იმედის კონცხის გარშემო.

XIX საუკუნეში ევროპელი კოლონიზატორების მიერ კუნძულის დაპყრობის შიშით იმერინის მეფეებმა მადაგასკარის ყველა სახელმწიფო გააერთიანეს. იმერინმა დამოუკიდებლობა XIX საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა, წარმატებით უკუაგდო საფრანგეთისა და ინგლისის მრავალგზისი ცდები, დაემორჩილებინათ ეს კუნძული. მხოლოდ 1896 წელს საფრანგეთის ჯარებმა შეძლეს დაეპყროთ მადაგასკარი. კუნძული საფრანგეთის კოლონიად იქცა. კოლონიურმა ადმინისტრაციამ ყველა-

მადაგასკარზე საუკეთესო სარწყავი მინდვრები დათმობილი აქვს მთავარ სასურსათო კულტურას — ბრინჯს.

ზე. საუკეთესო მიწები ფრანგ ახალმოსახლეებსა და კაპიტალისტურ კომპანიებს გადასცა, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებული გახადეს პლანტაციებსა და მაღაროებში ემუშავათ.

მადაგასკარის ხალხი შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა განთავისუფლებისათვის, 1947 წლის მარტში კუნძულზე იფეთქა დიდმა სახალხო აჯანყებამ, რომელიც კოლონიზატორებმა გაუგონარი სიმკაცრით ჩაახშვეს. დაიღუპა დაახლოებით 100 ათასი აჯანყებული და მშვიდობიანი მცხოვრები. მაგრამ მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით საფრანგეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1958 წელს კოლონია გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკად, ხოლო 1960 წლის 26 ივნისს მადაგასკარი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. მაგრამ დამოუკიდებლობის მიღებას მადაგასკარზე თითქმის არაფერი არ შეუცვლია. ქვეყანა გაეხვია საფრანგეთთან „თანამშრომლობის“ კაბალურ შეთანხმებათა ქსელში. წინანდებურად ყველაფერს მართავდნენ ფრანგი მოხელეები, რომლებმაც მხოლოდ სახელწოდება შეიცვალეს — კოლონიური ადმინისტრატორების ნაცვლად „მრჩევლები“ ეწოდათ. მადაგასკარის ეკონომიკა კვლავ საფრანგეთის კაპიტალზე იყო მთლიანად დამოკიდებული. ხალხის მასების მდგომარეობა უარესდებოდა.

1972 წლის მაისში დედაქალაქის მშრომელთა და ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლების შედეგად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პატრიოტული მთავრობა, რომელსაც სამხედროები მეთაურობდნენ. 1975 წლის ივნისიდან ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდა უმაღლესი რევოლუციური საბჭო. ამ საბჭოს თავმჯდომარე სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურად ითვლება.

მადაგასკარზე რამდენიმე პარტია არსებობს, რომელთაგან მმართველი პარტია — მალაგასიის რევოლუციის ავანგარდი — გამოდის მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებიდან. მასთან ერთად რევოლუციის დაცვის ეროვნულ ფრონტში შედის კიდევ ხუთი პარტია: მადაგასკარის დამოუკიდებლობის კონგრესის პარტია, „მისწრაფება ეროვნული ერთიანობისაკენ“, სოციალისტური ეროვნული მოძრაობა მადაგასკარის დამოუკიდებლობისათვის, მადაგასკარის ქრისტიან დემოკრატთა კავშირი და „ხელისუფლება უბრალო ადამიანებს“. გადაწყვეტილია, რომ ექვსივე ეს პოლიტიკური ორგანიზაცია მომავალში შექმნის ერთიან პარტიას.

ახალმა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა ხალხის საკეთილდღეოდ: გააუქმა დემოკრატიულ თავისუფლებათა შეზღუდვა, გაადიდა მინიმალური ხელფასი, სახელმწიფო მონოპოლია დაამყარა ბრინჯით ვაჭრობაზე, გააუქმა ჯერ კიდევ კოლონიზატორების მიერ შემოღებული გადასახადი თითოეულ სულზე, რომლითაც ბეგრავდნენ ყოველი გლეხის ოჯახის წევრებსა და თვით ბავშვებსაც. გადაისინჯა საფრანგეთ-მადაგასკარის უთანასწორო ხელშეკრულებანი, ლიკვიდირებულ იქნა საფრანგეთის სამხედრო ბაზები.

რესპუბლიკა შეუდგა მეურნეობის გეგმიან განვითარებას. გათვალისწინებულია გზების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება, ეროვნული მრეწველობის საფუძვლების შექმნა. ფართოვდება სახელმწიფო სექტორი, დამყარდა კონტროლი ეკონომიკის მთავარი დარგებისადმი, რომლებიც წინათ უცხო კაპიტალს ეკუთვნოდა. 1975 წლის ბოლოს ხალხმა მოიწონა ფართო პოლიტიკური პროგრამა — სოციალისტური რევოლუციის ქარტია.

70-იანი წლების ბოლოს შემუშავებულია სოციალ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა — „ჰორიზონტი—2000“.

მადაგასკარი განვითარებადი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. სოფლის მეურნეობას მისდევს მოსახლეობის 80 პროცენტი. ძირითადი სასურსათო კულტურა — ბრინჯი — მოჰყავთ აღმოსავლეთ სანაპიროს დაჭაობებულ მიწებზე და ცენტრალური ზეგნის სარწყავ მინდვრებში. გარდა ამისა, მო-

ჰყავთ მანიოკი, ბატატი, იამსი, სიმინდი, შაქრის ლერწამი, ბამბა, ყავა, მიხაკის ხე, ვანილი.

ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი დარგია სახორცე მეცხოველეობა, რომელსაც მისდევენ გვალვიან დასავლეთ სანაპიროზე. მოშენებული ჰყავთ კუზიანი ხარი ზებუ, დუმიანი ცხვარი.

ვითარდება მსუბუქი მრეწველობა, არის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოები და მსხვილი სამრეწველო საწარმოები — ნავთობსახდელი ქარხანა ტამატავაში (შემოტანილი ნავთობით), ავტომობილების ასაწყობი ორი ხაზი ანტანანარივუში, ცემენტის ქარხანა. ვითარდება სამთომოპოვებითი მრეწველობა. მუშავდება გრაფიტის უმდიდრესი საბადოები, რომლის ექსპორტით რესპუბლიკას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ამოაქვთ ქარსი, ქრომიტები, ურანის მადანი, იშვიათი ლითონები.

რესპუბლიკას გააქვს ყავა, მიხაკი და მიხაკის ზეთი, ვანილის მსოფლიო ექსპორტის ნახევარი, ხორცი და ხორცის კონსერვები, თევზი, ნავთობპროდუქტები; შემოაქვს მანქანები, ნავთობი, ფართო მოხმარების საქონელი.

უმნიშვნელოვანესი საზღვაო ნავსადგურებია: ტამატავე, დიეგო-სუარესი, მაძუნგა. ტრანსპორტი სუსტად არის განვითარებული. არის რამდენიმე რკინიგზა 864 კმ საერთო სიგრძით. გზატკეცილების სიგრძე 3500 კმ-ია.

საგარეო პოლიტიკაში მადაგასკარის მთავრობა ემხრობა თანასწორუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყანასთან, მხარს უჭერს აფრიკის ხალხთა სამართლიან ბრძოლას კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მავრიკი

მავრიკის სახელმწიფო.
ფართობი — 2045 კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 942 ათასი კაცი.
დედაქალაქი — პორტ-ლუი (141 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

მავრიკი მსოფლიოს ერთ-ერთი ახალგაზრდა სახელმწიფოა. მისი დაბადების თარიღია 1968 წლის



12 მარტი. სუვერენული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი საკანონმდებლო კრება. მავრიკი შედის დიდი ბრიტანეთის მეთაურობით არსებულ თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურად ნომინალურად ითვლება ინგლისის დედოფალი, რომლის წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი.

მავრიკიში მრავალპარტიული ბურჟუაზიული სისტემაა. აქ მოქმედებენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: ლეიბორისტული, სოციალ-დემოკრატიული, მოქმედებს მუსლიმანური კომიტეტი, მავრიკიელთა საბრძოლო მოძრაობა.

კუნძული მავრიკი დიდი ხანია ცნობილია არაბი და მალაელი ზღვაოსნებისათვის, იგი პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს XVI საუკუნის დასაწყისში, ხოლო ამის შემდეგ ისევ 1598 წელს ჰოლანდიელებმა; კუნძულს სახელი უწოდეს თავისი მხედართმთავრის მორიც ორანელის პატივსაცემად. კუნძულის დასახლება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა აქ გამეფდა საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია. ფრანგი კოლონიზატორების კვალდაკვალ მათს მინდვრებში სამუშაოდ მოჰყავდათ მონები აფრიკის აღმოსავლეთი სანაპიროდან და მადაგასკარიდან. ამ პირველი მოსახლეების შთამომავლები შერეული წარმომავლობისანი არიან (რომლებსაც აქ კრეოლებს უწოდებენ), ახლა შეადგენენ მავრიკიელთა 28%-ს.

ინგლისის მიერ კუნძულის დაპყრობამ (1810) სრულებითაც ვერ შეცვალა მონათმფლობელური წესები, მაგრამ დააჩქარა კუნძულის გადაქცევა „შაქრის“ პროვინციად და სამხედრო ფორპოსტად ინდოეთის ოკეანეში. მოწობის ოფიციალურად აკრძალვის შემდეგ მავრიკიში სამუშაოდ მიჰყავ-

შაქრის ლერწამმა მავრიკიში შეავიწროვა ბაობაბებიც კი და ადგილობრივი პეიზაჟის წარმოდგენა უკვე შეუძლებელია ლერწმის პლანტაციების გარეშე.

დათ ინდოელი ღარიბები. ახლა მავრიკიელთა შორის $^2/_3$ ინდოეთიდან გადმოსულია. კუნძულზე შეიქმნა მცირე ჩინური ფენაც (3%).

მავრიკიელები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ. ოფიციალური ინგლისური და მასთან გათანაბრებული ფრანგული ენის გარდა აქ შეიძლება მოისმინოთ ლაპარაკი ჰინდის, ურდუს, ინდოეთის სუბკონტინენტის მრავალ სხვა ენაზე, ჩინურ ენაზე. მაგრამ ყველაზე ხშირად ლაპარაკობენ ადგილობრივ კრეოლურ კილოზე, რომელიც ფრანგული ენის საფუძველზე წარმოიშვა.

კოლონიზატორები ცდილობდნენ სამუდამოდ დაემკვიდრებინათ თავიანთი ბატონობა და ამ მიზნით განზრახ თესავდნენ შუღლსა და გათიშულობას ცალკეულ ეროვნულ ჯგუფებს შორის. მაგრამ განთავისუფლებისათვის ბრძოლამ მჭიდროდ შეაკავშირა მავრიკის მოწინავე ძალები და დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა დამოუკიდებლობა მიენიჭებინა კუნძულისათვის.

კოლონიურმა წარსულმა მემკვიდრეობად დატოვა მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა. შაქარი (წლიურად 800 ათას ტონამდე) და შაქრის ლერწმის გადამუშავების პროდუქტები წინანდებურად შეადგენენ კუნძულის ექსპორტის 90%-ზე მეტს, ამავე დროს, თითქმის მთელი ბრინჯი — ძირითადი საკვები პროდუქტი, იძულებული არიან, შემოიტანონ. არსებითად, მავრიკის მთელ ეკონომიკას კონტროლს უწევს ორი ათეული დიდი მემამულე, რომლებსაც შაქრის საკუთარი ქარხნები აქვთ. მიწების უკმარისობამ, მრეწველობის სხვა დარგების განუვითარებლობამ უმუშევრობა წარმოშვა.

მთავრობა ცდილობს ეკონომიკას უფრო მრავალმხრივი ხასიათი მისცეს. დიდდება ჩაის, ალოეს ბოჭკოს (სატომრე ქსოვილის დასამზადებლად), თამბაქოს, კოჭას, სასურსათო კულტურების წარმოება. მთავრობა კარგ პირობებს ქმნის ისეთი საწარმოების შექმნისათვის, რომელთა პროდუქცია საშუალებას იძლევა შემცირდეს საკვები პროდუქტების იმპორტი ან გადიდდეს მავრიკის საექსპორტო შესაძლებლობანი. მაგალითად, მოგვარდა ხელოვნური ლალის გამოშვება საათის მრეწველობისათვის, ოპტიკისათვის, ხელსაწყოებისათვის. მავრიკის გარშემო წყლები მდიდარია თევზით, ხოლო სანაპირო მეჩეჩები — ხამანწკით. მაგრამ მავრიკიელები ჯერჯერობით არ მისდევენ მსხვილ სამრეწველო თევზჭერას.

მავრიკის კუნძული (1865 კვ. კმ) შედის მასკარენის კუნძულების ჯგუფში, რომლებიც ვულკანური წარმოშობისანი არიან. ნაპირებს თითქმის ერთიან რგოლად შემორტყმია მარჯნის რიფები. აქ კუნძულის ერთადერთი საოკეანო ნავსადგური დედაქალაქია. კუნძული მდებარეობს ზომიერი ტროპიკული ჰავის ზონაში, მუსონებს უხვად მოაქვთ ტენი, მაგრამ ციკლონებიც ხშირია. სწრაფი მდინარეები კუნძულს აძლევენ საჭირო ელექტროენერგიის დიდ ნაწილს. წარსულში მშვენიერმა ტროპიკულმა ტყეებმა, სადაც ძვირფასი ჯიშის ხეები ხარობდა, ადგილი დაუთმეს შაქრის ლერწამს და მხოლოდ პატარ-პატარა კოროშების სახით შემორჩა. კუნძულის სილამაზე წლითიწლობით სულ უფრო მეტ ტურისტს იზიდავს.

სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის კიდევ ერთი შედარებით დიდი კუნძული როდრიგესი (ფართობი 111 კვ. კმ., მოსახლეობა — 26 ათასი კაცი), რომელიც მასკარენის კუნძულების ჯგუფს მიეკუთვნება. გარდა ამისა, მავრიკის ეკუთვნის ორი მარჯნის არქიპელაგი, რომლებიც ჩრდილოეთით მდებარეობენ, — აგალევა, მცირე მუდმივი მოსახლეობით, და კარგადოს-ქარაქოსი. დამოუკიდებლობის მიღებამდე მავრიკის ეკუთვნოდა ჩაგოსის არქიპელაგიც, მაგრამ ეს კუნძულები ინგლისმა შეიყვანა კოლონიის — „ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში“ — შემადგენლობაში და აშშ ნება დართო შეექმნა დიდი სამხედრო ბაზა დიეგოგარსიას ატოლზე.

მავრიკის მთავრობა ახორციელებს მიუმხრობლობისა და ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას.

მავრიტანია

მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა.
ფართობი — 1031 ათასი კმ².
მოსახლეობა — 1,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ნუაკშოტი (დაახლოებით 135 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — არაბული.

დასავლეთ აფრიკის უდაბნოს სივრცეებში გადაჭიმულია ნაკლებადდასახლებული ქვეყანა — მავრიტანია. ყველგან ღორღიანი, მცხუნვარე მზით გავარვარებული სივრცეები ან ქვიშნარი დიუნებია. ქვეყნის მხოლოდ სამხრეთ საზღვრებზე, მდინარე სენეგალის ნაპირებზე, ნახავთ ხშირ, მარადმწვანე მცენარეულობას. რაყებში ბინადრობენ ველური ფრინველები და ცხოველები.

მავრიტანიის მცხოვრებთა უმრავლესობა ბერბერულ-არაბული წარმოშობისაა. ევროპაში არაბებსა და ბერბერებს მავრებს უწოდებენ, საიდანაც წარმოიშვა ქვეყნის სახელწოდება. მდინარე სენეგალის ხეობაში ცხოვრობენ ნეგროიდული ხალხები. მავრიტანელები მისდევენ უმთავრესად მომთაბარე მესაქონლეობას, ცხოვრობენ ტომებად. თითოეული იყოფა ორ წოდებად: მაღალი — მეომრები და მარაბუტები (ასე უწოდებდნენ სასულიერო წოდების ხალხს და მწიგნობრებს) და დაბალი — უბრალო მეჯოგეები, ხელოსნები. ქვეყნის სიმდიდრეა მილიონობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, დრომედარი (ერთკუზიანი აქლემი). თითოეული მომთაბარე მრავალ ასობით კილომეტრს გადის უდაბნოში, მიერეკება ცხვარს, ზებუ ხარებს, თხას, აქლემებს. მავრიტანიაში კი უდაბნოს ტერიტორიის მეტი ნაწილი უკავია, გვალვა ხშირია. მაგრამ 1972—73 წლები განსაკუთრებით მძიმე იყო: მთელი პირუტყვის ორი მესამედი დაიღუპა.

ბინადარი მოსახლეობა ცხოვრობს ძირითადად მდინარე სენეგალის ნაყოფიერ ხეობაში, გლეხებს მოჰყავთ არაქისი, ფეტვი, ბრინჯი, ფინიკის პალმა.



მრავალი ქვეყნის ათასობით მეთევზეთა დიდი და პატარა გემები დაცურავენ მავრიტანიის სანაპიროსთან, ატლანტის ოკეანის წყლებში. ეს რაიონი ცნობილია თევზის უდიდესი მარაგით.

რესპუბლიკაში მრეწველობა ახლად იწყებს განვითარებას. მრეწველობის მთავარი დარგია სამთომოპოვებითი მრეწველობა. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქ იჯილის მახლობლად მუშავდება რკინის მადნის უმდიდრესი საბადოები, რომლის მოპოვებითაც ამ ქვეყანას აფრიკაში მეორე ადგი-



მავრიტანიაში ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, კერძოდ, სპილენძის მოპოვება. ს უ რ ა თ ზ ე: სპილენძის მადნეულის ღია კარიერი ქალაქ აქჟუჟტის მახლობლად.



მავრიტანიის დედაქალაქი — ნუაკშოტი — სულ ახალგაზრდა ქალაქია, იგი თვით რესპუბლიკაზე ერთი წლით უფროსია.

ლი უკავია. ქალაქ აკჟუჟტის მახლობლად მიმდინარეობს სპილენძის მდიდარი საბადოების დამუშავება. ორივე საწარმო ნაციონალიზებულია. მადნების ექსპორტი შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. უხვად დაჭერილი თევზისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადასამუშავებლად მავრიტანიაში აშენებულია და შენდება თევზისა და ხორცის კონსერვების ქარხნები. მავრიტანიიდან ოდითგანვე გაჰქონდათ გუმფისი — ზოგიერთი ხის სქელი წვენი, რომელსაც იყენებენ წამლებისა და საღებავების დასამზადებლად.

მავრიტანიის დედაქალაქი — ნუაკშოტი — აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია. იგი 1957 წელს წარმოიშვა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, პატარა სოფლის ადგილას. ქალაქი სწრაფად იზრდება. 15 წლის მანძილზე ამ ქალაქის მოსახლეობა ათჯერ უფრო მეტად გაიზარდა. ქვეყნის ურთულესი ამოცანაა სამიმოსვლო გზები. აქ ერთადერთი გზატკეცილი გადის. ტრანსპორტის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა თვითმფრინავი. გათვალისწინებულია გზების მშენებლობა, რომლებიც დედაქალაქს დაშორებულ რაიონებთან დააკავშირებს.

მავრიტანიის ისტორია შორეულ წარსულში იწყება. IX საუკუნეში აფრიკის ამ ნაწილში წარმოიშვა აუდაგოსტის სახელმწიფო, რომელიც არაბბერბერებმა შექმნეს. მავრიტანიაში პირველი ევროპელები პორტუგალიელი მონებით მოვაჭრენი და სოვდაგრები იყვნენ. ისინი აქ გამოჩნდნენ XV საუკუნეში, კუნძულ არგენზე ააგეს ციხესიმაგრე და აქედან დაიწყეს თავდასხმები კონტინენტზე, ტყვედ მიჰყავდათ ადგილობრივი მცხოვრებნი. XX საუკუნის დასაწყისში ახლანდელი მავრიტანიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ ფრანგი კოლონიზატორები, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყნის დამონებას. დამოუკიდებლობის დასაცავად აღდგა მთელი ხალხი. კოლონიზატორები ზედიზედ აგზავნიდნენ დამსჯელ ექსპედიციებს. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მავრიტანია მთლიანად დაიპყრეს და შეიყვანეს საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის შემადგენლობაში. 1960 წელს მავრიტანია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

1976 წელს მავრიტანიის ჯარები შეიჭრნენ მეზობელ დასავლეთ საჰარაში, მაგრამ 1978 და 1979 წლის გადატრიალებათა შედეგად საომარი მოქმედება შეწყდა. 1979 წელს საკანონმდებლო ძალაუფლება სახელმწიფოში გადავიდა ეროვნული ხსნის სამხედრო კომიტეტის ხელში, რომელმაც პირველი რიგის ამოცანად ჩათვალა მშვიდობის დამყარება ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში.

1980 წლის დასაწყისში მოხდა ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია, რაც მიზნად ისახავდა პოლიტიკური სტრუქტურის რეორგანიზაციას „ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეკონსტრუქციისა და მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით“.

მალავი

მალავის რესპუბლიკა.
ფართობი — 125 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 5,31 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლილონგვე (103 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — ინგლისური და ჩინიანჯა.



ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ტბის ნიასას, ანუ მალავის, დასავლეთით და სამხრეთით მდებარეობს, ოდითგანვე ცხოვრობენ ტომები, რომლებიც ეკუთვნიან აღმოსავლეთ ბანტუს (ძირითადად მალავში) ენობრივ ჯგუფს.

XV საუკუნის დასასრულს აქ შეიქმნა დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება. მოგვიანებით აქ სამხრეთ აფრიკიდან გადმოსახლდნენ ანგონის ტომები, ხოლო XIX საუკუნის შუა ხანებში — იაოს ტომები. 1859—1863 წლებში ინგლისელმა მოგზაურმა დ. ლივინგსტონმა გამოიკვლია ეს რაიონი. ამის შემდეგ აქეთკენ გამოსწიეს ევროპელებმა, უმთავრესად ინგლისელებმა და პორტუგალიელებმა. 1891 წელს ინგლისმა ეს ტერიტორია თავის კოლონიურ იმპერიაში შეიყვანა ნიასალენდის პროტექტორატის სახით. გრძელი და მძიმე იყო გზა მალავის დამოუკიდებლობისაკენ. უკვე XIX საუკუნის დასასრულიდან მოსახლეობა იარაღით ხელში არაერთხელ გამოსულა ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. 1915 წელს ამ ქვეყნის სამხრეთ პროვინციაში იფეთქა სამხედრო აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეროვნული გმირი ჯონ ჩილემბვე.

XX საუკუნის 40—50-იან წლებში უფრო გაძლიერდა და ორგანიზებული ხასიათი მიიღო ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოსვლები მოხდა 1959 წელს. კოლონიური ხელისუფლები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს, მაგრამ ვერ გატეხეს ხალხის ნება, მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. 1963 წლის თებერვალში ნიასალენდის ხალხმა საშინაო თვითმმართველობა მოიპოვა, ხოლო 1966 წლის ივლისიდან ეს ქვეყანა გადაიქცა მალავის რესპუბლიკად, რომელიც შედის თანამეგობრობაში დიდი ბრიტანეთის მეთაურობით.

აქ დამყარდა მკაცრი ერთპიროვნული დიქტატურა. ერთადერთი პარტიის — მალავის კონგრესის — მუდმივი თავმჯდომარე, ამავე დროს, ქვეყნის მუდმივი პრეზიდენტიცაა.

მალავის დიდი ქალაქებია: ბლანტაირ-ლიმბე (საერთაშორისო აეროპორტით), მზიმბა, სალიმა, ზომბა — 1975 წლამდე რესპუბლიკის დედაქალაქი.

მალავის თითქმის მთელი აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ, 580 კმ-ზე გადაჭიმულია ტბა ნიასა (დიდი წყალი), რომელიც ზღვის დონიდან 472 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ტბიდან იწყება მდინარე შირე — ზამბეზის შენაკადი. მალავის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის დიდი ტბა ჩილვა.

ქვეყანას გარს ერტყმის მაღლობები: სამხრეთიდან — მთის მასივი საპიტვა (სიმაღლე 3000 მ), ჩრდილო-დასავლეთიდან — ნიკის პლატო (სიმაღლე 2542 მ-მდე). ჰავა ეკვატორულ-მუსონურია ერთი წვიმიანი სეზონით ნოემბრიდან მარტამდე.

ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია აკაციებიან და ბაობაბებიან სავანას. ტყით დაფარულია მალავის ფართობის დაახლოებით 20%. ჩილვის ტბის ნაპირებზე ძნელად სავლელი ჭაობიანი ბარდებია. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. აქ ბინადრობენ: სპილოები, კამეჩები, ჟირაფები, ზებრები, ლომები, ჯიქები, სხვადასხვა სახის ანტილოპები. ნიასას ტბაზე განვითარებულია თევზის რეწვა.

სოფლელი ქალები ასე ფქვავენ სიმინდის მარცვალს. უფროსი ბავშვები შველიან დედებს.

მალავის წიაღი სუსტად არის შესწავლილი. მუშავდება რკინის მადნების, მარილისა და კიანიტის (იხმარება ცეცხლგამძლე მასალების წარმოებაში) საბადოები. არის ოქროს, ბოქსიტების, ქვანახშირის, აზბესტის, გრაფიტის, იშვიათი და ფერადი ლითონების საბადოები.

XIX საუკუნის დასასრულიდან მალავიში საექსპორტოდ მოჰყავთ ჩაი. მეორე მნიშვნელოვანი საექსპორტო კულტურაა თამბაქო. გარდა ამისა, გააქვთ ტუნგოს ზეთი, არაქისი, ბამბა. საშინაო მოხმარებისათვის მალავიში მოჰყავთ მანიოკი, სორგო, კარტოფილი, პარკოსნები, სიმინდი და ბრინჯი.

შინაური ცხოველის სულადობა დიდი არ არის, რადგანაც გავრცელებულია ბუზი ცეცე.

მალავის მრეწველობა უმნიშვნელოა: ბამბის საწმენდი, ჩაის ფოთლის დამმუშავებელი, საკონსერვო, შაქრის, ცემენტის, საპნის სახარში, საქსოვი და სამკერვალო საწარმოები. რკინიგზის ხაზის სიგრძეა 645 კმ.

მალავის მთავრობა თანამშრომლობს ინგლისთან, აშშ-სა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან. უპირატესობას აძლევს უცხოეთის კაპიტალდაბანდებებს.

ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სამუშაოს საძებნელად ყოველწლიურად მიემგზავრება დაახლოებით 250 ათასი მალავიელი.

მალი

მალის რესპუბლიკა.
ფართობი — 1204 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6,3 მლნ.
დედაქალაქი — ბამაკო (დაახლ. 420 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ფრანგული.

მალი დასავლეთ აფრიკაში მდებარეობს. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოს უკავია. უკიდეგანო ქვიშის დიუნებს ცვლიან შიშველი ქვაღორღიანი სივრცეები, სადაც ვერ შეხვდებით ვერც წყალს, ვერც მცენარეულობას. ეს რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია. აქედან ზამთრის თვეებში უბერავს ცხელი ქარი ჰარმატანი — საჰარის ხორშაკიანი სუნთქვა. ქარს მოაქვს უწვრილესი ქვიშა, რომელიც მგზავრებსა და ცხოველებს უვსებს ცხვირს, ყელს, თვალებს. სამხრეთ-დასავლეთით უდაბნოს თანდათანობით ცვლის წვიმების სეზონში ამწვანებული სტეპები — სავანები და მეჩხერი ტყე. მაღალ ბალახში იმალებიან ანტილოპები და ჯიქები. ზოგჯერ სავანაზე გაისმის ლომის მრისხანე ბრდღვინვა-ღრიალი.

რესპუბლიკის დედაქალაქი — ქალაქი ბამაკო — მდებარეობს აფრიკაში ერთ-ერთი უდიდესი მდი-





მალის დედაქალაქი ბამაკო. ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.



მალის ერთ-ერთი ტომის რიტუალური ცეკვა.

ნარის ნიგერის ნაპირას. პალმების ხშირი ვარჯები მწვანე კარვად გადაფენია ქალაქის ქუჩებს, მაგრამ მათაც არ შეუძლიათ პაპანაქების შესუსტება (სიცხე +44°-მდე აღწევს). ამიტომ ყველაზე ცხელ საათებში ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდება. თუ ბამაკოდან ქვევით ნიგერს გავყვებით, მივადგებით ქალაქ ტომბუქტუს. უდაბნოს შუაგულში ეს პატარა ქალაქი რამდენიმე საუკუნის წინ გაცხოველებული სავაჭრო ცენტრი იყო, სადაც ქარავნები მიემართებოდნენ დასავლეთი აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან. აქ იყო უნივერსიტეტი, ცხოვრობდნენ მეცნიერები და მწერლები. მაგრამ მოგვიანებით, როცა ფრანგი დამპყრობლები მოვიდნენ, ქალაქი დაეცა.

მალიში ბევრი ეროვნებაა. მათგან ყველაზე ბევრია ბამბარა, სენუფო, დიულა, ტუარეგი, ფულბე. ამ ეროვნებათა შორის ბევრია საერთო. მალიელები, როგორც წესი, მაღალნი და ტანადნი, სალმიანები არიან. აცვიათ ტანსაცმელი, რომელსაც შეხვდებით დასავლეთ აფრიკის ბევრ ქვეყანაში — განიერი, ღია ფერის შუაზე გადაკეცილი ტილო.

მალიელთა ძირითადი მოსაქმეობაა მეჯოგეობა. მოშენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი: ცხვარი, თხა, აქლემი, ვირი. მძიმეა მომთაბარე მესაქონლის შრომა. გვალვების პერიოდში მცხუნვარე მზე გადაბუგავს ბალახს, აშრობს მდინარეებს, ამიტომ იძულებული არიან მუდამ ეძიონ ახალი საძოვრები და პირუტყვის დასარწყულებელი ადგილები.

მრავალი საუკუნის წინათ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობდა მალის მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც XV საუკუნეში დიდ აყვავებას მიაღწია. მერე დაიწყო დაცემა, რაც გამოიწვია არაბთა შემოსევამ ჩრდილოეთიდან. რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა მალის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდი. XIX საუკუნის ბოლოს ქვეყანაში ფრანგი კოლონიზატორები შეიჭრნენ. ამ ქვეყანას მათ საფრანგეთის სუდანი დაარქვეს და საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1959 წლის დასაწყისში სუდანმა და სენეგალმა გამოაცხადეს მალის ფედერაციის შექმნა. 1960 წლის ივნისში გამოცხადდა ფედერაციის დამოუკიდებლობა. მაგრამ ფრანგი კოლონიზატორები დაინტერესებულნი არ იყვნენ აფრიკის ხალხთა ერთობით და მალე მიაღწიეს სენეგალის გასვლას ფედერაციიდან. ყოფილმა საფრანგეთის სუდანმა მიიღო მალის რესპუბლიკის სახელი, რომელიც გამოცხადდა 1960 წლის 22 ოქტომბერს. 1968 წელს შეიქმნა ეროვნული გათავისუფლების სამ-



ქალაქი ტომბუქტუ დაარსებული იქნა XI საუკუნეში, აფრიკის საქარავნო გზაჯვარედინზე. სურათზე: ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა — XIV საუკუნის მეჩეთი.

ხედრო კომიტეტი (ეგსკ), რომელსაც ეკუთვნოდა მთელი ძალა-უფლება. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს ასრულებს ეგსკ-ს თავმჯდომარე. 1979 წელს შეიქმნა ერთადერთი პარტია — მალის ხალხის დემოკრატიული კავშირი, რომლის გენერალური მდივანიც არჩეული იყო ქვეყნის პრეზიდენტად.

კოლონიზატორებმა მალის რესპუბლიკას მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვეს: საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, სიღატაკე, უწიგნურობა. ახალი ცხოვრების მშენებლობაში მალის ხალხის წინაშე ბევრი სიძნელე წამოიჭრა — ქვეყანაში არ იყო მრეწველობა, სოფლის მეურნეობაში იყენებდნენ პრიმიტიულ იარაღებს, არ ჰყავდათ სპეციალისტები.

მარილის ქალაქები

მალის რესპუბლიკის ფარგლებში მდინარე ნიგერის ნაპირზე აღმართულია ქალაქი მოპტი მის ცენტრშია დიდი მეჩეთი რაკეტისებური მინარეთებით. მაგრამ ქალაქი ღირსშესანიშნავია არა არქიტექტურით, არამედ სამდინარო ნავსადგურითა და ბაზრით: მოპტში მოაქვთ საქონელი უდაბნოდან და უდაბნოში მოპტი აგზავნის სავანის პროდუქციას. ნაპირთან დგას ორგემბანიანი პირაგუა (ნავი), რომლის გარშემო მტვირთავები ფუსფუსებენ. ისინი ზურგზე იწყობენ თხელ მეტრიან მქრქალ-მონაცრისფრო ფილებს, ხელებით იკავებენ ქვემოდან და ასე ეზიდებიან ზემოთ. ნაპირზე ფილებს ურმებზე აწყობენ და ბეღლებში მიაქვთ.

ჩვენ ალბათ ვერასოდეს ვერ გავიგებთ, რა ეწოდებოდა მარილის იმ საბაღოებს, რომლებიც შუა საუკუნეთა ქალაქ აუდაგოსტს მარილით ამარაგებდნენ. მაგრამ აი, ამ მქრქალ-მონაცრისფრო ფილების გარეშე აუდაგოსტი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა თავის სიძლიერესა და დიდებას. მარილი მომთაბარეებს მოჰქონდათ უდაბნოს სიღრმიდან, აუდაგოსტში ეწყობოდა ქარავნები, ფილებით ტვირთავდნენ აქლემებს და ქარავნები სამხრეთისაკენ მიემართებოდნენ. იქ მარილზე ცვლიდნენ მონებს, მარილისთვის ოქროს ქვიშასა და მარცვალს იძლეოდნენ.

აუდაგოსტის დაღუპვასთან ერთად არსებობა შეწყვიტეს მარილის მაღაროებმა, რომლებიც ამ ქალაქს მარილს აწვდიდნენ. მაგრამ გაჩნდა ახალი—ტაუდენის მაღაროები.

მარილი კვებავდა უდაბნოთა ქალაქებს. ხელს უწყობდა ახალი ქალაქების გაჩენას. მარილით ვაჭრობამ უფრო მეტ ხანს გაძლო, ვიდრე ამჟამად უკვე გამქრალმა ბევრმა ქალაქმა. მან მალისა და განას შუა საუკუნეოა იმპერიებზე მეტ ხანსაც იარსება. ახლა მარილისთვის არავინ იძლევა ოქროს ქვიშას და, მით უმეტეს, მონებს. მაგრამ ყოველი წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე საპარის მარილით დატვირთული აქლემთა ქარავნები კვლავ მიემართებიან სამხრეთისაკენ, ნიგერისაკენ.

საპარის მარილს წინანდებურად მაღალი ფასი აქვს სავანის მკვიდრებლებისათვის, ხოლო საპარის მოსახლეობას კვლავინდებურად სჭირდება მარცვალი.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მალიელებმა შექმნეს იმაზე მეტი რამ, რაც კოლონიზატორებმა თავიანთი ბატონობის მთელი ხნის მანძილზე. ნიგერის ხეობაში გადაიჭიმა ბრინჯისა და ბამბის ფართო მინდვრები, რომლებიც ეკუთვნიან დასავლეთ აფრიკაში უდიდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ოფის დიუ ნიჟერს“. ქვეყანაში ყალიბდება კოოპერატივები. საფუძველი ეყრება მრეწველობას.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, აგრეთვე, ჯანმრთელობის დასაცავად.

მალის ხალხს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა გეოლოგებმა აღმოაჩინეს რკინის მადნის, ბოქსიტების, ოქროს, ცემენტის ნედლეულის საბადოები. საბჭოთა ადამიანების ძმური დახმარებით მალიში აშენდა ცემენტის ქარხანა, გაიხსნა ახალი სასწავლებლები, მზადდება კვალიფიციური სპეციალისტები: შემდუღებლები, ხარატები, მღარავები, ზეინკლები. რესპუბლიკის მინდვრებზე მუშაობენ საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილი მანქანები.

მაროკო

მაროკოს სამეფო.
ფართობი — 446,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 18,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — რაბათი (679 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — არაბული.

მაროკოს აფრიკის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთი უკავია. ამ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი მიემართება ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ, ხოლო დასავლეთ საზღვრებს ეკვრის ატლანტის ოკეანე. ქვეყნის მოსახლეობის 98%-ზე მეტი არაბები და ბერბერებია. უცხოელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია ფრანგები (დაახლოებით 50 ათასი კაცი), ესპანელები, ალჟირელები.

მაროკოს ჩრდილოეთით არის ერ-რიფის მთები, ცენტრში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართებიან მთაგრეხილები: შუა ატლასი, მაღალი ატლასი და ანტიატლასი. შუა ატლასი ერ-რიფის მთებისაგან გამოყოფილია ტაზის დერეფნით, რომელიც მრავალი ათასწლეულის მანძილზე საქარავნო გზა იყო. ახლა აქ გადის გზატკეცილი და რკინიგზა, რომლებიც მაროკოს ალჟირთან აკავშირებენ. ყველაზე მაღალი მწვერვალია ტუბკალი (4165 მ). ატლანტის ოკეანესა და მთებს შორის მდებარეობს ფართო ვაკე, რომელიც პატარ-პატარა მაღლობებით არის გადაკვეთილი. ეს სოფლის მეურნეობის ძირითადი რაიონია. აღმოსავლეთი და სამხრეთი პლატოები თანდათანობით გადადიან საჰარის უდაბნოში.



მაროკოში ხმელთაშუა ზღვის ტიპის ზომიერად თბილი ჰავაა. სანაპიროზე ზამთარი თბილია, ხოლო მთებსა და პლატოებზე სუსხიანი. ცივი სეზონი წვიმიან პერიოდს ემთხვევა (ნოემბერ—მარტი). ზამთრის პერიოდში იცის თბილი მზიანი დღეები, როცა შეიძლება იბანაო ოკეანეში, ხოლო ავტომანქანით ორი-სამი საათის სიარულის შემდეგ შეგიძლიათ მიაღწიოთ ქალაქ იფრანის რაიონს და იქ თხილამურებით ისრიალოთ.

ზაფხული შედარებით მშრალია. ყველაზე დიდი რაოდენობის ნალექები მოდის ჩრდილოეთ და სანაპირო რაიონებში, დაახლოებით 1000 მმ, ხოლო საჰარის მახლობელ რაიონებში — 200 მმ.

მაროკო — ჩრდილოეთ აფრიკის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რამდენიმე დაუმშრალი მდინარეა, რომლებზეც აგებულია ჰიდროელექტროსადგურები. ამ მდინარეთა წყლებს სარწყავადაც იყენებენ.

მცენარეული სამყარო ძირითადად ტიპურია მშრალი სტეპებისა და ნახევარუდაბნოებისათვის. ტყეებში, რომლებსაც მაროკოს ტერიტორიის სულ რაღაც 11% უკავია, ხარობს კორპის მუხა, მარადმწვანე მუხა, ატლასის კედარი, ტუია. ზღვიდან დაშორების მიხედვით ჭარბობს სტეპის მცენარეულობა, ხოლო შემდეგ უდაბნოს მცენარეულობა.

ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანი არ არის. ბინადრობენ ფოცხვერები, ტურები, მგლები, კურდღლები. ბევრია სხვადასხვა ფრინველი და ქვეწარმავალი — რქიანი გველი, კობრა, ჩხრიალა გველი, ძვლიანკუდიანი ხვლიკი.

ადამიანები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დასახლებულან მრავალი ათეული ათასი წლის წინათ. მაროკოში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის მოსახლე ტომები ევროპოიდულ რასას მიეკუთვნებიან და ცნობილი არიან ბერბერების სახელწოდებით. მათ შავგვრემანი კანი, შავი თვალები და მუქი ფერის თმა (თუმცა ქერა მოხუჭუჭო თმიანებიც გვხვდებიან), ვიწრო სახე და თხელი კეხიანი ცხვირი აქვთ. ჩვენს დროში ბერბერულენოვანი ხალხები მხოლოდ მთიან რაიონებში შემორჩნენ.

მაროკოს ტერიტორიაზე აღწევდნენ ფინიკიელები და რომაელები, რომელთაც აქ თავიანთი კოლონიები დააარსეს. შემდეგ VIII საუკუნის დასაწყისში არაბები შემოიჭრნენ. მაროკოს სახელმწიფოს შექმნა დაიწყო ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში და თავის სიძლიერეს მიაღწია XI—XV საუკუნეებში. XV—XVI საუკუნეებში პორტუგალიელი, ესპანელი და იტალიელი დამპყრობლები ცდილობდნენ მაროკოს დაპყრობას, მაგრამ ვერ შეძლეს თავიანთი ბატონობის განმტკიცება.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო მაროკოს ოკუპაცია საფრანგეთისა და ესპანეთის მიერ. 1907 წელს საფრანგეთმა ამ ქვეყანაში თავისი ჯარები შეიყვანა, რომლებმაც ხელთ იგდეს რამდენიმე ოაზისი, ხოლო შემდეგ ქალაქები: რაბათი, ფესი და მეკნესი. 1912 წელს მაროკოს სულთანი იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დამყარების შესახებ. იმავე წელს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის დაიდო შეთანხმება მაროკოს გაყოფის შესახებ. ესპანეთმა მიიღო ამ ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები. ქალაქი ტანჟერი გამოიყო განსაკუთრებულ, საერთაშორისო ზონად.

საფრანგეთ-ესპანეთის პროტექტორატის დამყარებას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური დაბეჩავება. კოლონიზატორები ჩალის ფასად ყიდულობდნენ ან ძალით ართმევდნენ მაროკოელებს საუკეთესო მიწებს. მათ მიიტაცეს ტყეები, წიაღი და შეუდგნენ მათს მტაცებლურ ექსპლუატაციას. გლეხობის მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა: ადგილობრივი ფეოდალების ჩაგვრას დაემატა ფრანგი და ესპანელი დამპყრობლების მძიმე უღელი.

მაროკოს ხალხი ბევრჯერ აუჯანყდა უცხოელ დამპყრობლებს. 1921 წლის ივლისში რიფის ომქის ტომები მაროკოს ესპანურ ნაწილში აჯანყდნენ გამოჩენილი მხედართმთავრის და პოლიტიკური მოღვაწის აბდ-ალ-ქერიმის მეთაურობით და გაანადგურეს ესპანეთის ოციათასიანი არმია. ამ გამარჯვების შემდეგ რიფების 12 ტომი გაერთიანდა და შექმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1924 წელს რიფთა მცირერიცხოვანმა არმიამ კიდევ ერთი დამარცხება აგემა ესპანეთის არმიას და ახლა ესპანეთს დარჩა მხოლოდ მიწის ვიწრო ზოლი სანაპიროს გამაგრებული ქალაქების მახლობლად.

იმის შიშით, რომ რიფების რესპუბლიკის მაგალითს მიბაძავდნენ ჩრდილოეთ აფრიკის კოლონიები, ფრანგმა კოლონიზატორებმა 1924 წელს აშკარა აგრესიას მიმართეს რესპუბლიკის წინააღმდეგ. რიფებთან ომი 1926 წლის მაისამდე გრძელდებოდა, როცა გაერთიანებულმა საფრანგეთ-ესპანეთის ჯარებმა შეძლეს რიფთა რესპუბლიკის დამარცხება.

მაგრამ ამის შემდეგაც გრძელდებოდა მაროკოს ხალხის წინააღმდეგობა. 1937 წელს მაროკო კვლავ მოიცვა ანტიიმპერიალისტურმა გამოსვლებმა. პოლიტიკურ ბრძოლაში სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდა მაროკოს მზარდი პროლეტარიატი, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანაში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ მოძრაობის ჩახშობის ყოველგვარი ცდა წარუმატებლობით მთავრდებოდა და ფრანგი კოლონიზატორები იძულებულნი იყვნენ, დათანხმებოდნენ მაროკოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას.

1956 წლის 2 მარტს გამოცხადდა მაროკოს დამოუკიდებლობა. ამავე წლის აპრილში ჩრდილოეთი მაროკოდან წავიდნენ ესპანელი კოლონიზატორებიც. ტანჟერის საკითხი გადაწყდა ამ ზონაში საერთაშორისო რეჟიმის გაუქმების შესახებ დეკლარაციაზე ხელისმოწერით. 1969 წელს ესპანეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე მაროკოსათვის იფნის ტერიტორიის დაბრუნების შესახებ. მაროკოს ნაწილი კვლავ რჩება ესპანე-



კასაბლანკის — მაროკოს დიდი ეკონომიკური და სავაჭრო ცენტრის — ნავსადგურის ხედი.

თის ხელში (ქალაქები სეუტა, მელილია, კუნძულები ალუსემასი, ჩაფარინასი, ველეს-დე-ლა-გომერა).

სახელმწიფო წყობილებით მაროკო კონსტიტუციური მონარქიაა. კონსტიტუციის თანახმად მეფე სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალია. იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და მინისტრებს და შეუძლია მათი გადაყენება თავისი შეხედულებით, აგრეთვე, პარლამენტის დათხოვნა.

მაროკოში რამდენიმე ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტია ითვლება: ისთიქლიალი („დამოუკიდებლობა“), სახალხო ძალების ეროვნული კავშირი, სახალხო ძალების სოციალისტური კავშირი და დამოუკიდებელთა ეროვნული გაერთიანება. მაროკოს კომუნისტური პარტია შეიქმნა 1943 წელს, მაგრამ 1960 წელს აიკრძალა. 1968 წლის ივლისში პროგრესულ მოღვაწეთა ჯგუფმა შექმნა განთავისუფლებისა და სოციალიზმის პარტია (ბსპ), რომელიც გამოდის ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ლოზუნგით. 1969 წელს ბსპ აიკრძალა. 1974 წლის აგვისტოში კვლავ დაიწყო ლეგალურად მოქმედება პროგრესისა და სოციალიზმის პარტიამ (პსპ).

მაროკოში დიდი პოლიტიკური ძალაა უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება, მაროკოს შრომის კავშირი (დაარსებულია 1955 წელს). ამ გაერთიანების რიგებში დაახლოებით 650 ათასი კაცია.

მაროკოს უდიდესი ქალაქებია: კასაბლანკა (დაახლ. მლნ. მცხ. მთავარი ნავსადგური და სამრეწველო ცენტრი), რაბათი, ფესი, მარაკეში, ტანჟერი და მეკნესი. მაროკოს თითქმის ყველა ქალაქს ერთი თავისებურება ახასიათებს, რაც მათი განვითარების ისტორიას ასახავს: ეს ქალაქები ორ ნაწილად არიან გაყოფილი — თანამედროვე, ან როგორც ზოგჯერ ამბობენ, ევროპულ და ძველ, ანუ არაბულ ნაწილად, რასაც ჩვეულებრივ მედინას უწოდებენ. ქალაქის თანამედროვე ნაწილში დიდი ლამაზი შენობები, ვილებია, სადაც უცხოელები და მდიდარი მაროკოელები ცხოვრობენ. მედინა ვიწრო ქუჩებისა და შესახვევების ლაბირინთია, სადაც ღარიბები ცხოვრობენ.

მაროკო აგრარული ქვეყანაა, სადაც შედარებით განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში მუშაობს მოსახლეობის 65%-ზე მეტი. სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებია მიწათმოქმედება, მებაღეობა და მეცხოველეობა. მაროკო მსოფლიოში ციტრუსების ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია (800 ათას ტონაზე მეტი წლიურად). ძირითადი მარცვლეული კულტურებია: ხორბალი, ქერი, სიმინდი, ფეტვი, სორგო, აგრეთვე, პარკოსნები. 1973 წელს მაროკოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უცხოელების კუთვნილი მიწების ნაციონალიზაციის (გამოსყიდვის) შესახებ.

მრეწველობა იძლევა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 30%-ს. აქ დასაქმებულია

მაროკოელი ფელახი მინდორს ხნავს ცხენითა და ხარით. კვალდაკვალ მიჰყვება ცოლი. მას უჭირავს მარცვლით სავსე ვედრო. მარცვალს იგი კვალში ჰყრის. აქ ასე ამუშავებს მიწას ბევრი გლეხი.

350 ათასზე მეტი კაცი. მრეწველობის ძირითადი დარგია სამთომოპოვებითი მრეწველობა (მთელი სამრეწველო პროდუქციის 1/3). მაროკოს მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ფოსფორიტების მოპოვებით და პირველი ადგილი მათი ექსპორტით. მრეწველობის ეს დარგი ნაციონალიზებულია. ამოაქვთ დიდძალი კობალტისა და მანგანუმის მადანი, ტყვია და სხვა სასარგებლო წიაღისეული. ლითონდამმუშავებელი მრეწველობა და მანქანათმშენებლობა წარმოდგენილია სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, ავტობუსების, ტრაქტორების, ტრანსფორმატორების, მაცივრების, ტელევიზორების ამწყობი საწარმოებით და სხვა სამრეწველო საქონლის წარმოებით. ყველაზე უფრო განვითარებულია კვების მრეწველობა (შაქარაფინადის, თევზის კონსერვების, საფქვავი ქარხნები). შედარებით განვითარებულია ქიმიური მრეწველობა. ქვეყნის ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია ტურიზმს — უცხოეთის ვალუტის მიღების ერთ-ერთ მთავარ წყაროს.

მაროკოს შეაქვს ავტომობილები, ნავთობი, თუჯი, ფოლადი, სასუქები, მედიკამენტები, ხეტყის მასალა, ქსოვილები, შაქარი, ჩაი; გააქვს ფოსფორიტები, კორპი, ციტრუსები, თევზის კონსერვები, საადრეო ბოსტნეული, ღვინო, ფერადი ლითონების მადნები.

ქვეყნის ეკონომიკაში კვლავ დიდი ადგილი უკავია უცხოეთის კაპიტალს, ძირითადად საფრანგეთისას, რომელსაც მთელი კაპიტალდაბანდების დაახლოებით 50% ეკუთვნის.

სსრ კავშირსა და მაროკოს შორის დადებულია შეთანხმებანი: ვაჭრობაზე, საჰაერო მიმოსვლაზე, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და საზღვაო ნაოსნობაზე. საბჭოთა კავშირი მაროკოს აძლევს ნავთობს, ხე-ტყის საშენ მასალას, ლითონის ნაწარმს, შაქარს, მანქანებსა და მოწყობილობას. მაროკო სსრ კავშირს აწვდის ფორთოხალს, კორპის ქერქს, მატყლს, დაკონსერვებულ სარდინებსა და სხვა საქონელს. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარებით მაროკოში აგებულია რამდენიმე დიდი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის თბოელექტროსადგური, კაშხალი და ჰიდროელექტროსადგური.

საგარეო პოლიტიკაში მაროკოს მთავრობა იცავს მიუმხრობლობის პრინციპს, გამოდის მშვიდობის შენარჩუნებისა და განიარაღებისათვის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს აწარმოებს ბრძოლებს დასავლეთ საჰარის შემოერთებისათვის.

მოზამბიკი

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკა.
ფართობი — 783 ათასი კმ².
მოსახლეობა — 9,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მაპუტუ (დაახლ. 400 ათასი მცხოვრები გარეუბნებიანად).
ოფიციალური ენა — პორტუგალიური.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკის ამ დიდი ქვეყნის სახელწოდებიდან წარმოსდგა ბევრი ცნობილი გეოგრაფიული სახელი — მოზამბიკის სრუტე, მოზამბიკის თბილი დინება და სხვ. ამ ქვეყნის სახელწოდება კი, ალბათ, წარმოსდგება ერთ-ერთი ხალხის — მაზიმბას სახელიდან. მოზამბიკი დიდი ხნიდან ცნობილი იყო ოქროთი და სპილოს ძვლით. ეს კი იზიდავდა არაბ, ინდოელ, სპარსელ ვაჭრებსა და ზღვაოსნებს, რომლებიც მის სანაპიროზე სავაჭრო ფაქტორიებს აარსებდნენ.

XV საუკუნის ბოლოს პორტუგალიამ დაიპყრო მარჯნის კუნძული მოზამბიკი, სადაც ახლა მდება-



რეობს ამავე სახელის ქალაქი და ნავსადგური. პორტუგალიელები სდევნიდნენ არაბებს, ეომებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, იპყრობდნენ სანაპიროს, აგებდნენ ციხესიმაგრეებს, საყრდენ პუნქტებს ქვეყნის სიღრმეში შესაღწევად და ინდოეთში მიმავალი თავიანთი გემების მოსამარაგებლად. იმ პერიოდში კოლონიზატორების გამდიდრების მთავარი წყარო იყო აფრიკელთა გაყიდვა მონებად. მისი საერთაშორისო აკრძალვის შემდეგაც მონებით ვაჭრობა, თუმცა ნაკლებად აშკარად, XX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა.

მოზამბიკელები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ კოლონიზატორებს, რომლებმაც მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეძლეს შეეღწიათ ნაპირიდან დაშორებულ რაიონებში. ისე როგორც პორტუგალიის სხვა კოლონიებში, მოზამბიკის მოსახლეობას (მაკუა, ლომვე, თსონგა, მალავი) წაერთვა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები. მოზამბიკში 20-ანი წლებიდან დაწყებული განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა მონობის ახალი, ფარული ფორმა: თითქოსდა კონტრაქტებით იძულებით აგზავნიდნენ ასობით ათას მოზამბიკელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის შახტებსა და მაღაროებში სამუშაოდ და კოლონიური ადმინისტრაცია ითვისებდა მათი ხელფასის ნახევარს.

ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი მდებარეობს მო-

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობისათვის ომის დროს კოლონიზატორებისაგან განთავისუფლებული მოზამბიკის რაიონებში საფუძველი ეყრებოდა ახალ ცხოვრებას. სურათზე: მეცადინეობაზე ფრელიმოს (მოზამბიკის გათავისუფლების ფრონტის) მებრძოლების მიერ მოწყობილ სკოლაში.

ზამბიკის ძველ პლატოზე მთების ცალკეული პატარ-პატარა კუნძულებით. პლატო თანდათანობით ეშვება ოკეანისკენ და სამხრეთით მოზამბიკის ვაკისკენ. დასავლეთიდან მას ერტყმის მატაბელეს პლატო. აქ არის მოზამბიკის ყველაზე მაღალი ადგილი — ბინგას მთა (2436 მ). ჰავა ცხელია, ტენიანი ზაფხულით (დეკემბერი — მარტი) და მშრალი ზამთრით.

მოზამბიკში ბევრი მდინარეა. ყველაზე დიდია — ზამბეზი, ლიმპოპო, სავი, რუვუმა.

ზამბეზზე კებრაბასის ჭორომებთან გრძელდება აფრიკაში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. კაშხალმა მდინარე სანაოსნოდ აქცია და სარწყავი წყალიც მისცა ქვეყანას. მდინარეთა ხეობებში შემორჩენილია მარადმწვანე ტყეები, რომლებშიც ხარობს შავი (აბანოზის), რკინის, ვარდის, ყვითელი ხეები, სხვადასხვა სახეობის პალმები. მოზამბიკის დიდი ნაწილი სავანას უკავია. სავანაში ბაობაბების გარდა ხშირია შიშველტანიანი ქოლგისებრი აკაცია, რომელსაც

ზემოთკენ აქვს ფართო ვარჯი და ხისებრი კანდელაბრის რძიანა.

მდიდარია მოზამბიკის ცხოველთა სამყაროც. აქ ბინადრობენ სპილოები, ანტილოპები, ზებრები, ჟირაფები, ლომები, ჯიქები, შავი და თეთრი მარტორქები, მიწის მგლები, მილკბილები, რომლებიც ჭიანჭველებითა და ტერმიტებით იკვებებიან. ფრთოსანთა უდიდესი სამყაროს წარმომადგენელთა შორის არის ჩიტი-მდივანი, სავათები, ყანჩები, ფლამინგოები, წეროები, ვარხვები.

კოლონიალიზმმა შეაფერხა ამ ქვეყნის განვითარება. ცდილობდნენ ქვეყნიდან მეტი ნედლეული წაეღოთ. გაჰქონდათ ბამბა, სიზალი, კაკალი კეშიუ (მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი), შაქარი, ჩაი, კოპრა, ძვირფასი მერქანი. კოლონიური ადმინისტრაცია საუკეთესო მიწებს ევროპელ ფერმერებს აძლევდა. მთელ ოლქებს აძლევდნენ გამოსასყიდად პორტუგალიელებს, ინგლისელ კაპიტალისტებს და სხვა ქვეყნების საქმოსნებს, რომლებიც ჩალის ფასად ყიდულობდნენ მოზამბიკელი გლეხების მიერ შექმნილ პროდუქციას.

მოზამბიკში არის ცემენტის ქარხნები, ნავთობგადასამუშავებელი კომბინატი. ამოაქვთ ქვანახშირი, ბოქსიტები, ლითიუმის, ტანტალისისა და ნიობიუმის მადნები, ბერილიუმი, აზბესტი, ქარსი, ოქრო. 1972 წელს აღმოჩნდა ნავთობის საბადო ბეირის რაიონში. გვხვდება რკინის მადნის მდიდარი საბადოები, ქრომის, მანგანუმის, ნიკელის, ურანის მარაგი. მიმდინარეობს ალმასის ძიება. ყველაზე დიდი ქალაქები და ამავე დროს ნავსადგურებია — მაპუტუ (ყოფილი ლორენსუ-მარკიში) და ბეირა.

1964 წლიდან მიმდინარეობდა ანტიკოლონიური ომი. მას სათავეში ჩაუდგა მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტი (ფრელიმო), რომლის იდეოლოგიურ საფუძველს მეცნიერული სოციალიზმი წარმოადგენს. კოლონიზატორთა ყოველგვარი ცდა, პოლიტიკური ხრიკები, ნატოს კბილებამდე შეიარაღებული მრავალათასიანი არმიის გაგზავნა, დახმარებისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებისადმი მიმართვა, მცენარეულობის შხამებით მოსპობა პარტიზანულ რაიონებში, მასობრივი ტერორით დაშინების ცდა და სასტიკი ანგარიშსწორება — ყველაფერი ამაო გამოდგა. 1975 წლის 25 ივნისს მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის რიგებში. ფრელიმო წარმართავს ქვეყნის განვითარებას პროგრესულ სოციალ-ეკონომიკურ გარდაქმნათა გზით (სოციალისტური ორიენტაცია). აქტიურად ვითარდება საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობა.

1977 წლის მარტში საბჭოთა კავშირმა და მოზამბიკმა დადეს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

მწვანე კონცხის კუნძულები

მწვანე კონცხის კუნძულების რესპუბლიკა.
ფართობი — 4033 კმ².
მოსახლეობა — 272 ათასი კაცი.
დედაქალაქი — პრაია (21 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — პორტუგალიური.

XV საუკუნის შუა წლებში პორტუგალიელმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს ვრცელი არქიპელაგი უკვე მაშინ ცნობილი მწვანე კონცხის განედზე. გრძელ რკალად გადაჭიმული რვა დიდი და შვიდი პატარა კუნძული მთაგორიანია. კუნძულ ფოგუზე მოქმედებას განაგრძობს ვულკანი პიკო-დო-კანო (2829 მ.). არქიპელაგის საუკეთესო ბუნებრივი ნავსადგურია ძველი ვულკანის თითქმის მრგვალი კრატერი სან-ვისენტის კუნძულზე. აქ გაშენდა ყველაზე დიდი ქალაქი და ნავსადგური მინდელუ.

კუნძულები ტენის ნაკლებობას განიცდიან. განსაკუთრებით ძლიერი გვალვა იყო 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში. მშრალმა და ცხელმა ჰავამ წინასწარ განსაზღვრა მცენარეულობის ნახევარუდაბნოსებური ხასიათი — ალოე, აგავა, რძიანა, იალღუნი. მთებში გვხვდება საოცარი დევის ხე, რომელიც ახლა მხოლოდ კანარის კუნძულებზე ხარობს. ამ დიდ მაგარ ხეს შეუძლია გაძლოს ექვსი ათას წელიწადს. ხანჯლისებრი ფოთლები კონებად არის თავმოყრილი ტოტების ბოლოებზე. ხის სქელ წითელ წვენს — „დრაკონის სისხლს“ — იყენებენ საღებავად და სამკურნალო საშუალებად.

XV საუკუნიდან კუნძულებზე სახლდებოდნენ პორტუგალიიდან გადმოსახლებულები და გვინეა-



ბისაუდან მოყვანილი მონები. ახლანდელი მოსახლეობის უმრავლესობა მულატებია.

იალქნიანი ფლოტის ეპოქაში არქიპელაგი დიდმნიშვნელოვანი საზღვაო გზაჯვარედინი იყო. დიდხანს ინარჩუნებდა იგი პორტუგალიის მონებით ვაჭრობის მონოპოლიური ცენტრის სამარცხვინო სახელს. ახლა კუნძულების როგორც გემების სადგომის მნიშვნელობა შემცირდა, მაგრამ მათი როლი გაიზარდა საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლაში.

კუნძულებზე მოჰყავთ სიმინდი, ცერცვი, მანიოკი. საექსპორტოდ — თამბაქო, არაქისი, შაქრის ლერწამი, აბუსალათინი, ბანანი, მდოგვი, ფორთოხალი, ინდიგო. პორტუგალიაში გააქვთ სიმინდის ნაწილი. ძალიან განვითარებულია სანაპირო თევზჭერა. წარმოებს მარილისა და ვულკანური ტუფის მოპოვება. ეს საჭიროა ცემენტის დასამზადებლად, რომელიც წყალში მაგრდება.

განმათავისუფლებელი ბრძოლა არქიპელაგზე, გვინეა-ბისაუსა და მწვანე კონცხის დამოუკიდებლობის აფრიკის პარტიის (პაიგკ) ხელმძღვანელობით, გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1975 წლის 5 ივლისს გამოცხადდა მწვანე კონცხის კუნძულების რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ქვეყნის ერთადერთი პარტია პაიგკ გამოდის გვინეა-ბისაუსა და არქიპელაგის ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური ერთობიდან და მათი ერთობლივი განვითარების მომხრეა.

ნამიბია

კოლონიზატორებმა ამ ქვეყანას მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა უწოდეს. 1968 წელს პატრიოტებმა მას ნამიბია შეარქვეს.

ნამიბია (824,3 ათასი კვ. კმ.) მდებარეობს ზეგანზე, რომელიც თანდათანობით ეშვება აღმოსავლეთით, კალაჰარის უდაბნოს მხარეს. ატლანტის ოკეანესთან იგი დამრეცად ეშვება. მთისძირის გასწვრივ ფართო ზოლად მიუყვება ქვიშნარ-ქვაღორღიანი უდაბნო ნამიბი. მთელ სანაპიროზე მხოლოდ ორი მოხერხებული ნავსადგურია — ლიუდერიცი და უოლფიშ-ბეი.

ბენგელის ცივი დინების გავლენით ნამიბიის უდაბნოში ამ განედებისათვის არაჩვეულებრივად დაბალი ტემპერატურაა (+17°, +19° ყველაზე თბილ თვეებში). ნამიბიის უდაბნოში ხშირია საშინელი მტვრიანი ქარბუქი. უფრო ცხელა და ნალექებიც ერთგვარად მეტია ზეგანზე. ნამიბიის თავისებურება ისაა, რომ აქ მდინარეები არ არის, თუ არ ჩავთვლით მდინარე ორანჟს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზღვართან და კუნენეს ანგოლის საზღვართან.

მცენარეული საფარი ღარიბია, მაგრამ ნამიბიის უდაბნოებში შეიძლება ნახოთ უიშვიათესი ჯუჯა ხე ველვიჩია. მისი მსხვილი ტანი ოდნავ ამოწეულია მიწის ზედაპირიდან. ამ ხეს სულ ორი მკვრივი სქელკანიანი ფოთოლი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ეს ფოთლები სიგრძით 3 მ აღწევენ და ვიდრე მცენარე არ გახმება (100 წლამდე), არ ცვივა. ნამიბიის ფაუნაც ღარიბია, მაგრამ მთებში და აღმოსავლეთით გვხვდება თავისებური ცხოველები, სხვადასხვა მღრღნელები: ცხვირგრძელა, კაპის ბრუცა, განსაკუთრებული სახეობის კურდღლები.

ტენის უკმარისობისა და ხელოვნური სარწყავის უქონლობის გამო მიწათმოქმედებას თითქმის არ მისდევენ. სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულებაა საძოვრული მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, მეცხვარეობა და განსაკუთრებით მეკრაველეობა). კრაველის ტყავის გატანის მხრივ ნამიბია თვით ავღანეთსაც უსწრებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად წილს იძლევიან კოლონიზატორთა მეურნეობები, რომლებსაც მიწის სავარგულების 90% ეკუთვნით.

ეკონომიკის წამყვან დარგად უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე იქცა ნამიბიის მინერალური სიმდიდრეების მოპოვება: ალმასების, მეტწილად საიუველიროსი (ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში), ვანადიუმის, გერმანიუ-

მის, მანგანუმისა და მდიდარი პოლიმეტალური მადნებისა. აღმოჩენილია ურანის დიდი მარაგი, ნაპოვნია გაზის საბადო. მთელ სამთომოპოვებით მრეწველობას კონტროლს უწევენ ინგლისის, ამერიკის და სამხრეთ აფრიკის მონოპოლიები. განვითარებულია საზღვაო თევზჭერა. კვების მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს კარაქისა და ყველის, კიბორჩხალისა და სარდინის კონსერვების საწარმოები.

ნამიბიის მოსახლეობა 1.2 მლნ. კაცს შეადგენს. აფრიკელთა შორის ჭარბობენ ნეგროიდული რასის ხალხები — ოვამბო და ჰერერო ბანტუს ოჯახიდან. შემორჩნენ კოისანის რასის ხალხები, რომლებითაც ძველად მთელი სამხრეთი აფრიკა იყო დასახლებული, — ჰოტენტოტები, დამარა და ბუშმენები. ბუშმენები კალაჰარის უდაბნოსაკენ არიან განდევნილნი და გადაშენების საშიშროებაც მოელით. ევროპული წარმოშობის მოსახლეობა (დაახლოებით 100 ათასი კაცი) შედგება აფრიკანერების, გერმანელებისა და ინგლისელებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ვინდჰუკი.

1883 წელს ერთმა გერმანელმა ვაჭარმა ჩალის ფასად (110 გირვანქა სტერლინგად და 200 თოფად) შეისყიდა ლუდერიცის უბის რაიონი, სადაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მდებარეობს ალმასის უმდიდრესი საბადო. ამის შემდეგ გერმანიამ ცეცხლითა და მახვილით დაამყარა პროტექტორატი მთელ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაზე. კოლონიზატორთა მხეცობას ემსხვერპლა ჰერეროთა სამი მეოთხედი და ჰოტენტოტების ორი მესამედი. ცოცხლად დარჩენილებს გერმანელი მემამულეების მოჯამაგირეებად აქცევდნენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგის მანდატით სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა გადავიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველობაში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებმა განაგრძეს თავიანთი წინამორბედების პოლიტიკა, სასტიკად ახშობდნენ ანტიკოლონიურ გამოსვლებს. შემდგომში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ უარი თქვა სამხრეთ დასავლეთ აფრიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო სისტემაში შეყვანაზე და 1949 წელს უკანონოდ შეიერთა იგი თავისი მეხუთე პროვინციის სახით.

აფრიკელები შერეცხეს რეზერვაციებში, რომელთა ფართობი სამჯერ ნაკლებია თეთრკანიან მოსახლეთათვის განკუთვნილ ფართობებზე. მაგრამ აქაც აფრიკელს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე არა აქვს უფლება აიშენოს ქოხიც კი. ქალაქებში, ამასთან ზოგიერთში, აფრიკელებს მხოლოდ განსაზღვრულ კვარტალებში შეუძლიათ ცხოვრება. მათ ეკრძალებათ კვალიფიციური შრომა, აფრიკელის ხვედრი მოჯამაგირის ან მაღაროელის მონური შრომაა. რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს აწამებენ და სამუდამოდ ციხეებში ყრიან. მასობრივი რეპრესიები თავზე ატყდება უმწეო ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.

ამავე დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრიობა და გათიშონ აფრიკელები, რისთვისაც ცალკეულ ტომებს რაღაც თვითმმართველობის მსგავსს აძლევენ, ქმნიან ჰოუმლენდებს ან, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ბანტუსტანებს (ე. ი. „ბანტუს ქვეყანას“, თუნდაც იქ ბანტუს ხალხი არ ცხოვრობდეს). სინამდვილეში ეს რასისტების მუდმივი ბატონობის გეგმაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას დიდი ხანია წაართვა ნამიბიაში ძალაუფლების განხორციელების უფლება და მოითხოვა ამ ქვეყნის ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

ნამიბიის ხალხი ყველა ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური ძალის მხარდაჭერით მტკიცედ მოითხოვს ამ ქვეყნიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებისა და ხელისუფლების გა-

სვლას, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. პარტიზანულ ომში გადაზრდილი ამ ბრძოლის ავანგარდშია სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაცია (სვაპო), რომელიც ნამიბიის ხალხის ინტერესების გამომხატველია.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1979 წელი გამოაცხადა ნამიბიის ხალხთან სოლიდარობის წლად.



ნიგერი

ნიგერის რესპუბლიკა.
ფართობი — 1 267 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ნიამეი (300 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

„უდაბნოსაკენ მიმართული თითი“ — ზოგჯერ ასე უწოდებენ ნიგერის ქვეყანას, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი საჰარის შუაგულშია შეჭრილი. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სამხრეთ რაიონებში, ძირითადად მდინარე ნიგერის ხეობაში. ეს უმთავრესად ბინადარი ხალხებია — ჰაუსა, ჯერმა, სონჰაი, ფულბე. მათ მოჰყავთ არაქისი და ბამბა (მთავარი საექსპორტო კულტურები), ბრინჯი, სიმინდი და ფეტვის აფრიკული სახესხვაობა — მილი.

მდინარე ნიგერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სავანის სივრცეებში მომთაბარეობენ ტომები, რომლებიც მეჯოგეობას მისდევენ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის ფარებს, ცხენების, ვირებისა და აქლემების ჯოგებს მიერეკებიან ერთი საძოვრიდან მეორეზე. პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების დიდი ნაწილი გაქვთ სხვა ქვეყნებში. 1970—1974 წლებში ქვეყანას თავს დაატყდა დიდი უბედურება, ხანგრძლივი გვალვა. დაიღუპა რამდენიმე მილიონი პირუტყვი, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა ნიგერის ეკონომიკას.

ამ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს აირის პლატო. აქ მთები დაბალია. ყველაზე მაღალია მწვერვალი ბაგეზანი (1900 მ.). ხეობებში მოჩანს გაცივებული ლავის ნაკადები, რომლებიც ოდესღაც ამოუფრქვევიათ ჩამქრალ ვულკანებს. მთების მწვერვალები უცნაური მოხაზულობისაა, რომლებიც კოშკებსა და ზღაპრულ ციხესიმაგრეთა კედლებს მოგვაგონებენ. პლატოზე ნახავთ პატარ-პატარა მდინარეებს: ისინი დიდი სიცხეების დროს შრებიან.

ნიგერის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში მომთაბარობენ ტუარეგები ანუ „ლურჯი ადამიანები“, როგორც მათ უწოდებენ იმისათვის, რომ ისინი ლურჯ ტანსაცმელს იცვამენ და უყვართ ლურჯი ფერის სამკაულები. საინტერესო და თავისებურია მათი ყოფა-ცხოვრება. ქალები აქ დიდი პატივისცემით სარგებლობენ. ჩადრს არ ატარებენ, თუმცა მუსულმანები არიან. მამაკაცები კი, პირიქით, სახის ქვედა ნაწილს ქსოვილის ნაჭრით იფარავენ. ერთ-ერთი ლეგენდა ამ ჩვეულების წარმოშობას ასე ხსნის. ერთხელ ტუარეგები ბრძოლაში დამარცხდნენ. ბრძოლის ველიდან რომ გარბოდნენ, დაკარგეს ყველა აქლემი და სირცხვილნაჭამი შინ დაბრუნდნენ. ქალებმა, გამოქცეულებს რომ ხვდებოდნენ, სახეებიდან საბურველი ჩამოიგლიჯეს და მშიშარა მეომრებს მიაყარეს. „ამიერიდან თქვენ სამარცხვინონი ხართ ჩვენთვის, — ყვიროდნენ ისინი,— ახლა გამოსაჩენი პირი არა გაქვთო“.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ნიგერში თითქმის არ იყო მრეწველობა, კოლონიზატორები აფერხებდნენ ეკონომიკის განვითარებას.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აშენდა რამდენიმე სამრეწველო საწარმო, ძირითადად მსუბუქი (საფეიქრო) მრეწველობის საწარმოები. უცხოეთის კომპანიების მიერ წარმოებულმა და-

ნიგერის რესპუბლიკის დედაქალაქი ნიამეი.

ზვერვამ ცხადყო, რომ ამ ქვეყნის წიაღი მდიდარია. აქ მოიპოვება ურანი, ვოლფრამი, კალა, სპილენძის, ტყვიისა და რკინის მადნები, შეიძლება იყოს ნავთობიც. ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდად პერსპექტიულია ურანის მთელი რიგი საბადოების დამუშავება. აგადესიდან ჩრდილო-დასავლეთით 250 კილომეტრზე შექმნილია მსხვილი სამთო-მოპოვებითი კომპლექსი.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ნიგერში ფრანგი კოლონიზატორები შეიჭრნენ. ნიგერის თავისუფლებისმოყვარე ხალხმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. პატრიოტული ძალები არაერთხელ გამოსულან კოლონიზატორებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ.

1960 წელს გამოცხადდა ნიგერის დამოუკიდებლობა. 1974 წლის აპრილიდან ამ ქვეყანაში ძალაუფლება გადავიდა უმაღლესი სამხედრო საბჭოს ხელში.

უცხოეთის მონოპოლიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მტკიცე პოზიციებს ქვეყნის ეკონომიკაში, ცდილობენ გავლენა მოახდინონ მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე.

ახალგაზრდა სახელმწიფო ზომებს იღებს საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის. ვითარდება ნიგერის ეკონომიკა და კულტურა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის წლებში სკოლების რიცხვი გაიზარდა, სკოლაში სიარული ყველა ბავშვს არ შეუძლია.

დედაქალაქში, ქალაქ ნიამეიში — აგებულია დიდი აეროპორტი. ეს პატარა ქალაქი საჰაერო მიმოსვლის ცენტრად იქცა. ნიგერისათვის საჰაერო ტრანსპორტი სხვა ქვეყნებთან კავშირის ძირითადი საშუალებაა. ნიგერში 3,5 ათასი კმ რკინიგზაა, მაგარფენილიანი გზატკეცილები 16 ათასი კმ.

ნიგერია

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა.
ფართობი — 923,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 79,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლაგოსი (1,4 მლნ. მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ნიგერია მდებარეობს დასავლეთ აფრიკაში. ეს აფრიკის დიდი და ყველაზე დასახლებული ქვეყანაა. ნიგერიას ხშირად მინიატურულ აფრიკასაც უწოდებენ — ისე ვრცელი, ისე მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია თავისი ეროვნული შემად-

გენლობით, კლიმატური პირობებით, ბუნებრივი რესურსებით, მის წინაშე დასახული პრობლემებით.

ამ ქვეყნის დიდი ნაწილი ვრცელი პლატოებია (600 მ-მდე). მხოლოდ ჯოსის ზეგანი აღწევს 1735 მ-მდე. გვინეის უბის გასწვრივ მიემართება დაბლობის ფართო ზოლი. ნიგერიას გადაკვეთს აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე ნიგერი შენაკად ბენუეთი. ნიგერი, ბენუე და კროსი ქმნიან დიდმნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიებს.

ნიგერიის უმეტეს ნაწილში ცხელი ეკვატორულ-მუსონური ჰავაა მშრალი და წვიმიანი სეზონით. სამხრეთ ნიგერიის ჰავა ეკვატორულია, სადაც ტენიანი სეზონი რვა თვეზე მეტ ხანს გრძელდება. ოკეანიდან დაშორების შესაბამისად ნალექების რაოდენობა კლებულობს 3000 მმ-დან სანაპიროზე 500 მმ-მდე ჩრდილოეთში და ჩრდილო-აღმოსავლეთში.

კლიმატურ ზონებს შეესაბამება მრავალფეროვანი მცენარეულობაც. სანაპიროზე ბევრია მანგოს რაყები, რომელსაც მოყვება მარადმწვანე ტყეები. უფრო ჩრდილოეთით იწყება სავანა. აქ ხშირ, მაღალ ბალახნარში ცალ-ცალკე ან პატარ-პატარა ჯგუფებად ხარობენ ბაობაბები, მარაოსებრი პალმები, სეიბა, აკაცია.

მდიდარია ნიგერიის ცხოველთა სამყარო. ტროპიკულ ტყეებში ბევრია მაიმუნი, რომელთა შორის შეხვდებით შიმპანზესა და გორილას. სავანაში ბინადრობენ სპილოები. მტაცებელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ჯიქები და ტურები. მდინარეებში ბევრია ბეჰემოთი, ნიანგი. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ფრთოსანთა და მწერების სამყარო.

ნიგერიაში ცხოვრობენ 200-ზე მეტი დიდი და პატარა ხალხები. მათგან ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია: ჰაუსა, ფულბე და კანური — ქვეყნის ჩრდილოეთში, იორუბა და ედო — დასავლეთში, იბო — აღმოსავლეთში, იბიბიო — სამხრეთში. ისინი სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების დონით და რელიგიური რწმენით.

მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს, თუმცა დასავლეთ და ჩრდილოეთ ნიგერიაში ოდითგანვე არსებობს ხალხმრავალი ქალაქები: ლაგოსი, იბადანი, კადუნა, კანო, სოკოტო, ზარია. ნიგერიაში საცხოვრებელი ბინის ტიპი დამოკიდებულია კლიმატურ პირობებსა და საშენ მასალაზე. ნიგერიის ტყიან რაიონებში სახლები კვადრატული ან სამკუთხედი ფორმისაა. ტოტებისაგან დაწნული კარკასი გარედან თიხითაა შელესილი. სახურავებს აკეთებენ პალმის ფოთლებისა ან ჩალისაგან. სახლების კედლები ხშირად ლამაზად არის მოხატული, ხოლო სახურავის საყრდენი სვეტები მოჩუქურთმებულია.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ნიგერიას გააჩნს პალმის ზეთი, კაკაოს მარცვალი, არაქისი, ბამბა, ნატურალური კაუჩუკი.

გლეხებს საკუთარი საჭიროებისათვის მოჰყავთ მანიოკი, იამსი, სიმინდი, ბანანი. გვალვიან რაიონებში მოჰყავთ ფეტვი, სორგო, ბრინჯი, არაქისი. მეცხოველეობას მისდევენ მხოლოდ ჩრდილოეთში, რადგანაც სამხრეთში გავრცელებულია ბუზი ცეცე. ტყავი და ქურქი საექსპორტოა, ან იყენებს ადგილობრივი ტყავის მრეწველობა.

ნიგერიაში ბევრია სასარგებლო წიაღისეული, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობა ჯერჯერობით ნავთობს, კალას, კოლუმბიტსა (ნიობის მადანი) და ქვანახშირს აქვს. სამრეწველო საწარმოთაგან არის ბამბის საწმენდი ქარხნები, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, თამბაქოს ფაბრიკები.

განვითარებულია სხვადასხვა კუსტარული სარეწები. ჰაუსის ქსოვილი სახელგანთქმული იყო



ნიგერია არაქისის უდიდესი ექსპორტიორია. არაქისიანი ტომრები ქალაქ კანოდან ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში. ყველაზე დიდი ცენტრი, სადაც ქსოვილებს ამზადებენ და ღებავენ, არის ქალაქი კანო. ნიგერიის ბევრი ხალხი ცნობილია, როგორც ხისა და სპილოს ძვლის ჩუქურთმების ნიჭიერი ოსტატი და ხელმარჯვე მეთუნე. მაგრამ ყველაზე მეტად ნიგერიელები, განსაკუთრებით ბინის ხალხი, სახელგანთქმულნი არიან ბრინჯაოს ჩამოსხმის ხელოვნებით. ბენინური ბრინჯაო (შუა საუკუნის სახელმწიფო ბენინის სახელწოდების მიხედვით) შედის მსოფლიოს მრავალი მუზეუმის უძვირფასეს კოლექციებში.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში თანამედროვე ჩრდილოეთ ნიგერიის ტერიტორიაზე არსებობდა მაღალი კულტურა (ე. წ. ნოკის კულტურა). მაშინ ნიგერიის ხალხებმა იცოდნენ მიწათმოქმედება, შეეძლოთ რკინის გამოდნობა, ქვის მაგარი ქანების დამუშავება, ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნა. პორტუგალიელებსა და ჰოლანდიელებს, რომლებიც აქ XV—XVI საუკუნეებში მოვიდნენ, დახვდათ ძლიერი სახელმწიფოები, დიდი ქალაქები, სადაც ყვაოდა ხელოსნობა და ვაჭრობა. ამ სახელმწიფოთა შორის ყველაზე ძლიერნი იყვნენ ბენინი და ოიო.

მაგრამ კოლონიზატორების მოსვლასთან ერთად დაწყებულმა აფრიკის ხალხთა ისტორიის ერთ-ერთმა უსაშინელესმა პერიოდმა — მონებით ვაჭრობამ — აურაცხელი უბედურება მოუტანა ნიგერიელებს და შეაფერხა ეკონომიკისა და კულტურის განვითარება. XIX საუკუნეში კი ნიგერია დაიპყრეს ინგლისელებმა და იგი ნედლეულის მიმწოდებლად, თავისი საქონლის გასაღების ბაზრად აქციეს. მაშინ ნიგერიის ეროვნული შემოსავალი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო მსოფლიოში, ხოლო მოსახლეობა თითქმის მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარი.

ნიგერიის ხალხები არასოდეს არ ურიგდებოდნენ კოლონიურ რეჟიმს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა იქ დაიწყო მუშათა კლასის, ეროვნული ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ჩამოყალიბება, შეიქმნა პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

1960 წელს ნიგერია დამოუკიდებელი გახდა, ხოლო 1963 წელს ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ იმპერიალისტური მონოპოლიების ბატონობა ეკონომიკაში, ფეოდალების ძალმომრეობა, სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული პრობლემების გადაუჭრელობა — ყველაფერი ეს იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, პოლიტიკურ მერყეობას, სოციალური და ეთნიკური წინააღმდეგობების გამწვავებას.

ვითარება განსაკუთრებით გართულდა 1966—1967 წლებში, როცა, ისარგებლა რა ჰაუსისა და იბოს ხალხებს შორის ურთიერთობის გამწვავებით, აღმოსავლეთ ნიგერიის ნავთობით დაინტერესებული იმპერიალისტური მონოპოლიების მიერ წაქეზებულმა იბოს ბურჟუაზიამ მოახერხა ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების დროებით გამოყოფა და ისინი ბიაფრის რესპუბლიკად გამოაცხადა. სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ ხელი შეუწყო ნიგერიის ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებას.

ხელისუფლების სათავეში მდგომი ეროვნულ-პატრიოტული ძალები მიზნად ისახავენ შექმნან ეროვნული დამოუკიდებელი ეკონომიკის საფუძვლები, გააფართოონ სახელმწიფო სექტორი, გააძლიერონ სახელმწიფოს როლი ეკონომიკის მართვა-

ში, თავის კონტროლს დაუქვემდებარონ ამ ქვეყანაში მოქმედი უცხოეთის მონოპოლიები.

დიდი ყურადღება ექცევა ნავთობმოპოვებით მრეწველობას (1978 წელს მოპოვებული იყო 95 მილიონი ტონა ნავთობი); მისი ექსპორტი იძლევა საგარეო ვაჭრობიდან სახელმწიფო შემოსავლის მთავარ ნაწილს. ნიგერია არა მარტო გადავიდა აგრარულ-სანედლეულო სპეციალიზაციიდან სათბობ-ენერგეტიკულ სპეციალიზაციაზე, არამედ ჩადგა მსოფლიოს ნავთობის ნედლეულის მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნების რიგებში. სულ უფრო მატულობს ნიგერიის წილი უცხოურ კომპანიებში, რომლებიც ნავთობის დაზვერვასა და მოპოვებას ეწევიან. ნიგერიის ეროვნული ნავთობის კოოპერაციის დაარსება იყო ნაბიჯი საკუთარი ნავთობის მრეწველობის შექმნისაკენ.

მთავრობა ცდილობს გადაწყვიტოს ეროვნული საკითხი, ამას ხელს უწყობს ამ ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული დაყოფაც, რომელიც ეთნიკურ განსახლებას ითვალისწინებს. დიდი მუშაობაა გაჩაღებული ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაიონების აღმავლობისათვის, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მყარდება შტატებს შორის.

დამოუკიდებელ ნიგერიაში გახსნილია რამდენიმე უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლებელი. ბავშვების უმრავლესობამ მიიღო სკოლაში სიარულის შესაძლებლობა. ვითარდება ეროვნული კულტურა, უფრთხილდებიან ხალხური ტრადიციების, ფოლკლორული სიმდიდრის დაცვასა და შენარჩუნებას. 1971 წელს ქალაქ კანოში გაიხსნა ნიგერიული ენების შემსწავლელი ცენტრი. ცენტრის თანამშრომლები სტუდენტებისა და უფროსი კლასების მოსწავლეთა დახმარებით ზეპირი ხალხური ხელოვნების ნაწარმოებებს — ლეგენდებს, თქმულებებს, ანდაზებს, თქმებს — იწერენ. ნიგერიაში სულ უფრო და უფრო მატულობს მეცნიერების, მწერლების, მხატვრების რიცხვი. ნიგერიელი მწერლებისა და პოეტების მთელი რიგი ნაწარმოებები თარგმნილია სხვა ენებზე, მათ შორის რუსულ ენაზეც.

ნიგერია მომხრეა თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისა, წინააღმდეგია აფრიკის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევისა, მოითხოვს ატომგულის იარაღის აკრძალვას, კოლონიალიზმისა და რასიზმის ლიკვიდაციას.

ნიგერიასა და სსრ კავშირს შორის ვითარდება ნაყოფიერი ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირი ხელს უწყობს ნიგერიას ეროვნული ნავთობის მრეწველობის ჩამოყალიბებაში, ეხმარება ნიგერიის შავი მეტალურგიის პირმშოს — კვარას შტატში დიდი ქარხნის აშენებაში. საბჭოთა ორგანიზაციები ეხმარებოდნენ მეტალურგიული ნედლეულის მარაგის, რკინის მადნისა და კოქსვადი ქვანახშირის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ჩატარებაში. საბჭოთა კავშირი ნიგერიას დიდმნიშვნელოვან დახმარებას უწევს კვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადებაში.

მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება 1979 წლამდე ეკუთვნოდა ფედერალურ სამხედრო მთავრობას, რომელიც შედგებოდა უმაღლესი სამხედრო საბჭოს, ფედერალური აღმასრულებელი საბჭოსა და შტატების ეროვნული საბჭოსაგან. ფედერალურმა მთავრობამ მოიწონა ახალი კონსტიტუცია და დაუშვა პარტიების არსებობა. 1979 წელს შეიქმნა რამდენიმე პარტია (ნიგერიის ერთიანობის პარტია, ნიგერიის ეროვნული პარტია, დიდი ნიგერიის ეროვნული პარტია, აღორძინების სახალხო პარტია), რომლებმაც იმავე წელს მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო არჩევნებში. გაიმარჯვა ნიგერიის ეროვნულმა პარტიამ.

რეუნიონი

რეუნიონი (2510 კვ. კმ) ყველაზე დიდია მასკარენის კუნძულებს შორის. ვიწრო სანაპირო ვაკე საფეხურებად გადადის ვრცელ პლატოში, რომელსაც ვულკანების ორი ჯგუფი აგვირგვინებს. ამათგან ყველაზე მაღალი — პიტონ-დე-ნეჟი (თოვლის პიკი) — სავსებით ამართლებს სახელს — მის მწვერვალს ზოგჯერ თოვლი ფარავს. უხვი წვიმები ასაზრდოებენ მოკლე, მჩქეფარე მდინარეებს. მასკარენის კუნძულები მდებარეობენ ტროპიკული ციკლონების ზონაში. რეუნიონზე რომ გადაივლიან, ციკლონები დიდ ზიანს აყენებენ ამ ქვეყანას.



ოდესღაც კუნძული მთლიანად დაფარული ყოფილა მდიდარი მცენარეულობით. ახლა ტყეები შემორჩა მთელი ტერიტორიის მხოლოდ $^1/_5$-ზე. მაგრამ მთების კალთებზე კიდევ შეხვდებით რა-ვენალას — „მოგზაურთა ხეს“, რომელიც მგზავრს თავშესაფარს, საჭმელ ნაყოფსა და წყლის მარაგს აძლევს, წყალი კი ამ ხის ფოთლების ღრმა ყუნწებში გროვდება.

პორტუგალიელების მიერ 1513 წელს აღმოჩენილი კუნძული დაუსახლებელი იყო მისი საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მფლობელობაში გადასვლამდე (XVII ს.), რომელმაც აქ ფრანგი კოლონისტები მოიყვანა. განვითარებად საპლანტაციო მეურნეობას მუშახელი სჭირდებოდა და კომპანიასაც აღმოსავლეთ აფრიკიდან სულ უფრო მეტი მონები მოჰყავდა. მონობის გაუქმების შემდეგ მუშახელს აგროვებდნენ ინდოელი და ჩინელი ყულებისაგან. კუნძულის ახლანდელი მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით 500 ათას კაცს აღწევს. ადმინისტრაციულ ცენტრ სენ-დენიში ცხოვრობს დაახლოებით 104 ათასი კაცი.

რეუნიონის ეკონომიკის საფუძველი XIX საუკუნიდან არის შაქრის ლერწამი. შაქარი (წლიურად 250 ათას ტონამდე) და ლერწმის გადამუშავების პროდუქტები ექსპორტის მთავარი წყაროა. მიწების ნახევარზე მეტი თავმოყრილია ერთი მუჭა მემამულეებისა და შაქრის მექარხნეების ხელში. ისინი კაბალურ პირობებს უკარნახებენ წვრილ მეურნეობებს, რომლებიც იძულებულნი არიან მიჰყიდონ მათ თავიანთი პროდუქცია. კუნძულზე მოჰყავთ ვანილი, ჩაი, ეთერზეთოვანი მცენარეები — გერანი, ილანგ-ილანგი, ვეტივერია. რეუნიონის მრეწველობა კმაყოფილდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (შაქრის, რომის, კონსერვების, ეთერზეთების) გადამუშავებით.

კოლონიზატორები ცდილობდნენ თავიანთი ბატონობისათვის ნაკლებად აშკარა ფორმები მიეცათ და 1946 წ. რეუნიონი საფრანგეთის „ზღვისიქითა დეპარტამენტად“ გამოაცხადეს. გუბერნატორის ადგილი პრეფექტმა დაიკავა, მაგრამ ამას უკეთესობა არ მოჰყოლია. კუნძულის მოსახლეობა მოითხოვს მისთვის ფართო ეროვნული ავტონომიის მინიჭებასა და მიწის, შიმშილისა და მასობრივი უმუშევრობის პრობლემათა გადაწყვეტას. ამ ბრძოლაში წამყვანი ძალაა რეუნიონის კომუნისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელობით 1978 წელს შეიქმნა რეუნიონის თვითგამორკვევისათვის ბრძოლის ფრონტი.



თამბაქოს პლანტაციაში.

რუანდა

რუანდის რესპუბლიკა.
ფართობი — 26,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 4,8 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კიგალი (40 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — კინიარუანდული და ფრანგული.

ცენტრალური აფრიკის ამწვანებულ ბორცვებს შორის მდებარეობს რუანდა — მთების, ტბებისა და ვულკანების ქვეყანა. მთაგრეხილი ვირუნგა შედგება რვა ვულკანისაგან; მათგან მხოლოდ ორი (დასავლეთში) არის მოქმედი. ვირუნგის ტყიანი მთისწინეთი ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია აფრიკის კონტინენტზე.

ჰავა უპირატესად რბილი, სუბეკვატორულია. მაგრამ ქვეყნის ჩრდილოეთში მთაგორიან რაიონებში ღამით ტემპერატურა 0°-მდე ეცემა, ხშირ წვიმებს თან ახლავს მკაცრი, ცივი ქარები. რუანდაში ყველაზე დიდი მდინარეა კაგერა, რომელიც ვიქტორიის ტბას ერთვის. კივუს ტბაში 350-დან 480 მ-მდე სიღრმეში წყალი შეიცავს გახსნილ ნახშირორჟანგს, მეთანსა და სხვა ნივთიერებებს. ტბაში ხდება წყალქვეშა ვულკანური ამოფრქვევები.

რესპუბლიკის ჩრდილოეთში მდებარეობს კაგერის ეროვნული პარკი, სადაც მრავლადაა ანტილოპები, იშვიათი ოკაპები, ზებრები, სპილოები. აქ ფრთოსნებიც ბინადრობენ.

რუანდის მკვიდრი მოსახლეობა ბანია-რუანდის ხალხია. რუანდაში, ისე, როგორც ბურუნდიში, ცხოვრობენ მთელ დედამიწაზე ყველაზე მაღალი ადამიანები — ბატუტსები (საშუალო სიმაღლე — 180 სმ) და ყველაზე დაბლები — პიგმეები (საშუალო სიმაღლე 142 სმ).

მიწათმოქმედება და მეჯოგეობა მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა. მოჰყავთ ცერცვი, სიმინდი, სორგო, მანიოკი, კასავა და მრავალი ჯიშის ბანანი, აგრეთვე საექსპორტო კულტურები — ყავა, ბამბა, დალმაციური გვირილა, ჩაი, ქინაქინის ხე. მეჯოგეები ძირითადად რძითა და ხორცით იკვებებიან. რძეს სვამენ აუდუღრად, აკეთებენ მაწონს და სხვადასხვაგვარ რძის პროდუქტებს. მიწათმოქმედნი იკვებებიან სიმინდის, სორგოს, ცერცვის ფაფებით. ზოგიერთი სახის ბანანს აცხობენ და იყენებენ თევზისა და ხორცის საკაზმად.



რუანდაში პატარა ქალაქებია. ყველაზე დიდია ბუტარე და გიტარამა. დედაქალაქი კიგალი პატარაა. მდებარეობს ბორცვებზე. ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობამ მიზნად დაისახა ქალაქის რეკონსტრუქციის, საცხოვრებელი სახლებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მშენებლობის პროგრამა.

რუანდის შესახებ პირველი ცნობები XVI საუკუნეს მიეკუთვნება. ევროპულ კოლონიზაციამდე ეს იყო ცენტრალიზებული და დამოუკიდებელი სამეფო. XIX საუკუნის ბოლოს გერმანიის ჯარები შეიჭრნენ რუანდაში. მეზობელ ბურუნდისთან ერთად იგი შევიდა გერმანელ იმპერიალისტთა კოლონიურ მფლობელობაში — გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკაში. 1919 წლიდან რუანდაში გაბატონდნენ ბელგიელი კოლონიზატორები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად 1962 წლის 1 ივლისიდან რუანდა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუანდაში აშენდა გვირილის ყვავილებისა და ჩაის გადამამუშავებელი ქარხნები. გაიზარდა საექსპორტო კულტურების ფართობები. მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს სამთომოპოვებითი მრეწველობის განვითარებას. ეს ქვეყანა მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით: კალით, ვოლფრამით, ბერილიუმით, ბუნებრივი გაზით.

ვითარდება ტურიზმი. მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ეროვნული კვალიფიციური კადრების მომზადება.

რუანდაში გახსნილია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, რუანდის კულტურის აკადემია.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ს ა რ.
ფართობი — 1223,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 26,9 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პრეტორია (562 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენები — აფრიკაანსი და ინგლისური.

სამხრეთ აფრიკის ნაპირები ძნელად მისადგომია. აქ ხშირად იღუპებოდა მოგზაურთა გემები. ამიტომ პორტუგალიელი ზღვაოსნის ბართოლომეო დიასის მიერ სამხრეთ აფრიკის გარშემო (1488) მოგზაურობიდან მხოლოდ 150 წლის შემდეგ ევროპელებმა დაიწყეს ამ ქვეყნის კოლონიზაცია (იხ. სე ტ. I, სტატია: „დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქა“). 1652 წელს ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენელი მუშებისა და ჯარისკაცების ჯგუფთან ერთად გადავიდა მაგიდა მთის ყურეში (უკიდურეს სამხრეთ აფრიკის მახლობლად) და იქ დააარსა გამაგრებული დასახლება, რომლისგანაც შემდეგ წარმოიშვა ქალაქი კაპსტადი (ახლანდელი კეიპტაუნი). აქ საფუძველი ჩაეყარა კაპის კოლონიას.

რამდენიმე წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში მოვიდა ჰოლანდიიდან გადმოსახლებულთა პირველი ჯგუფი. მათ მიჰყვნენ გერმანიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულები. კოლონისტთა უმრავლესობას მაინც ჰოლანდიელები შეადგენდნენ. პირველი გადმოსახლებულების შთამომავლებს ბურებს (ჰოლანდიური სიტყვა „ბოური“-დან — გლეხი) უწოდებდნენ. ჩვენს დროში ბურებს ურჩევნიათ თავიანთ თავს აფრიკანერები უწოდონ, რითაც ხაზს უსვამენ, რომ ისინი აფრიკის მკვიდრნი არიან.

1806 წელს ინგლისმა ჰოლანდიას წაართვა კაპის პროვინცია და თავის სამფლობელოთა შემადგენლობაში შეიყვანა. ამას მოჰყვა ინგლისელ კოლონისტთა მასობრივი მოზღვავება. მათსა და ბურებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რამაც ბურების მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა დაეტოვებინა კოლონია. XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, ეგრეთ წოდებული, ბურების ტრეკი — ბურების გადასახლება ჩრდილოეთში, მდინარე ორანჟის გაღმა. ახალ ტერიტორიაზე ბურებმა დააარსეს ორი რესპუბლიკა — ტრანსვაალი და ორანჟის თავისუფალი სახელმწიფო.

ევროპელი კოლონიზატორები და ბურები მშობლიური მიწა-წყლიდან მიერეკებოდნენ მკვიდრ მოსახლეობას, ბარბაროსულად ექცეოდნენ ან მონებად აქცევდნენ მათ. აფრიკელები მედგრად და მამაცურად იცავდნენ დამოუკიდებლობას. მხოლოდ შუბებითა და ისრებით შეიარაღებულებმა ვერ შეძლეს ქვეყნიდან განედევნათ დამპყრობლები, რომლებსაც ცეცხლმსროლელი იარაღი ჰქონდათ. სამხრეთ აფრიკაში ალმასისა და ოქროს დიდი საბადოების აღმოჩენამ გააძლიერა ევროპელთა იმიგრაცია. ინგლისელ იმპერიალისტთა ინტერესები დაუპირისპირდა სხვა კოლონიზატორების, ბურების ინტერესებს. ამან გამოიწვია 1899—1902 წლების ომი.

ომის შედეგად კაპის კოლონია, ნატალი (ზულუსის მიწა, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში ინგლისელებმა მიითვისეს), ტრანსვაალი და ორანჟის თავისუფალი სახელმწიფო გაერთიანდნენ სამხრეთ აფრიკის კავშირში (საკ), რომელმაც მიიღო ბრიტანეთის იმპერიის

დომინიონის უფლება (1910). ადრინდელი მტრები — ინგლისელები და ბურები — გაერთიანდნენ, რათა საერთო ძალით შეენარჩუნებინათ ბატონობა რამდენიმე მილიონ აფრიკის მკვიდრ მოსახლეობაზე. ასე გაჩნდა აფრიკის სამხრეთით ევროპელი კოლონიზატორების მიერ შექმნილი სახელმწიფო.

1961 წლის 31 მაისს სამხრეთ აფრიკის კავშირი რესპუბლიკად (სარ) გამოცხადდა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ თეთრები მართავდნენ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროგრესულმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკის გამოცხადებას რასისტების მიერ აფრიკელების დაცინვა უწოდეს. რასისტული რესპუბლიკის გამოცხადებას შემდეგ საპროტესტო გაფიცვით უპასუხეს. აფრიკელთა შესაშინებლად ხელისუფლებამ ქალაქების ქუჩებში ჯავშნოსანი მანქანები გამოიყვანეს და გაფიცვების 10 ათასი მონაწილე დააპატიმრეს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი ზეგანია, რომელიც ინდოეთის ოკეანისაგან აღმოსავლეთითა და სამხრეთით გამოყოფილია დრაკონის მთებით. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მდებარეობს ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავის ზონაში. მთების აღმოსავლეთი და სამხრეთი ფერდობები კარგად ირწყვება წვიმებით, რომლებიც ოკეანიდან მოაქვთ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარებს. აქ ხარობს ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეები. შიგა ზეგანი სავანა, მშრალი სტეპები და ნახევარუდაბნოებია. სანამ ევროპელები მოვიდოდნენ, ამ ქვეყანაში ბევრი იყო დიდრონი ცხოველი — სპილო, მარტორქა, ჟირაფი, ანტილოპები. ახლა მათი ნახვა შეიძლება მხოლოდ კრიუგერის ეროვნულ პარკში — ნაკრძალში, რომელიც მოზამბიკის საზღვარზეა.

ძირითადი მოსახლეობაა მკვიდრი აფრიკელები, რომლებიც ბანტუს სხვადასხვა ხალხებს ეკუთვნიან: კოსა, ზულუ და სხვ. რაოდენობით მეორე ჯგუფი მოსახლეობისა — ევროპიდან გადასახლებულთა შთამომავლები არიან (17,5%) — უმთავრესად აფრიკანერები და ინგლისელები. აფრიკანერები უმეტესად სოფლად ცხოვრობენ და ფერმერულ მეურნეობას ეწევიან. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა (მოხელეები, ქარხნებისა და ფაბრიკების ტექნიკური პერსონალი) ინგლისელებია. ამ ქვეყანაში ცხოვრობს 2 მილიონზე მეტი ბეტისი (ე. წ. „ფერადკანიანები“) და დაახლოებით 0,7 მლნ. აზიიდან გადმოსახლებული.



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობა, მუშები და მოსამსახურეები იბრძვიან აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ. სურათზე: პოლიცია უსწორდება სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილეებს იოჰანესბურგში.

ეკონომიკური განვითარების დონით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. კოლონიზაციის დაწყებიდან XIX საუკუნის ბოლომდე ბური ფერმერები აფრიკელთათვის წართმეულ ვრცელ საძოვრებზე პირუტყვს აშენებდნენ. ინგლის-ბურების ომის შემდეგ სამხრეთ აფრიკის მიწაზე სწრაფად განვითარდა სამთომოპოვებითი მრეწველობა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. სარ-ს 1974 წელს კაპიტალისტურ სამყაროში პირველი ადგილი ეკავა ოქროს (დაახლოებით 80%), პლატინის, ქრომიტების, მანგანუმის, ვანადიუმისა და სურმის მოპოვებით, მეორე — ალმასისა და აზბესტის, მესამე — ურანის კონცენტრატების წარმოებით. სამთომოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის დიდი ხაწილი საზღვარგარეთ გააქვთ.

მეორე მსოფლიო ომის დროსა და მის შემდეგ განვითარდა დამამუშავებელი მრეწველობის ზოგიერთი დარგი. ფაბრიკებსა და ქარხნებში ადნობენ თუჯს, ფოლადსა და სპილენძს, უშვებენ ელექტროტექნიკურ მოწყობილობასა და ავტომობილებს, ამზადებენ ქსოვილებს, კონსერვებს. ქიმიურ ქარხნებში აწარმოებენ დიდძალ ასაფეთქებელ

ნივთიერებებს მაღაროებში ასაფეთქებელი სამუშაოებისათვის. ამ ქარხნებიდან ბევრი, ისე როგორც სამთომოპოვებითი მრეწველობის საწარმოები, ადგილობრივ კაპიტალს ეკუთვნის. „სარ-ის ბატონ-პატრონს“ უწოდებენ მილიარდერ ჰარი ოპენჰაიმერს.

დამამუშავებელი მრეწველობის დარგების დიდი ნაწილი არასაკმარისად არის განვითარებული. ამიტომ სარ-ში შემოაქვთ ჩარხები, სამრეწველო მოწყობილობა. ხელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მთლიანად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობას სურსათ-სანოვაგით. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ სოფლის მცხოვრებთა ძირითადი ნაწილი — აფრიკელები — განდევნილია ნოყიერი მიწებიდან, იყენებს პრიმიტიულ სამიწათმოქმედო იარაღებს და არ გააჩნია მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენი სახსრები.

ევროპელი მსხვილი ფერმერები და კაპიტალისტური მონოპოლიები მისდევენ სასაძოვრე მესაქონლეობას (ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენება) და საპლანტაციო მეურნეობას.

პლანტაციებში მოჰყავთ ციტრუსოვნები, ანანასი, ყურძენი, რომლებიც საზღვარგარეთ გააქვთ. სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის მთავარი წყარო ცხვრის მატყლია. ძირითადი სასურსათო კულტურებია: სიმინდი, სორგო, პარკოსნები, ქერი, შვრია, არაქისი. საკმაოდ დიდი სათესი ფართობი უკავია შაქრის ლერწამს, ბამბასა და თამბაქოს.

სარ-ში ბევრია დიდი და ლამაზი ქალაქი. სარ-ის დედაქალაქ პრეტორიას ტრანსვაალის ყვავილს უწოდებენ. ამ ბაღებში ჩაფლულ ქალაქში არის მთავრობის რეზიდენცია. პარლამენტი მუშაობს კეიპტაუნში, სადაც სესიების დროს გადაინაცვლებს ამ ქვეყნის მთელი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი. სარ-ის უდიდესი ქალაქი იოჰანესბურგი (დაახლოებით 1,5 მლნ. მცხოვრები) ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ქალაქები დაკავშირებული არიან რკინიგზებითა და გზატკეცილებით. მთელს აფრიკაში მხოლოდ სარ-ს აქვს რკინიგზების ხშირი ქსელი: მათი სიგრძე დაახლოებით 22 ათასი კმ-ია.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მეურნეობა დამოკიდებულია ინგლისელი და ამერიკელი კაპიტალისტებისაგან. აშშ გააქვთ ქვეყნიდან მათთვის საჭირო კობალტის — 98, პლატინის — 80, ქრომის — 91 და ვანადიუმის 36 პროცენტი; ინგლისს — ქრომის — 46, მაგნიუმის — 35, ვანადიუმის — 51 და ოქროს — 84 პროცენტი. უცხო კაპიტალის საერთო დაბანდებანი 70-იანი წლების ბოლოსათვის შეადგენდა 10 მლრდ. დოლარს. უცხოეთის მონოპოლიებმა ხელთ იგდეს მრავალი სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება და უდიდეს მოგებას იღებენ. ზედაფენა მჭიდროდ არის დაკავშირებული უცხოეთის საფინანსო წრეებთან.

სარ-ის ყველა კანონს საფუძვლად უდევს აპარტეიდი — რასობრივი სეგრეგაციის პრინციპი, რომელიც მოწოდებულია გაამართლოს სარ-ის მთელი არაევროპული მოსახლეობის ჩაგვრა და რასობრივი დისკრიმინაცია. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში აფრიკელები და „ფერადკანიანები“ ასრულებენ ყველაზე მძიმე სამუშაოს, რისთვისაც უმცირეს ანაზღაურებას იღებენ. აფრიკელთა ცხოვრების დონე საშუალოდ 18-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ევროპელებისა. დასამუშავებლად ვარგისი მიწების 100 მლნ. ჰექტარი (102-დან) ევროპელთა ხელშია.

აფრიკელებს ნება ეძლევათ იცხოვრონ მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში, გარეუბნების ჯურღმულებში — ლოკაციებში. პრეტორიისა და იოჰანესბურგის მიდამოებში არის ეგრეთ წოდებული ქოხმახების ქალაქები, სადაც აფრიკელები სულს ღაფავენ საშინელ სივიწროვეში. უნაყოფო რაიონებში მდებარე ტერიტორიებზე ხელისუფლები ამ ბოლო დროს ქმნიან ეგრეთ წოდებულ „თვითმმართველ ტერიტორიებს“ — ბანტუსტანებს.

ასე გამოცხადდა 1976 წელს ბანტუსტან ტრანსკეის, ხოლო 1977 წელს — ბანტუსტან ბოპუტატსვანას „დამოუკიდებლობა“. ეს ბანტუსტანები გიგანტური საკონცენტრაციო ბანაკებია, რომელთა მოსახლეობა მოკლებულია საარსებო საშუალებებს და იძულებულია იმუშაოს თეთრების საწარმოებში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრი მცხოვრებლები იბრძვიან რასიზმის წინააღმდეგ. ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში წამყვანი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. ჯერ კიდევ 1920 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მუშებმა დელეგატები გაგზავნეს მოსკოვში ვ. ი. ლენინთან.

1921 წელს შეიქმნა სამხრეთ აფრიკის კომუ-

ნისტური პარტია, პირველი კომუნისტური პარტია აფრიკის კონტინენტზე. 1950 წლიდან პარტიამ დაიწყო იატაკქვეშ მუშაობა. დემოკრატიული უფლებებისათვის მშრომელთა ბრძოლას კომპარტიასთან ერთად ხელმძღვანელობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები: აფრიკის ეროვნული კონგრესი, სამხრეთ აფრიკის ინდიელთა კონგრესი, სამხრეთ აფრიკის ფერადკანიანი მოსახლეობის კონგრესი, შავი ხალხის კონვენტი. ამ ორგანიზაციების ინიციატივით 1955 წელს კეიპტაუნში (ტრანსვაალი) მოიწვიეს სამხრეთ აფრიკის ხალხთა კონგრესი, რომელმაც მიიღო თავისუფლების ქარტია. კონგრესმა მოითხოვა თანაბარი უფლებები ყველა ეროვნული ჯგუფისათვის, მიწების გადაცემა იმათთვის, ვინც მას ამუშავებს. ქარტიაში აღნიშნული იყო, რომ ბუნებრივი სიმდიდრეები უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, ხოლო ქვეყნის მართვა-გამგეობა მშრომელებს.

1950 წელს სამხრეთ აფრიკის პარლამენტმა, რომელიც თეთრკანიანი რასისტებისაგან შედგება, მიიღო კანონი, კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური საქმიანობის აკრძალვის შესახებ. მმართველმა ნაციონალისტურმა პარტიამ, რომელიც 1913 წელს შეიქმნა და გამოხატავს ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული წრეების ინტერესებს, აკრძალა აფრიკის ეროვნული — ამ ქვეყნის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — საქმიანობა.

ჰიტლერული ურდოების განადგურების შემდეგ გერმანელ ფაშისტთა ბევრი მეთაური სამხრეთ აფრიკაში გაიქცა. აქ მათ თანამდებობები მისცეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმიაში, პოლიციასა და სახელმწიფო აპარატში. შეიქმნა სნაიპერთა ბრიგადები, რომლებიც დაუნდობლად ახშობდნენ მღელვარებას აფრიკელთა შორის. აფრიკელებს ჩამორთმეული აქვთ იარაღის ტარების უფლება. კანონის „დამრღვევს“ ასამართლებენ, დილეგებში ყრიან და ზოგჯერ სიკვდილითაც სჯიან. ამავე დროს თითოეულ თეთრკანიანს აქვს უფლება ჩამოაყალიბოს და შეიარაღოს თავისი საკუთარი რაზმი. ამისათვის კი საკმარისია შეიტანოს განცხადება, რომ ეს რაზმი იბრძოლებს კომუნისტების წინააღმდეგ.

სისხლიანმა რასისტმა ბოროტმოქმედებმა 1976 წლის ივნისში სოუეტოს — იოჰანესბურგის გარეუბნის — მოსწავლეებისა და მოსახლეობის მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს. სოუეტოს მოსწავლეები და მოსახლეობა პროტესტს აცხადებენ აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ. ასობით მოკლული და დაჭრილი — ასეთი იყო რასისტთა პასუხი მოქალაქეობრივი თანასწორუფლებიანობის მოთხოვნაზე.

რეპრესიები არც შემდეგ შეწყვეტილა. მხოლოდ 1978 წელს პოლიტიკური ბრალდება წაუყენეს და დააპატიმრეს 70 ათასი კაცი. აქედან 132-ს სიკვდილი, ხოლო 247-ს მუდმივი პატიმრო-

აპარტეიდი — რასისტების პოლიტიკა

მთელს მსოფლიოში ბავშვები მოზრდილებს „თქვენობით“ მიმართავენ—ეს ზრდილობის ელემენტარული წესია. უფროსს შეუძლია ბავშვს „შენობით“ მიმართოს, მაგრამ, დამეთანხმეთ, უცნაურად მოგეჩვენებათ, რვა წლის ბიჭუნა მოსუცს რომ დაუყვირებს: „ეი, ბიჭო, მოდი ჩემთან!“ ისიც სულელური იქნება, თუ მოხუცი, რომელსაც ოდნავადაც არ გაუკვირდება ეს, საქმეს თავს მიანებებს, თავქუდმოგლეჯილი მცირეწლოვანთან მიირბენს და მოწიწებით ჰკითხავს: „რა ვნებაკთ, ბატონო?“

ეს ყველგან უცნაურად მოგეჩვენებათ, გარდა სამხრეთ აფრიკას რესპუბლიკისა, სადაც ყველა აფრიკელი მოვალეა თეთრკანიანს მხოლოდ „თქვენობით“ მიმართოს და ყოველი ფრაზა სიტყვა „ბატონოთი“ დაამთავროს, სადაც თეთრკანიანმა აფრიკელს უნდა მიმართოს „შენობით“ და „ეი, ბიჭო“, „ეი, გოგო!“ დაუძახოს (თუნდაც თვითონაც არ მოსწონდეს ეს, სხვაგვარად შეიძლება პასუხისგებაში მისცენ);

სადაც აფრიკელი, რომელიც თუნდაც ერთ ლექციას დაესწრო კეიპტაუნის უნივერსიტეტში, ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს;

სადაც არც ერთ აფრიკელს არა აქვს უფლება ჰქონდეს მანქანა და საკუთარი სურვილისამებრ განაგებდეს მას;

სადაც აფრიკელი, რომელიც სასტლის კედელზე დააწერს: „ჰარს აპარტეიდი!“ ჩადის სისხლის **სამართლის** დანაშაულს.

ყველაფერი ეს აღებულია „სარის კანონთა კრებულიდან“. სხვათა შორის, კრებულში ამ ბოლო დროს ჩაუმატეს კიდევ ერთი კანონი: „აფრიკელ ბავშვებისათვის გასხნილ სკოლებში იკრძალება ინგლისური ენის სწავლება“. ინგლისურად ხომ შავკანიან ყმაწვილს შეეძლებოდა წაეკითხა საზღვარგარეთ გამოცემული წიგნები, სადაც ყველა ფერის კანის ქონე ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობაზეა ლაპარაკი

ბა მიუსაჯეს; 212 ციხეში გარდაიცვალა, ხოლო 467 პოლიციამ დაასახიჩრა. სულ წლის განმავლობაში დაპატიმრებული იყო სხვადასხვა მიზეზით 272 ათასი აფრიკელი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ იკისრა აფრიკის ჟანდარმის როლი. სამხრეთ აფრიკის ლეგიონები ილაშქრებდნენ კონგოში (ამჟამად ზაირი) აჯანყებულ პატრიოტთა წინააღმდეგ, ეხმარებოდნენ სამხრეთ როდეზიის რასისტებს და ცდილობდნენ კოლონიური წესწყობილების აღდგენას ანგოლაში. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებიან რაზმელები მშვიდობიან მოსახლეობას. სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი ვერ იარსებებდა, მას მხარს რომ არ უჭერდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. სამხრეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის ცხრა მეათედი წერა-კითხვის უცოდინარია. ამ ქვეყანაში პოლიციელები უფრო მეტია, ვიდრე მოსწავლე აფრიკელები. განათლებაზე იხარჯება ეროვნული შემოსავლის 4 პროცენტზე ნაკლები, აქედან აფრიკელთა განათლებაზე ნახევარ პროცენტზე ნაკლები. ერთი თეთრკანიანი მოსწავლის სწავლებაზე ყოველწლიურად იხარჯება ათჯერ მეტი, ვიდრე ერთი აფრიკელისა. სამხრეთ აფრიკის რასისტულმა რეჟიმმა ეს ქვეყანა საშინელ საპატიმროდ აქცია. მაგრამ დღითიდღე სულ უფრო და უფრო ჩაღდება წინააღმდეგობის მოძრაობა.

სან-ტომე და პრინსიპი

სან-ტომე და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა.
ფართობი — 964 კმ².
მოსახლეობა — 81 ათასი კაცი.
დედაქალაქი — სან-ტომე (10 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — პორტუგალიური.

ბიაფრის ყურეში, ეკვატორის ხაზზე, მდებარეობს ორი შედარებით დიდი კუნძული — სან-ტომე და პრინსიპი. ლამაზი და მადლიანია ამ კუნძულების ბუნება. ვულკანების მაღალი პიკები, განსაკუთრებით სან-ტომეს კუნძულზე, მკვეთრად აჭრილა ცაში. მათი კალთები დაფარულია მარადმწვანე უსიერი ტყეებით, ხოლო კრატერებში ლურჯი ტბებია. ბევრია ნაკადული და ჩანჩქერი. უნა-



ყოფიერესი ვულკანური ნიადაგები კუნძულების მთავარი სიმდიდრეა.

პორტუგალიელების მიერ 1470 წელს აღმოჩენილი კუნძულები მაშინვე იქცნენ კოლონიზაციის ობიექტებად. მკვიდრი მოსახლეობისათვის (ფანგი ხალხი) წართმეულ მიწებზე შაქრის ლერწმის პლანტაციებს აშენებდნენ. კუნძულებს შეეჩვივნენ ადამიანებით მოვაჭრენი. აქ, ამერიკისაკენ გამგზავრების წინ, სხვადასხვა ადგილებიდან მოდიოდნენ მათი გემები. 1975 წლამდე სან-ტომე და პრინსიპი პორტუგალიის ზღვისიქითა პროვინციებად ითვლებოდა. დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივ უთანასწორო ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მოძრაობა სან-ტომეს და პრინსიპის განთავისუფლებისათვის.

პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ კუნძულებმა მოიპოვეს თვითგამორკვევის უფლება. 1975 წლის 12 ივლისს აფრიკის სახელმწიფოთა ოჯახს ახალი რესპუბლიკა შეემატა.

ქვეყანაში ერთადერთი პარტიაა — სან-ტომესა და პრინსიპის კუნძულების განთავისუფლების მოძრაობა, რომლის გენერალური მდივანი ამავე დროს პრეზიდენტიცაა. 1978 წელს ჩატარდა მმართველი პარტიის I ყრილობა, რომელმაც გადაწყვიტა უცხოელთა საკუთრების, მსხვილი პლანტაციებისა და საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზება.

კოლონიალიზმის შედეგად თითქმის ყველა მიწას პორტუგალიის კომპანიები დაეუფლნენ. მაგალითად, ერთ მეურნეობას ეკავა ფართობი, რომელიც კუნძულ სან-ტომეს ტერიტორიის მეათედის ტოლი იყო. მთავარი კულტურაა კაკაო, სიმინდი, ყავა, ზეთისა და ქოქოსის პალმა, ქინაქინის ხე,

კოლა, დარიჩინი, ვანილი, აბუსალათინი. რესპუბლიკის მთავრობა დემოკრატიულ გარდაქმნებს ახორციელებს. ტარდება აგრარული რეფორმა, დიდი პლანტაციები ნაციონალიზებულია.

სეიშელის კუნძულები

სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა.
ფართობი — 405 კმ².
მოსახლეობა — 62 ათასზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ვიქტორია (14,5 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — ინგლისური და ფრანგული.

სეიშელს უკავია დაახლოებით 100 გრანიტისა და მარჯნის კუნძული ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ყველაზე დიდი კუნძულია მაე. ამ კუნძულზეა ახალგაზრდა სახელმწიფოს დედაქალაქი ვიქტორია, თანამგზავრების სათვალთვალო სადგური და ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი სამხედრო ნაგებობანი.

XVI საუკუნიდან არაბი ზღვაოსნებისათვის დიდი ხნიდან ცნობილ კუნძულებზე მოვიდნენ პორტუგალიელები. 1742 წელს კუნძულებს დაეუფლნენ ფრანგები, რომლებმაც დაიწყეს მათი დასახლება. ახლა მოსახლეობის უმრავლესობა — კრეოლები — ფრანგი კოლონისტებისა და აფრიკიდან მოყვანილი მონების შთამომავლებია. კუნძულების დიდი ბრიტანეთის მფლობელობაში გადასვლასთან ერთად (1810) შრომის არმია ივსებოდა ინდოელი და ჩინელი იმიგრანტებით.

ოფიციალური ენა ინგლისურია, მაგრამ სეიშელელები უპირატესობას ანიჭებენ ფრანგული ენის საფუძველზე შექმნილ კრეოლურ კილოს.

უკანასკნელი ათწლეულის ანტიკოლონიურმა ქარიშხალმა ამ შორეულ კუთხესაც მოაღწია. 1976 წლის 28 ივნისის ღამეს მსოფლიოს სახელმწიფოთა ოჯახს სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა შეემატა.

მმართველი პარტია — სეიშელის კუნძულების ხალხის პატრიოტული ფრონტი (1978 წლამდე ეწოდებოდა სეიშელის კუნძულების ხალხის გაერთიანებული პარტია) — ერთადერთია ქვეყანაში. 1979 წელს მიღებული კონსტიტუციის თანახმად, სეიშელის კუნძულები „სოციალისტურ რესპუბლიკად“ გამოცხადდა.

სეიშელის კუნძულებს ზოგჯერ „მივიწყებულ სამოთხეს“ უწოდებენ. სილამაზით გვხიბლავს კუნძულთა ციცაბო კალთები, რომლებიც ტყითაა დაფარული. ტყეებში ბევრია ენდემური სახეობანი, კერძოდ, სეიშელის მარაოსებრი პალმა. აქ ბინადრობენ იშვიათი ცხოველები, გიგანტური სპილოსებრი კუ. ჰავა ზომიერად ტენიანია. კუნძულებზე მოჰყავთ ქოქოსის პალმა (გააქვთ კოპრა), დარიჩინის ხე, ფაჩული (ბუჩქაბალახი, რომლის ფოთლებისაგან იღებენ ძვირფას ეთეროვან ზეთს საპარფიუმერიო წარმოებისათვის), ვანილი, ჩაი. გაშენებულია შაქრის ლერწამი, ხილი, ბრინჯი და პარკოსნები.

მაგრამ სეიშელის კუნძულები „დავიწყებული სამოთხე“ როდია. კუნძულებს საკმაოდ ბევრი აქვს მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. ისინი მოწყვეტილნი როდი არიან დანარჩენი სამყაროსაგან. ვიქტორიაში, ამ მოხერხებულ საოკეანო ნავსადგურში, რომელიც დაფარულია პატარ-პატარა კუნძულების ჯაჭვით, შემოდიან მრავალი ქვეყნის გემები. დიდი აეროდრომი მაეზე შორეულ საერთაშორისო ავიატრასებს უწევს მომსახურებას.

მშვიდობისმოყვარე ქვეყნების შიშსა და შეშფოთებას იწვევს იმპერიალისტური სახელმწიფოების ავისმომასწავებელი სამხედრო გეგმები ინ-



დოეთის ოკეანის მიმართ. აქ თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების შესანარჩუნებლად 1965 წელს ინგლისის მმართველმა წრეებმა ხელოვნურად შექმნეს ეგრეთ წოდებული ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში. მასში შეიყვანეს ჩაგოსის არქიპელაგი და ალდაბრას, ფარკუარისა და დე-როშის კუნძულები. დამოუკიდებლობის მინიჭებისას ეს კუნძულები დაუბრუნეს სეიშელს, მაგრამ ინგლისმა შეინარჩუნა ჩაგოსი. აქ ინგლისის თანხმობით ამერიკის მხედრიონი ინდოეთის ოკეანის ცენტრში აწყობს დიდ სამხედრო ბაზას, აფართოებს ნავსადგურსა და აეროდრომს დიეგო-გარსიას ატოლზე, არქიპელაგის ყველაზე დიდ კუნძულ ჩაგოსზე. ინდოეთის ოკეანის აუზის მიმართ იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებენ თავისუფლებისმოყვარე ხალხები.



სენეგალი

სენეგალის რესპუბლიკა.
ფართობი — 196,2 ათასი კმ².
მოსახლეობა — 5,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — დაკარი (გარეუბნებიანად დაახლ. 800 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ფრანგული.

მოგზაური, რომელიც დასავლეთ აფრიკას ეცნობა, გზას ხშირად დაკარიდან — კონტინენტის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქიდან იწყებს. დაკარი დიდი საზღვაო ნავსადგურია. აქ ყოველდღე სხვადასხვა ქვეყნიდან ათობით გემი მოდის.

ქალაქის მახლობლადაა დიდი აეროპორტი, სადაც თავს იყრის ლათინური ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებიდან მომავალი საავიაციო ხაზები.

გემიდან ან თვითმფრინავიდან ჩამოსული მოგზაური აღმოჩნდება დიდ ქალაქში, რომელიც ევროპულ ქალაქს მოგვაგონებს. ცენტრში სწორი ქუჩებია თანამედროვე არქიტექტურის შესაბამისად აგებული ლამაზი შენობებით. მაგრამ საკმარისია ცოტათი დაშორდეთ მდიდართა კვარტალებს, რომ ფუფუნება და ბრწყინვალება სიღატაკემ შეცვალოს. ახლა მთავრობა ცდილობს შეარბილოს კონტრასტები ქალაქის რაიონებს შორის.

დაკარიდან წინათ ხორციელდებოდა მთელი საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის მართვა.

დაკარი ამ ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული და კულტურული ცენტრია, აქ არის დაკარის უნივერსიტეტი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია აფრიკაში. უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერები იკვლევენ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ისტორიას, ენებს, აფრიკის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას.

სენეგალელებს გააჩნიათ ეროვნული ლიტერატურა. სენეგალელი პოეტებისა და მწერლების წიგნები გამოდის არა მარტო აფრიკაში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

დაკარის მახლობლად ზღვაში მდებარეობს პატარა კუნძული გორე, რომელიც აფრიკელებს მათი წინაპრების წამებასა და უბედურებას აგონებს. 300 წელი კუნძული გორე მონათვაჭრობის უდიდესი ცენტრი იყო. აქ ცოცხალი საქონლით მოვაჭრე ევროპელებს საპყრობილეებში გამომწყვდეული ჰყავდათ მონები, სანამ მათ სატუსაღო გემებში ჩასვამდნენ და ამერიკაში გააგზავნიდნენ. ამ ქვეყნის ჩრდილოეთში, მდინარე სენეგალის შესართავთან მდებარეობს ქალაქი სენ-ლუი, რომელიც კოლონიალიზმის დროს ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. ეს ქალაქი ოდესღაც მონებით ვაჭრობის ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა. ახლა სენ-ლუი მეთევზეთა, მამაცი ადამიანების ქალაქია, რომლებიც ზღვაში ძველი გემებით გადიან.

ატლანტის ოკეანეში უხვად იჭერენ თევზს სენეგალელი მეთევზეები.

სენეგალის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია სავანებს, სადაც ხარობს კაცის სიმაღლე ბალახი და ბაობაბები, რაც ტიპურია სენეგალის პეიზაჟისათვის. სამხრეთით სავანა თანდათანობით ტროპიკულ ტყეში გადადის.

სენეგალის ძირითადი ხალხი — ვოლოფი — მიწათმოქმედებას მისდევს. სერერი, ფულბე და სხვა ხალხები მისდევენ მეჯოგეობასა და მეთევზეობას.

სენეგალი ძირითადად აგრარული ქვეყანაა. მდინარეების სენეგალსა და სალუმს შორის მინდვრებზე და სამხრეთით კაზამანსამდე გლეხებს მოჰყავთ არაქისი — უმნიშვნელოვანესი საექსპორტო პროდუქტი. მაგრამ სენეგალის სოფლის მეურნეობაში არაქისის კულტურის გაბატონება კოლონიური წარსულის მემკვიდრეობაა.

ქვეყანას ხშირად ძალიან უჭირს, როცა მოუსავლიანი წელი დადგება ან საერთაშორისო ბაზარზე ეცემა მოთხოვნილება არაქისზე. სენეგალი იძულებულია სხვა ქვეყნებიდან შემოიტანოს ბრინჯი, სორგო, ფეტვის აფრიკული ნაირსახეობა — მილი, ვინაიდან საკმარისი არ არის ამ კულტურების ნათესები.

სენეგალის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა ძლიერმა გვალვამ, რომელიც რამდენიმე წელიწადს (1970—1973) გაგრძელდა. დაიღუპა დიდძალი პირუტყვი, მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

სენეგალში შედარებით განვითარებულია მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოები — ზეთსახდელები, თევზის საკონსერვო, საფქვავი ქარხნები.

აქ არის საფეიქრო, ქიმიური, საშენი მრეწველობის საწარმოები, ავტო და ველოსაამწყობო ქარხნები.

მაგრამ სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მოქცეულია უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის კაპიტალის ხელში. სენეგალის წიაღში, ქალაქ თიესის მახლობლად, ტაიბეში არის ფოსფორიტები, ბარნიში — ცემენტის ნედლეული. მოიპოვება პოლიმეტალური მადნები, ტიტანის შემცველი ქვიშა.

სენეგალი აფრიკის ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც დამკვიდრებას ცდილობდნენ კოლონიზატორები. უკვე XV საუკუნის შუა წლებში აქ შემოვიდნენ მონებით მოვაჭრენი. სენ-ლუი და კუნძული გორე აქციეს ბაზებად კონტინენტის სიღრმეში კოლონიური ლაშქრობებისათვის. XIX საუკუნის შუა წლებში საფრანგეთის ჯარებმა დაიწყეს სენეგალის გეგმაზომიერი დაპყრობა.

სენეგალის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1960 წლის აგვისტოში გამოცხადდა სენეგალის რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლებას ახორციელებს პარლამენტი — ეროვნული კრება.

არსებობს რამდენიმე პარტია: სენეგალის სოციალისტური პარტია (მმართველი, შედის სოციალისტურ ინტერნაციონალში), სენეგალის დემოკრატიული პარტია, სენეგალის დამოუკიდებლობის განახლებული აფრიკული პარტია, მარქსისტული პარტია, რომელსაც სენეგალის დამოუკიდებლობის აფრიკული პარტია ეწოდება (დაარსდა 1957 წელს), 1960 წლიდან არალეგალურად მოქმედებს.



სვაზილენდი

სვაზილენდის სამეფო.
ფართობი — 17,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 528 ათასი კაცი.
დედაქალაქი — მბაბანე (20,4 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — ინგლისური და სვაზი.

სვაზის ხალხის ქვეყნის დაპყრობას ცდილობდნენ ინგლისი და ბურების რესპუბლიკა ტრანსვაალი, მაგრამ იარაღით ვერ დაიმორჩილეს იგი. მხოლოდ ამ საუკუნის მიჯნაზე მოსყიდვით ინგლისმა შეძლო სვაზილენდისათვის თავს მოეხვია პროტექტორატი. განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ 1968 წელს გამოიწვია სვაზის დამოუკიდებლობის აღორძინება. 1973 წელს მოხდა სასახლის გადატრიალება, რომლის შედეგადაც კონსტიტუცია გაუქმდა და მეფემ შეუზღუდველი ძალაუფლება მიიღო. 1978 წელს გამოცხადდა, რომ პარტია — მოძრაობა სვაზილენდის განთავისუფლებისათვის (სვალიმო), რომელიც არალეგალურად მოქმედებს, იწყებს ბრძოლას დიქტატორული რეჟიმის დამხობისა და დემოკრატიული რეფორმის ჩატარების მიზნით.

სვაზილენდი მთაგორიანი ქვეყანაა სწრაფი მდინარეებით და საძოვრებით. აქ ხარობს 2 600 სახეობის ყვავილოვანი ბალახი და ბუჩქნარი. დასავლეთიდან, დრაკონის მთების ფერდობებიდან, აღმოსავლეთისაკენ ეს ქვეყანა გადასერილია სამი უზარმაზარი საფეხურით. მაღალი ველდი (1100—1400 მ) ფიჭვნარი და ევკალიპტის ტყეების სამეფოა, შუა ველდი, ნაყოფიერი მიწებით, ნალექების საკმაო რაოდენობით, უპირატესად მიწათმოქმედების რაიონია. ქვედა ველდის (150—300 მ) ოდნავ ბორცვიანი სივრცეები იდეალური საძოვრებია. სვაზილენდში ზომიერად გრილი ზამთარი და თბილი ზაფხული იცის.

ეკონომიკის საფუძველია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის მოშენება. სვაზილენდში გამოსაზამთრებლად მერინოსის ცხვრის დიდ ფარებს მიერეკებიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან. საექსპორტოდ მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბამბა, ციტრუსები, ბრინჯი, თამბაქო. აქვთ ტუნგის ხეების პლანტაციები, რომელიც ძვირფას ტექნიკურ ზეთს იძლევა. ხდება მერქნის დამზადება და გატანა. საექსპორტოდ მიდის დიდძალი საბორცე პირუტყვი.

სვაზილენდის წიაღში აღმოჩენილია აზბესტის მარაგი (მსოფლიოში უმდიდრესი), ქვანახშირი, რკინის მადანი, ქრომი, ოქრო, ტალკი. მათი მოპოვება სწრაფად იზრდება. მინერალური ნედლეულის გატანა ექსპორტის მთავარ მუხლად იქცა.

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას კონტროლს უწევენ ამერიკული, სამხრეთ-აფრიკული და ინგლისური კომპანიები. კოლონიზატორებმა თავის დროზე საუკეთესო სავარგულები მიიტაცეს და ახლა მიწების 40%-ზე მეტი ეკუთვნის ევროპელებს, რომლებიც მოსახლეობის 2%-ს შეადგენენ. ამის გამო სვაზის ყოველი მეექვსე გლეხი იძულებულია იმოჯამაგირეოს. ბევრი საშოვარზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიდის. ქვეყნის სიძნელეებს ამწვავებს ის, რომ ქვეყანა სავალუტო და საბაჟო ურთიერთობაში იმყოფება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, რაც იწვევს სვაზილენდის მუდმივ ეკონომიკურ შევიწროებას.

სვაზილენდი მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა. აქ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი და ბავშვთა სიკვდილიანობა ყველაზე მეტია.

სიერა-ლეონე

სიერა-ლეონეს რესპუბლიკა.
ფართობი — 72,3 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ფრიტაუნი (275 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

ხუთასი წლის წინათ პორტუგალიელმა მეზღვაურებმა, რომლებიც აფრიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ მიცურავდნენ, გვინეის ყურის შესახვევზე დაინახეს მთათა მწკრივი, რომელთაგან ერთ-ერთი სახტომად გამზადებულ ლომს ჰგავდა. გემის კაპიტანმა ამ მთებს სიერა-ლეონე (ლომების მთები) უწოდა. ეს სახელწოდება მიეკუთვნა აფრიკის სანაპიროზე მდებარე პატარა ქვეყანასაც.

სიერა-ლეონეში სახლობენ უმთავრესად მენდეს, ტემნეს, ლიმბასა და ბულომის ხალხები.

სანაპიროს გასწვრივ თითქმის ყველგან დაჭაობებული ვაკეა. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით აღმართულია დაბალი პლატო. სიერა-ლეონეს ვაკეები და მთები ტყეებით არის დაფარული. აქ იზრდება ხე ხენდუი, რომლის არაჩვეულებრივად მაგარი მერქნისაგან ამზადებენ რკინიგზის შპალებს და საზღვაო ნავმისადგომების ხიმინჯებს. გვხვდება სხვადასხვა ჯიშის წითელი



ხე, აფრიკული მუხა, ბამბუკი. მაგრამ ეს უკვე ის გაუვალი ტროპიკული რაყები როდია, რომლებსაც ოდესღაც ამ ქვეყნის დიდი ნაწილი ეკავა. ბევრგან ტყე განადგურებულია. ქვეყნის უტყეო ნაწილში გადაჭიმულია მაღალბალახოვანი სავანა, სადაც აქა-იქ მოჩანან ბაობაბები. მრავალფეროვანია სიერა-ლეონეს ცხოველთა სამყარო, აქ არის მაიმუნი და ჯიქი, ანტილოპა და ნიანგი, უთვალავი ფრინველი და მწერი.

მოსახლეობის მთავარი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა. მოჰყავთ **ყავა,** კაკაო, ზეთოვანი პალმა, არაქისი, სიმინდი, **მანიოკი.** ყველაზე გავრცელებული კულტურაა ბრინჯი. აფრიკაში ხშირად მოჰყავთ ე. წ. ურწყავი ბრინჯი, რომელიც არ საჭიროებს მინდვრების დატბორვას, მისი თესვა შეიძლება ახოებში, ბორცვის ფერდობებზე. თუმცა სიერა-ლეონეში ბევრ ბრინჯს თესავენ, იგი მაინც არ არის საკმარისი, რისთვისაც შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან. ამის მიზეზია მცირემოსავლიანობა. გლეხები ბრინჯს თესავენ და მოჰყავთ ისე, როგორც ასობით წლის წინათ.

სანაპიროსა და მდინარეთა ხეობებში მცხოვრებნი მისდევენ თევზჭერას. ბევრი აფრიკელი, ისე როგორც მათი შორეული წინაპრები, ოკეანეში გადიან ძველი პირაგუებით. თინუსი, რომელიც დაჭერილი თევზის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, საექსპორტოდ მიდის.

ქალაქ ომდურმანის გარეუბანში.

სახელმწიფოს დედაქალაქი — ფრიტაუნი — მნიშვნელოვანი საზღვაო ნავსადგურია. ფრიტაუნშია ცნობილი კოლეჯი ფურა-ბეი.

სიერა-ლეონეს ხალხი დიდხანს იტანჯებოდა

პორტუგალიელი და ინგლისელი მონათვაჭრების თავდასხმებისაგან, ხოლო მერე, საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ინგლისი ჩაგრავდა კოლონიურად. მაგრამ 1961 წელს ამ ქვეყნის ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხოლო 1971 წელს სიერა-ლეონე რესპუბლიკად გამოცხადდა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა — წარმომადგენელთა პალატა, რომელსაც ხუთი წლით ირჩევენ.

1978 წელს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია, რომლითაც შემოღებულია ერთპარტიული სისტემა. ამ პარტიას სრულიად სახალხო კონგრესი ეწოდება.

ახალგაზრდა სახელმწიფომ კოლონიზატორებისაგან მიიღო მძიმე მემკვიდრეობა — უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა და უმნიშვნელო რაოდენობის სამრეწველო საწარმოები.

ამ ქვეყნის წიაღში არის ალმასის მდიდარი საბადოები, რომლის მოპოვებითაც რესპუბლიკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია აფრიკაში. ალმასის მთავარი მაღაროები სიერა-ლეონეს ჩრდილოეთ ნაწილშია. მნიშვნელოვანია რკინის მადნის მარაგი, რომლის ექსპორტი სახელმწიფოს დიდ შემოსავალს აძლევს. არის ბოქსიტების, ქრომიტების, ოქროს, პლატინის მარაგი. უცხოეთის, პირველ რიგში ინგლისის, კომპანიებს ჯერ კიდევ ხელთ უპყრიათ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ძირითადი ნაწილი. ისინი მკვიდრი მოსახლეობისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციით უზარმაზარ მოგებას იღებენ.

სომალი

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა, ს დ რ.
ფართობი — დაახლ. 638 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლოებით 3,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მოგადიშო (300 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენები — სომალური და არაბული.

სომალი აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთშია — სომალის ნახევარკუნძულზე. ამ ქვეყნის დიდი ნაწილი უკავია პლატოს, რომელიც ეთიოპიის ზეგნის გაგრძელებას წარმოადგენს. პლატო თანდათან დაბლდება ადენის ყურისა და ინდოეთის ოკეანის ნაპირების მიმართულებით და გადადის დაბლობ ვაკეში.

ჰავა ცხელი და მშრალია. სომალში მხოლოდ ორი მდინარეა, რომლებიც გვალვების დროს არ შრებიან — ჯუბა და ვები-შებელი; მხოლოდ ჯუბა, რომელიც სამხრეთის საზღვართან მიედინება, აღწევს ინდოეთის ოკეანემდე. ქვეყანა ღარიბია მცენარეულობით: აქ არის უმეტესად ეკლიანი ბუჩქნარები (აკაციის, მიმოზის) და უხეში ბალახი, რომელიც გადაიბუგება ხოლმე წლის გვალვიან პერიოდებში. ზოგიერთი სახეობის ხეებისა და ბუჩქნარებისაგან იღებენ არომატულ ფისებს, რომლებსაც საპარფიუმერიო მრეწველობაში იყენებენ. ტყეები მხოლოდ მდინარეთა ხეობებში გვხვდება.

მდიდარია სომალის ცხოველთა სამყარო: ჯიქები, ჟირაფები, ანტილოპების სხვადასხვა სახეობანი, სპილოები, მარტორქები, მდინარეებში — ნიანგები. დიდძალი ფრინველია. სომალიში განსაკუთრებით ბევრია ჯიქები (ვები-შებელი ნიშნავს ჯიქის მდინარეს).

რესპუბლიკის წიაღისეული ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. არის რკინის მადნის, აპატიტების, მარმარილოს მარაგი. აღმოჩენილია ურანის მადნის მდიდარი საბადოები. ეძიებენ ნავთობს. წარმოებს საშენი მასალების ნედლეულის მოპოვება.

სომალის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენ-



ხორცკომბინატის საამქრო ქალაქ კისიმაიოში. ხორცკომბინატი აშენებულია სსრ კავშირის დახმარებით.

ლობით მეტად ერთფეროვანია, 95% სომალელებია. ამ ქვეყანაში ცხოვრობენ ბანტუს ხალხის ცალკეული ჯგუფები და არაბები. მცირერიცხოვანი ევროპელი მოსახლეობა, ძირითადად იტალიელები, ქალაქებში ცხოვრობს.

სომალის, ან როგორც იმ დროს უწოდებდნენ, პუნტის ქვეყნის ნაპირებისაკენ მიმოდიოდნენ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის ზღვაოსნები. ძვ. წ. 1516 წელს ეგვიპტის დედოფლის ჰატშეფსუტის გემებმა პუნტიდან მოიტანეს ოქრო, კეთილსურნელოვანი ზეთები, შავი ხე, სპილოს ძვალი, ჯიქის ტყავები. უფრო მოგვიანებით ამ ქვეყნის სიმდიდრეთა შესახებ მონათხრობი მოსვენებას უკარგავდა ბერძნებს, რომაელებს, არაბებს.

XIX საუკუნის ბოლოს სომალის ტერიტორია დაინაწილეს იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა: ინგლისი გაბატონდა ჩრდილოეთ სომალიში, იტალია—ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე. სომალიელები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ კოლონიზატორებს. 20 წელზე მეტ ხანს (1899—1920) გრძელდებოდა სახალხო აჯანყება, რომელსაც მუჰამედ ბენ აბდალა საიდ ალ-ჰასანი ხელმძღვანელობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა სომალიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1960 წლის 1 ივლისს ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ყოფილი იტალიისა და ბრიტანეთის სომალი გაერთიანდა სომალის რესპუბლიკად. მაგრამ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბურჟუაზიული და ფეოდალური ზედაფენების წარმომადგენლებმა. სომალიელები კვლავ ღატაკნი და უმეცარნი იყვნენ, იტანჯებოდნენ შიმშილითა და ავადმყოფობით. ქვეყანა კვლავ რჩებოდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ დამოკიდებული უცხოურ მონოპოლიებზე.

1969 წლის 21 ოქტომბერს სომალიში მოხდა რევოლუცია სომალის არმიის პროგრესულად განწყობილი ოფიცრების ხელმძღვანელობით. 1976 წლის შუა წლებში შეიქმნა სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი არის პრეზიდენტიცა და მთავრობის მეთაურიც. ქვეყანაში ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნები. ნაციონალიზებული იყო ბანკები, მრავალი საწარმო, რომლებიც უცხოეთის კაპიტალს ეკუთვნოდა, საგარეო და საშინაო ვაჭრობა. მიღებული იყო კანონები, რომლებიც რესპუბლიკის მოქალაქეებს ანიჭებენ შრომის, ანაზღაურებული შვებულებისა და საპენსიო უზრუნველყოფის უფლებას. სომალიელმა ქალებმა მამაკაცის თანაბარი უფლებები მოიპოვეს. ვითარდებოდა ჯანმრთელობის დაცვა. იქ, სადაც წინათ ექიმი არასოდეს ყოფილა, აშენდა საავადმყოფოები. სამედიცინო დახმარება უფასო გახდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა განათლებისა და კულტურის განვითარებას. უმნიშვნელოვანესი მოვლენაა 1973 წელს სომალიური დამწერლობის შემოღება, რომელიც შემუშავდა საბჭოთა მეცნიერი-ლინგვისტების მონაწილეობით. სომალიურ ენაზე გამოდის გაზეთები და ჟურნალები. სკოლებში სწავლება სომალიურ ენაზე წარმოებს.

მთელს ქვეყანაში ჩატარდა ღონისძიება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. მთავრობამ მოახდინა კერძო სკოლების ნაციონალიზაცია, შემოიღო სასკოლო ასაკის ბავშვთა სავალდებულო სწავლება.

სომალის ეკონომიკის საფუძველია მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე მესაქონლეობა, რომელსაც მისდევს მთელი მოსახლეობის თითქმის $^2/_3$. მდინარეების ვები-შებელის, ჯუბას გასწვრივ და სანაპიროზე განვითარებულია მიწათმოქმედება. აქ სარწყავ მიწებზე წლიურად ორ-სამ მოსავალს იღებენ. მოჰყავთ ფეტვი, სიმინდი, ქუნჯუთი (მისი თესლისგან ზეთს ხდიან), ცერცვი, სორგო, საექსპორტო კულტურებიდან — ბანანი და შაქრის ლერწამი. მთავრობა ხელს უწყობს მომთაბარე მოსახლეობის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას და კოოპერატივების შექმნას, რასაც უკავშირებს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს. დიდი ყურადღება ექცევა ახალი მიწების მორწყვას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, წყალმომარაგების, ქვეყნის სატრანსპორტო ქსელის განვითარებას. შექმნილია ფლოტი ღრმა წყლის თევზის რეწვისათვის. რესპუბლიკა ახლად იწყებს მრეწველობის განვითარებას. ესენი უმთავრესად კვებისა და საფეიქრო საწარმოებია. სომალის ეკონომიკაში მზარდი როლი ეკუთვნის სახელმწიფო სექტორს.

საბჭოთა კავშირის დახმარებით სომალიში აშენდა ხორცკომბინატი კისიმაიოში, თევზის კონსერვის ქარხანა — ლას-ხორეში, რძის ქარხანა — მოგადიშოში, შაქრის ქარხანა — ჯოუჰარაში, ღრმა წყლიანი ნავსადგური — ბერბერაში. საბჭოთა კავშირი მდინარე ჯუბაზე ფანოლეს რაიონში აშენებს დიდ კაშხალსა და ჰიდროელექტროსადგურს, საირიგაციო არხებს. ამ მშენებლობის დამთავრება 10 ათასი ჰექტარი ნოყიერი მიწების მორწყვის საშუალებას მისცემს. 1975 წელს დაიდო საბჭოთა კავშირ-სომალის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

მაგრამ 70-იანი წლების მეორე ნახევარში სომალის ხელმძღვანელობამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკური კურსი. დაუშვეს კერძო და უცხო კაპიტალის აქტივიზირება. 1977 წელს დაიწყო ომი ეთიოპიასთან, რომელიც სომალის მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ სომალის ხელმძღვანელობა დაუახლოვდა აშშ-ს და ჩინეთს. სომალის ტერიტორიაზე შენდება ამერიკის სამხედრო ბაზა.

სპილოს ძვლის ნაპირი

სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკა, ს ძ ნ.
ფართობი — 322,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 7,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — აბიჯანი (გარეუბნებიანად 1,1 მლნ. მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

XV საუკუნეში პორტუგალიელმა ვაჭარმა ფერნან გომიშმა გვინეის უბის ჩრდილოეთი ნაწილის სანაპიროს სპილოს ძვლის ნაპირი უწოდა. ახლა ასე იწოდება დასავლეთი აფრიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა სახელმწიფო. აქ ბევრი ხალხი ცხოვრობს, რომლებიც სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

მოგზაურობა ამ თვალწარმტაც ქვეყანაში ჩვეულებრივ იწყება დედაქალაქ აბიჯანიდან, რომელიც დიდი და ლამაზი ლაგუნის ებრიეს ნაპირზე მდებარეობს. აბიჯანის ნავსადგური ერთ-ერთი უდიდესია დასავლეთ აფრიკის სანაპიროზე. ქალაქის ცენტრში აშენებულია თანამედროვე არქიტექტურის შენობები. სახლების თეთრ კედლებთან შეხამებული მსუყე მწვანე ფერი, უბის ცისფერი ძალიან მიმზიდველს ხდის მას. მაგრამ ცენტრალური კვარტალების მახლობლად ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილან უბადრუკი ქოხები, რომლებშიც თავი შეუფარებია მშრომელ ხალხს.

დედაქალაქიდან ქვეყნის სიღრმეში მიემართებიან რკინიგზები და საავტომობილო გზები, რომელთა დახმარებით კოლონიზატორებს გამოჰქონდათ ქვეყნის სიმდიდრე. ქალაქგარეთ, გზის პირებთან, იწყება უღრანი ტროპიკული ტყის ტევრი. ამ მწვანე ოკეანის ფსკერზე ბინდია გამეფებული, მხოლოდ აქა-იქ ხშირ ფოთლებში ციმციმებენ მზის სხივები და უხვად ფანტავენ ოქროსფერ ათინათებს. ტყეები მდიდარია ძვირფას მერქნიანი ჯიშებით. აქ ხარობს წითელი, ვარდისფერი, შავი რკინის ხეები.

ხშირ ფოთლებში თავს აფარებს უამრავი მაიმუნი. მდინარეთა ნაპირებზე ნახავთ ბეჰემოთებსა და ნიანგებს. აქა-იქ გვხვდება გარეული სპილო-



ები. დაუნდობელმა ნადირობამ მკვეთრად შეამცირა მათი სულადობა. ჩრდილოეთისაკენ ტყე მეჩხერდება და ადგილს უთმობს სავანას.

რესპუბლიკაში განვითარებულია სოფლის მეურნეობა. ირგვლივ გადაჭიმულა კაკაოს პლანტაციები, რომელიც წელიწადში ორ მოსავალს იძლევა, ყავის, ბანანის, ანანასის პლანტაციები. ამ კულტურების წარმოებით სპილოს ძვლის ნაპირს ერთერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. მნიშვნელოვანი ფართობი აქვს დათმობილი ჰევეისა და ზეთოვანი პალმის ნარგავებს. ჩრდილოეთში მოჰყავთ სიმინდი, არაქისი, თამბაქო, ბამბა, ფეტვი, სორგო, ბრინჯი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, პირველ რიგში, კაკაო, ყავა, ბანანი და სატყეო მრეწველობის პროდუქცია, რესპუბლიკას საზღვარგარეთ გააქვს.

ბოლო წლებში ქალაქებში გაჩნდა ბევრი სამრეწველო საწარმო: ხის დამმუშავებელი ფაბრიკები, ყავისა და კაკაოს მარცვლების გადამმუშავებელი საწარმოები, საფეიქრო ფაბრიკები, ტრანზისტორული რადიომიმღებების ამწყობი ქარხანა, ველოსიპედების ქარხანა. უკვე მუშავდება ალმასის, მანგანუმისა და რკინის მადნების საბადოები. სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობის ბატონპატრონი უცხოეთის, პირველ რიგში, საფრანგეთის კაპიტალისტები არიან.

შუა საუკუნეებში სპილოს ძვლის ნაპირის ტერიტორიაზე არსებობდა მრავალი სამეფო. ჯერ კიდევ XI საუკუნეში დაარსდა ქალაქი კონგი — საქარავნო გზების მნიშვნელოვანი კვანძი და ვაჭრობის ცენტრი. XV საუკუნეში ამ ქვეყნის სანაპიროზე გამოჩნდნენ პირველი ევროპელი მონათმოვაჭრენი პორტუგალიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. XIX საუკუნის 80-იან წლებში სპილოს ძვლის ნაპირი საფრანგეთის კოლონიად გადააქციეს და საფრანგეთის დასავლეთი აფრიკის შემადგენლობაში შეიყვანეს. კოლონიზატორები სასტიკად ახშობდნენ აფრიკელი პატრიოტების გამოსვლებს. რესპუბლიკაში აქამდეც ახსოვთ საფრანგეთის ჯარების სისხლიანი ანგარიშსწორება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებთან 1949—1950 წლებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მთელს აფრიკაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ტალღა აზვირთდა, დამოუკიდებლობა მოიპოვა სპილოს ძვლის ნაპირის ხალხმაც. 1960 წლის 7 აგვისტოს გამოცხადდა სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებასაც ახორციელებს. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს — ეროვნულ კრებას. ხელისუფლება ერთადერთი პარტიის (სძრ-ს დემოკრატიული პარტია) ხელშია.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც უცხოეთის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში საკმაოდ ძლიერია.

სუდანი

სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკა.
ფართობი — 2 506 ათასი კმ².
მოსახლეობა — 17 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ხართუმი (გარეუბნებიანად 1 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

ბილიად ას-სუდანი (შავების ქვეყანა) — ოდითგანვე ასე უწოდებდნენ არაბები ეგვიპტის სამხრეთით მდებარე რაიონებს. ახლანდელ სუდანს უწოდებენ თეთრი და ცისფერი ნილოსის ქვეყანასაც, რადგან სწორედ აქ მიედინება და ერთმანეთს ერთვის ეს ორი მდინარე და ქმნის ნილოსს. სუდანის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ეკვრის წითელი ზღვა. ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არაბებია, ნუბიელები და ბეჯა. მოსახლეობის სამი-მეოთხედი ლაპარაკობს არაბულ ენაზე, სამხრეთ სუდანის ნეგროიდული ხალხები (შილუკი, დინკა, ნუერი) სარგებლობენ ნილოტური ენებით (სულ 100-ზე მეტი ენა და კილოკავია).



სუდანი ვაკე ქვეყანაა, რომელსაც დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით მაღალი მთები და მთაგრეხილები აკრავს. ჰავა ცხელია, თითქმის არ არის ადგილი, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა +25°-ზე ნაკლები იყოს. სუდანის ჩრდილოეთით მიწათმოქმედება შეუძლებელია ხელოვნური მორწყვის გარეშე, მაგრამ რაც უფრო სამხრეთით მივდივართ, მით უფრო მეტი ნალექი მოდის.

სუდანის სამხრეთი ნაწილი ნოყიერი, მრავალი მდინარით გადასერილი ვაკეა. აქ ჭარბობს ტროპიკული ტყეები, რომლებშიც ხარობს წითელი, აბანოზისა და რკინის ხეები, ზეთოვანი პალმა. მდინარეთა ნოღაებში იზრდება პაპირუსი, ლერწამი. ჩრდილოეთით, თვით ხართუმამდე, გადაჭიმულია ბალახითა და აკაციის პატარ-პატარა კორომებით დაფარული სავანა. აკაციის ზოგიერთი სახეობა — ჰაშაბი და თალხი — იძლევიან სახელგანთქმულ სუდანურ გუმიარაბიკს. ხშირად გვხვდება ბაობაბი. შემდეგ თანდათან იწყება უდაბნოები. ამ უდაბნოთა უსიცოცხლო ქვიშნარ სივრცეებზე მიმოფანტულია იშვიათი ოაზისები. ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უკავია ლიბიის უდაბნოს, ჩრდილო-აღმოსავლეთი — ნუბიისას.

სუდანში ბინადრობენ უდაბნოებისათვის, სავანისა და ტროპიკული ტყისათვის დამახასიათებელი ცხოველები. სამხრეთით ცხოვრობენ დიდი ძუძუმწოვარა ცხოველები: სპილოები, ბეჰემოთები, ანტილოპები, ჟირაფები, ლომები, ჯიქები. ფრინველებიდან გვხვდებიან სირაქლემები, მარაბუ, სავათის მსგავსი გუბარები, ციცარი, უდაბნოებში — ვარანები, გველები.

სუდანში ბევრია სასარგებლო წიაღისეული, რომელთა ძირითადი საბადოები აღმოჩენილია წითელი ზღვის სანაპიროებზე. აქ არის რკინის მადანი, სპილენძი, მანგანუმი, ქრომიტები, ქარსი, ოქრო, ურანი, გაზის საბადოები. მაგრამ სუდანის წიაღი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოკვლეული და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ჯერჯერობით მცირეა.

სუდანის ისტორია საუკუნეთა მიღმა იწყება. სუდანის ძველ მიწა-წყალს ბევრჯერ განუცდია უცხოელ დამპყრობთა შემოსევები. ამ ქვეყნის ჩრდილოეთი (ძველად ნუბია) რამდენიმეჯერ დაუპყრიათ ეგვიპტელ ფარაონებს. ჩვენს ერამდე VIII საუკუნეში ნუბიის ტერიტორიაზე შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო — ნაპატის სამეფო, რომელმაც ეგვიპტეც კი დაიმორჩილა. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ნუბიაში შეიჭრნენ რომაული ლეგიონები. VII საუკუნის შუა წლებში არაბებმა ეგვიპტე დაიპყრეს და სუდანში შეაღწიეს.

XIX საუკუნის ბოლოს სუდანში მოვიდნენ ინგლისელი კოლონიზატორები. კოლონიური ჩაგვრის პასუხად, რომელიც შეხამებული იყო ადგილობრივი ფეოდალების მიერ მშრომელი ხალხის გაძარცვასთან, 1881 წელს აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა დურგლის შვილი არაბი მუჰამედ-ალი, რომელმაც თავი მაჰდიდ, ე. ი. მხსნელად გამოაცხადა. ეს საყოველთაო სახალხო მოძრაობა ისტორიაში შევიდა მაჰდისტური სახელით. მაჰდისტებმა ბევრი დამარცხება აგემეს უცხოელ დამპყრობლებს და 1885 წელს დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს. ამ სახელმწიფომ 13 წელიწადს იარსება. 1898 წელს სუდანი კვლავ ინგლისელებმა დაიპყრეს და ინგლისისა და ეგვიპტის ერთობლივ სამფლობელოდ გამო-

ცისფერი ნილოსის საძოვრებზე.

აცხადეს. კოლონიზატორები ცდილობდნენ ამ გზით შეენიღბათ თავიანთი ბატონობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო სუდანის ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა. ამ ბრძოლის ავანგარდში იდგა სუდანის კომუნისტური პარტია. კოლონიზატორები იძულებულნი იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 1956 წლის 1 იანვარს სუდანი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. 1969 წლის მაისში ამ ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ არმიის წარმომადგენლები. აქ ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური პარტიაა სუდანის სოციალისტური კავშირი.

სუდანს მართავს პრეზიდენტი. რესპუბლიკის პრეზიდენტი ერთდროულად მთავრობის მეთაურიცაა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი ეროვნული სახალხო კრება.

სუდანი ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყანაა, რომელსაც დიდი შესაძლებლობანი აქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. გამოანგარიშებულია, რომ სახელმწიფოს თითქმის მესამედი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოდგება. ეკონომიკის საფუძველია ბამბის მოყვანა, უმთავრესად საექსპორტოდ. სუდანური გრძელბოჭკოიანი ბამბა ცნობილია მაღალი ხარისხით. მებამბეობის ძირითადი რაიონია ელჯეზირის ოლქი (თეთრი და ცისფერი ნილოსის შუამდინარეთი).

მეორე საექსპორტო საქონელია გუმიარაბიკი (აკაციის ფისი), რომელსაც საფეიქრო მრეწველობაში, საღებავების დასამზადებლად, საკონდიტრო წარმოებასა და მედიცინაში იყენებენ (მსოფლიო წარმოების დაახლოებით 90%).

სუდანში მოჰყავთ დურო — შვრიის სახეობა (ძირითადი სასურსათო კულტურა), ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ყავა, შაქრის ლერწამი, ქუნჯუთი და არაქისი (მიწის თხილი). ფართოდ არის გავრცელებული ციტრუსები და მანგო, ბანანი. სუდანის ჩრდილოეთ ნაწილში, ნილოსის გასწვრივ და ლიბიის უდაბნოს ოაზისებში ხარობს ფინიკის პალმა.

ვრცელ, ბუნებრივ საძოვრებზე ძოვს პირუტყვი — მომთაბარე ბედუინების მთავარი სიმდიდრე. მოშენებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა. მოშენებული ჰყავთ აქლემები, რომლებსაც აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ყიდიან.

სუდანის რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერჯერობით ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოებია — შაქარაფინადის ქარხნები, სართავი, ხის დამამუშავე-



სუდანური სოფელი.

ბელი და საქსოვი ფაბრიკები. სუდანში არის ნავთობგადამამუშავებელი და მეტალურგიული ქარხნებიც.

სუდანს თანამედროვე მრეწველობის შექმნაში არსებითი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებულია ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების, რძის საკონსერვო ქარხნები, მარცვლეულის ორი ელევატორი. დიდია საბჭოთა კავშირის დახმარების როლი ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, ეროვნული კადრების მომზადებაში.

ტანზანია

ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა.
ფართობი — 945,1 ათასი კმ².
მოსახლეობა — 17,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — დარ-ეს-სალამი (662 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენები — სუაჰილი და ინგლისური.

ტანზანიის რესპუბლიკა შეიქმნა 1964 წლის აპრილში, აღმოსავლეთ აფრიკის ორი სახელმწიფოს — ტანგანიიკის რესპუბლიკის, ზანზიბარისა და პემბის სახალხო რესპუბლიკის გაერთიანების შემდეგ. ტანზანია ეკვატორის ახლო მდებარეობს. მისი კონტინენტური ნაწილი — ტანგანიიკა 300-ჯერ მეტია ზანზიბარსა და პემბაზე — პატარა მარჯნის კუნძულებზე, რომლებიც ინდოეთის ოკეანეში ტანგანიიკის სანაპიროს მახლობლად მდებარეობენ. ამ ორი კუნძულის ფართობი 2,6 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 330 ათასი კაცი. ტანზანიის მცხოვრებთა უმრავლესობა აღმოსავლეთი ბანტუა, რომლებიც ლაპარაკობენ 120-ზე მეტ ენასა და დიალექტზე და თითქმის ყველა ტანზანიელისათვის საერთო სუაჰილის ენაზე (გავრცელებულია, აგრეთვე, უგანდაში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში).



ტანგანიიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი ზეგანს უკავია. ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთში გადაჭიმულია მთაგრეხილები. დასავლეთში ადგილ-ადგილ ზეგანს მკვეთრად წყვეტს გიგანტური საფეხურები — გრაბენები, რომელთა უმრავლესობა წყლითაა სავსე და მათში ტბები წარმოიშვა.

ტანგანიიკის ჩრდილოეთში აღმართულია აფრიკის ყველაზე მაღალი წერტილის კილიმანჯაროს (5895 მ) მთის მასივის თოვლიანი მწვერვალი. თეთრი „ქუდი“, რომელიც მთას ხურავს, მთისწინეთის მდიდარ მცენარეულობასთან მკვეთრ კონტრასტს ქმნის.

ტანგანიიკის ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობს აფრიკის ყველაზე დიდი ტბა — ვიქტორია. დასავლეთში არის აფრიკის ყველაზე ღრმა ტბა — ტანგანიიკა (1435 მ). ტანზანიის სამხრეთი საზღვარი ნაწილობრივ გადის ნიასას ტბაზე. შიგა ტბები კი პატარაა და ზოგიერთი მათგანი თანდათანობით შრება. მდინარეები ცოტაა, თითქმის ყველა ისინი ჭორომიანი და ნაოსნობისთვის გამოუსადეგარია.

მდინარე პანგანისა და რუფიჯიზე აგებულია ჰიდროელექტროსადგურები და სარწყავი სისტემები.

ტანგანიკის ტერიტორის დიდი ნაწილი სავანაა. მაღალ, ადამიანის სიმაღლის ბალახთან ერთად გვხვდება ცალკეული ხეები და პატარა კორომები. აქა-იქ ბორცვებივით ამოწეულან ბაობაბები. თუმცა ეს ხე აფრიკული საზომით არც ისე მაღალია (25 მ არ აღემატება), სამაგიეროდ, მას ზოგჯერ ისე მსხვილი შტამბი აქვს, რომ ოცი ხელიხელჩაკიდებული კაციც ვერ შემოწვდება. ტანგანიკისაგან განსხვავებით ზანზიბარისა და პემბის ზედაპირი ვაკეა. მაგრამ მცენარეულობა კონტინენტის მცენარეულობის მონათესავეა. მართალია, ბევრი ტყე და ბუჩქნარი გაჩეხილია, მაგრამ მათ ადგილას ქოქოსის პალმა და მიხაკის ხეებია გაშენებული.

ტანზანიის ჰავა ცხელია. ზამთარი ზაფხულისაგან მხოლოდ ნალექების რაოდენობით გამოირჩევა. ზაფხულის დასაწყისსა და ბოლოს გამოიყოფა წვიმების ორი სეზონი. ყველაზე მეტი ნალექი მოდის ზანზიბარში, პემბაში, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე და მთისწინეთში. ტანგანიკის ცენტრალური ნაწილი გვალვიანია. სწორედ ამიტომ ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი ცხოვრობს ტერიტორიის $^1/_3$-ზე ნაკლებ გვალვიან ნაწილში. ტანზანიის დანარჩენი ნაწილი თითქმის უკაცრიელია.

მთელ მსოფლიოში ცნობილია ტანზანიის ნაკრძალები — სერენგეტი და ნგორონგორო, სადაც დაცულია აფრიკის ცხოველთა სამყაროს მრავალი წარმომადგენელი.

ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ ლომები, სპილოები, მარტორქები, ბეჰემოთები, ჯიქები, კამეჩები, ანტილოპები, ჟირაფები, ზებრები, აფთრები. ბევრია ფრინველი, გველი, ხვლიკი.

ტანზანიის ხალხები მრავალი საუკუნის მანძილზე ეწეოდნენ ბრძოლას სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებთან. არაბმა მეკობრეებმა მათ მიერ დაპყრობილი ზანზიბარის კუნძული მონებით ვაჭრობის ცენტრად აქციეს მთელს ინდოეთის ოკეანეში.

XIX საუკუნის ბოლოს აფრიკის დანაწილებისათვის იმპერიალისტთა ბრძოლის შედეგად ტანგანიკა ხელთ იგდო გერმანიამ, ხოლო ზანზიბარი — ინგლისმა. პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია მსოფლიოს გადანაწილება და ინგლისი დაეუფლა ტანგანიკას. XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე ტანგანიკა, ზანზიბარი და პემბა ინგლისის კოლონიები იყვნენ. ხალხმა განიცადა კოლონიური ბატონობის მთელი საშინელება: პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრა, ექსპლუატაცია, უუფლებობა, სიღატაკე. კოლონიზატორები ძარცვავდნენ ქვეყნის სიმდიდრეს, რამაც დიდი ხნით შეაფერხა მისი განვითარება. მთელი კოლონიური პერიოდის განმავლობაში (80 წელიწადზე მეტ ხანს) გრძელდებოდა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

1961 წლის 9 დეკემბერს ტანგანიკა გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ დღეს კილიმანჯაროს მწვერვალზე აენთო თავისუფლების ჩირაღდანი და აღიმართა აფრიკის ახალი სუვერენული სახელმწიფოს ალამი. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციის — ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის (ტანუ) წარმომადგენლები. ეს ორგანიზაცია მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მოძრაობას იმპერიალისტური ბატონობის ლიკვიდაციისათვის.

ზანზიბარმა თავისუფლება რამდენადმე მოგვიანებით, 1963 წლის დეკემბერში მოიპოვა. მაგრამ კუნძულების ხალხთა მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა სრული არ გამოდგა. დარჩა მიწისმფლობელი ფეოდალების მიერ გლეხობის სასტიკი ექსპლუატაცია. დამუშავებული მიწების 80% ფეოდალებს ეკუთვნოდა, ხოლო უმიწო გლეხები იძულებულნი იყვნენ ემუშავათ მათ პლანტაციებში. კუნძულებიდან რომ მიდიოდნენ, ინგლისელებმა მთელი ძალაუფლება გადასცეს სულთანს, რომელიც თვითონ იყო უდიდესი მიწათმფლობელი და ფეოდალთა ინტერესებს იცავდა. 1964 წლის იანვარში ზანზიბარელებმა დაამხეს სულთანი და მასთან დაახლოებული პირები და სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადეს. პარტია აფრო-შირაზის მეთაურობით შექმნილი ახალი რევოლუციური მთავრობის პირველი აქტი იყო ხალხისათვის მთელი მიწის გადაცემა. მრავალი საწარმო, მაღაზია, სახლი, სკოლები და საავადმყოფოები სახელმწიფო საკუთრებად იქცა. სწავლება და მკურნალობა უფასო გახდა.

1964 წლის 24 აპრილს ტანგანიკა და ზანზიბარი გაერთიანდნენ.

1977 წელს ტანუსა და აფრი-შირაზის პარტიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ერთიანი პარტია — ჩამა ჩა მაპინდუზი (რევოლუციური პარტია). იმავე წელს დამტკიცებული კონსტიტუციით, ტანზანია საპრეზიდენტო რესპუბლიკად გამოცხადდა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ კრებას.

ტანზანია აგრარული ქვეყანაა. ძირითად სასოფლო-სამეურნეო იარაღად კვლავ თოხი რჩება. აფრიკელებს მოჰყავთ ფეტვი, სორგო, ბრინჯი, სიმინდი, ცერცვი, ბუჩქნარი მცენარე მანიოკი (ჭამენ ამ მცენარის ძირებს, რომლებიც გემოთი კარტოფილს მოგვაგონებენ). ზოგ რაიონში მოჰყავთ ბანანი, ზეთოვანი და ქოქოსის პალმები.

წლითიწლობით იზრდება საზღვარგარეთ გასატანი საქონლის წარმოება. საექსპორტო პროდუქტებს შორის დიდი ადგილი უკავია სიზალსა (აგავის ერთ-ერთი სახეობის ბოჭკო) და მიხაკს. აგავას დიდი წაწვეტებული ფოთლები აქვს. ამ ფოთლებს აჭრიან გრძელი დანებით (პანგებით) და სპეციალურ ფაბრიკებში გადააქვთ. ფოთლების დამუშავებით იღებენ თეთრ ბოჭკოს (სიზალს), რომელსაც ბაგირების, ულვაშში ქსოვილის დასამზადებლად იყენებენ. მიხაკის მსოფლიო წარმოების დაახლოებით $^3/_4$-ს ზანზიბარი და პემბა იძლევა. მიხაკის ხის კოკრებისაგან გამოწურავენ არომატულ ნივთიერებას, რომელსაც ფართოდ იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში. გააქვთ ყავა, ბამბა, პირეთრინი, კეშიუს კაკალი.

ტანზანიაში მეჯოგეობა განვითარებულია იმ რაიონებში, სადაც ბუზი ცეცე არ არის. ძროხები, ცხვარი და თხა მთელი წლის განმავლობაში სავანის საძოვრებზე არიან.

ტანზანიაში ხდება ალმასის, ოქროს, ვერცხლის, კალის, ქარსის, მარილის, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვების მოპოვება.

ზანზიბარს მნიშვნელოვანი ავტონომია აქვს, რომელიც ეხება საშინაო მართვა-გამგეობის საკითხებს. ამიტომ აქ არსებობს საკანონმდებლო ხელისუფლების საკუთარი ორგანო — რევოლუციური საბჭო. ტანზანიის მთავრობა მიისწრაფვის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ. 1967 წელს მიიღეს არუშის დეკლარაცია — პროგრესული სოციალური გარდაქმნებისათვის ბრძოლის პროგრამა. ამ ქვეყანაში განხორციელდა უცხოელი კაპიტალისტების კუთვნილი ბანკების, ქარხნების, მაღაროების, პლანტაციების ნაციონალიზაცია. დიდი გარდაქმნები ხორციელდება სოფლის მეურნეობაში. გლეხები კოოპერატივებში ერთიანდებიან, ვითარდება მრეწველობა, გაჰყავთ გზები, შენდება სკოლები, საავადმყოფოები.

სიახლე ყოველდღიურად შედის ტანზანიის ცხოვრებაში. ქალაქ ზანზიბარში (კუნძულის ერთადერთ ქალაქში) მშრომელებისათვის შენდება თანამედროვე საცხოვრებელი კვარტალები. გახსნილია კოოპერაციული სავაჭროები. ზანზიბარის მთავარი საავადმყოფო ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. დარ-ეს-სალამის განაპირას აღმართულია უნივერსიტეტის კორპუსები. მთელ ქვეყანაში ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს სკოლების, საავადმყოფოების, გზების, ხიდების მშენებლობაში.

ტანგანიიკის ხელმძღვანელობა მოითხოვს აფრიკის ყველა ხალხის კოლონიალიზმისაგან გათავისუფლებას და აქტიურად უჭერენ მხარს რასისტული რეჟიმების ლიკვიდაციისათვის ბრძოლას.

ტანზანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ვითარდება მეგობრული კავშირ-ურთიერთობანი, დადებულია შეთანხმება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ტოგო

ტოგოს რესპუბლიკა.
ფართობი — 56,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 2,4 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლომე (250 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

აფრიკაში არის ქვეყანა, რომელშიც ხანკრძლივი მოგზაურობა შეიძლება მხოლოდ ერთი ცერიდიანული მიმართულებით. ეს ქვეყანა მდებარეობს გვინეის ყურის ნაპირზე და რუკაზე გამოყურება დერეფანივით, რომლის სიგრძეა 600 კმ. სიგანე 50-დან 150 კმ-მდე. ტოგო აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. ამ ქვეყანაში დაახლოებით 20 სხვადასხვა ტომი და ხალხი ცხოვ-



რობს. ყველაზე დიდი ხალხი — ევე (40%) — ცხოვრობს სანაპიროზე.

ტოგოელები უცხოელებს პირველად XV საუკუნეში შეხვდნენ. ისინი პორტუგალიელები გამოდგნენ. ამის შემდეგ დასავლეთ აფრიკის დიდი რაიონი, ტოგოს ჩათვლით, ცნობილი გახდა, როგორც მონების ნაპირი, სადაც მონათვაჭრები ნადირობდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებზე. XIX საუკუნის ბოლოს აქ გამოჩნდნენ გერმანიის სავაჭრო გემები. ამ გემებს მოჰყვა არმია და 1884 წელს გერმანიამ ტოგო თავის კოლონიად აქცია. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ ტოგო ინგლისმა და საფრანგეთმა დაინაწილეს. აფრიკაში ანტიკოლონიური მოძრაობის აღმავლობის შედეგად ბრიტანეთის ტოგო 1957 წელს შეუერთდა განას, ხოლო საფრანგეთის ტოგო 1960 წლის 27 აპრილს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა. 1979 წელს ტოგოელი ხალხის გაერთიანებამ (ერთადერთი პარტია) მოიწონა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია.

ტოგო სულ ახლოსაა ეკვატორთან. ამ ქვეყანაში ცხელი და ტენიანი ეკვატორული ჰავაა. მდინარეები შედარებით ცოტაა, ხოლო დიდი მდინარე სრულებით არ არის. სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით არის დაბალი მთები. ქვეყნის დიდი ნაწილი პლატოს უკავია. სამხრეთში ზღვისპირა დაბლობის ვიწრო ზოლია სუსტად შეჭრილ-შემოჭრილი დამრეცი ქვიშნარი სანაპირო-თი. ტერიტორიის დიდი ნაწილი სავანაა. მთების ფერდობები დაფარულია მარადმწვანე ტყეებით. სანაპიროზე ქოქოსის პალმის ჭალები, ბუჩქნართა რაყებია. ტოგოში ჯერ კიდევ არ გადაშენებულა სპილოები, ლომები, მარტორქები, ჯიქები, ჟირაფები და ანტილოპები. მდინარეებში ბევრია ნიანგი, ტყეებში კი — გველები, მაიმუნები და ფრინველები.

ტოგოში ცოტაა ქალაქები, ისიც პატარებია. ყველაზე დიდია დედაქალაქი ლომე — საერთაშორისო აეროპორტი, ღრმაწყლიანი საზღვაო ნავსადგური. აქ თავმოყრილია ძირითადი სამრეწველო საწარმოები და ბევრი სხვა სახის კუსტარული სახელოსნო. ქალაქში თავს იყრის ტოგოში არსებული სამი რკინიგზა. ეკონომიკა სუსტად არის განვითარებული და დამოკიდებულია დასავლეთის სახელმწიფოებსა და მათს მონოპოლიებზე. ტოგოში არის საფეიქრო და ფეხსაცმლის ფაბრიკები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი პატარა ქარხნები. აქ ხდება ფოსფორიტების მოპოვება, რომლის გატანა ღირებულებით შეადგენს ტოგოს მთელი ექსპორტის ნახევარზე მეტს. მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი ნაციონალიზებულია.

ძირითადი მოსახლეობა გლეხებია. მიწებს ამუშავებენ პრიმიტიული იარაღებით, ცოტა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული. ტოგოს გააქვს კაკაო, ყავა, ზეთოვანი პალმის გული. საკუთარი სურსათი არ ყოფნით და იძულებულნი არიან შემოიტანონ. ზოგიერთი ტომი ნადირობასა და თევზჭერას მისდევს. ცალკეული ტომები ოდითგანვე სახელგანთქმულნი არიან, როგორც დაოსტატებული ხელოსნები.

ტოგოს მთავრობა იბრძვის ეროვნული ერთიანობის განმტკიცების, ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და უცხოური კაპიტალისაგან დამოკიდებულების დასაძლევად.

დამოუკიდებლობის წლებში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი სახალხო განათლებაში. სკოლებში უკვე სწავლობს ბავშვთა თითქმის ნახევარი. ტოგოში დაახლოებით ოცი ტექნიკუმი და უნივერსიტეტია. დაწყებითი სკოლების პროგრამაში შემოღებულია საგნების ეროვნულ ენებზე სწავლება.

ტუნისი

ტუნისის რესპუბლიკა.
ფართობი — 164 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ქალაქი ტუნისი (971 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — არაბული.

იქ, სადაც ხმელთაშუა ზღვის აფრიკული ნაპირი ეტ-ტიბის კონცხიდან მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ, მდებარეობს ტუნისი. მოსახლეობის უმრავლესობა არაბები და ბერბერებია.

ტუნისში ძირითადად მშრალი სუბტროპიკული ჰავაა. ზღვის სანაპიროსა და ერთადერთი დიდი მდინარის მეჯერდის ხეობაში უხვად არის ამწვანებული სუბტროპიკული მცენარეები, ხოლო ვაკეებზე, რომლებსაც ამ ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია, გვხვდება მხოლოდ მწირი უდაბნოს და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა. მიწათმოქმედებისათვის ყველაზე ნაკლებად გამოსადეგია ტუნისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელიც მდებარეობს საჰარის უდაბნოს ფარგლებში. სანაპირო რაიონები მოგვაგონებენ ევროპის სამხრეთ ნაწილს, მაგრამ რაც უფრო ვშორდებით ზღვას, მით უფრო ძლიერად იგრძნობა საჰარის სუნთქვა.

ტუნისი ძველთაგანვე იყო გზაჯვარედინი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა სხვადასხვა ხალხი და კულტურა. დედაქალაქთან ახლოს, ძველი კართაგენის ადგილას, შემორჩენილია ძველი რომის ეპოქის თეატრის, ტაძრისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები.

არაბულ სოფელ ელ-ჯემთან, რომლის განაპირას კარვებს შლიან მომთაბარე ბედუინები, აღმართულია კოლიზეუმის უზარმაზარი შენობა. ეს ნაგებობა რომის კოლიზეუმზე ოდნავ ნაკლებია და კარგადაც არის შენახული.

ტუნისმა გადაიტანა ჯვაროსანთა შემოსევა, ესპანეთის ბატონობის დრო, სხვა შემოსევები, შედიოდა თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1881 წელს ტუნისი დაიპყრო საფრანგეთმა, მაგრამ ფრანგმა კოლონიზატორებმა ვერ ჩაახშვეს ტუნისელი ხალხის მისწრაფება ეროვნული თავისუფლებისაკენ. 1956 წლის მარტში ტუნისმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხოლო 1957 წლის ივლისში მოისპო მონარქია. საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო ჩარევისაგან ტუნისი მხოლოდ 1963 წელს განთავისუფლდა, როცა ბიზერტიდან ევაკუირებული იქნა საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა.



კოლონიზატორები, რომლებიც ტუნისს 75 წლის განმავლობაში ფლობდნენ, აფერხებდნენ ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კვების მრეწველობა, რამდენიმე სამთომოპოვებითი საწარმო და პატარა-პატარა ელექტროსადგურები — აი, ყველაფერი ის, რაც ძველ ტუნისში იყო. ახლა ტუნისში იქმნება ეროვნული მრეწველობის საფუძველი უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით. ბიზერტში აგებულია ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ცელულოზის ქარხანა კასერინაში, შაქრის ქარხანა ტუნისის მახლობლად, თბოელექტროცენტრალი გაბესში, ფოსფორმჟავას ქარხანა. ტუნისი მდიდარია ფოსფორიტებით, რკინის მადნით, ტყვიით, თუთიით, ვერცხლისწყლით, პირიტებით, მარილით. ქვეყნის სამხრეთით აღმოჩენილია ნავთობი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკის მთავარი დარგის — სოფლის მეურნეობის განვითარებას. ტუნისში დასამუშავებლად ვარგისი 8 მილიონი ჰექტარი მიწიდან მუშავდება 5 მილიონი ჰექტარი. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მოჰყავთ ხორბალი, ქერი, შაქრის ჭარხალი, სიმინდი.

ტუნისის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბევრია ლიმონისა და ფორთოხლის კორომები, ვენახები. ყველგან შეიძლება ნახოთ შეუპოვარი შრომის შედეგი: ხეხილის ბაღები, ნათესებისა და ბოსტნების სწორი კვადრატები, ზეთისხილის ხეების სწორი მწკრივები. ამათ უჭირავთ ტუნისის მთელი ცენტრი თვით უდაბნომდე. მხოლოდ კაირუანის მახლობლად იწყება ლეღვის ხის პლანტაციები. ტუნისში 27 მილიონზე მეტი ზეთისხილის ხეა. ამ კულტურას, რომელიც გულმოდგინე მოვლას მოითხოვს, კარგად იცნობენ ტუნისელები. ზეთისხილის ხის ნაყოფს ჭამენ დამარილებულად, აკონსერვებენ მწვანეს, მაგრამ, რაც მთავარია, იყენებენ ზეითუნის ზეთის გამოსახდელად. მოსავლიან წლებში ტუნისში ამზადებენ 170 ათასამდე ტონა ზეთს (მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში).

ტუნისი ოდითგანვე განთქმულია ხალიჩებით.

ტუნისში თამბაქოც მოჰყავთ. სამხრეთ რაიონებში აგროვებენ ესპარტოს (ალფა ბალახს), რომელსაც იყენებენ ბაგირების, უხეში ქსოვილების, კალათების, საუკეთესო ხარისხის ქაღალდის დასამზადებლად. ესპარტოს ბალახი გააქვთ საზღვარგარეთ. ტუნისის ბევრ რაიონში მოსახლეობის ძირითადი საკვებია ფინიკი. ფინიკის პალმის პლანტაციები გაშენებულია ქალაქ გაბესის სამხრეთით.

მეცხოველეობას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ქვეყნის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში მცხოვრებ მომთაბარეთათვის. ტუნისში დაახლოებით 600 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 5 მლნ. ცხვარი და თხა, 300 ათასზე მეტი ცხენი, ჯორი, ვირი და აქლემი ითვლება. გვალვიან წლებში პირუტყვს გასაჭირი ადგას. საკვების სიმცირისა და წყლის ნაკლებობის გამო სულადობა მცირდება.

ტუნისის ქალაქების უმრავლესობაში ორი რაიონია: ახალი — ევროპული ტიპის შენობებით და ძველი — არაბული. ქალაქ ტუნისში ქალაქის არაბული ნაწილი (მედინა) თანდათანობით იქცევა სიძველეთა მუზეუმად. სხვა ქალაქებში — სუსი, სფაქსი — ევროპული რაიონები არაბულზე ნაკლებია. ქალაქების სახე ტიპური არაბულია — ბრტყელსახურავიანი კვადრატული სახლებით.

ტუნისში თითოეული ქალაქი რაიმეთია ღირშესანიშნავი. მაგალითად, ნაბულში, ამ ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე, არის კუსტარული სახელოსნოები, რომლებიც შესანიშნავ კერამიკას — თეფშებს, ჭურჭელს, სათამაშოებს ამზადებენ. ქალაქი კაირუანი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის მუსულმანთა სასულიერო ცენტრად ითვლება. აქ ბევრია ძველი მეჩეთი, არის მუსულმანური უნივერსიტეტი, სადაც დადიან მუსულმანი მომლოცველები მაღრიბის (არაბულიდან „დასავლეთი“, ასე უწოდებენ ეგვიპტის დასავლეთით მდებარე არაბულ ქვეყნებს) ქვეყნებიდან. კაირუანი ცნობილია აღმოსავლური კეთილსურნელებისა და ხალიჩების წარმოებითაც.

ტუნისი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კრება (პარლამენტი). მმართველი და ერთადერთი ლეგალური პარტია — სოციალისტური დუსტურის პარტია (სდპ) აერთიანებს სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს, დაწყებული ეროვნული ბურჟუაზიით და დამთავრებული გლეხობით. ქვეყნის უმაღლესი ინსტანცია — რესპუბლიკის საბჭოა, რომელშიც შედიან სდპ-ს პოლიტბიუროსა და მთავრობის წევრები. სდპ-ს მუდმივი თავმჯდომარე ამავე დროს მუდმივი პრეზიდენტიცაა.

ტუნისის კომუნისტური პარტია 1963 წლიდან აკრძალულია. ტუნისმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობის პრინციპებს ატარებს.

უგანდა

უგანდის რესპუბლიკა.
ფართობი — 241,1 ათასი კმ².
მოსახლეობა — 12,35 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კამპალა (500 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — სუაჰილი და ინგლისური.



უგანდა მდებარეობს ეკვატორზე, აფრიკის დიდი ტბების რაიონში. უგანდაში სახლობს რამდენიმე ათეული ეროვნება. ყველაზე მრავალრიცხოვანია ბაგანდა (აქედანაა სახელწოდება უგანდა), ბანიანკოლე, ბასოგა, ბატორო, ბანიორო.

ქვეყნის დიდი ნაწილი ზეგანია (1000—1200 მ სიმაღლე). დასავლეთით აღმართულია მთის მასივი რუვენზორი (მთვარის მთები), ხოლო აღმოსავლეთით, კენიის საზღვართან, — უზარმაზარი ჩამქრალი ვულკანი ელგონი. უგანდის საზღვრების დიდი ნაწილი გადის ვიქტორიის (ყველაზე დიდი ტბა აფრიკაში და სიდიდით მესამე მსოფლიოში), იდი-ამინ-დადას (წინათ ედუარდი) და მობუტუ-სესე-სეკოს (წინათ ალბერტი) ტბებზე. უგანდის ცენტრშია კიოგას ტბა, რომლის გარშემო გადაშლილია უზარმაზარი ჭაობიანი ვაკე. ვიქტორიას, კიოგას და იდი-ამინ-დადას ტბებზე მიედინება აფრიკის უდიდესი მდინარე ნილოსი.

უგანდის ჰავა ცხელია და მეტად ტენიანი. მხოლოდ ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში იცის გვალვები. უგანდის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო მდიდარი და მრავალფეროვანია. ჩრდილოეთში და სამხრეთ-დასავლეთში გადაჭიმულია სავანა. აქ არიან სპილოები, კამეჩები, ანტილოპები, ჟირაფები, ზებრები. გვხვდება თეთრი და შავი მარტორქები. მდინარეებსა და ტბებში ბინადრობენ ბეჰემოთები და ნიანგები.

ვიქტორიას ტბის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო და რუვენზორის მასივის სამხრეთი ფერდობები დაფარულია მარადმწვანე ტროპიკული ტყეებით, სადაც ბინადრობენ გარეული ღორები, სხვადასხვა სახის მაიმუნები, მათ შორის გორილები და შიმპანზეები. ჭაობიან რაიონებში, ნილოსისა და კიოგას ტბის ნაპირებზე ხარობს პაპირუსი, ლერწამი. აქ ფრინველთა სამეფოა. ერთ-ერთი ფრინველი — გვირგვინოსანი წერო, რომელიც უგანდის ჭაობებში ბინადრობს, უგანდის დამოუკიდებლობის სიმბოლოდ იქცა. წერო გამოსახულია უგანდის ეროვნულ ალამზე.

უგანდის ლანდშაფტის დამახასიათებელი თავისებურებაა ტერმიტების (მწერების სახეობა, რომლებიც დიდ ჭიანჭველებს მოგვაგონებენ) ბინები, რომელთა სიმაღლე ხშირად ოთხ მეტრს აღწევს. ტერმიტები აფხვიერებენ ნიადაგს. ამავე დროს ეს მწერები ზიანს აყენებენ ადამიანს, ანგრევენ შენობებს, ანადგურებენ საჭმლის მარაგს, ძალიან ხშირად სხვადასხვა მცენარეთა მთელ პლანტაციებსაც კი.

შუა საუკუნეებში ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობდა ფეოდალური სახელმწიფოები. პირველმა ევროპელებმა, რომლებმაც უგანდაში შეაღწიეს (ინგლისელი მკვლევარი სპიკი და გრანტი, 1862 წელს გაემგზავრნენ ნილოსის სათავეების საძებნელად), ვიქტორიის ტბის ნაპირებთან ნახეს დიდი და ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს ბუგანდის დედაქალაქი. ბუგანდელებს ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული არაბებთან და ცნობილი იყვნენ, როგორც დახელოვნებული მჭედლები და კარგი მიწათმოქმედნი. ამ სახელმწიფოს მართავდა მემკვიდრე მმართველი — კაბაკა, რომელიც განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა. 1886 წელს ბუგანდაში იყო აღმოსავლეთი აფრიკის გამოჩენილი რუსი მკვლევარი ვ. იუნკერი (იხ. სე ტ. I, სტ. „აფრიკის რუსი და საბჭოთა მკვლევარები“).

ევროპელების მიერ უგანდის კოლონიზაციის დროისათვის აქ რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა. ყველაზე ძლიერი იყო ბუგანდის სამეფო. 1900



ელსადგურის კაშხალი მდინარე ნილოსზე.

წელს ინგლისმა ამ სახელმწიფოებს თავს მოახვია ხელშეკრულებანი პროტექტორატის შესახებ. უგანდა რომ დაიმორჩილეს, ინგლისელმა კოლონიზატორებმა ფეოდალთა ხელისუფლება შეინარჩუნეს და მხარს უჭერდნენ ძველ ბატონყმურ წესებს. მაგრამ ადგილობრივი ფეოდალების დახმარების მიუხედავად კოლონიზატორებმა დიდხანს ვერ იბოგინეს უგანდაში. ანტიკოლონიურმა ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1945—1949 წლებში ამ ქვეყანაში მოხდა მუშებისა და გლეხების მასობრივი გამოსვლები. 1949 წლის მაისში იფეთქა ანტიკოლონიურმა აჯანყებამ, რომლის ჩახშობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეზობელი კენიიდან გამოძახებული ჯარების საშუალებით. მაგრამ თავისუფლებისაკენ მისწრაფების ჩახშობა შეუძლებელი იყო. 1962 წლის ოქტომბერში უგანდამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1967 წლამდე უგანდის სახელმწიფო შედგებოდა ოთხი სამეფოსა (ბუგანდა, ბუნიორო, ტორო, ანკოლე) და 11 ტერიტორიული ოლქისაგან. ასეთი რთული წყობა იმით აიხსნებოდა, რომ ქვეყანაში ბევრი იყო ფეოდალური და გვაროვნულ-ფეოდალური გადმონაშთები, რომლებიც ნაწილობრივ დღემდეც არის შემორჩენილი. 1966 წელს ბუგანდის უკანასკნელმა მეფემ — კაბაკამ, რომელიც ემყარებოდა ადგილობრივ ფეოდალებს და იმპერიალისტური ძალების მხარდაჭერით სარგებლობდა, შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ. მეამბოხეები დამარცხდნენ, კაბაკა ინგლისში გაიქცა, ფეოდალური სამეფოები ლიკვიდირებულ იქნა. 1967 წლის სექტემბერში უგანდა რესპუბლიკად გამოცხადდა.

1971 წელს უგანდაში მოხდა სამხედრო გადატრიალება, დამყარდა დიქტატურა, დაიშალა პარლამენტი, აიკრძალა პოლიტიკური პარტიები. 1979 წელს ტანზანიაში შეიქმნა უგანდის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი, რომელმაც ტანზანიის ჯარების დახმარებით დაამხო დიქტატორული რეჟიმი. მთელი ხელისუფლება გადავიდა ეროვნული საკონსულტაციო საბჭოსა და ეროვნული განთავისუფლების ფრონტის აღმასრულებელი საბჭოს ხელში.

ბუნებრივი სიმდიდრეების (უგანდაში არის სპილენძის, ტყვიის, რკინის მადნის, კალის, კობალტის, ვოლფრამის, ოქროს, ნიკელის, მანგანუმის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოები) მიუხედავად, უგანდა სუსტად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველი ყავა და ბამბაა. ყავის თითქმის მთელი მოსა-

ვალი საექსპორტოდ მიდის. საზღვარგარეთ გააქვთ ბამბის დიდი ნაწილი, ჩაი და კაკაო. ყავა და ბამბა მოჰყავთ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. მთავრობა მხარს უჭერს კოოპერაციულ მოძრაობას.

მრეწველობაში ჯერ კიდევ ძლიერია უცხოური კაპიტალის პოზიციები. კამპალაში არის ბამბის საწმენდი საწარმოები, ზეთსახდელი, ხე-ტყის სახერხი და ცემენტის ქარხნები. ჯინჯაში — საქსოვი, სამკერვალო, ბამბის საწმენდი ფაბრიკები, სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც მუშაობს კილემბეს საბადოს მადნის ბაზაზე (რუვენზორის მასივის აღმოსავლეთი კალთა). სამთომოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია თითქმის მთლიანად გააქვთ.

ახალგაზრდა სახელმწიფოს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა სპეციალისტების ტექნიკური თანამშრომლობით აგებულია ბამბის სართავი ფაბრიკა ქალაქ ლირაში. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ცენტრ ბუზიტემაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით არის აგებული, ამზადებენ რესპუბლიკისათვის საჭირო ტრაქტორისტებისა და მექანიკოსების კადრებს. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი უგანდელი სტუდენტი სწავლობს.

ჩადი

ჩადის რესპუბლიკა.
ფართობი — 1284 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 4,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ნჯამენა (300 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

აფრიკის კონტინენტის სიღრმეში, შორს ოკეანის ნაპირებიდან მდებარეობს ჩადი. სამხრეთ რაიონებში ცხოვრობენ ბინადარი მიწათმოქმედნი. ეს სარას და ჰაუსას ხალხებია. ჩრდილოეთში მოსახლეობა ძირითადად მომთაბარეა, ცხოვრობენ ტუბუ და არაბები.

საჰარის უდაბნოს დიდ სივრცეებზე აღმართულია მკაცრი ზეგანი ტიბესტი ჩამქრალ ვულკან ემიკუსით (3415 მ). მკაცრი და ერთფეროვანია ამ მხარის ბუნება. უდაბნოს ქვაღორღიანი და ქვიშნარი სივრცეები თითქმის უსიცოცხლოა. მხოლოდ დაბალ ეკლიან ბუჩქებს გაუძლიათ ამ გა-



ვარვარებულ, ტენსმოკლებულ მიწაზე. უკიდეგანო ქვიშის ზღვაში იშვიათად გამოჩნდება ქარავანი და გაივლის თუ არა იგი, გარშემო ჩაკვდება ყოველივე.

ჩადის დასავლეთ საზღვრებთან გადაჭიმულია აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტბა ჩადი. მრავალი საუკუნის წინ აქ იყო რამდენიმე დიდი ტბა, მაგრამ ახლა შემორჩა მხოლოდ ერთი. წვიმიან თვეებში ტბის გარშემო მდებარე ჭაობიან მდელოებზე წყალი გადადის და მისი ფართობი მატულობს, ხოლო მშრალ ამინდში, როცა წყალი კლებულობს, ტბა მცირდება. ჩადის ტბა წყალმარჩხია; ყველაზე დიდი სიღრმე 11 მ-ია.

სამხრეთით პეიზაჟი იცვლება. ქვიშნარს სავანები ცვლიან. აქ ხშირ ბალახსა და მეჩხერ ხეებს შორის ძოვენ კამეჩების, ძროხების, აქლემების, ცხენების, ცხვრისა და თხის ჯოგები და ფარები. პირუტყვის საერთო სულადობა ათ მილიონამდეა.

მიწათმოქმედებას მისდევს მოსახლეობის დაახლოებით 65%. მოჰყავთ ფეტვი, ბრინჯი, არაქისი. ქვეყნის სამხრეთით დიდი ფართობები უკავია ბამბის ნათესებს. ბამბა რესპუბლიკის ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მდინარე შარის ნაპირებზე მდებარე სოფლების მცხოვრებლები თევზჭერას მისდევენ. შექმნილია თევზჭერის კოოპერატივები, რომლებშიც ერთობლივად ასობით მებადური შრომობს. რესპუბლიკის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა ძლიერმა გვალვამ, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. გვალვა განსა-

კუთრებით სასტიკი იყო 1972—1973 წლებში. მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა, დაეცა ბამბის მოსავალი. ჩადის ტბის ერთი მესამედი ამოშრა.

კოლონიზატორთა მრავალწლიანი მბრძანებლობის შედეგად ჩადი მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა. მხოლოდ ამ ბოლო წლებში აიგო პატარ-პატარა კვების, ბამბის საწმენდი და საფეიქრო საწარმოები. არის რადიომიმღებებისა და ველოსიპედების ამწყობი ქარხნებიც. მთიან რაიონებში აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეული. მათი ძიება გრძელდება. თუმცა ქვეყანას ძალიან დიდი ტერიტორია უკავია, აქ დღემდე არ არის არც ერთი სარკინიგზო ხაზი. არის რამდენიმე აეროდრომი.

კოლონიზატორები დიდხანს ცდილობდნენ ამ ქვეყნის დამორჩილებას. მდინარე შარისა და ჩადის ტბის აუზში გაგზავნილი სამხედრო ექსპედიციები ყოველთვის ხვდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის შეუპოვარ წინააღმდეგობას. მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს საფრანგეთის იმპერიალისტებმა შეძლეს ამ ქვეყნის დაპყრობა. იგი შევიდა საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის შემადგენლობაში. ჩადის ხალხმა მამაცური ბრძოლა გააჩაღა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. 1960 წელს გამოცხადდა ჩადის რესპუბლიკა. 1975 წლის აპრილიდან მთელი ძალაუფლება გადავიდა უმაღლესი სამხედრო საბჭოს ხელში. მაგრამ ამან ქვეყანას ვერ მოუტანა სტაბილურობა. შინაგანი შეტაკებანი გრძელდებოდა 1980 წლის ჩათვლით. მიუხედავად მეზობელი ქვეყნების შუამდგომლობისა, მოქიშპე ჯგუფებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. ძალაუფლება არაერთხელ გადადიოდა ხელიდან ხელში.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.
ფართობი — 623 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3,2 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბანგი (400 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ფრანგული.

აფრიკის შუაგულში, მდინარეების შარსა და უბანგას შორის გადაჭიმულია დიდი, მაგრამ ნაკლებდასახლებული ბანტუს ხალხების ქვეყანა (სანგო, მანჯა, ბაია, ბანდა, ბაბინგა, აზანდე).



მრავალფეროვანია მისი ბუნებრივი პირობები. სამხრეთით მთები და ეკვატორული ტყეებია; ჩრდილოეთით — სავანა, რომელიც ნახევარუდაბნოში გადადის. ზოგჯერ სავანა ადგილს უთმობს ბამბისა და ყავის პლანტაციებს, ხოლო ამათ მიჰყვება ტალღოვანი ბორცვები, რომლებიც მწვანე ხავერდის ნაოჭებს მოგვაგონებენ.

მდიდარია ქვეყნის ცხოველთა სამყარო. აქ არის რამდენიმე დიდი ნაკრძალი, სადაც დაცულია მცენარეულობა და ცხოველები. მაღალ ბალახნარში ხან სირაქლემა, ხანაც ჟირაფის გრძელი კისერი გამოჩნდება. არიან სპილოები, ლომები, ჯიქები, სხვადასხვა სახის ჩლიქოსნები. მრავალრიცხოვანი წყალუხვი მდინარეების ნაპირებზე ბევრია ნიანგი და ბეჰემოთი, უღრან ტყეებში ბინადრობენ მაიმუნები. მდინარეებში, განსაკუთრებით უბანგიში, თევზს დაწნული ფაცერებით იჭერენ.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. მოსახლეობა უმთავრესად მიწათმოქმედებას. თავიანთი ბატონობის წლებში კოლონიზატორები ეკონომიკას ცალმხრივად ავითარებდნენ — ვიწრო სპეციალიზაციას ახორციელებდნენ — მოჰყავდათ ბამბა, ყავა, არაქისი. ეს პროდუქტები საზღვარგარეთ გაჰქონდათ, მოსახლეობას კი სურსათ-სანოვაგე არ ჰყოფნიდა.

მრეწველობას წარმართავენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები: ზეთსახდელი და საპნის ქარხნები, ბამბის საწმენდი ფაბრიკები, ხე-ტყის სახერხები. აგებულია ქიმიური, საფეიქრო, ტყავის მრეწველობის

საწარმოები, მოტოციკლეტებისა და ტრანზისტორულ რადიომიმღებთა ამწყობი ქარხნები. დასავლეთი და აღმოსავლეთი რაიონები ალმასის მოპოვებით არის ცნობილი, რომლის ექსპორტი სახელმწიფოს ძირითად შემოსავალს აძლევს. ქვეყანაში აღმოაჩინეს ურანისა და რკინის მადნის საბადოები.

XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთის კოლონიზატორებმა დაიპყრეს მდინარეების უბანგისა და შარის შორის მდებარე ტერიტორია. ახალ კოლონიას, რომელიც მოგვიანებით საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის შემადგენლობაში შეიყვანეს, უბანგი-შარი ეწოდა. სასტიკი დევნა-შევიწროების მიუხედავად უბანგი-შარის ხალხი შეუპოვრად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ბრძოლამ ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. 1958 წელს ქვეყანამ საშინაო ავტონომია მოიპოვა. 1960 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, 1976 წლის დეკემბერში მოხდა გადატრიალება და გამოცხადდა ცენტრალური აფრიკის იმპერია. იმპერატორი ეყრდნობოდა ერთადერთ პარტიას — შავი აფრიკის სოციალური ევოლუციის მოძრაობას (მესან) და ფართო რეპრესიებს ატარებდა. 1979 წელს, საფრანგეთის ჯარების მხარდაჭერით, იმპერატორი დაამხეს და აღადგინეს რესპუბლიკა.

წმინდა ელენეს კუნძული

1502 წელს პორტუგალიის ექსპედიციამ, რომელიც ინდოეთიდან ბრუნდებოდა, სამხრეთ ატლანტიკაში აღმოაჩინა კლდოვანი, თითქმის მიუდგომელი კუნძული, სადაც უხვად მოჩქეფდა ნაკადულები და მთელი ტერიტორია დაფარული იყო მდიდარი მცენარეულობით. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, კუნძულს დაარქვეს სახელი, რომელიც საეკლესიო კალენდარში იყო აღნიშნული კუნძულის აღმოჩენის დღეს. კუნძულზე მრავალი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანია. წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულმა ნაპოლეონმა აქ გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები და აქვე გარდაიცვალა.



წმინდა ელენეს კუნძულზე (ფართობი 122 კვ. კმ) ბევრია მცენარეთა ენდემური სახეობები (ისეთი მცენარეები, რომლებიც სხვაგან არა გვხვდება), მაგალითად, კომბოსტოს ხე. სანაპიროს წყლები მდიდარია თევზით, რომელთაგან 17 სახეობა სხვა ადგილებში არა გვხვდება. კუნძული ცნობილი იყო ახალზელანდიური სელით, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე მისი ფასის დაცემის გამო ამ კულტურის წარმოება შეწყდა. განვითარებულია მებოსტნეობა, მოშენებული ჰყავთ ცხვარი, თხა, ღორი. კუნძულის ეკონომიკური მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი გემი შემოვა კუნძულზე ერთადერთ მოხერხებულ ნავსაყუდელ ჯემსტაუნში. გარკვეულ იმედებს ამყარებენ თევზჭერის განვითარებაზე.

კუნძულელების (5 ათასი) მოსახლეობა ევროპელების, აფრიკელი მონებისა და აზიიდან გადმოსულთა შთამომავლები არიან. კუნძულს მართავს ინგლისელი გუბერნატორი.

ადმინისტრაციულად კოლონიის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ამაღლების კუნძული (ფართობი — 88 კვ. კმ) და პატარა არქიპელაგი — ტრისტან-და-კუნია (ფართობი — 117 კვ. კმ). ამაღლების კუნძული სრულიად ახალგაზრდა ვულკანია. მისი ზედაპირი, მწვერვალის გამოკლებით, ჯერ კიდევ არ არის დაფარული მცენარეულობით. კუნძულის ღირსშესანიშნაობანია კუთა თავშესაყრები და ფრინველთა ბაზრები.

კუნძულების მთელი მოსახლეობა (1200 კაცი) დაკავშირებულია ტრანსოკეანური საკაბელო კავშირის სადგურის, ამერიკის აეროდრომისა და თანამგზავრების სათვალთვალო სადგურის მომსახურებასთან.

მცირე მუდმივი მოსახლეობა (280 კაცი), მოქმედი ვულკანის სიახლოვის მიუხედავად, არის კუნძულ ტრისტან-და-კუნიაზეც, არქიპელაგის მთავარ კუნძულზე. თევზისა და კიბორჩხალის ჭერა ეკონომიკის ერთადერთი დარგია. არის პატარა თევზსაყინი ქარხანაც.

ჯიბუტი

ჯიბუტის რესპუბლიკა.
ფართობი — 22 ათასი კმ².
მოსახლეობა — 220 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ჯიბუტი (130 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — არაბული.

აფრიკის რქაზე ბაბ-ელ-მანდების სრუტესთან მდებარე ამ პატარა ტერიტორიას 1967 წლამდე საფრანგეთის სომალი ერქვა და იგი კოლონიას წარმოადგენდა. 1967 წელს მას მიენიჭა საფრანგეთის „ზღვისიქითა ტერიტორიის“ სტატუსი. 1977 წელს აქ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ჯიბუტიმ დამოუკიდებლობა მიიღო.

სახელმწიფოს სათავეში დგას პრეზიდენტი. დეპუტატთა პალატა წარმოადგენს სათათბირო ორგანოს. მმართველი პარტიაა — პროგრესის მხარდაჭერის სახალხო გაერთიანება (1979 წლამდე მას აფრიკის ხალხის დამოუკიდებლობის ლიგა ერქვა). არის სხვა პარტიებიც: ეროვნული დამოუკიდებლობის კავშირი, სომალის ნაპირის განთავისუფლების ფრონტი, ჯიბუტის განთავისუფლების მოძრაობა.

ჯიბუტის მნიშვნელობა განისაზღვრება ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. დედაქალაქი ჯიბუტი დიდი საზღვაო ნავსადგურია გემსაშენებითა და დოკებით, დიდმნიშვნელოვანი კვანძი და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბაზაა. ჯიბუტი—ადის-აბებას რკინიგზას დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის (ჯიბუტი და ეთიოპია) ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობისათვის.

ქვეყანაში სახლობენ ძირითადად ისას დიალექტზე მოლაპარაკე სომალიელები და მათი მონათესავე ხალხი დანაკილები, ანუ აფარები.

ჯიბუტი მთაგორიანი ქვეყანაა, რომელიც შუაზე გაკვეთილია ღრმა ღრმულით, სადაც განსაკუთრებით მშრალი და ცხელი ჰავაა (ივლისის საშუალო ტემპერატურა +35°). ჯიბუტი სიცხის პოლუსად ითვლება. არ არის ისეთი მდინარე, რომელიც არ შრებოდეს. ტიპური პეიზაჟია ქვიშიანი ან ქვიანი უდაბნო გაცივებული ლავის ნაკადებით, მლაშე ტბებით, დაბეჩავებული ბუჩქოვანი აკაციებით. ღარიბია ცხოველთა სამყაროც, მწერებისა და ქვეწარმავლების გამოკლებით. მაგრამ მდიდარია ზღვის სამეფო: თვალისმომჭრელი, უცნაური თევზები, მარჯნები, მოლუსკები, კიბოსნაირნი.

მოსახლეობა მისდევს მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე მესაქონლეობას (თხა, ცხვარი, აქლემი). სანაპიროზე მისდევენ თევზჭერას, მარგალიტის, სადაფის ნიჟარების, მარჯნის, ღრუბლისა და კიბორჩხალების მოპოვებას.

ამერიკა

შესავალი

ქვეყნის ეს ნაწილი ორი კონტინენტისაგან — ჩრდილო ამერიკისა და სამხრეთ ამერიკისაგან შედგება. ის მდებარეობს დასავლეთ ნახევარსფეროში — ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის.

ამერიკის შემადგენლობაში შედის მსოფლიოში უდიდესი კუნძული — გრენლანდია და ვესტინდოეთის კუნძულები. ამერიკის საერთო ფართობი 42,1 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა 585 მლნ. კაცი.

ამ კონტინენტების რელიეფი ერთმანეთს წაგავს. უმაღლესი მთაგრეხილები — კორდილიერები ჩრდილო ამერიკაში (6193 მ-მდე) და ანდები სამხრეთ ამერიკაში (6960 მ-მდე) გაწოლილია კონტინენტების დასავლეთ სანაპიროზე. ამ მთათა მწვერვალები მუდმივი თოვლით არის დაფარული. ამ მხარეებში ბევრი ახლახან ჩამქრალი და მოქმედი ვულკანია. კონტინენტის ცენტრში ვრცელი ნაყოფიერი ვაკეები მდებარეობს.

ამერიკა მსოფლიოს ყველაზე წყალუხვ კონტინენტებს მიეკუთვნება. ჩრდილო ამერიკაში არის ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მდინარეთა სისტემა — მდინარე მისისიპი და მისი შენაკადი მისური.

საყოველთაოდ ცნობილი ამაზონი დედამიწაზე ყველაზე დიდ მდინარის აუზს ქმნის. ამ წყლის გიგანტის სიგანე მდინარის შუა წელში 5 კმ-ზე მეტია, ქვედა დინებაში — 20 კმ-ია, ხოლო შესართავში კი 150 კმ-მდეა.

ამერიკა მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით. მინერალური ნედლეულის უმნიშვნელოვანესი სახეობების რაოდენობით მას კაპიტალისტურ სამყაროში პირველი ადგილი უჭირავს. მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსების, ნავთობის სიმდიდრის, ქვანახშირის, ტყის უზარმაზარი მასივების გარდა, აქ არის რკინის მადნის, ნიკელის, კობალტის, სპილენძის, პლატინის, ოქროს, ვერცხლის, ურანის, მანგანუმისა და სხვა ლითონების, ბოქსიტებისა და გოგირდის მდიდარი საბადოები.

განსაკუთრებით მდიდარი და თავისებურია ამერიკის ცხოველთა და მცენარეთა სამყარო. აქ ვხვდებით მცენარეთა ყველაზე ნაირგვარ სახეობებს — არქტიკულ, ტუნდროვანებიდან დაწყებულ, უდაბნო და ტროპიკული ჯიშებით დამთავრებულს. აქ ხარობს შავი და თეთრი ნაძვი, ლარიქსი, არყი, მუხა, ვერხვი. ადგილობრივი ფლო-

რისათვის დამახასიათებელია ევროპელთათვის უცნობი ზოგიერთი სახეობები: მამონტის ხე, რომლის სიმაღლე 150 მ-მდეა, ათასწლოვანი გიგანტური სექვოიები. სამხრეთ ამერიკის ტენიან ტროპიკულ ტყეებში ხარობს ძვირფასი ჯიშები — შავი და წითელი ხე, ნაირგვარი პალმები. ამაზონის აუზის მცენარეთა სამყარო 4 ათას სახეობაზე მეტს ითვლის (ევროპაში სულ 200 სახეობაა).

მრავალფეროვანია ცხოველთა სამყაროც. მათ შორისაა ენდემური ცხოველები, ე. ი. ისეთები, რომლებიც მხოლოდ ამერიკაში გვხვდება. დიდტანიან ძუძუმწოვართა შორის ჩრდილო ამერიკაში ყველაზე საინტერესოა ხარ-ვერძი — მკაცრი არქტიკული რაიონების ცხოველი, ჩრდილოეთის ირემი, დათვი — გრიზლი, პუმა. სამხრეთ განედებში ცხოვრობენ იაგუარები და ოცელოტები, ჯავშნოსნები და ზარმაცები, ფართოცხვირიანი მაიმუნები, ტაპირები და ხის მაჩვზღარბები, ლამები, გიგანტური კუ, უამრავი გველი, უშველებელი ანაკონდას ჩათვლით, ლამანტინები (გადაშენებული ზღვის ძროხის მონათესავე ცხოველი), თუთიყუშები და ყველაზე ორიგინალური ფრინველები — კოლიბრები (ისინი 400 სახეობაზე მეტია).

ამერიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ძალზე ჭრელია. აქ სხვადასხვა რასების რთული აღრევაა. თანამედროვე ინდიელები კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავალნი არიან. სახელწოდება „ამერიკის ინდიელებს“, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არა აქვს ინდოეთთან. იგი კოლუმბის ისტორიული შეცდომის შედეგია.

მაიას (მექსიკის სამხრეთით, გვატემალაში) და კეჩუას (პერუ) ხალხების მიერ შექმნილმა ხელოვნებისა და არქიტექტურის შესანიშნავმა ძეგლებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მაიას ტომის მიერ გამოყვანილი კულტურული მცენარეები — სიმინდი, პამიდორი და თამბაქო მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

„ცივილიზებული“ კოლონიზატორების მოსვლამ ინდიელთა ბედის ჩარხი ტრაგიკულად დაატრიალა. მაგალითად, აშშ-ში სულ 300 ათასი ინდიელი დარჩა, თუმცა კოლუმბის დროს ამ ტერიტორიაზე ისინი სულ 2 მილიონზე მეტნი იყვნენ. ამერიკის გერების — ინდიელების დღევანდელი ხვედრია თანდათანობით ამოწყვეტა, სიღატაკე და ტურისტთა ფოტოაპარატების წინ პოზირება.

არც ესკიმოსები არიან სახარბიელო მდგომარეობაში. ისინი კანადისა და ალასკის არქტიკულ რაიონებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დასახლდნენ. კაპიტალისტური ამერიკის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ არავითარი ადგილი არ უჭირავთ.

პოლიტიკური თვალსაზრისით ამერიკა ერთსახოვანი როდია. გარდა აშშ-ისა — კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე განვითარებული ქვეყნისა — და კანადისა, რომელიც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ათეულში შედის, აქ არის ლათინური ამერიკის ქვეყნების დიდი ჯგუფი. ესაა სამი ათეული დამოუკიდებელი სახელმწიფო ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე, კარიბის აუზში. აქვეა რიგი პატარ-პატარა კოლონიებისა და დამოკიდებული ტერიტორიებისა.

ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა ესპანურ ენაზე ლაპარაკობს.

ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა ესპანელთა ბატონობისაგან ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისში განთავისუფლდა, მაგრამ სახელმწიფოებრიობის მოპოვება არ ნიშნავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასასრულს. ხალხები დღესაც აგრძელებენ თავიანთი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ფორმალურად დამოუკიდებელი ლათინური ამერიკის ქვეყნები ძლიერ არიან დამოკიდებული უცხოეთის კაპიტალზე, უპირველეს ყოვლისა, აშშ მონოპოლიებზე. უცხოეთის ქვეყნების კაპიტალდაბანდებანი ლათინური ამერიკის ქვეყნებში 1978 წელს ნაწილდებოდა შემდეგნაირად: ბრაზილიაში — 12,2 მლრდ. დოლარი, არგენტინაში — 4,5 მლრდ., ვენესუელაში — 3,6 მლრდ., კოლუმბიაში — 1,4 მლრდ., ეკვადორში — 880 მლნ და ა. შ. ამ ქვეყნების სახელმწიფო ვალი 1966-დან 1979 წლამდე გაიზარდა 13,2 მლრდ. დოლარიდან 100 მლრდ. დოლარამდე. ბრძოლა ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის, ეკონომიკური განთავისუფლებისათვის სულ უფრო ფართო გასაქანს პოულობს. მარტო 1979 წელს დაემხო რეაქციული რეჟიმები ნიკარაგუაში, გრენადაში, დომინიკასა და სენტლუსიაში. ახლა მთელი ხალხი იბრძვის ბუნებრივი რესურსების — მათი ძირითადი სიმდიდრის დასაცავად. ნაციონალიზებულია ნავთობის მრეწველობა მექსიკაში, პერუში, ვენესუელაში, ეკვადორში, ბრაზილიაში. ბუნებრივ სიმ-

დიდრეებზე სახელმწიფო კონტროლი წესდება ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც. ნაციონალიზებული უცხოური საკუთრება სახელმწიფო ეკონომიკის სექტორში შედის, მხოლოდ მათი მეშვეობით შეიძლება მომწიფებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.

ყოველწლიურად იზრდება დედამიწის ამ რაიონის ხალხების მისწრაფება ერთობლივი მოქმედებისაკენ საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად. იქმნება ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემა (ლაეს-ი)— პირველი საერთო რეგიონალური ორგანიზაცია, რომელშიც არ მონაწილეობს აშშ, ანდების ჯგუფი, ამაზონის ქვეყნების ბლოკი. ეს პროგრესული ძვრები დაეტყო ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციასაც (ასო); ეს ორგანიზაცია აშშ-ის იმპერიალისტებმა დააარსეს, რათა თავიანთი გავლენა გაევრცელებინათ ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამჟამად ლათინურ ამერიკაში, ეროვნული და სოციალური დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ახალ აღმავლობასთან დაკავშირებით, — განსაკუთრებით, ნიკარაგუელი ხალხის გამარჯვების შემდეგ, — ვაშინგტონი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა მსოფლიოს ამ რეგიონში. ამ მიზანს ემსახურება შეერთებული შტატების გეგმები, შექმნას ჩრდილოეთ ამერიკის „საერთო ბაზარი“ (აშშ, კანადა, მექსიკა), ე. წ. „საამერიკათშორისო მშვიდობის კორპუსი“ (ფაქტიურად, დამსჯელი ნაწილები) და ა. შ.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში თანდათან იზრდება და მტკიცდება იმის შეგნება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სოციალისტურ ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარება.

სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არც ისე ადვილია. აქ მოსალოდნელია აღმავლობა და დაცემა, დროებითი მარცხის სიმწარე. ჩილელებმა დაკარგეს სახალხო ერთობის მთავრობის დროს მიღწეული მონაპოვარი. ეს ტრაგედია კვლავ და კვლავ შეგვახსენებს, რომ საჭიროა მუდმივი სიფხიზლე, რათა არავის გამოეპაროს შინაური და გარეშე რეაქციის ვერაგობა.

მაგრამ ლათინური ამერიკის ხალხებს აქვთ სხვა მაგალითიც; ეს არის დასავლეთ ნახევარსფეროს პირველი სოციალისტური სახელმწიფო — გმირული კუბა. კუბის რევოლუცია მოწმობს იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის აღმავლობას ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მას სხვა ქვეყნების ხალხებზე დიდი ზეგავლენა აქვს.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები, ა შ შ.
ფართობი — 9 363,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — 220 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ვაშინგტონი (733,8 ათასი მცხოვრები, გარეუბნებიანად — 3 მლნ).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

ამერიკის შეერთებული შტატები შედგება ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული სამი ნაწილისაგან: აშშ-ის ძირითადი ტერიტორიის, ალასკისა და ჰავაის კუნძულებისაგან. შეერთებული შტატების მფლობელობაში შედიან აგრეთვე: პუერტორიკო და ვირჯინიის კუნძულები კარიბის ზღვაში, პანამის არხის ზონა (2000 წლამდე), მიკრონეზია (სამეურვეო ტერიტორია) და აღმოსავლეთი სამოა წყნარ ოკეანეში.

ძირითადი ტერიტორიის რელიეფი შეიძლება დავყოთ ოთხ სარტყლად. დასავლეთით — კორდილიერების გიგანტურ მთათა სისტემა, რომელიც სამი ქედისაგან შედგება. ამ ქედებს შორის მდებარეობს ვრცელი ზეგნები, პლატოები, ღრმა ხეობები. აშშ-ისა და კანადის ტერიტორიაზე კორდილიერების აღმოსავლეთ ნაწილს ცნობილი კლდოვანი მთები შეადგენენ. ქვეყნის ცენტრში გადაჭიმულია დიდი და ცენტრალური ვაკის ფართო ზოლი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს. ამ ვაკეზე მოედინება მძლავრი მდინარე მისისიპი და მისი შენაკადები: მისური, არკანზასი და სხვები. უფრო აღმოსავლეთით აპალაჩების მთიანი მხარეა. ეს შედარებით დაბალი მთებია (მწვერვალი მიტჩელი, 2037 მ). აპალაჩებსა და ატლანტის ოკეანეს შორის ატლანტისპირა დაბლობია.

აშშ-ის თითქმის მთელი ტერიტორია ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის ზონაშია მოქცეული. ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე მცენარეული ზონების დიდი მრავალფეროვნებაა: ჩრდილო-აღმოსავ-



ლეთში და დიდი ტბების მახლობლად ვხვდებით წიწვოვან და ფართოფოთლოვან ტყეებს, კორდილიერების კალთებზე — წიწვოვან ტყეებს, სუბტროპიკულ მცენარეებს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნაყოფიერ ვაკეზე (პრერიებში) და მისისიპის სანაპიროებზე — სტეპის მცენარეულ საფარს, ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების მცენარეულობას კორდილიერების პლატოებსა და ზეგნებზე — განსაკუთრებით კი სამხრეთ-დასავლეთში. ფლორიდის ნახევარკუნძულის სამხრეთში ტროპიკული ჰავაა.

ალასკა მთიანი ქვეყანაა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი პოლარული წრის გადაღმაა. აქ სამხრეთ რაიონებში ხარობს ძვირფასი წიწვოვანი ჯიშის ტყეები. უფრო ჩრდილოეთით იწყება მეჩხერი ტაიგა, რომელიც შემდეგ ტუნდრაში გადადის.

ჰავაის კუნძულები ვულკანური წარმოშობის არქიპელაგია. აქ ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა +21°—+25°-ია, ყველაზე ცივის (თებერვალი) — +18°—+21°.

აშშ ყველაზე მძლავრი კაპიტალისტური ქვეყანაა. 1974 წ. აშშ-ზე მოდიოდა მთელი კაპიტალისტური სამყაროს წარმოების ორი მეხუთედი.

აშშ-ის ასეთი დაწინაურება, მისი უპირატესი წინსვლა მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით აიხსნება ქვეყნის ისტორიული განვითარებით, მისი ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით.

XVII ს. დასაწყისში ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ინგლისის ხომალდები მიადგნენ. ხომალდებმა პირველი ევროპელი ახალმოსახლეები მოიყვანეს თან. აშშ-ის ტერიტორიაზე მანამდე მხოლოდ ინდიელთა ტომები ცხოვრობდნენ. ისინი მეთევზეობასა და მონადირეობას მისდევდნენ. ქვეყნის დიდი ნაწილი გაუვალი ტყეებით იყო დაფარული.

პირველი კოლონია 1620 წელს ინგლისიდან გადმოსახლებულებმა დააარსეს. პირველად სულ 101 კაცი იყო. პირველსავე ზამთარში შიმშილმა და ავადმყოფობამ 44 კაცი იმსხვერპლა, მაგრამ გადმოსახლებულთა კოლონია ახალი პლიმუტი მაინც დარჩა. სკვანტოს ტომის ინდიელებმა დაღუპვისაგან იხსნეს ადამიანები, მათ მოჰქონდათ საჭმელი, ხოლო გაზაფხულზე სასომიხდილ კოლონისტებს დაათესინეს სიმინდი და ასწავლეს მისი მოვლა.

პირველი გადმოსახლებულების გამოჩენის 150 წლის შემდეგ თითქმის მთელ სანაპირო ზოლში აპალაჩის მთებიდან მოყოლებული აღმოსავლეთი

სანაპირო ზოლი ევროპელთა, უმთავრესად ინგლისელთა დაბებით დაიფარა. გაჩნდა პირველი დიდი ქალაქები — ბოსტონი, ფილადელფია, ნიუ-იორკი. ამ ქალაქების მეშვეობით ვაჭრობდნენ ისინი ინგლისთან.

სანაპიროს სამხრეთში, სადაც ნოტიო ჰავაა, თამბაქოს, ხოლო მოგვიანებით ბამბის პლანტაციები აღმოცენდა. ამ პლანტაციებში დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდნენ აფრიკიდან ჩამოყვანილი შავი მონები.

კოლონისტებს სულ უფრო და უფრო მძიმე ტვირთად აწვათ ინგლისის ბატონობა, რომელიც ხელს უშლიდა კოლონიათა ეკონომიკურ განვითარებას, ამერიკელებიდან იღებდა დიდ გადასახადებს, სასტიკად ახშობდა კოლონისტების ყოველ გამოსვლას პოლიტიკური ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ.

1775 წ. ჩრდილო ამერიკის მცხოვრებნი აჯანყდნენ ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. განმათავისუფლებელმა ომმა 1783 წლამდე გასტანა. აჯანყებულთა ხელმძღვანელებმა გამოიყენეს უთანხმოება მაშინდელ დიდ სახელმწიფოთა შორის და საფრანგეთისა და ესპანეთის მხარდაჭერა ჰპოვეს. აჯანყებულთა არმიამ, — რომელსაც ფრანგთა რაზმებიც უჭერდნენ მხარს, — გაიმარჯვა. არმიას სარდლობდა ჯორჯ ვაშინგტონი. ინგლისი იძულებული იყო ეღიარებინა ახალი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები (1776 წ.). ვაშინგტონი აშშ-ის პირველი პრეზიდენტი გახდა.



გზაჯვარედინები აშშ-ში

ვ. ი. ლენინის განსაზღვრებით, ამერიკელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ნიმუშია რევოლუციური ბრძოლისა ფეოდალური მონობის წინააღმდეგ. მან მისცა დასაბამი ანტიფეოდალურ რევოლუციებს ევროპაში, უპირველეს ყოვლისა კი XVIII ს. დასასრულის საფრანგეთის რევოლუციას. მაგრამ მაინც, ინგლისის ჩრდილოამერიკული კოლონიების რევოლუციამ ვერ შეძლო ბოლომდე გაეტარებინა ის დემოკრატიული პრინციპები, რევოლუციის ლიდერებმა რომ წამოაყენეს. კერძოდ, მათ ვერ შეძლეს მონობის გაუქმება (იხ. სე ტ. 8, სტ. „1776 წ. 4 ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“).

მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ ოკეანისგაღმა ტყიან ქვეყანას შეეძლო კონკურენცია გაეწია ისეთი მძლავრი სახელმწიფოსათვის, როგორიც იყო ინგლისი. მაგრამ უკვე XIX ს. 90-იან წლებში აშშ-მა გაუსწრო ინგლისს და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიხედვით.

იმ ხანებში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნა და ქვეყნის განვითარება დაიწყო, კაპიტალიზმი აღმავალი საზოგადოებრივი წყობილება იყო. იგი წინგადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა ფეოდალიზმთან შედარებით, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ევროპაში. ამერიკულ კაპიტალიზმს ტვირთად არ აწვა ფეოდალიზმის მემკვიდრეობა.

დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის შემდეგ ამერიკელ ბურჟუებს ბატონ-პატრონობაში ხელს არ უშლიდნენ არც მონარქები, არც მემამულეები. მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლად შეექმნათ კაპიტალისტური საზოგადოება.

მართალია, თავდაპირველად სამხრეთი შტატების პლანტატორ-მონათმფლობელებს უნდოდათ ხელში ჩაეგდოთ მთელი ძალაუფლება ქვეყანაში. ჩრდილოეთის სამრეწველო ბურჟუაზიას არ შეეძლო ამას შერიგებოდა, რამაც 1861—1865 წწ. სამოქალაქო ომის გაჩაღება გამოიწვია; ეს ომი ჩრდილოელთა გამარჯვებით დასრულდა. შავი მოსახლეობა ფორმალურად გაათავისუფლეს მონობისაგან, მაგრამ ფაქტიურად ისინი დამოკიდებულნი იყვნენ ძველ ბატონებზე, ვინაიდან მათ მიწა არ მისცეს.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც ხელს უწყობდა აშშ-ის ეკონომიკის განვითარებას.

მას არ ჰყავდა ძლიერი მეზობელი. პირიქით, აშშ თავად ხდებოდა საშიში მეზობელი ჩრდილოეთით — კანადისათვის, სამხრეთით — მექსიკის, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკისათვის. აშშ-მა მექსიკას წაართვა ტერიტორიის ნახევარზე მეტი (ახლანდელი ტეხასის, კალიფორნიის, არიზონის, ნიუ-მექსიკოს შტატები, ნევადის, კოლორადოს, იუტას შტატების დიდი ნაწილი). მთელი გასული საუკუნის მანძილზე ერთიმეორის მიყოლებით იპყრობდა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებს. დაპყრობებთან ერთად აშშ თავის საზღვრებს ფულადი სახსრებითაც აფართოებდა. 1803 წ. აშშ 15 მლნ. დოლარად საფრანგეთისაგან შეიძინა უზარმაზარი ტერიტორია მდ. მისისიპის აუზში, რომელსაც მაშინ დასავლეთი ლუიზიანა ეწოდებოდა. ეს ბარაქიანი მხარეა, სადაც ახლა 14 შტატი მდებარეობს (ერთ-ერთ მათგანს ახლაც ლუიზიანა ჰქვია). 1814 წ. აშშ-მა ესპანეთისაგან შეისყიდა ფლორიდა, 1867 წ. რუსეთის მეფე ალექსანდრე მეორისაგან 7,2 მლნ. დოლარად — ალასკა, 1917 წ. დანიისაგან — ვირჯინიის კუნძულები.

ჩრდილო ამერიკაში გადმოსახლებულმა ევროპელებმა ძალიან მალე დაივიწყეს ინდიელების მეგობრული შეხვედრა. კოლონისტებმა ახალ ადგილზე მოიკალათეს, მათ ინდიელთა აყრა იწყეს. აშშ-ის ისტორია XX ს. დასაწყისამდე „ომებითაა“ სავსე: ასე ეძახდნენ სამარცხვინო სისხლისღვრებს გადმოსახლებულნი; ამ „ომებში“ განადგურებულ იქნა ამერიკის თითქმის მთელი მკვიდრი მოსახლეობა. ინდიელ ტომთა გადარჩენილი ნაწილი სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე (რეზერვაციებში) გადაასახლეს. ეს იყო ყველაზე უნაყოფო მიწები. აქ ინდიელები შიმშილისა და ავადმყოფობისაგან ამოსაწყვეტად იყვნენ განწირულნი.

მძლავრი ავიაციისა და სარაკეტო-ბირთვული იარაღის წარმოებამდე აშშ მიუწვდომელი იყო სხვა სახელმწიფოთა არმიებისათვის. დიდი ომები ამერიკის კონტინენტის ფარგლებიდან შორს იმართებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი აშშ-ის კონტინენტური ტერიტორია მოწინააღმდეგისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელი რჩებოდა. იაპონიის წყალქვეშა ნავებიდან რამდენიმე გასროლა ამერიკის კონტინენტის მიმართულებით და იმავე იაპონელების მიერ ალალბედზე გაშვებული საწვავი მასალით სავსე საჰაერო ბუშტები, — ეს იყო მთელი ის „საომარი მოქმედება“, რაც ამერიკის მიწამ გადაიტანა.



ალასკა — აშშ-ის უკიდურესი ჩრდილოეთი შტატი.

წარსულში ნებისმიერ ომს ევროპაში ამერიკელი კაპიტალისტებისათვის მხოლოდ მოგება მოჰქონდა. პირველ მსოფლიო ომამდე (1914—1918) აშშ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის, მოვალე იყო, ომის შემდეგ კი ევროპა ამერიკელ მილიარდერთა ვალში აღმოჩნდა. აშშ-ის მონოპოლიებმა უზარმაზარი მოგება მიიღეს მეორე მსოფლიო ომის (1939—1945) დროსაც.

ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაში დიდი როლი შეასრულა ევროპიდან მილიონობით ადამიანის გადასახლებამ (იმიგრაციამ). თავდაპირველად აშშ-ში მხოლოდ და მხოლოდ ირლანდიელები და ინგლისელები მიემგზავრებოდნენ. XIX ს. დამლევისათვის იმიგრანტებში უფრო და უფრო მომრავლდნენ გერმანელები, შვედები, ებრაელები, უნგრელები, უკრაინელები, რუსები, ფინელები. XIX ს. შუა წლებიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914 წ.) აშშ-ში 30 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანი გადასახლდა. ესენი უმთავრესად მაღალკვალიფიციური მუშები და სპეციალისტები იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

მრეწველობა აშშ-ში უფრო გვიან განვითარდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, ამიტომაც მას შეეძლო ფართოდ გამოეყენებინა წარმოების ორგანიზაციის ევროპული გამოცდილება. ამერიკული ბურჟუაზია ცდილობდა გადმოებირებინა ევროპიდან ნიჭიერი მეცნიერები, გამომგონებლები, ინჟინრები; სწრაფად ნერგავდა წარმოებაში,

დიდი კანიონი მდინარე კოლორადოზე.

მეცნიერებასა და ტექნიკაში ევროპელთა აღმოჩენებს, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოჰქონდა მსოფლიოში საუკეთესო საწარმოო დანადგარების ნიმუშები.

აშშ-ის მეურნეობის განვითარებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, უმდიდრესმა ბუნებრივმა რესურსებმა: უკიდეგანო ნოყიერმა მიწებმა, ვრცელმა ტყეებმა, სუბტროპიკულმა მხარეებმა (ფლორიდა და კალიფორნია), უზარმაზარი ენერგეტიკული პოტენციალის მძლავრმა მდინარეებმა, მადნეულისა და სათბობის უზარმაზარმა მარაგმა. მექსიკის ყურის სანაპიროსთან, ტეხასისა და ლუიზიანას შტატებში და, აგრეთვე, კალიფორნიაში ბევრი ნავთობი და ბუნებრივი გაზია, ჩრდილო-აღმოსავლეთში, აპალაჩების მთებში ქვანახშირის მთავარი მარაგია. ქვანახშირი და ნავთობი მაღალი ხარისხისაა. ქვეყნის დასავლეთით, კლდოვან მთებში, მოიპოვებენ სპილენძსა და სხვა ფერად ლითონებს. აშშ მდიდარია რკინის მადნით. რკინისა და ქვანახშირის საბადოები ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო მეტალურგიული მრეწველობის შექმნას.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა ავტომობილები, ტრაქტორები, თვითმფრინავები, თხევად საწვავზე მომუშავე ამერიკულმა ნავთობის კომპანიებმა, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს ნავთობის სამრეწველო მოპოვება, უდიდესი მოგება მიიღეს ნავთობისა და მისი პროდუქტების სხვა ქვეყნებისათვის მიყიდვით. ნავთობქიმიის განვითარებით ამერიკული ნავთობის მეფეთა შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა.

ამერიკულმა ნავთობის კომპანიებმა (მათ შორის ყველაზე დიდია „სტანდარტ ოილი“, ახლა — „ექსონი“) ჩაიგდეს ნავთობის უმდიდრესი მარაგები აშშ-ის გარეთაც — ლათინურ ამერიკაში და არაბეთის ქვეყნებში. იქ უფრო ადვილია ნავთობის მოპოვება, ვიდრე აშშ-ში. ადგილობრივ მუშებს ამერიკელ მუშებთან შედარებით დაბალ ხელფასს უხდიან.

ამერიკელი პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ ევროპის სახელმწიფოთაგან განსხვავებით, აშშ არასოდეს არ ეწეოდა კოლონიურ ექსპლოატაციას. მართალია თუ არა ეს?

სინამდვილეში აშშ კოლონიები და ნახევრადკოლონიები უწინაც ჰქონდა და ახლაც აქვს. კარგა ხანს იყო აშშ-ის კოლონია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სანაპიროსთან მდებარე წყნარი ოკეანის ქვეყანა — ფილიპინები. 1946 წ. ფილიპინებმა დამოუკიდებლობა მიიღეს, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკაში კვლავინდებურად ბატონობენ ამერიკული მონოპოლიები, ფილიპინის ტერიტორიაზე კი ამერიკის სამხედრო ბაზებია განლაგებული. 1959 წლის სახალხო რევოლუციის გამარჯვებამდე აშშ-ის ნახევარკოლონია იყო კუბა. ახლა კუბა დასავლეთ ნახევარსფეროს პირველი სოციალისტური სახელმწიფოა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკულმა იმპერიალიზმმა მასზე დამოკიდებული ანტისახალხო რეჟიმი დაამყარა სამხრეთ ვიეტნამში (იარსება 1975 წლის გაზაფხულამდე), სამხრეთ კორეაში, ტაივანზე.

ამერიკული ბურჟუაზია თავის კაპიტალს საზღვარგარეთ აბანდებს და თავისი ქვეყნის მშრომელების გარდა, ექსპლოატაციას უწევს უცხო ქვეყნების მშრომელებსაც. მას უფრო მეტი საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდება აქვს, ვიდრე

ყველა სხვა ქვეყნის ბურჟუაზიას ერთად. აშშ-ს მონოპოლიები ეპოტინებიან დასავლეთ ევროპის, კანადის, ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკის მილიონობით მშრომელის მონაგარს. ამერიკელ კაპიტალისტებს მთელი მოგების თითქმის მეოთხედს საზღვარგარეთი აძლევს.

აშშ-ის კაპიტალისტები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულიდან ცდილობდნენ დაემონათ ლათინური ამერიკა. მდიდარი ბუნებრივი რესურსები და იაფი მუშახელი, — აი, რა იზიდავდა მათ. ვენესუელასა და კოლუმბიაში — ნავთობის მარაგი, ჩილეში — სპილენძის საბადოები, ბოლივიაში — კალა, ბრაზილიაში — ბუნებრივი სიმდიდრეები, — ყველაფერი ეს ჩრდილოამერიკულ ფირმათა საკუთრებაა. აშშ-ის მონოპოლიებმა ასევე მიისაკუთრეს სასარგებლო წიაღისეული აფრიკასა და აზიაში. 60-იან, განსაკუთრებით კი 70-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების გამო ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში ამერიკული იმპერიალიზმის ამ პოლიტიკას მძლავრი წინააღმდეგობა შეხვდა. განვითარებადი ქვეყნები თავად აკონტროლებენ ბუნებრივ სიმდიდრეებს, უპირისპირდებიან აშშ-ის მონოპოლიებს, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ ნავთობის, ბოქსიტების, რკინის მადნის და სხვათა მარაგს.

აშშ-ის მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მსხვილ, ტექნიკურად სრულყოფილ საწარმოებს; მეტწილ ინდუსტრიულ დარგებში გამოიყენება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები. ავტომატიზაცია განსაკუთრებით ფართოდ დაინერგა საავტომობილო, საავიაციო, სარაკეტო და ელექტრონულ წარმოებაში. ჩქარა ვითარდება ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით, სინთეზურ მასალათა წარმოება. მაღალი მექანიზაციით გამოირჩევა ამერიკის სოფლის მეურნეობაც.

და მაინც ამ მძლავრ ეკონომიკას ახასიათებს ყველა ხინჯი, რაც კაპიტალისტური წყობისათვისაა დამახასიათებელი. აქ ხშირადაა კრიზისები. ხან ერთ, ხან მეორე დარგში ეცემა წარმოების დონე და ასიათასობით მშრომელი კარგავს სამუშაოს. 70-იანი წლების დასაწყისში ქვეყანას დააკლდა საწვავი მასალა და ელექტროენერგია (ენერგეტიკული კრიზისი). მონოპოლიებმა ამით ისარგებლეს და ფასი მოუმატეს არა მარტო ბენზინს,

ამერიკული კოსმონავტები ჩარლზ დიუკი, ჯონ იანგი და თომას მატინგლი (კოსმოსური ხომალდ „აპოლონ-16“-ის ეკიპაჟი) კოსმოდრომზე ვარჯიშისას.

საცხ ზეთს, ელექტროენერგიას, არამედ მრავალ სხვა სამრეწველო და სასურსათო საქონელს.

ამერიკული კაპიტალიზმი მტაცებლურად ანადგურებს ბუნების საუნჯეს. ზოგიერთ შტატში მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა უდაბნოდ იქცა. განადგურებულია ბიზონების უამრავი ჯოგი, ადრე პრერიებში რომ დახეტიალობდნენ; ნიადაგი ბევრ ადგილას გამოფიტულია და ხშირად ჩნდება შავი ქარიშხალი: ჰაერში ქარიშხალი ათასობით ტონა მტვერს ატრიალებს. მილიონობით ავტომობილის გამონაბოლქვმა გაზმა მოწამლა ჰაერი ქალაქში, საწარმოო ნარჩენებმა გააჭუჭყიანა ტბები და მდინარეები.

ამერიკული ქალაქების ბევრი ქუჩა შთამბეჭდავია: მაღალი სახლები, საქონლით სავსე მაღაზიები, ავტომანქანათა უწყვეტი ნაკადი. საღამოობით — ცეცხლოვანი ზღვა, უთვალავი მოციმციმე რეკლამა, ბარებიდან გამოსული მყვირალა მუსიკის ხმა. მაგრამ მაძღარ და კმაყოფილ ამერიკასთან ერთად არსებობს სხვა ამერიკაც, რომელიც სიღარიბეს, სიბნელეს, უუფლებობასა და ავადმყოფობას იტანს. ესენი მარტო ზანგები და პუერტორიკოელები როდი არიან. აქვე სახლობს არაკვალიფიციური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოხუცების, უმუშევრების დიდი ნაწილი.

ამერიკელი კომუნისტები თავისი პარტიის პროგრამაში წერენ: „ქვეყანას, რომელიც ჩვენმა ხალხმა შექმნა, აქვს ყველაფერი აუცილებელი

ბედნიერი და უხვი ცხოვრებისათვის. და მაინც ათობით მილიონი ადამიანი სიღარიბეში ცხოვრობს. ათობით მილიონი ადამიანი მკაცრი, რასობრივი ჩაგვრისაგან იტანჯება. მშრომელ მასებს სულ უფრო და უფრო არა სჯერათ ხვალინდელი დღისა. ყოველ ადამიანს აშინებს ომის მუქარა და მასიური განადგურება“.

აშშ-ის კოლოსალური საწარმოო აპარატი კერძო პირთა — კაპიტალისტთა პატარა ჯგუფის ხელთაა. ქვეყნის სიმდიდრე ხალხს კი არა, კაპიტალისტთა უდიდეს გაერთიანებებს — მონოპოლიებს ეკუთვნით. მთელს ეკონომიკას ხუთასი გიგანტური მონოპოლია აკონტროლებს. მაგალითად, შავ მეტალურგიაში მბრძანებლობენ მონოპოლიები: „იუნაიტედ სტეიტს სტილი“, „ბეტლეჰემ სტილი“, „არმკოსტილი“. საავტომობილო მრეწველობაში კომპანიები „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდი“, „კრაისლერი“, „ამერიკან მოტორსი“ (მარტო ფირმა „ჯენერალ მოტორსის“ საწარმოებში 800 ათასი მუშა-მოსამსახურე მუშაობს). ქიმიურ მრეწველობაში ბატონობენ დიუპონები (მილიარდერ დიუპონ დე ნემურის ოჯახი). საერთოდ, მოსახლეობის 1%-ის ხელშია სიმდიდრეთა 25%, ხოლო მოსახლეობის 50% კაპიტალის მხოლოდ 3%-ს ფლობს.

აშშ-ის ცხოვრებაში უმუშევრობა ჩვეულებრივი მოვლენაა. 1979 წელს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი 6,9 მილიონს აღწევდა, სინამდვილეში კი ისინი მეტია. უმუშევრობისაგან განსაკუთრებით ახალგაზრდობა იტანჯება.

კაპიტალისტები ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ცდილობენ შეამცირონ რეალური ხელფასი, რათა მეტი მოგება მიიღონ. აშშ-ის მუშები უფრო და უფრო აქტიურად გამოდიან თავიანთი სასიცოცხლო უფლებების დასაცავად. ისინი მიმართავენ კლასობრივი ბრძოლის ნაცად ხერხს — გაფიცვას. ასე, მაგალითად, 1979 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში გაფიცვების შედეგად დაკარგულ სამუშაო დღეთა რიცხვმა 5,2 მილიონს გადააჭარბა, რაც 2,5-ჯერ აღემატებოდა 1978 წლის თავისთავად საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს.

ამერიკის სოფლის მეურნეობაში გაბატონებულია მსხვილი კაპიტალისტური ფერმები. წვრილ ფერმათა მეპატრონეებს ტანჯავთ მსხვილ მეპატრონეთა კონკურენცია, დიდი გადასახადები. ყოველწლიურად ათეულ ათასობით წვრილი ფერმა ვალში იყიდება: უფრო მსხვილი მეურნეობები ნთქავენ მათ. 1978 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი კვლავ დაეცა და შეადგინა მხოლოდ 3,3 მლნ. ადამიანი (1977 წელს — 4,6 მლნ.), ხოლო ქვეყნის აგრარულმა მოსახლეობამ — 7,8 მლნ. კაცი.

ამერიკაში სამედიცინო მომსახურება ძალზე ძვირია. ყველაზე უბრალო ქირურგიული ოპერაცია კვალიფიციური მუშის ერთი-ორი თვის ხელფასი ჯდება. სამედიცინო მომსახურების ღირებულება იზრდება, ძალიან ძვირია წამლები. ძალზე ცუდ დღეში არიან ისინი, ვინც ჯანმრთელობასა და ძალას საწარმოში კარგავს. შრომის ინვალიდთა რიცხვი იზრდება: ყოველწლიურად საწარმოებში იღუპება დაახლოებით 15 ათასი კაცი, 2 მილიონზე მეტი მუშა კი ტრავმას იღებს.

განსაკუთრებით მძიმე ექსპლოატაციას განიცდიან შავი ამერიკელები, გასულ საუკუნეებში აფრიკიდან შემოყვანილი მონების შთამომავალნი და ფერადკანიანი მოსახლეობის სხვა ჯგუფები. 1976 წ. ქვეყანაში 26 მილიონი, ე. ი. მოსახლეობის 12% აფრიკული წარმოშობის კაცი ცხოვრობდა. ერთი და იგივე სამუშაოსთვის ისინი იღებენ ნაკლებს, ვიდრე თეთრკანიანები. უმუშევრები მათ შორის უფრო მეტია, ვიდრე თეთრკანიანებს შორის. ბევრ ქალაქში შავებს პრაქტიკულად მხოლოდ განსაზღვრულ რაიონებში შეუძლიათ ცხოვრება. ესაა ყველაზე ჭუჭყიანი და მოუვლელი რაიონები. ამერიკის სასამართლო შავებსა და თეთრებს შორის გამართულ დავაში დამნაშავედ უმრავლეს შემთხვევაში შავებს თვლის. სამხრეთის ზოგიერთ შტატში შავი მოსახლეობის ბავშვებს, რასისტების წინააღმდეგობის გამო არ შეუძლიათ იმ სკოლაში სიარული, სადაც თეთრები სწავლობენ. შავი მოსახლეობა შეუპოვრად იბრძვის თავისი უფლებებისათვის. ამ ბრძოლას მხარს უჭერენ „თეთრი“ ამერიკის მოწინავე ადამიანები.

რასისტები თავის დროზე აფრიკიდან ჩამოყვანილი მონების შთამომავლებს არასრულყოფილ არსებებად, მდაბალ რასად თვლიან. ეს აშკარა მკრეხელობაა. მათი რიგებიდან გამოვიდნენ შესანიშნავი მწერლები, პოეტები, არტისტები, მუსიკოსები. მთელს მსოფლიოშია ცნობილი პოეტი ლენგსტონ ჰიუზი, საზოგადო მოღვაწე და გამოჩე-



სინთეზური კაუჩუკის ქარხანა ტეხასის შტატში.

ნილი მეცნიერი უილიამ დიუბუა, შავი ამერიკელების მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი, მომღერალი პოლ რობსონი.

აშშ-ში არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში არიან, აგრეთვე, აზიიდან და ლათინური ამერიკიდან გამოსულნი — ფილიპინელები, ჩინელები, მექსიკელები, პუერტო-რიკოელები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც აშშ-ში ქრონიკულმა უმუშევრობამ იფეთქა, ამერიკის მთავრობამ თითქმის მთლიანად აკრძალა ქვეყანაში ახალმოსახლეთა შემოსვლა. ამიტომაც უკანასკნელ ათწლეულებში ძირითადი იმიგრაცია პუერტო-რიკოდან ხდებოდა, პუერტორიკოელებს შავი მოსახლეობის დარად ექცეოდნენ. აშშ-ში სეზონურ სამუშაოზე ჩამოსვლის ნება აქვთ მეზობელი მექსიკის მცხოვრებლებს. ისინი შრომობენ პლანტაციებში, ბაღებში და ღებულობენ ორ-სამჯერ ნაკლებ ხელფასს, ვიდრე მათთან ერთად მომუშავე აშშ-ის მოქალაქენი.

კაპიტალისტურ ამერიკაში კულტურის, განათლების, სულიერი ცხოვრების განვითარება წინააღმდეგობებითაა სავსე.

აშშ-ის ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ამერიკელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — ვ. ფრანკლინი — იყო არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე, არამედ მსოფლიო სახელის მქონე დიდი მეცნიერი. საქვეყნოდაა ცნობილი მსოფლიოში პირველი თბომავლის შემქმნელი რ. ფულტონი, ტელეგრაფის აპარატის გამომგონებელი ს. მორზე, სელექციონერი ლ. ბერბანკი, მრავალი ხელსაწყოსა და აპარატის გამოჩენილი გამომგონებელი თ. ედისონი, კიბერნეტიკის თეორეტიკოსი ნ. ვინერი. დიდ წარმატებას მიაღწიეს ამერიკელმა მეცნიერებმა კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში, მთვარისა და მზის სისტემის პლანეტების გამოკვლევაში. კარგადაა ცნობილი ბევრი ამერიკელი მწერალი: ფ. კუპერი, უ. ირვინგი, ე. პო, ჰ. ლონგფელო, ჰ. ბიჩერ-სტოუ, მ. ტვენი, ჯ. ლონდონი, ო. ჰენრი, თ. დრაიზერი, ჯ. რიდი, ე. სინკლერი, ე. ჰემინგუეი, უ. ფოლკნერი (იხ. სე. ტ. 11, სტ. „აშშ-ის მწერლები“).

და მაინც, მონოპოლისტური კაპიტალი თავისი ანგარებისათვის იყენებს მეცნიერებას, ვაჭრული სული შეაქვს კულტურაში, საკუთარი მადისა და ზემოგების გულისათვის მორალურსა და სულიერ ღირსებებს თელავს. ავიღოთ, მაგალითად, ამერიკული კინემატოგრაფია (მისი ცენტრი ლოს-ანჟელოსის რაიონში — ჰოლივუდშია). უწინ მას დიდი მიღწევები ჰქონდა. მთელი მსოფლიო იცნობს კინორეჟისორებს — დ. გრიფიტს, ჩ. ჩაპლინს. ახლა ამერიკის სტუდიების უმრავლესობა იღებს ფილმებს ბანდიტებსა და სუპერადამიანებზე. ეს ფილმები სავსეა საშინელებებით, უხეში ძალადობის სცენებით. სამაგიეროდ, ეკრანებზე იშვიათად ჩნდება ნამდვილი მხატვრული ფილმები, თანამედროვეობის დიდსა და მწვავე პრობლემებს რომ აყენებენ.

ბურჟუაზია უდიდეს საბსრებს ხარჯავს ხალხის მისთვის ხელსაყრელი სულისკვეთებით აღსაზრდელად. ის ცდილობს ჩააგონოს ადამიანებს, რომ ცხოვრების უმთავრესი მიზანი დოლარისათვის

ბრძოლაა. სკოლებში ანტიკომუნიზმის სპეციალური კურსია შემოღებული, რათა ამერიკელებს ბავშვობიდანვე შეუქმნან არასწორი წარმოდგენა სოციალისტურ ქვეყნებზე.

თანამედროვე მრეწველობას განათლებული, კარგად მომზადებული მუშა სჭირდება. ამიტომაც უკანასკნელ ათწლედში აშშ-ში სასკოლო განათლება და პროფესიული მომზადება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სოციალისტური ქვეყნების წარმატებების ზრდასთან აშშ-ის მთავრობამ უწინდელზე მეტი თანხა გამოუყო სკოლას. ამერიკელი მეცნიერი ჯ. ჰელბრეიტი წერს: „ეკონომიკურ სისტემას მილიონობით უმეცარი პროლეტარი რომ დასჭირდეს, ალბათ იშოვის კიდეც“.

მეტწილ შტატებში შემოღებულია კანონი 16 წლამდე ბავშვთა სავალდებულო სწავლების შესახებ, მაგრამ კანონთან ერთად არსებობს შენიშვნებიც, რომელთა წყალობითაც უქონელთა შვილებს „ნება ეძლევათ“ არ ისწავლონ. მოსწავლეთა მესამედი სკოლას ტოვებს და საშუალო განათლებას ვერ იღებს.

აშშ-ში იზრდება დანაშაულებრიობა. მაგალითად, მხოლოდ 1977 წ. ჩადენილი იყო 19 120 მკვლელობა, 63 020 ძალადობა, 404 850 გაძარცვა და 522 510 ბანდიტური თავდასხმა. აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონს მოასფალტებული ჯუნგლები შეარქვეს. ბევრი ბანდიტი (ამერიკაში მათ განგსტერებს უწოდებენ) დიდ ბანდებად არიან გაერთიანებული. მათი მეთაურები ძარცვასა და ყალთაბანდობასთან ერთად ეწევიან სამეწარმო მოღვაწეობას, წელიწადში მრავალმილიონობით დოლარის მოგებას ნახულობენ. აშშ-ში დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლებს იყენებენ პოლიტიკური მკვლელობებისა და პროგრესულ მოღვაწეებთან ანგარიშსწორებისათვის. უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკური მკვლელობის მსხვერპლნი გახდნენ: აშშ-ის პრეზიდენტი ჯ. კენედი, მისი ძმა — პრეზიდენტობის კანდიდატი რ. კენედი, შავი მოსახლეობის უფლებებისათვის მებრძოლი გამოჩენილი მოღვაწე მარტინ ლუთერ კინგი და სხვები.

აშშ ფედერაციული რესპუბლიკაა. იგი შედგება 50 შტატისაგან (თვითმმართველი ოლქები) და ფედერალური (დედაქალაქის) ოლქისაგან. 1959 წელს 49-ე და 50-ე შტატის უფლება მიიღეს ალასკამ და ჰავაის კუნძულებმა. ყოველ შტატს აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი კანონები და მართვის ორგანოები. აშშ-ის ცენტრალური, ეგრეთ წოდებული ფედერალური, მართვის ორგანოები ვაშინგტონშია.

სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა კონგრესი. იგი შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. სენატს თავმჯდომარეობს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი. კონგრესის ორივე პალატა ღებულობს კანონებს, ამტკიცებს ქვეყნის ბიუჯეტს. გარდა ამისა, სენატი რატიფიკაციას უკეთებს ხელშეკრულებებს, რომლებიც მთავრობამ დადო სხვა ქვეყნებთან, მას უფლება აქვს გამოაცხადოს ომი ან დადოს ზავი, ამტკიცებს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ მინისტრებს, ელჩებს და სხვა უმაღლეს მოხელეებს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას აშშ-ში სახელმწიფო მდივანი ასრულებს.

აშშ-ის პრეზიდენტი ერთდროულად ქვეყნისა და მთავრობის მეთაური და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალიცაა. იგი აღმასრულებელი ხელისუფლებით სარგებლობს.

ქვეყნის საარჩევნო წესები კონგრესსა და შტატების საკანონმდებლო ორგანოებში მხოლოდ კაპიტალის ინტერესების გამომხატველ პირთა არჩევის საშუალებას იძლევიან, რადგანაც საარჩევნო კომპანია მოითხოვს დიდ ხარჯებს. არჩევნების წინ კანდიდატები თავიანთ გამოსვლებში ხშირად აკრიტიკებენ კაპიტალისტურ წყობის ცალკეულ მხარეებს, პირობას იძლევიან იმის თაობაზე, რომ მოსპობენ უმუშევრობას, დაეხმარებიან სკოლას, გააუმჯობესებენ ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. არჩევნები ჩაივლის და, როგორც წესი, დაპირება დაპირებად რჩება.

აშშ-ში ორი მთავარი ბურჟუაზიული პარტიაა — დემოკრატიული და რესპუბლიკური. ორივე პარტია კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესების გამომხატველია და ხელისუფლების სათავეში ყოფნისას, პრაქტიკულად ერთნაირ პოლიტიკას ატარებს. ამ პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა ბურჟუაზიული წყობილების დაცვა.

აშშ-ში სდევნიან მოწინავე ადამიანებს, რომლებიც არ მალავენ თავიანთ პროგრესულ შეხედულებებს. გამოძიების ფედერალური ბიურო (გ ფ ბ) — იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საიდუმლო პოლიცია — უთვალთვალებს აშშ-ის კომუნისტური პარტიისა და სხვა პროგრესული

ორგანიზაციების წევრებს. აშშ-ის ნებისმიერი მოქალაქე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება და შეიძლება სამუშაოც კი დაკარგოს, თუ გფბ-ის აგენტები მას არაკეთილსაიმედოდ ჩათვლიან. ამავე დროს აშშ-ში დაუფარავად არსებობს ფაშისტური ორგანიზაციები.

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, თანამედროვე აშშ-ში თანდათან იზრდება მასობრივი მოძრაობა მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ხალხის დემოკრატიული უფლებებისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივი სამართლიანობისათვის, რასობრივი დისკრიმინაციის, უმუშევრობისა და სიღატაკის წინააღმდეგ, მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას სათავეში უდგას მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ფერმერები, მრავალი წარმომადგენელი ინტელიგენციისა, შავი ამერიკელები და მოსახლეობის სხვა დაჩაგრული ფენები. ამ მასობრივ მოძრაობაში სულ უფრო შეუპოვრად და გაბედულად ებმება მუშა ახალგაზრდობა და სტუდენტობა. ისინი მოითხოვენ ჭეშმარიტ დემოკრატიას, თავისუფლებას, თანასწორობას, მშვიდობას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის მმართველმა წრეებმა დაუფარავად მოინდომეს მსოფლიო ბატონობა. აშშ-ის მთავრობამ შექმნა აგრესიული ბლოკები ნატო, სეატო, სენტო. სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ევროპაში და შორეულ აღმოსავლეთში, შეიქმნა ბევრი ამერიკული სამხედრო ბაზა. აშშ გაცხოველებით ემზადებოდა ახალი მსოფლიო თერმობირთვული ომისათვის. 1980 წლისათვის მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში განლაგებული იყო ამერიკის 2500 ბაზა და სხვა სამხედრო ობიექტი, დაახლოებით ნახევარი მილიონი ჯარისკაცი. ამ დროისათვის ყოველწლიურმა სამხედრო ხარჯებმა 164 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

მსოფლიოს ყოველ კუთხეში ამერიკული იმპერიალიზმი არის ორგანიზატორი პროგრესული, რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ამერიკულმა მონოპოლიებმა ხელი შეუწყვეს რეაქციულ გადატრიალებებს გვატემალაში (1954 წ.), ბრაზილიაში (1964 წ.), ჩილეში (1973 წ.) და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. 1965 წ. აშშ პირდაპირ შეიარაღებულ ინტერვენციაზე გადავიდა დომინიკელთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, 1961 წელს ცდილობდა მოეხდინა ინტერვენცია თავისუფლების კუნძულ კუბაზე.

„მეორე რანგის მოქალაქეები ამერიკის შეერთებულ შტატებში". — ასე აწერია პლაკატზე. ამერიკელი მოსწავლე გოვონა ზანგი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისათვის გამართულ დემონსტრაციაზე.

1975 წლის ნოემბერში ამერიკის სენატის კომისია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მრავალი წლის განმავლობაში აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსს) მოაწყო შეთქმულება საზღვარგარეთის იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ, რომლებიც ამერიკის რეაქციას არ მოსდიოდა თვალში. ცსს-მ სულ ცოტა რვა შეთქმულება მოაწყო რევოლუციური კუბის ბელადის — ფიდელ კასტროს წინააღმდეგ. მანვე შეიმუშავა კონგოელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლის — პ. ლუმუმბას წინააღმდეგ დანაშაულებრივი მკვლელობის გეგმა (დაიღუპა 1961 წ.).

მთელი მოწინავე კაცობრიობის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივმა ომებმა კორეელი და ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. როდესაც 1950 წელს სამხრეთ კორეის სამხედრო წრეებმა სამხედრო მოქმედება გააჩაღეს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აშშ დაუყოვნებლივ ჩაერია ამ კონფლიქტში და თავისი ჯარი გაგზავნა სამხრეთკორეელი მარიონეტების მხარდასაჭერად. ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აშშ-მა გაგზავნა ასიათასობით ჯარისკაცი, ტანკები, არტილერია, რაკეტული იარაღი, ათასობით თვითმფრინავი, სამხედრო გემები. ამერიკულმა ბომბებმა, ტყვიებმა და ჭურვებმა ასიათასობით ჰშვიდობიანი მცხოვრები იმსხვერპლა. მაგრამ ვიეტნამელმა ხალხმა, რომელსაც ყოველნაირად უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, გმირული წინააღმდეგობა გაუწია აგრესორებს. შეერთებული შტატები იძულებული იყო გამოეყვანა თავისი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

წლითიწლობით ნათელი ხდება, რომ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ იცვლება. ამავე დროს გრძელდება კაპიტალიზმის წინააღმდეგობების, კრიზისების გაღრმავება. თავად აშშ სულ უფრო მეტ ეკონომიკურ სიძნელეებს აწყდება, ვინაიდან არნახულ ხარჯებს სწევს შეიარაღებისა და სამხედრო ავანტიურებისათვის. თვით ამერიკის მოწინავე ადამიანები თანდათან მეტ წინააღმდეგობას უწევენ ანტისახალხო საგარეო და საშინაო პოლიტიკას. სუსტდება აშშ-ის იმპერიალიზმის საერთაშორისო პოზიციები. დასავლეთ ევროპის, კანადის და სხვა ქვეყნების ხალხები სულ უფრო გადაჭრით უარყოფენ ამერიკის პრეტენზიას მეურვეობაზე. მწვავდება წინააღმდეგობანი აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის, აშშ-ისა და იაპონიის მონოპოლიებს შორის. ლათინურ ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში სულ უფრო მეტი სახელმწიფოები უარს აცხადებენ ამერიკის იმპერიალიზმის მორჩილებაზე.

აშშ-ის საღად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწენი თანდათან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საბ-

დიდი ჭუჭყიანი ტბები

დიდ ტბებს უწოდებენ სუთ ტბას ჩრდილოეთ ამერიკაში, კანადისა და შეერთებული შტატების საზღვარზე: ზემო, მიჩიგანის, ჰურონის, ერის, ონტარიოს. მათ ტყუილად როდი უწოდებენ დიდს. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მტკნარი წყალსატევია. მაგალითად, მარტო ზემო ტბა მსოფლიოში სიდიდით მეორე ტბაა კასპიის ზღვის შემდეგ. ეს ტბები შეერთებულია მდინარეებით და გასასვლელი აქვთ ატლანტის ოკეანეში. ტბები მოსერხებულია თევზსაჭერადაც და ტვირთის გადასაზიდადაც. ძველთაგან მათ ნაპირებზე სახლობდნენ ინდიელთა ტომები, შემდეგ კი — ინგლისელი და ფრანგი ახალმოსახლეები. ისინი მოიპოვებდნენ ბეწვეულს, მოჰყავდათ სორბალი. ტბათა სისტემით გემებით გაჰქონდათ ეს საქონელი. სანაპიროზე და ოკეანის გაღმა, იქიდან შემოჰქონდათ რკინა, ქსოვილები, იარაღი. როდესაც ახალშენებმა ზრდა იწყეს, ფართო ბარუებით სამშენებლო ქვა შემოჰქონდათ მაგრამ კვლავ კამკამა წყალი იყო ტბებში, კვლავ მრავალი თევზი იყო მათში: ორაგულისებრნი, სიგი, ზუთხი. გავიდა სანი და დაბები უზარმაზარ ქალაქებად იქცა. გაჩნდა დიდი ქალაქები: ჩიკაგო, მილუოკი, ტოლიდო, დულუტი, კლივლენდი, ერი. მრეწველობას წყალი სჭირდებოდა, ისიც იქვე იყო. საწარმოო ნარჩენები შეიძლებოდა პირდაპირ ტბებში ჩაეშვათ, ეს სომ გაცილებით იაფია, ვიდრე რთული საკანალიზაციო მოწყობილობების აგება. ყველაფერ ამასთან, ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში სანაპირო ქალაქების მცხოვრებლებს აშშ-ის სხვა ადგილებთან შედარებით იაფი და შესანიშნავი სასმელი წყალი ჰქონდათ.

ყველაფერი რომ წესრიგში არ იყო, პირველად მეთევზეებმა შეამჩნიეს. თევზის ზოგიერთმა სახეობამ გაქრობა დაიწყო. ნაპირიდან შორს გადაინაცვლა კალმახმა, არადა, ეს თევზი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სუფთა წყლის მიმართ. შემდეგ ქალაქელებმა ჩივილი დაიწყეს, რომ წყალსადენის წყალს ცუდი გემო ჰქონდა. ეს არც იყო გასაკვირი: ჩიკაგოდან კარგა დაშორებით წყალი დაფარული იყო ნარჩენებით, ნავთობის ლაქებით.

ამერიკის კოსმონავტებმა კოსმოსიდან გადაიღეს ამ ტბების ფოტოსურათი, მათვე გაზომეს წყლის ზედაპირის მიერ მზის სხივის ამრეკლავი ძალა და განაცხადეს, რომ ამჟამად დიდი ტბები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გაჭუჭყიანებული წყალსატევი იყო. ჩიკაგოში შეიქმნა გაჭუჭყიანებისაგან ტბების დაცვის კომიტეტი. უბედურება ისაა, რომ კომიტეტს აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო უფლებები, სხვა არავითარი უფლება მას არ გააჩნია.

ამასობაში საწარმოები კვლავ უშვებენ დიდ ტბებში სამრეწველო ნარჩენებს. ჯერჯერობით არავინ იცის, შესაძლებელი იქნება თუ არა გადაურჩნენ ტბები სახელწოდებას — დიდი ჭუჭყიანი ტბები.

ჭოთა კავშირთან ძალისა და მუქარის პოლიტიკა სარგებელს ვერ მოუტანს. და მაინც, ცოტა დრო როდი დასჭირდა იმას, რომ აშშ-ის მთავრობას რეალური ნაბიჯი გადაედგა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. 1972 წლის მაისში სსრკ-მა და აშშ-მა ერთად განაცხადეს, რომ მიუხედავად იდეოლოგიის და საზოგადოებრივი წყობის სხვაობისა, ისინი ერთმანეთს შორის განავითარებენ ნორმალურ ურთიერთობას, რაც დამყარებული იქნება სუვერენიტეტის, თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე. 1973 წლის ივნისში სსრკ-სა და აშშ-ს შორის ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ. დაიდო აგრეთვე პირველი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვისა და, აგრეთვე, შეთანხმება სსრკ-სა და აშშ-ს შორის ვაჭრობისა და სხვადასხვა სახის თანამშრომლობის შესახებ. გადაწყდა თანამშრომლობა კოსმოსის ათვისების, კიბოსა და გულის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მშენებლობის, ქალაქების რეკონსტრუქციისა და სხვა სფეროებში. 1975 წლის აგვისტოში აშშ-ის პრეზიდენტმა 35 სახელმწიფოს წარმომადგენელთან ერთად ხელი მოაწერა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს, რომლის მოწვევისა და წარმატებით ჩატარებისათვის თანმიმდევრულად გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირი და ევროპის სოციალისტური ქვეყნები.

1975 წ. ივლისში საბჭოთა კოსმონავტებმა ა. ლეონოვმა, ვ. კუბასოვმა და ამერიკელმა ასტრონავტებმა ტ. სტაფორდმა, ვ. ბრანდმა, დ. სლეიტონმა განახორციელეს პირველი ერთობლივი კოსმოსური გაფრენა პროექტით „სოიუზ—აპოლონი“.

მილიონობით ამერიკელისათვის ნათელი ხდება, რომ კეთილი განწყობილების შექმნა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის სწორი საშუალებაა მშვიდობის გარანტიისათვის და ატომური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შეუძლიათ გახდნენ პარტნიორები ეკონომიკურ თანამშრომლობაში, რაც ორივე ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანს. აშშ-ის უბრალო ადამიანებში იღვიძებს ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შორეული ტრადიციები, რაც ნათლად გამოიხატა ამერიკის მოწინავე მუშათა და კულტურის მოღვაწეთა სოლიდარობაში საბჭოთა რუსეთთან ოქტომბრის რევოლუციის შემდგომდროინდელ წლებში, — იმ მეგობრულ შეხვედრაში, აშშ-ის მოქალაქეებმა რომ მოუწყვეს ჩკალოვის ეკიპაჟს, რომელმაც 1937 წ. მოაწყო გმირული გაფრენა მოსკოვი—ჩრდილოეთი პოლუსი—აშშ. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესება ყოველთვის პასუხობდა ამერიკელი ხალხის ინტერესებს. ასე იყო 30-იან წლებში, როდესაც ამერიკის საწარმოებმა მიიღეს მსხვილი შეკვეთები საბჭოთა კავშირის ქარხნებისათვის საწარმოო მოწყობილობების დასამზადებლად. ამან ხელი შეუწყო აშშ-ში ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის შენელებას. ბევრს კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომის წლები, როდესაც სსრკ და აშშ ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირეები იყვნენ.

მაგრამ აშშ-ში კვლავ დიდი გავლენა აქვთ რეაქციულ ძალებს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ სსრკ-სთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 1979—1980 წლებში, როდესაც აშშ-მა მკვეთრად შეცვალეს საგარეო პოლიტიკის კურსი, მიიღეს გადაწყვეტილება ახალი იარაღის შექმნისა და სამხედრო ბიუჯეტის განუწყვეტელი ზრდის შესახებ, შეაჩერეს სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის მეორე შეთანხმების დამტკიცება სენატში და კვლავ გაამწვავეს ურთიერთობა სსრ კავშირთან.

ანტილის კუნძულები

მცირე ანტილის არქიპელაგის კუნძულების ჯგუფი (არუბა, ბონაირე, კიურასაო, საბა, სინტ-ესტატიუსი და კუნძულ სენ-მარტენის სამხრეთი ნაწილი) კვლავ ნიდერლანდების ძალაუფლებას ემორჩილება. ფართობი 1011 კვ. კმ., მოსახლეობა — 245 ათასი კაცი. კოლონიის ადმინისტრაციული ცენტრი — ვილემსტადი (104 ათასი მცხოვრები გარეუბნებით) კუნძულ კიურასაოზეა.

კუნძულები ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შორის სავაჭრო გზების გადაკვეთაზეა. კიურასაოზე და არუბაზე ორი მსხვილი ნავთობგადამმუშა-



ვებელი ქარხანაა, რომლებიც ვენესუელის ნავთობს ამუშავებენ. აქვეა გემების მომსახურების საწარმოები.

რბილი ჰავა, შესანიშნავი პლაჟები, ტროპიკული მცენარეები კუნძულებზე მრავალრიცხოვან ტურისტს იზიდავს.

XVII ს. კუნძულებზე ჰოლანდია ბატონობს. 1954 წ. ეგრეთ წოდებული ნიდერლანდების ანტილები ნიდერლანდების ავტონომიურ ნაწილად გამოცხადდა. მათ მართავს გუბერნატორი, რომელსაც დიდი უფლებები აქვს. კოლონიის მოსახლეობა დამოუკიდებლობას მოითხოვს. 1978 წლისათვის მდგომარეობა აქ უკიდურესად დაძაბული იყო.

არგენტინა

არგენტინის რესპუბლიკა.
ფართობი — 2,8 მლნ. კმ².
მოსახლეობა — 26 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი — ბუენოს-აირესი (3,5 მლნ. მცხოვრები, გარეუბნებიანად დაახლოებით 9 მლნ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

არგენტინის ტერიტორიის ვეებერთელა სამკუთხედი თითქოსდა აბოლოებს ამერიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილს. ამ სამკუთხედის ფუძე სამხრეთ ტროპიკების ზონაშია, მის წვეროს კი ანტარქტი-

დის ყინულოვანი სუნთქვა ევლება გარს. სამკუთხედის დასავლეთი მხარე ანდების გიგანტურ მთათა ჯაჭვს მიუყვება, ხოლო აღმოსავლეთი ატლანტის ოკეანის სანაპიროსა და მდინარე ურუგვაის გასდევს.

ტერიტორიის სიდიდით და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის არგენტინას მეორე ადგილი უჭირავს.

არგენტინელები ძირითადად ესპანეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავალნი არიან. თუმცა აქ ცოტა როდია იტალიიდან და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულები. გვხვდება სლავური წარმოშობის ხალხიც.

წარსულში მრავალრიცხოვანი მოსახლეობიდან დაახლოებით 30 ათასი კაცია დარჩა. ესენი კეჩუასა და აიმარას ტომების ინდიელები არიან. ისინი სახლობენ ჩრდილო-დასავლეთში ანდების ძირას, ჩრდილოეთში გრანჩაკოს ოლქში და უკიდურეს სამხრეთით — ცეცხლოვან მიწაზე.

ესპანელი კონკისტადორები შედარებით გვიან მოვიდნენ ახლანდელი არგენტინის ტერიტორიაზე. XVI ს. ზღვაოსანი სებასტიან კაბოტი, ესპანელთა ექსპედიციის ხელმძღვანელი, ოქროსა და ძვირფასი ნადავლის საძებრად მდინარე პარანას აჰყვა. ინდიელებმა, ჯერ კიდევ მდინარის შესართავთან რომ შეხვდნენ კაბოტს, უხვად დაასაჩუქრეს იგი ვერცხლის სამკაულებით. კაბოტმა იფიქრა, სწორედ აქ უნდა ვეძიო ეს კეთილშობილი ლითონიო და უწოდა კიდეც მდინარეს რიო-დე-პლატა („ვერცხლის მდინარე“. სახელწოდება ლა-პლატა შემორჩა მხოლოდ პარანას ფართო შესართავს, რომელიც ატლანტის ოკეანესთან ყურეს ქმნის). მოგვიანებით გამოირკვა, რომ ვერცხლის საბადოები აქ არ იყო და იგი ლა-პლატის სანაპიროებზე ბოლივიიდან მოხვდა.

1816 წ. ესპანეთის კოლონიის — ლა-პლატის ვიცე-სამეფოს ადგილას აქ დაარსდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა — ლა-პლატის გაერთიანებული პროვინციები. შემდგომში მას სახელად არგენტინა ე. ი. „ვერცხლი“ (ვერცხლის ლათინური სახელწოდებიდან „არგენტუმ“) უწოდეს.

კონსტიტუციის მიხედვით არგენტინა ფედერაციული რესპუბლიკაა. ქვეყნის სათავეშია პრეზიდენტი. კანონებს გამოსცემს პარლამენტი — ეროვნული კონგრესი. იგი შედგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან.



მაგრამ 1976 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ძალაუფლება გადავიდა ხუნტის ტრიუმვირატის (ჯარების სამივე სახეობის სარდლები) ხელში, რომელმაც დანიშნა პრეზიდენტი, დაშალა ეროვნული კონგრესი და შეაჩერა პოლიტიკური პარტიების მოქმედება.

არგენტინის ფედერაციაში შედის 22 პროვინცია, 1 ეროვნული ტერიტორია (ცეცხლოვანი მიწა) და დედაქალაქის ფედერალური ოლქი. პროვინციებში იწვევენ საკანონმდებლო კრებებს, რომელთა უფლებები შეზღუდულია.

არგენტინის დედაქალაქი და მთელი სამხრეთ ნახევარსფეროს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი ბუენოს-აირესი ქვეყნის მთავარი სამრეწველო და

კულტურული ცენტრია. ამ ქალაქშია თავმოყრილი მანქანათსაშენი, ქიმიური, საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა თითქმის ნახევარი. ქვეყანაში მწვავე სოციალ-ეკონომიკური პრობლემები დგას. საზოგადოების ზედაფენა (5%) იღებს შემოსავლის 40%, ხოლო მოსახლეობის 80% რჩება ამ შემოსავლის მხოლოდ 27%. ხალხის ფართო მასები დაჟინებით მოითხოვენ ბოლო მოეღოს მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას, პოლიტიკურ უუფლებობას, უცხოურ მონოპოლიათა ძალმომრეობას.

1976 წელს ხუნტამ შეიმუშავა ეკონომიკის გამოცოცხლების გეგმა — ე. წ. „დე ოსას გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს მრეწველობის ძირითადი დარგების კერძო და უცხო კაპიტალისათვის გადაცემას და მთელი ყურადღების გამახვილებას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებაზე.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს არგენტინის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1918 წ.). კომუნისტური პარტია იბრძვის რადიკალური და სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნებით დაინტერესებული ძალების გასაერთიანებლად. იგი გამოდის უცხოური მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის და „დე ოსას გეგმის“ ლიკვიდაციის, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნის, მშრომელთა დემოკრატიული უფლებების დასაცავად.

არგენტინაში მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი ჰავაა, თავად მიწა კი — ბარაქიანი. არგენტინა მდიდარია წიაღისეულით, აქ მრავლადაა ნავთობის, სპილენძის, ურანის, ტყვიის, თუთიის, სურმის, მანგანუმის, რკინის, კალის საბადოები, თუმცა ეს საბადოები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის არგენტინა ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყანაა. გარდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამუშავებისა, არგენტინის მრეწველობა აწარმოებს ფოლადს, ლითონის ნაწარმს, ავტომანქანებს, ნავთობის პროდუქტებს, ქსოვილებს და ფართო მოხმარების სხვა საქონელს. უცხოეთის კაპიტალი არგენტინის ეკონომიკაში აქტიურ როლს თამაშობს, რასაც მოსდევს მრეწველობის ზოგიერთი დარგის არაპროპორციული განვითარება. მაგალითად, მონოპოლიებისათვის მომგებიანი დარგია ავტომშენებლობა. მაგრამ სამანქანო მოწყობილობის და სატრანსპორტო საშუალებების დიდი ნაწილი არგენტინას სხვა ქვეყნებიდან, უმთავრესად აშშ-იდან შემოაქვს.

ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს პამპას — მაღალბალახიან სტეპს. პამპა ძალზე ერთფეროვანია. მას მარტო მოასფალტებული გზატკეცილები თუ ჰკვეთს. გზატკეცილებს ორივე მხარეს ასეულ კილომეტრებზე მიუყვება მავთულხლართები. ამ ღობის გადალმა საქონელი ძოვს. განსაკუთრებით ნაყოფიერია ეგრეთ წოდებული ნოტიო პამპა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. უმთავრესად აშენებენ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სახორცე ჯიშებს, მისდევენ მეცხვარეობასაც. სულ ქვეყანაში 55 მლნ. სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 40 მლნ. ცხვარი ჰყავთ. აქ ისეთი თბილი ჰავაა, რომ საქონელს შეუძლია მთელი წლის განმავლობაში ღიად ცის ქვეშ იყოს. ხორცი, მატყლი, ტყავი — ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი სახეობაა. მწყემსებს არგენტინაში გაუჩოს ეძახიან. წარსულში ასე ეძახდნენ ნახირის პატრონებს, რომლებიც ნახირთან ერთად მომთაბარეობდნენ. თანამედროვე გაუჩო კი მოჯამაგირეა მდიდარი მეცხოველეობის ადგილებში — ესტანსიებში. გაუჩო — მამაცი მხედრები, გულადი და გაბედული ადამიანები არიან. ხანდახან გახელებული ხარი თავგზააბნეული გარბის, ბედაურზე ამხედრებული მარდი გაუჩო ხარს ეწევა, უნაგირზე მიმაგრებულ ღვედურ ლასოს სტყორცნის და რქებზე ჩამოაცვამს.

მილიონობით ჰექტარზე გადაჭიმულა პურის, სიმინდის ნათესები. ამ კულტურების მოყვანითა და ექსპორტით არგენტინას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. მოჰყავთ აგრეთვე სელი, ბამბა, შაქრის ლერწამი, თამბაქო. არგენტინის დასავლეთში, მენდოსის პროვინციაში, არის მევენახეობისა და მებაღეობის მთავარი რაიონები.

არგენტინაში გაბატონებულია მსხვილმემამულური მიწათმფლობელობა. მთელი მიწების $^3/_4$ მსხვილ მესაკუთრეთა ხელშია, მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის $^3/_5$ საერთოდ არა აქვს მიწა. ხშირად მემამულეთა მიწები დაუმუშავებელი რჩება, რადგან ამ რაიონში მეურნეობას მემამულისათვის ცოტა მოგება მოაქვს, ან მოსავალი უგზოობის გამო ვერ გამოაქვთ.

ბუენოს-აირესი. ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა — 9 ივლისის ავენიდა.

მიწები არგენტინაში, ადგილობრივი მემამულეების გარდა, უცხოელ მფლობელთაც ეკუთვნით.

ქვეყნის ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული საგარეო ბაზარზე და უცხოეთის კაპიტალზე. ხორცის დამმუშავებელ მრეწველობაში გაბატონებულია ინგლისური და ამერიკული ტრესტები. ქიმიურში — აშშ-ის კონცერნი „დიუპონ დე ნემური“ და ინგლისური კორპორაცია „იმპერიელ ქემიკლ ინდასტრის“, ავტოსაამწყობოში — ამერიკული ფირმები „ჯენერალ მოტორსი“. არგენტინაში უცხოეთის კაპიტალდაბანდების 38% ჩრდილოამერიკული წარმოშობისაა, 18% — ინგლისური.

მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასი თანდათან ეცემა. ამიტომაცაა, რომ არგენტინას ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი რაოდენობით გააქვს სასოფლო-სამეურნეო საქონელი, სხვანაირად იგი ვერ შეძლებდა ქვეყნისათვის აუცილებელ ნაკეთობათა შემოტანას.

აგრარული კრიზისი, ქვეყანაში წვრილ გლეხურ მეურნეობათა მასობრივი გაკოტრება, ქალაქად უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია — ყველაფერი ეს იწვევს მშრომელთა ცხოვრების დონის დაცემას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას.

არგენტინის მშრომელები დიდი ხანია იბრძვიან დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. მშრომელთა გაფიცვებისა და მასობრივი გამოსვლების შედეგად მთავრობა იძულებული გახდა გაენეცხადებინა, რომ იგი თანახმაა საზოგადოებასთან „ფართო დიალოგის“ დაწყებაზე, რათა მოახდინოს „ეროვნული რეორგანიზაცია“.

70-იანი წლების დასაწყისიდან არგენტინამ გააფართოვა თავისი დამოკიდებულება სოციალისტურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ეკონომიკის დარგში. იგი ვაჭრობს სსრკ-სთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კუბასთან და მთელ რიგ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ბარბადოსი

ბარბადოსი.
ფართობი — 430 კმ².
მოსახლეობა — 259 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ბრიჯტაუნი (109 ათასი კაცი).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

თავისი სახელწოდება ამ კუნძულმა, რომელიც მცირე ანტილის კუნძულებს შორის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარეობს, წვერის მსგავსი ეპიფიტებისაგან მიიღო. ეს მცენარე ფესვებს მიწის ზემოთ იკეთებს (ესპანური სიტყვა „ბარბადო“ — „წვერიანი“). ეპიფიტები გარს ეხვეოდნენ აქ გავრცელებულ უამრავ ლეღვის ხეებს.

კუნძული აღმოაჩინეს 1518 წ. ესპანელმა ზღვაოსნებმა. ასი წლის შემდეგ ბარბადოსზე ინგლისელი ახალმოსახლენი გამოჩნდნენ, შემდეგ მას ინგლისი დაეპატრონა და 300 წელზე მეტ ხანს მისი კოლონია იყო.

ბარბადოსი გარშემორტყმულია მარჯნის რიფებით. ჰავა ტროპიკულია. ნაყოფიერ ნიადაგზე თამბაქოსა და შაქრის პლანტაციებია გაშენებული. ამ პლანტაციებში სამუშაოდ კოლონიზატორებს აფრიკელები ჩამოჰყავდათ.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა შაქრის ლერწმის მოყვანა და შაქრის წარმოებაა. მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. მოიპოვებენ კირქვასა და ბუნებრივ გაზს.

კუნძულის ეგზოტიკური ბუნება ყოველწლიურად 300 ათასამდე ტურისტს იზიდავს. ესენი უმ-



თავრესად ამერიკელები და ინგლისელები არიან.

1958—1962 წწ. ბარბადოსი შედიოდა ვესტინდოეთის ფედერაციაში, რომელიც კოლონიზატორებმა დააარსეს, რათა თავიანთი ბატონობა გაეხანგრძლივებინათ. მასში შედიოდა აგრეთვე იამაიკა, ტრინიდადი და ტობაგო, საქარე და ჭარმყუდრო კუნძულებიც. 1961 წ. კუნძულს მიეცა შინაგანი თვითმმართველობა, ხოლო 1966 წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებით დამთავრდა. ბარბადოსი შედის თანამეგობრობის შემადგენლობაში, რომელსაც სათავეში უდგას დიდი ბრიტანეთი. სახელმწიფოს მეთაურად ინგლისის დედოფალი ითვლება. მისი წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი. პარლამენტი კრებათა პალატისა და სენატისაგან შედგება.

ბაჰამა

ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა.
ფართობი — 13,935 ათასი კმ².
მოსახლეობა — 220 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ნასაუ (58 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ამერიკის პირველი მიწა, რომელიც ქრისტეფორე კოლუმბმა დაინახა, ბაჰამის კუნძულები იყო. ესპანეთსა და ინგლისს შორის ხანგრძლივი ცილობის შემდეგ ეს კუნძულები 1783 წ. ინგლისის კოლონია გახდა. ატლანტის ოკეანეში განლაგებული ბაჰამის კუნძულები ჯაჭვივითაა გამწკრივებული აშშ-ის ფლორიდის ნახევარკუნძულიდან კუნძულ ჰაიტამდე. კუნძულებზე ზანგები და მულატები ცხოვრობენ.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი პლანტაციური მიწათმოქმედებაა, სპეციალიზებულია ანანასის, ციტრუსებისა და ბოსტნეულის მოყვანა. რეექსპორტისათვის ამუშავებენ შემოტანილ ნავთობს (რეექსპორტი — ქვეყნიდან იმ საქონლის გატანა, რომელიც საზღვარგარეთიდანაა შემოტანილი).

ბაჰამის კუნძულები საჰაერო და საზღვაო მიმოსვლის მსხვილი კვანძია. აქ რამდენიმე ათეული აეროდრომი და საზღვაო ნავსადგურია.

ეგზოტიკური ბუნება და ხელსაყრელი, რბილი ჰავა კუნძულებზე უამრავ უცხოელ ტურისტს იზიდავს. მათი რაოდენობა წელიწადში 1,5 მლნ. კაცს აღემატება. კუნძულ დიდ ბაჰამას, რომელიც სხვა 700 კუნძულთან ერთად ბაჰამის კუნძულებს ქმნის, ხშირად ახალ რივიერას ეძახიან.

კოლონიური ბატონობის სამას წელზე მეტი ხნის განმავლობაში კუნძულების მოსახლეობა შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რაც 1964 წელს დასრულდა საშინაო თვითმმართველობის უფლების მოპოვებით, ხოლო 1973 წლის 10 ივლისს ბაჰამის კუნძულებზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ბაჰამის თანამეგობრობის დროშა აღიმართა.

კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეთაური ინგლისის დედოფალია, რომლის წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი. პარლამენტი კრებათა პალატისა და სენატისაგან შედგება.



ბელიზი

ბელიზს ადრე ბრიტანეთის ჰონდურასს უწოდებდნენ. სახელწოდება „ბელიზი“, რომელიც 1973 წელს შემოიღეს, ინდიური „ბელ იტცა“-დანაა, რაც ნიშნავს „გზას იტცადან“ (იტცა — ძველი მაიას ტომის ქალაქია).


ბელიზი
0 75 კმ
1 მექსიკა
2 ჰონდურასი
ბელიზი
ბელმოპანი
სანავსადგურო
ბელიზის
ბელიზის
ბელიზის

ბოლივია

ბოლივიის რესპუბლიკა.
ფართობი — 1 098,6 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6,11 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სუკრე (დაახლოებით 80 ათასი მცხოვრები).
ფაქტიური დედაქალაქი — ლა-პასი (654,7 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენები — ესპანური, კეჩუა და აიმარა.

ბოლივიას ეს სახელი ეწოდება ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ს. ბოლივარის პატივსაცემად (იხ. სე ტ. 8, სტ. „ამერიკის უძველესი სახელმწიფოები და ესპანელი დამპყრობლები“).

კონსტიტუციით რესპუბლიკის დედაქალაქად ითვლება სუკრე. ფაქტიურად კი ქვეყნის მთავარი ქალაქია ლა-პასი (ქართულად „მშვიდობა“). აქ არის პრეზიდენტის სასახლე, მთავრობის ყველა დაწესებულება. ქალაქის ცენტრალური ნაწილი 3000 მ. სიმაღლეზე თითქოსდა უზარმაზარ ფიალაშია მოქცეული. ქალაქის ცენტრიდან ქუჩები მთების კალთებზე სულ მაღლა და მაღლა ადის. დედაქალაქის განაპირას სახლები 4000 მ. სიმაღლეზეა ზღვის დონიდან.

ბოლივია მთიანი ქვეყანაა, იგი ანდების ცენტრში მდებარეობს. მას ზღვაზე გასასვლელი არა აქვს. ბოლივიის ჰავა, რელიეფი, მცენარეული და ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. წელიწადის ერთსა და იმავე დროს, ქვეყნის სხვადასხვა რაიონში შეიძლება ნახოთ ცივი, თოვლიანი ზამთარი და საამური გაზაფხული, მშრალი, ცხელი ზაფხული და მოღრუბლული, წვიმიანი შემოდგომა.

ანდების მთიან სისტემაში შემავალი დასავლეთი და აღმოსავლეთი კორდილიერების მაღალ თოვლიან ქედებს ქვიანი უდაბნოები, სავანები, ნაყოფიერი ხეობები და დაჭაობებული სივრცეები ენაცვლება.

რელიეფის მიხედვით ბოლივია სამ ზონად იყოფა, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ენაცვლებიან ერთმანეთს: მთიანი ზონა, მთისწინეთის, ხეობებისა და ვაკეების ზონები. ისინი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ არიან გადაჭიმული.

მთიან ზონას ქვეყნის ტერიტორიის 14% უჭირავს. მასში შედის დასავლეთი და აღმოსავლეთი კორდილიერების მთის მასივები და მათ შორის მდებარე მთიანი ზეგანი ალტიპლანო. ბოლივიისა და პერუს საზღვარზე 3800 მ. სიმაღლეზე მდებარეობს მსოფლიოში უდიდესი მაღალი მთის ტბა — ტიტიკაკა (სიმაღლე 3812 მ); მისი ფართობი 8300 კვ. კმ-ს უდრის. ამ ზონაშია განლაგებული სამთამადნო მრეწველობის ძირითადი ცენტრები.

მთიან მხარეში მკაცრი ბუნებაა. მნიშვნელოვანი წაყინვებისა და ტენის ნაკლებობის გამო მცენარეულობა ღარიბია. ატლანტის ოკეანიდან მონაბერ ტენიან ჰაერს დასავლეთი კორდილიერები აკავებენ. გარემო ბუნებაზე დიდ გავლენას ახდენს ღრმა და შედარებით თბილი ტბა ტიტიკაკა. ტბის გარშემო მცენარეულობა უფრო მდიდარია, ვიდრე მთიანეთის სხვა ადგილებში. ტიტიკაკას ნაპირები დაფარულია ბალახით, რომელიც ლელქაშს წააგავს. ამ ბალახიდან ინდიელები წნავენ ნავებს. ტბის გარშემო მდებარე მთების კალთებზე მცირე რაოდენობით მოჰყავთ ქერი, სიმინდი, პარკოსანი მცენარეები. აქვე ხარობს ველური კარტოფილი.

მხოლოდ ტიტიკაკას ტბის ბოლივიის სანაპიროზე იზრდება საოცრად ნაზი და ლამაზი ყვავილი კანტუტუ. იგი ჩვენებურ მაჩიტას წააგავს. კანტუტუ ბოლივიის ეროვნული ყვავილია. ბოლივიის სახელმწიფო ალამზე გამოსახულია მისი ფერე-

ბი — მწვანე, ყვითელი და წითელი. ზეგანზე იზრდება ლაურელი და ოლივო — დაფნის ნაირსახეობანი; მათი ტოტები ბოლივიის ეროვნულ გერბს ამშვენებენ.

აღმოსავლეთ კორდილიერებს პარალელურად მიუყვება მთისწინეთისა და ხეობების ზონა. ამ ზონას ტერიტორიის 16% უკავია. იგი ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგები საშუალებას იძლევა მოიყვანონ აქ მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა: შაქრის ლერწამი, კარტოფილი, იუკუ (ბოჭკოვანი მცენარე), ყავა, ბრინჯი, არაქისი, ხორბალი, სიმინდი, აგრეთვე, სხვადასხვა ხილი. რაც უფრო დაბლა ვეშვებით ზეგანიდან, მით უფრო მრავალფეროვანი და ხშირია მცენარეული საფარი. ბუჩქებს კაქტუსების ჭალა და ტროპიკული ტყეები ცვლის.

ბოლივიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (70%) ვაკეებსა და დაბლობებს უკავია. ამ ზონაში ტროპიკული ჰავაა. აქ მდინარეების — ბენისა და მამორეს აუზის ჩრდილოეთ ნაწილში გადაჭიმულია ტყეები და სავანები, ჩეკიტოსის ვაკეები და პამპა (სტეპი). სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, შაქრის ლერწამი, კაკაო, ყავა, ბამბა, ყურძენი, ხილი. თვალუწვდენელ პამპებში მოშენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი, თხა. ამ ზონაშივეა ნავთობის მდიდარი საბადოები. სამეურნეო თვალსაზრისით ეს რაიონი ჯერ კიდევ სუსტადაა ათვისებული.

ბოლივიას სამართლიანად ეძახიან „ინდიელთა ქვეყანას“. მოსახლეობის ნახევარზე მეტი კეჩუასა და აიმარის, აგრეთვე, პუკინის, ურუს, ჩიპაიასა და არაონის ინდიელთა ტომები არიან. ქვეყნის მოსახლეობის 15%-ს ევროპელთა შთამომავალნი შეადგენენ, დანარჩენები კი მეტისები არიან. ინდიელები ცხოვრობენ ლა-პასის, ორუროს, პოტოსის და კოჩაბამბას დეპარტამენტების მაღალმთიან რაიონებში, ტიტიკაკას ტბის ნაპირებზე. უმთავრესად ისინი მიწათმოქმედებას მისდევენ. გარდა ამისა, მოშენებული ჰყავთ ლამები, რომლებსაც სასაპალნედ იყენებენ. ლამა და იმავე ოჯახის შინაური ცხოველი ალპაკა ძვირფას მატყლსა და ხორცს იძლევა.

თანამედროვე ბოლივიის ტერიტორიაზე XVI ს. ესპანელთა შემოსევამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ამერიკის ერთ-ერთი უძველესი კულტურა — ტიაუანაკოს კულტურა. სილამაზითა და დიდებულებით ახლაც ატყვევებს თვალს არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები — მზის კარიბჭე და ტიაუანაკოს ტაძარი, მონოლითური სფინქსები. მათი იეროგლიფური და სიმბოლური დამწერლობა მეცნიერთათვის ახლაც იდუმალებითაა მოცული. ეს კულტურა შექმნეს აიმარელ ინდიელთა წინაპრებმა.

ბოლივია აგრარული ქვეყანაა საკმაოდ განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობით. მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევს. 1952 წლის რევოლუციამდე ბოლივიის სოფელში გაბატონებული იყო ნახევრად ფეოდალური ურთიერთობა: ანაზღაურებითი სისტემა, საბატონო ბეგარა, მოზიარობა, გლეხებისა და მათი ოჯახის წევრების იძულებითი მუშაობა მემამულის ოჯახში. ერთი გოჯი მიწისათვის გლეხს კვირაში ოთხ დღეს მემამულესთან უნდა ემუშავა და თანდათანობით მევალე მონა გამხდარიყო.

ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ბოლივია. ქვეყანა მდიდარია კალის (მოპოვების მიხედვით მეორე ადგილზეა კაპიტალისტურ ქვეყნებში მალაიზიის შემდეგ), ვოლფრამის, სურმის, თუთიის, ტყვიის, რკინის, ვერცხლის, სპილენძის, ნავთობის, ბუნებრივი გაზის ბუდობებით.

სამთო-მოპოვებით მრეწველობაზე მოდის მთელი ექსპორტის 90%. გატანის მთავარი პროდუქტია კალა.

თითქმის ოთხი საუკუნე ბატონობდნენ ესპანელი კოლონიზატორები ბოლივიაში, შემდეგ კი ისინი შეცვალეს ინგლისელმა და ამერიკელმა კაპიტალისტებმა.

ბოლივიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას 1952 წ. განაგებდა ეგრეთ წოდებული როსკა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებთან (ბოლივიელები როსკას უწოდებდნენ მემამულეთა, მრეწველთა და ბანკირთა გაბატონებულ ჯგუფს).

მძიმე და აუტანელი იყო ბოლივიის მშრომელთა, განსაკუთრებით კი, მაღაროელთა ცხოვრებისა და შრომის პირობები. ისინი მუშაობდნენ მაღაროებში ზღვის დონიდან 3500—4000 მ. სიმაღლეზე ძალზე გაიშვიათებულ ჰაერში 12 საათზე მეტ ხანს დღეღამეში. ეს ნამდვილი კატორღული

შრომა იყო. ბოლივიელ მაღაროელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 30 წელს არ აღემატებოდა. მაღაროს მეპატრონენი ხედავდნენ, რა სწრაფად თხელდებოდა მუშათა რიგები და მთავრობის დახმარებით იძულებით მიჰყავდათ სამუშაოდ ინდიელი გლეხები. ისინი არაფერს არ ერიდებოდნენ, თავს ესხმოდნენ სოფლებს და იძულებით მიერეკებოდნენ სამუშაოდ მამაკაცებს.

ბოლივიის მოსახლეობის 85%-ზე მეტი წერაკითხვის უცოდინარი იყო. ბავშვების უმრავლესობა იძულებული იყო მიეტოვებინა სკოლა და საშოვარზე წასულიყო, რომ რითიმე დახმარებოდა ოჯახს.

1952 წლის აპრილში სახალხო აჯანყების შედეგად დაემხო რეაქციული დიქტატურა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა წვრილბურჟუაზიული პარტია — ნაციონალისტური რევოლუციური მოძრაობა.

ახალმა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა, რომლებიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს პასუხობდა. შემოღებულ იქნა საყოველთაო-საარჩევნო უფლება, კალისმომპოვებელი მრეწველობის დიდ საწარმოთა ნაციონალიზაციის კანონი. 1953 წ. ხელმოწერილი იქნა დეკრეტი აგრარული რეფორმის შესახებ, რომელმაც გამოაცხადა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია და გლეხებისათვის მიწის გამოყოფა. 1955 წ. ჩატარდა სახალხო განათლების რეფორმა. გამოცხადდა უფასო და საყოველთაო დაწყებითი სწავლება.

აშშ-ის იმპერიალისტები, ბოლივიელი მემამულეები და მრეწველები, რომელთა ინტერესებიც შელახული იყო, ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ბოლივიაში პროგრესულ გარდაქმნებს. ისინი აწყობდნენ შეთქმულებებისა და აჯანყებების ორგანიზაციას, მიმართავდნენ მუქარებსა და მოქრთამვას. ქვეყანაში მოხდა რიგი გადატრიალებები.

1971 წ. აგვისტოში მემარჯვენე ძალებმა განახორციელეს ბოლივიის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რიგით 187-ე სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მიზანი იყო შეეჩერებინა დემოკრატიული ძვრები ბოლივიელი ხალხის ცხოვრებაში. მემარცხენე ძალების ავანგარდია ბოლივიის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1950 წ.).

1971 წ. ფაქტიურად იგი არალეგალურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ განაგრძობდა ბრძოლას. ამჟამად მოითხოვს უცხო კაპიტალის შეზღუდვას და ბოლივიისათვის მტკივნეული საკითხის — ზღვის ნაპირზე გასვლის — მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

1978 წელს მოხდა კიდევ ერთი, ბოლივიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან რიგით 189-ე სახელმწიფო გადატრიალება, ძალაუფლება ხელში ჩაიგდო სამხედრო ხუნტამ, რომელმაც დაუშვა პროგრესული ძალების ლეგალიზირება და 1979 წელს ჩაატარა პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა დემოკრატიისა და ხალხის ერთიანობის ფრონტი (კომპარტიისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების შემადგენლობით), ეროვნული რევოლუციის კავშირი და დემოკრატიული ნაციონალისტური კავშირი. ვერც ერთმა კანდიდატმა ხმის აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღო და ამიტომ ბოლივიას ერთი წლის ვადით მართავს დროებითი კანდიდატი.

1979 წლის ნოემბერში მემარჯვენე ძალებმა კიდევ ერთი გადატრიალება მოაწყვეს, მაგრამ ხალხის წინააღმდეგობის გამო დამარცხდნენ. ამის შემდეგ დემოკრატიულმა და მასობრივმა ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს „დემოკრატიის დაცვის პაქტს“ (1980 წელი).

ბრაზილია

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა.
ფართობი — 8512 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 116 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ქალაქი ბრაზილია (890 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — პორტუგალიური.

„ტროპიკული გიგანტი“, „კონტინენტი კონტინენტში“ — ხშირად ასე უწოდებენ სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდ ქვეყანას — ბრაზილიას. ტერიტორიის სიდიდით იგი მეხუთე ადგილზეა მსოფლიოში სსრკ-ის, კანადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აშშ-ის შემდეგ, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით — მეშვიდეზე.

ქვეყნის სათავეში დგას პრეზიდენტი. იგი მთავრობის მეთაურიცაა. კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება ეროვნულ კონგრესს ეკუთვნის. ქვეყანა დაყოფილია 21 შტატად, ოთხ ტერი-



ტორიად და ერთ ფედერალურ ოლქად, სადაც არის დედაქალაქი ბრაზილია.

ქვეყნის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (შტატები: რიუ-გრანდი-დუ-სულ, სანტა-კატარინა, პარანა და სან-პაულუს სამხრეთი) შედის სუბტროპიკების ზონაში. მთელი დანარჩენი ტერიტორია ტროპიკულ და ეკვატორულ სარტყელშია. დიდი ფართობი უჭირავს ბრაზილიის ზეგანს. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი საკმაოდ ღარიბია მცენარეული საფარით. პეიზაჟები აქ ნახევარუდაბნოს წააგავს. ზეგნის ცენტრი სავანას უჭირავს. მთიანი რაიონები აქ ცოტაა. ისინი ჩრდილოეთის საზღვართან და სამხრეთ-აღმოსავლეთში (მთა ბანდეირა — 2890 მ) მდებარეობენ. ქვეყნის დიდი ნაწილი ამაზონის დაბლობს უჭირავს.

1500 წელს ახლანდელი ბრაზილიის ნაპირებს მიადგა პორტუგალიელი ზღვაოსნის პ. კაბრალის ხომალდი, რომელმაც მის მიერ აღმოჩენილი მიწა პორტუგალიის სამფლობელოდ გამოაცხადა. შემდეგი ოთხასი წლის განმავლობაში ევროპიდან, უმთავრესად პორტუგალიიდან, ბრაზილიაში ბევრი ახალმოსახლე ჩავიდა. XVI ს. დასაწყისში ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა — ინდიელები — სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ისინი 2 მლნ.-ზე მეტნი იყვნენ, მაგრამ კოლონიზატორები სასტიკად ექცეოდნენ ინდიელებს: მათ მონებად აქცევდნენ, სპობდნენ ან ნაყოფიერი მიწებიდან ყრიდნენ და ტროპიკულ ჯუნგლებში ერეკებოდნენ. ბრაზილიაში დარჩა 100 ათასზე ცოტა მეტი ინდიელი — ქვეყნის ყოფილი ბატონ-პატრონები.

თითქმის სამ საუკუნე-ნახევარი პორტუგალიელ კოლონიზატორებს ბრაზილიის ტერიტორიაზე შეჰყავდათ ზანგი მონები თავიანთი აფრიკული კოლონიებიდან — ანგოლიდან, მოზამბიკიდან და გვინეა-ბისაუდან. საერთოდ, აფრიკიდან რამდენიმე მილიონი ზანგი ჩამოიყვანეს. ისინი თანდათან შეერივნენ ევროპელებს და აქაურ მკვიდრ მოსახლეობას — ინდიელებს. ახლა რასობრივი შემადგენლობის მიხედვით ბრაზილიელთა ნახევარზე ცოტა მეტი თეთრები არიან, დანარჩენები — ზანგები, მულატები და მეტისები.

ქვეყანაში რასობრივი დისკრიმინაცია ფორმალურად არ არსებობს. რასიზმს კანონი კრძალავს. მიუხედავად იმისა, რომ მონათმფლობელობა

ამაზონიის — ტროპიკული ჯუნგლების რაიონს — ქვეყნის დიდი ნაწილი უჭირავს. მის წიაღში უდიდესი სიმდიდრეა. ამ სიმდიდრის ასათვისებლად აშენდა გიგანტური ტრანსამაზონის მაგისტრალი. სურათზე ხედავთ ამ მშენებლობის ერთერთ უბანს.

1888 წ. გაუქმდა, მონათმფლობელობის გადმონაშთები დღემდე იჩენს თავს ზანგებისა და მულატების ცხოვრებაში. მათი უმრავლესობა არ ღებულობს განათლებას და იძულებულია იმუშაოს ყველაზე დაბალხელფასიან სამუშაოზე. კონსტიტუციით ქვეყანაში შემოღებულია სავალდებულო უფასო დაწყებითი სწავლება. მაგრამ ეს კანონი არ სრულდება. 4 მილიონი სასკოლო ასაკის ბავშვი სკოლაში არ დადის. რთული ვითარებაა ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიც. ორი ათას მცხოვრებზე ერთი მედიცინის მუშაკი მოდის. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქვეყნის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ბევრ მუნიციპალიტეტს საერთოდ არ ჰყავს ექიმი და ფერშალი.

ბუნებრივ სიმდიდრეთა მარაგით ბრაზილია ძალზე მდიდარი ქვეყანაა. ყოველწლიურად აქ ნავთობის, რკინის მადნის, ურანისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის სულ ახალ და ახალ საბადოებს აღმოაჩენენ. სამასალე მერქნითა და რკინის მადნის მარაგით მას პირველი ადგილი უკავია კაპიტალისტურ სამყაროში, მანგანუმის მარაგით კი — მეორე. მარტო მდინარე ამაზონის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 150 მლნ. კვტ.-ს შეადგენს. შენდება რამდენიმე ატომური ელექტროსადგური.

ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ბრაზილიაში ყველაზე გრძელი საავტომობილო გზების ქსელია 1 მლნ. კმ-მდე. 70-იანი წლების დასაწყისში დამთავრდა ტრანსამაზონის მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც სიგრძით რამდენიმე ათასი კილომეტრია, იგი მიუყვება მდინარე ამაზონს 320 კმ სიგრძეზე მის სამხრეთით. ამაზონის აუზის ტყეები გამოიმუშავებენ ჩვენი პლანეტის ჟანგბადის მეხუთედს. ზოგი სპეციალისტი-ეკოლოგი ამტკიცებს, რომ ამაზონის აუზის სელვის განადგურებამ შეიძლება დაარღვიოს მთელი პლანეტის ჟანგბადის ბალანსი. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ბრაზილიის სელვას ძალზე ფრთხილად უნდა მოვეპყრათ.

ბრაზილია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის 63,8% ქალაქებში ცხოვრობს. გამოანგარიშების თანახმად, 1980 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა მოსახლეობის საერთო რიცხვის 66,7%-ს მიაღწევს. უკანასკნელ წლებში ბრაზილიაში სწრაფად განვითარდა მრეწველობა. 1973 წ. ქვეყანაში 730 ათასამდე ავტომანქანა გამოუშვეს, თუმცა მათი უმრავლესობა დაამზადეს ქარხნებში, რომლებიც უცხოეთის კომპანიებს ეკუთვნით. იზრდება ფოლადისა და ნაგლინის წარმოება. ვითარდება ზუსტი მანქანათმშენებლობა. 1973 წ. ავიახაზებზე გამოჩნდა ბრაზილიური წარმოების პირველი თვითმფრინავები. ბრაზილიის მრეწველობაში შესამჩნევია უცხოეთის, ძირითადად, ჩრდილოამერიკელი კაპიტალისტების ბატონობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1978 წელს „ფართოდ გახსნილი კარების“ პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. უცხო კაპიტალდაბანდებათა საერთო რაოდენობა 1979 წლისათვის შეადგენდა 14 მლრდ. დოლარს, ხოლო ქვეყნის ვალი — 50 მლრდ. დოლარს (უდიდესია მსოფლიოში).

მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოფლის მეურნეობა. სავარგული მიწის დიდი ნაწილი მსხვილ მემამულეებს — ლატიფუნდიებს ეკუთვნით. ზოგიერთ მათგანს ათას ჰექტარზე მეტი მიწა აქვს. ამ დროს ქვეყანაში კიდევ რამდენიმე მილიონი უმიწაწყლო გლეხია. სოფლის მეურნეობის მთავარი პროდუქტებია ყავა, ბანანი და შაქარი. ყავისა და ბანანის წარმოებით და ექსპორტით ბრაზილიას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. ყავა ვალუტის მიღების ძირითადი წყაროა. ვალუტა აუცილებელია საზღვარგარეთ სამრეწველო მოწყობილობის შესაძენად. მსოფლიო ბაზარზე ყავის ფასი კი მუდამ კლებულობს. ამის შედეგად გლეხები, რომლებსაც ყავა მოჰყავთ, ღატაკდებიან. ათასობით გლეხი კოტრდება, მიდის ქალაქში, სადაც უსახლკაროთა და უმუშევართა ჯარიას ზრდის. ყავის ყველაზე დიდი პლანტაციები სამხრეთში, პარანას, სან-პაულუსა და სანტა-კატარინას შტატებში.

ყავის მოსაყვანად აუცილებელია რბილი და ზომიერი ჰავა. ტემპერატურა არ უნდა ჩამოდიოდეს +15°-ზე დაბლა და არ უნდა აღემატებოდეს +30°-ს. ამიტომ დროებითი აცივებაც კი ათეულობით მილიონობით ყავის ხეს ღუპავს. ბაიასა და ალაგოიასის შტატებში სანაპირო ზოლში შეიძლება დაინახოთ კაკაოს პლანტაციები. თუ ყავის ხეები ხუთი მეტრის სიმაღლისაა, კაკაოს ხე მხოლოდ სამი მეტრი იზრდება. მისი ნაყოფი პირდაპირ ღეროდანაა გამოზრდილი. კაკაოს პარკის მოგროვების მიხედვით ბრაზილიას მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს.

ხორბალი სამხრეთ შტატებში მოჰყავთ, მაგრამ არც ისე დიდი რაოდენობით. მთავარი სასურსათო კულტურებია სიმინდი და ბრინჯი. ადრე ბრინჯი საექსპორტოდაც კი გადიოდა, მაგრამ 60-იანი წლების ბოლოდან თითქმის მთელი მოსავალი შინა მოხმარებისათვის ქვეყანაში რჩება. ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბამბას. ბამბის წარმოებით ბრაზილია მსოფლიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზეა. ბრაზილიაში მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ ნაირგვარი ტროპიკული ხილი. განსაკუთრებით ბევრს კრეფენ ბანანს, ანანასს, ნესვის ხის ნაყოფს, მანგოს და ფორთოხალს. პარას შტატში წაბლის — „კასტანიას დუ პარას“ დიდ მოსავალს იღებენ, რომელიც მთლიანად საექსპორტოა. ატლანტიკის



ბრაზილიის დედაქალაქი — ახალი ქალაქი ბრაზილია. ქალაქს ამშვენებს ორიგინალური არქიტექტურული ნაგებობანი.

მთელ სანაპიროზე იზრდება ჭოჭოსის პალმა, მდინარეთა ნაპირებზე — ცვილის პალმა (კარნაუბა). სიზალის წარმოებაში ბრაზილიას მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს (ტანზანიის შემდეგ).

სოფლის მეურნეობის წარმოების ღირებულების დაახლოებით მესამედი მეცხოველეობაზე მოდის. ბრაზილია კაპიტალისტურ სამყაროში მესამე ადგილზეა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობით (78 მლნ. სული), ხოლო პირველ ადგილზე ღორების სულადობის მიხედვით (72 მლნ. სული).

XIX ს. ბოლოსთვის სოფლის მეურნეობის წარმოებაში დიდი ადგილი ეკავა ბუნებრივი კაუჩუკის შეგროვებას. კაუჩუკის წვენის — ლატექსის შემგროვებლებს სერინგეიროს ეძახიან, იმ ადგილს კი, სადაც კაუჩუკოვანი ხეები იზრდება — სერინგალს. სერინგეირო არენდით იღებდა ტყის მფლობელისაგან ნაკვეთს და ლატექსისაგან ამზადებდა ორმოცდაათკილოგრამიან კაუჩუკის ბურთულებს. შემდეგ მას აბარებდნენ შემსყიდველებს, ისინი კი მდინარეებით აგზავნიდნენ ქალაქებში, ძირითადად მანაუსში. მაგრამ აზიის რიგ ქვეყნებში კაუჩუკოვანი ხეების პლანტაციების მოშენების შემდეგ სერინგეიროსების ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ეს წარმოებაც ისევე დაეცა, როგორც ალმასის წარმოება. ალმასის ძირითადი ქვიშრობული საბადოები იყო გოიასის, მატუ-გროსუს და მინას-ჟერაისის შტატებში. მათ უწინაც და ახლაც პრი-



იგუასუს ჩანჩქერი.

მიტიული ხერხით მოიპოვებენ. შრომის იარაღები ძირითადად ნიჩაბი, საცერი და ფოცხია.

როდესაც კოლონისტებმა ბრაზილიის დასახლება დაიწყეს, მათი უმეტესობა ოკეანის გაყოლებით სახლდებოდა. ახლაც ბრაზილიის მოსახლეობის 90% ატლანტის ოკეანის მახლობლად ცხოვრობს. აქვეა ქვეყნის უდიდესი ქალაქებიც.

ქალაქი რიო-დე-ჟანეირო („იანვრის მდინარე") 1960 წლამდე ქვეყნის დედაქალაქი იყო. ქალაქი გუანაბარას წარმტაცი ყურის ნაპირზე მდებარეობს. იგი განთქმულია პლაჟებით. განსაკუთრებით გამოირჩევა კოპაკაბანას რაიონი. ზედ პლაჟამდე აღწევს ფეშენებელური სასტუმროებით, საუცხოო სახლებით დამშვენებული ხუთკილომეტრიანი რკალი ავენიდა ატლანტიკა. ისინი ბრაზილიის შეძლებულ ადამიანებს ეკუთვნის. იქვე, გვერდით, დაბალ გორაკებზე (განაპირას და ცენტრში) არის ღატაკების საცხოვრებელი ფაველები, აგებული ძველი ფიცრების, ფანერებისა და მუყაოსაგან. მილიონზე მეტი ბრაზილიელი ასეთ ქოხმახებში ცხოვრობს.

1960 წ. 21 აპრილიდან ქვეყნის დედაქალაქი გადატანილი იქნა ქალაქ ბრაზილიაში. იგი ქვეყნის ცენტრში ააშენეს. ქალაქი აშენებულია არქიტექტორების ლუსიო კოსტასა და ოსკარ ნიმეიერას პროექტით. არქიტექტურა ულტრათანამედროვეა. მაგრამ ისევე, როგორც ქვეყნის სხვა ქალაქებში, აქაც საბინაო გადასახადი იმდენად დიდია, რომ მშრომელებს ქალაქში ცხოვრება არ შეუძლიათ. დედაქალაქის გარშემო აშენდა უბადრუკი რაიონები, ეგრეთ წოდებული თავისუფალი ქალაქები, სადაც ცხოვრობს მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილი.

სან-პაულუ სამრეწველო გიგანტია (დაახლოებით 6 მლნ. მცხ.). ქალაქი სტიქიურად, უგეგმოდ ვითარდება, აწყდება უამრავ სიძნელეებს, როგორიცაა ტრანსპორტის პრობლემა, წყლის, ელექტროენერგიის ნაკლებობა. კატასტროფული მდგომარეობაა მშრომელთათვის საცხოვრებელი ბინების, საავადმყოფოების, სკოლების საკითხში.

ბრაზილიაში 30-ზე მეტი ქალაქია, სადაც 100 ათას მცხოვრებზე მეტია. მაგრამ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მინას-ჟერაისის შტატის პატარა ქალაქი ორუ-პრეტუ. ამ ისტორიულ ქალაქთანაა დაკავშირებული ბრაზილიის ეროვნული გმირის ტირადენტისის მოღვაწეობა. ტირადენტისი 1789 წ. სიკვდილით დასაჯეს პორტუგალიის ბატონობის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზაციისათვის. დამოუკიდებლობა ქვეყანამ 1822 წ. მოიპოვა.

მშრომელები ძალიან მძიმე, შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან ექსპლუატატორთა წინააღმდეგ უკეთესი ცხოვრების პირობებისათვის. ამ ბრძოლას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ბრაზილიის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1922 წ.) 1964 წლის

ასეულ ათასობით ბრაზილიელი მშრომელის ხვედრია შიმშილი და სიღატაკე. ასეთ სურათს წააწყდებით ბევრ სამრეწველო ქალაქში, სადაც ღატაკები ცდილობენ იპოვნონ თავიანთი უბადრუკი მეურნეობისათვის გამოსადეგი ძველმანები.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ იძულებული გახდა იატაკქვეშეთში გადასულიყო, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობს თავისი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

ბრაზილიაში ლეგალურად მოქმედებს მხოლოდ ორი ბურჟუაზიული პარტია — განახლების ეროვნული კავშირი და ოპოზიციური ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობა.

გაიანა

გაიანას კოოპერატიული რესპუბლიკა.
ფართობი — დაახლ. 215 ათასი კმ².
მოსახლეობა — 805,5 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ჯორჯტაუნი (195,3 ათასი მცხოვრები გარეუბნებიანად).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ვენესუელას, ბრაზილიას და სურინამს შორის მდებარეობს ახალგაზრდა სახელმწიფო გაიანა (ადრე გვიანას ეძახდნენ).

პირველი ევროპელები, რომლებიც გაიანაში მოვიდნენ, ესპანელები იყვნენ (1499), შემდეგ გამოჩნდნენ ჰოლანდიელი და ინგლისელი კოლონისტები. დაპყრობილ მიწებზე კოლონიზატორებმა პლანტაციური მეურნეობის განვითარება დაიწყეს, სადაც იყენებდნენ აფრიკიდან ჩამოყვანილი ზანგი მონების შრომას. XIX ს. დასაწყისში ქვეყანაში ინგლისელები გაბატონდნენ. დიდხანს იბრძოდა გაიანის ხალხი ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა XX ს. 50—60-იან წლებში. ამის შედეგად 1966 წ. ყოფილი ბრიტანეთის გვიანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. სახელმწიფოს მეთაურს — პრეზიდენტს ეროვნული კრება ირჩევს.

ქვეყანაში არის სასარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგი: ბოქსიტები, მანგანუმი, ოქრო, ალმასი. დიდია ძვირფასი ხის ჯიშების მარაგი, და მაინც გაიანა სოფლის მეურნეობის ქვეყნად რჩება. გაიანას გააქვს ბოქსიტები, თიხამიწა, ხამი შაქარი, ბრინჯი, მერქანი. ვითარდება მეთევზეობა, განსაკუთრებით, ხამანწკების დაჭერა და გადამუშავება. მთავრობა მხარს უჭერს სხვადასხვა სახის კოოპერატიული საზოგადოებების ჩამოყალიბებას. უკანასკნელ წლებში მოახდინეს უცხოელი კომპანიების უმრავლესობის საკუთრების ნაციონალიზაცია, მათ შორის ინგლისისა და აშშ-ის ბოქსიტების მომპოვებელი მსხვილი საწარმოო კონცერნების.





ჯორჯტაუნის ერთ-ერთი ქუჩა.

მმართველ პარტიასთან — სახალხო ეროვნულ კონგრესთან ერთად გავლენიანი პოლიტიკური ძალაა სახალხო პროგრესული პარტია. იგი გამოდის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, სოციალისტურ ქვეყნებთან ურთი-

ერთობის განვითარებისათვის. გაიანა საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობის პრინციპს ახორციელებს. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც ირჩევს 6 წლით საკანონმდებლო უფლების მქონე ეროვნული კრება (პარლამენტი).

გვადელუპა

კუნძული მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგში. ფართობი (მიმდებარე კუნძულებით) 1,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 325 ათასი კაცი, ძირითადად მულატები და ზანგები. ადმინისტრაციული ცენტრია ბას-ტერი (15 ათასი მცხ.), მთავარი სავაჭრო ცენტრი და ნავსადგურია პუენტ-ა-პიტრი (იხ. რუკა „მცირე ანტილის კუნძულები“, გვ. 448).

1635 წ. კუნძული ფრანგებმა დაიპყრეს. XVII—XVIII სს. ინგლისელებმა მრავალგზის სცადეს გვადელუპის დამორჩილება. 1946 წ. გვადელუპამ მიიღო საფრანგეთის „ზღვისგაღმა დეპარტამენტის“ სტატუსი. კუნძულს მართავს საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნული პრეფექტი და არჩევითი გენერალური საბჭო, რომლის უფლებები შეზღუდულია.

აქ მოჰყავთ და ამუშავებენ შაქრის ლერწამს, ბანანს, ყავას, კაკაოს. კუნძულზე ბევრია ტურისტი, უმთავრესად აშშ-იდან და საფრანგეთიდან.

ქვეყნის ყველაზე უფრო გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია — გვადელუპის კომუნისტური პარტია — სათავეში უდგას ხალხის ბრძოლას ავტონომიისათვის.

გვადელუპაზე არსებობენ საფრანგეთის ძირითადი პარტიების განყოფილებანი. გვადელუპის კომპარტია დამოუკიდებელია 1958 წლიდან.

გვატემალა

გვატემალის რესპუბლიკა.
ფართობი — 108,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — 6,44 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი — გვატემალა (870 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ესპანური.

სახელმწიფო ცენტრალური ამერიკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში. მოსახლეობის ნახევარზე

მეტი ინდიელები არიან, 40% — ესპანელ-ინდიელი მეტისები.

1523 წ. გვატემალაში მექსიკიდან შეიჭრნენ ესპანელთა რაზმები. მათ დაიპყრეს ქვეყანა, მასობრივად ამოხოცეს ადგილობრივი მოსახლეობა, გადარჩენილები ძალად მოაქციეს კათოლიკებად და დაიმონეს. 1821 წ. დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის დროს გვატემალამ თავისუფლებას მიაღწია.

გვატემალა აგრარული ქვეყანაა სუსტად განვითარებული მრეწველობით. ეკონომიკა ყავის, ბამბის, შაქრის მოყვანაზეა სპეციალიზებული და ძლიერ არის დამოკიდებული ჩრდილო-ამერიკულ კაპიტალზე. მოსახლეობის დაახლოებით $^{2}/_{3}$ წერა-კითხვის უცოდინარია. მსოფლიოში ბავშვთა ყველაზე დიდი სიკვდილიანობა გვატემალაშია.

გვატემალის ისტორიულ განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1944—1954 წწ. პერიოდს. დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის შედეგად განხორციელდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, მიიღეს ახალი კონსტიტუცია, დაიწყო აგრარული რევოლუციის განხორციელება, დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ამ გარდაქმნებმა რეაქციული ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია. 1954 წ. აშშ-ის მონოპო-

გვატემალა. ატიტლანის ტბა.

ლიებმა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ნიკარაგუისა და ჰონდურასის მმართველი წრეები, მოაწყვეს კონტრრევოლუციური გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში კვლავ რეაქციის დამჭაშები მოვიდნენ, დაიწყო სასტიკი ტერორისა და პროგრესული ძალების დევნის პერიოდი.

1974 წ. დეკემბერში დიქტატორულმა რეჟიმმა ახალი სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინა. მკვლელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი მამაცი ადამიანები — გვატემალის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბერნარდო ალვარადო მონსონი და მისი ხუთი თანამებრძოლი.

სახელმწიფოს მეთაურსა (პრეზიდენტს) და საკანონმდებლო ორგანოს (ეროვნული კონგრესი) 4—4 წლით ირჩევენ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებენ ბურჟუაზიული პარტიები: კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა, რევოლუციური და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიები. გვატემალის შრომის პარტია მოქმედებს არალეგალურ პირობებში.

გვიანა

XVII ს. დასაწყისში გვიანის დაბლობის ეს ნაწილი ფრანგებმა დაიპყრეს. შემდგომში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჰოლანდიელები, ინგლისელები, პორტუგალიელები. 1817 წ. აქ გაბატონდნენ ფრანგები და ქვეყანა პოლიტიკური პატიმრების გადასახლების ადგილად გადააქციეს. აქ დამაუძლურებელი მცხუნვარე და ნოტიო ჰავის კლიმატურ პირობებში კატორღულ სამუშაოებზე პარიზის კომუნის ბევრი მონაწილე დაიღუპა.



1946 წლიდან გვიანა საფრანგეთის „ზღვის გალმა დეპარტამენტია“. მას მართავს საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნული პრეფექტი. აქ არის ზოგიერთი საკანონმდებლო ფუნქციების მქონე არჩევითი გენერალური საბჭო.

გვიანას ფართობია 91 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 62 ათასი კაცი, ძირითადად ინდიელები, კრეოლები და მეტისები. ადმინისტრაციული ცენტრია კაიენა.

მეურნეობის საფუძველია მიწათმოქმედება. მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბანანი, აგრეთვე, სიმინდი და ბრინჯი. განვითარებულია თევზჭერა, ხამანწკების ჭერა. ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ხშირი, გაუვალი ტყეებით. ძვირფასი

მერქანი საზღვარგარეთ გადის. მოიპოვებენ ოქროსა და ბოქსიტებს.

პროგრესული ძალები ქვეყნის ჭეშმარიტი ავტონომიისათვის იბრძვიან.



გრენადა

გრენადა.
ფართობი — 344 კმ².
მოსახლეობა — 110 ათასი კაცი.
დედაქალაქი — სენტ-ჯორჯესი (30 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

1974 წლის 7 თებერვალს სენტ-ჯორჯესის ფლაგშტოკიდან დაეშვა ინგლისის ალამი და აღიმართა ახალი — მწვანე ნარინჯისფერ-ყვითელი, კიდეებზე შვიდი ვარსკვლავითა და ცენტრში ჯავზის ფოთლით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ალამი. გრენადა მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგში შემავალი. ვულკანური წარმოშობის პატარა კუნძულია კარიბის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

კუნძული 1498 წ. ქ. კოლუმბმა აღმოაჩინა. თავდაპირველად ესპანეთის სამეფოს ემორჩილებოდა, შემდეგ ფრანგების ხელში გადავიდა, უკანასკნელი ორასი წელი კი ინგლისის კოლონია იყო. კარიბის ზღვის სხვა მსგავს კუნძულებთან შედარებით გრენადის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, უმთავრესად, ზანგები და მულატები, არაერთხელ გამოსულან თავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1796 წ. კუნძულზე ანტიბრიტანულმა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც მთელ წელს გაგრძელდა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1837 წ. კუნძულელებმა მიაღწიეს იმას, რომ გაუქმდა მონობა. 1967 წლის მარტში კუნძულმა მიიღო „დიდ ბრიტანეთთან ასოცირებული სახელმწიფოს“ სტატუსი. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ საშინაო საქმეების მართვის უფლება. გრენადის მცხოვრებთა შემდგომმა ბრძოლებმა აიძულა ეცნოთ კუნძულის დამოუკიდებლობა. სახელმწიფოს მეთაური არის ინგლისის დედოფალი. მისი წარმომადგენელია გუბერნატორი. საკანონმდებლო ხელისუფლება ორპალატიან პარლამენტს ეკუთვნის.

1979 წელს აქ დაემხო რეაქციული რეჟიმი, რომელსაც ქვეყნის გარეთ გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ჩილეს ფაშისტურ რეჟიმთან, ხოლო ქვეყნის შიგნით დათარეშობდა რეპრესიული აპარატი — „მანგუსტა“.

კუნძულის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა. ექსპორტისათვის ამზადებენ კაკაოს, ჯავზს (წარმოების მიხედვით მესამე ადგილი მსოფლიოში), ბანანს. მოჰყავთ, აგრეთვე, შაქრის ლერწამი, ქოქოსის პალმა, ციტრუსები და ბამბა.

დომინიკა

დომინიკის თანამეგობრობა.
ფართობი — 790 კმ².
მოსახლეობა — 80 ათასი კაცი.
დედაქალაქი — როზო (18 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს პაწაწინა ახალი სახელმწიფო (დამოუკიდებლობა მან 1978 წელს მიიღო) განლაგებულია იმავე სახელმწიფოებისა და კიდევ რამდენიმე სხვა კუნძულზე, რომელნიც შედიან კარიბის ზღვაში მდებარე მცირე ანტილის (უფრო ზუსტად — საქარე კუნძულების) არქიპელაგში.

დამოუკიდებლობის მიღებამდე აქ ინგლისი ბატონობდა (XIX ს. დასაწყისიდან). 1967 წელს კუნძულმა მიიღო ინგლისთან „ასოცირებული სახელმწიფოს“ სტატუსი. ქვეყანას მართავდა ინგლისის მიერ დანიშნული გუბერნატორი.



გრენადის დედაქალაქი — ქალაქი სენტ-ჯორჯესი.

ამჟამად სახელმწიფოს სათავეში დგას პრეზიდენტი. პარლამენტს საკანონმდებლო კრება ეწოდება.

დომინიკის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ძირითადი კულტურა ბანანებია. მოჰყავთ, აგრეთვე ქოქოსის კაკალი, ციტრუსოვანი კულტურები, მანიოკი, ბატატი.

მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. აწარმოებენ ელექტროენერგიას, პემზას, კირქვას, ხეტყის მასალას. არის რამდენიმე ნახევრადკუსტარული საწარმო, რომელიც უშვებს წვენებს, ხილის კონსერვებს, კოპრასა და სიგარებს.

მნიშვნელოვანი ადგილი ტურიზმს უკავია.

1979 წელს ხალხის გამოსვლების შედეგად ხელისუფლება ქვეყნის პროგრესული ძალების ხელში გადავიდა.

დომინიკელთა რესპუბლიკა

დომინიკელთა რესპუბლიკა.
ფართობი — 48,7 ათასი კმ².
მოსახლეობა — 4,98 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სანტო-დომინგო (922,5 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში, უჭირავს კუნძულ ჰაიტის აღმოსავლეთი ნაწილი და რამდენიმე კუნძული კარიბის ზღვაში.

ქვეყნის ცენტრში გადაჭიმულია უძველესი კრისტალური ქანებისაგან აგებული ქედი — ცენტრალური კორდილიერები. ქვეყანას ხშირად გადაუვლის ხოლმე გრიგალი. ერთ-ერთმა ასეთმა გრიგალმა 1930 წ. დაანგრია დედაქალაქი. მთები დაფარულია ხშირი, მარადმწვანე ტყეებით. აქ ხარობს ძვირფასი ხის ჯიშები (მაჰაგონი, ბაყმის ხე) და სამეფო პალმები.

მოსახლეობის უმეტესობა მულატებია, სახლობენ აგრეთვე ზანგები და თეთრკანიანები.

დომინიკელთა რესპუბლიკა 1821 წ. შეიქმნა, მაგრამ განმტკიცდა მხოლოდ 1865 წ., როდესაც საბოლოოდ განდევნეს მისი ტერიტორიიდან ესპანელი დამპყრობლები. ისინი ჰაიტის კუნძულის ამ ნაწილს ფლობდნენ XVI ს. XIX ს. მეორე ნახევრიდან რესპუბლიკის ეკონომიკაში საგრძნობლად შეიჭრა ევროპული, შემდგომში კი — ჩრდილოამერიკული კაპიტალი. 1916 წ. აშშ-ის ჯარებმა მოახდინა ამ ქვეყნის ოკუპაცია, ისინი აქ 1924 წლამდე დარჩნენ.

1965 წ. აპრილში აშშ-მა ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლასთან დაკავშირებით დომინიკელთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი შეიარაღებული ინტერვენცია მოაწყო. მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის გავლენით ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდა 1966 წ. ქვეყნიდან გამოეყვანა თავისი ჯარები. ქვეყანაში არ წყდება ტერორისტული აქტები და პოლიციელთა დევნა, რომელთა დახმარებითაც ხელისუფლება ცდილობს ჩაახშოს ბრძოლა დემოკრატიისათვის.

რესპუბლიკაში საქარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგია: ნიკელი, ბოქსიტები, სპილენძი, რკინის მადანი, ოქრო, კობალტი და მა-

ინც, ეკონომიკურად იგი სუსტადაა განვითარებული. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, რომელიც შაქრის ლერწმის, კაკაოს პარკების, ყავისა და თამბაქოს მოყვანაზე სპეციალიზდება.

მოსახლეობის 30%-მდე წერა-კითხვის უცოდინარია. ქვეყანას არ ყოფნის სამკურნალო, განსაკუთრებით, ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებანი. ამის შედეგად ბავშვთა სიკვდილიანობა მაღალია. ათასიდან ოთხმოცი ბავშვი წლამდე ასაკში კვდება.



დომინიკელთა რესპუბლიკის ეკონომიკის საფუძველია შაქრის ლერწმის მოყვანა და შაქრის წარმოება.
ს უ რ ა თ ზ ე: შაქრის ქარხანა რიო-ხაინა.

დომინიკელთა კომუნისტური პარტია (დაარსდა 1944 წ.) 1977 წლიდან ლეგალიზებულია, იბრძვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუციის განსახორციელებლად.

ბურჟუაზიული პარტიებიდან აღსანიშნავია დომინიკელთა რევოლუციური, რეფორმისტული, დომინიკელთა განთავისუფლების, კისკეიანოს დემოკრატიული პარტიები და დემოკრატიული ინტეგრაციის მოძრაობა.

სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, საკანონმდებლო ორგანო — ეროვნული კონგრესი.

ეკვადორი

ეკვადორის რესპუბლიკა.
ფართობი — 283,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 7,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კიტო (დაახლოებით 600 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

ეკვადორის ტერიტორია ოთხ ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ ზონად იყოფა: დასავლეთში — წყნარი ოკეანის სანაპირო (კოსტა, ე. ი. „ნაპირი“); ცენტრში — ანდების მთათა მხარე (სიერა, ანუ „მთები“); აღმოსავლეთში, ამაზონის აუზის ფარგლებში — მთისწინა ვაკე (სელვა, რაც ნიშნავს „ტროპიკულ ტყეს“) და კუნძულთა ნაწილი — გალაპაგოსის, ანუ კუს კუნძულები (მას კოლონის არქიპელაგსაც უწოდებენ), კონტინენტიდან 1120 კმ.-ითაა დაშორებული.

კოსტა, რომლის სიგანე 30-დან 200 კმ-მდეა, მთავარი სამიწათმოქმედო რაიონია. აქ გვხვდება ბანანის თითქმის ყველა პლანტაცია (ბანანი მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა). ბანანის წარმოებით ეკვადორს მსოფლიოში მესამე ადგილი უჭირავს ბრაზილიისა და ინდოეთის შემდეგ.

კოსტას რაიონს კვეთს ორი ძირითადი სატრანსპორტო საწყლოსნო არტერია — მდინარეები გუაიასი და ესმერალდასი. სანაპიროზე ეკვატორული ჰავაა. მასზე გავლენას ახდენს პერუს ცივი დინება, რომელიც მშრალ ჭარებს წარმოშობს, და თბილი დინება ნინიო, წვიმები რომ მოაქვს თან.



ანდების ზოლი (სიერა) ორი მთავარი პარალელური ქედისგან — დასავლეთი და აღმოსავლეთი კორდილიერებისაგან შედგება. მათ შორის მდებარეობს 700 კმ სიგრძისა და 150—200 კმ სიგანის ზეგანი. ამ რაიონის ჰავა სიმშრალით გამოირჩევა. ამ ზონას „მარადი გაზაფხულის“ რაიონს ეძახიან. მთის მდინარეები ელექტროენერგიას იძლევიან და რწყავენ ველებს.

აღმოსავლეთ კორდილიერის მთისწინა ვაკეზე თბილი და მშრალი ჰავაა. მდინარე ამაზონის აუზის მარადმწვანე ტყეებისათვის, რომლებსაც კვეთენ სანაოსნო მდინარეები — კურარაი, სანტიაგო, სამორა, პასტასა, — დამახასიათებელია ნოტიო და ცხელი ჰავა.

კოლონის არქიპელაგი 16 დიდ და 100-ზე მეტ მცირე ზომის ვულკანური წარმოშობის კუნძულს შეიცავს (ფართობი 7844 კვ. კმ.). არქიპელაგზე მშრალი და რბილი ჰავაა. ამ კუნძულების იშვიათი ფლორა და ფაუნა დიდი სამეცნიერო ღირებულებისაა. ეს ზონა სახელმწიფო ნაკრძალადაა გამოცხადებული. კუნძულებზე ბინადრობენ გიგანტური ხვლიკები — იგუანები, გიგანტური კუები, სელაპები და პინგვინები, ფრინველთა იშვიათი სახეობები.

ეკვადორის მოსახლეობა უმთავრესად მეტისების, ზანგების, ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებისა და კეჩუას, ხივაროს, საპაროსა და სხვა ინდიელ ტომთაგან შედგება.

ქვეყნის დედაქალაქი კიტო სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი დააარსა ინდიელთა კიტუსის ტომმა ესპანელთა მოსვლამდე დიდი ხნით ადრე. ქალაქის შენობათა უმრავლესობა აგებულია ძველესპანური არქიტექტურის სტილით, ბევრია კოლონიური ეპოქის ძეგლი — ტაძრები, მონასტრები, სასახლეები. დედაქალაქში თავმოყრილია საფეიქრო, ტყავის, კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის წვრილი საწარმოები.

კიტოზე — ქვეყნის მთავარ სატრანსპორტო კვანძზე — გადის პანამერიკული გზატკეცილი, საერთაშორისო და საშინაო საავიაციო ხაზები, რკინიგზა, რომელიც დედაქალაქს აერთებს უმსხვილეს სამრეწველო და სავაჭრო ცენტრთან, მთავარ საზღვაო და სამდინარო ნავსადგურ გუაიაკილთან. გუაიაკილშია თავმოყრილი ეკვადორის მრეწველობის ძირითადი — სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის პროდუქტების გადამმუშავებელი, შაქრის, საკონსერვო, ტყავის, ხე-ტყის. სახერხი ფაბრიკები და ქარხნები.

ეკვადორი აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა, რაშიც დასაქმებულია მოსახლეობის 55%, სპეციალდება ბანანის, ყავის, კაკაოს, შაქრის წარმოებაზე, რომელთა გატანა მთელი ექსპორტის 30%-ს შეადგენს.

ქვეყნის ჩამორჩენილობა გამოწვეულია ცალკეულ რაიონებში შემორჩენილი ფეოდალური და ფეოდალურისწინა გადმონაშთებით, ლატიფუნდიების ბატონობით. 1300 მსხვილ მიწათმფლობელს დამუშავებული მიწის $^3/_5$ ეკუთვნის, მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის 50%-ს საერთოდ არა აქვს მიწის ნაკვეთი.

ეკვადორის მრეწველობა სუსტადაა განვითარებული და დამოკიდებულია უცხოეთის კაპიტალზე, რომელიც კონტროლს უწევს წამყვანი დარგების საწარმოების 80%-ზე მეტს. ქვეყანაში განვითარებულია შინამრეწველური წარმოება. ხელოსანთა მარჯვე ხელები ამზადებენ პანამა-ქუდებს ტოკილას ფოთლებისაგან, ტაგუას პალმის კაკლის ნაჭუჭისაგან სხვადასხვა ნაკეთობებს, ლამისა და ვიკუნიის მატყლისაგან ინდიელები ქსოვენ მოსასხამებს — პონჩოებს და სხვადასხვა ტანსაცმელს.

ეკვადორში მრავალი ბუნებრივი სიმდიდრეა. გარდა ოქროსი და ვერცხლისა, აღმოჩენილია სპილენძის, ტიტანის, რკინის, ვოლფრამის, თუთიის, ტყვიის, ურანის, გოგირდის მნიშვნელოვანი მარაგი. ქვეყნის მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ წლებში ამაზონის აუზში აღმოჩენილ ნავთობის უდიდეს საბადოებს.

ეკვადორის დედაქალაქი — კიტო.

უკვე დაიწყო ნავთობის დამუშავება და ეკვადორმა ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის წამყვანი ექსპორტიორის ადგილი დაიკავა.

ეკვადორის ისტორია მნიშვნელოვანი ამბებითაა სავსე. ქვეყანა დასახლებული იყო ინდიელთა ტომებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე. XV ს. შუა წლებში ეკვადორის ტერიტორია ინკების იმპერიის ტაუანტინსუიუს შემადგენლობაში შევიდა. კიტომ თანდათან მოიპოვა გავლენა და იმპერიის ცენტრი გახდა. იმპერიის დაცემას ხელი შეუწყო უმაღლესი ინკის უაენაკაპაკას გადაწყვეტილებამ ქვეყანა გაეყო ორ ნაწილად: ერთ ნაწილში (ცენტრი კიტო) ხელისუფლება თავის შვილს ატაუალპუს, მეორეში (ცენტრი კუსკო) — მის ძმას უასკარუს გადასცა. ძმათა შორის ატყდა ომი ერთმმართველობისათვის. ეს ომი კარგად გამოიყენეს ესპანელმა კონკისტადორებმა პერუსა და ეკვადორის მიწებზე თავიანთი ბატონობის განმტკიცებისათვის. 1532 წ. ესპანელებმა მოაკვლევინეს უასკარუ და მოტყუებით დაატყვევეს ატაუალპუ, რომელმაც ესპანელებს გამოსასყიდი შესთავაზა. თავისი გათავისუფლებისათვის მან აღუთქვა, რომ ოქროთი აავსებდა 6,7×5,2 მ ოთახს (დაახლოებით 6 ტ. ოქრო), რომელშიც თავად იყო დამწყვდეული. გარდა ამისა, იგი დაჰპირდა, რომ ვერცხლით გაავსებდა ოდნავ მომცრო ოთახსაც. ესპანელებმა ეს გამოსასყიდი მიიღეს, მაგრამ ინკა არ გაუთავისუფლებიათ. იგი სიკვდილით დასაჯეს. მის სიკვდილთან ერთად ფაქტიურად შეწყდა ინკების იმპერიის არსებობაც. ოქროს ძიებით აღტყინებული გაუმაძღარი ესპანელები მრავალრიცხოვან ექსპედიციებს აგზავნიდნენ ეკვადორის სხვადასხვა რაიონში მითიური „ოქროს ქვეყნის“ — ელდორადოს საძებნელად. ისინი მასიურად ჟლეტდნენ და მხეცურად ავიწროებდნენ ინდიელებს, რომლებიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ კონკისტადორებს, ვაჟკაცურად და გმირულად ებმოდნენ მტერს (იხ. სე, ტ. 8, სტ. „ამერიკის უძველესი სახელმწიფოები და ესპანელი დამპყრობლები“).

1830 წ. ეკვადორი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

მიუხედავად ამისა, სულ ბოლო ხანებამდე რესპუბლიკის პოლიტიკური განვითარება ხასიათდებოდა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიისა და ლატიფუნდისტების სხვადასხვა დაჯგუფებების ცვლით, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ უცხოეთის კაპიტალთან, უმთავრესად ჩრდილოამერიკულთან. ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი ეკვადორის სრული თავისუფლებით. 1972 წ. თე-

ინდიელი მტვირთავი.

ბერვალში ეკვადორში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მთავრობა, რომელმაც მიზნად დაისახა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლა, ოლიგარქიის ძალაუფლების და უცხოეთის მონოპოლიათა ბატონობის შეზღუდვა. მათ შორის — აგრარული რეფორმის განხორციელება, უცხოეთის კაპიტალდაბანდებაზე თანდათანობით კონტროლის დაწესება, სახელმწიფო ნავთობის კორპორაციის შექმნა, კანონი ნავთობის საბადოების დაზვერვისა და დამუშავების კონცესიებზე დადებული კონტრაქტის გადასინჯვის შესახებ. ამ კანონის თანახმად 1973 წ. უცხოეთის კომპანიებმა სახელმწიფოს 9 მილიონი ჰა ნავთობიანი რაიონიდან 5 მილიონამდე დაუბრუნეს.

ეკვადორის კომუნისტური პარტია ქვეყნის პროგრესული ძალების გამოცდილი ავანგარდია (შეიქმნა 1926 წ.), რომელიც გამოდის ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ყველა იმ შეთანხმებისა და ხელშეკრულების გაუქმებისათვის, რომელიც ქვეყანას იმპერიალიზმზე დამოკიდებულს ხდის. ახალი მთავრობა იბრძვის სხვადასხვა სოციალური წყობის სახელმწიფოებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ბურჟუაზიული პარტიებიდან აღსანიშნავია: კონსერვატიული, ლიბერალურ-რადიკალური, რევოლუციურ-ეროვნული პარტიები, სახალხო ძალთა გაერთიანება, ველასკისტების ეროვნული ფედერაცია.

1978 წელს მიღებული იყო ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური პრეზიდენტია, ხოლო საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის წარმომადგენელთა ეროვნულ პალატას.

ვენესუელა

ვენესუელის რესპუბლიკა.
ფართობი — 916,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 13,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — კარაკასი (გარეუბნებით — 2,6 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

ვენესუელა სამხრეთამერიკულ ქვეყნებს შორის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს. აღმოაჩინა 1498 წელს ქრისტეფორე კოლუმბმა, როდესაც მისმა კარაველებმა სამხრეთ ამერიკის სანაპიროს მიაღწიეს. ერთი წლის შემდეგ ახალი ესპანური ექსპედიციის მონაწილეებმა ყურის სანაპიროზე ხიმინჯებზე შემდგარი ქოხები დაინახეს. ქოხებს ერთმანეთთან ხიდები აკავშირებდა. ყველაფერმა ამან მათ გაახსენა ქალაქი ვენეცია, სადაც ქუჩების ნაცვლად არხებია. მათ ხიმინჯებიან დასახლებას „პატარა ვენეცია“ (ესპანურად ვენესუელა) უწოდეს. მოგვიანებით ეს სახელი მთელ ქვეყანას ეწოდა. ვენესუელა დიდხანს იყო ესპანეთის კოლონია. მხოლოდ მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ განთავისუფლდა იგი ესპანელთა ბატონობისაგან. 1819 წ. ახალ გრენადასთან (ახლანდელი კოლუმბია) და ეკვადორთან ერთად იგი შევიდა დიდი კოლუმბიის ფედერაციის შემადგენლობაში, რომელიც შექმნა ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სახელგანთქმულმა ბოლივარმა (იხ. სე. ტ. 8, სტ. „ესპანეთის კოლონიე-

ვენესუელის დედაქალაქი კარაკასი.

ბის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“). 1830 წ. ვენესუელა დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა. ას წელზე მეტ ხანს ვენესუელაში ერთი დიქტატორი მეორეს ცვლიდა. ისინი მემამულეთა და ბურჟუების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესს იცავდნენ. ხშირად ისინი უცხოელი კაპიტალისტების დამქაშები იყვნენ.

უკანასკნელ წლებში ვენესუელის მშრომელებმა პოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან დემოკრატიზაციას მიაღწიეს. ხალხის მოთხოვნით ლეგალურად მუშაობენ აკრძალული პროგრესული პარტიები, აღკვეთილია პოლიციური ტერორი, იზღუდება უცხოეთის მონოპოლიების მძარცველური მოქმედება, დაირღვა აშშ-ის სავაჭრო ხელშეკრულება, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს რომ ეწინააღმდეგებოდა. 1970 წ. აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ეს ურთიერთობა შეწყდა 1952 წ. რეაქციული მთავრობის მიერ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ჩაგონებით მოქმედებდა.

ვენესუელა ფედერაციული რესპუბლიკაა. ქვეყნის სათავეში დგას პრეზიდენტი, მას ხუთი წლით ირჩევენ. კანონს სცემს ეროვნული კონგრესი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. პარლამენტში წარმოდგენილია შემდეგი პარტიები: დემოკრატიული მოქმედება, სოციალ-ქრისტიანული პარტია, მოძრაობა სოციალიზმისაკენ, ხალხის საარჩევნო მოძრაობა, რესპუბლიკურ-დემოკრატიული კავშირი, ჰყავს თავისი წარმომადგენელი კომპარტიასაც.

ვენესუელის მკვიდრი მოსახლეობა ინდიელები არიან. ისინი ძალზე ცოტანი დარჩნენ — ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 2%. ცხოვრობენ სამხრეთში, გვიანის ზეგანის მიყრუებულ რაიონებში. ვენესუელელთა უმრავლესობა ესპანელთა და ინდიელთა შერეული ჯორწინების მემკვიდრეები არიან.

ვენესუელის ბუნება მრავალფეროვანია. ქვეყნის თითქმის ნახევარი უჭირავს გვიანის ზეგანს. იგი დაფარულია ძნელადსავალი ტროპიკულ ტყეებით, დასერილია ღრმა ხეობებით, სადაც ჭორომიანი მდინარეები მიედინება. გრანდიოზული ჩანჩქერი ანხელი 1054 მ სიმაღლიდან ეშვება. გვიანის ზეგანს ვრცელი ვაკე ლიანოსი ეკვრის. მის განაპირას მიედინება წყალუხვი მდინარე ორინოკო. დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ლიანოსს შემოფარგლავს მაღალი ქედები — კორდილიერების გაგრძელება. მათი სიმაღლე 5 ათას მ აღწევს. მწვერვალები დაფარულია მარადი თოვლითა და მყინვარებით. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, მარაკაიბოს ტბის გარშემო გადაჭიმულია ამავე სა-

ხელწოდების დაჭაობებული ადგილი. ვენესუელის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში ძალზე ცხელი ჰავაა. ასე, მაგალითად, მარაკაიბოს დაბლობზე საშუალო წლიური ტემპერატურა +28° ყველაზე მაღალი ტემპერატურაა მთელს სამხრეთ ამერიკაში.

ესპანელი დამპყრობლები — კონკისტადორები — ვენესუელაში ოქროსა და ალმასს ეძიებდნენ, მაგრამ ერთიცა და მეორეც იქ მცირე რაოდენობით იპოვეს. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ნავთობია. 1916 წ. მარაკაიბოს ტბასთან პირველი ჭაბურღილი დადგეს, საიდანაც ნავთობის მძლავრმა შადრევანმა ამოხეთქა. სულ მოკლე ხანში ვენესუელა ნავთობის მომპოვებელი ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფო გახდა. თავად ტბა და ტბის გარშემო ვრცელი რაიონები ნავთობის კოშკურების ტყემ დაფარა. ყველგან ნავთობგაყვანილობის ლაბირინთები, ტუმბოების სადგურები და ნავთობის შესანახი ცისტერნებია. უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთში აღმოჩენილია ნავთობის ახალი რაიონი. მთელი კაპიტალისტური სამყაროს ნავთობის მოპოვების დაახლოებით 7%-ს ვენესუელა იძლევა. ექსპორტით მას მესამე ადგილი უჭირავს. მაგრამ „შავი ოქროს“ შემოსავლის მეტ ნაწილს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვენესუელის ნაცვლად უცხოური კომპანიები ღებულობდნენ. ნავთობის საბადოების ექსპლუატაციით ისინი უდიდეს მოგებას ნახულობდნენ. ვენესუელელი მუშა-მენავთობე შრომის საფასურად სამ-ოთხჯერ ნაკლებს ღებულობს, ვიდრე აშშ-ის მუშა. ნავთობთან ერთად მიწიდან ბევრი გაზიც ამოდის. გაზი ძვირფასი საწვავი მასალა და ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულია. მაგრამ გაზის მხოლოდ ნაწილი გამოიყენება, დიდი რაოდენობით გაზი იხარჯება ჩირაღდნებისათვის, რომლებიც ღამით ფანტასტიკური სინათლით კაშკაშებენ.

უკანასკნელ წლებში ვენესუელის მთავრობა ეროვნული ინტერესების დამცველი გახდა, შეზღუდეს უცხოეთის კაპიტალის ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა კი, აშშ-ის კაპიტალის. 1974 წ. ნაციონალიზაცია უყვეს საწარმოებს, რომლებიც რკინის მადანს მოიპოვებდნენ. 1975 წ. მოხდა მთელი ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია. ბუნებრივი გაზის მომპოვებელი საწარმოები, ადრე აშშ-ს რომ ეკუთვნოდა, ვენესუელის სახელმწიფო საკუთრება გახდა.



ნავთობის მოპოვება მარაკაიბოს ტბის დასავლეთ სანაპიროზე.

აურაცხელი რაოდენობის ნავთობის ექსპორტთან ერთად, ჩრდილოამერიკულ კომპანიებს უკანასკნელ ხანებში გამალებით გაჰქონდათ ვენესუელიდან მაღალხარისხოვანი რკინის მადანი. მისი უმდიდრესი საბადოები გვიანის ზეგანზე აღმოაჩინეს. აქვე მოიპოვებენ ოქროს, ალმასსა და მანგანუმს. მაგრამ მათი მოპოვება სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ძნელად მისადგომია, ალმასის ძიების ადგილებში სურსათსაც კი თვითმფრინავით აწვდიან.

იქმნება შავი მეტალურგია, კერძოდ, მილების წარმოება ნავთობგაზგაყვანილობისათვის. განვითარდა დამამუშავებელი მრეწველობის სხვა დარგები — კვების, ქიმიური, საფეიქრო.

ვრცელ, ნაყოფიერ მიწებზე შეიძლება სხვადასხვა ტროპიკული და სუბტროპიკული კულტურების მოყვანა და სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება. მაგრამ მიწათმოქმედებისათვის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 1,5%-ია გამოყენებული და ქვეყანა იძულებულია საჭირო სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი (ხორბალი, ხორცი, კარაქი) შემოიტანოს. მემამულეებს ბევრი მიწა აქვთ. პლანტაციებში საექსპორტოდ მოჰყავთ ყავა, კაკაო, შაქრის ლერწამი. გლეხები იჯარით აღებულ პაწია ნაკვეთზე თესენ სიმინდს, პარკოსნებს. მოსახლეობა ძირითადად ბოსტნეულითა და ხილით იკვებება.

ქალაქი კარაკასი მთებში, ზღვის დონიდან 950 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მართალია, ლა-გუაირას ნავსადგურიდან კარაკასამდე პირდაპირ 14,5 კმ-ია, მაგრამ მატარებელი მთებში უხვევს და 37 კმ-ს გადის. მეორე მოკლე ხაზზე კი ვალენსიიდან კარაკასამდე 217 ხიდი და 86 გვირაბია! კარაკასში ბევრი ძველებური შენობაა ესპანური კოლონიზაციის დროიდან შემორჩენილი, მაგრამ აქ თანამედროვე არქიტექტურის ნაგებობანიც ბლომადაა, აგებულია ცათამბჯენები. ასობით ათასი ღატაკი უბადრუკ ქოხებში — რანჩიტოსებში ცხოვრობს. ეს ქოხები ქალაქის გარშემო, მთის კალთებზეა მიფენილი. ღარიბთა დასახლებებში არ არის სკოლა, საავადმყოფო, ელექტროგანათება, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია.

ეროვნული თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებისათვის ბრძოლაში წამყვანი როლი ვენესუელის კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის (დაარსდა 1931 წ.). იგი თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავს მშრომელთა ინტერესებს, მხარს უჭერს მთავრობას ნაციონალიზაციის საქმეში და მოუწოდებს ყველა პატრიოტული ძალის გაერთიანებისაკენ.

ვირჯინიის კუნძულები

ვირჯინიის არქიპელაგი კარიბის ზღვაში 100-ზე მეტი დიდი და პატარა კუნძულისაგან შედგება. არქიპელაგის ნაწილი (ფართობი — 153 კვ. კმ, მოსახლეობა — 10,5 ათასი კაცი) დიდი ბრიტანეთის სამფლობელოა. კოლონიის ადმინისტრაციული ცენტრია ერთადერთი ქალაქი და ნავსადგური როდ-ტაუნი (ტორტოლას კუნძულზე).

ეს კუნძულები დიდხანს იყო მეკობრეთა თავშესაფარი. შემდგომ ისინი ინგლისელებმა დაიპყრეს და 1762 წ. ინგლისის კოლონიად გადააქციეს.

ვირჯინიის კუნძულების ეკონომიკას მთლიანად აკონტროლებს ინგლისის მონოპოლიები. მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბოსტნეული, ხილი, განვითარებულია თევზჭერა.

მრეწველობა წარმოდგენილია შაქრისა და რომის დამამზადებელი პატარა საწარმოებით. დიდ როლს თამაშობს ტურიზმი.

ვირჯინიის კუნძულების მეორე ჯგუფი (ფართობი 344 კვ. კმ., მოსახლეობა 100 ათასი კაცი, უმთავრესად ზანგები) აშშ-ის სამფლობელოა. ადმინისტრაციული ცენტრია შარლოტა-ამალია (სენტ-ტომასის კუნძულზე).

წინათ ეს კუნძულები დანიისა იყო, მაგრამ 1917 წელს იგი მიჰყიდეს აშშ-ს. კოლონიას გუბერნატორი მართავს, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა. მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბოსტნეული და ხილი. მოსახლეობის დიდი ნაწილი თევზჭერას მისდევს. განვითარებულია ტურიზმი (იხ. რუკა „მცირე ანტილის კუნძულები“, გვ. 448).

მთები და ბორცვები გარს შემოერტყმის სენტ-ტომასის უბეს. აქ არის ქალაქი — შარლოტა-ამალია — ადმინისტრაციული ცენტრი ვირჯინიის კუნძულების იმ ნაწილისა, რომელიც აშშ-ის სამფლობელოში შედის.

იამაიკა

იამაიკა.
ფართობი — 11,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 2,1 მლნ. კაცამდე.
დედაქალაქი — კინგსტონი (614 ათასი მცხოვრები გარეუბნებიანად).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

კუნძული აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა 1494 წელს და მას სახელად სანტიაგო უწოდა, მაგრამ დამახინჯებული სახით შემორჩა ინდიური სახელწოდება იამაიკა („წყაროთა კუნძული“).



კინგსტონი — იამაიკის დედაქალაქი.



კუნძულის დიდი ნაწილი უჭირავს კირქვიან ზეგანს კარსტული ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მთებია გადაჭიმული.

აქ ტროპიკული, ნოტიო ჰავაა. კუნძულის ცენტრში და მთების ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე დაბურული მარადმწვანე ტროპიკული ტყეებია. სამხრეთის სანაპირო დაბლობზე სავანები ჭარბობს.

იამაიკა მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულით. მას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ბოქსიტების მარაგით, ხოლო მეორე — მისი მოპოვებითა და ექსპორტით. აქვეა რკინის მადნის მარაგი, თაბაშირი, მარმარილო. აქ მოიპოვებენ ბუნებრივ ასფალტს. უკანასკნელ წლებში ვითარდება დამუშავებითი მრეწველობის დარგები. მაგრამ იამაიკა დიდად არის დამოკიდებული უცხოეთის კაპიტალზე.

სოფლის მეურნეობაში დაკავებულია მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი. მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბანანები, ციტრუსები, წიწაკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იამაიკაზე გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ინგლისი ცდილობდა არ დაეკარგა კონტროლი კარიბის ზღვაში თავის სამფლობელოებზე და 1958 წ. შექმნა ეგრეთ წოდებული ვესტინდოეთის ფედერაცია, რომლის შემადგენლობაშიც, იამაიკის გარდა, შედიოდა ტრინიდადი და ტობაგო, ბარბადოსი და სხვა კუნძულები. მაგრამ შექმნილმა ფედერაციამ მცირე ხანს იარსება. 1962 წლის მაისში იგი დაიშალა, ხოლო იმავე წლის აგვისტოში იამაიკის ხალხმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწია.

სახელმწიფოს მეთაური ნომინალურად არის ინგლისის დედოფალი, მის მაგივრად ქვეყანას მართავს გენერალ-გუბერნატორი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, რომელიც შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან.

მმართველი პარტია სახალხო ეროვნული პარტიაა; მან 1978 წელს მიიღო პროგრამა „ეროვნული დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის“, რითაც დაადასტურა სოციალისტური ორიენტაციისა-

კენ აღებული კურსი. იამაიკაზე მოქმედებენ სხვა პარტიებიც: ლეიბორისტული, მუშათა პარტიები, კომუნისტური პარტია (დაარსდა 1975 წელს).

ქვეყნის მშრომელები იბრძვიან აგრარული გარდაქმნისათვის, უცხოეთის კაპიტალის ძალმომრეობის შეზღუდვისათვის, უმუშევრობის წინააღმდეგ.

იამაიკის მთავრობა ცდილობს გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. გარედან დაწოლის მიუხედავად მან ურთიერთობა დაამყარა კუბასთან; გამოთქვამს მოსაზრებას ლათინური ამერიკის ქვეყნებთან აშშ-ის არათანასწორუფლებიან ურთიერთობათა გადასინჯვის შესახებ.

კაიმანის კუნძულები

კარიბის ზღვის სამ კუნძულზე — დიდ კაიმანზე, პატარა კაიმანსა და კაიმან-ბრაკზე — 13 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ფართობი — 259 კვ. კმ-ია. ადმინისტრაციული ცენტრი — ჯორჯტაუნი.

ეს კუნძულები დიდი ბრიტანეთის კოლონიაა. ისინი იამაიკის შემადგენლობაში შედიოდნენ მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1962 წ.). ქვეყანას მართავს ინგლისის დედოფლის მიერ დანიშნული გუბერნატორი.



მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ზვიგენებისა და ზღვის კუს ჭერაა. კუს სპეციალურ ფერმებშიც აშენებენ. განვითარებულია პალმის ბაგირების წარმოება. მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა ტურიზმი.

კანადა

კანადა.
ფართობი — 9976,19 ათასი კმ².
მოსახლეობა — 23,6 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ოტავა (700 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენები — ინგლისური და ფრანგული.

კანადას ფართობით მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია სსრკ-ის შემდეგ. ქვეყნის მეტი ნაწილი იმავე გეოგრაფიულ განედებზეა, რომელზეც ჩვენი ქვეყანაა. კანადის უკიდურესი სამხრეთი იმავე განედზეა, რომელზეც საქართველო, ხოლო კანადის არქტიკული არქიპელაგის კუნძულები დაახლოებით 1000 კმ-ით არის დაცილებული ჩრდილოეთი პოლუსიდან.

კანადა საოცრად მდიდარია ტყეებით, სასარგებლო წიაღისეულით, ბეწვიანი ცხოველებით. მის ტერიტორიაზე წყლის ენერგიის დიდი მარაგის მქონე უამრავი მდინარე მიედინება. სამხრეთში კი ნაყოფიერი მიწების ვრცელი მასივებია გადაჭიმული.

კანადის პირველი კოლონისტები იყვნენ ფრანგები, რომლებიც XVII ს. დასაწყისში წმ. ლავრენტის მდინარის ნაპირებზე დასახლდნენ. კანადას მაშინ ახალ საფრანგეთს უწოდებდნენ. საფრანგეთის სავაჭრო კომპანიებმა აქ ფაქტორიები დააარსეს. ისინი სწრაფად მდიდრდებოდნენ — დიდი მოგება მოჰქონდა ინდიელებისაგან მუქთად ნაყიდ ძვირფას ბეწვეულს.

კანადური ძვირფასი ბეწვით ინგლისელებიც დაინტერესდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის რაზმებს შორის მუდამ ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები. თივთიკ-ქურქის კომპანიები, რომლებიც კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს, მოტყუებითა და მოსყიდვით ცდილობდნენ მიემხროთ ინდიელთა ტომები, არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ ერთმანეთისათვის წაეკიდებინათ, მიყრუებულ რაიონებში გადაესახლებინათ ისინი. ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა ვერ იტანდა რეპრესიებს და თანდათან გადაშენების გზას ადგებოდა. ახლა ინდიელები და ესკიმოსები ქვეყნის მოსახლეობის 1%-ზე ოდნავ მეტს შეადგენენ.

1763 წ. ინგლისსა და საფრანგეთს შორის შვიდწლიანი ომის შედეგად კანადა ინგლისის სამფლო-



ბელოდ იქცა. კანადაში ამ დროს 70 ათასი ევროპელი ცხოვრობდა. ამათგან 60 ათასზე მეტი ფრანგი იყო. ფრანგებმა ახალ საფრანგეთში გადაიტანეს თავისი ენა, ზნე-ჩვეულებანი და ფეოდალური სამშობლოს ეკონომიკური ურთიერთობანი.

აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს კანადაში 30 ათასზე მეტი ამერიკელი კოლონისტი გადმოსახლდა. XVIII ს. დასასრულისათვის ქვეყანაში კანადელი ერის ჩამოყალიბების ორი კერა შეიქმნა: საფრანგეთის კანადა (ახლანდელი კვებეკის პროვინცია) და ინგლისის კანადა (ახლანდელი ონტარიოს პროვინცია). კანადის ამ ორ პროვინციას შორის დღესაც საკმაოდ რთული ურთიერთობა არსებობს. არსებობს საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ძალები, რომელნიც მოითხოვენ კვებეკის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფას.

როგორც კი აშშ-მა დამოუკიდებლობა მოიპოვა, იმწამსვე დაინტერესდა ინგლისის კოლონიებით. 1846 წ. 49-ე პარალელი გამოცხადდა საზღვრად აშშ-სა და კანადას შორის. მაგრამ ამის შემდეგაც ხდებოდა კანადის მიწისათვის შეიარაღებული შეტაკებები. ჩრდილო ამერიკაში თავისი კოლონიების დასაცავად ინგლისი იძულებული იყო გაეერთიანებინა ისინი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ამიტომ 1867 წ. იგი ფედერაციად გადააქციეს. კანადა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ პირველ დომინიონად გამოცხადდა. ინგლისის მთავრობა ხელს უწყობდა მეტროპოლიიდან კანადაში ემიგრაციას. 1885 წ. კანადის ატლანტის და წყნარი ოკეანის სანაპიროები ტრანსკანადურმა რკინიგზამ შეაერთა.

კანადის სოფლის მეურნეობაში გამოიყენეს ამერიკული კაპიტალიზმის განვითარების მეთოდები. ნაყოფიერ სტეპურ პროვინციებში (მანიტობა, სასკაჩევანი და ალბერტა) გადმოსახლებულებს თითქმის უსასყიდლოდ ურიგებდნენ მიწის დიდ ნაკვეთებს. XX ს. დასაწყისში კანადა მსოფლიო ბაზარზე ხორბლის უდიდეს მიმწოდებლად იქცა.

რკინიგზების აშენებისა და პრერიების დასახლების შემდეგ დაიწყეს ქვეყნის მინერალური და ენერგეტიკული სიმდიდრეების ათვისება. XX ს. დასაწყისში ამერიკულმა და ინგლისურმა კომპანიებმა ააგეს პირველი მაღაროები, ჰიდროელექტროსადგურები, ცელულოზა-ქაღალდის და მეტალურგიული ქარხნები. კანადა ფერადი მეტალურგიის (ალუმინის, ტყვიის, თუთიის, ნიკელის, სპი-

ლენძის), ხის მასის, საგაზეთო ქაღალდის, ხე-ტყის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი გახდა. 1903 წლიდან 1914 წლამდე კანადაში 2,5 მილიონამდე კაცი გადმოსახლდა. ინგლისელების გარდა ჩამოსახლდნენ გერმანელები. სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან, ყოფილი ავსტრია-უნგრეთიდან, მეფის რუსეთიდან (განსაკუთრებით უკრაინიდან) და სხვა ქვეყნებიდან. ამჟამად ანგლო-კანადური მოსახლეობა თითქმის ნახევარია, ხოლო ფრანკო-კანადელები — მეოთხედზე მეტი. გარდა ამისა, აქ ბლომად ცხოვრობენ გერმანელები, უკრაინელები, იტალიელები, ჰოლანდიელები.

კანადა განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეექვსე ადგილი უკავია სამრეწველო პროდუქციის გამოშვებით. მოსახლეობის ერთ სულზე გამოშვებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მხოლოდ აშშ-სა და შვეიცარიას ჩამორჩება. კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში კანადის წილი 3,1%-ს აღწევს, მაშინ, როდესაც მისი მოსახლეობა მხოლოდ 0,6%-ის ტოლია.

კანადის სოფლის მეურნეობის, სამთამადნო და სატყეო მრეწველობის დიდი ნაწილი საექსპორტოდ მიდის. ომის შემდგომ პერიოდში კანადის მეურნეობაში გაიზარდა აშშ-ის მონოპოლიების როლი, ხოლო ინგლისისა და კანადის ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო ურთიერთობანი მნიშვნელოვნად შესუსტდა. გარდა გადამმუშავებელი მრეწველობის მსხვილი ქარხნებისა, ამერიკულმა მონოპოლიებმა კანადაში შექმნეს მრავალრიცხოვანი საწარმოები, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ ქვეყნის უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეებს.

კანადა რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, შევხედოთ მას ტურისტის თვალით, რომელიც ატლანტის ოკეანედან წყნარ ოკეანემდე მოგზაურობს. როდესაც თვითმფრინავით მივუახლოვდებით კანადას, ილუმინატორიდან გამოჩნდება უამრავი თევზსაჭერი გემი. აქა-იქ მზეზე ელვარებენ აისბერგები.

ნიუფაუნდლენდის კუნძულის მახლობლად არის უზარმაზარი მეჩეჩები (ბენკები). ამ მეჩეჩებზე ყოველწლიურად უამრავი ვირთევზას გუნდი იყრის თავს. აქ ყოველწლიურად 500 ათას ტონაზე მეტ თევზს იჭერენ, რაც მთელი კანადის თევზჭერის ნახევარია. აქაურ სარეწებში შემოდიან აშშ-ის, იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის გემები.

პარლამენტის შენობა.
კანადის დედაქალაქი — ოტავა.

კუნძული ნიუფაუნდლენდი ჩრდილოეთი ამერიკის ერთ-ერთი უმთავრესი საწყლოსნო არტერიის, წმ. ლავრენტის შესასვლელთან მდებარეობს. კუნძულზე ცოტა ქალაქებია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სანაპიროზე აქა-იქ გაფანტულ მეთევზეთა დაბებში ცხოვრობს. კუნძულის დასავლეთი მხარე დაფარულია ხშირი წიწვიანი ტყით. აქ ბევრია ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი. კანადას ცელულოზისა და ქაღალდის მასის წარმოების მიხედვით კაპიტალისტურ სამყაროში მეორე ადგილი უკავია (აშშ-ის შემდეგ), საგაზეთო ქაღალდის წარმოების მხრივ კი — პირველი. მათი დიდი ნაწილი კანადას აშშ-სა და ინგლისში გააქვს.

კანადის ზღვისპირა პროვინციები — ახალი შოტლანდია, ნიუ-ბრანსუიკი და პრინც ედუარდის კუნძული — ისტორიის ადრეულ პერიოდში ქვეყ-



მონრეალი.
ნავსადგური წმ. ლავრენტის მდინარეზე.

ნის მეურნეობაში წამყვან როლს თამაშობდნენ. მაგრამ ისინი თავიანთ მნიშვნელობას კარგავდნენ ქვეყნის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილების კოლონიზაციის შესაბამისად. ზღვისპირა პროვინციების მოსახლეობის უმრავლესობა ბრიტანეთის კუნძულებიდან გამოსულთა შთამომავლები არიან. ესენი არიან მძიმე შრომას შეჩვეული, გარეგნულად პირქუში ადამიანები: მეთევზეები, მეზღვაურები და ტყისმჭრელები. განსაკუთრებით განვითარებულია მრეწველობა ახალ შოტლანდიაში. აქ, ქალაქ სიდნიში, ქვანახშირის საბადოების რაიონში წარმოიშვა შავი მეტალურგია. პროვინციის მთავარ ქალაქ ჰალიფაქსში განვითარებულია ნავთობდამმუშავებელი მრეწველობა, გემთმშენებლობა და ავიამშენებლობა.

ატლანტის ოკეანის სანაპიროს დიდ ტბებთან აერთებს წმ. ლავრენტის მდინარე. ეს არის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზა, მაგრამ ჭორომები ხელს უშლიდა გემებს შესულიყვნენ ოკეანიდან ტბებში. 1959 წ. დამთავრდა საზღვაო გზის მშენებლობა წმ. ლავრენტის მდინარეზე. ახლა უკვე დიდ ტბებამდე წმ. ლავრენტის გავლით საზღვაო გემები შედის. ამ სანაოსნო მაგისტრალით გამოაქვთ ტვირთი კანადიდან და აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწველო რაიონებიდან. მდინარე მჭიდროდ დასახლებული კვებეკის პროვინციის სამხრეთ რაიონების გავლით მიედინება; მის ნაპირებზე გაბნეულია უამრავი ფერმა, რომლებიც გარშემორტყმულია დამუშავებული მიწებით, ბოსტნებითა და ბაღებით. პროვინციის მთავარ ქალაქ კვებეკში 500 ათასი კაცი ცხოვრობს. ამავე პროვინციაშია კანადის უდიდესი ქალაქი მონრეალი (დაახლ. 3 მლნ. მცხოვრები). მსოფლიოს არც ერთ ქალაქში, პარიზის გარდა, არ ცხოვრობს იმდენი ფრანგულად მოლაპარაკე, რამდენიც — მონრეალში. ქალაქი ვრცელ კუნძულზეა გაშენებული. მის საქმიან ცენტრში აღმართულია ბანკების, სადაზღვერვო კომპანიების, სავაჭრო და სამრეწველო ფირმების ცათამბჯენები.

მონრეალი აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების სამრეწველო შტატებს ესაზღვრება. ქალაქს ზედ ეკვრის წიწვოვანი ტყის დიდი მასივები, რკინის მადნის დიდი საბადოები და წყლის ენერგიით მდიდარი მდინარეები. მონრეალი კანადის უდიდესი სამრეწველო ცენტრია. აქ არის ნავთობდამმუშავებელი, ენერგეტიკული, კვებისა და კანადის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ნახევარი.

მონრეალის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობს მისი მოსახერხებელი სატრანსპორტო მდებარეობა. წმ. ლავრენტის მდინარე ქალაქს აკავშირებს დიდ ტბებთან და ატლანტის ოკეანესთან. მონრეალი კანადის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო ტვირთგადასაცლელი პუნქტია. იგი ქვეყნის ყველაზე დიდი კულტურული ცენტრია. აქ არის სამი უნივერსიტეტი — ერთი ფრანგული და ორი ინგლისური, თეატრები, მუზეუმები, ქვეყანაში უდიდესი ტელე და რადიოსტუდიები. 1967 წ. აღინიშნა ჩრდილოეთი ამერიკის ინგლისის დაქსაქსული კოლონიების კანადის ფედერაციად გაერთიანების ასი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით მონრეალში გაიხსნა მსოფლიო გამოფენა

„ექსპო—67“. მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პავილიონი საბჭოთა პავილიონი იყო.

მონრეალთან ახლოს არის კანადის დედაქალაქი ოტავა. ეს შედარებით პატარა, წყნარი ქალაქია; აქ არ არის მსხვილი სამრეწველო საწარმოები, სამაგიეროდ, ბევრია სამინისტროები, უცხო სახელმწიფოთა საელჩოები, ჩინოვნიკთა და დიპლომატთა ცალკე სახლები. ოტავის ცენტრში დგას კანადის პარლამენტის შენობა, რომელიც ლონდონის პარლამენტის შენობის რამდენადმე შემცირებული ასლია. ქალაქში არის ორი უნივერსიტეტი, ინგლისური და ფრანგული, დიდი ბიბლიოთეკები, ეროვნული გალერეა, მუზეუმი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

დედაქალაქის სამხრეთით ბევრი ფერმაა. თითოეული მათგანი სპეციალიზდება ცალკეული კულტურების: კომბოსტოს, სალათის, კიტრის ან კენკროვანების მოყვანაში. დიდი ტბების სანაპიროებზე ათობით ქალაქი ენაცვლება ერთურთს. ესაა კანადის ინდუსტრიული გული. ამ ქალაქთაგან ბევრი კანადის მრეწველობის ცალკეულ დარგებში წამყვან როლს თამაშობს: სარნიაში ქიმიური ქარხნებია, ჰამილტონში — შავი მეტალურგია, ოშავასა და უინსორში — ავტომშენებლობა, პორტ-კოლბორნში ადნობენ ნიკელს. პროვინცია ონტარიოს მთავარ ქალაქ ტორონტოში ჭარბობს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური ქარხნები, პოლიგრაფიული და ფეხსაცმლის საწარმოები.

ცენტრალური პროვინციების სამრეწველო ქალაქების ჩრდილოეთით გადაჭიმულია სუსტად ათვისებული ტერიტორიები. გეოლოგები ამ მხარეს კანადის ფარს ეძახიან, რადგან მისი ნიადაგი მყარ კრისტალურ ქანებზე ძევს. კანადის ფარი წიწვოვანი ტყითაა დაფარული, აქ ბევრი ტბა და ჭაობია. კანადის ფარის წიაღში აღმოაჩინეს რკინის მადნის, აზბესტის, ურანის, პოლიმეტალური მადნების და სხვა იშვიათი ლითონების უმდიდრესი საბადოები. ამ მხარის მდინარეები ძალზე მდიდარია წყლის ენერგიით და მოსახერხებელია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ონტარიოსა და კვებეკის პროვინციებში შექმნილიყო ფერადი მეტალურგიისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მსხვილი ცენტრები.

დიდი ტბების დასავლეთით გადაშლილია კანადის სტეპების თვალუწვდენელი სივრცეები. აქ ერთმანეთისაგან მოშორებით გაბნეულია ფერმები. იშვიათად შეხვდებით ბეტონის ელევატორებს ან ნავთობის ჭაბურღილებს. სულ ახლახან აქ მხოლოდ სოფლის მეურნეობა იყო განვითარებული, ახლა კი ეკონომიკის წამყვანი დარგი მრეწველობა გახდა. 1947 წ. აღმოაჩინეს გაზისა და ნავთობის საბადოები და აქვე ააშენეს ნავთობგადასამუშავებელი და ქიმიური ქარხნები.

ალბერტის პროვინციის დასავლეთ საზღვართან აღმართულია დიდებული კორდილიერები. პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბია, რომელსაც კანადელები მთათა ზღვას ეძახიან, მთლიანად მთებს უკავია. მზეზე ელვარებენ თოვლიან მწვერვალთა პიკები. მუქმწვანე წიწვოვანი ტყე თითქმის უწყვეტ საფარად შეჰფენია მთათა კალთებს. ხეობებში თეთრი ენებივით გაწოლილა მყინვარები. ხევებში მიიჩქარიან მთის ხმაურიანი მდინარეები. ბრიტანეთის კოლუმბიის ყველაზე დიდი მდინარე — ფრეიზერი — კანიონში მიედინება. იქ, სადაც ფრეიზერი ერთვის წყნარ ოკეანეს, გაშენებულია ქალაქი ვანკუვერი — მთელი დასავლეთი კანადის მთავარი ეკონომიკური ცენტრი. ქალაქი ამფითეატრივით ეშვება წყნარი ოკეანის სანაპიროსაკენ. მაღალი მთებით დაცული ვანკუვერი თითქმის არ განიცდის არქტიკული ქარების გავლენას. წყნარი ოკეანის თბილი და ნოტიო სუნთქვა მთელს კანადაში ყველაზე რბილ ჰავას ქმნის. თითქმის ათი თვის განმავლობაში ბანაობენ ვანკუვერელები წყნარ ოკეანეში და თითქმის მთელი წელი შეუძლიათ მათ თხილამურებით სრიალი ქალაქის გარშემო მთების კალთებზე. პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის მთავარი სიმდიდრეა ტყე. თბილსა და ნოტიო ჰავაში ხეები სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კანადის სხვა რაიონებში. ბევრია ტყეებში მუქწიწვიანი დუგლასის სოჭი და გიგანტური ტუია. ტუიას სიმაღლე 80 მ-ს აღწევს, შტამბის დიამეტრი — 4,5 მ-ს, მისი მერქანი ულპობია.

კანადის წყნარი ოკეანის ნაპირები ღრმა ფიორდებითაა დასერილი. ერთ-ერთი ასეთი ფიორდის ნაპირას, რომელსაც დუგლასის უბე ჰქვია, მდებარეობს ქალაქი კიტიმატი. აქ ალუმინის დიდი ქარხანაა. ელექტროენერგიას ქარხანას აწვდის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგური კემანო. ტურბინები დგას სამანქანო დარბაზში, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი. ტურბინებამდე წყალი გვირაბით მიედინება მაღლა მთებში მოწყობილი

წყალსაცავიდან. ამ ხელოვნური ჩანჩქერის ვარდნის სიმაღლე 700 მ-ია. იგი თოთხმეტჯერ მაღალია ნიაგარის განთქმულ ჩანჩქერზე.

დასავლეთი კანადის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობა თავისებურია. აქ ჯერ კიდევ იგრძნობა „პირველადმომჩენთა სული“. მცხოვრებთა შორის საკმაოდ ბევრია ინდიელები. ტურისტები იშვიათად ნახულობენ კანადის ამ მიყრუებულ კუთხეს. ადგილობრივი ინდიელები (სამხრეთელ მოძმეთაგან განსხვავებით) სახეს არ ისვირინგებენ, არც ჭრელი ტანსაცმელი და ნაირფერი ფრთები ამშვენებს მათ გარეგნობას. ადგილობრივი ინდიელების უმთავრესი საქმიანობაა მებაღეობა, თევზჭერა და ნადირობა.

კანადის ჩრდილოეთში მოიპოვება ოქრო, რკინის მადანი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ურანი და იშვიათი ლითონები.

აქ ძალიან ცოტა მაცხოვრებელია — სულ რაღაც 60 ათასი კაცი, უმთავრესად ესკიმოსები და ინდიელები. ისინი მისდევენ თევზჭერას, მეირმეობასა და ნადირობას. ზოგიერთი აშშ-ის სამხედრო ბაზებში, აეროდრომებსა და რადიოლოკაციურ სადგურებში შავ მუშად მუშაობს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კანადის ჩრდილოეთში სწრაფად განვითარდა სამთომოპოვებითი მრეწველობა, მიუხედავად იმისა, რომ აქ საკმაოდ მძიმე კლიმატური პირობები და მუშახელის ნაკლებობაა მომგებიანი წარმოების ორგანიზაციისათვის. აქ მსხვილ (ხანდახან მსოფლიოში უდიდეს) საწარმოებს ქმნიან, ყველაზე მოწინავე ტექნიკას იყენებენ.

ომის დაწყებამდე კანადას რკინის მადანი სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდა, მაგრამ ახლა, ლაბრადორის რკინის მადნის საბადოების ათვისების შემდეგ, მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში რკინის მადნის ექსპორტით.

კანადა შედის თანამეგობრობაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთი უდგას სათავეში. სახელმწიფოს მეთაურია ინგლისის დედოფალი, მისი წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი. მას კანადის მთავრობასთან შეთანხმებით ნიშნავენ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც შედგება თემთა პალატისა და სენატისაგან.

კანადაში რამდენიმე პოლიტიკური პარტიაა (პროგრესულ-კონსერვატიული, ლიბერალური, ახალი დემოკრატიული და სოციალური კრედიტის). ადგილების ყველაზე მეტი რაოდენობა პარლამენტში ლიბერალურ პარტიას ეკუთვნის. მეორე უდიდესი პარტიაა პროგრესულ-კონსერვატიული პარტია. ორივე პარტია მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია.

კანადის კომუნისტური პარტია დაარსდა 1921 წ. იგი იბრძვის სოციალური გარდაქმნებისათვის, ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. კანადელი კომუნისტები მოითხოვენ კანადის გამოსვლას ნატოს შემადგენლობიდან, მხარს უჭერენ ნეიტრალიტეტს, გამოდიან აშშ-ის მონოპოლიების ძალადობის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის გაყიდვის წინააღმდეგ, მოითხოვენ მრეწველობის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციას.

1949 წლიდან კანადა ნატოს აგრესიული ბლოკის წევრია. კანადელი მშრომელები თანდათან რწმუნდებიან, რომ ბლოკებში მონაწილეობა ქვეყნის ინტერესებს არ პასუხობს. ისინი თანდათან აძლიერებენ ბრძოლას მშვიდობისათვის.

კოლუმბია

კოლუმბიის რესპუბლიკა.
ფართობი — 1138,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — 26 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ბოგოტა (3 მლნ. მცხოვრები გარეუბნებიანად).
ოფიციალური ენა — ესპანური.

1499 წელს ალონსო დე ოხედამ და ამერიგო ვესპუჩიმ აღმოაჩინეს მანამდე უცნობი ქვეყანა. იგი უმთავრესად დასახლებული იყო ინდიელ ჩიბჩას ტომებით. მალე აქეთ ოქროსა და ვერცხლის საძებნად დაიძრნენ ესპანელი დამპყრობნი. ქვეყანა, ახალ გრანადას რომ ეძახდნენ, 300 წელი ესპანეთის კოლონია იყო. კოლონიზატორები სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ ინდიელებს. სასოწარკვეთილი მკვიდრი მოსახლეობა არაერთგზის აჯანყებულა ესპანელთა წინააღმდეგ.

1819 წ. ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა დიდი კოლუმბიის (ეწოდა კოლუმბის პატივსაცემად) ფედერაციის შემადგენლობაში. 1886 წლიდან კოლუმბია დამოუკიდებელი ცენტრალიზებული



რესპუბლიკაა. მისი ბუნებრივი სიმდიდრე — ოქრო, ნავთობი, ვერცხლი, ზურმუხტი კვლავ იზიდავდა იმპერიალისტ მძარცველებს, განსაკუთრებით კი აშშ-ის კაპიტალისტებს. უცხოეთის მონოპოლიებმა თანდათან დააწესეს კონტროლი ამ სახელმწიფოს ეკონომიკის ბევრ დარგზე.

ქვეყანას მართავს პრეზიდენტი. იგი მთავრობის სათავეში დგას. კანონებს გამოსცემს კონგრესი, რომელიც სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან შედგება. კოლუმბიაში ორი ძირითადი ბურჟუაზიული პარტიაა: ლიბერალური და კონსერვატიული.

კოლუმბიელთა შორის ბევრი მეტისია. ინდიელები 300—400 ათასი კაცი დარჩა. მათი უმრავლესობა ქვეყნის სამხრეთში ცხოვრობს.

კოლუმბიის დასავლეთი ნაწილი მთაგორიანია. აქ გადაჭიმულია კორდილიერების ოთხი მთაგრეხილი — სანაპიროს, დასავლეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთის. ეს დიდი ქედები თითქმის პარალელურად მიუყვებიან ერთმანეთს, ალაგ-ალაგ მათ ამშვენებენ მაღალი თოვლიანი მწვერვალები. მთების კალთები ტენიანი მარადმწვანე ტყეებითაა დაფარული. აქ ბლომადაა პალმის, კაუჩუკოვანი, ქინაქინისა და წითელი ხეები. კორდილიერების ქედებს ჰყოფს კოლუმბიის უდიდესი მდინარე მაგდალენა და მისი შენაკადი კაუკა. ქვეყნის აღმო-



კოლუმბიის დედაქალაქის — ბოგოტას ცენტრი.

სავლეთი ნაწილი ნოტიო ტყითა და სავანებით დაფარული ვაკეა.

ქალაქი ბოგოტა ქვეყნის შუაგულში, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ეს არის თანამედროვე ქალაქი, კარგად დაგეგმარებული დიდი მოედნებითა და განიერი პროსპექტებით. აქ ბევრი ლამაზი შენობაა, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კაპიტოლიუმის უზარმაზარი თეთრი ნაგებობა, სადაც მოთავსებულია კონგრესი. ქალაქში ბევრი დიდებული მონუმენტია, მაგალითად, კოლუმბიის პირველი პრეზიდენტის, ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის მებრძოლი გმირის სიმონ ბოლივარის ძეგლი.

დედაქალაქი კარიბის ზღვის სანაპიროდან შორს მდებარეობს. ცუდი გზების გამო მასთან კავშირი გაძნელებულია. გასულ საუკუნეში თითქმის ერთადერთი სატრანსპორტო მაგისტრალი იყო მდინარე მაგდალენა, რომელიც დედაქალაქს ზღვასთან აკავშირებდა. საზღვაო ნავსადგურ ბარანკილიადან ბოგოტამდე მისვლას თითქმის მთელი თვე სჭირდებოდა. ახლა საჰაერო მიმოსვლით ბოგოტამდე მგზავრობის დრო 1—2 საათამდე შემცირდა.

კოლუმბიის თითქმის მთელი მოსახლეობა თავმოყრილია ქედებს შორის ხეობებში, პლატოებზე და სანაპიროს ზოგიერთ რაიონებში, სადაც ჰავა და ნიადაგები ყველაზე უფრო ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. აქ ცხოვრობენ ევროპელთა შთამომავალნი (კრეოლები), მეტისები (მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი), ინდიელები, ზანგები, მულატები.

კოლუმბია განვითარებადი ქვეყანაა. უმნიშვნელოვანესი კულტურაა ყავა. ყავის წარმოებით მას მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ბრაზილიის შემდეგ. კოლუმბიის ყავა ძალზე არომატულია და ძვირადაც ფასობს. აქვე მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბანანი, სიმინდი, ბრინჯი, ხორბალი, ბამბა, თამბაქო, კარტოფილი. ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობა.

ნავთობის ექსპორტს ყავის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს, მაგრამ ქვეყანაში მოპოვებული ნავთობის 88% უცხოეთის კაპიტალზე მოდის. 1954 წ. ამუშავდა კოლუმბიაში პირველი მეტალურგიული კომბინატი.

კოლუმბიელი ხალხი მძიმე მდგომარეობაშია. ქვეყანაში 1,5 მლნ-მდე უმუშევარია (1974 წ.). მუშები ძალზე დაბალ ხელფასს იღებენ. კოლუმბიის დედაქალაქის ჯურღმულები — ეგრეთწოდებული შავი ზონები — მუყაოს, ფანერისა და თუნუქისაგან შეკოწიწებული უბადრუკი ქოხმახების გროვაა. კიდევ უფრო უარესია გლეხების მდგომარეობა. 1 მლნ გლეხს არა აქვს მიწა, 280 ათას გლეხს მხოლოდ მიწის პატარა ნაჭერი გააჩნია, რომელიც საარსებოდ არ ჰყოფნის. მემამულეებს კი გამოსადეგი ფართობის $^2/_3$ ეკუთვნით.

თვალუწვდენელი პლანტაციების მფლობელი მემამულეებისა და ამერიკელი მონოპოლისტების მიერ არაადამიანური ექსპლუატაცია აიძულებს სოფლის ღარიბებს მიიტაცონ მემამულეთა მამულები და დაუმუშავებელი მიწები. მთავრობა ასეთ ადგილებში აგზავნის დამსჯელ ექსპედიციებს, რათა გაუსწორდნენ „აჯანყებულებს“. მოსახლეობის 30% წერა-კითხვის უცოდინარია, ქვეყანაში ცოტაა სკოლები, არადამაკმაყოფილებელია სამედიცინო მომსახურება.

კოლუმბიის მშრომელები, ახალგაზრდობა, მოწინავე ინტელიგენცია იბრძვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელფასის მომატებისათვის, აგრარული რეფორმისა და ხალხის ინტერესების გამომხატველი სხვა სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის, უცხოეთის მონოპოლიების მოძალების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში უდგას კოლუმბიის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1930 წ.). 1979 წლის მიწურულს კომპარტიასთან ერთად სხვა პროგრესული ორგანიზაციებიც გაერთიანდა.



ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი ბარანკილიაში.

კოსტა-რიკა

კოსტა-რიკის რესპუბლიკა.
ფართობი — 50,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — 2,07 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სან-ხოსე (228,3 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

კოსტა-რიკა (ესპანურად — „მდიდარი ნაპირი“) ცენტრალური ამერიკის პატარა სახელმწიფოა.

კოსტა-რიკა აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა. ესპანელებმა იგი დაიპყრეს 1513 წ. მათი ბატონობა დამთავრდა 1821 წ., ხოლო 1838 წ. კოსტა-რიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყო.

სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა საკანონმდებლო ასამბლეა.

ქვეყნის ზედაპირი მთაგორიანია, ჰავა — სუბეკვატორული. კარიბის სანაპიროსა და ცენტრალური პლატოს ნოტიო ტყეებში იზრდება ხეთა ძვირფასი ჯიშები (კედარი, წითელი და ვარდის-

ყავა კოსტა-რიკის ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრეა. მოსავლის აღების ჟამს ყავის პლანტაციებს მკრეფავთა არმია ავსებს. სურათზე თქვენ ხედავთ მკრეფავ გოგონას.

ფერი ხე). მდიდარი და მრავალფეროვანია კოსტა-რიკის ცხოველთა სამყარო. სანაპირო წყლებში ბევრი თევზი და ზღვის ცხოველია.

კოსტა-რიკა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა — კრეოლები — ესპანელი კოლონიზატორების შთამომავალნი არიან.

კოსტა-რიკის ეკონომიკაში გაბატონებულია ამერიკული კომპანია „იუნაიტედ ფრუტი“. იგი აკონტროლებს ბანანის, ყავის, კაკაოს წარმოებას. მის ხელთაა სატრანსპორტო საშუალებათა დიდი ნაწილი. მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. უმთავრესად არის ნედლეულის გადამმუშავებელი და მერქნის დამამზადებელი პატარა საწარმოები.

კოსტა-რიკა ლათინური ამერიკის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არა ჰყავს რეგულარული არმია.

ქვეყნის პროგრესული ძალები, რომელსაც სათავეში უდგას კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდი — კომუნისტების პარტია (დაარსდა 1931 წ.), ძირითადი სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის იბრძვიან.

ბურჟუაზიული პარტიებიდან აღსანიშნავია: ეროვნული განთავისუფლების, ეროვნული გაერთიანების, ეროვნულ-დამოუკიდებელი და სოციალისტური პარტიები.

კოსტა-რიკამ, პირველმა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის, დაიწყო პოლიტიკური ურთიერთობის და აქტიური სავაჭრო კავშირის განვითარება საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური პრეზიდენტია. პარლამენტს საკანონმდებლო ასამბლეა ეწოდება.

კუბა

კუბის რესპუბლიკა.
ფართობი — 110 992 კმ².
მოსახლეობა — 9,7 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ჰავანა (1,9 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

კუბის რესპუბლიკა მდებარეობს კუნძულ კუბაზე კარიბის ზღვაში, დიდი ანტილის არქიპელაგის ყველაზე დიდ კუნძულზე. კუბის შემადგენლობაში შედის აგრეთვე პატარა კუნძულები — ლოს-კანარეოსის არქიპელაგი კუნძულ პინოსთან ერთად (უწინ ეს კუნძულები მეკობრეთა თავშესაფარი იყო), არქიპელაგები: კამაგუეი, ხარდინეს-დე-ლა-რეინი და სხვ.

ქ. კოლუმბმა 1492 წ. აღმოაჩინა კუბა. იგი ესპანელთა ერთ-ერთი პირველი კოლონია იყო ახალ მიწაზე. 400 წლის შემდეგ პუეტრო-რიკო და კუ-

ბაღა შემორჩათ ესპანელ კოლონიზატორებს მთელს დასავლეთ ნახევარსფეროში.

ანტილის არქიპელაგის კუნძულებზე ესპანელთა მოსვლამდე ცხოვრობდნენ მშვიდობიანი ინდიელი ტომები. ესპანელებმა ადგილობრივი მოსახლეობა გაჟლიტეს. ის, ვინც გადარჩა, მაღაროებში ღაფავდა სულს. ათასობით უდედმამო ბავშვი შიმშილით კვდებოდა. XVI ს-ის ესპანელი ჰუმანისტი ბართოლომეო ლას კასასი წერდა, იმაზე საშინელი მონობა, რაც კონკისტადორებმა თავს მოახვიეს ინდიელებს, ჯერ მსოფლიოს არ ახსოვსო.

როდესაც დამპყრობლები მიხვდნენ, რომ ინდიელი მოსახლეობის გაჟლეტასთან ერთად სამუშაო ძალაც გაქრებოდა, მათ დაიწყეს აფრიკიდან მონა-ზანგების შემოყვანა. სწორედ კარიბის ზღვის კუნძულების მოსახლეობის უმრავლესობა შერეულია, ძირითადად კი ზანგებია. კუბელების ნახევარზე მეტი მულატები და ზანგები არიან.

1895 წ. კუბაზე აჯანყებამ იფეთქა. ამ აჯანყების სულისჩამდგმელი იყო გამოჩენილი რევოლუციონერი, პოეტი და ფილოსოფოსი ხოსე მარტი. აჯანყება საერთო სახალხო ომად იქცა. ესპანეთს უკვე აღარ შეეძლო ამ ომში გამარჯვება. სადაცაა კუბა თავისუფლებას იზეიმებდა. 1898 წ. გაზაფხულზე კუბელებისადმი დახმარების მოტივით აშშ ომში ჩაება. სინამდვილეში კი მას უნდოდა კუნძულს დაპატრონებოდა. მართალია, კუბა ესპანელთა ბატონობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ თავისუფლების პირველი დღე დაპყრობის დღედ იქცა. ახლა აშშ გაბატონდა კუბაში. კუბა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ ჩრდილოამერიკელმა იმპერიალისტებმა იგი, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავსად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაიმორჩილეს.

კუბა ტროპიკულ სარტყელში მდებარეობს, მაგრამ პასატებისა და ბრიზების, ასევე, ზომიერი ნალექების წყალობით აქ არ იცის აუტანელი სიცხე და არც მეტისმეტი სინესტე. კუბაში არ არის წელიწადის ოთხი დრო — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. აქ მხოლოდ ორი სეზონია — მშრალი და წვიმიანი.

წარსულში თითქმის მთელი კუნძული დაფარული იყო პალმების, წითელი ხის, კედრის და ფიჭვის ტყეებით. ახლა ტყეს ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 10 პროცენტიღა უჭირავს. უზარმაზარ ფართობზე გაჩეხეს ტყე. XVIII—XIX სს. მისი ადგილი თითქმის მთლიანად შაქრის ლერწამმა დაიკავა. შაქრის ლერწმის მოსავალსა და შაქრის გასაღებაზეა დამოკიდებული მთელი ქვეყნის მეურნეობა.

სანტიაგო-დე-კუბასთან, სიერა მაესტრას მთისწინეთში, ყავის პლანტაციებია გაშენებული; კუბის ბაღებსა და პლანტაციებში ხარობს ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მანგო, ქოქოსის კაკალი, ბანანი. ბანანი პურზე იაფია. მას ჭამენ უმად, შემწვარს და მოხარშულს. ბოსტნეულებიდან უმთავრესად მოჰყავთ პამიდორი და ტკბილი კარტოფილი — ბატატი. კუბის დასავლეთ ნაწილში — პინარ-დელ-რიოს პროვინციაში მოჰყავთ თამბაქო. თამბაქოს პროდუქციის ნახევარზე მეტი კუბას საზღვარგარეთ გააქვს. ჰავანის სიგარები მთელს მსოფლიოშია ცნობილი.

კუბაში თავმოყრილია ნიკელის მადნის მსოფლიოს მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი. არის აგრეთვე რკინის, ქრომის, კობალტის საბადოები. ამერიკელი კოლონიზატორები კუბაში მომგებიანად ჰყიდდნენ ლითონის მზა ნაწარმს, ამიტომ მათ ხელს არ აძლევდა აქ სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

კუბა სუსტად განვითარებული ქვეყანა იყო, ამერიკული იმპერიალიზმის კოლონიური დანამატი აქ შემორჩა. უმსხვილესი პლანტაციები და შაქრის ქარხნები ამერიკელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. ისინი კუბას თავის „საშაქრეს“ ეძახდნენ. აშშ-ს კუბიდან გაჰქონდა აგრეთვე ხილი, საადრეო ბოსტნეული, რომი. თავად კუბელებს არ ჰქონდათ ბრინჯი, ხორცი, კვერცხი, ხორბალი, სამრეწველო საქონელი, რომლებიც მათ აშშ-დან შემოჰქონდათ.



ხოსე მარტის ძეგლი
რევოლუციის მოედანზე ჰავანაში.

რევოლუციის გამარჯვებამდე კუბაში შემორჩა მსხვილი მემამულური მეურნეობები — ლატიფუნდიები. მთელ დღეს ცხენით რომ გევლოთ, ერთი მემამულის ადგილ-მამულსაც ვერ შემოივლიდით. გლეხთა უმრავლესობა უმიწაწყლო იყო, ისინი მსხვილ მემამულეთაგან იჯარით იღებდნენ მიწის პატარა ნაგლეჯს, ანდა იძულებულნი იყვნენ იჯარით ემუშავათ. კუბაში ასეულ ათასობით უმუშევარი იყო, მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ იცოდა წერა-კითხვა, ადამიანები უბადრუკ ქოხებში ცხოვრობდნენ.

კუბელ ხალხს არ სურდა ეცხოვრა უწინდებურად. ფართოვდებოდა კუბელ კომუნისტთა გავლენა. პროამერიკული რეაქციული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება რევოლუციური ახალგაზრდობა — სტუდენტობა. 1953 წლის 26 ივლისს დიდ საპორტო ქალაქ სანტიაგო-დე-კუბაში 150 ახალგაზრდისაგან შემდგარი ცუდად შეიარაღებული რაზმი მოულოდნელად დაესხა თავს მონკადის ყაზარმას, სადაც 2000 ჯარისკაცი იყო. თავდამსხმელებს იმედი ჰქონდათ ჯარისკაცები მოულოდნელობისაგან დაიბნევიანო, მაგრამ ასე არ მოხდა. ახალგაზრდები დამარცხდნენ. ბევრი მათგანი მოკლეს. მამაცთა ხელმძღვანელი — ჰავანელი ახალგაზრდა ადვოკატი ფიდელ კასტრო, მისი ძმა რაული, მათი თანამებრძოლები დაიჭირეს და კუნძულ პინოსზე, ციხეში ჩასვეს. ასე დაიბადა „26 ივლისის მოძრაობა“. ფიდელ კასტრო მაშინ 26 წლისა იყო, ასევე ახალგაზრდები იყვნენ მისი თანამებრძოლებიც. მთელი ქვეყანა მოითხოვდა მათ განთავისუფლებას. ახალგაზრდებმა მოახერხეს ციხიდან გამოქცევა და მექსიკაში წავიდნენ. იქ მათ დაიწყეს მზადება პარტიზანული ომისათვის, რათა განეგრძოთ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა. თვით კუბაში იქმნებოდა ადგილობრივი ორგანიზაციები „26 ივლისის მოძრაობა“.

1956 წ. ნოემბრის წვიმიან დღეს, მექსიკის ნაპირებიდან კუბისკენ პატარა ორანძა ნავი „გრანმა“ გავიდა. ხომალდზე იყო 82 კაცი ფიდელ კასტროს მეთაურობით. მას უნდა გადაეცურა მშფოთვარე მექსიკის ყურე და ორიენტეს პროვინციაში ჩაეშვა ღუზა. პროვინციის დედაქალაქში, ქალაქ სანტიაგო-დე-კუბაში, ამ დღეს ადგილობრივი რევოლუციონერები უნდა აჯანყებულიყვნენ. ამით ისინი პოლიციის ყურადღებას მიიპყრობდნენ და ხომალდიც უდავიდარაბოდ შემოვიდოდა, მაგრამ ქარიშხალმა სანდალი შეაფერხა. იგი დათქმულ დროზე ვერ მოადგა ნაპირს, აჯანყება სანტიაგოში ჩაახშვეს. სანდალი ჭაობიან ნაპირთან მეჩეჩზე დაჯდა. აჯანყებულები იძულებული იყვნენ ჭაობი გადაელახათ. მალე ისინი მტრის ცეცხლში მოხვდნენ, ბევრი დაიღუპა, გადარჩენილები სიერა-მაესტრას მთებს შეეფარნენ. აქ, ტყეებში, კუბის ყველაზე მაღალი მთის (ტურკინოს პიკი) კალთებზე თორმეტკაციანი რაზმი შეიკრიბა. მათ დაიწყეს გმირული ბრძოლა ოცდაათათასიანი არმიის წინააღმდეგ, რომელიც შეიარაღებული იყო ამერიკული იარაღით — არტილერიით, ნაღმსატყორცნებით, თვითმფრინავებით. სიერა-მაესტრას მთებში კუბელი ხალხის ათასობით შვილი — ქალიშვილი და ჭაბუკი შეიკრიბა. ერთ წელიწადში აჯანყებულებმა გაათავისუფლეს ორიენტეს პროვინციის ნაწილი. 1958 წლის ბოლოს აჯანყებულთა არმიამ ორ კოლონად შეუტია კუბის მთავარ ქალაქს — ჰავანას. ყოველ რაიონში მათ უერთდებოდა ასობით და ათასობით გლეხი, ისინი მზად იყვნენ გაენადგურებინათ საძულველი ამერიკული მონოპოლიების ბატონობა. 1959 წ. 1 იანვარს რევოლუ-

ციამ გაიმარჯვა. ეს დღე ახლა კუბელთა ეროვნული დღესასწაულია.

რევოლუციურმა მთავრობამ უპირველესად გადაწყვიტა გაეუმჯობესებინა მშრომელთა საცხოვრებელი პირობები: ერთიორად შემცირდა საბინაო გადასახადები, სახელმწიფო სახსრებით დაიწყო ხალხისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, გადიდდა პენსიები და მუშათა ხელფასი, გაიაფდა სამედიცინო მომსახურება.

1959 წ. მაისის აგრარული რეფორმის შესახებ კანონით მიწა ჩამოართვეს მსხვილ მემამულეებს და აშშ შაქრის კომპანიებს. ყოფილი მემამულური მეურნეობის ადგილას ასობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და სახალხო მამული შეიქმნა. მოიჯარე გლეხებმა მიიღეს მიწა პირად საკუთრებაში და ბევრი მათგანი კოოპერატივებში გაერთიანდა.

„კარიბის ზღვის მარგალიტი“, ასე უწოდებენ კუბას, იმთავითვე იზიდავდა უცხოელ ტურისტებს. ახლა ტურიზმი კუბელებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა, ვარადეროს სახელგანთქმულ პლაჟზე შესანიშნავ სასტუმროებში მუშები და გლეხები ისვენებენ. ლამაზ ადგილებში ტურისტული ბაზები აშენდა.

რევოლუციური მთავრობის მიერ გატარებულმა გარდაქმნებმა ქვეყნის განვითარებას შეუწყო ხელი. მაგრამ შეილახა ჩრდილოამერიკელი და ადგილობრივი კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესები. ამიტომ აშშ-მა დაიწყო ბრძოლა რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. აშშ-ის ნავთობის კომპანიებმა შეწყვიტეს მისთვის ნავთობის მიყიდვა. კუბამ საბჭოთა კავშირიდან მიიღო ნავთობი, მაგრამ კომპანიებმა უარი განაცხადეს თავიანთ ქარხნებში მის გადამუშავებაზე. მაშინ კუბის მთავრობამ ამ ქარხნების ნაციონალიზაცია მოახდინა. ამის პასუხად აშშ-მა უარი განაცხადა კუბის შაქრის შესყიდვაზე. 1961 წლის აპრილში აშშ-მა მოაწყო კუბელი კონტრრევოლუციონერების შეიარაღებული თავდასხმა დაბა პლაია-ხირონში. კონტრრევოლუციონერები დამარცხდნენ.

კუბის ეკონომიკური ბლოკადის ცდები ჩაიშალა. გმირულმა კუნძულმა ერთგული მეგობარი ჰპოვა საბჭოთა ხალხის სახით. საბჭოთა კავშირი შეუდგა კუბის შაქრის შესყიდვას, მისცა მას აუცილებელი საქონელი. იგი კუბას დაეხმარა იმ საშინელ მძიმე წლებში. რევოლუციურ კუბას სხვა სოციალისტური ქვეყნებიც დაეხმარნენ. კუბა მტკიცედ დაადგა სოციალისტური საზოგადოების შენების გზას.

მოძმე ქვეყნების და უპირველესად საბჭოთა კავშირის დახმარებით, აიგო ელექტროენერგეტიკული, მანქანათმშენებლობის და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები, ამუშავდა ნიკელის კომბინატი. ბევრ ქვეყანაში გააქვს კუბას ნიკელი, რომლის მდიდარი მადნები კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზეა. შეიქმნა თანამედროვე თევზსაჭერი ფლოტი. მთლიანად ალმოიფხვრა უმუშევრობა — რევოლუციამდელი კუბის ეს საშინელი უბედურება.

ეკონომიკის მთავარი დარგი ჯერჯერობით სოფლის მეურნეობაა. ძირითადი კულტურა შაქრის ლერწამია. მსოფლიოში შაქრის წარმოების მიხედვით კუბა მეორე ადგილზეა საბჭოთა კავშირის შემდეგ (ოღონდ კუბაში შაქარს ლერწმისაგან აწარმოებენ, ჩვენში კი ჭარხლისაგან). მაგრამ ჯერ ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება ლერწმის აღება. ეს ძალზე ძნელი სამუშაოა. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის აღების მექანიზაციას. მოსკოვის ახლოს, ლიუბერცში, საბჭოთა ინჟინრებმა კუბელ სპეციალისტებთან ერთად შექმნეს სპეციალური კომბაინები. 1976 წ. ამ კომბაინებით მოსავლის 30%-ზე მეტი აიღეს, ხოლო 1980 წ. მექანიზებული წესით მთელი ლერწმის $^4/_5$. საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებენ კომბაინების ქარხანას, მალე საკუთრივ კუბა გამოუშვებს ქვეყნისათვის ამ მეტად საჭირო მანქანებს.

ბევრი კეთდება იმისათვის, რომ კუნძული დიდი ბაღი გახდეს და უხვად იძლეოდეს ხილს. გაიზარდა ბრინჯის, სორგოს, სიმინდის ნათესები; ნახევარკუნძულ საპატაზე აშრობენ დაჭაობებულ მიწას. შეიქმნა მელორეობის მეურნეობები. გაიზარდა ხენეკენის ნარგავები, რომლის ბოჭკოსაგან ამზადებენ სატომრეებსა და თოკებს. ხენეკენის მოყვანით კუბა მეორე ადგილზეა მსოფლიოში, მექსიკის შემდეგ.

განზრახულია მაღალპროდუქტიული და ამასთან ერთად ტროპიკული ხავის გამძლე მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება. ამისათვის გამოჰყავთ ახალი ჯიშები. მთლიანად მექანიზებული მეფრინველეობის ფერმები წელიწადში 1,5 მლრდ.-ზე მეტ კვერცხს იძლევიან.

საბჭოთა ტექნიკის დახმარებით ქვეყანაში შე-

ქმნილია თანამედროვე თევზის მრეწველობა. ფლოტილიები 165 ათას ტონაზე მეტ თევზს, ლანგუსტსა და ზღვის სხვა პროდუქტებს ტვირთავენ ჰავანის ნავსადგურის უშველებელ მაცივარსა და გადამმუშავებელ ქარხნებში. წინათ კი ზღვაში მხოლოდ მარტოხელა მეთევზეები გადიოდნენ.

კუნძულის სამხრეთით, განძთა ლაგუნაში, შექმნილია უნიკალური ნიანგთსაშენი. ნიანგის ტყავისაგან მზადდება ქალის ჩანთები, ფეხსაცმელი და სხვა ნაწარმი, მათზე მოთხოვნილება ძალზე დიდია.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობა სახალხო განათლებას. რევოლუციის პირველსავე წლებში იმდენი სკოლა გაიხსნა, რამდენიც მთლიანად იყო წინა 50 წლის განმავლობაში. ლათინური ამერიკის ისტორიაში პირველად მის ერთ-ერთ ქვეყანაში — კუბაში პრაქტიკულად ლიკვიდირებულ იქნა უწიგნურობა. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში გახსნილია საუნივერსიტეტო ცენტრები. ატარებენ პროგრამას „სკოლა მინდვრად“. 15—17 წლის ბავშვები ახალ, შესანიშნავ სკოლებში მიდიან. ეს სკოლები სოფლების მახლობლადაა აშენებული, უმთავრესად ისეთ რაიონებში, სადაც ციტრუსები მოჰყავთ. ისინი აქ ერთმანეთს უთავსებენ შრომასა და სწავლას. მეცადინეობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. თვეში ერთხელ ბავშვები რამდენიმე დღით უბრუნდებიან ქალაქს, საკუთარ ოჯახს. განსაკუთრებით ბევრია ასეთი სკოლები კუნძულ პინოსზე. ამ კუნძულს ახლა ახალგაზრდობის კუნძულს ეძახიან.

ლამაზია კუბის დედაქალაქი ჰავანა. იგი ქვეყნის დიდი ნავსადგური და მთელი ვესტ-ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. აქ მუშაობს ათობით ფაბრიკა, ნავსაშენში არემონტებენ გემებს. ჰავანაშია უნივერსიტეტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, მუზეუმები.

კუბის საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელი ძალაა კუბის კომუნისტური პარტია, რომელიც ოფიციალურად 1965 წელს მთელი ქვეყნის რევოლუციური ძალების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. 1975 წ. დეკემბერში შედგა მისი პირველი ყრილობა, რომელმაც დაისახა კუბის რევოლუციის შემდგომი განვითარების, ფართო ინდუსტრიალიზაციით ეკონომიკის აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამა.

1976 წ. თებერვალში გამოცხადებული კონსტიტუციის შესაბამისად, კუბის რესპუბლიკა მუშათა, გლეხთა და სხვა ფიზიკურ და გონებრივ მუშაკთა სოციალისტური სახელმწიფოა. უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, ხალხის რჩეულნი ეროვნულ ასამბლეაში შედიან. საკანონმდებლო ორგანო თავისი დეპუტატებისაგან ქმნის სახელმწიფო საბჭოს, რომელიც მუშაობს ეროვნული ასამბლეის სესიების შუა პერიოდში. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერთდროულად სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია.

რევოლუციის შემდეგ განუზომლად გაიზარდა კუბის საერთაშორისო ავტორიტეტი. მის ხმას მთელი მსოფლიო აპყრობს ყურს. ლათინური ამერიკის სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ამყარებს კუბასთან სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომელიც ადრე აშშ-ის ზეგავლენით დარღვეული იყო.

კუბა ლათინური ამერიკის პირველი ქვეყანაა, იმპერიალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური უღლისაგან მთლიანად რომ განთავისუფლდა, ამერიკის კონტინენტის პირველი ქვეყანა, რომელიც სოციალიზმს აშენებს. 1972 წ. კუბა შევიდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში, რათა უკეთ წარმართოს თავისი ეკონომიკის განვითარება მსოფლიო სოციალისტურ სისტემასთან კავშირში.

1979 წელს ჰავანაში ჩატარდა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა VI კონფერენცია, რაც კუბის საერთაშორისო როლის აღიარებას ნიშნავდა.

მარტინიკა

მცირე ანტილის არქიპელაგის ცენტრალური ნაწილის დიდი მთიანი კუნძული ძველთაგანვე იპყრობდა კოლონიზატორების ყურადღებას. 1674 წ. ეს კუნძული ფრანგებმა დაიპყრეს.

კუნძული მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად: სამხრეთი (ნაკლები ფართობის და ვაკე) და ჩრდილოეთი (დაფარულია ვულკანური პიკებით), რომელთა შორის ყველაზე მაღალია მოქმედი ვულკანი მონტან-პელე (1397 მ). 1902 წ. ამ ვულკანმა

კატასტროფულად ამოხეთქა. მთების კალთებზე იზრდება პალმები, წითელი, ვარდისფერი, ბაყმის, პურის ხე, ხეგვიმრები.

მარტინიკის ფართობი 1,1 ათასი კვ. კმ.-ია, მოსახლეობა — 335 ათასი კაცი, უმთავრესად მულატები და ზანგები. ადმინისტრაციული ცენტრი — ფორ-დე-ფრანსი (იხ. რუკა „მცირე ანტილის კუნძულები“, 448 გვ.).

ეკონომიკის საფუძველია პლანტაციური მეურნეობა, რომელიც სპეციალიზდება შაქრის ლეროწმის, ბანანის, კაკაოს, ყავისა და ანანასის მოყვანაზე. მუშაობენ შაქრის, სპირტისა და რომის, საკონსერვო, შოკოლადის ქარხნები. თითქმის მთელი მიწა და წარმოების საშუალებები ადგილობრივ მსხვილ ბურჟუაზიას — 10 ოჯახს ეკუთვნის, რომლებიც ფრანგულ კაპიტალთანაა დაკავშირებული.

1946 წ. მარტში მარტინიკას მიენიჭა სტატუსი საფრანგეთის „ზღვისგაღმა დეპარტამენტისა“.

აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნულ პრეფექტს. არის არჩევითი გენერალური საბჭოც, რომლის უფლებები შეზღუდულია.

მარტინიკის ხალხი იბრძვის ნამდვილი ავტონომიის მოპოვებისათვის. ამ ბრძოლას სათავეში უდგას მარტინიკის კომუნისტური პარტია.

მექსიკა

მექსიკის შეერთებული შტატები.
ფართობი — 1972,5 ათასი კმ².
მოსახლეობა — 63,5 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მეხიკო (გარეუბნებიანად დაახლ. 11 მლნ. მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

მექსიკა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე მოთავსდებოდა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და იტალია ერთად აღებული.

მექსიკის მოსახლეობის უმეტესობა ესპანელ-ინდიელთა შენარევები — მეტისები არიან. აქ 17 მლნ.-ზე მეტი ინდიელი ცხოვრობს (აცტეკები, მაია და სხვ.).



სახელმწიფო წყობით მექსიკა ფედერაციული რესპუბლიკაა. ქვეყნის სათავეში დგას პრეზიდენტი. შედგება 31 შტატისა და 1 სადედაქალაქო ფედერალური ოლქისაგან. ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ კონგრესს, რომელიც სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან შედგება.

მექსიკა ჩრდილოეთი ტროპიკის ორივე მხარეზე მდებარეობს. ლამაზი და მრავალფეროვანია მისი ბუნება. დიდებული, თეთრქუდიანი ვულკანები, კლდოვანი ქედები, მარადმწვანე ტროპიკული ტყეები და მზისაგან გადახრუკული უდაბნოები. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი უკავია მექსიკის მთიანეთს — გვალვიან ვაკეს, რომელსაც ქედები სერავენ. მთიანეთის უსიცოცხლო ლანდშაფტს უცნაური კაქტუსები და აგავები ამკობენ. მექსიკაში კაქტუსის ასობით სახეობა ხარობს; — რანაირ კაქტუსს არ შეხვდებით აქ, — მწვანე, სანთლისებური კაქტუსით დაწყებული, პატარა ზღარბივით ჩხვლეტია კაქტუსით დამთავრებული. კაქტუსი და აგავა კვებავს და მოსავს მექსიკელ გლეხს. აგავის ბოჭკოსაგან ამზადებენ ბაგირებსა და უხეშ ქსოვილებს, მისი წვენისაგან კი პულკეს — მათრობელა სასმელს. კაქტუსის ნაყოფს საჭმელად იყენებენ.

მექსიკის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მშრალი კონტინენტური ჰავაა. აქ განვითარებულია მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობებია მთიანეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც ცხელი და ტენიანი ჰავაა. მთათა კალთები და სანაპირო დაბლობები დაფარულია მარადმწვანე

ძველ ინდიელთა კულტურის. ტოლტეკების ძეგლები. ესღა გადარჩათ მათ დედაქალაქ ტულასაგან.

ტროპიკული ტყეებით და სავანებით. ტყეებში იზრდება ხეთა ძვირფასი ჯიშები: წითელი, რკინის, საიბა, მექსიკური კვიპაროსი.

მექსიკა ინდიელთა უძველესი კულტურის ქვეყანაა. ეს კულტურა ბარბაროსულად დაანგრიეს ესპანელმა დამპყრობლებმა. ზოგიერთი რამ ძველ ინდიელთა კულტურიდან მექსიკაში დღემდეა შემორჩენილი. სადღესასწაულო დღეებში მექსიკელები ძველი ტრადიციების მიხედვით აწყობენ კარნავალებს. მოზეიმეებს ტანთ ინდიელთა სამოსი აცვიათ, სახეზე ცხოველთა ნიღბები აქვთ აფარებული, ხოლო თავსამკაულად ფრინველთა ფრთები ჰხურავთ. ხალხში ცოცხლობს ინდიელთა ლეგენდები და ზღაპრები. მექსიკურ ენას ბევრი სიტყვა შემოუნახავს ინდიელთა ენიდან, ხოლო ზოგიერთი მათგანი — მაგალითად, „შოკოლადი“ — ინტერნაციონალურ სიტყვადაც იქცა.

მაიას ტომის კულტურა ერთ-ერთი უძველესია ძველ ინდიელთა კულტურებს შორის. ისინი იყვნენ შესანიშნავი ასტრონომები და მათემატიკოსები, მშენებლები და არქიტექტორები, აგებდნენ საფეხურებიან პირამიდებს, ბარელიეფებითა და საოცარი ფერადოვანი მოხატულობებით დამშვენებულ მრავალსართულიან შენობებს.

მაიას კულტურის აყვავება IV—X სს. მიეკუთვნება. უფრო გვიანი იყო მაიას დამპყრობლების, ტოლტეკების კულტურა. ტოლტეკები XIII ს. შეცვალეს ჩრდილოეთიდან მოსულმა აცტეკებმა. XV ს. მათ მძლავრი სახელმწიფო შექმნეს.

1521 წ. აცტეკების იმპერია ესპანელმა დამპყრობლებმა — კონკისტადორებმა დაამხეს. კონკისტადორებს მეთაურობდა კორტესი (იხ. სე ტ. 8, სტ. „ამერიკის უძველესი სახელმწიფოები და ესპანელი დამპყრობლები“).

1810 წ. იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა მ. იდალგო. ასე დაიწყო ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. მაგრამ ესპანელ კოლონიზატორთა უღლისაგან მექსიკა მთლიანად მხოლოდ 1821 წ. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ განთავისუფლდა.

თავისუფლების დასაცავად მექსიკელებმა არაერთხელ მიმართეს იარაღს. 1845 წ. ჩრდილოამერიკელმა დამპყრობლებმა ანექსია უყვეს მექსიკის შტატს ტეხასს, ხოლო დაპყრობითი ომის შედეგად 1846—1848 წწ. მექსიკას მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი გამოსტაცეს (დაახლოებით 2,3 მლნ. კვ. კმ). 1861 წ. ინგლისი, საფრანგეთი და ესპანეთი თავს დაესხნენ მექსიკას და მხოლოდ ექვსწლიანი სისხლისმღვრელი ომის შემდეგ განდევნეს მტერი საკუთარი მიწა-წყლიდან.

1910—1917 წწ. რევოლუციის დროს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მექსიკელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სული. აქედან დაედო სათავე გლეხთა მზარდ მოძრაობას. მას ხელმძღვანელობდნენ მექსიკის ეროვნული გმირები — ე. საპატა და ფ. ვილია.

1917 წ. მიღებულმა კონსტიტუციამ ერის საკუთრებად გამოაცხადა ქვეყნის მიწა, წიაღი და წყლები. ეს კონსტიტუცია აგრარული რეფორმის და უცხოეთის კაპიტალის ნაციონალიზაციის ჩატარების იურიდიულ საფუძვლად იქცა. მემამულეთა მიწების დაყოფა განსაკუთრებით ფართოდ 30-იან წლებში დაიწყეს. და მაინც, დღესაც მექსიკაში მილიონზე მეტი უმიწაწყლო გლეხია. მექ-

სიკის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა ლათინური ამერიკის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლაზე.

მექსიკის კომუნისტურმა პარტიამ (დაარსდა 1919 წ.) გააერთიანა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის და პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები, იგი თანმიმდევრულად გამოდის სრულიად დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნისათვის, უცხოეთის მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი წყობის დემოკრატიისათვის.

მექსიკა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა. ესაა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, რომლის მრეწველობა სწრაფად ვითარდება. ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ლათინურ ამერიკაში იგი მესამე ადგილზეა ბრაზილიისა და ვენესუელის შემდეგ.

მექსიკას ლათინურ ამერიკაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ფოლადის (30%-მდე), თუჯის (25%), ელექტროენერგიის (15—16%) წარმოებით. სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა მეტალურგიული, ქიმიური, საამშენებლო. და მაინც მექსიკა ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დონით ჩამორჩება კაპიტალისტური სამყაროს განვითარებულ ქვეყნებს.

მექსიკის ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენს უცხოეთის კაპიტალი, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები უკავია. უცხოეთის კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობა 3 მლრდ. დოლარზე მეტია, აქედან $^2/_3$ აშშ-ის მონოპოლიებზე მოდის. მექსიკაში თითქმის ყველა მსხვილ უცხოურ მონოპოლიებს აშშ-ის მონოპოლისტები უწევენ კონტროლს. განსაკუთრებით დიდია მათი გავლენა სამთამადნო მრეწველობაში. მექსიკის ექსპორტის $^2/_3$-მდე აშშ-ზე მოდის. ამ ბოლო ხანებში მექსიკის მთავრობა ცდილობს მოსპოს ვაჭრობაში ეს ცალმხრივობა და გააფართოოს ეკონომიკურ ურთიერთობათა გეოგრაფია.

სოფლის მეურნეობას მექსიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ მის განვითარებას ხელს უშლის სოფლად ფეოდალური ურთიერთობის გადმონაშთები.

მთავარი სასურსათო კულტურაა სიმინდი. მექსიკა სიმინდის სამშობლოდ ითვლება. სიმინდს უკავია მთელი დამუშავებული მიწის ფართობის $^2/_3$. და მაინც სიმინდის მოსავლიანობა აქ საკმაოდ დაბალია და მექსიკა ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე დგას მსოფლიოში, რაც აგროტექნიკის დაბალი დონით აიხსნება. აქ მოჰყავთ ხორბალი, პარკოსანი კულტურები, ბრინჯი, ჭერი. ტექნიკური კულტურებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხენეკენს (მსოფლიო წარმოების 90%-მდე), რომლის უხეში მცენარეული ბოჭკოსაგან მზადდება განსაკუთრებით გამძლე თოკები და ბაგირები. დიდი ფართობი უჭირავს ბამბის ნათესებს. აქ მოჰყავთ შაქრის ლერწამი და ყავა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოა. რგავენ თამბაქოსაც. მოჰყავთ სხვადასხვა ხილის კულტურები (ბანანი, ანანასი, მანგო, პაპაია).

დიდი ხანია მექსიკელი გლეხები მიწის ერთობლივი დამუშავებისათვის გაერთიანდნენ თემებად (ეხიდოსი). ასეთი თემის წევრებს მუდმივ სარგებლობაში აქვთ მიწის მცირე ნადელები (1 ჰამდე), რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემა. მიწა თემის საკუთრებაა. გლეხს არ შეუძლია გაყიდოს ან გასცეს თავისი ნადელი იჯარით. გლეხებს ერთობლივად ეკუთვნით, აგრეთვე, ტყეები, საძოვრები და პატარა სარწყავი არხები (დიდი საირიგაციო ნაგებობანი ჩვეულებრივ სახელმწიფოს ეკუთვნის). ეხიდოსის წევრთა უმრავლესობა ღარიბად ცხოვრობს. მაგრამ თემებს, რომლებსაც მოჰყავთ ბამბა, ხენეკენი, შაქრის ლერწამი, სა-



მექსიკელმა მხატვრებმა აღორძინეს ხელოვნების ეროვნული სახეობა — ფრესკები და მოზაიკები. საზოგადოებრივ შენობათა კედლები მოხატულია ქვეყნის ისტორიულ თემაზე შექმნილი ფრესკებით, წარსულს, ხალხის ყოფას, მის რევოლუციურ ბრძოლას რომ ასახავს. სურათზე: კავშირგაბმულობისა და მშენებლობის სამმართველო მეხიკოში.

ტრადიციული ინდიური ბაზარი ქალაქ ტოლუკაში. (დასავლეთ მექიკო).

ხელმწიფო ეხმარება (მანქანები, სასუქები). ამ თემებში გლეხთა ცხოვრების დონე ამაღლდა.

მექსიკა მდიდარია წიაღისეულით. მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ვერცხლის, ტყვიისა და თუთიის მოპოვების მიხედვით, რომელთა ბუდობები ძირითადად ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშია თავმოყრილი. უკანასკნელ წლებში მექსიკა გახდა მსოფლიოში გოგირდისა და თუთიის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი (საბადოები არის ტეუანტეპეკის ყელზე). აშშ-ის კომპანიები აკონტროლებენ ვერცხლის მოპოვების ნახევარზე მეტს, ტყვიისა და თუთიის მოპოვებას თითქმის მთლიანად.

მექსიკის ეკონომიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნავთობს. მექსიკის ყურის თითქმის მთელ სანაპიროზე უწყვეტ ზოლად გადაჭიმულია ნავთობის საბადოები. ნავთობის პირველი ჭაბურღილი დაიდგა ტამპიკოს რაიონში 1901 წ. მალე ინგლისელმა და ამერიკელმა კაპიტალისტებმა ხელთ იგდეს ნავთობის მთელი სარეწები. 1938 წ. მექსიკის მთავრობამ ნაციონალიზაცია გაუკეთა საწარმოებს, რომლებიც ნავთობის უცხოურ კომპანიებს ეკუთვნოდა. ეს იყო რევოლუციური ნაბიჯი და მან დიდი გავლენა მოახდინა ლათინური ამერიკის ხალხებზე. ცოტა მოგვიანებით მექსიკაში ნაციონალიზაცია გაუკეთეს რკინიგზის ტრანსპორტსა და ენერგეტიკას, — ასე იქმნებოდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის პირობები. ახლა სახელმწიფო სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მექსიკის ეკონომიკაში. 1973 წლის დასაწყისში მიიღეს კანონი უცხოეთის კაპიტალის მოქმედების შეზღუდვის შესახებ. მიუხედავად ამისა, მისი აქტივობა არ ცხრება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1978 წელს მექსიკაში აღმოჩნდა ნავთობის უმდიდრესი საბადოები (ვარაუდობენ, რომ მათი მარაგი პოტენციურად 30 მლრდ. ტონას უნდა აღემატებოდეს). აშშ-ის მთავრობამ ამის შემდეგ აღიარა, რომ მექსიკა გადაიქცა „უდიდეს ეკონომიკურ ძალად, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისათვის“. დაიწყო მოლაპარაკება აშშ-ისა და მექსიკის მთავრობებს შორის.

მექსიკის მსუბუქ მრეწველობაში — საფეიქრო, კვების, სამკერვალო, — უმთავრესად წვრილი საწარმოებია, სადაც ხელით შრომაა გამეფებული. მთელი ქვეყანა კუსტარული სარეწებითაა მოფენილი. ხალხური ხელოვნების ოსტატები ქმნიან ჩინებულ კერამიკულ ჭურჭელს, ქსოვილებს, ვერცხლის სამკაულებს.

მექსიკის დედაქალაქია მეხიკო — ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. მეხიკოში სამი ეპოქაა ერთმანეთში აღრეული: ქალაქში აღმართულია უძველესი დიდებული პირამიდები, პირქუში ბრწყინვალებით აღსავსე ესპანური კათოლიკური ტაძრები, თანამედროვე — მინისა და ბეტონისაგან ნაგები უზარმაზარი ცათამბჯენები. მეხიკოში საფეიქრო და კვების მრეწველობის ძველ საწარმოებთან ერთად განვითარებულია ლითონდამმუშავებელი, ავტო და ვაგონამწყობი, ელექტრომექანიკური, ნავთობდამმუშავებელი მრეწველობა.

ქალაქის ისტორიული ცენტრია სოკალოს მოედანი (კონსტიტუციის მოედანი). განსაკუთრებით



იუკატანის შტატის სამხრეთ აღმოსავლეთით, ვრცელ პლანტაციებში მოჰყავთ ტექნიკური კულტურა ხენეკენი (აგავის ერთ-ერთი სახეობა). მისი გამძლე ბოჭკოსაგან ამზადებენ ტომრებს, ბაგირებს, ჭილოფებს.

ხალხმრავალია იგი ღამით 15 და 16 სექტემბერს, როცა მექსიკა აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის დღეს. ალამედას მოედანზე აღმართულია ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა — ნატიფ ხელოვნებათა სასახლე. აქ მართავენ კონცერტებს, იდგმება ოპერები, მუდმივად მოქმედებს მექსიკის საბალეტო დასი. ამავე დროს ეს სასახლე მხატვრობის თავისებური მუზეუმია. მისი ცენტრალური ნაწილის კედლები მოხატულია მექსიკის კედლის მხატვრობის უდიდესი მხატვრების — დიეგო რივერას, ხოსე კლემენტე ოროსკოსა და დავიდ ალფარო სიკეიროსის მიერ. თავიანთ ნაწარმოებებში მათ ასახეს მექსიკის ისტორიის ღირსშესანიშნავი მომენტები კორტესის შემოჭრიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე (იხ. სე ტ. 12, სტ. „XX ს. კაპიტალისტური ქვეყნების ხელოვნება“). მეხიკოსა და მთელი მექსიკის ღირსშესანიშნაობაა ეროვნული უნივერსიტეტის ახალი შენობა.

მექსიკელები სიცოცხლისმოყვარე, მხიარული ხალხია. მათი სიმღერები და ცეკვები მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ქალაქებსა და სოფლებში ხშირად გაიგონებთ პოპულარულ მექსიკურ სიმღერებს, რომლებსაც სახალხო მომღერლები — მარიაჩისები ასრულებენ. მათ ასობით ხალხური და თანამედროვე კომპოზიტორების სიმღერები იციან. მექსიკელებმა ბევრი რამ შეითვისეს ესპანელებისაგანაც. ხარების ბრძოლა, ისევე როგორც ფეხბურთი, მექსიკელთათვისაც საყვარელ სანახაობად იქცა.

ესპანური და სხვა ევროპული ლიტერატურის გავლენით ვითარდებოდა მექსიკური ლიტერატურა, რომელიც გამოირჩევა ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიტერატურიდან. საქვეყნოდაა ცნობილი მექსიკელი მწერლები: ენრიკე გონსალეს მარტინესი, მარიანო ასუელა, ხოსე მანსისიდორი, კარლოს ფუენტესი.

მეხიკოდან ქვეყნის ყოველი კუთხით მიემართება რკინიგზები და გზატკეცილები. ისინი აერთებენ დედაქალაქს სხვა სამრეწველო ცენტრებთან. აღმოსავლეთით არის ვერაკრუსი — მექსიკის მთავარი ნავსადგური. დასავლეთით — გვადალაჰარა, — მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მექსიკის მეორე ქალაქი, ცნობილი სხვადასხვა საწარმოებით: ესენია ლითონდამმუშავებელი, საფეიქრო, ტყავის, კუსტარული კერამიკული საწარმოები. ჩრდილოეთით, მონტერეაში არის მექსიკის მეტალურგიული მრეწველობის უდიდესი საწარმოები.

იუკატანის ნახევარკუნძული, სადაც ამავე სახელწოდების შტატი მდებარეობს, მექსიკის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რაიონია. ნახევარკუნძულზე ნიადაგის ქვეშ ძევს ხსნადი ქანები — კირქვები. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ ნალექების საკმაო რაოდენობა მოდის, მდინარეები თითქმის არ არის. მთელი ტენი მიწის სიღრმეში იჟონება და იქმნება მიწისქვეშა ნაკადები. აქ წყალი ძვირად ფასობს. იუკატანის ნიადაგი და ჰავა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხენეკენის მოსაშენებლად. ამ მცენარის პლანტაციებს სახელმწიფოსათვის უდიდესი შემოსავალი მოაქვს.

იუკატანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი

ტროპიკული ტყეებითაა დაფარული. ამ ტყეების სიმდიდრეა ხე ჩიკლე. მისი წებოვანი წვენი საღეჭი რეზინის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აქედან საღეჭი კევი გავრცელდა არა მარტო აშშ-ში, არამედ ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. იუკატანის ნახევარკუნძულზეა შემორჩენილი უძველესი ტომის — მაიას ქალაქები უშმალი და ჩიჩენ-იცა. ამ ქალაქებში მრავალი ტურისტი ჩამოდის.

მექსიკის მთავრობა ცდილობს გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი, საერთაშორისო არენაზე იცავს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, მხარს უჭერს საერთაშორისო განიარაღებას. ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის 1924 წ. მექსიკამ პირველმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან.

ინდიელთა სოფელი.

ნიკარაგუა

ნიკარაგუას რესპუბლიკა.
ფართობი — 148 ათასი კმ².
მოსახლეობა — 2,31 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მანაგუა (400 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. მოსახლეობის 69% — მეტისები, 17% — ევროპელთა შთამომავალნი, დანარჩენები — ზანგები და ინდიელები არიან.

XVI ს. 20-იან წლებში ესპანელებმა დაიწყეს ნიკარაგუას დაპყრობა, რას შემდეგ ესპანელებმა აქ თითქმის სამას წელიწადს იბოგინეს. მხოლოდ 1821 წ. მიაღწია ნიკარაგუამ დამოუკიდებლობას.

შემდგომ ნიკარაგუას არაერთხელ განუცდია უცხოელთა შემოსევა. 1912 წლიდან 1933 წლამდე მისი ოკუპირება მოახდინეს აშშ-ის ჯარებმა. 1927 წ. ჩრდილოეთი ამერიკის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ გაიმართა დიდი პარტიზანული ომი, რომელსაც სათავეში ედგა ნიკარაგუას ეროვნული გმირი ს. აუგუსტო სანდინო. 1934 წ. იგი ვერაგულად მოკლეს, მის თანამებრძოლებს კი მხეცურად გაუსწორდნენ. 1936 წლიდან ქვეყანაში სამხედრო-პოლიტიკური დიქტატურა დამკვიდრდა. მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს.

ქვეყნის ეკონომიკა თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით (ოქრო, ვერცხლი, ვოლფრამი, რკინის მადანი, ხე-ტყის ძვირფასი ჯიშები) დიდად არის დამოკიდებული ჩრდილოამერიკულ კაპიტალზე. ქვეყანას საექსპორტოდ გააქვს ბამბა, ხორცი, ყავა, შაქარი.

1948 წ. ნიკარაგუას მმართველებმა მონაწილეობა მიიღეს კოსტა-რიკის დემოკრატიული ძალების ჩახშობაში. 1954 წ. ისინი იყვნენ გვატემალაში კონტრრევოლუციური გადატრიალების თანამონაწილენი. 1961 წ. ნიკარაგუას ტერიტორიაზე მზადდებოდა კუბაში კონტრრევოლუციონერთა შეჭრის გეგმა. 1965 წ. ნიკარაგუას მთავრობამ დომინიკელთა რესპუბლიკაში გაგზავნა ჯარი, რომე-

ლიც შედიოდა აშშ-ის მიერ ინტერვენციის დასაფარავად შექმნილ საერთო ამერიკულ ძალებში.

ნიკარაგუა ლათინური ამერიკის ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მმართველებმაც თავის დროზე გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ აშშ-ის მხარეზე ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიულ ომში.

70-იანი წლების მეორე ნახევარში გაძლიერდა სახალხო მოძრაობა პირსისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1961 წელს შექმნილი სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი (სანდინისტები) 1979 წელს გადავიდა მასობრივ შეიარაღებულ ბრძოლაზე და უკვე ივლისში დიქტატურა დაემხო. ახალმა ხელისუფლებამ მოახდინა მოღალატეთა ქონების კონფისკაცია, გამოსცა დეკრეტი „ნიკარაგუელთა გარანტიებისა და უფლებათა შესახებ“, შექმნა სანდინისტური სახალხო არმია და შეუდგა დანგრეული ეკონომიკის აღდგენას. 1980 წელს ნიკარაგუას მთავრობის დელეგაცია იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში.

პანამა

პანამის რესპუბლიკა.
ფართობი — 75,65 ათასი კმ² (არხის ზონის ჩათვლით 77,082 კმ²).
მოსახლეობა — 1,77 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ქალაქი პანამა (416 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

პანამის ტერიტორიაზე ესპანელ დამპყრობთა გამოჩენამდე სახლობდნენ ჩიბჩას, კარიბოსის და ჩოკოს ინდიელთა ტომები. 1501 წ. პანამაში ესპანელი დამპყრობლები გამოჩნდნენ. სხვადასხვა დროს პანამა შედიოდა გვატემალის გენერალ-საკაპიტნოში, პერუს ვიცე-სამეფოში, ახალი გრენადის ვიცე-სამეფოში, დაბოლოს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, დიდი კოლუმბიის ფედერაციაში. 1903 წ. ნოემბერში პანამა გამოვიდა დიდი კოლუმბიის ფედერაციიდან. აშშ-მა ცნო პანამა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ამავე დროს, მას უვადო სარგებლობაში გადაეცა პანამის ყელის ტერიტორიის ნაწილი არხის მშენებლობის უფლებით. მოგვიანებით ამერიკელებმა აიძულეს პანამა დათანხმებულიყო, რათა ამერიკას შეეყვანა პანამის ტერიტორიაზე ჯარი ეგრეთ წოდებული



„განსაკუთრებული მდგომარეობის“ დროს, აგრეთვე, არხის ზონაში აეშენებინა სამხედრო ბაზები.

არხის მშენებლობა 1879 წ. დაიწყო ფრანგულმა კომპანიამ. ეს კომპანია სამარცხვინოდ გაკოტრდა 1888 წ. (ამის შემდეგ სიტყვა „პანამა“ აფიორას ნიშნავდა). მას შემდეგ, რაც პანამა-ამერიკის კაბალური ხელშეკრულება დაიდო (1903 წ.), საოკეანეთაშორისო პანამის არხის მშენებლობა გააგრძელა აშშ-მა და 1914 წ. დამთავრდა კიდეც. 70 წელზე მეტია, რაც არხის ზონაში ამერიკის ალამი ფრიალებს. აქ ხელისუფლებას ვაშინგტონიდან ნიშნავენ, მოქმედებს ამერიკული კანონები და სამართალი. არხის ზონა აშშ-მა მსხვილ სამხედრო კომპლექსად აქცია: აქ არის აშშ-ის სამხრეთი სარდლობის შტაბ-ბინა და სამხედრო ბაზები.

პანამელი ხალხის გამოსვლები ქვეყნის სუვერენიტეტისათვის, პანამის არხის დაკარგული ზონის დაბრუნებისათვის, — აი, რა არის ქვეყნის პროგრესული ძალების პოლიტიკური ბრძოლის მთავარი შინაარსი.

1969 წ. პანამას სათავეში ჩაუდგა პატრიოტული მთავრობა, რომელიც ეყრდნობა მოძრაობას კაბალური ხელშეკრულების შეცვლისათვის, რომლის ერთ-ერთი მიზანია არხის ზონაში ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა. თავის საგარეო პოლიტიკაში იგი ეყრდნობა სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიან თანამშრომლობას, ჩაბმულია ლათინური ამერიკის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

1977 წელს ხელმოწერილი იყო, ხოლო 1978 წელს ძალაში შევიდა 2 ხელშეკრულება აშშ-თან პანამის არხის შესახებ. ამ ხელშეკრულებათა თანახმად, აღდგენილია პანამის სუვერენიტეტი არხის ზონაში, მაგრამ ეს უკანასკნელი მთლიანად

გადაეცემა მის კანონიერ მფლობელს — პანამელ ხალხს მხოლოდ 2000 წლის 1 იანვრისათვის, ხოლო არხის მნიშვნელოვანი ნაწილი პანამამ უკვე 1979 წელს დაიბრუნა. ამავე დროს გაიზარდა პანამის შემოსავალი არხის ექსპლოატაციის შედეგად — 2,2 მლნ. დოლარიდან 65 მილიონამდე.

1978 წელს პანამაში დაშვებულია პოლიტიკური პარტიები (რევოლუციურ-დემოკრატიული პარტია, პანამისტური პარტია, სახალხო პარტია). ნავარაუდევია 1984 წლიდან პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება.

პანამა აგრარული ქვეყანაა სოფლის მეურნეობის საექსპორტო მიმართულებით (ბანანები, ციტრუსები, შაქრის ლერწამი) და სუსტად განვითარებული მრეწველობით. ბუნებრივი სიმდიდრეები — სპილენძი, მანგანუმი, ძვირფასი მერქანი — ახლა მუშავდება უპირველეს ყოვლისა პანამის სახელმწიფოს ინტერესებისათვის. წარმოებს შემოტანილი ნავთობის გადამუშავება და ნავთობის პროდუქტების რეექსპორტი. განვითარებულია მეცხოველეობა.

პანამის მშრომელები კვლავ მძიმე პირობებში ცხოვრობენ. ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს არა აქვს სამუშაო, მისი მეხუთედი ნაწილი კი წერაკითხვის უცოდინარია. ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მხოლოდ ხუთი ექიმი მოდის. ახლანდელი მთავრობა პროგრესულ გარდაქმნებს ახორციელებს, მათ შორის აგრარულ რეფორმას. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის პანამელი ხალხის მობილიზაციაში წამყვან როლს პანამის სახალხო პარტია — პანამის კომუნისტური პარტია (დაარსდა 1930 წ.) თამაშობს.

პარაგვაი

პარაგვაის რესპუბლიკა.
ფართობი — 406,75 ათასი კმ².
მოსახლეობა — 2,8 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ასუნსიონი (600 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ესპანური.

სამხრეთ ამერიკის თითქმის ცენტრში მოედინება მძლავრი მდინარე — პარაგვაი. სწორედ ამ მდინარის სახელს ატარებს სახელმწიფო, რომელიც მის



ორივე სანაპიროზეა განლაგებული. ეს არის სამხრეთ ამერიკის ყველაზე ნაკლებდასახლებული ქვეყანა. პარაგვაის სამხედრო-პოლიციური დიქტატურის ტერორისაგან თავის დასაღწევად უკანასკნელ წლებში მილიონამდე პარაგვაელი წავიდა ემიგრაციაში არგენტინაში, ბრაზილიასა და ურუგვაიში.

პარაგვაი ვაკე ქვეყანაა. აქ ტროპიკული ჰავაა. მდინარე პარაგვაის (პარანის შენაკადი) დასავლეთით გადაჭიმულია ვრცელი ოლქი გრან-ჩაკო — ბუჩქებით, პალმებისა და კებრაჩოს ხის (თარგმ.— „ნაჯახს ტეხს“) კოროშებით დაფარული ვაკე. კებრაჩოს ეს სახელი ძალზე მაგარი მერქნის გამო შეარქვეს. კებრაჩოს ფესვებიდან და მერქნიდან მიიღება მთრიმლავი ნივთიერება.

ქვეყნის აღმოსავლეთში ძევს გაუვალი ტროპიკული ტყით დაფარული ზეგანი. მდინარე პარაგვაის ხეობა დაჭაობებული დაბლობია. ზაფხულის წყალდიდობისას დაბლობი წყლებით იფარება. თავად ქვეყნის სახელწოდება — პარაგვაი — გუარანის ენაზე ნიშნავს „პაიაგუას ტომის წყალს“. ადრე ეს ტომი ახლანდელი პარაგვაის ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი რაიონია მდინარე პარაგვაის მარცხენა სანაპიროს ამაღლებული ვაკე და ქალაქ ენკარნასიონსა და ქვეყნის დედაქალაქ ასუნსიონს შორის მდებარე ბორცვიანი მხარე. აქ ნაყოფიერი ნიადაგები, მარადმწვანე სტეპები, საკმარისი ტენი და სითბოა. ამ რაიონში თავმოყრილია ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობა.

პარაგვაელები უმთავრესად მეტისები არიან (გუარან ინდიელთა და ესპანელთა შთამომავალნი); გუარანები ახლა 30 ათასამდეღა დარჩა. პარაგვაი ორენოვანი ქვეყანაა. ოფიციალური ენა, ე. ი. სახელმწიფო დაწესებულებათა ენა — კოლონიზატორთა მიერ დამკვიდრებული ენა — ესპანურია, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა გუარანის ენაზე ლაპარაკობს. მას ასწავლიან სკოლებში, ამ ენაზე გაზეთები სპეციალურ გვერდებს ბეჭდავენ. გუარანის ენაზე წერენ პარაგვაელი მწერლები და პოეტები. დღესაც, ისევე, როგორც წინათ, გუარანები უმეტესად სოფლად, თემებად ცხოვრობენ.

პარაგვაი ღარიბ აგრარულ ქვეყნად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი შესაძლებლობა აქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. თუ წინათ პარაგვაის კებრაჩოს და იერბა-მატეს ქვეყანას ეძახდნენ (მარადმწვანეზე, რომელსაც პარაგვაის ჩაისაც უწოდებენ; მისი გამხმარი და დაფშვნილი ფოთლებისა და ღეროებისაგან ამზადებენ მატონიზირებელ სასმელს — მატეს), ახლა მას ახალი სიტყვა — „ნავთობიც“ დაემატა. აშშ-ის კომპანიებმა მოიპოვეს უფლება პარაგვაიში ეძიონ და მოიპოვონ ნავთობი. გარდა ნავთობისა, აქ არის რკინის მადანი, ფერადი ლითონები. მაგრამ ეს სიმდიდრეები არ მუშავდება.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. მიწა მსხვილ მემამულეებს ეკუთვნით. გლეხები ხელით ამუშავებენ მიწის პაწაწკინტელა ნაკვეთებს, რომლებსაც კაბალურ პირობებში იჯარით იღებენ მემამულეებისაგან. ზამთრობით, წელიწადის მშრალ დროს ბევრი გლეხი მიდის ალმოსავლეთის ტყეებში ძვირფასი მერქნისა და იერბა-მატეს ფოთლების დასამზადებლად. ხორცი, ხორცის პროდუქტები, ხეტყის მასალა, კებრაჩოს მთრიმლავი ექსტრაქტები — ექსპორტის მთავარი საგნებია.

გლეხები სიმინდისა და მანიოკის ფქვილისგან დამზადებული კვერებით, პალმის ნაყოფით იკვებებიან. პარაგვაიში იშვიათად ხმარობენ მარილს, გუარანები საჭმელში მარილის ნაცვლად ნაცარს ყრიან. სოფლელთა და ქალაქელთა საყვარელი სასმელია მატე.

გლეხებს საშუალება არა აქვთ შეიძინონ სამრეწველო ნაწარმი, ისინი თვითონ ამზადებენ



ასუნსიონი. პრეზიდენტის სასახლის წინ.

შრომის იარაღებსა და საოჯახო მოხმარების საგნებს. ქალები პრიმიტიულ დაზგებზე ქსოვენ; თიხის ჭურჭელს სამეურნეო მორგვზე ამზადებენ. ასეთ დანადგარს ყოველი გლეხის ოჯახში შეხვდებით.

პარაგვაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია.

მრეწველობა აქ ძალიან სუსტადაა განვითარებული. არის პატარა საწარმოები, სადაც ამუშავებენ ტყავს, ამზადებენ კებრაჩოს ექსტრაქტს, პარაგვაის ჩაის; არის აგრეთვე ხის სახერხი და შაქრის ქარხნები, სორცმაცივრები. ეს საწარმოებიც უმეტესად უცხოელ — ბრაზილიელ, ინგლისელ, ჩრდილოამერიკელ კაპიტალისტთა ხელთაა. მუშები გლეხებზე უკეთესად როდი ცხოვრობენ. მათაც ისეთივე უბადრუკი საცხოვრებლები, საკვები, ტანსაცმელი აქვთ.

პარაგვაის ყველაზე დიდი ქალაქებია — ასუნსიონი, კონსეპსიონი და ენკარნასიონი. ასუნსიონი 1536 წ. დაარსდა. ამ ქალაქში თავმოყრილია თითქმის მთელი მრეწველობა — რამდენიმე საფეიქრო და ფეხსაცმლის ფაბრიკა, წისქვილები, შაქრის ქარხნები. ქალაქის ცენტრში, ჯერ კიდევ ესპანელი კოლონიზატორების მიერ აგებულ ძველებურ შენობებში, ცხოვრობს ადგილობრივი არისტოკრატია. გარეუბნებში კი ჭუჭყიანი, ბალახით დაფარული ვიწრო ქუჩებია. უბადრუკ ქოხმახებში ღატაკები ცხოვრობენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის ბევრია კეთროვანი. აქაური ხელისუფლება არ გამოყოფს თანხას მოსახლეობის სამედიცინო

მომსახურებისათვის და კეთროვნებიც თავისუფლად დადიან ქუჩებში, მგზავრობენ საერთო ტრანსპორტით. ძალზე გავრცელებულია მალარია და ტუბერკულოზი.

პარაგვაიში ცოტაა გზები. ქვეყნის საგარეო ვაჭრობა თითქმის მთლიანად მდინარე პარანაზე წარმოებს.

პარაგვაის ჩამორჩენის მიზეზი ისტორიულ წარსულში უნდა ვეძიოთ. XVI ს-ში გუარან ინდიელებთან ხანგრძლივი და სასტიკი ომების შემდეგ ქვეყანაში ესპანელი კოლონიზატორები გაბატონდნენ. ესპანეთის ჯართან ერთად აქ შემოვიდნენ იეზუიტთა კათოლიკური ორდენის წევრები. მათ ხელთ იგდეს საუკეთესო მიწები და შექმნეს საკუთარი სახელმწიფო. იეზუიტები აგებდნენ გამაგრებულ დასახლებებს, შიგ ინდიელებს ერეკებოდნენ და სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ. 150 წელზე მეტ ხანს იარსება იეზუიტთა სახელმწიფომ. გუარანები აუტანელი შრომის, სასტიკი მოპყრობისა და შიმშილისაგან იხოცებოდნენ.

პარაგვაიში განუწყვეტელი რეპრესიებისა და ტერორის წყალობით შენარჩუნებულია რეაქციული მემამულურ-ბურჟუაზიული რეჟიმი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია უცხოეთის კაპიტალზე, პირველ ყოვლისა კი აშშ-ის მონოპოლიებზე. მშრომელთა გამოსვლებს სასტიკად ახშობენ. ბევრი ადამიანი ჩაყარეს საპყრობილეში და დახვრიტეს. ციხეში მხეცურად მოკლეს პარაგვაის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ალბერტო კანდია. ტერორის მიუხედავად, პარაგვაელი კომუნისტები ეროვნულ ძალებს აერთიანებენ ფართო ანტიდიქტატორულ და ანტიიმპერიალისტურ ფრონტზე. კომუნისტები ამჟამად მოითხოვენ უცხო მონოპოლიების თარეშის შეწყვეტას, ყველა პარტიის ლეგალიზაციას, საალყო წესების გაუქმებასა და პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებას.

1979 წელს სამმა ოპოზიციურმა პარტიამ (ჭეშმარიტი ლიბერალურ-რადიკალური, ქრისტიან-დემოკრატიული და რევოლუციურ-ფებრერისტული პარტიები) შექმნა ერთიანი ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული თანხმობის“ სახელწოდებით. იგი მიზნად ისახავს დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას.

მმართველი პარტიის სახელწოდებაა — ეროვნულ-რესპუბლიკური ასოციაცია „კოლორადო“.

პერუ

პერუს რესპუბლიკა.
ფართობი — 1285 ათასი კმ².
მოსახლეობა — 16,8 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ლიმა (4,3 მლნ. მცხ.).
ოფიციალური ენა — ესპანური და კეჩუა.

ევროპელების მიერ ამერიკის აღმოჩენამდე. ახლანდელი პერუს ტერიტორია ინდიელთა ვრცელი სახელმწიფოს — ტაუანტინსუიუს ნაწილს შეადგენდა. ამ სახელმწიფოში გაბატონებული იყვნენ ინკები.

პერუ სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ქვეყნის სანაპიროს 2780 კმ-ის გაყოლებაზე წყნარი ოკეანის წყლები ეკვრის. მის სანაპიროებზე გადის საზღვაო გზები, რომლებიც სამხრეთ ამერიკის კონტინენტის სამხრეთსა და ჩრდილოეთს აერთებს. წყნარი ოკეანის პერუს დინების წყლები ძალზე მდიდარია თევზით. თევზის ფქვილის წარმოებაში პერუს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მდინარე ამაზონის აუზში მდებარეობს. ამაზონის მთავარი სათავით — მდინარე მარანიონით — გემები ჯუნგლების სიღრმეში აღწევენ.

ბუნებრივი პირობების მიხედვით ქვეყანას, ჩვეულებრივ, სამ ზონად ჰყოფენ: კოსტა (სანაპირო), სიერა (მთიანი მხარე უასკარანის უმაღლესი მწვერვალით — 6768 მ) და სელვა (ამაზონის აუზის ვაკეებისა და მთისწინეთის ვრცელი რაიონი აღმოსავლეთში).

პერუს ჰავა მკვეთრად იცვლება ზონის შესაბამისად. კოსტასთვის დამახასიათებელია ცხელი, მშრალი ჰავა. ესაა მთავარი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, სადაც მოჰყავთ ბამბა, შაქრის ლერწამი, ხორბალი, ბრინჯი, თამბაქო. აქ აუცილებელია ხელოვნური მორწყვა. მთებში სიმაღლის შესაბამისად ტემპერატურაც იცვლება. ზემოთ მარადიული თოვლი და მყინვარებია, ქვემოთ — საძოვრების ჭრელი ხალიჩა. სელვაში გაბატონებულია ეკვატორული ჰავა ნალექების დიდი რაოდენობით.

პერუს მთიან რაიონებში გვხვდება ისეთი ცხოველები, როგორიცაა ლამა, ალპაკა და ვიკუნია. ლამა და ალპაკა საუკუნეების წინათ მოაშინაურეს, ვიკუნია კი კვლავ ველური ცხოველია. ლამა, უპირველეს ყოვლისა, სასაპალნე ცხოველად გამოიყე-

ნება. მას შეუძლია იაროს მთებში და რამდენიმე დღეს გაძლოს უწყლოდ და უჭმელად. ალპაკა ძვირფასმატყლიანია, მაგრამ ყველაზე კარგი ბოჭკო შალის ქსოვილისათვის ვიკუნიას აქვს. სიერაში გვხვდება, აგრეთვე, პატარა ცხოველი შინშილა, რომლის რუხი მოვერცხლისფრო ბეწვი მსოფლიოში ერთ-ერთი უძვირფასესია. მთის ტბებში ბლომადაა თევზი და მცურავი ფრინველი. აღმოსავლეთით, სელვაში, ბინადრობენ მაიმუნები, მცონარები, კუდმჭიდე დათვები. აქ ცხოვრობს ყველაზე დიდი გველი — ანაკონდა, რომლის სიგრძე 9 მ-ს აღწევს. პერუს ჯუნგლების ერთ-ერთი სიმდიდრეა პალმის, ბამბუკის, ხე-გვიმრის, პერუს კაჭტუსის ტყეები.

და მაინც ქვეყნის ძირითადი სიმდიდრე სასარგებლო წიაღისეულია. მოიპოვება ქვანახშირი, რკინა, ბისმუტი, ვერცხლი, ოქრო, ტყვია, თუთია, იშვიათი ლითონები. ბისმუტისა და ვერცხლის მოპოვების მიხედვით პერუს კაპიტალისტურ სამყაროში პირველი და მეორე ადგილი უჭირავს. აქ, ტოკეპალას რაიონში არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი სპილენძის საბადო. პერუს აქვს ვრცელი ნავთობიანი ფართობები. პერუს მიწის სიმდიდრემ ესპანეთში ხატოვანი გამოთქმაც კი დაბადა: „ეს ამბავი პერუდ ღირსო“.

ესპანელ დამპყრობთა მოსვლამდე აქ ცხოვრობდა დაახლოებით 8—12 მლნ. ინდიელთა, კეჩუას, აიმარას, მოჩიკას და სხვა ტომები, რომლებიც ინკებს ემორჩილებოდნენ. ინკების ცენტრალიზებულ სახელმწიფოში განვითარებული იყო მიწათმოქმედება, ხელოსნობა, სხვადასხვა სარწყები. ჩვენამდე შემორჩა ინკების უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქის — ქალაქ კუსკოს შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები. ესპანელმა დამპყრობლებმა გაანადგურეს ინკების სახელმწიფო, დაიტაცეს ქვეყნის სიმდიდრე და სასტიკი ექსპლუატაცია გაუწიეს მოსახლეობას. თეთრკანიანთა და ადგილობრივ მკვიდრთა შერეული ქორწინების შედეგად გაჩნდა ახალი ეთნიკური ჯგუფი — მეტისები. სწორედ მათგან შეიქმნა პერუს ეროვნული ბირთვი.

XIX ს. დასაწყისში მთელს ლათინურ ამერიკაში გაჩაღდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

1821 წელს განმათავისუფლებელი ომის დროს პერუს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. პერუში ანტიკოლონიურ ბრძოლის წარმატებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ლიმა ერთ დროს ლათინურ ამერიკაში ესპანეთის კოლონიურ სამფლობელოთა ცენტრად, შემდეგ კი ერთ-ერთი ვიცე-სამეფოს დედაქალაქად ითვლებოდა. პერუს

ინდიელები ტიტიკაკას ტბაზე. მათი ნავები ტროტოს ლერწმისაგანაა გაკეთებული.

ლიმას შემოგარენში გლეხები იყოფენ მიწას, რომელიც მათ კანონით აგრარულმა რეფორმამ მიაკუთვნა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სათავეში ედგა სიმონ ბოლივარი, სან-მარტინი, გენერალი სუკრე, რომელიც მთავარსარდლად დანიშნეს პერუელებმა, კოლუმბიელებმა, ჩილელებმა და არგენტინელებმა.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში პერუში ერთმანეთს ცვლიდა ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურა. წლების განმავლობაში უცხოეთის კაპიტალი გაბატონებული კლასის დასაყრდენ ძალად რჩებოდა. 1968 წ. პერუში ბატონობდა 110 უცხოური მონოპოლია. მრეწველობის უმთავრეს დარგში სამთამადნო მრეწველობაში კაპიტალდაბანდების ორი მესამედი უცხოეთის კომპანიებს ეკუთვნოდა. პერუს ნავთობის მთელი სიმდიდრე ამერიკული მონოპოლიის — „ინტერნეიშნლ პეტროლიუმ კომპანის“ ხელში იყო.

გლეხებს მიწა არ ჰქონდათ. უმიწობითა და მემამულეთა თვითნებობით ყველაზე მეტად ინდიელები იტანჯებოდნენ. არც მაღაროებში მომუშავე მუშები იყვნენ კარგ დღეში, — მათ ძალზე დაბალი ხელფასი ჰქონდათ.

1968 წლის 3 ოქტომბერს პერუს სათავეში ჩაუდგნენ პატრიოტულად განწყობილი სამხედრო პირები. ახალმა მთავრობამ მიზნად დაისახა ქვეყნისათვის დაებრუნებინა ეროვნული სიმდიდრე, შეემსუბუქებინა ხალხის მდგომარეობა. დაიწყო უცხოეთის კომპანიების ნაციონალიზაცია. უკვე 1968 წ. 9 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს დაუბრუნდა ნავთობის საბადოები. ეს დღე გამოცხადდა ეროვნული ღირსების დღედ. 1969 წლის ივნისში პერუს მთავრობამ მიიღო პროგრესული კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, რამაც საშუალება მისცა ლიკვიდაცია გაეკეთებინათ მსხვილ მემამულეთა მიწის საკუთრებისათვის და მიწა უმიწაწყლო გლეხებისათვის გამოეყოთ. მოხდა ყველა უცხოური ლატიფუნდიის ნაციონალიზაცია. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნა.

1972 წ. პერუში მიიღეს ახალი კანონი განათლების შესახებ. ცხრაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სავალდებულო და უფასო გახდა. 1973 წ. ჩატარდა კომპანია წერა-კითხვის უცოდინაროზის ლიკვიდაციისათვის.

პერუ სამხრეთ ამერიკის განათლებისა და თვითმყოფადი კულტურის უძველესი ცენტრების ქვეყანაა. ლიმაში სან-მარკოსის უნივერსიტეტი XVI ს. დაარსდა. პერუს კულტურა ადგილობრივი და ესპანური კულტურის სინთეზის შედეგად შეიქმნა. ძალზე ბევრი რამ შეითვისეს პერუელებმა ინდიელებისაგან, განსაკუთრებით არქიტექტურაში და სახვით ხელოვნებაში, მუსიკასა და ცეკვებში.

მიუხედავად რეაქციის წინააღმდეგობისა, მთავრობა ღებულობს ზომებს, გააფართოოს სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორები. უკანასკნელ წლებში გაფართოვდა პერუს ეკონომიკური და კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ასე მაგალითად, უნგრეთი აწვდის პერუს თანამედროვე სასკოლო მოწყობილობას. საბჭოთა სპეციალისტები ეხმარებიან პერუელ ხალხს სოფლის მეურნეობის წარმოების მოგვარებაში, სსრკ აშენებს თევზჭერის ფლოტის დიდ ნავსადგურს პაიტში, მონაწილეობას ღებულობს „ოლმოსის პროექტის“ განხილვაში. იგი უზრუნველყოფს წყლითა და ელექტროენერგიით ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებს.

პერუს მთავრობას მხარს უჭერენ პროგრესული პოლიტიკური ორგანიზაციები. პერუს კომუნისტური პარტია (შეიქმნა 1928 წ.) იბრძვის ყველა პატრიოტული ანტიიმპერიალისტური ძალის გაერთიანებისათვის. გარდა კომუნისტურისა, პერუში კიდევ რამდენიმე პარტიაა: სახალხო-ქრისტიანული, სახალხო, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიები და ე. წ. სახალხო მოქმედება. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მინისტრთა საბ-

ჭოს, რომლის შემადგენლობაც ინიშნება პრეზიდენტის მიერ სამხედრო საბჭოსთან შეთანხმების შედეგად.

პუერტო-რიკო

ქვეყანას უკავია ამავე სახელწოდების კუნძული დიდი ანტილის კუნძულების აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი — 8,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3,2 მლნ. კაცი. ადმინისტრაციული ცენტრია სან-ხუანი (472 ათასი მკხ.). მოსახლეობის 73% კრეოლებია, 23% — მულატები და 4% — ზანგები.

1898 წ. ესპანეთ-ამერიკის ომის შედეგად კუნძული აშშ-მა დაიპყრო. იგი ამერიკის კოლონია გახდა. 1952 წლიდან პუერტო-რიკომ მიიღო სტატუსი აშშ-ის „ნებაყოფლობით შეერთებული“ სახელმწიფოსი, რაც სინამდვილეში კოლონიური დამოკიდებულების შირმაა.

აშშ-ის კონგრესს უფლება აქვს გააუქმოს პუერტო-რიკოს ყოველგვარი კანონი. ქვეყანაში ამერიკული ფულადი და საფოსტო სისტემა მოქმედებს. პუერტორიკოელი ჭაბუკები ვალდებულნი არიან იმსახურონ აშშ-ის ჯარში. ამავე დროს კუნძულის მცხოვრებთ არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა აშშ-ის პრეზიდენტისა და კონგრესის არჩევნებში. ერთადერთ პუერტორიკოელ წარმომადგენელს აშშ-ის წარმომადგენლობით პალატაში მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს. ამერიკის მთავრობა პუერტო-რიკოს ტერიტორიას იყენებს სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის, ლათინური ამერიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის.

პუერტო-რიკოს ეკონომიკაში ამერიკული კაპიტალი ბატონობს. ყველაზე მსხვილი საწარმოები (ქიმიური, სამთომოპოვებითი, ენერგეტიკული, მანქანათმშენებლობის) და საპლანტაციო მეურნეობები აშშ-ის მონოპოლიებს ეკუთვნით. მონოპოლიების ბატონობა პუერტორიკოელებს უმუშევრობას, შიმშილსა და სიღატაკეს უქადის. ცხოვრების აუტანელი პირობები პუერტორიკოელებს აიძულებს აშშ-ში წავიდნენ ემიგრაციაში. იქ ორ მილიონამდე პუერტორიკოელი ცხოვრობს. ისინი კიდევ უფრო უარეს ჩაგვრას განიცდიან, აწყდებიან მკაცრ რასობრივ დისკრიმინაციას, პუერტორიკოელთა უბადრუკ კვარტალებში ცხოვრობენ.



პუერტორიკოელი ხალხი იბრძვის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ ბრძოლას სათავეში უდგას პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტია და პუერტო-რიკოს სოციალისტური პარტია. ბრძოლა ყოველწლიურად აქტიურ ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს. პუერტორიკოელთა ხელშეუვალობის უფლება აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

სალვადორი

ელ-სალვადორის რესპუბლიკა.
ფართობი — 21,4 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 4,3 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — სან-სალვადორი (388 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს — სალვადორის ზედაპირი მთაგორიანია. მხოლოდ ოკეანის სანაპიროს მიუყვება ვიწრო ალუვიური დაბლობის ზოლი. ქვეყანაში ხშირია მიწისძვრა. ჰავა ტროპიკულია. ზეგანის მნიშვნელოვანი ნაწილი და ზღვისპირა დაბლობი ტროპიკული ტყითაა დაფარული.

ესპანელთა მოსვლამდე სალვადორის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მაიას, ლენკასა და პიპილის ინდიელთა ტომები.

XVI ს. დასაწყისში სალვადორში მექსიკიდან შემოიჭრნენ ესპანელი კონკისტადორები. ინდიელებმა დამპყრობლებს გაუფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ესპანელებმა ისარგებლეს ტომთა შორის უთანხმოებით და ქვეყანა დაიპყრეს.

სალვადორი 1821 წლამდე ესპანეთის კოლონია იყო. თანამედროვე სალვადორელთა უმრავლესობა მეტისია.

სახელმწიფო წყობით სალვადორი რესპუბლიკაა. აღმასრულებელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელშია; პარლამენტს საკანონმდებლო ასამბლეა ეწოდება.

ქვეყანაში რამდენიმე პარტიაა: ეროვნული შეკავშირების პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი, კომუნისტური პარტია (დაარსდა 1930 წ. მოქმედებს არალეგალურად).

1979 წელს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ ტერორი და რეპრესიები არ შეწყვეტილა. რეაქციამ სიცოცხლეს გამოასალმა რამდენიმე პროგრესული მოღვაწე. 1980 წლის პირველ ნახევარში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ბრძოლამ უმწვავესი ხასიათი მიიღო.

სალვადორის ეკონომიკა სპეციალიზებულია ყავაზე, რომლის წარმოებით ლათინურ ამერიკაში ბრაზილიისა და კოლუმბიის შემდეგ მესამე ადგილი უკავია. მოჰყავთ, აგრეთვე, ბამბა, შაქრის ლერწამი, ხენეკენი, რისგანაც ღებულობენ გამძლე ბოჭკოს. განვითარებულია მეცხოველეობა. მრეწველობა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს ამუშავებს. აქ არის რამდენიმე ცელულოზა-ქაღალდის, ცემენტის, თამბაქოსა და საფქვავი საწარმოები, მეტალურგიული და ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები.

ქვეყანაში არის ოქროს, ტყვიის, თუთიის საბადოები, მაგრამ მათ ნაკლებად ამუშავებენ. ეკონომიკაში გადამწყვეტი პოზიცია უცხოეთის კაპიტალს უჭირავს. უცხოეთის კაპიტალდაბანდების დაახლოებით 80% აშშ-ზე მოდის, დანარჩენი — იაპონიაზე, მექსიკაზე, გფრ, კანადასა და ინგლისზე.



აშრომელთა და სტუდენტთა დემონსტრაცია სან-სალვადორში. ისინი მოითხოვენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სენტ-ვინსენტი და გრენადინი

სენტ-ვინსენტი და გრენადინი.
ფართობი — 389 კმ².
მოსახლეობა — 110 ათასი კაცი.
დედაქალაქი — კინგსტაუნი (25 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს ახალგაზრდა სახელმწიფო (დამოუკიდებლობა მიიღო 1979 წელს) განლაგებულია სენტ-ვინსენტისა და გრენადინის კუნძულებზე, რომელნიც შედიან მცირე ანტილის (უფრო ზუსტად — საქარე) კუნძულების შემადგენლობაში (კარიბის ზღვა).

კუნძული სენტ-ვინსენტი აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა 1498 წლის 22 იანვარს (წმინდა ვინსენტის დღეს). ხანგრძლივი დროის მანძილზე კუნძულს ერთმანეთს ეცილებოდნენ საფრანგეთი და ინგლისი. ეს უკანასკნელი დაეპატრონა მას 1783 წლიდან. 1969 წელს კუნძულმა მიიღო დიდ ბრიტანეთთან „ასოცირებული სახელმწიფოს“ სტატუსი (შინაგანი თვითმმართველობა).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შევიდა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურად ითვლება ინგლისის დედოფალი, რომლის წარმომადგენელიც გენერალგუბერნატორია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს.

მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული — მოჰყავთ ბანანები, კოპრა, სხვადასხვა ძირნაყოფა. ამასთან ერთად არის უალკოჰოლო სასმელების, რომის, თამბაქოსა და ავეჯის წარმოება. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმს.

სენტ-ლუსია

სენტ-ლუსია.
ფართობი — 616 კმ².
მოსახლეობა — 120 ათასი კაცი.
დედაქალაქი — კასტრი (47 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს აბლადმობილი პაწაწინა სახელმწიფო შედის კარიბის ზღვაში მდებარე საქარე (ანტილის) კუნძულების რიცხვში.

იგი 1502 წელს ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა. XVII—XVIII საუკუნეებში ინგლისი და საფრანგეთი გარდამავალი უპირატესობით იბრძოდნენ კუნძულისათვის. 1814 წელს მას ინგლისი დაეპატრონა. 1967 წელს კუნძულმა მიიღო დიდ ბრიტანეთთან „ასოცირებული სახელმწიფოს“ სტატუსი (შინაგანი თვითმმართველობა). 1979 წელს გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. იმავე წელს დაემხო რეაქციული რეჟიმი.

კუნძულის ეკონომიკური არსებობის მთავარი საფუძველი ბანანების წარმოებაა. ისინი ექსპორტის მთავარ საგანს წარმოადგენენ, მოჰყავთ აგრეთვე ქოქოსის კაკალი, კაკაოსი, ციტრუსები, სანელებლები. არის სასუქის ქარხანა და ქალალდის ფაბრიკა.

შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ტურიზმი.

სენ-პიერი და მიქელონი

პატარა კუნძულებია ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კანადის სანაპიროს მახლობლად. ფართობი 242 კვ. კმ-ია, მოსახლეობა —5,7 ათასი კაცი. ადმინისტრაციული ცენტრი და ნავსადგურია სენ-პიერი.

კუნძულებზე პირველი დასახლებანი XVII ს. დასაწყისში გაჩნდა. კუნძულებს აქვთ საფრანგეთის „ზღვისგალმა ტერიტორიის“ სტატუსი. მათ მართავს გუბერნატორი.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეთევზეობას და ძვირფასბეწვიანი ნადირის (ვერცხლისფერი მელიისა და წაულას) მოშენებას. არის თევზის გადამმუშავებელი სარეწები, პატარა გემთმშენებელი ვერფები.

სურინამი

სურინამის რესპუბლიკა.
ფართობი — 142,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 450 ათასი კაცი.
დედაქალაქი — პარამარიბო (150 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ჰოლანდიური.

სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სურინამი მრავალეროვანი ქვე-



ყანაა. აქ ცხოვრობენ ინდიელები, კრეოლები, ინდონეზიელები, ზანგები, ინდოელები, ჩინელები, ევროპელები.

მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბრინჯი, აგრეთვე ყავა, კაკაო, ბანანი, თამბაქო, ციტრუსები. განვითარებულია საზღვაო სარეწები (იჭერენ კიბორჩხალებს). სურინამი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ქვეყნის მთავარი სიმდიდრეა ბოქსიტები, რომლის მარაგითაც მას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ამერიკული და ჰოლანდიური კომპანიების ხელთაა. არის შაქრის, რომის, ხილის წვენების ქარხნები. ბოქსიტების ნაწილს ამუშავებენ, ღებულობენ თიხამიწას, შემდეგ ადნობენ ალუმინს. ამუშავებენ და საექსპორტოდ გააქვთ ხე-ტყე.

სურინამში პირველი ევროპელები XV—XVI სს. გამოჩნდნენ. XVII ს. დასაწყისში ესპანელები ინგლისელებმა განდევნეს. 1667 წ. კი ინგლისთან შეთანხმების შედეგად ქვეყანა გადავიდა ჰოლანდიის მფლობელობაში. ინგლისელებმა იგი გაცვალეს ჰოლანდიის კოლონიაზე ჩრდილოეთ ამერიკაში (ახლანდელი ნიუ-იორკი). 1954 წ. სურინამს მიენიჭა თვითმმართველობა საშინაო საკითხებში ნიდერლანდების ავტონომიური ნაწილის უფლებებით, მაგრამ ფაქტიურად ძალაუფლება ჰოლანდიის გუბერნატორს ეპყრა ხელთ. ხალხის ბრძოლა კოლონიური წყობის წინააღმდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1975 წ. ნოემბერში სურინამმა დამოუკიდებლობა მიიღო.

1980 წელს სამხედრო პირთა ჯგუფმა გადატრიალება მოაწყო და მიზნად დაისახა „ეკონომიკური, სოციალური და ზნეობრივი რეკონსტრუქცია“.

ტიორკსისა და კაიკოსის კუნძულები

ინგლისის სამფლობელოებია ატლანტის ოკეანეში, ბაჰამის არქიპელაგის სამხრეთ ნაწილში. ოცდაათი კუნძულიდან მხოლოდ ექვსია დასახლებული: გრანდ-ტიორკსი, სოლტ-კეი, საუთ-კაიკოსი, მიდლ-კაიკოსი, ნორთ-კაიკოსი და პროვიდენსიალესი. ფართობი — 430 კვ. კმ. მოსახლეობა — 7 ათასი კაცი, ძირითადად — ზანგები და მულატები. ადმინისტრაციული ცენტრია გრანდ-ტიორკსი (იხ. რუკა „ბაჰამა“, გვ. 452). კუნძულები აღმოაჩინეს 1512 წ. XVII ს-ში აქ დასახლდნენ ბერმუდის კუნძულელი თეთრკანიანი კოლონისტები, რომელთაც პლანტაციებში სამუშაოდ თან ზანგი მონები ჩამოიყვანეს. 1873 წლიდან 1962 წლებამდე ისინი იამაიკის შემადგენლობაში შედიოდნენ. კუნძულებზე აშშ-ის სამხედრო ბაზებია განლაგებული.

კუნძულების ეკონომიკის საფუძველს სოფლის მეურნეობა შეადგენს. მოჰყავთ სიზალი, ციტრუსოვნები, ბოსტნეული. მოსახლეობის ნაწილი თევზჭერას მისდევს. ამუშავებენ ხე-ტყეს.

ტრინიდადი და ტობაგო

ტრინიდადის და ტობაგოს რესპუბლიკა.
ფართობი — 5128 კმ².
მოსახლეობა — 1 200 ათასი კაცი.
დედაქალაქი — პორტ-ოფ-სპეინი (გარეუბნებიანად 270 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს სახელმწიფო მდებარეობს ამავე სახელწოდების კუნძულებზე ვენესუელის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ტრინიდადისა და ტობაგოს მოსახლეობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანია. აქ ცხოვრობენ: ზანგები, მულატები, ინდოელები, ევროპელები, ჩინელები. ისინი ამ კუნძულებზე სხვადასხვა ისტორიული ვითარების შედეგად დასახლდნენ.

დიდხანს ბატონობდა აქ ესპანეთი. 1797 წელს ინგლისელებმა დაიპყრეს ჯერ კუნძული ტრინიდადი, ხოლო შემდეგ კუნძული ტობაგო. მხოლოდ

პორტ-ოფ-სპეინის ჭუჩა.

1962 წელს მიიღეს კუნძულებმა დამოუკიდებლობა, თუმცა თანამეგობრობის წევრებად, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს, მაინც დარჩნენ. 1976 წ. 1 აგვისტოს ტრინიდადისა და ტობაგოს სახელმწიფო რესპუბლიკად გამოცხადდა. მის სათავეში პრეზიდენტი დგას.

ტრინიდადი და ტობაგო კარიბის აუზის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა. აქ არის ნავთობის, ხის დამმუშავებელი, საფეიქრო, ფარმაცევტული და მსუბუქი მრეწველობა. კუნძული ტრინიდადი მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი უძველესი ექსპორტიორია. ქვეყანა ცნობილია აგრეთვე თავისი უნიკალური ასფალტის ტბით — პიჩლეიკით, რომლის ფსკერიდან ამოაქვთ წელიწადში 100 ათასი ტონა ბუნებრივი ასფალტი.

სოფლის მეურნეობა სუსტადაა განვითარებული აქ შემორჩენილი ლატიფუნდიის სისტემის წყალობით. უმთავრესი კულტურებია კაკაო, ყავა, შაქრის ლერწამი, ბანანი, ბრინჯი. ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაფარულია ტყეებით, სადაც ხარობს ძვირფასი ჯიშები: კედარი, წითელი ხე.

რბილი ტროპიკული ჰავა და ეგზოტიკური ბუნება კუნძულზე უცხოელ ტურისტებს იზიდავს. კუნძული ტობაგო გარშემორტყმულია შესანიშნავი ქვიშნარი პლაჟის ორმაგი სარტყლით და მარჯნის რიფებით. უწინ აქ ხშირად აფარებდნენ თავს მეკობრეები. პატარა, წყნარ უბეებში იმდენად გამჭვირვალე წყალია, რომ შეიძლება დატკბე ნაირფერი თევზების ცქერით, რომლებიც „მარჯნის ტევრებში“ „ბალახობენ“. კუნძული ტრინიდადი განთქმულია ისტორიული ძეგლებით, პარიას ყურეში ოდესღაც ქ. კოლუმბის კარაველები უშვებდნენ ღუზას. პორტ-ოფ-სპეინში შემორჩა ძველი ფორტი, რომელიც ჯერ კიდევ ესპანელებმა ააშენეს. აქვეა მრავალი ტაძარი და მეჩეთი. ბევრია ხელოსანთა კვარტალები.

სახელმწიფოს სათავეში დგას პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორი პალატისაგან (წარმომადგენელთა პალატა და სენატი) შემდგარ პარლამენტს. ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე პარტია (სახალხო ეროვნული მოძრაობა, გაერთიანებული მუშათა ფრონტი, დემოკრატიული მოქმედების კონგრესი და დემოკრატიული ლეიბორისტული პარტია).

ურუგვაი

ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა.
ფართობი — 186,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 3,1 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — მონტევიდეო (1,2 მლნ. მცხ.).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

ურუგვაი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი პატარა სახელმწიფოა. მისი ტერიტორია ატლანტის სანაპიროს ფართო ზოლს მოიცავს და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ ვიწროვდება, სადაც ერთმანეთს ხვდება ურუგვაის, ბრაზილიის და არგენტინის საზღვრები. ურუგვაელთა უმრავლესობა ესპანელ,

აგრეთვე, იტალიელ და პორტუგალიელ ემიგრანტთა შთამომავლები არიან. ჩარუას ტომის ინდიელები თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს ესპანელებმა, როდესაც ქვეყანას იპყრობდნენ.

ესპანელმა კონკისტადორებმა ურუგვაიში შედარებით გვიან შეაღწიეს, ვიდრე სამხრეთ ამერიკის სხვა რაიონებში. ისეთი თილისმა, როგორიცაა ძვირფასი ლითონები, აქ არ იყო. ურუგვაის მკვიდრმა ჩარუას ტომის ინდიელებმა განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ესპანელებს.

თანამედროვე ურუგვაის ტერიტორიას ეძახდნენ აღმოსავლეთ სანაპიროს, ვინაიდან იგი ძევს პარანას შესართავის და არგენტინაში ადრინდელი ესპანური დასახლებების აღმოსავლეთით. აქედან წარმოსდგება ახლანდელი სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდებაც — ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა.

ქვეყნის დიდი ნაწილი სავანებია. მთელ წელიწადს იგი დაფარულია ხშირი, მოწითალო ბალახით, ამიტომ ურუგვაის ხანდახან მეწამულ ქვეყანასაც უწოდებენ. ლანდშაფტს ამრავალფეროვნებს მდინარეთა ხეობები, რომელთაც ზოლად მიუყვებათ ტყეები და ზღვის სანაპიროს ყვითელი ქვიშა. ჰავა აქ სუბტროპიკულია, — ზამთარი თბილია, ზაფხული ზომიერი.

მეცხოველეობა ურუგვაის ეკონომიკის საფუძველია. მთელ წელიწადს პირუტყვი ღია ცის ქვეშ, საძოვრებზეა. ურუგვაიში მიწათმოქმედებისათვის ძალზე ხელსაყრელი ჰავაა, მაგრამ მიწათმოქმედება აქ სუსტადაა განვითარებული. მხოლოდ სამხრეთში და სამხრეთ-დასავლეთში მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სელი, ბრინჯი, სიმინდი. ზღვისპირა რაიონებში განვითარებულია მებაღეობა (ციტრუსები, ატამი, მსხალი).



მონტევიდეოს მთავარი ქუჩა.

ურუგვაიში მიწის დიდი ნაწილი მემამულეებს ეკუთვნით. უშველებელი ბუნებრივი საძოვრები დაყოფილია ნაკვეთებად, სადაც ნახირი ძოვს. ზოგიერთი მემამულური მეურნეობის — ლატიფუნდიის ფართობი 200 ათას ჰა-ს აღემატება. ურუგვაის ექვსასი უმდიდრესი ოჯახი მთელი მიწის 60%-ს ფლობს. ისინი აკონტროლებენ მთელი ნახირის ნახევარზე მეტს და მატყლის წარმოებას, ხოლო მეურნეობების 75%-ს მხოლოდ და მხოლოდ მიწის $^1/_{10}$ ნაწილი უკავია.

მემამულეთა მიწაზე ფართოდ იყენებენ მოჯამაგირეების — პეონების შრომას. ისინი თითქმის მთელ ცხოვრებას ამხედრებულები, ღია ცის ქვეშ ატარებენ. თითოეული მათგანი უვლის 1500 სულიან ცხვრის ფარასა და 500 ძროხისაგან შემდგარ ჯოგს. პეონების სამუშაო დღე არ არის განსაზღვრული. ისინი დღენიადაგ შრომობენ. მხოლოდ ცვირა დღეს თუ შეუძლიათ მოინახულონ ოჯახი.

მრეწველობა თითქმის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას უნდება: ხორცისდამამზადებელი, წისქვილები, მაკარონის

საწარმოები. არის საფეიქრო ფაბრიკები, ნავთობგადასამუშავებელი, ფოლადსასხმელი და სხვა ქარხნები.

ქვეყანაში მოიპოვებენ მცირე რაოდენობით მურა ნახშირს, რკინას, მანგანუმსა და სპილენძს. ურუგვაის შემოაქვს ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ქვანახშირი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ავტომანქანები, მარცვლეული, კარაქი. ექსპორტის მთავარი პროდუქტებია — ხორცი, მატყლი, ტყავი, სელის თესლი.

ურუგვაი ეკონომიკურად ჩრდილოამერიკულ იმპერიალიზმზე დამოკიდებული ქვეყანაა. ამავე დროს მას აწუხებს შინაური ბაზრის სიმცირე. სუსტადაა განვითარებული მეურნეობის მთელი რიგი დარგები. ქვეყანაში ყოველთვის არის უმუშევართა 150-ათასიანი არმია. სიღატაკის გამო სასკოლო ასაკის ბავშვთა $^1/_3$ სკოლაში არ დადის.

ურუგვაის პოლიტიკური, საქმიანი და კულტურული ცხოვრება მონტევიდეოში იყრის თავს. ეს არის სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. ნალისებურ უბეს ერტყმის თეთრი, ქათქათა სახლების რიგი, რომელიც შემდეგ ჰორიზონტისაკენ პლატოს ჩქროს ზოლს მიუყვება. ქალაქის ცენტრში არის პარკების და სკვერების მწვანე ოაზისები, ხმაურიანი სავაჭრო ქუჩები, წყნარი და მყუდრო ბულვარები.

ურუგვაიში კლასობრივი ბრძოლა ძალზე გამწვავებულია. საგაფიცვო მოძრაობებით ურუგვაის ამერიკის კონტინენტზე ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია (რა თქმა უნდა, მხედველობაშია მიღებული მოსახლეობის რაოდენობა). მრავალჯერ გაიფიცნენ მეტალურგები, ფეიქრები, სახელმწიფო და ბანკის მოსამსახურეები, სასოფლო-სამეურნეო მუშაკები. გლეხებმა დედაქალაქში გამოსვლები მოაწყვეს, ისინი თხოულობდნენ მემამულეთა გამოუყენებელ მიწებს.

1973 წ. ჩილეს სამხედრო ხუნტის საქმიანობით ფრთაშესხმული ურუგვაის რეაქცია შეტევაზე გადავიდა. ქვეყანაში რეაქციული სამხედრო რეჟიმი დამყარდა (ხელისუფლება სამხედრო სარდლებისაგან შემდგარი, ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელში გადავიდა), ლიკვიდირებულ იქნა დემოკრატიული უფლებები. აიკრძალა ურუგვაის კომუნისტური პარტიის და მთელი რიგი მემარცხენე ორგანიზაციების საქმიანობა, კანონგარეშე გამოცხადდა მშრომელთა ეროვნული კონვენტი — უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება, დაითხოვეს პარლამენტი, დაიხურა უნივერსიტეტი და პრაქტიკულად აიკრძალა ყოველგვარი პოლიტიკური გამოსვლა. ურუგვაის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, ფართო ფრონტი, რომელიც აერთიანებს ქვეყნის დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს, პროფკავშირები და მუშათა ორგანიზაციები დევნას განიცდიან.



ასეთ ჭოხმახებში ცხოვრობენ ლატაკები.

ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები

კუნძულებში შედის აღმოსავლეთი (სოლედადი) და დასავლეთი ფოლკლენდის (გრან-მალვინის), და გარშემო მდებარე 200 პატარა კუნძული. ისინი მდებარეობენ ატლანტის ოკეანის შორეულ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც უკვე იგრძნობა ანტარქტიდის სუნთქვა. კუნძულების ფართობი 12 ათასი კვ. კმ.-ია. მოსახლეობა — 2,2 ათასი კაცი, ძირითადად, შოტლანდიელები და მეტისები. ადმინისტრაციული ცენტრია პორტ-სტენლი.

კუნძულები აღმოაჩინეს 1520 წ. XVIII ს.-ში კუნძულებს ფრანგები დაეპატრონენ, ისინი შეცვალეს ესპანელებმა, შემდეგ კი — ინგლისელებმა. კოლონიას ინგლისელი გუბერნატორი მართავს.

მოსახლეობა მისდევს გრძელბეწვიანი ცხვრის მოშენებას. არის ვეშაპთა და სელაპთა სარეწები.



ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა შვრია.

არგენტინა კუნძულებს თავის ტერიტორიად თვლის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოუწოდა არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს მოლაპარაკების გზით გადაწყვიტონ დავა.

ჩილე

ჩილეს რესპუბლიკა.
ფართობი — 756,9 ათასი კმ².
მოსახლეობა — 10,86 მლნ. კაცზე მეტი.
დედაქალაქი — სანტიაგო (4,1 მლნ. მცხ. გარეუბნებიანად).
სახელმწიფო ენა — ესპანური.

მსოფლიოში ალბათ არ არის ისეთი ორიგინალური მოხაზულობის ქვეყანა, როგორიცაა ჩილე. იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოთხი ათასზე მეტ კილომეტრზე მიუყვება წყნარი ოკეანის სანაპიროს, პერუს საზღვრიდან ჰორნის კონცხამდე. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მანძილი კი მის ყველაზე ფართო ადგილას 350 კმ-ს თუ აღწევს. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი კორდილიერების ქედს (ანდებს) უჭირავს. იგი ჩრდილოეთი საზღვრიდან სამხრეთამდეა გადაჭიმული და თითქმის წყნარ ოკეანეს ებჯინება. მისი მწვერვალები ზღვის დონიდან 6000 მ-ზე მეტს აღწევს. ჩილე ვულკანების ქვეყანაა. დროდადრო ისინი ამოქმედდებიან ხოლმე და აფრქვევენ ლავასა და ლოდებს. მიწისძვრები აქ ძალზე ხშირია, განსაკუთრებით სამხრეთში. მოსახლეობას მუდამ საფრთხე ემუქრება. ძლიერი მიწისძვრა — 12 ბალიანი — 1960 წ. მაისში მოხდა. იგი დაიწყო ქალაქ კონსეპსიონის რაიონში, შემდეგ კი მთელს სამხრეთში გავრცელდა. დაინგრა რამდენიმე ქალაქი. მიწისძვრით გამოწვეულმა უზარმაზარმა ტალღებმა ოკეანეში ჩარეცხა რამდენიმე დაბა თავის მცხოვრებლებიანად. ერთდროულად ათი ვულკანი აფრქვევდა ლავას, კვამლსა და ფერფლს.

ჩილეს ეკუთვნის წყნარ ოკეანეში ცნობილი აღდგომის კუნძული, სადაც აღმოაჩინეს „მოაის“ 600-მდე გოლიათური ქანდაკება ადამიანის ფიგურას რომ გამოსახავს. ზოგიერთი ქანდაკება ოცი მეტრის სიმაღლისაა. მეცნიერთათვის მათი წარმოშობა ჯერაც გამოცანად რჩება.

ჩილე მკვეთრი კონტრასტების ქვეყანაა. ჩრდილოეთში გადაჭიმულია უდაბნო, იქვე, გვერდით კი მაღალი, თოვლით დაფარული ვულკანებია, ქვეყნის ცენტრში შწვანე, ნაყოფიერი ველია, სამხრეთში კი — პირქუშ, ყინულოვან კლდეებში შეჭრილი ფიორდები. ატაკამას უდაბნოში არის ადგილები (არიკა, იკიკე), სადაც რამდენიმე წელს არ მოდის ნალექი, ქვეყნის სამხრეთით კი მთელი წლის განმავლობაში ჟინჟღლავს.

შუა ჩილე (გასწვრივი ველი) განთქმულია რბილი სუბტროპიკული ჰავით, ნაყოფიერი ნიადაგით, წყალუხვი მდინარეებით, მარადმწვანე მცენარეებით. აქ თავმოყრილია მოსახლეობის $^2/_3$-ზე მეტი. აქვე მდებარეობს დედაქალაქი სანტიაგო — ქვეყნის უდიდესი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, აგრეთვე რამდენიმე დიდი ქალაქი და ნავსადგური ვალპარაისო. შუა ჩილეში მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული; აქ ბევრია ბაღი და ვენახი. ვრცელ საძოვრებზე ბალახობს ცხვარი და თხა, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. შუა ჩილეს ქალაქებში თავმოყრილია ქვეყნის თითქმის ყველა ფაბრიკა და ქარხანა, სადაც ამზადებენ ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ხორცისა და თევზის კონსერვებს, ცემენტს, ქიმიურ ნაწარმს.

ჩრდილოეთი ჩილე ზეგანია. მის აღმოსავლეთ ნაწილში ბევრია ვულკანი. არგენტინის საზღვართან მდებარეობს ანდების უმაღლესი მწვერვალი — აკონკაგუა (6960 მ). ზეგნის მეტი ნაწილი უჭირავს ატაკამას უწყლო, მლაშობ უდაბნოს. მცენარეულობა ამ ადგილებში ძალიან ღარიბია, უმთავრესად გვხვდება კაქტუსები და ეკალბარდები. წყალი აქ ათეული და ასეული კილომეტრებიდან მო-



აქვთ მაჭარებლებით, ავტომანქანებით, ან ქაჩავენ მილებით და მაინც სწორედ ატაკამამ მოუხვეჭა ჩილეს მსოფლიო სახელი: მოიპოვებენ გვარჯილასა და სპილენძს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყეს აქ გვარჯილის მოპოვება უცხოელმა კაპიტალისტებმა. ახლა გვარჯილამ დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა: იგი თანდათან განდევნა სხვადასხვა ხელოვნურმა სასუქმა, მაგრამ რამდენიმე დიდ საბადოში მისი მოპოვება გრძელდება. ახლა ჩილეს მთავარი სიმდიდრეა სპილენძი. მას ქვეყნის შემოსავლის 20% მოაქვს.

სამხრეთ ჩილეს უჭირავს პატაგონიის დასავლეთი და სხვა ბევრი კუნძული, მათ რიცხვში კუნძულ ცეცხლოვანი მიწის დასავლეთი ნაწილი. ეს კუნძული არქიპელაგის ნაწილია კონტინენტის უკიდურეს სამხრეთში. იგი მაგელანმა აღმოაჩინა 1520 წ. პირველმა ზღვაოსნებმა კუნძულზე კოცონები და ჩირაღდნები შეამჩნიეს, რომლებიც ინდიელებს დაენთოთ. კუნძულმა თავისი სახელწოდებაც აქედან მიიღო. ჩილეს სამხრეთი ნაწილი ნოტიო და ცივი ჰავის, ნისლისა და ძლიერი ქარების მხარეა. თოვლით დაფარული მთებიდან სანაპიროზე მყინვარები ცოცდებიან. სამხრეთ ჩილეს მნიშვნელოვანი ნაწილი ტყითაა დაფარული. ვრცელი საძოვრები მეცხოველეობისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნის. სამხრეთი ჩილე ძალზე მეჩხრაღაა დასახლებული: ქვეყნის დაახლოებით $^1/_3$-ზე მოსახლეობის მხოლოდ 4% თუ ცხოვრობს.

ძველად ქვეყანა დასახლებული იყო მამაცი, თავისუფლებისმოყვარე ხალხით — ინდიელი არაუკანებით, წინათ მახარაუკანია ეწოდებოდა. შემდგომში ქვეყანას სახელად ჩილე უწოდეს, რაც ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენაზე „ცივს“ ნიშნავს. ახლა ინდიელები ძალიან ცოტანი დარჩნენ. მოსახლეობის უმრავლესობა — ჩილელები — ესპანელთა და სხვა ევროპელთა შთამომავალნი არიან; ცხოვრობენ მეტისები და ინდიელებიც.

პირველი ევროპელი, რომელმაც 1520 წ. ჩილეს მიწაზე ფეხი დაადგა, იყო ცნობილი პორტუგალიელი ზღვაოსანი ფ. მაგელანი. მალე ესპანელი დამპყრობლები მეზობელი პერუდან ჩილეს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. 1541 წ. მათ დააარსეს ქალაქი სანტიაგო — ახლანდელი დედაქალაქი. ორასი წელი ებრძოდნენ ესპანელი კოლონიზატორები არაუკანებს, ჟლეტდნენ მათ და სულ უფრო და უფრო სამხრეთისაკენ ერეკებოდნენ.

1818 წ. ესპანეთთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩილე განთავისუფლდა. ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ მსხვილი მიწათმფლობელები და ბურჟუაზია. მათ კავშირი დაამყარეს ინგლისის, გერმანიისა და აშშ-ის კაპიტალისტებთან. ქვეყნის ეკონომიკა უცხოეთის კაპიტალის ტყვეობაში აღმოჩნდა. ჩილეს მთავარი ეროვნული სიმდიდრეა სპილენძი, მაგრამ სპილენძის მრეწველობაში გაბატონებული იყვნენ მსხვილი ამერიკული კონცერნები.

უჭირდა ჩილელ ხალხს. მოსახლეობის დაახლოებით 15% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. დაწყებით სკოლაში შესული ყოველი 100 ბავშვიდან



სანტიაგოს ეროვნული სტადიონი სახალხო ერთიანობის მთავრობის შექმნის წლისთავზე დღესასწაულის დროს. ფაშისტური გადატრიალების შემდეგ ხუნტამ იგი საკონცენტრაციო ბანაკად აქცია.

სკოლას ამთავრებდა მხოლოდ 30. ჩილეს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხოლოდ 3%-ია მუშათა და გლეხთა ოჯახებიდან. ორ მილიონზე მეტი ჩილელი არ ღებულობდა არავითარ სამედიცინო დახმარებას, არც შვებულებას. მრეწველობის მუშათა მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. მათი უმრავლესობა ღებულობდა დაბალ ხელფასს და ნახევრად მათხოვრულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სახნავი მიწები და საძოვრები მსხვილ მემამულეთა ხელთ იყო, გლეხობის უმრავლესობას მიწა არ ჰქონდა. მათი ძირითადი მასა — მონახევრეები (ინკილინოები) — მიწას მემამულისაგან იჯარით იღებდნენ. ისინი მთელი ოჯახით ამუშავებდნენ მიწას. დამუშავებული მიწის თითქმის 90% მემამულეთა მეურნეობებს ეკუთვნოდა. მაგრამ ნათესები ამ მამულებში მთელი მიწის მხოლოდ მეათედს შეადგენდა. დანარჩენი ფართობი საძოვრები იყო. ქვეყნის სოფლის მეურნეობა იძლეოდა რამდენჯერმე ნაკლებ პროდუქტს, რის მოცემაც მას შეეძლო. ჩილეში მუდამ იყო სურსათის ნაკლებობა. ამიტომაც იგი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ.

ჩილეში ბოლო დრომდე ხელისუფლების სათავეში იდგა პრეზიდენტი; საკანონმდებლო ორგანო იყო ეროვნული კონგრესი. ქვეყანაში არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია.

1970 წ. ბოლოს არჩევნების შედეგად ჩილეში შეიქმნა სახალხო ერთიანობის კოალიციის მთავრობა, რომელსაც სათავეში პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე ედგა. ამ კოალიციაში შედიოდნენ კომუნისტები, სოციალისტები, რადიკალები, მემარცხენე კათოლიკები, სხვა დემოკრატიული პარტიებისა და გაერთიანებების წარმომადგენლები. ს. ალიენდეს მთავრობამ სამ წელიწადში მთელი რიგი ძირეული სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები მოახდინა: ნაციონალიზაცია გაუკეთა სპილენძის მოპოვებას, ბანკებს და ეკონომიკის ძირითად დარგებს — რკინის მადნის, გვარჯილისა და ქვანახშირის მრეწველობას. აგრარული რეფორმის შედეგად მემამულეებს ჩამოართვეს მსხვილი მამულების უმეტესობა. ორჯერ შემცირდა უმუშევრობა, მშრომელებისათვის ააშენეს ასეულ ათასობით ბინა, გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრება, განსაკუთრებით, ბავშვების მდგომარეობა.

ყველაფერმა ამან გამოიწვია შინაგანი რეაქციისა და უცხოეთის მონოპოლიების მძაფრი წინააღმდეგობა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩილელი ხალხისათვის წაერთმიათ მოწაპოვარი. რეაქციულმა ძალებმა ბევრი ძირგამომთხრელი საქმიანობა და ტერორისტული აქტი ჩაიდინეს სახალხო ერთიანობის მთავრობის მიმართ. 1973 წ. 11 სექტემბერს კონტრრევოლუციონერებმა სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს. პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკლეს. სამხედრო ხუნტამ, როგორც

ქვეყანაში სისხლიანი ფაშისტური რეჟიმის დამამყარებელი სამხედრო ხუნტა ერთი დღითაც არ წყვეტს ჩხრეკას, დაპატიმრებას და დახვრეტებს. სურათზე: ტერორის მსხვერპლნი სანტ-იაგოს ქუჩებში.

კი ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ, ქვეყანაში სასტიკი ტერორი დაამყარა. ათი ათასობით კაცი დააპატიმრეს და ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. პატიმრებს აწამებდნენ, ხვრეტდნენ. ყველაზე ცუდ პირობებში იყვნენ ჩილეს კომუნისტები. ფაშისტურმა ხუნტამ ლიკვიდაცია უყო ჩილელი ხალხის ყველა სოციალურ და ეკონომიკურ მონაპოვარს, რასაც სახალხო ერთიანობის მთავრობის დროს მიაღწიეს; დაითხოვა კონგრესი, აკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, მაღაროები და შახტები დაუბრუნა უცხოურ მონოპოლიებს, ხოლო მიწა — მემამულეებს.

1980 წლისათვის ხუნტამ სიცოცხლეს გამოასალმა 30 ათასი კაცი, დააპატიმრა 100 ათასი, ხოლო ერთი მილიონი ჩილელი ემიგრაციაში იმყოფება. ყოველი მეოთხე მშრომელი ამჟამად უმუშევარია.

მიუხედავად სასტიკი ტერორისა, პროგრესულ-დემოკრატიული ძალები ჩილეს კომუნისტური პარტიის მეთაურობით (შეიქმნა 1922 წ.) მძიმე პირობებში, არალეგალურად განაგრძობენ ბრძოლას თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, დიდ სოლიდარობას უცხადებენ ჩილელ პატრიოტთა ბრძოლას. მათ მტკიცედ სწამთ, რომ ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს ფაშისტური რეაქციის ძალებზე.



ჰაიტის დედაქალაქის პორტ-ო-პრენსის ერთ-ერთი კვარტალი.

ჰაიტი

ჰაიტის რესპუბლიკა.
ფართობი — 27,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 4,75 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — პორტ-ო-პრენსი (475 ათასი მცხოვრები).
სახელმწიფო ენა — ფრანგული.

ქვეყანას უჭირავს ამავე სახელწოდების (გმირული კუბის მეზობელი) კუნძულის დასავლეთი ნაწილი.

XVI ს. დასასრულს ესპანელებმა დაიპყრეს კუნძული ჰაიტი (კარიბის ინდიელთა ენაზე „მთაგორიანს“ ნიშნავს). იგი ესპანეთის კოლონიად გადაიქცა. ინდიელთა მკვიდრი მოსახლეობა მთლიანად ამოჟლეტილია. პლანტაციებში და მაღაროებში სამუშაოდ აფრიკიდან მონა-ზანგები შემოიყვანეს. XVII ს. კუნძულის დასავლეთი ნაწილი ფრანგებმა დაიპყრეს.

ახლანდელი ჰაიტის მოსახლეობის 90%-ზე მეტი ზანგები არიან, დანარჩენები — ჰაიტელი-ფრანგი მულატები.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის გავლენით

ლათინური ამერიკის კონტინენტზე ჰაიტელმა მონა-ზანგებმა XVIII ს. ბოლოს პირველებმა აღმართეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ალამი. მათ მიაღწიეს მონობის გაუქმებას (1793 წ.) და ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა (1804 წ.).

ჰაიტელების გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და აჯანყებულთა არმიის ხელმძღვანელის — ზანგი ტუსენ-ლუვერტიურის სახე შექმნა საბჭოთა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ ა. ვინოგრადოვმა თავის ცნობილ რომანში — „შავი კონსული“.

ქვეყნის დიდი ნაწილი უჭირავს ტროპიკული მცენარეებით დაფარულ მთებს, რომლებსაც ინდიელი არაუაკის ტომი ჰაიტის ეძახის (აქედან წარმოსდგება ქვეყნის სახელწოდება). ქვეყნის კლიმატური პირობები ხელს უწყობს ყავის, შაქრის ლერწმის, კაკაოს, სიზალისა და სხვა ძვირფასი კულტურის მოყვანას. აქ მოიპოვებენ ბოქსიტებს, სპილენძს, მარმარილოს, თიხას, ქვიშას, კირქვას, საამშენებლო ქვას და ზღვის მარილს.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ჰაიტში სამხედრო-პოლიციური დიქტატურაა გაბატონებული. იგი ემყარება პროფესიულ არმიას, პოლიციას და ეგრეთ წოდებული ტონტონ-მაკუტების („მაჭიების“) ქვეგანაყოფს, რომლის შემადგენლობაშიც დეკლასირებული ელემენტები და სისხლის სამართლის დამნაშავეები შედიან. ქვეყანა ყოველთვის იყო და არის აშშ-ის სამემკვიდრეო მამული და სამხედრო-სტრატეგიული ბაზა. ჩრდილოამერიკული მონოპოლიები ჰაიტის ეკონომიკაში დაბანდებული მთელი კაპიტალის 70%-ს აკონტროლებენ.

ძალზე უჭირთ ჰაიტელებს. აქ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების ყველაზე დაბალი დონეა. მოსახლეობის 80% წერა-კითხვის უცოდინარია.

ჰაიტის ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობაა (ყავის, სიზალის, შაქრის ლერწმის წარმოება).

არალეგალურ პირობებში მოქმედებს ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტია. იგი მოუწოდებს ხალხს იბრძოლონ მემამულე-ლატიფუნდისტების და ამერიკული მონოპოლიების წინააღმდეგ, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

ჰონდურასი

ჰონდურასის რესპუბლიკა.
ფართობი — 112,1 ათას კმ².
მოსახლეობა — 3,38 მლნ. კაცი.
დედაქალაქი — ტეგუსიგალპა (317 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ესპანური.

ჰონდურასი ცენტრალური ამერიკის ექვსი რეს პუბლიკის ერთ-ერთი რესპუბლიკათაგანია. 1502 წ



ტეგუსიგალპის ერთ-ერთ ქუჩაზე.

ქვეყანა აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა. კარიბის ზღვის მოსახელე ყურის სიღრმის გამო მას უწოდეს ჰონდურასი (ესპანურად „ონდურო“ — „ღრმა“). თანამედროვე ჰონდურასის ტერიტორია დასახლებული იყო ინდიელთა მრავალრიცხოვანი ტომებით (ლენკა, მაია, ჩაროტეგი). სამი საუკუნის განმავლობაში, 1839 წლამდე, ქვეყანა ესპანეთის კოლონია იყო.

ჰონდურასის ეკონომიკა, რომლის საფუძველი სოფლის მეურნეობა და უპირველესად ბანანების წარმოებაა, თითქმის მთლიანად ემორჩილება ჩრდილოამერიკულ მონოპოლიებს „იუნაიტედ ფრუტს“ და „სტანდარტ ფრუტ ენდ სტიმშიპ კომპანიის“. ამ კომპანიებს ეკუთვნით რკინიგზის და საწყლოსნო ტრანსპორტის დიდი ნაწილი.

მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. უმთავრესად გვხვდება ქვების და ხე-ტყის დამუშავების პატარა-პატარა საწარმოები. უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვებენ თუთიას, ქვანახშირს, რკინის მადანს, სპილენძს.

ჰონდურასი ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა. რესპუბლიკას რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — უნდა განთავისუფლდეს უცხოეთის კაპიტალის ძალადობისაგან. ხალხის ბრძოლას ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისათვის სათავეში უდგას ჰონდურასის კომუნისტური პარტია.

1972 წელს დაითხოვეს ეროვნული კონგრესი და ხელისუფლება გადავიდა ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს ხელში, რომელმაც, თავის მხრივ, 1978 წელს დაუთმო იგი სამხედრო ხუნტას.

ავსტრალია და ოკეანეთი

შესავალი

ავსტრალია ყველაზე პატარაა კონტინენტებს შორის. მისი ფართობი 7,7 მილიონი კვ. კმ-ია. იგი მართლაც დედამიწის ყველაზე თავისებური კონტინენტია. მხოლოდ ავსტრალიაში ბინადრობენ ჩანთოსანი ძუძუმწოვრები — კენგურუ, ჩანთოსანი მგელი, სასაცილო პაწია კოალები ანუ ჩანთოსანი დათვები, რომლებიც ხეებზე ცხოვრობენ. არყის ხეები და გედები აქ თეთრი კი არა, შავი ფერისანი არიან.

ავსტრალია ერთადერთი კონტინენტია, რომელზედაც მხოლოდ ერთი სახელმწიფოა — ავსტრალია.

ქვეყნის ნაწილების გამოყოფისას ავსტრალიას, ჩვეულებრივ, ოკეანეთსაც მიაკუთვნებენ. მისი მჭელეთის საერთო ფართობი 1,2 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა დაახლოებით 18 მლნ. კაცს უდრის. ესაა მსოფლიოში კუნძულების უდიდესი თავმოყრა (10 ათასამდე) წყნარი ოკეანის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში. კუნძულები გაწლაგებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკულ განედებსა და სამხრეთ ნახევარსფეროს ზომიერ განედებს შორის. ოკეანეთში ყველაზე დიდი კუნძულებია ახალი გვინეა (მისი დასავლეთი ნახევარი — ირიან ჯაიას პროვინცია — ინდონეზიას ეკუთვნის) და ახალი ზელანდია (ჩრდილოეთი და სამხრეთი კუნძულები). მათ ოკეანეთის ტერიტორიის 80% უკავიათ.

ოკეანეთში მეცნიერები გამოყოფენ კუნძულების სამ დიდ ჯგუფს: მელანეზიას — ყველაზე უფრო დასავლეთით მდებარე შედარებით დიდ კუნძულებს, მიკრონეზიას — წვრილ კუნძულებს მელანეზიის ჩრდილოეთით და პოლინეზიას — კუნძულებს ოკეანეთის ცენტრალურ ნაწილში.

თითოეული ეს ჯგუფი შედგება რამდენიმე არქიპელაგისაგან. ოკეანეთშიც დამოუკიდებელ ნაწილად გამოიყოფა ახალი ზელანდია, თუმცა თავისი ეთნიკური შემადგენლობით იგი პოლინეზიასთან უფრო ახლოს არის.

მელანეზიისა და დასავლეთი მიკრონეზიის კუნძულები წყნარი ოკეანის ფსკერიდან ამოშვერილი უზარმაზარი მთაგრეხილების წყალზედა ნაწილებია. დიდი კუნძულები მთაგორიანია, დასერილია ხეობებით. წყნარი ოკეანის ცენტრალური ნაწილის ბევრი კუნძული სხვა არაფერია, თუ არა

წყალქვეშა ვულკანების კონუსისებური მწვერვალები. მათ მიეკუთვნებიან ჰავაის (აშშ-ის ტერიტორიის ნაწილი), სამოას, მარკიზის, საზოგადოების კუნძულები, კუკის სამხრეთი კუნძულები, აღდგომის კუნძული (ეკუთვნის ჩილეს). ამ კუნძულების ზოგიერთი ვულკანის სიმაღლე ყველაზე დიდია მსოფლიოში. მაგალითად, კუნძულ ჰავაიზე მაუნა-ლოასა და მაუნა-კეას სიმაღლე წყალქვეშა ფუძიდან 9 ათას მ-ს აღემატება. მაგრამ პოლინეზიისა და აღმოსავლეთ მიკრონეზიის კუნძულების უმრავლესობა დაბალი მარჯნის ატოლებია, რომლებიც ზოგჯერ ძლივს მოჩანან წყალზე. ესენი „ცოცხალი“ კუნძულებია. ისინი წყალქვეშა ვულკანური მწვერვალების გარშემო ააგეს ზღვის ცოცხალმა არსებებმა — მარჯნებმა.

ბუნებას ოკეანეთის კუნძულები განუმეორებელი თავისებურებებით დაუჯილდოებია. რელიეფის, მცენარეულობის, გარემომცველი წყლების თავისებურებანი თითოეულ კუნძულს განსაკუთრებულ მომხიბლაობას ანიჭებს. მეტად მრავალფეროვანია ოკეანეთის ფლორა. იგი არც ისე მდიდარია სახეობათა რაოდენობით, მაგრამ აქ ლამაზად მოყვავილე ენდემურ მცენარეებს დიდი ფართობი უკავიათ. განედური მდებარეობის გარდა, მცენარეულობის ხასიათზე ძლიერ გავლენას ახდენს სიმაღლე ზღვის დონიდან. ზოგიერთ კუნძულზე — განსაკუთრებით, მაღალ კუნძულებზე — შეიძლება შეხვდეთ მცენარეულობის ყველა კლიმატურ ტიპს — ტენიანი მარადმწვანე ტყეებიდან მაღალმთიან, თითქმის ტუნდრის მცენარეულობამდე, რომელიც მთის წვერზე იზრდება. მაგრამ ოკეანეთის ნამდვილი დედოფალია ქოქოსის პალმა. ამ მცენარის მერქანი მაგარია და საშენად იხმარება; ქოქოსის რძე საჭმელში გამოიყენება, ხოლო მისი ბოჭკოსაგან წნავენ თოკებს, აკეთებენ ჯაგრისებს. განსაკუთრებით ძვირფასია კოპრი — კაკლის გამომშრალი რბილობი. მასში 65% ზეთია, რომელიც ხმარდება მარგარინის, საუკეთესო ხარისხის ტუალეტის საპნის და მრავალი სხვა სასარგებლო ნივთების წარმოებას.

ოკეანეთის ფაუნა, ავსტრალიის მახლობელი დიდი კუნძულების გამოკლებით, შედარებით ღარიბია. კუნძულებზე თითქმის არ არის ძუძუმწოვრები. ბევრია ფრინველი, მაგრამ მათი სახეობების რაოდენობა კლებულობს აღმოსავლეთის მიმართულებით.

მეცნიერებაში ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ როგორ სახლდებოდა ოკეანეთი — დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, დასახლება დაიწყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და თანდათანობით მიმდინარეობდა ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ. აღმოსავლეთით ყველაზე დაშორებულ კუნძულებზე, როგორც ჩანს, ადამიანი დაფუძნდა მხოლოდ XIV საუკუნისათვის. ახლანდელი ოკეანეთელების წინაპრები მამაცი და უნარიანი ზღვაოსნები იყვნენ. ოკეანეთის ხალხებმა შექმნეს თავიანთი მკაფიო, თვითმყოფადი ხელოვნება. კოლონიზატორთა მოსვლის შემდეგ ეს ძველი ხელოვნება დაეცა. კოლონიზატორებს არ აინტერესებდათ კუნძულთა ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები. მეცნიერებს კიდევ დიდი შრომის გაწევა მოუწევთ ოკეანეთის ხალხთა ისტორიის აღსადგენად, მის საიდუმლოთა ამოსაცნობად, — მაგალითად, პირამიდები ტაიტის კუნძულზე.

ოკეანეთის მკვიდრ მოსახლეობას ყოფენ მელანეზიელებად, მიკრონეზიელებად და პოლინეზიელებად. თითოეული ეს ჯგუფი სხვადასხვა ხალხისაგანაა შემდგარი; მაგალითად, პოლინეზიელები ლაპარაკობენ მონათესავე ენებზე, მაგრამ ყველა არქიპელაგსა თუ ცალკეულ კუნძულს თავისი მკვიდრი მოსახლეობა ჰყავს: ტონგელები, ნიუალები, ტაიტელები, ტუბუაილები, რაპანუიელები (აღდგომის კუნძულზე) და ა. შ. მკვიდრი მოსახლეობის გარდა, ოკეანეთის კუნძულებზე ცხოვრობს თითქმის იმდენივე ჩასახლებული მობინადრე; ესენი არიან: ავსტრალიელები, ახალზელანდიელები, ინგლისელები, ამერიკელები, იაპონელები, ფილიპინელები, ინდოელები.

ევროპის ქვეყნებისათვის XVI საუკუნემდე უცნობი იყო ოკეანეთის არსებობა. მხოლოდ მაგელანის დედამიწის გარშემო მოგზაურობის შემდეგ აღმოაჩინეს მარიანის კუნძულები. მაგრამ ამის შემდეგაც საუკუნეთა მანძილზე ბევრი არქიპელაგი რუკაზე არ იყო აღნიშნული.

XIX საუკუნეში ოკეანეთის გამოკვლევის საქმეში დიდი როლი შეასრულა რუსეთის მეცნიერებამ (იხ. სე, ტ. 1, სტ. „როგორ სწავლობდნენ დედამიწას“).

კოლონიზატორების მიერ ოკეანეთის კუნძუ-

ლების დაპყრობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. XX საუკუნის დამდეგს მთელი ოკეანეთი უკვე დანაწილებული იყო აშშ-ს, საფრანგეთს, ინგლისსა და გერმანიას შორის. ამის შემდეგ კოლონიურ სამფლობელოთა მხოლოდ გადანაწილება ხდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ოკეანეთის ბევრი კუნძული აშშ-სა და იაპონიას შორის გააფთრებული ბრძოლების ადგილი იყო. ომის შემდგომ წლებში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყურადღება ოკეანეთისადმი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა. ბევრი კუნძული გამოყენებულია სამხედრო ბაზებად თვითმფრინავებისა და გემებისათვის, აგრეთვე, პოლიგონებად ატომური იარაღის გამოსაცდელად. ამიტომ კოლონიზატორები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა კუნძულზე.

მსოფლიოს ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის ოკეანეთელთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ამან გამოიწვია ისეთი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გამოცხადება, როგორიცაა დასავლეთი სამოა, ნაურუ, ტონგა, ფიჯი, პაპუა-ახალი გვინეა. ოკეანეთის სხვა ხალხებიც, უველაზე მცირე ერების ჩათვლით, იბრძვიან თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ავსტრალია

ავსტრალია.
ფართობი — 7,7 მლნ. კმ².
მოსახლეობა — 14,2 მილიონზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — კანბერა (202 ათასი მცხ.).
სახელმწიფო ენა — ინგლისური.

სახელმწიფო მდებარეობს ავსტრალიის კონტინენტზე, ტასმანიის კუნძულსა და მრავალ პატარა კუნძულზე. ავსტრალიის პირველ აღმომჩენთა შორის იყვნენ ჰოლანდიელი ზღვაოსნები ვ. იანცი (1605) და ა. ტასმანი (1642). ავსტრალია ინგლისის სამფლობელოდ იქცა 1770 წელს, როდესაც ჯ. კუკმა ხელმეორედ „აღმოაჩინა“ იგი. ჯ. კუკის ნაპირზე გადმოსვლის დღე ავსტრალიის ეროვნული დღესასწაულის დღედ ითვლება. 1788 წელს ავსტრალიის ნაპირებს მიადგა ინგლისიდან მოსული საზღვაო ტრანსპორტი, რომელმაც ასობით კატორღელი მოიყვანა. აქ დაარსდა პირველი ქალაქი — სიდნეი. ინგლისის მთავრობამ ავსტრალია გადასახლების ადგილად შეარჩია. ნახევარი საუკუნის მანძილზე (1840 წლამდე) იქ რეგულარულად იგზავნებოდა კატორღელებით სავსე გემები. ამ ხნის მანძილზე ავსტრალიაში 160 ათასი კაცი გადაასახლეს.



XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ოქროს საბადოების აღმოჩენამ ავსტრალიაში გადმოსახლებულთა მნიშვნელოვანი ნაკადი მიიზიდა. 1850 წ. ევროპელი მოსახლეობა 400 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 1870 წელს იგი 1,146 ათასამდე გაიზარდა. მაგრამ ახლაც ეს დიდი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი კონტინენტი სუსტად არის დასახლებული. ფართობით ავსტრალია ცოტათი ჩამორჩება ევროპას, ხოლო მისი მოსახლეობა 14 მილიონზე ოდნავ მეტია. ავსტრალიელთა 80%-ზე მეტი ცხოვრობს შტატების ექვს დედაქალაქში: სიდნეიში, მელბურნში, ბრისბენში, ადელაიდაში, პერთში, ჰობარტში.

ტრაგიკული ბედი ეწია აბორიგენებს — ავსტრალიის მკვიდრ მცხოვრებლებს. ინგლისელები ცდილობდნენ ავსტრალიელი აბორიგენები სამუშაო ძალად გამოეყენებინათ. მაგრამ მათ არ ჰქონდათ ცხვრის მოშენების, მიწების დამუშავების ჩვევები, მისდევდნენ საჭმელი ფესვებისა და ბალახების შეგროვებას, ნადირობასა და მეთევზეობას. დაიწყო აბორიგენების განდევნა იმ მიწებიდან, რომლებზეც ისინი საუკუნეთა მანძილზე

ცხოვრობდნენ, მათ ერეკებოდნენ კონტინენტის სიღრმეში, ცხელ უწყლო უდაბნოებში. ამავე დროს მათ უმოწყალოდ ანადგურებდნენ. შეიქმნა სპეციალური ბანაკები, ეგრეთ წოდებული რეზერვაციები. ავსტრალიის მოწინავე ადამიანები ხშირად გამოდიოდნენ და გმობდნენ მთავრობის პოლიტიკას აბორიგენების მიმართ. სახელმწიფოში შეიქმნა მათი უფლებების დამცველი სპეციალური კომიტეტი. ახლა თვითონ აბორიგენებიც გამოდიოდნენ თავიანთ უფლებათა დასაცავად. აბორიგენთა მოძრაობას მხარს უჭერდა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა, პროფკავშირები, ლეიბორისტები და კომუნისტები. 1967 წ. მთავრობა იძულებული გახდა ჩაეტარებინა რეფერენდუმი. კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც აბორიგენთა დისკრიმინაციას გულისხმობდა, გაუქმდა, ხოლო აბორიგენებს მოქალაქეობის უფლებები მიენიჭათ.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ავსტრალიაში ჯერ კიდევ არ იყო ცენტრალიზებული მმართველობა, იყო ახალმოშენეთა ექვსი კოლონია: ახალი სამხრეთი უელსი, ვიქტორია, კვინსლენდი, დასავლეთი ავსტრალია, სამხრეთი ავსტრალია და ტასმანია. მათი გაერთიანება მოხდა 1901 წლის 1 იანვარს, როცა ოფიციალურად გამოცხადდა ავსტრალიის კავშირი, რომელმაც დომინიონის უფლება მიიღო.

სახელმწიფოს სათავეშია ინგლისის დედოფალი, რომლის წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც ორი პალატისაგან — წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან შედგება.

ავსტრალიის წამყვანი პოლიტიკური პარტიებია: ლეიბორისტული (უძველესი და ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია), ლიბერალური (მას „დიდი ბიზნესის“ პარტიას უწოდებენ), ეროვნული აგრარული (სასოფლო-სამეურნეო მონოპოლიების, მსხვილი მიწათმფლობელების პარტია. ე. წ. ავსტრალიის პარტია) და ავსტრალიელ დემოკრატთა პარტია. მუშათა კლასისა და მშრომელთა ინტერესების დამცველად გამოდის ავსტრალიის სოციალისტური პარტია (შეიქმნა 1972 წელს).

ავსტრალიის დედაქალაქი — კანბერა — დაარსდა 1913 წ. იგი დაარსდა ფედერაციის გავლენიან შტატებს — ახალ სამხრეთ უელსსა და ვიქტორიას შორის დიდი ხნის დავის შემდეგ, თუ სად ყოფილიყო დედაქალაქი. დავა რვა წელიწადს გაგრძელდა და დამთავრდა კომპრომისით. გადაწყვიტეს ავსტრალიის დედაქალაქი აეშენებინათ ამ შტატების დედაქალაქებიდან თანაბარი მანძილით დაშორებულ ადგილზე.

კანბერაში მთავრობის დაწესებულებები გადავიდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კანბერა ამავე დროს ავსტრალიის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრია. იქ არის ეროვნული უნივერსიტეტი, სატყეო აკადემია, მეცნიერებათა აკადემია, ეროვნული ბიბლიოთეკა.

ავსტრალიის უდიდესი ქალაქია სიდნეი — ახალი სამხრეთი უელსის შტატის დედაქალაქი (სამ მილიონამდე მცხოვრები). ქალაქი განლაგებულია პორტ-ჯეკსონის დიდებული ყურის ნაპირებზე, რომელსაც ეს სახელი უწოდეს იმ მეზღვაურის სახელის პატივსაცემად, კუკის გემიდან პირველმა რომ დაინახა მიწა.

უბის სამხრეთ ნაპირებზე ქალაქის სავაჭრო და საფინანსო ნაწილია ბანკებით, მაღაზიებითა და სპეციალური შენობებით, სადაც ტარდება ხოლმე აუქციონი მსოფლიოში სახელგანთქმული ავსტრალიური მატყლის გასაყიდად. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია მინისა და ბეტონისაგან ნაგები 20—30 სართულიანი უზარმაზარი ცათამბჯენები. ქალაქს ამშვენებს ბაღები და პარკები, სადაც თავმოყრილია ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები. ქალაქის მშვენიერი პლაჟები 60 კმ-ზეა გადაჭიმული. მაგრამ ზღვის მოქცევის, დინებათა და ზვიგენების გამო ბანაობა საშიშია.

სიდნეის მეტოქეობას უწევს მელბურნი, ვიქტორიის შტატის დედაქალაქი, დიდი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი (2,5 მლნ. მცხოვრები). ავსტრალიელებს მელბურნი ულამაზეს ქალაქად მიაჩნიათ და მას ავსტრალიის თვალმარგალიტს უწოდებენ.

ავსტრალია დიდხანს ვითარდებოდა, როგორც აგრარული ქვეყანა. სოფლის მეურნეობის მთავარ დარგად მეცხვარეობა იქცა. გასული საუკუნის შუა წლებში ცხვრების რაოდენობამ 20 მილიონს მიაღწია, ხოლო 1977 წელს 135 მლნ.-ს გადააჭარბა. ავსტრალიას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია მატყლის ნაპარსით — საშუალოდ 800 ათასი ტონა წლიურად, მსოფლიო წარმოების თითქმის მესამედი. მატყლის დაახლოებით 90% საექსპორტოდ მიდის. ავსტრალიური მერინოსის ჯიშის

ცხვრის მატყლი დიდად ფასობს მთელს მსოფლიოში. განვითარებულია, აგრეთვე, მეღორეობა (2,2 მლნ.) და მეძროხეობა (32 მლნ. თავი). ავსტრალიის სოფლის მეურნეობის მნიშვნელობით მეორე დარგია ხორბლის წარმოება.

ავსტრალიის მრეწველობა ისტორიულად გაცილებით უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე სოფლის მეურნეობა. პირველი სამრეწველო საწარმოები შეიქმნა 1815 წელს. დიდხანს ეს საწარმოები სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი ფაბრიკები იყო, ხოლო შემდეგ სამთო-მოპოვებითი საწარმოები. პირველმა და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომებმა ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებას; რადგანაც ავსტრალიის წინანდელი ეკონომიკური კავშირურთიერთობები შეწყვიტა ომმა, იგი იძულებული გახდა განევითარებინა საკუთარი მრეწველობა, პირველ რიგში, ლითონდამმუშავებელი და მანქანათმშენებელი მრეწველობა. განვითარების მაღალი ტემპებით განსაკუთრებით გამოირჩევა სამთომოპოვებითი, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა. გაიზარდა ფოლადის წარმოება.

კონტინენტის ჩრდილოეთით, სამხრეთითა და, განსაკუთრებით, დასავლეთით აღმოაჩინეს სხვადასხვაგვარი სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი მარაგი. 70-იანი წლების დასაწყისში ავსტრალია მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო ბოქსიტების, მაღალხარისხოვანი რკინის მადნის, კალის, ნიკელის, ვერცხლის, ტყვიის, თუთიის, მანგანუმის, ურანისა და ტიტანის მადნების მიკვლეული მარაგითა და მოპოვებით.

ავსტრალიის საზოგადოების პროგრესული ძალები მოითხოვენ ურთიერთობათა განვითარებას ყველა ქვეყანასთან მათი სოციალური წყობის მიუხედავად, ეროვნულ სიმდიდრეთა დაცვას უცხოეთის მონოპოლიებისაგან, ავსტრალიის გამოსვლას სამხედრო ბლოკებიდან, დემოკრატიულ თავისუფლებათა გაფართოებას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

აღმოსავლეთი სამოა

ოკეანის კუნძულების განაწილების შესახებ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით 1899 წ. სამოას არქიპელაგის აღმოსავლეთი ნაწილი აშშ-ის მფლობელობაში გადავიდა. მასში შედის კუნძული ტუტუილა, მანუას კუნძულები და ორი ატოლი — როზი და აუნუუ. საერთო ფართობია 197 კვ. კმ., მოსახლეობა — 28 ათასი კაცი, ძირითადად, პოლინეზიელები — სამოაელები. ადმინისტრაციული ცენტრია პაგო-პაგო (ტუტუილას კუნძულზე).

კოლონიას მართავს ამერიკელი გუბერნატორი. სამოაელების მიერ თვითმმართველობის მოთხოვნის შედეგად აშშ იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1960 წელს შეიქმნა საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც მეტად შეკვეცილი უფლებები აქვს. იგი შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან.

ეკონომიკის მთავარი დარგებია კოპრის წარმოება და თევზჭერა. დიდ შემოსავალს იძლევა დაკონსერვებული თევზის გაყიდვა. მოჰყავთ ქოქოსის პალმა, იამსი, ტარო, პურის ხე, ბანანი, ციტრუსები.

აღმოსავლეთი ტიმორი

აღმოსავლეთი ტიმორი პორტუგალიის ყოფილი კოლონიაა, რომელიც მდებარეობს კუნძულ ტიმორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში; თვით ეს კუნძული კი — მალაის არქიპელაგში. ტიმორის დასავლეთი ნაწილი ინდონეზიას ეკუთვნის. ინდონეზიის ახლანდელმა მთავრობამ ისარგებლა ამით და გამოაცხადა აღმოსავლეთ ტიმორის შემოერთება, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ განაგრძო ბრძოლა უცხოელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობის რევოლუციური ფრონტი (ფრეტილინი). 1978 წლის გაზაფხულზე ინდონეზიის ჯარებმა დაიწყეს ფართო შეტევა პატრიოტთა წინააღმდეგ, რაზეც პორტუგალიამ პროტესტი განაცხადა. ამასთან ერთად გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის 33-ე სესიაზე კვლავ დაადასტურა აღმოსავლეთ ტიმორის ხალხის უფლება „თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობაზე და, აგრეთვე, ამ უფლების მოპოვებისათვის მისი ბრძოლის კანონიერება“. მაგრამ ინდონეზიის მთავრობამ, ისევე, როგორც 1975-76 წწ., უარყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს რეზოლუცია, რო-

გორც ინდონეზიის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდა. ინდონეზია თავის მისწრაფებაში — შემოიერთოს აღმოსავლეთი ტიმორი — ეყრდნობა ისეთ დაჯგუფებას, როგორიც არის აღმოსავლეთ ტიმორის სახალხო-დემოკრატიული ასოციაცია (აპოდეტი), ტიმორის დემოკრატიული კავშირი (უდტ), ტრაბალისტა და კოტა.

აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობას (660 ათასი კაცი) შეადგენენ ძირითადად მალაიელები და პაპუასები, აგრეთვე, ჩინელები და სხვანი. კუნძულის ამ ნაწილის საერთო ფართობი შეადგენს 14,9 ათას კვ. კმ-ს.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. მოჰყავთ ბრინჯი, სიმინდი, ყავა, ბანანები, ქოქოსის კაკალი, აწარმოებენ მერქანს. საკმაოდ განვითარებულია მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტები გააქვთ ძირითადად პორტუგალიაში, სინგაპურში, ავსტრალიაში, აომინსა და იაპონიაში.

ახალი ზელანდია

ახალი ზელანდია.
ფართობი — 268,7 ათასი კმ².
მოსახლეობა — 3 მილიონზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ველინგტონი (139,2 ათასი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ახალი ზელანდია წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის კუნძულებისაგან შემდგარი სახელმწიფოა. უკავია ორი დიდი კუნძული — ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აგრეთვე, კუნძულები სტიუარტი, ჩატემი და მთელი რიგი სხვა —უფრო დაშორებული და წვრილი კუნძულები. ბუნებას უხვად დაუჯილდოებია ეს ქვეყანა. აქ შეხვდები მყუდრო ხეობებს, წყნარ მდინარეებს, ცისფერ ტბებს, თოვლიან მთებს, მყინვარებსა და ჩანჩქერებს, მბოლავ ვულკანებს და ცხელ გეიზერებს.

ჰავა ზღვისაა, ტენიანი, ჩრდილოეთით — სუბტროპიკული, სამხრეთით — ზომიერი. ხოლო ფლორისა და ფაუნის ახალზელანდიურ წარმომადგენლებს ახალი ზელანდიის გარდა ვერსად შეხვდებით; მაგალითად, უფრთო ფრინველს — კივის, ხეგვიმრას, რომლის სიმაღლე რამდენიმე მეტრია.



ახალი ზელანდია 1642 წ. აღმოაჩინა ჰოლანდიელმა ზღვაოსანმა ა. ტასმანმა (ტასმანმა კუნძულებს უწოდა ჰოლანდიის პროვინციის — ზელანდიის სახელი) და 1769 წელს გამოიკვლია ბრიტანეთის ფლოტის კაპიტანმა ჯ. კუკმა.

ახალი ზელანდიის კუნძულების კოლონიზაცია ევროპელთა მიერ 1849 წ. დაიწყო. კუნძულების დაპყრობას წინ უძღოდა ფარისევლური ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი პოლინეზიელი მოსახლეობის — მაორების რამდენიმე ტომის ბელადებმა მიიღეს ბრიტანეთის სამეფოს ქვეშევრდომობა ნაცვლად დაპირებისა, რომ მათი მიწები „ხელშეუხებელი“ იქნებოდა.

მაორებთან ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი 30 წელიწადს გაგრძელდა. კოლონიზატორების წინააღმდეგ მაორების ბრძოლის მატიანეში გმირობის ბევრი მაგალითია. მკვიდრ მოსახლეობას მათი მიწებიდან ერეკებოდნენ და სპობდნენ. თუ 1840 წელს 200 ათასი მაორი ითვლებოდა, XIX საუკუნის ბოლოსათვის მათგან მხოლოდ 40 ათასი დარჩა. ამ დროისათვის ინგლისელები უკვე შეადგენდნენ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას — 660 ათას კაცს, მაგრამ მაორის ხალხი არ დაღუპულა. ამ ხალხის შეუპოვარმა და გააფთრებულმა წინააღმდეგობამ კოლონიზატორები აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ — მაორებს სამოქალაქო უფლებები მიენიჭათ. მათ უფლება მისცეს მონაწი-

ბიჭი-მაორი.

ლეობა მიეღოთ არჩევით ორგანოებში. XX საუკუნის დასაწყისიდან მაორის მოსახლეობა თანდათანობით მატულობდა და 1974 წ. 245 ათასი კაცი შეადგინა.

ახალი ზელანდია შედის თანამეგობრობის შემადგენლობაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს. სახელმწიფოს მეთაურია ინგლისის დედოფალი, რომლის წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს — წარმომადგენელთა პალატას.

ამ ქვეყნის უძველესი და გავლენიანი პარტიაა ლეიბორისტული პარტია. მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელთა ინტერესებს გამოხატავს ეროვნული პარტია, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე დგას ახალი ზელანდიის სოციალისტური ერთიანობის პარტია (შეიქმნა 1966 წ.).

ახალი ზელანდია ვითარდებოდა, როგორც აგრარული ქვეყანა. ახლაც სოფლის მეურნეობაა ამ ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი. მიწების 50%-ზე მეტს იყენებენ მეცხოველეობისა და მიწათმოქმედებისათვის, თუმცა ქვეყნის $^3/_4$ მთებსა და ბორცვებს უკავია. ზომიერი თბილი ჰავა წლის მანძილზე თანაბარი ნალექებით, ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების სიუხვე ახალ ზელანდიას მეცხოველეობისათვის იდეალურ ქვეყნად აქცევს. ამიტომ წამყვანი დარგებია მეცხვარეობა და სახორცე-საძეო მეცხოველეობა. ქვეყანაში 60 მილიონამდე ცხვარი ჰყავთ. ცხვარს შეიძლება შეხვდეთ ყველგან, თვით დიდი ქალაქების პარკების პატარა მწვანე მდელოებზე. მატყლის გატანით ახალ ზელანდიას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში, ჩამორჩება მხოლოდ ავსტრალიას. ახალი ზელანდია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს სჯობნის ცხვრის ხორცისა და რძის პროდუქტების (კარაქი და ყველი) ექსპორტით. საძოვრებზე 9 მილიონ სულზე მეტი სახორცე და მეწველი პირუტყვია. ახალი ზელანდიის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი ნაწილი მიდის ინგლისის, აშშ-ის, იაპონიის ბაზრებზე.

ქვეყნის მრეწველობა მეორე მსოფლიო ომამდე სუსტად იყო განვითარებული. ჰქონდათ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოები. ომის დროს და მის შემდეგ განვითარდა მანქანათმაშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა. მაგრამ მთავარ დარგებად მაინც კვებისა და მსუბუქი მრეწველობა რჩებოდა. ამ ბოლო ათწლეულში მრეწველობის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. ასე, მაგალითად, გლენბრუკის დაბაში, ოკლენდის მახლობლად, 1969 წლიდან მუშაობს პირველი დიდი მეტალურგიული ქარხანა. ლითონს ადნობენ რკინის შემცველი სილისაგან, რომლის ბუდობებია ჩრდილოეთი კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. მარსდენ-პოინტში (ოკლენდის ნახევარკუნძულზე) უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს ახალი ნავთობსახდელი ქარხანა. სამხრეთ კუნძულზე პატარა ქალაქ ბლაფში, აშშ-ის, იაპონიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის კომპანიებმა ააგეს ალუმინის კომბინატი.

ვითარდება ელექტროტექნიკა, ელექტრონის აპარატურის, რადიომიმღებების, ტელევიზორების წარმოება.

სწრაფ მდინარეებზე აგებულია ბევრი დიდი ჰიდროელექტროსადგური. ელექტროენერგიას ფართოდ იყენებენ მრეწველობაში მაღალხარისხოვანი ფოლადის, ფერადი ლითონების გამოსადნობად და ცელულოზისა და ქაღალდის დასამზადებლად. ამ 10—15 წლის წინათ ახალ ზელანდიას საჭირო ქაღალდი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. ახლა ქაღალდის პროდუქციის $^1/_3$-ზე მეტი საექსპორტოდ მიდის.

სამრეწველო პროდუქციის სამ მეხუთედს ახალი ზელანდიის ყველაზე დიდი ქალაქის — ოკლენ-

დის საწარმოები იძლევა. ეს ქალაქი უძველესია ახალი ზელანდიის ქალაქებში (დაარსდა 1840 წ.). იგი ორ დიდებულ ნავსაყუდელს შორის — ქვეყნის საზღვაო კარიბჭეებს შორის მდებარეობს. ქალაქის სამრეწველო და საქმიანი ნაწილი საცხოვრებელ კვარტალებთან დაკავშირებულია უზარმაზარი ხიდით, რომლის სიგრძე სამ კილომეტრზე მეტია. ხიდი ნავსაყუდელს ზემოთ გადის. ხიდის მთავარი თაღი ზღვის დონიდან თითქმის 50 მ-ის სიმაღლეზეა, რის გამოც ყველაზე დიდ საოკეანო გემებს ხიდის ქვეშ თავისუფლად შეუძლიათ გავლა. ოკლენდს გარს ერტყმის საძოვრები და ხილის ბაღები.

ჩრდილოეთის კუნძულის ცენტრში მდებარეობს ვულკანური პლატო ვულკანების ჯგუფით. ყველაზე მაღალია რუაპეხუ (თითქმის 3 ათასი მ). აქ შეიძლება დააკვირდეთ ბუნების მრავალ საკვირველ მოვლენას: გეიზერების მძლავრ შადრევნებს, ტალახის აუზებს, ცხელ და ცივ მინერალურ წყაროებს.

ამ ვულკანური პლატოს ერთ-ერთი საკვირველი ღირსშესანიშნაობაა პატარა მდინარე, რომლის კალაპოტის მარცხენა ნაწილში წყალი დუღს, ხოლო მარჯვენა ნაწილში ყინულივით ცივია. ამ რაიონში ბევრია სანატორიუმი, სამკურნალო და პანსიონატი. ჩრდილოეთ კუნძულზე ხშირია მიწისძვრები, რასაც დიდი უბედურება მოაქვს მოსახლეობისათვის.

ჩრდილოეთ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კიდურზე მდებარეობს დედაქალაქი — ველინგტონი. ეს ახალი ზელანდიის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრიცაა. ქალაქი ლამაზად არის გადაჭიმული პორტ-ნიკოლსონის ღრმა, ხმელეთში შეჭრილი უბის ნაპირებსა და მის გარშემო აღმართული მთების კალთებზე. გრძელი, ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩები სერავენ ქალაქს. ამ ქუჩებისათვის დამახასიათებელია ბევრი ხიდი, ვიადუკები, კიბეები და გვირაბებიც კი. კუკის სრუტის რაიონში ხშირადაა მიწისძვრები, ხშირად დღე-ღამეში რამდენჯერმე, ამიტომ ყველა მრავალსართულიან სახლს აქვს მტკიცე და მიწის სიღრმეში ჩასმული საძირკვლები.

სამხრეთი კუნძული ნაკლებად არის დასახლებული ჩრდილოეთთან შედარებით. აქ მეურნეობის მთავარი დარგია მეცხვარეობა. სამხრეთ კუნძულის დიდი ქალაქია კრაისტჩერჩი, რომელიც ვაკეზეა გაშენებული. ქალაქში ბევრი პარკი და ბაღია; ქუჩების დაგეგმარება უნაკლოა და ზუსტი. რკინიგზა აკავშირებს კრაისტჩერჩს მყუდრო ნავსადგურთან წყნარი ოკეანის სანაპიროზე, სადაც ნავსადგური ლიტელტონი მდებარეობს. კუნძულების რკინიგზები ერთმანეთს უკავშირდება ორი დიდი რკინიგზის ბორნით — „არომოანათი“ და „არანუნით“, რომლებიც რეგულარულად მიმოდიან კუკის სრუტეში.

ფოვოს ვიწრო სრუტე კუნძულ სტიუარტს სამხრეთის კუნძულისაგან გამოყოფს. კუნძულის შეჭრილ-შემოჭრილი სანაპირო ხაზი დანაწევრებულია ვიწრო უბეებით. ნაპირები ციცაბო და ფლატეებიანია. მთების ძირში ხარობს წიფლის ტყეები, უფრო მაღლა ბუჩქნარის ბარდებია, ხოლო მწვერვალებზე, რომლებიც თითქმის 1000 მ-მდე სიმაღლეს აღწევენ, — ქონდარა ხეები. აქ ყოველთვის ბევრი ტურისტია.

კუნძულზე სულ რაღაც რამდენიმე ასეული მოსახლეა. ჩატემის ჯგუფის კუნძულებზე მაორები ცხოვრობენ. კუნძულები ოკლენდი, კემპბელი, ანტიპოდები წლის მეტი წილი ნისლითაა დაბურული. ესაა ჩამავებული, უნაყოფო სალი კლდეები უმნიშვნელო მცენარეულობით. აქ მუდმივი მოსახლეობა არ არის.

ახალი კალედონია

არქიპელაგი, რომელშიც შედის ახალი კალედონიის კუნძული, კუნძულები ლუაიოტე (ლოიალტი), პენი და სხვ., მდებარეობს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. კუნძულების ფართობია 19 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — დაახლ. 150 ათასი კაცი, უმთავრესად მელანეზიელები, აგრეთვე, ფრანგები. ადმინისტრაციული ცენტრია ნუმეა (ახალი კალედონიის კუნძულზე).

1853 წლიდან საფრანგეთის კოლონია — ახალი კალედონია დიდხანს წარმოადგენდა კატორღელთა გადასახლების ადგილს. აქ გადმოასახლეს პარიზის კომუნის გადარჩენილი დამცველები. ახალ კალედონიას საფრანგეთის „ზღვისიქითა ტერიტორიის“ სტატუსი აქვს. ადმინისტრაციის სათავეშია გუბერ-

ნატორი, რომელიც ამავე დროს წყნარ ოკეანეში საფრანგეთის სხვა სამფლობელოების უმაღლესი კომისარია. მოსახლეობის მიერ არჩეული ტერიტორიული ასამბლეა სათათბირო ორგანოა.

ეკონომიკის საფუძველია სამთამადნო მრეწველობა. ახალი კალედონიის კუნძულზე ნიკელის მსოფლიო (სსრ კავშირის გარეშე) მარაგის 30%-ია, არის, აგრეთვე, კობალტისა და ქრომის საბადოები. ომის შემდგომ წლებში ნიკელის მოპოვება გაიზარდა, წლიურად 60 ათას ტონას მიაღწია. არის მეტალურგიული მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოები, ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ავეჯის ფაბრიკები, საშენ მასალათა საწარმოები. მკვიდრი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს. მთავარი კულტურებია: ქოქოსის პალმა, ყავა, სიმინდი, ტარო, ბანანი, შაქრის ლერწამი და ბამბა.

ახალი ჰებრიდები

ვრცელი არქიპელაგი ახალი ჰებრიდები (80-ზე მეტი კუნძული) მდებარეობს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 1906 წლიდან იგი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ერთობლივი კოლონიური სამფლობელოა (კონდომინიუმი). ფართობი — 14,8 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 100 ათასი კაცი, უმთავრესად, მელანეზიელები. ადმინისტრაციული ცენტრია ვილა (ეფატეს კუნძულზე).

ახალ ჰებრიდებს მართავენ ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლესი კომისრები. მხოლოდ 1957 წელს კოლონიური ხელისუფალნი დათანხმდნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის კუნძულების საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლების მიცემას — შეიქმნა საკონსტიტუციო საბჭო. მაგრამ მასშიც უმრავლესობა ინგლისელები და ფრანგებია.

ეკონომიკის საფუძველია კოპრის, ყავისა და კაკაოს წარმოება, აგრეთვე, გაყინული თევზის ექსპორტი. კუნძულ ეფატეზე წარმოებს ნანგანუმის მადნის მოპოვება. ამზადებენ წიწვიანი ხის კაუჩუკის ძვირფას მერქანს.

გუამი

გუამი ყველაზე დიდი კუნძულია მარიანის კუნძულების ჯგუფში (549 კვ. კმ), იგი აშშ-ის მთავარი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზაა წყნარ ოკეანეში. აღმოჩენილია 1521 წელს ფ. მაგელანის მიერ. ესპანეთ-ამერიკის 1898 წლის ომის შემდეგ გუამი აშშ-ის კოლონიად იქცა.

თანამედროვე გუამელები ძველი ჩამოროს ხალხის და ესპანეთიდან და ფილიპინების კუნძულებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. 100 ათასი მცხოვრებიდან 40 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრია, 9-ათასამდე უცხოელი მუშაა. ადმინისტრაციული ცენტრია აგანია. გუამს მინიჭებული აქვს ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო გუამელები თვით ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებად არიან გამოცხადებული, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში ისინი არ მონაწილეობენ.

კუნძულის თითქმის მთელი მოწიფული მოსახლეობა ჩაბმულია სამხედრო ბაზის მომსახურებაში.

სოფლის მეურნეობა გავერანებულია.

დასავლეთი სამოა

დასავლეთი სამოა.
ფართობი — 2834 კმ².
მოსახლეობა — 155 ათასი კაცი.
დედაქალაქი — აპია (31 ათასზე მეტი მცხ.).
ოფიციალური ენები — სამოანური და ინგლისური.

XVIII საუკუნეში სამოას კუნძულებზე, რომლებიც წყნარი ოკეანის გზების გადაკვეთაზე მდებარეობენ, იწყეს შეღწევა ევროპელმა კოლონიზატორებმა. 1899 წლის ბოლოს აშშ-მა, ინგლისმა და გერმანიამ მთელი რიგი ხელშეკრულებანი დადეს, რომელთა ძალით აღმოსავლეთი სამოა აშშ-ის სამფლობელო გახდა, დასავლეთი სამოა — გერმანიისა. ინგლისმა უარი თქვა სამოაზე, რადგან მან წყნარი ოკეანის სხვა ნაწილები დაიპყრო.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთი



სამოა ერთა ლიგის მანდატით (შემდგომში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობით) გადავიდა ახალი ზელანდიის მმართველობაში. ჯერ კიდევ 20-იან წლებში სამოაელებმა იწყეს აქტიური გამოსვლა ახალზელანდიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. საქმე აშკარა აჯანყებამდე მივიდა (1929).

დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა განახლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დამთავრდა 1962 წლის 1 იანვარს დასავლეთი სამოას სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადებით იმ თანამეგობრობის შემადგენლობაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს. სახელმწიფოს სამუდამო მეთაური ერთ-ერთი ბელადია.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საკანონმდებლო ასამბლეა (კრება). ოკეანეთის ფარგლებს გარეთ დასავლეთ სამოას დიპლომატიურ წარმომადგენლებად ახალზელანდიელი დიპლომატები არიან.

სამოას კუნძულები ვულკანური წარმოშობისაა. მთათა მწვერვალები ამოზიდულია ოკეანის ფსკერიდან 5—6 კმ-ით. არის ჩამქრალი და მოქმედი ვულკანები. კუნძულები მდიდარი ტროპიკული მცენარეულობითაა დაფარული. განსაკუთრებით გამოირჩევა გიგანტური ბანიანის (60 მ-მდე სიმაღლის) ხეები; ბევრია ხე-გვიმრა, რომლებზედაც ლიანებია გადახლართული. ხეობებსა და სანაპირო დაბლობებში ტყეს ცვლის ყავის, კაკაოს, ციტრუსების, ქოქოსის პალმის, პურის ხის, ბანანების პლანტაციები.

ჰავა თბილი და ტენიანია. ივნისიდან აგვისტომდე ჩათვლით გრძელდება ზამთარი (+25° ტემპერატურა). ზაფხულში (დეკემბერი—მარტი) ქრის ძლიერი სამხრეთ-აღმოსავლეთის პასატები. რომლებსაც ბევრი წვიმა მოაქვს. ტემპერატურა +27°-მდე მატულობს.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და თევზჭერა. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: ბანანი, კოპრი, კაკაოს პარკები.

პატარა-პატარა საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება ხდება. ვითარდება ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა, ამ ბოლო დროს ტურიზმიდან მიღებული ფულადი შემოსავალი ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

კირიბატი

კირიბატის რესპუბლიკა.
ფართობი — 684 კმ².
მოსახლეობა — 60 ათასი კაცი (ძირითადად მიკრონეზიელები).
დედაქალაქი — ტარავა.
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს პატარა სახელმწიფო მდებარეობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, ეკვატორის ორივე მხარეს და შედგება გილბერტის, ლაინის, ფენიქსისა და ბანაბას (ყოფილი ოუში) კუნძულებისაგან.

დედაქალაქი ტარავა გილბერტის კუნძულებზეა განლაგებული.

ამ არქიპელაგის 7 (16-დან) კუნძული 1788 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა კაპიტანმა გილბერტმა. ასი წლის შემდეგ ინგლისმა მოახდინა გილბერტის, ფენიქსისა და ლაინის კუნძულების ანექსია. მას შემდეგ, რაც 1900 წელს კუნძულ ოუშზე აღმოჩნდა ბოქსიტები, ბრიტანეთმა ისიც შემოიერთა.

სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურა ქოქოსის პალმაა. არსებობს კოპრის წარმოებაც.

1974 წელს კუნძულზე ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა მოსახლეობის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. 1977 წლის 1 იანვრიდან გილბერტის კუნძულებზე შემოღებული იყო შინაგანი თვითმმართველობა, ხოლო 1979 წლის ივლისში გამოცხადდა დამოუკიდებელი კირიბატის რესპუბლიკა, რომელიც შედის ე. წ. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში.

სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთ-

პალატიანი ასამბლეა (პარლამენტი). აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობის ხელშია.

საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ სცნო კირიბატის დამოუკიდებლობა და დათანხმდა მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

კუკის კუნძულები

ამ კუნძულებს ეწოდება მათი პირველი აღმომჩენის, ინგლისელი მეზღვაურის ჯ. კუკის სახელი. კუნძულები მდებარეობს წყნარი ოკეანის თითქმის ცენტრში, სამოას აღმოსავლეთით, და შედგება ორი ჯგუფისაგან: ჩრდილოეთის (შვიდი კუნძული) და სამხრეთის (რვა კუნძული) ჯგუფებისაგან. ფართობი — 234 კვ. კმ., მოსახლეობა — 22 ათასი კაცი, უმთავრესად, პოლინეზიელებია. ადმინისტრაციული ცენტრია ავარუა (კუნძულ რაროტონგზე). იგი 1901 წლიდან ახალი ზელანდიის მმართველობაშია. 1965 წელს კუნძულებს ფორმალურად მიეცა „ახალ ზელანდიასთან ასოცირებული თვითმმართველი ტერიტორიის“ სტატუსი. შექმნილია საკანონმდებლო ასამბლეა და მინისტრთა კაბინეტი პრემიერმინისტრის მეთაურობით. თუმცა კონტროლი კვლავ ახალი ზელანდიის მთავრობის ხელშია.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს კოპრის წარმოებას, თევზჭერასა და სადაფის ნიჟარების მოპოვებას.

მიკრონეზია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო ტერიტორია. მოიცავს კუნძულთა სამ ჯგუფს— კაროლინის, მარიანისა და მარშალის კუნძულებს. აქ დაახლოებით ათასამდე კუნძულია, რომლებიც მიმოფანტულია წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში აკვატორიის 7,8 მილიონ კვ. კმ-ზე. საერთო ფართობი — 1,8 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 115 ათასი კაცი, ძირითადად, მიკრონეზიელებია. ადმინისტრაციული ცენტრია გარაპანი საიპანის (მარიანის კუნძულები) კუნძულზე. მიკრონეზია, როგორც პოლიტიკური ერთეული, რამდენადმე ნაკლებია მიკრონეზიაზე გეოგრაფიული თვალსაზრისით.

კუნძულებზე ბატონობდა ბევრი კოლონიური სახელმწიფო — ესპანეთი, გერმანია, იაპონია. 1668 წ-დან ესპანეთმა დაიწყო მარიანის კუნძულების დაპყრობა. მკვიდრმა მოსახლეობამ დამპყრობლებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია. ომებისა და ეპიდემიურ დაავადებათა შედეგად

სამხრეთის ზღვების ოქრო

პირველი ევროპელები, რომლებმაც სამხრეთის ზღვებს მიაღწიეს, პოლინეზიის, მიკრონეზიისა და მელანეზიის კუნძულებზე ოქროს ეძებდნენ ეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს.

არა მარტო მარჯნის ატოლები და პატარ-პატარა კუნძულები, არამედ უფრო დიდი კუნძულებიც დარიბი გამოდგა სასარგებლო წიაღისეულით კუნძულებს თახაც კი არ ჰქონდათ ჭურჭელს ნიჟარებისა და ქოქოსის ნაჭუჭისაგან ამზადებდნენ. თითოეული ჯამი თავისუფლად შეიძლებოდა მოთავსებულიყო მუზეუმში; მოჩუქურთმებული, სილით გაპრიალებული და სადაფით ინკრუსტირებული ბადია ყოველგვარ კოლექციას დაამშვენებდა. ქოსებს აგებდნენ პალმას ღეროსაგან. საჭმელადაც ქოქოსის კაკალს იყენებდნენ.

მაგრამ ქოქოსი ნაკლებად აინტერესებდათ იმ შორეული დროის მოგზაურებს. ამ მცენარით გაცილებით გვიან XIX საუკუნეში დაინტერესდნენ, როცა ევროპასა და ამერიკაში ქიმიური მრეწველობის განვითარება დაიწყო გამოირკვა, რომ კოპრა — კაკლის ცული, მზეზე გამომშრალი,— მშვენიერი ნედლეულია საპნის დასამზადებლად. კოპრისაგან იღებენ, აგრეთვე, ქოქოსის ზეთს, რომელსაც მარგარინის წარმოქმნისათვის იყენებენ.

მუშაობა განსაკუთრებულ კვალიფიკაციას არ მოითხოვს. დანის ერთი დარტყმით ჭრიან კაკალს, ატრიალებენ დანას ორივე ნასევარში, იღებენ ცულს. მერე ცულს აშრობენ მზეზე ან განსაკუთრებულ საშრობებში, რომლებსაც ქოქოსის ნაჭუჭით ასურებენ (არაფერი არ უნდა დაიკარგოს!). გამშრალი ცული — კოპრა საწყობში ინასება, სანამ არ მოვა კოპრამზიდი სპეციალური გემი, რომელიც კუნძულებს შემოივლის და საქონელს აგროვებს.

კოპრა შორეულ ევროპაში, ამერიკაში იგზავნება, რათა სამხრეთის ზღვებს დაუბრუნდეს არომატული საპნის ჭრელ ნაჭრებად, მარგარინის შეკრულებად, რომელზედაც ქოქოსის ზეთის ნაცვლად (ოუ რეკლამის ვენდობით) საჭმელს აშზადებენ თანამედროვე მელანეზიელი და პოლინეზიელი დიასახლისები.

მოსახლეობა 100 ათასიდან 5 ათას კაცამდე შემცირდა. კაროლინისა და მარშალის კუნძულებიც ესპანეთის სამფლობელოდ ითვლებოდა, მაგრამ 1885 წ. გერმანიამ გამოაცხადა პროტექტორატი მარშალის კუნძულებზე, ხოლო 1899 წ. ესპანეთისაგან შეისყიდა მარიანის კუნძულების სამივე ჯგუფი (გუამის გარდა). გუამი ხელთ იგდეს ამერიკელებმა. 1914 წ. იაპონელებმა მოახდინეს მიკრონეზიის ოკუპაცია. მეორე მსოფლიო ომმა გამოიწვია კოლონიური ალმების ახალი შეცვლა. 1944—1945 წწ. აშშ-ის ჯარებმა დაიპყრეს კუნძულები და იწყეს მათი სამხედრო ბაზად გამოყენება იაპონიაზე შეტევისათვის. 1945 წლის 6 აგვისტოს კუნძულ ტინიანიდან აფრინდა ბომბდამშენი პირველი ატომური ბომბით, რომელიც ხიროსიმაში ჩამოაგდეს.

აშშ-მა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მიიღო მიკრონეზიის დროებითი მართვის ნებართვა და იკისრა ტერიტორიის დამოუკიდებლობისათვის მომზადება. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და მიკრონეზიელთა მოთხოვნის საწინააღმდეგოდ აშშ ცდილობს სამუდამოდ დააკანონოს თავისი ბატონობა. 1980 წელს საბჭოთა კავშირმა ამასთან დაკავშირებით პროტესტი განუცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

კუნძულების საკანონმდებლო ორგანო — მიკრონეზიის კონგრესი, რომელიც სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან შედგება, მთლიანად ექვემდებარება ამერიკელი უმაღლესი კომისრის კონტროლს.

იმ მიზნით, რომ დაეფარა და შეენარჩუნებინა კოლონიური წეს-წყობილება, აშშ-მა 1976 წ. განახორციელა „მარიანის კუნძულების გაერთიანების“ შექმნის გეგმა, რომელიც თითქოსდა „თავისუფლად შეუერთდა“ აშშ-ს, როგორც პუერტო-რიკო.

ეკონომიკის საფუძველია ქოქოსის პალმის მოყვანა და კობრის წარმოება. ეს მთავარი საექსპორტო საქონელია. მიწების უმრავლესობა ამერიკელების საკუთრებაა. მრეწველობა არსებითად არ არის, თუმცა კუნძულებზე ნაპოვნია სასარგებლო წიაღისეული: ფოსფატები, ბოქსიტები, მაგნეზიტი, სპილენძი, რკინა, თუთია, ოქრო, აზბესტი.

აშშ-მა მიკრონეზია სტრატეგიულ ზონად გამოაცხადა და იქ აშენებს დიდ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზებს. 40-იან წლებში ბიკინის და ენივეტოკის კუნძულებზე ცდიდნენ ატომურ იარაღს, რის შედეგადაც მიკრონეზიელები დღემდე იტანჯებიან. კუნძულ კვაჯელეინზე შექმნილია სარაკეტო იარაღის გამოცდის უდიდესი ცენტრი.

ნაურუ

ნაურუს რესპუბლიკა.
ფართობი — 22 კმ²-მდე.
მოსახლეობა — 7 ათასზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ნაურუ.
ოფიციალური ენები — ნაურუ და ინგლისური.



სახელმწიფო იმავე სახელწოდების კუნძულზე წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. კუნძული ნაურუ აღმოჩენილია 1798 წ. 1888 წ. დაიპყრო გერმანიამ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ნაურუ ინგლისის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის სამანდატო ტერიტორია იყო, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო ტერიტორია ამ სამი სახელმწიფოს მმართველობით. შეუპოვარი, ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ნაურუელებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 1968 წ. 31 იანვრიდან ნაურუ რესპუბლიკაა. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც 3 წლით ირჩევენ. საკანონმდებლო ხელისუფლება საკანონმდებლო ასამბლეას ეკუთვნის. არსებობს ერთად-

ნაურუს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები (ქალები).

ერთი პარტია — ნაურუს პარტია. ნაურუს აქვს განსაკუთრებული სტატუსი თანამეგობრობაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს (მთავრობის მეთაურთა დონეზე თათბირში მონაწილეობის უფლება არა აქვს).

აქ ცხოვრობენ, ძირითადად, ნაურუელები (60%). არიან, აგრეთვე, ჩინელები, ევროპელები და სხვანი.

ნაურუს მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა ფოსფორიტები, რომელთა დამუშავება სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება. წარსულში ბრიტანელი მრეწველების მტაცებლური საქმიანობის შედეგად კუნძულის ტერიტორიის მესამედი უსიცოცხლო სივრცედ იქცა. დამუშავებული ფოსფორიტების ადგილი მთვარის პეიზაჟს მოგვაგონებს: კარიერებში აჩხორილია მარჯნების წვეტიანი პიკები. ახალგაზრდა სახელმწიფოს რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი: ნიადაგების აღდგენა, კუნძულისათვის ახალი დარგების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

კუნძულის დაბლობი ნაწილი პლატოსა და ოკეანის ნაპირს შორის 100-300 მ სიგანეზე დაფარულია ქოქოსის პალმის ნარგავებით; აქ გაყვანილია წრიული ავტოსტრადა, რომელიც ნაურუელთა ყველა სოფელს აერთიანებს. განვითარებულია თევზჭერა და კუსტარული ხელოსნობა.

1968 წლიდან ნაურუს წყნარი ოკეანის სანაოსნო კომპანია ახორციელებს საზღვაო კავშირს სიდნეისა და მელბურნთან.

ნიუე

კუნძული წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. ფართობი — 259 კვ. კმ., მოსახლეობა — 5,3 ათასი კაცი, ძირითადად, პოლინეზიელებია. ადმინისტრაციული ცენტრია ალოფი. კუნძულს მართავს ახალზელანდიელი რეზიდენტი-კომისარი.

ეკონომიკის საფუძველია კოპრისა და ბანანის წარმოება. საექსპორტოდ გააქვთ და ტურისტებზე ყიდიან კუსტარულ ნაკეთობებს (დაწნულ კალათებს, ქუდებს, ჭილოფებს).

ნორფოლკი

პატარა განცალკევებული კუნძული, მიკარგული წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ფიჯის ზღვის სივრცეებში, ინგლისისათვის დიდხანს იყო გადასასახლებელი ადგილი. 1913 წელს გამოცხადდა ავსტრალიის ტერიტორიად, რომელსაც მართავს ავსტრალიის გარე ტერიტორიების საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ადმინისტრატორი.

ფართობია 36 კვ. კმ, მოსახლეობა — 1,4 ათასი კაცი, მეტწილად შედგება ინგლისელ-პოლინეზიელი მეტისებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია პინვსტონი.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს მიწათმოქმედებას, თევზჭერას. სწრაფად ვითარდება ტურიზმი.

პაპუა-ახალი გვინეა

პაპუა-ახალი გვინეა.
ფართობი — 462,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 2,8 მლნ-ზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — პორტ-მორსბი (90 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს ქვეყანა მდებარეობს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. წინათ იყო ორი ტერიტორია: პაპუას ეკავა ახალი გვინეის კუნძულის სამხრეთ-



დასავლეთი ნაწილი და მთელი რიგი ახლომდებარე კუნძულები, ახალ გვინეას — კუნძული ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი სანაპირო კუნძულებით, ბისმარკის არქიპელაგი, სოლომონის კუნძულების ჩრდილოეთი ნაწილი. მოსახლეობის უმრავლესობა პაპუასები და მელანეზიელებია. ეს მკვიდრი მცხოვრებლებია (დაახლოებით 700 ტომი), რომლებიც 500 ენასა და დიალექტზე ლაპარაკობენ.

ჰავა ეკვატორულია, ცხელი. ნალექები უხვად მოდის. ტროპიკული მცენარეულობა მეტად მრავალფეროვანია. ბევრია ჩანთოსანი ცხოველი: მერხეური, კენგურუ, ჩანთოსანი ციყვი, ოპოსუმი. შემორჩენილია უმდაბლესი ძუძუმწოვრები — იქედნე.

მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო — 200-ზე მეტი სახეობა. ახალი გვინეის კუნძულის ღირსშესანიშნაობაა კაშკაშად შეფერილი სამოთხის ფრინველი, რომელიც ამ ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს.

პაპუა 1884-დან 1905 წლამდე ინგლისის მმართველობაში იყო, 1905 წელს ავსტრალიის მმართველობაში გადავიდა. ახალი გვინეა პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიის კოლონიას წარმოადგენდა; 1929 წლიდან ერთა ლიგის მანდატით, ხოლო 1946 წლიდან, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო ტერიტორია, ავსტრალიის მმართველობაშია. 1949 წელს ორივე ტერიტორია ადმინისტრაციულად გაერთიანებულია და მათი ცენტრია პორტ-მორსბი.

1973 წლის 1 დეკემბრიდან პაპუა-ახალმა გვინეამ მიიღო შინაური თვითმმართველობის უფლება, ხოლო 1975 წლის 16 სექტემბრიდან — დამოუკიდებლობა. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი ასამბლეა.

სახელმწიფოს მეთაური ინგლისის დედოფალია რომლის სახელითაც მოქმედებს გენერალ-გუბერნატორი.

1980 წლის თებერვლამდე მთავრობის სათავეში იდგა კოალიცია პანგუ პარტის მეთაურობით შემდეგ კი — ახალი კოალიცია, რომელშიც შედიან სახალხო-პროგრესული, გაერთიანებული პარტიები და დამოუკიდებელნი.

ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა. მთავარი პროდუქციაა ქოქოსის პალმის ნაყოფი, ყავა, კაკაო. ბრინჯი, ჩაი, კაუჩუკი. მუშაობს პატარ-პატარა ხე-ტყის დასამუშავებელი და კვების მრეწველობის საწარმოები. ხდება ოქროსა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, რომელთა მარაგი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი. 1972 წლიდან დაიწყო სპილენძის უმდიდრესი საბადოების დამუშავება ბუგენვილის კუნძულზე.

პაპუა-ახალი გვინეის ერთ-ერთი ტომის ბელადი ტრადიციულ ტანსაცმელში.



მოსწავლეები.

პიტკერნი

საინტერესოა წყნარი ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ამ პატარა, სულ რაღაც 4,5 კვ. კმ ფართობის ვულკანური კუნძულის დასახლების ისტორია.

1790 წელს ინგლისის გემ „ბაუნტიზე“ იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულმა მატროსებმა ხელთ იგდეს გემი. რამდენიმე აჯანყებულმა მატროსმა სცადა ახლომდებარე კუნძულებზე დაფუძნება და ტაიტის მცხოვრებლებთან ერთად 1790 წელს ისინი მოვიდნენ უკაცრიელ ვულკანურ კუნძულ პიტკერნზე და აქ დააარსეს დასახლება. ახლანდელი პიტკერნელები — მეამბოხე ინგლისელი მატროსებისა და ტაიტელების შთამომავლები — თითქმის ყველანი ნათესავები არიან. ინგლისის ამ ყველაზე პატარა კოლონიის მოსახლეობა 80 კაცს შეადგენს. კუნძულზე ერთადერთი დაბაა დამსტაუნი.

მართავს ინგლისელი ადმინისტრატორი. არსებობს ადგილობრივი ხელისუფლების არჩევითი ორგანო.

შემოსავლის ძირითადი წყაროა საფოსტო მარკების გამოშვება.

პოლინეზია

შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, წყნარი ოკეანის წყლებში მდებარეობს საზოგადოების კუნძულები (და მათგან ყველაზე დიდი, ბუნების სილამაზით განთქმული ტაიტი): ტუამოტუს, ტუბუაის, მარკიზის არქიპელაგები და მთელი რიგი სხვა კუნძულები. ეს გეოგრაფიული პოლინეზიის მხოლოდ მცირედი ნაწილია. კუნძულების ფართობია 4 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 109 ათასი კაცი, უმთავრესად პოლინეზიელები, აგრეთვე, ფრანგები და ჩინელები. ადმინისტრაციული ცენტრი და ძირითადი ნავსადგურია პაპეეტე.

პოლინეზიას აქვს საფრანგეთის „ზღვისიქითა ტერიტორიის“ სტატუსი. მმართველობის ადგილობრივი ორგანოებია ტერიტორიული ასამბლეა და მთავრობის საბჭო. მაგრამ ფაქტიურად ძალაუფლება საფრანგეთის გუბერნატორის ხელშია.

60-იანი წლების დაწყებამდე ეკონომიკის საფუძველს სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, სადაფის ნიჟარებისა და მარგალიტის მოპოვება წარმოადგენდა. კოპრისა და ვანილის ექსპორტი იყო შემოსავლის მთავარი წყარო. 60-იან წლებში ატოლ მურუროაზე (ტუამოტუს კუნძულების ჯგუფში) შეიქმნა საფრანგეთის რაკეტულ-ატომური იარაღის გამოსაცდელი ცენტრი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაება ამ ცენტრის მომსახურების საქმეში.

განვითარებულია ტურიზმი. აქ ყოველწლიურად ჩამოდის 70 ათასამდე ტურისტი, უმთავრესად, აშშ-დან. ტურისტებს იზიდავს მშვენიერი პლაჟები და ზღვის წყალი, თბილი მთელი წლის განმავლობაში, მდიდარი ტროპიკული მცენარეულობა, რომლითაც დაფარულია ვულკანური კონუსების ფერდობები. ბევრს სურს უფრო ახლოს გაეცნოს ძველ პოლინეზიურ კულტურასა და ხელოვნებას.

სოლომონის კუნძულები

სოლომონის კუნძულები.
ფართობი — 29,8 ათასი კმ².
მოსახლეობა — 200 ათასზე მეტი კაცი.
დედაქალაქი — ხონიარა (15 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

ეს სახელმწიფო მდებარეობს ახალი გვინეის აღმოსავლეთით კუნძულებზე — გუადალკანალი (აქ მდებარეობს დედაქალაქი ხონიარა), სან-კრისტაბოლი, მალაიტა, სანტა-ისაბელა, ნიუ-ჯორჯია, შუაზიოლი, სანტა-კრუსი და სხვა უფრო წვრილი კუნძულები.

მოსახლეობა ძირითადად (94%) მელანიზიელებისაგან შედგება, მაგრამ არიან, აგრეთვე, პოლინეზიელები, ჩინელები, ევროპელები და სხვანი.

XIX საუკუნის ბოლოს აქ დამყარდა ინგლისის პროტექტორატი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქ არსებობდა მთავრობის საბჭო გარკვეული საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებებით, მაგრამ მთელი ძალაუფლება ინგლისის უმაღლესი კომისრის ხელში იყო.



ატოლები.

1978 წლის ივლისში გამოცხადდა სოლომონის კუნძულების დამოუკიდებლობა. სახელმწიფოს მეთაური ინგლისის დედოფალია. მის მაგივრად ქვეყანას განაგებს გენერალ-გუბერნატორი. ერთპალატიან ეროვნულ პარლამენტს 4 წლით ირჩევენ. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მინისტრია კაბინეტს (მთავრობა).

მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევს. მოჰყავთ ქოქოსის პალმა, ბანანი, ტარო, კაკაო. კუნძულებზე აღმოჩნდა ოქრო, სპილენძი, ნიკელი, მაგნეზიტები, მაგრამ მათი სამრეწველო მოპოვება ჯერჯერობით არ ხდება. მნიშვნელოვანია ბოქსიტების მარაგი, რომელთა დამუშავებას შეუდგა იაპონური კომპანია. ვითარდება სატყეო მრეწველობა (აქაც იაპონელები აქტიურობენ) და თევზჭერა.

მოწიფული მოსახლეობის 80% წერა-კითხვის უცოდინარია. გავრცელებულია მძიმე დაავადებანი — ტუბერკულოზი, მალარია.

ტოკელაუს კუნძულები

მდებარეობს წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. ფართობი 10 კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 1,8 ათასი კაცი, — ძირითადად პოლინეზიელებია. ადმინისტრაციული ცენტრია ფაკაოფო.

1925 წლიდან ტოკელაუს კუნძულებს განაგებს ახალზელანდიელი ადმინისტრატორი.

ეკონომიკის საფუძველია კოპრის წარმოება, თევზჭერა.

ტონგა

ტონგას სამეფო.
ფართობი — 699 კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 100 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ნუკუალოფა (25 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენები — ტონგაური და ინგლისური.

სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. განლაგებულია 150 პატარა კუნძულზე, რომლებიც ქმნიან სამ ძირითად ჯგუფს: ვავაუს, ხააპაისა და ტონგატაპუს ჯგუფებს. კუნძულების უმრავლესობა მარჯნული წარმოშობისაა.

მაისიდან ნოემბრამდე დგება ტონგას ზამთარი — შედარებით მშრალი სეზონი. ზაფხული დეკემბრიდან აპრილამდე გრძელდება. ტონგას კუნ-



ძულები ძლიერი ქარიშხლების ზონაშია. ამ ქარიშხლებს დიდი უბედურება მოაქვს. ამტვრევს ხეებს, ანგრევს სახლებს.

ტონგატაპუს კუნძულების ჯგუფი აღმოაჩინა ჰოლანდიელმა მეზღვაურმა ა. ტასმანმა 1643 წელს. XIX საუკუნის შუა წლებში კუნძულები გააერთიანა მეფე ტაუფა ააუ ტუპოუმ. ტონგას დასაუფლებლად შეუპოვარი ბრძოლა იყო გაჩაღებული ინგლისს, გერმანიასა და აშშ-ს შორის. 1900 წელს ტონგასა და დიდ ბრიტანეთს შორის „მეგობრობის“ ხელშეკრულების ძალით ტონგას სამეფო გამოცხადდა თვითმმართველ სახელმწიფოდ დიდი ბრიტანეთის პროტექტორატით.

1970 წლის 4 ივნისს გამოცხადდა სამეფოს დამოუკიდებლობა. სახელმწიფო შედის თანამეგობრობაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. არსებობს საკანონმდებლო ასამბლეა და მინისტრთა კაბინეტი.

პოლიტიკური პარტიები არ არის.

ეკონომიკის საფუძველია კოპრისა და ბანანის წარმოება. მოჰყავთ, აგრეთვე, ანანასი. მოსახლეობის ნაწილი მისდევს მეთევზეობასა და მეცხოველეობას. 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ნავთობის მოპოვება.

ვითარდება უცხოური ტურიზმი (წელიწადში დაახლოებით 31 ათასი ტურისტი ჩამოდის).

ტუვალუ

ტუვალუ.
ფართობი — 25,9 კმ².
მოსახლეობა — დაახლ. 9,5 ათასი კაცი.
დედაქალაქი — ფუნაფუტი (1 ათასზე მეტი მცხოვრები).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

1892 წლიდან ელისის 9 კუნძული შედიოდა ინგლისის კოლონიის — გილბერტისა და ელისის კუნძულების შემადგენლობაში. 1974 წელს გაეროს დეკოლონიზაციის კომიტეტის წარმომადგენლის მეთვალყურეობით აქ ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის მსვლელობაში მოსახლეობის 90%-მა ა მოითხოვა გილბერტისა და ელისის კუნძულებიდან გამოყოფა. 1975 წელს შეიქმნა ახალი კოლონიური ტერიტორია ტუვალუს სახელწოდებით. 1978 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა ტუვალუს დამოუკიდებლობა.

სახელმწიფოს მეთაური ინგლისის დედოფალია, რომლის სახელითაც მოქმედებს გენერალგუბერნატორი. საკანონმდებლო ორგანოს — ასამბლეას — 2 წლით ირჩევენ. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას. პოლიტიკური პარტიები არ არის.

სოფლის მეურნეობა უღარიბესი ნიადაგის გამო პირველყოფილ მდგომარეობაშია. წარმოების საფუძველია კოპრა. ვითარდება, აგრეთვე, თევზჭერაც.

უოლისის და ფუტუნას (ჰორნის) კუნძულები

ეს კუნძულები მდებარეობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, ფიჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფართობი — 275 კვ. კმ, მოსახლეობა — 1 ათასი კაცი, პოლინეზიელები. ადმინისტრაციული ცენტრია მატაუტუ (კუნძულ უვეაზე, უოლისი კუნძულების ჯგუფში). კუნძულები საფრანგეთი

„ზღვისიქითა ტერიტორიად“ ითვლება, განაგებს ავსტრალიის ადმინისტრატორი.

მოსახლეობა მისდევს ქოქოსის პალმის მოყვანას, კოპრის წარმოებას, აგრეთვე, თევზჭერას.

ფიჯი

ფიჯი.
ფართობი — 18,3 ათასი კმ².
მოსახლეობა — 558 ათასი კაცი.
დედაქალაქი — სუვა (დაახლ. 70 ათასი მცხ.).
ოფიციალური ენა — ინგლისური.

სახელმწიფო იმავე სახელწოდების კუნძულებზე. მოსახლეობა უპირატესად ინდოელები და ფიჯელებია.

დიდი კუნძულები მთაგორიანია, ვულკანური წარმოშობისა. მთების სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ნალექები მეტია, ულრანი ტყეებია.

კუნძულებზე ბევრია პატარა და ჩქარი მდინარე. ყველაზე დიდია რევა და დრეკეტი. ფიჯის კუნძულებს გარს ერტყმის მარჯნის რიფები და იცავს მათ ოკეანის ტალღების დამანგრეველი მოქმედებისაგან.

ფიჯის კუნძულები აღმოაჩინა ჰოლანდიელმა მეზღვაურმა ა. ტასმანმა 1643 წ. 1874 წლიდან ინგლისის კოლონიაა. კოლონიური მართვა-გამგეობის სისტემა უცვლელი რჩებოდა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე. ფიჯის ხალხის მზარდი განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენით ინგლისელმა ხელისუფლებმა ერთგვარი რეფორმები განახორციელეს.

1970 წლის ოქტომბერში ფიჯის დამოუკიდებლობა მიენიჭა.

ფიჯი იმ თანამეგობრობის წევრია, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს. სახელმწიფოს მეთაურობს ინგლისის დედოფალი, რომლის წარმომადგენელია გენერალ-გუბერნატორი. საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი. იგი შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი. არის რამდენიმე პარტია. კავშირის პარტია (მმართველი), ეროვნული ფედერაციის პარტია და ნაციონალისტური პარტია.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს სოფლის მეურნეობას, მთავარი დარგებია — ლერწმის შაქრის, კოპრის, პალმის ზეთის, ყავისა და კაკაოს წარმოება. მოჰყავთ ბანანი. მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. ძირითადად მოიპოვებენ ოქროს, ვერცხლს, მანგანუმსა და სპილენძის მადანს. დამმუშავებელი მრეწველობიდან აღსანიშნავია პატარა-პატარა საწარმოები და გემთსარემონტო სახელოსნოები. ქვეყანაში ბატონობს ავსტრალიის კაპიტალი, რომლის კონტროლს ექვემდებარება ეკონომიკის თითქმის 90%. დიდი განვითარება ჰპოვა ტურიზმმა. ყოველწლიურად ფიჯიში ჩამოდის 150 ათასზე მეტი უცხოელი ტურისტი.



ქოქოსის (კილინგის) კუნძულები

ეს კუნძულები მდებარეობს ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში, ეკვატორიდან რამდენადმე სამხრეთით. შედგება ორი ატოლისა და 27 პატარა მარჯნის კუნძულისაგან. ფართობი — 14,3 კვ. კმ., მოსახლეობა — 500-მდე მცხოვრები, ძირითადად, მალაელები.

აღმოაჩინა ინგლისელმა კაპიტანმა კილინგმა 1609 წელს, დიდი ბრიტანეთის მფლობელობაში იყო 1955 წლამდე, შემდეგ გადაეცა ავსტრალიას. მართავს ავსტრალიის გარეშე ტერიტორიების საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. ყველაზე უფრო წაგრძელებულ დასავლეთ კუნძულზე მოწყობილია აეროდრომი, რომელიც მომსახურებას უწევს ავსტრალია-სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტრასას.

ფიჯის დედაქალაქის — ქალაქ სუვას პანორამა.

შობის კუნძული

მდებარეობს ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში, კუნძულ იავას სამხრეთით. ფართობი 135 კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 3,4 ათასი კაცი, უმთავრესად, ჩინელები და მალაიელები.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში ზღვის ეკლებიანი ვარსკვლავა, რომელიც მეცნიერებაში აკანტასტერის სახელით არის ცნობილი, მეტად იშვიათი იყო და შეეძლო დაემშვენებინა ყოველი სოლიდური ოკეანარიუმი. ვარსკვლავა იკვებება ცოცხალი მარჯნის პოლიპებით. ერთ დღეში მას შეუძლია „ჩაყლაპოს“ 30-დან 40 სმ-მდე მარჯანი, რაც მის (ვარსკვლავას) სიგრძეს ერთიორად აღემატება. ეს ცნობილი იყო მხოლოდ მეცნიერებისათვის, რადგანაც აკანტასტერი ცოტა იყო და, თავისი ღორმუცელობის მიუხედავად, ამ ვარსკვლავას არ შეეძლო ასე ბევრი შეეჭამა.

მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ, ჯერ კიდევ უცნობი მიზეზების გამო, ვარსკვლავა განუზომლად გამრავლდა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოხდა პოპულაციური აფეთქება და მტაცებელი ვარსკვლავების ურღოები წყნარი ოკეანის მარჯნის კუნძულებისკენ გაეშურნენ. ორწლიწადნახევარში ვარსკვლავა აკანტასტერმა გაწყვიტა მარჯნების 90% კუნძულ გუამის სანაპიროს გასწვრივ. თავდასხმები სდებოდა ღიდი ბარიერული რიფის 500 კმ-ის ფარგლებში ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. საფრთხეშია კუნძულები პალაუ, ჩაპანი, ფიჯი, ტაიტი, ტუამოტუ, მარჯნის სანაპიროები მალაიზიიდან ასალ გვინეამდე. მტერი მიემართება 100 მ სიგრძისა და 10 მ. სიგანის შლაგრ კოლონებად.

ინგლისმა 1958 წელს გადასცა ავსტრალიას. მანამდე შედიოდა ყოფილი კოლონია სინგაპურის შემადგენლობაში. განაგებს ავსტრალიის მთავრობის წარმომადგენელი.

წარმოების ერთადერთი დარგია ფოსფორიტების მოპოვება.

სამხრეთის ზღვების კუნძულები

რა ღუპავს მარჯნებს

რატომ იღუპებიან მარჯნის კუნძულები? ვარაუდი ბევრია. იქნებ ადამიანები არიან დამნაშავენი. ლაშქრობის ნიჟარების ძებნის დროს მათ გაულიტეს მოლუსკები, რომლებიც ზღვის ეკლებიანი ვარსკვლავათი იკვებებოდნენ. შეიძლება ყველაფერი ატომის იარაღის გამოცდის ბრალია, შეიძლება ქიმიკატებისაც. მიზეზები ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ ძალიან სამწუხარო შედეგს ვხედავთ.

საცნობარო განყოფილება

რა წავიკითხოთ

დიდი და სწრაფი ცვლილებები ხდება ჩვენს პლანეტაზე: ჰტკიცდება სოციალიზმის სამყარო, კოლონიების ადგილას იქმნება დამოუკიდებელი სახელმწიფოები, იცვლება სახელმწიფო წყობილება, იქმნება ახალი პოლიტიკური პარტიები; და ყველგან გრძელდება ხალხთა ბრძოლა კოლონიზატორების, რასისტების, დამსჯელების, აგრესორების, იმპერიალისტების წინააღმდეგ.

„ყოველ ხეს თავისი ჩრდილი აქვს, ყოველ ქვეყანას — თავისი ზნე-ჩვეულებანი“, — ამბობს აღმოსავლური ანდაზა.

ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელში აღნუსხულია წიგნები, რომლებიც საინტერესო მასალებს შეიცავენ სხვადასხვა კონტინენტების სახელმწიფოთა წარსულისა და აწმყოს, თანამედროვე საზოგადოებრივი მოვლენების, დედამიწის სხვადასხვა ხალხების ყოფასა და ზნე-ჩვეულებაზე. მასალა განლაგებულია ტომში განყოფილებების მიხედვით.

განყოფილებაში — „ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში“ — წიგნები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, როორც შესაბამისი მასალაა ტომში მოცემული. კონტინენტების განყოფილებებში წიგნები დასახელებულია ქვეყნების ალფაბეტის მიხედვით.

ანოტაციებში მოცემულია წიგნის ძირითადი შინაარსი, ზოგჯერ არის მოკლე ცნობები ავტორზე. სერიის „მსოფლიოს რუკასთან“ წიგნებში მოცემულია ძირითადი მონაცემები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ამ სერიის წიგნები, როგორც წესი, ანოტირებული არ არის.

მსოფლიოს ქვეყნების შესახებ საგულისხმო და საინტერესო ცნობები შეგიძლიათ წაიკითხოთ წელიწდეულ ალმანახებში „გლობუსი“ და „ზემლია ი ლიუდი“.

ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში

ვ. ი. ლენინი. თეზისები და მოხსენება ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მარტი, 1919 წ. (კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესზე) — თხზ. სრული კრებული. გამოც. მე-5, ტ. 37.

აქ ლაპარაკია ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პროლეტარული დემოკრატიითა და მშრომელთა დაბჭოების სისტემით შეცვლის აუცილებლობაზე.

ვ. ი. ლენინი — III კომუნისტური ინტერნაციონალი (იტყვა ჩაწერილია გრამოფონის ფირფიტაზე. 1919 წ. მარტი). — თხზ. სრ. კრებული, მე-5 გამოც., ტ. 38.

I ინტერნაციონალისა და III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის ისტორიული მნიშვნელობა.

ვ. ი. ლენინი. სახელმწიფოს შესახებ. ლექცია სვერდლოვსკის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს. თხზ. სრ კრებული, მე-5 გამოცემა, ტ. 39.

ლექციაში მოთხრობილია ადამიანთა საზოგადოებაში სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია, განხილულია სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს, სახელმწიფოს კვდომის პირობები მომავალში.

ვ. ი. ლენინი — მოხსენება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 22 ნოემბერს. თხზ. სრული კრებული, მე-5 გამოცემა, ტ. 39.

მოხსენება მოგვითხრობს რევოლუციური გარდაქმნების შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყველა მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხების სოლიდარობასა და ძმობაზე.

ვ. ი. ლენინი, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი, თხზ. სრული კრებული, მე-5 გამოც., ტ. 41.

ეს სტატია გვიამბობს კომუნისტური ინტერნაციონალის გავლენის შესახებ, მსოფლიოში კომუნისტური იდეების გავრცელებასა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კომუნისტური ორგანიზაციების ზრდაზე.

ლენინის შესახებ. საზღვარგარეთელ თანამედროვეთა მოგონებანი. მე-2 გამოც., მ., პოლიტგამი, 1966, ილუსტრ.

საზღვარგარეთელი კომუნისტების შეხვედრების შესახებ ვ. ი. ლენინთან კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნისა და მისი პირველი კონგრესების მუშაობის პერიოდში.

ჯ. რიდი. 10 დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო (თარგმანი ინგლისურიდან). მ. „გოსპოლიტიზდატი“, 1959. ილუსტ.

ამერიკელი მწერალი კომუნისტის ჯონ რიდის წიგნმა, რომელიც აშშ-ში გამოიცა 1919 წ., ერთ-ერთმა პირველმა ამცნო მსოფლიოს სიმართლე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ რუსეთში.

Десятерик В. И., Латышев А. Г. — Борьба учит. Ленин и молодые зарубежные революционеры. М., «Мол. гвардия», 1974, 191 с. с ил.

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა რევოლუციონერები არ ერიდებოდნენ საფრთხეს და აღწევდნენ მოსკოვში, რათა ვ. ი. ლენინისათვის ეამბნათ თავიანთ ბრძოლაზე, მიეღოთ დარიგება; სწერდნენ წერილებს, ხვდებოდნენ მას ყრილობებზე. ამ წიგნის ავტორებმა თავიანთი გამოკვლევა დოკუმენტურ მასალებზე ააგეს.

Благодатов А. В., Записки о Китайской революции 1925—1927 гг. Изд. 2-ое, М., «Наука». 1975, 277 с. с ил.

Мещеряков М. Т. — Испания в огне. М., «Просвещение», 1971, 159 с. с ил., карт. (Новейшая история для школьников).

ესპანეთში 1936 წ. დაიწყო პირველი აშკარა ბრძოლა მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ. 32 თვის განმავლობა-

ში მამაცი ესპანელი ხალხი გმირულად იბრძოდა ფრანკისტ მეამბოხეთა და იტალიელ-გერმანელი ინტერვენტების ჭარბი ძალების წინააღმდეგ. აი, ამაზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

Безыменский Л. А. — Особая папка «Барбаросса». Документ, повесть М., Изд-во Агентства печати «Новости», 1972, 342 с., с ил., карт.

უკვე 1940 წ. გერმანიის გენერალურ შტაბში შემოღებული იყო სპეციალური საქმეები „ბარბაროსას“ შიფრით, რომლებშიც თავს უყრიდნენ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის მომზადებასთან დაკავშირებულ ყველა საბუთს.

Мержанов М. И. Так это было (Последние дни фашистского Берлина). М., Политиздат, 1971, 247 с., с ил.

„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტის მოგონებანი 1945 წ. 20 აპრილიდან 8 მაისამდე მომხდარი ამბების შესახებ: ბრძოლებზე ბერლინის მისადგომებთან და თვით ბერლინში, რაიხსტაგის აღებაზე ფაშისტური რაიხის მესვეურთა უკანასკნელი დანაშაულებების შესახებ.

Яковлев Н. Н., 3 сентября 1945 г. М., «Молодая гвардия», 1971, 190 с., с ил.

ნარკვევი მეორე მსოფლიო ომში იაპონიის მონაწილეობის, მისი განადგურებისა და კაპიტულაციის შესახებ.

Овчинников В. В. Тени на мосту Айои. Изд. 2-ое, М., «Дет. литература», 1973, 62 с. с фотоил.

იაპონიის ქალაქების ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიის შესახებ, სადაც 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს.

Они пали непобежденными. Последние письма бортцов против фашизма. М., «Дет. литература», 1964, 110 с. с ил.

ი. ფუჩიკი. — რეპორტაჟი სახრჩობელაღან (თარგმანი ჩეხურიდან).

ეს წიგნი ჩეხმა კომუნისტმა მწერალმა დაწერა საპყრობილეში დასჯის მოლოდინში. იულიუს ფუჩიკი თავისი სიცოცხლის ბოლომდე, დაკითხვების, წამების, ფაშისტური საპყრობილის მკაცრი რეჟიმის მიუხედავად, ერთგული დარჩა თავისი დევიზისა — ვიბრძოლოთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

Маевский В. В. — Крепкие люди. М., «Сов. Россия», 1974, 160 с.

გმირული ბედის მქონე ადამიანებზე, ანტიფაშისტებზე — წინააღმდეგობის გმირებზე, თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებზე, მშვიდობის მომხრეებზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

Великое утро Фотиса Загориса. Рассказы европейских писателей о судьбах молодежи во время второй мировой войны. М., «Мол. Гвардия», 1974, 415 с. с ил.

Кутаков Л. Н. Вид с 35 этажа. М., «Мол. гвардия», 1975, 207 с. с ил.

საბჭოთა დიპლომატის ჩანაწერებში დოკუმენტებისა და პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე მოთხრობილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1965 — 1973 წწ. მუშაობის შესახებ.

Нагибин Ю. М., Трахман М. А. — Счастье Вам, люди! (Фотоальбом), М., «Планета», 1973, 221 с. с ил. (Из жизни стран социализма).

Синяков А. — Десять глав из открытой книги. М., «Мол. гвардия», 1975, 128 с. с ил.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ცხრა სოციალისტური ქვეყნის: ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის — საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

Виновен! Сборник. М., «Мол. гвардия», 1973, 176 с. с ил. (Ровесник).

საზღვარგარეთელი და საბჭოთა ავტორების ნარკვევები და წერილები კაცობრიობის წინაშე იმპერიალისტთა, რასისტებისა და ფაშისტთა სამხედრო პოლიტიკურ დანაშაულებრიობათა და ახალგაზრდობის ბრძოლის შესახებ იმპერიალიზმის, რეაქციის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ XX საუკუნეში.

Кассис В. и др. — Неоновые джунгли. Рассказы журналистов. Изд. 2-ое, доп. М., «Дет. литература», 1971, 126 с. с ил.

ეს წიგნი მოგვითხრობს კაპიტალის ქვეყნებში მშრომელთა მდგომარეობისა და ბრძოლის შესახებ.

Зорин В. С. — Владыки без масок. Худ. Л. Самойлов, Терещенко. Изд. 2-ое, доп. М., «Дет. литература», 1972, 224 с. с ил.

Колчанов Р. Г. — В погоне за миллионами. М., «Мол. гвардия», 1971. 192 с. с ил. (Ровесник).

ისტორიული ნარკვევები კრუპის, ფლიკის, ტისენის, ოპელისა და სხვა გერმანელი მონოპოლისტების უდიდესი კონცერნების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავდნენ გერმანიის იმპერიალისტურ პოლიტიკას XX ს.-ში.

Жизнь отдана борьбе. Изд. 2-е, испр. и доп. М., «Наука», 1966. 671 с. с ил.

დოკუმენტურ ნარკვევებში თქვენ წაიკითხავთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრებასა და ბრძოლაზე.

Непомнящий К. Е. Коммунисты. Изд. 2-е, доп. М., «Мол. гвардия», 1970. 272 с. с ил. (Ровесник).

60-იანი წლების საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეებზე გვიამბობს ეს წიგნი.

Зарубежные молодежные организации. Справочник, изд. 2-е, испр. и доп. М., «Мол. гвардия», 1973, 367 с. с ил.

Молодежь 70-х. Англия. Испания. Италия. США. Франция. ФРГ. Статьи и корреспонденции советских и зарубежных писателей журналистов, общественных и политических деятелей о молодежном движении Запада. Письма, документы и дневники молодых. М., «Мол. гвардия», 1973, 119 с. с ил. (Ровесник).

Звезды первой величины. Интервью, репортажи, очерки о молодых героях нашего времени, воспитанных союзами молодежи социалистических стран. (Книга-альбом). М., «Мол. гвардия», 1973, 359 с. с ил.

Айзман Г. Э. — Красные галстуки в стране доллара. М., «Мол. гвардия», 1972. 112 с. с ил.

20-იანი წლების დასაწყისში ამერიკის პირველ პიონერულ რაზმებზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

სხვადასხვა კონტინენტების ქვეყნები

Авербах Ю. Л. — На разных континентах. Не совсем обыкновенные путешествия. М., «Мысль», 1971, 103 с. с ил.

ავტორთან, გამოჩენილ მოჭადრაკესთან, საერთაშორისო გროსმაისტერთან ერთად თქვენ იმოგზაურებთ სინგაპურის, კუნძულ კიურასაოს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის არა მარტო აწმყოში, არამედ წარსულშიც.

Григорьева А. Г., Гусаров В. И. — Легенды и были Арабского Востока. М., «Наука», 1972. 183 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

მგზავრის ნარკვევები: იემენი, ტუნისი, იორდანია, ლიბია, სუდანი.

Жуков Ю. Л. — 33 визы. Путешествия в разные страны. М., «Сов. Россия», 1972, 464 с.

საერთაშორისო ჟურნალისტმა ი. ჟუკოვმა 1945-1971 წწ. მოავალ ქვეყანაში იმოგზაურა, მან შეარჩია 33 ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი ქვეყანა. სწორედ ამ ქვეყნების შესახებ გვიამბობს ეს წიგნი.

Игнатьев О. К., Муньос Х. — Горячие точки. Репортажи, очерки, исследования о том, как с оружием в руках борются народы за свою свободу и независимость. М, «Мол. гвардия», 1970. 160 с. с ил. (Ровесник).

ეს წიგნი მოგვითხრობს შეიარაღებულ ბრძოლებზე აგრესორებისა და კოლონიზატორების წინააღმდეგ ვიეტნამში, ლაოსში, გვინეა-ბისაუში და ბოლივიაში 1968-1970 წწ.

Кассис В. Б. — Звезда Мальдивов. Очерки. Доп. перезд. М., «Дет. литература», 1974, 175 с., с фотоил.

ამ წიგნში აღწერილია ავტორის მოგზაურობა ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების კუნძულებსა და სახელმწიფოებში (მალდივის რესპუბლიკა, ნაურუ, სინგაპური, შრი ლანკა, მავრიკია, დასავლეთი სამოა, მალაიზია, ლაკადიისა და ანდამანის კუნძულები, ფიჯი, სეიშელის კუნძულები, მადაგასკარი, ბაჰრეინი, რეუნიონი, ბიკინი, ახალი ჰებრიდები, ახალი ზელანდია).

Кент Р. Куре N ву Е. Пер. с англ. Изд. 2-е, М,, «Мысль», 1965. 269 с. с ил. (Путешествия. Приключения. Фантастика).

წიგნი მოგვითხრობს ავტორის თავგადასავალზე იალქნიანი ნავით ატლანტის ოკეანეში ცურვის დროს, გრენლანდიის ნაპირებზე გემის დაღუპვის შესახებ და ესკიმოსებთან გატარებულ დღეებზე. წიგნი ილუსტრირებულია ავტორის— ცნობილი ამერიკელი მხატვრის რ. კენტის ნახატებით.

Кублицкий Г. И. Таймыр, Нью-Йорк, Африка... Рассказы о странах, людях и путешествиях. М., «Дет. литература», 1971, 432 с. с ил.

გ. კუბლიცკის თითოეული წიგნი საინტერესო მოგზაურობაა ფცნობ ქალაქებში, ქვეყნებში, ქუჩებში, მუზეუმებში. ამ წიგნით თქვენ იმოგზაურებთ ნიუ-იორკში, ეგვიპტეში, ასუანის კაშხალის მშენებლობის დაწყების დროს.

Кулешов А. П. — Шесть городов пяти континентов. М., «Мысль», 1971. 199 с. с ил. (Путешествия. Приключения. Поиск).

მგზავრის ნარკვევები: ნიუ-იორკი, მეხიკო, პარიზი, ტოკიო, მელბურნი.

На разных континентах. М., «Мол. гвардия», 1976, 144 с. с ил.

ეს წიგნი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ეხმარებიან საბჭოთა ადამიანები სხვადასხვა კონტინენტების ქვეყნების მცხოვრებლებს ქარხნებისა და ელექტროსადგურების აშენებაში, სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოებაში, სტიქიური უბედურებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

Т. Хейердал.— Экспедиция «Кон-Тики-—«Ра». Пер. с норвежского. М., «Мысль», 1972. 486 с. с ил.; 24 л. ил. (XX век: Путешествия. Открытия. Исследования).

ავტორთან, გამოჩენილ მოგზაურთან და მის ამხანაგებთან ერთად, ტივით „კონ-ტიკი“ თქვენ გადასერავთ ჯერ წყნარ ოკეანეს პერუს ნაპირებიდან პოლინეზიამდე, მერე კი გაემგზავრებით ახალი მიმართულებით პაპირუსის ნავით „რა“ ატლანტის ოკეანით აფრიკიდან ამერიკაში.

ევროპა

Дружинин В. Н. — Тюльпаны, колокола, ветряные мельницы и многое другое, увиденное автором в Голландии, Бельгии и Люксембурге. Фото Т. Пенко, Л., «Дет. литература», 1972. 207 с. . ил.

Кокорин А. В.—Англия, Шотландия и Ирландия. М., «Сов. художник», 1972. 94 с. с ил.

წიგნის ავტორის — მხატვრის ნახატები დაგეხმარებათ ნახოთ ლონდონის, დუბლინის, გლაზგოს, ბელფასტის, ქუჩები და ისტორიული ძეგლები, მათი მცხოვრებლები მუშაობისას, შინ, სეირნობისას. ნახატებს ახლავს გონებამახვილური ტექსტი.

Кублицкий Г. И. — В стране странностей. Путешествия по Голландии, Швеции, Норвегии. М., «Дет. литература», 1970. 336 с. с ил.

Орестов О. Л. — Другая жизнь и берег дальний. Ил. худ. А. В. Кокорина. М., «Правда», 1974. 192 с. с ил.

დიდ ბრიტანეთზე ბევრი წიგნია დაწერილი. ამ წიგნის ავტორი მოგითხრობთ ინგლისელებზე, მათ ხასიათზე, ცხოვრების წესზე, საერთოდ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ, მუშაობენ და ისვენებენ ისინი.

Меньшиков В. М. — Под дамокловым мечом (Греция, 1970—1974 гг.). М., «Мол. гвардия», 1974, 110 с. с ил. (Ровесник шагает по планете).

ჟურნალისტის პროფესიის წყალობით, ავტორს შესაძლებლობა მიეცა დაჰკვირვებოდა, ხოლო შემდეგ აეწერა საბერძნეთში 1973 წ. ნოემბერში სამხედრო გადატრიალების დრამატული ამბები, სტუდენტი და მუშა-ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლები სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ.

Ганюшкин В. А. — Не возрасту покорны. Штрихи к портрету польского ровесника. М., «Мол. гвардия», 1975. 144 с. с ил., фотогр.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტის მოთხრობები სოციალისტური პოლონეთის ახალგაზრდა მშენებლებთან შეხვედრებზე.

Боровик Г. — Май в Лиссабоне. Очерк. М., «Сов. писатель», 1975. 200 с.

პირველ ჟურნალისტთა შორის, ამ წიგნის ავტორი მივლინებული იყო ლისაბონში 1975 წ. აპრილში, როცა იქ დაამხეს ფაშისტური დიქტატურა. ევროპაში ყველაზე ძველი ფაშისტური რეჟიმის დამხობის რევოლუციურ დღეებს ეძღვნება ეს წიგნი.

Похлебкин В. В. — Финляндия. М., «Мысль», 1974. 72 с. с ил. (У карты мира).

Крашенинников В. Л., Драгунов Г. П. — Швейцария знакомая и незнакомая. Путевые очерки. М., «Мысль», 1970. 209 с. с ил., карт.

Дейниченко Г. В. — Швеция всех времен года. М., «Мол. гвардия», 1974. 160 с. с ил. (Ровесник).

Раковский С. Н., Булавин В. И. — По Югославии. Геогр. очерки. М., «Просвещение», 1970. 176 с. с ил.

აზია

Марковский С. — На дорогах Афганистана. Пер. с польск. М., «Наука», 1973, 206 с. с карт. (Путешествия по странам Востока).

Кассис В. Б., Бахрейн М., «Мысль», 1974. 44 с. с ил., карт. (У карты мира).

Калягин Б. А., Скосырев В. А. — Бенгальский дневник. Рождение республики. М., «Наука», 1973. 96 стр. с ил. (Путешествия по странам Востока).

ეს წიგნი დაწერილია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც 1971 წ. ბანგლადეშის შექმნით დამთავრდა.

Ефанова Л. В. — Бруней. История, экономика, современность. М., «Наука», 1975. 87 с.

Севергин С. А., Ильинский М. М. — Мирные зарницы над Вьетнамом. Сборник документальных очерков, зарисовок, репортажей. М., «Мол. гвардия», 1975. 144 с. с ил. (Союзы молодых).

წიგნი ეძღვნება ვიეტნამის ახალგაზრდობას, ხო ში მინის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირს.

Глущенко Е. А., Лебедев Г. А. — Южная Аравия без султанов. Путевые заметки. М., «Наука», 1971. 88 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

მოგზაურობა იემენის არაბთა რესპუბლიკის ქალაქებში.

Васин Л. А., Герасимов О. Г. — Народная Демократическая Республика Йемен. М., «Мысль», 1971. 64 с. с ил., карт. (У карты мира).

Перевощиков К. А. — Индия: тысячелетия поиска. М., «Известия», 1974, 256 с. с ил.

ამ წიგნში მოთხრობილია დიდ ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებზე ინდოეთში — 60-70-იანი წლების დასაწყისში.

Матюшин А. Н. — Между Тигром и Евфратом. М., «Наука», 1975. 120 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

წიგნი გვიამბობს ერაყსა და მის დედაქალაქ ბაღდადზე.

По Ирану. Пер. с перс. М., «Наука», 1973. 172 с. (Путешествие по странам Востока).

ირანელი მწერლების ჩანაწერები და მოთხრობები თავიანთ ქვეყანაში მოგზაურობაზე.

Луковец А. И. — Кипр вчера и сегодня. Из блокнота журналиста. М., «Мол. гвардия», 1974. 64 с. с ил. (Ровесник шагает по планете).

Лобода И. — Ивы над Тэдонганом. М., «Мол. гвардия», 1975. 112 с.

ეს წიგნი მოგვითხრობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების შესახებ, რომლებშიც ხალხის თავდადებული შრომით 1950-1953 წწ., ომის დამთავრების შემდეგ ხელახლა აიგო ქარხნები და ელექტროსადგურები, საცხოვრებელი სახლები, კაშხალები და არხები.

Ломакина И. И. — Белые юрты в степи. М., «Мол. гвардия», 1975. 143 с. с ил.

ჟურნალისტი ქალის მოთხრობები თანამედროვე მონღოლეთის, მისი მცხოვრებლების, წინათ მომთაბარეების, ახლა უდაბურ სტეპებში ქალაქების მშენებლების, მათი ზნე-ჩვეულებების, სტუმართმოყვარეობის, საქმიანობის შესახებ.

Якубенок Л. В. — Под крылом Вишну. (Очерки о Непале). М., «Наука», 1975. 280 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

Герасимов О. Г., Оман М., «Мысль,- 1975. 48 с. со схем. (У карты мира).

Накоряков В. Н. — Семидесятый меридиан. Пакистанские очерки и репортажи. М., «Наука», 1975. 272 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

Демин Л. — Сингапур многоликий. М., «Мысль», 1971. 80 с. с ил.

ქალაქ-სახელმწიფოს შესახებ, სადაც მოსახლეობა ორი მილიონი კაცია. აი, რაზე გვიამბობს ეს წიგნი.

Бобров В. А. — На перекрестке цивилизаций. (Путешествие по Сирии). Фото Г. П. Буланова, А. Я. Горячева и автора. Оформл. худ. Е. Б. Адамова. М., «Мысль», 1975, 175 с. с ил. и карт. (Путешествия. Приключения. Поиск).

დღევანდელ სირიაში, ლეგენდარული პალმირის, ცხელი ქვიშების ქვეყანაში შენდება ნავთობსახდელი ქარხნები, ევფრატის ჰესი, გაჰყავთ გზები. ამაზე გვიამბობს ეს წიგნი.

Данилов В. И. — 7000 километров по Турции. М., «Наука», 1975. 160 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

Подберезский И. В. — Страна семи тысяч островов. Очерки о Филиппинах. М., «Мысль», 1970. 158 с. с ил., карт.

Овчинников В. В. — Сто первый лик Фудзи. Японские репортажи. Рис. А. Цветкова. Фотогр. автора. М., «Детлитература», 1975. 160 с. с ил.

აფრიკა

Бальзак Ф. — Черный Козерог. Пер. с франц., М., «Мысль», 1973. 230 с. с ил. (Путешествия. Приключения. Поиск).

გამოჩენილი ფრანგი მოგზაურის ექსპედიციასთან ერთად თქვენ გადასერავთ სამხრეთ აფრიკას ატლანტის სანაპიროდან ინდოეთის ოკეანის სანაპირომდე თხის რქის ტროპიკის გავლით.

Гржимек Б. — Среди животных Африки. Пер. с нем. М., «Мысль», 1973. 335 с. с ил. (Рассказы о природе).

გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი-ბიოლოგის მოთხრობები ტანზანიის, კენიის, ზამბიის ნაციონალურ პარკებსა და ნაკრძალებში მხეცებისა და ფრინველების ცხოვრების, ბუნების და გარეული ცხოველების დაცვის აუცილებლობაზე.

Грин Л. — Острова, не тронутые временем. Пер. с англ. М., «Наука», 1972. 319 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

ატლანტის ოკეანის (ტრისტან-და-კუნია, წმინდა ელენეს კუნძული, კანარის, მადეირას კუნძულები), ინდოეთის ოკეანისა — (ზანზიბარი, მასკარენის) და გვინეის უბის კუნძულებზე (ფერნანდო-პო, პრინსიპი, სან-ტომე) გვიამბობს ეს წიგნი.

Дави А. — По Нилу на Каяках. Сокр. пер. с французского. М., изд-во Вост. лит., 1962. 264 с. с ил.

ავტორი აგვიწერს საინტერესო და ძნელ მოგზაურობას მსოფლიოში ყველაზე უფრო გრძელ მდინარეზე მისი სათავეებიდან დელტამდე.

Катин В. К. — Эхо странствий. Путевые очерки. М., «Наука», 1971. 167 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

ამ წიგნში აღწერილია აფრიკის ქვეყნების (მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, მავრიტანიის, სპილოს ძვლის ნაპირის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, კამერუნის, მადაგასკარის, აგრეთვე, გიბრალტარის და ლიბანის ხალხთა ბედი, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი.

Кулик С. Ф. Сафари. Путешествия по Восточной, Центральной и Южной Африке. М., «Мысль», 1971. 336 с. с ил. карт. (Путешествия. Приключения. Поиск).

აღმოსავლეთ აფრიკაში ნებისმიერ მოგზაურობას უწოდებენ საფარის. ავტორისათვის ძნელმა საფარებმა რუანდის, ტანზანიის, ზამბიის, უგანდის, მალავის, კალაჰარის უდაბნოს შორეულ რაიონებში, სადაც აქა-იქ სახლობენ ნაკლებად ცნობილი ტომები და ხალხები, საშუალება მისცა ავტორს, დაენახა არა „ტურისტული“, არამედ ნამდვილი აფრიკა.

Нагибин Ю. М. — Моя Африка. Путевые Очерки Предисл. Н. Хохлова. М., «Наука», 1973. 245 с. с ил.

Полькен К. — В плену Сахары. Великая пустыня в зеркале тысячилетий. Пер. с нем. М., «Наука», 1973. 228 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

Хохлов Н. П. — Присяга просторам. Оформл. Б. Кышымова. Фото автора. М., «Дет. литература», 197? 223 с. с ил.

წიგნი მიძღვნილია ეთიოპიისა და ტანზანიისადმი. თქვენ ავტორთან ერთად იმოგზაურებთ დანაკილის უდაბნოში, ქალაქებში: ადის-აბებაში, აქსუმში, ლალიბელაში, დარ-ეს-სალამში, მასაის სტეპებში და სერენგეტის ნაკრძალში, ახვალთ უმაღლეს მწვერვალ კიბოზე კილიმანჯაროს მთიან მასივში, შეხვდებით აფრიკელებს, მწერლის მეგობრებს.

Игнатьев О. К., Михалев П. Ф. — На западе от Замбези. Ангольский дневник. М., «Мол. гвардия», 197? 112 с. (Ровесник шагает по планете).

ავტორებმა, მოსკოვის გაზეთების კორესპონდენტებმა, 21 დღე გაატარეს ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის მონაწილე პარტიზანებს შორის.

Сухарев Г. И. — Подвиг на Ниле. М., Политиздат, 1970. 184 с. с ил.

ასუანის კაშხალის მშენებლობის მონაწილის მოთხრობები ამ უდიდესი მშენებლობის პროექტების შემუშავებისა და განხორციელების დროს, აბუ-სიმბელის ტაძრების დატბორვის ზონიდან გადატანის შესახებ.

Коровиков В. И. — Гамбия. М., «Мысль», 1971. 56 с. с ил., карт.(У карты мира).

Акимов В. Г. — Гвинея (Бисау), полевая почта. М «Мол. гвардия», 1973. 64 с. с ил. (Ровесник шагает по планете).

ახალგაზრდა საბჭოთა ექიმების ჯგუფი გაიგზავნა კოლონიზატორების წინააღმდეგ მებრძოლი გვინეა—ბისაუს პატრიოტებისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციისათვის. ამათზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

Александров Ю. А., Липец Ю. Г. — Замбия, М «Мысль», 1973, 63 с. с ил., карт. (У карты мира).

Кулик С. — Кенийские сафары. М., «Мысль», 1975 333 с. с ил. (Путешествия. Приключения. Поиск).

Фрелау А. — Бьется пульс Конго. Пер. с нем. М «Наука», 1972. 189 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

წიგნის ავტორი, ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები ექიმი, შედიოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექიმთა ჯგუფის შემადგენლობაში, მუშაობდა ზაირში 1960-1964 წწ. თავისი ჩანაწერების მეტი წილი მან მიუძღვნა ზაირის პოლიტიკურ ისტორიას, პ. ლუმუმბას მთავრობას აჯანყებულთა მოძრაობას და მის ჩაქრობას იმპერიალისტების მიერ.

Верин В. П. — На Марокканской земле. М., «Мысль» 1972. 150 с. с ил., карт.

Лаптухин В. В. — Пять тысяч километров по Нигерии. М., «Мысль», 1975. 128 с. с ил.

Кашин Ю. С. Сенегал. М., «Мысль», 1973. 64 с. с ил. карт. (У карты мира).

Городнов В. П., Никифоров А. В. — Путешествие в Талех. М., «Наука», 1976. 144 с. (Путешествия по странам Востока).

საბჭოთა კავშირ-სომალის 1971 წ. სამეცნიერო ექსპედი-

ციის მონაწილეები სომალიში მოგვითხრობენ ამ ქვეყნის ხალხის ცხოვრებასა და ყოფაზე.

Франкос А. — Африка африканеров. М., «Наука», 1973. 232 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

ფრანგი ჟურნალისტი ქალის ნარკვევები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასისტული რეჟიმის, მკვიდრი მოსახლეობის სიღატაკისა და უუფლებობის შესახებ.

ამერიკა

Беус А. — Далекие хребты Кордильер. М., «Мысль», 1976.

ავტორი მთელი რიგი წლების მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით ტექნიკური ექსპერტის სახით ეწეოდა გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებს, მოგზაურობდა ეკვადორსა და კოლუმბიაში. იგი მოგვითხრობს ამ ქვეყნების ბუნების, ხალხის ზნე-ჩვეულებების, ქალაქების, ეკონომიკური სიმდიდრეების შესახებ.

Дети из квартала «Рядом—с—небом». Рассказы современных писателей стран Латинской Америки. Пер. с исп. и португ. Рис. Г. Филипповского. М, «Дет. литература», 1973. 158 с. с ил.

ამ წიგნში აღწერილია მხიარული თუ ნაღვლიანი ამბები სამხრეთ აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები თქვენი თანატოლების ცხოვრებიდან.

Зубко М. В. — На островах викингов и пиратов. М., «Известия», 1972. 239 с. с ил.

ავტორმა მოგვითხრო ატლანტის ოკეანისა და ვესტ-ინდოეთის ნაკლებად ცნობილ კუნძულებზე, მათზე განლაგებულ სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებსა და მოსახლეობის ცხოვრებაზე.

Игнатьев О. К. Амазонка глазами москвича. М., «Мол. гвардия», 1974. 288 с. с ил. (Ровесник).

Кусто Ж., Диоле Ф. — Затонувшие сокровища. Сокр. пер. с франц. М., «Прогресс», 1975. 207 с. с ил.

ეს წიგნი მოგვითხრობს წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ კარიბის ზღვაში 1968 წ. ზაფხულში და აქ ჩაძირული ესპანური გალიონის კუსტოს აკვალანგისტების მიერ ლეგენდარული საგანძურის ძიებაზე.

Лауринчюкас А. — Медное солнце. М., «Политиздат», 1973. 335 с. с ил. (Запад наших дней).

ლიტველი მწერლის, ჟურნალისტის საგზაო ნარკვევები ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და კანადაში მოგზაურობის შესახებ.

Островский В. — Жизнь большой реки. Пер. с польск. М., «Мысль», 1971. 206 с. с ил. (Путешествия. Приключения. Поиск).

ორი ათასი კილომეტრი პარანაზე.

Шегрен Б. — К забытым островам. Пер. со швед. М., «Мысль», 1972. 22 с. с ил., карт. (Путешествия. Приключения. Поиск).

მოგზაურობა მცირე ანტილის კუნძულებზე.

Фесуненко И. С. — Бразилия и бразильцы. М., «Мысль», 1976. 176 с. с ил. и карт.

ჟურნალისტის შთაბეჭდილებანი ლათინური ამერიკის უდიდესი ქვეყნების ქალაქების, შორეული რაიონებისა და ინდიელთა დასახლებების, გაუვალ სელვებში გაყვანილი ტრანსამაზონის მაგისტრალის შესახებ.

Антипова А. В., Антонова И. Ф. — Канада. М., «Мысль», 1972. 100 с. с ил. и карт. (У карты мира).

Верников В. — Салют, компаньеро! Книга о Кубе. Фото автора. М., «Дет. литература», 1975. 95 с. с ил.

ავტორის შეხვედრები კუბის რევოლუციის მონაწილეებთან, მაჩეტერეებთან, მეშახტეებთან, მუშებთან, ახალი სოციალისტური კუბის მშენებლებთან, მოგზაურობა კუბის ექვს პროვინციაში იქცა წიგნის თემად.

Кармен Р. Л. — Буэнавентура — гражданин Кубы. М., «Дет. литература», 1966. 229 с. с ил.

„ბუენავენტურა“ ესპანური სიტყვაა და ნიშნავს „კეთილ ბედს“. ასე უწოდებენ ბიჭს, რომელსაც საბჭოთა კინოოპერატორები შეხვდნენ სიერა-მაესტრას მთებში. ეს ბიჭი გახდა კუბის რევოლუციის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის გმირი. წიგნი ილუსტრირებულია ფოტოებით — კადრებით კინოფილმიდან „გაჩირაღდნებული კუნძული“.

От Сьерры—Маэстры до Гаваны. Воспоминания видных участников Кубинской революции. Пер. с исп. М., Воениздат. 1965. 244 с. с ил., карт.

Бычков Г. А. —На помощь Перу. М., «Мол. гвардия», 1971. 95 с. с ил. (Ровесник).

საბჭოთა ახალგაზრდობის მოხალისეთა რაზმი (ექიმები, ფერშლები, სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები) გაემგზავრა პერუში 1970 წ. 31 მაისს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად. აი, ამაზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

Смирнов С. С. — Месяц в Перу. М.. «Сов. писатель», 1975. 255 с.

Пояркова Н. Т. — Пуэрто-Рико. М,. «Мысль», 1975. 125 с. с ил. (У карты мира).

Песков В. М., Стрельников Б. Г. — Земля за океаном. Фото В. М. Пескова. Рис. Б. Жутовского. М., «Мол. гвардия», 1975. 288 с. с ил. и фотогр.

ავტორებმა ოცდაათ დღეში ავტომობილით გაიარეს თხუთმეტი ათასი კილომეტრი აშშ-ის ოცდაექვს შტატში აღწერეს ბუნება, ადამიანები, მათი ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების წესი, ქვეყნის ისტორიული წარსული და დღევანდელობა — ყველაფერი აინტერესებდათ მათ გზაზე და შინ დაბრუნებისას.

Петрусенко В. В. — Многоликий Вашингтон. Ил. М. Бобракова. М., «Мол. гвардия», 1972. 126 с. с ил. (Ровесник шагает по планете).

Пумпянский А. Б. — Не во вторник, на этой неделе... М., «Мол. гвардия», 1975. 200 с. с ил. (Ровесник).

აშშ-ის სამხრეთ შტატებში მოგზაურობის შესახებ.

Селихов К., Дерюгин Ю. — По следам джи-ай. М., «Мол. гвардия», 1975, 144 с. с ил.

„ჯი-აი“ (სახაზინო ჯონება), — ასე უწოდებენ ჯარისკაცებს აშშ-ში. ესაა ნარკვევები ამერიკის არმიის ჯარისკაცებზე, რომლებიც 50—70-იან წლებში ომობდნენ აზიის, აფრიკის,

ლათინური ამერიკის სახელმწიფოებისა და ხალხების წინააღმდეგ.

Боровик Г. А. — Репортаж с фашистских границ. М., «Сов. Россия», 1974. 95 с.

ჩილეში ფაშისტური გადატრიალების შემდეგ, პირველ დღეებში, 1973 წ. სექტემბერში ავტორი ახალი ამბების საგენტომ გაგზავნა ლათინურ ამერიკაში, ჩილეს მოსაზღვრე ქვეყნებში, რომ გაეგო და აეწერა ჩილეს ტრაგიკული ამბები.

Непокоренные. Документы. Свидетельства очевидцев. Очерки о чилийских патриотах. М., «Мол. гвардия», 1976.

ავსტრალია და ოკეანეთი

Гржимек Б. — Австралийские этюды. О животных и людях пятого континента. Пер. с нем. М., «Мысль», 1971. 1774 с. с ил., карт. (Рассказы о природе).

Малаховский К. В. — Будни пятого континента. М., «Наука», 1975. 232 с. с ил. (Народы мира).

ავსტრალიის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობაა აღწერილი ამ წიგნში.

Роуз Ф. — Аборигены, кенгуру и реактивные лайнеры. Пер. с нем. М., «Наука», 1972. 271 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

სწავლული ეთნოგრაფის მოთხრობები ავსტრალიელ აბორიგენთა ცხოვრებაზე ქვეყნის ჩრდილოეთში და ცენტრალურ ნაწილში.

Наумов Д. В. — На островах Океании. М., «Наука», 1975. 117 с. с ил. (Путешествия по странам Востока).

სამეცნიერო-კვლევით გემ „დიმიტრი მენდელეევზე“ 1971 წ. ექსპედიციის მონაწილის დღიური.

Почивалов Л. В. — На край света за тайной. Рассказ о путешествии на «Витязе» к далеким тропическим островам Тихого океана. М., «Дет. литература», 1974. 256 с. с ил.

საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი გემის „ვიტიაზის“ მოგზაურობის შესახებ ოკეანეთში, მიკლუხო-მაკლაის ნაპირისაკენ, და დედამიწის საფარველის შესწავლასთან დაკავშირებულ გამოკვლევათა შესახებ.

Стингл М. — Последний рай. М., «Наука», 1975. 464 с. (Путешествия по странам Востока).

ეს წიგნი მოგვითხრობს კუნძულების — ტაიტის, აღდგომის, აღმოსავლეთი და დასავლეთი სამოას, ტონგას, ახალი ზელანდიის — ბუნებასა და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებაზე.

Риделанд Ф. Остров в Меланезии. Пер. со швед. М., «Наука», 1973. 144 с. с ил., карт. (Путешествия по странам Востока).

სოლომონის კუნძულები.

ა

აბიჯანი — სპილოს ძვლის ნაპირის დედაქალაქი.
418
აბუ-დაბი — არაბთა გაერთიანებული საამიროების დროებითი დედაქალაქი
208, 209
აგანია — კუნძულ გუამის ადმინისტრაციული ცენტრი
520
ადენი — იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი
240, 241, 242
ადის-აბება — ეთიოპიის დედაქალაქი
26, 353, 354, 357
ავარუა — კუკის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი
522
ათენი — საბერძნეთის დედაქალაქი
170, 172
აკრა — განის დედაქალაქი
344, 346
ალჟირი — ალჟირის დედაქალაქი
331, 333
ამანი — იორდანიის დედაქალაქი
254, 256
ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია (ასო) — შეიქმნა 1948 წ. მასში შედის აშშ და 22 ლათინურ-ამერიკული ქვეყანა. ამ ორგანიზაციის შემწეობით აშშ ცდილობს განახორციელოს დიქტატის პოლიტიკა, ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ, ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, განამტკიცოს თავისი პოლიტიკური გავლენა და გააფართოოს კაპიტალისტური მონოპოლიების მოქმედების სფერო. ასო-ის მონაწილე ქვეყნებს შორის იზრდება უკმაყოფილება აშშ-ის მოქმედების გამო და ძლიერდება მისწრაფება ასო-ის რეორგანიზაციისადმი.
76, 77, 436
ამსტერდამი — ნიდერლანდების დედაქალაქი
151, 153
ანდორა-ლა-ვიეხა (ანდორა) — ანდორის დედაქალაქი
95, 96
ანკარა — თურქეთის დედაქალაქი
229, 232
ანტანანარივუ — მადაგასკარის დედაქალაქი
381, 382
ანტანტა — 14, 15
ანშლუსი — 29
აომინი (მაკაო) — აომინის (მაკაოს) ადმინისტრაციული ცენტრი
აპარტეიდი — მკაცრი რასობრივი დისკრიმინაციის (იხ.) პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ სამხრეთ აფრიკის ოესპუბლიკის მმართველი რეაქციული წრეები მკვიდრი აფრიკელი მოსახლეობის მიმართ.
409
აპია — დასავლეთ სამოას დედაქალაქი
520
ასუნსიონი — პარაგვაის დედაქალაქი
494, 495
აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია (აეო)—აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ანტიიმპერიალისტური, ანტიკოლონიური ორგანიზაცია. შეიქმნა 1963 წ. 1976 წლის შუა რიცხვებში აეო-ში შედიოდა 48 სახელმწიფო. ორგანიზაციის მიზანია ბრძოლა კონტინენტზე კოლონიური და რასისტული რეჟიმების სრული ლიკვიდაციისათვის, ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, მიუმხრობლობის პრინციპების მხარდასაჭერად.
330, 357

ბ

ბამაკო — მალის დედაქალაქი
388, 389
ბანგი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი
431
ბანგკოკი — ტაილანდის დედაქალაქი
306, 307, 308
ბანდარ-სერი-ბეგავანი — ბრუნეის ადმინისტრაციული ცენტრი
217
ბანჯული — გამბიის დედაქალაქი
342
ბას-ტერი — გვადელუპის ადმინისტრაციული ცენტრი
462
ბაღდადი — ერაყის დედაქალაქი
220, 223
ბეირუთი — ლიბანის დედაქალაქი
278, 281
ბელგრადი — იუგოსლავიის დედაქალაქი
142, 143

ბელმოპანი — ბელიზის ადმინისტრაციული ცენტრი
453
ბერლინი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი
105, 106, 108, 109, 110
ბერნი — შვეიცარიის დედაქალაქი
190, 191, 192
ბისაუ — გვინეა-ბისაუს დედაქალაქი
348
ბოგოტა — კოლუმბიის დედაქალაქი
479, 480
ბონი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქი
111, 113, 115
ბრაზავილი — კონგოს დედაქალაქი
373
ბრაზილია — ბრაზილიის დედაქალაქი
456, 460
ბრიუსელი — ბელგიის დედაქალაქი
96, 97, 98
ბრიჯტაუნი — ბარბადოსის დედაქალაქი
451
ბუდაპეშტი — უნგრეთის დედაქალაქი
181, 182, 183, 184, 186
ბუდიზმი — ქრისტიანობასთან (იხ.) და ისლამთან (იხ.) ერთად ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული რელიგია. სახელწოდება მიიღო რელიგიის დამაარსებლის ბუდას სახელის მიხედვით. წარმოიშვა ინდოეთში VI—V საუკუნეებში ჩვენს ერამდე. როგორც ყოველგვარი რელიგია, ბუდიზმი ასრულებს რეაქციულ როლს: ქადაგებს მორჩილებას, თვინიერებას, სინამდვილესთან შერიგებას, ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობას. ინდოეთის გარდა, გავრცელებულია შრი ლანკაში, ბირმაში, ტაილანდში, ჩინეთში, იაპონიასა და ინდოჩინეთის ქვეყნებში. ბუდიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ლამაიზმი.
201, 272, 290, 251, 301.
ბუენოს-აირესი — არგენტინის დედაქალაქი
448, 449
ბუჟუმბურა — ბურუნდის დედაქალაქი
339, 340
ბუქარესტი — რუმინეთის დედაქალაქი
165, 167

გ

გაბორონე — ბოტსვანის დედაქალაქი
338
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
50, 51, 60, 61, 255, 341, 379, 398
გაერო-ს უშიშროების საბჭო — გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის და რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება თავის მოვალეობათა შესრულებისას (რომლებიც ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს) იმოქმედოს გაეროს ყველა წევრის სახელით. გაერო-ს წევრმა სახელმწიფოებმა თავის თავზე აიღეს ვალდებულება, დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი
50, 206
გარაპანი — მიკრონეზიის (კაროლინის, მარიანისა და მარშალის კუნძულები) ადმინისტრაციული ცენტრი.
522
გვატემალა — გვატემალის დედაქალაქი
462
გრანდ-ტიორკსი — კუნძულების ტიორკსისა და კაიკოსის ადმინისტრაციული ცენტრი
გრენლანდია 502
117

დ

დაკა — ბანგლადეშის დედაქალაქი
210, 211
დაკარი — სენეგალის დედაქალაქი
412
დამასკი — სირიის დედაქალაქი
302, 303
დარ-ეს-სალამი — ტანზანიის დედაქალაქი
422
დასავლეთი ბერლინი
106, 120, 121
დელი — ინდოეთის დედაქალაქი
243, 245
დიეგო-გარსია
384, 412
დისკრიმინაცია — მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის რასობრივი ან ეროვნული კუთვნილების, სქესის, ასაკის მიხედვით უფლებათა შეზღუდვა ან წართმევა.
442
დოჰა — კატარის დედაქალაქი
267
დუბლინი — ირლანდიის დედაქალაქი
131, 134

ე

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (ეეთ, „საერთო ბაზარი") — ევროპის ქვეყნების — გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ნიდერლანდების, ბელგიის, ლუქსემბურგის, აგრეთვე, (1973 წ. იანვრიდან) დიდი ბრიტანეთის, დანიისა და ირლანდიის ეკონომიკური დაჯგუფება. ხელშეკრულება ეეთ-ის შექმნის შესახებ ხელმოწერილია 1957 წ.
69, 88, 100, 155.
ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეუს) — სოციალისტური ქვეყნების სამთავრობათაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია. შეიქმნა 1949 წ. ეუს-ს ამოცანაა ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნებს შორის სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემის, ურთიერთხელსაყრელობისა და ამხანაგური

ურთიერთდახმარების საფუძველზე განახორციელოს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ეუს-ში შედიან ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, მონღოლეთი, კუბა. 1964 წ. შეთანხმების საფუძველზე ეუს-ში თანამშრომლობს იუგოსლავია. ეუს-ის ორგანოებში მეთვალყურეთა სახით მონაწილეობენ ვიეტნამისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

53, 54, 55, 56, 63, 88, 186, 169

„ექსონი" (1973 წლის 1 იანვრამდე „სტანდარტ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯერსი") — აშშ-სა და კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე დიდი ნავთობის მონოპოლია. აქვს დიდი ნავთობსახდელი ქარხნები ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში. დიდ გავლენას ახდენს აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე

65, 442

ელ-ქუვეითი — ქუვეითის დედაქალაქი

312, 313

ელ-რიადი — საუდის არაბეთის დედაქალაქი

296

ერთა ლიგა

14, 15, 26, 29, 193, 221, 255

ვ

ვადუცი — ლიხტენშტაინის დედაქალაქი

146, 147

ვალეტა — მალტის დედაქალაქი

148

ვარშავა — პოლონეთის დედაქალაქი

157, 161

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ვხო) — ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური თავდაცვითი კავშირი, რომელიც შეიქმნა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება დაიდო 1955 წ. ვარშავაში ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლების მიერ. 1968 წ. ალბანეთი გავიდა ორგანიზაციიდან. ორგანიზაციის მიზანია წინ აღუდგეს იმპერიალიზმის საომარ მუქარას, მის მიერ შექმნილ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს, კერძოდ, ნ ა ტ ო ს

56, 62, 104, 107, 111, 186

ვატიკანი

130, 131

ვაშინგტონი — ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი

436, 438, 444

ველინგტონი — ახალი ზელანდიის დედაქალაქი

517, 519

ვენა — ავსტრიის დედაქალაქი

90, 91, 92

ვიენტიანი — ლაოსის დედაქალაქი

441

ვილა — ახალი ჰებრიდების არქიპელაგის აღმინისტრაციული ცენტრი

490

ვილემსტადი — ანტილის კუნძულების (ნიდერლანდების) ადმინისტრაციული ცენტრი

447

ვინდჰუკი — ნამიბიის ადმინისტრაციული ცენტრი

398

ვიქტორია — სეიშელის დედაქალაქი

411

თ

თეირანი — ირანის დედაქალაქი

265, 258

თიმფუ — ბჰუტანის დედაქალაქი.

218

ი

იაუნდე — კამერუნის დედაქალაქი

367

ინდუიზმი — რელიგია, რომელიც ყველაზე მეტად ავრცელდა ინდოეთში. ინდუიზმის ერთ-ერთი ძირითადი დოგმატი — მოძღვრება „სულთა გადასახლებაზე" — გამოყენებული იყო გაბატონებული კლასების მიერ კასტური წყობლების განმტკიცებისათვის. ინდუიზმისათვის, კერძოდ. დამახასიათებელია ზოგიერთი ცხოველის (ძროხების) თაყვანისცემა, მდინარეების, მცენარეთა გაღმერთება

316

ინტეგრაცია კაპიტალისტური

68, 100, 316

ინტეგრაცია სოციალისტური

55

ინფლაცია — ქაღალდის ფულის გაუფასურება მის მიმოქცევაში გამოშვების შედეგად იმაზე მეტი რაოდენობით, რაც საქონელბრუნვისათვისაა საჭირო. ინფლაცია აასიათებს კაპიტალისტურ ქვეყნებს და იწვევს მოხმარების საგნების ფასების ზრდასა და მშრომელთა რეალური ხელფასი დაცემას

122 139

ისლამი (მუსულმანობა) — ერთ-ერთი ყველაზე ეტად გავრცელებული რელიგია, რომელიც აღიარებს ერთ ღმერთის — ალაჰის რწმენას. წარმოიშვა VII საუკუნეში არაბეთში. ისლამის დამაარსებლად ითვლება მუჰამედი (მაჰადი). ისლამში ორი ძირითადი მიმართულებაა — სუნიზმ დ შიიზმი. ისლამი გავრცელებულია თურქეთში, არაბეთის ქვეყნებში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, ინდონეზიაა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

211, 258, 262, 299, 356

ისლამაბადი—პაკისტანის დედაქალაქი

293

იუდაიზმი — რელიგია, რომელიც წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში ძველ ებრაულ ტოებში. შემდგომი განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა როგორც მონოთეისტური რელიგია, რომელიც აღიარებს ერთ ღმერ-

თის — იაჰვეს (იეღოვას) რწმენას. ისრაელის სახელმწიფო რელიგიაა
262

„იუნაიტედ სტეიტს სტილ“ — აშშ-ის მსოფლიოში უდიდესი მეტალურგიული მონოპოლია. უშვებს სხვადასხვა სახის სამრეწველო მოწყობილობას, სამხედრო პროდუქციას. მონოპოლია კონტროლს უწევს სასარგებლო წიაღისეულის უმდიდრეს საბადოებს არა მარტო აშშ-ში, არამედ საზღვარგარეთაც
442

იუნესკო
57

„იუნილეივერი“ — კაპიტალისტური სამყაროს კვების ყველაზე დიდი მონოპოლია. მეთაურობს ორი კომპანია — ინგლისისა და ჰოლანდიისა. მონოპოლიას 200-ზე მეტი ქარხანა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ქოქოსის, ბანანის, ყავის, კაუჩუკის პლანტაციები აფრიკაში, აზიასა და ოკეანეთში
123, 164

კ

კაირო — ეგვიპტის დედაქალაქი
350, 353, 354,

კაიენა — გვიანას ადმინისტრაციული ცენტრი
463

კამპალა — უგანდის დედაქალაქი
428

კანბერა — ავსტრალიის დედაქალაქი
514

კარაკასი — ვენესუელის დედაქალაქი
469

კატმანდუ — ნეპალის დედაქალაქი
289, 290

კესონ-სიტი — ფილიპინების დედაქალაქი; შედის „დიდ მანილაში“
308

კიგალი - - რუანდის დედაქალაქი
405

კინგსტონი -- იამაიკის დედაქალაქი
473

კინგსტონი — კუნძულ ნორფოლკის ადმინისტრაციული ცენტრი
524

კინშასა — ზაირის დედაქალაქი
359, 360

კიტო — ეკვადორის დედაქალაქი
466, 467

კოლომბო — შრი ლანკას დედაქალაქი
313, 316

კოლონია — ქვეყანა ან მხარე, რომელსაც ძალით აქვს შართმეული პოლიტიკური დამოუკიდებლობა და გადაქცეულია მისი დამპყრობელი სახელმწიფოს სამფლობელოდ.
15, 39, 73—80, 122, 153, 204, 438

კოლონიალიზმი — იმპერიალისტური ქვეყნის მიერ ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნის დაჩაგვრისა და დამორჩილების პოლიტიკა. კოლონიალიზმი ვლინდება პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებით.
39, 60, 61, 73—80, 329

კომუნისტური ინტერნაციონალი
9, 84

კონაკრი — გვინეის დედაქალაქი
347

კონცერნი — იმპერიალიზმის ეპოქის კაპიტალისტური მონოპოლიების (იხ.) ერთ-ერთი ძირითადი სახე, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ საწარმოთა ჯგუფი, რომელიც ემორჩილება კონცერნში გაბატონებულ კომპანიას
164, 196

კოპენჰაგენი — დანიის დედაქალაქი
116, 118

„კრაისლერი“—აშშ-ისა და მთელი კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი საავტომობილო მონოპოლია. ფილიალები და დაქვემდებარებული კომპანიები აქვს ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

„კრაისლერი“ უშვებს, აგრეთვე, შეიარაღებას და რაკეტულ-კოსმოსურ ტექნიკას
57, 442

კრიზისი
18, 19, 32, 67, 68, 441

კუალა-ლუმპური — მალაიზიის დედაქალაქი
281

ლ

ლაგოსი — ნიგერიის დედაქალაქი
400

ლათინურ-ამერიკული ეკონომიკური სისტემა (ლაეს) — ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის 25 სახელმწიფოს ორგანიზაცია. ამერიკის კონტინენტზე პირველი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია აშშ-ის მონაწილეობის გარეშე. ლაეს-ის ძირითადი მიზნებია მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებს შორის, მათი ინტერესების დაცვა უცხოეთის მონოპოლიების ხელყოფისაგან.
436, 440, 441

ლიბრევილი — გაბონის დედაქალაქი
341

ლიგა არაბული სახელმწიფოებისა — შეიქმნა 1945 წ. 1975 წლისათვის ორგანიზაციამ გააერთიანა 20 სახელმწიფო. ლიგის მუშაობაში მონაწილეობას იღებს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. ლიგის მიზანია წევრ-სახელმწიფოებს შორის კავშირებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცება, მათი საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია.
353

ლილონგვე — მალავის დედაქალაქი
387

ლიმა — პერუს დედაქალაქი
496, 497

ლისაბონი — პორტუგალიის დედაქალაქი
162, 163

ლომე — ტოგოს დედაქალაქი
424
ლონდონი — დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი
121, 123, 124, 125
ლუანდა — ანგოლის დედაქალაქი
334, 335
ლუსაკა — ზამბიის დედაქალაქი
361
ლუქსემბურგი — ლუქსემბურგის დედაქალაქი
147

მ

მადრიდი — ესპანეთის დედაქალაქი
126, 129
მალაბო — ეკვატორული გვინეის დედაქალაქი
358
მანაგუა — ნიკარაგუას დედაქალაქი
492
მანამა — ბაჰრეინის დედაქალაქი
213
მანილა — იხ. კესონ-სიტი
მაპუტუ — მოზამბიკის დედაქალაქი
394, 396
მასერუ — ლესოთოს დედაქალაქი
375
მასკატი — ომანის დედაქალაქი
291, 292
მატაუტუ — უოლისის და ფუტუნას (ჰორნი) კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი
528
მბაბანე — სვაზილენდის დედაქალაქი
414
„მეგობრობა“ — მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობსადენი. გაყვანილია სსრკ-ს, პოლონეთის, გდრ-ს, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მიერ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე
54, 110, 160, 186, 199
მელილია
127, 393
მეხიკო — მექსიკის დედაქალაქი
487, 490
მილიტარიზმი — 1. გამალებული შეიარაღებისა და ომისათვის მზადების რეაქციული პოლიტიკა, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ახორციელებენ; 2. რეაქციული მხედრიონის პოლიტიკური ბატონობა კაპიტალისტურ ქვეყნებში
68, 72, 106, 141
მოგადიშო — სომალის დედაქალაქი
416—418
მონაკო — მონაკოს დედაქალაქი
150, 151.
მონოპოლიები კაპიტალისტური — დიდი სამეურნეო გაერთიანებანი (კარტელები, სინდიკატები, ტრესტები, კონცერნები). ახორციელებენ კონტროლს ქვეყნის ან მთელი რიგი ქვეყნების ცალკეულ დარგებსა და მთელ ეკონომიკაზე წარმოებისა და კაპიტალის მაღალი საფეხურის კონცენტრაციის საფუძველზე შესაფერის სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური ფასების დადგენისა და მონოპოლიური მოგების მიზნით
20, 63, 65, 66, 71, 441, 443
მონროვია — ლიბერიის დედაქალაქი
377, 378
მონტევიდეო — ურუგვაის დედაქალაქი
503, 504
მორონი — კომორის დედაქალაქი
372
მუსულმანობა — იხ. ისლამი
„მშვიდობა“ — ევროპის სოციალისტური ქვეყნების — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრთა გაერთიანებული ენერგოსისტემები
53, 54

ნ

ნაირობი — კენიის დედაქალაქი
369
ნასაუ — ბაჰამის დედაქალაქი
452
ნატო — 1949 წ. შექმნილი ჩრდილოეთ ატლანტის ხელშეკრულების ორგანიზაციის შემოკლებული სახელი (მისი ინგლისური სახელის პირველი ასოებით). ორგანიზაცია წარმოადგენს 15 კაპიტალისტური სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, ბელგია ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ნორვეგია, დანია, ისლანდია, პორტუგალია, 1952 წლიდან საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წლიდან გფრ) აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ნატო-ში წამყვან როლს ასრულებს აშშ. ეს იმპერიალისტური ბლოკი მისი მილიტარიზმის (იხ.) პოლიტიკითა და გამალებული შეიარაღებით მიმართულია სსრკ, ავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ და ერთდროულად ემსახურება პროგრესულ დემოკრატულ მოძრაობათა ჩახშობის მიზნებს. 1966 წ. საფრანგეთმა, ხოლო 1974 წ. საბერძნეთმა უარი თქვეს ნატო-ს სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობაზე
56, 68, 88, 89, 114, 139, 142, 171, 158, 164, 181, 269, 295, 315, 468
ნაურუ — ნაურუს დედაქალაქი
523
ნაციონალიზაცია — სახელმწიფოს მიერ მიწების, ქარხნების, ფაბრიკების, ბანკების და სხვა კერძო საკუთების ჩამორთმევა და მისი სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა.
77, 80, 222, 498
ნეიტრალიტეტი — საერთაშორისო სამართალში ომში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა, ხოლო მშვიდობიან დროს — სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე ურის თქმა
90
ნეოკოლონიალიზმი — იმპერიალისტური სახელწიფოების და მონოპოლისტურ გაერთიანებათა კოლონიური პოლიტიკა, რომლებიც ცდილობენ იმპერიალიზმის კოლონიური

სისტემის დაშლის პირობებში გამოძებნონ ახალი, უფრო მოქნილი ჭეთოდები თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად იმ ქვეყნებში, რომლებმაც ბრძოლით მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა
51, 79

ნეოფაშიზმი — ახალი, ნაწილობრივ სახეშეცვლილი ფორმის ფაშიზმი (იხ.) რომელიც შეგუებულია მოცემულ ისტორიულ ვითარებასთან
72

ნიამეი — ნიგერის დედაქალაქი
369, 370

ნიკოზია — კვიპროსის დედაქალაქი
244, 268

ნუაკშოტი — მავრიტანიის დედაქალაქი
385

ნუკუალოფა—ტონგას დედაქალაქი
527

ნუმეა — ახალი კალედონიის ადმინისტრაციული ცენტრი
519

ნჯამენა — ჩადის დედაქალაქი
437

ო

ოსლო — ნორვეგიის დედაქალაქი
155, 156, 157

ოტავა — კანადის დედაქალაქი
473, 474, 478

პ

პაგო-პაგო — აღმოსავლეთ სამოას ადმინისტრაციული ცენტრი
516

პალესტინა — წინა (დასავლეთი) აზიის ისტორიული ოლქი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან. დასახლებულია არაბებით და ებრაელებით. ერთა ლიგის მანდატით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის მმართველობაში. 1947 წ. გეო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინიდან ინგლისელთა ჯარების გაყვანისა და მის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — არაბებისა და ებრაელთა სახელმწიფოს შექმნისა და იერუსალიმის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. პალესტინელი არაბები, რომლებმაც ისრაელის აგრესიული პოლიტიკის შედეგად სამშობლო დაკარგეს, იბრძვიან თავიანთი კანონიერი ეროვნული უფლებების აღდგენისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის
262, 255

პანამა — პანამის დედაქალაქი
493

პანამის არხის ზონა
493

პაპეეტე — პოლინეზიის (საფრანგეთის) ადმინისტრაციული ცენტრი
526

პარამარიბო—სურინამის დედაქალაქი
601

პარიზი — საფრანგეთის დედაქალაქი
175, 177, 180

პეკინი — ჩინეთის დედაქალაქი
317

პნომპენი — კამბოჯის დედაქალაქი
265, 267

პორტ-ლუი — მავრიკიის დედაქალაქი
383

პორტ-მორსბი — პაპუა-ახალი გვინეის დედაქალაქი
524

პორტო-ნოვო — ბენინის დედაქალაქი
336

პორტ-ო-პრენსი — ჰაიტის დედაქალაქი
509, 510

პორტ-ოფ-სპეინი — ტრინიდადისა და ტობაგოს დედაქალაქი
502

პორტ-სტენლი — ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი
505

პოტსდამის კონფერენცია
106, 111, 161

პრაია — მწვანე კონცხის კუნძულების დედაქალაქი
396

პრალა — ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი
198, 200

პრეტორია — სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი
406, 409

პროტექტორატი (დაცვა, მფარველობა) — კოლონიალიზმის ერთ-ერთი ფორმა, როცა დამოკიდებული სახელმწიფო თითქოსდა პროტექტორ-სახელმწიფოს მიანდობს თავის დაცვას და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებას
31, 96, 376, 392

რ

რაბათი — მაროკოს დედაქალაქი
391, 398

რანგუნი — ბირმის დედაქალაქი
214, 215

რეიკიავიკი — ისლანდიის დედაქალაქი
134, 135

რეპარაციები — დამარცხებული სახელმწიფოს მიერ გამარჯვებული სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება
14

როდ-ტაუნი — კარჯინიის (ბრიტანეთის) კუნძულების ცენტრი
472

„როიალ-დატჩ-შელ გრუპ“ — დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი და კაპიტალისტურ სამყაროში მეორე ნავთობის მონოპოლია (იხ.). შექმნილია დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების ნავთობის კომპანიათა გაერთიანების საფუძველზე.
123, 154
რომი — იტალიის დედაქალაქი
137, 141

ს

სანა — იემენის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი
238, 239
სან-მარინო — სან-მარინოს დედაქალაქი
174
სან-სალვადორი — სალვადორის დედაქალაქი
499
სანტო-დომინგო — დომინიკელთა რესპუბლიკის დედაქალაქი
465
სანტიაგო — ჩილეს დედაქალაქი
506, 507
სან-ტომე — სან-ტომე და პრინსიპის დედაქალაქი
410
სან-ხოსე — კოსტა-რიკის დედაქალაქი
481
სან-ხუანი — პუერტო-რიკოს ადმინისტრაციული ცენტრი
499
სახალხო ფრონტი
26, 27, 127
სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი
65, 66, 67
სეატო—სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდების პირველი ასოების მიხედვით) აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ტაილანდის და ფილიპინების აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. შეიქმნა 1954 წ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და მიმდებარე რაიონების ხალხთა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით. 1972 წლამდე სეატოში შედიოდა პაკისტანი. საერთაშორისო ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების ზემოქმედებით 1975 წ. ბლოკი დაიშალა და ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა.
203, 295, 308, 311, 446
სენ-დენი — კუნძულ რეუნიონის ადმინისტრაციული ცენტრი
404
სენ-პიერი — სენ-პიერისა და მიქელონის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი
501
სენტ-ვინსენტი — 501
სენტ-ჯორჯესი — გრენადის დედაქალაქი
464
სენტო — ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციის შემოკლებული სახელი (ინგლისური სახელწოდების მიხედვით). აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. შეიქმნა 1955 წ. ბლოკიდან ერაყის გამოსვლამდე (1959) ბაღდადის პაქტი ეწოდებოდა. სენტოში შედიან დიდი ბრიტანეთი, ირანი, პაკისტანი, თურქეთი. აშშ ფორმალურად არ შედის ბლოკში, მაგრამ მონაწილეობს მის საქმიანობაში და ფაქტიურად ხელმძღვანელობს მას.
203, 232, 257, 295, 446
სეუტა
127, 393
სინგაპური — სინგაპურის დედაქალაქი
301
სიონიზმი — რეაქციული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა სხვადასხვა ქვეყნების ებრაელთა ბურჟუაზიაში XIX საუკუნის ბოლოს. სიონისტები ამტკიცებენ, თითქოს ყველა ებრაელი, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდეს და რა ენაზეც უნდა ლაპარაკობდეს, შეადგენს ერთიან ერს; ისინი ებრაელი მშრომელებისა და ებრაელი ბურჟუაზიის კლასობრივი თანამშრომლობის პროპაგანდას ეწევიან და ამით არიდებენ მათ კაპიტალის წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობას. სიონიზმის ცენტრებია აშშ-ში და ისრაელში. სიონიზმი მსოფლიო საზოგადოებამ დაგმო, როგორც რასიზმის ნაირსახეობა.
262, 263, 264
სიანგანი (ჰონკონგი) — სიანგანის (ჰონკონგის) ადმინისტრაციული ცენტრი
300
სოფია — ბულგარეთის დედაქალაქი
100, 101,
სტოკჰოლმი — შვეციის დედაქალაქი
193, 195
სუვა — ფიჯის დედაქალაქი
529
სუვერენიტეტი — სახელმწიფოს სრული პოლიტიკური და მოუკიდებლობა და თვითმყოფობა მის საშინაო საქმეებსა და საგარეო ურთიერთობაში.
61, 79
სუკრე — ბოლივიის დედაქალაქი
454

ტ

ტეგუსიგალპა — ჰონდურასის დედაქალაქი
510
ტელ-ავივი — ისრაელის დედაქალაქი
262, 264
ტირანა — ალბანეთის დედაქალაქი
93, 95
ტოკიო — იაპონიის დედაქალაქი
233
ტრიპოლი — ლიბიის დედაქალაქი
378, 379
ტუნისი — ტუნისის დედაქალაქი
426, 428.

უ

უაგადუგუ — ზემო ვოლტის დედაქალაქი
.364 .

ულან-ბატორი — მონღოლეთის დედაქალაქი
284

ფ

ფაკაოფო — ტოკელაუს კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი
527

ფარერის კუნძულები
117

ფაშიზმი
20—23, 24, 25, 26, 27, 29, 30, 38, 43, 44

„ფილიპსი“ — ჰოლანდიის, ამერიკის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კაპიტალი. „ფილიპსმა“ ხელში ჩაიგდო მრავალი ქვეყნის ელექტროტექნიკური და რადიოელექტრონული მრეწველობა. იგი სამხედრო პროდუქციის უდიდესი მიმწოდებელია.
164

ფორ-დე-ფრანსი — მარტინიკის ადმინისტრაციული ცენტრი
486

„ფორდ მოტორი“ — აშშ-ისა და მთელი კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი საავტომობილო მონოპოლია. მის წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამხედრო ტექნიკას. აქვს ფილიალები და ქალიშვილის კომპანიები ევრ ქვეყანაში.
56, 57, 442

ფრიტაუნი — სიერა-ლეონეს დედაქალაქი
415, 416

ფხენიანი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი
273

ქ

ქაბული — ავღანეთის დედაქალაქი
205, 206

ქრისტიანობა — რელიგია, რომელიც წარმოიშვა ჩვენი ელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში. სახელწოდება მიიღო მისი მითიური დამაარსებლის იესო ქრისტეს სახელის მიხედვით. იყოფა რამდენიმე ეკლესიად (კათოლიკური, მართლმადიდებლური, ანგლიკანური და სხვ.). ქრისტიანობა ისლამან და ბუდიზმთან ერთად ერთ-ერთია სამ ყველაზე უფრო გავრცელებულ რელიგიათაგან. ქრისტიანობა, ისე როგორც ველგვარი რელიგია, ხალხთა მასებს შთააგონებს მორჩილებას, აშორებს მათ რევოლუციურ ბრძოლას
262, 279, 316, 356

შ

შარლოტა ამალია — ვირჯინიის კუნძულების (აშშ-ის) ადმინისტრაციული ცენტრი
472

შოვინიზმი — უკიდურესი ნაციონალიზმი; სხვა ხალხების დევნის, ქიშპობის, დაჩაგვრის რეაქციული პოლიტიკა; სხვა დასხვა რასებისა და ეროვნებათა ხალხებს შორის ეროვნული მტრობისა და სიძულვილის გაღვივება. შოვინიზმი ქადაგებს ეროვნულ განკერძოებულობას, ერთის ბატონობას მეორეზე. შოვინიზმი ყველაზე უფრო აგრესიულად და და ნაშაულებრივად ვლინდება ფაშიზმის (იხ.) პოლიტიკაში
19, 75

წ

წინააღმდეგობის მოძრაობა
37, 38, 41, 42, 117, 139

ხ

ხართუმი — სუდანის დედაქალაქი
419

ხონიარა — სოლომონის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი
527

ჯ

ჯაკარტა — ინდონეზიის დედაქალაქი
250, 253

ჯემსტაუნი — წმინდა ელენეს კუნძულის ადმინისტრაციული ცენტრი
432

„ჯენერალ ელექტრიკი“ — აშშ-სა და კაპიტალისტურ სამყაროში უდიდესი ელექტროტექნიკური კომპანია. უშვებს სამრეწველო, სამხედრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროტექნიკური აღჭურვილობის ყველა სახეს. კომპანიას აქვს საწარმოები კანადაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ირლანდიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გფრ-ში, შვეიცარიაში, ისრაელში, ინდოეთში, თურქეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში
65, 123

„ჯენერალ მოტორსი“ — აშშ-სა და კაპიტალისტურ სამყაროში უდიდესი საავტომობილო კომპანია. იგი ფლობს საწარმოებს ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ავტომობილე-

ბის გარდა უშვებს, აგრეთვე, აკიამოტორებს, ლოკომოტივებსა და სხვადასხვა სახის იარაღს. აქვს ფილიალები და ქალიშვილის კომპანიები კანადაში, არგენტინაში, ავსტრიაში, ინგლისში, საფრანგეთში, გფრ-ში, სარ-ში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში

65, 442

ჯიბუტი — ჯიბუტის დედაქალაქი

433

ჯორჯტაუნი — კაიმანის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი

461

ჰ

ჰავანა — კუბის დედაქალაქი

250, 253

ჰამილტონი — ბერმუდის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი

453

ჰანოი — ვიეტნამის დედაქალაქი

223, 226

ჰელსინკი — ფინეთის დედაქალაქი

186, 189

ჰონკონგი — იხ. სიანგანი

სარჩევი

მკითხველებს (ს. ტიხვინსკი. თარგმ. ც. ჩხაიძისა). 5

კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა

(თარგმ. ც. ჩხაიძისა)

ახალი სამყაროს დაბადება (ვ. მარკოვი) . . 7
ორ მსოფლიო ომს შორის (ლ. მინაევი)
ვერსალის სისტემა და მისი წინააღმდეგობანი . . . 14
კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნების ხალხთა გამოღვიძება 16
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი 18
ფაშიზმი 21
ომის ორი კერა 23
სახალხო ფრონტი 26
ეროვნულ-რევოლუციური ომი ესპანეთში 28
მიუნხენის გამცემლობა. მეორე მსოფლიო ომის ზღურბლზე 29
მეორე მსოფლიო ომი (გ. დებორინი) 32
სოციალიზმი — მსოფლიო სისტემა (ვ. სერგეევი) . 47
მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოქმნა . . 47
მოძმე ხალხთა წარმატებები 49
სოციალიზმის ქვეყნების ურთიერთობის საფუძვლები . 50
ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა 53
სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია . . . 55
სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობა 56
მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა 58
მაგალითის ძალა 62
თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისი (ე. ამბარცუმოვი) 64
კოლონიალიზმის მსხვრევა და გამათავისუფლებელი რევოლუციების გაღრმავება (კ. ბრუტენცი) . 73
საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა (ე. კუსკოვი) 73

ევროპა

(თარგმ. ა. კიკვიძისა)

შესავალი (ი. კოზლოვი) 87
ავსტრია (ი. კოზლოვი) 90
ალბანეთი (ნ. შიმელი) 93
ანდორა (კ. ლუკიანოვი) 95
ბელგია (ვ. ზაგლადინი) 96
ბულგარეთი (ი. კრუკოვსკი) 100
გიბრალტარი (ფ. იუგოვი) 104
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გ. შიკინი) 105
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (ვ. კრაშენინიკოვი) 111
დანია (ნ. კრიმოვა) 116
დასავლეთი ბერლინი (ვ. ბაგაევი) 120
დიდი ბრიტანეთი (ვ. მატვეევი) 121
ესპანეთი (მ. კრემნევი) 126
ვატიკანი (კ. ლუკიანოვი) 130
ირლანდია (ლ. სტრელეცკაია) 131
ისლანდია (ლ. სერებრიანი) 134
იტალია (ლ. ნიკიტინი) 137
იუგოსლავია (ა. პლევაკო) 142
ლიხტენშტაინი (კ. ლუკიანოვი) 146
ლუქსემბურგი (ვ. ზაგლადინი) 147
მალტა (ლ. ნიკიტინი) 148
მონაკო (კ. ლუკიანოვი) 150
ნიდერლანდები (კ. ლუკიანოვი) 151
ნორვეგია (ნ. კრიმოვა) 155
პოლონეთი (ი. ტროფიმოვა) 157
პორტუგალია (ვ. კალუგინი) 162
რუმინეთი (ი. კრუკოვსკი) 165
საბერძნეთი (გ. შახუნიანი) 170
სან-მარინო (კ. ლუკიანოვი) 174
საფრანგეთი (ი. უსაჩევი) 175
უნგრეთი (ი. ლაპონოგოვი) 181
ფინეთი (გ ფიში, ნ. კრიმოვა) 186
შვეიცარია (გ. დრაგუნოვი) 190
შვეცია (გ. კუბლიცკი) 193
ჩეხოსლოვაკია (ნ. ნოვიკოვი) 198

აზია

(თარგმ. ჯ. ჯანტურაიასი)

შესავალი (ვ. პავლოვსკი) 203
ავღანეთი (ა. პოლიაკი) 205
აომინი (მაკაო) (ვ. პავლოვსკი) 207
არაბთა გაერთიანებული საამიროები (ა მელიქშახნაზაროვი) 208
აღმოსავლეთი ტიმორი (ვ. პავლოვსკი) 209
ბანგლადეში (ვ. პავლოვსკი) 210
ბაჰრეინი (ე. ლებედევი) 213
ბირმა (ი. გავრილოვი) 214

ბრუნეი (ვ. პავლოვსკი) 217
ბჰუტანი (ვ. პავლოვსკი) 218
ერაყი (ს. კულინიჩი) 220
ვიეტნამი (ს. არუთინოვი) 223
თურქეთი (ხ. გრიგორიანი) 229
იაპონია (ს. არუთინოვი) 233
იემენი (იარ) (ა.სტუპაკი) 238
იემენი (ისდრ) (ა. სტუპაკი) 240
ინდოეთი (ვ. პავლოვსკი) 243
ინდონეზია (ი. გავრილოვი) 250
იორდანია (ე. ლებედევი) 254
ირანი (ვ. ტრუბეცკოი) 256
ისრაელი (გ. ნიკიტინა) 262
კამბუჩია (კ. პოპოვი) 265
კატარი (ე. ლებედევი) 267
კვიპროსი (ნ. შიმელი) 268
კორეა (ა. გრიგორიევი) 270
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (კსდრ) (ა. გრიგორიევი) 273
სამხრეთი კორეა (ა. გრიგორიევი) 275
ლაოსი (ს. არუთინოვი) 276
ლიბანი (ე. ლებედევი) 278
მალაიზია (ს. დემკინი) 281
მალდივი (ვ. პავლოვსკი) 283
მონღოლეთი (ნ. შიმელი) 284
ნეპალი (დ. კოსტინსკი) 289
ომანი (ი. გაინულინა) 291
პაკისტანი (ვ. პავლოვსკი) 293
საუდის არაბეთი (ა. პერშიცი) 296
სიანგანი (ჰონკონგი) (ვ. პავლოვსკი) 300
სინგაპური (ს. დემკინი) 301
სირია (ა. სტუპაკი) 302
ტაილანდი (ს. ვერბიცკი) 306
ფილიპინები (ს. ვერბიცკი) 308
ქუვეითი (ი. გაინულინა) 312
შრი ლანკა (ი. ეფრემოვი) 313
ჩინეთი (ა. გრიგორიევი) 317

აფრიკა

(თარგმ. ე. ჯიჟიასი)

შესავალი (ფ. იუგოვი) 328
ალჟირი (ვ. კუპცოვი) 331
ანგოლა (ფ. იუგოვი) 334
ბენინი (ლ. ნიკიტინი) 336
ბოტსვანა (ს. კულიკი) 338
ბურუნდი (ვ. კარპუშინა) 339
გაბონი (ლ. ნიკიტინი) 341
გამბია (ა. ბესედინი) 342
განა (დ. კრავჩენკო) 344
გვინეა (ა. ასკეროვი) 347
გვინეა-ბისაუ (ფ. იუგოვი) 348
დასავლეთი საჰარა (ფ. იუგოვი) 349
ეგვიპტე (ნ. დლინი) 350
ეთიოპია (ა. კოკიევი) 354
ეკვატორული გვინეა (ფ. იუგოვი) 358
ზაირი (ა. მელიქ-შახნაზაროვი) 359
ზამბია (დ. კრავჩენკო) 361
ზემო ვოლტა (ლ. ნიკიტინი) 364
ზიმბაბვე (ე. მენაბდე) 365
კამერუნი (ა. ასკეროვი) 367
კენია (მ. ჩუვაევა) 369
კომორი (ფ. იუგოვი) 372
კონგო (ლ. ნიკიტინი) 373
ლესოთო (ს. კულიკი) 375
ლიბერია (ა. ბესედინი) 377
ლიბია (ვ. იაზევი) 378
მადაგასკარი (ა. ასკეროვი) 381
მავრიკი (ფ. იუგოვი) 383
მავრიტანია (ლ. ნიკიტინი) 385
მალავი (დ. კრავჩენკო) 387
მალი (ლ. ნიკიტინი) 388
მაროკო (ვ. კუპცოვი) 391
მოზამბიკი (ფ. იუგოვი) 394
მწვანე კონცხის კუნძულები (ფ. იუგოვი) . . . 396
ნამიბია (ფ. იუგოვი) 397
ნიგერი (ლ. ნიკიტინი) 399
ნიგერია (რ. ისმაგილოვა) 400
რეუნიონი (ფ. იუგოვი) 403
რუანდა (ვ. კარპუშინა) 405
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (ს. ვოლკი, ს. კულიკი) 406
სან-ტომე და პრინსიპი (ფ. იუგოვი) 410
სეიშელი (ფ. იუგოვი) 411
სენეგალი (ლ. ნიკიტინი) 412
სვაზილენდი (ფ. იუგოვი) 414
სიერა-ლეონე (ლ. ნიკიტინი) 415
სომალი (ა. ასკეროვი) 416
სპილოს ძვლის ნაპირი (ლ. ნიკიტინი) . . . 418
სუდანი (ა. ასკეროვი) 419
ტანზანია (ვ. კაცმანი) 422
ტოგო (ი. ალიმოვი) 424
ტუნისი (ვ. კუდრიავცევი) 426
უგანდა (ა. ასკეროვი) 428
ჩადი (ლ. ნიკიტინი) 430
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ლ. ნიკიტინი) 431
წმინდა ელენეს კუნძული (ფ. იუგოვი) 432
ჯიბუტი (ფ. იუგოვი) 433

ამერიკა

(თარგმ. ნ. გოგოძისა)

შესავალი (ი. კუპლიაკოვი) 434
ამერიკის შეერთებული შტატები (ლ. მინაევი) . 436
ანტილის კუნძულები (ვ. კორნიუხინი) . . . 447
არგენტინა (მ. კრემნევი) 448
ბარბადოსი (ვ. კორნიუხინი) 451

ბაჰამა (ვ. კორნიუხინი) 452
ბელიზი 453
ბერმუდის კუნძულები (ვ. კორნიუხინი) . . . 453
ბოლივია (ი. ფადეევი) 454
ბრაზილია (ო. იგნატიევი) 456
გაიანა (ვ. კორნიუხინი) 461
გვადელუპა (ვ. კორნიუხინი) 462
გვატემალა (ვ. კორნიუხინი) 462
გვიანა (ვ. კორნიუხინი) 463
გრენადა (ვ. კორნიუხინი) 464
დომინიკა (ე. მენაბდე) 464
დომინიკელთა რესპუბლიკა (ვ. კორნიუხინი) . . 465
ეკვადორი (ლ. ლეონიდოვი) 466
ვენესუელა (გ. კალუგინი) 469
ვირჯინიის კუნძულები (ვ. კორნიუხინი) . . . 472
იამაიკა (ვ. კორნიუხინი) 473
კაიმანის კუნძულები (ვ. კორნიუხინი) . . . 474
კანადა (ლ. კარპოვი) 474
კოლუმბია (გ. კალუგინი) 479
კოსტა-რიკა (ვ. კორნიუხინი) 481
კუბა (ს. მიქოიანი) 482
მარტინიკა (ვ. კორნიუხინი) 486
მექსიკა (მ. კრემნევი) 487
ნიკარაგუა (ვ. კორნიუხინი) 492
პანამა (ვ. კორნიუხინი) 493
პარაგვაი (ო. იგნატიევი) 494
პერუ (ვ. ბელიაევი) 496
პუერტო-რიკო (ვ. კორნიუხინი) 499
სალვადორი (ვ. კორნიუხინი) 499
სენტ-ვინსენტი და გრენადინი (ე. მენაბდე) . . 501
სენტ-ლუსია (ე. მენაბდე) 501
სენ-პიერი და მიქელონი (ვ. კორნიუხინი) . . 501
სურინამი (ვ. კორნიუხინი) 501
ტიორკსისა და კაიკოსის კუნძულები (ვ. კორნიუხინი) 502
ტრინიდადი და ტობაგო (ვ. კორნიუხინი) . . 502
ურუგვაი (მ. კრემნევი) 503
ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები (ვ. კორნიუხინი) 505
ჩილე (გ. კალუგინი) 506
ჰაიტი (ვ. კორნიუხინი) 509
ჰონდურასი (ვ. კორნიუხინი) 510

ავსტრალია და ოკეანეთი

(თარგმ. ე. ჯიჭიასი)

შესავალი (ფ. იუგოვი) 512
ავსტრალია (კ. მალახოვსკი) 514
აღმოსავლეთი სამოა 516
აღმოსავლეთი ტიმორი (ე. მენაბდე) 516
ახალი ზელანდია (კ. მალახოვსკი) 517
ახალი კალედონია 519
ახალი ჰებრიდები 520
დასავლეთი სამოა 520
კირიბატი 521
კუკის კუნძულები 522
მიკრონეზია 522
ნაურუ 523
ნორფოლკი 524
პაპუა-ახალი გვინეა 524
პიტკერნი 526
პოლინეზია 526
სოლომონის კუნძულები 527
ტოკელაუს კუნძულები 527
ტონგა 527
ტუვალუ 528
უოლისის და ფუტუნას (ჰორნის) კუნძულები . . 528
ფიჯი 529
ქოქოსის (კილინგის) კუნძულები 529
შობის კუნძული 530

საცნობარო განყოფილება

(თარგმ. ე. ჯიჭიასი)

რა წავიკითხოთ (გ. გლავატსკიხი)

ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში 531
სხვადასხვა კონტინენტების ქვეყნები 532
ევროპა 533
აფრიკა 534
ამერიკა 536
ავსტრალია და ოკეანეთი 537
ლექსიკონი—საძიებელი (ა. ნიკოლაევი) . . . 538